ჰანს-დიტრიხ გენშერი

მოგონებანი

წიგნი II

თბილისი
2002

Hans-Dietrich Genscher

Erinnerungen

Ins Georgische übersetzt
von Asmat Pizchelauri-Parjiani,
Michail Beroschwili, Lewan Bregadse

Tbilisi
2002

УДК 32(430)
ᲨᲐ289

ქართული თარგმანის გამოცემის ინიციატორი

ბ-ნი **დიდიმ სტურუა**

თარგმანი მომზადდა საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ **„კავკასიურ სახლში“**.
ითარგმნა „ზიდლერ ფერლაგის“ 1995 წლის გერმანული გამოცემიდან.
მთარგმნელები: ასმათ ფიცხელაურ-ფარჯიანი (თავები 1-9),
მიხეილ ბეროშვილი (თავები 10-16),
ლევან ბრეგაძე (თავები 17-21).
ლ. ბრეგაძის რედაქციით.

გამოცემის დამფინანსებლები:

ᲨᲞᲡ „იბერიატელი“,

MBG „საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი“,

ᲡᲡ „საქართველოს ელექტროკავშირი“.

ISBN 99928-996-2-X

Initiator der georgischen Übersetzung

Herr **Didim Sturua**

Die Übersetzung wurde im Zentrum für kulturelle Beziehungen Georgiens **«Kaukasisches Haus»** vorbereitet.

Sponsoren:

Ltd «IBERIATEL»,

MBG «Microfinance Bank of Georgia»,

JS «GEORGIAN ELECTRICAL COMMUNICATIONS».

ნაწილი V

დროთა გასაყარზე ახალ პარტნიორებთან ერთად

თავი 14

ახალი ეპოქის დასაწყისი

მთელი ძალისხმევა საგარეო პოლიტიკას

1985 წლის თებერვლის დამლევს პარტიის ბოლო ფედერალური ყრილობისთვის ვემზადებოდი, რომელიც მე, როგორც ფედერალურ თავმჯდომარეს, უნდა გამეხსნა. თუმცა მანამდე, 21 თებერვალს მივიღე თურქეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ევჯევითი, ჩემი დიდი ხნის ნაცნობი, თურქეთში ფრიად ავტორიტეტული პიროვნება და კონსერვატორი პრემიერ-მინისტრის — დემირელის მოწინააღმდეგე, რათა მასთან ერთად თურქეთში არსებული ვითარება მიმოგვეხილა. დარჩენილ დღეებში ჩემი გამოსვლის ტექსტის დასახვეწად ვმუშაობდი.

ჩემი საფიქრალი იყო, თავმჯდომარეობის გადაბარებისას ნათელი გამეხადა, რომ პარტიას მომავალშიც შეუზღუდავად დავუდგებოდი გვერდით. ჩემი გადადგომა, ვამბობდი ხაზგასმით, არც ბედისადმი დამორჩილების და არც კარჩაკეტილობის გამოხატულებად არ უნდა აღქმულიყო. თუმცა, ხატოვნად რომ ვთქვათ, მწყობრში ვბრუნდები, მაგრამ თუ ლიბერალების დამოუკიდებლობას და იდენტურობას საფრთხე შეექმნება, მაშინ მე კვლავ მეწინავეთა რიგებში და კვლავაც ბრძოლისათვის ანთებულს მიხილავთ. ჩემ გამოსვლას ვიყენებდი საბაბად, რომ ლიბერალური პოზიცია გამეტარებინა, დაკავშირებული მოწოდებასთან, არ დაგვეშვა ქვეყნის წითელ-მწვანე უარმყოფლობისა და წითელ-მწვანე კულტურული პესიმიზმის მორევში ჩათრევა. გერმანული საზოგადოება ახალი ეპოქის ზღურბლზე დგას, რომელიც ლიბერალური, ე. ი., ჩვენი იქნება, — ვთქვი მე. ხანგრძლივი დროის მანძილზე საერთო კეთილდღეობისა და ქონების

განაწილების იდეა დროის სულის გამოხატულებად იქცა, ახლა კი თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ამოცანა უნდა იყოს, თამამად გამოუცხადოს ბრძოლა ტოტალური მომარაგების სახელმწიფოს, გადასახადებისა და ანარიცხების მოლოხს, ფუნქციონერებზე დამოკიდებულებას, ბიუროკრატიის ჰიდრას, დოტაციით, მონაცემთა რეგისტრაციითა და ციფრებით გატაცებას. თანასწორობა არ უნდა მკვიდრდებოდეს-მეთქი თავისუფლების ხარჯზე. განსაკუთრებულ ყურადღება მივაქციე საგადასახადო პოლიტიკას: გადასახადის უმაღლესი ტარიფი აღარ უნდა ყოფილიყო ტაბუირებული, გვერდითი დანახარჯები ხელფასზე უნდა შეზღუდულიყო.

ბოლოს საპატიო თავმჯდომარე ვალტერ შეელი განსაკუთრებულად მეობრული სიტყვით გამომეშვიდობა, რითაც მან ჩემი, როგორც პარტიის თავმჯდომარის მუშაობას ღირსეული პატივი მიაგო. იგრძნობოდა, რომ ბევრი დელეგატი იმ მომენტში, როცა ჩემი პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან წასვლა ოფიციალურად გამოცხადდა, მართლაც რომ გულშეძრული იყო. პარტიული ყრილობის დროს კიდევ ხშირად გაისმოდა ჩემი მისამართით ასეთი სიტყვები და არც ჩემთვის ყოფილა, რა თქმა უნდა, ეს დღე სხვა დღეთა მსგავსი. ცხადია, არა იმ აზრით, რომ მე ვნანობდი ჩემი გადაწყვეტილების გამო; მე ის სავსებით სწორი მეჩვენებოდა და დღეის გადასახედიდანაც ასე მიმაჩნია. თუმცა არსებობდა საბაბი, ამ გადაწყვეტილებისგან თავის შეკავებისა; ბოლოს და ბოლოს მე საჭე თერთმეტი წლის განმავლობაში მეპყრა ხელთ. და მაინც: თავმჯდომარეობას ვტოვებდი დარწმუნებული, რომ ის სიძნელეები, რომლებიც კოალიციურმა ცვლილებებმა მოიტანა, დაძლეული იყო. „ლიბერალური მანიფესტი" იმ პოზიციასთან ერთად, რომელიც მე ჩემს გამოსვლაში ჩამოვაყალიბე, მყარ ფუნდამენტს ქმნიდა ახალ მთავრობაში გამოკვეთილი ლიბერალური პოლიტიკის დასამკვიდრებლად, მით უმეტეს, რომ მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, საქმიანობის იმ სფეროში, რისთვისაც პასუხისმგებლობას ფედერალურ მთავრობაში კვლავაც ეკისრულობდი, მომავალშიც ლიბერალური საგარეოპოლიტიკური კურსი გამეტარებინა. არც მოვტყუებულვარ: თავისუფალი დემოკრატიული პარტია სულ უფრო მეტად ახდენდა თავისი თავის იდენტიფიცირებას ასეთ საგარეო პოლიტიკასთან და ის ფაქტი, რომ როგორც 1983 წლის, ისე 1987 და 1990 წლის არჩევნებში ჩემი პოსტზე დარჩენა გადაწყდა, ამის

დასტური გახლდათ. პარტიის ახალ თავმჯდომარედ შთამბეჭდავი — ყოველ შემთხვევაში თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში არსებული ურთიერთობების გათვალისწინებით — შედეგებით არჩეული იქნა მარტინ ბანგემანი, რომელიც მართალია ოფიციალურად ჩემ მემკვიდრედ არ დამისახელებია, მაგრამ საკომიტეტო განხილვებზე მას რეკომენდაცია მივეცი. მას ხმა მისცა 352 დელეგატმა 396-დან, თერთმეტმა თავი შეიკავა, 31 წინააღმდეგი წავიდა და ერთი ბიულეტენი გაუქმდა. მარტინ ბანგემანმა გადაწყვიტა, დოქტორი ჰელმუთ ჰაუსმანი, რომელსაც მიუნსტერის პარტიული ყრილობის შემდეგ გენერალური მდივნის თანამდებობა ეკავა, კვლავაც დაესახელებინა ამ პოსტზე და ამგვარად უზრუნველეყო პერსონალური უწყვეტობის შენარჩუნება.

პარტიის თავმჯდომარის პოსტის გადაბარებით მე გზა გავუხსენი თაობათა ცვლას თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მმართველობის უმაღლეს ეშელონებში. ასპარეზზე გამოჩნდნენ ახალი ადამიანები, მათ შორის პარტიის თავმჯდომარის მოადგილე, მოგვიანებით ფედერალური თავმჯდომარე ვოლფგანგ გერჰარდი, რომელსაც მე ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში ვუთხარი, რომ ერთხელაც ის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალური თავმჯდომარე გახდებოდა. ჩემი რწმენით, ხელმძღვანელ თანამდებობებზე ახალი პერსონალიებისთვის გზის გახსნა ხელმძღვანელობის დემოკრატიულობის ნიშანი გახლავთ. ასე ვუკვალავდი გზას უმცროსი თაობის წარმომადგენლებს პარტიაში. შვიდი წლის შემდეგ კი საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგომით გავხსენი გზა თაობათა ცვლისთვის.

24 თებერვალს, კვირას, უკან, ბონში გამოვემგზავრე და პირველად გავიცნობიერე სრულად, რომ მზად ვიყავი თავი მიმეძღვნა იმ საქმიანობისათვის, რომელიც მე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, უნდა მეკისრა. მართალია, უკვე ორშაბათს ისევ ბერლინში აღმოვჩნდი საარჩევნო ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ შემდეგ კი მართლაც შევძელი მხოლოდ და მხოლოდ მინისტრის საქმიანობაზე ვყოფილიყავი კონცენტრირებული. უკვე მომდევნო კვირას გავფრინდი მოსკოვში, იქიდან ჰელსინკიში, ვარშავაში და ბოლოს სოფიაში. მე სრულიად მშთანთქა საგარეო პოლიტიკამ.

ახალი კაცი და ახალი პოლიტიკა კრემლში

ცოტა ხნის შემდეგ, 1985 წლის 12 მარტს მიხეილ გორბაჩოვი სკკპ გენერალურ მდივნად აირჩიეს. ეს იყო დღე, რომელიც ისტორიულ თარიღად უნდა გადაქცეულიყო.

იმ დროისათვის მე სამხრეთ ამერიკაში ვიყავი ვიზიტით; ცნობა კონსტანტინე ჩერნენკოს გარდაცვალების შესახებ 10 მარტს წამომეწია მონტევიდეოში. ამ მიზეზით ვიზიტის შეწყვეტა მიზანშეუწონლად მიმაჩნდა. ჩემი მასპინძლები ურუგვაიში და ბრაზილიაში, სადაც ამის შემდეგ უნდა ჩავსულიყავი, ჩემს ასეთ ნაბიჯს უთუოდ შეურაცხყოფად მიიღებდნენ და სამართლიანადაც. დამეთანხმა ჰელმუთ კოლიც, რომელსაც ტელეფონით ვესაუბრე. აქედან გამომდინარე, მე განვაგრძე ჩემი ვიზიტი და მხოლოდ 17 მარტს დავბრუნდი ბონში.

ამასობაში ფედერალური კანცლერი სამგლოვიარო ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში გაფრენილიყო. „დაკრძალვის დიპლომატია", რომელიც ბრეჟნევის სიკვდილით დაიწყო, ჯერ ანდროპოვის, ახლა კი ჩერნენკოს დასაფლავებით გაგრძელდა. ის ისევე სასარგებლო იყო, როგორც აუცილებელი. ასე და ამგვარად, ფედერალურ კანცლერს შესაძლებლობა ეძლეოდა უკვე 1985 წლის 14 მარტს საბჭოთა კავშირის ახალი პირველი პირი გაეცნო. ამავე დროს იგი შეხვდა გდრ-ის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ერიხ ჰონეკერს. საქმეს ესეც წაადგებოდა: შეხვედრა სამგლოვიარო ცერემონიალის შემდეგ საშუალებას იძლეოდა ყოველგვარი პომპეზურობისა და სტატუსთან დაკავშირებული პრობლემატიკის გარეშე ისედაც რთული გერმანულ-გერმანული ურთიერთობა უმაღლეს დონეზე პირადი კონტაქტის ვითარებაში განხილულიყო. ამას მხოლოდ დადებითი შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა და მართლაც, ამ შუხვედრამ არსებითად წარმატებით ჩაიარა. გერმანულ-გერმანულმა ურთიერთობებმა ახალი იმპულსი მიიღო, რამაც არა მხოლოდ გდრ-ში მცხოვრებ ადამიანებს, არამედ ერის ერთობასა და ევროპაში სტაბილურობასაც სიკეთე მოუტანა.

ასეთი აზრის ვიყავი მაშინ და ასე ვფიქრობ ახლაც. ყველა მცდელობა გერმანულ-გერმანული ურთიერთობის გასაუმჯობესებლად პოლიტიკურად სწორი იყო და ადამიანთა ინტერესებიდან გამომ-

დინარეობდა. საკითხი, გერმანულ-გერმანული ურთიერთობები უფრო დაამძიმებდა და ხელს შეუშლიდა დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობას თუ სარგებლობას მოუტანდა მას — პრობლემათა მთელ კომპლექსზე ახდენდა გავლენას.

ერთობლივი პასუხისმგებლობის ცნებას, დამკვიდრებულს გიოტინგენელი ისტორიკოსის ფონ ტადენის მიერ, მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა როდი აქვს. ის გავლენას ახდენს მომავალზეც, რადგანაც ერთობლივი პასუხისმგებლობა იმავდროულად ერის ერთიანობის განმტკიცებას უწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, არ უნდა მომხდარიყო გერმანულ-გერმანული ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის ჩვენი ძალისხმევის ღვარძლიანი დისკრედიტირება. არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა ისტორია უამისოდ და მასთან დაკავშირებული დიალოგის გარეშე. როგორც დაძაბულობის შენელებასთან დაკავშირებით, ისე აქაც შეიძლება ითქვას, რომ თანამშრომლობას სოციალისტური სისტემის სტაბილიზაცია არ მოუხდენია, პირიქით — მან შექმნა ჩარჩოპირობები იმისათვის, რომ მისი შეცვლა მშვიდობიანი გზით მომხდარიყო.

მე ჯერ კიდევ გენერალურ მდივანთან ჩემი პირველი შეხვედრის მოლოდინში ვიყავი. მას შემდეგ, რაც ჯერ ჰელსინკიში ივლისის ბოლოს ევროთათბირის დასკვნით დოკუმენტზე ხელმოწერის ათი წლის თავზე და შემდეგ კი ხელმეორედ 1985 წლის სექტემბერში ედუარდ შევარდნაძეს შევხვდი, დავიწყე მოსკოვში ჩემი ვიზიტის მომზადება 1986 წლისათვის. ამ ვიზიტს, რომელიც 20-დან 22 ივლისამდე იყო დაგეგმილი, მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი. ბოლოს და ბოლოს მომეცემოდა საშუალება თვითონ გავსაუბრებოდი გორბაჩოვს და თანაც მასთან პირადი შეხვედრით მიღებული შთაბეჭდილება და მისი შეხედულებები იმ გამოსვლებისა და განცხადებებისთვის შემედარებინა, რომელთაც უკვე ვიცნობდი. საფუძვლიანად ვემზადებოდი საამისოდ. საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ექსპერტებთან საუბრებში ახალი ხელმძღვანელობის პოლიტიკის ყველა ასპექტი გაანალიზდა.

ამას გარდა ხშირად ვჯდებოდი სასაუბროდ ოტო ვოლფ ფონ ამერონგენთან და დოქტორ ქრისტიანსთან ერთად. ოტო ვოლფს შესანიშნავი კონტაქტები ჰქონდა მოსკოვში, ფლობდა ადამიანთა

ცნობის არაჩვეულებრივ უნარს და ძალზე საღად მსჯელობდა საბჭოთა კავშირში შექმნილ ეკონომიურ მდგომარეობაზე. როგორც გერმანიის ეკონომიკის აღმოსავლეთის კომისიის თავმჯდომარე, ის ჩვენს საგარეო პოლიტიკას ღირსეულად უჭერდა მხარს. მისი დამოუკიდებლობა ისევე, როგორც მისი აბსოლუტური ლიალურობა ფედერალური მთავრობის პოლიტიკის მიმართ — იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის შეძლებისდაგვარად ამ პოლიტიკას არ ეთანხმებოდა, — ყოველთვის სამაგალითო გახლდათ. რამდენიმე დღის შემდეგ შევხვდი დოქტორ ქრისტიანსს „დოიჩე ბანკიდან", გამოცდილ ბანკირს აღმოსავლეთთან ფინანსური ურთიერთობების სფეროში, საბჭოთა კავშირის შესანიშნავ მცოდნეს, რომელიც ყველგან და ყოველთვის ფედერალური მთავრობის პოზიციის მტკიცე დამცველად გვეულინებოდა.

უცხოელ სტუმრებთან საუბრებშიც, რომლებიც ისედაც ჩამოდიოდნენ ბონში, ვცდილობდი შეძლებისდაგვარად მეტი შემეტყო გორბაჩოვისა და მისი პოლიტიკის შესახებ — თუნდაც უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ვარკონისგან, გაეროს გენერალური მდივნის პერეს დე კუელიარისგან და ეგვიპტის პრეზიდენტ მუბარაქისაგან, რომელიც მე კარგა ხანია დამიმეგობრდა. მას მერე, რაც მან საბჭოთა კავშირში სამხედრო მფრინავის განათლება მიიღო, იგი განსაკუთრებული ინტერესით და საქმის ცოდნით აკვირდებოდა მოვლენების განვითარებას მოსკოვში. ამასთან ის ფლობდა ფუნდამენტურ ცოდნას და სანდო დასკვნებს აკეთებდა. ყველა მოსაუბრე მსგავს სურათს მიხატავდა: გორბაჩოვი, სულ ცოტა, იყო ადამიანი, რომელსაც ახალი იდეები ჰქონდა. ამას გარდა ჩემი მოსკოვში გამგზავრების წინ მივიღე საბჭოთა კავშირის ელჩი კვიცინსკი, ბრიტანეთის ელჩი ბიულარდი, ამერიკელი ბიზნესმენი დობინსი, ისრაელის ელჩი ბენ-არი, ასევე სტრატეგიული ბირთვული იარაღის შემცირების თაობაზე მოლაპარაკებათა ამერიკელი შუამავალი, ელჩი რონ ლიმენი.

მე უნდა შემეტყო, თუ როგორ აფასებდა გდრ-ის ხელმძღვანელობა მოსკოვის ახალ პოლიტიკას. აღმოსავლეთ ბერლინში ჩემი წარმომადგენლობის საშუალებით დავამყარე კონტაქტები პროფესორ რაინჰოლდთან. რაინჰოლდი უძღვებოდა საუბრებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან და ხანდახან აშუქებდა სა-

გარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ თემებს დასავლეთის მედიაში; მე ის ამ საქმისათვის შესაფერის კაცად მეჩვენებოდა. ვინაიდან მას არანაირი სახელმწიფოებრივი ფუნქციები არ ეკისრებოდა, ვვარაუდობდი, რომ მისი შეხვედრა ჩემთან, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრთან, არც გაუგებრობას გამოიწვევდა და არც ბოროტად იქნებოდა გამოყენებული. პროფესორმა რაინჰოლდმა შემატყობინა, რომ ის სიამოვნებით ჩამოვიდოდა ბონში; და ჩვენ მეტად ნაყოფიერი საუბარი გვქონდა ვენუსბერგზე მდებარე საგარეო უწყების სასტუმრო სახლში. შემექმნა შთაბეჭდილება, რომ საიმდროოდ აღმოსავლეთ ბერლინისათვის გორბაჩოვის დაძაბულობის შენელების პოლიტიკას გარკვეული კმაყოფილების მოგვრა შეეძლო. ამ განწყობილებას მე უფრო ვაძლიერებდი, როცა ჩვენი შემდგომი შეხვედრების დროს რაინჰოლდს ჩვენს პოლიტიკას განვუმარტავდი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის პრეზიდენტ მიტერანის შეფასებას. ის 1986 წლის 7-დან 10 ივნისამდე იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში და გორბაჩოვისეულ წინადადებებს განიარაღების შესახებ „ჭეშმარიტად არაჩვეულებრივი" უწოდა. ეტყობა, ამასთან დიდი როლი ითამაშა შეთანხმებამ სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის თაობაზე და პრეზიდენტ რეიგანის სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამამ.

ამიტომაც 18 ივლისს გავფრინდი პარიზში, მას შემდეგ, რაც როლან დიუმამ პრეზიდენტთან შეხვედრა გამიხერხა. ჩასვლისთანავე ელისეს სასახლისკენ გავემართე. მიტერანმა დაწვრილებით ამიწერა საუბრები გორბაჩოვთან, რაც თურმე საათობით გრძელდებოდა. ჯამში თითქმის სამი დღე დავყავითო ერთად. მისი სიტყვით, გორბაჩოვი სრულიად ახალი ტიპის საბჭოთა ხელმძღვანელი ჩანდა, უფრო დასავლეთის უმაღლესი პოლიტიკური ფიგურების მსგავსი: ეს ითქმოდა მის თავის დაჭერაზეც და საუბრის წარმართვის მანერაზეც. ახალი გენერალური მდივანი შეერთებულ შტატებს განიხილავს, როგორც მის უმთავრეს პარტნიორს დასავლეთში, მაგრამ ურთიერთგაგების მიღწევას ვაშინგტონთან ევროპელების, უპირატესად კი საფრანგეთის მეშვეობით ცდილობს, ალბათ იმ მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ევროპაში თამაშობსო. ამავე დროს — გვაფრთხილებდა მიტერანი — არც ის უნდა გამოგვერიცხა, რომ გორბაჩოვი შეეცდებოდა წარსულში გერმანია-

საფრანგეთის დაპირისპირებიდან დღეისთვისაც ენახა სარგებელი. ამიტომაც მე აქცენტი ჩვენს თვისებრივად ახლებურ ურთიერთობაზე გავაკეთეო. მას ექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მოსკოვურ ხელმძღვანელობაში ახალი ორიენტაცია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიმართ თავისებური დიალექტიკით იყო ნასაზრდოები: ერთის მხრივ მათ თითქოს ბონი იზიდავდათ, მეორეს მხრივ კი ფედერაციული გერმანია შეერთებულ შტატებზე მჭიდროდ მიბმულ ქვეყნად წარმოედგინათ, გერმანია-გერმანიის ურთიერთობის პრობლემატიკაზე რომ აღარაფერი ვთქვათო. ალბათ შეიძლებოდა ასეთი დამოკიდებულებისთვის ერთგვარი სიძულვილნარევი სიყვარული გვეწოდებინაო.

მიტერანის სიტყვით, გორბაჩოვისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ეგრეთ წოდებულ „ვარსკვლავური ომების" საკითხს — ალბათ ამის გამოც არის საფრანგეთი მისთვის ასეთი მიმზიდველიო. თუ ამ პუნქტში კომპრომისს ვერ გამოძებნიდნენ, — ფიქრობდა მიტერანი, — მაშინ ყველაფერი ჩაიფუშებოდა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეგონოს ვინმეს, რომ ხვალ საბჭოთა კავშირი დაიშლება — ერთ მშვენიერ დღეს კი, ბატონო, მაგრამ არა ხვალ. უსაუბრიათ საშუალო სიშორის რაკეტებზეც და, რა თქმა უნდა, საფრანგეთის სტრატეგიულ სისტემებზეც, რომლის დროსაც მიტერანს ცნობილი ფრანგული პოზიცია განუმარტავს. საშუალო სიშორის რაკეტებთან დაკავშირებით გორბაჩოვს ევროპისთვის პრიორიტეტულად ნულოვანი ვარიანტი გამოუცხადებია, სადაც როგორც პერშინგ 2, ისე SS-20 უნდა შესულიყო. სხვათა შორის, — მითხრა მიტერანმა, — გორბაჩოვი გულახდილი ჩანდა და არც საბჭოთა კავშირის საშინაო პრობლემებზე დაუხუჭავს თვალი. გარდა ამისა თავის თავს ისევ და ისევ ევროპელად მოიხსენიებდაო.

იმ ფაქტს, რომ გორბაჩოვთან პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობების მნიშვნელობას, მე დაუფარავად მივესალმე. საინტერესო მოსაზრებები გამოუთქვამს მიტერანს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის თაობაზეც. ლენინს, სტალინს, ბრეჟნევს, ასევე სხვა საბჭოთა ლიდერებს ყოველთვის ძალიან გამახვილებული ჰქონდათ თვალი გერმანიაზე, — ვთქვი მე. თუ გორბაჩოვი ამას მართლა სხვა თვალით უყურებს, მაშინ ის ძალიან უნდა განსხვავდებოდეს მისი ყველა წინამორბედისაგან, თუმცა მე

ეს საეჭვო მგონია-მეთქი.

პარიზი კმაყოფილმა დავტოვე. ფრანსუა მიტერანთან საუბრის წყალობით გორბაჩოვის პორტრეტი უფრო პლასტიკური გახდა. თუნდაც საბჭოებს საფრანგეთთან ურთიერთობები პრიორიტეტულად მიეჩნიათ, ჩემი თვალთახედვით ერთი რამ ნათელი იყო: ახალი გენერალური მდივანი მიტერანში უფრო მოკავშირეს ხედავდა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის წინააღმდეგ. გორბაჩოვი რომ ყურადღებით ადევნებდა თვალს გერმანიას, ამაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული. ურთიერთობას ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის მოსკოვისათვის კვლავინდებურად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ისევე როგორც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, როგორც ნატოსა და ევროგაერთიანების მნიშვნელოვან წევრს. თუ ჩვენ აშშ-ს მჭიდრო პარტნიორად მივაჩნდით, — როგორც მიტერანმა მიანიშნა, — ეს მხოლოდ სასურველი უნდა ყოფილიყო ჩვენთვის: ეს უფრო ამაღლებდა ჩვენს მნიშვნელობას.

იმის შემდეგ, რაც მე პარიზში მოვისმინე, მიხაროდა, რომ შეთანხმებული ვიყავი საგარეო საქმეთა მინისტრ შულცთან, მოსკოვიდან დაბრუნებისთანავე რამდენიმე საათით ვაშინგტონში გავფრენილიყავი, რათა პირადად გამეზიარებინა მისთვის ჩემი შთაბეჭდილებები. განსაკუთრებით გამამხნევა ამასთან მიტერანის შეტყობინებამ, რომ გორბაჩოვს ევროპაში პერშინგ 2-სა და SS-20-თან დაკავშირებით ნულოვანი გადაწყვეტილების შესაძლებლობაზე ულაპარაკია: არსებითად ეს იყო ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების მიზანიც. თუმცა კი ჩვენ, SS-20-ის წვდომის სიშორისა და მობილურობიდან გამომდინარე, ნულოვან გადაწყვეტილებას მსოფლიო მასშტაბით მოვითხოვდით და არა მხოლოდ ევროპის ფარგლებში. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ აქ კონცეპტუალური ხასიათის გარღვევის შესაძლებლობა იკვეთებოდა.

მოსკოვში ჩემი გამგზავრების წინ ფედერალურ პრეზიდენტსა *და ფედერალურ კანცლერს გამოწვლილვით მოვეთათბირე. იმისათვის, რათა ჩემი გაფრენის წინ, 16 ივლისს საკოალიციო საუბრებში, კანონიერების სხდომაში და საგარეო უწყების შინაური საქმეებისადმი მიძღვნილი თათბირზე მიმეღო მონაწილეობა და ამასთან დრო დამრჩენოდა კანცლერისთან* საფუძვლიანი საუბრისათვის, მე შევწ-

ყვიტე ჩვენი საზაფხულო შვებულება ბერხტესგადენში. საღამოს ისევ უკან გამოვემგზავრე. მაგრამ 18 ივლისს კვლავ მომიხდა შვებულების შეწყვეტა: შედგა ვიზიტი პარიზში და საუბრები დასავლელ ელჩებთან ბონში, გარდა ამისა შეეხვედი ფედერალური კაცელარიის აპარატის უფროსს შოიბლეს. ერთი დღის შესვენების შემდეგ, 20 ივლისს, კვირადილას კვლავ ბონში ჩამოვედი. აეროპორტში შედგა ბოლო შეხვედრა ამერიკის საგანგებო ელჩთან განიარაღების საკითხებში პოლ ნიცთან, რომელმაც მე მის მიერ წარმოებული მოლაპარაკებების სფეროდან ბოლო ინფორმაციები შემატყობინა. 12 საათსა და 50 წუთზე, როგორც იქნა, ჩემმა თვითმფრინავმა გეზი მოსკოვისკენ აიღო.

კვირას, გვიან ნაშუადღევს აეროპორტში დაშვების შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრმა შევარდნაძემ მიმიღო. როცა ჩვენ აეროპორტის მისაღები დარბაზიდან გამოვედით, გერმანელი ტურისტების მოზრდილ ჯგუფს შევეფეთეთ, რომლებიც აპლოდისმენტებით შეგვხვდნენ და მეგობრულად ხელი დაგვიქნიეს. ამ სპონტანურმა რეაქციამ გვიჩვენა, რა ძლიერ სურდათ გერმანელებს ჩვენს ორივე სახელმწიფოს შორის ურთიერთგაგება და თანხმობა ყოფილიყო.

მეორე დილისათვის გათვალისწინებული იყო შეხვედრა შევარდნაძესთან. დაგეგმილი საუბრების თანამიმდევრობა — ჯერ შევარდნაძესთან, მერე კი პირველ პირთან — გენერალურ მდივანთან — სრულიად შეესატყვისებოდა კლასიკურ პროტოკოლს. მაგრამ ახლა სხვანაირად უნდა მომხდარიყო. მე მთხოვეს ჯერ კრემლში გორბაჩოვთან მივსულიყავი, სადაც მის გარდა საგარეო საქმეთა მინისტრი, საბჭოთა კავშირის ელჩი გერმანიაში კვიცინსკი და გენერალური მდივნის პირადი მრჩეველი ჩერნიაევი გველოდებოდნენ. ჩვენს შორის იყვნენ ელჩი კასტლი და პოლიტიკური დირექტორი, ჩემი უახლოესი თანამშრომელი გეროლდ ფონ ბრაუნმიული.

გორბაჩოვმა შეხვედრის გახსნისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩემ ვიზიტს ჰქონდა მნიშვნელობა, რომელიც სცილდებოდა მოვლენათა ჩვეულებრივი მდინარების ჩარჩოებს, რადგანაც ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, გვსურდა ორ გავლენიან სახელმწიფოს შორის არსებული ბილატერალური ურთიერთობანი გაგვევითარებინა. შეიქმნა ისეთი გლობალური ვითარება, რაც განსაკუთრებით მასშტაბურ დიალოგსა და თანამშრომლობას მოითხოვსო. აქედან გამომდინარე, ის

მე მთავაზობდა აზრთა გულახდილ ურთიერთგაზიარებას; დიპლომატიურად საგარეო საქმეთა მინისტრ შევარდნაძესთან შეგიძლია ისაუბროო. ეს შენიშვნა ადასტურებდა, რომ მას უკვე სხვა სახელმწიფო, მთავრობისა და პარტიულ შეფთა ჩვევა გადაეღო, რათა თავი გარკვეულწილად საგარეო პოლიტიკის კერკეტი კაკლის განმგებლის როლში წარმოეჩინა. მის ამ სიტყვებს მე შემწყნარებლური ღიმილით ვუპასუხე. ამასთან კოლეგა შევარდნაძეს თავაზიანად დავუკარი თავი ყოველგვარი ეჭვის გასაფანტავად. საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის სოლიდარობა იგრძნობოდა, სისტემათა საზღვრებმიღმაც კი.

გორბაჩოვმა დაიწყო შეკითხვით — როგორი იყო დღევანდელი ფედერალური მთავრობის ხედვა თანამედროვე მსოფლიოსი, რა საზრუნავი და პრობლემები აწუხებდა მას. გულახდილად რომ ვთქვა, საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის თქვენი პოლიტიკა ყოველთვის გასაგები როდია; უპირველესად, ჩვენი აზრით, არსებობს შეუსაბამობა სამშვიდობო განცხადებებსა და პრაქტიკულ ქმედებებს შორის, და თუ ეს მცდარი შეფასებაა, გთხოვთ უკეთესად გამათვითცნობიეროთ ამ მხრივ.

ამას სიამოვნებით შეეცდები-მეთქი, მივუგე და განვაგრძე: საჭიროებისდა გამო იმაზეც უნდა ვილაპარაკოთ, რაც ჩვენ გვაკავშირებს, ნუ დავკმაყოფილდებით იმაზე საუბრით, რაც გვაშორებს და რაც უნდა დაიძლიოს. ამ ვიზიტს ჩვენც მნიშვნელოვან მოვლენად მივიჩნევთ, რაზედაც თუნდაც მხოლოდ ის ფაქტი მიუთითებს, რომ მე თან ჩამოვიტანე ფედერალური კანცლერის წერილი-მეთქი. მოკლედ მოვახსენე მისი შინაარსი და გადავეცი ტექსტის რუსული თარგმანი. გორბაჩოვმა თვალი გადაავლო მას, მადლობა გადამიხადა და თქვა, რომ წერილში ყველა სადღეისოდ აქტუალურ საკითხზე იყო მსჯელობა. მე მას ვუპასუხებო.

აღვნიშნე რა პირადი საუბრების მნიშვნელობა, რასაც გენერალური მდივანიც აშკარად უპირატესობას ანიჭებდა, შევთავაზე, რაც შეიძლება ჩქარა შემდგარიყო პირისპირ შეხვედრა გენერალურ მდივანსა და ფედერალურ კანცლერს შორის. კიდევ ერთხელ მინდა დავადასტურო ფედერალური კანცლერის მიერ თქვენი მიწვევა-მეთქი.

შემდეგ სიტყვა ჩამოვაგდე საერთაშორისო მდგომარეობაზე.

სხვა საკითხებთან ერთად, რაც ჩვენ უნდა გვაკავშირებდეს, — ვთქვი მე, — არის გეოგრაფიული მდგომარეობა — გორბაჩოვის სიტყვით — ევროპული სახლი. სწორედ ურთიერთობებს ჩვენს ხალხებს შორის შეუძლია ეფექტური ზეგავლენა მოახდინოს ამ სახლში არსებულ ვითარებაზე. სულ ცოტა ხნის წინათ საამისოდ არსებობდა როგორც ცუდი, ისე კარგი მაგალითები; ერთის მხრივ, მეორე მსოფლიო ომი, ხოლო მეორეს მხრივ, მოსკოვის ხელშეკრულება, რომელიც საკვანძო დოკუმენტად შეიძლებოდა შეფასებულიყო, — ვთქვი და განვაგრძე: და მაინც, ამ ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო ჰელსინკის დასკვნითი დოკუმენტის შექმნას, რომელიც მისი ხელმოწერიდან 10 წლის შემდეგ 1985 წლის აგვისტოში ყველა სახელმწიფოს მიერ, ვინც ამ აქტში მონაწილეობა მიიღო, კიდევ ერთხელ შეფასდა როგორც გზა, მავალი სწორი მიმართულებით. მაგრამ რეალისტები უნდა ვიყოთ: უდავოა, რომ ბევრი იმედი თუ მოლოდინი სამოცდაათიანი წლებისა არ გამართლდა, ასე რომ, ახლა მოსაფიქრებელია, როგორ შეიძლება პოზიტიური სამომავლო პერსპექტივები დაისახოს. დასკვნითი დოკუმენტის საკვანძო ცნებად რჩება თანამშრომლობის ნება, რაც ისევე უნდა მიესადაგოს პოლიტიკას, ეკონომიკას, კულტურასა და ჰუმანიტარულ სფეროს, როგორც ადამიანთა უფლებების საკითხს-მეთქი.

იმ სფეროებად, სადაც ნაბიჯები წინ იყო გადასადგმელი, შეიარაღებაზე კონტროლი და განიარაღება უნდა მიჩნეულიყო. საჭირო ხდებოდა კოოპერაციული სტრუქტურების განვითარება, რადგანაც, ბოლოს და ბოლოს, საქმე ეხებოდა ევროპული სახლის იმგვარად შენებას, რომ სახელმწიფოებს უსაფრთხოების გარანტიები მიეღოთ და ხალხებს შიშის გარეშე ეცხოვრათ. მაშასადამე, ლაპარაკია ევროპაში ისეთი სამშვიდობო წესრიგის დამყარებაზე, როგორსაც მოითხოვს დასავლური ალიანსი, ნატო, ჰარმელის მოხსენება და როგორც ეს, ამავე დროს, ჰელსინკის დასკვნით დოკუმენტში არისმეთქი ასახული. ჩვენ, გერმანელებმა, — ვარწმუნებდი მე, — ჩვენი ისტორიული გაკვეთილიდან საჭირო დასკვნები გამოვიტანეთ: როგორც ევროპის შუაგულში მცხოვრები დიდი ხალხი, დაინტერესებულნი უნდა ვიყოთ ჩვენს მეზობლებთან — დასავლეთითაც და აღმოსავლეთითაც — კარგი ურთიერთობები გვქონდეს. ამას გარდა — გამახსენდა რა მიტერანის მონაყოლი — ხაზგასმით აღვნიშნე, რომ

საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობების განმტკიცება, ეგრეთ წოდებული „მემკვიდრეობითი მტრობის“ დაძლევა არამარტო გერმანელებისა და ფრანგებისთვის და ასევე ევროგაერთიანების ჩამოყალიბებისთვის, არამედ მთელი ევროპისათვის იქნებოდა ხელსაყრელი.

ამასთან ერთად მე კუთვნილი მივაგე რეალისტურ შეხედულებებს ევროგაერთიანების არსებობასა და მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, რომელიც გორბაჩოვმა ვარშავაში გამოთქვა. უპირველესად დასავლურ ალიანსში, მაგრამ ასევე ევროგაერთიანების ფარგლებშიც, — განვმარტე მკაფიოდ, — ჩვენ დასავლურ-აღმოსავლური ურთიერთობების გაუმჯობესების მიმართულებით ვმუშაობდით. აღმოსავლური ხელშეკრულებები, ევროთათბირის დასკვნითი დოკუმენტი, საზღვრების დაურღვევლობის დადასტურება — ყველაფერი ეს არის აღმოსავლელ მეზობლებთან კონსტრუქციული ურთიერთობების ჩამოყალიბების საქმეში შეტანილი წვლილი, მით უფრო, რომ ევროპას ჩვენ არ მოვიაზრებთ როგორც მხოლოდ ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოების კავშირს, არამედ მთელ კონტინენტს ამ ცნებაში ვაერთიანებთ-მეთქი. ბოლოს და ბოლოს ევროპული სახლის ყველა მცხოვრებს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი ერთ ბედქვეშ არიან და მხოლოდ კოოპერაცია შეიძლება იყოს-მეთქი მათი თანაცხოვრების გარანტი.

გენერალური მდივნის რეპლიკაზე, რომ მზად იყო ამ ფუნდამენტური მოსაზრებებისთვის დღესვე მოეწერა ხელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ხედავდა გერმანიის მხრიდან ძალისხმევას ამ მიმართულებით, მე ვუპასუხე, რომ მცდარი უნდა ყოფილიყო ჩვენი პოლიტიკის ამგვარი შეფასება. ეტყობა, ხანდახან ძნელი ხდება გაიგო სხვა ქვეყნის პოლიტიკა, ვიდრე მისი აზროვნების წესის ძირეულ პრინციპებს არ გაიცნობიერებ. ასე მაგალითად, ჩვენი ძალისხმევა ევროთათბირის პროცესის დასაწყებად, მის გასაგრძელებლად და გამოსაცოცხლებლად მართებულად უნდა შეფასდეს: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აშკარად გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ საქმეში-მეთქი და დავუმატე: ჩემი რწმენით, გაღრმავებულ გერმანულ-საბჭოურ აზრთა ურთიერთგაზიარებას არამარტო ბილატერალური ურთიერთობების გაუმჯობესება უნდა მოჰყვეს, არამედ ამან ორ ბლოკს შორის ურთიერთობებიც უნდა გააადვილოს: ორივე

სახელმწიფო — როგორც გერმანია, ისე საბჭოთა კავშირი — კონ-ვენციური შეიარაღების სფეროში განსაკუთრებით ძლიერნი არიან. ჩვენთვის დასავლური ბლოკი დღესდღეობით ჩვენი უსაფრთხოების აუცილებელ საყრდენად რჩება. სწორედ ამიტომ ჩვენ შეგვეძლო განიარაღებისა და ქიმიური იარაღის თაობაზე მოლაპარაკებებისთვის მნიშვნელოვანი იმპულსი მიგვენიჭებინა. საჭირო იქნებოდა ასევე პროგრესის მიღწევა მოლაპარაკებებში ბირთვული საშუალო რადიუსის რაკეტების თაობაზეც, რომელიც ჩვენ ბევრ თავსატეხს გვიჩენს; კვლავაც ვეცადეთ, მიგვეღწია იმისათვის, რომ შესრულებულიყო სტრატეგიული იარაღის შეზღუდვისა და ანტიბალისტიკური რაკეტების შესახებ დადებული შეთანხმებები. ორ ზესახელმწიფოს შორის მოლაპარაკებების დასაწყებად კარგ საფუძველს ქმნის-მეთქი 1985 წლის 8 იანვრის საბჭოურ-ამერიკული განცხადება, 1985 წლის ნოემბერში კიდევ ერთხელ დადასტურებული ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრაზე. ამ განცხადებაში საგარეო საქმეთა მინისტრმა გრომიკომ და სახელმწიფო მდივანმა შულცმა ყველას მოუწოდეს, ბოლო მოეღოთ გამალებული შეიარაღებისთვის დედამიწაზე და ხელი შეეშალათ მათი განლაგებისთვის კოსმოსში.

საგარეო საქმეთა მინისტრების შულცისა და გრომიკოს დეკლარაციას ბოლო უნდა მოეღო აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის აზრთა სხვადასხვაობისთვის ანტიბალისტიკური რაკეტების თაობაზე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ან, სულ ცოტა, შეერბილებინა მაინც იგი. ამ ხელშეკრულების ახალი განმარტება აშშ-ის მიერ და მისი დაკავშირება სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივასთან არც დასავლურ ალიანსში ყოფილა მიღებული წინააღმდეგობის გარეშე; ამერიკა-საბჭოთა კავშირის 1985 წლის 8 იანვრის დეკლარაცია კი ყველასთვის მისაღები იყო.

ბოლოს გორბაჩოვმა, ეტყობა, მისთვის ცენტრალურ საკითხზე ჩამოაგდო სიტყვა: ვერ გაქარწყლებულიყო შთაბეჭდილება, რომ ჩვენი პოლიტიკა წინააღმდეგობრივი იყო. ფედერალური მთავრობა აქტიურად უჭერდა მხარს რაკეტების განლაგებას. უფრო მეტიც: ის ცდილობდა, საბჭოთა კავშირისთვის რაღაც-რაღაცები ეკარნახა და ულტიმატუმები წაეყენებინა. მოლაპარაკებების პროცესი და წარმოდგენილი წინადადებები კი გვიჩვენებდნენ, რომ იძებნებოდა პრობლემის გადაჭრის გზები. თუმცა მას ესმოდა, რომ ამერიკის

შეერთებული შტატები დაინტერესებული იყო რაკეტების ევროპაში განლაგებით, მაგრამ გერმანიის დაჟინება ამასთან დაკავშირებით მისთვის გაუგებარი რჩებოდა.

ეს ძველებური და ამის გამო ჩემთვის კარგად ნაცნობი არგუმენტაცია გახლდათ. გენერალურმა მდივანმა, — შევეპასუხე მე, — მოგვიწოდა, წარსულისთვის თავი დაგვენებებინა, მაგრამ მან მაინც აქცია საშუალო რადიუსის რაკეტების განლაგების თაობაზე ჩვენი გადაწყვეტილება დისკუსიის საგნად. ყოფილი ფედერალური კანცლერი შმიდტი და მე ყოველთვის მოვუწოდებდით საბჭოთა კავშირს, შეეწყვიტა SS-20-ით არმიის შეიარაღება. მას, გორბაჩოვს, შეეძლო დაეჯერებინა, როცა ვეუბნებოდი, რომ შმიდტისა და ჩემთვის ჩვენი ერთობლივი მმართველობის პერიოდში ერთ-ერთი უძნელესი სწორედ გამალებული შეიარაღების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება იყო. ულტიმატუმებს, — ხაზგასმით წარმოვთქვი, — ჩვენ არ წამოვაყენებდით, მაგრამ იმას კი შევეცდებოდით, გაეგოთ ჩვენი მდგომარეობა, მით უმეტეს, რომ ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება, პასუხისმგებლობის გრძნობით და ეფექტურად მოგვეხდინა რეაგირება საბჭოთა კავშირის SS-20 ტიპის რაკეტებით შეიარაღებაზე, სათუო არასოდეს გაგვიხდია. გორბაჩოვის რეპლიკის შემდეგ, რომ SS-20 სხვა არაფერი იყო, თუ არა მოდერნიზებული SS-4 და SS-5, მე განვაგრძე საუბარი და ვთქვი, რომ მისმა ერთ-ერთმა წინამორბედმა, კერძოდ, ბრეჟნევმა, მითხრა, SS-20 აშშ-ზე დამიზნებული არ იქნებაო. სწორედ ეს არის-მეთქი პრობლემა, — ვუპასუხე. „ჩვენ, გერმანელები, ევროპაში ვცხოვრობთ“.

რაც შეეხება თქვენს შემოდავებას SS-20-თან დაკავშირებით, ძველი თაობის რაკეტებთან შედარებით ის თვისებრივად ახალი იარაღია-მეთქი. ეს იარაღი იმ დროის რელიქტია, როცა ამერიკის შეერთებული შტატები სტრატეგიულ უპირატესობას ფლობდა; თუმცაღა ამასობაში ამ სფეროში კარგა ხანია პარიტეტია მიღწეული, ხელშეკრულება სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის თაობაზე წონასწორობას ისახავს-მეთქი მიზნად. ახლა უნდა მოიძებნოს საშუალო სიშორის რაკეტების პრობლემის გადაჭრის გზები. ის, რაც გენერალურმა მდივანმა ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის მიზანთან დაკავშირებით თქვა, ამას ჩვენ დავეთანხმებოდით, მით უფრო, რომ

ამ მოსაზრების ლოგიკაში საშუალო რადიუსის ბირთვული რაკეტების საყოველთაო ლიკვიდაციაც იგულისხმება. ჩვენ აუცილებლად მხედველობაში მივიღებთ, რასაც საბჭოთა ხელმძღვანელობა თავისი ქვეყნის აღმოსავლეთით წარმოქმნილი პრობლემების თაობაზე ამბობს. რადგანაც ჩვენ რეალისტები უნდა ვყოფილიყავით, ამიტომაც ფედერალურმა კანცლერმა კომპრომისების შესაძლებლობაზეც ჩამოაგდო სიტყვა, თუკი ისინი მხოლოდ ევროპაზე არ გავრცელდებოდა. სტრატეგიულ შეიარაღებასთან დაკავშირებითაც საბჭოთა კავშირი ამ საკითხის თანდათანობით გადაწყვეტის მომხრედ გამოდიოდა. ამასთან მიმართებაში მე მხოლოდ ის შემეძლო მეთქვა, რომ შეიარაღების ყოველგვარ შემცირებას ჩვენ წინ გადადგმულ ნაბიჯად მივიჩნევდით — რაც უფრო შორს წავიდოდით ამ მიმართულებით, მით უკეთესი. რადგანაც ჩვენს უარს შუა ევროპაში ქიმიური შეიარაღებისგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ გორბაჩოვის კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვა, მე აღენიშნე, რომ მოსკოვს კარგი საბაბი ექნებოდა, ამ იარაღის მსოფლიო მასშტაბით აკრძალვის თაობაზე მოლაპარაკებები გაემართა ჩვენთან: ვერიფიკაციის ისედაც საკმაოდ ძნელი საკითხი კიდევ უფრო გართულდება, თუ შეთანხმებები მხოლოდ შეზღუდელ სივრცეზე გავრცელდება-მეთქი.

გორბაჩოვმა განაგრძო: საკითხავია, კვლავაც უჭერს თუ არა გერმანია მხარს მოსკოვის ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ მიზნებს. აღმოსავლურ ხელშეკრულებებთან მიმართებაშიც არსებობს ფრიად პრობლემატური ინტერპრეტაციებიო, თქვა მან და როგორც ჩანდა, ოდერ-ნაისეს საზღვრის გარშემო წამოწყებულ დებატებს გულისხმობდა. ხელშეკრულებების მიმართ ჩვენი დამოკიდებულება უცვლელი რჩება, — იყო ჩემი ლაპიდარული პასუხი.

თემის განხილვის დასასრულს გორბაჩოვმა დაგვარწმუნა, რომ მოსკოვი არ ცდილობდა ჩვენსა და ამერიკას შორის განხეთქილება ჩამოეგდო; მისი თვალთახედვით ასეთი რამ სერიოზულ პოლიტიკურ ნაბიჯად არ ჩაითვლებოდა. ფედერაციული რესპუბლიკა ისეთ ვითარებაში არ უნდა აღმოჩნდეს, რომ თავი საფრთხეში იგრძნოსო. მისი თქმით, ეს არც ბონისთვის და არც მოსკოვისთვის მისაღები არ იქნებოდა, მეტ უფრო, რომ ასეთ შემთხვევაში ჩვენ უსაფრთხოების გარანტად მოკავშირეების ძებნას დავიწყებდით. და მაინც სასურველი იქნება, თუ მოსკოვური ხელშეკრულების ძირითად პრინციპებსა

და მასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს სრული სიცხადე მოეფინებოდაო.

ისეთი გრძნობა მაქვს, — განაგრძო გორბაჩოვმა, — თითქოს ჩვენ ზოგიერთი საკითხის განხილვისას წარსულის გავლენას თავს ვერ ვაღწევთო. აშკარა იყო, ის გულისხმობდა ჩვენს გამოცდილებას, ცივი ომის პერიოდში ძველ საბჭოურ პოლიტიკასთან ურთიერთობაში შეძენილს. მან ერთი ანეკდოტი მოგვითხრო: თურმე აღმოაჩინეს ძველ პარტიზანთა ჯგუფი, რომლებიც გერმანელების მიერ ოდესღაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე კვლავ განაგრძობდნენ მატარებლების აფეთქებას, თუმცა ომი უკვე დიდი ხნის დამთავრებული იყო.

„ჩვენ არ ვაფეთქებთ მატარებლებს, ჩვენ ახალ ლიანდაგებს ვაგებთ", — მოვუჭერი მე იმ განზრახვით, რომ საუბრისთვის ახალი მიმართულება მიმეცა. და განვაგრძე: მაგრამ, რაღა თქმა უნდა, საჭიროა არსებობდეს სადგური, სადაც მატარებლები ჩამოდგებოდა. მეორეს მხრივ, რა თქმა უნდა, შეიძლება გზები იმის გამოც ჩაიკეტოს, რომ კარგად არ ესმით მოწინააღმდეგე მხარის, და ვშიშობდი, სწორედ ეს ვითარება არ ამომეკითხა გენერალური მდივნის სიტყვებში. ამიტომაც, თუ საჭირო იქნებოდა, სამგზის დაჟინებით გავიმეორებდი, რომ ამჟამინდელი საუბრები აუცილებელი იყო. თქვენი წარმოდგენები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შესახებ ნამდვილად მცდარ შეფასებებს უნდა ეყრდნობოდეს, — განვაგრძე მე, — და ამიტომაც ისინი მცდარ დასკვნებამდე მიგვიყვანს. ამავე დროს, პირიქით, მე ბევრ პოზიტიურს ვხედავ-მეთქი გენერალური მდივნის მსჯელობაში. ვუთხარი, მე ასე მესმის თქვენი: ყველა სახელმწიფომ — დიდი იქნება ის, საშუალო თუ პატარა — უსაფრთხოების თანაბარი გარანტიები უნდა მიიღოს, ჩვენ კი ჩვენ თავს საშუალო სიდიდის ქვეყნად ვთვლით. მეორე პოზიტიურ პუნქტად უნდა მიგვეჩნია მისი განცხადება იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირი არ აპირებდა განხეთქილება ჩამოეგდო ჩვენსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ჩვენი ალიანსი და თანამშრომლობა აშშ-სთან ისე აუცილებელია, რომ ჩვენ შორის განხეთქილების ჩამოგდების ცდაც კი არარეალურია. სხვათა შორის, ასეთი რამ თვითონ საბჭოთა კავშირის ინტერესების წინააღმდეგადაც იქნებოდა-მეთქი მიმართული.

და მაინც, ნამდვილი ქაოსი წარმოიქმნებოდა, — ჩაურთო სიტყვა გორბაჩოვმა, — თუ ჩვენ შევეცდებოდით, ვინმე ვინმესთვის ჩამოგვეშორებინა. უეჭველია, მისი ეს მოსაზრება მოსკოვისა და აღმოსავლეთ ბერლინის ურთიერთობაზე იყო გათვლილი, რაც, რა თქმა უნდა, დასავლეთის, გერმანიის და ასევე ახალი საბჭოთა ხელმძღვანელობის პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა.

გენერალური მდივნის დებულებას, რომლის თანახმადაც ისტორიის გაკვეთილები გვასწავლის, რომ ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ ითანამშრომლებენ გერმანია და საბჭოთა კავშირი, მე შევაგებე წინადადება, თამამად გადაგვედგა ნაბიჯები დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობების ახალ ფაზაში გადასაყვანად. იმის მაგივრად, რომ პროექტორები იქით მიგვემართა, რაც ჩვენ გვაშორებდა და ათასგვარი მოსაზრებით მეორე მხარის მიერ გამოვლენილი კეთილი ნება არად ჩაგვეგდო, ჯობდა კიდევ უფრო მეტი კონსტრუქციულობის ელემენტი შეგვეტანა ჩვენს ურთიერთობებში. გავიმეორებ: ლაპარაკია ახალი რელსების დაგებაზე. ჩვენ ერთმანეთზე ვართ-მეთქი დამოკიდებულნი.

ჩვენ არა ვართ ზედმეტად მგრძნობიარენი, — დავძინე მე, — ხომ გასაკვირი იქნებოდა, საბჭოთა კავშირი ყველაფერზე დათანხმებულიყო, რასაც ჩვენ ვაკეთებდით. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ სხვადასხვა ბლოკებს მივეკუთვნებით და სხვადასხვა საზოგადოებრივ წყობილებაში ვცხოვრობთ. და მაინც, უსამართლობა იქნებოდა, ჩვენს კეთილ ნებაში ვინმეს ეჭვი შეჰპარვოდა. თუ ამასობაში გენერალური მდივანი, როგორც მან მიგვანიშნა, ჩვენს ძირითად საერთაშორისოპოლიტიკურ მოსაზრებებს გაიზიარებდა, ეს უკვე კარგ საფუძველს შექმნიდა შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად. ჩემი ცხოვრების მრავალი წელი ევროპაში ახალი პოლიტიკის დამკვიდრებას მივუძღვენი და კვლავ მტკიცედ მაქვს-მეთქი გადაწყვეტილი, ამავე გზით ვიარო; ბოლოს და ბოლოს, იმ თაობას მივეკუთვნები, რომელმაც იცის, რა არის ომი. ამას გარდა საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რას ნიშნავს, როცა ერთი ხალხი იძულებულია ორ სახელმწიფოში იცხოვროს-მეთქი, ვთქვი და ამით ხაზი გავუსვი იმას, რომ წარმოშობით გდრ-იდან ვიყავი, რასაც ყოველთვის ვაკეთებდი ჩემს, როგორც დასავლელ, ისე აღმოსავლელ პარტნიორებთან საუბრისას.

ევროპელებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი ევროპელები არიან, — განვაგრძე მე. ასეთია ძირითადი განწყობა ჩვენს ქვეყანაში, რასაც ფედერალური კანცლერიც იზიარებს, რომელიც აქ ჩემს მიერ ნათქვამ ყოველ სიტყვაზე კვერს დამიკრავდა. ეს ეხება იმ სულისკვეთებასაც, რითაც ჩვენ უკვე დადებულ ხელშეკრულებებს ვასრულებთ. მოსკოვის ხელშეკრულება და ევროთათბირის დასკვნითი დოკუმენტი გახლავთ არა წარსული, არამედ წანამძღვარი მომავლისათვის. ეს ფედერალური მთავრობა, — განვაცხადე მე, — არ იარსებებდა, დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი, რომ შეგვეძლო შეთანხმებული პოლიტიკური კურსის გაგრძელება. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა მთავრობას, ოპოზიციასა და სხვადასხვა პარტიებს შორის, უეჭველად არსებობს საერთო აზრი, დაფუძნებული არსებითს საერთო ნიადაგზე: ეს გახლავთ გერმანია-საფრანგეთის თანამშრომლობა, კუთვნილება დასავლეთის ალიანსისა და ევროგაერთიანებისადმი, ისევე როგორც ნება იმისა, რომ გავაგრძელოთ ჩვენი პოლიტიკა აღმოსავლელი მეზობლების მიმართ უკვე დადებული ხელშეკრულებების ბაზაზე და ევროთათბირის ჩარჩოებში.

მაგრამ რას შეიძლება ნიშნავდეს, — მკითხა გენერალურმა მდივანმა, — პრეზიდენტ რეიგანის უკანასკნელ ხანს გამოთქმული მოსაზრება, რომ მიუხედავად იალტისა და პოტსდამის ხელშეკრულებებისა, რომელთა დადებიდან დიდი ხანია გასული, ევროპა უნდა გაერთიანდეს?

ჩვენ, — შევეპასუხე მე, — სავსებით ნათელი დამოკიდებულება გვაქვს უკვე აღიარებული საზღვრების დაურღვევლობასთან დაკავშირებით. მაგრამ მე მაინც ძნელად წარმომიდგენია, გენერალური მდივანი, როცა ის ევროპულ სახლზე ლაპარაკობს, დანაწილებულ სახლს გულისხმობდეს. პრეზიდენტ რეიგანის მიზანი იყო, სიცხადე შეეტანა ამ საკითხში. ჩვენ, გერმანელები — უპირველეს ყოვლისა ჩვენი სახელმწიფოებრივი დაყოფის გამო — ასევე ვფიქრობთ. ამგვარად, გერმანული საკითხი მაგიდაზე დაიდო, გერმანული და ევროპული პოლიტიკის დღის წესრიგში კი ის ყოველთვის იდგა.

გენერალურმა მდივანმა მოგვითხრო ერთი ამბავი, რომელიც მას 1975 წელს ფედერაციულ რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს გადახდა. მაშინ მას ერთ-ერთ ავტოსტრადაზე ფრანკფურტის მახლობლად მანქანაში ბენზინი ჩაუსხამს. ბენზინგასამართი სადგურის

მუშაკმა, რომელიც მიხვდა, რომ ის რუსი იყო, მას სტალინის სიტყვები გაახსენა: „ჰიტლერები მოდიან და მიდიან, გერმანელი ხალხი კი რჩება“. მაშ რატომღა გაყო საბჭოთა კავშირმა გერმანია ორ ნაწილად? — დაინტერესებულა ეს კაცი. გორბაჩოვს მისთვის წლოვანება უკითხავს. 1926 წელს ვარ დაბადებულიო, — იყო პასუხი. მაშინ თქვენ უნდა იცოდეთ, — უთქვამს გორბაჩოვს მისთვის, — რომ ჩერჩილი იყო ის ადამიანი, რომელსაც გერმანიის გაყოფა სურდა. სხვათა შორის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა უშუალოდ გდრ-ის დაარსებამდე შეიქმნა.

მას, გორბაჩოვს, ბედი ჰქონია, რომ ბენზინის ჩამომსხმელი ისტორიკოსი არ ყოფილა, — ჩამეცინა მე, — თორემ სტალინის ციტატას ზუსტად მოიტანდა. აქ საჭირო იყო მნიშვნელოვანი სიტყვების დამატება: „ჰიტლერები მოდიან და მიდიან, მაგრამ გერმანელი ხალხი და გერმანული სახელმწიფო რჩება“. გორბაჩოვი დამეთანხმა. „შეგიძლიათ თქვათ, რომ თქვენ დღეს ერთიანი გერმანული სახელმწიფოს მომხრე ბრძანდებით?“ — ვკითხე მე, და შემდეგ განვაგრძე: „ისტორია გასცემს ამ კითხვაზე პასუხს და *ყველა* გერმანელი იმას გააკეთებს, რაც გერმანიის ერთიანობისადმი მიძღვნილი წერილით არის გათვალისწინებული“. მაგრამ ჩვენ, ყველამ ერთად მთელი ძალისხმევა უნდა მივმართოთ იქით, რომ საზღვრებმა ევროპაში დაკარგონ მნიშვნელობა და ერთობლივი თანამშრომლობით შევცვალოთ ვითარება ევროპაში. როდესაც მე ჩამოვაყალიბე დებულება, რომ გერმანიის ერთიანობის საკითხი ყველა გერმანელს ერთად უნდა გადაეწყვიტა, ამით ორ მიზანს ვუკავშირებდი ერთმანეთს: ჯერ ერთი, არ იქნებოდა სწორი, რომ თვითონ პასუხისმგებელ გერმანელ პოლიტიკოსებს გადაწყვეტილება გერმანიის გაერთიანების თაობაზე ოდენ ისტორიისათვის „გადაებარებინათ“ — ეს არის პოზიცია, რომელიც მეტად პასიური გახლავთ და საკუთარ ძალისხმევას არ გულისხმობს, მაშინ, როცა სწორედ ჩვენ უნდა გვეკისრა პასუხისმგებლობა, რომ ისტორიული განვითარებისთვის ისეთი მიმართულება მიგვეცა, რომელიც გაერთიანებამდე მიგვიყვანდა. „ყველა გერმანელში“ იგულისხმებოდა, რომ ორივე გერმანული სახელმწიფოს მოქალაქეები ერთობლივად იყვნენ მოწოდებულნი, ამ გადაწყვეტილებამდე მისულიყვნენ. ლაპარაკი არ იყო იმაზე, რომ გდრ-ში მცხოვრები გერმანელებისათვის ძალით მოეხვიათ თავზე

რამე, თუმცა გდრ-ში მცხოვრები გერმანელები რომ თავისუფალი არჩევანის პირობებში გერმანიის გაერთიანებას დაუჭერდნენ მხარს, ამაში იოტისოდენა ეჭვიც არ მეპარებოდა.

საშუალო სიშორის რაკეტებზე გამართული უაღრესად ცხარე კამათის შემდეგ გობაჩოვმა ისეთი შთაბეჭდილება დაგვიტოვა, თითქოს სურდა შეხვედრა მალე დამთავრებულიყო. მაგრამ როგორც კი საუბარმა დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობისა და გერმანული საკითხის გარშემო წინა პლანზე წამოიწია, მან ახალი მიმართულება მიიღო. ეტყობოდა, მას მომავალზე — ბილატერალურ საკითხებზე და საბჭოთა კავშირიდან გერმანელების გამგზავრების პრობლემებზე სურდა ესაუბრა.

დღევანდელი აზრთა გაცვლა-გამოცვლის გათვალისწინებით, — თქვა მან ბოლოს, — საბჭოთა ხელმძღვანელობა იფიქრებს იმაზე, თუ როგორ შეიძლება ეს ურთიერთობები აქტიურად, პოზიტიურად და დინამიკურად განვითარდეს; რა თქმა უნდა, საპასუხო ნაბიჯების იმედი ფედერაციული რესპუბლიკის მხრიდანაც გვაქვსო. „გადაგვაშლევინეთ ახალი ფურცელი ჩვენს ურთიერთობებში". ეს იყო გადამწყვეტი ფრაზა — ახლა ყველაფერი ნათელი გახდა. შეგვეძლო ერთობლივად დაგვეწყო მომავალზე ლაპარაკი.

გორბაჩოვმა სიტყვა ჩამოაგდო პარტიულ ყრილობაზე, რომელიც მოსკოვში 25 თებერვლიდან 6 მარტის ჩათვლით გაიმართა, და თქვა: ყრილობაზე განისაზღვრა მიმართულებები შემდგომი განვითარებისთვის. თუ დასავლეთში იმედოვნებდნენ, რომ საბჭოთა კავშირი თავის პოზიციებს დათმობდა და თავს დამარცხებულად აღიარებდა, მაშინ მათ ძალიან გაუცრუვდათ იმედები. ხოლო თუკი ორივე მხარე მზად იქნება კომპრომისებისთვის, საბჭოთა კავშირიც მზად არის თანამშრომლობისთვის. აქამდე მას თავისი ინიციატივებისათვის ადეკვატური პასუხი არ მიუღია; ეტყობა, დასავლეთი მოსკოვისგან შემდგომ დათმობებს ელოდება იმ იმედით, რომ ეს დათმობები უფრო სერიოზული ხასიათისა იქნება; და ალბათ მაშინღა თუ უპასუხებენო. ეს დროის ფუჭად დაკარგვაა, — გაგვაფრთხილა გენერალურმა მდივანმა. აქ ნელ-ნელა გამოიკვეთა ის, რაც 1989 და 1990 წლებში უფრო აშკარა უნდა გამხდარიყო: გორბაჩოვი მზად იყო, საბჭოთა პოლიტიკის მიმართულება ძირეულად შეეცვალა, მაგრამ დაჟინებით მოითხოვდა, რომ ტემპი და მასშტა-

ბები მის გადაწყვეტილებებზე ყოფილიყო დამოკიდებული. ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა შექმნილიყო, რომ ეს ცვლილებები გარედან იყო თავსმოხვეული.

უცებ გორბაჩოვმა თვითონ დაუსვა საკუთარ თავს შეკითხვა: როგორ ხდებოდა, რომ სსრკ სამხედრო თვალსაზრისით და კოსმოსის ათვისების დარგში ამერიკას მხარს უბამდა, მაგრამ მოსახლეობის უზრუნველყოფის სფეროში ამდენი პრობლემები ჰქონდა? ამ კითხვაზე ჯერ პასუხი არ გამაჩნიაო. მე განცვიფრებული დავრჩი. ასეთი გულახდილი აღიარება, როგორც პირადული, ისე საქმიანი, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთაგან არასოდეს მომესმინა. მიტერანი ნამდვილად მართალი იყო; ჩვენ წინაშე იყო ახალი ტიპის საბჭოთა ხელმძღვანელი.

და მაინც: გერმანულ მასმედიაში, — დაიჩივლა გენერალურმა მდივანმა, — საბჭოთა კავშირის სურათი მეტად მუქ ფერებში იხატება და მეტისმეტად კრიტიკულია. ჩვენი პრესა დამოუკიდებელია, — მიეუგე მე. ისინი არ ინდობენ თვით გერმანელ პოლიტიკოსებსაც. პირიქით: ჩვენში არიან პოლიტიკოსები, რომლებიც მოხარულნი იქნებოდნენ, ისეთივე კეთილმოსურნე პრესა ჰქონოდათ, როგორიც გენერალური მდივნის განკარგულებაშია.

არც ასეთი თავისუფლება არსებობს ფედერაციულ რესპუბლიკაში, — ეს იყო გორბაჩოვის საპასუხო დარტყმა, რომლითაც მან მინიშნება გააკეთა დადგენილებაზე რადიკალთა შესახებ*. ჩემს პასუხზე, რომ მე არც საბჭოთა სამსახურებში შემიმჩნევია რეგისტრირებული ლიბერალი, მან მეგობრული სიცილით მიპასუხა და მაშინვე საუბარი კვლავ საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებზე გადაიტანა. ის ლაპარაკობდა შრომის, ბინის, კვების, სამედიცინო უზრუნველყოფის და განათლების უფლებაზე, რაც, სამწუხაროდ, ბევრს იმის ილუზიას უქმნიდა, თითქოს გაურჯელადაც შეიძლებოდა კარგად ცხოვრება. ეს სოციალიზმის ნამდვილი პრობლემაა.

ჩემი შთაბეჭდილებით და საბჭოთა ხელმძღვანელებთან ადრინდელი საუბრებიდან მიღებული გამოცდილებით ეს სკკპ გენერალური მდივნის ბაგეთაგან მოსმენილი გამაოგნებელი, მართლაც

---

* დადგენილება, რომლითაც ექსტრემისტული ორგანიზაციის წევრს ეკრძალებოდა საჯარო სამსახური. (რედ.)

რომ სენსაციური დასკვნა გახლდათ. მე სიცილით ჩავურთე, რომ მან ახლა სოციალიზმის პრობლემის დეფინიცია კარგი ლიბერალიზ-ით ჩამოაყალიბა. მერე სერიოზული ტონით განვაგრძე: არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ განსხვავებაზე. გორბაჩოვი კომუნისტია, მე ლიბ-ერალი ვარ; მიუხედავად ამისა, ჩვენ ერთნაირი პრობლემები გვაქვს გადასაწყვეტი. და ჩვენს ქვეყანაში, გარწმუნებთ, არ არის მტრული განწყობა საბჭოთა კავშირის მიმართ. მაგალითისთვის ვიტყვი, რომ გუშინ აეროპორტში შევარდნაძეს და მე გერმანელი ტურისტები გულმხურვალედ მოგვესალმენ-მეთქი.

გორბაჩოვი ისევ დაუბრუნდა შიდა საბჭოურ პრობლემებზე მსჯელობას და განაცხადა: საბჭოთა ხალხმა განვითარების სრულიად ახალი გზა აირჩია, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით. ხალხი ჩემგან მოელის, რომ ქვეყანაში წესრიგს დავამყარებ, ცხოვრების დონეს გავუმჯობესებ და მსოფლიოში მშვიდობისათვის ვიზრუნებ. თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბ-ლიკა გადაწყვეტს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში, ამას ჩვენ მივესალმებოდით. ამავე დროს საქმე ეხება თანამშრომ-ლობის ახალ ფორმებს, გარდა ამისა მოსკოვი გლობალური სტაბი-ლურობით არის დაინტერესებული. მარტო საბჭოთა კავშირში 280 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. შინაგანად ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ შექმნილ ვითარებას ქვეყნის შიგნით უფრო კრიტიკუ-ლად აფასებენ, ვიდრე ამას საზღვარგარეთი აკეთებს: ძველი საბჭო-თა კავშირის ჩაკეტილი საზოგადოება უეცრად სრულიად ღია გახ-და. მაგრამ, ეტყობა, ამერიკაში ჯერაც მცდარი წარმოდგენები აქვთ საბჭოთა კავშირზეო.

ამიტომაც არის ესოდენ მნიშვნელოვანი, გენერალურმა მდი-ვანმა განაგრძოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან მოლაპარაკებები, — დაჟინებით მოვითხოვე მე ვიდრე სიტყვა ეკონო-მიკური თანამშრომლობის შესაძლებლობებზე და ახალი ტექნოლო-გიების მნიშვნელობაზე ჩამოვარდებოდა. ჩვენ ვიცით, რომ შეიარ-აღების სფეროში საბჭოთა კავშირი შორს არის წასული, იმაშიც დარწმუნებული ვართ, გამალებული შეიარაღებით მას „კედელთან ვერავინ მიაყენებს“, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ამგვარი რამ ჩვენს ზრახვებში არც შედის. ბოლოს და ბოლოს სტაბილურო-ბა ევროპაში არ არის მხოლოდ სამხედრო საკითხს მიბმული. ჩვენ

როდესაც მიხეილ გორბაჩოვი და ჰანს-დიტრიხ გენშერი ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგს ბონში ერთმანეთს შეხვდნენ, ისინი უკვე დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. შთაბეჭდილებები, რომლებიც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს 1986 წლის პირველი მოსკოვური მოლაპარაკებებიდან გამოჰყვა, ამ მომენტისათვის მთლიანად დადასტურდა.

უნდა დავძლიოთ ევროპის დანაწევრება, თანაც ყველა სფეროში.

გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით გამოთქვა სურვილი შეხვედროდა აშშ-ის პრეზიდენტს, სადაც ის მოისურვებდა — მთავარი იყო შორსმიმავალი გადაწყვეტილებები ყოფილიყო მიღებული. ამ აზრით მიუწერია მას წერილი პრეზიდენტისათვის. ხოლო ისეთი შეხვედრა, რომელიც მხოლოდ ტელევიზიისთვის იქნება დადგმული, სრულიად არ მაინტერესებსო. ამასთან დაკავშირებით მაღალი შეფასება მისცა იმ რეალისტურ განცხადებებს, რომელიც გააკეთა ყოფილმა პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა. შემდეგ გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ ის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას სერიოზულ პარტნიორად მიიჩნევდა პოლიტიკური დიალოგისათვის, აზრთა სერიოზული გაცვლა-გამოცვლისათვის, რისი მეშვეობითაც ვითარების გაუმჯობესება შესაძლებელი გახდებოდა.

მე თავი დავუქნიე: ჩვენც სწორედ ამისკენ მივისწრაფითმეთქი და განვაგრძე: ბევრი რამ რაც თქვენ საერთო ინტერესებზე,

სტაბილურობის ხელშეწყობასა და ნდობაზე ბრძანეთ, შეესაბამება ფედერალური კანცლერისა და ჩემ წარმოდგენებს. ეკონომიკურ სფეროშიც ბევრი რამის მიღწევა შეიძლება, ამაში დავრწმუნდი, როცა ამ ვიზიტის წინ გერმანიის ეკონომიკის წამყვან წარმომადგენლებთან საამისოდ ნიადაგი მოვსინჯე. ჩვენ მტკიცედ გვსურს გაიმართოს ამერიკა-საბჭოთა კავშირის უმაღლესი დონის შეხვედრა, რომელიც პრაქტიკული შედეგით უნდა დასრულდეს, ამასვე ველოდებით გერმანია-საბჭოთა კავშირის დიალოგიდანაც. ჩვენი ხალხები, ბოლოს და ბოლოს, ელოდებიან, როდის შევუდგებით ჩვენ არსებითი საკითხების ერთობლივად განხილვას. ამიტომ კიდევ ერთხელ დავადასტურე, რომ ფედერალური კანცლერი გერმანიაში ეპატიჟებოდა გენერალურ მდივანს. ის საქმის არსით არის დაინტერესებული და არა გორბაჩოვთან ერთად ტელევიზიით გამოსვლით-მეთქი. მთლად უტელევიზიოდაც ნუ დავრჩებითო, — მითხრა ღიმილით გორბაჩოვმა.

თქვენი არ იყოს, ჩვენც იმ აზრისანი ვართ, რომ წარსულის დავიწყების უფლება არა გვაქვს; და მაინც თქვენს წინადადებას — ახალი ფურცელი გადავშალოთ ჩვენს ურთიერთობაში, მე უპირობოდ დავუჭერ-მეთქი მხარს. უნდა ვიფიქროთ იმაზე, როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი ურთიერთობები თანამშრომლობის საფუძველზე. ეს არამარტო ჩვენი ქვეყნების, არამედ ევროპის, — შეიძლებოდა გვეთქვა — ჩვენი ევროპის ინტერესებშიც შედის-მეთქი. მერე კიდევ ერთხელ შევახსენე მას ჩვენი ჰუმანიტარული ვალდებულებები და ვთხოვე, რომ კარგი იქნებოდა — და ესეც გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას მოუტანდა სარგებლობას — თუ ყურადღებით მოეკიდებოდნენ ჩვენს გასაჭირს, რაც მესამე სამყაროს ქვეყნებიდან აეროფლოტის საშუალებით თავშესაფრის მაძიებელთა ტრანსპორტირებას უკავშირდებოდა; ისინი აღმოსავლეთ ბერლინის გავლით არალეგალურად გადმოდიოდნენ ფედერაციულ რესპუბლიკაში.

საუბარი, რომელიც მძაფრი დაპირისპირებით დაიწყო, მერე და მერე ერთობ მშვიდობიანად წარიმართა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იყო გორბაჩოვის მიერ წარმოსახული შიდა და საგარეო პოლიტიკის პერსპექტივები, გაცნობიერება იმისა, რომ ამათ შორის შინაგანი კავშირი არსებობს, და საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების ცოდნა.

საბჭოთა კავშირის პოლიტბიურომ ვიზიტის შეფასებისას დაადგინა, რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლას „პოზიტიური მნიშვნელობა“ ჰქონდა, თუმცა ზოგ შემთხვევაში ფედერალური მთავრობის პოლიტიკას მრავალ ასპექტში წარსულის დაღი აჩნდა. და მაინც, — ნათქვამი იყო შემდეგ შეფასებაში, — ამ საუბრებმა წარმოაჩინა ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის პოლიტიკური დიალოგისა და საქმიანი თანამშრომლობის შესაძლებლობანი სხვადასხვა სფეროში. როგორც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ისე პოლიტბიუროს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ მსოფლიოში ვითარების გაჯანსაღების, განიარაღებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისა და ევროპისათვის უსაფრთხოების გარანტიების შექმნის საქმეში; აქედან გამომდინარე, საბჭოთა კავშირი მზად არის ამ მიმართულებით ბონთან მჭიდრო თანამშრომლობისთვის ისე, რომ ზიანი არ მიადგეს ორივე ქვეყნის მიერ ბლოკების წინაშე აღებულ ვალდებულებებსო. ეს გახლდათ ჯანსაღი და სწორი შეფასება ბლოკის წინაშე აღებული ვალდებულებებისა. პერსპექტივებზე მინიშნება გახლდათ უმთავრესი მესიჯი. ამ შეხვედრის საჯაროდ კომენტირებისას მეც ასევე საქმიანად ვსაუბრობდი, გადასაჭრელი პრობლემების მიუჩქმალავად. „მოლაპარაკება იყო გულღია, ცოცხალი და ძალიან სერიოზული. ჩვენ — გორბაჩოვმა და მე — მიუკიბ-მოუკიბავად ვისაუბრეთ“. მნიშვნელოვნია პერსპექტივები, — ვამბობდი ვიზიტის შეფასებისას, — რაც მოლაპარაკების შედეგად დაისახა — განცხადება გენერალური მდივნისა, ჩვენს ურთიერთობებში ახალი ფურცელი უნდა გადაიშალოსო. ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მისეული ხედვა საშინაო და საგარეო პოლიტიკურ რეფორმებთან დაკავშირებით.

ვიზიტის ჟროს ხელი მოვაწერეთ სამთავრობათაშორისო შეთანხმებას სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ — ფედერალური მთავრობის სახელით კვლევით საქმეთა მინისტრმა რიზენჰუბერმა და მე, საბჭოთა მთავრობის მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრმა შევარდნაძემ და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლეონიდ ეფრემოვმა. მას შემდეგ, რაც თანამშრომლობაში ბერლინის ჩართვის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებებში 1973 წლიდან მოყოლებული ნაბიჯი ველარ წავდგით წინ, ახლა ბოლოს და ბოლოს ჩვენთვისაც მისაღებ გზას მივაგენით, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა ფედერალურ

დაწესებულებებს დასავლეთ ბერლინში სამეცნიერო-ტექნიკურ ურთიერთობაში მიეღოთ მონაწილეობა. ჩარჩოხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა შესაძლებლობა, დადებულიყო უწყებრივი შეთანხმებები ბირთვული ენერგიის სამშვიდობო მიზნებისთვის გამოყენების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოფლის მეურნეობის დარგებში თანამშრომლობის თაობაზე, რომლებზედაც ამ დარგთა მინისტრებს — რიზენჰუბერს, კიხლესა და ზიუსმუთს უნდა მოეწერათ ხელი.

ჩემი პირველი, დიდი იმედების მომცემი შთაბეჭდილებები გორბაჩოვის შესახებ დამიდასტურა შემდგომმა შეხვედრებმა საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ შევარდნაძესთან. ჩვენ განვიხილავდით დღის წესრიგში მდგარ საკითხთა მთელ კატალოგს, დაკავშირებულს განიარაღების კონტროლის პოლიტიკასთან; ამასთან დაკავშირებით, გავიხსენე რა გორბაჩოვის შენიშვნა, რომ არავის სურდა ჩვენი ამერიკისაგან ჩამოშორება, ვაცნობე შევარდნაძეს ნატოში პერმანენტული და მჭიდრო საკონსულტაციო მექანიზმის არსებობის თაობაზე, ისიც ვუთხარი, რომ ამ თანამშრომლობის წყალობით მოხდა თვით ჩემი ინფორმირება პოლ ნიცეს მეშვეობით უშუალოდ მოსკოვში გამოფრენის წინ. გარდა ამისა, ვაპირებ, მოსკოვიდან დაბრუნებისთანავე აშშ-ში გავფრინდე, რათა ჯორჯ შულცთან მოსკოვურ ვიზიტზე ვისაუბრო-მეთქი.

როგორც შევატყვე, შევარდნაძეზე ასეთმა თანამშრომლობამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა, თანაც პოზიტიური შთაბეჭდილება. როდესაც მოვუთხრობდი, ჩვენი მნიშვნელობა განიარაღების შესახებ მოლაპარაკებებში იმას ეფუძნება, რომ ჩვენ ნატოს ფარგლებში უდიდესი წვლილი შეგვაქვს დასავლეთის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში-მეთქი, იგი ძალიან დაინტერესდა. მისთვის, როგორც რეალისტი პოლიტიკოსისთვის, ეს ყველაფერი სრულიად გასაგები გახლდათ.

ჩვენ ვისაუბრეთ ევროთათბირზე, ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისა და განიარაღების თაობაზე ევროპაში მიმდინარე მოლაპარაკებებზე, მოლაპარაკებებზე ქიმიური შეიარაღების შესახებ და აგრეთვე საშუალო სიშორის რაკეტებთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე. ბოლოს შევთანხმდით, რომ განიარაღების ორივე ექსპერტს, რუთს და პეტროვსკის, მოლაპარაკება გაეგრძელებინათ.

ისევე როგორც გორბაჩოვთან საუბარი, საბოლოოდ შევარდნაძემ ჩვენი კონსულტაციებიც ფორმის, სულისკვეთებისა და შინაარსის მიხედვით დადებითად შეაფასა: თვალნათლივ გამოჩნდა, — განაცხადა მან, — რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას დიდი შესაძლებლობები მოეპოვება, აქტიურად მიიღოს მონაწილეობა მოლაპარაკებების საერთაშორისო პოლიტიკის ფორმირების საქმეში.

1986 წლის 23 ივლისს, დილით, ჩვენ ბილატერალურ საკითხებს მივუბრუნდით. მე წინადადებების მთელი წყება წამოვაყენე: სამომავლოდ ინტენსიური უნდა გამხდარიყო მოსწავლეებისა და ახალგაზრდების გაცვლა-გამოცვლა; გარდა ამისა, უნდა გვეფიქრა იმაზეც, რომ ფედერალური კანცლერი კოლი და გენერალური მდივანი გორბაჩოვი რომელიმე სხვა ქვეყნის ტელევიზიით გამოსულიყვნენ. თუნდაც ეს ცალკეული სატელევიზიო კომპანიების გადასაწყვეტი იყოს, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ამ საქმეს ხელს მოჰკიდებენ-მეთქი. ჩვენ, საგარეო საქმეთა მინისტრებს, შეგვეძლო აგრეთვე საზოგადოების წინაშე დისკუსია გაგვემართა იმ საკითხებზე, რომლებიც ორივე მხარის ინტერესის საგანს წარმოადგენდა. მოკლედ: ჩვენ მზად ვართ, გორბაჩოვის საყვედურს იმის თაობაზე, რომ გერმანულ მედიაში მისი პოლიტიკა არასწორად შუქდებოდა, ასეთი ღონისძიებებით გამოვეხმაროთ-მეთქი. საბჭოთა ხალხებიც უთუოდ დაინტერესებულნი უნდა იყვნენ, გაიცნონ ჩვენი შეხედულებები განიარაღების, ეკონომიკური თანამშრომლობის თუ ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხებზე. თუ მოსკოვში ამ თემებთან დაკავშირებით უკეთესი იდეები ექნებოდათ, ჩვენ, თავისთავად ცხადია, ამაზეც შეგვეძლო გვესაუბრა, — ვთქვი მე. „ჩვენ თანახმანი ვართ", — მოკლედ მიპასუხა შევარდნაძემ. შემდეგ მან, თავის მხრივ, ილაპარაკა ქალაქების პარტნიორობაზე და ნიმუშად ზაარბრიუკენისა და თბილისის მაგალითი მოიყვანა.

როდესაც მე მოვითხოვე, რომ სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების თაობაზე შეთანხმების შემდეგ კულტურული ურთიერთობებისა და იურიდიული დახმარების სფეროშიც მიგვეღწია ურთიერთგაგებისთვის, შევარდნაძემ განაცხადა, რომ სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ თითქმის 15 წელი გაჭიანურდა მოლაპარაკებები, და აღნიშნა, რომ სხვა საკითხებთან მიმართებაში ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს.

მე კიდევ ერთხელ დავუბრუნდი აეროფლოტის სამგზავრო რეისებს აღმოსავლეთ ბერლინში და ვთქვი: აეროფლოტი ამით ბევრ ფულს შოულობს ჩვენს ხარჯზე. საქმის ვითარება ასეთი იყო: მგზავრები მესამე სამყაროს ქვეყნებიდან, რომელთაც არ გააჩნდათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიზა, სარგებლობდნენ თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობით, რისი უფლებაც უცხოელებს ბერლინში ჰქონდათ, და დასავლეთ ბერლინში გადმოდიოდნენ. ბერლინის სტატუსის და ქალაქის განუყოფლობის ჩვენეული გაგება ხელს გვიშლიდა, გვეკონტროლებინა სექტორის საზღვრები, რისი პრობლემაც გარე საზღვრებთან დაკავშირებით არ გვქონდა.

ამ პრობლემის შესახებ ჩვენ უკვე დაწყებული გვქონდა საუბარი გდრ-თან, მაგრამ აეროფლოტიც, ჩვენი თვალსაზრისით, ბერლინის აღმოსავლეთ ნაწილში, შიონეფელდის აეროპორტში შესრულებული რეისებით არღვევდა ავიაკომპანიებს შორის დაადებულ კონკრეტულ შეთანხმებებს. ცოტაოდენი კამათის შემდეგ შევარდნაძე დამპირდა, რომ ის გაერკვეოდა შექმნილ ვითარებაში. ჩვენი შემდგომი მნიშვნელოვანი სადისკუსიო საგანი იყო გერმანული წარმოშობის მოქალაქეებისთვის საბჭოთა კავშირის დატოვების ნებართვათა შეზღუდული რაოდენობით გაცემა.

22 ივლისს, ჩემი ვიზიტის დასასრულს, საჯაროდ განვაცხადე: მოსკოვი და ბონი აპირებენ ახალი ფუნდამენტი ჩაყარონ მათი ურთიერთობების ფორმირებისათვის. ეს ითვალისწინებს რეგულარულ შეხვედრებს შევარდნაძესა და ჩემს შორის. გარდა ამისა, მე გამოვაცხადე ახალი, ინტენსიური კონსულტაციების დაწყების შესახებ განიარაღების საკითხებზე ორივე მთავრობის წარმომადგენლებს შორის.

ბოლოს გეროლდ ფონ ბრაუნმიულთან ერთად, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ამ საუბრებში, ვიზიტის შედეგები შევაჯამე. ორივეს დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ ამ შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა. მოვლენათა მომავალი განვითარებისთვის. ხოლო, რაც ჩვენ მაშინ არ ვიცოდით, ის იყო, რომ გამხეცებულ და კაცთმოძულე ტერორისტების ჯგუფს გეროლდ ფონ ბრაუნმიულისთვის უკვე გამოეტანათ სასიკვდილო განაჩენი: მას თურმე სამ დვეზე ნაკლები სიცოცხლეღა დარჩენოდა. 1986 წლის 10 ოქტომბერს ის მოკლეს, სწორედ მაშინ, როდესაც მისი დაუღალავი მცდელობით ჩაყრილი თესლი უკვე გაღვივებას იწყებდა.

რაც შეეხება ნატოს ორმაგი გადაწყვეტილებისა და სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის მნიშვნელობას, გვეჩვენებოდა, რომ გორბაჩოვი პერშინგ 2-ს უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა, ვიდრე სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივას. შვიდი წლის მერე, 1993 წლის დეკემბერში, ერთ საუბრისას, რომელიც მეწარმის ულრიხ ბეტერმანის ინიციატივით გამართული მენდენის ფორუმის დამთავრების შემდეგ გაიმართა, მან დაადასტურა, რომ ნატოს ორმაგმა გადაწყვეტილებამ მისცა სწორედ ბიძგი კურსის ცვლილებას საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში. „სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივას კი ჩვენც ისევე ნაკლებ სერიოზულად აღვიქვამდით, როგორც თქვენ", — განაცხადა მან და მე შემომხედა.

1986 წელს გამართული ჩვენი მოლაპარაკებიდან გამომდინარე პერსპექტივებმა ნათლად დაანახა გორბაჩოვს ევროპული განვითარების ორიენტირები და აგრეთვე ისიც, თუ რაოდენი წონა და ზეგავლენა ჰქონდა გერმანიას. მიტერანის შთაბეჭდილება, გორბაჩოვს ამბივალენტური დამოკიდებულება აქვს გერმანიისადმიო, სწორი გამოდგა. ერთი მხრივ მას აოცებდა ჩვენი ეკონომიკური წარმატებები, მეორე მხრივ აშფოთებდა ჩვენი და ამერიკის შესაძლებლობების შერწყმა. განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა ეს მისი მსჯელობებიდან ტექნიკურ თანამშრომლობაზე სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივასთან მიმართებაში, რომელსაც ის ისევე გადაჭარბებულად აფასებდა, როგორც სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის მომხრე გერმანელი ენთუზიასტები. ნათლად გაცნობიერება იმისა, რომ გერმანია იყო ის დედაბოძი, რომელზედაც დაშენდა, ხორცი შეისხა და განმტკიცდა ნატოს ორმაგი გადაწყვეტილება, ერთის მხრივ ზრდიდა ჩვენს მნიშვნელობას, მაგრამ ამავე დროს აფართოებდა ხახუნის ზედაპირსაც. ორივე ამ სფეროში საფრანგეთის მდგომარეობა უფრო ადვილი იყო: მას არ ჰქონდა დადებული ხელშეკრულება სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროექტში ტექნიკური მონაწილეობის შესახებ და არც ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების პროექტში მონაწილეობდა.

გერმანულ საკითხში გორბაჩოვმა კარი გახსნა: იგი დაეთანხმა სტალინის განცხადების ჩემეულ კორექტირებას და არ შეწინააღმდეგებია დებულებას, რომ ისტორიისა და *ყველა* გერმანელის გადასაწყვეტია გერმანიის გაერთიანება გერმანიის ერთიანობისადმი

მიძღვნილ წერილში გამოხატული სულისკვეთების შესაბამისად — და მას ეს საკითხისადმი ზერელე მიდგომის გამო არ მოსვლია. ამავე დროს მან მკაფიოდ განაცხადა საბჭოთა კავშირისათვის გდრ-ის მნიშვნელობის თაობაზე. ყოველივე ამასთან დაკავშირებით კიდევ არაერთხელ გახდებოდა საჭირო ახლებური აზროვნება.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ შეგვექმნა სრულიად მყარი შთაბეჭდილება იმის თაობაზე, რომ გორბაჩოვი სერიოზულად აპირებდა რეფორმების გატარებას; რუბიკონი მას უკვე გადაელახა. დემოკრატიზაციასა და ეკონომიკურ რეფორმებს, მისი პოლიტიკის ამ ორ ცენტრალურ პუნქტს, აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა რეფორმები საგარეო პოლიტიკაში. ეს არავითარ შემთხვევაში არ იყო ტაქტიკური, ნიადაგ ცვალებადი ვარიანტი, ეს გახლდათ პროგნოზირებადი, შინაგანი განვითარებით განსაზღვრული კონსტანტა.

სახელმწიფოთა და საზოგადოებათა დემოკრატიზაცია და აქედან გამომდინარე მეტი გამჭვირვალობა გადამწყვეტი წინაპირობები გახლავთ ნდობის გაჩენისა და პროგნოზირებადობისათვის საგარეო პოლიტიკაშიც. ჩემს მიერ გრომიკოსთან საუბრებში არაერთხელ გახმოვანებული თეზა, რომლის თანახმადაც დასავლეთის საზოგადოებას თუნდაც მხოლოდ თავისი ღიაობით მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობების კონსტრუქციულ განვითარებაში, ჩემი შეფასებით, დადასტურებას პოვებდა გორბაჩოვის შიდარეფორმატორულ პოლიტიკასა და საგარეო პოლიტიკაში გამოვლენილი „ახალი აზროვნების" ურთიერთდამოკიდებულებაში. დასავლეთის მიერ თავდაპირველად გამოვლენილი დიდი უნდობლობა ახალი გენერალური მდივნის ნამდვილი ზრახვების მიმართ ამ შინაგანი კავშირის შეუფასებლობას და იმ უზარმაზარი ზემოქმედების ვერშეცნობას ეფუძნებოდა, რომელსაც საბჭოთა საზოგადოებაზე ახდენდა რეფორმები და ახალი აზროვნება საგარეო პოლიტიკაში. ეგრეთ წოდებულ აზროვნების ფაბრიკებსაც ევროპასა და აშშ-ში თავიდან გამოეპარათ ურთიერთზემოქმედების მომენტი გორბაჩოვისეულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის.

უკვე ორი თვის შემდეგ გაეროში ჩვენი ელჩის ლაუტენშლაგერის ნიუ-იორკის რეზიდენციაში შესაძლებლობა მომეცა გამეგრძელებინა საუბარი შევარდნაძესთან. საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა ერთობ დადებითად შეაფასა ჩვენი შეხვედრები მოსკოვ-

ში. ამ თვალსაზრისს გორბაჩოვიც იზიარებსო. ის გენერალურ ასამბლეაზე ჩემს გამოსვლასაც მიესალმა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ მოსკოვური შეხვედრების ჩვენეული შეფასება სულაც არ იყო გადაჭარბებული.

მოსკოვიდან დაბრუნებულმა მხოლოდ ცოტა ხანი დავყავი ბონში, რათა 23 ივლისს გამართულ მთავრობის სხდომაში მიმეღო მონაწილეობა. ჯერ კიდევ სხდომის დაწყების წინ ფედერალურ კანცლერს იფორმაცია მივაწოდე მოსკოვში გამართული მოლაპარაკებების შესახებ. ჩვენ საქმე გვაქვს სრულიად ახალი ტიპის საბჭოთა ხელმძღვანელობასთან — ასეთი გახლდათ ჩემი დასკვნა. გორბაჩოვი საუბრობს არა მხოლოდ ახალ საგარეო პოლიტიკაზე, არამედ მიზნად დაუსახავს საბჭოთა კავშირის ძირეული გარდაქმნა შიგნიდან, რაც ახალი კურსის სიმყარისა და სერიოზულობის გარანტიას იძლევა-მეთქი.

ფედერალურმა კანცლერმა ეს ვიზიტი შეაფასა როგორც წარმატება, რაკიღა მან მკაფიოდ წარმოაჩინა, რომ „ყბადაღებული გამყინვარების არსებობაზე მოსკოვსა და ბონს შორის“ ლაპარაკიც კი აღარ შეიძლებაო. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საგარეოპოლიტიკურმა სპიკერმა კარსტენ ფოიგტმა კი ნაკლად ჩაგვითვალა, რომ ჩვენ განიარაღებასთან დაკავშირებით საკუთარი წინადადებები არ წამოგვიყენებია, თუმცა სოციალ-დემოკრატიული პარტიისთვის ერთობლივი მმართველობის დროიდან კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი, რომ განიარაღების სფეროში ყოველი ინიციატივის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო იყო ერთიანი პოზიციის შემუშავება ალიანსის შიგნით.

ვიდრე ფედერალურ კანცლერთან წავიდოდი, ჩვენი უწყების თანამშრომელთა თათბირი ჩავატარე, რომელზეც ვაშინგტონში ჩემი ვიზიტი მოვამზადე. 13 საათზე ამერიკაში საგარეო საქმეთა მინისტრ შულცთან შესახვედრად გავფრინდი.

სახელმწიფო დეპარტამენტში მოკლე გასაუბრების შემდეგ პოტომაკისკენ გავწიეთ, სადაც შულცს მშვენიერი იახტით მდინარეზე გასეირნება დაეგეგმა. სამსაათიანი ცურვის დროს ჩვენ მსუბუქად გამოწყობილნი ვისხედით გემბანზე გამოტანილ მოხერხებულ საკარძლებში და მე მას ვუზიარებდი ჩემს შთაბეჭდილებებს და შე-

ფასებებს. ჩვენი მხრიდან საუბარში მონაწილეობას ღებულობდა ელჩი ვან ველი, ასევე ფედერალური მთავრობის რწმუნებული განიარაღების საკითხებში, ელჩი რუთი და სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელი მიხაელ იანზენი. სახელმწიფო დეპარტამენტში საუბარს ესწრებოდნენ აგრეთვე დესპანი ვალაუ და განყოფილების ხელმძღვანელი. ჯორჯ შულცმა, რომელიც ცდილობდა ჩვენი შეხვედრისთვის სასიამოვნო, შინაურული ელფერი მიეცა, ამერიკული პრესის გამოხმაურებას ჩემს მოსკოვურ ვიზიტზე აშკარად დადებითი უწოდა.

ჩემი ყოფნა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში პრეზიდენტ მიტერანის მოსკოვში ვიზიტსა და საგარეო საქმეთა მინისტრ შევარდნაძის ლონდონში სტუმრობასთან კავშირში უნდა იქნეს განხილული, — ვთქვი მე და განვაგრძე: იტალია რომ სამთავრობო კრიზისით არ ყოფილიყო დაკავებული, საბჭოთა ხელმძღვანელობა უთუოდ რომსაც ჩართავდა დიალოგში. მოსკოვი აშკარად დაინტერესებულია, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის პარალელურად ევროპის სახელმწიფოებთანაც გამართოს მოლაპარაკებები. ამასთან, ცხადი შეიქნა, რომ საბჭოთა კავშირს სურდა, ურთიერთობების პოზიტიური განვითარება შეთანხმებებზე ხელმოწერით დოკუმენტურად ყოფილიყო დაფიქსირებული. სამეცნიერო-ტექნიკური ხელშეკრულების თაობაზე ცამეტწლიანი, ხშირად დამღლელი და ნერვებდამწყვეტი მოლაპარაკებების შემდეგ როგორც იქნა მივაგენით დებულებას, რომლითაც შესაძლებელი გახდება ბერლინის ჩართვა ხელშეკრულებაში. ეტყობა, პიროვნებათა ცვლა ამ სფეროშიც მოიტანს-მეთქი შედეგებს.

შემდეგ განვაგრძე: საუბრის წარმართვის ახალი მანერაც უცილობლად გამოარჩევს საბჭოთა კავშირის პირველ პირს თავისი წინამორბედებისაგან. დადასტურდა, რაც პრეზიდენტმა რეიგანმა ჟენევის შეხვედრის შემდეგ ნატოს თავყრილობაზე განაცხადა და რასაც პრეზიდენტი მიტერანიც ყვებოდა: გორბაჩოვი ლაპარაკობდა ლაღად, თანამოსაუბრეს სიტყვას აწყვეტინებდა, მაგრამ თვითონაც აძლევდა მას ამის საშუალებას. ეს იყო ნამდვილი საუბარი, განსხვავებული ბრეჟნევისდროინდელი ცნობილი მონოლოგებისაგან-მეთქი. მე ვილაპარაკე იმ პრეტენზიებზე, რაც გორბაჩოვმა წამოაყენა ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, ისევე როგორც ჩემ ეჭვებზე ქიმიური იარაღისაგან თავისუფალ ზონად მხოლოდ ცენ-

ტრალური ევროპის გამოცხადებასთან დაკავშირებით, რასაც იმით ვასაბუთებდი, რომ ასეთ შემთხვევაში კიდევ უფრო ძნელი გადასაჭრელი იქნებოდა ვერიფიკაციის პრობლემა. საუბრის ერთი ნაწილი, — ვუთხარი ჯორჯ შულცს, — დაეთმო აგრეთვე გერმანულ საკითხს: გორბაჩოვი მეტად მგრძნობიარედ რეაგირებდა, როცა საუბარი ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობაზე ჩამოვარდებოდა-მეთქი.

ჯორჯ შულცი დაინტერესდა, რა შინაარსს ვდებდი სიტყვაში „მგრძნობიარე". მე ვუპასუხე, ეტყობა, გენერალური მდივანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე საბჭოთა კავშირს პრობლემები არ შექმნოდა. დაწვრილებით ვუამბე მას სტალინის ციტატის გარშემო გამართული დისპუტის შესახებ და ისიც ვუთხარი, რომ გორბაჩოვი არ შემომდავებია, როდესაც ვთქვი, როგორც არ უნდა გადაწყდეს გერმანიის საკითხი, მთავარია ამ გადაწყვეტილების მიღებაში ყველა გერმანელმა მიიღოს-მეთქი მონაწილეობა. ეს გახლდათ, სხვათა შორის, ცენტრალური ფრაზა — მას ეწერა, რომ სამი წლის შემდეგ მთლიანად დადასტურებულიყო: 1990 წლის იანვარში გორბაჩოვი პატივს მიაგებს იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც ორივე გერმანიაში მცხოვრები გერმანელები მიიღებენ.

გორბაჩოვი, — განვაგრძე მე, — ჩემი შთაბეჭდილებით, ნამდვილად არ არის მოწადინებული, განხეთქილება ჩამოაგდოს ამერიკასა და მის ევროპელ მოკავშირეებს შორის, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ აღიარებს დასავლური ალიანსის მასტაბილიზირებელ როლს. გარდა ამისა, ეტყობა, იგი ვარაუდობს, რომ გერმანიის დღევანდელ მთავრობასთან მას კიდევ დიდხანს მოუწევს თანამშრომლობა, ყოველ შემთხვევაში მას არც კი უცდია, რაიმე დიფერენცირება მოეხდინა თვითონ მთავრობის შიგნით. ევროგაერთიანებას ის როგორც რეალობას, ისე აღიქვამს-მეთქი.

მოკლედ, — განვაგრძე მე, — არსებობს საიმედო ნიშნები იმისა, რომ ჩვენ ნამდვილად ახლებურ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე — ახლებურთან არა მხოლოდ ფორმით, არამედ თავისი არსითაც: ახლა — ასეთი იქნებოდა ჩემი წინადადება — იქითკენ უნდა მივმართოთ მთელი ძალისხმევა, რომ მოვსინჯოთ შესაძლებლობები, რომლებსაც შექმნილი ვითარება გვთავაზობს ევროპაში მოვლენათა

იმგვარი განვითარების ხელშესაწყობად, ნატოს ჰარმელის მოხსენებით რომ არის გათვალისწინებული.

ორი დღის შემდეგ ბიშოფსგრიუნში ბაიროითთან ახლოს ბაიროითის ფესტივალის გახსნაზე შევხვდი ჩემს მეგობარ როლან დიუმას, რომელიც როგორც ვაგნერის მუსიკის ტრფიალი, ყოველ წელიწადს სტუმრობდა ამ ფესტივალს. საუზმის დროს მასაც, როგორც პრეზიდენტ მიტერანის ნდობით აღჭურვილ პირს, საკმაოდ ვრცლად ვესაუბრე. გარდა ამისა იმაზეც ვიზრუნე, რომ ყველა პარტნიორი როგორც ევროგაერთიანებაში, ასევე ნატოში ელჩთა და მოხელეთა დონეზე უშუალოდ ყოფილიყო ინფორმირებული მოსკოვური მილაპარაკების შესახებ.

1986 წლის 2 ოქტომბერს ბუნდესტაგში გავაკეთე სამთავრობო განცხადება ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების და განიარაღების თაობაზე სტოკჰოლმში გამართული კონფერენციის შესახებ. ეს კონფერენცია თავისი მნიშვნელობით დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ახალ საბჭოთა ხელმძღვანელობაზე დამყარებული იმედები გამართლდა. ჩემი და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის როლან დიუმას ერთობლივმა გამოსვლამ არა მხოლოდ განამტკიცა გერმანია-საფრანგეთის თანამშრომლობა, არამედ უკვე მინავლებულ კონფერენციას ახალი იმპულსი მისცა. იმ ფაქტმა, რომ მე და როლან დიუმამ ერთობლივად მოვაწყვეთ მიღება და დელეგაციები ერთიანად მოვიწვიეთ სასაუბროდ, ბევრისთვის — უპირველესად კი აღმოსავლელი დიპლომატებისთვის — ნათელი გახადა, თუ რეალურად როგორ მასშტაბებს მიაღწია უკვე გერმანია-საფრანგეთის თანამშრომლობამ.

ლაჩრული მკვლელობა

ჩემმა გამოსვლამ გერმანიის ბუნდესტაგის წინაშე, არსებითად, უპრობლემოდ ჩაიარა. პირიქით: საშუალება მომეცა, ჩვენი აღმოსავლეთ-დასავლეთისა და განიარაღებაზე კონტროლის პოლიტიკის პოზიტიური შუალედური ბალანსი გამეკეთებინა. პირადად მე იმ დროს ჯანმრთელად ვერ ვგრძნობდი თავს. ჩემი ძალები მარტო

იმისთვის აღმოჩნდა საკმარისი, რომ სამთავრობო მოხსენება ბოლომდე წამეკითხა. ცოტა ხნის შემდეგ სისხლის მიმოქცევასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა იჩინა თავი და მე დავტოვე სამთავრობო ლოჟა. პარლამენტის ექიმი, რომელმაც პლენარულ სხდომათა დარბაზის უკან, „ვასერვერკში" მდებარე პატარა რესტორანში გამსინჯა, დაჟინებით მოითხოვდა ჩემს საავადმყოფოში გადაყვანას. ეს ნიშნავდა, რომ მე სასწრაფო დახმარების მანქანით წამიყვანდნენ — საზოგადოებრივი აჟიოტაჟიც შესაბამისი გახლდათ.

მეორე დღისთვის დანიშნული ყველა შეხვედრა გაუქმებული იქნა. ხუთშაბათიდან მომდევნო ორშაბათამდე, 7 ოქტომბრამდე, მალტის საავადმყოფოში პროფესორ კესლერის მეურვეობის ქვეშ ვიყავი. მართალია, ინფარქტი არ დამმართნია, მაგრამ ვატყობდი, ფიზიკური შესაძლებლობის ზღვრამდე მივედი.

პარასკევს, 10 ოქტომბერს, სრულიად სხვა სახის საზღვარს შევეჯახეთ. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ ძალების მოსაკრებად სახლში დავრჩი, რადგან მომდევნო კვირაში მეტად დაძაბული დღეები მელოდა. თუმცა მნიშვნელოვან დოკუმენტებზე მაინც მიწევდა მუშაობა და არცთუ იშვიათად ტელეფონის ყურმილსაც ვიღებდი, ვცდილობდი, დარჩენილ დროში შეძლებისდაგვარად მოვღონიერებულიყავი. იმ საღამოს ადრე ვივახშმეთ; ცხრის რაღაც წუთები იყო, როცა დასაძინებლად გავემართე. 9 საათი იქნებოდა, რომ უეცრად ტელეფონი აწკრიალდა. რეკავდა ქალბატონი ფონ ბრაუნმიული: „ჩემ ქმარს ესროლეს". გეროლდ ფონ ბრაუნმიული, საგარეო საქმეთა უწყების ერთ-ერთი წამყვანი მოხელე, ჩემთან ყველაზე დაახლოებულ და საუკეთესო თანამშრომელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. მშვიდი, ყრუ ხმით მიყვებოდა მისი მეუღლე საშინელი დანაშაულის შესახებ, ეტყობოდა, შოკში იყო. „ახლავე მოვდივარ", — ვუპასუხე მე და ვკითხე: „სად არის ახლა თქვენი მეუღლე?" „ის ჯერ კიდევ ქუჩაში გდია", — იყო პასუხი.

სამსახურებრივი ავტომანქანა, რომელიც გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის ყოველთვის სახლის წინ მელოდა, სწორედ იმ დღეს არ იდგა იქ. ამიტომ საგეგმო განყოფილების უფროსს, კონრად ზაიცს დავურეკე, რომელიც ჩემთან ახლოს ცხოვრობდა. მოვუყევი, რაც მოხდა, და ვთხოვე თავისი მანქანით სასწრაფოდ გამოეევლო, რათა ორივენი ქალბატონ ფონ ბრაუნმიულთან წავ-

სულიყავით. ვინაიდან ზაიცი და ბრაუნმიული დიდი ხნის მეგობრები იყვნენ, ვიცოდი, მას იპენდორფში სახლის მიგნება არ გაუჭირდებოდა. ქალბატონი ზიაციც, ქალბატონ ფონ ბრაუნმიულის მეგობარი, ჩვენთან ერთად წამოვიდა. როდესაც იმ ქუჩაზე შევუხვიეთ, ტაქსი დავინახეთ, რითაც გეროლდ ფონ ბრაუნმიული სახლში მისულიყო; ჩვენს უწყებას საუკეთესო თანამშრომლებისთვისაც კი არ შეეძლო მანქანის გამოყოფა. ბრაუნმიული ჯერ კიდევ ქუჩაში ეგდო. გვერდით ეყარა საქაღალდეები, რომლებიც ის-ის იყო ტაქსის საბარგულიდან ამოეღო, როცა ის სასიკვდილოდ დაჭრეს. ეს იყო დოკუმენტები, რომელზედაც მას შაბათ-კვირას უნდა ემუშავა.

ამ სურათს — ქუჩაში უძრავად მწოლიარე გეროლდ ფონ ბრაუნმიულს — მე ვერასოდეს დავივიწყებ. თავზარდაცემულნი ვიდექით მის გვერდით, ვიდრე ბოლოს სახლში არ შევედით, ჰილდე ფონ ბრაუნმიულთან და მის ბავშვებთან. ყველას ერთნაირი გრძნობა დაგვუფლებოდა — ღრმა მწუხარება, შეძრწუნება, უსასოობა. მე მანამდე არასოდეს ვყოფილვარ მასთან შინ: რამდენჯერ დამირეკავს მისთვის აქ, იგი აქ ცხოვრობდა და აქ მუშაობდა. დავინახე ტელეფონი და წარმოვიდგინე, როგორ იღებდა ამ ყურმილს, როცა მე მისთვის დამირეკავს, ხშირად უდროო დროსაც კი, მეტადრე მაშინ, როცა ის სამინისტროს აპარატს ხელმძღვანელობდა. ვიცოდი, ის ძალიან დამაკლდებოდა, უპირველესად როგორც ადამიანი, პირდაპირი და გულღია ბუნებისა, და როგორც მრჩეველიც, როგორც ბრწყინვალე გონების კაცი, რომელსაც სტატს-მდივნის სიგელი უკვე თითქმის ჯიბეში ედო.

ნუგეშის სათქმელად სიტყვები არ მყოფნიდა. მწუხარებამ იმ წუთებში ჩვენ გაგვაერთიანა, გაგვაერთიანა ადამიანები, რომლებიც ადრე არც კი შევხვედროდით ერთმანეთს.

უბედურების დღესვე, შუადღისას, გეროლდ ფონ ბრაუნმიული შეხვდა საფრანგეთის ელჩს სერჟ ბუადვეს. ჰანს-ფრიდრიხ ფონ პლიოცმა, რომელიც შემდგომ სტატს-მდივანი გახდა, საუბრის ოქმი იმავე დღესვე შეადგინა. როდესაც მე ის შაბათს, მკვლელობიდან ერთი დღის შემდეგ წავიკითხე, ქაღალდზე გადმოტანილმა ამ საუბარმა კიდევ ერთხელ თვალნათლივ დამანახა გეროლდ ფონ ბრაუნმიულის ანალიზური და კონცეფციური ხედვის დიდი უნარი. მას ბრწყინვალედ წარუმართავს საუბარი გერმანულ-ფრანგული ურთიერთობე-

ბის პერსპექტივების შესახებ. მე დავამზადებინა და ავაკინძინე ამ საუბრის მეორე ეგზემპლარი, რათა მერე ის, როგორც მეუღლის, ვაჟისა და მამის პოლიტიკური ანდერძი ფონ ბრაუნმიულის ოჯახისათვის გადამეცა.

იმავე შაბათს ფედერალური კრიმინალური სამსახურის ვიცეპრეზიდენტმა ბიოდენმა ტერორისტების ეგრეთ წოდებული აღიარების წერილი გადმომცა. ისინი, ფანატიკური და კაცთმოძულე იდეოლოგიით შეპყრობილნი, ჩვენ, პოლიტიკოსებს, ყალბი ნიღბის მატარებელ სხვათაგან მართულ მარიონეტებად გვთვლიდნენ. მათ მოკლეს პოლიტიკური დირექტორი, რადგანაც თითქოს გაზეთებში ამოიკითხეს, რომ ევროგაერთიანების ეგრეთ წოდებული პოლიტიკური კომიტეტი, ერთობლივი საგარეო პოლიტიკის ერთგვარი „Steering Commitee" („მმართველობითი კომიტეტი". ინგლ), საიდუმლო იმპერიალისტური შეთქმულების ანონიმური შტაბი იყო. აბსურდულ ბრალდებებს შეიცავდა წერილი: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, როგორც ევროგაერთიანების ნაწილი, თურმე მხარს უჭერდა ამერიკის იმპერიალისტურ პოლიტიკას. იმ დროს, როცა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტურ მსოფლმხედველობას პირველი შესამჩნევი ბზარები გაუჩნდა, ბრმა ფანატიკოსებმა კიდევ ერთხელ გაავრცელეს აბსურდული თეზა კომიტეტში დამკვიდრებული რაღაც ანონიმური ძალის, დიდი კაპიტალის ფუნქციისა და იმპერიალიზმის შესახებ. პოლიტიკური დირექტორი რომ საგარეო საქმეთა მინისტრის მითითებებს ასრულებდა და მშვიდობის განმტკიცების, განიარაღებისა და დაძაბულობის შენელების რეალური პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობდა, ის ფაქტები იყო, რომლებიც ტერორისტთა წარმოდგენაში ვერ თავსდებოდა. მათ ეგონათ, რომ გეროლდ ფონ ბრაუნმიულის მკვლელობით ბოროტების კერა გაანადგურეს.

მოგვიანებით დავადგინეთ, რომ „წითელი არმიის" ფრაქციის მიერ სიკვდილმისჯილთა სიაში ფონ ბრაუნმიულის სახელი თავიდან საერთოდ არ იყო შეტანილი. იქ მისი წინამორბედის სახელი იყო აღნიშნული. დარტყმა იმ პირისთვის იყო გამიზნული, ვინც ამ თანანმდებობაზე იმუშავებდა. როდესაც მისი წინამორბედი პარიზში ელჩად გავაგზავნე, მისი სახელი ფონ ბრაუნმიულის სახელით შეიცვალა. ასე უბრალოდ მოხდა ეს: ასე გადაწყვიტეს მსოფლიოს გაუმჯობესებისთვის ვაიმზრუნველებმა იმ ადამიანების სიკვდილ-

სიცოცხლის საკითხი, რომელთაც ისინი არასოდეს შეხვედროდნენ, არ იცნობდნენ და არაფერი სმენოდათ მათ შესახებ. ასე მოინდომეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის განმკარგულებელნი გამხდარიყვნენ — ჰუმანურობისა და პროგრესის სახელით.

როდესაც ორშაბათ დილას საგარეო უწყების ბისმარკის კაბინეტში დირექტორთა საბჭო შეიკრიბა, ერთი სკამი ცარიელი დარჩა. სკამზე იდო ყვავილების თაიგული, იდო იქ, სადაც სტატსმდივნის მოპირდაპირე მხარეს ყოველთვის იჯდა გეროლდ ფონ ბრაუნმიული.

ამ ორშაბათ დღეს, რეიკიავიკში ამერიკა-საბჭოთა კავშირის უმაღლეს დონეზე შეხვედრის შემდეგ, როდესაც ამ სამიტის შედეგებში გარკვევას ვცდილობდით, განსაკუთრებით საგრძნობი შექნა ჩვენთვის ფონ ბრაუნმიულის დანაკლისი. ზოგიერთი ბოლო დოკუმენტი, რომლის შედგენაში მანაც მიიღო მონაწილეობა, სწორედ რეიკიავიკის შეხვედრისთვის იყო გამიზნული: ეს გახლდათ ფედერალური კანცლერის წერილი პრეზიდენტ რეიგანისადმი — მე და განსვენებული ჯერ კიდევ მალტის საავადმყოფოში ჩემი ყოფნის დროს ერთად ვმსჯელობდით ამ წერილზე, ისევე, როგორც ჩემს განცხადებაზე, რეიკიავიკის შეხვედრის წინ რომ გავაკეთე. ჩვენ დიდხანს ვაშალაშინებდით ამ ტექსტს: „ახლა არ უნდა გვიმტყუნოს თვალზომამ და გონიერებამ, რათა შესაძლებლის მაქსიმუმს მივაღწიოთ“, — ეწერა ტექსტში, — „გერმანელებზე მეტად, რომლებიც ორად გაყოფილი კონტინენტის შუაგულში ცხოვრობენ, არავინ არის დაინტერესებული, რომ განიარაღების საქმე წინ წავიდეს და ინტერესთა თანხვედრამ და გონივრულმა თანამშრომლობამ მომავალის ერთობლივი ამოცანების გათვალისწინებით დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობის პერსპექტივა განსაზღვროს“.

ფონ ბრაუნმიული საჯაროდ არ ჩნდებოდა ხოლმე. ერთ-ერთმა მისმა მეგობარმა ეს ასე გამოხატა: „ის იდგა — თავმდაბალი და წელგამართული“. ამასთან ერთად იგი იყო დამოუკიდებლად მოაზროვნე, დინჯი, ზუსტი, ცივი გონების ადამიანი. მუდამ ხმადაბლა ლაპარაკობდა და იშვიათად იღიმებოდა, ხოლო როცა გაიღიმებდა, თვალები გაუცისკროვნდებოდა და სახე ჭაბუკურად გაებადრებოდა ხოლმე. ის იყო თავდაჯერებული, უაღრესად კომპეტენტური ადამიანი; მაღალფარდოვანი ლაპარაკი არ სჩვეოდა.

დაკრძალვაზე, რომელიც ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს გაიმართა, მე უპირველეს ყოვლისა, მინდოდა პატივი მიმეგო გეროლდ ფონ ბრაუნმიულისთვის, როგორც ადამიანისთვის; მინდოდა მეთქვა, როგორ გავიცანი ის — თავისი პროფესიული მოვალეობის პირნათლად შემსრულებელი, მოაზროვნე და ისიც მეთქვა, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მას საკუთარი ოჯახის მიმართ. ყველა ამ ასპექტში მინდოდა მისი სახე გამეცოცხლებინა. ის, როგორც სუდეტიდან და სილეზიიდან დევნილი, ჩვენს აღმოსავლელ მეზობლებთან თანხმობისა და შერიგების მომხრე გახდა და გერმანიის სამშვიდობო პოლიტიკას ახორციელებდა. ტელევიზიამ გადასცა ჩემი გამოსვლა; მოქალაქეებს უნდა სცოდნოდათ, ვინ მოკლეს, ვინ დაკარგა ჩვენმა ქვეყანამ. მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ჩვენს სამინისტროებში პოლიტიკას უსულგულო და ძალაუფლებას დახარბებული ჩინოვნიკები კი არ ქმნიან, არამედ მგრძნობიარე ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებლობითა და თავდადებით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

ჩემ სამგლოვიარო გამოსვლაში აღვწერე ფონ ბრაუნმიულის ბოლო სამუშაო დღე. როგორც ყოველთვის, მან ამ დღესაც დაუღალავად, თავდაუზოგავად იშრომა: თორმეტსაათიანი სამუშაო დღის შემდეგ დოკუმენტებით გატენილი საქაღალდეებით დატვირთული ბონის ერთ-ერთ უბანში, ბუხჰოლცის ქუჩაზე თავისი სახლის წინ ტაქსიდან გადმოვიდა. ნიღბიანი ტერორისტი მივიდა მასთან და ორი ტყვია დაახალა მუცლის ქვედა არეში. გეროლდ ფონ ბრაუნმიულს მაინც უცდია გაქცევა, ქუჩის სხვა მხარეს გადაბობღება, მაგრამ ამასობაში მეორე მკვლელი გამოჩნდა, რომელმაც უკვე მიწაზე დაგდებულ კაცს კიდევ ორჯერ ესროლა. სასწრაფო დახმარების ექიმმა მას ცოცხალს ვეღარ მოუსწრო.

შემდეგ მკვლელობის ადგილის სიახლოვეს ნაპოვნი იქნა „წითელი არმიის“ ფრაქციის ეგრეთ წოდებული აღიარების წერილი — მე მას სიკვდილის წერილს ვუწოდებდი, რომელშიც კომანდოსი ინგრიდ შუბერტი თავს იწონებდა, რომ მან მოკლა გეროლდ ფონ ბრაუნმიული. პოლიციამ მოგვიანებით გამოიძია და დაადგინა, რომ გეროლდ ფონ ბრაუნმიული იმავე პისტოლეტით იქნა მოკლული, რომლითაც მრავალკვირიანი ტყვეობის შემდეგ მძევლად აყვანილი ჰანს-მარტინ შლაიერი ეგრეთ წოდებულ „სახალხო საპყრობილეში“

მოკლეს 1977 წლის ოქტომბერში.

ბეთჰოვენის დარბაზში გეროლდ ფონ ბრაუნმიული ასე დავახასიათე: „მასში გაერთიანებული იყო ანალიზის, კონცეფციური აზროვნებისა და სწორად მიჩნეული თვალსაზრისის ხორცშესხმის არაჩვეულებრივად დიდი უნარი. მე ბევრ რამეს ვუმადლი მას. შეგეძლო, მისი იმედი გქონოდა. ზოგს იქნებ ჰგონია, რომ ტერორისტები, რომლებმაც ის სიბნელეში ასე მუხანათურად და ლაჩრულად მოკლეს, შეცდნენ მსხვერპლის ამორჩევაში. საშინელი სიმართლე ასეთია: ისინი არ შემცდარან. მათ სძულთ მშვიდობა შინ და გარეთ. ისინი მოძალადეები და კაცთმოძულენი არიან". არაერთხელ გავიმეორე იმ დღეებში: „და ეს არის ის კაცი, რომელიც მოკლეს", რათა გავიცნობიეროთ ასეთი ქმედების დანაშაულებრიობა და აბსურდულობა. როცა ამას ვამბობ, არანაირი ილუზია არა მაქვს, რომ ამით სინდისის ქენჯნის გრძნობას გამოვაღვიძებ ტერორისტებში, მაგრამ ვიტოვებ იმედს: ისინი, ვინც ტერორისტებს თანაუგრძნობენ, დაფიქრდებიან და შეიძლება უკან დაიხიონ. ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ხნოუპეკი მოგვიანებთ მიყვებოდა, რომ ჩემი გამოსვლის ტექსტი მან თავის სამინისტროში გაავრცელა და ის ხელიდან ხელში გადადიოდა.

ჩემს სიტყვაში ვახსენე აგრეთვე ფონ ბრაუნმიულის მრავალრიცხოვანი კოლეგები, რომლებიც, გერმანიის ისტორიაში ყველაზე თავისუფალი და ჰუმანური სახელმწიფოს სამსახურში მყოფნი, ასევე ძალადობის მსხვერპლნი შეიქნენ: ფრაიჰერ რიუდტ ფონ კოლენბერგი, გერმანიის წარმომადგენელი საიგონში, 1968 წლის 5 მაისს, ელჩი კარლ გრაფ ფონ შპრეტი 1970 წლის 5 აპრილს გვატემალაში, საელჩოს მრჩეველი დოქტორი ჰაინც ჰილეგაარტი და სამხედრო ატაშე უფროსი ლეიტენანტი ფონ მირბახი, რომლებიც 1975 წლის 24 აპრილს სტოკჰოლმში საელჩოზე გერმანელი ტერორისტების თავდასხმას ემსხვერპლნენ. მე ვახსენე აგრეთვე სუჰაირ დაუ, გერმანიის ელჩის მძღოლი ბეირუთში, რომელიც ავტომატით დაცხრილეს ავტომანქანაში.

მომხდარით შეძრულმა, იმ სართულზე, სადაც მინისტრის კაბინეტი მდებარეობს, დიდი, კიბის თავზე გამავალი ნათელი ჰოლის კედელზე ჩვენი გარდაცვლილების სახელები ამოვატვიფრინე. მის მოპირდაპირე მხარეს გაკრული დაფა გვამცნობს საგარეო უწყების

იმ თანამშრომლების სახელებს, რომლებიც 1944 წლის 20 ივლისს ჰიტლერის წინააღმდეგ მოწყობილ ტერორისტულ აქტში მონაწილეობის გამო გამოეთხოვნენ სიცოცხლეს. „მათ სიცოცხლე გერმანელი ხალხის ღირსებას შესწირეს“, — გვაუწყებს სახელების ქვეშ ამოტვიფრული წარწერა. თუმცა ვერ შეძლეს გერმანელთა გათავისუფლება ფაშიზმისაგან, მათი მცდელობა მაინც იმსახურებს ჩვენს მადლიერებასა და მოწიწებას. ეს მათ ჩვენთვის, ყველათვის ჩაიდინეს — თავიანთ თანამედროვეთათვისაც და შთამომავლობისთვისაც.

ერთი ინტერვიუს შედეგები

მოსკოვში ჩემი ვიზიტის შემდეგ ჩვენ საგარეო უწყებაში დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალ-ყურს, როგორ ვითარდებოდა საბჭოთა პოლიტიკა და როგორი საჯარო განცხადებები კეთდებოდა. სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი პირველი პირადი შთაბეჭდილება გორბაჩოვსა და მის ახალ პოლიტიკაზე სწორი იყო და ნამდვილად ღირდა, ამ ახალ საბჭოთა ხელმძღვანელობასთან ახლებურად გვეთანამშრომლა. 1986 წლის შემოდგომაზე საჯაროდაც გამოვთქვი ჩემი აზრი ერთ ინტერვიუში.

და მაინც, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო. ვიყავი რა შეპყრობილი სურვილით, რომ მსოფლიო საზოგადოება და, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთის პოლიტიკა იმ შესაძლებლობებზე ყურადღებიყო ორიენტირებული, ახალი აზროვნება რომ გვთავაზობდა, ვგეგმავდი, საბჭოთა კავშირში მიმდინარე ფუძემდებლური ცვლილებების მიმართ ჩემი პოზიცია გამომეხატა. ამავე დროს უნდა გამეთვალისწინებინა, რომ 1987 წლის 25 იანვარს ახალი საპარლამენტო არჩევნები გაიმართებოდა. ჩვენი ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან და შესაძლებლობები, რომელსაც გორბაჩოვის პოლიტიკა იძლეოდა, იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მე არ მსურდა ის წინა პლანზე წარმოწეული საარჩევნო ბრძოლისა და დაპირისპირების მორევში მოხვედრილიყო. ამიტომაც ვეძებდი შემთხვევას, არჩევნების დამთავრებისთანავე დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობების თაობაზე მსოფლიო საზოგადოებრიობის გასაგონად პრინციპული

მოსაზრებები გამომეთქვა.

ჩემი კალენდარი ითვალისწინებდა, რომ მე 1987 წლის 1 თებერვალს დავოსში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის წინაშე უნდა გამოვსულიყავი, რომელშიც საბჭოთა დელეგაციას პირველად უნდა მიეღო მონაწილეობა. ეს ფაქტი ამ ფორუმს განსაკუთრებულ ელფერს სძენდა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმ დროისათვის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი იმ რანგისა არ გახლდათ, როგორიც ის ოთხმოცდაათიან წლებში გახდა. მე საგარეო უწყების საგეგმო შტაბის ხელმძღვანელს, ელჩ ზაიცს, დავალება მივეცი, ამასთან დაკავშირებით მოხსენების ტექსტი მოემზადებინა. თუმცა ჩემი გამოსვლა 1987 წლის 1 თებერვლისთვის იყო დაგეგმილი, კონრად ზაიცმა უკვე დეკემბერში წინ დამიდო მოხსენების პროექტი, ისე, რომ საშობაო არდადეგებზე შემეძლო ის საგულდაგულოდ დამემუშავებინა. მომდევნო კვირებში, საარჩევნო კამპანიის ბოლო ფაზაში, მე უკვე აღარ მეცლებოდა და არც ფედერალური პარლამენტის არჩევის მერე დამრჩებოდა დრო, რადგანაც შემდგომ კვირაში უკვე ფედერალური მთავრობის ჩამოყალიბება დაიწყებოდა.

ჯერ კიდევ დავოსის მსოფლიო ფორუმამდე, 1986 წლის 4 ნოემბერს, საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრთან მომიწია შეხვედრამ ვენაში, სადაც 1986 წლის 4 ნოემბერს ბელგრადისა და მადრიდის შემდეგ მესამედ ტარდებოდა ევროთათბირის მორიგი კონფერენცია. 7 ნოემბერს კონფერენციაზე სიტყვა წარმოვთქვი, რომელიც უპირველეს ყოვლისა საერთოევროპული სამშვიდობო წესრიგის და ევროთათბირის პროცესში გაკეთებული დაპირებების შესრულების მოთხოვნას შეიცავდა. კრიტიკული დამოკიდებულება გამოვხატე საზღვრებზე ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, რაც თავისუფალი მიმოსვლის უფლებებს ლახავდა. ვთქვი, რომ აზრისა და რელიგიური რწმენის თავისუფლება, უმცირესობათა უფლებები, პატიოსანი სამართალწარმოება და ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება ევროთათბირის პროცესის განუყოფელი ნაწილია. „ჩვენ არც მომავალში გავჩუმდებით, თუ მოქალაქეებს პრობლემები შეექმნებათ მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ჰელსინკის დასკვნით აქტს დაიმოწმებენ“. დასავლეთის საგარეო საქმეთა მინისტრებიდან მე ერთადერთი ვიყავი, ვინც მხარი დაუჭირა საბჭოთა წინადადებას ევროთათბირის ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი კონფერენცია

მოსკოვში ჩატარებულიყო. ის ფაქტი, რომ ბევრი ჩემი დასავლელი კოლეგა ყოყმანობდა ან სულაც ამ წინადადების წინააღმდეგ წავიდა, ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო: ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მოსკოვში ჩატარება ხომ ახალ შესაძლებლობებს უხსნიდა ჩვენს, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ, პოლიტიკას, ეს აზრი აშკარადაც გამოვთქვი, როცა მხარი დავუჭირე საბჭოთა წინადადებას. თუ კონფერენციის ჩასატარებლად მოსკოვს ავირჩევდით, მაშინ შანსი გვეძლეოდა, „ჩვენი მოთხოვნილებები პოლიტიკური თავისუფლებისა და ადამიანთა უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით თვით საბჭოთა კავშირის დედაქალაქში წამოგვეყენებინა“. იქნებ კრემლში მოსული ახალი ადამიანების მიზანიც ეს იყო?

1986 წლის 4 ნოემბრის შეხვედრა არის ჩემი ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი შეხვედრათაგანი საგარეო საქმეთა მინისტრ შევარდნაძესთან. დაგეგმილი იყო ჩვეულებრივი ბილატერალური აზრთა ურთიერთგაზიარება ევროთათბირის მორიგი კონფერენციის წინ. უკვე გრომიკოს დროს ტრადიციად იქცა საერთაშორისო კონფერენციები უფრო დეტალური საუბრებისათვის გამოგვეყენებინა. შეხვედრის თარიღის შერჩევა ამ საუბრებისათვის და მათი ხანგრძლივობის განსაზღვრა აშკარად მიგვანიშნებდა იმაზე, რომ ჯერ გრომიკო და შემდეგ უკვე შევარდნაძე კონტაქტებს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ისეთსავე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორც შეხვედრებს ამერიკის სახელმწიფო მდივანთან. ეს მხოლოდ განსახილველი მასალის მოცულობის მიხედვით არ კეთდებოდა; საბჭოთა ხელმძღვანელობა პროტოკოლის საკითხებს პოლიტიკურ მნიშვნელობასაც ანიჭებდა და ეს უფრო მეტად გახლდათ დემონსტრაცია იმისა, რომ მოსკოვი გლობალური მასშტაბით აშშ-ს, ხოლო ევროპული მასშტაბით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას თავის უმნიშვნელოვანეს პარტნიორად მიიჩნევდა. ეს გორბაჩოვ-შევარდნაძის ერაში, 1986 წლის იანვრის ჩემი მოსკოვური ვიზიტის შემდეგ უფრო ნათლად გამოიკვეთა.

ჩვენ საგარეო უწყებაში ჩემს საბჭოთა კოლეგასთან სასაუბროდ საგულდაგულოდ მოვემზადეთ. შევარდნაძესთან შეხვედრის დროს გერმანია-საბჭოთა კავშირისა და საერთოდ დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობები დაწვრილებით და სამომავლო თვალთახედვით

უნდა ყოფილიყო განხილული. საბოლოოდ საჭირო იყო, მოსკოვური ინიციატივა გავრცობილიყო. მაგრამ საქმე სხვაგვარად წარიმართა.

შეხვედრას წინ უსწრებდა ფედერალური კანცლერის „ნიუსუიკისთვის" მიცემული ინტერვიუ, რომელმაც გერმანულ და საერთაშორისო საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. პრესაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ფედერალურმა კანცლერმა გორბაჩოვი გებელსს შეადარა.

ჩვენი საელჩო ვენაში მაშინ საბჭოთა საელჩოდან რამდენიმე ნაბიჯით იყო დაშორებული. გერმანიის საელჩოს შენობა, ომის შემდგომი წლების სრულიად უგემოვნო ნაგებობა, რომელიც სულაც არ გახლდათ ჩვენი მშენებლობის საუკეთესო ნიმუში, აშკარად ჩამოუვარდება არქიტექტურულად ძველ სასახლეს, სადაც მაშინ საბჭოთა კავშირის (ახლა კი რუსეთის) საელჩო იყო განთავსებული. შევარდნაძე გრომიკოსგან გასხვავებით საელჩოს შესასვლელშივე შემომეგება. აქვე იყვნენ პრესის წარმომადგენლები. ის მეტად მეგობრულად მომესალმა. მერეც, როცა ჩვენ პირველ სართულზე, ჩემთვის კარგად ნაცნობ, გრძელ, გემოვნებით მოწყობილ დარბაზში შევიკრიბეთ, სადაც ორივე დელეგაციის წევრები გრძელ მაგიდასთან ერთმანეთის პირისპირ დავსხედით, მას ეს მეგობრული ტონი არ შეუცვლია; ყველაფერი ჟურნალისტების თვალწინ ხდებოდა. შევარდნაძემ ჯანმრთელობის მდგომარეობა გამომკითხა. მოხარული ვარ, თქვენგანვე რომ მესმის თქვენივე კარგად ყოფნის ამბავიო, მითხრა მან.

მიუხედავად ამისა, აშკარა იყო, რომ შევარდნაძე — მით უფრო, რომ საბჭოთა დელეგაცია ამაზე უკვე ლაპარაკობდა — „ნიუსუიკის" ინტერვიუზე ჩამოაგდებდა სიტყვას. ამიტომაც ხარს მაშინვე რქებში ჩავავლე ხელი და თვითონვე დავიწყე ამ თემაზე საუბარი. ვილაპარაკებ არა მხოლოდ ჩემი, არამედ ფედერალური კანცლერის სახელითაც და სიამოვნებით წაგიკითხავდით ტექსტს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კანცლერის აზრს გამოხატავს, — ასეთი შესავალი გავუკეთე ამ საჩოთირო თემას. რაკიღა მსურდა, საბჭოთა მხარეს ტექსტი კარგად გაეგო, მე თან გამოვიყოლე მისი რუსული თარგმანი, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრს გადავეცი. შემდეგ დავიწყე კითხვა: „ფედერალურმა კანცლერმა 1986 წლის 2 ნოემბერს „ველტთან" ინტერვიუში დაბეჯითებით განაც-

ხადა, რომ მისი საუბარი „ნიუსუიკის“ კორესპონდენტთან არასწორად დაიბეჭდა. ის ძალიან ნანობს, რომ შეიქმნა მცდარი შთაბეჭდილება, თითქოს მას სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი გებელსისთვის შეედარებინოს. იგი გადაჭრით უარყოფს ამ ფაქტს. მან განმარტა, რომ არ განუზრახავს შეურაცხყოფა მიეყენებინა გენერალური მდივნისათვის და იგი სრულიად სერიოზულად აღიქვამს გენერალური მდივნის ძალისხმევას, მიმართულს დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობების გაუმჯობესებისკენ. ფედერალური კანცლერი ხედავს და დიდად აფასებს ამ ძალისხმევას. ფედერალური მთავრობა მხარს უჭერს ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის პოლიტიკას და ამ მხარდაჭერისას ის მძიმე ტკივილიც ახსოვს, რომელიც განიცადეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა ჰიტლერის თავდასხმის გამო, რასაც მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა. ფედერალური მთავრობის სურვილია — და ეს ფედერალურმა კანცლერმა „ველტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა — კეთილი და ნორმალური ურთიერთობები დამყარდეს აღმოსავლეთთან. ამგვარად, მას სურს თავისი წვლილი შეიტანოს ევროპასა და მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში. მისი თვალთახედვით, საბჭოთა ხელმძღვანელობის — განსაკუთრებით კი გენერალური მდივნის — დამოკიდებულება განიარაღებისა და ურთიერთთანამშრომლობის მიმართ ასევე ამ მიზნებს ემსახურება“.

დავამთავრე და აღვნიშნე, რომ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა გორბაჩოვისა და საბჭოთა ხელმძღვანელობის მხრივ ამ განცხადების სწორად შეფასებას. სხვათა შორის, — განვაგრძე მე, — ფედერალური კანცლერი ამ კვირაში თავის პოზიციას ამასთან დაკავშირებით ბუნდესტაგშიც გამოთქვამს.

ჰოდა, დაიწყო საუბარი, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძეც და მეც მძიმე მდგომარეობაში ვიყავით, ან იქნებ სწორედ ამის გამო, ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა და ამავე დროს ადამიანური სიახლოვე მაგრძნობინა შევარდნაძესთან. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩემ წინ იჯდა კაცი, რომელიც იმ ინტერვიუს პირად შეურაცხყოფად თვლიდა და ამავე დროს მოწადინებული იყო დავიწყებისთვის მიეცა ეს ყველაფერი. აშკარად ჩანდა, რომ მას არ სურდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკის სტრატე-

გიულ მიზნებს ამ ეპიზოდით ბარიერები შექმნოდა.

ვითარებიდან გამომდინარე, კარგია, რომ საუბარი ამ განმარტებით დაიწყეთ, — მიპასუხა საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა და განაგრძო: ბოლოს და ბოლოს, საქმე გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში უმაგალითო შემთხვევას ეხება. მოსკოვში ამ ინტერვიუს შესახებ რომ შევიტყვეთ, ჯერ არ დავიჯერეთ, პროვოკაცია გვეგონა. მაგრამ როდესაც ამის თაობაზე შეკითხვით მივმართეთ „ნიუსუიკს", რედაქციაში დაცულ მაგნიტოფირზე დაყრდნობით დაადასტურეს, რომ ფედერალური კანცლერის ინტერვიუში გამოთქმული მოსაზრებები არ ყოფილა დამახინჯებული. ხოლო როცა კანცლერმა თავისი წარმომადგენლის მეშვეობით ინტერვიუში გამოთქმული მოსაზრებებისგან შორს დაიჭირა თავი, კვლავ „ნიუსუიკის" მთავარ რედაქტორს პარკერს დავუკავშირდით; მიუხედავად გერმანული მხარის მიერ რედაქციის მიმართ წაყენებული ბრალდებისა, მას უკან არ დაუხევია და სრულიად გარკვევით განაცხადა, რომ ეს ეგრეთ წოდებული ოფიციალური ინტერვიუ იყო. თუმცა ჟურნალის რედაქცია არ ეთანხმებოდა ფედერალური კანცლერის გამონათქვამებს, მაგრამ მას არ სურდა მკითხველისთვის დაემალა მისი (და არა ჟურნალის რედაქციის) შეხედულება.

მაგრამ კანცლერს, — ჩავურთე მე, — თვითონ არ მიუწოდებია ინტერვიუს წერილობითი ვარიანტი. როგორც მოგახსენეთ, ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, რომ გენერალურმა მდივანმა გორბაჩოვმა მართებულად შეაფასოს ჩემს მიერ წაკითხული განცხადების გულწრფელობა. ერთი რამ შემიძლია მტკიცედ განვაცხადო: მე უკვე დიდი ხანია ვიცნობ ფედერალურ კანცლერს და არა მხოლოდ მთავრობაში ერთად მოღვაწეობით, არამედ პირადადაც. მისი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის, მისი ხელმძღვანელობისა და გენერალური მდივნის პიროვნების მიმართ სრულიადაც არ არის ისეთი, როგორც იმ ინტერვიუდან ჩანს.

ამ ინტერვიუმ საბჭოთა ხელმძღვანელობა მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, — შემეპასუხა შევარდნაძე, — ხომ ვიცით, რა ძნელად ვითარდებოდა ურთიერთობები საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ომის დამთავრების შემდეგ. ბოლოს და ბოლოს, სრულიადაც არ გახლდათ ადვილი საბჭოთა კავშირის ხალხები კვლავაც პოზიტიურად განგვეწყო გერმანიის, უპირველეს ყოვლისა

კი, დასავლეთ გერმანიის მიმართ. და მაინც, მიმაჩნია, რომ ბევრი რამის მიღწევა შეეძელით. გარდა ამისა, გთხოვთ, ისიც გაითვალისწინოთ, რომ საბჭოთა პრესას ინტერვიუსთან დაკავშირებით ჯერ არც ერთი სტრიქონი არ გამოუქვეყნებია. ამასვე ვერ ვიტყვით უცხოეთის რადიოსადგურების — უპირველესად „ამერიკის ხმისა“ და „გერმანული ტალღის“ მისამართით. ისე, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა ამასობაში უამრავ წერილს ღებულობს, რითაც ვითარებაში გარკვევას ითხოვენ. აქ ლაპარაკია არა მხოლოდ პირადად გენერალური მდივნის გრძნობებზე, არამედ სხვა უამრავი ოჯახის განცდებზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ომს 20 მილიონი ადამიანი ემსხვერპლა, და ის შეკითხვებიც ამ ფონზეა განსახილავი. ძირეული და სერიოზული ცვლილებები უკავშირდება გორბაჩოვის სახელს: ეკონომიკური რეფორმები, დიდი ძალისხმევა ცხოვრების დონის ასამაღლებლად, ინდუსტრიის მოდერნიზება, დემოკრატიის განვითარება. საბჭოთა ხელმძღვანელობას არ შეუძლია არ გაითვალისწინოს ხალხის აზრი. საბჭოთა კავშირს, — დაბეჯითებით განაცხადა მან, — შეუდარებლად დიდი პრობლემები აქვს, ვიდრე ფედერალურ კანცლერს.

იოტისოდენადაც არ შემპარვია ეჭვი იმაში, რომ შევარდნაძე გამოსავალს ეძებდა. ამიტომაც სრულებით არ მომჩვენებია რიტორიკულად ის შეკითხვა, რომელიც მან დასვა: „რა მოვიმოქმედოთ, რა შეგვიძლია ვთქვათ ამასთან დაკავშირებით?“ მან გაიმეორა ეს შეკითხვა და მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხრიდან საუბარს დელეგაციის მრავალი წევრი ესწრებოდა — დარბაზში დაახლოებით ოცამდე ადამიანი იჯდა — ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ საუბარი ჩვენ შორის — უკეთ რომ ვთქვათ, მხოლოდ ჩვენ ორს — შევარდნაძესა და პირადად ჩემს შორის — მიმდინარეობდა. ჩემ წინ იჯდა ადამიანი, რომელსაც არ სურდა ვითარების გამწვავება, მაგრამ იმავდროულად არ მალავდა, რომ დასავლეთის მასმედიაში ენამწარე კომენტარებით ამკობდნენ გორბაჩოვის ძალისხმევას, რომელიც ჩვენთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად იყო მიმართული. იშვიათად მინანია ასე ძალიან, ჩემი თანამოსაუბრე და მე ერთ ენაზე რომ არ ვლაპარაკობდით. ამ შემთხვევაში მე კიდევ უფრო დაბეჯითებით ვეტყოდი მას, რომ ჩვენ, მე და ფედერალურ კანცლერს უდიდესი სურვილი გვქონდა, ამ ამბავს სამომავლო გართულე-

ბები არ მოჰყოლოდა.

მე ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი: ის, რომ ამდენი მითქმა-მოთქმა და კომენტარი ინტერვიუს გარშემო საბჭოთა ხელმძღვანელობას პრობლემებს უქმნიდა, გასაგები იყო. მთლად არც იმას ვეთანხმებოდი, რა ფორმითაც ეს თემა განიხილებოდა ჩვენში. ამასთან ისიც ვიცოდი, რომ ჰელმუთ კოლი ჩემსავით საბჭოთა კავშირთან კარგი ურთიერთობების მომხრე იყო; რა თქმა უნდა, მას სულაც არ სურდა გორბაჩოვი და გებელსი გვერდიგვერდ დაეყენებინა. მე კიდევ ერთხელ მივმართე თხოვნით შევარდნაძეს, ჰელმუთ კოლის განცხადების გულწრფელობაში ეჭვი არ შეჰპარვოდათ. ისიც ბევრს ნიშნავს, რომ ჰელმუთ კოლი თავის მოსაზრებებს ამასთან დაკავშირებით ბუნდესტაგშიც გამოთქვამს, რადგანაც ეს ის ადგილია, სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გაცხადებები კეთდება. ფედერალურმა კანცლერმა უკვე საჯაროდაც ხომ განაცხადა, რომ ინტერვიუს ბეჭდურ ვარიანტს ემიჯნებამეთქი.

საბჭოთა ხელმძღვანელობა, — მომიგო შევარდნაძემ, — იძულებული გახდა, შექმნილ ვითარებაზე რეაგირების მიზნით ხელი აეღო დაგეგმილ ვიზიტებზე. თუმცა ეს მაინც მხოლოდ კოსმეტიკური ნაბიჯებია. მოსკოვი არ არის დაინტერესებული გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში წარმოშობილი კრიზისის ესკალაციით, მაგრამ, ეტყობა, ფედერალურმა კანცლერმა ვერ გაითვალისწინა, რა ზეგავლენა შეეძლო მოეხდინა გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებზე ამ სამწუხარო ამბავს, რაც მოსკოვს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებსო. მას უსაუბრია ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ჯეფრი ჰოუვთან, სხვა საკითხებთან ერთად საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემებიც განუხილავთ და კადაფიზე ულაპარაკიათ. პრეზიდენტ რეიგანს ერთხელ თურმე კადაფი ჰიტლერისთვის შეუდარებია, ამის შემდეგ კადაფიმ თავის მხრივ რეიგანი ჰიტლერთან გააიგივა; ამით მომთავრდა ეს საქმეო. ისეთი პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე ხელმძღვანელობა, როგორიც საბჭოთა ხელმძღვანელობაა, თავს უფლებას ვერ მისცემს, ამდაგვარად მოიქცეს, — თქვა შევარდნაძემ და განაგრძო: ერთი მითხარით, როგორ უნდა ავუხსნათ ეს ყოველივე საბჭოთა ხალხს? მე მთელი სერიოზულობით ვკითხე მას, თუ გაიხსენებდა თუნდაც ერთ

შემთხვევას საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკიდან, რომელიმე ქვეყნის მთავრობის მეთაურს ისეთი გულწრფელი განცხადება გაეკეთებინოს, როგორიც იყო ჩემს მიერ იქ წაკითხული ფედერალური კანცლერის დავალებით შედგენილი ტექსტი.

შემდეგ საუბარი სხვა თემებს შეეხო: რეიკიავიკის შემდეგ შექმნილ ვითარებას, განსაკუთრებით ატომურ და ჩვეულებრივ შეიარაღებაზე კონტროლსა და განიარაღების საკითხებს. ბილატერალური ურთიერთობების განვითარებაზე საუბრისას მე ვახსენე ჩვენს მიერ ივლისში მოსკოვში და სექტემბერში ნიუ-იორკში გამართული მოლაპარაკებები, სადაც ეკონომიკური და სამეცნიერო თანამშრომლობის ახალ ფორმათა ძიების საკითხი განიხილებოდა. კვლავ გავიმეორე ჩემი თხოვნა, გულისხმიერად მოჰკიდებოდნენ საბჭოთა კავშირიდან გერმანული ეროვნების მოქალაქეთა გერმანიაში საცხოვრებლად გამგზავრების პრობლემას. საბჭოთა დელეგაციამ მაინც მიიღო ჩვენგან სია იმ მოქალაქეებისა, რომლებიც პირველ რიგში საჭიროებდნენ გამგზავრების ნებართვას, ოღონდ იმ პირობით, რომ ჯერ ფედერალური კანცლერის განმარტებას დაელოდებოდნენ.

ბოლოს მე კიდევ ერთხელ განვაცხადე, რომ ჩვენ ჩემ მიერ გაკეთებული განცხადების ტექსტის პრესისათვის გადაცემა გვინდოდა, რისი საწინააღმდეგო შევარდნაძეს არაფერი ჰქონდა. თუმცა დასანანი იყო, რომ საუბარი, რომელიც მინდოდა გერმანიის საგარეო პოლიტიკის ცენტრალური საკითხების მოსაგვარებლად გამომეყენებინა, „ნიუსუიკის“ ინტერვიუსთან დაკავშირებული გაუგებრობების გარკვევას მიეძღვნა, მაგრამ შევარდნაძესთან ეს შეხვედრა მაინც ღირებული აღმოჩნდა: სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ საბჭოთა კავშირის ახალ ხელმძღვანელობას გულწრფელად სურდა ჩვენთან მჭიდრო თანამშრომლობა. ასევე ჩემი პირველი შთაბეჭდილება ედუარდ შევარდნაძეზე დადასტურდა და გაღრმავდა. ვგრძნობდი: ეს არის გულწრფელი, სერიოზული და პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული კაცი, რომელსაც შეიძლება ენდო.

როდესაც საელჩოს შენობიდან გამოვედი, ქუჩაში ჟურნალისტების ისეთი მოზღვავება იყო, როგორიც მე ძალზე იშვიათად თუ მინახავს. ყველა მათგანს მხოლოდ „ნიუსუიკის“ ინტერვიუს ამბავი აინტერესებდა.

ვენიდან უშუალოდ შევარდნაძესთან შეხვედრის წინ ტელეფონით კიდევ ერთხელ დაველაპარაკე ჰელმუთ კოლს. მან მთხოვა პრესისთვის არანაირი განცხადება არ გამეკეთებინა, რადგანაც მას თვითონ სურდა ამის შესახებ ბუნდესტაგში სიტყვით გამოსულიყო. მე, რა თქმა უნდა, თხოვნა შევუსრულე; ჟურნალისტებს ვუთხარი, პრესისთვის განკუთვნილ ჩემ განცხადებას დასჯერებოდნენ, რომელიც წუთი წუთზე გამოქვეყნდებოდა.

გერმანიის რეზიდენციაში მობრუნებულმა კვლავ დავურეკე ჰელმუთ კოლს და მოვახსენე მოლაპარაკების თაობაზე. მე მას ვურჩიე, შევარდნაძის აშკარა ძალისხმევას ვითარების ჩასაწყნარებლად სერიოზულად მოჰკიდებოდა, და ამისთვის ბუნდესტაგში გამოსვლის დროსაც გაეწია ანგარიში. ფედერალური კანცლერი, ეტყობოდა, მეტისმეტად ღელავდა, რაც მე კარგად მესმოდა. მე ის დავარწმუნე, რომ მისი და ჩემი ინტერესები სავსებით მქონდა გაცნობიერებული. ამ საუბრის შემდეგაც მან გამიმეორა თხოვნა, რომ პრესის წარმომადგენლებისათვის არანაირი განმარტება არ მიმეცა. ეს არ გახლდათ ადვილი საქმე, რადგანაც გერმანიის პრესის წარმომადგენლებს ამის გაგონებაც არ უნდოდათ. მით უფრო გაკვირვებული დავრჩი, როცა ჩემამდე ხმა მოვიდა, კანცელარიის აპარატის ერთ თანამშრომელს ბონში ამ ამბავთან დაკავშირებით უკვე გამოუთქვამს თავისი მოსაზრებაო. ჩემი საბოლოო შთაბეჭდილებით, ვენაში მაინც შევძელი შევარდნაძე და გორბაჩოვიც ფედერალური კანცლერის კეთილგანწყობასა საბჭოთა კავშირთან კონსტრუქციული თანამშრომლობის ჩემ სურვილში დამერწმუნებინა.

1986 წელი გამოფიტულობის შეგრძნებითა და მგლოვიარე განწყობით დავამთავრე. 22 დეკემბრის ნაშუადღევს კვლავ მოვინახულე ქალბატონი ფონ ბრაუნმიული. დანაკლისი, რომელიც მან ქმრის სიკვდილით განიცადა, ჩემი დანაკლისიც იყო.

ამ საშობაო დღეებში მსურდა მთლიანად ჩემ ფიქრებში დავნთქმულიყავი და საარჩევნო ბრძოლის მომქანცველი და ნერვებდამწყვეტი გადამწყვეტი ბრძოლისათვის ენერგია მომეკრიბა. მაგრამ უკვე შაბათს, 3 იანვარს, მიუნხენში გამგზავრებამ მომიწია, რათა იქ თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ბავარიის სამხარეო გაერთიანების ჯილდო — თომას დელერის მედალი მიმეღო. ჩემს სამად-

ლობელ სიტყვაში, სხვათა შორის, ვთქვი:

„თავისუფლება სუნთქვაა პროგრესისა. ვისაც ეყოფა გაბედულება, დაეჭვდეს საკუთარ თავში, ის არასოდეს მოექცევა გახევებული აზროვნების ტყვეობაში, არ აღმოჩნდება მოჩვენებითი ისტორიული სასრულობის ჩიხში, პირიქით, თვითშეცნობის გზით იგი აზროვნებისა და ქმედების ახალ კატეგორიებს აღმოაჩენს. ის გზას გაუკვალავს პროგრესს...

თომას დელერი იყო ლიბერალი, რომელმაც მთელი ძალ-ღონე თავისი გერმანელი ხალხის, თავისი მამულის კეთილდღეობას შეალია. მან, რომელსაც ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული თავის მშობლიურ ფრანკონიაში, რომელიც ასეთი სიყვარულით აღწერდა თავის ფრანკეთს, აღშფოთებას ვერ მალავდა გერმანიისა და ევროპის გახლეჩის გამო, მას ტანჯავდა ეს დანაწევრება, იყო თხემით ტერფამდე ეროვნული კაცი და საკუთარი ხალხისადმი სიყვარულის წყალობით — კარგი ევროპელიც... გერმანიის დანაწევრება ევროპის კონტინენტის დანაწევრებას ნიშნავს. ჩვენი გერმანიის ისტორია მხოლოდ ჩვენ არასოდეს გვეკუთვნოდა...

ვისაც სურს გერმანიის ბედი ევროპის აწმყოსა და მომავალს მოწყვიტოს, იგი სცოდავს ჩვენი ეროვნული ინტერესებისა და ჩვენი სამშვიდობო მოვალეობების წინაშე ევროპის მიმართ. ჩვენი პოლიტიკა ჰარმონიულად ეხმიანება ევროპელთა მისწრაფებას, რომელთაც სურთ თანამშრომლობის გზით წინ აღუდგნენ კონტინენტის დანაწევრებას. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი საგარეო პოლიტიკის კონსტაქტები და ძალა და ენერგია არ უნდა დავიშუროთ მათ გასაფართოებლად. ამიტომაც გამოცანის საგნად არ უნდა ვაქციოთ ჩვენი ზრახვები — ხელახლა არ უნდა გამოვიწვიოთ ძველი შიშები. საფრანგეთ-გერმანიის პარტნიორული თანამშრომლობა და ევროპული გაერთიანება ღირსეული პასუხებია ევროპის ცვალებადი ისტორიის მიერ დასმულ კითხვებზე. ამ პასუხებმა მომავალი თაობების ქმედებებიც უნდა განსაზღვროს...

ორმოცი წლის წინ საფუძველი ჩაეყარა ურთიერთნდობით გამსჭვალულ მეგობრობას ამერიკელებსა და გერმანელებს შორის და ასევე იმ ალიანსს, რომელმაც უკვე ათწლეულებს გაუძლო. ის იძლევა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უსაფრთხოების, ბერლინის უსაფრთხოებისა და ევროპაში მშვიდობის გარანტიებს.

ჩვენი მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არ უნდა გაუნაპირდეს ევროპული დემოკრატიების გაერთიანებას, უარი არ უნდა თქვას ამერიკასთან და ნატოსთან მეგობრობაზე. მაგრამ ასევე არ უნდა გავუნაპირდეთ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მიმდინარე დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების პროცესებს... ომის შემდგომი გერმანიის პოლიტიკა ჩვენი მოქმედებების არეალს ნიადაგ აფართოებდა. რაც უფრო ევროპულად აზროვნებდა ეს პოლიტიკა, მით უფრო წარმატებული იყო იგი... ყველაზე ნაკლებად ჩვენ, გერმანელებმა უნდა მივცეთ თავს უფლება, გავატაროთ ცინიკური, ფასეულობებისგან დაცლილი პოლიტიკა. ამიტომაც ადამიანის უფლებების საყოველთაო განხორციელება უნდა იყოს ჩვენი საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი. ჰელსინკის დასკვნითი აქტი, რომელიც აღმოსავლური ხელშეკრულებების მეოხებით იქცა რეალობად, გახლავთ კურსის განსაზღვრა უფრო დიდი ევროპისათვის — ატლანტიკიდან ურალამდე. მას ჩვენი, გერმანული ხელწერაც ატყვია. ის ადასტურებს, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობები მხოლოდ განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლის საკითხებით კი არ უნდა შემოიფარგლოს, არამედ უნდა განივრცოს და უფრო მასშტაბური გახდეს. მან განაპირობა დამოუკიდებელი განვითარების პროცესების დაწყება ვარშავულ ბლოკშიც...

თუ ევროპაში უფრო აცივდება, თუ დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირება გაღრმავდება, მაშინ საზღვრიდან ძლიერ დაშორებით ევროპას პროტესტის ტალღა გადაუვლის. ორად გახლეჩილი ხალხი კი იტანჯება. ჭრილობა მტკივნეული გახლავთ... რეიკიავიკში ყურადღების გამახვილება ნულოვან ვარიანტზე საშუალო სიშორის გრძელი რადიუსის რაკეტებთან დაკავშირებით ჩვენს ინტერესებში შედის. საბჭოთა კავშირმა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის საპირისპირო ღონისძიებათა პაკეტი მოხსნა დღის წესრიგიდან და ამან ნულოვანი ვარიანტი შესაძლებელი გახადა. ჟენევაში გამართულ განიარაღების პრობლემებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე მოხდა შეთანხმება ქიმიური იარაღის საყოველთაო აკრძალვის თაობაზე და პრობლემის გადაჭრას წინ აღარაფერი უდგას. არავითარი ეჭვი აღარ უნდა გვქონდეს, რომ რეიკიავიკამდელ დროში დასაბრუნებელი გზა აღარ არსებობს...“

ბრძოლა ახალი რატიფიცირებისათვის: ბუნდესტაგის საარჩევნო კამპანია - 1987

ხუთშაბათი, 15 იანვარი, ოჯახს დაეთმო, ოღონდ სამწუხარო მიზეზის გამო. ამ დღეს მიწას მივაბარეთ ბიძია მაქსი, 1937 წელს გარდაცვლილი მამაჩემის უცოლშვილო ძმა. ჩვენთვის ის ოჯახის ცოცხალი მატიანე გახლდათ: მან ყველაფერი იცოდა ჩვენზე და ჩვენს წინაპრებზე. ის სამაგალითოდ გაისარჯა ოჯახისთვის, როცა 1945 წელს ტორგაუდან მომავალი, სადაც ის „კორნჰაუზის“ ფირმაში ეკონომისტად მუშაობდა, მამის სახლ-კარს ეწვია, თავისი ძმის, მისი ოჯახისა და ჯერ კიდევ ცოცხალი მამის მოსანახულებლად. მკითხველს ალბათ გაახსენდება ის ამბავი, როცა ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ჯარისკაცებმა სოფლის გუბურასთან სამი კაცი მათი ოჯახების თვალწინ დახვრიტეს. ოთხი სხვა მამაკაცი, მათ შორის არტურ გენშერიც, მამაჩემის მეორე ძმა, რომლის მფლობლობაშიც იყო კარ-მიდამო გადასული, სატვირთო მანქანით გვამებთან ერთად წაიყვანეს. მას შემდეგ მისგან აღარაფერი გვსმენია. მხოლოდ რუსეთში მომხდარი გარდატეხის შემდეგ შევძელი დამედგინა, რომ ბიძაჩემისთვის ათი წელი მიესაჯათ და მურმანსკთან ახლომდებარე ბანაკში გადაეყვანათ. იქ უკვე იკარგება მისი კვალი.

მაშინ, 1945 წელს, ბიძია მაქსი, რომელიც სოფელში მომხდარი ამბების შემდეგ ერთ ხანს დაპატიმრებული იყო, შინ დარჩა და რძალს მამულის მოვლა-პატრონობაში ეხმარებოდა, ვიდრე მთელი ოჯახი 1953 წელს დასავლეთ გერმანიაში არ გადავიდა. იქ მან თავისი ძველი პროფესიით ვეღარსად მოიკიდა ფეხი და ქიმიურ საწარმოში მუშაობით გაჰქონდა თავი ამასობაში სმენადაქვეითებულს. მას შემდეგ, რაც მან სამსახურს თავი დაანება და პენსიაზე გავიდა, ჩვენ ის რურის ოლქიდან ბონის მხარეში გადმოვიყვანეთ. დედაჩემმა და ჩემმა მეუღლემ ბოლოს მას ბად ჰონეფში ერთ მშვენიერ მოხუცებულთა პანსიონატში უშოვეს ადგილი, სადაც ის ძალიან კარგად გრძნობდა თავს. ჩვენ მას კვირაობით ვნახულობდით, ანარადა შინ მოგვყავდა ხოლმე. ამავე დროს ის არ უნდა დაკლებოდა ჩვენს ოჯახურ ზეიმებს. გარდაიცვალა მალტის საავადმყოფოში, ბონში, სადაც პროფესორი კესლერი მას მზრუნველო-

ბას არ აკლებდა.

ამასობაში კი საარჩევნო ბრძოლა გონზე მოსასვლელად დროს აღარ გვიტოვებდა. ბიძაჩემის დასაფლავებისთანავე დავადექი გზას მიულჰაიმის, დორტმუნდისა და ჰამბურგისკენ, რათა წინასაარჩევნო შეხვედრებში მიმეღო მონაწილეობა. ბოლოს 24 იანვარს გამოვედი სიტყვით გამოფენა „ნავი-87"-ის გახსნის ცერემონიალზე დიუსელ-დორფში. საკმაოდ ჩახლეჩილი, ლამის მთლიანად დაკარგული ხმით წარმოვთქვი: „ქალბატონებო და ბატონებო, ჩემი ხრინწიანი საუბრის მოსმენისას შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რაოდენ საჭიროა არჩევნებში ხმა", და როცა ამას მქუხარე ტაში მოჰყვა, მივხვდი — არჩევნების ბედი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდა. თუ ჩვენ ოთხი წლის წინ — 1983 წელს ხმათა შვიდი პროცენტი მოვიპოვეთ, ახლა 1987 წელს 9 პროცენტს გადავაჭარბეთ. ეს იყო შესანიშნავი წარმატება.

ჩვენ შეგვეძლო პოზიციები კიდევ უფრო განგვემტკიცებინა. პირადად მე საკმარისი საბაბი მქონდა იმისათვის, რომ სრულიად კმაყოფილი ვყოფილიყავი, რადგანაც წინასაარჩევნო ბატალიებს, სხვათა შორის, თან ახლდა მოთხოვნა: „გენშერი საგარეო საქმეთა მინისტრად უნდა დარჩეს". შტრაუსი კვლავაც აშკარად ეპოტინებოდა საგარეო საქმეთა უწყებას და მას შემდეგ, რაც 1986 წელს დაიწყო დისკუსია საგარეო საქმეთა უწყებაში გაბედული მინისტრის მოყვანის თაობაზე, კანცლერის აპარატმა ხმა გაავრცელა, მინისტრების დანიშვნის საკითხი მხოლოდ არჩევნების შემდეგ გადაწყდებაო. ამასთან დაკავშირებით, ყველა ჩემ მიერ მოწყობილ შეხვედრაზე ვამბობდი, რომ ისევე, როგორც ჰელმუთ კოლმა 1987 წლის 25 იანვარს ფედერალური კანცლერის რანგში არჩევნებში თავისი კანდიდატურა წარადგინა, მე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, ამასვე მოვიმოქმედებდი. ისევე, როგორც ლუდვიგ ერჰარდის შემთხვევაში, როცა მან ეკონომიკის მინისტრის რანგში გადაწყვიტა არჩევნებში მიეღო მონაწილეობა, 1983 და 1987 წლებშიც არჩევნებში კენჭი ეყრებოდა არა მხოლოდ მომავალ ფედერალურ კანცლერს, არამედ მომავალ საგარეო საქმეთა მინისტრსაც. 1990 წელს ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ უნდა განმეორებულიყო.

საარჩევნო შედეგის გაუმჯობესებამ თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას მეტი სიმშვიდე და თავდაჯერება შესძინა. ამომრჩევ-

ლებმა მეორეჯერაც დაუჭირა მხარი 1982 წლის საკოალიციო გადაწყვეტილებას. მოპოვებულ ხმათა რაოდენობის მნიშვნელოვანმა ზრდამ შვიდიდან ცხრა პროცენტამდე კვლავ დაგვანახა, რომ 1982 წელს სწორი გადაწყვეტილება მიგვიღია, მეტიც, რომ ჩვენი მუშაობა კოალიციაში ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირთან და ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთან შთამბეჭდავ უკუგებას იძლეოდა. თავდაჯერებულ და დამოუკიდებელ თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას, რომელიც საკუთარი თავის და მისი ძირითადი პრინციპების ერთგული რჩება, შეუძლია ამომრჩეველის მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს. თანასწორუფლებიანი ურთიერთობა კოალიციაში შემავალ ორ პარტნიორს შორის სტაბილურობას ნერგავს კოალიციაში, და პირიქით: უფრო ძლიერი პარტიის მცდელობები, დომინირებდეს ამ ურთიერთობებში, საფრთხეს უქმნის კოალიციას.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას ხმები შეემატა, საერთო ჯამში სამთავრობო კოალიციამ ხმათა 2,4 პროცენტი მაინც დაკარგა. ქრისტიანულ-დემოკრატიული/ ქრისტიანულ-სოციალური კავშირების ალიანსმა ვერ წარმოაჩინა თავისი საუკეთესო ნიშან-თვისებები, თუმცა პოლიტიკური ვითარება ამისათვის თითქოსდა ხელსაყრელი ჩანდა: სოციალ-დემოკრატიული პარტია შიგნიდან იყო გახლეჩილი და კანცლერობის კანდიდატს, ჩემგან დიდად დაფასებულ იოჰანეს რაუს, მასზე დაკისრებულ მძიმე ტვირთს მისივე საკუთარი ხალხი სწორედაც რომ ვერ უმსუბუქებდა.

საკოალიციო მოლაპარაკებები მყარ საძირკველს უყრიდა საკოალიციო შეთანხმებებს. ჩემთვის, საგარეო საქმეთა მინისტრისათვის, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ვითარება დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებში თამამი, მომავალზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას ითხოვდა — უპირველესად განიარაღების სფეროში. დასავლეთს საბოლოოდ ერთობლივი პოლიტიკური პასუხი უნდა მოეძებნა იმაზე, რასაც გენერალური მდივანი გორბაჩოვი „ახალ აზროვნებას“, საბჭოთა კავშირის ახალ პოლიტიკას უწოდებდა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის ეს საკმარის თავდაცვისუნარიანობასა და დასავლეთის დემოკრატიებთან მტკიცე ერთიანობაზე დაფუძნებული, რეალისტური დაძაბულობის შენელების პოლიტიკის თანამიმდევრულად გაგრძელებას ნიშნავდა.

პროპაგანდისტული მუშაობა — როგორც ალიანსში, ისე — შინ

საარჩევნო ბატალიების პერიოდში გერმანია-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის ახალ პერსპექტივებზე საუბარს თავი ავარიდე. მე, რა თქმა უნდა, ზოგადი ფორმით გამოვთქვამდი ჩემს პოზიტიურ დამოკიდებულებას მოსკოვში განვითარებულ ახალ პროცესებთან დაკავშირებით. და მაინც, ძირითადი სათქმელი, რომ დასავლეთი გორბაჩოვს სერიოზულად უნდა მოჰკიდებოდა, უნდა მოეთხოვა მისთვის დანაპირების შესრულება, რათა ისტორიული შანსი ხელიდან არ გაეშვა, მე დავოსისთვის შემოვინახე, სადაც 1987 წლის 1 თებერვალს სიტყვით უნდა გამოვსულიყავი. და იქ, ბოლოს და ბოლოს, ჩამოვაყალიბე ალტერნატივები, რომლებიც დასავლეთს გააჩნდა და გამოვიტანე დასკვნები:

„კაცობრიობა დგას დილემის წინაშე: დაადგეს კონფრონტაციის გზას და დაიღუპოს თუ ერთობლივი ძალისხმევით გადაირჩინოს თავი. თავის გადარჩენისათვის საჭიროა თანამშრომლობა, რაც მოითხოვს გარანტიებს ბუნებრივი სასიცოცხლო საფუძვლების, ცხოვრების ყველა სფეროს განვითარებისა და კოოპერაციული უშიშროების სტრუქტურათა შემქნისათვის. ვისაც სურს გორბაჩოვის განცხადებებს ხელი ჩასჭიდოს და გამოიყენოს ისინი, ის მზად უნდა იყოს თანამშრომლობისათვის. ვინც თანამშრომლობას ეწინააღმდეგება, ის ვნებას მოუტანს საკუთარ ინტერესებს. დასავლეთს არ აქვს საბაბი საიმისოდ, სულმოკლეობა გამოიჩინოს და უარი თქვას თანამშრომლობაზე. ჩვენი დევიზი მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს: სერიოზულად აღვიქვათ გორბაჩოვი, ვენდოთ მის სიტყვას!

თუკი დღეს გამოჩნდებოდა იმისი შანსი, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთის ორმოცწლიან დაპირისპირებას ბოლო მოჰღებოდა, ისტორიული შეცდომა იქნებოდა დასავლეთის მხრივ ამ შანსის ხელიდან გაშვება მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ დაეღწია თავი იმ აზრისთვის, თითქოს საბჭოთა კავშირისაგან კარგს არაფერს უნდა ელოდო.

მაშინ ვიჯდეთ გულხელდაკრეფილნი და ველოდოთ, რას მოგვართმევს გორბაჩოვი! ამას ბევრად სჯობია, ვეცადოთ ჩვენის მხრივ მოვახდინოთ ზეგავლენა მოვლენების განვითარებაზე, დავაჩ-

ქაროთ ის და მივცეთ ფორმა და სახე.

საშიში უფრო ის იქნებოდა, თუ ჩვენ ნაცვლად იმისა, რომ მხნეობა მოგვეკრიბა, ილუზიებს შევიქმნიდით იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირის დღევანდელი ნაბიჯები მისი სისუსტის შედეგია, რაც უნდა გამოიყენო და გააღრმაო კიდეც. საჭიროა სიმტკიცე, მაგრამ ძალის პოლიტიკა, სწრაფვა უპირატესობის მოსაპოვებლად, შეიარაღების პოლიტიკა, კუთხეში ჩასაფრება ერთხელ და სამუდამოდ წარსულს უნდა ჩაბარდეს — დასავლეთშიც, რა თქმა უნდა. ასეთი ქცევა კაცობრიობას კატასტროფამდე მიიყვანდა".

ამ გამოსვლას ისეთი გამოხმაურება მოჰყვა, როგორიც მოსალოდნელი იყო: ერთნი სრულად ეთანხმებოდნენ ამ მოსაზრებებს, მეორენი უკიდურესად სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი და ნეგატიურად აფასებდნენ მას. არამეგობრული განზრახვით მოფიქრებული სიტყვა „გენშერიზმი" ხელახლა გაცოცხლდა. იგი თავდაპირველად გერმანელმა მემარცხენეებმა გამოიყენეს დაძაბულობის შენელების ჩემი რეალისტური პოლიტიკის გასაკრიტიკებლად, ახლა კი ეს ცნება ამერიკიდან და ინგლისიდან დაგვიბრუნდა უკან — ცხადია, სრულიად სხვა შინაარსით დატვირთული. ამჟამად ის შეიცავდა საყვედურს იმ ილუზიების გამო, რომელიც თითქოსდა მე მქონდა საბჭოთა კავშირის მიმართ. გერმანიაშიც გაისმოდა ღია თუ შეფარული კრიტიკა, თვით ფედერალურ მთავრობაშიც კი, და მაინც, მე ეს ოდნავადაც არ მაშფოთებდა, რადგანაც იმ დროისათვის სავსებით დარწმუნებული ვიყავი ჩემი შეხედულებების სისწორეში გორბაჩოვისა და შევარდნაძის ჭეშმარიტ მიზნებთან დაკავშირებით. ეს განცდა ვენაში გამართულმა საუბარმა კიდევ უფრო გამიძლიერა.

საკვანძო პუნქტად უკვე გორბაჩოვისადმი ნდობის საკითხი კი აღარ რჩებოდა, არამედ ის, თუ როგორ შეძლებდა დასავლეთი მისი წყალობით წარმოჩენილი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას საერთოევროპული, სამართლიანი და ხანგრძლივი სამშვიდობო წესრიგის დასამყარებლად და ამის შედეგად ჰარმელის მოხსენების მიზნის — გერმანიის ერთიანობის — მისაღწევად. მე ეს მხოლოდ ასე შემიძლია გამოვხატო: დასავლეთს — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — შეფუცხუნება სჭირდებოდა. იგივე შეიძლებოდა თქმულიყო გერმანიის დასავლურ-აღმოსავლურ პოლი-

ტიკაზეც — ჩვენი, გერმანელების მიზანი ხომ ის იყო, რომ ევროპის დანაწევრების დაძლევის გზით გერმანული საკითხი გერმანიის გაერთიანებისადმი მიძღვნილ წერილში გამოხატული თვალსაზრისის შესაბამისად მოგვარებულიყო. საბჭოთა კავშირსა და ვარშავის ხელშეკრულებით გაერთიანებულ სხვა სახელმწიფოებში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესს შესაძლოა მოვლენათა დრამატული განვითარება მიჰყოლოდა, ამიტომ სტაბილური ჩარჩოპირობების შექმნა იყო საჭირო. ამავე დროს უარი უნდა თქმულიყო ყოველივე იმაზე, რაც ამ პროცესს საფრთხეს შეუქმნიდა, რადგანაც არარეალისტური იქნებოდა გვეფიქრა, რომ მიუხედავად გორბაჩოვისა და შევარდნაძის გულწრფელ ზრახვათა ასეთი მხარდაჭერისა, საბჭოთა კავშირში აღარ მოიპოვებოდა გავლენიანი ძალები, რომელთაც ძველებური პოლიტიკის გაგრძელება ერჩივნათ. ყველა ისინი, რომლებიც განჭვრეტდნენ ამ პოლიტიკის მოსალოდნელ შედეგებს, მართლა მზად იქნებოდნენ თუ არა, დაეთმოთ ის ძალაუფლება და გავლენა, რომელიც საბჭოთა კავშირმა ომის შემდგომ ევროპაში მოიპოვა? ეს აზრი რომ თვით ისეთი ადამიანისთვისაც კი, როგორიც გორბაჩოვი იყო, ძნელი მისაღები გახლდათ, ამაში თვითონ დავრწმუნდი მოსკოვში გამართული მოლაპარაკებების დროს, როდესაც ის რეიგანის მოთხოვნას, იალტის შედეგები გაუქმებულიყო, კრიტიკულად შეხვდა.

დასავლეთის პოლიტიკური ძალისხმევა ახლა იქით უნდა წარმართულიყო, რომ გორბაჩოვსა და მის მხარდამჭერ ძალებს პოზიტიური პასუხები მიეღოთ: ჩვენ სწორედაც რომ არ გვქონდა უფლება, გორბაჩოვის მოწინააღმდეგეებისთვის მიგვეცა არგუმენტები, მით უფრო, რომ არ არსებობდა საიმისო გარანტიები, რომ გორბაჩოვს უკვე მტკიცედ ეპყრა ხელთ ძალაუფლების სადავეები. თუმცა ის სრულიად სხვა პიროვნება გახლდათ, ვიდრე ხრუშჩოვი, რომელიც როდის რას მოიმოქმედებდა, არავინ იცოდა, მაგრამ თვით საკუთარ ძალებში დარწმუნებულ, შეუპოვარ გორბაჩოვსაც, თუკი იგი რევოლუციურ გარდაქმნებს გააგრძელებდა, საბჭოთა ხელმძღვანელობაში არსებული ორთოდოქსული ძალების მხრივ შეიძლება საფრთხე დამუქრებოდა.

იმდროინდელი ამერიკული პოლიტიკა მე წინააღმდეგობრივი მეჩვენებოდა. პრეზიდენტ რეიგანს სრულიად აშკარად სურდა ევროპისა და გერმანიის დანაწევრების დაძლევა, რაც მთლიანად შეესაბამებოდა ჩვენს, როგორც ჰარმელის მოხსენების ერთგული ნატოს წევრი ქვეყნის წარმოდგენებს. ამერიკელთა წინადადებები განიარაღებასთან დაკავშირებით ასევე მთლიანად ესადაგებოდა ჩვენს ინტერესებს, თუმცა ჩემი პოზიცია აქ განსხვავდებოდა ზოგიერთი ევროპელი და ამერიკელი კონსერვატორის პოზიციისაგან, რომლებიც, როგორც ცნობილია, რეიგანს მეტისმეტ დამთმობლობას უსაყვედურებდნენ.

მიუხედავად ამისა, რეიგანისეული აზროვნების ორი პოსტულატი მე უკიდურესად პრობლემატური მეჩვენებოდა: პირველი იყო სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამა, რასაც უფრო დაბნეულობისა და დესტაბილიზაციის ელემენტი შემოჰქონდა, რაკიღა ამერიკელებისა და ევროპელი მოკავშირეებისათვის უსაფრთხოების განსხვავებულ სტატუსს აფიქსირებდა, მეორე კი გახლდათ — შექმნილ ვითარებაში — რეიგანის მიერ ბირთვული იარაღის მორალური დაგმობა, რამაც გერმანიაში ის ძალები წაახალისა, რომელთაც უკვე უარი ჰქონდათ ნათქვამი ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებაზე. დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობაში ძირეული ცვლილებების დაწყებამდე ხომ დასავლეთ ევროპის უსაფრთხოება ბირთვულ მუქარაზე იყო დამოკიდებული! ალიანსის თვალსაზრისით — რაც 1981 წელს კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა —, დაშინების სტრატეგია მხოლოდ ომის მიმართ შიშის გამოწვევას, ანუ ომის თავიდან აცილებას ემსახურებოდა. და მაინც, ამ რთულ ფაზაში რეიგანის ძალისხმევა სტრატეგიული იარაღისა და საშუალო სიშორის რაკეტების შეიარაღებიდან ამოღების თაობაზე მთლიანად ეთანხმებოდა ვითარების ჩემეულ შეფასებებს და იმედებს. გვიანდელ მისწრაფებებს კი — მოკლე რადიუსის ბირთვული პოტენციალის მოდერნიზებას რომ გულისხმობდა — ჩვენ ვეღარ დავუჭერდით მხარს, რადგანაც ის ეწინააღმდეგებოდა თვით რეიგანის მორალურ თვალსაზრისს, რომელიც მკვეთრად ნეგატიური იყო ბირთვული შეიარაღების მიმართ. მოკლე რადიუსის რაკეტების მსხვერპლი უმალ შუა ევროპის ხალხები გახდებოდნენ, რადგანაც მათი მოქმედების რადიუსში მხოლოდ ეს რეგიონი იმყოფებოდა.

ამგვარად, გორბაჩოვის გამოჩენამ საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე შთამბეჭდავად დაადასტურა პიროვნების როლის მნიშვნელობა ისტორიაში. „თქვენ თქვენი ახალი აზროვნებით შთამბეჭდავად დაადასტურეთ ისტორიის იდეალისტური გაგების მართებულობა, რომელიც მოქმედ პიროვნებებს გადამწყვეტ როლს ანიჭებს. ამითვე თქვენ ასევე უაღრესად შთამბეჭდავად წარმოაჩინეთ უმართებულობა ისტორიის მატერიალისტური გაგებისა, რომელიც უარყოფს პიროვნების როლს", — ვუთხარი მე მას მოგვიანებით, ჯერ კიდევ პრეზიდენტის პოსტზე მისი ყოფნისას.

გორბაჩოვმა და შევარდნაძემ ისტორია შექმნეს. ეს ხანგრძლივი დროით განსაზღვრავს მათ სახეს. დასავლეთის თავდაპირველი რეაქცია კი — ესეც უნდა ითქვას — სრულიადაც არ გახლდათ მხოლოდ შორსმჭვრეტელური, ხშირად ის სულმოკლეობით იყო აღბეჭდილი, რასაც აზროვნების ძველებური სტილი განაპირობებდა. ამ მიზეზით შეხლა-შემოხლა ახალი აზროვნების თაობაზე მოსკოვში, ე. ი. დამოკიდებულება გორბაჩოვისა და შევარდნაძის მიმართ, ისტორიის ჩარხის შემობრუნებისთვის ჭიდილს წააგავდა. საჭირო იყო, არ გაგვეშვა ხელიდან მსოფლიოისტორიული მომენტი.

ამიტომ 1987 წლის 14 მარტს თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ნორდრაინ-ვესტფალენის სამხარეო ყრილობის წინაშე მე განვაცხადე: „კედელი და ეკლიანი მავთულხლართები, დღეს რომ ევროპის ქვეყნებს ერთმანეთისგან აშორებს, გერმანიის გულშია გატარებული. აქედან გამომდინარე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა იმედს ევროპაში სამშვიდობო წესრიგისკენ მიმართულ ევოლუციაზე ამყარებს. იგი საგარეო და შიდაგერმანული პოლიტიკის საკვანძო საკითხად მიიჩნევს იმას, რომ დასავლური ალიანსის ფარგლებში და ამ ალიანსთან მტკიცე კავშირის პირობებში იმ მამოძრავებული ძალის როლი შეასრულის, რომელიც დასავლურ-აღმოსავლურ ურთიერთობებს ასეთი სამშვიდობო წესრიგისაკენ წარმართავს".

იმ ადამიანთა რიცხვს, ვინც განამტკიცეს ჩემი შეხედულებების სისწორე „გლასნოსტისა" და „პერესტროიკის" შესახებ, ჟურნალ „შპიგელის" გამომცემელი რუდოლფ აუგშტაინიც მიეკუთვნება. ამიტომაც განსაკუთრებით გამიხარდა, რომ საშუალება მომეცა დავოსში მიღწეული წარმატების შემდეგ რუდოლფ აუგშტაინი-

სათვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით 10 თებერვალს ვუპერტალში, ბერგის უნივერსიტეტში გავმგზავრებულიყავი. აუგშტაინთან მე ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობები მაკავშირებს და „რიოდერ ჰაუზში" ოფიციალური საზეიმო ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ეს მოვლენა ხელოვანთა ტრაქტირში — სახელწოდებით „პალეტე" — აღვნიშნეთ. რამდენიმე საათით შევძელი საკოალიციო მოლაპარაკებებსა და პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე აღარ მეფიქრა.

ურთიერთობა ჩემსა და აუგშტაინს შორის მრავალი წლის განმავლობაში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა. ბევრს არ ესმოდა, რატომ ვმეგობრობდით ჩვენ, მაშინ როცა „შპიგელში" ხშირად იბეჭდებოდა კრიტიკული სტატიები ჩემზე, რომელთაც ზოგჯერ თვით რუდოლფ აუგშტაინი აწერდა ხელს. „როგორ მიგიდით საქმეები თქვენს თანაპარტიელ მეგობართან რუდოლფ აუგშტაინთან?" — მეკითხებოდნენ ხშირად, როდესაც „შპიგელში" თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაზე ან სულაც ჩემზე განსაკუთრებულად არაკეთილგანწყობილი წერილი დაიბეჭდებოდა ხოლმე. პრესის თავისუფლებისა და პრესის პასუხისმგებლობის თაობაზე ჩემი შეხედულებების გამო ასეთი შეკითხვები მეუცნაურებოდა. ჩვენს მეგობრობას მე სხვა თვალით ვუყურებდი, მით უფრო, რომ გამორიცხული იყო, რუდოლფ აუგშტაინსა და მის „შპიგელზე" მეგობრობითა და თანაპარტიელობით მოგეხდინა ზემოქმედება. ამგვარ დამოკიდებულებაში მჟღავნდებოდა ჩვენი ლიბერალური თანამოაზრეობა. რაზე არ მისაუბრია რუდოლფ აუგშტაინთან, მაგრამ არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ მას როგორც ჟურნალისტსა და გამომცემელს ეს პირადი საუბრები თავისი ჟურნალისტური მიზნებისთვის გამოეყენებინოს.

საერთოდ, როგორ უნდა გრძნობდეს თავს პარტიის წევრი ლიბერალი, რომელსაც გერმანიის მედია-ლანდშაფტის ესოდენ მნიშვნელოვან ნაწილზე აუღია პასუხისმგებლობა? ასეთი პროფილის პუბლიცისტი — მე შემიძლია ეს სიამაყით ვთქვა თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაზე — ალბათ მხოლოდ ლიბერალურ პარტიაში შეიძლება იყოს გაწევრიანებული. ეს პარტია თავისი პარტიული მეგობრისგან იმას კი არ ელოდება, რასაც არალიბერალურად „პარტიულ დისციპლინას" უწოდებენ, არამედ ყველაფერს, რასაც ის წერს,

მის ჟურნალისტურ პასუხისმგებლობას მიანდობს. შესაძლოა ის ხანდახან თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წევრობის გამო იძულებული ხდებოდა უფრო კრიტიკულიც კი ყოფილიყო, რათა ხაზი გაესვა თავისი მსჯელობის მიუკერძოებლობისათვის. მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ თავისი ჟურნალით მან სრულიად განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ჩვენი ლიბერალური საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში.

კარგ მოგონებად დამრჩა კანდიდატ რუდოლფ აუგშტაინის საარჩევნო ბრძოლა 1972 წელს პადერბორნის საარჩევნო ოლქში, სადაც ის რაინერ ბარცელს ეპაექრებოდა. მან თვითონ მოინდომა ამ საარჩევნო ოლქში ეყარა კენჭი და მოგზაურობდა მთელ მხარეში, როგორც ყოველი ჩვენგანი, გამოდიოდა სიტყვით დიდი თუ პატარა პუბლიკის წინაშე. როდესაც მხარდასაჭერად ვახლდი, შევამჩნიე, რომ მას სხვებზე მეტად უჭირდა, რადგანაც ბევრი მასში მხოლოდ „შპიგელის“ გამომცემელს ხედავდა და არა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კანდიდატს. ზოგიერთები მის მიმართ ინტერესსა და კეთილგანწყობას გამოხატავდნენ, მაგრამ ისეთებიც საკმაოდ იყვნენ, რომლებიც შორს იჭერდნენ მისგან თავს, მტრულად და სიძულვილითაც კი იყვნენ გამსჭვალულნი მისდამი.

მან გაუძლო ყოველივე ამას, ვაჟკაცობა გამოიჩინა და გერმანიის ბუნდესტაგში მოხვდა. აქ იგი შიდაპარტიულ წესებს შეეჯახა, შეეჯახა იძულებას, რომელსაც ისინი ექვემდებარებიან, ვისაც, როგორც ფიქრობენ, პარტიაში სიტყვა ეთქმით — მაგრამ მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ეს დემოკრატიულ, თანაც ლიბერალურ პარტიაში არის შესაძლებელი. თუმცა მე გავუგე მას, როცა ბოლოს და ბოლოს მანდატი დატოვა, მაგრამ ძალიან დამწყდა გული. ახლა როცა უკან ვიხედები, ვფიქრობ, რომ ის სწორად მოიქცა: წინააღმდეგობა, ერთის მხრივ, მის ჟურნალისტურ პასუხისმგებლობასა და, მეორეს მხრივ, ბუნდესტაგის ფრაქციის, თანაც სამთავრობო ფრაქციის, წევრობას შორის მეტისმეტად დიდი უნდა ყოფილიყო.

ჩვენი მეგობრობა ერთიმეორისადმი პატიოსანი, კრიტიკული, კეთილშობილური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა, მეტადრე მაშინ, როდესაც ერთმანეთისგან განსხვავებული შეხედულება გვქონდა ამა თუ იმ საგანზე, თუნდაც მაასტრიხტის ხელშეკრულებებზე. აუგშტაინს ხშირად გავუმხნევებივარ, როცა სჯეროდა, რომ ერთ

დეპეშას, ტელეფონის ზარს თუ წერილს შეეძლო ძალა მოეცა ან დავეფიქრებინე. მასთან პირადი საუბარიც ძალიან ბევრს ნიშნავდა ჩემთვის.

როდესაც მან 1993 წლის 5 ნოემბერს თავისი სამოცდამეათე დაბადების დღე იზეიმა, არამარტო მივულოცე მას, როგორც მეგობარს, არამედ ის დღე მასთან ერთად გავატარე. აუგშტაინის დიდ ჟურნალისტურ, საგამომცემლო და პოლიტიკურ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ მისი ქცევა ეგრეთ წოდებული „შპიგელის" ინციდენტის დროს, როცა მან მოქალაქეობრივი შემართება და სიმტკიცე გამოამჟღავნა. მისმა თავდადებამ გერმანიის ერთიანობისთვის, მისმა ძალისხმევამ 1990 წლის 3 ოქტომბრისკენ მიმავალი გრძელი გზის აუცილებლობისა და სისწორის დასამტკიცებლად, იმ პერიოდში პოლიტიკურად ჩვენ განსაკუთრებით დაგვაახლოვა.

1987 წლის პირველ კვირებსა და თვეებში გათვალისწინებული იყო რამდენიმე შინაგანხილვა, რომლებიც დიდ დროს მოითხოვდა: საქმე ეხებოდა ეგრეთ წოდებულ წყალქვეშა ნავებთან დაკავშირებით შექმნილ კომისიას. საგარეო საქმეთა სამინისტრო და პირადად მე ყოველთვის სამხრეთ აფრიკისათვის წყალქვეშა ნავების მიწოდების წინააღმდეგი ვიყავით; საპარლამენტო საგამოძიებო კომისიისათვის ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი უნდა მოძიებულიყო. საგარეო უწყების ყველა სამუშაო რგოლი მთლიანად ამ პრობლემით იყო დაკავებული. თვითონ მინისტრი, რომელიც კომისიის წინაშე ანგარიშით უნდა გამოსულიყო, იძულებული იყო, ამ გაუთავებელ თათბირებზე თავისი გამოსვლის ტექსტი მოემზადებინა. ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა საუბარი უნდა გაგვეხსენებინა — საუბრები კოალიციაში, მთავრობაში, აგრეთვე საუბრები სამხრეთ აფრიკის მთავრობის წარმომადგენლებთან. დამატებით სიძნელეებს ქმნიდა ის, რომ საქმე ეხებოდა კარგა ხნის წინანდელ პროცესებს, რომლებსაც საგარეო უწყების თანამშრომელთა დიდი როტაციის გამო ის მოხელეები აღარ კურირებდნენ, ვისაც თავის დროზე მათი დამუშავება ევალა.

11 მარტს ფედერალურმა კანცლერმა ფიცი დადო. მეორე დღეს კაბინეტის წევრებმა 9 საათსა და 30 წუთზე ფედერალური პრეზიდენტის, ვაიცზეკერისაგან მიიღეს თანამდებობაზე დანიშვნის

უწყება. 11 საათზე მათაც დადეს ფიცი. ამგვარად, შეიქმნა კოლ-გენშერის მესამე მთავრობა. მეორე დღეს 14 საათსა და 30 წუთზე თანამდებობიდან გათავისუფლების უწყებები გადავეცი სახელმწიფო მინისტრებს — შტაფენჰაგენსა და მიოლემანს. ლუც შტაფენჰაგენი სამუშაოდ კანცელარიაში გადადიოდა, იურგენ მიოლემანი კი გა-ნათლებისა და მეცნიერების მინისტრად დაინიშნა. ჩემი მინისტრად მუშაობისას პირველად მოვახერხე საგარეო უწყებაში ორი სახ-ელმწიფო მინისტრის აყვანა თავისუფალი დემოკრატიული პარტი-იდან, რასაც ფედერალურ კანცლერთან ცხარე კამათის შედეგად მივაღწიე. სახელმწიფო მინისტრ შეფერის კანდიდატურა პარტიის ფედერალური ხელმძღვანელობისა და საპარლამენტო ფრაქციის საერთო სხდომაზე ხმათა უმრავლესობით იქნა შემოთავაზებული. ამასთან ერთად, წამოვაყენე ირმგარდ ადამ-შვეცერის კანდიდატუ-რა. ის გახდა პირველი ქალი, რომელიც საგარეო პოლიტიკის სფეროში ასეთ მნიშვნელოვან პოსტს იკავებდა, და რომელიც ევრო-პულ პოლიტიკას უნდა ჩასდგომოდა სათავეში.

საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობის ხანგრძლივი სტაჟის გამო ახალი ფედერალური მთავრობის ჩამოყალიბების პროცესი უკვე აღარ იყო ჩემთვის რაიმე უჩვეულო მოვლენა. თანამშრომლები არჩევნებამდე იყვნენ დარწმუნებულნი, რომ არჩევნების შემდეგ მე კვლავ მინისტრის თანამდებობაზე დავრჩებოდი და ამიტომ უწყების თანამშრომელთა კრებაზე, რომელსაც მინისტრის შეცვლისას იწვევენ ხოლმე, უარი ითქვა. მაგრამ სახელმწიფო მინისტრების შეცვლის გამო მაინც ყველა შეიკრიბა. სახელმწიფო მინისტრების დანიშვნა და გათავისუფლება შემდეგნაირად მიმდინარეობს: ფედერალური მინისტრი ფედერალურ კანცლერს წარუდგენს სახელმწიფო მინის-ტრის კანდიდატურას, რომელზედაც ისინი შეთანხმებულნი უნდა იყვნენ. ეს მე კანცლერთან საუბარში, რომელსაც პარტიის თავმჯ-დომარე მარტინ ბანგემანიც ესწრებოდა, უკვე მოვაგვარე, ასე რომ, ჩემს უწყებაში უკვე შემეძლო ყოფილი სახელმწიფო მინისტრების — შტაფენჰაგენისა და მიოლემანისთვის განთავისუფლების, ხოლო მათი მემკვიდრეების — ირმგარდ ადამ-შვეცერისა და ჰელმუთ შეფერ-ისთვის თანამდებობაზე დანიშვნის სიგელები გადამეცა.

ქალბატონ შვეცერისათვის ეს უკვე მესამე ფუნქცია იყო, რომელიც მას ჩვენი ერთობლივი მუშაობის პერიოდში დაეკისრა:

1982 წელს ბერლინში გამართულ პარტიულ ყრილობაზე, როცა ბრძოლა გარდატეხისათვის პიკს აღწევდა, მისი კანდიდატურა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივნის პოსტზე წამოვაყენე. იმ დროისათვის ამ თანამდებობაზე წარდგენილ პიროვნებას მოეთხოვებოდა დიდი პასუხისმგებლობა, მიზანსწრაფულობა და სიმტკიცე — თვისებები, რომლებსაც ირმგარდ შვეცერი ნამდვილად ფლობს. ეს მან სწორედ იმ თვეებში დაამტკიცა და 1983 წლის 6 მარტის არჩევნებში მიღწეულ წარმატებას, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის განმტკიცებისა და მომავლისთვის, დიდად უნდა ვუმადლოდეთ პირადად მას. პარტიის გენერალური მდივნის პოსტის დატოვების შემდეგ ირმგარდ ადამ-შვეცერი პარტიის ხაზინადარი იყო და გადაწყვეტილება — დანიშნულიყო ის სახელმწიფო მდივნად ევროპის საკითხებში — სწორი აღმოჩნდა.

12 მარტს სიგელების გადაცემის შემდეგ, 17 საათზე ბუნდესტაგში აქტუალური საათი დაინიშნა. საღამოს 18 საათსა და 30 წუთზე შევძელი შინ წასვლა — ჩემ მეუღლეს დაბადების დღე ჰქონდა. რამდენიმე მეგობართან ერთად დრო მხიარულად გავატარეთ.

მეორე დღეს საგარეო უწყების თანამშრომელთა შეკრებაზე, რომელიც სამინისტროს „მსოფლიო დარბაზში" გაიმართა, მადლობა გადავუხადე უკვე მიმავალ სახელმწიფო მინისტრებს და ახლებს მუშაობის დაწყება მივულოცე. მერე შემდეგი არჩევნები მოგვადგა კარს — ბუნდესტაგის არჩევნებს სამხარეო პარლამენტის არჩევნები მოჰყვა რაინლანდ-პფალცის მხარეში.

1987 წლის საკოალიციო მოლაპარაკებებში საგარეო პოლიტიკა ყურადღების ცენტრში არ მოქცეულა. ამის საჭიროება არც ყოფილა, რადგანაც საერთო ინტერესების ქონა და პრინციპულ საკითხებზე თანხმობა განმსაზღვრელ როლს თამაშობდა კოლ-გენშერის მთავრობაში, ისევე როგორც ადრე — 1974 წლიდან 1982 წლამდე შმიდტ-გენშერის მთავრობაში.

1987 წლის 16 მარტს, ორშაბათს, ჩემთან სტუმრად ჩამოვიდნენ ჩემი ნათესავები გდრ-დან. ამჯერად უკვე მთელ ოჯახს მისცეს გამომგზავრების უფლება, თანაც მთელი ათი დღით, რადგანაც ჩვენ ერთად გვსურდა გვეზეიმა ჩემი მესამოცე დაბადების დღე.

თვალში მომხვდა, რომ ჩემი ნათესავები ამ სტუმრობის დროს გაცილებით ძალდაუტანებლად იქცეოდნენ, ვიდრე ადრეულ წლებში; განსაკუთრებით თვალნათლივ გამოჩნდა ეს 20 მარტის საღამოს: ჩემი სახლის წინ შეიკრიბნენ ჩემი წლოვანების ადამიანები ვახტბერგ-პეხიდან, რათა ჩემთვის სერენადა ემღერათ. ოჯახის წევრები და ძველი მეგობრებიც ჩაებნენ სადღესასწაულო მხიარულებაში. მაშინ მე წარმოდგენაც არ შემეძლო მქონოდა, რომ ეს ჩემი ბოლო დიდი დაბადების დღე იქნებოდა, რომელშიც ჩემი ოთხმოცდაექვსი წლის დედა მიიღებდა მონაწილეობას. მეჩვენებოდა, რომ მას რკინისებური ჯანმრთელობა ჰქონდა; დაახლოებით ღამის ორის ნახევარზე მან იკითხა, რატომ მთავრდებოდა დღეობა ასე ადრე. ვინაიდან პროგრამას „ინფორმაცია ბონიდან“ იმ საღამოს ჩემი სახლის წინ გამართული ზეიმის რამდენიმე წუთის გადაცემა სურდა, მე გავაფრთხილე ჩემი სტუმრები გდრ-დან: „ფრთხილად იყავით, ახლა ტელევიზია მოვა“, რათა უკან დაბრუნებისას პრობლემები არ შექმნიდათ. ახალგაზრდებმა მიპასუხეს: „არა უშავს, გვიყურონ რამდენიც უნდათ“. ეს რაღაც ახალი იყო. მოგვიანებით ისინი მომიყვნენ, რომ გდრ-ში ნაცნობებს უთქვამთ, ტელევიზორში გნახეთო. ჩემთვის მათი მოულოდნელი თავდაჯერებულობა კიდევ ერთი უტყუარი ნიშანი იყო იმისა, რომ რაღაც გდრ-შიც იცვლებოდა.

ჩემს დაბადების დღეს, დილის 8 საათზე კონცერტით მომიწყო სიურპრიზი ვუპერტალის მეხანძრეთა რაზმმა. ერთი საათის შემდეგ საგარეო უწყების ვენუსბერგის სასტუმრო სახლში მივიღე პაპის ნუნცია. ამის შემდეგ ჩვენ გავემგზავრეთ ბეთჰოვენის დარბაზში დაბადების დღისადმი მიძღვნილ მიღებაზე, რომელიც თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ ჩემ პატივსაცემად მოაწყო. იქ ჰელმუთ კოლიც გამოვიდა სიტყვით, ძალიან თბილად და მეგობრულად. ეს დღე, რომელმაც ბევრი სიხარული მომგვარა და კეთილი მოგონებები დამიტოვა, ბოლოს მხიარულ ზეიმში გადაიზარდა. სახლი ჩემი მეგობრებით იყო სავსე. შემდეგ ოთხშაბათს კიდევ ერთი ზეიმი მომიწყვეს ჯერ სამინისტროში, შემდეგ კი ჩემი დაცვის ჯგუფის წევრთა მონაწილეობით — შინ. ხუთშაბათს კვლავ საარჩევნო ბრძოლაში უნდა მიმეღო მონაწილეობა, ამჯერად ჰესენისკენ გავწიე.

სტაბილურობის პოლიტიკა სამხრეთ და ცენტრალური ამერიკისთვის

7-დან 14 აპრილამდე ვენესუელას, კოსტა-რიკასა და ელ-სალვადორს ვეწვიე. 9 აპრილს კარაკასში საზეიმოდ გავხსენი ახალი გერმანულ-ვენესუელური კულტურის ინსტიტუტი და ჩემ ვენესუელელ კოლეგასთან კონსალვისთან ერთად ხელი მოვაწერე ხელშეკრულებებს საჰაერო მიმოსვლისა და კომუნიკაციების შესახებ. ვენესუელა, როგორც ნავთობის მწარმოებელი სახელმწიფო, მაშინ ნავთობზე ფასების დაცემით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციას ცდილობდა; მაგრამ ნავთობის მწარმოებელი ქვეყნების მიერ ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული სახელმწიფოების წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნილების მკვეთრად შემცირება ჩვენც გვიქმნიდა პრობლემებს. ამიტომაც განვაცხადე კარაკასში: „შეგუების მტკივნეული პროცესები ინდუსტრიულ ქვეყნების ეკონომიკაშიც გარდუვალია. ინდუსტრიული და განვითარებადი ქვეყნები, ნედლეულის მწარმოებელი და ნედლეულის მომხმარებელი ქვეყნები სამოცდაათიანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული მსოფლიო ეკონომიკის, მისი განვითარების შესაძლებლობებისა და სტაბილურობისთვის ერთობლივი პასუხისმგებლობის გაცნობიერების პროცესში არიან ჩართულნი“.

ვალების პრობლემა მსოფლიო მასშტაბით სოლიდარობას მოითხოვდა. ამიტომაც ჩემი ვიზიტისას მინდოდა ნათელმეყო, რომ გერმანის ფედერაციული რესპუბლიკა თავის თავზე იღებდა გზისმკვლევის ფუნქციას ამ მიმართულებით: „აუცილებელია სავაჭრო და სავალუტო პოლიტიკის ლიბერალიზაცია. ინდუსტრიული ქვეყნების ბაზრებზე თავისუფალი ვაჭრობის გარეშე განვითარებად ქვეყნებს შანსი არა აქვთ, ექსპორტიდან ის შემოსავალი მიიღონ, რითაც ისინი თავიანთი უცხოური ვალების დაფარვას შეძლებენ... დავალიანების მქონე ქვეყნებს თვითონ შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, თუ ისინი ხელსაყრელ ეკონომიკურ ჩარჩოპირობებს შექმნიან საკუთარ ქვეყანაში. ეს კი ხელს შეუწყობს ადგილობრივი მწარმოებლების ინვესტიციებით დაინტერესებას. ეს, უპირველეს ყოვლისა, სწორ მიმართულებას მისცემს საერთაშორისო კაპიტალდაბანდებებს“.

ეკონომიკური ურთიერთობები გერმანიასა და ვენესუელას შორის კარგად იყო განვითარებული, რასაც ისიც უწყობდა ხელს, რომ საგარეო პოლიტიკის მხრივ ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს არანაირ პრობლემას არ უქმნიდა. ჩვენ მხარს ვუჭერდით ვენესუელის მოღვაწეობას კონტადორას ჯგუფში, რომელიც რეგიონში მყარი სამშვიდობო წესრიგისათვის იღვწოდა. ათპუნქტიანი გეგმა, რომელიც ამ მიზნით შეიმუშავა კოსტა-რიკის პრეზიდენტმა არიასმა, ჩემ მიერ ერთმნიშვნელოვნად იქნა მოწონებული. „მისი დამსახურება ის არის", ვთქვი მე, „რომ პლურალისტური დემოკრატიის აქამდე ზოგადად გასაზღვრული მიზნის კონკრეტიზაციას ახდენს. ცენტრალური ამერიკის ხუთივე სახელმწიფოში მრავალპარტიულობის, თავისუფალი მედიის, ახალი მუნიციპალური, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნით ის თავის სახელს არქმევს ყველაფერს, რაც აუცილებელი გახლავთ რეგიონში უსაფრთხოების პოლიტიკის ფონზე ნდობის დამკვიდრების თვალსაზრისით". ჩემი მოგზაურობით მინდოდა თვალნათლივ მეჩვენებინა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მტკიცედ უჭერდა მხარს დემოკრატიზაციის პროცესებს ცენტრალურ ამერიკაში. ამგვარად, ჩვენ შეგვეძლო ეკონომიკური თანამშრომლობის პარალელურად ჩვენი წვლილი შეგვეტანა საყოველთაო სტაბილურობის დამკვიდრების საქმეში.

1987 წლის 10 აპრილს კოსტა-რიკაში უცხოელ პოლიტიკოსთაგან პირველს მომანიჭეს ამ სახელმწიფოს საპატიო მოქალაქის წოდება სიცოცხლეშივე. დედაქალაქ სან-ხოსეში პარლამენტის საზეიმო სხდომაზე, რომელშიც პრეზიდენტი და მინისტრთა კაბინეტიც მონაწილეობდნენ, პატივი მომაგეს როგორც ქვეყნის ღირსეულ მეგობარს. ეს იყო სრულიად განსაკუთრებული სახის ჯილდო — არა ჩვეულებრივი საპატიო მოქალაქეობა, არამედ მოქალაქეობა, მინიჭებული პატივისცემის ნიშნად, ყველა უფლებებითა და მოვალეობებით. ამიტომაც მე კოსტა-რიკის დიპლომატიური პასპორტის მფლობელიც გახლავართ.

ამ წოდების მინიჭება ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის განსაკუთრებული კანონის მიღებას საჭიროებდა; მე მეხუთე ვიყავი, ვისაც საპატიო მოქალაქეობა მიენიჭა. ჩემს გარდა ეს პატივი წილად ხვდა ერთ მაღალ კათოლიკე სასულიერო პირს და ეკონომიკის სფეროში მოღვაწე ერთ ადამიანს. პოლიტიკოსებიდან ეს წოდება

მიიღეს — სიკვდილის შემდეგ — ამერიკის პრეზიდენტებმა რუზველტმა და ჯონ ფიცჯერალდ კენედიმ.

პარლამენტის მიერ კანონით მიღებულ გადაწყვეტილებას საპატიო მოქალაქეობის მონიჭების შესახებ, მე ვაფასებ როგორც ჯილდოს, რომელიც მიიღო გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ. ევროგაერთიანებასა და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის მოთხოვნით მე ბიძგი მივეცი კონფერენციების ჩატარებას 1984 წელს სან-ხოსეში და 1985 წელს ლუქსემბურგში, რომლებზეც ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოებმა და ევროგაერთიანებამ ფართო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. ამან დაგვანახა, თუ როგორ შეიძლება მოახერხონ მცირე სახელმწიფოებმა თავის უკეთ დამკვიდრება რეგიონალური ურთიერთთანამშრომლობის მეოხებით.

სამადლობელ სიტყვაში კოსტა-რიკის პარლამენტის წინაშე ხაზგასმით აღვნიშნე, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას იძენს სამშვიდობო პროცესების განვითარება ცენტრალურ ამერიკაში: ჩვენ, ევროპელები, მზადყოფნას გამოვთქვამთ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ცენტრალურ ამერიკაში მშვიდობისა და თავისუფლების აღდგენისა და შენარჩუნების საქმეში, ვთქვი მე.

13-14 აპრილს ელ-სალვადორში ვიმყოფებოდი. იქ პატივი მივაგე პრეზიდენტ დუარტეს თავის ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრებისათვის. ჩემი ვიზიტით მინდოდა სოლიდარობა გამომეხატა ამ მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემებით შეჭირვებული ქვეყნისათვის. სწორედ ნაპოლეონ დუარტეს სოციალური რეფორმების გატარებისთვის გაწეულ ძალისხმევას დაუჭირა მხარი გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და ევროგაერთიანებამ. ჩემ გამოსვლაში ისიც აღვნიშნე, რომ ცენტრალურ ამერიკაში არსებული კონფლიქტებისა და პრობლემების ფესვები უფრო სოციალურ უთანასწორობაში იყო საძებარი ვიდრე დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირებაში.

მოულოდნელი აღიარება

1987 წლის 4 მაისს თან ვახლდი ფედერალურ პრეზიდენტს შვეიცარიაში სახელმწიფო ვიზიტით ყოფნის დროს. ეს იყო სტუმ-

რობა კეთილ, სანდო მეგობრებთან — რიგით მესამე ვიზიტი ამ ქვეყანაში, როდესაც ფედერალურ პრეზიდენტს ვახლდი თან: მანამდე შეელთან და კარსტენსთან ერთად ვიყავი იქ ნამყოფი. ამჯერად გაიმართა პირადად ჩემთვის მეტად ამაღელვებელი შეხვედრა. გერმანიის მხრიდან ვიზიტის პროგრამაში მონაწილეობას იღებდა ბერლინის ფილარმონიის ორკესტრი. ანტრაქტის დროს ფედერალურმა პრეზიდენტმა და მე ჰერბერტ ფონ კარაიანს თავის მოსასვენებელ ოთახში მივაკითხეთ; ფედერალურმა პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა დირიჟორს. შემდეგ კარაიანი მე მომიბრუნდა. ჩვენ ადრეც შევხვედრივართ ერთმანეთს, მაგრამ ასეთ ვიწრო წრეში ეს ჩვენი პირველი შეხვედრა იყო. კარაიანი მოვიდა ჩემთან, ჩემი ხელი ხელებში მოიქცია, დიდხანს მიყურა და შემდეგ მხურვალე მადლობა გადამიხადა ჩემი მოღვაწეობისათვის საგარეო პოლიტიკის სფეროში. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, მითხრა მან, რას ნიშნავს ჩემთვის თქვენი პოლიტიკა, იმედი მაქვს ამ კურსს კვლავაც განაგრძობთო. მისმა ჟესტმა იმდროინდელი რთული პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე მხნეობა შემმატა.

1987 წლის მაისში მე კვლავ საშუალო რადიუსის რაკეტებთან დაკავშირებით განვითარებული პოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრში ვიმყოფებოდი. ამ და აგრეთვე გერმანია-ამერიკის ურთიერთობებთან დაკავშირებული სხვა საკითხების განსახილავად 10 მაისის საღამოს ვაშინგტონს გავფრინდი. მეორე დილით უკვე 7 საათსა 15 წუთზე საგარეო საქმეთა მინისტრი შულცი და მე პირველად შევხვდით ერთმანეთს თეთრ სახლში. საუბრის დასასრულს გამართული სადილი მე იმისათვის გამოვიყენე, რომ კონგრესში წარმოდგენილი ორივე დიდი პარტიის ლიდერებს დავლაპარაკებოდი, ვიდრე 14 საათზე თავდაცვის მინისტრ ვაინბერგერთან შესახვედრად წავიდოდი. ნაშუადღევს რამდენიმე სენატორს ვესაუბრე და საღამოს 18 საათზე უკანვე გამოვფრინდი.

ჩვეულად მექცა, ჩემი ვიზიტები ვაშინგტონში რაც შეიძლებოდა ინტენსიურად წარმემართა. აეროპორტში მე და ჩემს თანმხლებ დელეგაციას ჩვენი ელჩი გვხვდებოდა ხოლმე. შემდეგ კი, როგორც წესი, მასთან, პოლიტიკურ დირექტორთან, ჩემი ოფისის ხელმძღვანელთან და პრესმდივანთან ერთად ქალაქში მივემგზავრებოდით. სასტუმრომდე დაახლოებით ორმოცი წუთი გვჭირდებოდა და ამ

დროის განმავლობაში უკანასკნელი მოვლენების ანალიზს ვისმენდი ელჩისგან.

გამოცდილებით ვიცოდი, რომ ამგვარი ხანმოკლე ვიზიტები საგრძნობლად ამსუბუქებდა დროში განსხვავებით გამოწვეულ პრობლემებს — თითქოს ერთ ღამეს გვიანობამდე ვერ წახვედი დასაძინებლად, ეგ იყო და ეგ. სახელმწიფო დეპარტამენტი კი ამასობაში ისეთივე მშობლიური გახდა ჩემთვის, როგორც საკუთარი სამინისტრო. რამდენჯერ დავდგომივარ ამ გზას, რომელიც კარიბჭის გავლით მიემართება, როცა სხვადასხვა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებთან შესახვედრად მივდიოდი! აქ სტუმრად ვყოფილვარ საგარეო საქმეთა მინისტრებთან: როჯერსთან — როცა ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა მინისტრი ვიყავი — კისინჯერთან, ვენსთან, მასკისთან, ჰეიგთან, შულცთან და ბეიკერთან. ჯიმ ბეიკერის დროს ახალი ტრადიცია დამკვიდრდა: მან წესად შემოიღო მოლაპარაკებების შემდეგ დიდ ჰოლში კათედრიდან ერთობლივი განცხადების გაკეთება პრესისთვის. ამგვარად, სტუმარსა და მასპინძელს შესაძლებლობა ეძლეოდათ საზოგადოებისთვის თავიანთი მოლაპარაკებების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მიეწოდებინათ.

ჯორჯ შულცი უფრო ფლეგმატური, სერიოზული და საიმედო პარტნიორი გახლდათ. მასსა და ჩემს შორის კარგი, ბოლოს კი მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება ჩამოყალიბდა. იმ დღეს, 10 მაისს, ჩვენ შეიარაღების კონტროლსა და განიარაღებასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს განვიხილავდით. სასტუმროში დაბრუნებულმა უკვე 9 საათსა და 15 წუთზე მოლაპარაკებების შედეგებზე სასაუბროდ პრესკონფერენცია გავმართე; იმის გამო, რომ გერმანული გაზეთების რედაქციები მალე მუშაობას დაამთავრებდნენ, ეს ყველაფერი რაც შეიძლება ადრე უნდა მომხდარიყო. შემდეგ, როგორც წესი, იმართებოდა მიღება თეთრ სახლში, რასაც ტელეჟურნალისტებთან შეხვედრა მოსდევდა: როცა პრეზიდენტის რეზიდენციიდან გამოვდიოდი, უკვე მელოდა ხოლმე თეთრი სახლის ჟურნალისტთა კორპუსი, იქვე იყვნენ გერმანიის ტელევიზიათა მუშაკებიც. გარდა ამისა, ვითვალისწინებდი რა იმ დიდ გავლენას, რაც კონგრესის დეპუტატებს ჰქონდათ პოლიტიკურ პროცესებზე, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი შეხვედრებს კაპიტოლიუმში. ვიზიტების დასასრულს ვაჯამებდი ჩატარებული საუბრების შედეგებს, ვაფასებდი

მეგობრობა სამსახურზე როდია დამოკიდებული. ჰანს-დიტრიხ გენშერი თავის საგარეო უწყებაში ღებულობს ამერიკის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს ჯორჯ შულცს მისი გადადგომის შემდეგ.

მათ და ამას ვაკეთებდი ელჩთან ერთად აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე.

18 საათისთვის თვითმფრინავში ავდიოდი და ვვახშმობდი; შემდეგ კიდევ ერთხელ მოდიოდნენ სასაუბროდ თანმხლები ჟურნალისტები. ისინი მგზავრობისას ჩემგან ვიზიტის შედეგების შეჯამებას ელოდნენ. ამ დროს ჩვენ პატარა ოთახში ვსხდებოდით, რომელსაც მე საძინებლად ვიყენებდი. ბოლოს ჩემ თანამშრომლებთან ერთად გადავავლებდი ხოლმე თვალს განვლილ ვიზიტს.

შეხვედრებით დატვირთული დღე, ვიზიტებისთვის დამახასიათებელი გადაღლა, დროში განსხვავება — ყოველივე ამას შედეგად ის მოსდევდა ხოლმე, რომ ბოლოს ერთი სული მქონდა, როდის დავწვებოდი დასაძინებლად. მოგზაურობების დროს გამოვიმუშავე ჩვეულება, ნებისმიერ შესაძლო შემთხვევაში გამომეძინა, ამასთან წესად მქონდა, თვითმფრინავში არანაირი ალკოჰოლიანი სასმელი

არ დამელია. ზომიერად ჭამაც ზედმეტ დატვირთვას მარიდებდა. სამაგიეროდ უხვად მივირთმევდი მინერალურ წყალს. ჩემი თვითმფრინავი უმეტესად 7 საათსა და 30 წუთზე ჯდებოდა გერმანიაში.

იმ დღეს შვეულმფრენით ბინგენში გავფრინდი ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრ ხნოუპეკთან შესახვედრად. თბომავალში ჩავსხედით, რაინზე გავცურეთ და სასიამოვნო მგზავრობის შემდეგ უნკელს მივაღწიეთ, სადაც 12 საათზე სადილად დავსხედით.

მეორე დღეს — ეს იყო 13 მაისს — ხნოუპეკის პატივსაცემად ოფიციალური ვახშამი გავმართე რედუტ'ში, სადაც ქალბატონებიც იყვნენ მოწვეულნი. თუმცაღა ასეთი საზეიმო სადილები მე უკვე საერთოდ გავაუქმე — ჩემი ერთ-ერთი პირველი რეფორმატორული წინადადება ევროგაერთიანების შიგნით ის იყო, რომ საგარეო საქმეთა მინისტრები ერთმანეთს აეროპორტში აღარ დახვედროდნენ და შესძლებისდაგვარად ყოველგვარი ფორმალური ღონისძიებებისთვის აერიდებინათ თავი. ურთიერთობის სტილი, დიპლომატიის სტილი წლების განმავლობაში იცვლებოდა და ამ ცვლილებებისთვის ბოლოს და ბოლოს ანგარიში უნდა გაგვეწია. ასეთ შეხვედრებზე უფრო ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა, ურთიერთობები უფრო არაფორმალური გახდა, ხოლო ქსელურ მუშაობას და მულტილატერალურ კონტაქტებს ფართო გასაქანი მიეცა.

ამ დროს კოლეგები ვარშავის პაქტის ქვეყნებიდან სხვაგვარ ვითარებაში მუშაობდნენ. სოციალისტურ ქვეყნებში საზოგადოებრივი ღონისძიებები განსაკუთრებულ როლს თამაშობდა და ყოველთვის, როცა კი აღმოსავლეთ ევროპას ეწვეოდი, ზედიზედ იმართებოდა ოფიციალური სადილები. ბულგარეთში კი ისეც ხდებოდა, რომ მასპინძლის როლში ყოველთვის პრეზიდენტი ჟივკოვი გამოდიოდა.

იმ წლებში გამოჩნდა, რომ ფედერალური მთავრობა ყველასთვის სულ უფრო და უფრო სასურველი პარტნიორი ხდებოდა. ამასობაში ჩემ სამუშაო ოთახებში რაღაც-რაღაცები გადავაკეთეგვერდითა ოთახი სალონის დარად მოვაწყვე; იქ დავადგმევინე მაგიდა, რომელსაც შეიძლებოდა რვა კაცი შემოსხდომოდა. ამ ოთახში უცხოელ სტუმრებს ვეპატიჟებოდი ხოლმე „წასახემსებლად". აქ შემოსულ სტუმართა შეზღუდული რიცხვი იმის გარანტიას იძლეოდა, რომ საქმე ნამდვილად სამუშაო სადილთან გვქონდა. შემდეგ ახალი „რაციონალიზატორული" წინადადება წამოვაყენე და სამ-

უშაო საუზმე შემოვიღე — ეს კი ყველას როდი მოსწონდა. ლორდ-მა კერინგტონმა ერთ-ერთი ვიზიტის დროს შენიშვნა მომცა: მე სამუშაო სადილიც დიდად არ მეხატებოდა გულზე, შენ კი სამ-უშაო საუზმეც შემოგიღია... და ახლა შიშით ველოდები იმ დღეს, როცა სამუშაო ძილს შემომთავაზებო. მე მას შევაწყვეტინე: „თქვენ სამუშაო დაკრძალვები დაგავიწყდათ!" დაკრძალვებსაც ხომ სულ უფრო ხშირად იყენებდნენ შეხვედრების საბაბად, და არა მხოლოდ მოსკოვში.

შეიარაღებაზე კონტროლი იწყება

1987 წლის 8 ივნისიდან 10 ივნისამდე ჩვენ — ანუ ჰელმუთ კოლი, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრები და მე — მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გავემგზავრეთ, რომელზედაც ამჯერად ვენე-ციაში დასავლეთის შვიდი წამყვანი ინდუსტრიული სახელმწიფოს წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. იშვიათად მომხდარა, რომ ეკონომიკური თემატიკა ისე დაეჩრდილოს საგარეოპოლიტიკურ და უსაფრთხოების პოლიტიკის თემატიკას, როგორც ეს ამ სამიტზე მოხდა.

დისკუსიის საგანი, უპირველეს ყოვლისა, მოსკოვში განვი-თარებული მოვლენები გახდა. აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერ-თობებთან დაკავშირებით მიღებულ კომუნიკეში ჩვენი ინიციატივით ჩაიწერა: „ჩვენი უკანასკნელი შეხვედრიდან დღემდე აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობებში გაჩნდა წინსვლის ახალი შესაძლე-ბლობები. ასეთმა პროგრესმა მხნეობა შეგვმატა. დიდი ყურადღები-თა და ინტერესით ვადევნებთ თვალს უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირში განვითარებულ საგარეო და შიდაპოლიტიკურ პროცესებს. ვიმედოვნებთ, რომ ამ პროცესებმა შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ურთიერთობების გასაუმჯობესებლად ქვეყნებს შორის როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში".

ვენეციაში საშუალო სიშორის რაკეტების თემასთან დაკავ-შირებით პრეზიდენტ მიტერანსა და მარგარეტ ტეტჩერს შორის საქმე სიტყვიერ შეხლა-შემოხლამდე მივიდა. ცხრე დისკუსიის დროს

ქალბატონმა ტეტჩერმა საფრანგეთის პრეზიდენტს ჰკითხა: „თქვენ არ გამოიყენებდით თქვენს საშუალო რადიუსის რაკეტებს, რუსებს რომ კიოლნი აეღოთ?“ რაზედაც პრეზიდენტმა არაორჭოფულად უპასუხა: „კიოლნი მოკავშირე ქვეყნის ქალაქია. ჩვენ ამას არ ვიზამთ“. ეს შენიშვნა სამაგალითო იყო იმ სულისკვეთებისთვის, რომელიც სუფევდა იმ თვეებში რთულად მიმდინარე გერმანულ-ფრანგული მოლაპარაკებების დროს განიარაღების თაობაზე. ფრანსუა მიტერანი თვითონ მომიყვა ამ შეხლა-შემოხლის შესახებ, რომელსაც მე არ შევსწრებივარ, რადგანაც სახელმწიფო და მთავრობის მეთაურები და საგარეო საქმეთა მინისტრები ცალ-ცალკე ვვახშმობდით.

ამის შემდგომ გამართული ნატოს ყრილობა რეიკიავიკში, რომელიც 10-დან 12 ივნისამდე გაგრძელდა, ისეთ პერიოდს დაემთხვა, როდესაც გაჩნდა ნიშნები, რომ შეიძლებოდა პროგრესის მიღწევა შეიარაღებაზე კონტროლის დაწესებასთან დაკავშირებით. მე მთელი ჩემი ძალისხმევა გამოვიყენე, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში გაჩენილი დამაიმედებელი ნიშნები ჟენევაში ამერიკა-საბჭოთა კავშირს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში გარდატეხის შესატანად გამომეყენებინა. მაგრამ რეიკიავიკში განვმარტე, რომ სტრატეგიული არსენალის სფეროში მხოლოდ ორმოცდაათ-პროცენტიან შემცირებაზე ლაპარაკი შეიძლება საკმარისი არ ყოფილიყო. ამავე დროს საგრძნობლად უნდა შემცირებულიყო საშუალო და მოკლე რადიუსის რაკეტების რაოდენობა, ისევე, როგორც უნდა მიღწეულიყო პროგრესი ქიმიური იარაღის აკრძალვის სფეროში. ამასთან ერთად მე დაჟინებით მოვითხოვდი კონვენციურ ძალთა ყოვლისმომცველი, სტაბილური და შემოწმებადი თანაფარდობის დამყარებას დაბალ დონეზე. ჩვენ მივმართავდით საბჭოთა კავშირს, განეხორციელებინა თავისი SS-20 ტიპის რაკეტების სრული დემონტაჟი და ბოლოს:

„დასავლური სამხედრო ალიანსის წევრი ქვეყნები მხარს უჭერენ ყველა ამერიკული და საბჭოთა სახმელეთო 500-დან 1000 კილომეტრამდე საშუალო სიშორის რაკეტის გლობალურ განადგურებას, როგორც საშუალო სიშორის რაკეტებზე შეთანხმების შემადგენელ ნაწილს. მათი აზრით, ამ საფუძველზე დამყარებული

ციაზე მიდგებოდა, ნატოს მხრიდან საუბარი არ უნდა ყოფილიყო განიარაღებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ „ბრანდმაუერზე“ — თუმცა ამაზე შემდგომ.

თანხმობის მიღწევა კონვენციურ განიარაღებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების თაობაზე ადვილი საქმე არ გახლდათ. ამერიკის შეერთებულ შტატებს სურდა ეს მოლაპარაკებები ალიანსიდან ალიანსისკენ წარემართა; ფრანგებს, რომლებიც ნატოს ინტეგრაციულ პროცესებში არ ღებულობდნენ მონაწილეობას, ერჩივნათ ეს საკითხები ევროთათბირის ფარგლებში განეხილათ. ჩვენ იმით ვიყავით დაინტერესებულნი, რომ საქმე საერთოდ მოლაპარაკებამდე მისულიყო. პრინციპში არსებობდა მოლაპარაკებებთან დაკავშირებული *ტექნიკური* მიზეზები, რაც მოდელის „ალიანსიდან ალიანსისკენ“ სასარგებლოდ მეტყველებდა, მაგრამ მოლაპარაკებების პოლიტიკის თვალსაზრისით ევროთათბირი გაცილებით შესაფერისი იქნებოდა. რატომ უნდა გაგვემეტებინა ვარშავის პაქტის მცირე სახელმწიფოები იმ დროისათვის ჯერ კიდევ მოსკოვიდან მართული ალიანსის მოსარჯულებელი პერანგებისათვის? ისე, ამგვარი მოსაზრება მოსკოვის მიერ განხორციელებული ახალი პოლიტიკის ფონზე თავის წონას კარგავდა, რის გამოც მე მცდელობას არ ვაკლებდი, რათა ვაშინგტონსა და პარიზს შორის წონასწორობა შემენარჩუნებინა. ჯორჯ შულცი ხელადვე დამყვა, მაშინ როცა საფრანგეთის დელეგაცია ჯერ კიდევ ყოყმანობდა. ბოლოს მე დავურეკე ჩემ ძველ მეგობარს როლან დიუმას, რომელსაც co-habitation-ის* პერიოდში პოსტი აღარ ეკავა. ის დაელაპარაკა პრეზიდენტს. მალე საფრანგეთიდან მწვანე შუქი მოვიდა და საფრანგეთის დელეგაციამაც თანხმობა განაცხადა.

იმ წელიწადს ბერლინში საზეიმოდ აღინიშნა ქალაქის 750 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით მოხდა არაჩვეულებრივი რამ: რონალდ რეიგანის სიტყვის შემდეგ, რომელიც მან 1987 წლის 12 ივნისს წარმოთქვა, და სადაც გაისმა ისტორიული მოწოდება, დანგრეულიყო კედელი — ბრანდერბურგის კარიბჭესთან სტარტი აიღო ტურ დე ფრანსმა. ეს პოლიტიკური დემონსტრაცია გახლდათ. ველორბოლის სტარტზე დასასწრებად ბერლინში პრემიერ-მინისტრი შირ-

* co-habitation — თანაცხოვრება (ინგლ.).

ეს შეთანხმება მნიშვნელოვანი ელემენტი იქნებოდა შეიარაღებაზ
კონტროლისა და განიარაღების კოჰერენტულ საერთო კონცეფცია-
ში, რომელიც ნატოს მოქნილი პასუხის სტრატეგიასთან თანხმო-
ბით შემდეგ პირობებს უნდა შეიცავდეს:

1. ამერიკისა და საბჭოთა კავშირის სტრატეგიული ატომური
შეტევითი იარაღის რაოდენობის ორმოცდაათპროცენტიანი შემცირება.

2. ქიმიური იარაღის განადგურება მსოფლიო მასშტაბით.

3. მთელს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების სტაბილურ
და უსაფრთხო დონეზე დაყვანა უთანასწორობის აღმოფხვრის გზით.

4. ამერიკული და საბჭოთა მოკლე მანძილის სახმელეთო
ატომურ სარაკეტო სისტემათა შემოწმებადი შემცირება, რაც თანა-
ბარ მაქსიმალურად დასაშვებ ზღვრამდე მიგვიყვანს".

უკვე საკმაო ხანი იყო, რაც ჩვენ ნატოს საგარეო და თავ-
დაცვის მინისტრების წრეში ეგრეთ წოდებულ ერთობლივ კონცეფ-
ციას განვიხილავდით. ახლა ნატოს საბჭოს დაევალა კომპეტენტურ
სამხედრო ინსტანციებთან თანამშრომლობით შეიარაღებაზე კონ-
ტროლისა და განიარაღების კონცეფცია შეემუშავებინა. ჩვენს საბ-
ოლოო კომუნიკეში ხაზგასმით აღვნიშნავდით ევროთათბირის პრო-
ცესის განსაკუთრებულ მნიშვნელობას: „ამიტომ ჩვენ გადაწყვეტილი
გვაქვს ევროთათბირის შემდეგი შეხვედრა ვენაში მაქსიმალურად
გამოვიყენოთ. შეუზღუდავი განხორციელება ყველა იმ დადგენილებ-
ისა, რაც ევროთათბირის პროცესში იქნა მიღებული, რჩება ალიან-
სის ფუძემდებლურ მიზნად და ინარჩუნებს არსებით მნიშვნელობას
დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობის ნაყოფიერი განვითარები-
სათვის ყველა სფეროში".

მაგრამ ამ მოლაპარაკებებში არაჩვეულებრივად ძნელი აღ-
მოჩნდა ნატოს ერთიანი პოზიციის შემუშავება. ის ფაქტი, რომ
ნატოს კომუნიკეში ბუნდესვერის 72 პერშინგ 1A ისევე არ იხსენე-
ბოდა, როგორც ფრანგული და ინგლისური ბირთვული იარაღი,
პრესის წინაშე მე განვმარტე, როგორც გამოხატულება სრული
ურთიერთგაგებისა იმის თაობაზე, რომ მესამე სახელმწიფოთა ეს
სისტემა არ შეიძლებოდა ზესახელმწიფოებს შორის მოლაპარაკების
საგანი გამხდარიყო. და მაინც ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანი
იყო ის, რომ თუ საქმე ორმაგი ნულოვანი ვარიანტის რეალიზა-

აკი ჩამოვიდა. ჩვენ ერთად დავულოცეთ გზა ველომრბოლელებს. წინა საღამოს შირაკს კურფიურსტენდამზე მდებარე რესტორანში შევხვდი. ჩემს კითხვაზე, რა მიირთვით-მეთქი, მან მიპასუხა: „რა თქმა უნდა, აისბაინი* კომბოსტოს მწნილით". მე ვერ მივხვდი, ეს კომპლიმენტი იყო, თუ ის ფიქრობდა, რომ ჩვენ, გერმანელებს მარტო ეს კერძი მოგვწონს. შევეცადე, მისი ეს შენიშვნა რაც შეიძლებოდა უკეთ გამომეყენებინა და ვუპასუხე: „თქვენ ნამდვილი გერმანული გემოვნება გქონიათ". ალბათ იმანაც გუნებაში იკითხა, იყო თუ არა ეს კომპლიმენტი. მე კი ნამდვილად ასე ვფიქრობდი.

მეორე დღეს, 13 ივნისს მე და ჩემი მეუღლე გამთენიისას ჰალეში გავემგზავრეთ ჰენდელის ფესტივალზე დასასწრებად. ჰაერში რაღაც სიახლის სუნი ტრიალებდა; ჩვენ მაშინვე ვიგრძენით, რომ ხალხი უფრო გულღიად გვხვდებოდა, ვიდრე ადრე. როდესაც კვირა დილით ღია ცის ქვეშ ბაზრის მოედანზე ფესტივალის საზეიმო გახსნის ცერემონიალში მივიღეთ მონაწილეობა, ჩვენ ძალზედ მეგობრულად გვესალმებოდნენ და არცთუ იშვიათად ცდილობდნენ პირდაპირ გამოგვლაპარაკებოდნენ კიდეც. ადრე ეს ადამიანები დამფრთხალნი იყვნენ, ვერ ბედავდნენ ჩვენთვის მოემართათ. საღამოს თეატრში ზედა იარუსებზე ისეთნაირად დაგვსხეს, რომ დაბლა, დარბაზში მსხდომ პუბლიკას ვერ დავენახეთ. და მაინც ყველა იმაზე ლაპარაკობდა, რომ ჩვენ წარმოდგენას ვესწრებოდით. ინტენდანტმა შემატყობინა, შესვენებაზე რესტორანში ვიწრო წრეში შევიკრიბებითო. როცა იქიდან გამოვდიოდით, კარის გაღება გაგვიჭირდა, ვინაიდან კარს ხალხი მოსჯარებოდა. მე და ჩემ მეუღლეს მქუხარე აპლოდისმენტებით მოგვესალმენ. მე ველარ ვასწრებდი ხელი ჩამომერთმია შემოჯარული ადამიანებისათვის, რომლებიც ხმამაღლა მომმართავდნენ: „კარგია, რომ თქვენ აქ ხართ. შესანიშნავია, რომ ჩამოხვედით. მოგესალმებით, ბატონო გენშერ. ჩვენთვის ბევრს ნიშნავს თქვენი აქ ყოფნა!" ეს შესვედრები ჩემ მშობლიურ ქალაქში სულ მაფორიაქებდა და მაღელვებდა, ვგრძნობდი, რა მადლიერი იყო ხალხი ჩემი სტუმრობის გამო. ადრინდელზე უფრო ხშირად ვეკითხებოდი საკუთარ თავს: როგორ გაგრძელდება ყოველივე ეს, რა მოხდება შემდეგ?

---

* აისბაინი – მოშუშული ღორის კანჭისგან დამზადებული კერძი. (რედ.)

6 ივლისიდან 11 ივლისამდე საბჭოთა კავშირში ვახლდი იქ სახელმწიფო ვიზიტით მყოფ ფედერალურ პრეზიდენტ ვაიცზეკერს. მისი ეს მოგზაურობა მრავალი თვალსაზრისით იყო ღირსშესანიშნავი და მეტად მნიშვნელოვანი, ვინაიდან საბჭოთა პოლიტიკოსებისა და დიპლომატების პუბლიკაციებიდანაც დღეს ნათლად ჩანს, რომ „ნიუსუიკის" ინტერვიუს შედეგები ვენის შეხვედრის მიუხედავადაც მთლიანად არ იყო დაძლეული. აი, რას წერს ყოფილი ელჩი კვიცინსკი თავის წიგნში „ქარიშხლის წინ": „ამასობაში გაუქმდა ფედერალური მინისტრების დაგეგმილი ვიზიტები მოსკოვში. ჩაიშალა პროგრამა, რომელიც ორ სახელმწიფოს შორის კონტაქტების გაღრმავებას ითვალისწინებდა და რომელზეც გენშერის ვიზიტის დროს შევთანხმდით. მე იძულებული ვიყავი თავი ამერიდებინა კანცლერთან საუბრებისთვის, ხოლო მოსკოვის წარმომადგენლები ცდილობდნენ შორს დაეჭირათ თავი ბონისაგან. ეს ყოველივე, ღმერთმა ხომ იცის, ნამდვილად არ შეესაბამებოდა დროის სულისკვეთებას და, ერთი გერმანული გამონათქვამისა არ იყოს, ისეთივე ზედმეტი გახლდათ, როგორც ჩიყვი. მე დამირეკა ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ იური ვორონცოვმა და — ეტყობა, გორბაჩოვის მითითებით — მირჩია ეს საქმე თანდათანობით წარსულისთვის ჩამებარებინა". შემდეგ კვიცინსკი განაგრძობს: „მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მოსკოვიდან მიღებულ იქნა რამდენიმე ოფიციალური დეპეშა იმის მითითებით, რომ გერმანელების მიმართ კეთილგანწყობის გამოჩენა არ იყო საჭირო. აშკარად ჩანდა, რომ მოსკოვში ორი სხვადასხვა აზრის ჭიდილი იყო და თვითონ გორბაჩოვიც, ეტყობა, ყოყმანობდა. ამასობაში ჩვენს ურთიერთობებში ბონთან გაჩნდა პაუზა. ცხადი გახდა, რომ ყველაფერი თავიდან უნდა დაგვეწყო. ჩვენი ამოცანა ის იყო, რომ ფედერალური პრეზიდენტი საბჭოთა კავშირში ვიზიტზე დაგვეყოლიებინა. ეს არცთუ ისე ადვილი გახლდათ".

ამ ვიზიტისას ფედერალური კანცლერის ამოცანა ის იყო, რომ მას გერმანულ-საბჭოური ურთიერთობებისათვის ახალი იმპულსი მიეცა, რასაც მან მისთვის დამახასიათებელი ღირსების გრძნობითა და დიდი გულისხმიერებით, წარმატებით გაართვა თავი. კიდევ ერთხელ წარმოჩნდა, როგორი მნიშვნელობა ჰქონდა რიხარდ ფონ ვაიცზეკერის რანგის ფედერალურ პრეზიდენტს ჩვენი ქვეყნის ავტორიტე-

ტისა და გავლენის მოსაპოვებლად საზღვარგარეთ. გორბაჩოვმა ურთიერთობების დაბალანსების ნება გამოამჟღავნა; იგი ცდილობდა ურთიერთგაგებისათვის მიეღწია. ეს ფედერალური პრეზიდენტის პიროვნულ ავტორიტეტზეც მეტყველებდა, რომელიც დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა დაკისრებულ მოვალეობას, და გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობათა მნიშვნელობაზეც. ფედერალურ პრეზიდენტთან საუბარში გენერალურმა მდივანმა გაიხსენა, რომ მე ვიყავი ბონის უკანასკნელი მაღალი რანგის წარმომადგენელი, რომელსაც იგი ესაუბრა. ამ საუბრიდან კი უკვე ერთი წელია გასულიო.

ფედერალური პრეზიდენტის ფონ ვაიცზეკერისა და გენერალური მდივნის გორბაჩოვის მოლაპარაკება ზოგჯერ ძალზე მკაფიოდ, შიგადაშიგ მკვეთრადაც კი მიმდინარეობდა. მე შევარდნაძის წინაშე გამოვთქვი ჩემი გაკვირვება იმის გამო, რომ „პრავდაში" დაბეჭდილ ფედერალური პრეზიდენტის სიტყვას ცენზურის ხელი ეტყობოდა. შემოკლებულ ტექსტში გამოტოვებული იყო გამონათქვამები გერმანული ეროვნების მოქალაქეთა ქვეყნიდან გამგზავრების შესაძლებლობების შესახებ, ასევე მოსაზრებები გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით.

საკავშირო დეპეშათა სააგენტომ ამ საუბრების შემდეგ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოსდა გორბაჩოვს გარკვევით ეთქვას, რომ გერმანიის საკითხი ღიად დარჩენილ საკითხთა რიგს აღარ განეკუთვნება. ჩემი აზრით კი, ეს პირიქით იყო. მაშინ როცა გორბაჩოვის შენიშვნის მერე — არავინ იცის, რა მოხდება ასი წლის შემდეგო — ფედერალური პრეზიდენტი იმედგაცრუებული ჩანდა, მე მდგომარეობის ერთობლივი გაანალიზებისას ვთქვი: თუმცა გორბაჩოვის ნათქვამში დროის ხანგრძლივ მონაკვეთზეა საუბარი, მაგრამ სინამდვილეში მან ამით ის თქვა, რომ გერმანული საკითხი ღიად იყო დარჩენილი. მისი ამ სიტყვების ჭეშმარიტი აზრი ეს არის-მეთქი.

მე პირადად დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენ სრულიადაც არ მოგვიწევდა ას წლიწადს ცდა, პირიქით. ყოველთვის, და არა მხოლოდ 1987 წლიდან მოყოლებული, კითხვაზე, მოვესწრებოდი თუ არა გერმანიის გაერთიანებას, ვუპასუხებდი: თუ უფალი ღმერთი სიცოცხლის ნორმალურ ხანგრძლივობას მიწყალობებს, მოვესწრები. ის ფაქტი, რომ საკავშირო დეპეშათა სააგენტო გორბაჩოვის შენიშვნებს ძველი დროის სულისკვეთებით განმარტავდა, იმის მაჩვენებე-

როდესაც 1987 წელს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფედერალურ პრეზიდენტ ფონ ვაიცზეკერთან ერთად მოსკოვს გაემგზავრა, გერმანიის საელჩოში სახაროვსა და მის მეუღლესაც შეხვდა: ევროთათბირისა და „პერესტროიკის“ შედეგად გახდა ეს შესაძლებელი.

ლი იყო, რომ საქმეში კონსერვატორული ძალები იყვნენ ჩარეულნი, რომლებიც არ მალავდნენ გენერალური მდივნის გამონათქვამით გამოწვეულ უკმაყოფილებას. ეს ადასტურებდა ჩემ მოსაზრებას, რომ გორბაჩოვი გერმანიის საკითხს ნამდვილად ღიად ტოვებდა.

ის, რომ არც გდრ-ში მიიჩნევდნენ გერმანიის საკითხს დახურულად, მე უმაღლესი პირისგან დელიში 1984 წლის 3 ნოემბერს ინდირა განდის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ სამგლოვიარო ცერემონიალზე შევიტყვე. ხანგრძლივი ცერემონიალის დროს ღია ცის ქვეშ გდრ-ის პარლამენტის თავმჯდომარის ჰორსტ ზინდერმანის გვერდით მომიწია დგომამ. მე მას, ჰალეს ყოფილ პარტიულ მდივანს, გდრ-ის ენერგომატარებლებით უზრუნველყოფაზე და მურა ნახშირის ღია წესით მოპოვების პრობლემებზე ვესაუბრებოდი. საუბრის დროს ზინდერმანმა მითხრა: „თქვენ უთუოდ შენიშნავდით, რომ

ჩვენ ის სახლი, სადაც თქვენ დაიბადეთ, არ დაგვინგრევია. იქნებ იქ ერთ დროს მემორიალი მოეწყოს; როგორ გაკეთდება ეს, იმაზე იქნება დამოკიდებული, ვინ გააკეთებს ამას, ჩვენ თუ თქვენ". როდესაც ბონში დავბრუნდი, ამ საუბრის შესახებ კოლს ვუამბე და თან დავურთე: „ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტბიუროში გერმანიის საკითხი ღიად რჩება".

რაც შეეხება სახლს, აქ ზინდერმანი შეცდა; როგორც ჩანს, ის მას მამაჩემის მშობლიურ სახლში აერია, რომელიც კლეპციგში მდებარეობს. მაშინ მართლა ფიქრობდნენ, რომ ამ ადგილებში მურა ნახშირის საბადოები უნდა ყოფილიყო. დელიში ჩვენს ელჩთან, შრიოდერთან საუბრისას, რომელიც საგარეო უწყებაში აზიის ავტორიტეტულ ექსპერტად ითვლებოდა, გამოვთქვი ვარაუდები იმის თაობაზე, თუ რატომ დაუკავშირა ზინდერმანმა ერთმანეთს ჩემი დაბადების ადგილი რადებერგი და მურა ნახშირი.

რა შეცვალა საჯაროობამ და გარდაქმნამ ორი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში, ფედერალურმა პრეზიდენტმა და მე კიდევ ერთხელ ნათლად შევიგრძენით, როცა ჩვენ — ბატონი და ქალბატონი ვაიცზეკერები, ჩემი მეუღლე და მე — გერმანიის საელჩოს ბიბლიოთეკაში ანდრეი სახაროვსა და მის მეუღლეს — ელენე ბონერს შევხვდით. ეს შეხვედრა გულის შემძვრელიც იყო და ამავე დროს გამამხნევებელიც. სახაროვი საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებდა გორბაჩოვს, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ის ჯეროვან ყურადღებას არ უთმობდა რეფორმების გატარებას ქვეყნის შიგნით. ამავე დროს მან გვთხოვა, მხარი დაგვეჭირა გორბაჩოვისთვის არა მხოლოდ საგარეოპოლიტიკური მიზეზების გამო. რასაც სახაროვი თავშეკავებით ამბობდა, იმის ფორმულირებისას ქალბატონი ბონრი უფრო მკაცრი და მომთხოვნი იყო. „წინასწარმეტყველი და ძუ ლომი", — ვუთხარი საუბრის შემდეგ მათზე ჩემს მეუღლეს.

ერთგვარი მელანქოლიური ხასიათი ჰქონდა ჩემ შეხვედრებს ამ ვიზიტის დროს გრომიკოსთან. ნეტა რას ფიქრობდა ის სახაროვის გათავისუფლებასთან დაკავშირებით? მე პირველად შევხვდი ჩემთვის დიდი ხნის მანძილზე კარგად ნაცნობ ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს ახლა უკვე სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციით აღჭურვილს. იმის მიხედვით, თუ როგორ იქცეოდა ის ოფიციალური

შეხვედრების დროს როგორც მასპინძელი და როგორ წარმართავდა საუბრებს, მიხვდებოდით, რომ ახალ როლში თავს მაინცა და მაინც კარგად ვერ გრძნობდა. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ის სახელმწიფოს მეთაურად არჩევას სრულიადაც არ მიიჩნევდა დაწინაურებად. იგი როგორც ოფიციალური მასპინძელი სუფრასთან ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას, მაგიდის გადმოღმა უშუალოდ გამომლაპარაკებოდა, რათა გაეგო, რა ხდებოდა საგარეო პოლიტიკაში და ცალკეულ საკითხებზეც მიეღო ინფორმაცია. ხომ არ სურდა მას ამით ჩემთვის მიენიშნებინა, რომ აღარ იყო ინფორმირებული საგარეო პოლიტიკის სფეროში მიმდინარე ყველა პროცესის შესახებ? მომეჩვენა, თითქოსდა ის ნეტარებით იგონებდა თავისი მინისტრობის ხანას, თუნდაც ჩვენს არცთუ უპრობლემო ურთიერთობებს. მე ეს სხვამხრივაც მენიშნა. ასე მაგალითად, 1985 წელს მან ჩემთან ელჩი სემიონოვი გამოგზავნა. ჩემ კაბინეტში შემოსულ დიპლომატს, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში საბჭოთა საგარეო უწყებაში მუშაობდა, ილლიაში რაღაც პაკეტი ამოეჩარა — „დღეს მე უნდა შევასრულო დავალება, რომლის მსგავსიც ჩემი დიპლომატიური კარიერის მანძილზე არასოდეს მიმიღია. ანდრეი გრომიკო თქვენ თავის მემუარებს გიგზავნით. ასეთი რამ მას ჯერ არ გაუკეთებია". ეს იყო არა მისი მემუარები, არამედ გამოსვლებისა და წერილების კრებული. მიძღვნის ტექსტი ასე იკითხება: „სახსოვრად ჩემს დიდი ხნის კოლეგას ჰანს-დიტრიხ გენშერს საუკეთესო სურვილებით. ა. გრომიკო — 20 მაისი, 1985 წ."

როდესაც ჩვენი ერთობლივი თანამშრომლობის ხანას ვიხსენებ, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული გრძნობები მეუფლება: მე ხშირად გავუნაწყენებივარ იმ ფორმას, რა ფორმითაც გრომიკო ცდილობდა თავისი პოზიციის გატანას, განსაკუთრებით ბერლინის თაობაზე გამართული მოლაპარაკებების დროს. პოლიტიკური წინააღმდეგობების მიუხედავად ჩვენ შორის ადამიანური ურთიერთგაგება, ბოლოს კი ურთიერთსიმპათიები და ორმხრივი პიროვნული და პროფესიული პატივისცემაც გაჩნდა. თუმცა იგი ათწლეულების განმავლობაში ყველანაირად აფერხებდა საგარეო პოლიტიკურ პროგრესს, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების პროცესს, ამ ვიზიტის დროს მე გაგებით მოვეკიდე ჩემი ყოფილი კოლეგის პირადულ განცდებს. გარდა ამისა ჩემი მეუღლე და მე

სიამოვნებით ვიგონებთ საუბრებს ქალბატონ გრომიკოსთან, რომელიც შთაბეჭდილებას ახდენდა დიდი პიროვნული ღირსებისა და დედობრივი ბუნების წყალობით.

შეგრძნება იმისა, რომ გრომიკოს ნოსტალგია ჰქონდა საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობის პერიოდისადმი, უფრო განმიმტკიცდა, როდესაც ვენაში ევროთათბირის კონფერენციაზე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსულ ჩემ მინისტრ-კოლეგებს შევხვდი. ისინი მომიყვნენ, რომ ვარშავის პაქტის ქვეყნების უკანასკნელ სამიტზე გრომიკოსთან ერთად მიმდგარან კუთხეში და ჩემზე უსაუბრიათ. სახელმწიფოს მეთაურ გრომიკოს მაინც საგარეო საქმეთა მინისტრებისკენ გამოუწია გულმაო. ეს ის წრე იყო, სადაც იგი ყველაზე კარგად გრძნობდა თავს.

როგორც ყოველ წელს, ახლაც, 1987 წლის ზაფხულში, ბაიროითის ფესტივალის გახსნას დავესწარი. ამ ფესტივალზე მუდამ ვიწვევდი ჩემ უცხოელ კოლეგებსაც. ბაიროითის შემოგარენში შემეძლო მშვიდად, დღის რეჟიმის გარეშე მეთათბირა მათთან და წყნარ ატმოსფეროში ისინი მათი მეუღლეებითურთ უფრო ახლოს გამეცნო.

წლების განმავლობაში ღამეს ბიშოფსგრიუნში, სპორტულ სასტუმრო „კაიზერალმში“ ვათევდით, რომელიც ბაიროითთან ახლოს მდებარეობს. ამ სასტუმროს შემთხვევით წავაწყდი, როდესაც ერთხელ, დაძაბულ საარჩევნო ბრძოლაში გატარებული დღის შემდეგ, გვიან ღამით წახემსება მოგვინდა. პოლიციის თანამშრომელს ვკითხეთ, სად შეიძლებოდა აქ, ახლომახლო რიგიანად გვევახშმა. „გაიარეთ კიდევ ათი კილომეტრი ბიშოფსგრიუნის მიმართულებით“, — გვითხრა მან. „იქ ერთი მშვენიერი და კარგი სასტუმროა“. საბედნიეროდ, მის რჩევას ვენდე და სასტუმრო მართლაც რომ ჩინებული აღმოჩნდა. მას შემდეგ ჩემი მეუღლე და მე, როცა კი ამ ფესტივალზე მივემგზავრებით, იმ სასტუმროში ვჩერდებით ხოლმე.

1987 წელს ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ორდონესი მეუღლითურთ და ჩემი ძველი მეგობარი როლან დიუმა მესტუმრნენ. ჩვენი არაფორმალური კონსულტაციები მარტო პოლიტიკური თემებით როდი შემოიფარგლებოდა — დიუმა, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნე, მუსიკის კარგი მცოდნე და ვაგნერის თაყვანისმცე-

მელი გახლდათ. როცა ბაიროითში სტუმრები მყავდა, ყოველთვის ვგეგმავდი გასეირნებას კობურგში. კობურგი მისი მდებარეობის გამო ამოვირჩიე — ქალაქის ტერიტორიის სამი მეხუთედი გდრ-ს ესაზღვრებოდა.

უშუალოდ ბაიროითში გამგზავრების წინ, 23 და 24 ივლისს, ბონში ვიზიტით ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ველაიათი იმყოფებოდა. ჩვენი საუბარი, უპირველეს ყოვლისა, შეეხო ირანის დამოკიდებულებას გაეროს 598-ე რეზოლუციისადმი. ჩემ ძალისხმევას სარჩულად დაედო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, როგორც გაეროს უშიშრების საბჭოს წევრის როლი საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში. დასავლეთში იცოდნენ, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, განსაკუთრებით კი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს, ჯერ კიდევ შედარებით კარგი ურთიერთობები ჰქონდა ირანთან. ფრთხილად, დაყვავებით ვცდილობდი დამერწმუნებინა ირანი, რომ გაეროს 598-ე რეზოლუცია მიეღო. გარდა ამისა იმითაც ვიყავი დაინტერესებული, რომ ლიბანში გატაცებული გერმანელების რუდოლფ კორდესისა და ალფრედ შმიდტის განთავისუფლება მომეხერხებინა, რადგანაც ირანს, როგორც ცნობილია, კარგი ურთიერთობები ჰქონდა ლიბანში მოქმედ გარკვეულ დაჯგუფებებთან. ამასთან თხოვნით მივმართე ვილაიეთის, პარიზსა და თეირანს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შემდეგ საფრანგეთის საელჩოს პერსონალს ვენის კონვენციის შესაბამისად წესიერად მოქცეოდნენ და თავიდან აეცილებინათ კონფლიქტის ესკალაცია. იმისათვის, რომ გამოგვერიცხა ყოველგვარი ცალმხრივობა დაპირისპირებულ მხარეთა მიმართ, საგარეო საქმეთა მინისტრ ვილაიეთის ბონში ყოფნის დროს ერაყის ელჩიც მივიღე სასაუბროდ.

ირან-ერაყის ომში შექმნილი ვითარება და ერაყის განსაკუთრებული როლი ამ ომის დაწყებაში საბაბს მაძლევდა მის წინაშე შემდეგი პოზიცია დამეფიქსირებინა: „ჩვენ საქმე გვაქვს საშინელ ომთან, რომელიც ერაყმა წამოიწყო და რომელშიც ერაყმა მომწამვლელი გაზი გამოიყენა. ამიტომაც თავისთავად გასაგებია, რომ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რათა ეს ორი ძველი კულტურის მქონე ხალხი ამ საშინელი ომისაგან დავიხსნათ. ჩვენ, როგორც უშიშროების საბჭოს წევრმა ქვეყანამ, ვიზრუნეთ იმისთვის, რომ

რეზოლუცია შეძლებისდაგვარად ზომიერი ყოფილიყო და ახლა მცდელობას არ ვაკლებთ, რათა ორივე მხარემ თავი შეიკავოს ვითარების კიდევ უფრო გამწვავებისაგან; ჩვენი სურვილია, შეწყდეს საომარი მოქმედებები და გაიხსნას სპარსეთის ყურე გემების თავისუფალი მიმოსვლისათვის. ახლა გაეროს გენერალური მდივნის ჟამი დადგა. მან უკვე მოიპოვა ომში მონაწილე ორივე მხარის ნდობა და ჩვენ მხარს ვუჭერთ მის მეცადინეობას ამ მიმართულებით".

25 ივლისს გაზეთ „ნორდზეეცაიტუნგში" გამოქვეყნებულ წერილში მე ვწერდი: „ახლა ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გაეროს გენერალურ მდივანს შესაძლებლობა მიეცეს, დაიწყოს თავისი საშუამავლო მოღვაწეობა. ის სხვებზე მეტად სარგებლობს ორივე დაპირისპირებული მხარის ნდობით და სათანადო კონცეფციაც აქვს შემუშავებული. ახლა ყველაზე საჭირო ის არის, რომ კონფლიქტში მონაწილე ყველა ქვეყანამ შემდეგ კვირებში უდიდესი თავშეკავება გამოიჩინოს. შექმნილი დაძაბული ვითარება რეგიონში მეტად აღარ უნდა გამწვავდეს. უნდა გამოირიცხოს სამგზავრო გემებზე თავდასხმები სპარსეთის ყურეში". ჩემმა გამონათქვამმა, ერაყი აგრესორია-მეთქი — ბაღდადში დიდი აღშფოთება გამოიწვია. დასავლეთის დედაქალაქებშიც იჩინა თავი კრიტიკულმა რეაქციამ.

27 ივლისს ერაყმა პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა 4 და 5 აგვისტოს დანიშნულ გერმანია-ერაყის ეკონომიკური კომისიის მუშაობაში მონაწილეობაზე. ჩემი დავალებით სტატს-მდივანმა იურგენ რუფუსმა ერაყის ელჩს განუმარტა ჩვენი პოზიცია სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომთან დაკავშირებით, უთხრა, რომ იგი მიუკერძოებელი იყო და ომის სასწრაფოდ დამთავრებას ისახავდა მიზნად.

პარიზში შევხვდი ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრს ტარიკ აზიზს, რათა — ისევ და ისევ ჩვენი სამშვიდობო ძალისხმევის ინტერესებიდან გამომდინარე — დაგვებალანსებინა ჩვენი დამოკიდებულება ერაყისა და ირანის მიმართ, მიუხედავად ჩვენი ერთმნიშვნელოვანი დასკვნისა, რომ აგრესორი ერაყი იყო. ამ გამონათქვამს საფრანგეთის მთავრობაში — ოღონდ ეს არ ეხება პრეზიდენტ მიტერანს — გაოცებით შეხვდნენ. და მაინც შეხვედრამ ტარიკ აზიზთან ძალიან კონსტრუქციულად ჩაიარა; გერმანია-ერაყის ურთიერთობებში გართულებები თავიდან იქნა აცილებული. მოთხოვნა,

უკან წამელო ჩემი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ომის დაწყების პასუხისმგებლობა ერაყის მხარეს დავაკისრე, არც ერთხელ არ გამოთქმულა. ცხადია, ამაზე არც მე დავთანხმდებოდი. ჩემი ფრანგი კოლეგის ლოცვა-კურთხევის გარეშე მე უკან, ბერხტესგადენში დავბრუნდი. როდესაც მოლაპარაკების პარიზში გამართვის თაობაზე მივიღე გადაწყვეტილება, ჩემ ფრანგ კოლეგა რაიმონთანაც დავგეგმე შეხვედრა. მან შემატყობინა, რომ იმ დღეს ვერ შეძლებდა ჩემს ნახვას — აი, ასეთი უჩვეულო პასუხი მივიღე მისგან. როლან დიუმა, რომელსაც მოგვიანებით მოვუყევი ამის შესახებ, სრულიად გაოგნდა. რაიმონმა, რომელსაც მე დიდ პატივს ვცემდი, იპოვა გამოსავალი, რომ ეს ამბავი მალე დავიწყებას მისცემოდა. პირადად მეც მასზე წყენა გულში არ ჩამიტოვებია.

ბაიროითის ფესტივალი დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენა გახლავთ. ფესტივალის სასახლის წინ გამოჩენა პოპულარობის ტესტს წააგავს: ყოველწლიურად იქ უამრავი ხალხი იყრის თავს, რათა სახელოვან სტუმრებს მეტ-ნაკლები აპლოდისმენტებით მიესალმოს. იგივე პროცედურა მეორდება შესვენების დროსაც, როდესაც ფესტივალის მონაწილენი დარბაზიდან რესტორნისკენ მიემართებიან.

ზაფხულის დღეებშიც, როდესაც ბერხტესგადენში სიმშვიდესა და სიმყუდროვეს ვეძებდი, მუშაობა მაინც გრძელდებოდა. ამიტომ ჩემი თანამშრომელი, ქალბატონი შმიდ-კიოლერი, პატარა სამუშაო შტაბს ქმნიდა: ბერხტესგადენში ორი ჩვენი თანამშრომელიც მოემგზავრებოდა, რომელთაც ეგრეთ წოდებული „ტელკოს“ — ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობის — მომსახურება ევალებოდათ. ბუნდესვერის ერთ-ერთ ყაზარმაში აყენებდნენ მიმღებს საიდუმლო იფორმაციებისთვის, რომლებიც საელჩოებიდან იგზავნებოდა და სტატსმდივნების მეშვეობით ჩემთან ხვდებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენი მუშაობა ისეთი დაძაბული არ იყო, როგორც ჩვეულებრივ დღეებში, მაგრამ ზოგიერთ საკითხზე შვებულების დროსაც უნდა გვეფიქრა და გადაწყვეტილებაც უნდა მიგვეღო. აქ, ჩვენი მეგობრების ბრუნო და ინგე შუბერტების შესანიშნავ მამულში, საშუალება მქონდა წიგნებს ჩავღრმავებოდი და ბევრი რამ საფუძვლიანად შემესწავლა. „ტელკოზე“ მომუშავე მამაკაცები, დაცვის სამსახურის თანამშრომლები და ქალბატონი შმიდტი ყველა პირობას ქმნიდნენ საიმისოდ,

რათა საგარეო საქმეთა მინისტრს შვებულებაში ყოფნის დროსაც კი თავისი მოვალეობა პირნათლად შეესრულებინა. ხოლო მშვიდი ატმოსფერო დასვენების საშუალებას იძლეოდა. სტუმართა ნაკადი მაქსიმალურად თხელდებოდა, ხანდახან კი მთლიანად წყდებოდა კიდეც. 1987 წლის იმ ზაფხულს, აგვისტოს დასაწყისში ამერიკელმა მრჩეველმა უშიშროების საკითხებში, კარლუჩიმ მომინახულა ელჩ ბერტთან ერთად. ისინი მანამდე ფედერალურ კანცლერ კოლთან იყვნენ ვოლფგანგზეეზე; საუბარი ეხებოდა განიარაღების საკითხებს. მნიშვნელოვანი შეხვედრების დროს ყოველთვის დგებოდა ხოლმე ოქმი, და ზოგჯერ იძულებული ვიყავი, შვებულება მცირე ხნით შემეწყვიტა. ასე მოხდა 6 აგვისტოსაც, როდესაც ბონში გავემგზავრე, რათა იმ საღამოს სირიის ელჩი მიმეღო. მეორე დღეს დანიშნული მქონდა რიგი შეხვედრებისა სამინისტროში. შემდეგ გერმანიის ბუნდესტაგში წავედი, რათა საგარეო საქმეთა კომისიაში მოხსენებით გამოვსულიყავი ერაყ-ირანის ომში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

ვისარგებლე შემთხვევით და დიდხანს ვესაუბრე დოქტორ ჰოლიკს. დოქტორ ფრიდრიხ რუთთან მრავალწლიანი თანამშრომლობის შემდეგ მე ის 1987 წელს ფედერალურ მთავრობაში რუთის მემკვიდრედ და განიარაღების საკითხებში მრჩეველად დავნიშნე. დოქტორ რუთს, განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლის სფეროში აღიარებულ ავტორიტეტს, სურდა გადადგომამდე ერთ ხანს ელჩად ემუშავა. მე მას რომში საელჩოს ხელმძღვანელობა ჩავაბარე და ეს ერთგვარი ჯილდო გახლდათ მის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაწეული ღვაწლისათვის.

ჰოლიკი, თავდაჯერებული, ბუნებით მშვიდი კაცი, იუმორით აღსავსე ადამიანი და მშვენიერი მოსაუბრეა; მის მეუღლესაც ხელმძღვანელი თანამდებობა უკავია საგარეო უწყებაში. ჰოლიკის დანიშვნა ძალიან კარგი არჩევანი აღმოჩნდა. საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობის პერიოდში მე მას სხვადასხვა ფუნქციებს ვანდობდი განიარაღების სფეროში და ბოლოს და ბოლოს ის „მთავარი განმაიარაღებელი“ გახდა. მას წილად ხვდა ბედნიერება, „განიარაღების წლების“ ერთ-ერთი შემოქმედი ყოფილიყო, წარმატებით გაუძღვა ამ საქმეს დიდი ცოდნისა და თავისი ავტორიტეტის წყალობით. როდესაც მე პოსტი მივატოვე, დოქტორი იოზეფ ჰოლიკი

საგარეო უწყების უმაღლესი რანგის თანამშრომელთა რიცხვს და საერთაშორისო განიარაღების პოლიტიკის კორიფეებს მიეკუთვნებოდა. ის ჩემი ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი მრჩეველი გახდა.

საღამოს ზალცბურგის გავლით უკან, ბერხტესგადენში დავბრუნდი. შაბათს, 9 აგვისტოს, იქ კვლავ მივიღე ირანის ელჩი, რათა მასთან მოლაპარაკებებზე უკანასკნელ ხანს შექმნილ მდგომარეობაზე მესაუბრა. ერთი დღის შემდეგ, სამწუხაროდ, ჩემი შვებულებაც დამთავრდა. უკვე კვირას, ნაშუადღევს, საგარეო უწყებაში ერაყ-ირანის ომთან დაკავშირებით პირველი საშინაო მოსმენა გაიმართა.

მოგზაურობები და ვიზიტები

1987 წლის 7-დან 11 სექტემბრამდე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ეწვია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ერიხ ჰონეკერი. უშუალოდ ამ ვიზიტის წინ კილში თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალური ყრილობა გაიმართა. იქ მე ჰონეკერის ვიზიტის მიმართაც გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება: „ეს ვიზიტი აღელვებს ადამიანებს როგორც ჩვენთან, ისე გდრ-ში. ის ომისშემდგომ ისტორიაში ღრმა გარდატეხის მომასწავებელია, მაგრამ გერმანელთა ერთიანობის თვალსაზრისითაც როდია გარდატეხის მომასწავებელი. ყველა გერმანელი — დასავლეთში თუ აღმოსავლეთში — ერთი სურვილითაა შეპყრობილი — ამ ვიზიტს მოჰყვეს წინსვლა ამ მიმართულებით. ეს არის მნიშვნელოვანი!“

ის, რომ ფედერალურმა მთავრობამ ერიხ ჰონეკერი მოიწვია, მე ყველა თვალსაზრისით სწორედ მიმაჩნდა. ორმხრივი ურთიერთობები მხოლოდ სარგებლობას მოიტანდა, ვინაიდან დაძაბულობის შენელება ორი გერმანიის ურთიერთობაში შვებას მოჰგვრიდა ადამიანებს გდრ-ში. მთლიანად დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დამოკიდებულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ გერმანულ-გერმანული ურთიერთობებისგან არავითარი გართულებები არ იყო მოსალოდნელი: ორივე გერმანული სახელმწიფოს ერთობლივ პასუხისმგებლობას „შეეძლო“ სრულიად პოზიტიური ცვ-

ლილებები შეეტანა დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობაში, მეტიც, ჩემი ღრმა რწმენით, არა მარტო შეეძლო, არამედ ვალდებული იყო შეეტანა. სწორედ ამაში მდგომარეობდა არსი და მოტივაცია ჩემი ძალისხმევისა ურთიერთშორის მეტი თანხმობის და აგრეთვე განიარაღების და შეიარაღებაზე კონტროლის სფეროში თანამშრომლობის მისაღწევად, სადაც კი ეს შესაძლებელი ჩანდა. სხვათა შორის, ცნება „ერთობლივი პასუხისმგებლობა" აძლიერებდა ყველა გერმანელის ერთობის განცდას, რადგანაც ამგვარი ერთობლიობა არსებობდა მხოლოდ აქ და არც ერთ სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში. მე არ ვიზიარებდი შეშფოთებას იმის გამო, რომ ჰონეკერის ვიზიტს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შეეძლო კიდევ უფრო გაეღრმავებინა ბზარი ორ გერმანიას შორის. პირიქით: ჩემი რწმენით, ერის ერთიანობის შეგნებას ის კიდევ უფრო გააძლიერებდა. მტრის ხატი სახელწოდებით „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა" გაფერმკრთალდებოდა, გრძნობა კი ჩვენი საერთო წარსულისა და საერთო მომავლისა — მაშასადამე, ჩვენი „ერთობლივი პასუხისმგებლობისა" — სულ უფრო გაძლიერდებოდა. თუმცა, რა თქმა უნდა, ბევრი რამ იმაზეც იქნებოდა დამოკიდებული, როგორ გამოვიყენებდით ამ გარემოებებს და ვინ როგორ სიტყვას წარმოთქვამდა.

მანამდე ცოტა ხნით ადრე ფედერალურმა კანცლერმა მკითხა, როგორ წარმომედგინა ეს ვიზიტი, რა ფორმა უნდა მიგვეცა მისთვის; მე მიჭირს ამის გადაწყვეტაო. ვუპასუხე, რომ კარგად მესმოდა მისი და ვუთხარი: მაინც მგონია, ეს ვიზიტი უნდა შედგეს. ბოლოს და ბოლოს, დანაშაული იქნებოდა გდრ-ის მოსახლეობის წინაშე, ამგვარი გარემოებები რომ არ გამოგვეყენებინა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, და დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის ურთიერთობების თვალსაზრისითაც ეს ვიზიტი მართებული და მნიშვნელოვანი იქნება. სწორედ იმ შანსების გათვალისწინებით, რასაც გორბაჩოვის პოლიტიკა გვაძლევს, გერმანულ-გერმანულ ურთიერთობაში არსებული პრობლემები უნდა შევამციროთ ან სულაც მოვხსნათ-მეთქი ისინი დღის წესრიგიდან.

აშკარა იყო, რომ ჰონეკერი ვიზიტს ბონსა და ფედერაციულ რესპუბლიკაში თავისი პოლიტიკური ბიოგრაფიის გვირგვინად განიხილავდა. მხოლოდ ვაშინგტონში მიწვევა თუ იქნებოდა მისთვის

უფრო მნიშვნელოვანი. მეორე მხრივ, მისთვის ეს სტუმრობა ჩვენთან და მით უფრო მის მშობლიურ ზაარლანდში განსაკუთრებული ემოციური შინაარსით იყო დატვირთული, რის მაგივრობასაც მას შეერთებულ შტატებში ვერანაირი მოგზაურობა ვერ გაუწევდა.

მე ჰონეკერს შევხვდი სადილზე, რომელიც ფედერალურმა პრეზიდენტმა და ფედერალურმა კანცლერმა თავიანთი სტუმრისთვის ჰამერშმიდტის ვილასა და რედუტში გამართეს. ამ ვითარებაში კანცლერმა არაორაზროვნად გამოხატა ჩვენი დამოკიდებულება გერმანიის ერთიანობასთან დაკავშირებით; იგივე ითქმის ფედერალურ პრეზიდენტზეც. სამშაბათს, 8 ოქტომბერს, უკვე ჰონეკერმა გამართა ვახშამი სასტუმრო ბრისტოლში, სადაც ჩვენ ვიპოვეთ დრო და ერთმანეთს მცირე ხნით გავესაუბრეთ.

სიახლე გახლდათ ისიც, რომ მე სამშაბათდილით საგარეო საქმეთა მინისტრი ფიშერი საგარეო უწყებაში მივიღე. ეს იყო ჩვენი პირველი საუბარი გერმანულ მიწაზე, რადგანაც გდრ ჩვენ არ მიგვაჩნდა უცხოეთად და მასთან ურთიერთობებიც, ამისდა შესაბამისად, საგარეო ურთიერთობებად არ განიხილებოდა. ეს ურთიერთობები მხოლოდ და მხოლოდ ფედერალური კანცელარიის კომპეტენციაში შედიოდა. თუმცა ამჯერად ფიშერი სახელმწიფოს თავმჯდომარის, ჰონეკერის, დელეგაციის წევრის სტატუსით გვეწვია.

9 ოქტომბრიდან 11 ოქტომბრამდე აღმოსავლეთ-დასავლეთის უსაფრთხოების საკითხთა შემსწავლელი ინსტიტუტის ყრილობაში ვმონაწილეობდი, რომელიც სან-პაულში, მინესოტას შტატში ჩატარდა. ჩემი სიტყვის მომზადებისას, რომელიც ჩვენი დროის საგარეო პოლიტიკის ძირეულ საკითხებზე იყო კონცენტრირებული, მნიშვნელოვანი სტიმული მომცა ჰანს იონასის ნააზრევმა. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ გვიან ღამით დავბრუნდი მინიაპოლისიდან, არ დავიზარე და მეორე დღესვე ფრანკფურტში გავემგზავრე, სადაც იონასს გერმანიის წიგნით ვაჭრობის მშვიდობის პრემია მიენიჭა. მისი წიგნი „პასუხისმგებლობის პრინციპი“ მე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წვლილად მიმაჩნია იმ საქმეში, რასაც ახალი ტიპის პასუხისმგებლობის გრძნობის გაცნობიერება ჰქვია. ამიტომაც ამ ფილოსოფოსის მიმართ მისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში უდიდესი პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული. მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1993 წლის 5 თებერვალს, მისგან მივიღე ძალზე

პირადული ხასიათის წერილი.

თითქმის ორი კვირის შემდეგ, 1987 წლის 23 ოქტომბერს, პირველად გავემგზავრე ტირანაში. ჩემი ვიზიტის მიზეზი ტირანასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება გახლდათ. ათწლეულების განმავლობაში ალბანეთი თვითიზოლაციის გამო ერთგვარ ევროპულ „ტერა ინკოგნიტოდ" იქცა, მით უმეტეს, რომ ის ერთადერთი ქვეყანა იყო კონტინენტზე, რომელიც ევროთათბირის პროცესში მონაწილეობას არ ღებულობდა. როდესაც ჩვენი თვითმფრინავი ტირანას მიუახლოვდა, ერთობ უცნაური რამ დავინახე — ეს იყო ბორცვები, რომლებიც თხუნელას ნახელავ მიწის გროვებს მოგაგონებდათ, ოღონდ დიდი ზომისას. გზად აეროპორტიდან ქალაქისაკენ დავადგინე, რომ ეს ბეტონის პატარ-პატარა ბუნკერები იყო, რომლებიც სამხედრო პარაშუტისტებისა და საჰაერო დესანტის თავდასხმებისგან თავის დასაცავად აღემართათ მთელ ქვეყანაში, უპირველესად კი დედაქალაქისა და აეროდრომის გარშემო.

ჩემი ვიზიტის დროს ძველი კომუნისტი დიქტატორი ენვერ ჰოჯა უკვე აღარ იყო ცოცხალი. სწორედ მისი პოლიტიკის გამოისობით მოექცა ალბანეთი სრულ იზოლაციაში და გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები ყველასთან, მათ შორის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთანაც. 1975 წელს და ოთხმოციანი წლების დამდეგს პირველი კონტაქტების დამყარების მცდელობა ბონსა და ტირანას შორის წარუმატებლად დამთავრდა, ვინაიდან ჩვენი პარტნიორები დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას ომის დროს გერმანელი ჯარისკაცების მიერ ქვეყნისთვის მიყენებული ზარალის კომპენსაციას უკავშირებდნენ. ჩვენ ამაზე უარი ვთქვით. 1984 წლის გაზაფხულზე დაიწყო ახალი მოლაპარაკებები ნიადაგის მოსინჯვის მიზნით და 1989 წლის მარტში ალბანეთმა, ბოლოს და ბოლოს, თავისი მოთხოვნები უკან წაიღო. ახლა უკვე ისიც შეიძლებოდა, რომ დაგეგმილ ბილატერალურ შეთანხმებებში დასავლეთ ბერლინის ჩართვის საკითხიც დადებითად გადაწყვეტილიყო, ის კი არა, ტირანამ ოთხი სახელმწიფოს შეთანხმებით დადგენილ ნორმებსაც კი გადააჭარბა — ეს იყო გადაწყვეტილება, რომელიც დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გამოხატულებად უნდა შეფასებულიყო.

ენვერ ჰოჯას რეჟიმმა მოსახლეობას უმძიმესი ჩაგვრა და

ეკონომიკური ჩამორჩენილობა მოუტანა. მისი მემკვიდრის პოლიტიკაში მეტი ღიაობისა და მოქნილობის ნიშნები გამოჩნდა. მასთან სერიოზულ საუბარში მე ალბანეთს უმძიმესი კატაკლიზმები ვუწინასწარმეტყველე, თუ მისი ხელმძღვანელობა რეფორმების გზას დროულად არ დაადგებოდა.

როდესაც 1991 წელს მეორედ მომიწია ტირანაში ჩასვლა — მაშინ ჩვენ ალბანეთის ევროთათბირში მისაღებად ვემზადებოდით —, განმეორებით არჩეულმა პრეზიდენტმა ღიმილით მითხრა: „ხედავთ, ბატონო მინისტრო, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც თქვენ პირველი ვიზიტის დროს მოითხოვეთ. ჩვენ ახლა დემოკრატიის გზაზე ვდგავართ". იგი ცოტა აჭარბებდა, მაგრამ ეს მაინც უკვე ძირეულად შეცვლილიყო ქვეყანა იყო. მე შესაძლებლობა მომეცა ოპოზიციურად განწყობილი პარტიებისა და ჯგუფების წარმომადგენლებსაც კი შევხვედროდი. ბერლინში დაგეგმილ ევროთათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების პირველ კონფერენციაზე ალბანეთის დელეგაციის მოწვევის პირობად მე დელეგაციაში ამ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა შეყვანა წამოვაყენე: მხოლოდ ამ პირობით შემიძლია მე, როგორც კონფერენციის თავმჯდომარემ, მხარი დავუჭირო ალბანეთის ევროთათბირში მიღებას-მეთქი. ტირანაში გამართული საუბრების დროს განსაკუთრებით თვალში მომივიდა დოქტორი სალი ბერიშა, პროფესიით ექიმი, რომელმაც შთამბეჭდავად ჩამოაყალიბა თავისი პარტიის მიზნები და დახატა ქვეყანაში შექმნილი ვითარება. ამიტომაც ვთხოვე ბერლინში ჰელმუთ კოლს, რომელმაც სიტყვით გახსნა ევროთათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია, ბერიშა რაიხსტაგში თავის ოფისში მიეღო. ასეც მოხდა. მაშინ საიდან გვეცოდინებოდა, რომ ბერიშა ერთ მშვენიერ დღეს ალბანეთის პირველი თავისუფლად არჩეული პრეზიდენტი გახდებოდა.

1987 წლის 27 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე მე სენეგალსა და ანგოლაში ვიმოგზაურე. ამის საბაბი გახდა ელჩების კონფერენცია დაკარში, რომელზეც მე აფრიკაში მოღვაწე ყველა ელჩი მივიწვიე, რომ მათთან ერთად გერმანიის აფრიკულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ შემდგომ ნაბიჯებზე მოგვეთათბირა. ჩვენ საკმაო საფუძველი გვქონდა საიმისოდ, რომ შეშფოთებულნი ვყოფილიყავ-

ით ამ კონტინენტზე მოვლენათა განვითარებით. კვლავ გრძელდებოდა სამხრეთაფრიკული აპარტეიდის პოლიტიკა; ჩვენი ქვეყნის, ისევე როგორც ევროგაერთიანების მიერ გაწეული დახმარება დანაწევრებულად გამოიყურებოდა. მულტილატერალური და ეროვნული მცდელობანი ახლებურ კოორდინაციას საჭიროებდა. ამავე დროს, ჩემი აზრით, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის შეუსაბამო სარეფორმო მოთხოვნებიც კორექტირებას მოითხოვდა, ასევე განხილვის საგნად იქცა თემა ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების სტაბილიზაციის სისტემის გაუმჯობესებისა, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ ნედლეულზე ფასების დაცემიდან და ევროგაერთიანების მიერ სამოცზე მეტ განვითარებად ქვეყანასთან დადებული ლომეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე. სტიპენდიები განათლების სფეროს ყველა საფეხურზე უნდა გაზრდილიყო, ინდუსტრიაში ინვესტიციების წახალისება უნდა გაძლიერებულიყო — მაგალითად, ინვესტიციების დამცავი ფართო ხელშეკრულების დადებით.

სენეგალის პრეზიდენტი დიუფი მიესალმა ჩემს ვიზიტს ანგოლაში. ამას იგი გამხნევებად მიიჩნევდა და შემპირდა, რომ ნამიბიის საკონტაქტო ჯგუფს, რომლის დაფუძნებაში თავის დროზე მეც მქონდა მონაწილეობა მიღებული, ამ საშუამავლო მოლაპარაკებებში ჩართავდა. ჩემი საუბარი ანგოლის პრეზიდენტ დოს სანტოსთან, რომელსაც მე ლუანდაში შევხვდი, სიგნალი გახლდათ სამომავლო ბილატერალური ურთიერთობების დასამყარებლად. სანტოსი იმედოვნებდა, რომ ჩვენ მხარს დავუჭერდით ანგოლის მსოფლიო ბანკში გაწევრიანებას. ამის შემდეგ მე უკან, სენეგალში დავბრუნდი, სადაც I ნოემბერს ელჩების კონფერენცია დაიწყო. კონფერენციის მუშაობა ნაყოფიერი შედეგებით დასრულდა. გერმანიის აფრიკული პოლიტიკა ითვალისწინებდა ამ მეზობელი კონტინენტის როგორც სიდიდეს, ისე მის მნიშვნელობას პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით; პოლიტიკური მომენტი გამოიხატებოდა აპარტეიდის დაგმობაში ადამიანთა უფლებების დაცვის მიზნით.

ფედერალური რესპუბლიკის ახლოაღმოსავლური პოლიტიკაც საჭიროებდა ახალ იმპულსებს. 16 ნოემბრიდან 20 ნოემბრამდე ვიმოგზაურე საუდის არაბეთში, იორდანიასა და ერაყში. ჩვენ კარგი ურთიერთობები გვქონდა საუდის არაბეთთან. როგორც აღმოჩნდა,

იქ სურვილი ჰქონდათ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას უფრო აქტიური როლი ეთამაშა ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო ძალისხმევის მხარდასაჭერად.

საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრს პრინც საუდს, ჭკვიან, გამოცდილ, ელეგანტურ და მშვენიერი გარეგნობის ადამიანს, ადრინდელი მოლაპარაკებებიდან ვიცნობდი. ის დიდად აფასებდა ჩვენს მყარ და გაწონასწორებულ პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში და სპარსეთის ყურის სხვა სახელმწიფოების მსგავსად, ისიც მომხრე იყო მჭიდრო ურთიერთობისა ევროგაერთიანებასა და სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს შორის. ევროგაერთიანებისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს ხელშეკრულება იყო იმ პოლიტიკის ელემენტი, რომელსაც სახელმწიფოთა რეგიონალური გაერთიანებების შექმნით ხელი უნდა შეეწყო სტაბილიზაციის დამკვიდრებისათვის როგორც რეგიონალური, ისე მსოფლიო მასშტაბით.

ერ-რიადში მე მხარი დავუჭირე ომის სასწრაფოდ დამთავრებას ირანსა და ერაყს შორის, ამასთან ისიც აღვნიშნე, რომ ჩვენ მხარს დავუჭერდით გაეროს გენერალური მდივნის ძალისხმევას, რათა ხორცი შესხმოდა უშიშროების საბჭოს 598-ე რეზოლუციას. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შეუძლია გაეროს უშიშროების საბჭოში კონფლიქტში ჩაბმულ ორივე მხარესთან თავისი კონტაქტების მეშვეობით წვლილი შეიტანოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საქმეში-მეთქი. ბოლოს მხარი დავუჭირე იმასაც, რომ სამომავლოდ გაძლიერებულიყო თანამშრომლობა სპარსეთის ყურის ქვეყნების საბჭოსა და ევროგაერთიანებას შორის. საამისოდ შექმნილი იყო შესაფერისი წინაპირობები, რადგანაც იმ დროისათვის სპარსეთის ყურის ქვეყნების საბჭოში საუდის არაბეთი, ევროგაერთიანებაში კი გერმანია თავმჯდომარეობდა.

ამის შემდგომი ჩემი ვიზიტი ერაყში სადამ ჰუსეინთან მოლაპარაკებას ისახავდა მიზნად. ეს იყო ჩემი მეორე შეხვედრა ერაყის დიქტატორთან. ამავე დროს, პოლიტიკური საკითხების განხილვის გარდა, მინდოდა მასთან ერაყული წარმოშობის გერმანელი მოქალაქის ციხიდან გათავისუფლების თაობაზეც მესაუბრა, რომელიც ფედერალური პრესსამსახურის თანამშრომელი იყო და რომლის მეუღლე ქრისტიანულ-სოციალური კავშირის სამხარეო ჯგუფში

მუშაობდა,.

ამჯერად სადამ ჰუსეინის უსაფრთხოებისთვის მიღებული ზომები უფრო გაემკაცრებინათ. სასტუმროდან გამოსვლის დროსაც კი არ ვიცოდით, სად გაიმართებოდა შეხვედრა. ჩვენმა ავტოკოლონამ მთელი ბაღდადი მოიარა, ვიდრე უცბად რომელიღაც უზარმაზარი ადმინისტრაციული შენობის წინ არ შევჩერდით. ქუჩის ორივე მხარის სავალ ნაწილზე ავტომატმომარჯვებული ჯარისკაცები ჩამწკრივებულიყვნენ. ჩვენ მოსაცდელ ოთახში მოვკალათდით. ცოტა ხნის შემდეგ პრეზიდენტთან მიმიწვიეს, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრ ტარიკ აზიზთან ერთად მელოდებოდა. ჩემი თანამშრომლები ორიოდე წუთის შემდეგ შემოვიდნენ, ოღონდ თავიანთი პორტფელების გარეშე. ეშინოდათ, ვინმეს ბომბი ან იარაღი არ შემოეტანა მალულად. ორივე სკამის უკან, სადაც პრეზიდენტმა და მე ადგილები დავიკავეთ, შირმა ჩამოეფარებინათ და მე ვიგრძენი, რომ მათ უკან უშიშროების სამსახურის თანამშრომლები იმალებოდნენ, რომლებიც ყოველ წუთს მზად იყვნენ სამოქმედოდ.

გერმანიის ტელევიზიას შესთავაზეს, ვიდეომასალა ერაყის ტელევიზიისგან შეეძინა. ეს მარტო საქმიანი წინადადება კი არ იყო, არამედ უსაფრთხოების ზომაც. ერთი რამ ცხადი გახლდათ: სადამ ჰუსეინისთვის ჩემთან საუბარი რაღაცას ნიშნავდა. ჩემი ინტერესი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ მნიშვნელოვან ქვეყანასთან — მიუხედავად მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ჩვენეული შეფასებისა — კონტაქტი შეგვენარჩუნებინა. ამას ემატებოდა ბონის პრესსამსახურის ზემოთ ნახსენები თანამშრომლის, იაკობ პეტროსის, საპატიმროდან დახსნას საკითხი. პეტროსი 1981 წელს ერაყში მივლინებით ყოფნის დროს დააპატიმრეს და ერაყის სასამართლოს მიერ ჯაშუშობის ბრალდებით 20 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. ამიტომაც ვუთხარი მე ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ პეტროსის შეწყალება გაგებულ იქნებოდა, როგორც სიგნალი იმისა, რომ ერაყი დაინტერესებული იყო თავისი საგარეო ურთიერთობების გაუმჯობესებით.

შემდეგ ბაღდადის ერთ-ერთ სასაფლაოზე გერმანელ ჯარისკაცთა საფლავები მოვინახულე; ისინი კარგად იყო მოვლილი. ჩემდა გასაკვირად აქ წავაწყდი არამარტო პირველ, არამედ მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ჯარისკაცების საფლავებსაც. აქ განის-

ვენებდნენ გერმანიის საჰაერო ძალების ჯარისკაცები, რომლებიც ამ რეგიონში ჩამოაგდეს და შემდეგ ბაღდადში მიაბარეს მიწას.

1987 წელს თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ მძიმე დანაკლისი განიცადა: პირველ სექტემბერს, ჰაგენში მიწას მივაბარეთ ვილი ვაიერი. ჩვენგან წავიდა ომისშემდგომი თაობის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ის დიდად განსაზღვრავდა ჩვენი პარტიის სახეს. ჩემთვის მისი სიკვდილი როგორც პოლიტიკური, ასევე ადამიანური თვალსაზრისითაც დიდი დანაკლისი იყო. ის ჩემი ერთ-ერთი მფარველი გახლდათ და ამას მე მას ვერასოდეს დავუვიწყებ. სწორედ მან იზრუნა, რომ 1965 წელს ვუპერტალში, ბუნდესტაგის საარჩევნო ოლქში მეყარა კენჭი და სამხარეო სიაში შესაბამისი ადგილი მომეპოვებინა, ხოლო 1968 წელს თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალური თავმჯდომარის პოსტზე მისი ადგილი რომ უნდა დამეკავებინა, ესეც მისი წინადადება იყო. 1976 წელს, უკვე როგორც პარტიის თავმჯდომარემ, მთავრობის შედგენის წინ ვილი ვაიერს ვკითხე, ხომ არ სურდა ბონში გადმოსელა ფედერალური მინისტრის პოსტის დასაკავებლად. ეს ჟესტი ბევრს ნიშნავდა მისთვის, თუმცა მას არასოდეს სერიოზულად არ უფიქრია, თავისი ძლიერი პოზიცია დაეთმო ნორდრაინ-ვესტფალენის სამხარეო პოლიტიკაში. ის დიუსელდორფში შინაურულად გრძნობდა თავს, მით უფრო, რომ იქ მის სიტყვას ბევრად უფრო მეტი წონა ჰქონდა, ვიდრე სამხარეო მინისტრის სიტყვას ჩვეულებრივ აქვს ხოლმე; ტყუილად როდი ითვლებოდა იგი ყველაზე ცნობილ ლიბერალ სამხარეო პოლიტიკოსად. მას ძალიან უყვარდა სპორტი და მხოლოდ ცოტა ვინმე თუ გარჯილა მასობრივი და პროფესიონალური სპორტის ხელშესაწყობად ისე, როგორი თავდადებითაც აკეთებდა ამას ვილი ვაიერი, რომელიც წლების განმავლობაში ნორდრაინ-ვესტფალენის სპორტის ფედერაციის, ხოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გერმანიის სპორტის ფედერაციის თავმჯდომარე გახლდათ.

ორმაგი ნულოვანი ვარიანტის წელიწადი

1987 წელი პოლიტიკური თვალსაზრისით ორმაგი ნულოვანი ვარიანტის წლად იქცა. ეს იყო გერმანული უსაფრთხოების პოლიტიკის, უპირველესად კი, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის უსაფრთხოების პოლიტიკის წარმატება. ნულოვანი ვარიანტის იდეა ევროპაში გაჩნდა, გერმანიაში, სადაც შმიდტ-გენშერის მთავრობა უწევდა პროპაგანდას იმას, რომ ნულოვანი ვარიანტი მოლაპარაკებების უმაღლეს მიზნად ქცეულიყო. 1981 წელს პრეზიდენტმა რეიგანმა საბჭოთა კავშირს შესთავაზა, რომ უარს იტყოდა ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტების განლაგებაზე, თუ საბჭოთა კავშირი თავის SS-4 და SS-5 ტიპის რაკეტების, უპირველესად კი თავისი SS-20 ტიპის რაკეტების დემონტაჟს მოახდენდა. მაგრამ ვიდრე გორბაჩოვი გენერალური მდივანი გახდებოდა, მოსკოვი უარზე იდგა. მხოლოდ 1985 წლის ნოემბერში ჟენევის შეხვედრაზე შეიცვალა ეს დამოკიდებულება და თუმცა საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღის შესახებ მოლაპარაკებებზე თვალსაჩინო წარმატება ვერ იქნა მიღწეული, საბჭოებმა პირველად გამოამჟღავნეს სერიოზული დაინტერესება შეიარაღებაზე კონტროლის დაწესების თაობაზე მოლაპარაკებათა მიმართ. ამგვარად, კოლ-გენშერის მთავრობის დადგენილება, ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების ორიკე ნაწილი 1979 წლიდან თანმიმდევრულად განხორციელებულიყო, შთამბეჭდავად დადასტურდა.

1979, ასევე 1983 წელს საბჭოთა მუქარას დასავლეთის მხრიდან სამხედრო, თუმცა პოლიტიკურად მოზომილი რეაგირება მოჰყვა: ამ პოლიტიკის ბირთვი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ იყო შექმნილი. მხოლოდ ჩვენი სიმტკიცის წყალობით გახდა შესაძლებელი სრულიად ახლებურად შეფასებულიყო საბჭოების ინტერესები, რომელთაც ისევ და ისევ გორბაჩოვის საგარეო პოლიტიკურ რეფორმებამდე მივყავდით, რაც განიარაღების სფეროში, ევროპულ და გერმანულ პოლიტიკაში ახლებურ აზროვნებასთან იყო დაკავშირებული. 1979 წლის ნატოს ორმაგი გადაწყვეტილება და საუბარი რაკეტების განლაგებაზე 1983 წელს გახლდათ ამოსავალი პუნქტები იმ ტექტონური პოლიტიკური ძვრებისათვის, 1989 წელს, ათი წლის მოგვიანებით რომ დაიწყო.

1983 წლის ბოლოს პოლიტიკური ვითარება უშუალოდ ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების განხორციელების მერე მე შემდეგნაირად შევაფასე: გამალებული შეიარაღების დაწყების შემდეგ მომწიფდა დრო, ხელახლა გვეცადა ფართო მასშტაბის, გრძელვადიანი საფუძვლების გამოძებნა დაძაბულობის შენელების, შეიარაღების პოლიტიკისა და განიარაღებისათვის. რადგანაც საბჭოთა კავშირი თანასწორუფლებიანი ზესახელმწიფოს ახალ სტატუსს მესამე სამყაროს ქვეყნებში შეჭრის, ინტერვენციისა და შემდგომი შეიარაღებისთვის იყენებდა, დაძაბულობის შენელების პოლიტიკაში დღემდე მიღწეული შედეგები ნაწილობრივ შედეგებად რჩებოდა. და არა მარტო ეს: საბჭოთა შეიარაღებისა და განზე დგომის პოლიტიკის შედეგად დასავლეთევროპელთა უსაფრთხოების სასიცოცხლო ინტერესების შელახვამ მძიმე დაღი დაასვა დაძაბულობის შენელების პროცესს. დასავლეთის მხრივ პრინციპული პოზიციის გამოვლენის ვითარებაში, რაც შეიარაღების ზრდაში გამოიხატა, საბჭოთა ხელმძღვანელობას სამი საგარეოპოლიტიკური ალტერნატივიდან ერთი უნდა ამოერჩია. შესაძლებელი იყო, ერთის მხრივ, გაძლიერებული კონფრონტაციისკენ დაბრუნება, მეორე: სელექციური დაძაბულობის შენელების პოლიტიკის გაგრძელება, და მესამე: ახალი ფართო მასშტაბის თანამშრომლობის დაწყება თანასწორუფლებიან და გრძელვადიან საფუძველზე.

1986 წლის 10-12 ოქტომბერს რეიკიავიკში შედგა რეიგანისა და გორბაჩოვის შეხვედრა უმაღლეს დონეზე. ორივე მხარემ ორიენტაცია საშუალო სიშორის რაკეტებისათვის გლობალური ზედა ზღვრის დადგენაზე აიღო — მხოლოდ ასი საბრძოლო ქობინი დიდი სიშორის საშუალო რადიუსის საფრენ აპარატებზე — ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ყველა ამერიკული და საბჭოთა გრძელი სიშორის ტაკტიკური ატომური იარაღის დემონტაჟს ევროპაში. კონკრეტულად ეს იმის მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო, რომ საბჭოთა მხარე მოახდენდა 408 SS-20 ტიპის რაკეტის დემონტაჟს თავისი 1224 საბრძოლო ქობინით, ამერიკის შეერთებული შტატები კისრულობდა 216 რაკეტის დემონტაჟს იმდენივე საბრძოლო ქობინით — აი შედეგი, რომელიც გერმანელებს, ისევე, როგორც ევროპის დასავლეთ თუ აღმოსავლეთ ქვეყნების ხალხებს დიდ შვებას მოჰგვრიდა. მაგრამ აზრთა სხვადასხვაობამ კოსმოსურ შეიარ-

აღებასთან დაკავშირებით მათ არ მისცა საშუალება მიეღწიათ შეთანხმებისათვის.

და მაინც რეიკიავიკის შეხვედრა უმაღლეს დონეზე გახლდათ დასტური იმისა, თუ როგორი სერიოზულობით ცდილობდა როგორც ამერიკული, ისე საბჭოთა მხარე, ერთად ეძებნათ ახალი გზები. რეიკიავიკი იყო მხოლოდ შესავალი ახალი ეტაპის დასაწყისისა დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებში. ყველა დამკვირვებელი გრძნობდა, რომ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დათბობა დაიწყო და სწორედ გერმანიაში გახმოვანდა იმედები, რომ ევროპაში დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების პროცესს, ბოლოს და ბოლოს, ახალი იმპულსები უნდა მისცემოდა. ამერიკისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, შულცმა და გრომიკომ, ჯერ კიდევ წელიწადზე მეტი ხნის წინათ, 1985 წლის 8 იანვარს გააკეთეს განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ გამალებული შეიარაღების კოსმოსში გაგრძელებისთვის ხელი უნდა შეეშალათ, ხოლო დედამიწაზე მისთვის ბოლო მოეღოთ.

1986 წლის 2 ოქტომბერს თავის სამთავრობო განცხადებაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამაც გამოხატა თავისი პოზიცია ქიმიური იარაღის საყოველთაო აკრძალვასთან, შეიარაღების კონტროლზე არსებული შეთანხმებების დაცვასთან, ბირთვული იარაღის გამოცდის შეწყვეტასთან, სტრატეგიული იარაღის შესახებ მოლაპარაკებებთან და, უპირველეს ყოვლისა, განიარაღების ამერიკული ინიციატივის მხარდაჭერასთან დაკავშირებით. როდესაც ერთი კვირის შემდეგ რეიკიავიკში დაიწყო უმაღლესი დონის შეხვედრა პრეზიდენტ რეიგანსა და გენერალურ მდივან გორბაჩოვს შორის, ამ საუბრების უზარმაზარი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ყველას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული.

თუ შევადარებთ 1981 წელს დაფიქსირებულ საწყის პოზიციებს, ნათლად დავინახავთ, რომ მაშინ საბჭოთა კავშირი ნამდვილად აშკარა დათმობებზე წავიდა. მაგრამ რეიკიავიკის შემდეგაც გერმანელებისა და ევროპელებისთვის საარსებო მნიშვნელობის მქონე პრობლემა კვლავ გადაუჭრელი დარჩა: მოკლე რადიუსის საშუალო სიშორის რაკეტები. თუმცა გორბაჩოვმა მიგვანიშნა, რომ შეზღუდვები ამ ტიპის იარაღსაც შეეხებოდა. და მაინც, ორივე მხარე, როგორც ამერიკა, ისე საბჭოთა კავშირი რეიკიავიკში შეთანხმდნენ

იმაზე, რომ უნდა გაგრძელებულიყო მოლაპარაკებები შეიარაღების შემდგომი შემცირების თაობაზე. საგარეო საქმეთა მინისტრმა შულცმა 1986 წლის 16 ოქტომბერს ისიც კი თქვა, იქნებ ამ იარაღის სრულ განადგურებაზეც შევთანხმებულიყავითო.

რეიგანსა და გორბაჩოვს სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივასა და ანტიბალისტიკური რაკეტების თაობაზეც რომ მიეღწიათ შეთანხმებისათვის, რეიკიავიკის შეხვედრა ნამდვილად დიდ ისტორიულ მნიშვნელობას შეიძენდა. მაგრამ პერსპექტივა ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი მსოფლიოსი, რომელიც ორივე მხარის ხილვებში აირეკლებოდა, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში სხვადასხვაგვარ, გარკვეულწილად შოკისმაგვარ რეაქციას იწვევდა. გადამწყვეტი ის იყო, რომ რეიკიავიკის შემდეგ შეიარაღების კონტროლზე დიალოგის სიმძიმის ცენტრმა გადაინაცვლა: პირველ პლანზე იდგა უკვე არა ამერიკა-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებები სტრატეგიული იარაღის შესახებ, არამედ მოლაპარაკებები საშუალო სიშორის რაკეტების თაობაზე.

რეიგანი და გორბაჩოვი რეიკიავიკში უფრო შორს წავიდნენ, ვიდრე ნატოში ამას ვარაუდობდნენ. დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში ისლანდიის დედაქალაქში მიმდინარე მოვლენებზე აზრი ორად იყო გაყოფილი. მე მიხაროდა, რომ ძველებურად აზროვნებას ყავლი გაუვიდა და საჯაროდ გამოვხატე ჩემი კმაყოფილება მიღწეული შედეგის გამო, ვიცავდი მას კრიტიკისაგან, რომელიც დასავლეთ ევროპაში ხან მარცხნიდან, ხან მარჯვნიდან გაისმოდა. ერთნი ფიქრობდნენ, რომ რეიგანმა და გორბაჩოვმა მეტისმეტად შორს გაუტიეს, მეორენი კი პირიქით, ამბობდნენ, არც ისე შორს წასულანო. მე კი ვატყობდი, დადასტურდა ჩემი შთაბეჭდილებები, გორბაჩოვთან საუბრიდან რომ გამომყვა.

უკვე 1986 წლის თებერვალში, მას შემდეგ, რაც გორბაჩოვმა წამოაყენა თავისი წინადადება ევროპისთვის ეგრეთ წოდებული ნულოვანი ვარიანტის შესახებ, ვაშინგტონში დაჟინებით მოვითხოვდით, რომ პრეზიდენტ რეიგანს მტკიცედ დაეჭირა მხარი ჩვენი პირვანდელი წინადადებისთვის გლობალურ ნულოვან ვარიანტთან დაკავშირებით. წერილში, რომელიც მან 1986 წლის 22 თებერვალს გორბაჩოვს მისწერა, პრეზიდენტი რეიგანი კიდევ ერთხელ განმარტავდა შესაძლებლობას, რის თანახმადაც საბჭოთა კავშირისა და

ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო სიშორის რაკეტები მსოფლიო მასშტაბით უნდა ყოფილიყო ლიკვიდირებული. მსოფლიო მასშტაბით ლიკვიდაცია ყოველმიზეზგარეშე უნდა განხორციელებულიყო. მიხეილ გორბაჩოვმა მაშინ გადაჭრით უარი თქვა იმაზე, რომ შეთანხმებაში ფრანგული და ბრიტანული სარაკეტო სისტემებიც გაგვეთვალისწინებინა.

ნატოს შიგნით გაიმართა ცხარე დისკუსია. ამასთან გამოიკვეთა ორი პოლიტიკური თვალსაზრისი: ალიანსში გაისმოდა ხმები, რომელიც ნულოვან, მეტიც — ორმაგ ნულოვან ვარიანტსაც მიესალმებოდნენ; მეორე მხრივ, გაჩნდა მოსაზრებაც, რომ შეიძლებოდა დეატომიზაციის საფრთხე შექმნილიყო. მე ურყევად ვიცავდი ჩვენს პოზიციას, რომლის მიზანიც ბირთვული საშუალო სიშორის რაკეტების საყოველთაო და სრული ლიკვიდაცია გახლდათ.

1987 წლის 28 თებერვალი კიდევ ერთ მნიშვნელოვან თარიღად იქცა: გორბაჩოვმა გახსნა ურთიერთშეპირობებულობის კვანძი, რომელიც არსებობდა საშუალო სიშორის რაკეტებსა და სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივაზე ან კიდევ ანტიბალისტიკურ რაკეტებზე მოლაპარაკებებს შორის — ეს იყო საკითხი, რომელიც მე 1987 წლის 3 იანვარს ჩემს მიუნხენურ გამოსვლაში და შემდეგ მოსკოვთან საუბრებში არაერთხელ წამოვჭერი. ამით გორბაჩოვმა გზა გახსნა საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების თაობაზე დამოუკიდებელი შეთანხმებისაკენ. მოვლენების ამგვარი განვითარება მხნეობას მმატებდა: ნულოვანი ვარიანტი თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო უწყების ფართო მონაწილეობით მომზადდა, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ის აიტაცა და 1981 წელს ამერიკა-საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკებების საგნად იქცა. ეს „ნულოვანი ვარიანტი“ — განვაცხადე 1987 წლის 7 მაისს გერმანიის ბუნდესტაგში გამოსვლისას — „კონკრეტულად ნიშნავს: განადგურებას დიდი რაოდენობით საბჭოთა საზენიტო სისტემებისა და რაკეტებისა, რომლებიც ერთად 1335 ატომური საბრძოლო ქობინით არის აღჭურვილი, ხოლო დასავლეთში იმდროინდელი მდგომარეობით 216 ატომური საბრძოლო ქობინით აღჭურვილი რაკეტებისა და ფრთოსანი რაკეტების ლიკვიდაციას“.

იმავე სხდომაზე ჩემ კოლეგა ეგონ ბარს მივმართე: „თქვენ სერიოზულად უნდა დაფიქრდეთ იმის თაობაზე, ხომ არ აჯობებდა, დარჩენილიყავით თქვენს პოზიციაზე ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ნატოს ორმაგი გადაწყვეტილებიდან გამოსვლა მოასწავებდა განიარაღების შანსის ხელიდან გაშვებას, რომელიც ახლა განხორციელების ფაზაში შედის. თქვენ ხომ გასული წლის შემოდგომაზე გვთავაზობდით, რომ დასავლეთი შეაჩერებდა თავის შეიარაღებას, თუ საბჭოთა კავშირი 1979 წლის მდგომარეობას დაუბრუნდებოდა“. მე ნათლად განვმარტე, რომ ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან ალიანსი იცავდა თვალსაზრისს, „რომ 1000-დან 5500 კილომეტრამდე სიშორის ტაქტიკური ბირთვული იარაღის თაობაზე შეთანხმებას არ უნდა მივეყვანეთ ისეთ სასაზღვრო ზონის წარმოქმნამდე, რომელიც 500-დან 1000 კილომეტრის საშუალო სიშორის ატომურ ქობინებს შეიარაღებაზე კონტროლთან დაკავშირებული მოლაპარაკებების სფეროს მიღმა დარჩებოდა“. სწორედ ეს რაკეტები ანიჭებდა საბჭოთა კავშირს დამთრგუნველ უპირატესობას დასავლეთის წინაშე, რადგანაც ამ სფეროში ამერიკული სისტემები არ არსებობდა. სამაგიეროდ არსებობდა მთელ მსოფლიოში განლაგებული 130-დან 160-მდე საბჭოთა მრავალჯერადი გამოყენების რაკეტა. 1987 წლის 3 მარტის ამერიკული განიარაღების პროექტი შეზღუდვებს 500 და 1000 კილომეტრის რადიუსის საშუალო სიშორის რაკეტებისთვისაც ითვალისწინებდა.

ჩვენ შეგვეძლო დაგვეყოლიებინა ვაშინგტონი, რომ საშუალო სიშორის მოკლე მანძილზე მოქმედი (150-დან 500 კილომეტრამდე) ბირთვული რაკეტების შესახებ მოლაპარაკებების სამომავლოდ ჩატარება მაინც დაეფიქსირებინა საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების თაობაზე დადებულ ხელშეკრულებაში. საგარეო საქმეთა მინისტრის შულცის ხხვადასხვა გამონათქვამმა დამარწმუნა ჩემი ვარაუდის სისწორეში, რომ აშშ, როგორც ეს მისი 1986 წლის 30 სექტემბრის დეკლარაციიდან გამოჩნდა, საშუალო სიშორის მოკლე მანძილის 500-დან 1000 კილომეტრამდე რადიუსის რაკეტებისთვის იმავე ზედა ზღვარს დააწესებდა და საშუალო სიშორის მოკლე მანძილის 150-დან 500 კილომეტრამდე რადიუსის რაკეტების თაობაზე სამომავლო მოლაპარაკების ვალდებულებასაც შეიტანდა საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების შესახებ დადებულ

ხელშეკრულებაში. არავითარ შემთხვევაში აღარ უნდა განმეორებულიყო ის, რაც მოხდა სტრატეგიული იარაღის შემცირებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე, როდესაც კარტერის ადმინისტრაციამ ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა, სტრატეგიული შეიარაღების სფეროში — იგულისხმება საშუალო სიშორის რაკეტები — წინ აღდგომოდა შეიარაღების ახალი ტალღის აგორებას. მოვლენები დრამატულად ვითარდებოდა: საბჭოთა კავშირი ამჟღავნებდა მზადყოფნას, საშუალო სიშორის მოკლე მანძილის 500-დან 1000 კილომეტრამდე რადიუსის სფეროშიც ნულოვან ვარიანტს დათანხმებულიყო.

როდესაც ორმაგი ნულოვანი ვარიანტი, ანუ მოკლე და გრძელი რადიუსის საშუალო სიშორის რაკეტების სრული გაუქმების შესაძლებლობა მოლაპარაკების საგნად იქცა, დასავლეთში ბოლომდე არ სჯეროდათ, რომ გლობალური ნულოვანი ვარიანტის განხორციელება მოხერხდებოდა. გადაიარაღების მემარცხენე მოწინააღმდეგეებს არასოდეს სჯეროდათ, რომ საბჭოთა კავშირი ნულოვან ვარიანტს დათანხმდებოდა. ისინი მზად იყვნენ, მორატორიუმზე დათანხმებით მოსკოვისთვის მომავალშიც მნიშვნელოვანი უპირატესობა დაეთმოთ. ხოლო ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების კონსერვატორი მომხრენი აშკარად იმ მოლოდინით იყვნენ გამსჭვალულნი, რომ მოსკოვი არანაირ ნულოვან ვარიანტს არ დათანხმდებოდა. ეს არ გახლდათ პირველი შემთხვევა, როდესაც მარცხნივაც და მარჯვნივაც ერთი და იმავე შეცდომის მსხვერპლნი ხდებოდნენ.

მე ორმაგი ნულოვანი ვარიანტის თავგადაკლული მომხრე ვიყავი. გარღვევას განიარაღების სფეროში შეეძლო ფუძემდებლური ცვლილებები შეეტანა საერთოდ დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებში: ყოველ შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული კონფლიქტებით აღსავსე წინაისტორიის შემდეგ ასეთ ფართო შეთანხმებას ზეგავლენა არ მოეხდინა დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებზე. არა მხოლოდ გორბაჩოვი, არამედ აშშ-ს პრეზიდენტიც ბირთვული საფრთხის ალაგმვაში ხედავდნენ პოლიტიკურ მოწოდებას, რომელიც ორივეს ხელსაყრელ შემთხვევაში მეტ სივრცეს აძლევდა, ვიდრე ეს მათ სპეციალურ მრჩევლებს ეხატებოდათ გულზე. ამის დასტური გახლდათ 1986 წლის ოქტომბრის თვეში რეიკიავიკ-

ში გამართული ამერიკა-საბჭოთა კავშირის უმაღლესი დონის შეხვედრა.

და დაბორიალობდა აჩრდილი ცნებისა „დეატომიზაცია" დასავლურ ალიანსში. ჯერ მარტო იმის გამო, რომ გერმანიის ტერიტორიაზე ამდენი ბირთვული პონტენციალი რჩებოდა კონცენტრირებული, ასეთი დამოკიდებულება არსებითად მცდარი გახლდათ — ის ძველებური აზროვნების ნაყოფი იყო. დასავლეთის ბირთვული არტილერია თავის ძნელად კონტროლირებადი საარტილერიო ქობინების რაოდენობით, თითოეული სიმძლავრით ხიროსიმაში ჩამოვარდნილ ბომბს რომ უტოლდებოდა, დასავლეთის მოკლე რადიუსის ბირთვული რაკეტები, ამას დამატებული ეგრეთ წოდებული საჰაერო ბირთვული იარაღი, ხმელთაშუა ზღვაში ბაზირებული ამერიკის მე-6 ფლოტის საზღვაო ბირთვული შეიარაღება, საბჭოთა კავშირის მოკლე რადიუსის ბირთვული რაკეტები გერმანიის ტერიტორიაზე, სხვა საბჭოთა ბირთვული იარაღი და ბოლოს არანაკლებ მნიშვნელოვანი სტრატეგიული შეიარაღება ორივე ზესახელმწიფოსი, იყო მანიშნებელი იმისა, რომ საშუალო რადიუსის რაკეტებთან დაკავშირებული შეთანხმების შემდეგაც ევროპაშიც და მთელ მსოფლიოშიც ბევრად უფრო მეტი ბირთვული იარაღი რჩებოდა, ვიდრე ეს მოწინააღმდეგის გასანადგურებლად იყო საჭირო.

კონვენციური თავდაცვის ძირითადი სიმძიმე გერმანიაზე მოდიოდა. ამიტომაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდი იმას, რომ კონვენციური განიარაღება მთელი დასავლური ალიანსის საერთო ამოცანად გადაგვექცია. ჩემი ეჭვები ევროპაში ჯარების ორმხრივი დაბალანსებული შემცირების თაობაზე მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, მას შემდეგ, რაც 1974 წლიდან საგარეო უწყებას ჩავუდექი სათავეში, კონცენტრირებული იყო საბჭოთა კავშირის გამჭვირვალე, თუმცა მაინც საშიშ განზრახვაზე — ამ მოლაპარაკებების მეშვეობით ნამდვილად მნიშვნელოვანი ძალის მქონე ევროპული არმიის — ბუნდესვერის — შემცირებას რომ ისახავდა მიზნად. იმ დროს, როცა ყველა სხვა არმიას შეიარაღებაზე კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიის მიღმა განლაგებით შეეძლო თავიდან აეცილებინა განიარაღებასთან დაკავშირებული პოლიტიკური პასუხისმგებლობა, გერმანია იძულებული ხდებოდა მართლა შეემცირებინა თავისი შეიარაღებული ძალები. მეორე, რაც მე მაფიქრებ-

და, ეს იყო: მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები მხოლოდ შუაევროპულ სივრცეს დატოვებდნენ, ამერიკელები იძულებულნი გახდებოდნენ ატლანტიკის გავლით უკან დაბრუნებულიყვნენ, რადგანაც გერმანის ფედერაციული რესპუბლიკის გარდა, არც ერთი ევროპული ქვეყანა მზად არ იყო, ისინი თავიანთ ტერიტორიაზე განელაგებინა. ეს უთანასწორო შემცირება, უთანასწორო როგორც ხარისხობრივად, ისე დაშორების მანძილის თვალსაზრისით, ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპას ერთმანეთისაგან მოსწყვეტდა. ევროპაში ჯარების ორმხრივი დაბალანსებული შემცირების განხორციელებით მოსკოვი დიდ უპირატესობას მოიპოვებდა; ბუნდესვერს და, ამგვარად, ნატოს გულისგულს, პირიქით, დასავლეთ ევროპის კონვენციური თავდაცვის პირობებში უმძიმესი ზარალი მიადგებოდა და გეოგრაფიული დისპარიტეტი — ესე იგი, დაშორება აშშ-სგან, ერთი მხრივ, და საბჭოთა კავშირისგან, მეორე მხრივ, ძლიერად იჩენდა თავს. ამიტომაც ალიანსის კოჰერენტულ განიარაღების პოლიტიკას გერმანიისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ევროპაში ჯარების ორმხრივი დაბალანსებული შემცირება არ იყო უშუალოდ განიარაღებისთვის გამიზნული, ეს ნიშნავდა შეიარაღებული ძალების შეთხელებას შუაევროპულ სივრცეში. პრაქტიკულად ის მხოლოდ ბუნდესვერისთვის ნიშნავდა ნამდვილ განიარაღებას. ასევე აზრთა ჭიდილი იმ საკითხის გარშემო, როგორ უნდა განსაზღვრულიყო რკინის ფარდის ორივე მხარეს არსებული შეიარაღებული ძალების ოდენობის ზედა ზღვარი — ერთიანად ბლოკების მიხედვით, თუ თითოეული ქვეყნისთვის ცალ-ცალკე, წარმოაჩენდა საბჭოების ძალისხმევის დარტყმით მიმართულებას. მოსკოვში სურდათ, ზედა ზღვარი ნაციონალური ნიშნით განსაზღვრულიყო; მიზანში სწორედ რომ ბუნდესვერი იყო ამოღებული. ამიტომაც განიარაღების განყოფილების თანამშრომლებს ყოველთვის ვეუბნებოდი: „არაფერი სჯობს ცუდ შეთანხმებას". და მაინც ევროპაში ჯარების ორმხრივ დაბალანსებულ შემცირებასთან დაკავშირებულ მრავალწლიან მოლაპარაკებებს თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მოლაპარაკებები სწორედაც რომ კარგი სკოლა გახლდათ ნამდვილი კონვენციური განიარაღების თაობაზე მოლაპარაკებებისთვის — ეს იყო ახლა აქ მთავარი.

სახელმწიფო მდივანმა შულცმა საგარეო საქმეთა მინისტრ შევარდნაძესთან 1986 წლის 5-6 ნოემბერისთვის დანიშნული თავისი შეხვედრის წინა დღეს, წერილობითი ფორმით მომაწოდა ის მიზნები, რომლებსაც იგი ამ მოლაპარაკებებში ისახავდა: სტრატეგიული პოტენციალის ორმოცდაათპროცენტიანი შემცირება სტრატეგიული ბირთვული იარაღის შემცირების თაობაზე მოლაპარაკებების ფარგლებში. გრძელი და მოკლე რადიუსის საშუალო სიშორის რაკეტებთან დაკავშირებით ამერიკელთა მხრიდან გამოითქვა სურვილი, ორივე მხარეს ას-ასი საბრძოლო ქობინი დაეტოვებინა, მაგრამ ისინი უნდა განლაგებულიყო საბჭოთა კავშირის ცენტრსა და აშშ-ში; მოკლე რადიუსის საშუალო სიშორის რაკეტებთან დაკავშირებით შულცმა წამოაყენა წინადადება, მათი ზედა ზღვარი დღეისათვის საბჭოთა კავშირის არსენალში არსებული რაკეტების რაოდენობის ტოლი ყოფილიყო. შემდეგ კი სასწრაფოდ უნდა დაწყებულიყო მოლაპარაკებები 1000 კილომეტრზე ნაკლები რადიუსის რაკეტების შემცირების თაობაზე.

განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვალდებულება მოკლე რადიუსის საშუალო სიშორის რაკეტების თაობაზე მოლაპარაკებების გამართვისთვის საშუალო სიშორის ბირთვულ იარაღზე მოლაპარაკებათა ამერიკული პოზიციის შემადგენელი ნაწილი გახდა (კერძოდ, როგორც ეს რეიკიავიკში, ისე 1986 წლის 23 ოქტომბერსა და 1987 წლის 15 იანვარს წამოყენებულ წინადადებებში იყო გამოთქმული), ვაშინგტონისა და ჩვენს პოზიციებს შორის მნიშვნელოვან თანხვედრას ვხედავდით. მე მხოლოდ ის ფაქტი მაფიქრებდა, რომ მოკლე რადიუსის საშუალო სიშორის რაკეტებისთვის ქვედა ზღვარი 150 კილომეტრით კი არ განისაზღვრა, როგორც ამას გერმანული მხარე მიიჩნევდა სწორედ, არამედ რეიგანის მთავრობა იქითკენ იხრებოდა, რომ ქვედა ზღვრად 500 კილომეტრი ყოფილიყო დადგენილი.

29 იანვარს ამერიკის ელჩი ბერტი მივიღე. მე ჯერ კმაყოფილება გამოვთქვი ბრიუსელში ნატოს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე გამართული დისკუსიის გამო. შემდეგ სიტყვა ჩამოვარდა მოსკოვში შექმნილ ვითარებაზე და ჩემი აზრი გამოვთქვი გორბაჩოვის შესახებ. ეს დავოსში ჩემი გამოსვლის წინ ხდებოდა; ასე რომ, ამერიკის მთავრობისთვის ცნობილი იყო, რა აზრის ვიყავი გორბა-

ჩოვზე – ჯერ 1980 წლის ივლისში შულცთან ჩემი საუბრის წყალობით, ხოლო ახლა – უფრო აქტუალიზებული ფორმით – ელჩთან ჩემი მოლაპარაკების მეშვეობითაც. მე ხაზს ვუსვამდი საგარეო და შიდაპოლიტიკური რეფორმების მნიშვნელობას საბჭოთა კავშირში. ახლა ისღა რჩებოდა, უშუალოდ მოლაპარაკებების მაგიდასთან პრაქტიკული დასკვნები გაკეთებულიყო. სიტყვას საქმე უნდა მოჰყოლოდა!

როგორც უკვე ვთქვით, ჩვენ აღარ გვსურდა კიდევ ერთხელ გვეწვნია ის, რაც სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის თაობაზე მოლაპარაკებებთან დაკავშირებით დაგვემართა. არსებითად სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის თაობაზე მოლაპარაკებებს უნდა განესაზღვრა, რომ შეთანხმებები გრძელი რადიუსის ახალი საშუალო სიშორის რაკეტების ნიშნით არ უნდა წარმართულიყო. ახლა უკვე დათქმული უნდა ყოფილიყო შემდგომი მოლაპარაკებების ჩატარება მოკლე რადიუსის საშუალო სიშორის რაკეტების თაობაზე, რათა გრძელი რადიუსის რაკეტებთან დაკავშირებული ნულოვანი ვარიანტი გამალებული შეიარაღების შედეგად მოკლე რადიუსის რაკეტების ჩრდილში არ მოქცეულიყო. როდესაც 1987 წლის 28 თებერვალს გორბაჩოვმა საშუალო სიშორის რაკეტების პრობლემა სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის პრობლემისგან გამოაცალკევა და წინადადება წამოაყენა, საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის შესახებ სპეციალური შეთანხმება დადებულიყო, ერთბაშად გაუმჯობესდა პერსპექტივები საშუალო სიშორის ბირთვულ იარაღზე შეთანხმებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მე დაუყოვნებლივ მივესალმე მოსკოვის განცხადებას: იგი სავსებით შეესაბამებოდა როგორც გერმანიის მოთხოვნებს, ისე ევროპის უსაფრთხოების ინტერესებს.

ფედერალურ კანცლერ კოლს, თავდაცვის მინისტრ ვეინერსა და ჩემ შორის გამართული ინტენსიური მოლაპარაკების შემდეგ ფედერალურმა მთავრობამ 1987 წლის 1 აპრილს საჯაროდ განაცხადა, რომ ის საშუალო სიშორის რაკეტებთან დაკავშირებით კვლავაც ნულოვანი ვარიანტის მიღწევისათვის ისწრაფოდა და ამასთან, უპირველეს ყოვლისა, სურვილს გამოთქვამდა დაწყებულიყო მოლაპარაკებები მოკლე რადიუსის საშუალო სიშორის რაკეტების თაობაზე.

ამერიკული პერშინგ 2-ის გადაიარაღების, აგრეთვე შეთან-

ხმებული ნულოვანი ვარიანტის ფარგლებში ფრთოსანი რაკეტების საკითხთან დაკავშირებით 2 აპრილს განვაცხადე: მე არანაირი ეჭვი არ შემეპარებოდა იმაში, რომ ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტების გადაიარაღება არ მოხდებოდა. რაკეტების გატანა ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების შინაარსშია ჩადებული; ეს კი თავისთავად გულისხმობს მომავალში ხელახალი შეიარაღების თავიდან აცილებას, თუკი საბჭოთა კავშირი გრძელი რადიუსის ყველა საშუალო სიშორის იარაღის დემონტაჟს მოახდენს-მეთქი. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დავუმატე: „ჩვენ გარკვევით ვამბობთ, რომ ეს სისტემები (ე. ი. პერშინგ 2) ნულოვანი ვარიანტის ჩარჩოებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიიდან გასატანია“.

ამგვარად მე დავუპირისპირდი განზრახვას, პერშინგ 2 გარკვეულწილად რაღაც მანქანებით მაინც დაეტოვებინათ და მხოლოდ მისი რადიუსი შეემცირებინათ; ამის შედეგად მათ საშუალო სიშორის რაკეტების ნულოვანი ვარიანტი აღარ შეეხებოდა. მე განსაკუთრებით აღვნიშნე ის ფაქტი, „რომ ორმაგი ნულოვანი ვარიანტი გრძელი რადიუსის საშუალო სიშორის რაკეტებისათვის უცილობლად დიდი პროგრესის მაჩვენებელია სწორედ ევროპელებისა და გერმანელების ინტერესებიდან გამომდინარე“. როდესაც 10 აპრილს გორბაჩოვი ჩემს შეფასებას გამოეხმაურა, ანგარიში გაუწია ჩემ შეშფოთებას მოკლე რადიუსის საშუალო სიშორის რაკეტებთან დაკავშირებით და მზადყოფნა გამოამჟღავნა, დაუყოვნებლივ გამართულიყო მოლაპარაკებები ამ საკითხზე, მე დაჟინებით მოვითხოვდი, მიგვეღო მისი წინადადება, რომ ნულოვანი ვარიანტი მოკლე რადიუსის სისტემებზე გავრცელებულიყო. ეს გახლდათ ჩემი დასტური ორმაგი ნულოვანი ვარიანტის სასარგებლოდ. თავდაცვის მინისტრ ვაინბერგერს კი სურდა, ნულოვანი ვარიანტი მხოლოდ გრძელი რადიუსის საშუალო სიშორის რაკეტების მიმართ გამოყენებულიყო.

1987 წლის 29 აპრილს კვლავ შედგა ჩემი საუბარი ამერიკის ელჩთან. ბერტმა აღნიშნა, რომ ამერიკელების პოზიცია შეიცვალა; გორბაჩოვმა, — მითხრა მან, — შულცის მოსკოვში ყოფნისას გლობალურ ნულოვან ვარიანტზე და მოკლე რადიუსის საშუალო სიშორის რაკეტებზე ილაპარაკაო. მისი სიტყვით, მოულოდნელი აღმოჩნდა რუსების მოთხოვნა პერშინგ 1 A-ს შეიარაღებიდან ამოღების თაობაზე,

თუმცა ის, ბერტი, საბჭოების ამ მოთხოვნას თანამიმდევრულ მოთხოვნად მიიჩნევდა. და მაინც, ის იმედოვნებდა, რომ საბჭოები ამ მოთხოვნაზე საბოლოოდ უარს იტყოდნენ. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ მოითხოვეს საბჭოებმა ახლა პერშინგ 1 A-ს შეიარაღებიდან ამოღება, ბერტმა მიმანიშნა ევროპაში გამართული საჯარო დებატების შედეგებზე, რაზედაც მე მივუგე, რომ ჩვენ ჩვენი მხრივ პერშინგ 1 A-ს საკითხი არ წამოგვიწევია. იგი დამეთანხმა, მაგრამ დასძინა, რომ მას ელჩმა კვიცინსკიმ მხოლოდ რამდენიმე დღის წინ უთხრა, პერშინგ 1 A-ზე უარის თქმა ჯერ კიდევ 1982 წლის ივლისში ტყეში გასეირნებისას დაიგეგმაო. ეს ჩემთვის სიახლე იყო. გარდა ამისა, მას კვიცინსკისთან გერმანული სისტემების — ანუ პერშინგ 1 A-ს შესახებ ამერიკული რაკეტამატარებელი სისტემებისგან გამოცალკევებით უსაუბრია. ამგვარად, გერმანელები მჭიდროდ იქნებოდნენ მიბმულნი ალიანსზე: სინამდვილეში ხომ ლაპარაკი გერმანიის ხელთ არსებულ იარაღზე არ არისო. ამასთან დაკავშირებით ჩემთვის საინტერესო ის იყო, რომ ბერტი კიდევ ერთხელ დაუბრუნდა მეორე ნულოვან ვარიანტს და განაცხადა, რომ მას საერთოდ ვერ გაეგო, რატომ უნდა ყოფილიყვნენ გერმანიაში ამ ნულოვანი ვარიანტის წინააღმდეგნი.

ორმაგი ნულოვანი ვარიანტი და პერშინგ 1 A-ს პრობლემა

უკვე 27 აპრილს კოალიციაში კვლავაც მწვავე საუბარი გაიმართა. ამას წინ უძღოდა წერილი, რომელიც 7 აპრილს ფედერალურმა კანცლერმა რონალდ რეიგანს გაუგზავნა; მასში ის სავსებით უჭერდა მხარს ნულოვან ვარიანტს ევროპაში საშუალო სიშორის გრძელი რადიუსის რაკეტებისთვის და დაბეჯითებით მოითხოვდა, შეთანხმება ამის თაობაზე მოკლე რადიუსის რაკეტების შესახებ სასწრაფო მოლაპარაკებების დაწყების მოთხოვნასთან ყოფილიყო დაკავშირებული.

ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებში იქითკენ იხრებოდნენ, რომ მომდევნო მოლაპარაკებები 1000

კილომეტრზე ნაკლები რადიუსის რაკეტების თაობაზე ჩატარებულიყო: ზედა ზღვარი რაც შეიძლებოდა დაბალ ნიშნულზე უნდა შეჩერებულიყო. ასეთ პოზიციას, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თვალსაზრისით, შესაძლოა კოალიციაში კონფლიქტამდე მივეყვანეთ, რადგანაც უარის თქმა ორმაგ ნულოვან ვარიანტზე საფრთხეს შეუქმნიდა მოძრაობას, რომელიც როგორც იქნა დაიწყო განიარაღებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში, და მასთან ერთად ზიანს მოუტანდა ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების მიზნებსაც. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, კოალიციაში მაინც გამოიძებნა კომპრომისი. ყველანი შეთანხმდნენ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი შულცი, იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა მხარე მოსკოვში ვიზიტისას მას 500-დან 1000 კილომეტრამდე მანძილისთვისაც ნულოვან ვარიანტს შესთავაზებდა, ამგვარ წინადადებას არც მიიღებდა და არც უკუაგდებდა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ისეთ კითხვებს დასვამდა, ნათელს რომ მოჰფენდა საკითხს.

მე შემეძლო ამას დავთანხმებოდი. დარწმუნებული გახლდით: თუ ეს ორმაგი ნულოვანი ვარიანტი ნამდვილად შესაძლებელი გახდებოდა, ეს ჩვენი — თავისუფალი დემოკრატიული პარტიის — გამარჯვება იქნებოდა. ფედერალურ მთავრობას ამერიკელთა თანადგომის იმედი ჰქონდა, როცა მოითხოვდა, რომ მოსკოვში არც დადებითი, არც უარყოფითი დამოკიდებულება არ გამოეხატათ, რადგანაც თვითონ შულცმა წამოჭრა ეს საკითხი 6 აპრილს ჩემთვის გამოგზავნილ წერილში. თუმცა ვაშინგტონი გარკვევით მიანიშნებდა, რომ მხარს უჭერდა ორმაგ ნულოვან ვარიანტს, მაგრამ თანხმობას მასზე მხოლოდ ფედერალური მთავრობის დასტურის შემდეგ იტყოდა.

ფედერალური მთავრობის შიგნით ამის თაობაზე აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობდა. კანცლერის აპარატიდან ჩემამდე მოვიდა ხმები, რომ ჰელმუთ კოლი მზად იყო, უარი ეთქვა 500-დან 1000 კილომეტრამდე რადიუსის რაკეტების შეზღუდვაზე, თუ ამით მეორე ნულოვანი ვარიანტი თავიდან იქნებოდა აცილებული.

ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების კოალიციაში შიშობდნენ, რომ მეორეს შესაძლოა მესამე ნულოვანი ვარიანტი მოჰყოლოდა და ამით ძლიერ დაზარალებულიყო ბირთვული დაშინების სტრატეგია. და მაინც, ვიდრე კოლეგა ვიორ-

ნერი და სხვები ჩვეულებრივი შეიარაღების სფეროში ვარშავის პაქტის დიდი უპირატესობის გამო ევროპის „დეატომიზაციის“ წინააღმდეგნი იყვნენ, მე ორმაგ ნულოვან ვარიანტს პოზიტიურად ვაფასებდი — ისევე, როგორც ამერიკელები. რაც არ უნდა ყოფილიყო, ჩნდებოდა შესაძლებლობა, არამარტო ბირთვული შეიარაღების სფეროში საბჭოთა კავშირის დიდი უპირატესობა გაბათილებულიყო, არამედ თავი დაგვეღწია შეიარაღების, საპასუხო შეიარაღებისა და ხელახალი შეიარაღების მოჯადოებული წრისათვის; უფრო მეტიც: შეიძლებოდა ეს ყველაფერი ნულამდე დაგვეყვანა. ამ გზით შესაძლებელი ხდებოდა მასობრივი მოსპობის იარაღის მთელი კატეგორია მოგვეშორებინა თავიდან და ამაში მდგომარეობდა დიდი ისტორიული შანსი. ამასთან ისიც მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი მასშტაბის გარდატეხას უცილობლად ასევე მასშტაბური პოლიტიკური შედეგები მოჰყვებოდა.

1987 წლის 27 აპრილს კოალიციის სხდომაზე ჩვენ გადავდეთ ჩვენი საბოლოო პოზიციის გამოხატვა იმაზე მითითებით, რომ ჯერ საბჭოთა კავშირს არ წარმოედგინა ხელშეკრულების პროექტი. კოლ-გენშერის მთავრობა კი მიესალმა იმას, რომ ხელშეკრულება საშუალო სიშორის გრძელი რადიუსის რაკეტების დემონტაჟის თაობაზე მალე მზად იქნებოდა.

იმ დროისათვის საზოგადოება პერშინგ 1 A-ს საკითხს დიდ ყურადღებას არ აქცევდა. საბჭოთა კავშირმა მაინც გაახმოვანა სურვილი, განიარაღების ხელშეკრულებებში 500-დან 1000 კილომეტრამდე სიშორის ერთადერთი სახმელეთო ბირთვული იარაღის, პერშინგ 1 A-ს დემონტაჟის საკითხიც ყოფილიყო შეტანილი. ჩემი რწმენით, ამ რაკეტაზე უარის თქმა არ შელახავდა ჩვენი უსაფრთხოების ინტერესებს, ის შეიძლებოდა მხოლოდ ერთგვარ პრესტიჟის სიმბოლოდ ჩაგვეთვალა. თუმცა ორივე ზესახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების ტექსტში პერშინგ 1 A-ს ჩართვა არაფრად მიმაჩნდა, რადგანაც აქ ავტონომიური გერმანული გადაწყვეტილება იყო საჭირო. ამგვარად ფედერალური მთავრობა ამ საკითხების მომზადების და გადაწყვეტის თანამონაწილე ხდებოდა.

დარწმუნებული ვიყავი, რომ რეიგანსა და შულცს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, ორმაგი ნულოვანი ვარიანტი დასავლურ ალიანსში, მე რომ მსურდა, იმ ფორმით გაეტანათ. როდესაც ჯორჯ

შულცმა 1987 წლის 16 აპრილს ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო სხდომაზე მოკავშირეებს ინფორმაცია მიაწოდა თავისი მოსკოვური საუბრების თაობაზე, ამასთანავე მან მოუწოდა მათ, განიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირის წინადადებებზე სამი შესაძლო რეაქცია განეხილათ და არჩევანი გაეკეთებინათ. პირველი: გაფართოებული ნულოვანი ვარიანტის მიღება. მეორე: ყველა სახის ნულოვან ვარიანტზე უარის თქმა; შემდეგ კი, ცხადია, უნდა გაგრძელებულიყო გადაიარაღება, ვიდრე პერშინგ 2-ისა და ფრთოსანი რაკეტების რაოდენობა დაგეგმილ 572-ს არ მიაღწევდა. და მესამე: საბჭოების წინადადების მოდიფიცირება, რომელითაც მხარს დაუჭერდნენ ნულოვან ვარიანტს საშუალო სიშორის გრძელი რადიუსის ბირთვული იარაღისათვის, 500-დან 1000 კილომეტრამდე სიშორის სისტემებთან დაკავშირებით კი დაბალ თანაბარ ზედა ზღვარს (დაახლოებით ორმოცდაათიდან ას ერთეულამდე იარაღი) მოითხოვდნენ, შემდეგ კი ეს ზედა ზღვარიც ხელახლა დადგინდებოდა. შულცი საეჭვოდ არ ხდიდა იმას, რომ ვაშინგტონი დაჟინებით უჭერდა მხარს გაფართოებული ორმაგი ნულოვანი ვარიანტის მიღებას. მან იცოდა, რომ 500-დან 1000 კილომეტრამდე სიშორის საშუალო რადიუსის რაკეტებით შეიარღების ახალ ტალღას განიარაღების პოლიტიკაში მოსალოდნელი რევოლუცია შესაძლოა ამ პოლიტიკის საპირისპირო მოძრაობად გადაექცია.

10 მაისს ფრანც იოსებ შტრაუსმა ფედერალურ კანცლერ კოლს მოუწოდა, გამოეყენებინა თავისი კომპეტენცია და მიეღო დირექტივები: ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი და ქრისტიანულ-სოციალური კავშირი მხარს უჭერდნენ გრძელი რადიუსის საშუალო სიშორის რაკეტების ნულოვან ვარიანტს, მაგრამ ამასთან ეწინააღმდეგებოდნენ მოკლე რადიუსის საშუალო სიშორის რაკეტებთან დაკავშირებულ ნულოვან ვარიანტს. მაგრამ ეს არ იყო საკითხი, რომელიც დირექტივის გამოცემით გადაიჭრებოდა, ამგვარი საკითხები პარლამენტში ხმების უმრავლესობით უნდა გადაწყვეტილიყო. საშუალო სიშორის რაკეტების განლაგების საკითხში თავისი შეუპოვარი პოზიციით გულმოცემულ გერმანიას ახლა განიარაღების სფეროში რევოლუციური ეტაპის დაწყების სიგნალი უნდა მიეცა და საამისოდ მეც მტკიცე გადაწყვეტილება მქონდა

მიღებული. ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების ფრაქციის სხდომის შემდეგ ჰელმუთ კოლმა განაცხადა, რომ ორმაგი ნულოვანი ვარიანტი წინააღმდეგობას წააწყდა, რადგანაც ის ემუქრებოდა გერმანიის უსაფრთხოებას. ამგვარად, უშედეგოდ დამთავრებული საკოალიციო მოლაპარაკების შემდეგ, 1987 წლის 5 მაისის პარლამენტის სხდომაზე დაფიქსირდა აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა საკოალიციო პარტიებს შორის. ამავე დროს თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციის თავმჯდომარემ ვოლფგანგ მიშნიკმა ორმაგ ნულოვან ვარიანტს დაუჭირა მხარი. აქედან გამომდინარე, ყველასთვის ნათელი გახდა: როგორც ფრაქცია, ისე პარტია მე ზურგს მიმაგრებდნენ.

ამ განსაკუთრებულად რთულ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ სიტუაციაში 1987 წლის 11 მაისს ვაშინგტონში გავფრინდი. ორი დღით ადრე კი ბადენ-ბადენში ჩემს კანადელ კოლეგას კლარკს შევხვდი, რომელიც ასევე მხარს უჭერდა ორმაგ ნულოვან ვარიანტს. ის ფაქტი, რომ მან იმ დღეებში ბადენში განლაგებული კანადის შეიარაღებული ნაწილები მოინახულა, მნიშვნელოვანი მინიშნება გახლდათ იმის თაობაზე, რომ კანადის შეიარაღებული ძალები კიდევ დიდხანს აპირებდნენ გერმანიაში დარჩენას.

ვაშინგტონში კვლავაც ინტენსიურ საუბრებს ვაწარმოებდი პრეზიდენტ რეიგანთან, საგარეო საქმეთა მინისტრ შულცთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ბეიკერთან და მრჩეველთან უშიშროების საკითხებში კარლუჩისთან. ისინი მიდასტურებდნენ, რომ აშშ ძალისხმევას არ იშურებდა საბჭოთა კავშირთან გაფართოებული ნულოვანი ვარიანტის თაობაზე შეთანხმების მისაღწევად — ეს იყო მიზანი, რომელსაც მე საჯაროდაც ვუჭერდი მხარს. როდესაც 1987 წლის 13 და 14 მაისს ალფრედ დრეგერი და ფოლკერ რიუე პარიზსა და ლონდონში გაფრინდნენ იმის დასამტკიცებლად, რომ 500-დან 1000 კილომეტრამდე სიშორის სარაკეტო სისტემების ჩართვა განიარაღების ხელშეკრულებაში როგორც გერმანიის, ისე ევროპის უსაფრთხოების ინტერესებს ზიანს მოუტანდა, უკვე ჩანდა, რომ მათ მცდელობას წარმატება არ მოჰყვებოდა. მათი წინადადებები გადაჭრით უარყვეს. რადგანაც მე ორივე კოლეგას ძალიან ვაფასებდი, გული დამწყდა, რომ ასეთ ვითარებაში ჩაიგდეს თავი.

სულ უფრო და უფრო თვალნათლივ იკვეთებოდა, რომ შეთ-

ანხმების მიღწევა ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ჩვენს მიერ პერშინგ I A-ზე უარის თქმას უკავშირდებოდა. ამერიკელებს არავითარ შემთხვევაში არ სურდათ ევროპელი მოკავშირეების, უპირველესად კი გერმანიის თანხმობის გარეშე მიეღოთ საბოლოო გადაწყვეტილება, და ლონდონშიც მხარი დაუჭირეს ორმაგ ნულოვან ვარიანტს.

საფრანგეთში ეს იყო პირველი co-habitation-ის* დრო პრეზიდენტ მიტერანის მთავრობის მმართველობის პერიოდში. მანამდე საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა საჯაროდ გამოთქვა თავისი დაეჭვება ორმაგ ნულოვან ვარიანტთან დაკავშირებით, თუმცა როლან დიუმასთან საუბრებიდან ვიცოდი, რომ პრეზიდენტი მიტერანი ორმაგ ნულოვან ვარიანტს პოზიტიურად ეკიდებოდა. და მართლაც, მიტერანის პოზიცია ამ პუნქტში თანამიმდევრული იყო იმიტომაც, რომ საფრანგეთის სტრატეგიული სისტემის მნიშვნელობა გაიზრდებოდა, თუ საშუალო სიშორის მოკლე და გრძელი რადიუსის რაკეტებიდან არც ერთი აღარ იქნებოდა ევროპაში განლაგებული. გერმანია-საფრანგეთის უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომელიც 1987 წლის 21 და 22 მაისს პარიზში გაიმართა, დასკვნითი პრესკონფერენციის დროს ელისეს სასახლეში ერთმა ჟურნალისტმა პრეზიდენტ მიტერანს ჰკითხა, იზიარებდა თუ არა საფრანგეთის თავდაცვის მინისტრის ეჭვებს. მიტერანმა ისე უპასუხა, როგორც საფრანგეთის პრეზიდენტს შეეძლო ეპასუხა: „საფრანგეთი და მხოლოდ საფრანგეთი ლაპარკობს ჩემი მეშვეობით, საფრანგეთი დადებითად ეკიდება ორმაგ ნულოვან ვარიანტს". მიტერანს არ უთქვამს „მე", მაგრამ მან ამით წარმოგვიდგინა თავისი ვერსია გამოთქმისა „საფრანგეთი, ეს მე ვარ": „მე ვარ საფრანგეთი, მე ვარ სახელმწიფო". წარმოვიდგინე, როგორ რეაქციას გამოიწვევდა ამგვარი ნათქვამი, ეს რომ ფედერალურ პრეზიდენტს ან ფედერალურ კანცლერს წამოსცდენოდა.

განსაკუთრებული სახის „სამოგზაურო დიპლომატიამ" 1987 წლის მაისში გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში მოულოდნელი პრობლემები წარმოშვა. ცხრამეტი წლის გერმანელი

---

* co-habitation – თანაცხოვრება (ინგლ.).

მოყვარული მფრინავი მათიას რუსტი 28 მაისს თავისი პატარა თვითმფინავით მოსკოვში წითელ მოედანზე დაჯდა. ეს საქციელი, ერთდროულად გაბედულიც და ქარაფშუტულიც, ნამდვილი სენსაცია გახლდათ. როგორ შეძლო ახალგაზრდა კაცმა უბრალო და პატარა სპორტული თვითმფრინავით საბჭოთა კავშირის გამობრძმედილი საჰაერო თავდაცვის სისტემისთვის გვერდის ავლა? მისი ეს გაფრენა და თავდაჯერებული დაშვება მოსკოვში, წითელ მოედანზე, თავლაფის დასხმა იყო წითელი არმიისათვის, მეტადრე საჰაერო შეიარაღებული ძალებისათვის, რასაც მალე უმაღლესი სამხედრო ჩინების გათავისუფლება მოჰყვა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და დასავლეთში რუსტს თანამედროვე კაპიტან ფონ კიოპენიკად მიიჩნევდნენ და ქება-დიდებას ასხამდნენ მას.

მოსკოვში ვითარება უფრო დამაფიქრებელი იყო. რუსტი, როგორც კი თვითმფრინავიდან გადმოვიდა, მაშინვე დააპატიმრეს და მალე ის სასამართლოს წინაშე წარდგა. 4 სექტემბერს განაჩენი გამოუტანეს და ოთხი წლით შრომა-გასწორების კოლონიაში გაამწესეს. ჩვენ დიდად ვიყავით დაინტერესებულნი, რომ რუსტი რაც შეიძლებოდა მალე გაგვეთავისუფლებინა პატიმრობიდან; სწორედ ახლა არავითარ შემთხვევაში არ გვაწყობდა ატმოსფერული რყევები. საგარეო უწყებაც ამ შემთხვევით იყო დაკავებული. როდესაც ედუარდ შევარდნაძეს ამასთან დაკავშირებით ვესაუბრე, გამოვთქვი მოსაზრება, რომ სასჯელი მეტისმეტად მკაცრი იყო — თუმცა საგარეოპოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, მე სრულიადაც არ ვიყავი დაინტერესებული ამ ავანტიურის გამო პრობლემები გაჩენილიყო გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში. ამიტომაც თხოვნით მივმართე გორბაჩოვსა და შევარდნაძეს, შეეწყალებინათ რუსტი. ერთი თვის შემდეგ შევიტყვე, რომ რუსტს 1988 წლის 3 აგვისტოს თოთხმეტთვიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლებდნენ. ამ თარიღამდე ცოტა ხნით ადრე, 30-31 ივლისს, მე მოსკოვში ვიყავი. „ჩვენ ამას თქვენი გულისთვის ვაკეთებთ“, — მითხრა მაშინ შევარდნაძემ და მე მისი ეს ნათქვამი საჯაროდ არ გამიხმაურებია. ვიცოდი, რომ ეს ჟესტი კარგი იყო რუსტისა და გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებისათვის და ეს საკმარისი იყო ჩემთვის. მიუხედავად მოსკოვის ახალი ხელმძღვანელობის მიმართ ჩვენი გულღია დამოკიდებულებისა, არ მსურდა, რომ ფედერალურ კან-

ცლერსა და საგარეო საქმეთა მინისტრს შორის განხეთქილება ჩამოვარდნილიყო.

1987 წლის ზაფხულში სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გორბაჩოვის წინადადებას ორმაგ ნულოვან ვარიანტთან დაკავშირებით პოზიტიურად მოეკიდებოდა. ამაში მეც ვხედავდი გადამწყვეტი გარდატეხის ნიშნებს, რომლის პირველი შემადგენელი ნაწილი უბრალო ნულოვანი ვარიანტი იყო. არ არსებობდა რაიმე გონივრული მიზეზი საიმისოდ, რომ მოლაპარაკებების საშუალო სიშორის მოკლე რადიუსის რაკეტებზე გავრცელებისთვის ხელი შეგვეშალა. უკვე 1987 წლის 27 მაისს, საკოალიციო საუბრის დროს, ჩვენი პარტიის თავმჯდომარის მარტინ ბანგემანის მხარდაჭერით პერშინგ 1 A-ს დატოვებისა და მისი მოდერნიზების წინააღმდეგ გამოვედი.

და მაინც, დავუბრუნდეთ 1987 წლის ზაფხულის დამდეგს. კვირების განმავლობაში მიმდინარე ცხარე დებატების შემდეგ, 1 ივნისს მთავრობამ როგორც იქნა მიიღო გადაწყვეტილება ორმაგი ნულოვანი ვარიანტის სასარგებლოდ: „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა მხარს უჭერს იმას, რომ ევროპაში ჯერ კიდევ არსებული ამერიკული და საბჭოთა 500-დან 1000 კილომეტრამდე რადიუსის ხმელეთზე ბაზირებული ბირთვული სისტემები მოლაპარაკებების გზით ნაბიჯ-ნაბიჯ, ჩვეულებრივი შეიარაღების სფეროში წონასწორობის დამყარებისა და ქიმიური იარაღის საყოველთაო აკრძალვის კვალობაზე შემცირდეს თვალნათლივ და ეს პროცესი გაკონტროლდეს. ამ გზაზე პირველი ნაბიჯი იქნებოდა გლობალური შეთანხმების მიღწევა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის იმის თაობაზე, რომ მომავალში ისინი ხელს აიღებენ მოკლე რადიუსის საშუალო სიშორის (500-დან 1000 კილომეტრამდე) ფრთოსან რაკეტებზე... ამასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა იმ აზრზე რჩება, რომ 72 ფრთოსანი რაკეტა პერშინგ 1 A-ს ტიპისა ისევე როგორც აქამდე, არც ამჟამად წარმოადგენს მიმდინარე მოლაპარაკებების საგანს და არც შემდგომ შეიძლება გახდეს ამ მოლაპარაკებების საგანი. ამგვარად, ფედერალური მთავრობა სრულ თანხმობაშია ამერიკის შეერთებულ შტატებთან და მოკავშირეებთან“.

ამაზე დათანხმება, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა. და ბოლოს

თუ მაინც დავთანხმდი, ეს იმიტომ, რომ დადებითად გადაწყდა ორმაგი ნულოვანი ვარიანტის საკითხი: მოლაპარაკებები შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. მითითება იმაზე, რომ პერშინგ 1 A მიმდინარე მოლაპარაკებების საგანი არ იყო, არსებითად სწორი გახლდათ; მაგრამ ამას შესაძლოა მცდარ დასკვნებამდე მივეყვანეთ, თუ მას ისე გაიგებდნენ, თითქოს ეს რაკეტები ყველა შემთხვევაში უნდა შეგვენარჩუნებინა.

1987 წლის 11 და 12 ივნისს ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თავყრილობამ რეიკიავიკში დამაკმაყოფილებლად ჩაიარა. ის, რომ კომუნიკეში 72 პერშინგ 1 A ისევე არ იყო ნახსენები, როგორც ფრანგული და ბრიტანული ბირთვული იარაღი, გახლდათ ურთიერთგაგების გამოხატულება იმის თაობაზე, რომ ეს სისტემები არ შეიძლებოდა ზესახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებათა საგანი ყოფილიყო. ფედერალური მთავრობის მოლოდინს პასუხობდა ასევე საბოლოო კომუნიკეში შეტანილი დებულება მოლაპარაკებების თაობაზე 500 კილომეტრზე ნაკლები რადიუსის ბირთვულ რაკეტებთან დაკავშირებით; ახლა გარკვეული იყო, რომ ორმაგი ნულოვანი ვარიანტის განხორციელების შემდეგ ნატო აღარ შეეცდებოდა ეგრეთ წოდებული „ბრანდმაუერის“ აღმართვას, როგორც ამას უპირველეს ყოვლისა პრემიერ-მინისტრი ტეტჩერი ითხოვდა. ამ ტიპის ბირთვული იარაღი, განსაკუთრებით საშიში გერმანიისათვის, განიარაღებასთან დაკავშირებულ მომავალ მოლაპარაკებებზე არ იქნებოდა დღის წესრიგიდან ამოღებული.

24 ივნისს მოსკოვმა აშშ-ს უსაყვედურა, რომ მას განიარაღების თაობაზე შეთანხმებებიდან 72 პერშინგ 1 A ტიპის რაკეტების ან მათი საბრძოლო ქობინების ამოღება სურდა. როდესაც მე ფედერალური პრეზიდენტის სახელმწიფო ვიზიტის დროს, რომელიც მოსკოვში 6-დან 10 ივლისამდე მიმდინარეობდა, საგარეო საქმეთა მინისტრ შევარდნაძეს ვესაუბრე, ამ მიზეზის გამო პერშინგ 1 A-ს საკითხი მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. შევარდნაძე ერთმნიშვნელოვნად აცხადებდა, რომ პერშინგ 1 A-ზე უარის თქმის გარეშე ორმაგი ნულოვანი ვარიანტი ვერ განხორციელდებოდა. შევარდნაძის სიტყვით, საბჭოთა კავშირი პირველი საყოველთაო

ნულოვანი ვარიანტის მიღების შემთხვევაში, უწინარესად კი მეორე ნულოვანი ვარიანტის დროს თმობდა თავის უპირატესობას დასავლეთთან შედარებით და ამ ვითარებაში პერშინგ 1 A-ს შენარჩუნება ყოვლად მიუღებელი იქნებოდა.

ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კვლავ შევხმიანებოდით ერთმანეთს. იმ შემთხვევაში, თუკი მოლაპარაკებებს ჩაფუშვის საფრთხე დაემუქრებოდა, ჩვენ ნებისმიერ ვითარებაში გავაგრძელებდით კონსულტაციებს. ეს შეთანხმება მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. ამგვარად, მე კვლავაც მხარს ვუჭერდი ამერიკის პოზიციას, რომელიც პერშინგ 1 A-ს მიმართ უარყოფით დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა. შევარდნაძემაც კიდევ ერთხელ ასევე სრულიად გარკვევით გამოხატა თავისი პოზიცია 6 აგვისტოს ჟენევაში განიარაღების საკითხებზე გამართულ კონფერენციაზე გამოსვლისას. ფედერალური პრეზიდენტი რიხარდ ფონ ვაიცზეკერი, რომელსაც მე ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნისას პერშინგ 1 A-ს პრობლემატიკაზე მიმდინარე დისკუსიის შესახებ მოვახსენე, მაგულიანებდა და მხარს უჭერდა ჩემს პოზიციას. საზაფხულო შვებულებაში გასვლამდე საუბარი მქონდა ფედერალურ კანცლერთან, რომლის დროსაც გამოვთქვი მოსაზრება, რომ გერმანიას საკუთარი დამოკიდებულება უნდა გამოეხატა ამასთან დაკავშირებით: პერშინგ 1 A-ს მოდერნიზება არ იყო მიზანშეწონილი. ერთი მხრივ, ეს არსებითად სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა, — ვუთხარი მე, — მეორე მხრივ კი, საშუალო სიშორის ბირთვულ იარაღთან დაკავშირებული მოლაპარაკებების გაჭიანურება ან სულაც ჩაფუშვა დაგვბრალდებოდა, თუკი კვლავაც ვიყოყმანებდით.

აგვისტოს შუა რიცხვებში რამდენიმე დღით ჩვენს მეგობრებს ჰენრი და ნანა ქვირენბახებს ვესტუმრეთ, რომელთაც ტეულის ზემოთ, ნიცასთან ახლოს სახლი ჰქონდათ, საიდანაც ზღვაზე დიდებული ხედი იშლებოდა. ერთი კვირა ვაპირებდით დარჩენას. კვირის ბოლოს, 15-16 აგვისტოს, სამინისტროდან ტელეფონით შემატყობინეს, რომ ბონში საბჭოთა კავშირის ელჩ იული კვიცინსკის თავისი მინისტრის დავალებით სასწრაფოდ სურდა ჩემთან საუბარი. ჩემს ნათქვამზე, შვებულებაში ვარ, მაგრამ კვირის ბოლოს დავბრუნდები-მეთქი, კვიცინსკიმ განაცხადა, რომ იგი მზად იყო ევროპის ნებისმიერ კუთხეში მოვეძებნე. მე მაქვს დავალება, რომლის გადა-

დება შეუძლებელიაო.

მე მას შევთავაზე 18 ან 19 აგვისტოს შევხვედროდით და კვიცინსკიც დაადგა გზას სამხრეთ საფრანგეთისაკენ. ის გაფრინდა მარსელში, საიდანაც საბჭოთა გენერალური კონსულის ავტომანქანამ ტეულში მოიყვანა. ეს ყველაფერი მხოლოდ ჩვენი დახმარებით გახდა შესაძლებელი, რადგან იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირში ჩვენს დიპლომატებს თავისუფლად გადაადგილების საშუალებას არ აძლევდნენ, დასავლეთშიც ღებულობდნენ საპასუხო ზომებს და საბჭოთა დიპლომატებსაც არ ჰქონდათ უფლება, თავის ნებაზე ევლოთ აქეთ-იქით. ამიტომაც საბჭოთა კავშირის ელჩს გერმანიაში, რომელიც აკრედიტებული არ იყო საფრანგეთში, არ შეეძლო ერთჯერადი ვიზის მიღება, ასე ვთქვათ, ერთ ღამეში. ამიტომ საბჭოთა საელჩომ დახმარებისთვის ბონში გერმანიის საგარეო უწყებას მიმართა, საიდანაც ჩემი თანამშრომლები სამინისტროდან ტელეფონით დაუკავშირდნენ საფრანგეთის საგარეო სამინისტროს. როდესაც კვიცინსკი ტეულში გამოჩნდა, მე მას მზიან ტერასაზე შევხვდი, საიდანაც არნახული ხედი იშლება ნიცის უბეზე. ვინაიდან მე საზაფხულო ტანსაცმელი მეცვა, ელჩს ვთხოვე, ქურთუკი მაინც გაეხადა. შემდეგ კი ჯერ ის ვუთხარი, რომ 1944 წელს ამ ადგილას დასავლეთის მოკავშირეთა ძალები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გადმოსხდნენ.

შემდეგ კვიცინსკიმ განმიმარტა თავისი მოსვლის მიზეზი. ბატონ შევარდნაძეს, — ასე მითხრა მან, — სურდა ჩემთვის მოსკოვში ჩვენი საუბარი შეეხსენებინა, როცა დამპირდა, რომ მაშინვე შემეხმიანებოდა, როგორც კი საშუალო სიშორის ბირთვულ იარაღზე მოლაპარაკებები ჩიხში შევიდოდა. ახლა სწორედ ასეთი ვითარება შექმნილიყო. ხელშეკრულება დასავლური მოკლე და გრძელი რადიუსის საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით სასწრაფოდ შეიძლებოდა დადებულიყო — ასე რომ, ორმაგი ნულოვანი ვარიანტის მიღებას წინ აღარაფერი ედგა.

მხოლოდ ერთადერთი საკითხიღა რჩებოდა მოუგვარებელი — ბონს უნდა გამოეხატა თავისი დადებითი პოზიცია პერშინგ 1 A-ს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირი, მას შემდეგ, რაც მან საფუძვლიანად შეცვალა თავისი პოზიცია დასავლური

შეხედულებების შესაბამისად, მიიჩნევდა, რომ ვერ დადებდა ხელშეკრულებას, თუ მასში პერშინგ 1 A-ს საკითხიც არ იქნებოდა შეტანილი. აშშ-ც ამ აზრზე დგას და ახლა ბონზეა დამოკიდებული, როგორ გადაწყდება ეს საქმეო. ამიტომ შევარდნაძე მთხოვდა, ყველაფერი მელონა იმისათვის, რომ განიარაღების გზაზე ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბოლოს და ბოლოს გადადგმულიყო.

როდესაც კვიცინსკის ვიზიტის შესახებ შემატყობინეს, ვივარაუდე კიდეც, რომ მისი ინფორმაცია ამგვარი უნდა ყოფილიყო. მოსკოვის პოზიცია გასაგები იყო. იქ საშუალო სიშორის ბირთვულ იარაღთან დაკავშირებული ყველა ძველი პოზიცია გვერდზე მოისროლეს და თუმცა სწორი იყო, რომ პერშინგ 1 A-ს პრობლემა განიარაღების შესახებ ამერიკა-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებების საგანს არ წარმოადგენდა, მაინც გერმანიის განსაკუთრებული სამხედრო სტატუსისა და ამერიკის მხრიდან პერშინგ 1 A-ს ქობინებზე სრული უფლებამოსილების გამო ძნელი იქნებოდა ლაპარაკი „ნამდვილ" მესამე სახელმწიფოთა სისტემებზე, როგორც ეს თუნდაც საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის სტრატეგიულ ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით ხდებოდა. ყოველ შემთხვევაში ეს გახლდათ „არანამდვილი მესამე სახელმწიფოთა სისტემები". თუმცა აშშ სავსებით კორექტული იყო, როდესაც გერმანიის კომპეტენციაზე მიუთითებდა.

იული კვიცინსკიზე უკეთ არავინ იცნობდა ამ მოლაპარაკებების ისტორიას. 1982 წლის ლეგენდარული „ტყეში გასეირნების" დროს ის ამერიკელი შუამავლის პოლ ნიცეს თანამოსაუბრე იყო, და რაც მან მაშინ დათმობად „შეაფასა", მხოლოდ მინიმუმი გახლდათ იმისა, რაც დღეს მოლაპარაკებების მაგიდაზე იდო. კვიცინსკი უკმაყოფილო ჩანდა ამჟამინდელ მოლაპარაკებებზე თავისი მთავრობის პოზიციის გამო.

მე მას მადლობა გადავუხადე მოწოდებული ინფორმაციისთვის. შემდეგ ვუთხარი, რომ კვირის ბოლოს ფედერალურ კანცლერს დავუკავშირდებოდი, ხოლო მომავალი კვირის პირველ დღეებში მოსალოდნელი იქნებოდა პირველი რეაქცია ფედერალური მთავრობის მხრიდან. სიამოვნებით შევუთვლიდი შევარდნაძეს: ჩვენ ამას გავაკეთებთ-მეთქი. მაგრამ ვგრძნობდი, რომ მოკლებული ვიყავი საამისო ლეგიტიმურობას, თუმცაღა ყველა ვითარებაში ვეცდებოდი, ორმაგი

ნულოვანი ვარიანტი პერშინგ 1 A-ზე უარის თქმის წყალობით რეალობად მექცია.

გასული თვეების საჯარო დებატების შემდეგ, რა თქმა უნდა, ჩემი, ისევე, როგორც თავისუფალი დემოკრატიული პარტიის პოზიცია, ცნობილი გახლდათ და ჩვენს თვალსაზრისს თანდათან სულ უფრო მეტი კოლეგა იზიარებდა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირიდან. რას არ გავიღებდით წლების წინ ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად! ახლა ეს შესაძლებელი შეიქნა. პერშინგ 1 A-ს მიმართ აკვიატებული პოზიციის გამო კი პირიქით, გერმანიის პოზიციას ჩრდილი ადგებოდა. და ეს მაშინ, როცა ეს რაკეტები სტრატეგიულად უმნიშვნელო იყო. საბჭოთა უპირატესობის აღმოფხვრა საშუალო სიშორის რაკეტების სფეროში, პოლიტიკური ლანდშაფტის შეცვლა, ახალი დინამიკის გაძლიერება — ეს ფაქტები გახლდათ. ჩვენ არ გვქონდა უფლება და არ უნდა გაგვეშვა ხელიდან ის შესაძლებლობები, რომელიც მათში იყო ჩადებული. და მაინც ვშიშობდი, რომ გამიძნელდებოდა ბონში გარდატეხისთვის მიმეღწია.

დარწმუნებული ვიყავი, რომ კვიცინსკის უკვე მოხსენებული ექნებოდა თავისი მინისტრისთვის, ვინ და რას ამბობდა ბონში: მე ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებას ვებღაუჭებოდი, ამიტომაც ასე დაჟინებით ვუჭერდი მხარს ორმაგ ნულოვან ვარიანტს. ის რომ პერშინგ 1 A-ს გამო ჩაშლილიყო, ნამდვილად გაუმართლებელი იქნებოდა.

ტეულში საბჭოთა კავშირის ელჩთან საუბრის შემდეგ, როგორც კი უკან დავბრუნდი, მაშინვე ფედერალურ კანცლერს დავუკავშირდი. ამას გარდა ვესაუბრე ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის სხვა ლიდერებს, პრემიერ-მინისტრ შპეტს, შრომის მინისტრ ბლუმს და გენერალურ მდივან გაისლერს; საუბრისას აქცენტს ვაკეთებდი იმ განუმეორებელ შესაძლებლობაზე, რომელიც განიარაღების შესახებ ჟენევის მოლაპარაკებების შედეგად გვეძლეოდა. ორშაბათს, ნაშუადღევს, ფედერალური კანცლერის სამუშაო კაბინეტში გაიმართა ძალზე სერიოზული და ასევე მეტად პირადული ხასიათის გადამწყვეტი საუბარი ჰელმუთ კოლთან. მე ჯერ დაწვრილებით ვუამბე ყველაფერი, რაც კვიცინსკიმ შემატყობინა, შემდეგ კი გავაკეთე შექმნილი ვითარების ანალიზი და გამოვხატე ჩემი, როგორც განიარაღებაზე და შეიარაღების კონტროლზე პაუხისმგებელი მინის-

ტრის პოზიცია. სრულიად გარკვევით განვაცხადე, რომ პერშინგ 1 A-ზე უარის თქმა აუცილებელი იყო ნატოს ორმაგი გადაწყვეტილებისათვის. ეს შეესაბამებოდა ჩვენი ქვეყნის ინტერესებს და აუცილებლობას წარმოადგენდა ახალი დასავლურ-აღმოსავლური ურთიერთობებისათვის. ფაქტს, რომ პერშინგ 1 A-ზე უარს ჩვენი ინიციატივით ვამბობდით და ამის გაკეთებას სხვა არ გვაიძულებდა, მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვეშვა, რომ შეთანხმების მიღწევა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ გამოყენებული ვეტოს გამო ჩაშლილიყო.

მე მეჩვენებოდა, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის წევრებს, რომლებიც პერშინგ 1 A-ს უჭერდნენ მხარს, არ ჰქონდათ გაცნობიერებული თავიანთი პოზიციის შედეგები. ჰელმუთ კოლი კი პირიქით, კარგად გრძნობდა საკითხის მნიშვნელობას. პირადად მე არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებდი ნატოს ორმაგი გადაწყვეტილება საფრთხეში ჩამეგდო; ბოლოს და ბოლოს ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების ორივე ნაწილის განხორციელების გულისთვის 1982 წელს მთავრობა შევცვალე. ახლა, სულ რაღაც ხუთი წლის შემდეგ, შეგვეძლო ჩვენი თანამიმდევრულობისა და შეუპოვრობის წყალობით შედეგი მიგვეღო. და ეს ყველაფერი ამ ერთი საკითხის გამო უნდა ჩაშლილიყო? ჩემი პოზიცია ერთმნიშვნელოვანი გახლდათ.

ჰელმუთ კოლს ჩემი პოზიციის სისწორეში ეჭვი არ ეპარებოდა. როგორი იქნებოდა ჩვენი ავტორიტეტი, თუ ცნობილი გახდებოდა, რომ საბჭოთა კავშირი მზად იყო მთელი სახმელეთო საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაცია მოეხდინა, ჩვენ კი პერშინგ 1 A-ს გამო ყაელგასულ მილიტარისტულ მოდელს გამოვედევნეთ და ჩაეშალეთ ზესახელმწიფოების შეთანხმება? გერმანიას, — ვუხსნიდი ფედერალურ კანცლერს დაჟინებით, — მოუწევდა პასუხისმგებლობა ეკისრა განიარაღების პოლიტიკის ჩაშლისათვის, და რამაც არ უნდა შეაფერხოს მომავალში დაძაბულობის შენელების პოლიტიკა, მაინც ჩვენ დაგვბრალდება ეს ამბავი. ამისათვის მე მზად არა ვარ მეთქი.

ეს იყო საუბარი, რომელსაც ვერაფრით ვერ უწოდებდი ადვილს. კვირების განმავლობაში თავს ვიკავებდი საჯაროდ გამომეხატა ჩემი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, რათა ფედერალურ

კანცლერზე ზეწოლა არ მომეხდინა. ახლა კი ნამდვილად ვიგრძენი, რა ახლოს ვიყავი ჰელმუთ კოლთან — როგორც ადამიანთან და მეგობართან. ამის გამო საუბარი ერთდროულად ადვილიც იყო და ძნელიც.

ჰელმუთ კოლი არ მეთანხმებოდა, მაგრამ ადვილად ვერც უარს მეუბნებოდა. ჩვენი საუბარი რაიმე ხელშესახები შედეგის გარეშე დამთავრდა. კოლმა ისღა მთხოვა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არავითარ შემთხვევაში საჯაროდ არ გამოვსულიყავი. მე ეს ისე გავიგე — ანდა მინდოდა, ასეთნაირად გამიგო —, რომ კანცლერს განცხადება ამის თაობაზე თვითონ სურდა გაეკეთებინა. არ უნდა დარჩენილიყო შთაბეჭდილება, რომ ამ განცხადების გაკეთებისკენ კანცლერს მე ვუბიძგე.

მე, რა თქმა უნდა, შევასრულე ჰელმუთ კოლის თხოვნა. არავითარ შემთხვევაში ამას ისეთი სახე არ უნდა მიეღო, რომ თითქოს ფედერალური კანცლერი თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ან საგარეო საქმეთა მინისტრის დაკრულზე ცეკვავდა; ამიტომაც ვუპასუხე: „მე არც ახლა გამოვთქვამ საჯაროდ ჩემს მოსაზრებებს, რათა შენ საშუალება მოგეცეს თავისუფლად იმოქმედო". ვიცოდი, რომ აქ არ შეიძლებოდა პარტიისათვის ქულების მოპოვებზე ყოფილიყო ლაპარაკი. სხვათა შორის, უკვე რამდენიმე კვირის განმავლობაში საზოგადოებაში ძლიერდებოდა მართებული შთაბეჭდილება, რომ მე ორმაგ ნულოვან ვარიანტს ვუჭერდი მხარს და განიარაღების პროცესს პერშინგ 1 A-ს გამო არ ჩავშლიდი.

ფედერალურ კანცელარიაში ჩვენი საუბრის შემდეგ პირდაპირ ბადენ-ვიურტემბერგის სამხარეო წარმომადგენლობაში წავედი, სადაც ზიუდბადენის ოლქის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის სტუმრებთან, რომლებიც დოქტორ შოიბლეს მოეწვია, დისკუსია გავმართე. ჩემდა გასაკვირად, აქაც ძირითადად კაზათი პერშინგ 1 A-სა და ორმაგი ნულოვანი ვარიანტის გარშემო გაიმართა. კავშირის არაერთი წევრი ჩიოდა ფედერალური მთავრობის ყოყმანის გამო და მხარს უჭერდა ჩემ პოზიციას. მე თავს ვიკავებდი.

მეორე დილით მივიღე ფედერალური კანცლერის შეტყობინება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ის მხარს დაუჭერდა პერშინგ 1 A-ს ლიკვიდაციას. გულიდან ლოდი გადამვარდა. ვუთხარი ჰელმუთ კოლს, რომ საჭიროდ მიმაჩნდა, ამ გადაწყვეტილების საჯაროდ გაცხადე-

ბისთანავე ჩაგვეყენებინა საქმის კურსში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი. ამიტომაც, თუ ფედერალური კანცლერის გადაწყვეტილება საჯაროდ გაცხადდებოდა, მე ელჩ კვიცინსკის ჩემს ბიუროში გამოვიძახებდი. ეს მოხდა 1987 წლის 26 აგვისტოს.

იმ ფაქტს, რომ დასავლეთ ევროპა საშუალო სიშორის რაკეტების საფრთხისაგან გათავისუფლდებოდა და ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების პოლიტიკური კონცეფცია განხორციელდებოდა, მე, უსაფრთხოების პოლიტიკის თვალსაზრისიდან გამომდინარე, უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებდი. ყოველ შემთხვევაში, ვითარების წმინდა მილიტარისტულ ინტერპრეტაციას, თითქოს სამხედრო ესკალაციის კიბეს პერშინგ 1 A-ს ლიკვიდაციით ერთი საფეხური დააკლდებოდა, მე ვერ გავითავისებდი.

ორმაგ ნულოვან ვარიანტს იმიტომაც ჰქონდა აზრი, რომ მის განხორციელებაში და საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების თაობაზე დადებულ ხელშეკრულებაში უნდა დაგვენახა დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის ურთიერთობის პოლიტიკური თვალსაზრისით ძირეულად შეცვლის შესაძლებლობა, რათა შემდეგ ჩვეულებრივი შეიარაღების სფეროში ვარშავის პაქტის უპირატესობის გაუქმებისთვის მიგვეღწია. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირის მიერ შემოთავაზებულ არაჩვეულებრივად შორსმიმავალ წინადადებაზე უარს ვიტყოდით, ამით დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებს მძიმე დარტყმას მივაყენებდით, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა ნდობის დაკარგვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი.

როგორც განცხადებული იყო, ჰელმუთ კოლმა 26 აგვისტოს გაავრცელა ინფორმაცია, რომ გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ის მზად იყო უარი ეთქვა პერშინგ 1 A-ზე. პრესის წინაშე მან თქვა, რომ ფედერალური მთავრობა საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების თაობაზე მოლაპარაკებებს აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის მუდამ წარმატებას უსურვებდა; ამასთან, ფედერალურ მთავრობას შეუძლია თავის დამსახურებად მიითვალოს ის, რომ საშუალო სიშორის ბირთვული სისტემების თაობაზე დისკუსიების დაწყების დღიდან მან თავისი მტკიცე, პროგნოზირებადი და გაბედული პოზიციით ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ მოლაპარაკებები ჟენევაში წარმატებით წარმართულიყო, რის შედეგებსაც

უახლოეს მომავალში უთუოდ მოვიმკით. შემდეგ მან თქვა: „რაც შეეხება გერმანულ P 1A ტიპის რაკეტულ სისტემებსა და მათ ბირთვულ საბრძოლო ქობინებს, რომლებიც მთლიანად ამერიკის განკარგულებაშია, ისინი არასდროს გამხდარა მოლაპარაკებების საგანი ჟენევაში და ეს არც შემდეგ მოხდება. საბჭოთა კავშირმა თავიდანვე უწყოდა, რომ ჟენევაში ლაპარაკი მხოლოდ და მხოლოდ სახმელეთო ამერიკულ და საბჭოთა სარაკეტო სისტემებზე იქნებოდა. ამგვარად, საბჭოთა კავშირის პრეტენზია მოლაპარაკებების დღის წესრიგში პერშინგ 1 A-ს ჩართვის თაობაზე დაუსაბუთებელია და წარმოადგენს მცდელობას, ხელოვნური ბარიერი შეუქმნას საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის შესახებ შეთანხმების მიღწევას... ფედერალური მთავრობა მზადყოფნას გამოთქვამს, თავისი კონსტრუქციული წვლილი შეიტანოს 500-დან 5000 კილომეტრამდე რადიუსის საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების მსოფლიო მასშტაბით ლიკვიდაციის საქმეში“.

იმ შემთხვევაში, თუ ყველა ამერიკული და საბჭოთა საშუალო სიშორის ბირთვული ქობინი ლიკვიდირებული იქნება, — განაგრძო ჰელმუთ კოლმა, — პერშინგ 1 A-ს მოდერნიზება კი არა, არამედ მისი დემონტაჟი მოხდება. ამავე დროს მან მოსკოვს მოუწოდა, უარი ეთქვა 500 კილომეტრამდე რადიუსის რაკეტების უკვე მიმდინარე მოდერნიზებაზე. მან დაბეჯითებით მოითხოვა აგრეთვე მოლაპარაკებების გამართვა ევროპაში არსებული მოკლე რადიუსის ბირთვულ სარაკეტო სისტემებთან დაკავშირებით, რადგანაც არსებულ უთანაბრობას 100-დან 500 კილომეტრამდე რადიუსის სარაკეტო სისტემების სფეროში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ძნელად შეეგუებოდა.

ფედერალური კანცლერის განცხადებით მე ერთობ კმაყოფილი დავრჩი. ფრანც იოზეფ შტრაუსმა კი ჰელმუთ კოლს მაინც უსაყვედურა, რომ მან გადაწყვეტილება ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთან შეთანხმების გარეშე მიიღო, ხოლო ქრისტიანულ-სოციალური კავშირის სამხარეო ჯგუფის ხელმძღვანელი ვაიგელი განაწყენდა, რომ მისი პარტია ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენეს. პრესას აცნობეს, რომ ფედერალურმა კანცლერმა გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო — და ეს მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ.

შეთანხმებისამებრ იმ დროისათვის იული კვიცინსკი დავიბარე საგარეო უწყებაში და გავაცანი ფედერალური კანცლერის განცხადება: „ვიდრე ჩვენ აქ ვსხედვართ, ფედერალური მთავრობის სახელით შემდეგი განცხადება კეთდება“, ვუთხარი მე და ხმამაღლა წავიკითხე განცხადების ტექსტი, რომელსაც ფედერალური კანცლერი იმ მომენტში გადასცემდა საზოგადოებას. კვიცინსკიმ მიპასუხა: „მე არა ვარ დარწმუნებული, რომ ამ დაკლარაციას მოსკოვში ჩემი მთავრობა კმაყოფილებით შეხვდება“. მისი ეჭვები გამოწვეული იყო ჩვენი განცხადებით, რომ მხოლოდ საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის თაობაზე ხელშეკრულების ხელმოწერისა და მისი რატიფიკაციის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი უარი გვეთქვა პერშინგ 1 A-ზე.

ელჩი დიდად ბედნიერი არ ჩანდა იმის გამო, რომ მისმა მთავრობამ საყოველთაო ორმაგ ნულოვან ვარიანტს დაუჭირა მხარი. კვიცინსკის ასე ვუპასუხე: „დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი მთავრობა ჩვენს რეაქციას არსებითად უფრო პოზიტიურად შეაფასებს, ვიდრე თქვენ ახლა ამას აქ აკეთებთ“. და ეს ასეც მოხდა. მოსკოვი დადებითად გამოეხმაურა ჩვენს განცხადებას. მან გზა გაუხსნა ხელშეკრულებას, რომელიც 1987 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაიდო.

ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთა ზოგიერთი წევრისთვის პერშინგ 1 A-ს თითქმის მისტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მართლაც, ის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მფლობელობაში არსებული ერთადერთი სახმელეთო ბირთვული იარაღი იყო, მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო ქობინებს ამერიკის შეერთებული შტატები აკონტროლებდა. და მაინც, მე, ასე ვთქვათ, არანაირი ბირთვული პატივმოყვარეობით არ ვყოფილვარ შეპყრობილი; ეს გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას ცუდ სამსახურს გაუწევდა. სხვათა შორის, ამერიკელთა დაქვემდებარებაში მყოფმა საბრძოლო ქობინებმა ბუნდესვერი და მისი ჯარისკაცები უღირს მდგომარეობაში ჩააყენა. წვრთნების დროს რაკეტამატარებლის საბრძოლო მზადყოფნის შესახებ ხშირად აშშ-ს არმიის დაბალი ჩინოსნებისთვის უნდა მოეხსენებინათ, რომელთაც განსაკუთრებულ შემთხვევაში უფლება ჰქონდათ გადაწყვეტილება მიეღოთ საბრძოლო ქობინების ამოქმედების შესახებ. თუმცა ქრის-

ტიანულ-სოციალური კავშირის მხრიდან იმის მტკიცებასაც კი გაიგონებდით, რომ ორმაგი ნულოვანი ვარიანტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის „ტოტალურ რისკს“ მოასწავებდა: „მაშინ ალიანსის არსებობა აზრს დაკარგავდა“, — გაიძახოდნენ ისინი.

ამ რთულ სიტუაციაში ვცდილობდი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ჰელმუთ კოლისთვის მის პარტიაში მუშაობა შემემსუბუქებინა; ამ მიზნით პერშინგ 1 A-ს პრობლემატიკის საჯარო განხილვაზე უარს ვამბობდი. ჩემი განცხადება — „გერმანიის მიზეზით ორმაგი ნულოვანი ვარიანტი არ უნდა ჩაიშალოს“, თითოეული საქმეში ჩახედული ადამიანისთვის, რა თქმა უნდა, ნულოვანი ვარიანტისადმი ჩემ პოზიტიურ დამოკიდებულებას მოასწავებდა.

თუ წარსულს თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ამ საუკუნეში იშვიათად შექმნილა ვითარება, როცა შესაძლებელი გამხდარა შედარებით მოკლე დროის განმავლობაში შეხედულებები და ინტერესები ისე დრამატულად შეცვლილიყო, როგორც ეს მოხდა ოთხმოციანი წლების ბოლოს განიარაღების პოლიტიკასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებამ საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის თაობაზე - არა მხოლოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მდგომარეობა გააუმჯობესა უსაფრთხოების თვალსაზრისით, არამედ მან კატალიზატორის როლიც ითამაშა დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის არსებული კონფლიქტის დაძლევაშიც. მან გააძლიერა გორბაჩოვის რეფორმატორული პოლიტიკა, ხელი შეუწყო პოლიტიკური დაძაბულობის შემდგომ შენელებას. განიარაღების ხელშეკრულების პოლიტიკური შედეგების გადაჭარბებულად შეფასება შეუძლებელია. იმავდროულად ჩვენ განვამტკიცებდით ამერიკა-ევროპის ურთიერთ მხარდაჭერას და გადამწყვეტი წვლილი შეგვქონდა აღმოსავლეთის მიმართულებით წარმოებულ დაძაბულობის შენელების რეალისტურ პოლიტიკაში.

მიუხედავად ამისა, საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის თაობაზე ხელშეკრულების დადების შემდეგ დასავლეთს უარი არ უთქვამს სხვა შესაძლებლობებზე: შეთანხმება არ კრძალავდა თვითმფრინავებზე განლაგებულ სარაკეტო იარაღს, არც რაკეტამატარებლების ჩვეულებრივ სისტემებს. დასავლეთს შეეძლო თავისი ტექნოლოგიური შესაძლებლობები, თუ საჭირო გახდებოდა, სრულად

გამოეყენებინა. ასევე ცივი ომის განახლების შემთხვევაში, მაგალითად, ან თუ გორბაჩოვს შიდაპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე აღარ ექნებოდა თავისი კურსის განგრძობის საშუალება, დასავლეთს დადებული ხელშეკრულებების დაურღვევლადაც მოეპოვებოდა რეაგირებისთვის საკმაო შესაძლებლობები. ჩემდა გასაკვირად, გერმანიაში გამართულ სამშვიდობო დისკუსიების დროს თითქმის სიტყვა არ დაუძრავთ მოკლე რადიუსის რაკეტებზე და ბირთვულ საარტილერიო დანადგარებზე, თუმცა სწორედ გერმანელებს ემუქრებოდა ეს იარაღი. ბირთვული ქობინები, რომლებიც აღწევდნენ ქალაქიდან ქალაქამდე, მათ შორის ბირთვული საარტილერიო დანადგარები, რომლებიც დამანგრეველი ძალით ხიროსიმაში ჩამოგდებულ ბომბს უტოლდებოდნენ, ცენტრალურ ევროპაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე, უპირველესად კი, გორბაჩოვისეული პოლიტიკიდან გამომდირე, ჩემთვის სულ უფრო და უფრო მიუღებელი ხდებოდა.

დაშინების აზრი ის იყო, რომ ომი თავიდან აგვეცილებინა, და არა ის, რომ შეგვექმნა იმის ილუზია, თითქოს მისი ჩვენს სასარგებლოდ წარმართვა და მოგება შეიძლებოდა. მხოლოდ ასე მოვაზერხებდით მშვიდობა მოგვეპოვებინა. ამიტომაც მუდამ ვიმეორებდი: „ლაპარაკია არა ომების მოგებაზე, არამედ მშვიდობის მოპოვებაზე“. დისკუსია, რომელიც შეერთებულ შტატებში შეზღუდული ბირთვული ომის გარშემო დაიწყო, მე ევროპისთვის განსაკუთრებით პრობლემატური მეჩვენებოდა. ის იმისკენ იყო მიმართული, რომ ალიანსის მემარცხენე და მემარჯვენე მოწინააღმდეგეები გაეერთიანებინა. ჰელმუთ შმიდტი, რომელმაც დროულად იგრძნო მოსალოდნელი საფრთხე, თავის ამერიკელ მეგობრებთან საუბრების დროს ყოველთვის ამას უსვამდა ხაზს. იგი ასევე წინააღმდეგი გახლდათ ცნებისა „ბირთვული თეატრალური იარაღი“ (nuclear theatre forces). მარტო ეს ცნებაც კი საბრძოლო არენის აზროვნებას ბირთვულ იარაღთან აკავშირებდა, რაც მიუღებელი იყო.

ამ ფონზე ბირთვული იარაღით პირველი დარტყმის განხორციელებაზე უარის თქმა საბჭოთა კავშირის ყველაზე მარჯვე პროპაგანდისტული ხერხი გახდა. საჯარო დისკუსიებისას კვლავ და კვლავ ვხედავდი, რომ ამ არგუმენტს სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი იზიარებდა. საგარეო საქმეთა მინისტრ გრომიკოსა და

დასავლური ალიანსის პოლიტიკურ მოღვაწეებთან ამის შესახებ მქონდა გარკვეული საუბრები. „ჩვენ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, უფრო აქტიურად ვიღვწით მშვიდობისათვის, ვიდრე ისინი, ვინც ბირთვული იარაღის პირველი გამოყენების წინააღმდეგ გამოდიან“, — ვამბობდი ასეთ შემთხვევებში, — „ჩვენ არა მხოლოდ ბირთვული, არამედ არანაირი იარაღის გამოყენება არ გვსურს პირველებს“. საჯარო დისკუსიების დროს ყოველთვის ვუთითებდი ხოლმე ერთ ლოგიკურ შეცდომაზე: პროპაგანდისტული თვალსაზრისით შესაძლოა ეფექტური ყოფილიყო, თუ მთელი ყურადღება ბირთვული იარაღის მხოლოდ და მხოლოდ პირველ გამოყენებაზე უარის თქმისკენ იქნებოდა მიმართული; როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით კი ეს მცდარი იყო. ჩვეულებრივი იარაღის გამოყენებაზე უარის თქმას ნაკლები მნიშვნელობა როდი ჰქონდა. მეორე მსოფლიო ომი, როგორც ყველამ იცის, საშინელი რამ იყო; თანამედროვე შეიარაღების პირობებში ჩვეულებრივი ომი დღეს ევროპაში ათასჯერ უფრო საშინელი იქნება. ამიტომაც მეორე ათასწლეულის დასასრულს უსაფრთხოების ისეთ პოლიტიკას უნდა დავუჭიროთ მხარი, რომელიც ყველანაირი იარაღის გამოყენებას აკრძალავს. აზროვნების ასეთი წესის ნაყოფი გახლდათ ჩვენი განცხადება, რომელმაც 1982 წელს ნატოს წევრი ქვეყნების ბონში გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრაზე გაიჟღერა: „ჩვენ არც ერთ ჩვენს იარაღს არ გამოვიყენებთ, თუ ის საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად არ დაგვჭირდა“.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ შეეძლო ორმაგი ნულოვანი ვარიანტი თავის პოლიტიკურ წარმატებად მიეჩნია. ხელახალი შეიარაღებისკენ გადადგმული პირველი მძიმე ნაბიჯისთანავე მან ჰელმუთ შმიდტი რთულ ვითარებაში მარტო დატოვა. საერთოდ, ბევრი სოციალ-დემოკრატი საკუთარ თავს უნდა დაეკითხოს, რატომ თმობდნენ ისინი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიციური მთავრობის, გერმანიის ბუნდესტაგის და ნატოს პოზიციებს, დაკავშირებულს უსაფრთხოების პოლიტიკასთან, რომლებიც ახლა აღიარებული იქნა გორბაჩოვის მიერ. მოთხოვნამ — „მშვიდობის დამყარება რაც შეიძლება ნაკლები იარაღით“, ასახვა პოვა ჰელმუთ კოლის მიერ 1983 წლის 4 მაისს გაკეთებულ სამთავრობო განცხადებაში:

1. აღიარებული იქნა ასიმეტრიული განიარაღების პრინციპი: ვისაც მეტი იარაღი აქვს, ის მეტად უნდა განიარაღდეს.

2. აღიარებული იქნა სათანადო და ეფექტური ვერიფიკაციის, ე. ი. ხელშეკრულებების გაკონტროლების პრინციპი.

3. პირველად განხორციელდა იარაღის მთელი კატეგორიის საყოველთაო ლიკვიდაცია.

4. სულ უფრო აუცილებელი ხდებოდა დასავლეთის ერთობლივი უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება.

1987 წლის 7 დეკემბერს ვაშინგტონში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის თაობაზე ორმაგი ნულოვანი ვარიანტით. ეს იყო შორსმიმავალი ისტორიული მნიშვნელობის ხელშეკრულება; ამიტომაც ის არ უნდა დარჩენილიყო იზოლირებულ მოვლენად. შეთანხმების ეს ჟამი გამოყენებას ითხოვდა: ის ამოსავალი წერტილი და გზამკვლევი უნდა გამხდარიყო ფართო მასშტაბის განიარაღების პროცესისათვის. ამ ერთობლივი კონცეფციის ფარგლებში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას თავისი განსაკუთრებული ინტერესები ჰქონდა:

1. დასავლეთ-აღმოსავლეთის საზღვარზე მყოფნი, სწორედ ჩვენ გამოვდიოდით ევროპაში კონვენციური სტაბილურობის თაობაზე სასწრაფო მოლაპარაკებების დაჟინებული მოთხოვნით.

2. დასავლეთის ჩვეულებრივი თავდაცვის ძირითადი სიმძიმე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე მოდიოდა, ამიტომაც ჩვეულებრივი ომის პირველი მსხვერპლიც შეიძლება ის გამხდარიყო.

3. მოლაპარაკების მანდატი ჩვეულებრივ შეიარაღებაზე კონტროლისათვის ევროთათბირის ვენის შეხვედრის საბოლოოდ შეთანხმებული დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო.

4. ქიმიური იარაღის სასწრაფო საყოველთაო აკრძალვა განსაკუთრებით პრიორიტეტული იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის. ეს — როგორც მე ყოველთვის ვამტკიცებდი — სინამდვილეში იარაღი კი არ იყო, არამედ „ადამიანებისა და ბუნების მომსპობი საშუალება, რომელიც, თავის მხრივ, ასევე უნდა მოსპობილიყო". ამიტომაც დასავლური ალიანსის ომის საწინააღმდეგო სტრატეგიაში ქიმიური იარაღის არსებობა უნდა გამორიცხულიყო.

5. ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მოკლე რადიუსის ბირთვული რაკეტები ორივე ქვეყნისათვის თანაბარ ზედა ზღვრამდე უნდა შემცირებულიყო. ეს კი ამ სფეროში საბჭოთა კავშირის უპირატესობას გაანეიტრალებდა.

1987-88 წლების გასაყარზე მე დავსახე ნაბიჯები, რომლებიც მომავალში კოოპერაციული უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების მიზნით უნდა გადადგმულიყო:

1. ნაბიჯები განიარაღებისაკენ, რაც მხარეთა უპირატესობას მოშლიდა და დაბალ დონეზე სამხედრო ძალთა თანაფარდობის ყველა სფეროში თანასწორობას განაპირობებდა.

2. შეიარაღებული ძალების სტრუქტურის თვისებრივი ცვლილებები.

3. საყოველთაო პოლიტიკურ კრიზისთა მართვის ეფექტური მექანიზმების შემუშავება.

4. ნდობის განსამტკიცებელ ღონისძიებათა ქსელის შექმნა.

5. შეიარაღებაზე კონტროლის შესახებ უნიკერსალური მნიშვნელობის მულტილატერალური შეთანხმებების დადება.

6. მტრის ხატების მოშლა და სამშვიდობო განწყობილებების წახალისება.

7. ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა.

1987 წლის 7 დეკემბერი ჩემთვის იყო დღე, რომელმაც დიდი კმაყოფილება მომგვარა: ნატოს ორმაგი გადაწყვეტილება ახლა განიარაღების პოლიტიკის მიმართულებითაც, შეიძლებოდა განხორციელებულიყო. მოხდა როგორც მოკლე, ისე გრძელი რადიუსის საშუალო სიშორის ატომური რაკეტების საყოველთაო ლიკვიდაცია. ამის მისაღწევად ჩვენ იძულებულნი ვიყავით, 1982 წელს მიგვეღო მძიმე გადაწყვეტილება საკოალიციო ცვლილებების შესახებ, 1987 წელს კვლავაც ყველა ღონე ვიხმარეთ, ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების კოალიცია დაგვეყოლიებინა, რათა მოლაპარაკებითი ნაწილისთვის — როცა ეს უკვე შესაძლებელი გახდა — ხორცი შეგვესხა და ორმაგი ნულოვანი ვარიანტი მიგვეღო. უარის თქმა პერშინგ 1 A-ზე ბოლო სადგური იყო ამ ძნელ, მაგრამ საბოლოოდ წარმატებულ გზაზე.

მხოლოდ თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას შეეძლო ეამაყა იმით, რომ მან ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, ეს რევოლუციური გარდატეხა რომ მომხდარიყო. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ რაკეტების განლაგების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უკან დაიხია, ხოლო ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების კოალიციისთვის ძალდატანება გახდა საჭირო, ორმაგი ნულოვანი ვარიანტისთვის რომ მხარი დაეჭირათ. იურგენ მიოლე-მანი პარტიაშიც და ფრაქციაშიც განსაკუთრებული თავგამოდებით იბრძოდა ჩემს მხარეს — მაშინაც, როცა ორმაგი გადაწყვეტილების კონცეფციის და ხელახალი შეიარაღების საკითხები წყდებოდა, და მაშინაც, როგორც მოლაპარაკების მიზნის თაობაზე იყო კამათი.

1987 წლის 7 დეკემბრის ხელშეკრულებას განიარაღების პოლიტიკაზე უფრო დიდი, საყოველთაო მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ადასტურებდა გორბაჩოვის შეფასებას, რომელიც მე 1987 წლის 1 თებერვალს განვმარტე; მან ფრთები შეასხა პოლიტიკურ პროცესებ-საც. ამ ხელშეკრულებაზე უარის თქმა მხოლოდ უსაფრთხოების პოლიტიკის თვალსაზრისით არ იქნებოდა უპასუხისმგებლობა: ის დინამიკას დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებში ერთბაშად დაამუხრუჭებდა, თუ საერთოდ ბოლოს არ მოუღებდა მას.

თავი 15

ბრძოლა მოკლე რადიუსის ბირთვული რაკეტების მოდერნიზების წინააღმდეგ

ფუჭი დისკუსია: ლანსის ტიპის რაკეტების მოდერნიზება

საერთაშორისო ურთიერთობების დინამიკა მალე ახალი გამოცდის წინაშე დადგა. საქმე ეხებოდა ლანსის ტიპის ამერიკული მოკლე რადიუსის ბირთვული რაკეტების მოდერნიზაციას, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იყო სტაციონირებული. ვითარება აქ ჩემთვის უფრო რთული იყო, ვიდრე ორმაგ ნულოვან ვარიანტთან დაკავშირებით, ვინაიდან ამ უკანასკნელს დიდი ხანია თვითონ ამერიკა უჭერდა მხარს. რაც შეეხება რაკეტების მოდერნიზებას, აქ ვაშინგტონსა და ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებს პირიქით, ერთი საერთო მიზანი ამოძრავებდათ.

1988 წელს საკითხმა, თუ როდის უნდა დაწყებულიყო ლანსის ტიპის მოკლე რადიუსის რაკეტების მოდერნიზება, ალიანსში გამართულ კონსულტაციებზე ცენტრალური ადგილი დაიკავა. იმავდროულად ყველანი ცდილობდნენ ეს დებატები ტაქტიანად წარემართათ და მკაცრად არ დაპირისპირებოდნენ ერთმანეთს. ჩემთვის კონფლიქტები ორი მიმართულებით იძენდა სიმწვავეს: ჯერ ერთი, ალიანსში არ იყო ერთსულოვნება და მეორეც, მარტო ჩემსა და ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებს შორის კი არა, არამედ — როგორც მეჩვენებოდა — ჩემსა და ფედერალურ კანცლერს შორისაც იყო გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა. მე დაჟინებით გამოვდიოდი ლანსის ტიპის რაკეტების მოდერნიზაციის წინააღმდეგ და ოპონენტებს ვაფრთხილებდი, რომ მოკლე რადიუსის ბირთვული რაკეტების მოდერნიზება არ შეესაბამებოდა დროის მოთხოვნას, ეს უთუოდ მძიმე ტვირთად დააწვებოდა განიარაღებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს და დაგვაკარგვინებდა შესაძლებლობას, განიარაღებისა და დაძაბულობის შენელების გრძელვადიანი პოლიტიკა გაგვეტარებინა. 1988 წლის 7 დეკემბერს

გერმანიის ბუნდესტაგის წინაშე გამოსვლისას განვაცხადე, რომ შეიარაღებათა ცალკეული სისტემების მოდერნიზების შესახებ იზოლირებული გადაწყვეტილებების მიღება არ შედიოდა ფედერალური მთავრობის გეგმებში. მსგავსი სიგნალები, — დავუმატე იქვე, — არ გახლავთ აქტუალური: „დღეისათვის ვერავითარ საჭიროებას ვერ ვხედავ, დაიწყოს მოლაპარაკებები თუნდაც ლანსის ტიპის რაკეტების მოდერნიზებასთან დაკავშირებით, რისი განხორციელებაც მხოლოდ 1995 წლისთვის არის ნავარაუდევი".

1988 წელი ამ მეორე მოდერნიზებაზე სრულიად ფუჭი დისკუსიის ნიშნით გამოირჩა. მე მოვითხოვე საერთო გეგმა, მაგრამ იმავდროულად მოლაპარაკებების გაგრძელებაც უფრო მოკლე რადიუსის რაკეტებთან დაკავშირებით. ამას გარდა ვეცადე დამემტკიცებინა, რომ გადაწყვეტილება ლანსის ტიპის რაკეტების მოდერნიზების შესახებ არ შეესაბამებოდა დღევანდელი დღის მოთხოვნებს. 1988 წლის 17 ნოემბერს ფედერალურმა კანცლერმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კრების წინაშე გამოსვლისას განაცხადა: „მოკლე რადიუსის ბირთვული იარაღის ნულოვანი ვარიანტი ჩვენთვის არ გამოდგება, ვინაიდან ეს იქნებოდა გადამწყვეტი ნაბიჯი ევროპის დეატომიზაციისაკენ, რაც, ჩემი თვალსაზრისით, სამომავლოდ მშვიდობას კი არ მოგვიტანს, არამედ საფრთხის წინაშე დაგვაყენებს".

მაგრამ „დეატომიზაციის" გამო ალიანსის შიგნით გამოთქმული შეშფოთება ქმნიდა საშიშროებას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა პოლიტიკურად აღმოსავლეთისკენ გადაიხრებოდა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნეიტრალიზებამ დასავლეთში ერთგვარი შეშფოთება გამოიწვია, რომელიც რაღაც ტეტჩერისეული „ბრანდმაუერით" უნდა გაქარწყლებულიყო. ჩემთვის და ჩემი პოლიტიკური მეგობრებისთვის ასეთი არგუმენტები გაუგებარი გახლდათ. ხომ არ იყო ეს მოდერნიზება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის გამიზნული ტესტი იმის დასადგენად, თუ რამდენად იყო იგი სოლიდარული ალიანსთან მიმართებაში?

მაგრამ ლანსის ტიპის რაკეტებზე საუბარი იმ დროისათვის სრულიადაც არ იყო საჭირო; როგორც იქნა გაირკვა, რომ რაკეტა ოთხმოცდაათიანი წლების შუა ხანებამდე ექსპლოატაციისთვის ვარგისი იქნებოდა! ამიტომაც გადაწყვეტილების მიღება ალიანსის მიერ მათ მოდერნიზებაზე ჯერჯერობით არავითარ საჭიროებას არ წარმოად-

გენდა. პერშინგ 2-ის წარმოებაზე გადაწყვეტილებაც მხოლოდ აშშ-მ მიიღო; ოღონდაც მეტისმეტად გვიან იქნა ალიანსში შემოტანილი გადაწყვეტილება მისი შემოღების შესახებ. ასევე შეიძლებოდა მოქცეულიყვნენ ლანსის ტიპის რაკეტებთან დაკავშირებითაც. სრულიად საკმარისი იქნებოდა, რომ გადაწყვეტილება ლანსის მოდერნიზებული რაკეტების შემოღებაზე ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგს ყოფილიყო მიღებული.

მიუხედავად ყველაფრისა, მე დარწმუნებული ვიყავი: მანამდე პოლიტიკური ვითარება იმდაგვარად შეიცვლებოდა, რომ მოდერნიზება ანაქრონიზმად გადაიქცეოდა. ახლაც კი ლანსის ტიპის რაკეტების მოდერნიზება პოლიტიკურ ლანდშაფტში აღარ ჯდებოდა, ამიტომაც მიმაჩნდა, რომ დინება ამ მიმართულებით თავისი კალაპოტით უნდა წასულიყო. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში გამოჩნდებოდა, გამართლდებოდა თუ არა ჩვენი მოლოდინი დაძაბულობის შენელების თაობაზე. ქალბატონი ტეტჩერი კი პირიქით, დაჟინებით ითხოვდა, რომ გადაწყვეტილება მოდერნიზების შესახებ დაუყოვნებლივ ყოფილიყო მიღებული.

უკვე 1988 წლის ზაფხულში მივედი იმ დასკვნამდე, რომ აღმოსავლეთ ევროპაში დრამატული ცვლილებები იყო მოსალოდნელი, თუმცა ძნელი გასათვალისწინებელი იყო, 'რა შეიძლებოდა' მომხდარიყო. და მაინც, ჩემთვის ცხადი გახლდათ, რომ დემოკრატიზაციის პროცესები საბჭოთა კავშირში, უნგრეთსა და პოლონეთში განივრცობოდა და გაღრმავდებოდა. გდრ-იცა და ჩეხოსლოვაკიაც ხვალ თუ ზეგ იმავე გზას დაადგებოდნენ! მასობრივი გამოსვლები და დემონსტრაციები, ჩემი ვარაუდით, ჯერ გდრ-ში უნდა დაწყებულიყო, რადგანაც იქ თითქოსდა ორმაგი მედიალანდშაფტი იყო — არსებობდა შესაძლებლობა, ინფორმაციები დასავლეთიდანაც შესულიყო — ამის წყალობით მოქალაქეებს იქ უფრო მეტი და დიდი მოცულობის ინფორმაცია ჰქონდათ სხვა სახელმწიფოებში განვითარებული მოვლენების შესახებ, ვიდრე თუნდაც ჩეხოსლოვაკიაში.

1988 წელს არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მსოფლიო მასშტაბით იკვეთებოდა იმის ნიშნები, რომ თანდათან დაიწყებოდა გაჭიანურებული კონფლიქტების მოგვარება, როგორც სპარსეთის ყურეში, ისე ავღანეთში, კამბოჯასა და სამხრეთ აფრიკაში. დაძაბულობის შენელებამ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელსაც

მალე ცივი ომის საბოლოო დასასრულამდე და კომუნიზმის დამხობამდე უნდა მივეყვანეთ, უკვე თვალნათლივ დაიწყო ნაყოფის გამოღება. განვითარების ეს იმედის მომცემი ტენდენციები ადასტურებდნენ ჩემ გადაწყვეტილებას, რომ ლანსის ტიპის რაკეტების მოდერნიზების საკითხი ყოველგვარი „თუ“ და „მაგრამ“-ის გარეშე დღის წესრიგიდან უნდა მოხსნილიყო. ახალ გადაწყვეტილებებს ხელახალ შეიარაღებაზე ჩვენი იმედები არავითარ შემთხვევაში წყალში არ უნდა ჩაეყარა.

1988 წლის ივნისში პირველად გამოვედი ოფიციალურად გდრ-ში, ოღონდაც მხოლოდ პრესის წინაშე, რადგანაც მოსახლეობას ახლოს არ მოესვლებოდა. პოტსდამში ერთი ამერიკული ინსტიტუტის მიერ მოწყობილ საერთაშორისო კონგრესზე ძირითადი მომხსენებელი ვიყავი. გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დავიწყე: „ვერ ვიოკებ მოზღვავებულ გრძნობებს იმის გამო, რომ მას შემდეგ, რაც ოცდათექვსმეტი წლის წინათ გდრ დავტოვე, დღეს როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წევრს შესაძლებლობა მეძლევა აქ, საერთაშორისო კონგრესზე სიტყვა წარმოვთქვა. გდრ გერმანიის ნაწილია, სადაც ჰალეში, ზაალეს პირას დგას სახლი, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე. ჩემი სამშობლო აქ არის“.

მაშინ მე თითქოს აღსარება წარმოვთქვი ღირებულებათა ჩემეული წარმოდგენის შესახებ. „1952 წელს“, – განვაგრძე მე, – „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და, ამგვარად, მისი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების სასარგებლოდ გავაკეთე არჩევანი. ქვეყნის ძირითადი კანონის საფუძველზე დაწერილი წერილი, გერმანიის ერთიანობისადმი მიძღვნილი, რომელიც გფრ-სა და გდრ-ს შორის ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ დადებულ ხელშეკრულებას ერთვის თან, გერმანელი ერის მომავლის ჩვენეულ ხედვას წარმოაჩენს“. და პოტსდამშიც, გდრ-ის მიწაზეც გამოვთქვი რწმენა გერმანიის გაერთიანებისა. ოღონდ მის მისაღწევად ევროპული გზით უნდა გვევლო: „უნდა შეიქმნას თამამი პროექტი სამშვიდობო წესრიგის დასამკვიდრებლად ევროპაში. ჩვენ, გერმანელებმა, 1945 წლის 8 მაისს კვლავმოპოვებული თავისუფლება პასუხისმგებლობის შეგნებით იმისთვის გამოვიყენეთ, რომ

ევროპულ დემოკრატიათა გაერთიანების, ევროგაერთიანების და ნატოს წევრი გავხდით. ასე და ამგვარად, ჩვენ დავამყარეთ ყველაზე უფრო მჭიდრო და საფუძვლიანი კავშირი სახელმწიფოებს შორის — ღირებულებათა კავშირი". ღირებულებათა ერთობა მე ახალ საგარეო პოლიტიკურ პერსპექტივებს დავუკავშირე: „საჭიროა საჯაროობა, დემოკრატიზაცია და ჰუმანიზაცია საზოგადოებებისა, გაერთიანებული ერების ადამიანთა უფლებების დეკლარაციებისა და სხვა ვალდებულებების განხორციელება, როგორც ეს ჰელსინკის დასკვნით დოკუმენტზე ხელისმომწერ სახელმწიფოებს აქვთ დათქმული. თითოეული სახელმწიფო იმით უნდა შეფასდეს, თუ როგორი ურთიერთობა ექნება მას სხვა სახელმწიფოებთან, როგორ მოექცევა ის თავის საკუთარ მოქალაქეებს". შემდეგ მივმართე გდრ-ის ხელმძღვანელობას, ბოლოს და ბოლოს, დადგომოდნენ დემოკრატიული განვითარების გზას და მომავლის გორბაჩოვისეულ ხედვაზე დაფუძნებული აზრი გამოვთქვი: „ჩვენ გვინდა გვქონდეს სახლი, რომლის ყველა კარი ღია იქნება, სახლი ღია კომუნიკაციებით, ევროპა თავისუფალი და თვითგამორკვეული".

1988 წლის პოტსდამის ვიზიტმა დიდად ამაღელვა. ვეწვიე ნიკოლოზის ეკლესიასაც, რომელიც ძველ რატუშასთან, მარჯვენა კუთხეში დგას. 1989-90 წლების გარდატეხის შემდეგ ერთი პასტორი გამომელაპარაკა; მან მე 1988 წლის ვიზიტი შემახსენა. 1990 წელს ერთი ქალი მომიყვა, რომ 1988 წელს მან მე ხელი დამიქნია, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ პოლიციელმა პირადობის დამადასტურებელი საბუთი მოსთხოვა. შემდეგ იგი სამსახურში გააფრთხილეს, თუ ასეთ რამეს კიდევ ჩაიდენდა, სამუშაო ადგილს გამოეთხოვებოდა. ერთმა ჟურნალისტმა კი მიამბო, რომ მაშინ ჩემს მოსასმენად დარბაზში არ შემოუშვეს, მაგრამ ტექნიკურ მუშაკთა დახმარებით შეძლო ჩემთვის კულისებიდან ესმინა. როდესაც ახლა ამას ვიხსენებ, გრძნობები მერევა: საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში მე პირველად წარმოვთქვი სიტყვა გდრ-ში, მართალია არა საჯაროდ, მაგრამ საერთაშორისო პრესის წარმომადგენლების წინაშე. გამოსვლის დასასრულების შემდეგ ჩემი მეუღლე, ჩემი თანამშრომლები და მე ვეწვიეთ ბონში შეხვედრებზე გაცნობილ დოქტორ მანფრედ შტოლპეს. მას ევანგელისტური ეკლესიის ცნობილი მოღვაწენი სახლში დაეპატიჟა, სადაც ჩვენ ყავას და

ნამცხვარს შეექცეოდით და ამასთან გდრ-ში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დამოკიდებულებაზე და მოსახლეობის განწყობაზე ემასლაათობდით. 1988 წლის ზაფხულში ისე ინტენსიურად ვმუშაობდი გერმანიისა და ევროპის პრობლემატიკაზე, როგორც არასდროს. რისი იმედი უნდა გვქონოდა? როგორ გაგრძელდებოდა ეს ყველაფერი?

როდესაც 1988 წლის სექტემბერში კვლავ შევხვდი საგარეო საქმეთა მინისტრს შევარდნაძეს, მაშინ პირველად დავსვი კითხვა, რა მოხდებოდა, თუ გდრ-ში არეულობები და მასობრივი დემონსტრაციები გაიმართებოდა. მე შევარდნაძეს მოვლენების ყველაზე დრამატული განვითარება ვუწინასწარმეტყველე და იქვე დავძინე: „ჩვენი რეაქცია საბჭოთა ტანკების შეყვანის შემთხვევაში ახლა სულ სხვანაირი იქნება, ვიდრე ეს იყო 1953 წლის 17 ივნისს". ჩემ საბჭოთა კოლეგას უნდა სცოდნოდა, რომ ჯარების შეყვანას გდრ-ში შეეძლო ვითარება ძირფესვიანად შეეცვალა.

დრამატული პოლიტიკური ცვლილებების ამ ატმოსფეროში ლაპარაკი ლანსის მოდერნიზებაზე სრულიად უადგილო გახლდათ. საბედნიეროდ, ამასობაში ალიანსის შიგნით ჩემს შენიშვნებს სულ უფრო და უფრო მეტი მხარდამჭერი გამოუჩნდა. იტალიის, ბელგიის, დანიისა და საბერძნეთის მთავრობები იზიარებდნენ ჩემ შეშფოთებას; კვლავაც „ფრონტისპირა სახელმწიფოები" გამოვიდნენ მოკლე რადიუსის ბირთვული იარაღის თაობაზე მოლაპარაკებათა სასწრაფოდ დაწყების მხარდამჭერებად და ლანსის ტიპის რაკეტების მოდერნიზების წინააღმდეგ. ახლა საჭირო იყო, დასავლეთში ხორცი შესხმოდა უსაფრთხოების პოლიტიკის ერთობლივ კონცეფციას და ამასთან ახალი პოლიტიკური განვითარება უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებული თამამი პარალელური გადაწყვეტილებებით გამყარებულიყო. როგორც 60-იანი წლების ბოლოს ჰარმელის მოხსენებამ ნატოს ალიანსის ფილოსოფიას რევოლუციური ხასიათი შესძინა, ისე ევროპაში ახალ პოლიტიკურ გარდატეხათა ზღურბლზე ნატოს უსაფრთხოების პოლიტიკის ფილოსოფია განვითარების ახალი ეტაპის შესატყვისი უნდა ყოფილიყო.

ევროპული სამშვიდობო წესრიგი, როგორც ამას ჰარმელის მოხსენება მოითხოვდა, საბჭოთა კავშირთან და ცენტრალურ და

აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან თანამშრომლობით უნდა დამყარებულიყო! ხოლო რაკეტების სისტემათა მოდერნიზება პოლიტიკური აზროვნების მოდერნიზებას დასავლეთსა და აღმოსავლეთში გასაქანს არ მისცემდა. ამიტომაც 1988 წლის ოქტომბერში გაზეთ „ცაიტში" განვაცხადე: „ახლა საქმე ეხება პროექტის შექმნას ახალი ევროპული არქიტექტურისთვის. დემოკრატიული ევროპა ხელიდან გაუშვებს ისტორიულ შანსს, თუ ის მოვლენათა ამგვარი განვითარების პირობებში შეიარაღებისა და საპასუხო შეიარაღების კანონზომიერებებს უფრო მიენდობოდა, ვიდრე მცდელობას, მოლაპარაკებების გზით, ნაბიჯ-ნაბიჯ, მოულოდნელი თავდასხმებისა და მასშტაბური აგრესიის შესაძლებლობა მეორე მხრიდანაც ყოფილიყო გამორიცხული და ასევე ნაბიჯ-ნაბიჯ გაძლიერებულიყო თანამშრომლობისა და ურთიერთნდობის გაღვივების უნარი ორივე მხარეზე. დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობები მხოლოდ განიარაღებითა და შეიარაღებაზე კონტროლით არ უნდა შემოიფარგლოს. სამხედრო ელემენტები შორსმიმავალი, ღია სისტემური თანამშრომლობით, დაძაბულობის ნამდვილი შენელებითა და განიარაღებით დაკარგავენ თავიანთ მნიშვნელობას. ახალი აზროვნება მოითხოვს, რომ დაშინების ქსელს ზემოთ სამხედრო უსაფრთხოების ახალ კოოპერაციულ სტრუქტურათა დამატებითი ქსელი გაიბას, რომელიც შეამცირებდა რისკს, სწორედ დაშინებაზე აგებული პოლიტიკა რომ წარმოშობს. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ის, რომ კოოპერაციის მეშვეობით ევროპის გახლეჩა ნაბიჯ-ნაბიჯ ანაქრონიზმად გადაიქცეს".

1988 წლის მეორე ნახევარში შემდგომი განიარაღების საწინააღმდეგოდ აღმართული „ბრანდმაუერები" საშიში შეიქნა; აუცილებელი გახდა გონიერებისა და პასუხისმგებლობის „ბრანდმაუერის" შექმნა ახალი გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, როგორც მე ეს ვთქვი 1988 წლის 10 ნოემბერს ჩემს გამოსვლაში გერმანიის ბუნდესტაგის წინაშე.

ამიტომ „ბრანდმაუერის" ცნებას მე ასეთი რამ დავუპირისპირე: „ჩვენ ბრანდმაუერი უნდა აღვმართოთ კაცობრიობის მოსპობისა და სამყაროს განადგურების წინააღმდეგ". ამავე დროს, არანაირი საფუძველი რომ არ გაჩენილიყო ეჭვებისა და შეშფოთებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთსა და ამერიკაში, ვიმეორებდი,

რომ გერმანია არ აპირებდა განმარტოებით სიარულს მომავალში, რითაც ხაზს ვუსვამდი, რომ ის თავს ევროპული დემოკრატიების გაერთიანებასა და დასავლეთის კავშირს მიაკუთვნებდა. ჩემი რწმენით, სინამდვილეში ნეიტრალიზმის პოლიტიკაზე ამგვარ უარის თქმას ცენტრალური მნიშვნელობა ჰქონდა: ნეიტრალიტეტი გერმანიას ევროპაში არასტაბილურობის ფაქტორად და დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ძალისმერი პოლიტიკური მეტოქეობის საგნად აქცევდა. სწორედ იმ დროს, როცა დიდი იმედი გაჩნდა, რომ შესაძლოა დაძლეულიყო ევროპისა და გერმანიის გახლეჩა, დაუშვებელი იყო შექმნილიყო სივრცე ნეიტრალიზმისა და ნაციონალიზმისათვის. მიუხედავად ამისა, 1988 წლისთვის ვერც კი წარმომედგინა, რომ 1989-90 წლებში მომხდარი რევოლუციური ცვლილებების შემდეგ ყველგან, ევროპაში ახალი ნაციონალიზმი ასე სწრაფად განვითარდებოდა.

1988 წლის ივნისში რეიკიავიკში ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თავყრილობაზე შესაძლებელი შეიქნა, მნიშვნელოვანი საფუძველი ჩაყრილიყო შეიარაღებაზე კონტროლისა და განიარაღების კარგად შეკრული, ერთობლივი კონცეფციის შესამუშავებლად. იგი ითვალისწინებდა დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობაში ღრმა და საფუძვლიანი გარდაქმნების მისაღწევად იმ შესაძლებლობების გამოყენებას, რომლებიც საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში ახალმა აზროვნებამ და ახლებურმა ქმედებამ წარმოშვა: საბჭოებმა უარი თქვეს საშუალო რადიუსის რაკეტების გადაიარაღებაზე, რასაც მოჰყვა წინასწარი ინსპექტირება, ასიმეტრიული განიარაღება და ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან. მოვლენების ამგვარ განვითარებას ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

იმ დროისათვის ბონში, სამთავრობო კოალიციის შიგნით აზრთა სერიოზული სხვადასხვაობა იყო. ამ მიზეზით 1988 წლის 20 დეკემბერს, სამშაბათს, ფედერალურმა კანცლერმა კოალიციის სხდომა მოიწვია. ამ სხდომისათვის რომ მოვმზადებულიყავი, ერთი დღით ადრე ჰარდტჰიოეზე ფედერალურ მინისტრ შოლცს ვესაუბრე; მე მინდოდა არაფრის მომცემი დაპირისპირება თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის აუცილებლად თავიდან ამეცილებინა. საღამოს იოჰანიტერშტრასეზე მდებარე გრაფი ლამბსდორფის ბინისკენ გავემართე, რათა მისთვის ბოლო ხანს ალიანსში განვითარე-

ბული მოვლენების შესახებ სრული ინფორმაცია მიმეწოდებინა.

20 დეკემბერს, 11 საათზე დაიწყო თათბირი ეგრეთ წოდებულ მცირე სამთავრობო დარბაზში, სადაც ოვალურ მაგიდას ოციდან ოცდახუთ კაცამდე შეიძლებოდა შემოსხდომოდა. ფედერალური კანცლერი ისეთ ადგილას იჯდა, რომ მის ზურგსუკან მოექცა ის კარები, რომლითაც პრაქტიკულად მხოლოდ სახელმწიფო ვიზიტებისას სარგებლობდნენ, რადგანაც, ჩვეულებრივ, მცირე სამთავრობო დარბაზში ჰოლიდან შემოდიოდნენ ხოლმე. ჩვენ, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, ქრისტიანულ-სოციალური კავშირის წევრ კოლეგებთან ერთად შუშაბანდისკენ ზურგშექცევით ვისხედით. საუბარი მეტად მძიმე გამოდგა — გაიმართა მწვავე, ურთიერთბრალდებებით გაჯერებული დისკუსია. ტელჩიკის მონაწილეობა ჩემი თვალსაზრისის მხარდამჭერი მისი საქმიანი კონსულტაციის გამო მეტად სასარგებლო აღმოჩნდა. რაიმე კონკრეტული შედეგისთვის ჩვენ არ მიგვიღწევია, მაგრამ პარტიის თავმჯდომარემ, ფრაქციის თავმჯდომარემ და მე ჩვენი პოზიცია სრულიად არაორაზროვნად და ნათლად გამოვხატეთ.

1988-89 წლების ზამთარი ჩემთვის ყველაზე მძიმე დრო იყო საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობის პერიოდში. ერთი მხრივ ვიმედოვნებდი, რომ მოსკოვში და აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკურად დათბებოდა. ხომ შეიძლებოდა გაჩენილიყო შესაძლებლობა, რომ არამარტო შეიარაღებაზე კონტროლისა და დაძაბულობის შენელების პოლიტიკაში გადაგვედგა წინ ნაბიჯები, არამედ ევროპისა და გერმანიის გახლეჩაც საბოლოოდ დაგვეძლია? მეორეს მხრივ, დიდ თავსატეხს მიჩენდა ვაშინგტონისა და ლონდონის მისწრაფებები, მიმართული ლანსის ტიპის მოკლე რადიუსის ბირთვული რაკეტების მოდერნიზებისაკენ. მოდერნიზების სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობას საზოგადოდ და რეფორმატორულ მოძრაობას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში განსაკუთრებულ ბარიერებს შეუქმნიდა. მაგრამ ალიანსში ამ საკითხზე ერთსულოვნება არ სუფევდა. კონტინენტური ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლები, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრის ვან დენ ბროეკის გარდა, ყველანი ჩემ აზრს იზიარებდნენ, რომ ახლა გადაწყვეტილების მიღება რაკეტების მოდერნიზების სასარგებლოდ სრულიად არახელსაყრე-

ლი იქნებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენ ჭკუაც გვყოფნიდა საიმისოდ, რომ უფრო შორს არ წავსულიყავით და არ მოგვეთხოვა, საბოლოოდ ეთქვათ უარი მოდერნიზებაზე. მომავალი წლის მაისში ბრიუსელში მოწვეულ ნატოს სამიტზე ეს პრობლემა საერთოდ არ უნდა განხილულიყო. მე ვიცოდი: დანიელები, იტალიელები, ბელგიელები, ლუქსემბურგელები, ესპანელები და ბერძნები მხარს უჭერდნენ ჩემ თვალსაზრისს ამ საკითხებთან მიმართებაში. ამასთან უნდა ითქვას, რომ, რა თქმა უნდა, იტალიელების, ბელგიელების, ლუქსემბურგელებისა და ნორვეგიელების სიტყვას განსაკუთრებული წონა ჰქონდა. ესენი ნატოს პოლიტიკის გამორჩეულად მტკიცე მიმდევრები იყვნენ და ამიტომაც ალიანსის შიგნით მათ აზრს ანგარიშს უწევდნენ. ძირითადი ტვირთი კი ჩვენ გვაწვა მხრებზე.

21 დეკემბრის საღამოს მე ჩემ საარჩევნო ოლქში, ვუპერტალში გავემგზავრე, რათა ახლაც, როგორც ყოველ წელიწადს, საშობაო დღესასწაულში მიმეღო მონაწილეობა. მეორე დღეს ბად გოდესბერგის შტადტჰალეში ჰელმუთ შმიდტის დაბადებიდან 75 წლისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა. სასიამოვნო მღელვარებით აღვიქვი ის ფაქტი, რომ ჩემი მეუღლე და მე ამ ღონისძიებაზე მიგვიწვიეს. სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად მიმდებარე ოთახში ველოდებოდით ჰელმუთ შმიდტსა და მის მეუღლეს, რათა შემდეგ მათთან ერთად იმ დარბაზში შევსულიყავით, სადაც დანარჩენი სტუმრები იყვნენ შეკრებილნი.

უთანხმოებანი ლანსის გარშემო

1988 წლის მიწურული განსაკუთრებულ საბაბს იძლეოდა შეჯამებისათვის: საერთაშორისო განვითარებამ დაადასტურა გორბაჩოვის პოლიტიკის შედეგებისა და შესაძლებლობების ჩემეული შეფასება. მართებულობამ გაფრთხილებისა, ხელიდან არ გაგვეშვა ისტორიული შანსი, გორბაჩოვს სერიოზულად მოვკიდებოდით და მოგვეთხოვა მისთვის დანაპირების შესრულება, ისტორიაში იშვიათი და ამასთან სწრაფი დადასტურება პოვა. ჩემს მიერ 1987 წლის 1 თებერვალს დავოსში წარმოთქმული სიტყვიდან მაშინ ჯერ ორი წელიც არ იყო გასული.

1988 წელი პირადად ჩემთვის ძნელი წელიწადი იყო. თუ დედაჩემმა 1987 წლის 21 მარტს ჩემს 60 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ზეიმში აქტიური მონაწილეობა მიიღო, 1988 წლის განმავლობაში ჩვენ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდით იმაში, რომ მას სწრაფად ელეოდა ძალ-ღონე. მუდამ ენერგიულ, სიცოცხლის მოყვარულ ქალს ვეღარ იცნობდით. ზოგჯერ იგი მცირე ხნით კვლავ გამოცოცხლდებოდა, და ასეთ დროს ვიმედოვნებდით, რომ მას ისევ დაუბრუნდებოდა სიცოცხლის უნარი.

ხუთშაბათს, 1988 წლის 13 ოქტომბერს, დილით საფრანგეთის პარლამენტის თავმჯდომარე ფაბიიუ მივიღე. შუა საუბარში გაისმა ჩემი მეუღლის სატელეფონო ზარი, რომელსაც შიშით ველოდი: „დედა გარდაიცვალა". თხუთმეტი წუთის შემდეგ მის საწოლთან ვიდექი. ლაპარაკობენ ხოლმე სიკვდილის ღირსების შესახებ; იგი მას სახეზე ეწერა.

ჩემს ახალგაზრდობაში ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ დედის სიკვდილი სამოც წელს გადაცილებულ კაცს ასე შეაძრწუნებდა. ამ განშორებამ ღრმა ჭრილობა დატოვა ჩემს ცხოვრებაში, უფრო ღრმა, ვიდრე ცხრა წლისას მამის გარდაცვალებამ დამიტოვა. მე მხოლოდ სიჭაბუკის ჟამს ვიგრძენი, რას ნიშნავდა ჩემთვის მამის დაკარგვა. ახლა კი დედა დავკარგე, რომელთან ერთადაც, დროის მცირე მონაკვეთებს თუ არ ჩავთვლით, სამოც წელზე მეტხანს ვიცხოვრე. ამ დღეს ბევრი რამ გამახსენდა, უპირველეს ყოვლისა კი დარდი და შიში, რომელიც დედაჩემმა ჩემს გამო გადაიტანა. მას ბევრი რამის გადატანა მოუხდა: ომის მძიმე წლები, რომლის დროსაც იგი თავისი ვაჟის გამო შიშობდა, შემდეგ ჩემი ფილტვების ტუბერკულოზი, ათი წელიწადი რომ გრძელდებოდა, და მოგვიანებით გულის ინფარქტი; გარდა ამისა, ჰალედან ჩემ წასვლამდე იგი წუხდა, რომ მე მეტისმეტად თამამად გამოვხატავდი ჩემ პოლიტიკურ შეხედულებას. „ცოტა ფრთხილად, ბიჭო!"

„ბიჭო", ასე მომმართავდა იგი ბოლომდე. და ბოლომდე განიცადა პოლიტიკოსის ცხოვრების ჭირი და ლხინი. ახლაც კარგად მახსოვს, 70-იანი წლების შუა პერიოდში, ნიუ-იორკში გენერალური ასამბლეის სხდომასთან დაკავშირებულ მიღებაზე, როგორ ესაუბრებოდა იგი კისინჯერის მშობლებს იმის შესახებ, თუ რა რეაგირება უნდა მოახდინო, როდესაც შვილებს აკრიტიკებენ. ყვე-

ლაფერი ეს ახლა ჩავლილია.

მისი გარდაცვალების მეორე დღეს უკვე ჩვეულებრივ გაგრძელდა საგარეო საქმეთა მინისტრის სამუშაო რეჟიმი — დაფიქრებისთვის ბევრი დრო აღარ რჩებოდა. 1988 წლის 18 ოქტომბერს, სამშაბათს, როცა მას მივასვენებდით, მოვიდნენ — როგორც ეს მისი დაბადების მრგვალ თარიღებზე ხდებოდა, ბოლოს კი მისი დაბადებიდან 85 წლისთავზე მოხდა — ჩვენი ნათესავები და მრავალი ძველი და ახალი მეგობარი, ამჯერად უკვე იმისათვის, რომ მისთვის უკანასკნელი პატივი მიეგოთ.

პოლიტიკური თვალსაზრისითაც გასული წელი დაფიქრებისთვის განგაწყობდა: ახლა ჩვენ ისევ ძნელი დაპირისპირება გველოდა, როგორც კოალიციაში, ასევე ალიანსში; კვლავ დღის წესრიგში დადგა დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობის ძირეული პრობლემები. იგულისხმება დებატები გერმანიაში განლაგებული ახლო მანძილზე მოქმედი ბირთვული რაკეტების მოდერნიზების შესახებ.

1988 წლის დასასრულს მე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, იმჟამად მხარი არ დამეჭირა მოდერნიზაციისათვის. ეს სუფთა სინდისით გავაკეთე; ბოლოს მხარი დავუჭირე ზედა ზღვრის დაწესებას, როგორც მოლაპარაკების მიზანს, და არა ნულოვან გადაწყვეტილებას ახლო მანძილზე მოქმედი რაკეტების სფეროში. მინდოდა მიმეღწია მოლაპარაკებებისთვის იმ პირობებით, რომლებიც მისაღები იქნებოდა კოალიციის ყველა პარტნიორისთვის საერთო მიზნიდან გამომდინარე, რათა გაგვექარწყლებინა საბჭოთა კავშირის უზარმაზარი უპირატესობა ამ სფეროში. გადაუჭრელი პრობლემა, სახელდობრ ის, თუ რა პოზიციას დაიკავებდა ფედერაციული მთავრობა ამ საკითხის მიმართ, ძალიან მაწუხებდა სადღესასწაულო დღეებში და 1989 წლის დასაწყისში. დისკუსიის შემდგომი ბედი სამთავრობო კოალიციაში ისევე გაურკვეველი იყო, როგორც დასავლეთის ალიანსში, რადგან ვაშინგტონი და ლონდონი მოდერნიზაციის საკითხის გადაწყვეტის ვადის გადმოწევას ითხოვდნენ. ერთობლივი გეგმის შესახებ მოწვეულ ნატოს თათბირებზე საგარეო საქმეთა უწყების თანამშრომლები ძნელ დღეში იყვნენ, რადგან ნატოს გენერალური მდივანი მანფრედ ვიორნერი მოდერნიზების სასარგებლო დადგენილების მიღებას მოითხოვდა. ამან ჩემი მდგომარეობა უფრო გაართულა.

1989 წლის 18 იანვარს, როდესაც ვენაში ევროთათბირის მესამე კონფერენციის დასასრულს საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად დაწვრილებით განვიხილავდი პოლიტიკურ სიტუაციას, მოულოდნელი რამ მოხდა. შევარდნაძემ თქვა, რომ საქმე ეხებოდა არა იმდენად იარაღის მოსპობას, რამდენადაც ევროპის გახლეჩილობის დაძლევას. ეს ახალი, მართლაც რომ რევოლუციური სიგნალები იყო!

მაგრამ მე ჯერ კიდევ არ ვიყავი დარწმუნებული, ყველა ჩვენს პარტნიორს ნათლად ესმოდა თუ არა, რაოდენ რევოლუციური იყო საბჭოთა მხარის არგუმენტაცია. შევარდნაძე თავისი ქვეყნის საგარეო პოლიტიკას მკვეთრად უპირისპირებდა იმ ძველ გამიჯვნის პოლიტიკას, რომელსაც გრომიკო მუდამ იცავდა ჩვენთან საუბრებში 1985 წლამდე. ამის ფონზე ლანსის რაკეტების მოდერნიზების მოთხოვნა უფრო ანაქრონისტული ჩანდა. ოღონდ ჩემთვის გაუგებარი იყო ის, რომ შევარდნაძე, ასე ვთქვათ, 1988 წლის სექტემბერში ნიუ-იორკში გამოთქმული ჩემი გამაფრთხილებელი ვარაუდის საპასუხოდ, მიმტკიცებდა, გდრ-ში ჩვენს განკარგულებაში არსებული ყოველგვარი საინფორმაციო წყარო გამოვიყენეთ — თან დასძინა: ეჭვი არ შეგეპაროთ, ამგვარი წყაროები იქ ბლომად მოგვეპოვებაო —, და ამის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ გდრ სტაბილური ქვეყანაა. თქვენს ვარაუდს, რომ 1989 წლის ზაფხულში მასობრივი დემონსტრაციები დაიწყება, ვერ გავიზიარებო.

ევროთათბირის კონფერენციაზე იმის შესაძლებლობაც მომეცა, რომ დასავლეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან მესაუბრა მოდერნიზების პრობლემის შესახებ. განსაკუთრებით ჰარმონიულად მიმდინარეობდა ჩემი საუბარი ნორვეგიელ საგარეო საქმეთა მინისტრ ტორვალდ სტოლტენბერგთან, რომელთანაც დიდი ხნის კარგი ურთიერთობა და გარდა ამისა, აღმოსავლური, საგარეო და უშიშროების პოლიტიკის საკითხებში სრული თანხმობა მაკავშირებდა. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით 17 იანვარს, ევროთათბირის დასკვნითი სხდომის კულისებში, როგორც დიპლომატები ამბობენ ხოლმე. ევროგაერთიანებაში შემავალი სახელმწიფოების ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნების მიმართ დამოკიდებულების შესახებ ხანმოკლე საუბრის შემდეგ მან ილაპარაკა გერმანულ პოზიციაზე საერთო პროგრამისადმი.

ჩვენთვის, — განვმარტე მე, — მნიშვნელოვანია განიარაღებისა და შეიარაღების კონტროლის ერთობლივი გეგმა და არა შეიარაღების გეგმა — როგორც ეს ამასობაში ზოგიერთს სურდა ყოფილიყო. ეს ჩვენ განვაცხადეთ ნატოს თათბირზე 1989 წლის 11 იანვარს. ალიანსის განკარგულებაშია სტრატეგიული ბირთვული იარაღის შემცირების გეგმა, ასევე ჩვეულებრივი განიარაღების თაობაზე მოლაპარაკებების გეგმა და თუმცა ფორმალური, მაგრამ ფართო, მსოფლიო მასშტაბის ხელშეკრულება ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ. მოკლე რადიუსის რაკეტებით შეიარაღების პროცესი ჯერ კიდევ არ ექვემდებარება კონტროლს, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ-მეთქი რეიკიავიკში. რასაკვირველია, ჩემთვის ცნობილია, რომ ზოგიერთებს არ სურთ შეიარაღებაზე კონტროლის დაწესება. ჩვენდა სასიხარულოდ, ნატოს ზემოაღნიშნულ თათბირზე სხვადასხვა დელეგაციას მოდერნიზების საკითხის განხილვა ერთობლივი გეგმის ფარგლებში არ სურდათ; ალიანსში ამის შესაბამისად იკვეთება პოზიტიური განვითარება ჩვენი თვალსაზრისის შესაბამისად. ჩვენ ბონშიც შევიკრიბეთ კოალიციურ საუბრებზე, რაც კვლავ გაგრძელდება-მეთქი. ამ საუბრის შინაარსზე და შედეგებზე დაწვრილებით შეგნებულად არ შევჩერდი, რადგან არ მსურდა ფედერალურ მთავრობაში არსებული განსხვავებული პოზიციების გამოყოფა, რომლებიც ჩვენს მოკავშირეებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ.

სტოლტენბერგს განვუმარტე, რომ მოკლე რადიუსის რაკეტების მოდერნიზების დროს ყოველი შესაძლებლობის ღიად დატოვება იყო საჭირო. და მერე დავძინე: მოლაპარაკებათა მიზნად იგივე ზღვრებია გათვალისწინებული და არა ნული, რადგან თუ ჩვენ ნულს მოლაპარაკებათა მიზნად ჩავთვლით, წინასწარ გამოვრიცხავთ მოდერნიზაციის შესაძლებლობას. მაგრამ არც ისეთი შთაბეჭდილება უნდა შეიქმნას, თითქოს ჩვენ აუცილებლად მოდერნიზება გვსურდეს. შესაფერისი მომენტი გადაწყვეტილების მისაღებად 1992 წელია; ალბათ, შემდეგ მოდერნიზებისაკენ მისწრაფება ისედაც აღარავის ექნება. პრეზიდენტ მიტერანის სიტყვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხდომაზე მე ასევე ჩემი პოზიციის დადასტურებად მივიჩნევდი: მან მოლაპარაკებები კონვენციური სტაბილურობის შესახებ ყველაზე აქტუალურად ჩათვალა და დასძინა, რომ ორი-სამი წლის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა მდგომარეობის ახ-

ლებურად შეფასება და თავისუფალი გადაწყვეტილების მიღება, — ვუთხარი მე. თავდაცვის მინისტრის, შოლცის, გამონათქვამის გამო, რომელმაც მოდერნიზებას დაუჭირა მხარი, სტოლტენბერგს მივუთითე განცხადებაზე, რომელშიც ფედერალური კანცლერი მოდერნიზების საკითხზე საჯარო დისკუსიას მიზანშეუწონლად თვლიდა.

სტოლტენბერგმა, თავის მხრივ, მაცნობა, რომ მან ოსლოში კაბინეტის რამდენიმე წევრთან ამ თემაზე ისაუბრა. იქაც ისე გაუგიათ ეს საკითხი, როგორც მე ჩემს მოხსენებაში მქონდა ნათქვამი. მართლაც, უნდა ვიკითხოთ, — თქვა სტოლტენბერგმა, — რატომ არის ასე აუცილებელი, 1989 წელს მივიღოთ გადაწყვეტილება 1996 წლისათვის, ამით ხომ იმ სიტუაციას ვქმნით, რომლის თავიდან აცილებაც გვინდოდა. თუ კიდევ ერთხელ გადავხედავთ ნატოს თათბირების მიმდინარეობას, — ჩავურთე მე, — მაშინ დავინახავთ, რომ ბელგია, დანია, იტალია და ესპანეთი სრულიად აშკარად ჩვენს მხარეს იხრებიან. სტოლტენბერგის შეკითხვაზე, ვიცნობ თუ არა უკვე ამასთან დაკავშირებით ახალი ამერიკული ადმინისტრაციის პოზიციას, მხოლოდ უარყოფითად შემეძლო მეპასუხა. ჯორჯ შულცს, ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელიც უკვე გადადგომას აპირებდა, არც შტოლტენბერგთან უსაუბრია ამ საკითხზე. თვით ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე, დეკემბერში, — დავძინე მე, — შულცმა ძალიან ფრთხილად გამოხატა თავისი აზრი და მკაფიოდ ილაპარაკა ხელსაყრელი ატმოსფეროს შესახებ, თუმცა თან დაუმატა, არავინ იცის, მართლა უნდა განლაგდეს თუ არა ეს იარაღები. ჯორჯ შულცს, რომელიც თავის სიტყვებს მუდამ ზუსტად წონის, ეს ნამდვილად უმიზნოდ არ უთქვამს, ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ მას საქმიან, გონიერ ადამიანად ვიცნობთ. ესპინმა, რომელსაც ცოტა ხნის წინ ვესაუბრე, ლანსის რაკეტების მოდერნიზებას ასევე ნაკლები ყურადღება დაუთმო-მეთქი. სტოლტენბერგის აზრით, ახალ ადმინისტრაციას გარკვეული დრო დასჭირდებოდა გადამოწმებისთვის. იგი თებერვალში ვაშინგტონში გამგზავრებას გეგმავდა, რათა იქ ნორვეგიის პოზიცია გამოეხატა.

შემდეგ მე ვუთხარი სტოლტენბერგს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრ შევარდნაძესთან საუბარში აღვნიშნე აღმოსავლეთის დამთრგუნველი უპირატესობა ახლო დისტანციის რაკეტების სფეროში: როგორც არ უნდა იყოს, შეფარდება ასეთია — 88 : 1365. მე

სასწრაფოდ მივმართე საბჭოთა მხარეს მოწოდებით, პირველი ნაბიჯი მაინც გადაედგა ცალმხრივად ამ მიმართულებით.

ყველა შესაძლებლობა მოლაპარაკებებისა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან, გდრ-ის ჩათვლით, იმისთვის გამოვიყენე, რომ ეს მოთხოვნა წამომეყენებინა. ჩემი აზრით, შევარდნაძემ კარგად გაიგო ჩვენი თხოვნა; თუმცა მისი შენიშვნა, რომ აღმოსავლეთის მხარეს მოდერნიზაცია უკვე დამთავრებული იყო, მე ნაკლებად სანუგეშოდ მომეჩვენა.

სტოლტენბერგმა მკითხა, მოვიხსენიებდი თუ არა მეორე დღეს ჩემს სიტყვაში პოლიციელთა სისასტიკეზე დემონსტრანტების მიმართ ჩეხოსლოვაკიასა და გდრ-ში. მე ვუთხარი, დიახ, ორივე ამ შემთხვევაზე ვილაპარაკებ და ევროთათბირის კონფერენციაზე მიღებულ ვალდებულებებსაც ვახსენებ. ამაზე მე არ შემიძლია და არც მსურს გავჩუმდე, მით უმეტეს, რომ ჩემთვის იქაურ მთავრობათა პოზიცია სრულიად გაუგებარია. ჩემ თვალში ამ მოვლენებმა ის დაადასტურა, რაც მე 1988 წლის სექტემბერში ნიუ-იორკში შევარდნაძესთან საუბარში ვთქვი-მეთქი.

როდესაც სტოლტენბერგს უნგრეთისა და პოლონეთის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მივაწოდე, ვუთხარი, რომ ფედერალურ პრეზიდენტს ვილი ბრანდტის პატივსაცემად სადილის გამართვა სურდა. ბრანდტის სურვილით რაკოვსკიც უნდა ჩამოსულიყო ბონში, ეს საკითხი მე უკვე შევათანხმე-მეთქი პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან პარიზში. გარდა ამისა, — განვაგრძე მე, — რამდენიმე ხნის წინ, ასევე პარიზში, ვალენსას შევხვდი, რომელიც მრგვალ მაგიდასთან მტკიცედ და დამაჯერებლად საუბრობდა. აღსანიშნავია, რომ მანაც დაუჭირა მხარი პოლონეთისთვის ფინანსური დახმარების გაწევას, ოღონდ გერმანულ-პოლონური საზოგადოებების მხარდაჭერის ფორმით — ამ მოდელმა ერთობ დაგვაინტერესა. ამასობაში ჩეხოსლოვაკიაში იქაური მთავრობის ჯიუტობის გამო მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა, მაგრამ ადრე თუ გვიან. იქაც რაღაც ცვლილება მოხდება-მეთქი.

ის, რომ მე და ტორვალდ სტოლტენბერგი შევთანხმდით, ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ნორვეგია მუდამ დასავლეთის ალიანსის პოლიტიკის ძლიერ დასაყრდენს წარმოადგენდა, და ეს არა მხოლოდ მისი გეოგრაფიული, ფლანგური მდებარეობის, არამედ

ყველა იმ ნორვეგიული მთავრობის მტკიცე პოზიციის გამო, რომლებთანაც მე თანამშრომლობამ მომიწია. ეს თვითონ სტოლტენბერგსაც ეხებოდა; ეს კაცი თვით ჰარმელის მოხსენების იდეის განსახიერება იყო — თავდაცვისა და თანამშრომლობის იდეისა.

სიტყვაში, რომელიც ვენაში წარმოვთქვი, დავგმე წესრიგის დამცველთა სასტიკი საქციელი გდრ-სა და ჩსსრ-ში. თუკი შევარდნაძემ იმაზე ილაპარაკა, რომ რკინის ფარდა ჟანგვას იწყებსო, მე სულაც კედლის დანგრევა მოვითხოვე: ვთქვი, რომ ეს ანაქრონიზმია, ჩვენს დროს აღარ შეჰფერის-მეთქი.

ავსტრიის დედაქალაქში ჩვენ, ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრები გამოვემშვიდობეთ ჩვენს კოლეგას ჯორჯ შულცს, რომელმაც დიდი აღიარება და უამრავი ადამიანის სიმპათია მოიხვეჭა. მეც დიდად ვაფასებდი და დღესაც ვაფასებ ამ სერიოზულ და საიმედო ადამიანს.

ორი დღით ადრე, ვიდრე ამერიკის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ბეიკერი 1989 წლის 12 თებერვალს ბონში ჩამოვიდოდა, ჰელმუთ კოლმა „ფაინენშელ ტაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში მხარი დაუჭირა მოდერნიზაციის საკითხის გადადებას: 1995 წლამდე ლანსის რაკეტები საკმარისადაა, აქედან გამომდინარე კი, ეს საკითხი 1991-92 წლებამდე გადაწყვეტას არ საჭიროებსო. ამასთანავე კოლი აკრიტიკებდა მოკავშირეთა მცდელობებს, გერმანელთა თანხმობა მოდერნიზაციაზე ალიანსისადმი ფედერალური რესპუბლიკის ლოიალობის ტესტად ექციათ. ეს საჭირო სიტყვები იყო და საკმაოდ მკაფიოდაც გახლდათ წარმოთქმული — მე შვება ვიგრძენი.

ვოლფ ბელმა კოლის გამონათქვამები „ბონერ გენერალანციგერში" შეაფასა როგორც მისი მჭიდრო კავშირი საგარეო საქმეთა მინისტრთან: „კვირების მანძილზე მიმდინარე დასავლეთის კრიტიკისა და ბერლინის არჩევნების შედეგების ფონზე ფედერალური კანცლერი კოლი და საგარეო საქმეთა მინისტრი გენშერი უფრო მჭიდროდ დაუახლოვდნენ ერთმანეთს საგარეო პოლიტიკის სფეროში. კანცლერმა გუშინ, ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ბეიკერის ვიზიტის წინ, ამას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი რაკეტების მოდერნიზებაზე საუბრისას. ჰელმუთ კოლმა გადაჭრით განაცხადა: „მე საერთოდ არ მაინტერესებს, ხედავენ თუ არა სხვები ამ საკ-

ითხში ალიანსისადმი ლოიალობის ტესტის მსგავს მოვლენას. მე წარმოვადგენ გერმანულ ინტერესებს და საიმედო პარტნიორი გახლავართ". საერთო და გამოკვეთილი გერმანული სამთავრობო პოზიცია სტრატეგიულად მუდამ მნიშვნელოვანი იყო, რადგან ბოლოს და ბოლოს ევროპა, რაზედაც მე მუდამ ვამახვილებდი ყურადღებას, გადამწყვეტი ცვლილებების წინაშე იდგა. ნატო არ უნდა გადაღობებოდა წინ ისტორიის მსვლელობას, არ უნდა დაებრკოლებინა, არ უნდა შეეფერხებინა ან სულაც უკუექცია ის პროცესი, რომელიც აჩქარებდა მოვლენების განვითარებას, რომელსაც ჩვენ დასავლეთში ათწლეულების განმავლობაში ველოდით. როგორც ჩანს, აქ ადგილი ჰქონდა უშუალო პოლიტიკურ წინააღმდეგობას ლანსის მოდერნიზების მხარდამჭერებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. ეს იყო, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ძველი დაპირისპირება ტრადიციონალისტებსა და ევოლუციონისტებს შორის.

კვირას, 12 თებერვალს, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმი დახურულ სხდომაზე შეიკრიბა. მე ინფორმაცია მივაწოდე დამსწრეთ ალიანსში მოდერნიზაციის საკითხთან დაკავშირებული დისკუსიის შესახებ. ჩემმა პოზიციამ პრეზიდიუმის სრული მხარდაჭერა პოვა. ბოლოს გავემგზავრე აეროპორტში, რათა დავხვედროდი საგარეო საქმეთა მინისტრ ბეიკერს და მის მეუღლეს; ეს იყო პირველი ოფიციალური ვიზიტი ახალი ამერიკელი საგარეო საქმეთა მინისტრისა, რომელსაც მე წლების განმავლობაში სხვა ამპლუაში ვიცნობდი. საღამოს მისთვის ოფიციალური სადილი გავმართე ვენუსბერგის სასტუმროში, ხოლო ჩემმა მეუღლემ ქალბატონი ბეიკერი სახლში ვახშამზე მიიწვია.

მცირე ნაბიჯები დაახლოების გზაზე: დიალოგი ვაშინგტონსა და ბონს შორის

როგორც კი ჩამოვიდა, ბეიკერი სასტუმრო სახლში პირისპირ სასაუბროდ დავიმარტოხელე. ამ საუბრის დროს მე ხაზი გავუსვი გერმანულ-ამერიკულ ურთიერთობათა განსაკუთრებულ ხასიათს. ეს ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია და ამ სულისკვეთებით მინდა-მეთქი თქვენთან თანამშრომლობა. ერთმანეთის საწი-

ნააღმდეგოდ მიმართულ პრესის პოლიტიკას არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, — ვუთხარი მას და სიტყვა გადავუკარი ამერიკულ და გერმანულ გაზეთებში დაბეჭდილ კრიტიკულ შენიშვნებზე, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად ამერიკულ სამთავრობო წყაროებს ემყარებოდა. ბეიკერი, რომელიც ჩემს გადაკრულ ნათქვამს მიხვდა, დამეთანხმა და უეცრად გამოცა ძალიან მეგობრული წინადადებით: მიმართვა „ბატონო მინისტრო", ჩვენ რომ ვიყენებთ ერთმანეთის მიმართ, ძალიან ოფიციალურია, სახელებით ხომ არ მიგვემართა ერთმანეთისთვის? მან მითხრა, რომ ჩემთან მჭიდრო პირადი კონტაქტი სურს, ისეთი, რომ ტელეფონითაც დამირეკოს, როცა კი ამას საჭიროდ ჩათვლის. ბეიკერმა მთხოვა, მეც ასევე მოვქცეულიყავი. ამ ჟესტმა გამახარა: რასაკვირველია, ახლობლური დამოკიდებულების ამ ფორმაზე გადასვლა პრობლემების გადაწყვეტას არ ნიშნავდა, რადგან ორივე ჩვენგანი ჩვენ-ჩვენი ქვეყნის წინაშე ვრჩებოდით ვალდებულნი. მაგრამ ძალდაუტანებელ ურთიერთობას შეუძლია გააადვილოს პრობლემების მოგვარება.

შემდეგ ჩვენ ვსაუბრობდით ნატოს საერთო გეგმაზე, რომელიც, ჩვენი აზრით, მაისისთვის დანიშნულ ნატოს უმაღლესი დონის შეხვედრაზე უნდა მიგვეღო. საუბარი არაოფიციალურ და მეგობრულ ტონში დასრულდა. შინისაკენ იმ გრძნობით მივეშურებოდი, რომ ბეიკერი თავიდანვე სწორად შემიფასებია-მეთქი. მის მიმართ ჩემი სიმპათია არასოდეს დამიმალავს. როგორც ჩანს, მასაც სურდა ჩვენი კარგი ურთიერთთანამშრომლობა.

მომდევნო დღეს ოფიციალური მოლაპარაკებები დაიწყო. ამერიკელთა მხრიდან საუბარში მონაწილეობას იღებდნენ ელჩი ბერტი, ბეიკერის საგარეო პოლიტიკური მრჩეველი ბობ ცოლეკი, ჩვენი მხრიდან კი — პოლიტიკური დირექტორი დიტერ კასტრუპი და ასევე სამინისტროს ბიუროს ხელმძღვანელი ფრანკ ელბე. შევეხეთ სხვადასხვა თემას, საერთო ინტერესის საგანს რომ წარმოადგენდა: მოვლენების განვითარებას ცენტრალურ ამერიკაში, სავაჭრო ურთიერთობას აშშ-სა და ევროგაერთიანებას შორის, საერთაშორისო ტერორიზმისა და ლიბანში ამერიკელთა მძევლად აყვანის საკითხს. ბოლო საკითხთან დაკავშირებით მე დაბეჯითებით ვცდილობდი, დავხმარებოდი ამერიკელებს დიპლომატიური არხებით თეირანზე გასასვლელად.

ბოლოს ბეიკერი კვლავ დაუბრუნდა ნატოს უმაღლესი დონის შეხვედრას მაისში: თუ გორბაჩოვი მართლა ჩამოვიდოდა იენისში ბონში, მაშინ პრეზიდენტ ბუშისათვის უმჯობესი იქნებოდა, ნატოს შეხვედრები მაისის ბოლო ორ კვირას ბრიუსელში ჩატარებულიყო. ამაზე ქალბატონი ტეტჩერიც თანახმა იქნებოდა, თუნდაც მას ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების საგაზაფხულო შეხვედრა ლონდონში გადაეტანაო, მითხრა მან. ჩვენთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია, — ვუპასუხე მე, — რომ ნატოს უმაღლესი დონის შეხვედრა გენერალური მდივნის გორბაჩოვის ვიზიტამდე გაიმართოს, რადგან საბჭოთა კავშირთან მნიშვნელოვანი შეთანხმებები გველის, რომლებსაც მხოლოდ ალიანსის მიერ შემუშავებული ერთობლივი პოლიტიკის საიმედო საფუძველზე დაყრდნობით გვინდა მივაღწიოთ. ბეიკერი დამეთანხმა, მაგრამ კვლავ დაუბრუნდა საერთო გეგმას, რომლის შესახებაც მას დისკუსიები ჰქონია გრაფ ლამბსდორფთან და ფედერალურ მინისტრ შოიბლესთან. ბეიკერის აზრით, მის მთავრობას პრობლემა შეექმნებოდა კონგრესთან ამ საკითხზე: ახლა, ნატოს უმაღლესი დონის შეხვედრის დაწყებამდე, უნდა მოიძებნოს შესაბამისი ფორმულა მოკლე რადიუსის რაკეტების მოდერნიზებისათვის. ბეიკერის აზრით, მოდერნიზების საკითხი პრინციპულ საკითხად არ უნდა მიგვეჩნია და აქედან გამომდინარე ის იმედოვნებდა, რომ ჩვენი მოლაპარაკებების შემდეგ შეძლებდა შესაბამისი ერთობლივი განცხადების გაკეთებას ფედერალურ კანცლერთან ერთად, რომელშიც ნათქვამი იქნებოდა, რომ ფედერალურ მთავრობას არ შეუცვლია თვალსაზრისი თავის ადრეულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

მე გაოცებას ვერ ვმალავდი — ჩვენ კი არა, არამედ ზოგიერთებმა ვაშინგტონსა და ლონდონში მიიჩნიეს მოკლე რადიუსის რაკეტების მოდერნიზება ალიანსისადმი ჩვენი ერთგულების ტესტად. მე ვუპასუხე, რომ აღმოსავლეთის უზარმაზარი უპირატესობა მოკლე რადიუსის რაკეტების სფეროში დროს აღარ შეეფერება. ამიტომ მე მხარს ვუჭერ იმას, რომ მალე მოეწყოს მოლაპარაკებები ამ საკითხზე! უკვე კარგა ხანია გაკვირვებას იწვევს ის, რომ ჩვენი მოკავშირეები ამ განსხვავებას წლების მანძილზე ყურადღებას არ აქცევენ-მეთქი.

ბეიკერს ვუამბე, რომ რამდენიმე დღის წინ მოქალაქეებთან ვიკამათე ერთ პოლიტიკურ თავყრილობაზე (ეს გახლდათ როლმოპსი*, რომელსაც ყოველწლიურად აწყობს ჩემი თანაფრაქციელი, გერმანიის ბუნდესტაგის ვიცე-თავმჯდომარე იულიუს კრონენბერგი არნსბერგში, ე.წ. „ჩუბინთა დარბაზში"). მათ შორის იყო თვრამეტი წლის ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო მოვალეობას ბუნდესვერში მოიხდის. ეს ახალგაზრდა მარწმუნებდა, რომ სურს დაწესებული თვრამეტი თვე იმსახუროს, თუმცა მას, ცხადია, ერჩივნა, თუ მხოლოდ თხუთმეტ თვეს იმსახურებდა. არსებითად კი მას ის ამბავი აინტერესებდა, რომ მის ამერიკელ და ინგლისელ თანატოლებს შეუძლიათ თვრამეტი თვით ადრე დაიწყონ პროფესიული საქმიანობა, რადგან იქ არ არსებობს სავალდებულო სამხედრო სამსახური. ბეიკერმა დაფიქრებული სახით შემომხედა. ჩვენ აზრადაც არ მოგვივა, — ვუთხარი ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, — სამხედრო ვალდებულების საკითხი ალიანსის ერთგულების ან ამერიკული და ინგლისური სამხედრო შესაძლებლობების სასინჯ ქვად ვაქციოთ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ვიცით, რომ ვინც სამხედრო ვალდებულების შემოღებას მოითხოვს, ის ამერიკაში არჩევნებს წააგებს. კარტერს, როგორც ცნობილია, ძვირად დაუჯდა, რომ მან ხელმეორე არჩევნების წინ სამხედრო სამსახურის რეგისტრირებას დაუჭირა მხარი, ხოლო რეიგანი ამის წინააღმდეგი იყო. ასე ებრძვის ყოველი ქვეყანა თავის საკუთარ პრობლემებს; მეგობრებმა კი ერთმანეთს დამატებითი სიძნელეები არ უნდა შეუქმნან, — ამ სიტყვებით დავამთავრე საუბარი.

ის, რომ ჯიმ ბეიკერს მოდერნიზების საკითხით ალიანსისადმი ჩვენი დამოკიდებულების შემოწმება არ სურდა, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რასაც მე ხაზგასმით მივესალმე, მით უმეტეს, რომ მის წინამორბედს, ჯორჯ შულცს, ეს არასოდეს უცდია. ჩემი ამერიკელი კოლეგა მარწმუნებდა, რომ სურდა, დახმარება გაეწია პრობლემის გადაწყვეტაში. მე მას შევახსენე, რომ იწყებოდა ბირთვული არტილერიის მოდერნიზების პროცესი: არც ეს არის-მეთქი ჩვენთვის, გერმანელებისთვის, იოლი საქმე.

---

* როლმოპსი — საუზმე, რომელზეც მოაქვთ დახვეული, ჩხირზე წამოგებული მარინირებული ქაშაყი. (რედ.)

სხვათა შორის, — განვაგრძე მე, — რეიკიავიკში დამთავრდა მოლაპარაკებები მოკლე რადიუსის რაკეტებთან დაკავშირებით. სწორედ ახლა არის ეს გადაწყვეტილება ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რადგან ჩვენ ყველა სხვა ქვეყანაზე მეტად გვემუქრება საბჭოთა მოკლე რადიუსის იარაღი. ნატოს განკარგულებაშია 88 სისტემა 700 რაკეტით, რასაც უპირისპირდება საბჭოთა რაკეტების ბევრად უფრო დიდი რაოდენობა. ამიტომ ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ მოლაპარაკებებს შეიარაღებაზე კონტროლის დაწესების შესახებ რეიკიავიკის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, რათა არათანაბარი არსენალები ერთნაირ ზედა ზღვრამდე დავიყვანოთ-მეთქი.

ლონდონიდან წამოსული აზრი, რომ მოლაპარაკებათა საწინააღმდეგოდ ამგვარი „ბრანდმაუერი" აღმართულიყო, — დავძინე მე, — თითიდან არის გამოწოვილი. 1988 წელს ნატოს უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ შეიარაღებული ძალები იქ, სადაც ამას საჭიროება მოითხოვდა, სათანადო მზადყოფნაში ყოფილიყო. უთუოდ გემახსოვრებათ, რომ გრაფმა ლამბსდორფმა ვაშინგტონში მოლაპარაკებებისას იმაზე მიუთითა, რომ ლანსის მოდერნიზების საჭიროების საკითხი 1991-92 წლებამდე არ დადგებოდა, — ვუთხარი მე ბეიკერს და განვაგრძე: ფედერალური მთავრობა ამ ვადას ემხრობა. 1982 წელს განხორციელდა მთავრობის შეცვლის ძნელი პროცესი და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ახლანდელი მთავრობა კიდევ დიდხანს დარჩება ხელისუფლების სათავეში, რაც როგორც ალიანსისთვის, ასევე კავშირის სიმტკიცისთვისაც სარგებლობის მომტანი იქნება. ფედერალურმა კანცლერმა, — დავძინე მე, — „ფაინენშელ ტაიმსში" ამ ცოტა ხნის წინ თარიღი 1991-92 წლები ხელახლა დაადასტურა. მაგრამ ხვალ ხომ თვითონვე გექნებათ შესაძლებლობა, ამის შესახებ ჰელმუთ კოლს ესაუბროთ-მეთქი.

სატელეფონო საუბარისას, რომელიც კანცლერს პრეზიდენტ ბუშთან ჰქონდა, ლაპარაკი იყო აგრეთვე ბილატერალური ჯგუფის შექმნაზე, რომელიც მაღალი რანგის მოხელეებით იქნებოდა დაკომპლექტებული, ვთქვი მე და განვაგრძე: ჩვენ მივესალმებით, თუ ის ჯგუფი ამ პრობლემებსაც მიხედავს.

ამის შემდეგ ვილაპარაკე ჩვენს საიმედოობასა და სიმტკიცეზე, რაშიც ეჭვის შეტანა შეუძლებელია-მეთქი. მე პირადად

ორივე ეს თვისება უკვე მრავალჯერ გამოვავლინე ჩემ პოლიტიკურ ცხოვრებაში; სხვებს კი აწი მოუწევთ მათი დემონსტრირება, ვთქვი მე და ვიგულისხმე არა მხოლოდ ჩემს მიერ ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების მხარდაჭერა, არამედ ისიც, რომ 1952 წელს სამშობლო დავტოვე. ეს არ იყო იოლი გადაწყვეტილება, — შევეცადე განმემარტა ჩემი თანამოსაუბრისთვის: „მე არავისგან მესწავლება, როგორ უნდა სიმტკიცის გამოჩენა“.

ბეიკერმა ყურადღება კვლავ საერთო გეგმაზე გაამახვილა: „ჩვენ შეუპოვრად უნდა ვიმუშაოთ, რათა მაისის შეხვედრისთვის შედეგი ხელთ გვქონდეს“. მე დავეთანხმე და შევთავაზე, ეს საკითხები ჩვენი მთავრობების მჭიდრო კონტაქტში გადაგვეჭრა. მთავარი ის იყო, რომ ორივე მხარე იჩენდა საერთო გეგმით დაინტერესებას. გარდა ამისა, ბეიკერმა პირად საუბარში მეტი გაგება გამოავლინა ჩემი არგუმენტების მიმართ.

2 მარტს საგარეო საქმეთა მინისტრ ანდრეოტისთან ერთად გამოვედი ჟენევის კონფერენციაზე, განიარაღების საკითხებს რომ ეძღვნებოდა, რათა ამით ჩვენს სამხრეთელ პარტნიორთან მჭიდრო თანამშრომლობის დემონსტრირება მომეხდინა. საფრანგეთს, როგორც ნატოს არაინტეგრირებულ წევრ ქვეყანას და ატომური ბომბის მფლობელ სახელმწიფოს, ამ საკითხში თუმცა განსხვავებული პოზიცია არ დაუკავებია, მაგრამ სხვა სტატუსი მიიღო, ვიდრე ჩვენ. ჟენევაში რეიკიავიკის დადგენილების შესაბამისად მოკლე რადიუსის ბირთვული იარაღის თაობაზე მოლაპარაკებების სასწრაფოდ დაწყება მოვითხოვეთ, რაშიც ნატოს წევრ ქვეყანათა უმრავლესობა გვიჭერდა მხარს.

4 მარტს ჯანმრთელობის მხრივ თავს კარგად ვერ ვგრძნობდი: სისუსტეს ვუჩიოდი. პროფესორმა კესლერმა, ფრთხილმა და მზრუნველმა ადამიანმა, გამოკვლევის მიზნით ღამით საავადმყოფოში დამტოვა. შაბათს, შუადღისას გამომიშვეს.

საავადმყოფოში დამირეკა შეწუხებულმა და აღელვებულმა, ცოტა არ იყოს გაჯავრებულმა ფრანკ ელბემ. კანცლერის სამსახურს არ ეჭაშნიკა ჩემი სიტყვა, რომელიც წინა დღით ჟენევაში წარმოვთქვი და რომელშიც მოვითხოვე, სასწრაფოდ დაწყებულიყო მოლაპარაკებები მოკლე მანძილზე მოქმედი რაკეტების თაობაზე.

ამასთან მივუთითე ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების გადაწყვეტილებაზე, რომელიც 1987 წლის 12 ივნისს რეიკიავიკში იქნა მიღებული: ამ გადაწყვეტილების მიხედვით მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული რაკეტებიც ექვემდებარებოდა განიარაღებასა და შეიარაღებაზე კონტროლს. მაშინ გაუჩნდა პირველი ბზარი ქალბატონ ტეტჩერის „ბრანდმაუერის ფილოსოფიას".

ელბე დავამშვიდე, ვუთხარი, ფედერალურ კანცლერს დავურეკავ-მეთქი. მან თვითონ მოითხოვა 1987 წელს მოლაპარაკებების გამართვა მოკლე რადიუსის რაკეტების შემცირებასთან დაკავშირებით — 1987 წლის 18 მარტის სამთავრობო განცხადებაში და, ბევრად უფრო მკაფიოდ, 1987 წლის 26 აგვისტოს განცხადებაში.

6 მარტს ვენაში გავფრინდი. ევროთათბირის კონფერენციის მონაწილე 35 სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაიწყეს იქ ევროპაში ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული მოლაპარაკებები; გაიმართა აგრეთვე დისკუსია ნდობის განმტკიცების ღონისძიებათა თაობაზე და მე აუცილებლად მივიჩნიე, მონაწილეობა მიმეღო ამ მოლაპარაკებებში. საჭირო იყო მკაფიო სიგნალის მიცემა: დადგა დრო ევროპის დაყოფის დაძლევისა. ჯანმრთელობის თვალსაზრისით ყოველივე ჩემი მგზავრობის საწინააღმდეგოდ მეტყველებდა; სამშაბათს შუადღისას მალტის საავადმყოფოში მსურდა წასვლა. გულის რიტმის დარღვევებმა და კათეტერმა მძიმე პრობლემები შემიქმნა. უმადობა, უძილობა და ტკივილები ვენაში გატარებული ოცდათექვსმეტი საათის განმავლობაში ტვირთად დამაწვა.

6 მარტს, ვენაში ჩასვლისთანავე, შევხვდი ჯიმ ბეიკერს. მე შევნიშნე, რომ იგი მოკლე რადიუსის რაკეტების თემას გვერდს უვლიდა. აღარ იყო ეს მნიშვნელოვანი? თუ ვაშინგტონში ფიქრობდნენ, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთა მხარდაჭერით და ნატოს გერმანელი გენერალური მდივნის პოზიციის გამო მოდერნიზების საკითხში სასურველ შედეგამდე მივიდოდნენ? მეორე ვარაუდი უფრო სარწმუნოდ მიმაჩნდა.

როლან დიუმასთან ერთად ჩემს ანფილადაში ვისადილე. მან გამიგო, რატომ დავამთავრე შეხვედრა მაშინვე, დესერტის შემდეგ. მასთან სრულიად გულახდილი ვიყავი; ვუთხარი, ხვალ საავადმყოფოში მივდივარ-მეთქი. ფაქტობრივად, როლან დიუმა მარტო სადი-

ლობდა, რადგან ჩემი სრული უმადობის გამო მხოლოდ „კომპანიას ვუწევდი“. შუადღისას საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრს შევარდნაძეს, ხოლო შემდეგ იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრს ლონჩარს შევხვდი.

1989 წლის 7 მარტს, დილით, იტალიის საელჩოში საგარეო საქმეთა მინისტრ ანდრეოტისთან ერთად ვისაუზმე. შემდეგ შევხვდი ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრს ვან დენ ბროეკს. საუბარი ამ ორ კოლეგას შორის სრულიად განსხვავებულად მიმდინარეობდა. ანდრეოტიც ჩემსავით ეჭვის თვალით უყურებდა მოდერნიზაციის სასარგებლო გადაწყვეტილებას, მაშინ როცა ვან დენ ბროეკი, ქალბატონ ტეტჩერის მსგავსად, მის მხარდამჭერთა რიცხვს ეკუთვნოდა. მაგრამ ანდრეოტი პატიოსნად ცდილობდა ბრიტანული და თავისი პოზიციების შეთანხმებას.

7 მარტის დილას წარმოთქმულ სიტყვაში მოვითხოვე ძალაუფლების პოლიტიკიდან პასუხისმგებლობის პოლიტიკაზე გადასვლა ევროპაში. შევარდნაძის აზრმა, რომ ამ მოლაპარაკებების დროს საქმე ფაქტობრივად ევროპის გაყოფის დაძლევას ეხებოდა, ჩემი მხარდაჭერა პოვა — მართლაც, ეს ის საკითხია, რომელიც ახლა წყდება-მეთქი. ჰარმელის მოხსენების სულისკვეთების სრული გათვალიწინებით შემდეგი სიტყვები წარმოვთქვი: „იწყება ახალი ეტაპი — ჩვენ ვადგავართ ევროპაში სამშვიდობო წესრიგის დამყარების, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთო ევროპული სახლისკენ მიმავალ გზას“. მე შევახსენე მათ ის ღირებულებები, რაც ამ სამშვიდობო წესრიგს საფუძვლად უნდა დასდებოდა; სასწრაფოდ უნდა განხორციელებულიყო აზრის თავისუფალი გამოხატვის ასევე თავისუფალი მიმოსვლის უფლება.

მივმართე რა ამერიკის მთავრობას, მივესალმე განცხადებას იმის თაობაზე, რომ გაეტანათ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განლაგებული ქიმიური იარაღები — ეს გახლდათ მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც იმ აზროვნებასთან გამომშვიდობებას ნიშნავდა, მხოლოდ ოკუპაციის პერიოდში რომ შეიძლებოდა წარმოშობილიყო. მართლა უნდოდა ვინმეს დასავლეთში, ქიმიური იარაღი საერთაშორისო სამართლის დარღვევით გამოეყენებინა? ალბათ არა. მაშ, რისთვის იყო საჭირო ეს იარაღი გერმანიაში? ამ კითხვაზე მუდამ ასეთი პასუხი ისმოდა: თუ აღმოსავლეთი ქიმიურ

იარაღს გამოიყენებს, მაშინ ჩვენც უნდა შეგვეძლოს ეს. ამგვარი პასუხი რეაგირების ისეთ მექანიზმს გულისხმობდა, რომელიც დაშინების ჩვენეულ სტრატეგიას არ შეესაბამებოდა.

საჭირო კი ის იყო, რომ ჩვენი ჯარისკაცები სათანადო აღჭურვილობითა და სწავლებით, სამედიცინო და ტექნიკური პროფილაქტიკის საშუალებათა გამოყენებით ქიმიური იარაღისგან მაქსიმალურად დაგვეცვა. მაგრამ ვის შეეძლო დასავლეთში სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში თავის თავზე აეღო საკუთარ ტერიტორიაზე ქიმიური იარაღების გამოყენება? დასავლეთის თავდაცვის სიძლიერეს ხომ სწორედ ის წარმოადგენდა, რომ დაშინების სტრატეგიის წყალობით მის განკარგულებაში თავდასხმაზე რეაგირების უამრავი შესაძლებლობა არსებობდა. ეს იყო საპირისპირო კონცეფცია „რეაქციის მექანიზმისა", რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვეულებრივ თავდასხმაზე ჩვეულებრივი თავდასხმით უნდა გვეპასუხა, ქიმიურ თავდასხმაზე — ქიმიური თავდასხმით და ა. შ.

ვენიდან ბონში ჩავედი და შემდეგ მალტის საავადმყოფოს მივაშურე. როგორც იქნა მოვიცალე მიმეხედა ჩემი თავისთვის და მეფიქრა გადაუდებელ ოპერაციაზე. ცოტა ხნის ფიქრისა და მეგობრებთან კონსულტაციების შემდეგ ჩემი არჩევანი მაინცელ უროლოგზე, პროფესორ ჰოენფელნერზე, შეჩერდა — როგორც გაირკვა, ეს საუკეთესო არჩევანი იყო. სხვათა შორის, გვარი ჰოენფელნერი მეცნ. გამოირკვა, რომ ამ ქირურგის ძმა ავსტრიის ელჩი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. 3 მარტს მაინცის უნივერსიტეტის კლინიკაში ოპერაციიდან რამდენიმე საათის შემდეგ ჰელმუთ კოლმა დამირეკა; სერიოზული პრობლემები გაჩენილა ერთ სოციალურ-პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით. ის გაცხარება, რაც კოალიციაში მიმდინარე კამათს ახლდა თან, ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირში არსებულ მზარდ დაძაბულობაზე მეტყველებდა. ჰაინერ გაისლერის მიერ გენერალური მდივნის პოსტის დატოვებისა და 1989 წლის 12 სექტემბერს ბრემენის პარტიულ ყრილობაზე ჰელმუთ კოლის პარტიის თავმჯდომარედ ხელახალი არჩევის შემდეგ, ძალაუფლებისთვის ბრძოლა დასრულდა. ვითარების გარკვევას ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფედერალური მთავრობის ქმედითუნარიანობისათვის.

კარგად ჩავლილი ოპერაციის შემდეგ, 1989 წლის 17 მარტს საავადმყოფოდან გამოვეწერე. აღდგომის დღესასწაულის წყალობით რამდენიმე დღე შინ დავისვენე და ძალებიც მოვიკრიბე. მხოლოდ 10 აპრილიდან შევძელი სრული დატვირთვით შევდგომოდი მუშაობას. ვესაუბრე ჩემს კოლეგებს ყველა ფრაქციიდან მოკლე რადიუსის რაკეტებთან დაკავშირებულ დებატებზე: ორჯერ ვესაუბრე ოტო გრაფ ლამბსდორფს, გარდა ამისა, ალფრედ დრეგერს, ვოლფგანგ შოიბლეს, ჰაინერ გაისლერს, დოქტორ იოხენ ფოგელს, აგრეთვე ჰორსტ ემკეს და ოსკარ ლაფონტენს.

2 აპრილის საღამოს დამირეკა ჰელმუთ კოლმა. ეს იყო ერთი იმ სატელეფონო საუბართაგანი, ყოველი კვირის ბოლოს რომ გვქონდა ერთმანეთთან. მეორე დღეს მას დაბადების დღე ჰქონდა და მე ფედერალურ კანცლერს ვუსურვე ბედნიერება და მივულოცე აღდგომის დღესასწაული. შემდეგ მოვახსენე როლან დიუმასთან ჩემი საუბრის შესახებ, რომელიც უახლოეს გერმანულ-ფრანგულ მოლაპარაკებებს შეეხებოდა. ამასთან კიდევ ერთხელ გამოჩნდა ფრანგების დიდი დაინტერესება საერთო ვალუტისა და ეკონომიკური კავშირის შექმნით. მოკლე რადიუსის ბირთვული რაკეტების შესახებ გამართულ დებატებში საფრანგეთი თანახმა იყო, მოდერნიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღება 1992 წლისთვის გადაგვეტანა, რათა მანამდე უკეთ შეგვეფასებინა ვითარება აღმოსაკლეთ-დასავლეთის ურთიერთობის სფეროში.

საღდგომო შესვენებით გახანგრძლივებული იძულებითი პაუზის მეშვეობით მე კვლავ მოვღონიერდი, მაგრამ თავს სავსებით შრომისუნარიანად ვერ ვგრძნობდი. ამის მიზეზი 1989 წლის 20 ივლისს შევიტყვე. სეირნობისას და მაშინ, როდესაც დოკუმენტებზე მუშაობისას შევისვენებდი ხოლმე, ვაანალიზებდი დასავლეთ-აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას. მნიშვნელოვანი იყო გორბაჩოვისა და შევარდნაძის განცხადებები. ახლა ორი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დავოსში სიტყვა წარმოვთქვი. იმედებმა, რომლებიც მე იქ გამოვხატე, ამასობაში მოლოდინსაც კი გადააჭარბა: ევროპა დრამატულად იცვლებოდა. გდრ-ში მოქალაქეთა უფლებების დამცველები სულ უფრო და უფრო მკაფიოდ გამოხატავდნენ თავიანთ პოზიციას; იგივე ითქმოდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაზეც; უნგრეთს კარგა ხანია ჰყავდა რეფორმებისთვის მზადმყოფი

ხელმძღვანელობა, რომელიც სიტყვა „რეფორმას“ დიდი ასოთი წერდა, ხოლო „სოციალიზმს“ კი პატარათი; პოლონეთში მოვლენათა განვითარება ისედაც უკვე ძალზე შორს იყო წასული. საბჭოთა მთავრობამ, როგორც ჩანდა, ევროპის დანაწილების დაძლევა თითქმის თავის პოლიტიკურ მიზნად აქცია.

ამ მოლოდინს არ უნდა გამოეწვია მცდარი პოლიტიკური სიგნალი. ამისათვის მე ბოლომდე თანამიმდევრულად ვიბრძოლებდი, როგორც ფედერალურ მთავრობაში, ასევე კოალიციაში. კოლეგების რიცხვი, ჩემს პოზიციას რომ ემხრობოდნენ, გაიზარდა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ისედაც მხარს მიჭერდა; ახლა საჭირო იყო კოალიციაში ჩემი პოზიცია გამეტანა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ალიანსში ზედმეტი დაძაბულობანი არ წარმოქმნილიყო.

პრობლემების გასაღები, ცხადია, ვაშინგტონში იდო. თუ ვაშინგტონის გადმობირებას მოვახერხებდით, მას ლონდონი და ჰაეაც მოჰყვებოდნენ. დანარჩენი ევროპელები კარგა ხანია ისედაც ჩვენს მხარეზე იყვნენ. ანდრეოტი ისევე არ მალავდა ამას, როგორც ჩემი მეგობარი უფე ელემან-იენსენი თუ ტორვალდ სტოლტენბერგი; მადრიდიდან, ლონდონიდან, ათენიდან, ბრიუსელიდან და ლუქსემბურგიდანაც მივიღე პოზიტიური სიგნალები. ზოგი, ცხადია, საჯაროდ ჯერ კიდევ თავს იკავებდა, რადგან დარწმუნებული არ იყო, როგორი თვალსაზრისი ჩამოყალიბდებოდა ბონში და, რასაკვირველია, ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის გამოკვეთასაც ელოდნენ.

საკითხი, თუ როგორ პოზიციას დაიკავებდა ვაშინგტონი, მძიმედ მაწვა გულზე, რადგანაც შეძლებისდაგვარად მჭიდრო ურთიერთკავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დასავლური ალიანსის მკაფიო ერთობლივი პოზიცია მიმაჩნდა აღმოსავლურ პოლიტიკაში წარმატების აუცილებელ საფუძვლად. სწორედ ახლა, დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე უფრო პერსპექტიულ ფაზაში, ჩვენ არ გვჭირდებოდა დაძაბულობანი დასავლურ ბანაკში. უნდა მოგვეხერხებინა ბუშისა და ბეიკერის დარწმუნება.

ორშაბათს, 10 აპრილს, კვლავ სრული დატვირთვით შევუდექი მუშაობას. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმის

სხდომა შედგა. ამას მოჰყვა საუბრები სამინისტროში ჰოლიკთან და კასტრუპთან. თემა: მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული იარაღი. შემდეგ საუბარი ეზერ ვაიცმანთან. მე გამეხარა ამ შესანიშნავ ადამიანთან კვლავ შეხვედრა, რომელიც ჩემთვის მუდამ ისრაელის პოლიტიკის ერთი დიდი იმედთაგანი იყო.

11 აპრილი გადამწყვეტი დღე იყო მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული იარაღის თაობაზე გამართულ გერმანულ დებატებში. სამთავრობო სხდომამდე მე ვესაუბრე კოლს და ფედერალურ მინისტრს შოიბლეს სახელმწიფო კანცელარიაში. ჩვენ კიდევ ერთხელ გავუზიარეთ ერთმანეთს არგუმენტები და, მომეჩვენა, რომ საკითხის ისე გადაწყვეტა, როგორც მე მსურდა, მთლად შეუძლებელი როდი იყო. შევთანხმდით, რომ ვოლფგანგ შოიბლე და მე საუბარს ნაშუადღევს საგარეო საქმეთა სამინისტროში გავაგრძელებდით. თუ არ ჩავთვლით ჩვენი უწყების თანამშრომლებთან ნამიბიის შესახებ ხანმოკლე საუბარს, მე დღის მთელი მეორე ნახევარი სახელმწიფო მინისტრ ქალბატონ ადამ-შვეცერთან და დიტერ კასტრუპთან ერთად იმ დოკუმენტის ტექსტის განხილვას მოვანდომე, რომელსაც როგორც კოალიციაში, ასევე ალიანსში გასვლის პერსპექტივა ჰქონდა. დათმობები ამ საქმეში საკითხის მნიშვნელობის გამო არ შეიძლებოდა მსჯელობის საგანი გამხდარიყო. ვოლფგანგ შოიბლესთან თითქმის ორი საათი ვსაუბრობდი. ეს იყო საუბარი, უკეთესს რომ ვერ ინატრებ, როცა საქმე ძნელი საკითხების მოგვარებას ეხება. მე ვფიქრობ, რომ იგი ბოლომდე ვერ დავარწმუნე, თუმცა ეჭვსგარეშეა, ის ხედავდა დასავლურ-აღმოსავლური ურთიერთობის გაუარესების საშიშროებას, თუკი რაკეტების მოდერნიზების საკითხი დადებითად გადაწყდებოდა. ამასობაში ჩემი მდგომარეობა შემსუბუქდა ბრიუსელიდან მიღებული ცნობით. იქ ქრისტიან-დემოკრატმა პრემიერ-მინისტრმა მხარი დაუჭირა მოდერნიზების საკითხის გადადებას ორი-სამი წლით და ამასთანავე მოითხოვა მოლაპარაკებების გამართვა მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული იარაღის თაობაზე, რაც სრულიად შეესაბამებოდა ჩემს თვალსაზრისს.

ვოლფგანგ შოიბლე და მე შევთანხმდით ასეთ ტექსტზე: „1992 წელს პოლიტიკური განვითარებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფონზე, განსაკუთრებით კი განიარაღებასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკების შედეგის გათვალისწინებით, ალიანსი გადაწ-

ყველტს, საჭირო იქნება თუ არა 1996 წლისათვის ლანსის მოდერნიზებული სისტემის შემოღება ალიანსში და შესაბამისად მისი წარმოება და განლაგება". ეს იყო ყველა შესაძლებლობის შემცველი, საპასუხისმგებლო პოზიცია. მიუხედავად ამისა, მე ორი მხრიდან ვუფრთხოდი პირქარს. პირველი, პარტიის ტაქტიკოსთაგან, რომლებიც ამ შედეგში ჩემ წარმატებას ხედავდნენ და უკვე ამის გამო იქნებოდნენ წინააღმდეგნი. მეორეც, — წინააღმდეგობა მელოდა ნატოს გენერალური მდივნის მანფრედ ვიორნერისაგან, რომელმაც მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული იარაღის მოდერნიზება საკუთარ საქმედ გაიხადა და ბონში მრავალი მომხრე იპოვა.

უკვე მეორე დღეს საკოალიციო საუბარში ცხადი შეიქნა, რომ მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული იარაღის თაობაზე „შეთანხმების ფორმულა" ჯერ სულაც არ ყოფილა შემუშავებული. საღამოს თავისუფალი დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმში მხარი დამიჭირეს. მეორე დღეს კიდევ ერთხელ ვცადე ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პრეზიდიუმის წევრ კოლეგებს შორის მომეპოვებინა მომხრეები და მართლაც ჩემ თვალსაზრისს ბევრმა დაუჭირა მხარი. თანამოსაუბრეებს ვაჩვენე ზამთრის წვრთნის სცენარი. ისინი შეძრწუნდნენ.

14 აპრილს გავფრინდი ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრების არაოფიციალურ შეხვედრაზე გრანადაში. შეხვედრას იმჟამად დამატებითი ფუნქცია ჰქონდა: დღის პირველ ნახევარში შეიკრიბნენ ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრები ეგრეთ წოდებული რიო-ჯგუფის საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად; ეს იყო შეხვედრა, რომელიც ევროგაერთიანების რეგიონალური კოოპერაციის შემდგომი გამოყენების გამოხატულება გახლდათ. კომისიის წარმომადგენელი იყო პრეზიდენტი ჟაკ დელორი. საუბარში მონაწილეობდა აგრეთვე ევროპული პარლამენტის პრეზიდენტი ლორდ პლამი.

რიოს ჯგუფში ლათინური ამერიკის რვა სახელმწიფოა გაერთიანებული. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ბრედის სახელით ცნობილი გეგმის გვერდით ახალი ინიციატივა წამოაყენა, რათა მევალე და მოვალე სახელმწიფოთა დიალოგი გამოეცოცხლებინა. გერმანიაში ალფრედ ჰერჰაუზენმა, „დოიჩე ბანკის" გამგეობის სპიკერმა, კონსტრუქციული წინადადებე-

ბით გაამდიდრა დისკუსია ვალების პრობლემატიკის შესახებ მესამე სამყაროში.

შეხვედრა გრანადაში ეკონომიკურ და სავალუტო კავშირთა ნიშნით წარიმართა; ცოტა ხნის შემდეგ – 1989 წლის 17 აპრილს – ჟაკ დელორს სურდა თავისი მოხსენება ეკონომიკურ და სავალუტო კავშირთა შესახებ სამ საფეხურად წარმოედგინა. ვისარგებლე ამ თავყრილობით და რამდენიმე ჩემ კოლეგას იმ ტექსტის შესახებ ვესაუბრე, რომელიც ვოლფგანგ შოიბლესთან ერთად შევადგინე. მე ის ვათარგმნინე ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. დოკუმენტის სტატუსის გამო ვთქვი, რომ იგი ჩემ საკუთარ მოსაზრებებს გამოხატავდა, რადგან არ მსურდა პასუხისმგებლობა კოლეგა შოიბლესა და ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს დაკისრებოდა. მარტო ის მინდოდა, რომ დამედგინა, რაზე შეიძლებოდა კონსენსუსის მიღწევა კოლეგების წრეში.

ევროპის დეატომიზაცია? მძიმე დღე ვაშინგტონში

18 აპრილს სამთავრობო კოალიციის ლიდერები შეთანხმდნენ გერმანული პოზიციის თაობაზე ნატოს უსაფრთხოების პოლიტიკის საერთო გეგმის მიმართ:

„– მოკლე რადიუსის რაკეტის ახალი მოდელის შექმნა იყო და რჩება მხოლოდ აშშ-ს საქმედ.

– ნატოს რეიკიავიკის კომუნიკეში დაფიქსირებული ვალდებულებანი, დაკავშირებული სისტემების მოდერნიზებასთან, სადაც საჭიროა, ძალაში დარჩება.

– თუ საჭირო იქნა, გადაწყვეტილება ლანსის ტიპის რაკეტების შესახებ მიღებული უნდა იქნეს მხოლოდ 1991-92 წლებში.

– ამასობაში დასავლეთმა აღმოსავლეთთან, ევროპაში კონვენციური სტაბილურობის შესახებ ვენაში მიმდინარე მოლაპარაკებების პარალელურად, უნდა გამართოს მოლაპარაკებები ხუთას კილომეტრამდე სიშორის სისტემებში თანაბრად დაბალი ზედა ზღვარის თაობაზე“.

მე შევძელი შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა განიარაღების პოლიტიკის გზაზე.

ახლა ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთა წრეებში მოკლე რადიუსის რაკეტებთან დაკავშირებით მესამე ნულოვან გადაწყვეტილებაზე უარის თქმა მოითხოვეს. 20 აპრილს, პირდაპირ ბირთვული დაგეგმვის ჯგუფის თათბირისა და გერმანულ-ფრანგული კონსულტაციების შემდეგ კოალიციის წევრები ხელახლა შეეკრიბენით. გაიმართა ცხარე დისკუსია; ბოლოს ჩემი პოზიციები ძირითადად მიიღეს, მას შემდეგ, რაც მოკლე რადიუსის ბირთვული იარაღის თაობაზე მოლაპარაკებათა დაწყების თარიღთან დაკავშირებით მეც მოქნილობა გამოვიჩინე: დავთანხმდი, კოალიციის შეთანხმებაში მოლაპარაკებათა მიმართ ნათქვამი „უსწრაფესად, პარალელურად“ შეგვერბილებინა და, რეიკიავიკის ფორმულაზე დაყრდნობით, შეგვეცვალა სიტყვებით „უახლოეს მომავალში“. ამით დროის ჩარჩო უმნიშვნელოდ გაიზარდა. დაუყოვნებლივ მივაწოდეთ ინფორმაცია მოკავშირეებს: ჰელმუთ კოლმა ამერიკის პრეზიდენტს დაურეკა და შეუთანხმდა, რომ თავდაცვის მინისტრი შტოლტენბერგი და მე ორშაბათს, 24 აპრილს, ვაშინგტონს უნდა გავმგზავრებულიყავით, რათა იქ ფედერაციული სახელმწიფოს პოზიცია განგვემარტა. მე არ მახარებდა ეს მგზავრობა.

შეხედულება მოდერნიზების თაობაზე ამერიკელებმა მხოლოდ მოგვიანებით შეიცვალეს, ყოველ შემთხვევაში 1989 წლის 24 აპრილს ჯერ კიდევ ძველებურად ფიქრობდნენ. ამიტომ თავდაცვის მინისტრის შტოლტენბერგისა და ჩემს ვაშინგტონურ ვიზიტს მე ოპერატიულ და ფსიქოლოგიურ შეცდომად ვთვლიდი. არსებული ვითარების მიხედვით, — გავაფრთხილე კანცლერი, — ამ დროისათვის შედეგს არ უნდა ველოდეთ.

ვაშინგტონში ცივად და თავშეკავებულად შეგვხვდნენ. როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრ ბეიკერთან და თავდაცვის მინისტრ ჩენისთან ვთათბირობდით, ამ უკანასკნელმა მოულოდნელად დაგვტოვა და წავიდა, რათა ნაციონალური თავდაცვის უნივერსიტეტში სიტყვა წარმოეთქვა. როგორც შემდეგ გავიგე, მას იქ განუცხადებია: „ჩვენ ამ საშიშ მახეში [იგულისხმებოდა მოლაპარაკებები მოკლე რადიუსიანი ბირთვული რაკეტების თაობაზე] არ უნდა გავებათ. საბჭოეთის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ევროპის დეატომიზაციაა. ამ

მიზნის არსებობის ვითარებაში ალიანსმა თავისი ნება უნდა შეინარ-
ჩუნოს და მოლაპარაკებებისაკენ მოწოდებას არ უნდა აჰყვეს". ბეიკ-
ერმაც მოლაპარაკებებისას თავისი სპიკერის პირით გამოგვიცხადა,
საუბრები განიარაღების თაობაზე მოკლე რადიუსის რაკეტებთან
დაკავშირებით ამ მომენტისათვის შეცდომა იქნებაო. ბუშის მთავრო-
ბა, როგორც ჩანს, მზად არ იყო დაეკმაყოფილებინა ჩვენი მოთხ-
ოვნები.

მოლაპარაკებებზე გამოცხადებული შესვენება, რომლის დრო-
საც ჩვენ სახელმწიფო დეპარტამენტის მზიან ტერასაზე, ვაშინგ-
ტონის თავზე, საიდანაც ქალაქის ბრწყინვალე ხედი იშლებოდა,
სასმელს მივირთმევდით, იმისთვის გამოვიყენე, რომ ხარისთვის რქებში
ჩამევლო ხელი. მოდით, აქ, გარეთ, მშვიდად და საქმიანად ვი-
საუბროთ მოვლენებზე, — წამოვაყენე მე წინადადება. ჩვენ არავი-
თარ შემთხვევაში არ გვსურს შევურიგდეთ იმას, რომ ალიანსში და
გერმანულ-ამერიკულ ურთიერთობაში ასეთი დამოკიდებულება იყოს
გამეფებული. აქ იმყოფება ორი მინისტრი ერთი მთავრობისა, რომელ-
საც ამოძრავებს სურვილი, ხორცი შეასხას ნატოს ორმაგ გადაწ-
ყვეტილებას; თავის დროზე მე ამ მიზნისთვის ჩემი პოლიტიკური
არსებობაც კი შევაგდე სასწორზე. გერმანიაშიც იციან, რას ნიშ-
ნავს უსაფრთხოება-მეთქი. მე ვფიქრობ, ამ საუბარმა, რომელიც
სახელმწიფო დეპარტამენტის ტერასაზე შედგა, გარკვეული ზეგავ-
ლენა მოახდინა ამერიკელ კოლეგებზე.

ფაქტობრივად კი შტოლტენბერგის და ჩემი ვიზიტი, როგორც
ვივარაუდე, უშედეგო აღმოჩნდა. იმას, რომ ამერიკის თავდაცვის
მინისტრმა ჩენიმ თავისი მოხსენების გამო შუა საუბარში მიგვატო-
ვა და ეს ადრიდანვე გამოაცხადა, უსიამოვნოდ ვიხსენებ.

ახლა შეიძლება მაინც ითქვას, რომ თუმცა იმ ვიზიტმა
ძალზე უსიამოვნოდ ჩაიარა, იგი წარმოადგენდა შეუცვლელ რგოლს
ჩვენი შეხვედრების ჯაჭვისა, რომელსაც ბოლოს და ბოლოს ნატოს
ბრიუსელის სამიტზე ერთიანობამდე უნდა მივეყვანეთ. მაშინ კი მე
იმ შეხვედრას შეცდომად ვთვლიდი, და კვლავაც შეცდომად ჩავთვ-
ლი, თუკი ოდესმე მსგავს სიტუაციაში აღმოვჩნდები.

ვითარების პარადოქსულობა 1989 წლის აპრილში იმაში
მდგომარეობდა, რომ სამხედრო შეიარაღების თითქმის ყველა დარ-
გი ამასობაში განიარაღების თაობაზე მოლაპარაკებათა საგნად იქცა:

ინტერკონტინენტური სტრატეგიული იარაღი, ქიმიური იარაღი, ჩვეულებრივი იარაღი და საშუალო სიშორის რაკეტები — მოკლედ, ყველაფერი, გარდა მოკლე რადიუსის რაკეტებისა. მაგრამ ჩვენ, ე. ი. ფედერაციულ რესპუბლიკას, სწორედ საბჭოთა მოკლე რადიუსის რაკეტები გვემუქრებოდა! უფრო გარკვევით: სხვა პარტნიორები სრულიადაც არ იმყოფებოდნენ ამ რაკეტების მოქმედების არეალში, მაშასადამე, ეს რაკეტები სრულიადაც არ ემუქრებოდა მათ.

ფედერალურმა პრეზიდენტმა ფონ ვაიცზეკერმა, რომელსაც მე საგარეო და უშიშროების საკითხებში ჩემი შეხედულებებისა და განზრახვების შესახებ მუდამ საქმის კურსში ვაყენებდი, თავისი დამოკიდებულება გამოხატა მოკლე რადიუსის რაკეტების პრობლემისადმი 1989 წლის აპრილში დანიაში ოფიციალური ვიზიტის დროს. ეს იყო ვიზიტი კარგ მეგობრებთან გადამწყვეტ მომენტში, რადგან ჩვენ იქ შევხვდით მთავრობას, რომელიც, როგორც ჩვენ და საერთოდ ევროპის კონტინენტის ქვეყნების უმრავლესობა, ლანსის ტიპის რაკეტების მოდერნიზებას განსაკუთრებით სკეპტიკურად ეკიდებოდა. ფედერალურ პრეზიდენტს ამ საკითხზე ჯერ კიდევ თვითმფრინავში ვესაუბრე. ბოლოს კოპენჰაგენში მან საჯაროდ განაცხადა: „მიხარია, რომ დანიის მთავრობის პასუხისმგებელ პირებთან საუბრების დროსაც შემიძლია იმის თქმა, რომ იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც ბრიუსელში ნატოს უახლოეს სამიტზე და ამას გარდა ატლანტიკურ ალიანსში უნდა გადაწყდეს, ჩვენ ერთსულოვანნი ვართ. გერმანიის პოზიცია ეთანხმება იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც თვითონ ნატომ მიიღო 1987 წელს რეიკიავიკში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე და რომლებიც 1988 წელს მთავრობათა ხელმძღვანელებმა დაამტკიცეს. ზღაპარი გერმანელების იზოლირების შესახებ მათი განსხვავებული პოზიციის გამო, შესაძლებელია სრულიად გაბათილდეს საფუძვლიანი არგუმენტებით. სხვათა შორის, კარგია, რომ ამ შეხედულების შესახებ, რომელიც ძირითადად კონტინენტზე, ე. ი. ნატოს წევრ კონტინენტურ ქვეყნებში არის ფეხმოკიდებული, თავიანთ აზრს თვით ეს ქვეყნები გამოხატავენ და არა მათი არასრულუფლებიანი წარმომადგენლები. ჩვენ ამ საკითხებში თანხმობას მივაღწიეთ, რაც მე მაკმაყოფილებს. სხვათა შორის, შევიტყვე, რომ დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნათლად გამოხატა აზრი ამის შესახებ“.

პრესკონფერენციაზე, როდესაც ამასთან დაკავშირებით შეკითხვა მისცეს, ფონ ვაიცზეკერმა გარკვევით უპასუხა: „მე ვილაპარაკე არა მოდერნიზაციის, არამედ საერთოდ გერმანიაში არსებული ვითარების შესახებ მომავალი უმაღლესი დონის შეხვედრის წინ. ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა, რადგან იქ განიხილება არამარტო მოდერნიზაციის საკითხი, არამედ აგრეთვე საერთო გეგმა, მაშასადამე ის, თუ როგორ დარჩეს ნატო შემდგომშიც საკუთარი პრინციპის ერთგული, და ისიც, რომ ნატოს უშიშროების პოლიტიკა ორი განუყოფელი ნაწილისაგან შედგება: თავდაცვისა და დაძაბულობის შენელებისაგან. მე მხოლოდ ის განვაცხადე, რომ აქა-იქ გავრცელებულა აზრი, თითქოს გერმანული პოზიცია იზოლაციის პოზიცია იყოს. ამაზე არც შეიძლება ლაპარაკი. ეს არის პოზიცია, რომელიც ისეთივე თანხმობაშია თვით ნატოს გადაწყვეტილებებთან, როგორც იმ შეხედულებასთან, რომელსაც ჩვენი კონტინენტური პარტნიორები იზიარებენ, მათ შორის არის ჩვენი მასპინძელი ქვეყანაც, სადაც მე ამჟამად ვიმყოფები“.

გერმანულ პრესაში ამ განცხადებამ ცხოველი გამოხმაურება პოვა: „ვაიცზეკერის გაბედულება“ — ასეთი სათაური გამოჩნდა ერთ გაზეთში, „აქვს მას ამის უფლება?“ ამ სათაურით დაბეჭდა მასალა მეორე გაზეთმა, მესამემ სტატიას „კოზირით თამაში“ უწოდა, ხოლო მეოთხემ დაასკვნა: „მასიური, უჩვეულოდ მკაფიო“. „აქვს მას ამის უფლება?“ — ეს იყო მთავარი კითხვა. რიხარდ ფონ ვაიცზეკერმა კოპენჰაგენში გაკეთებული იმ განცხადებით თავისი საერთაშორისო ავტორიტეტი ჩვენი განიარაღების პოლიტიკის გამო სასწორზე შეაგდო, ისე, რომ არ გადაუჭარბებია თავისი სამსახურეობრივი უფლებებისთვის, და თვით ისინიც, ვინც მას მაშინ ამას აბრალებდა, შემდეგ მიხვდნენ, რა სწორი ყოფილა მისეული შეფასება. ფედერალურმა პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ წარმოთქვა შესაფერი სიტყვა შესაფერ დროს და შესაფერ ადგილას.

მე ვიხილე პრეზიდენტი, რომელიც აქტიურად მოქმედებდა, ვინაიდან იგი თავს მოვალედ და პასუხისმგებლად თვლიდა, მხარში ამოდგომოდა მათ, რომელთაც მოდერნიზების საკითხის გამო არ სურდათ ყოველივე ის შეეგდოთ სასწორზე, რაც გერმანული სახელშეკრულებო პოლიტიკისა და დასავლური დაძაბულობის შენელების პოლიტიკის წყალობით იქნა მიღწეული ათწლეულების განმავლობა-

ში — მით უმეტეს იმ დროს, როცა ევროპის გაერთიანების შანსი ასე რეალური იყო. რიხარდ ფონ ვაიცზეკერის სიგნალი კოპენჰაგენში მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებული დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და გერმანული ერთიანობის მიღწევის გზაზე.

ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე

თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მიერ წარმოდგენილ პოზიციებზე კოალიციური შეთანხმების მიღწევის შემდეგ ფედერალურმა კანცლერმა 1989 წლის 27 აპრილს სამთავრობო განცხადება გააკეთა, რამაც სამთავრობო კოალიცია კვლავ გააერთიანა. ამით ფედერალურმა მთავრობამ კვლავ მხარი დაუჭირა დაშინების სტრატეგიას — ანუ დაშინების მეოხებით ომზე ხელის აღებინებას, რაც ქმედითი ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების სათანადოდ ურთიერთდაკავშირებას მოითხოვს; მაშასადამე, „დეატომიზაციაზე" არ შეიძლებოდა ლაპარაკი ყოფილიყო. ლანსის ტიპის სარაკეტო სისტემების შემდგომი განვითარება ნაციონალურ ამერიკულ პროგრამად იქნა მიჩნეული. აქ გადამწყვეტი და, გარდა ამისა, ჩემი თვალსაზრისის საკვანძო დამადასტურებელი, შემდეგი წინადადება იყო: „1992 წელს პოლიტიკური განვითარებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფონზე, განსაკუთრებით კი განიარაღებასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკების შედეგის გათვალისწინებით, ალიანსი გადაწყვეტს, საჭირო იქნება თუ არა 1996 წლისათვის ლანსის მოდერნიზებული სისტემის შემოღება ალიანსში და შესაბამისად მისი წარმოება და განლაგება".

ამით „ბრძოლა" „სამშობლოს ფრონტზე" ჯერჯერობით მოგებულ იქნა, მაგრამ ჯერ კიდევ წინ იყო შეხლა-შემოხლა ალიანსში. ამიტომ მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ამ საკითხში გერმანული პოზიცია არ უნდა შესუსტებულიყო. 1989 წლის 27 აპრილს გერმანიის ბუნდესტაგის წინაშე გამოსვლისას სრული პასუხისმგებლობის გრძნობით განვაცხადე: „ფედერალური მთავრობის წევრები ფიცს დებენ, რომ თავიანთ ძალებს გერმანელი ხალხის კეთილდღეობას მოახმარენ. ამ ფიცთან დაკავშირებული მოვალეობა არ თავდება

გერმანიის შუაგულში გავლებულ საზღვართან. ამით გაპირობებული ეროვნული მოვალეობა კი არ გამორიცხავს ჩემ სამშობლოს, ქალაქს, სადაც მე დავიბადე, და ადამიანებს, გდრ-ში რომ ცხოვრობენ, არამედ პირიქით, ეს პასუხისმგებლობა ამ ადამიანებსაც გულისხმობს. თუ როგორ სერიოზულად ვფიქრობთ ჩვენ გერმანელ ერზე, ეს ვლინდება არა საზეიმო გამოსვლებში, არამედ ყოველდღიურ გარჯაში ევროპის კონტინენტზე მშვიდობის, სტაბილურობისა და ადამიანთა უფლებების განსამტკიცებლად, ვლინდება თანამშრომლობისა და განიარაღებისთვის მოღვაწეობაში. ჩვენი ძირითადი კანონის სამშვიდობო მოწოდება ყველა ევროპელი ხალხისადმი არის მიმართული".

ამ განცხადებით მე მოკლე რადიუსის რაკეტების მოდერნიზების უარყოფა ეროვნული ინტერესის საგნად ვაქციე: ჩემი მიზანი იყო ვაშინგტონელი და ლონდონელი მეგობრები არა მხოლოდ ჩემი არგუმენტების სისწორეში დამერწმუნებინა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმაში, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი იმჟამად არავითარ შემთხვევაში არ დათანხმებოდა მოდერნიზების საკითხის დადებითად გადაწყვეტას. როგორც ორმაგი ნულოვანი ვარიანტის, ისე ამ საკითხშიც მხარს მიჭერდა გერმანიის ბუნდესტაგის წევრთა უმრავლესობა.

ზემოაღნიშნულ გამოსვლაში ვილაპარაკე იმ მნიშვნელოვან წვლილზე, რომელიც 1974 წლიდან შეიტანა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ საერთო დასავლური უშიშროების განმტკიცებაში. ომის თავიდან აცილების დიდი მიზანი ალიანსში ჩვენი საერთო სტრატეგიის საფუძვლად უნდა დარჩეს-მეთქი. მაგრამ ასევე არაორაზროვნად გავამახვილე ყურადღება შემდეგზე: „ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ბირთვული იარაღის მნიშვნელობა ომებით დასაშინებლად მით უფრო მცირეა, რაც უფრო მოკლეა მისი მოქმედების არე". აქედან გამომდინარე, ბირთვული იარაღი უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ომის თავიდან აცილების პოლიტიკურ მიზანს: „ნებისმიერი სხვა გაგება მიგვიყვანდა ომის წარმოების იმ სცენარამდე, რომელიც მთელი ევროპის აღსასრულის მომასწავებელი იქნებოდა. ჩვენ არც ეგრეთ წოდებული შეზღუდული ბირთვული ომი გვსურს. არც ამ თვალსაზრისით არ უნდა არსებობდეს განსხვავებული უსაფრთხოების ზონები ალიანსსა თუ ევროპაში".

ფედერაციული რესპუბლიკა, — განვაგრძე მე, — დასავლური ალიანსის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად იქცა: „ამას ეფუძნება ჩვენი მოთხოვნა, ვთქვათ წონადი სიტყვა მაშინაც კი, როცა საქმე ეხება ალიანსის გადაწყვეტილებებს თავდაცვის, შეიარაღების კონტროლისა და განიარაღების სფეროში". შემდეგ დავძინე, დისკუსია მოკლე რადიუსის რაკეტების შესახებ პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა ჩატარდეს-მეთქი: „თავისუფალ დემოკრატიათა ჩვენს ალიანსს შეუძლია ურთიერთპატივისცემის ვითარებაში ყველა საკითხზე მიაღწიოს შეთანხმებას. სისუსტე არ არის ის, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები ცდილობენ დისკუსიის მეშვეობით მიაგნონ საერთო გზას. ჩვენ, და ამას ფედერალურმა კანცლერმა აქ ხაზი გაუსვა, არ გვჭირდება დამატებითი მტკიცებულებები ჩვენი მზადყოფნის დასტურად, რათა გავაკეთოთ ყოველივე აუცილებელი, რაც კოლექტიური უსაფრთხოებისთვის არის საჭირო. ჩვენ საამისოდ 1979 და 1983 წლებში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მივიღეთ".

სწორედ ჩვენთვის, რაკი აღმოსავლეთისა და დასავლეთის შესაყართან ვდგავართ, არ იყო-მეთქი ადვილი ახალი ბირთვული მოკლე რადიუსის რაკეტების განლაგებისათვის ხელის შემშლელი გადაწყვეტილების მიღება: „არსად არა აქვს აღმოსავლეთს ისეთი დიდი უპირატესობა, როგორიც მოკლე რადიუსის რაკეტების სფეროში. ამიტომ დასავლეთის ელემენტარული უშიშროების ინტერესში შედის ამ უპირატესობის მოსპობა".

ამერიკელი მეგობრები კი, რომლებსაც ჩვენ ამდენ რამეს ვუმადლით, რომელთა საჰაერო ხიდი, ბერლინის გადასარჩენად გადებული 1948-49 წლებში, დაუვიწყარია, ხოლო მათი წვლილი ევროპული უშიშროების განმტკიცების საქმეში განუზომელი, შეეცადე დამემშვიდებინა: „ამერიკელებს არ უნდა ადარდებდეთ ჩვენი ახალი დაფიქრებულობა, მათ უნდა აშინებდეთ მხოლოდ ჩვენი ახალი დაუფიქრებლობა. ახალი ატომური იარღების საკითხის გადაწყვეტისას ეჭვი და დაფიქრება პასუხისმგებლობის გამომხატველია. ეს ყველაფერია, გარდა სისუსტის გამოხატულებისა, და ამგვარი მიდგომა არ უნდა გახდეს კრიტიკის საგანი, როგორც სისუსტის გამოხატულება. ასეი პოზიცია პატივს სდებს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს და პატივს დასდებს ყველას, ვინც მოწოდებულია პოლიტიკური პასუხისმგებლობისათვის".

„გერმანულ პოლიტიკას სრულიად სხვა მიზნები ჰქონდა ამ საუკუნეში, ვიდრე მცდელობა იმისა, რომ კარგი მეზობლობა ჰქონოდა ყველა ევროპელთან“, — ასე დავასრულე სიტყვა დეპუტატებთან. „ევროპას დღეს ორი გამანადგურებელი მსოფლიო ომისა და დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ათწლეულების განმავლობაში არსებული კონფრონტაციის შემდეგ აქვს ისტორიული შანსი დაამყაროს ხანგრძლივი, საერთევროპული სამშვიდობო წესრიგი. ამასთან, ჩვენ, გერმანელებს განსაკუთრებული მისია გვაკისრია. 1945 წელს ფრანგი დიპლომატი და მწერალი პოლ კლოდელი წერდა: „გერმანია იმისთვის როდი არსებობს, რომ ხალხები დაა-შორიშოროს ერთმანეთს, არამედ იმისათვის, რომ სხვადასხვა ერებს, მას რომ ერტყმიან გარშემო, აგრძნობინოს — მათ უერთმანეთოდ ცხოვრება არ შეუძლიათ“. ისიც შევახსენე მათ, რომ ეს ახალი რაკეტები მარტო გდრ-ში მცხოვრები გერმანელებისკენ კი არ იქნებოდა მიმართული, არამედ აგრეთვე პოლონელებისა და ჩეხოსლოვაკელებისკენაც, რომლებიც ერთ დროს გერმანული აგრესიის პირველი მსხვერპლნი გახდნენ.

ჩვენი სამშვიდობო პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, მსურდა აგრეთვე სამართლიანი ვყოფილიყავი მოდერნიზაციის საკითხთან დაკავშირებითაც. კიდევ ერთხელ ვამბობ: ჩვენ 1989 წლის გაზაფხულზე არ შეგვეძლო, საიმედო პერსპექტივა ისე დაგვემსხვრია, რომ უარი არ გვეთქვა შეიარაღებაზე კონტროლის პოლიტიკურ შესაძლებლობებზე! ვინ იტყოდა იმ დროს წინასწარ დაბეჯითებით, როგორი იქნებოდა 90-იანი წლების დამდეგსა და შუახანებში პოლიტიკური მდგომარეობა და ვითარება უშიშროების მხრივ, ასე რომ, გაუგებარი იყო, რატომ უნდა მიგვეცა ხმა ახალი სისტემისათვის 1989 წელს, როდესაც თავისუფლად შეგვეძლო ეს 1992 წელს გაგვეკეთებინა, ის კი არა და, 1996 წელსაც უპრობლემოდ შევძლებდით ამას. 1989 წლის 27 აპრილის დებატებს დიდი შინაგანი მღელვარებით ვადევნებდი თვალ-ყურს: ევროპის გულისცემა თითქოსდა პლენარულ დარბაზში შემოიჭრა, კონტინენტის აღმოსავლეთში თითქოს მიწა იძრა.

1989 წლის 27 აპრილს, გარდა ზემოთქმულისა, ერთმა პირადულმა გარემოებამაც შესძინა განსაკუთრებული ელფერი. იმ დღეს ჩემი ქალიშვილი გათხოვდა. ბუნდესტაგში, როგორც იტყვიან, ბოლო წუთში დაინიშნა საერთაშორისოპოლიტიკური დებატები. რასაკვირვე-

ლია, მე, ფედერალური მთავრობის წევრს, განაწესის თანახმად, შემეძლო ყოველ წუთს მომეთხოვა სიტყვა, მაგრამ, როგორც წესი, რიგს ვიცავდი ხოლმე: ფედერალური კანცლერის სამთავრობო მოხსენების შემდეგ სიტყვა ჯერ ფრაქციებს ეძლეოდა. მაშასადამე, მე მწვანეების შემდეგ უნდა მელაპარაკა და ჯვრისწერაზე დავაგვიანებდი. ამიტომ დელეგატ ანტიე ფოლმერს ვთხოვე, ანგარიში გაეწია ჩემთვის — მან რიგი დამითმო. გამოსვლა რომ დავამთავრე, წესისამებრ ფრაქციებს ვაცნობე, რომ სხდომას ვტოვებდი და დარბაზიდან გავედი.

ჯვრისწერამდე ორი წუთით ადრე მმაჩის ბიუროში მივედი. ჩემი ოჯახის წევრები, რომლებმაც იცოდნენ, რომ დათქმულ დროს არ გადავაცილებდი, მშვიდად იცდიდნენ, ხოლო სიძის მშობლები, რომლებიც ჯერ კიდევ ხეირიანად არ მიცნობდნენ და ჩემი სამსახურის თავისებურებების შესახებ არაფერი იცოდნენ, მღელვარების ნიშნებს ამჟღავნებდნენ.

მეორე დღეს ბუნდესტაგში განვმარტე, რომ შეიარაღებაზე კონტროლი ეხება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობის მხოლოდ ერთ ნაწილს. ურთიერთობათა კომპლექსური ქსელი გაცილებით უფრო მეტს მოიცავს-მეთქი, ვიდრე მხოლოდ განიარაღებას! ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, — განვაგრძე მე, — ნდობის განმტკიცება, რომელიც არამარტო ვერიფიკაციისკენაა მიმართული, არამედ საერთო ინტერესებს, ამოცანებს და მიზნებს მოიცავს, ისე რომ, ვერავინ გამოეთიშება ერთობას უხიფათოდ და ზარალის გარეშე. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ დასავლურ-აღმოსავლური ურთიერთობის პროცესი ასე წარიმართა: საბჭოთა კავშირმა თავის თავზე აიღო მოლაპარაკებათა მიზნები, რომლებიც დასავლეთმა ჩამოაყალიბა: თანაბარი ზედა ზღვრები უფრო დაბალ დონეზე, მეტი უშიშროება უფრო მცირე სამხედრო დანახარჯებით, უპირატესობის, თავდასხმის, მოულოდნელობისა და სხვა ქვეყანაში შეჭრის შესაძლებლობათა აღმოფხვრა!

დებატების შემდეგ მივიღე ჩემი კარგი ნაცნობი, ახალი ამერიკელი ელჩი უოლტერსი. წინა დღის მოვლენებისა და ამ პარასკევის დისკუსიის შემდეგ კარგ გუნებაზე ვიყავი, რისი გაფუჭებაც ვერც

მან შეძლო — მას სურდა თავისი ეს პირველი ვიზიტი იმისთვის გამოეყენებინა, რომ აზრი შეეცვლევინებინა ჩემთვის მოდერნიზების საკითხში. რადგან მას ვაფასებდი, გული დამწყდა, რომ ამ პუნქტში შეთანხმება ვერ შევძელით. იგი გამოდიოდა ბლოკთა შორის არსებული მუდმივი წინააღმდეგობიდან, რის გამოც, მისი აზრით, აუცილებელი იყო რაკეტების მოდერნიზების საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტა, მაშინ როცა მე წლის ბოლომდე ახალ სახალხო აჯანყებას მოველოდი გდრ-ში. იშვიათად თუ გამოავლენს ისტორია ასე სწრაფად მტყუან-მართალს.

30 აპრილს ფედერალური კანცლერი შეხვდა ინგლისის პრემიერ-მინისტრს პფალცში. მარგარეტ ტეტჩერი, ხაზს უსვამდა რა, რომ ბირთვული მოკლე დისტანციის რაკეტები „აბსოლუტურად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია" ნატოს მოქმედი სტრატეგიისთვისო, ამტკიცებდა, ამ იარაღზე უარის თქმა ალიანსისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნებაო. მან გადაჭრით უარყო ყველა წინადადება, მოკლე რადიუსის იარაღის ლიკვიდაციას რომ ითვალისწინებდა. ეს, მისი აზრით, მიუღებელი იყო როგორც სამხედრო, ასევე საზოგადოებრივი თვალსაზრისით.

ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური ფრაქციის თავმჯდომარემ ალფრედ დრეგერმა მიმდინარე დებატებში ჩემს პოზიციას დაუჭირა მხარი: „ქალბატონი ტეტჩერი და მისი სახელმწიფო ბედნიერია, რადგან ატომური იარაღი, რომლის მოქმედების არეალი 500 კილომეტრამდეა, მათ ვერ მისწვდება". ერთ-ერთ ინტერვიუში მან სასურველად მიიჩნია, რომ მოკლე რადიუსის რაკეტები „ორივე მხარეს თანაბარ მინიმალურ დონემდე დაეყვანა, რომელიც ნატოს ახლანდელ დონეზე დაბალი იქნებოდა". გასაკვირია, რომ გერმანულ პოზიციას სისუსტის, „გორბიმანიის" და საარჩევნო ინტერესებზე დამოკიდებულების ნიშნად აღიქვამენ, — თქვა მან და განაგრძო: ასევე შემაშფოთებელია დასავლელი მოკავშირეების ერთი ნაწილის არასაკმარისი მზადყოფნა, გაითვალისწინოს იმ ხალხის სტრატეგიული მდგომარეობა, „რომელიც ევროპაში ერთადერთ გახლეჩილ ხალხს წარმოადგენს და რომლის შუაგულშიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამხედრო საზღვარი გადის". და სწორედ იმიტომ, რომ წარსულში ალფრედ დრეგერთან პოლემიკა მქონდა

ზოგიერთ საგარეოპოლიტიკურ საკითხზე, მის ამ თანადგომას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ.

ლანსის რაკეტებზე დებატების პოლიტიკური ფონი

1989 წლის მაისის ნატოს სამიტამდე რამდენიმე კვირით ადრე აშშ და დიდი ბრიტანეთი კვლავაც მოითხოვდნენ ლანსის რაკეტების სასწრაფო მოდერნიზებას. იმავდროულად უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ წევრი სახელმწიფოების დიდი უმრავლესობა მხარს უჭერდა ჩვენს მოთხოვნას, დაუყოვნებლივ დაწყებულიყო მოლაპარაკებები საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის თაობაზე. გამოჩნდნენ მოდერნიზების საკითხის ნაადრევად და უდროო დროს გადაწყვეტის მოწინააღმდეგენი.

12 მაისს ამერიკელი საგარეო საქმეთა მინისტრი ჯიმ ბეიკერი ბრიუსელში ჩავიდა ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, რათა მოკავშირეებისათვის ინფორმაცია მიეწოდებინა თავისი ვიზიტის შესახებ მოსკოვში, სადაც განხილული იქნა აგრეთვე მოკლე რადიუსის რაკეტების თემატიკა. შემდეგ ჩვენ ესაუბრობდით პირისპირ ნატოს შტაბბინის პირველ სართულზე მოთავსებულ ერთ-ერთ საკონფერენციო დარბაზში, იმ მაგიდის კუთხეში მსხდარნი, რომელსაც ჩვეულებრივ ორმოცი კაცი უზის ხოლმე. დაბეჯითებით ჩამოვაყალიბე ბეიკერის წინაშე ჩემი შეხედულება.

მე ვგრძნობდი, რომ ჩემმა არგუმენტებმა მასზე შთაბეჭდილება მოახდინა: გადაწყვეტილების მიღება მოდერნიზების შესახებ ახლა საჭირო არ არის, — არ ვეშვებოდი მე, — ამიტომ ალიანსმა უარყოფითად კი არ უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი, არამედ საერთოდ არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ჩვენ საკუთარ თავს უნდა შევეკითხოთ: ვინ არის პოტენციური აგრესორი? ცხადია, არა გდრ, პოლონეთი ან ჩსსრ, რომლებიც ამ რაკეტების მოქმედების არეში მდებარეობენ. თუ საერთოდ არსებობს ასეთი პოტენციური თავდამსხმელი, მაშინ ის საბჭოთა კავშირი უნდა იყოს, თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს არცთუ მთლად სწორია. მაგრამ საბჭოთა კავშირს, რომელიც შეიძლება აგრესორად ჩაითვალოს, მოკლე რადიუსის რაკეტებით ვერ მისწვდები; იმ ადგილზე კი, საიდანაც

შეიძლება საბჭოთა კავშირის ტერიტორიას მისწვდე, სახელდობრ თურქეთში, ამ სისტემების განლაგება არ შეიძლება. არა — ყოველივე ამას არავითარი აზრი არა აქვს-მეთქი.

ბეიკერზე, ეტყობა, ჩემმა მსჯელობამ შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ იგი მაინც შემეპასუხა: „ალიანსიდან, უპირველეს ყოვლისა, ინგლისელების მხრიდან ხდება ძლიერი ზეწოლა მოდერნიზების სასარგებლოდ". მე მას საქმიანად, მაგრამ პირდაპირ ვუპასუხე: „ნატო სააქციო საზოგადოებას ჰგავს. საერთო კრებაზე გადამწყვეტია საკონტროლო პაკეტები. მსურს შეგახსენოთ, რომ ინგლისი მხოლოდ ცოტათი უფრო მეტ მძიმე ტანკს ფლობს, ვიდრე ჰოლანდია. გერმანია კი უამრავ მძიმე ტანკს აწარმოებს. თუ გნებავთ, წარმოვაჩენ, რა წვლილი შეაქვს გერმანიას ნატოში სხვა ქვეყნებთან შედარებით. ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ შესაძლებლობის შენარჩუნებას".

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ჩვენ შეგვიძლია დრო უფრო გონივრულად გამოვიყენოთ დაძაბულობის შენელების თვალსაზრისით, — განვმარტე მე, — შემდეგ კი — ეს დაგვიანებული არ იქნება — ჩვენი უშიშროებისთვის საჭირო ზომები მივიღოთ — თუ მანამდე სიტუაცია ისედაც არ შეიცვალა. თუნდაც საბჭოთა კავშირში მოლოდინის საწინააღმდეგოდ მოვლენები არასასურველი მიმართულებით განვითარდეს, ჩვენ მაინც გვექნება შესაძლებლობა, ლანსის მოდერნიზება შევძლოთ-მეთქი. ამიტომ არ ვითხოვდი მე მოდერნიზებაზე უარის თქმას, ოღონდ გადაწყვეტილების მისაღებად შესაფერისი მომენტის დადგომას ველოდი.

მე ის მაფიქრებს, რომ დღეისათვის ესოდენ არააუცილებელი და სამხედრო თვალსაზრისით ძალზე საეჭვო მოდერნიზება პოლიტიკური აზროვნების უკვე მომწიფებულ მოდერნიზებას შეაფერხებს და პერსპექტიულ პროცესს საფრთხეს შეუქმნის-მეთქი, ვთქვი და განვაგრძე: ეს მოდერნიზება არსებითად აღმოსავლეთში იმ ძალებს გააძლიერებს, რომლებიც განვითარებას უპირისპირდებიან. აღმოსავლეთ ბერლინშიც ამბობენ: „როცა სხვები თავიანთი სახლის გადაკეთებას იწყებენ, ჩვენ ახალი შპალერიც აღარ გავაკრათ?!"

დამოუკიდებლობისადმი და დემოკრატიისადმი მისწრაფებამ ევროპაში უკვე ისეთი განვითარება პოვა, რომ მას, თუკი ჩვენ დასავლეთში სწორად მოვიქცეოდით, ველარაფერი შეაჩერებდა. ვერ-

ავინ იტყოდა, რას გააკეთებდა გდრ-ის ხელმძღვანელობა და ეროვნული სახალხო არმია, თუ იქ მასობრივი დემონსტრაციები მოეწყობოდა: მოუხმობდნენ საბჭოთა შეიარაღებულ ნაწილებს? გამოიყენდა გდრ-ის ხელმძღვანელობა ეროვნულ სახალხო არმიას, და თუ გამოიყენდა, რას მოიმოქმედებდა მაშინ საბჭოთა კავშირი? თუ ამგვარი ძალადობრივი ესკალაციების თავიდან აცილება გვსურდა, მაშინ ახლა მდგომარეობა არ უნდა გაგვემწვავებინა.

ობიექტურად რომ ვთქვათ, აღმოსავლეთ-დასავლეთის თანამშრომლობის და შეიარაღებისა და განიარაღებაზე კონტროლის მულტილატერალური პოლიტიკის საკითხებში გდრ შესაძლებლობების ფარგლებში პასუხისმგებლობის გრძნობით იქცეოდა. იგი ამ წლებში არ მიეკუთვნებოდა, ან აღარ მიეკუთვნებოდა ვითარების გამამწვავებელთა რიცხვს. თუმცა მისი პოლიტიკა კედლისა და ეკლიანი მავთულხლართების არსებობის და საკუთარი მოსახლეობის მიმართ რეპრესიების გამო დასაგმობი იყო, მაგრამ, რაც უფრო მეტად აბამდნენ მას საპასუხისმგებლო დასავლურ-აღმოსავლურ პოლიტიკაში, მით უფრო ნაკლები საშიშროება იყო იმისა, რომ იგი გორბაჩოვისეული საგარეო პოლიტიკისათვის ხელის შემშლელ ფაქტორად ქცეულიყო, თუკი იქაურ მკვეთრი პოლიტიკური კურსის მომხრეთ საგარეოპოლიტიკური ან უშიშროების პოლიტიკის სფეროში მიმდინარე მოვლენები ვითარების გამწვავების საბაბს არ მისცემდა.

ცვლილებები, რომლებიც სულ უფრო და უფრო მკაფიოდ შეინიშნებოდა საბჭოთა კავშირის სახელისუფლებო სტრუქტურებში, პასუხისმგებლობის სრული შეგნებით მხოლოდ ნდობის ატმოსფეროში და დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის დაძაბულობის შენელების ვითარებაში შეიძლებოდა განხორციელებულიყო. ამიტომ ვანიჭებდი დიდ მნიშვნელობას 1989 წლის ზაფხულის დამდეგს გორბაჩოვის ჩამოსვლასთან დაკავშირებულ მზადებას და, როგორც ჩანდა, საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძეც ასევე უყურებდა ამ საკითხს. უკვე ამის გამო მოდერნიზების მოთხოვნა შეცდომა იყო: განვითარებას სოციალისტურ სახელმწიფოებში თავისი იმპულსები და დინამიკა იქაური ადამიანებისგან უნდა მიეღო. დასავლეთის მოვალეობა კი ის იყო, რომ ეზრუნა სტაბილური ჩარჩოპირობების შესაქმნელად, რადგან დაძაბულობანი და კონფრონტაცია მხოლოდ გააძლიერებდა რეპრესიებს.

ბეიკერთან საუბრის შემდეგ მაშინვე ბონში დავბრუნდი, რათა საგარეო საქმეთა მინისტრ შევარდნაძეს დავხვედროდი. ჩვენ ერთად გავემგზავრეთ ჯერ ფედერალურ კანცლერთან, შემდეგ კი ჩემს ბინაზე, სადაც ვახშამი მივირთვით. მეორე დილით, 13 მაისს, დელეგაციები ვენუსბერგზე შეხვდნენ ერთმანეთს პირველი მოლაპარაკებების ჩასატარებლად.

როგორც ყოველთვის, ყველა მონაწილე ერთ მოზრდილ სადისკუსიო ჯგუფად გაერთიანდა და დიდი სალონის მოხერხებულ სავარძლებში მოეწყო. შევარდნაძემ მკითხა, ჯერ ერთმანეთს მცირე ხნით პირისპირ ხომ არ გავსაუბრებოდითო. მე დავეთანხმე და იგი გვერდითა დარბაზში, „ბიბლიოთეკაში", ვილი ბრანდტის ყოფილ პირად სამუშაო ოთახში შევიყვანე, რომელშიც ბრანდტი ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრის, შემდეგ კი ფედერალური კანცლერის რანგში მუშაობდა. ის-ის იყო მაგიდას მივუსხედით, რომ შევარდნაძე პირდაპირ პრობლემის არსებით მხარეს შეეხო: „თქვენ მე ნიუიორკში მესაუბრეთ მოვლენების შესაძლო განვითარების შესახებ გდრ-ში. მე მაშინ გითხარით, რომ ჩვენ მოვლენებს სხვაგვარად ვუყურებდით, ვიდრე თქვენ. ამასობაში ჩვენ გდრ-ის მდგომარეობის ახლებური შეფასება მოვახდინეთ და ვცდილობთ, მას დახმარება გავუწიოთ". ამ განცხადებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა ცხადი შეიქნა, როგორ კონტექსტში ტარდებოდა მოლაპარაკებები გერმანულ-საბჭოთა კომუნიკეს მისაღებად: საბჭოთა მთავრობა მიხვდა, რომ გდრ-ში მოვლენები დრამატულად ვითარდებოდა.

შემდგომ თათბირებზე საბჭოთა მინისტრი თანდათან უყურადღებოდ ტოვებდა თავის თანამშრომელთა შეშფოთებას და სულ უფრო მეტად ეთანხმებოდა ჩვენს ფორმულირებებს. ამგვარად, ბოლოს შესაძლებელი გახდა შთამბეჭდავი გერმანულ-საბჭოთა დეკლარაცია მიგვეღო, რომელიც ივნისში ბონში გორბაჩოვის ვიზიტთან დაკავშირებით გამოქვეყნდა. მან უკვე წარმოაჩინა მოსკოვის ახლებური შინაგანი განწყობა ევროპის ახალი წესრიგისადმი და ნათელი გახადა, რომ საბჭოთა კავშირი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ევროპაში თავის უმნიშვნელოვანეს პარტნიორად თელიდა.

თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალური ყრილობის ფორუმზე კიოლნში, ნატოს უმაღლესი დონის შეხვედრის წინ რომ ჩატარდა, ვისარგებლე შემთხვევით, რათა გადამწყვეტი

თავყრილობის წინ ჩემი ნეგატიური აზრი ლანსის მოდერნიზების მიმართ კიდევ ერთხელ საჯაროდ გამომეხატა. მე დავასაბუთე მოთხოვნა ბუნდესვერის მიმართ, გერმანულ-პოლონური ერთიერთობისა და, უპირველეს ყოვლისა, განიარაღებასთან დაკავშირებული მორიგი მოლაპარაკებების მიმართ, შეევეცადე, საგარეო და უშიშროების პოლიტიკისადმი ჩვენს მოთხოვნებთან ერთად ბუნდესვერის მიმართაც მტკიცე პოზიცია დამეკავებინა. განიარაღებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების სწორედ ამ ფაზაში, რომელშიც თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ მთელი თავისი პოლიტიკური ავტორიტეტის გამოყენებით მხარი დაუჭირა მოკლე რადიუსის რაკეტათა რაოდენობის შემცირებას, წინ აღუდგა „ბრანდმაუერს" და მოდერნიზების საკითხის ნაადრევ გადაწყვეტას, მსურდა ჩემი მკაფიო თანადგომა დამედასტურებინა ბუნდესვერისადმი და თავდაცვისათვის ჩვენი მზადყოფნა გამომეხატა.

ამ ყრილობაზე პარტია შთამბეჭდავი ერთსულოვნებითა და სიმტკიცით იდგა თავისი საგარეო საქმეთა მინისტრის გვერდით — ეს იყო აგრეთვე სიგნალი ნატოს მომავალი სამიტისათვის. თავისუფალ დემოკრატთა პარტიამ ამ ნაბიჯით შინაც და საზღვარგარეთაც ცხადყო, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა დაბრუნებას ძველი შეიარაღების სპირალში; ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ ასეთი პოლიტიკის მხარდასაჭერად გერმანიაში უკვე აღარ არსებობდა საპარლამენტო უმრავლესობა. 1994 წელს მე გადაკვრით პარტიის ამ ყრილობაზე მივანიშნე, როცა ნორდრაინ-ვესტფალენის მხარის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის დელეგატებს სიმტკიცისა და დამარწმუნებლობის მნიშვნელობა შევახსენე: „მაშინ — 1989 წელს — ეს რიცხობრივად მცირე პარტია ძალიან დიდი პარტია იყო".

ნატოს ბრიუსელის სამიტის გადაწყვეტილება: ვაშინგტონი და ბონი საერთო ენას პოულობენ

ასე გაძლიერებული გავემგზავრე 29 მაისს ბრიუსელში ნატოს უმაღლესი დონის შეხვედრაზე. დიდ პლენარულ სხდომაზე ფედერალურმა კანცლერმა საგარეო საქმეთა მინისტრებს შესთავა-

ზა, მოდერნიზების საკითხი განეხილათ: მისი მხრივ ეს მარჯვე და სწორი ნაბიჯი იყო, რადგან იგი ამით ბოლო შესაძლებლობების გამოყენების უფლებასაც იტოვებდა. ჯერჯერობით კი ის ამ საკითხს იმ პიროვნებას ანდობდა, რომელმაც, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა, მთავრობაში ეს პოზიცია ყველაზე უფრო პრინციპულად გამოხატა, რათა შემდეგ ჩვენი თვალსაზრისი ალიანსშიც გაეტანა.

ვინც მე მიცნობდა და ვინც ნახა, როგორი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი ამ საკითხს, მან იცოდა, რომ მოკლე რადიუსის რაკეტების სფეროში ერთი ნაბიჯითაც არ დავიხევდი უკან, მით უმეტეს, რომ იმ მთავრობას, რომელიც სხვაგვარად მოიქცეოდა, აღარც ბუნდესტაგში ეყოლებოდა უმრავლესობა და აღარც ხალხში.

საჭირო გახლდათ, მოდერნიზების საკითხის გადმოვადების წინააღმდეგ ჩემი მტკიცე პოზიციის გამოვლინებით ალიანსში სათანადო განწყობის შექმნისთვის შემეწყო ხელი, რაც ბევრად უფრო ძნელი იყო, ვიდრე ახლა ჩანს. იმჟამად აღმოსავლეთ ევროპაში მოვლენათა დრამატული განვითარების როგორც ტემპი, ასევე მიმართულება ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, და თუმცა ჩემი შეუპოვრობა გულმოდგინე ანალიზს, გამოცდილებასა და შინაგან ალღოს ემყარებოდა, იმ დროისათვის მაინც ძნელი სათქმელი იყო, გამამართლებდა ბოლოს ისტორია თუ არა.

ჯერ კიდევ 1988 წლის 30 აპრილს თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ბავარიის სამხარეო ყრილობაზე ბერხტესგადენში, გავითვალისწინე რა მოსალოდნელი პოლიტიკური დაპირისპირება განიარაღების საკითხებზე, განვაცხადე: „ჩვენს საერთო მოვალეობას შეადგენს, საბჭოეთში მიმდინარე პროცესებზე დადებითი ზეგავლენა და რეაგირება მოვახდინოთ, კონსტრუქციული წინადადებები და პასუხები წარმოვადგინოთ, რათა ის მაინც გავარკვიოთ, მართლა არსებობს თუ არა აქ რაიმე შანსი ევროპისთვის. თუ ასე არ მოვიქცევით, ძნელი სათქმელია, რა მოჰყვება ყოველივე ამას.

მაინც რა სურთ მათ, ვინც ეწინააღმდეგება ჩვენ საკუთარ ინტერესებსა და საჯაროობის პოლიტიკას საბჭოთა კავშირში? რა ალტერნატივებს გვთავაზობენ ისინი, ვისაც სურთ, ამაზე ხელი აგვაღებინონ?

თავისუფალი ევროპა ბევრს დაკარგავს, თუკი იგი მოცემულ ისტორიულ მომენტში შეიარაღებისა და საპასუხო შეიარაღების კანონზომიერებებს მეტ ნდობას გამოუცხადებს, ვიდრე იმის მცდელობას, რომ მოლაპარაკებების მეშვეობით შეტევისა და მუქარისაკენ სწრაფვა ნაბიჯ-ნაბიჯ დაძლიოს საწინააღმდეგო მხარეზეც, ორსავე მხარეს ნაბიჯ-ნაბიჯ გააძლიეროს თანამშრომლობისა და ნდობის განმამტკიცებელ ქმედებათა უნარი — ერთი სიტყვით, კაცობრიობას გონიერებისაკენ უბიძგოს. საბჭოთა კავშირის ხალხები, ჩვენი პოლონელი მეზობლები, ჩვენი მეზობლები ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში თავიანთი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე ჩვენ, გერმანელებს შემოგვცქერიან, როდესაც სვამენ კითხვას, რამდენად სერიოზულია დასავლეთის განცხადებები მშვიდობის თაობაზე. ვაშინგტონიდან, პარიზიდან და ლონდონიდან გაცემული პასუხები აქ საკმარისი არ არის".

ბრიუსელში ჩასვლისთანავე შევნიშნე, რომ ნატოელ კოლეგებს შორის ატმოსფერო დაძაბული იყო; ყოველი ჩვენგანი შეთანხმებისკენ სწრაფვით დამუხტული ვითარების ზეწოლის ქვეშ ვიყავით. ამ საიუბილეო სამიტზე, თავისი არსებობის ორმოცი წლის თავზე, ნატოს სურდა ერთიანობის სულისკვეთება გამოეხატა და ბოლოს და ბოლოს დაემტკიცებინა საერთო გეგმა. მაგრამ ამის ნაცვლად საერთო ყურადღება მოდერნიზების გამო წარმოქმნილმა დაპირისპირებამ მიიპყრო, ხოლო უმნიშვნელოვანესმა და აუცილებელმა საერთო გეგმამ უკანა პლანზე გადაიწია.

ვაშინგტონში პრეზიდენტ რეიგანის წინანდელი რწმუნებული განიარაღების საკითხებში პოლ ნიცე და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სენატში სემ ნანი გაგებით მოეკიდნენ გერმანულ პოზიციას. ნიცემ ბეიკერი გააფრთხილა, რომ დაჟინებით არ მოეთხოვათ ამერიკული მოკლე რადიუსის რაკეტების განახლება ევროპაში და ამასთანავე არ უარეყოთ ჩვენთვის სასურველი მოლაპარაკებები მოსკოვში: ასეთ თვალსაზრისს ნატო ვერ გაიზიარებს და ფედერაციულ რესპუბლიკას კრიზისში ჩააგდებსო. მე ნიცეს მადლიერი ვიყავი ასეთი გულისხმიერებისათვის და უპირველეს ყოვლისა კი იმისათვის, რომ მან მხარი დაუჭირა მოლაპარაკებების სწრაფად დაწყებას მოსკოვში. ასევე სენატორმა ნანმაც არაორაზ-

როვნად მოუწოდა ბუშს, რომ მოლაპარაკებების ჩვენს სურვილს დაჰყოლოდა.

მეორე მხრივ, საბჭოთა ხელძღვანელობამ ხელმეორედ გააფრთხილეს ნატო ატომური მოკლე რადიუსის რაკეტების მოდერნიზებასთან დაკავშირებით. მარშალმა სერგეი ახრომეევმა 8 მარტს განაცხადა: თუ ევროპაში ლანსის ტიპის რაკეტების უფრო ძლიერ სისტემას განალაგებენ, ეს უეჭველად ხელახალ გამალებულ შეიარაღებას გამოიწვევს. ასეთი განლაგება მოსკოვისთვის „აბსოლუტურად მიუღებელი სიტუაციაა", რადგან მომავლის სარაკეტო სისტემაში იგულისხმება თვისებრივად ახალი იარაღი, რომელსაც მოქმედების უფრო დიდი რადიუსი, მიზანში მოხვედრის მეტი სიზუსტე და ასევე უფრო მეტი დამანგრეველი ძალა ექნება. ახრომეევმა, სხვათა შორის, აღმოსავლეთის უპირატესობა მოკლე რადიუსის რაკეტებში 12 : 1 შეაფასა; ეს იყო გულახდილი ნათქვამი, რომლის მსგავსიც გორბაჩოვის ამ თანამდებობაზე მოსვლამდე არ გესმენია. მაგრამ მარშალმა ისიც აღნიშნა, რომ დასავლეთს ატომური შეტევისთვის ვარგისი მეტი საბრძოლო თვითმფრინავი ჰყავდა: ვარშავის ხელშეკრულების 2783 თვითმფრინავზე ნატოს 4075 თვითმფრინავი მოდიოდა.

ამასობაში შევარდნაძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა მთავრობას არ სურს დისკუსიაში, ლანსის ტიპის რაკეტების მოდერნიზებას რომ ეხება, ერთმანეთს გადაჰკიდოს ნატოელი მოკავშირეები, მისი მიზანია, გააძლიეროს მათი ძალისხმევა ამ იარაღის თაობაზე მოლაპარაკებათა დასაწყებად: „ჩვენ უნდა დავიწყოთ მოლაპარაკებები ტაქტიკური ატომური რაკეტების შემცირებისა და შესაძლო ელიმინირების შესახებ. ჩვენ ამ მიზნის მიღწევას მომავალში აგრესიულადაც კი შევეცდებით, რადგან ეს ყოველი ევროპული ნაციის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს ემსახურება".

13 მაისს ბონში თავისი ვიზიტის დროსაც საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა გაგვაფრთხილა, დადებითად არ გადაგვეწყვიტა რაკეტების მოდერნიზაციის საკითხი, რადგან ეს გაგებული იქნებოდა როგორც საშუალო და მოკლე რადიუსის რაკეტების შესახებ მიღწეულ შეთანხმებათა გვერდის ავლის მცდელობა. ამით უშუალო საფრთხე დაემუქრება საშუალო სიშორის ბირთვულ რა-

კეტებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებასო. „რატომ უნდა მოვსპოთ SS-23 ტიპის რაკეტები", – იკითხა შევარდნაძემ, – „თუკი მეორე მხარე ლანსის ტიპის რაკეტებს განაახლებს და განალაგებს?"

ჩემი რწმენით, ნატოს საიუბილეო შეხვედრას უნდა წარმოეჩინა, რომ ჰარმელის მოხსენების სულისკვეთებით გამსჭვალულმა ატლანტიკურმა ალიანსმა, ემყარებოდა რა უშიშროების პოლიტიკის ჯანსაღ საფუძველს, აქტიურად დაუჭირა მხარი აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის დაძაბულობის შემდგომ შენელებას. უპირველეს ყოვლისა ამიტომ სურდათ შეხვედრის მონაწილეებს წარმოედგინათ უშიშროების სამომავლო საერთოპოლიტიკური გეგმა. მაგრამ ამასობაში გაჩნდა საფრთხე, რომ ალიანსს ვერც საერთო გეგმა მიეღო და ვერც მოკლე რადიუსის ბირთვული რაკეტების თაობაზე გამართულ კამათში მიეღწია შეთანხმებისთვის.

ბრიუსელის გადამწყვეტი დისკუსია ძირითადად ამერიკელ, ბრიტანელ და გერმანელ საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის გაიმართა. სხვა კოლეგებმა თავი შეიკავეს; ხოლო თუკი მაინც მოითხოვდნენ სიტყვას, უპირატესად ჩემს პოზიციას უჭერდნენ მხარს. ეს განსაკუთრებით იტალიელ კოლეგა ანდრეოტის, დანიელ ლიბერალ ელემან-იენსენს, აგრეთვე ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ორდონესს ეხებოდა. ყოველი მათგანისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა არამარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკური არგუმენტებიც.

ჯიმ ბეიკერი დისკუსიის დროს თავს არიდებდა ყოველგვარ გამწვავებას. წინასწარი საუბრების შემდეგ მე ისედაც დარწმუნებული ვიყავი, რომ მას ჩემთან შეთანხმება სურდა. ამერიკის პრეზიდენტი ბუში ასევე მტკიცე სურვილით ჩამოვიდა ბრიუსელში, ნატოს შეხვედრა უმაღლეს დონეზე წარმატებით დაეგვირგვინებინა. ბუშის წინადადება კონვენციური განიარაღების შესახებ სრულიად შეესაბამებოდა ჩვენს ინტერესებს, მით უმეტეს, რომ მისი გამოსვლა ბრიუსელში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მის მომავალ ვიზიტთან კავშირში უნდა განვიხილოთ: კობლენცში წარმოთქმულ სიტყვაში ამერიკის პრეზიდენტი მხარს უჭერდა პარტნიორობას ხელმძღვანელობაში. ფედერაციულმა რესპუბლიკამ აშშ-ს თვალშიც განიმტკიცა თავისი ცენტრალური პოზიცია ევროპაში. ფედერაციული რესპუბლიკის შექმნიდან ორმოცი წლის შემდეგ

მოკავშირე და დამეგობრებული ამერიკა მასში მთავარ და უმნიშვნელოვანეს პარტნიორს ხედავდა ევროპაში. რადგან საბჭოთა კავშირმაც დიდი ხანია საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით სტრატეგიული გადაწყვეტილება მიიღო ფედერაციული რესპუბლიკის სასარგებლოდ, ჩვენ აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობებში საკვანძო პოზიციაზე აღმოვჩნდით.

ორშაბათს, 1989 წლის 29 მაისს, 16 საათზე საგარეო საქმეთა მინისტრები ფრიად არაკონვენციურ და ამასობაში უკვე ლეგენდად ქცეულ ღამის თათბირზე შევიკრიბეთ. გარემოპირობები არცთუ მთლად საუკეთესო იყო: თექვსმეტი მინისტრი უფანჯრო დარბაზში დიდ მრგვალ მაგიდას უსხდა, სადაც ერთი დელეგაციისთვის მხოლოდ ორი ადგილი იყო გამოყოფილი — ნატოს წარმომადგენლისა და საგარეო საქმეთა მინისტრისათვის. დანარჩენები უკან იდგნენ. ჩემთვის ისიც მნიშვნელოვანი იყო, რომ დარბაზში იმყოფებოდნენ აგრეთვე თავდაცვის სამინისტროსა და ფედერალური კანცელარიის წარმომადგენელნი.

თითოეულ საგარეო საქმეთა მინისტრს ხუთი თანამშრომელი ახლდა; თუ ნატოს შტაბის თანამშრომლებსაც ჩავთვლით, მაშინ ამ დარბაზში დაახლოებით ასი ადამიანი იმყოფებოდა. ნატოს გენერალურმა მდივანმა, რომელიც, ჩვეულებრივ, ამგვარ სხდომებს თავმჯდომარეობს, ეს დავალება სახელმწიფო და მთავრობის მეთაურთა თათბირზე შეასრულა. ამიტომ ჩვენ გადაეწყვიტეთ, თავმჯდომარეობა მოლაპარაკებებში გამოცდილი ნიდერლანდელი საგარეო საქმეთა მინისტრის, ჰანს ვან დენ ბროეკისთვის მიგვენდო. მეც მივესალმე ამ გადაწყვეტილებას და თუმცა ვან დენ ბროეკი უფრო ინგლისურ პოზიციას იცავდა, ნატოს სამიტის წინა ხანებში ცნობილი გახდა, რომ იგი კეთილი განზრახვით ცდილობდა, შუამავლობა გაეწია ინგლისურ და გერმანულ პოზიციებს შორის.

ინგლისური ალფაბეტის შესაბამისად დავსხედით და გერმანელი და ფრანგი საგარეო საქმეთა მინისტრები ამერიკელი და ინგლისელი საგარეო საქმეთა მინისტრების პირისპირ აღმოვჩნდით. მართალია, ფრანგი კოლეგა, როგორც ვიცოდი, მხარს მიჭერდა, მაგრამ რადგან საფრანგეთი არაინტეგრირებული ქვეყანა იყო, იგი ამ დისკუსიაში მონაწილეობას არ იღებდა.

დებატები დიდხანს გაგრძელდა; არგუმენტები ბურთებივით

დაფრინავდა აქეთ-იქით — განუწყვეტლივ, შეუსვენებლივ. სენდვიჩები და ნამცხვრები შემოჰქონდათ, ამასთან ერთად ყავა, მინერალური წყალი, შემდეგ ვისკი და ღვინოც. მაგრამ მე ჩემ ძველ წესს არ ვღალატობდი: არც ერთი წვეთი ალკოჰოლი მოლაპარაკებების დროს. მაგრამ იყვნენ კოლეგები, რომლებიც საღამოობით ვისკის სვამდნენ ან ღვინოს ამჯობინებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი გამოცდილებით ვიცოდი, რომ ალკოჰოლი ყურადღებას ადუნებს და გონებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს, ისევე როგორც ყავის უზომო სმა. ამიტომ მხოლოდ მინერალურ წყალს ვსვამდი.

დისკუსიის დროს, რომელიც მცირე გამონაკლისის გარდა ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა, რამდენჯერმე შეეცადე პოზიციების შესაჯერებლად ცოტა ხნით დავლაპარაკებოდი ჯიმ ბეიკერს, ისიც ცდილობდა ჩემთან კონტაქტის დამყარებას. მაგრამ ამისთვის სხდომათა დარბაზიდან არ გავსულვართ, არამედ ყველას დასანახად დარბაზის კუთხეში განვცალკევედით. სწორედ ამ საუბრების დროს უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ბეიკერი დაინტერესებული იყო ურთიერთგაგებით და იგი თანდათან ჩემ თვალსაზრისს უახლოვდებოდა. ბოლოს მან დატოვა დარბაზი, ცოტა ხნის შემდეგ კვლავ დაბრუნდა და მთხოვა, გარეთ გავყოლოდი. დანარჩენ მონაწილეთა შორის დაძაბულობა მატულობდა. გარეთ ბეიკერმა მითხრა, რომ ახლახან ელაპარაკა პრეზიდენტ ბუშს და ფიქრობს, რომ ჩვენ შევძლებთ შეთანხმებას. შემდეგ მან მაჩვენა დოკუმენტი, რომელზედაც მას თანხმობის უფლება ჰქონდა.

სხდომის მსვლელობისას მესამე ნულოვან ვარიანტთან დაკავშირებით მომიხდა კამათი, უპირველეს ყოვლისა ჩემ ბრიტანელ კოლეგასთან ჰოუვთან: მე დაბეჯითებით განვაცხადე, რომ არ გამოვრიცხავდი ამ შესაძლებლობას, მაგრამ არც ის მინდოდა, რომ იგი მოლაპარაკების მიზნად ქცეულიყო. ამიტომ ბეიკერმა შემოგვთავაზა, მოკლე რადიუსიან ბირთვულ რაკეტებზე მოლაპარაკებების მიზანი განგვესაზღვრა როგორც „ნაწილობრივი შემცირება“ და სიტყვა „ნაწილობრივი“ ხაზგასმით გამოგვეყო. ამით ალიანსმა ცხადყო, რომ იგი მოლაპარაკებებში მოკლე რადიუსიანი რაკეტების მინიმალურ რაოდენობაზე ქვემოთ ჩამოსვლას არ აპირებდა, რითაც ნულოვანი გადაწყვეტა თეორიულად გამოირიცხა. ეს გადაწყვეტილება ინგლისელებისთვისაც მისაღები უნდა ყოფილიყო. და თუ 1992

წელს ვერ მოხერხდებოდა მოდერნიზაციის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღება, რაშიც მე დარწმუნებული ვიყავი, მაშინ ამ გზით — ძველი რაკეტების მოძველების შედეგად — მაინც ნულოვან ვარიანტამდე მივიდოდით. მართლაც, მოვლენები ასე განვითარდა.

სიტყვა „ნაწილობრივს", რომელიც არსებულ მოკლე რადიუსის რაკეტების თაობაზე მოლაპარაკებებს შეეხებოდა, შემეძლო შევგუებოდი. ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ მოდერნიზების საკითხი იმჟამად არ გადაწყვეტილიყო. ასეთი გადაწყვეტილება 1992 წელსაც შეგვეძლო მიგვეღო. ბეიკერმა სხდომის სხვა მონაწილეებს აცნობა, რომ მან ჩემთან ისაუბრა და ჩვენ მოვითხოვდით სიტყვა „ნაწილობრივს" განსაკუთრებით გასმოდა ხაზი. თანდათან შვება გვეუფლებოდა. ოღონდ ჩვენმა ბრიტანელმა კოლეგამ ჯეფრი ჰოუვმა, რომელსაც ბეიკერი და მე ერთნაირად ვაფასებდით და ვისთანაც ადამიანური სიახლოვე გვაკავშირებდა, განაცხადა, რომ ჯერ ამ ფორმულას ვერ დაეთანხმებოდა. რადგანაც ეს საკითხი ჩემ პრემიერ-მინისტრს უნდა შევუთანხმო, ინგლისი ხვალ დილამდე თავის საბოლოო გადაწყვეტილებაზე ვერაფერს იტყვისო. ამან დამსწრე კოლეგების გაოცება და გულისწყრომა გამოიწვია; ზოგიერთი ცდილობდა დაეყოლიებინა ჰოუვი, მაშინათვე დათანხმებულიყო, რათა ეს საქმე ბოლოს და ბოლოს მოგვემთავრებინა. ამ დაძაბულ სიტუაციაში სიტყვა ვითხოვე: „მე მესმის, რომ ბრიტანელ საგარეო საქმეთა მინისტრს ამის თაობაზე ჯერ თავის პრემიერ-მინისტრთან სურს მოლაპარაკება. ამიტომ მინდა შემოგთავაზოთ, ნულარ განვაგრძობთ დებატებს, დასაძინებლად წავიდეთ და სხდომა დავხუროთ".

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო. დიდი ბრძოლა გადავიტანეთ. მოდერნიზების საკითხი გადაიდო; ამაზე სამომავლოდ უნდა გვეფიქრა — ჩვენ ჩვენი გავიტანეთ. საიუბილეო შეხვედრიდან სიგნალი გავრცელდა, რომელიც დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის შემდგომ დაახლოებას მოასწავებდა. მარცხის საფრთხე თავიდან იქნა აცილებული.

აღარ იყო მოსალოდნელი, რომ ამერიკულ-გერმანული შეთანხმების შედეგად ნაპოვნი გადაწყვეტილება დილით კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარიყო. რაკი ბეიკერმა მითხრა, რომ ეს ფორმულირება პრეზიდენტთან შეათანხმა, დარწმუნებული ვიყავი,

რომ ამერიკის პრეზიდენტს თვით მარგარეტ ტეტჩერის ღამეული ინტერვენციაც კი ველარ შეაცელევინებდა აზრს.

ამასობაში 1989 წლის მაისიც დადგა და მხოლოდ რამდენიმე კვირაღა გვაშორებდა პირველ მძიმე „ამოფრქვევებს" შუა და აღმოსავლეთ ევროპაში. სულ რაღაც ნახევარ წელიწადში ბერლინის კედელი დაინგრა; წინ იყო ვარშავის ხელშეკრულებისა და გდრ-ის დარღვევა და დაშლა. ამის ფონზე ბრიუსელის დებატები ლანსის რაკეტების მოდერნიზების შესახებ დღეისათვის რაღაც მოჩვენებას დაემსგავსა. ამას მე უკვე მაშინ ვგრძნობდი.

მეორე დილით პლენარულ სხდომაზე ყველანი დაძაბულად ველოდით, როდის მოითხოვდა სიტყვას ქალბატონი პრემიერ-მინისტრი. ბოლოს, როდესაც მან ეს გააკეთა, ისღა განაცხადა, რომ იგი, ცხადია, ეთანხმება ღამით მიგნებულ გადაწყვეტილებას. მან თქვა, რაც მიზნად დავისახე — კერძოდ, მესამე ნულოვანი ვარიანტის ჩაგდება — იმას მივაღწიე კიდეცო. იგი ისტორიამ ამ საკითხშიც გაამტყუნა.

სხდომის შემდეგ ფედერალურმა კანცლერმა და მე აჩქარებული ნაბიჯით მივაშურეთ პრესას. იქითკენ მიმავალ გზაზე ჩვენ მრავალჯერ მოგვილოცეს, რადგან როგორც ასეთი გრანდიოზული კონფერენციების დროს ხდება ხოლმე, შედეგმა უკვე ადრევე გამოჟონა საკონფერენციო დარბაზიდან და მალე ყველასათვის ცნობილი გახდა. ამერიკელებმა სწორად გათვალეს: კონფრონტაციის დაძლევამ ნიადაგი შეამზადა ამერიკის პრეზიდენტის წინადადებებისათვის. ასევე ბონის კოალიციისთვისაც ბრიუსელში მიღწეულმა შედეგმა ზურგის ქარის როლი შეასრულა, მით უმეტეს, რომ ბოლოს ურთიერთმხარდაჭერის ტენდენციები კვლავ გამოიკვეთა. შინაც და გარეთაც მთავრობის პრესტიჟი ამაღლდა.

პირადად მეც იმღამინდელი მოვლენებისგან დიდი სარგებელი ვნახე: ბეიკერი და მე ამ მძიმე სხდომაზე თანდათან უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს და ჩვენი თავაზიანი ურთიერთობები მეგობრობაში გადაიზარდა. 1990 წელს, როდესაც „ღრი პლუს ოთხის" მოლაპარაკებებზე საქმე გერმანიის გაერთიანებას ეხებოდა, ნდობის საფუძველი, რომელიც ბრიუსელში შევქმენით, გერმანიის ინტერესებისთვის დიდი სარგებლობის მომტანი აღმოჩნდა.

საგარეო პოლიტიკა საიდუმლო მეცნიერება როდია. დემოკრატიულ, ღია საზოგადოებაში პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მიღება მოქალაქეებმაც უნდა შეძლონ – პრესის მეშვეობით.

ქვეყნის შიგნით და მის გარეთაც ნატოს უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიღწეული შედეგები დადებითად შეფასდა. გერმანულ-ამერიკულმა ერთობლივმა მოქმედებამ საქმეში გარდატეხა შეიტანა და ნატოს საიუბილეო სამიტს დიდი წარმატება მოუტანა. პესიმისტური პროგნოზები, რომ ალიანსი დაიშლებოდა, არ გამართლდა, პირიქით: მან სადავო საკითხები თანხმობის საფუძველზე გადაწყვიტა. აშშ-ც მიხვდა, თუ რა შესაძლებლობებს იძლეოდა აღმოსავლეთში მიმდინარე ისტორიული ცვლილებები და წმინდა სამხედრო მოსაზრებები უკანა პლანზე გადასწია. ნატომ ამასთანავე განაცხადა, რომ სურდა ისეთი სამშვიდობო წესრიგი შეექმნა, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას ატლანტის ოკეანიდან ურალამდე, რათა ხელიდან არ გაშვებულიყო ის შესაძლებლობები, ევროპაში მოვლენათა ამ ისტორიულმა განვითარებამ რომ მოიტანა.

ამიტომ ბონში დაბრუნების შემდეგ, 1989 წლის პირველ ივნისს, გერმანიის ბუნდესტაგში სამიტის შედეგები ასე შევაჯამე: „ნატოს სამიტმა გვიჩვენა, რომ გულახდილმა, გულწრფელმა და პრინციპულმა დისკუსიამ ალიანსის ევროპელ და ჩრდილოამერიკელ

პარტნიორებს შორის კავშირი კი არ შეასუსტა, არამედ ერთიანი თვალსაზრისის ჩამოყალიბებამდე და, ამდენად, კავშირის განმტკიცებამდე მიგვიყვანა".

კმაყოფილებით გადავხედე მიღწეულს: 27 აპრილის სამთავრობო განცხადება თითქმის მთლიანად შეეიდა ნატოს საერთო გეგმაში, მოდერნიზაციის საკითხში და ასევე მოკლე რადიუსის რაკეტების თაობაზე მოლაპარაკებებში თითქმის ყველა ჩვენი ინტერესი დაცავით. მოკავშირეები მეტად თუ ნაკლებად ეთანხმებოდნენ გერმანიის წინადადებებს, როგორც ეს ცხადყო ხუთ პუნქტად ჩამოყალიბებულმა სამთავრობო პოზიციამ, რომელიც კოალიციის 20 აპრილის დოკუმენტში და 27 აპრილის სამთავრობო განცხადებაში იყო მოცემული. „ვალდებულებიდან – მოდერნიზება იმავდროული მოლაპარაკებების გარეშე –, მივიღეთ ვალდებულება – მოლაპარაკებები იმავდროული მოდერნიზების გარეშე", ასე შევაჯამე მიღწეული შედეგი ნატოს უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ.

ჩემი დაჟინებული გაფრთხილება, მეტი ყურადღება მიგვექცია ჩვენს კონტინენტზე მიმდინარე დრამატული ცვლილებებისათვის, უკვე ნატოს შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ დადასტურდა: 4 ივნისს პოლონეთში გაიმართა პირველი თავისუფალი არჩევნები. პრემიერ-მინისტრ მაზოვეცკის მეთაურობით ვარშავის პაქტის ქვეყანაში პირველი არაკომუნისტური მთავრობა აირჩიეს.

თავი 16

ევროპაში ცვლილებათა ქარი ძლიერდება — თავისუფლების რევოლუციის გამარჯვება

ბონი — ორი ზესახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პარტნიორი

ბრიუსელში ნატოს სამიტის დამთავრების შემდეგ პრეზიდენტი ბუში და საგარეო საქმეთა მინისტრი ბეიკერი 30 და 31 მაისს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ეწვივნენ. დისკუსიები მოკლე დისტანციის ბირთვული რაკეტების მოდერნიზების თაობაზე სასურველი კალაპოტით წარიმართა, მას მოჰყვა ურთიერთმხარდაჭერა და თანადგომა ბონსა და ვაშინგტონს შორის, რასაც მთელი მსოფლიო ყურადღებით ადევნებდა თვალს. ფედერაციული მთავრობის თანამიმდევრულმა, თავდაჯერებულმა და ენერგიულად დასაბუთებულმა პოზიციამ გერმანულ-ამერიკული ურთიერთობა კი არ შეასუსტა, არამედ განამტკიცა — შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის თავკაცებმა, პრეზიდენტმა ბუშმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეიკერმა, გერმანიის ამგვარი პოზიციით მეტი სარგებლობა მიიღეს, ვიდრე იმგვარი მცდელობისაგან მიიღებდნენ, რომელიც ევროპის უძლიერესი და უმნიშვნელოვანესი მოკავშირის წონასა და ინტერესებს არ შეესაბამებოდა. 1989 წლის 30 მაისს ჩვენს სტუმრებს კიოლნ-ვაანის აეროდრომზე დავხვდი. ჩამოსვლისთანავე შედგა საუბარი ფედერალურ პრეზიდენტ ვაიცზეკერთან, რის შემდეგაც გაიმართა მოლაპარაკება ფედერალურ კანცლერს, პრეზიდენტ ბუშს, საგარეო საქმეთა მინისტრ ბეიკერსა და ჩემს შორის.

დილით, 31 მაისს მე და ჯიმ ბეიკერს ნახევარსაათიანი საუბარი გვქონდა პირისპირ საგარეო საქმეთა სამინისტროში დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობის განვითარების შესახებ. ამასთან მისი თხოვნით მე შევაფასე ვითარება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებში. — „გდრ", — ვთქვი მე, — „ყველაზე უფრო რთულ მდგომარეობაში იმყოფება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის, რადგან მას ნაციონალური ინდენტურობა

არ გააჩნია. სინამდვილეში იქ ადამიანები საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ფედერაციული რესპუბლიკის პიროვნებებთან, გადაწყვეტილებებსა და ღირებულებებთან ახდენენ. თუმცა გდრ სოციალისტური სახელმწიფოა — პრესის თავისუფლების ჩვეული, ყველა იქაური შეზღუდვებით —, მაგრამ მას ორი სრულიად სხვადასხვა საინფორმაციო წყარო აქვს. ერთი მხრივ, ეს არის სახელმწიფო ტელევიზია, სახელმწიფო რადიო, სახელმწიფოს კონტროლქვეშ მყოფი პრესა. მეორე მხრივ, მოსახლეობის ოთხმოცდახუთი პროცენტი რეგულარულად იღებს დასავლეთის ტელეგადაცემებს. ეკონომიკაში ასევე წინააღმდეგობრივი სურათია: ოფიციალურად წარმმართველია გეგმა, სინამდვილეში კი ორი პარალელური სახალხო მეურნეობა არსებობს. ერთი მათგანი ემყარება გეგმას და განაწილების აპარატს. მაგრამ არის აგრეთვე დასავლური ვალუტა, რომელიც გდრ-ის მრავალი მოქალაქისათვის მეორე საიდუმლო ვალუტაა, რომლითაც სპეციალურ სახელმწიფო მაღაზიებში დასავლური საქონლის შეძენაც შეიძლება. კვალიფიციური სამსახურისთვისაც ასევე უფრო და უფრო ხშირად ითხოვენ დასავლეთგერმანულ მარკას. ხელმძღვანელობა ცდილობს პოლიტიკური ქულები მოიპოვოს ერთი გერმანიიდან მეორეში მიმოსვლის შედარებითი გაიოლებით და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის ცხოვრების უმაღლესი დონით. მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოსდევს. მოსახლეობა თავის ცხოვრებისეულ პირობებს ვარშავის პაქტის მონაწილე სახელმწიფოების ცხოვრების პირობებს კი არ ადარებს, არამედ ჩვენსას, დასავლეთგერმანულს. ჩემი აზრით, გდრ ამჟამად ვარშავის პაქტში ყველაზე არასტაბილური სახელმწიფოა; ამით აიხსნება ხელმძღვანელობის დაბნეულობაც. არსებითად მას აფრთხობს გორბაჩოვის რეფორმები, რადგან ამის შედეგად პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი პროცესი მის კონტროლს უსხლტება. თუ ჰონეკერი შემდგომ რეფორმებს უარყოფს, მაშინ მას უფრო დიდი პრობლემები შეექმნება, ხოლო თუ იგი დემოკრატიისაკენ მიმავალ გზას გახსნის, მაინც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება“.

ბონიდან შვეულმფრენით მაინცში გავფრინდით. „რაინგოლდ-ჰალეში“ პრეზიდენტმა ბუშმა საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლების წინაშე მნიშვნელოვანი მოხსენება გააკეთა სახელწოდებით: „განუყოფელი ევროპისათვის“. მასში მან მოითხოვა ევროთათ-

ბირის პროცესის განმტკიცება, თავისუფალი არჩევნები და პლურალიზმი საბჭოთა გავლენის ზონაში. „მეტი პოლიტიკური თავისუფლება აღმოსავლეთში, ბერლინი კედლის გარეშე, სუფთა გარემო, ნაკლებ მილიტარიზებული ევროპა — ყოველივე ეს თავისთავად უკვე ღირსეული მიზნებია". მან განაგრძო: „ეს ყოველივე ერთად აღებული არის პირობა დიდი ოცნების აღსრულებისა — ვიხილოთ თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპა. საბჭოთა კავშირმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენი მიზანი არ არის მისი ლეგიტიმური უსაფრთხოების ინტერესთა ძირის გამოთხრა... ხანგრძლივი უსაფრთხოება ვერ დაეფუძნება ტანკებს, ჯარებსა თუ ეკლიან მავთულხლართებს. იგი ეფუძნება საერთო ღირებულებებს და შეთანხმებებს, რომლებიც თავისუფალ ხალხებს აკავშირებს". ყოველივე ეს შეესატყვისებოდა ჩვენს მიზანდასახულობას და თვალსაზრისს. ბოლო თვეებში ალიანსში მიმდინარე დისკუსიამ არამარტო შეაფერხა შეიარაღების თაობაზე ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ერთდროულად სახიფათოც იყო და არც დროის მოთხოვნას შეესაბამებოდა, არამედ მან ხელახლა გააერთიანა ალიანსი 1967 წლის ჰარმელის მოხსენების, მისი ფილოსოფიისა და მიზნების საფუძველზე. ძველებური აზროვნების წარმომადგენლებს ქარმა ახლა ვაშინგტონიდანაც შემოუბერა სახეში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტის განცხადება იმის შესახებ, რომ აშშ-ს ამ მოლაპარაკებათა ერაში შეგნებული აქვს ის, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას განსაკუთრებული ტვირთის ტარება უწევს. თუმცა ატომის ხანაში ყოველი ქვეყანა ფრონტის ხაზზე იმყოფება, მაგრამ ყველა თავისუფალმა ერმა რუტინულად როდი უნდა აიტანოს დაუსაბუთებელი აქტიურობებით გამოწვეული დაძაბულობები და თავის ტერიტორიაზე უცხო შეიარაღებული ძალების გამუდმებული ყოფნა, — თქვა მან. ეს წინა თვეების დისკუსიებში მეც რამდენჯერმე აღვნიშნე, როცა საერთო უსაფრთხოების შენარჩუნების საქმეში გერმანელთა წვლილზე ვლაპარაკობდი ხოლმე. ამასთან მუდამ ხაზს ვუსვამდი ჩვენი ბუნდესვერის ძლიერებას და მოკავშირეთა ერთიან შეიარაღებულ ძალთა არსებობის სიკეთეს. ჯორჯ ბუშის ამ გამოსვლაზე ვფიქრობდი ხოლმე ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც გერმანელებმა დაასკვნეს, რომ სხვის იმედად ყოფნის დრო დამთავრდა. ჩვენ ახლა უკვე უნდა გამოვსულიყავით მაყურებელთა ლოჟიდან.

ისტორიულად გადამწყვეტ 1989 და 1990 წლებში მოვლენების განვითარებაზე ზეგავლენის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ პრეზიდენტმა ბუშმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას „პარტნიორობა და ხელმძღვანელობა" შესთავაზა. თუ რას ნიშნავდა ეს, საუცხოოდ და სავსებით შევიტყვეთ ჩვენ „ორი პლუს ოთხის" მოლაპარაკებათა დროს.

1989 წლის შუა ივნისში — სულ რაღაც ორი კვირის შემდეგ — მეორე ზესახელმწიფოს პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი და საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე ჩამოვიდნენ ბონში. საბჭოთა დელეგაციაში შედიოდა აგრეთვე ალექსანდრე იაკოვლევი, რომელიც, როგორც პოლიტბიუროს წევრი, გორბაჩოვის გარდაქმნის პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობდა და მხურვალედ უჭერდა მხარს ამ პოლიტიკას. იგი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ელჩად კანადაში და კარგად იცნობდა როგორც დასავლური აზროვნების წესს, ასევე ამერიკული პოლიტიკის კანონზომიერებებსაც.

1989 წლის 13 ივნისს ფედერალურმა კანცლერმა და საბჭოთა პრეზიდენტმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას, რომელიც მომზადდა ინტენსიური მოლაპარაკებების დროს ჩვენს საგარეო საქმეთა უწყებასა და საბჭოთა საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის და ასევე შევარდნაძის ვიზიტისას ბონში 12 და 13 მაისს. სხვათა შორის მასში ესეც წერია: „ადამიანი თავისი ღირსებით და თავისი უფლებებით და კაცობრიობის გადარჩენისთვის ზრუნვა პოლიტიკის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს... ყველა ხალხსა და სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს უფლება, თავისუფლად განაგებდეს თავის ბედ-იღბალს. შიდა და ინტერნაციონალურ პოლიტიკაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის უპირატესობა".

ორივე მხარის ერთობლივ მიზნად ევროპის გაყოფის დაძლევა დასახელდა. ჩვენ მხარი დავუჭირეთ სამშვიდობო წესრიგს ევროპაში, ანუ ერთიან ევროპულ სახლს, რომელშიც „აშშ-ს და კანადასაც ექნებათ თავიანთი ადგილი", და ევროთათბირი უნდა ყოფილიყო ყველა ამ მიზან-მისწრაფების საფუძველი. ევროპაში მშვიდობისა და თანამშრომლობის ინტეგრალურ შემადგენელ ნაწილე-

ბად დასახელდა აგრეთვე: ყოველი სახელმწიფოს უშიშროებისა და ტერიტორიული განუყოფლობის სრული აღიარება; ყოველი მათგანის უფლება საკუთარი პოლიტიკური და სოციალური სისტემის თავისუფლად არჩევისა; საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების სრული პატივისცემა, განსაკუთრებით კი თვითგამორკვევის უფლების დაცვა; ადამიანთა უფლებების ცხოვრებაში გატარება და ადამიანთა შორის კონტაქტების ხელშეწყობისა და იდეათა გაცვლა-გამოცვლის მოთხოვნა. სწრაფვა სამხედრო უპირატესობის მოპოვებისთვის უარყოფილ იქნა.

მაგრამ ამ ერთობლივ განცხადებაში, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი იყო შემდეგი დებულება: „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და საბჭოთა კავშირი, იმ წონის გათვალისწინებით, თითოეულ მათგანს თავ-თავიანთ ალიანსში რომ აქვს, დარწმუნებულნი არიან, რომ მათი ურთიერთობის პოზიტიურ განვითარებას ევროპაში არსებული მდგომარეობისა და საერთოდ აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთდამოკიდებულებისთვის ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება“. ასე რომ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არამარტო თავისი უმთავრესი მოკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ თავისი მნიშვნელობის აღიარებაში დარწმუნდა, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ბუშმა თავის სიტყვაში მას „პარტნიორობა და ხელმძღვანელობა“ შესთავაზა, არამედ ფედერაციული გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ერთობლივ განცხადებაშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ორმხრივ ურთიერთობას მოსკოვსა და ბონს შორის. თუ 1989 წლის პირველი თვეები ჯერ კიდევ შეიცავდა საშიშროებას, რომ მოკლე რადიუსის რაკეტების მოდერნიზება არარად აქცევდა დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის ურთიერთობის იმ საიმედო პროცესს, 1945 წლიდან რომ დაიწყო, ახლა ჩვენი თვალსაზრისის განხორციელების შედეგად უნიკალურ პოზიციაში აღმოვჩნდით როგორც მოკავშირე ზესახელმწიფოს, აშშ-ს მიმართ, ასევე მეორე ზესახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის მიმართაც — ისე, რომ ეს არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავდა. უპირველეს ყოვლისა, თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას განუმტკიცდა თავისი პოზიციისა და თავისი როლის რწმენა. მან — კიდევ ერთხელ — გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა პროცესების განვითარებაზე.

დღევანდელი გადასახედიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკამ უშუალოდ ომის შემდგომი პოლიტიკის ყველაზე უფრო დრამატულ ფაზაში შესვლის წინ თავისი საერთაშორისო გავლენის უმაღლეს წერტილს მიაღწია. ორივე ზესახელმწიფომ, ჩვენმა მოკავშირე აშშ-მ, ისევე როგორც ახლა უკვე ჩვენს პატრნიორად ქცეულმა საბჭოთა კავშირმა, დაადასტურა ბონის გამოკვეთილი პოზიცია, რაც საფრანგეთთან მჭიდრო კავშირის მეშვეობით კიდევ უფრო განმტკიცდა. პარიზში იმ თვეებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ შეთანხმებულ და ხანგრძლივ ძალისხმევას ევროპის გაერთიანებისთვის. ამ ამოსავალი პოზიციის გათვალისწინებით, ჩვენ რომ დავიკავეთ უშუალოდ საბჭოთა გავლენის სფეროში რევოლუციურ ცვლილებებამდე, რომლებიც შეიძლებოდა სტაბილურ, ევროპულ და ინტერნაციონალურ ჩარჩოებში წარმართულიყო და რომელთა განსახორციელებლად ჩვენ როგორც ევროგაერთიანებაში, ასევე ნატოში და ევროთათბირზეც არსებითი წვლილი შევიტანეთ, გერმანიაში ოთხმოცდაათიანი წლების შუა ხანებში წამოყენებული მოთხოვნები, რომ „ბოლოს და ბოლოს“ ჩვენს თავზე აგვეღო პასუხისმგებლობა, ფრიად გაუგებრად გამოიყურება. ჩვენი პოზიცია საუკეთესო აღმოჩნდა. მაგრამ ის სულაც არ წარმოადგენდა ისტორიის კაპრიზს, არამედ მიზანსწრაფული პოლიტიკის შედეგი გახლდათ.

1989 წლის 12 ივნისს, საღამო ხანს, მიხეილ გორბაჩოვი, რაისა გორბაჩოვა და ედუარდ შევარდნაძე კიოლნ-ვაანის აეროპორტში ჩამოფრინდნენ. თავდაპირველად ფედერალურ პრეზიდენტს ორივე საგარეო საქმეთა მინისტრის თანდასწრებით მოკლე საუბარი ჰქონდა პრეზიდენტთან, ვიდრე ედუარდ შევარდნაძესთან ერთად სადილობის შემდეგ დელეგაციათა მოლაპარაკებები დაიწყებოდა.

პირისპირ საუბრის დროს მე შევაფასე ერთობლივი განცხადების მნიშვნელობა და მადლობა გადავუხადე შევარდნაძეს მისი მონაწილეობისათვის ამ დოკუმენტის შედგენაში. შემდეგ განვმარტე ნატოს უმაღლესი დონის შეხვედრისა და ასევე ბუშის გერმანული ვიზიტის ჩემეული შეფასება, რომლის დროსაც ხაზი გავუსვი იმას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და აშშ ერთობლივად შეუწყობენ ხელს ახალი ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალი-

ბებას დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. უპირველეს ყოვლისა, მე გამოვყავი გერმანულ-ამერიკული ურთიერთმხარდაჭერა. შევარდნაძემ და მე დიდი ყურადღება დავუთმეთ განიარაღების საკითხებს, განსაკუთრებით ბირთვული მოკლე რადიუსის რაკეტების სფეროში.

მე მაინტერესებდა შორსმწვდომი პოლიტიკური მიზნები, რომელთაც საბჭოთა მხარე ამ ვიზიტს უკავშირებდა. ბოლოს და ბოლოს, საერთოევროპული განვითარება უფრო და უფრო მძლავრი რყევებით ხასიათდებოდა. „ალბათ უახლოეს ხანში დიდი საუბარი გვექნება კონტინენტის მომავლის შესახებ", — თქვა შევარდნაძემ. მან დაადასტურა: არც საბჭოთა კავშირს სურს არსებული სტრუქტურების დანგრევა, ეს არარეალური და საბედისწეროა. მნიშვნელოვანია ნატოში შემავალ ოცდასამ სახელმწიფოსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის ვენაში ჩატარებული მოლაპარაკებები, ასევე ევროთათბირის მონაწილე ოცდათხუთმეტი ქვეყნის მოლაპარაკებები ნდობის განმამტკიცებელი ღონისძიებების შესახებ. გარდა ამისა, — განაგრძო შევარდნაძემ, — მნიშვნელოვანია ისიც, რომ პრეზიდენტმა მიტერანმა და თქვენ უსაფრთხოების პოლიტიკისადმი მიძღვნილი ევროთათბირის სამიტის ჩატარებას დაუჭირეთ მხარი; იგივე ითქმის ომის საფრთხის თავიდან აცილების ცენტრის შექმნასთან დაკავშირებითაცო. მეც კიდევ ერთხელ გავუსვი ხაზი, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ერთობლივ განცხადებაში არსებული სტრუქტურების შენარჩუნებაზე გავამახვილეთ ყურადღება და იმავდროულად სამომავლო პროექტიც წარმოვადგინეთ. გავიხსენე ჩემი ადრინდელი, გაერთიანებული ერების წინაშე წამოყენებული მოთხოვნა, დაგვეარსებინა ადამიანთა უფლებების დამცველი საერთაშორისო სასამართლო, რისთვისაც მაშინ, უპირველეს ყოვლისა, მოსკოვისა და აღმოსავლეთ ბერლინის მძაფრი კრიტიკა დავიმსახურე, და მივესალმე იმას, რომ ახლა თვითონ გორბაჩოვმა წამოჭრა იგივე მოთხოვნა.

მერე მთავარ საკითხს მივუახლოვდით. ჩემმა საბჭოთა კოლეგამ განაცხადა, რომ ყოველივე, რაც ევროთათბირის პროცესის საფუძველზე განხორციელდა, შეიძლება ჭეშმარიტად რევოლუციურად მივიჩნიოთ. საჭიროა გაბედული დასაწყისი, მაგრამ ასევე გარკვეული შემწყნარებლობა და პატივისცემა პარტნიორების მიმართო. აქ მე ჩავურთე, გთხოვთ, გულახდილად მითხრათ, თქვენი ეს

შენიშვნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიმართ ხომ არ არის-მეთქი გამოთქმული. ამაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ გულწრფელად მიპასუხებდა. არაფერი გვაქვს იმის საწინააღმდეგო, — თქვა მან, — რომ პრეზიდენტი ბუში ბონში ჩამოვიდა, მას მოსკოვში სერიოზულ პარტნიორად თვლიან. მაგრამ რატომ ძაბავს იგი ატმოსფეროს გდრ-თან დაკავშირებით? მოწოდებები ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეცვლიდა მდგომარეობას. ცოტა ხნის წინ აღმოსავლეთ ბერლინში ყოფნისას მხოლოდ გაღიზიანება შევნიშნე. საჭიროა მგრძნობიარე რეაგირება: რაც ახლა საბჭოთა კავშირში ჰუმანიტარულ სფეროში ხდება, არ შეიძლება აიხსნას პრეზიდენტ რეიგანის გამონათქვამებით. შემდეგ შევარდნაძემ გააკეთა დასკვნა, რამაც განმიმტკიცა საბჭოთა ხელმძღვანელობის ჩემეული შეფასება: ბერლინის კედელიც დაინგრევა, როდესაც დრო საამისოდ მომწიფდება, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ნდობის გარკვეული ატმოსფერო და პატივისცემით აღსავსე ურთიერთდამოკიდებულება.

მომდევნო თვეებში არაერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ მოსკოვი კარგა ხანია ჩასწვდა დროის მოთხოვნებს. ოღონდ იქ არ სურდათ საბჭოთა მხარის გადაწყვეტილებანი და ქმედებანი თავიანთ მოკავშირეთა — ამ შემთხვევაში გდრ-ის — მიმართ წარმოჩენილიყო როგორც დასავლეთის მხრიდან ზეწოლის შედეგი. და ეძიებდნენ ისეთ ევროპულ გარემოს, რომელიც ნდობას წარმოქმნიდა და აღმოსავლეთის ახალ პოლიტიკას დასავლეთის წინაშე კაპიტულაციად არ მიიჩნევდა.

თქვენ მე, ცხადია, გამიგებთ, — ასე ვუპასუხე შევარდნაძეს, — რომ მეც, ისევე როგორც პრეზიდენტი ბუში, კედელს ანაქრონისტულ უბედურებად ვთვლი, რომელიც დღეს კიდევ უფრო საშინელი და უსიამოვნო მოვლენაა, ვიდრე აქამდე იყო. გდრ-ის ხელმძღვანელობის პრობლემა ის არის, რომ ის ვერ ახერხებს თავისი სახელმწიფო მოსახლეობისთვის მიმზიდველი გახადოს; მოსკოვისაგან განსხვავებით მას არ ხელეწიფება, ქვეყანას ახალი სასიცოცხლო სუნთქვა შთაბეროს.

როდესაც ჩემი თანამოსაუბრე გდრ-ის ეკონომიკურ ცხოვრებას შეეხო და აღნიშნა, რომ ის სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ეკონომიკურ მდგომარეობაზე უკეთესია, მე ვუპასუხე, რომ

გდრ-ში მცხოვრები მუშა თავის მდგომარეობას სოციალისტურ სახელმწიფოთა კოლეგების მდგომარეობას კი არ ადარებს, არამედ გერმანის ფედერაციული რესპუბლიკის კოლეგებისას. უპირველეს ყოვლისა კი დემოკრატიზაცია სურთ, როგორც ეს საბჭოთა კავშირში ხდება. მე შევახსენე საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრს, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო, რაც მან წლის დასაწყისში ევროთათბირის ვენის კონფერენციაზე „ჟანგვაშეპარულ რკინის ფარდაზე" თქვა: განვითარება წინ მიდის; ახლა რკინის ფარდა იმსხვრევა. საბჭოთა მინისტრს წინააღმდეგობა არ გამოუხატავს, მაგრამ ძალიან სერიოზული სახე მიიღო. მან მადლობა გადამიხადა, ვენაში მისი გამოსვლა რომ გავიხსენე. მერე მტკიცედ ჩამხედა თვალებში და მითხრა: „მე დარწმუნებული ვარ, ყველა სოციალისტური ქვეყანა მიაღწევს დემოკრატიამდე". ისე ჩანდა, თითქოს ყველაფერი მოსკოვში გადაწყდა — არავითარ შემთხვევაში იმგვარი შთაბეჭდილება არ უნდა შექმნილიყო, თითქოს ეს დასავლეთიდან წამოსული გაფრთხილებების გამო ხდებოდა.

შევარდნაძის მიერ დემოკრატიის აღიარების მთელი მნიშვნელობა ნათელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რა დროს მიმდინარეობდა ჩვენი საუბარი: იგი შედგა 1989 წლის 12 ივნისს, პეკინში ტიანანმენის მოედანზე მომხდარი სისხლისღვრიდან რვა დღის შემდეგ. ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა რეაქციები ამასთან დაკავშირებით ძალზე განსხვავებული იყო. მკაცრად დაგმო იგი უნგრეთმა, რომლის ტელევიზიამ გამოაცხადა: „ისინი ხოცავდნენ წესრიგის სახელით იმ დროს, როდესაც ისტორიამ მათ უკვე გვერდი აუარა". მოსკოვს კომენტარი არ გაუკეთებია პეკინის მოვლენებისთვის — ეს სინამდვილეში იმას ნიშნავდა, რომ ის ჩინეთის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას გაემიჯნა. გდრ-ის სახალხო პალატა კი პირიქით, 1989 წლის 8 ივნისს, მაშასადამე შევარდნაძესთან ჩემ საუბრამდე ოთხი დღით ადრე, ერთსულოვნად იცავდა ჩინელების საქციელს — „სახალხო ხელისუფლება" იძულებული იყო უსაფრთხოება და წესრიგი შეიარაღებული ძალების გამოყენებით აღედგინაო.

1989 წლის 13 ივნისის დილას გორბაჩოვმა საბჭოთა რეზიდენციაში საუზმეზე მიმიღო. ამ შეხვედრაზე თან მახლდნენ ელჩი მაიერ-ლანდრუტი და პოლიტიკური დირექტორი კასტრუპი, საბჭო-

თა მხრიდან კი მონაწილეობას იღებდნენ ჩემი კოლეგა შევარდნაძე და ელჩი კვიცინსკი. გორბაჩოვი ცდილობდა საუბარი რაც შეიძლება მეგობრულად წარემართა; მან ღირსეულად შეაფასა ერთობლივი დეკლარაციის მნიშვნელობა და ჩემი წვლილი მის მომზადებაში. განსაკუთრებით აღნიშნა თანხმობა აშშ-თან, — საკითხი, რომლის აუცილებლობაზედაც მე მას ჯერ კიდევ სამი წლის წინ ჩვენი პირველი საუბრისას მოსკოვში განვუცხადე. უკეთესი ურთიერთგაგება ბონსა და მოსკოვს შორის ვერც კი წარმომედგინა. ჩვენი ოპერატიული მიზანი მე შემდეგნაირად განვმარტე: ევროპა უნდა შევაკავშიროთ და ამ პროცესში ჩვენც, გერმანელებიც, ჩავერთვებით. ამჟამინდელი მდგომარეობა, ბოლოს და ბოლოს, არავისთვის არ არის ხელსაყრელი, იგი არ შეესაბამება ევროპელთა ცნობიერებას და მაშასადამე, არც გერმანელთა ცნობიერებას. მაგრამ არ იარსებებს არავითარი პერსპექტივა უკეთესი მომავლისა, თუ ერთ-ერთი მხარეთაგანი მოვლენათა შემდგომ განვითარებას პირად ტრიუმფად ჩათვლის-მეთქი. მე აქ მიზანს მოვარტყი, რადგან გორბაჩოვმა თქვა: „სავსებით სწორია".

ეს ორ რამეს მოწმობდა; პირველი — მოვლენათა მომავალ განვითარებასთან დაკავშირებით არავინ იკვებებოდა ილუზიებით არც ევროპის და არც — როგორც არაერთხელ განმიცხადებია გორბაჩოვისა და შევარდნაძისთვის — ევროპის კონტექსტში მოაზრებული გერმანიის მიმართ. და მეორეც — ამისი შეცნობა არ უნდა წარმოგვედგინა დამარცხებად, და აშკარა იყო, არც გორბაჩოვი და შევარდნაძე მიიჩნევდნენ ამას მარცხად. მათ დემოკრატიზაციას დაუჭირეს მხარი, ეს კი დაყოფილობის დაძლევას ნიშნავდა.

1989 წლის 14 ივნისის საღამოს ჩემს მეუღლეს და მე ისეთი რამ გადაგვხვდა, უკეთესს რომანისტიც რომ ვერ მოიფიქრებს. შესანიშნავი ზაფხულის დღე იდგა. ფედერალურმა კანცლერმა ცოლქმარი გორბაჩოვები საღამოს თავის აგარაკზე დაპატიჟა, ხოლო შევარდნაძე, რომელიც ბონში მეუღლის გარეშე ჩამოვიდა, ჩვენ მივიწვიეთ შინ. საგარეო საქმეთა უწყების სასადილოში საჭმელი შევუკვეთეთ: წვნიანი კერძი, სატაცურის სალათა, თევზი და დესერტი. ჩემი მეუღლე და მე ბაღში ვიცდიდით. ოფიციანტმა, რომელიც საღამოსთვის ჩვენთან დავიბარეთ, სასმელი მოგვიტანა. მან გვაცნო-

ბა, შევარდნაძის ჩამოსვლა ერთი საათით გადაიწევს, რადგან საბჭოთა დელეგაცია შტუტგარტში, სადაც მერსედეს ბენცი მოინახულეს, დიდხანს დაყოვნდაო. ამ მიზეზით გორბაჩოვებს კოლთან, ხოლო შევარდნაძეს ჩვენთან მოსვლა შეაგვიანდებოდათ.

ჩვენ ეს სავსებით გვაძლევდა ხელს, რადგან, თუმცა შევარდნაძის მოსვლა 19 საათისთვის იყო გათვალისწინებული, მზარეულს 18 საათზე ჯერ კიდევ არ ჰქონდა კერძები მოტანილი. ბოლოს ორმოცდახუთი წუთის შემდეგ ისიც გამოჩნდა. გამოირკვა, რომ — ეს პირველად მოხდა ჩემ პრაქტიკაში — დათქმულ დროსთან დაკავშირებით რაღაც გაუგებრობა მომხდარიყო. ჩვენ მშვენიერი საღამოთი ვტკბებოდით და ჩავლილი დღის შესახებ ვსაუბრობდით. უცბად — ამ დროს რვას ოცი წუთი აკლდა, ე. ი. 20 წუთით ადრე შევარდნაძის მოსვლამდე — ბაღში სახეგაფითრებული მზარეული გამოჩნდა და თქვა: „თევზი გაქრა". „რომელი თევზი?" — ვკითხე მე. „ამ ვერცხლისფერი ჭურჭლით თევზი მოვიტანე. ჭურჭელი კი ცარიელია". „იქნებ შეცდომით სხვა ჭურჭელი წამოიღეთ?" დღესაც მგონია, რომ სწორედ ასე დაემართა და თევზის გაქრობის საიდუმლო ამგვარად უნდა აიხსნას. მაგრამ მზარეულმა განაცხადა: „ასეთი მხოლოდ ერთი გვაქვს. ახლავე დაებრუნდები სამინისტროში და სასადილოდან თევზს წამოიღებ, ის ხომ ჯერ კიდევ იქ უნდა იყოს". მე დავთანხმდი: „ეს დრო შეგვიძლია ადვილად შევავსოთ. მშვენიერი საღამოა. შევარდნაძე ცოტა ხანს ალბათ სიამოვნებით დაჯდება ჩვენთან ბაღში. რაიმეს დავლევთ, თან წავისაუბრებთ კიდეც". ჩემი საბჭოთა კოლეგისა და ჩემ გარდა საუბარში მონაწილეობა უნდა მიეღო მხოლოდ ორ თარჯიმანს, რადგან ჩემი მეუღლე ვახშამს არ დაესწრებოდა.

მზარეული თავისი მანქანით გაემგზავრა, მაგრამ რვას ხუთი წუთი აკლდა, რომ უკანვე დაბრუნდა, შიშისგან კიდევ უფრო ფერდაკარგული. ასე სწრაფად როგორ მოხვედით-მეთქი, ვუთხარი. — „არა", — მიპასუხა მან, — „სამინისტროში არც მიესულვარ და ვერც მივალ. გზა გადაკეტილია ბატონი შევარდნაძის გამო, რომელიც წუთი წუთზე უნდა გამოჩნდეს". — „მეტი რაღა დაგვრჩენია", — მივუგე მე. — „სადილობის დაწყება უთევზოდ მოგვიწევს".

ცოტა ხანში შევარდნაძე გამოჩნდა. ჩვენ წვნიანი მივირთვით, სატაცურის სალათიც მოგვიტანეს და შემდეგ სიტყვის სათქმელად

გავემზადე, თუმცა ამგვარი შეხვედრების დროს საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი და მე სიტყვებს უკვე აღარ წარმოვთქვამდით. — „ძვირფასო კოლეგა შევარდნაძე", — ვთქვი მე, — „თქვენთვის ახლა თევზი უნდა მოერთმიათ, მაგრამ იგი გაქრა. სამზარეულოში არ იციან, რა იქნა თევზი; ესე იგი, თევზი არა გვაქვს. თქვენ ხედავთ, რომ სრულყოფილი გერმანიაშიც არაფერია". შემდეგ შევთავაზე ქალაქის რესტორანში წავსულიყავით; ჩემი მეუღლეც წამოვა-მეთქი. შევარდნაძე მაშინვე სიცილით დამთანხმდა, ამ შემთხვევამ ის ძალზე გაამხიარულა.

ამგვარად, ჩემმა მეუღლემ რიასთან დარეკა ღვინის რესტორან „მატერნუსში"* და ჩვენ მხოლოდ ორი მანქანით გავემგზავრეთ — დანარჩენმა მანქანებმა გოდესბერგისკენ გასწიეს, ვინაიდან მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენი ეს შეხვედრა კარგა ხანს გაგრძელდებოდა. რიამ მაგიდა რესტორნის უკან მდებარე ლამაზ, მცენარეებით დაფარული კედლებით გარშემორტყმულ ბაღში გაგვიმზადა. იქ დავსხედით — ორივე თარჯიმანი, შევარდნაძე, ჩემი მეუღლე და მე. ბაღში, სადაც სულ ათამდე მაგიდა იდგა, სხვა სტუმრებიც ისხდნენ. ერთ უფრო მოზრდილ სუფრასთან მარცხენა უკანა კუთხეში მამაკაცთა საზოგადოება იყო თავშეყრილი და მათ შორის სტატსმდივანი შრეკენბერგერი შევნიშნე, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში ფედერალურ კანცელარიაში გერმანული საიდუმლო სამსახურების კოორდინირებას ახდენდა. მის გარდა იქ იყვნენ ყველა გერმანულ სამსახურთა და უშიშროების უწყებათა ხელმძღვანელები: ფედერალური საინფორმაციო სამსახურის პრეზიდენტი, კონსტიტუციის დაცვის ფედერალური უწყების პრეზიდენტი, ფედერალური კრიმინალური სამსახურის პრეზიდენტი, სამხედრო კონტრდაზვერვის პრეზიდენტი და კიდევ რამდენიმე ბატონი ფედერალური კანცელარიიდან. მათ თავაზიანად დაგვიკრეს თავი.

ჩვენ თევზი შევუკვეთეთ, რაკიღა შინ ვერ მოვახერხეთ მისი მირთმევა. ქალბატონი რია მოგვიჯდა, თავისი განუმეორებელი გულითადობით სწრაფად მოიპოვა შევარდნაძის ნდობა და განაცხადა, რომ სურს მას განსაკუთრებულად ასიამოვნოს. ჩინებული მარწყვის

---

* კონრად ადენაუერის საყვარელი რესტორანი ბონში, რომელსაც ხშირად სტუმრობენ პოლიტიკოსები. (რედ.)

კრუშონი მაქვს და ახლავე გამოგიტანთო. ედუარდ შევარდნაძე დიდი სიამოვნებით შეექცა ამ სასმელს. უეცრად სტატს-მდივანი პროფესორი შრეკენბერგერი წამოდგა და ჩვენს მაგიდასთან მოვიდა: „ბატონო მინისტრო, ხომ არ წარმადგენდით ბატონ საგარეო საქმეთა მინისტრთან?" „ეს გახლავთ პროფესორი შრეკენბერგერი, რომელიც ცოტა ხნის წინ ფედერალურ კანცელარიაში მუშაობდა", — ვუთხარი შევარდნაძეს. როგორც ჩანს, შრეკენბერგერი ამ წარდგენამ არ დააკმაყოფილა. მან დაწერილებით განმარტა თავისი ფუნქცია, აღნიშნა, საიდუმლო სამსახურების კოორდინირება მევალებოდაო და საიდუმლო სამსახურის უფროსები — იგი თავისი მაგიდისკენ შებრუნდა — იქ სხედანო. ბატონებმა შევარდნაძის პატივსაცემად ჭიქები ასწიეს. ინფორმაციის ფედერალური სამსახურის პრეზიდენტმა ვიკმა, რომელიც წლების განმავლობაში ელჩად მუშაობდა მოსკოვში, შესძახა: „ნა ზდოროვიე".

საბჭოთა თარჯიმანი გაფითრდა, როცა ყოველივე ამას თარგმნიდა. ერთხანს მაწუხებდა ფიქრი, შევარდნაძეს არ ეგონოს, რომ თევზის გაქრობა მხოლოდ ფანდი იყო, რათა იგი ამ რესტორანში შემოგვეტყუებინა-მეთქი. ამიტომ ეს არცთუ მთლად მარტივი უხერხულობა ასეთი შენიშვნით გავაქარწყლე: „როდესაც მოსკოვში დაბრუნდებით, შეგიძლიათ სახელმწიფო უშიშროების თქვენს შეფს უთხრათ, რომ ყველა ის ადამიანი, რომელთაც იგი თავისი დოსიეების მეშვეობით მხოლოდ სურათით და ბიოგრაფიით იცნობს, „ნატურაში" იხილეთ". შევარდნაძემ გულიანად გაიცინა. ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ. ვიცოდით: აქ ერთმანეთის პირისპირ ორი ადამიანი ზის, ერთმანეთს რომ ენდობიან და შეუძლიათ არცთუ უბრალო სიტუაციასაც კარგად გაართვან თავი. პროფესორი შრეკენბერგერი დაგვემშვიდობა; ჩვენ კი შუაღამემდე ვისხედით რიასთან ერთად, ვსვამდით კურშონს და არც მხოლოდ იმ ერთი ბოთლით დავკმაყოფილებულვართ. ეს იყო ლაღად გატარებული საღამო, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ ვიცოდით, რაოდენ გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ისტორიული ვითარების პირისპირ ვიდექით.

როდესაც მეორე დილით შევარდნაძეს შევხვდი, მითხრა, არაჩვეულებრივი საღამო იყოო. და შემდეგ ისეთი რამ თქვა, რაც ჩვენთვის, დასავლურ დემოკრატიაში მცხოვრებთათვის, არცთუ ადვილი გასაგებია: რამდენი წელია ასე თავისუფლად საზოგადოებრივ

რესტორანში, სრულიად არაოფიციალურ, სახელდახელოდ მომზადებულ ვახშამზე მეგობრებთან ერთად აღარ ვმჯდარვარო. ესეც პოლიტიკაა — ადამიანურობის ელემენტი პოლიტიკაში. და ესეც ბადებს ნდობას, რომელსაც შეიძლება დავემყაროთ, როცა ამას გარემოება მოითხოვს.

ახლებური აზროვნება მოსკოვში

ივლისის პირველ კვირაში უამრავი საერთაშორისო შეხვედრა მქონდა, მათ შორის აგრეთვე საგარეო საქმეთა უწყებაში. 7 ივლისის საღამოს პარიზში როლან დიუმას შევხვდი აზრთა ურთიერთგასაზიარებლად. მომდევნო დღეს ბარბარა და მე ვალტერ შეელის დაბადების დღეს უნდა დავსწრებოდით, იგი სამოცდაათის ხდებოდა. მაინცში გამსინჯა პროფესორმა ჰოენფელნერმა, რომელმაც გაზაფხულზე ოპერაცია გამიკეთა; შედეგი დამაკმაყოფილებელი იყო. იმ დღეს ზეიმი — ჯერ ვალტერ შეელის სახლში ჰინტერტალში, შემდეგ კი სასტუმრო ალპინაში — ძალდაუტანებელი და მხიარული იყო. იქ მე უფრო ახლოს გავიცანი ვალტერ შეელის ომისდროინდელი ამხანაგები, რომელთა მეშვეობითაც მას უკეთესად გავუგე. იგი ამით კიდევ უფრო ამაღლდა ჩემ თვალში.

როდესაც კვირა დილით ბონში დავბრუნდით, საქმეებით სავსე საქაღალდეები დამხვდა. მათ შორის იყო 1989 წლის 4 ივლისით დათარიღებული დაგეგმვის შტაბის პროექტი, რომელიც ამ შტაბის ბრწყინვალე ხელმძღვანელს კლაუს ციტრონს გადმოეგზავნა, დამუშავებული საელჩოს მრჩეველის დოქტორ ვაისის მიერ. პროექტი ეხებოდა „შესაძლო სიახლეებს საბჭოთა კავშირის გერმანულ პოლიტიკაში ოთხმოცდაათიანი წლებისათვის“. მასში გაანალიზებული იყო გამონათქვამები, რომლებიც გაკეთდა გერმანიის მიმართ ოფიციალურ სამთავრობო დონეზე დაბალ წრეებში — მათ შორის იყო ზაგდალინის, ფალინის, პორტუგალოვის გამონათქვამები. რამდენად შეესაბამებოდა იქ მოყვანილი პრინციპები უფრო რეალისტურ, ნაკლები იდეოლოგიური შეფერილობის მქონე თვალსაზრისს? დასკვნა ისეთი იყო, რომ პერესტროიკის შინაგანმა ლოგიკამ ხალხი ახალ საგარეო პოლიტიკურ აზროვნებამდე უნდა მიიყვანოს, საბჭოთა

კავშირმა თავისი ნაციონალური ინტერესები ახლებურად უნდა განსაზღვროს შუა და აღმოსავლეთ ევროპაში და რომ მისთვის აუცილებელია, შემდგომ დინამიკური პროცესები და რეალობები ევროპის ორივე ნაწილში უფრო მეტად გაითვალისწინოს. ამასთან განსაკუთრებული ხაზგასმით იყო აღნიშნული ის, თუ როგორი მიზიდულობის ძალა აქვს ევროგაერთიანებას სოციალისტური ქვეყნებისათვის.

პროექტში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რაოდენ სერიოზულად ეკიდებოდნენ შიდა საბჭოური დისკუსიის მონაწილენი გერმანულ საკითხის დინამიკას. მართებულად იყო აღნიშნული: თუ ბრეჟნევისა და გრომიკოს კატეგორიული მოსაზრებით გერმანული საკითხი ისტორიის მიერ უკვე მოგვარებული იყო, გორბაჩოვმა კვლავ განაცხადა, აქ ჯერ საბოლოო სიტყვა ნათქვამი არ არისო. სხვათა შორის, აქ დამოწმებული იყო განცხადება, რომელიც გენერალურმა მდივანმა 1987 წელს ფედერალურ პრეზიდენტთან საუბრისას გააკეთა და რომელშიც მან აღნიშნა: დღეს ვერ ვიტყვით, რა იქნება ასი წლის შემდეგ — აზრი, რომელიც მე უკვე მაშინ, დადებითად შევაფასე, იმ დროს, როცა მის მიმართ რეაქციები გერმანიაში უფრო ნეგატიური იყო. ჩემი არგუმენტი 1987 წელს ასეთი იყო: მნიშვნელოვანი ის არის, რომ გორბაჩოვი გერმანიის საკითხს ღია საკითხად თვლის; დროის ფაქტორი ამ ვითარებაში აღარ წარმოადგენს პრინციპულ საკითხს. პროექტმა გაგვახსენა აგრეთვე 1988 წლის იანვარში შევარდნაძის მიერ გაკეთებული განცხადება, როდესაც მან — მიანიშნა რა გერმანულ საკითხზე — თქვა, ისტორიას არც ერთი კონსტიტუციისთვის ერთგულება არ შეუფიცავსო. ეს შეიძლებოდა გაგვეგო ასეც და ისეც, იმის მიხედვით, ამას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის და მასში დაფიქსირებული გერმანიის გაერთიანების ამოცანის მიმართ ვიტყოდით თუ გდრ-ის კონსტიტუციას ვიგულისხმებდით, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა გაყოფის დაკანონებას. ამ ანალიზის შედეგი მე მოგვიანებით გამოვხატე სიტყვებით, ევროპის გაერთიანება არ შეიძლება მოხდეს გერმანიის ირგვლივ. უპირველეს ყოვლისა, გამოიკვეთა, რაოდენ სწორი იყო, როცა ჩვენი კონსტიტუციის მამებმა ძირითადი კანონის პრეამბულაში მხარი დაუჭირეს გერმანული საკითხის ჩართვას ევროპული განვითარების კონტექსტში; იგივე ითქმოდა ბრანდტ-შეელის მთავრობაზე და გერმანიის ერთიანობისადმი მიძღვნილ მის

წერილზე. ამ ნათელმა, კონსტიტუციურად უფლებამოსილმა და პოლიტიკურმა მიზანმიმართულებამ სათავე დაუდო ჩვენს ძალისხმევას ევროთათბირის პროცესის სასარგებლოდ.

დაგეგმვის შტაბის დოკუმენტმა დაადასტურა აგრეთვე, რაც მე 1988 წლის შემოდგომაზე საბჭოთა კოლეგასთან საუბარში გამოვთქვი და მას შემდეგ მასთან ერთად მრავალჯერ განვიხილე. გონებაში კვლავ გამიცოცხლდა, როგორ დამოკიდებულებას ავლენდა შევარდნაძე მოლაპარაკების დროს ერთობლივი გერმანულ-საბჭოთა განცხადების მიმართ, რომელიც ჩვენ 1989 წლის ივნისში ვენუსბერგზე მოვამზადეთ გორბაჩოვის ვიზიტთან დაკავშირებით. ჩვენ ძალიან მივუახლოვდით გერმანული და ევროპული გაყოფის დაძლევის საკითხს. ახლა მთავარი ის იყო, რომ დაწყებული პროცესი არ შეფერხებულიყო.

ეს დასავლეთსაც ეხებოდა და აღმოსავლეთსაც, და ნიშნავდა ურთიერთგაგების პოლიტიკის გაგრძელებას საბჭოთა კავშირთან, განიარაღების პოლიტიკის გაგრძელებას და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან, უპირველეს ყოვლისა, პოლონეთთან და უნგრეთთან, სადაც უკვე მიმდინარეობდა რეფორმები, ასევე გდრ-სა და ჩეხოსლოვაკიასთან თანამშრომლობას, რომელთა მეთაურებიც გაოგნებულნი შეჰყურებდნენ მოვლენების განვითარებას. სწორედ ამ ფაზაში უნდა ჩაბმულიყვნენ ისინი დასავლეთ-აღმოსავლეთის დიალოგში. გარდა ამისა, ვარშავასთან დამოკიდებულებაში უნდა ცხადგვეყო, რომ ოდერსა და ნაისესთან პოლონეთის დასავლეთი საზღვრის შესანარჩუნებლად გდრ-ის და, ამდენად, გერმანიის გაყოფის შემდგომი არსებობა საჭირო აღარ იყო. ეს განმარტება მნიშვნელოვანი რჩებოდა ყველა პოლონელისთვის, ახალი სისტემის მომხრე იქნებოდა ის თუ ძველისა. იგივე ითქმოდა ყველა ჩვენი მოკავშირისა და პარტნიორის მიმართ დასავლეთსა და აღმოსავლეთში.

დასავლეთისთვის კი უნდა განგვემარტა, რომ შეცვლილი ვითარება ევროპაში ზეგავლენას ვერ იქონიებდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოზიციაზე ალიანსსა და ევროპულ გაერთიანებაში. ეჭვგარეშე უნდა ყოფილიყო, რომ ჩვენ ყველა შემთხვევაში — გაერთიანების შემდეგაც — ნატოსა და ევროპული გაერთიანების წევრად დავრჩებოდით. გერმანული ნეიტრალიზმი, გერმა-

ნიისთვის საგანგებო სტატუსის მინიჭება ან მისი სხვაგვარი განკერძოება ერთმნიშვნელოვნად უნდა გამორიცხულიყო. ამასთანავე არავითარი ეჭვი არ უნდა გაჩენილიყო ჩვენი ნება-სურვილის მიმართ, რომ ნამდვილად გვეწადა ევროპული გაერთიანების ევროპულ კავშირად გარდაქმნა.

შემდეგმა კვირამ ნათლად დამანახა ევროპული განვითარების წინააღმდეგობრიობები. 1989 წლის 12 ივლისს პრაღაში გავემგზავრე, სადაც ნაკლებად ნაყოფიერი საუბარი მქონდა საგარეო საქმეთა მინისტრ იოჰანესთან. ველაპარაკე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესაც. შემდეგ საუბარი მქონდა კარდინალ ტომაშეკთან, ღირსეულ, პატივსაცემ და თავისი მრწამსის ერთგულ ადამიანთან, რის შემდეგაც ჩვენს რეზიდენციაში ვაცლავ ჰაველს უნდა შეეხვედროდი. მან ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა თავისი მტკიცე ნებისყოფით, აზრების სიცხადით და თავდაჭერილობით. მე ბევრი მსმენოდა მასზე და ირჟი ჰაიეკსაც, 1968 წელს დუბჩეკის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი რომ ეკავა, საკმაოდ ველაპარაკე მის შესახებ. ვაცლავ ჰაველთან საუბარში ვთქვი, რომ მსურს გენერალურ მდივან იაკეშს ვთხოვო, რომ მან, ჰაველმა, გერმაული წიგნით ვაჭრობის სამშვიდობო პრემია პირადად მიიღოს ფრანკფურტში. ხნოუპეკის შემცვლელი საგარეო საქმეთა მინისტრი იოჰანესი რომ პარტიის მიერ დასახულ პოლიტიკას მისდევდა, ამას მაინცდამაინც არ გავუკვირვებივარ. მაგრამ ერთობ საგულისხმო იყო ის, როგორი შეუპოვრობით სურდა გენერალურ მდივან იაკეშს მეორე დილით, 1989 წლის 13 ივლისს, განემარტა ჩემთვის თავისი შეხედულება დემოკრატიის შესახებ ჩსსრ-ში. იგი არ იყო თანახმა ვაცლავ ჰაველისთვის საზღვარგარეთ გამგზავრების ნება დაერთო. მანამდე — როგორც ყოველთვის — რეზიდენციაში საუზმეზე შეეხვდი პროფესორ ჰაიეკს. მან დახატა თავის ქვეყანაში მოვლენათა წინარევოლუციური განვითარების რეალისტური სურათი. ამან დაადასტურა ჩემი ვარაუდი იმის შესახებ, რომ აქაც, ისევე როგორც გდრ-ში, მოსალოდნელი იყო რევოლუციური ცვლილებები.

ჩემი საერთო შთაბეჭდილების მიხედვით ჩეხეთის ხელმძღვანელობას არ ჰქონდა გაცნობიერებული იმ ცვლილებათა მასშტაბები, ევროპაში რომ ხდებოდა. როგორც ჩანდა, მას არ სურდა

თვალი გაესწორებინა ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი მდგომარეობისთვის. ვიდრე პრაღიდან გავემგზავრებოდი, რეზიდენციაში ვესაუბრე წინანდელ საგარეო საქმეთა მინისტრს ხნოუპეკს, რომელსაც გასული თხუთმეტი წლის განმავლობაში ხშირად შევხვედრივარ. არცთუ იშვიათად ცხარედ გვიკამათია, მაგრამ უფრო ხშირად უთანხმოებას ვივიწყებდით და საქმიანად და გულახდილად ვსაუბრობდით, ისე რომ, დროთა განმავლობაში — მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა — ერთმანეთთან კარგი პირადი ურთიერთობა დავამყარეთ. ხნოუპეკს საუცხოო კონტაქტები ჰქონდა მოსკოვთან. იგი ყოველთვის საბჭოთა ბანაკში შექმნილი ვითარების პლასტიკურ სურათს ხატავდა ისე, რომ ძირითად პოლიტიკურ ხაზს არ ღალატობდა — ეს იყო ჩემთვის შემეცნების მნიშვნელოვანი წყარო, თუმცა ის ისეთ ფორმულირებებს იყენებდა, არალოიალურობას ვერავინ დასწამებდა. პირიქით, ეს საუბრები მე შესაძლებლობას მაძლევდა იმგვარად მელაპარაკა, რომ არამარტო პრაღაში, არამედ მოსკოშიც არ შეეტანათ ეჭვი ჩვენი საჯაროდ გამოხატული პოზიციების სერიოზულობაში. ისედაც ხნოუპეკი უფრო გულახდილი იყო, ვიდრე სხვა აღმოსავლელი თანამოსაუბრენი. აშკარად ჩანდა, რომ ის მოვლენათა განვითარებას თანამდებობის პირებზე უკეთ აფასებდა. ალბათ ახლა უფრო თავისუფლად გამოთქვამდა აზრს; ყოველ შემთხვევაში, მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, სულაც არ წუხდა, საგარეო საქმეთა მინისტრი რომ აღარ იყო.

იმ კვირებში ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები მეუფლებოდა — დიდი რწმენა და იმედი გამიჩნდა, მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, რა პრობლემები და დაბრკოლებები გვქონდა დასაძლევი. პრაღიდან დაბრუნების დღესვე, 1989 წლის 13 ივლისს, პარიზისაკენ გავეშურე, მსოფლიო ეკონომიკურ სამიტზე, რომელიც პრეზიდენტ მიტერანის მიერ როგორც ყოველთვის ჩინებულად იყო ორგანიზებული და შედეგების თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვანი გამოდგა. საგარეო საქმეთა შვიდი მინისტრი საბჭოთა გავლენის სფეროში შექმნილ ვითარებას განვიხილავდით. ჩემი შეფასებით, შემდეგი ქვეყანა, სადაც თავი უნდა ეჩინა ცვლილებებისკენ სწრაფვას, გდრ იქნებოდა. რაკი იქაური ხელმძღვანელობა რეფორმებისათვის მზადყოფნის არავითარ ნიშანს არ ამჟღავნებს, ხალხი საიმედოს აღარაფერს ელის, და რასაც მოასწავებს ცვლილებების მოთხოვნა ეროვნული

იდენტურობის არარსებობის ვითარებაში, სავსებით აშკარაა-მეთქი. გარდა ამისა იმ შთაბეჭდილებებზეც ვილაპარაკე, რაც გორბაჩოვსა და შევარდნაძესთან საუბრებიდან დამრჩა.

მომდევნო დღეები გაერთიანებული ერების საშემოდგომო სხდომისთვის მზადებას უნდა მიძღვნოდა, გარდა ამისა მოახლოებული შვებულებისთვისაც უნდა დამეჭირა თადარიგი. თუმცა სიტყვა „შვებულების" უკან იმჟამად უფრო დიდი კითხვის ნიშანი იდგა, ვიდრე წინა წლებში. ჩემთვის აშკარა იყო, რომ ამ არდადეგების შეწყვეტა ბევრჯერ მომიწევდა.

1989 წლის 20 ივლისის დილით, ეს ხუთშაბათი გახლდათ, მორიგი სამედიცინო შემოწმებისთვის პროფესორ კესლერს ვეწვიე მალტის საავადმყოფოში. ელექტროკარდიოგრამას ნორმიდან გადახრა არ უჩვენებია. საგარეო უწყებაში გაეროში წარმოსათქმელი სიტყვის თაობაზე წინასწარი მსჯელობა გვქონდა, შემდეგ ელჩ ციტრონს ველაპარაკე, 12 საათისა და 30 წუთისთვის პარიკმახერთან გამოვცხადდი ბუნდესტაგის შენობაში. იქ იჩინა თავი უეცრად გულის ინფარქტის მკვეთრმა და აშკარა სიმტომებმა: ტკივილებმა ქვედა ყბის არეში, მედიკოსთა მიერ გამანადგურებელ ტკივილებად წოდებულმა.

მალტის საავადმყოფოში პროფესორ კესლერის მიერ დასმული დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანი იყო: გულის ინფარქტი. ლიზისის გამოყენებით გულის გვირგვინოვან არტერიაში თრომბი დაშალეს და ამით უშუალო საფრთხე მოიხსნა; უწინარეს ყოვლისა კი სასწრაფო კარდიოლოგიური მკურნალობით თავიდან იქნა აცილებული გულის შემდგომი დაზიანება. გულის კათეტერიზაციის ჩასატარებლად სასწრაფო დახმარების მანქანით წამიყვანეს ზიგბურგის საავადმყოფოში პროფესორ ებერჰარდ გრუბესთან, სადაც გამოირკვა, რომ გულის გვირგვინოვანი არტერია მხოლოდ თხუთმეტი პროცენტით იყო გახსნილი. აუცილებელი შეიქნა სისხლძარღვის ბალონური დილატაცია. ზიგბურგში, სადაც მას შემდეგ პროფესორმა გრუბემ საქვეყნოდ აღიარებული კარდიოლოგიური ცენტრი მოაწყო, იმ დროს დილატაციას — ანუ სისხლძარღვის გაფართოებას — ვერ ახერხებდნენ. ამიტომ ამ ოპერაციის ჩატარება ფრანკფურტის საუნივერსიტეტო კლინიკაში პროფესორ კალტენბახის პასუხისმგებლობით მისმა გამოცდილმა უფროსმა ექიმმა, პროფესორმა კობერმა, ითავა.

ცოტა ხანს, 29 ივლისამდე, საავადმყოფოში დავრჩი, ხოლო 31 ივლისს ბერხტესგადენში გავემგზავრე. სასწრაფო დახმარების მანქანაშიც და დილატაციის დროსაც მეუღლე გვერდიდან არ მომშორებია — ჩემი მდგომარეობის მიუხედავად ვგრძნობდი, რასაც ნიშნავდა ეს ყოველივე მისთვის. იტანჯებოდა, მაგრამ არაფერს იმჩნევდა.

მცირერიცხოვანი ხალხი ხსნის რკინის ფარდას: უნგრელთა სიმამაცე

8 აგვისტოს დაიხურა მუდმივი წარმომადგენლობა აღმოსავლეთ ბერლინში. გდრ დაჟინებით მოითხოვდა ფედერალური კანცელარიისაგან, ზემოქმედება მოეხდინათ ჩემზე, რათა დამეხურა ჩვენი საელჩოები ვარშავაში, პრაღასა და ბუდაპეშტში. ფედერალურ მინისტრს ზაიტერსს, რომელიც ამ მოთხოვნას კურირებდა, კარგად ესმოდა, რომ მე ჰუმანური, კონსტიტუციურ-სამართლებრივი, მაგრამ აგრეთვე პოლიტიკური მოსაზრებითაც ამაზე უარს ვიტყოდი: ჩვენი ამოცანა ის როდი იყო, კედელი ბუდაპეშტის, პრაღისა თუ ვარშავისკენ წაგვეგრძელებინა. პირიქით, ჩვენ მოვალენი ვიყავით, გდრ-ში მცხოვრები ადამიანებისთვის გზა გაგვეხსნა თავისუფლებისკენ. ქვეყნიდან ხალხის გაქცევის მიზეზები თვით გდრ-ში იყო საძიებელი და გდრ-შივე უნდა აღმოფხვრილიყო. აგვისტოში აღარ ჩავთვალეთ საჭიროდ, თავშესაფრის მაძიებელთათვის ჩვენს ბუდაპეშტის საელჩოში მიგვეჩინა ბინა, ვინაიდან უნგრეთის ხელმძღვანელობამ აღგვითქვა, რომ აღარავის მიაბრუნებდა გდრ-ში. მართლაც საზღვარი უნგრეთსა და ავსტრიას შორის მალევე გაიხსნა. 22 აგვისტოს იგი მარტო ერთ ადგილას ორასმა კაცმა გადაკვეთა.

მოვლენების განვითარება შუა ევროპაში, მეტადრე გდრ-ში, ჩსსრ-სა და უნგრეთში არავითარ ანგარიშს არ უწევდა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობას. საგარეო საქმეთა მინისტრ ჰორნთან მუდმივი კონტაქტი მქონდა. ამასობაში უნგრეთმა ლტოლვილთა დიდი ბანაკი მოაწყო, ვინაიდან ჩვენი საელჩო ბუდაპეშტში ვერ აუდიოდა ლტოლვილთა ნაკადს გდრ-დან; ამავდროულად უნგრე-

თის მთავრობა ძლიერ ზეწოლას განიცდიდა აღმოსავლეთ ბერლინიდან. ჩვენი სურვილი იყო, უნგრეთისთვის რაც შეიძლება გაგვეადვილებინა გდრ-დან გამოქცეული ადამიანების დასავლეთში გამგზავრების პროცესი და მზად ვიყავით, ამ საქმეში ლტოლვილებზე პასუხისმგებელი გაეროს მაღალი რანგის კომისარიც ჩაგვერთო. ჩემი დავალებით კვლავაც გაფრინდა სახელმწიფო მდივანი ზუდჰოფი ჩემი სამინისტროს ბიუროს ადრინდელ ხელმძღვანელ იანზენთან ერთად ბუდაპეშტში. უკან დაბრუნებისას ისინი ზალცბურგში შეჩერდნენ, იქიდან ბერხტესგადენში ჩამოვიდნენ მოსალაპარაკებლად. რაკი გულის ინფარქტი ახალი გადატანილი მქონდა, მე თვითონ ჯერ კიდევ არ შემეძლო მგზავრობა. პროფესორმა კესლერმა ენერგიული პროტესტი გამოთქვა ბუდაპეშტში ჩემი გამგზავრების წინააღმდეგ — როგორც თვითმფრინავით, ასევე ავტომობილით. შინაგანად მე მას ვეთანხმებოდი. ახალი ჩემთვის ის იყო, რომ გულის არითმიამ იჩინა თავი. ბერხტესგადენშიც ვსაჭიროებდი სამედიცინო დახმარებას.

ამავე დროს მუდმივი სატელეფონო კავშირი მქონდა როგორც საგარეო უწყებასთან, ასევე დიულა ჰორნთან. რა უნდა გვეღონა საიმისოდ, რომ ბუდაპეშტში აღმოსავლეთ ბერლინის ზეწოლისთვის გაეძლოთ? ჩემი ვარაუდი, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ჰორნი გდრ-დან ლტოლვილთა დასავლეთში გამგზავრებას მოახერხებდა, გამართლდა: იგი პრემიერ-მინისტრ ნემეთთან შეთანხმებულად მოქმედებდა.

უნგრეთმა დიდი სიმტკიცე და განსაცვიფრებელი გაბედულება გამოიჩინა, რისი წყალობითაც ეს ქვეყანა იმ კვირების განმავლობაში პირდაპირ ადამიანურობის შუქურად მოგვევლინა. უნგრეთი — ეს გახლდათ ამ ქვეყნის მცირერიცხოვანი, მამაცი ხალხი და მისი რეფორმისტულად განწყობილი კომუნისტური ხელმძღვანელობა, რომელიც ძველი კადრების რიგებიდან იყო გამოსული. შესანიშნავმა პიროვნებებმა საკუთარ თავზე აიღეს პასუხისმგებლობა და მიიღეს გადაწყვეტილება დემოკრატიისა და ადამიანურობის სასარგებლოდ: დიულა ჰორნის სამუდამო ისტორიულ დამსახურებად დარჩება ის, რომ იგი თავის მეგობრებთან და თანამოაზრეებთან ერთად ამ გზას დაადგა. კიდევ ორი სახელი იქცევს ყურადღებას იმ დღეებიდან: იმრე კოზმა, უნგრეთის მალტური კარიტასის პრეზიდენტი, რომ-

ლის ეკლესია, ბუდაპეშტ-ცუგლიტის სამრევლო ეკლესია, სასოების ცენტრად იქცა, და ბუდაპეშტის ანგელოზი, ბარონესა სილა ფონ ბიოზელაგერი, დაბადებული 1941 წელს ბუდაპეშტში (ქალიშვილობის გვარი ფონ დენგელეკი). 1945 წელს მისი მშობლები მასთან ერთად გაიქცნენ ბავარიაში, 1947 წლიდან ვენესუელაში ცხოვრობდა, მერე აშშ-ში, ბოლოს კი (სამუდამოდ) გერმანიაში დამკვიდრდა, სადაც 1973 წელს ბარონ ვოლფჰარდ ფონ ბიოზელაგერს გაჰყვა ცოლად, რომელთან ერთადაც ცხოვრობდა არნსბერგთან მდებარე ჰიოლინგჰოფენის სასახლეში. აქ დაიწყო სამი შვილის დედამ საქველმოქმედო მოღვაწეობა, რამაც თავის მწვერვალს ბუდაპეშტში მიაღწია. 1994 წლის 23 თებერვალს ეს საოცარი ქალბატონი ჰიოლინგჰოფენში გარდაიცვალა.

იმის გასარკვევად, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო პრაქტიკულად გდრ-ის მოქალაქეთა უნგრეთიდან გამგზავრება — ავტობუსებით თუ მატარებლებით —, დიულა ჰორნი და მე რაც შეიძლება სწრაფად უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. ჰორნმა მაცნობა, რომ პრემიერ-მინისტრ ნემეთთან ერთად სურდა მოსვლა ფედერალურ კანცლერთან და ჩემთან მოსალაპარაკებლად, რისთვისაც მან შეხვედრის ადგილად თავდაპირველად ავსტრია შემოგვთავაზა, რადგან ნემეთსა და მას იქ გამგზავრება მანქანით შეეძლოთ. ეს ნაკლებ თვალშისაცემი იქნებოდა, ვიდრე თვითმფრინავით მგზავრობა. მე ბერხტესგადენი შევთავაზე, სადაც შვებულებას ვატარებდი. ჰელმუთ კოლი, რომელთანაც მუდმივი სატელეფონო კავშირი მქონდა სანკტ ვოლფგანგში — ის იქ ისვენებდა — საკითხის მნიშვნელობის გამო მზად იყო, იქ მოსულიყო, სადაც ჩვენ დავთქვამდით შეხვედრას. ბოლოს ჰორნმა მაცნობა, სრულიად საიდუმლოდ ვაპირებ ბონში თვითმფრინავით გამომგზავრებასო.

ბოლოს და ბოლოს შეხვედრა შედგა 1989 წლის 25 აგვისტოს, პარასკევს, გიმნიხის სასახლეში. პროფესორმა კესლერმა ყოყმანით, მაგრამ მაინც დამრთო ნება, ბონში გავფრენილიყავი და შვებულება დროზე ადრე დამემთავრებინა. 1989 წლის 25 აგვისტოს 8 საათზე ჩემი მეუღლე და მე ბონში დავბრუნდით. აეროპორტიდან მანქანით გავემგზავრე გიმნიხის სასახლეში, სადაც 10 საათისთვის დაგეგმილი იყო ნემეთსა და ჰორნთან შეხვედრა უმკაცრესად გასაიდუმლოებულ ვითარებაში. რას შემოგვთავაზებდნენ ისინი? იშვიათ-

ად წავსულვარ რომელიმე შეხვედრაზე ამგვარი მოლოდინით. ნემ-ეთი პრაგმატული ეკონომიკური რეფორმატორი იყო, რომელიც ჩინებ-ულად გაართმევდა თავს გერმანული სააქციო საზოგადოების ხე-ლმძღვანელობას. ჰორნი კი, რომელსაც მრავალჯერ შევხვედრივარ ჯერ კიდევ იმ დროს, როცა სახელმწიფო მდივანი იყო, მაღალკვალ-იფიციური დიპლომატი გახლდათ. მასთან საუბრებიდან, აგრეთვე ბონში უნგრეთის ელჩის დრ. იშტვან ჰორვატის მონათხრობიდან ვიცოდი, რომ იგი თანმიმდევარი რეფორმატორი იყო, რომელიც უწინარეს ყოვლისა უნგრეთის საკეთილდღეოდ ზრუნავდა. ეს პატ-არა, ტანმორჩილი კაცი მამაცი ადამიანის რეპუტაციით სარგე-ბლობდა და მას შეგნებული ჰქონდა თავისი პასუხისმგებლობა. ჯერ კიდევ დასუსტებული მივესალმე ორივეს გიმნიზის მწვანე გაზონზე შვეულმფრენის დაშვების შემდეგ. მერე გავემგზავრეთ მთავარი შენო-ბისკენ და ჰელმუთ კოლს დაველოდეთ. ისიც მალე შემოგვიერთდა.

ჰორნმა გვიამბო იმ უსიამოვნო მოლაპარაკებებზე, რომლებიც მან აღმოსავლეთ ბერლინში აწარმოა; ეს ყველაზე მძიმე საუბრები იყო, რაც კი ოდესმე მქონიაო. გდრ-ის ხელმძღვანელობა მას ხე-ლშეკრულების დარღვევაში ადანაშაულებდა, ვინაიდან არსებობდა ხელშეკრულება, რომელიც ორივე მხარეს ავალდებულებდა ლტოლ-ვილების გაცვლას. უნგრეთმა კი თავისი უარით, კვლავ დაეხურა რკინის ფარდა ან უკან დაებრუნებინა ლტოლვილები, დიდი ხანია გადალახა „სოციალისტური სოლიდარობის" რუბიკონი.

უნგრელმა პოლიტიკოსებმა ისიც გვაუწყეს, რომ ვარშავის ხელშეკრულების ბუქარესტის სამიტზე მათ ორმხრივი ურთიერთთო-ბების მარეგულირებელი დოკუმენტის ახალი პროექტის მომზადება მოითხოვეს, რომელიც ყველა წევრ ქვეყანას მისცემდა უფლებას, განვითარების საკუთარ გზას დასდგომოდა და თვითონ აერჩია საკუთარი სოციალური და პოლიტიკური სისტემა. მაგრამ, ეტყობა, ამ წინადადებამ ვერ პოვა მხარდაჭერა და მხოლოდ გორბაჩოვის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ მოიწონეს სხვა მონაწილეებმაც ახალი ტექსტი. მიუხედავად შიდაპოლიტიკური განვითარების თავისე-ბურებებისა, ყველა სახელმწიფო უნდა დარჩენილიყო ვარშავის ხელშეკრულების წევრად. გორბაჩოვის დამოკიდებულება ცხადყოფდა, რომ ის მყარად იდგა გერმანია-საბჭოთა კავშირის ერთობლივი განცხადების პოზიციებზე — ეს იყო ფრონტების შებრუნება. გასულ

ათწლეულებში ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა მხრივ მეტი დამოუკიდებლობის მიღწევის ყველა მცდელობას საბჭოთა კავშირი თრგუნავდა; ახლა იგი ხელს უწყობდა და მხარს უჭერდა ამ განვითარებას. შეხვედრის დასასრულს ჰელმუთ კოლი და მე დარწმუნებულნი ვიყავით: ჩვენი გდრ-ელი თანამემამულეების პრობლემას უნგრეთი ისე გადაწყვეტდა, როგორც ჩვენთვის იყო სასურველი. ჩვენ განვმარტეთ მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის ჩვენი პოლიტიკა ვარშავის ხელშეკრულების იმ სახელმწიფოებთან, რომლებმაც გადაწყვიტეს რეფორმათა გზას დასდგომოდნენ. ფინანსური მოთხოვნები ჩვენს უნგრელ სტუმრებს არ წამოუყენებიათ.

29 აგვისტოს კვლავ გამოვცხადდი პროფესორ კესლერთან. მან გამაფრთხილა, ორიოდე კვირა თავი შემეკავებინა და სრული დატვირთვით არ მემუშავა. ეს ნიშნავდა, შინ გავცნობოდი დოკუმენტებს, შინვე მეწარმოებინა მოლაპარაკებები და ძალიან იშვიათად მივსულიყავი სამინისტროში. ამიტომ უნგრეთის ელჩი ჰორვატი, რომელმაც 5 სექტემბერს მთხოვა შეხვედრა, შინ მივიღე. ის ჩემთვის ისევე ახლობელი და სანდო იყო, როგორც ჩვენი პარტნიორები და მოკავშირენი. ჰორვატმა დაადასტურა, რომ ძალაში რჩებოდა უნგრეთის მხარის სამი მნიშვნელოვანი დაპირება:

1. გდრ-დან უნგრეთში მოხვედრილ ლტოლვილთა პრობლემა ორ გერმანიას შორის მოლაპარაკებით უნდა გადაჭრილიყო.

2. უნგრეთის მთავრობას ჰუმანიტარული საკითხების მოსაგვარებლად უნდა ეზრუნა.

3. უნგრეთის მთავრობა ლტოლვილებს გდრ-ს არ გადასცემდა.

ოღონდ ჰორვატმა უკმაყოფილება გამოთქვა როგორც მთავრობის წევრთა, ასევე ოპოზიციის საინფორმაციო პოლიტიკის გამო. ის კი ხაზგასმით აღნიშნა, ამ კრიტიკას საგარეო უწყება არ იმსახურებსო. მითქმა-მოთქმა, თქვა მან, ჩემ მთავრობას საქმეს კიდევ უფრო ურთულებსო. მე ვთხოვე, რაც შეიძლება სწრაფად გაემგზავრებინათ ლტოლვილები ავსტრიის გავლით და ყველა შესაძლო სატრანსპორტო დახმარება აღვუთქვი.

მეორე დილით, 6 სექტემბერს, უნგრეთის ელჩმა ჩემ თანამშრომელს ფრანკ ელბეს აცნობა, რომ ეს საკითხი 1989 წლის 10 სექტემბრამდე მოგვარდებოდა. მან დაბეჯითებით მოითხოვა, ზეგავლენა მოგვეხდინა პოლიტიკოსებსა და პრესაზე, რათა მათ თავშეკავება

გამოეჩინათ. მისი ეს თხოვნა მე საგარეო უწყების სპიკერს, იურგენ ხრობოგს გადავეცი; მერე ჰელმუთ კოლს, ვოლფგანგ მიშნიკსა და ჰანს-იოხენ ფოგელს დავურეკე. მათაც ვთხოვე, თავ-თავიანთი პარტიისა და ფრაქციის წევრებზე სათანადო ზემოქმედება მოეხდინათ. მაგრამ უკვე 7 სექტემბერს კვლავ შეგვეხმიანა იშტვან ჰორვატი, ერთი საგაზეთო პუბლიკაციით აღშფოთებული, რომლის მიხედვითაც თითქოს უნგრეთი ლტოლვილების გასტუმრებას აყოვნებდა, რათა გერმანიისთვის მეტი ფული გამოეძალა. ჰორვატის აზრით, ეს შეხედულება სამთავრობო წრეებიდან მოდიოდა. ელბემ ეს საყვედური უმართებულოდ მიიჩნია. მოგვიანებით დავადგინეთ, რომ ჰორვატი მართალი ყოფილა.

1989 წლის 6 სექტემბერს ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს იგლბარჯერსაც შევხვედი. მისი სურვილით ჯერ გერმანულ-ამერიკულ ურთიერთობებზე ვისაუბრეთ, რომლის დროსაც მე ხაზი გავუსვი ჩვენი ურთიერთთანამშრომლობის და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მნიშვნელობას და აღვნიშნე, რომ ჩვენთან ანტიამერიკული განწყობილება აღარ სუფევდა. მოკლედ შევეხეთ მდგომარეობას საბჭოეთის გავლენის ზონაში. შემდეგ გავაცანი იმ საუბრის შინაარსი, რომელიც ფედერალურ კანცლერსა და მე გვქონდა ორი კვირის წინ უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ნემეთსა და საგარეო საქმეთა მონისტრ ჰორნთან. ბოლოს იგლბარჯერს გავუზიარე ჩემი შეხედულებანი ვარშავის ხელშეკრულების სხვადასხვა ქვეყანაში მოვლენების მოსალოდნელი განვითარების თაობაზე და უპირველეს ყოვლისა შევეხე გდრ-ში შექმნილ მძიმე მდგომარეობას.

ამასთან დაკავშირებით გამოვთქვი აზრი, რომ პოლონეთში რეფორმატორული პოლიტიკის მხარდასაჭერად იქნებ იქ აშშ-დან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან და გერმანიიდან მაღალი რანგის პიროვნებანი და სპეციალისტები გაგვეგზავნა, რომელნიც მრჩეველთა მოვალეობას შეასრულებდნენ. გერმანიის მხრივ შეიძლება ეკონომიკის ყოფილი მინისტრის კარლ შილერისა და „დოიჩე ბანკის“ გამგეობის სპიკერის, ალფრედ ჰერჰაუზენის წარგზავნაზე გვეფიქრა-მეთქი. ჯერ კიდევ 1988 წლის დეკემბერში — თუმცა სრულიად სხვა ვითარებაში — პარიზში ვალენსას ველაპარაკე ამ საკითხზე.

განმეორებითი შეხვედრა ბონში: პოლონეთში შეხვედრის შემდეგ 1989 წლის 8 სექტემბერს პოლონელ მუშათა მეთაური ლეხ ვალენსა ბონში ჩამოდის. საგარეო საქმეთა მინისტრმა გენშერმა იგი ვენუსბერგის სასტუმრო სახლში მიიღო.

მდგომარეობა უნგრეთში, მეტადრე ნემეთ-ჰორნის მთავრობის გეგმები, ჩემს სტუმართან საუბრისას დადებითად შევაფასე. არა მხოლოდ მადლიერების, არამედ ჩემი მრწამსის გამო მე თავს უნგრეთის ქომაგად ვთვლიდი, უნგრეთისა, რომელიც აშშ-საგან უფრო დიდ მხარდაჭერას მოელოდა. მერე იგლბარჯერს ერთი უნგრული დოკუმენტი გადავეცი, რომელშიც განმარტებული იყო, როგორ ესახებოდათ ბუდაპეშტში მომავლის პერსპექტივები. გარდა ამისა ვისარგებლე შემთხვევით და განსაკუთრებული მადლიერება გამოვთქვი ნემეთისა და ჰორნის მიმართ გდრ-დან ლტოლვილი ადამიანებისადმი მათი გულისხმიერი დამოკიდებულების გამო. მე მოვახსენე იგლბარჯერს ის, რაც უკვე ნათქვამი მქონდა ჩემი კოლეგებისთვის მსოფლიო ეკონომიკურ სამიტზე – შემდეგი სახელმწიფო, რომელსაც ქვეყანაში მოვლენათა განვითარების სადავეები ხელიდან გაუსხლტებოდა, გდრ იქნებოდა.

5 სექტემბერს როლან დიუმას ვიზიტისა და 6 სექტემბერს ლოურენს იგლბარჯერის სტუმრობის შემდეგ, 8 სექტემბერს ბონში ლეხ ვალენსა ჩამოვიდა დელეგაციითურთ. შემოდგომის იმ მშვენი-

ერ დღეს ვენუსბერგზე, კერძოდ საგარეო უწყების სასტუმრო სახლის ტერასაზე ვისხედით და ვმსჯელობდით მოვლენათა განვითარების შესახებ პოლონეთში — განსაკუთრებით კი იმაზე, თუ რა შესაძლებლობები ეძლეოდათ გერმანიას და სხვა დასავლურ ქვეყნებს საიმისოდ, რომ ვარშავის მთავრობას გვერდში ამოსდგომოდნენ. სულ უფრო საგრძნობი ხდებოდა გარდაქმნის მაცოცხლებელი სიოს ქროლვა, და სადაც მის უგულებელყოფას შეეცდებოდნენ, როგორც ეს, მაგალითად, პრაღასა და აღმოსავლეთ ბერლინში მოხდა, იქ შესაძლოა იგი ჩქარა ქარიშხალში გადაზრდილიყო. კვლავაც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ლეხ ვალენსამ თავისი ქარიზმითა და ნებისყოფით. ჩემი თანამშრომლები, რომელთაც ის მანამდე არ ენახათ, მოხიბლულნი ჩანდნენ ამ კაცის პიროვნებით, დანციგის გემთსაშენიდან რომ დაიძრა და მეოცე საუკუნის ანალებში შეაბიჯა. მე აღვუთქვი მას ჩვენი დახმარება დემოკრატიული პოლონეთის აღმშენებლობის საქმეში. საზღვრის საკითხთან დაკავშირებით განვაცხადე: „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დემოკრატიული გერმანია, პოლონეთის დასავლეთი საზღვრის გარანტის როლს გდრ-ს და საბჭოთა კავშირს არ დაუთმობს". როცა საღამოს ჩემს მეუღლეს ამ შეხვედრის შესახებ ვუამბობდი, ვკითხე: „ნეტა თუ იციან მათ, ვისაც საზღვრის საკითხის ღიად დატოვება სურს, რომ ამით ისინი გმანავენ იმ გასასვლელს, რომელსაც გერმანიის გაერთიანებისკენ მივყავართ, ვინაიდან გარანტის როლს გდრ-ს უთმობენ?"

რაც უფრო მეტს ვფიქრობდი ვალენსასთან შეხვედრისა და ევროპაში მოვლენათა განვითარების შესახებ, მით უფრო ვიხრებოდი იმ აზრისკენ, რომ, როცა სექტემბრის ბოლოს გაეროში მომიწევდა სიტყვით გამოსვლა, პოლონეთისთვის სასაზღვრო გარანტია მიმეცა.

ნიუ-იორკიდან პრაღისაკენ

7 სექტემბერს დიტერ კასტრუპმა ტელეფონით შემატყობინა, რომ მისმა ვიზიტმა პრაღაში, სადაც სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ცდილობდა, ჩვენს საელჩოში ეპოვა თავშესაფარი, შედეგი

ვერ გამოიღო. ერთადერთი, რაშიც ჩეხურმა მხარემ ანგარიში გაგვიწია, ის იყო, რომ პროდუქტებით საელჩოს მომარაგება არ დაუბრკოლებიათ. საღამოს კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი მოვიდა ბუდაპეშტიდან, ინფორმაცია, რომელიც ჩვენთვის ხსნის ტოლფასი იყო. სანდო წყაროს მეშვეობით შევიტყვეთ, რომ გდრ-ის მოქალაქეთა გამგზავრება დაუყოვნებლივ დაიწყებოდა. მე ძალიან ბედნიერი ვიყავი.

მეორე დღეს გდრ-ის 117-მა მოქალაქემ დატოვა მუდმივი წარმომადგენლობა აღმოსავლეთ ბერლინში, სადაც მათ თითქმის ექვსი კვირა დაჰყვეს. მანამდე მათ დაუსჯელობის გარანტია მისცეს, სურვილისამებრ შეეძლოთ თავ-თავიანთ სამუშაო ადგილებს დაბრუნებოდნენ, ხოლო თუ ქვეყნის დატოვებას მოისურვებდნენ, ამისთვის საჭირო იურიდიული თანადგომაც აღუთქვეს.

ამან კვლავ გაღიზიანება გამოიწვია ბუდაპეშტში, სადაც გდრ-ის ელჩი სახელმწიფო მდივანს, შემდგომდროინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს კოვაჩს დაელაპარაკა და უთხრა, თუკი აღმოსავლეთ ბერლინში ფედერაციული რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობის ლტოლვილთაგან დაცლა შესაძლებელი გახდა ისე, რომ მათთვის დაუყოვნებლივ გამგზავრების გარანტია არავის მიუცია, რატომ ვერ უნდა მოხერხდეს ასეთი რამ უნგრეთშიო. რაკი ჩვენ საგარეო უწყებაში საქმის ვითარებას დეტალურად არ ვიცნობდით — მუდმივი წარმომადგენლობა ჩვენს დაქვემდებარებაში არ იმყოფებოდა —, ამიტომ ფედერალურ კანცელარიას დავუკავშირდით, რის შემდეგაც ფედერალურ მინისტრ ზაიტერსსა და მის თანამშრომლებთან შეთანხმებით ბუდაპეშტში ელჩ არნოტს მითითება გაეგზავნა. მან სასწრაფოდ ინახულა უნგრეთის სახელმწიფო მინისტრი, რომელიც ჩვენი განმარტებით კმაყოფილი დარჩა. მართლაც ადვოკატ დოქტორ ფოგელს აღმოსავლეთ ბერლინის მუდმივ წარმომადგენლობაში გდრ-ის მოქალაქეებისთვის არავითარი ფორმალური თანხმობა არ მიუცია გამგზავრების თაობაზე, მაგრამ რეალური იმედი კი ჩაუსახა მათ. ხოლო ყოველივე, რასაც დოქტორი ფოგელი შესაძლებლად მიიჩნევდა, მუდამ კორექტულად სრულდებოდა. სხვათა შორის ამაზეც ვფიქრობდი, როცა 1993 წელს დოქტორ ფოგელს პროცესი მოუწყვეს. არასოდეს არაფერი მსმენოდა გდრ-დან ლტოლვილთა საჩივრებზე, რომლებიც იმის საბაბს მოგვცემდა, რომ ფოგელი ეგრეთ წოდებული საელჩოთა საქმეების წარმოებისგან —

ყოველ შემთხვევაში ჩემი სამოღვაწეო სფეროს ფარგლებში — ჩამოგვეშორებინა. განა შეგვეძლო, იმისთვის, ვისაც ჩვენ გარდატეხამდე ჰუმანიტარულ საკითხებში დახმარებასა და მხარდაჭერას ვთხოვდით, გარდატეხის შემდეგ სხვა თვალით შეგვეხედა?

10 სექტემბრის ნაშუადღევს ბუდაპეშტიდან მოვიდა გამგზავრების დასტური. მიხაელ იანზენმა, წლების განმავლობაში ერთ-ერთმა ჩემმა უახლოესმა თანამშრომელმა, რომელიც მე ბუდაპეშტში მივავლინე, ამ ქალაქში განთავსებულ ერთ-ერთ ბანაკში თვითონ გამოაცხადა, რომ გამგზავრება ნებადართული იყო. როცა დაბრუნდა, მითხრა, ის წამი დაუვიწყარი იქნება ჩემთვისო. ელჩ არნოტსაც ასეთივე განცდა დაეუფლა სხვა ბანაკში.

ამასობაში გდრ-ის რამდენიმე წარმომადგენელმა ბუდაპეშტში ერთხელ კიდევ სცადა, ლტოლვილებისთვის აზრი შეეცვლევინებინა, რისთვისაც მათ, უკან ნებაყოფლობით დაბრუნების შემთხვევაში, დაუსჯელობა აღუთქვა. მაგრამ ამ საშუალებით იმ დროს უკან ვეღარავის დააბრუნებდი. გარდა ამისა უნგრეთში მყოფ გდრ-ის მრავალ მოქალაქეს უკვე მიღებული ჰქონდა ფედერაციული რესპუბლიკის პასპორტი, სხვანი კიდევ წითელი ჯვრის საბუთს ფლობდნენ, რომელიც ასევე წევდა პირადობის მოწმობის მაგივრობას. ახლა მათ გდრ-ის პასპორტებითაც შეეძლოთ გამგზავრებულიყვნენ!

გდრ-მა უნგრეთის ამ გადაწყვეტილებას მძაფრი კრიტიკით უპასუხა, რომლის მიღმა სინამდვილეში დაბნეულობის მეტი არაფერი იმალებოდა. ჩვენ, ფედერალურმა კანცლერმა კოლმა და მე, მადლობა მოვახსენეთ უნგრეთის მთავრობას, რადგან ძალიან კარგად ვიცოდით, რაოდენ პრინციპული გადაწყვეტილების მიღება მოუხდა მას: ეს იყო ადამიანურობის, ევროპული სოლიდარობის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება. რკინის ფარდა საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს. ასე რომ, ის სიტყვები, რომლითაც მე უნგრეთს მივმართე, მადლიერებით აღსავსე გულიდან იყო წამოსული: „ჩვენ, ვინც ბოლო კვირების განმავლობაში ბანაკებს თავშეფარებულ გერმანელებთან ერთად ვღელავდით და ვნერვიულობდით, არ დავუვიწყებთ უნგრეთს საკუთარი პასუხისმგებლობით მიღებულ ამ გადაწყვეტილებას. ჩვენი მადლობა უნგრელ ხალხსა და მის მთავრობას იმ გულისხმიერებისა და დახმარებისთვის, რაც მათ გდრ-იდან ლტოლვილი გერმანელების მიმართ გამოიჩინეს“.

მერე თავი იჩინა ახალმა, გაუთვალისწინებელმა სიძნელემ: ჩეხოსლოვაკიამ ხალხს გადაუკეტა საზღვრები უნგრეთთან! ამით ის გზა, რომელიც ცოტა ხნის წინ ღია ჩანდა გდრ-იდან გაღწევის მოსურნეთათვის, ისევ გაუქმდა. გდრ-ის დატოვების მსურველნი სასოწარკვეთილნი მიადგნენ ჩვენს საელჩოებს პრაღასა და ვარშავაში. უნგრეთში ჩვენ გულისხმიერ და რეფორმებზე ორიენტირებულ მთავრობასთან გვქონდა საქმე, პრაღაში კი პირიქით, ჯერ კიდევ რეფორმების მიმართ მტრულად განწყობილი ხელმძღვანელობა ბატონობდა. არ იყო გამორიცხული, რომ ისინი, ვისაც ჩვენს პრაღის საელჩოში აღარ მიიღებდნენ, უკანვე დაებრუნებინათ გდრ-ში! ამიტომ მითითება გავეცი, რომ ლტოლვილები შეუზღუდავი რაოდენობით მიეღოთ, დაებინავებინათ და საკვებითაც მოემარაგებინათ ისინი.

გდრ-ის მოქალაქეები სარისკო გზას დაადგნენ, როცა ფედერაციულ რესპუბლიკაში საცხოვრებლად გადასვლის გადაწყვეტილება მიიღეს. ჰაიჰარად ვერავინ აიღებს ხელს სამშობლოზე, შეჩვეულ გარემოზე. მსგავსი რამ ხომ მეც გადამხდა თავს, როცა 1952 წელს გდრ დავტოვე, და უკვე ამის გამო არ მიმაჩნდა მართებულად, ფედერაციულ გერმანიაში საცხოვრებლად გადასვლის მსურველთა ქმედების ახსნა უპირატესად მატერიალური დაინტერესებით. ადამიანური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური უპერსპექტივობა მართლაც ცენტრალურ როლს თამაშობდა, ამიტომ მოვუწოდებდი იმ დღეებში აღმოსავლეთ ბერლინის ხელმძღვანელობას, ბოლოს და ბოლოს აღმოეფხვრათ ის მიზეზები, რის გამოც ხალხი გდრ-ს ტოვებდა.

1989 წლის 11 სექტემბერს ოფიციალურად განვაახლე მუშაობა, რომელიც, კაცმა რომ თქვას, არც არასოდეს შემიწყვეტია. ახლა დადგა ნორმალური სამსახურებრივი შეხვედრების დრო. სამშაბათს ჩემთან ირმგარდ შვეცერი და გერჰარტ ბაუმი მოვიდნენ აღმოსავლეთ ბერლინელ პასტორ რაინერ ეპელმანთან ერთად. ეპელმანი შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი გულწრფელობით; როგორც ჩანდა, იგი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პოლიტიკურ ორიენტირს ეძებდა. სიამოვნებით გადმოვიბირებდა მას ჩვენს მხარეზე. მერე ელჩი ჰორვატი გამოჩნდა. მან, გულაჩუყებულმა მადლობის გამომხატველი და მეგობრობის დამადასტურებელი განცხადებებით,

რაც მისი საელჩოს მისამართით გამოითქვა, გვაცნობა, რომ მოსკოვიდან არავითარი საყვედური არ მოსულა. უფრო გდრ-ის მიმართ ნიშნის მოგების გამომხატველი განწყობილება შეინიშნებაო.

13 სექტემბერს ჩვენს ვარშავის საელჩოში გდრ-ის სამოცამდე მოქალაქე იმყოფებოდა. პოლიტიკური დირექტორი დიტერ კასტრუპი საგარეო საქმეთა მინისტრ სკუბიშევსკის მოელაპარაკა ლტოლვილთა პრობლემის გადაწყვეტის თაობაზე და პოლონურ მხარეს სთხოვა, ჰუმანურად გადაეჭრა ეს საკითხი უნგრეთის მაგალითის გათვალისწინებით.

ერთი დღის შემდეგ, 1989 წლის 14 სექტემბერს, მივიღე ამერიკის საგანგებო ელჩი პოლ ნიცე, რომელსაც მე დიდი ხანია ვიცნობდი და ვაფასებდი. მრავალჯერ მისაუბრია მასთან განიარაღების საკითხებზე, უწინარეს ყოვლისა საშუალო მანძილზე მოქმედი რაკეტების პრობლემატიკაზე. ახლა მე მას განვუცხადე: „იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდება მოვლენები საბჭოთა კავშირში, შეიძლება მიეხვდეთ, რაოდენ უგულებელყოფდა კრემლი ნაციონალურ საკითხს წარსულში. პრინციპში ლენინმა და სტალინმა ეს პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით შეიცნეს, მაგრამ ვერ გადაჭრეს იგი. გარკვეული აზრით ამჟამად გორბაჩოვი ნაციონალური საკითხის დინამიკას ძველი პოლიტიკური სტრუქტურების დემონტაჟისთვის იყენებს“.

გორბაჩოვმა მისაღებად მიიჩნია უნგრული გზა, ისევე როგორც პოლონური; ამ მიზეზით უარყო მან ჩაუშესკუს მოთხოვნა, პოლონეთში განვითარებული მოვლენების გამო ახალი სამიტი მოეწვიათ. ნიცესთან საუბარში შევნიშნე, ამერიკის მთავრობამ კარგად ჩახედოს სოფიის განცხადებას, მასში ვარშავის ხალშეკრულების ქვეყანათა დამოუკიდებელი განვითარების უფლება არის ფორმულირებული-მეთქი: „ეს რევოლუციაა!“ — ვთქვი მე. ნიცე დამეთანხმა. შემდეგ ჩემს ამერიკელ სტუმარს მოვახსენე, რომ მე წლების წინ გრომიკოსთან პირად საუბარში ერთხელ უკვე წამოვჭერი „ფინეთიზაციის“ საკითხი: „თქვენ არ უნდა იფიქროთ დასავლეთ ევროპის ფინეთიზაციაზე, ვინაიდან ჩვენ (დასავლეთ ევროპის ქვეყნებს) მჭიდრო პარტნიორობა გვაქვს დასავლურ ალიანსშიც და ევროგაერთიანებაშიც“, ასე ვთქვი მე მაშინ. „მაგრამ როგორ დგას თქვენი მოკავ-

შირეების ფინეთიზაციის საკითხი შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში? ფინეთი ხომ ერთადერთი ქვეყანაა საბჭოთა კავშირის სამეზობლოში, რომელთანაც თქვენ არავითარი პრობლემა არა გაქვთ". გრომიკომ გაიცინა, არ გაბრაზებულა, როგორც მსგავს შემთხვევებში იცოდა ხოლმე. იქნებ მას ამ პრობლემებზე მსგავსი შეხედულება ჰქონდა?

გორბაჩოვი დიდი ხანია მიხვდა, რომ შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში სტაბილიზაციის მიღწევა მხოლოდ რეფორმების წყალობით არის შესაძლებელი, — განვაგრძე მე. მთავრობები, რომლებიც ძველებურ შეხედულებებს ებღაუჭებიან, ჩამორჩებიან მოვლენათა განვითარებას, განსაკუთრებით დრამატული მდგომარეობა ამ მხრივ გდრ-ში არის-მეთქი. ამავე დროს ნიცეს ყურადღება პროფესორ რაინჰოლდის ერთ გამონათქვამზე გავამახვილე. მისი თვალსაზრისის მიხედვით, კაპიტალისტური გდრ-ის არსებობას არავითარი გამართლება არ ექნება, რაც, უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ამას ნიშნავს: რეფორმირებული გდრ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შეუერთდება!

„დასავლეთმა", ვთქვი მე, „უფრო დარაზმულად უნდა დაუჭიროს მხარი ევროპული კავშირის იდეას. შუა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის დასავლეთი კვლავინდებურად მაგნიტია, მიმზიდველი ნიმუშია ევროპული სამშვიდობო წესრიგის მომხრეთათვის". და ხაზგასმით დავძინე: „ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს: რაც ევროპას ყოფს, ის ყოფს გერმანიასაც, და რაც ევროპას აკავშირებს, ის აღმოსავლეთის და დასავლეთის გერმანელებსაც აახლოებს. ჩვენი ბედისწერა უფრო მჭიდრო არის დაკავშირებული ევროპის ბედისწერასთან, ვიდრე სხვა ხალხებისა; ამიტომ ვიბრძვი მე ნაციონალისტური ტენდენციების წინააღმდეგ, ამიტომ ვარ გერმანული პოლიტიკის ევროპეიზაციის მომხრე. დღეს საღამოს ვენაში ამ საკითხზე ვილაპარაკებ".

ნიცემ მკითხა, ხელახალი დისკუსია გერმანიის გაერთიანების შესახებ ხომ არ შეუქმნიდა საფრთხეს ევროპულ კავშირს. „ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ჩვენ ამ საკითხს მარტოოდენ ნაციონალური თვალთახედვით მივუდგებით. მაგრამ ყველა ფედერალურ მთავრობას გერმანიის გაერთიანება მხოლოდ ევროპული გადაწყვეტილების ფარგლებში ესახებოდა შესაძლებლად", მივუგე

მე და გავიხსენე, რომ ჯერ კიდევ 1967 წლის ჰარმელის მოხსენება მოითხოვდა არამარტო სამშვიდობო წესრიგს ევროპაში, არამედ გერმანიის გაერთიანებასაც. შესაძლოა „საერთო ევროპული სახლის" გორბაჩოვისეული იდეა ამის ერთგვარი პასუხი იყოს-მეთქი. ევროპის სამშვიდობო წესრიგის დამყარებაში აუცილებლად აშშ-მა და კანადამაც უნდა დაიდონ წილი, სწორედ ამიტომ შევეწინააღმდეგე ჯერ კიდევ 1969 წელს, ჩემი დეპუტატობისას, კოსიგინთან საუბარში საბჭოთა კავშირის ცდებს, ევროთათბირის მეშვეობით აშშ ევროპიდან გაეძევებინათ. გარდა ამისა 1989 წლის ზაფხულის დამდეგს მიღებული გერმანია-საბჭოთა კავშირის ერთობლივი განცხადება აშშ-ის როლს ევროპაში შეუცველს უწოდებს,— ვთქვი მე.

როცა პოლ ნიტცესთან ვსაუბრობდი, საიდან უნდა მცოდნოდა, რომ მალე შესაძლებლობა მომეცემოდა, ევროგაერთიანების კომისიის პრეზიდენტის, ჟაკ დელორის, შეკითხვაზე ევროპული პასუხი გამეცა. დელორმა დამირეკა და მკითხა, როგორი უნდა ყოფილიყო ევროგაერთიანების დამოკიდებულება აღმოსავლეთ ბერლინის მიმართ. ისე ხომ არ განვითარდება მოვლენები, რომ გდრ ევროგაერთიანებას მეცამეტე წევრად მიუერთდებაო. მე ამაზე უარყოფითი პასუხი გავეცი: „გდრ ევროგაერთიანებას კიდევ ერთ წევრად კი არ უნდა შეემატოს, არამედ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შეუერთდეს და ამ სახით — როგორც გაერთიანებული გერმანიის ნაწილი — შევიდეს ევროგაერთიანებაში". დელორი დამეთანხმა.

1989 წლის 14 სექტემბერს ავსტრიის დედაქალაქში გავფრინდი, რათა იქ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ეკონომიკური სფეროს წარმომადგენელთა წინაშე სიტყვით გამოვსულიყავი. ვენა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ეს რგოლი, იმისთვის გამოვიყენე, რომ ორი არაორაზროვანი განცხადება გამეკეთებინა. პირველი: გერმანული საკითხი მხოლოდ ევროპულ კონტექსტში გადაწყდება, და მეორე: ევროკავშირი — როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად, როგორც საფინანსო, ასევე სავალუტო პოლიტიკის თვალსაზრისით — სასწრაფო და აუცილებელია. დამსწრეთა მისამართით შევნიშნე, თუ ავსტრიის სურვილიც იქნება, მას სიამოვნებით მიიღებენ-მეთქი ევროგაერთიანებაში. ეს ჩემი გამოსვლა კარგა ხანს იყო განსჯისა და მსჯელობის საგანი.

მეორე დღეს ბრიტანეთის ელჩი მელები ჩემს ნდობით აღჭურვილ პირსა და თანამშრომელს ელბეს ელაპარაკა. მან ახსენა ჩემი გამოსვლა წინადღეს ვენაში და იკითხა, იმიტომ ხომ არ ვუჭერდი ასე ენერგიულად მხარს ევროკავშირის, უწინარეს ყოვლისა კი საავალუტო გაერთიანების იდეას, რომ ხელახალი აქტუალობა შეიძინა გერმანულმა საკითხმა. ეს მართლაც ასე იყო.

14 სექტემბერს ელჩმა კვიცინსკიმ მთხოვა, სასწრაფოდ უნდა გინახულოთ, საგარეო საქმეთა მინისტრ შევარდნაძის წერილი გადმოგცეთო. მოლოდინმა შემიპყრო: ხომ არ მოგვიწევდა უნგრეთის მოვლენების გამო საბჭოთა კავშირიდან კრიტიკული, შეშფოთებული ხმის გაგონება? სულაც არა; მოსკოვი ისე მოიქცა, როგორც მოველოდი. წერილი ქიმიური იარაღის კონტროლის საკითხებს ეხებოდა. შემთხვევითობა იყო? არა. იგრძნობოდა ძლიერი დაინტერესება მრავალმხრივი ურთიერთთანამშრომლობის შემდგომი განვითარებით. მანერამ, რომლითაც კვიცინსკი საუბარს უძღვებოდა, კიდევ უფრო გააძლიერა ჩემი ეს შთაბეჭდილება. გდრ ერთხელაც არ უხსენებია, სამაგიეროდ ისაუბრა თავისი შვებულების შესახებ. მაშინ მე თვითონ წამოვჭერი გდრ-ის თემა და შევნიშნე, რომ იქაური ხელმძღვანელობის პოზიცია ხალხის ამჟამინდელი განწყობის პირობებში გაუგებარი ჩანს. მკვეთრი ცვლილებები გარდუვალია, რადგან გდრ მეტად ჩამორჩა მოვლენათა განვითარებას საბჭოთა კავშირში. რაღა დარჩა იმ ლოზუნგისგან, წლების განმავლობაში რომ გვესმოდა აღმოსავლეთ ბერლინიდან: „ისწავლო საბჭოთა კავშირისგან, ნიშნავს ისწავლო გამარჯვება“.

პრაღის საელჩოში ლტოლვილთა მდგომარეობა იმ დღეებში ყოვლად აუტანელი შეიქნა. კაბინეტებსა და ვესტიბიულებში მრავალსართულიანი საწოლები დაიდგა, ადამიანებს მძიმე სანიტარულ პირობებში უწევდათ ცხოვრება. ვარშავაში შეშინებული ხალხის ერთი ნაწილი ერთ-ერთ კათოლიკურ ეკლესიაში დააბინავეს, მას შემდეგ, რაც გერმანელმა და პოლონელმა დიპლომატებმა ჩვენს საელჩოში მრავალგზის აღუთქვეს მათ, რომ არავითარ შემთხვევაში გდრ-ში არ დააბრუნებდნენ.

1989 წლის 18 სექტემბერს საგარეო საქმეთა მინისტრ სკუბიშევსკის დავურეკე. ის დიტერ კასტრუპისგან იყო უკვე ინ-

ფორმირებული და შემპირდა, პრაგმატულად და ჰუმანურად მოვაგვარებ ამ პრობლემასო. მე შევახსენე, რომ სულ უფრო და უფრო მატულობდა თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა, რომ საელჩოში მალე ადგილი აღარ იქნებოდა. ვუთხარი, რომ შემწეობის მაძიებელი ეს ადამიანები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვეძლო გაგვეგზავნა პოლონურ საქველმოქმედო ორგანიზაციათა კუთვნილ თავშესაფრებში, თუ დარწმუნებულნი ვიქნებოდით, რომ მათ უკან არ დააბრუნებდნენ. სკუბიშევსკი გაგებით მოეკიდა ჩვენს თხოვნას და დამარწმუნა, ლტოლვილებს უკან არ დავაბრუნებთო. ასეც მოხდა. კრჟიშტოფ სკუბიშევსკის ყოველთვის სავსებით ვენდობოდი.

ამიტომ ვარშავის შემყურე იმედიანად ვიყავი და 23 სექტემბერს გამოვხატე ჩემი შინაგანი რწმენა, რომ ახალი, დემოკრატიული პოლონეთი გდრ-იდან ლტოლვილი ყველა იქ მყოფი გერმანელისთვის იპოვიდა დიდი ევროპული ტრადიციების შესატყვის გამოსავალს. პრაღასთან დაკავშირებით კი პირიქით, იქ გაბატონებული პოლიტიკური ვითარების გამო უფრო თავშეკავებულად გამოვთქვი ჩემი აზრი: „ვიმედოვნებთ, ჩვენს პრაღის საელჩოში მყოფი ადამიანებისთვის მოინახება პრობლემის ჰუმანური გადაწყვეტის გზა“.

1989 წლის 23 სექტემბერს, შაბათ დღეს, ჯერ შვეულმფრენით გავფრინდი კაიზერსლაუტერნში, სადაც იმჟამად ფედერაციულ რესპუბლიკაში მცხოვრებ ყოფილ ჰალელთა ტრადიციული შეხვედრა გაიმართა ფრუხტჰალეში*. ამჯერად შეხვედრას ჰალედან ჩამოსული მრავალი ადამიანი ესწრებოდა, სწორედ იმ დროს სტუმრად რომ იყვნენ დასავლეთში. მოვიდნენ ის ჰალელებიც, რომლებიც ახალი გამოქცეულნი იყვნენ გდრ-დან. თვალნათლივ საგრძნობი იყო, რაც იქ ხდებოდა. ამიტომაც ჩემს სიტყვაში დაწვრილებით შევეხე დრამატულად განვითარებულ მოვლენებს, და ბოლოს გამოვთქვი იმედი, იქნებ აღმოსავლეთ ბერლინში დროის ნიშანი სწორად გაიგონ-მეთქი.

კაიზერსლაუტერნიდან შვეულმფრენით წავედი კიოლნ-ვაანის აეროპორტისკენ და იქიდან თვითმფრინავით ნიუ-იორკს გავემგზა-

---

* ფრუხტჰალე — კაიზერსლაუტერნის ღირსშესანიშნაობა, აგებულ იქნა 1843-1846 წწ. თავიდან ბაზრობებისთვის გამოიყენებოდა, ამჟამად იქ სხვადასხვა ღონისძიებები იმართება. (რედ.)

ვრე. ადგილობრივი დროით 21 საათი იყო დაწყებული, როცა ნიუ-იორკში ჩავფრინდით; ჩემი მეუღლეც ჩემთან ერთად მგზავრობდა. მახლდა აგრეთვე პროფესორი კესლერი და მისი უფროსი ექიმი-კარდიოლოგი, აღჭურვილი ნაირ-ნაირი სამედიცინო ხელსაწყოებითა და საშუალებებით, რათა გულის განმეორებით ინფარქტს მზად დახვედროდნენ. ჩემი ეს მგზავრობა ნიუ-იორკში — მეთექვსმეტედ მივემგზავრებოდი გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაზე — ყველა თვალსაზრისით განსხვავდებოდა ადრინდელთაგან. ის ამბავი, რომ გულის ინფარქტიდან ორი თვის შემდეგ სიფრთხილე მმართებდა და ამიტომ ჩემი ექიმებიც თან მახლდნენ, იყო ერთი, უფრო პიროვნული თავისებურება. სხვა თავისებურებანი კი ევროპაში რევოლუციური ცვლილებები და მათი შედეგები გახლდათ. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე, ნიუ-იორკში ყოფნა იმისთვისაც გამომეყენებინა, რომ გდრ-იდან ლტოლვილებისთვის პრაღის საელჩოდან თავდასაღწევი გზა მეპოვა. ფედერალურმა მინისტრმა ზაიტერსმა, რომელიც, როგორც ფედერალური კანცლერის სამსახურის უფროსი, გდრ-თან ორმხრივი ურთიერთობის საკითხებს განაგებდა, თანხმობა განაცხადა, როცა ვუთხარი, რომ მინდოდა საგარეო საქმეთა მინისტრ ფიშერთან მელაპარაკა ამ თემაზე.

როცა გონებაში იმ ერთკვირიანი პერიოდისთვის ვემზადებოდი, ნიუ-იორკში რომ უნდა დამეყო (ვიწექი კაბინის პატარა, საძინებელ კუპედ გადაკეთებულ ოთახში), ფიქრით სხვა საკითხებსაც გადავწვდი, რომელთაც არანაკლები მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე მათ, რომლებზეც ჩვეულებრივ ვბჭობდით ხოლმე. იმ ვითარების გაანალიზების შემდეგ, რომელმაც 1988 წლის სექტემბერში მიკარნახა, 1989 წლის ზაფხულს შევარდნაძესთან გდრ-ში მოვლენათა შესაძლო განვითარებაზე მელაპარაკა, არც ლტოლვილთა მოზღვავება და არც მზარდი, სულ უფრო მკაფიოდ გამოხატული საპროტესტო აქციები გდრ-ში მოულოდნელობა არ ყოფილა. უეჭველი იყო, დემოკრატიზაციისკენ მოწოდება კიდევ უფრო გაძლიერდებოდა. არასოდეს დავეჭვებულვარ იმაში, რომ მეტი თავისუფლების პირობებში გდრ-ის მოსახლეობა გერმანიის გაერთიანებას მოითხოვდა — მაგრამ ეს მოთხოვნა თვით მათგან უნდა წამოსულიყო. ისეთ მგრძნობიარე დროში, როგორიც ჩვენი თანამედროვეობაა, ფედერაციული რესპუბლიკა არავითარ შემთხვევაში „წამქეზებლის“ როლში არ უნდა

გამოსულიყო. ამ აზრით უნდა გაგვეგო შევარდნაძის შენიშვნებიც, რომლებიც მან 1989 წლის მაისში ბონში ჩვენთან საუბრებისას გამოთქვა. მაგრამ ჩვენი ვალი იყო, ისეთი ვითარება შეგვექმნა, რომელიც ადამიანებს გდრ-ში შესაძლებლობას მისცემდა, თავიანთი ნება-სურვილი — რა თქმა უნდა, გაერთიანების ნებაც — განეცხადებინათ. ამიტომ იყო ესოდენ მნიშვნელოვანი, რომ 1989 წლის ზაფხულის დამდეგს მიღებულ გერმანია-საბჭოთა კავშირის დეკლარაციაში თვითგამორკვევის უფლება მკაფიოდ ჩაიწერა. ამაზე მივუთითებდი ყველა მოლაპარაკებისას, რომელსაც მე ვაწარმოებდი.

დადგა ის ამაღელვებელი, მეტიც, ამაფორიაქებელი დღეები — ჯერ ნიუ-იორკში, მერე პრაღაში —, რომლებზეც ამ წიგნის დასაწყისში ვილაპარაკე.

კედელი გაიხსნა

ორშაბათს — ამასობაში 1989 წლის 2 ოქტომბერი დამდგარიყო — ბონში მივიღეთ ფინეთის პრეზიდენტი კოივისტო, რომელსაც თან ახლდა საგარეო საქმეთა მინისტრი პაასიო. საუბრების მთავარი საგანი იყო მოვლენათა განვითარება მოსკოვში, ვარშავის ხელშეკრულების სხვა ქვეყნებში, უწინარეს ყოვლისა გდრ-ში. მომდევნო დღეებში ზედიზედ წაეწყო განხილვები პარლამენტში; საკითხი ეხებოდა პრაღის გაელით წამოსულ ლტოლვილთა ნაკადს. 3 ოქტომბერს კანცელარიაში ორჯერ დავესწარი კრიზისისადმი მიძღვნილ სხდომებს ფედერალურ მინისტრ ზაიტერსთან ერთად. მასთან ურთიერთობა როგორც პიროვნული თვალსაზრისით, ასევე საქმიანობის მხრივაც ჩინებულად წარიმართა.

რუდოლფ ზაიტერსთან საუბრები ეხებოდა როგორც უკვე პრაღაში მყოფ, ასევე პრაღისკენ დაძრულ ლტოლვილთა ახალ-ახალ ნაკადებს. ანტონიუს იონის წიგნში „რუდოლფ ზაიტერსი — სამსახურებრივი გამჭრიახობა, პიროვნება და მოვლენები", რომლის პრეზენტაცია მოგვიანებით მე მოვახდინე საპარლამენტო საზოგადოებაში, ამ დღეების შესახებ ნათქვამია: გდრ-ის წარმომადგენელი ბონში, ნოიბაუერი, 1989 წლის 2 ოქტომბერს ფედერალურ კანცელარიაში გამოცხადდა, რათა საყვედური გამოეთქვა ფედერალური

მთავრობის პოზიციის გამო, რომელიც თითქოსდა მიღებულ შეთანხმებას ეწინააღმდეგებოდა. „ამტკიცებდა“, განაგრძობს იონი, „რომ არსებობს შეთანხმება ბერლინის მოდელის გამოყენების თაობაზე. გდრ ამას სერიოზულ პირის გატეხად მიიჩნევს და დაჟინებით მოითხოვს, ჯერ კიდევ პრაღისა და ვარშავის საელჩოებში მყოფი გდრ-ის მოქალაქენი გამოძევებულ იქნენ იქიდან, რათა გდრ-ში დაბრუნდნენ, სადაც მათ შესაძლებლობა ექნებათ ადვოკატ ფოგელის განცხადებების შესაბამისად თავიანთი საქმეები მიაგვარონო“.

ეს მართლაც რომ გასაოცარი გამოხდომა იყო. იგი ბოლო გაბრძოლებას ჰგავდა. წლების განმავლობაში მე არ ვიყავი მომხრე იმისა, რომ დაბრკოლება შეგვექმნა გდრ-ში მცხოვრებ გერმანელთათვის, ჩვენს დაქვემდებარებაში მყოფი საელჩოები – ანუ ყველა, გარდა აღმოსავლეთ ბერლინში არსებული მუდმივი წარმომადგენლობისა – თავშესაფრად გამოეყენებინათ, წინააღმდეგი ვიყავი, ისინი იქიდან გამოეძევებინათ, და მაინცდამაინც ახლა როგორ შეეცვლიდი ჩემს ამგვარ დამოკიდებულებას. კიდევ რა იგულისხმებოდა „ბერლინურ მოდელში“? მე არც ამგვარ მოდელს ვიცნობდი და არც მისი გამოყენების თაობაზე მიცემული თანხმობის შესახებ გამეგონა რამე. სავსებით ნათელი იყო, რომ გდრ-ს პრაღაში გახსნილი კარიბჭის ჩაკეტვა სურდა.

4 ოქტომბრის საღამოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბეიკერი დამიკავშირდა ტელეფონით. მთხოვა რჩევა და დახმარება გდრ-დან ლტოლვილი იმ თვრამეტი გერმანელის გამო, რომლებმაც აღმოსავლეთ ბერლინის ამერიკის საელჩოს შეაფარეს თავი, თანაც მაგრძნობინა, ამ საქმის მოგვარებისას ფრთხილად და კონფიდენციალურად გვემოქმედა, ვინაიდან წარსულში აშშ-ის პრინციპი მუდამ ის იყო, საელჩოში ღამის გასათევად არავინ შეეფარებინა. მკითხა, თუ არის შესაძლებლობა, რომ ეს თვრამეტი პიროვნება ამერიკის საელჩოდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლობაში გადავიყვანოთო. მე ვუთხარი, რომ ეს გამორიცხული იყო, რადგან გადაყვანისას ვერავინ უზრუნველყოფდა მათ უსაფრთხოებას. ამიტომ დაბეჯითებით ვთხოვე, ეს თვრამეტი გერმანელი ამერიკის საელჩოში დაეტოვებინათ; ჩვენ ამის შესახებ ადვოკატ დრ. ფოგელს ვაცნობებთ-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ გერმანიაში დიდი უკმაყოფილებით შეხვდებოდნენ იმ ამბავს, თუკი აშშ თავშესაფრის

მძებნელთ საელჩოდან გააძევებდა. ბეიკერმა დამამშვიდა: „ეს არ მოხდება. ოღონდ რა ვქნათ, თუ მომდევნო დღეებშიც განმეორდა ასეთი რამ. ჩვენი საელჩო პატარაა და არ გვექნება შესაძლებლობა, სხვებსაც მივცეთ თავშესაფარი". მე შევპირდი, რომ დაველაპარაკებოდი სახელმწიფო მინისტრ ზაიტერსს, ვის კომპეტენციაშიც შედიოდა მუდმივი წარმომადგენლობა და გდრ-თან ურთიერთობა. „დრო თქვენსა და შეერთებული შტატების სასარგებლოდ მუშაობს", შევნიშნე მე, „რადგან აღმოსავლეთ ბერლინის ხელმძღვანელობა ცდილობს, გორბაჩოვის ვიზიტამდე იპოვოს გამოსავალი, რომელიც ბერლინში უნდა ჩავიდეს გდრ-ის არსებობის ორმოცი წლის აღსანიშნავ ზეიმზე დასასწრებად. ახლა მათ კონფლიქტი აშშ-სთან ხელს არ აძლევთ!"

1989 წლის 14 ოქტომბერს ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრებმა თავი მოვიყარეთ ევროგაერთიანების თავმჯდომარე ქვეყნის შეცვლასთან დაკავშირებულ ტრადიციულ არაფორმალურ შეხვედრაზე პარიზის ახლოს შატო დ'ესკლემონში. აქაც მსჯელობის მთავარი საგანი იყო მოვლენათა განვითარება საბჭოთა გავლენის ზონაში, მეტადრე გდრ-ში. გორბაჩოვის გამოსვლაში გდრ-ის არსებობის ორმოცი წლის აღსანიშნავ ზეიმზე მე შევნიშნე მკაფიო დადასტურება იმისა, რომ ნაპრალი საბჭოთა და გდრ-ის იმჟამინდელ ხელმძღვანელობას შორის სულ უფრო ღრმავდებოდა. პარიზიდან რიმინიში გავფრინდი, სადაც გადმომცეს პიო მანზუს ცენტრის ოქროს მედალი "Man of Peace 1989"*, 18 ოქტომბერს კი კვლავ ბად ნოიენარ-არვაილერსა და ბონში ვიყავი, სადაც გერმანია-იტალიის კონსულტაციები გაიმართა.

იმავე დღეს ჰონეკერი იძულებული გახდა გადამდგარიყო სახელმწიფოსა და პარტიის მეთაურის თანამდებობებიდან. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გენერალური მდივნის პოსტზე იგი ეგონ კრენცმა შეცვალა. მაგრამ ხელმძღვანელობის ცვლილების შემდეგაც ძირეული რეფორმები არ განხორციელებულა, მით უფრო, რომ კრენცმა მოსკოვში 1 ნოემბერს გორბაჩოვთან მოლაპარაკების შემდეგ განაცხადა, გერმანიის გაერთიანება დღის წესრიგში არ

* „მშვიდობის ადამიანი 1989" (ინგლ.)

დგასო. გასაერთიანებელი არაფერია, ვინაიდან ორივე გერმანული სახელმწიფო სხვადასხვა სამხედრო ბლოკებს განეკუთვნება და ამის გამო ევროპის სტაბილურობის განმტკიცებაში შეაქვთ წვლილიო. თან დასძინა: ბერლინის კედელი სულაც არ ზღუდავს ადამიანთა გადაადგილების თავისუფლებას, ის გარკვეულ დამცავ ჯებირს წარმოადგენს ორ საზოგადოებრივ სისტემასა და ორ სამხედრო ბლოკს შორის. ეს კვლავაც ძველებური ფრაზები და ძველებური აზროვნება იყო.

27 ოქტომბერს ფრანკფურტს გავემგზავრე პროფესორ კალტენბახთან. 20 ივლისს გადატანილი გულის ინფერქტისა და ამის შემდგომი დილატაციიდან სამი თვის შემდეგ გულის კათეტერიზაციული გამოკვლევის საშუალებით უნდა დადგენილიყო, ხომ არ განმეორდა შევიწროება და მოხდა თუ არა სისხლძარღვის გაფართოების სტაბილიზაცია. შედეგი კარგი იყო; დიდი ტვირთი მომეხსნა.

1989 წლის 9 ნოემბრისთვის ადრიდანვე დაიგეგმა ფედერალური კანცლერის კოლისა და ჩემი ვიზიტი ვარშავაში. წინა დღეს, 8 ნოემბერს, ბუნდესტაგში გაიმართა მთავრობის მოხსენების განხილვა, რომელიც ორად გაყოფილ გერმანიაში ნაციის მდგომარეობას შეეხებოდა და მანამდეც ყოველწლიურად ტარდებოდა. ვინც რეალისტურად აფასებდა იმ შედეგებს, რაც მოჰყვა საზღვრის გახსნას უნგრეთში, პრაღის საელჩოში მყოფი გერმანელებისთვის გამგზავრების ნებართვის მიცემას 30 სექტემბერს და გდრ-ში მრავალ ადგილას გამართულ დემონსტრაციებს, მისთვის ნათელი იყო: ეს იქნებოდა ორად გაყოფილ გერმანიაში ნაციის მდგომარეობის შესახებ გაკეთებული უკანასკნელი მოხსენება.

მოგვიანებით, ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგს, იმ აზრამდე მივედი, რომ გაერთიანებული გერმანიის მთავრობა კარგს იზამდა, თუკი ახლა ყოველწლიურად წარმოადგენდა მოხსენებას ნაციის მდგომარეობის შესახებ გაერთიანებულ გერმანიაში, და იქნებ ეს გაგვეკეთებინა ყოველ 3 ოქტომბერს, გერმანიის გაერთიანების დღეს. ამ მოხსენებაში განხილული იქნებოდა სულიერი, პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, კულტურული და საგანმანათლებლო ვითარება ერთიან გერმანიაში, წარმოჩენილი იქნებოდა პერსპექტივები, რაც — ჩვეულებრივი საპარლამენტო დებატების გარდა — ფართო მასშტაბის საჯარო დისკუსიის წამოწყებასაც შეუწყობდა

ხელს. ეს მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა ჩვენი ქვეყნის შინაგანი გაერთიანების, გაერთიანებული გერმანიის ადგილის, მიმართულებისა და ჩვენი სამომავლო გზის განსაზღვრის საქმეში — ეს იქნებოდა შინაგანი გაერთიანება საერთო სამომავლო მიზანდასახულობის წყალობით.

არაფერი აღარ დარჩება ისე, როგორც იყო, არც აღმოსავლეთში და არც დასავლეთში

ბუნდესტაგის სხდომის წინადღეს შინ გვიან დავბრუნდი და 8 ნოემბერს ძალიან ადრე ავდექი, რათა კიდევ ერთხელ გადამეკლო თვალი ჩემი გამოსვლის ტექსტისთვის. საწერ მაგიდასთან მჯდარი გავყურებდი ნოემბრის ღამეს. რა მოხდება, თუკი ხვალ, ერთ კვირაში, ერთ თვეში ან სამი თვის შემდეგ კედელი გაირღვევა და დასავლელი და აღმოსავლელი გერმანელები დაუბრკოლებლად შეხვდებიან ერთმანეთს? კვლავაც — როგორც აქამდე — სტუმრებად დარჩებიან ერთმანეთისთვის? თუ დაიწყებენ ერთმანეთთან მისასვლელი გზების ძიებას, რათა ერთმანეთი იპოვონ? რევოლუციური გარდაქმნები მხოლოდ აღმოსავლეთს შეეხება თუ დასავლეთ გერმანიაზეც მოახდენს ზემოქმედებას? ეს და ამის მსგავსი ფიქრები მიტრიალებდა თავში, როცა ის ფრაზები ჩამოვაყალიბე, რომლებიც 8 ნოემბრის დილას გერმანიის ბუნდესტაგში წარმოვთქვი: „არაფერი აღარ დარჩება ისე, როგორც იყო, არც აღმოსავლეთში და არც დასავლეთში". და ყველა პოლიტიკურად პასუხისმგებელ პირთა ყურადსაღებად განვაგრძე: „ჩვენ აქ, ფედერაციულ გერმანიაში, გერმანელები დღესვე უნდა მოვამზადოთ საიმისოდ, რომ მათ დიდი ძალისხმევა მოუწევთ ნაციის ერთიანობის მისაღწევად". აღმოსავლეთ ბერლინის ხელმძღვანელობა გავაფრთხილე, რომ ამიერიდან ერთი გერმანიიდან მეორეში გამგზავრების გაადვილება აღარ იქნებოდა საკმარისი: კედელი უნდა დანგრეულიყო. რას ვიფიქრებდი, ეს თუ თორმეტი საათის შემდეგ მოხდებოდა.

ამ დებატებისას პოლონეთში ჩვენი ვიზიტის საკითხიც განიხილებოდა. ჩემი მოსაზრებანი, ნიუ-იორკში გაეროს სხდომაზე გამოთქმული, რომლებსაც მსოფლიო საზოგადოებრიობაში და გან-

საკუთრებით პოლონეთში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, სიტყვასიტყვით იქნა შეტანილი იმ დადგენილებაში, რომელიც ბუნდესტაგმა ხმათა დიდი უმრავლესობით მიიღო (ოთხმა წინააღმდეგ მისცა ხმა, ოცდაცამეტმა თავი შეიკავა). პარლამენტის წინაშეც ის განვაცხადე, რაც ნიუ-იორკში ვთქვი სექტემბერში: „ორმოცდაათი წლის წინ პოლონელი ხალხი ჰიტლერული გერმანიის მიერ წამოწყებული ომის პირველი მსხვერპლი შეიქნა. ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საიმედო საზღვრებში ცხოვრების მისი უფლება არც ახლა, არც მომავალში ჩვენი, გერმანელთა, ტერიტორიული პრეტენზიების გამო სათუო არ გახდება. ჩვენი სურვილია, პოლონელებთან ერთად ვიღვაწოთ ევროპის უკეთესი მომავლისათვის. საზღვრების ხელშეუხებლობა არის ევროპაში მშვიდობიანი თანაცხოვრების საფუძველი“. ამით პოლონეთის დასავლეთ საზღვრის აღიარების ნება გადამწყვეტ მომენტში იქცა გერმანიის პასუხისმგებლური პოლიტიკის დასტურად და არა გერმანიის გაერთიანების საზღაურად. გდრ-ის როგორც პოლონეთის დასავლეთ საზღვრის გარანტის საკითხი ამით დღის წესრიგიდან მოიხსნა, და ამას სწორედ ახლა ჰქონდა მნიშვნელობა. ამიტომ ამ განცხადებამ ამავე დროს გერმანიის გაერთიანების ერთ-ერთი წინაპირობა შექმნა, რაც კიდევაც დაედო საფუძვლად გაეროში წარმოთქმულ ჩემ სიტყვას.

8 ნოემბრის ნაშუადღევს რამდენიმე სამსახურებრივი საუბარი მოვილიე და ვუპერტალში, ჩემ საარჩევნო ოლქში გავემგზავრე, სადაც ორ ღონისძიებაზე გამოვედი სიტყვით, ხოლო მეორე დილით კაბინეტის ხანმოკლე სხდომის შემდეგ დელეგაციასთან ერთად, რომელსაც ფედერალური კანცლერი ხელმძღვანელობდა, ვარშავისკენ გავფრინდი. ნაშუადღევისთვის გათვალისწინებული იყო მოლაპარაკებათა ვრცელი პროგრამა. საგარეო საქმეთა მინისტრ სკუბიშევსკისთან თანამედროვე ვითარების ინტენსიური განხილვის შემდეგ ხელი მოვაწერეთ გერმანია-პოლონეთის საკონსულტაციო ოქმს. მერე გავემგზავრე პრეზიდენტის კანცელარიაში და შევხვდი სახელმწიფო მინისტრ ჩირეკს, რომელთანაც მრავალი წლის ნაცნობობა მაკავშირებდა. პირველად მას მაშინ შევხვდი, როცა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო, და 1976 წელს, როცა პოლონეთთან მეორე ხელშეკრულების თაობაზე შეთანხმების მიღწვას ვცდილობდით, და უწინარეს ყოვლისა ეგრეთ

წოდებული საემიგრაციო ოქმის გამო გვიხდებოდა ბრძოლა, მან მოლაპარაკებებში თავი გამოიჩინა როგორც კონსტრუქციულად განწყობილმა პარტნიორმა. მოგვიანებით ის პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. შემდეგ იგი, როგორც კომუნისტების დროინდელი სანდო პირი, პრეზიდენტმა იარუზელსკიმ თავისი კანცელარიის სახელმწიფო მინისტრად დანიშნა. ახალმა მთავრობამ საგარეო საქმეთა მინისტრად პროფესორი სკუბიშევსკი არჩია. საღამოს პრემიერ-მინისტრმა მაზოვეცკიმ მინისტრთა საბჭოს სასახლეში სადილი გამართა. სწორედ მაშინ შევიტყვეთ: გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ კედელი გახსნა! თითქოს დენმა დაგვიარა. რა მოხდება ახლა?

როგორც შემდგომ გავიგეთ, ცნობამ საზღვრის გახსნის შესახებ გერმანიის ბუნდესტაგის პარლამენტარებს იმ დროს მოუსწრო, როცა კორპორაციათა ხელშემწყობი კანონის თაობაზე კამათობდნენ. კამათი შეწყდა; დღის წესრიგში აღმოსავლეთ ბერლინში მიმდინარე პროცესები დადგა. ვოლფგანგ მიშნიკმა მაღალი შეფასება მისცა გდრ-ის მოქალაქეთა სიმამაცესა და გამბედაობას. მან აღიარა, დიდი კმაყოფილება ვიგრძენი იმის გამო, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანელებს არ დაუკარგავთ ერთ ნაციად გაერთიანების რწმენა, და იმითაც, რომ ადამიანებს გდრ-ში თავიანთი თავის რწმენა კვლავ დაუბრუნდათო. ფედერაციულ რესპუბლიკასთან დაკავშირებით მიშნიკმა წინასწარმეტყველურად განაცხადა: „ჩვენ გამოცდა ჯერ კიდევ წინ გველის. ყველას ღირსეულად ჩაგვებარებინოს ეს გამოცდა! ამ ისტორიულ მომენტს არ შეეფერება დანაშაულთა და ბრალდებათა წვრილმანი დაანგარიშება“. მისმა სიტყვებმა განამტკიცა ჩემი რწმენა: ეს პირდაპირი კაცი, რომელიც მუდამ გაბედულად უჭერდა მხარს ჩვენს აღმოსავლურ პოლიტიკას, ყოველთვის დაინტერესებული იყო ორად გაყოფილ გერმანიაში არსებული მდგომარეობით. მან იცოდა, რა პრობლემები გველოდა შინაგანი გაერთიანების გზაზე. ჯერ კიდევ 1989 წლის 25 ოქტომბერს შეხვდა იგი აღმოსავლეთ ბერლინში ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს მანფრედ გერლახსა და ეგონ კრენცს.

1989 წლის 26 სექტემბერს ჰელმუთ კოლმაც დაამყარა პირველი კონტაქტი გენერალურ მდივან კრენცთან. მთავრობის სპიკერის ჰანს კლაინის სიტყვით, სატელეფონო საუბარში ორივე თან-

ამოსაუბრემ გამოხატა თავიანთი ინტერესი „შიდაგერმანული ურთიერთობების შემდგომი განვითარების მიმართ პრაქტიკული ურთიერთთანამშრომლობის განგრძობის პირობებში“.

მას შემდეგ, რაც ვარშავაში მყოფი გერმანული დელეგაციის წევრები ჩვენს სასტუმრო სახლში დავბრუნდით, ფედერალურმა კანცლერმა და მე შემდგომი ნაბიჯების შესახებ მოვითათბირეთ. იქ შეგვატყობინეს, რომ მეორე დღისთვის დიდი მიტინგი იყო დანიშნული შიონებერგის რატუშის წინ. ჩვენი ბერლინელი თანაპარტიელები გვირჩევდნენ, ყოველმიზეზგარეშე ჩავსულიყავით. ხანმოკლე თათბირის შემდეგ ფედერალურმა კანცლერმა და მე გადავწყვიტეთ, რომ ამ ისტორიულ დღეს ჩვენ ბერლინში უნდა ვყოფილიყავით. პოლონური მხარე ჩვენს სურვილს გაგებით მოეკიდა.

როცა 10 ნოემბრის დილას ლეხ ვალენსასა და მოქალაქეთა კომიტეტის ფრაქციის თავმჯდომარე პროფესორ გერემეკთან ერთად ვსაუზმობდი, ჩვენი საუბრის უმთავრესი თემა, ცხადია, კედლის დანგრევა იყო. ლეხ ვალენსა შეფიქრიანებული, მეტიც, შეშინებული ჩანდა. კედლის დანგრევამ იგი შეაშფოთა. გერემეკმა შენიშნა ჩემი შეცბუნება ასეთი რეაქციის გამო. მე მადლიერების გრძნობით აღმავსო მისმა სიტყვებმა იმის შესახებ, რომ მოვლენათა ასეთი განვითარება სასიხარულოა გერმანიისთვის, ევროპისთვის და პოლონეთისთვისაც. ეს გამოცდილი და მამაცი ადამიანი მიხვდა, რომ გაერთიანების შედეგად მთელი გერმანია დასავლეთის ბანაკში აღმოჩნდებოდა და პოლონეთის მდგომარეობაც ამის შედეგად ძირფესვიანად შეიცვლებოდა უკეთესობისკენ. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, პოლონეთი აღარ იქნებოდა საბჭოთა კავშირსა და იმ სახელმწიფოს შორის მდებარე ქვეყანა, რომელშიც სამასი ათასი საბჭოთა ჯარისკაცი იყო დაბანაკებული, არამედ დასავლური გაერთიანებების უშუალო მეზობელი გახდებოდა! შემდგომ, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში გამართული მოლაპარაკებისას, მე ეს არგუმენტი განვავრცე: „სიახლე ის გახლავთ, რომ ჩვენ ამჟამად თვისებრივად სულ სხვაგვარი მეზობლები ვართ, ვიდრე ოდესმე ვყოფილვართ. ჩვენ, გერმანელებს, ისტორიაში პირველად გვიწევს შეხვედრა თქვენთან არა მხოლოდ როგორც გერმანიის მეზობელ სახელმწიფოსთან, არამედ როგორც ევროპული გაერთიანების და დასავ-

ლური ალიანსის წევრთან". ეს იყო, შეიძლება ითქვას, კვანტური ნახტომი ისტორიისა.

10 ნოემბრის დილას გამართული ამ ღირსსახსოვარი საუბრის შემდეგ ჰელმუთ კოლთან ერთად გავემგზავრე უცნობი ჯარისკაცის საფლავზე გვირგვინის მისატანად. ყვავილების თაიგულებით შეკამკეთ აგრეთვე ნიკესა და გეტოს ძეგლები. მერე კიდევ ერთხელ შევხვდი საგარეო საქმეთა მინისტრ სკუბიშევსკის, რომელიც ახალ, ლამის რევოლუციურ პერსპექტივებს იმავე თვალით უყურებდა, როგორითაც მე. საზეიმო ტონით განვაცხადე მოვლენების განვითარების შესახებ გერმანიაში: „ის, რაც გდრ-ში ხდება, ამაფორიაქებელი და ამაღელვებელია ჩვენი ხალხისათვის. ფედერაციული რესპუბლიკისა და გდრ-ის გერმანელები გუშინ ღამით შეხვდნენ ერთმანეთს. ეს მოწმობს ერის ერთიანობას, რომელიც მუდამ არსებობდა. ბატონო მინისტრო, დარწმუნებული უნდა იყოთ და თქვენი მეშვეობით პოლონელმა ხალხმა, ისევე როგორც ყველა ჩვენმა მეზობელმა უნდა გაიგოს, რომ ეს არის მთელი გერმანელობის მიერ თავისუფლების აღიარება. თავისუფლებაში მცხოვრები გერმანელებისაგან არასოდეს წამოსულა მუქარა. ეს ძალზე მნიშვნელოვანია ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის... გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას თავისი მყარი ადგილი აქვს დასავლურ დემოკრატიათა თანამეგობრობაში, პოლიტიკური კავშირის შექმნის გზაზე მდგარ ევროგაერთიანებასა და დასავლურ ალიანსში და ამ მხრივ არაფერი შეიცვლება... გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აღიარებს ყველა ხელშეკრულებას, რომელსაც მან ხელი მოაწერა, და ყველა ვალდებულებას, რომელიც მან იკისრა. ეს შეეხება მოსკოვის ხელშეკრულებასაც, ვარშავის ხელშეკრულებასაც, ჩეხოსლოვაკიასთან დადებულ ხელშეკრულებასაც, გდრ-თან დადებულ ფუძემდებლურ ხელშეკრულებასაც* და ჰელსინკის დასკვნით აქტსაც".

სკუბიშევსკი სწორედ იმ დროს მიხვდა დამოუკიდებელ ნაციონალურ ქმედებებზე ჩემი მკაფიო უარის მიზეზს; მან სწორად

---

* გფრ-სა და გდრ-ს შორის 1972 წლის 21 დეკემბერს დადებული, თანასწორუფლებიანობისა და სუვერენიტეტის სულისკვეთებით გამსჭვალული ხელშეკრულება. (რედ.)

შეაფასა დასავლური თანამეგობრობისა და ხელშეკრულებებისადმი ჩემი ერთგულება და გაგებით მოეკიდა ჩემს მიერ ერის ერთიანობის აღიარებას. თანაც ეს საკითხი მარტო გერმანულ სახელმწიფოებს როდი შეეხებაო. პოლონეთის მთავრობის სპიკერმა ქალბატონმა ნეზაბიტოვსკამ ჩვენი მოლაპარაკებების დასასრულს ასე ჩამოაყალიბა პოლონეთის პოზიცია გერმანიის გაერთიანების თაობაზე: „პოლონეთის მთავრობა იმ თვალსაზრისზე დგას, რომ ჩვენ ყველა ხალხის თვითგამორკვევის უფლება უნდა ვცნოთ, მათ შორის გერმანელი ხალხისაც. მაგრამ ეს გაერთიანება რომ შედგეს, საჭიროა შესრულდეს რამდენიმე პირობა. პირველი პირობა ის არის, რომ გამოიხატოს და თანაბარუფლებიანად ჩაითვალოს ორივე გერმანულ სახელმწიფოში მცხოვრები გერმანელების ნება. მეორეც, უნდა არსებობდეს იმ ოთხი სახელმწიფოს თანხმობა, რომელნიც კვლავინდებურად უფლებამოსილნი არიან, მონაწილეობა მიიღონ გერმანიის როგორც ერთიანი მთელის საკითხის გადაწყვეტაში. შემდგომი საკითხი — გერმანელთა გაერთიანება — საერთოევროპული კონტექსტის გათვალისწინებით უნდა აიწონ-დაიწონოს, და აქ საჭიროა გარანტიები, რომ კვლავგაერთიანებული გერმანია, რომელიც უეჭველად მძლავრ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება, არ დაემუქრება უშიშროებასა და ურთიერთანამშრომლობას ევროპაში. ამასთან ბუნებრივია წამოიჭრება პოლონეთისთვის უმნიშვნელოვანესი ერთი საკითხი, კერძოდ ოდერ-ნაისეს საზღვრის შენარჩუნება. აქ ორი რამ არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში: კვლავგაერთიანების საკითხი და საზღვრების საკითხი. გერმანულ სახელმწიფოებს მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ ამჟამინდელ საზღვრებში შეუძლიათ გაერთიანდნენ. ყოველგვარი სხვა შესაძლებლობა გამორიცხულია“.

პოლონეთის შეშფოთება ჩემთვის გასაგები იყო. ამიტომაც გდრ-ში მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების გათვალისწინებით ჩემი პოზიცია საზღვრების საკითხთან დაკავშირებით მკაფიოდ გამოვხატე როგორც 27 სექტემბერს გაეროში წარმოთქმულ სიტყვაში, ასევე 8 ნოემბერს გერმანიის ბუნდესტაგში გამოსვლისას.

ჩვენი გამგზავრება არ ნიშნავდა სტუმრობის ნაადრევად შეწყვეტას, ყოველ შემთხვევაში არა ჰელმუთ კოლისთვის, არამედ ეს იყო მხოლოდ ვიზიტის დროებითი შეჩერება. ადრინდელი შეთანხმებისამებრ, კოლი გააგრძელებდა ვიზიტს პოლონეთში. მე კი ისედაც

მასზე ადრე უნდა წამოვსულიყავი, და ბერლინიდან პირდაპირ ბონში დავბრუნდი. ვიზიტი პოლონეთში მიუხედავად იმ მოვლენებისა, რაც მას წინ უსწრებდა და რაც ამ სტუმრობის დროს მოხდა, წარმატებული გამოდგა, მეტიც იგი იქცა ნიშანსვეტად გერმანიასა და პოლონეთს შორის ახლებური ურთიერთდამოკიდებულების დამყარების გზაზე. სახელდობრ ეს ითქმის ერთობლივი განცხადების შესახებ, რომელმაც პოლონეთში მცხოვრებ გერმანელებს დიდი შვება მოჰგვარა.

არც ისე ადვილი იყო ვარშავიდან ბერლინს გამგზავრების ორგანიზება. ბუნდესვერის თვითმფრინავს, რომლითაც ჩვენ ჩამოვედით, ვარშავიდან პირდაპირ ბერლინში გაფრენის უფლება არ ჰქონდა, ვინაიდან მაშინდელი სამართლებრივი მდგომარეობით გერმანიის სამხედრო თვითმფრინავებს ეკრძალებოდათ დასავლეთ ბერლინში დაჯდომა. ამიტომ გადავწყვიტეთ, ვარშავიდან ჰამბურგს გადავფრენილიყავით; ფედერალურმა კანცელარიამ ამერიკელებს სთხოვა თვითმფრინავი, რომლითაც ჰამბურგიდან დასავლეთ ბერლინში ჩავიდოდით. 10 ნოემბერს, 14 საათზე ჰამბურგისკენ გავფრინდით, იქ ამერიკულ სამთავრობო თვითმფრინავში გადავსხედით და 16 საათისთვის ბერლინში დავფრინდით.

მე ორივე ეს ფრენა შიონებერგის რატუშის წინ წარმოსათქმელი სიტყვის მონახაზის მოსამზადებლად გამოვიყენე. ჩემთვის ნათელი იყო, რომ ჩვენს გამოსვლებს დიდ ყურადღებას მიაქცევდნენ საერთაშორისო მასშტაბით. ახლა მთელი მსოფლიო ჩვენ შემოგვყურებდა: როგორ შეხვდება ფედერალური მთავრობა, როგორ შეხვდებიან გერმანელები კედლის დანგრევას? მინდოდა ჩემს სიტყვაში საერთაშორისო საზოგადოებისთვის განმემარტა გერმანული პოლიტიკის მოტივები, მიზნები და ინტერესები. ჩემი მიმართვის უშუალო ადრესატები კი გერმანელები იყვნენ.

ეს და ამის მსგავსი აზრები მიტრიალებდა თავში თვითმფრინავით მგზავრობისას. დაფრენისთანავე შიონებერგის რატუშისკენ გავეშურეთ, სადაც ათიათასობით ადამიანი გველოდა.

ცხადია, ბუნებრივი იქნებოდა, ამ მიტინგზე თავშეყრილ ხალხთან მხოლოდ იმ გრძნობებზე მელაპარაკა, რითაც იმ წუთში იყო სავსე გული. მაგრამ როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, გერმანი-

ის სამომავლო ინტერესებიც უნდა გამეთვალისწინებინა. მთელი მსოფლიო მიაყურადებდა, რას იტყოდნენ იმ დღეს ბერლინში ფედერალური მთავრობის წევრები. სამი ტრადიციული პარტიის წარმომადგენლებმა — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარემ ჰელმუთ კოლმა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპატიო თავმჯდომარემ ვილი ბრანდტმა და მე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წევრმა — მკაფიოდ განვსაზღვრეთ გერმანიის ადგილი. ძალიან სასიამოვნო იყო იქ, ბერლინში სწორედ ამ ორ ადამიანთან ერთად რომ მიწევდა გამოსვლა. მე ასე განვსაზღვრე ჩვენი პოზიცია იმ ისტორიულ მომენტში: „ის გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ მივიღეთ, არ შეიცვლება. ჩვენ დასავლური დემოკრატიების თანამეგობრობასთან ყოფნა ვარჩიეთ!“ — ეს ჩვენს საგარეოპოლიტიკურ დეკეზად უნდა დარჩენილიყო 9 ნოემბრის შემდეგაც. ყველას უნდა გაეგო, სად იყო ჩვენი ადგილი. ევროგაერთიანების და დასავლური სამხედრო ალიანსის წევრად რომ დავრჩებოდით, ეს ყველასთვის უეჭველი უნდა ყოფილიყო.

ისიც ვთქვი, რომ ბედნიერი ვიყავი, მივსალმებოდი ადამიანებს ჩემი სამშობლოდან, რომლებმაც განვლილ კვირებსა და თვეებში თავისუფლებისკენ გერმანელთა სწრაფვის მაგალითი აჩვენეს მთელ მსოფლიოს: „გდრ-ის გერმანელები ქმნიან გერმანიისა და ევროპის თავისუფლების ისტორიას“. განა არ ვიყავით მოწმენი ქვემოდან დაწყებული რევოლუციისა, რომლის მამოძრავებელი ძალა ხალხი იყო? საფრანგეთის რევოლუციიდან ორი საუკუნის შემდეგ ისტორიულად დრომოჭმულ ძველ რეჟიმს კვლავ ჩამოართვა ძალაუფლება ხალხმა. ხალხმა კვლავ გაიტანა თავისი ნება მოძველებული მმართველობის წინააღმდეგ! მაგრამ ეს მოხდა ძალადობის გარეშე, სისხლის დაუღვრელად, და სწორედ ეს გახლავთ გდრ-ის მოქალაქეთა განსაკუთრებული ისტორიული დამსახურება. ამით მათ ყველა გერმანელი გაამდიდრეს.

თუ ამ გარდატეხამ მშვიდობიანად ჩაიარა, ამისთვის იმათი მადლიერიც უნდა ვიყოთ, ვინც გდრ-ის ხელმძღვანელობაში ძალის გამოყენების წინააღმდეგ გამოვიდა. იმდროინდელ პასუხისმგებელ პირთა მართებულად განსასჯელად ესეც უნდა მივიღოთ მხედველობაში. ეს ყოველივე რომ სხვაგვარადაც შეიძლებოდა წარმართულიყო, კარგად ვიცით ჩვენ იმ მოვლენების შემდეგ, რაც 17 ივნისს განვითარდა,

მაგრამ ამის გაცნობიერება სულაც არ ამცირებს პასუხისმგებლობას იმაზე, რაც მანამდე მოხდა. ის თავშეკავება პირველ რიგში საბჭოთა ხელმძღვანელობის დამსახურება იყო, რომლის სათავეში გორბაჩოვი და შევარდნაძე იდგნენ. სწორედ იმ წუთებში ხშირ-ხშირად მახსენდებოდა ჩემი საუბარი ედუარდ შევარდნაძესთან.

10 ნოემბერს შიონებერგის რატუშის წინ წარმოთქმულ სიტყვაში მე გარდა ამისა განვაცხადე: „რაც ბუდაპეშტში დაიწყო და შემდეგ ვარშავასა და მოსკოვში გაგრძელდა, ის ხდება ახლა გდრ-შიც. გერმანელებიც იქ არიან, სადაც თავისუფლების საკითხი წყდება. ის ღირსების გრძნობა, გონიერება და სიმწიფე, რაც გდრ-ის მოქალაქეებმა გამოიჩინეს თავისუფლებაზე თავიანთი პრეტენზიის გაცხადებისას, პატივს მიაგებს მთელ ერს. ეს ყოველივე მაგალითად გამოგვადგება ამ წუთებში. ჩვენც ისეთივე ღირსების გრძნობისა და გონიერების გამოჩენა გვმართებს. ჩვენ არ გვინდა, იმ ადრინდელი მეურვეობის სანაცვლოდ ახლა გდრ-ს ჩვენი არასასურველი რჩევა-დარიგებები მოვახვიოთ თავს“.

ამგვარად ჩამოვაყალიბე ის პრინციპი, რომლითაც უნდა გვეხელმძღვანელა მომავალი თვეების განმავლობაში. გდრ-ის მოქალაქენი ხელახლა არ უნდა აღმოჩენილიყვნენ მეურვეობის ქვეშ, ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა შექმნილიყო, თითქოს დასავლეთი მათ პოლიტიკური მიზნების მისაღწევ ინსტრუმენტად იყენებდა. ჩვენი მიზანი — გერმანიის ერთიანობა, რომელსაც მუდმივად ვიმეორებდით, კონსტიტუციაში გვქონდა ჩაწერილი და ფორმულირებული იყო გერმანიის ერთიანობისადმი მიძღვნილ წერილში — ეს გახლდათ გდრ-ის გერმანელებისადმი მიმართული შეთავაზება. ამ შეთავაზებას ესაჭიროებოდა მიღება, და არასოდეს მეეჭვებოდა, რომ ისინი მას მიიღებდნენ. მაგრამ ეს გულდაჯერებულობა მკაფიოდ გამოხატული თანხმობის მაგივრობას ვერ გაწევდა, რადგან სწორედ მკაფიოდ გამოხატული თანხმობა იყო საჭირო გაერთიანებისა და მისი საერთაშორისოპოლიტიკური უზრუნველყოფისთვის. არავის არც ქვეყნის შიგნით და არც მის ფარგლებს გარეთ არ უნდა მისცემოდა იმის საბაბი, რომ გერმანიის გაერთიანება დასავლეთის მიერ თავსმოხვეულ პროცესად წარმოესახა, და ამას გაერთიანებულ გერმანიაში სამომავლო თანაცხოვრებისთვისაც ჰქონდა მნიშვნელობა. გაერთიანება არ იყო ძალით თავსმოხვეული, ვინაიდან სინამდვილე-

ში ერთიანობის იდეას გდრ-ის მრავალი მოქალაქის შეგნებაში უფრო ღრმად ჰქონდა ფესვი გადგმული, ვიდრე ფედერაციული რესპუბლიკის ზოგიერთი მოქალაქის ცნობიერებაში. თვითგამორკვევის უფლება ეს *ყველა* გერმანელის უფლება იყო. ეს იყო ის საფუძველი, რის გამოც 1986 წელს გორბაჩოვთან ჩემი პირველი შეხვედრისას განვაცხადე, გერმანიის საკითხს პასუხი ისტორიისა და *ყველა* გერმანელის მიერ გაეცემა-მეთქი. ამ თვალსაზრისით ახლა აღარაფერი უნდა შეცვლილიყო.

შემდეგ გამოვთქვი ჩემი შეხედულება იმ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც ბოლო დღემდე ვახორციელებდით. ჩემი აზრით, ფედერაციული რესპუბლიკის მიერ არჩეული პოლიტიკური გზა პრობლემის გადაჭრისა სახელმძღვანელო პრინციპად უნდა დარჩენილიყო სამომავლოდაც: „ჩვენ დასავლეთის დემოკრატიათა თანამეგობრობაში დარჩენის სასარგებლოდ მივიღეთ გადაწყვეტილება. ამ წუთამდე გრძელი გზა გამოვიარეთ. დაიდო ხელშეკრულებები მოსკოვთან და ვარშავასთან, ჩეხოსლოვაკიასთან, ფუძემდებლური ხელშეკრულება გდრ-თან და ხელმოწერილ იქნა ჰელსინკის დასკვნითი აქტი. ეს იყო მოთმინებით აღსავსე ბრძოლა მშვიდობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებისათვის. კვლავაც ამ გზით ვიევლით. ჩვენ ვაღიარებთ იმ ხელშეკრულებებს, რასაც ხელი მოვაწერეთ. დღეს ვარშავიდან დავბრუნდით და იქ პოლონელ მეზობლებს ვუთხარით: ჩვენი ევროპელი მეზობლების უსაფრთხო მომავლის გარანტია არის ისიც, რაც პოლონელმა ხალხმა კარგად იცის: გერმანელების მხრივ არასოდეს დაისმება კითხვის ნიშნის ქვეშ საზღვარი გერმანიასა და პოლონეთს შორის“.

მოსკოვის გასაგონად იმ დღეს განვაცხადე: „ჩვენ გამოვხატავთ ჩვენს ნებას ვარშავის ხელშეკრულების იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც დემოკრატიული განვითარების გზაზე დგანან, და იმათ მიმართაც, რომლებიც ამ გზას დაადგებიან: ჩვენ არასოდეს შევეცდებით, ცალმხრივად ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ ის პრობლემები და სიძნელეები, რომლებიც იქ წარმოიშობა გარდაქმნისაკენ მიმავალ გზაზე. ჩვენ არ გვსურს არავითარი ცალმხრივი უპირატესობანი, ჩვენი სურვილია, იქაც გატარდეს რეფორმები, დამყარდეს თავისუფლება და დემოკრატია. ჩვენი სურვილია, განვითარება სტაბილურ ვითარებაში წარიმართოს“. ბოლო წინადადება შეიცავდა

ჩვენი პოლიტიკის ერთ მნიშვნელოვან პრინციპს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ვითარების სტაბილურობას მოსკოვის ხელმძღვანელობის ზედმეტი გულმოდგინების გამო საფრთხე არ უნდა დამუქრებოდა. შემდეგ დავძინე: „რისი მოწმენიც ჩვენ ამ კვირებში ვართ, არის ევროპის თვითგამორკვევა მის უკეთილშობილეს სიქველეთა, მისი დიდი კულტურის საფუძველზე, რომლის შექმნაში ევროპის ყველა ხალხმა შეიტანა თავისი დიდი წვლილი. ამ ხალხებს ვეუბნებით: ჩვენ, გერმანელებს, დღეს ერთი დიდი მიზანი გვაქვს: ჩვენი ქმედება მთელ ევროპაში ისეთნაირად წარვმართოთ, რომ ჩვენი საკუთარი ბედნიერება მეზობლებისგან მათ ბედნიერებად და საიმედო მომავლის გარანტიად აღიქმებოდეს. გრძელ გზაზე მნიშვნელოვან შუალედურ პუნქტს მივაღწიეთ. ახლა ჩვენ ამ გზას განვაგრძობთ იმავე გონიერებით, პასუხისმგებლობითა და სიფრთხილით“.

მოზღვავებული ბედნიერების გრძნობა ამ სიტყვებით გამოვხატე: „ძვირფასო თანამოქალაქენო, როცა თავისუფლების ჟამი მთელს ევროპაში ჩამოჰკრავს, ჩვენ შეგვეძლება ვთქვათ: ამ საქმეში გერმანელების წვლილიც არის, ეს ჩვენი მონაწილეობითაც მოხდა. მე მივესალმები ყველა ჩვენს თანამოქალაქეს, მივესალმები ყველა ევროპელს, მივესალმები ყველას, ვინც ხელი შეუწყო იმას, რაც მოხდა“. იმან, რაც მე ორი დღის წინ გერმანიის ბუნდესტაგში განვაცხადე, ახლა მწვავე აქტუალობა შეიძინა: „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეებს დღესვე უნდა ვუთხრათ: ეს ჩვენ დიდ ძალისხმევად დაგვიჯდება. ეს ძალისხმევა მსხვერპლის გაღება კი არ იქნება, არამედ გერმანელთა და ევროპელთა თავისუფალი და მშვიდობიანი მომავლისთვის განკუთვნილი ინვესტიცია. რაც ყოველდღიურად ხდება, ეს მოწმობს: ჩვენი ერის ის ნაწილი, რომელსაც 1945 წლიდან ჩვენი ისტორიის მძიმე ტვირთის ტარებამ მოუწია, ამ ტვირთისგან არ გასრესილა! გდრ-ის გერმანელთა ლტოლვა თავისუფლებისკენ განუხრელია და ძლიერი. მათ იციან, რას ნიშნავს ის თავისუფლება, რისთვისაც იბრძვიან. ორმოცწლიანმა დაშორიშორებამ ერთი ევროპა ორად ვერ აქცია და ერთი გერმანელი ერისაგან ორი ერი ვერ შექმნა. ერები იდეოლოგიებს როდი ეფუძნებიან. გდრ-ის გერმანელები გერმანიისა და ევროპის ისტორიის ახალ თავს წერენ. მხოლოდ მათი გადასაწყვეტია, როგორ ურთიერთობას დაამყარებენ ისინი ჩვენთან, და ისიც, როგორ და სად მოძებნიან თავიანთ ადგილს საერთო

ევროპულ სახლში. ჩვენი ვალია, რომ მათ ჩვენკენ მომავალი გზა გაეუხსნათ და არ ჩავუხერგოთ. კედლის დანგრევა და ეკლიანი მავთულხლართის მოშორება მარტო თავისუფალი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას კი არ იძლევა, სანდოობის დასადგენი ტესტიც არის". იმაზე მითითებით, რომ გდრ-ის გერმანელებს გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება ჰქონდათ, დავასწარი მოსალოდნელ საყვედურებს, გდრ-ის დაპატრონება სურთო.

8 ნოემბერს ბუნდესტაგში ესეც განვაცხადე: „შემაშფოთებელი იქნებოდა მხოლოდ დამოუკიდებელი ნაციონალური ქმედებანი. ეს სახიფათო იქნება არამარტო ჩვენი მეზობლებისთვის, არამედ ჩვენთვისაც". გასულ წლებში კვლავ და კვლავ ვაფრთხილებდი ყველას ნეიტრალიტეტის მომხრეთა დამოუკიდებელი ქმედებების წინააღმდეგ; ეს წარსულში დაბრუნება იქნებოდა. იგი ევროპაში ახალ დესტაბილიზაციას გამოიწვევდა, სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა დასავლეთ-აღმოსავლეთის დაახლოების პროცესს და ამით ავნებდა გერმანელთა ნაციონალურ ინტერესებსაც, რომლებიც დღეს ევროპული ინტერესების იდენტურია. გერმანიის ადგილის განსაზღვრას აქტუალობა არ უნდა დაეკარგა არც კედლის დანგრევის შემდგომ დღეებში. ვეღარასოდეს უნდა შეეცდინა გერმანელი ხალხი ნაციონალისტ ვირთხაჭერიებს!*

საბჭოთა ელჩმა ბონში, კვიცინსკიმ, კედლის დანგრევის შემდეგ თავის მთავრობას უდეპეშა, ახლა ახალი მასობრივი მიგრაცია დაიწყო, რაც ალბათ საბოლოოდ დაცლის სისხლისგან გდრ-სო. ვერავითარი ნაგვიანევი რეფორმა, ვერც დემოკრატია და ვერც „გლასნოსტი", ვერ აიძულებს გერმანელს გდრ-ში დარჩეს სამუშაოდ... ვინც ახლა დასავლეთში არ წავა, იმას მართლა ძლიერ ჰყვარებია სოციალიზმი და, ეტყობა, მართლა სწამსო მისი.

კედლის დანგრევა 9 ნოემბერს, უნგრეთში რკინის ფარდის მოხსნისა და პრაღის საელჩოს გაღების შემდეგ, 1989 წლის უმთავრესი მოვლენა იყო, რომელიც შუა და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე განვითარების პროცესის წყალობით ამ საუკუნის ნამდვილ

---

* ვირთხაჭერია — ხალხური თქმულების პერსონაჟი, მესტვირე, რომელმაც ვირთხებისაგან გაწმინდა ქალაქი ჰამელნი, და რაკი გასამრჯელო არ მისცეს, სტვირის ჰანგებით ქალაქიდან გაიტყუა და გაიტაცა ჰამელნის მოქალაქეთა ბავშვები. (რედ.)

რევოლუციურ ჟამთგასაყარად იქცა. რა ზემოქმედებას მოახდენს ეს ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე? და რაც მთავარია: როგორ უნდა მოახდინოს ჩვენმა პოლიტიკამ ზეგავლენა მოვლენათა განვითარებაზე, როგორ წარმართოს ისინი ჩვენ სასარგებლოდ?

ოთხნი და ერთობა I: მოლაპარაკებები ვაშინგტონში

კედლის დანგრევისა და ვარშავიდან ჩემი დაბრუნების მომდევნო დღეს დავურეკე ჩემს კოლეგებსა და მეგობრებს პარიზში, ლონდონსა და ვაშინგტონში — როლან დიუმას, დუგლას ჰერდსა და ჯიმ ბეიკერს, რათა მადლობა გადამეხადა მათთვის ძნელ ვითარებაში გაწეული დახმარებისა და სოლიდარობისთვის და კიდევ ერთხელ დამედასტურებინა ჩვენი პოლიტიკის კურსი. ვსარგებლობდი ჩემს ბინაში მდგარი სამსახურებრივი სატელეფონო აპარატით. კავშირებს საგარეო უწყების სატელეფონო სამსახური ამყარებდა და როცა ტელეფონისტმა ქალმა ჯიმ ბეიკერის ხმა გაიგონა, უთხრა: "Mister Secretary, God bless America!"* ჯიმ ბეიკერი ამან ღრმად შეძრა. მან მაშინვე მითხრა ამის შესახებ, როცა ტელეფონისტმა ქალმა ერთმანეთს დაგვაკავშირა. მე ვუპასუხე: „მან ის გამოხატა, რასაც ყველა გერმანელი განიცდის".

1989 წლის 11 ნოემბერს, შაბათს, ტელეფონით დავუკავშირდი ედურდ შევარდნაძეს. მსურდა საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის მადლობა გადამეხადა პასუხისმგებლობის შეგნებით გამსჭვალული ქმედებისთვის ბოლო კვირების განმავლობაში. გარდა ამისა კიდევ ერთხელ დავარწმუნე, რომ ჩვენ ყველა ხელშეკრულებასა და ვალდებულებას ვაღიარებდით, რომელიც ვიკისრეთ. ვახსენე მოსკოვის ხელშეკრულება, ვარშავის ხელშეკრულება, ჩეხოსლოვაკიასთან დადებული ხელშეკრულება და გდრ-თან ხელმოწერილი ფუძემდებლური ხელშეკრულება, განსაკუთრებით გავუსვი ხაზი გერმანია-საბჭოთა კავშირის დეკლარაციის მნიშვნელობას.

---

* „ბატონო მდივანო, ღმერთმა აკურთხოს ამერიკა!" (ინგლ.). „ღმერთმა აკურთხოს ამერიკა" — ფრაზა აშშ-ის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტიდან. (რედ.)

13 ნოემბერს თავდაცვის მინისტრ შტოლტენბერგთან ერთად ბრიუსელში გავფრინდი დასავლეთევროპული კავშირის მინისტრთა თავყრილობაზე. იქ ჩვენ შეფასება მივეცით მოვლენათა განვითარებას გდრ-ში და განვმარტეთ ჩვენი პოლიტიკის მიზნები. ამასთან აღვნიშნეთ, რომ ის, რაც გდრ-ში მოხდა, შეუძლებელი იქნებოდა, განვითარების ეს გზა წინასწარ რომ არ მონიშნულიყო პოლონეთში, უნგრეთში და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირში ხელისუფლებაში გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ.

ევროპაში, განსაკუთრებით კი გდრ-ში, მოვლენათა დრამატულად განვითარებასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა მიტერანმა, როგორც ევროსაბჭოს თავმჯდომარემ, 1989 წლის 18 ნოემბერს ხანმოკლე საგანგებო სამიტზე მიგვიწვია პარიზში. აშკარა იყო: ფრანსუა მიტერანს სურდა განვითარების ორი ტენდენციისთვის შეეწყო ხელი — ერთი გახლდათ რეფორმატორული მოძრაობა შუა ევროპაში, სახელდობრ პოლონეთსა და უნგრეთში, სადაც იგი (რეფორმატორული მოძრაობა) ყველაზე შორს იყო წასული; რეფორმის გზაზე დამდგარ ქვეყნებს ევროსაბჭოსა და 1947 წელს მიღებულ საბაჟო და სავაჭრო კონვენციაში გაწევრიანების უფლება უნდა მისცემოდათ. და გარდა ამისა უნდა შექმნილიყო რეფორმის გზაზე დამდგარ სახელმწიფოთა განვითარების მხარდამჭერი ბანკი. ასე დაარსდა „რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი". ამავე დროს მიტერანის ზრუნვის საგანი იყო ევროპული ინტეგრაციის პროცესის განგრძობა ევროკავშირის შექმნის მიზნით.

პარიზში უწინარეს ყოვლისა ეჭვი გამოიწვია ორი გერმანიის ეკონომიკური და სავალუტო გაერთიანების ჩვენმა სურვილმა. გამოითქვა შეშფოთება ფინანსთა მინისტრ ვაიგელის პოზიციის და აგრეთვე ფედერალური კანცელარიის ყოყმანის გამოც, თუმცა ეს შიში ორივე შემთხვევაში დაუსაბუთებელი იყო. ბრიტანელმა ელჩმა სწორად გაიგო ვენაში წარმოთქმული ჩემი სიტყვა: ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის განგრძობას გერმანიის საგარეო პოლიტიკისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. პარიზის შეხვედრამ დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა უმთავრესად იმის გამო, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ბლოკმა ყოყმანი დაიწყო, როცა გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრის საკითხი დადგა და საჭირო შეიქნა უკანასკნელი

დუგლას ჰერდი და ჰანს-დიტრიხ გენშერი „ღია ცის“ კონფერენციაზე ოტავაში 1990 წლის თებერვალში.

ეჭვებიც გაგვეფანტა იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანია აღიარებდა ამ საზღვრის ხელშეუხებლობას. სხდომის შემდეგ სხვა დელეგაციებმა ხმა გაავრცელეს, გერმანიის გაერთიანების საკითხზე საერთოდ არ ყოფილა ლაპარაკიო.

ეს არ ეხებოდა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას, რომლებიც თავდაპირველად ცალკე შეიკრიბნენ. ჩვენ საზღვრის საკითხი გერმანიის გაერთიანების ფონზე განვიხილეთ, გაერთიანებისა, რომლის კონტურები ის-ის იყო იკვეთებოდა. ამასთან დაკავშირებით კვლავ გავიხსენე ჩემი განცხადება, რომელიც 1989 წლის 27 სექტემბერს გავაკეთე გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის წინაშე, და გერმანიის ბუნდესტაგის 1989 წლის 8 ნოემბრის დადგენილება დავიმოწმე.

როცა სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურები და საგარეო საქმეთა მინისტრები გვიან ღამით კიდევ ერთხელ შევიკრიბენით, ამ ფართო წრეში სუსხიანი, ნერვული ატმოსფერო შევიგრძენი. ჩემი კოლეგა საგარეო საქმეთა მინისტრები, რომლებმაც ცოტა ხნით ითათბირეს თავიანთი მთავრობების მეთაურებთან, სახელმწიფოსა

და მთავრობის მეთაურთა წრეში პრობლემების შესახებ ლაპარაკობდნენ.

არასოდეს არავითარი საბაბი არ მქონია დავეჭვებულიყავი იმაში, რომ გერმანიის გაერთიანებას საფრანგეთის მხრივ მხარდაჭერა ექნებოდა. ჩემმა მეგობარმა როლან დიუმამ 1989 წლის 10 ნოემბერს ტელეარხ „RTL"-ით გამოსვლისას მკაფიოდ გამოხატა თავისი პოზიცია. შენიშვნაზე: „ერთხელ ფრანსუა მიტერანმა თქვა: „ფედერაციული რესპუბლიკა და გდრ თუ გაერთიანდა, აი მაშინ მოგვიწევს აკანკალებაო", მან უპასუხა: „არავითარი საფუძველი არ არსებობს სამაგისოდ, რადგან ყველაფერი მშვიდობიანად გვარდება, მაგრამ ჩვენ მოგვიწევს ვიკისროთ პოლიტიკური პასუხისმგებლობა, ჩვენ მოვალენი ვართ, დავფიქრდეთ".

1989 წლის 29 ნოემბერი, კვირადღე, დოკუმენტების მომზადებას მიეძღვნა. მეორე დღეს ბონში უამრავი საქმე მქონდა. ჯერ საკოალიციო საუბარი გაიმართა, მერე მოვიდა სამხრეთ კორეის პრეზიდენტი რო დე ვუ, რომელსაც თავისი საგარეო საქმეთა მინისტრი ჩოი-ჰო-იონგი ახლდა. ამას მოჰყვა მოლაპარაკებები შინაურ საკითხებზე სტატს-მდივან ზუდჰოფსა და მინისტერიალდირექტორ კასტრუპთან, საღამოს ფედერალურმა პრეზიდენტმა რედუტში სადილი გამართა სამხრეთკორეელი სტუმრის პატივსაცემად. იქიდან პირდაპირ გავსწიეთ ვაშინგტონში გადასაფრენად.

ამით დაიწყო ჩემი ვიზიტების ტურნე იმ ოთხი სახელმწიფოს დედაქალაქებში, რომელნიც პასუხისმგებელნი იყვნენ გერმანიაზე. ბოლო სადგური მოსკოვი უნდა ყოფილიყო. საჭირო იყო განგვეხილა მოვლენების განვითარება გერმანიასა და ევროპაში, წარმოგვეჩინა ჩვენ-ჩვენი პოზიციები და ამოგვეცნო შესაძლო რეაქციები გერმანიის გაერთიანებაზე, რომლის კონტურები ის-ის იყო იკვეთებოდა.

ჩემი ვიზიტი ვაშინგტონში აღბეჭდილი იყო დიდი გულითადობით, გულწრფელი სიმპათიით, სითბოთი და ღრმა მეგობრული გრძნობებით. პრეზიდენტმა ბუშმა ოვალურ ოფისში მიმიღო. ჩემთან იყვნენ ელჩი რუფუსი, მინისტერიალდირექტორი კასტრუპი და განიარაღების განყოფილების ხელმძღვანელი, მინისტერიალდირექტორი ჰოლიკი. ამერიკულ მხარეს წარმოადგენდნენ ვიცე-პრეზიდენტი ქვეილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბეიკერი, შტაბის უფროსი სუნუნუ და

მრჩეველი უშიშროების დარგში სკოუკროფტი, გარდა ამისა პრეზიდენტმა მოიწვია თანამშრომლები გეიტსი და ბლეკვილი, აგრეთვე ელჩი უოლტერსი. ჩვენი მადლიერების ნიშნად პრეზიდენტს ბერლინის კედლის ნამსხვრევი გადავეცი და ვუთხარი, რომ ამ კედლის დაცემა იყო სიმბოლო თავისუფლებისა და დემოკრატიისკენ სწრაფვისა. ჩვენ გვსურს მადლობა გითხრათ იმ დახმარებისა და იმ სიმტკიცისთვის, რომლითაც ჭირშიც და ლხინშიც აშშ მხარში გვედგა. ახლა საჭიროა გატარდეს რეფორმები აღმოსავლეთ ევროპაში და განხორციელდეს გერმანელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება; ევროთათბირის პროცესზე დაყრდნობით ჩვენ უნდა დავამყაროთ სამშვიდობო წესრიგი მთელ ევროპაში,— ვთქვი მე. პრეზიდენტმა მადლობა გადაგვიხადა და გულში ჩამწვდომი სიტყვებით შეაფასა ბერლინში განვითარებული მოვლენების მნიშვნელობა, მეტადრე კედლის დაცემა.

შემდეგ იგი შეეხო ერთ თემას, რომლითაც ჩვენ მეტისმეტად უდროო დროს ვიყავით დაკავებული მთელი 1989 წლის განმავლობაში — ეს გახლდათ მოკლე მანძილზე მოქმედი რაკეტების საკითხი. ამერიკის პრესაში გაჩნდა ცნობები, თითქოს ჩვენ ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას არ ვაპირებდით. ამაზე მე მივუგე, ეს საკითხი — როგორც ჩვენ უკვე შევთანხმდით — 1992 წელს უნდა განვიხილოთ-მეთქი. ეს სრულიად დამშვიდებული სინდისით განვაცხადე, რადგან მაშინ, 1989 წლის ნოემბერში, ვერავინ შეძლებდა იმის სერიოზულად მტკიცებას, რომ ჩვენ სამი წლის შემდეგ მოკლე მანძილზე მოქმედი რაკეტების სტაციონირების სასარგებლოდ მივიღებდით გადაწყვეტილებას.

ამის შემდეგ პრეზიდენტი იმ კვირის აქტუალურ თემებზე გადავიდა და თქვა, გამაკრიტიკეს, ბერლინის ამბებს უფრო ხმამაღლა რატომ არ გამოეხმაურე, „ბერლინის კედელზე რატომ არ შეხტიო". მაგრამ თავისუფლებისკენ სვლა გრძელდება და საჭიროა ფრთხილად ვიმოქმედოთ, რათა აურაცხელ პრობლემას გავართვათ თავი. ვუთხარი, რომ მეც ვიზიარებდი მოვლენებისადმი ამგვარ წინდახედულ მიდგომას. ახლა გამოჩნდა,— ვთქვი მე,— რომ ზაფხულში ჩატარებული ნატოს სამიტის გადაწყვეტილებები სასარგებლო კონცეფცია აღმოჩნდა. სტაბილურობისკენ, მაგრამ ამავდროულად ფართო მასშტაბის ურთიერთთანამშრომლობის ნების აღსრულებისკენ მიმა-

რთული ჩვენი პოლიტიკა განუხრელად უნდა განვაგრძოთ. „Never change a winning team“*, ამბობენ-მეთქი ამერიკაში, მაგრამ შეიძლებოდა ასეც გვეთქვა: “Never change a winning concept“**. ხაზგასმით მივესალმე უმაღლეს დონეზე პრეზიდენტ ბუშისა და პრეზიდენტ გორბაჩოვის მომავალ შეხვედრას. განვაცხადე, ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რომ აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობანი კვლავაც გაუმჯობესდეს, რაც შუა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს უფრო მოქნილი პოლიტიკის წარმოების საშუალებას მისცემდა. იქ ახლა შთამბეჭდავი განვითარება შეინიშნება თავისუფლებისა და დემოკრატიისკენ. მთელი გერმანიის ბედისწერა განვითარების ამ პროცესზეა დამოკიდებული. გერმანელთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზება ჩვენ არავითარ შემთხვევაში არა გვსურს იზოლირებულად; ჩვენ ლოიალურად ვართ განწყობილნი დასავლური სამხედრო ალიანსის და ჩვენი ვალდებულებების მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ვიზრუნებთ ევროგაერთიანების ინტეგრაციული პროცესის შემდგომი გაძლიერებისთვის. ეს გზა სტრასბურგის სამიტზეც უნდა გაგრძელდეს-მეთქი.

მას შემდეგ, რაც თვითგამორკვევის მოთხოვნით გერმანიის გაერთიანების თემა წამოვჭერი, ჯორჯ ბუში მაშინვე გორბაჩოვზე ალაპარაკდა. გენერალური მდივანი შეშფოთებულია გერმანული საკითხის გამოო, და დასძინა: ცვლილებათა დინამიკა პოლონეთში, უნგრეთში და გდრ-ში, შემდეგ კი ალბათ ჩეხოსლოვაკიაშიც, ცხადყოფს, რომ ახლო მომავალში გერმანიის გაერთიანების საკითხიც დაისმება. აშშ მხარს უჭერს გერმანელთა სწრაფვას თვითგამორკვევის, გაერთიანების, მშვიდობისა და თავისუფლებისაკენ, მაგრამ ისიც სავსებით შესაძლებელია, რომ ეს პროცესი უფრო სწრაფად განვითარდეს, ვიდრე ახლა მოველითო. ამაზე მე მივუგე: სწორედ მოსკოვზე ზემოქმედებისთვის, გდრ-ელი გერმანელების მოვალეობაა, თავიანთი აზრი გამოთქვან გაერთიანების თაობაზე. ჩვენ ჩვენი მხრივ გაერთიანების ნება უკვე გამოვხატეთ ჩვენს კონსტიტუციაში; ჩვენ გვსურს გაერთიანება, როგორც მე სულ ბოლოს 28 სექტემბერს

---

* „არასოდეს შეცვალო გუნდი, რომელიც იგებს“ (ინგლ.).

** „არასოდეს შეცვალო კონცეფცია, რომელიც იგებს“ (ინგლ.).

აღვნიშნე ხაზგასმით გაეროში გამოსვლისას. ჯერჯერობით გდრ-ში უპირატესად რეფორმებს, დემოკრატიასა და თავისუფალ არჩევნებს მოითხოვენ, თუმცა ამასობაში დემონსტრაციებზე — მაგალითად, ლაიფციგში — გაერთიანების მოთხოვნაც გაისმა. ამასთან დაკავშირებით ხშირად იმოწმებენ გდრ-ის ნაციონალურ ჰიმნს: გერმანია, ერთიანი სამშობლო. თუ გერმანელები გდრ-ში თავისუფლებასა და დემოკრატიას მიაღწევენ, ევროპა ამით მხოლოდ და მხოლოდ მოიგებდა. ყოველ შემთხვევაში ამ თვალსაზრისით ერთი რამ საკვლევით ცხადი უნდა იყოს: ჩვენ არ ვართ მოსურნე გერმანიის მხრივ დამოუკიდებელი ქმედებებისა, ჩვენ ნატოსა და ევროგაერთიანებაში ყოფნა გვინდა. წარსულში ხშირად გამოთქმულა უსაფუძვლო შეშფოთება გერმანიის განსაკუთრებული როლის გამო; დღეს კი ნუ ვიზამთ იმას, რომ საერთოევროპული განვითარებიდან გერმანელთა გამოთიშვით მართლა აქტუალური გახდეს გერმანიის განსაკუთრებული როლის საკითხი. ესეც ასევე მიუღებელი იქნებოდა-მეთქი.

შემდეგ დავძინე: საბჭოთა კავშირს უნდა ვაგრძნობინოთ, რომ დასავლეთს არ სურს უსაფრთხოების სფეროში ცალმხრივი სარგებელი ნახოს ყოველივე იმისგან, რაც ხდება, რისთვისაც საზღვრების საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. გერმანიის ბუნდესტაგმა ხმათა დიდი უმრავლესობით დაამტკიცა ის განცხადება გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრის გამო, რომელიც მე სექტემბერში გავაკეთე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე. ეს გვიჩვენებს, როგორი პასუხისმგებლობით მოქმედებენ გერმანელები, როდესაც საქმე იმ მოვლენებისთვის თავის გართმევას ეხება, რომელთა კონტურები მკაფიოდ იკვეთება-მეთქი.

როცა მალტაში ამერიკა-საბჭოთა კავშირის მომავალი შეხვედრის შესახებ ვკითხე, პრეზიდენტმა ბუშმა მითხრა, მინდა ამ შეხვედრისას გორბაჩოვი პიროვნულადაც უკეთ გავიცნოო. უწინარეს ყოვლისა მინდა გამოვიცნო, რამდენად ფართოა მისი სამოქმედო ასპარეზის ფარგლები და რას გულისხმობდა იგი, როცა თქვა, გერმანიის გაერთიანების საკითხში თავშეკავება გვმართებსო. ბოლოს ისიც მნიშვნელოვანია ჩემთვის, რა ვითარებაა საბჭოთა კავშირში ეკონომიკური მდგომარეობისა და ნაციონალური პრობლემების თვალსაზრისით. თუ განიარაღების საკითხი დადგა, ნატოსკენ მივუთითებო.

ბოლოს პრეზიდენტი კვლავ გერმანიაში მიმდინარე პროცესებს დაუბრუნდა, თანაც ძალიან პიროვნული საუბრის ტონზე გადავიდა. კარგად მესმის, გდრ-ში განვითარებული მოვლენები თქვენთვის, იქ დაბადებული ადამიანისთვის, რასაც ნიშნავსო. მან მე გამიგო — არამარტო იმ დღეს, არამედ, ეტყობა, იმ მოტივებსაც ჩასწვდა, რომლებმაც იმ ისტორიული 1989 წლის პირველ თვეებში მაიძულა მოკლე მანძილზე მოქმედი რაკეტების მოდერნიზაციაზე უარი მეთქვა.

ამგვარად თეთრი სახლი იმ შეგნებით დავტოვე, რომ მეგობრებს შევხვდი, მეგობრებს, რომლებიც გერმანიის ერთიანობას ემხრობოდნენ, მხარს გვიჭერდნენ და ჩვენთან ერთად ფიქრობდნენ, როგორ შეიძლებოდა ამ მიზნის განხორციელება ისეთნაირად, რომ ეს მთელი ევროპისთვის სასარგებლო ყოფილიყო, და როგორ დაგვეყოლიებინა ამაზე საბჭოთა კავშირი.

პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ სკოუკროფტს ველაპარაკე, პრეზიდენტის მრჩეველს უშიშროების დარგში. კიდევ ერთხელ გავიმეორე ჯორჯ ბუშთან საუბრისას ნათქვამი, რომ ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, მიგვეცა გერმანელი ხალხისთვის თავისი თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა. დასავლეთში ალბათ არავინ მიიჩნევს საფრთხედ, თუ გდრ დემოკრატიის გზას დაადგება და ამას თვითგამორკვევის უფლების განხორციელებისთვისაც გამოიყენებს-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ ყოველთვის მწამდა: როგორც კი გერმანელებს გდრ-ში თავიანთი აზრის დემოკრატიულად გამოხატვის საშუალება მიეცემოდათ, ისინი გაერთიანებას მოითხოვდნენ.

სკოუკროფტმა მკითხა, როცა თვითგამორკვევის უფლების განხორციელებაზე ლაპარაკობთ, საზავო ხელშეკრულებაზე ფიქრობთ თუ ოთხი სახელმწიფოს კონფერენციაზეო. საზავო ხელშეკრულების იდეა მე უკუვაგდე. ის კარგა ხანია აღარ შეეფერება შექმნილ ვითარებას, რაკიღა იმ ოთხი სახელმწიფოდან სამთან, ისევე როგორც საერთოდ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე სახელმწიფოთა უმეტესობასთან, პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობები გვაკავშირებს და საბჭოთა კავშირთანაც კარგი ურთიერთობა გვაქვს-მეთქი. და მაინც ოთხი სახელმწიფოს კონფერენციაც დღევანდელ პირობებში უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ გერმანიის საკითხის განხილვა გერმანელთა გარეშე,

როგორც ეს მოხდა ჟენევაში ორმოცდაათიან წლებში, ყოვლად მიუღებელია: ყველა ექვსივე მონაწილე *ერთ* მაგიდას უნდა მიუსხდესმეთქი. ეგულისხმობდი ორივე გერმანულ სახელმწიფოს — ფედერაციულ რესპუბლიკასა და გდრ-ს — აშშ-ს, საბჭოთა კავშირს, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს. ამით მომავალი მოლაპარაკებების სტრუქტურა ძირითადად უკვე მოიხაზა.

სკოუკროფტმა გდრ-ის ეკონომიკური მდგომარეობის მიმართაც გამოიჩინა ინტერესი. ამ საკითხებზე აზრთა ხანმოკლე გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მე მას ინფორმაცია მივაწოდე 18 ნოემბერს პარიზში ჩატარებული ევროგაერთიანების სამიტის შესახებ, სადაც შევთანხმდით დაგვეარსებინა ევროპული თანამშრომლობის ბანკი. ძალიან მნიშვნელოვანია, საბჭოთა კავშირი დავარწმუნოთ, რომ ჩვენ არ გვსურს გარდაქმნის პროცესის სიძნელეები ცალმხრივად ჩვენ სასარგებლოდ გამოვიყენოთ-მეთქი.

ჯიმ ბეიკერს პირისპირ სასაუბროდ სახელმწიფო დეპარტამენტში შევხვდი. ჩვენ უფრო ღრმად განვიხილეთ ის თემები, რომლებსაც მანამდე პრეზიდენტი შეეხო. ბოლოს ჩვენს თანამშრომლებთან ერთად სასადილოში ვისადილეთ — განწყობილება სრულიად დაუძაბავი იყო. რამდენიმე თვეში კლიმატი სავსებით შეიცვალა. ის თავშეკავებული და ცივი მიღება, რომელიც იმავე წლის გაზაფხულზე გერჰარდ შტოლტენბერგსა და მე ამავე დარბაზში მოგვიწყვეს საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეიკერმა და თავდაცვის მინისტრმა ჩენიმ — მაშინ ატმოსფეროს ძაბავდა კამათი მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული იარაღის მოდერნიზაციის შესახებ —, თითქმის დავიწყებული იყო. ახლა ჩვენ გვაერთიანებდა როგორც სიტუაციის, ისე ამ სიტუაციიდან გამომდინარე შანსების ერთნაირი შეფასება. პიროვნულად ერთმანეთისკენ მიმავალი გზები კარგა ხნის ნაპოვნი გვქონდა.

თავიდანვე რომ მეგობართათვის დამახასიათებელი გულახდილობითა და სიცხადით ვილაპარაკეთ მდგომარეობასა და ერთიმეორის თვალსაზრისებზე, ამან თავისი ნაყოფი გამოიღო. არც პრეზიდენტი ბუში და არც საგარეო საქმეთა მინისტრი ბეიკერი არ იყვნენ დაინტერესებულნი იმით, რომ მათ უმნიშვნელოვანეს ევროპელ პარტნიორს ამერიკელთა შეხედულების ყოველი ცვლილებისთვის წინმსწრები მორჩილებით დაეკრა ტაში, და ამიტომაც მოკლე

მანძილზე მოქმედი ბირთვული რაკეტების შესახებ ჩვენ მიერ სიცხადითა და თავდაჯერებულად წარმართულმა დისკუსიამ ატმოსფეროს განმწმენდი ჭექა-ქუხილივით იმოქმედა. განუყოფელი გერმანელი ნაციის ინტერესთა ერთმნიშვნელოვნად დაცვამ — რაც ბუნდესტაგში 1989 წლის 27 აპრილს წარმოთქმულ ჩემს სიტყვაშიც წარმოჩნდა — და ჩვენმა პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალულმა პოლიტიკამ ჩვენი აღმოსავლელი მეზობლის პოლონეთის მიმართ, ისევე როგორც გადაწყვეტილებამ მოკლე მანძილზე მოქმედი რაკეტების შესახებ, პოლიტიკური ზემოქმედება მოახდინა.

ოთხშაბათს, 22 ნოემბერს, სინანულისა და ლოცვის დღეს, დილით ბონში გამოვფრინდი. თვითმფრინავში, ჩვეულებისამებრ, მეძინა. მანამდე კი მოვლენათა მთელი განვითარება კიდევ ერთხელ წარმომიდგა გონების თვალწინ. ჩემი მოსაზრება გამართლდა: აწი რაც არ უნდა მომხდარიყო — თუკი გერმანიის გაერთიანების პროცესს პასუხისმგებლობითა და გონივრულად მოვეკიდებოდით, მაშინ ამერიკა ჩვენ მხარეზე იქნებოდა. ნაშუადღევს მეუღლესთან ერთად, როგორც ყოველ წელიწადს, ამჯერადაც რაინბახის საშემოდგომო ბაზრობას ვეწვიე, ვაჭრობის, ხელოსნობის და მრეწველობის მიღწევათა შთამბეჭდავ გამოფენას.

მეორე დღეს, 9 საათზე კაბინეტის სხდომა ჩატარდა, შემდეგ კი — უშიშროების ფედერალური საბჭოს სხდომა. მანამდე, 7 საათსა და 45 წუთზე შევხვდი ფედერალურ მინისტრს შოიბლეს, ფინანსთა მინისტრს შტოლტენბერგსა და მის საპარლამენტო სტატსმდივანს კარსტენსს. ჩვენი საუბრის თემა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საგარეო უწყებისთვის: საქმე ეხებოდა კანონს საგარეო უწყების შესახებ, რომლის გატანას წლების განმავლობაში ვცდილობდით. ბოლოს და ბოლოს ჩვენი უწყების თავისებურებებს ანგარიში უნდა გასწეოდა. საქმეს კარგი პირი უჩანდა.

პარასკევს ბუდაპეშტს გავფრინდი, რათა ხელახლა მოვლაპარაკებოდი საგარეო საქმეთა მინისტრ დიულა ჰორნსა და პრემიერ-მინისტრ ნემეთს. უნგრეთს უნდა სცოდნოდა, რომ მოქმედება დევიზით „მავრმა თავისი მოვალეობა შეასრულა, მავრს შეუძლია წავიდეს“ ჩვენი საქმე არ იყო. გერმანია მომავალშიც ხელს შეუწყობდა რეფორმების პოლიტიკას შუა ევროპაში და არასოდეს დაუ-

ვიწყებდა უნგრეთს იმას, რაც მან სექტემბერში ევროპისა და გერმანელთა მომავლისთვის გააკეთა.

ფედერალური კანცლერის ათი პუნქტი

1989 წლის 28 ნოემბერი გადამწყვეტი დღე უნდა ყოფილიყო ფედერაციულ გერმანიასა და გდრ-ს შორის დამოკიდებულების თვალსაზრისით. იმ დღეს 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მეორე მოსმენით უნდა ყოფილიყო მიღებული; განხილვა იწყებოდა ფედერალური კანცლერისა და ფედერალური კანცელარიის, აგრეთვე შიდაგერმანული ურთიერთობების დარგში ფედერალური მინისტრის და საგარეო უწყების კომპეტენციათა სფეროებიდან. რამდენიმე დღით ადრე ჭორების სამზარეულომ ხმა გაავრცელა, კანცლერს უნდა დებატები იმისთვის გამოიყენოს, რომ გერმანულ საკითხზე საკუთარი შეხედულებები წარმოადგინისო. და რაკიღა სურს, მისი მოსაზრებები პირად თვალსაზრისად მიიღონ, არ არის გათვალისწინებული მათი შეთანხმება სამთავრობო წრეებსა თუ კოალიციასთანო. ისიც ითქვა, ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა კვლავ თავის ხელში უნდა აიღოს ინიციატივა გერმანულ საკითხშიო. ლაპარაკი იყო იმ რეაქციაზეც, რაც ჩემს გამოსვლას მოჰყვა პრაღაში.

უკვე მაშინ ვიგრძენი, რომ ჩემმა გარჯამ საელჩოში თავშესაფრის მაძიებელთა დასავლეთისკენ გასამგზავრებლად და, საერთოდ, ჩემმა გადაფრენამ პრაღაში კოალიციის რიგებში მარტო სიხარული როდი გამოიწვია. ამასთან ნიუ-იორკში გამგზავრებამდე და ნიუ-იორკში ყოფნის დროსაც მუდმივი სატელეფონო კონტაქტი მქონდა ფედერალურ კანცლერთან და ფედერალურ მინისტრ ზაიტერსთან. კანცელარია ყველა ჩემი მცდელობის შესახებ ინფორმირებული იყო და მწვანე შუქიც ამინთეს.

როცა გდრ-დან მაცნობეს, რომ შაბათ დილით, ჩემი ნიუ-იორკიდან დაბრუნების შემდეგ, თავიანთი მუდმივი წარმომადგენლის გამოგზავნა სურდათ საგარეო უწყებაში, მე გდრ-ის მუდმივ წარმომადგენლობას ვაცნობე, მათი ხელმძღვანელი — არსებული წესის თანახმად — კანცელარიაში გამოცხადებულიყო, კერძოდ ფედერალურ მინისტრ ზაიტერსთან, რომელიც გდრ-თან ურთიერთობის

საკითხებს განაგებდა.

ჩემი ჩასვლა პრაღაში, რათა იქ საელჩოში თავისუფლების მომლოდინე ადამიანები დამერწმუნებინა, რომ რისკის გარეშე შეეძლოთ გდრ-ის ტერიტორიის გავლით გამგზავრება, აუცილებელი იყო. ეს ნათელი გახდა თავშესაფრის მაძიებელთა რეაქციით იმ მომენტში, როცა მე მათ შევატყობინე, რომ ფედერაციულ რესპუბლიკაში პირდაპირ კი არა, გდრ-ის გავლით უნდა გამგზავრებულიყვნენ. მაგრამ მე ფედერალურ მინისტრ ზაიტერსს ვთხოვე, გამომყოლოდა, თუმცა საელჩოში ვიზიტი მხოლოდ ჩემი კომპეტენციის სფეროს განეკუთვნებოდა: მინდოდა გასაქანი არ მიმეცა წვრილმანი ეჭვიანობისთვის, რასაც ადრე უკვე წავწყდომოდი. და მაინც, მომდევნო დღეებში ჟურნალისტებიც და ჩემთან დაახლოებული კავშირის წევრი პოლიტიკოსებიც კვლავ და კვლავ მიმანიშნებდნენ, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიულ და ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთა ბლოკში ჩემს აქტიურობებს სკეპტიკურად, მეტიც უნდობლობით ეკიდებოდნენ, რადგან აქედან შესაძლოა სარგებელი ენახა თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას. ძალიან გამიჭირდა ამის დაჯერება.

1989 წლის 9 ოქტომბერს ჩემთან საგარეო უწყებაში მოვიდა ფედერალური მინისტრი შოიბლე. ჩვენ დრო და დრო ვმსჯელობდით ხოლმე შექმნილ ვითარებაზე. მე მას ვუთხარი, რომ მოგვეცა უნიკალური ისტორიული შანსი გერმანიის გასაერთიანებლად და ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ, ახლა წვრილმანი ეჭვიანობის დრო არ არის-მეთქი. სულაც არ მინდა, ჩემი თავი მეტიჩრულად წინა პლანზე წამოვწიო, მაგრამ ჩემს მოვალეობებს ყველა შემთხვევაში შევასრულებ. ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა გაითვალისწინოს, რომ მთავრობის წარმატება მნიშვნელოვანწილად, იქნებ უდიდესწილადაც კი, თვითონ მას მოუტანს-მეთქი წარმატებას.

კრიტიკული დამოკიდებულება ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრთა მხრივ ჩემთვის გაუგებარი იყო და ძალიან მწყინდა, მაგრამ ჩემი ინტერესების სფეროში აბსოლუტურად არ შემოდიოდა ის, რომ გერმანული პოლიტიკისა და ისტორიის ამ გადამწყვეტ ფაზაში კოალიციისშიდა წინააღმდეგობების გამო ძალების ოდნავი შესუსტებაც კი დამეშვა. ჩვენ ყველა პოლიტიკური ძალის ერთ მუშტად შეკვრა დაგვჭირდებოდა. ჩემი ამ შეტყობინებისთვის

შესაფერ ადრესატად ვოლფგანგ შოიბლე მივიჩნიე, რომელსაც ვაფასებდი როგორც კავშირის პოლიტიკურად და სტრატეგიულად მოაზროვნე წევრს.

ჰორსტ ტელჩიკმა, რომელმაც ერთ წიგნში მოგვითხრო კანცლერის ეგრეთ წოდებული ათი პუნქტის შემცველი 28 ნოემბრის განცხადების შესახებ, მოგვიანებით დაწერა, რომ ეს იდეა მან თვითონ შესთავაზა ჰელმუთ კოლს: „თუ ამას თქვენ (ფედერალური კანცლერი) არ გააკეთებთ, არსებობს საფრთხე, რომ ამ ამოცანის შესრულებას თავისუფალი დემოკრატიული პარტია ან სოციალ-დემოკრატიული პარტია აიღებს თავის თავზე". მე თავში არასოდეს მომივიდოდა, ესოდენ დიდმნიშვნელოვან საკითხს ამგვარი თვალთახედვით მივდგომოდი. რა შუაში იყო აქ „საფრთხე"?

ამ ეტაპზე ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ ყოველდღიურად ცვალებადი ვითარების პირობებშიც გერმანიის პოზიცია არაორაზროვნად და მკაფიოდ განმემარტა დასავლეთისა და აღმოსავლეთისთვის. ამიტომ დავგეგმე ვიზიტები ვაშინგტონში, ლონდონში, პარიზსა და მოსკოვში; ჩემთვის უეჭველი იყო: გაერთიანებული გერმანია მომავალშიც ევროგაერთიანების და ნატოს წევრად უნდა დარჩენილიყო. ჩვენ უნდა გვეპოვა საიმისო გზები, რომ ეს გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირისთვისაც მისაღები გაგვეხადა.

როგორ აფასებდა საბჭოთა კავშირი სიტუაციას 1989 წლის 8 ნოემბერს, იმ დღეს, როცა ჩვენ გახლეჩილ გერმანიაში ნაციის მდგომარეობის შესახებ ვკამათობდით? რა მოლოდინებს ელოლიავებოდა იგი იმ მომენტში, როცა ჯერ კიდევ ეგონა, რომ გდრ-ში რეფორმების გატარებით შესაძლებელი იქნებოდა ვითარების განმუხტვა? იმ 1989 წლის 8 ნოემბერს კედელი ხომ ჯერ კიდევ იდგა. ამიტომ განვაცხადე ბუნდესტაგის წინაშე ამ საკითხთან დაკავშირებით, მარტო გდრ-იდან გამგზავრების გაადვილება არ იკმარებს, კედელი უნდა დაინგრეს-მეთქი. 1989 წლის დამდეგს ვენაში ევროთათბირის კონფერენციაზე მე იმ კედელს რელიქტი ვუწოდე, რომელიც თავიდან უნდა მოგვეშორებინა. ბოლოს გადავწყვიტე, დებატებში გამოსვლისას მთავარი აქცენტი ნაციის ერთიანობაზე, აქედან ჩვენთვის გამომდინარე შედეგებსა და გერმანული პოლიტიკის ევროპული პოლიტიკის კონტექსტში მოაზრებაზე გამეკეთებინა. საკითხთა ამ ჯგუფში შედიოდა აგრეთვე ჩემი მოსაზრებანი იმის თაობაზე, თუ

როგორ უნდა მივსულიყავით ჩვენი პოლიტიკის მეშვეობით პოზიტიურ ცვლილებებამდე ევროპულ გარემოში.

ათპუნქტიანი განცხადება კოალიციასთან რომ არ იყო შეთანხმებული, ეს კოალიციის საქმე გახლდათ. მაგრამ მასზე არც ჩვენს უმთავრეს მოკავშირეებთან ყოფილა ლაპარაკი, რომელთა მხარდაჭერა მომდევნო კვირებში აუცილებლად დაგვჭირდებოდა. ამიტომ კანცელარიის მოხელეებმა დაიწყეს რეკვა სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებში და მათ თანამშრომლებს ურჩევდნენ ყურადღებით მოესმინათ კანცლერის სამთავრობო განცხადება, ვინაიდან ის ძალიან მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავსო.

28 ნოემბერს ჰელმუთ კოლმა ბოლოს და ბოლოს გააცნო პარლამენტს თავისი ათპუნქტიანი გეგმა. ის მრავალი ელემენტისგან შედგებოდა, მათ შორის იყო გდრ-თან თანამშრომლობის ხანგრძლივი პროგრამაც. ჰელმუთ კოლმა პრემიერ-მინისტრ მოდროვის მიერ სამთავრობო განცხადებაში ნახსენებ სახელშეკრულებო ურთიერთობაზეც ილაპარაკა, თანაც დასძინა, ჩვენ მზად ვართ, ამ აზრს მხარი დავუჭიროთო. ეს, ჩემი აზრით, სწორი და აუცილებელი განცხადება იყო, რადგან ამას საბჭოთა კავშირისაგან მოსალოდნელი წინააღმდეგობა შეიძლება შეესუსტებინა. ხოლო ორივე სახელმწიფოსთვის საერთო ინსტიტუციებსა და კონფედერაციულ სტრუქტურებზე მინიშნებას პირიქით, შესაძლოა გაუგებრობა და ეჭვი გამოეწვია. განცხადების ბოლოს ხაზგასმით იყო გამოხატული გერმანული ერთიანობის აღდგენის ნება. ამასთან დაკავშირებით მეათე პუნქტში სავსებით მართებულად ეწერა: „ამ მრავლისმომცველი პოლიტიკით ჩვენ ზემოქმედებას ვახდენთ მშვიდობის მდგომარეობაზე, რომლის პირობებშიც გერმანელ ხალხს შესაძლებლობა ექნება თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე აღიდგინოს თავისი ერთიანობა. გაერთიანება, ანუ გერმანიის სახელმწიფო ერთიანობის აღდგენა, რჩება ფედერალური მთავრობის პოლიტიკურ მიზნად“. ამას ვაცხადებდი მეც წლიდან წლამდე გაერთიანებული ერების წინაშე, სულ ბოლოს — როგორც ზემოთაც ვახსენე — 1989 წლის 28 სექტემბერს ვთქვი ასეთი რამ. მანამდე ფედერალურმა კანცლერმა ევროთათბირის პროცესს საერთოევროპული არქიტექტურის დედაბოძი უწოდა, რის გამოც ძალიან კმაყოფილი დავრჩი. მხოლოდ მას შეუძლია იგრძნოს, რას ნიშნავდა ჩვენთვის ასეთი შეფასება

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარისაგან — კანცლერი ხომ ამჯერად პარტიის თავმჯდომარის როლში გამოდიოდა — , ვინც მოსწრებია ჰელსინკის დასკვნითი აქტისა და ევროთათბირის პროცესის გამო გამართულ დისკუსიებს გერმანულ საზოგადოებრიობასა და ბუნდესტაგში. ეს იყო შემობრუნების პუნქტი ქრისტიანულ-დემოკრატიულ და ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთა ბლოკის დამოკიდებულებაში ევროთათბირის პოლიტიკის მიმართ, რაც თავისუფალი დემოკრატიული პარტიისთვის და პირადად ჩემთვის განსაკუთრებული მიზეზი გახლდათ კმაყოფილებისა.

ჩვენი რეაქცია წარმოდგენილი გეგმის ფორმასა და შინაარსზე ფრთხილი და მოზომილი უნდა ყოფილიყო. წინასწარ გათვალისწინებულ გამომსვლელთა შემდეგ მე უნდა მელაპარაკა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის სახელით. ჩემამდე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით დეპუტატმა ფოიგტმა ილაპარაკა, რომელმაც საკვლევით დაუჭირა მხარი ფედერალური კანცლერის განცხადებას. ეს მას იმის გამოც გაუადვილდა, რომ მისი პარტიის ფრაქციის თავმჯდომარემ, დრ. ფოგელმა, დებატების დასაწყისში უკვე დაწვრილებით ილაპარაკა ურთიერთთანამშრომლობის კონფედერაციული ელემენტების სასარგებლოდ. კონფედერაციის საკითხს სოციალ-დემოკრატები მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ; მე პირიქით — მაინცდამაინც დიდად არ მომწონდა ეს მოდელი, რადგანაც ორი გერმანიის კონფედერაცია სიცოცხლისუნარიანი, სამომავლო პერსპექტივის მქონე არ მეჩვენებოდა. როგორ უნდა მოეხერხებინათ კონფედერალური სტრუქტურების პარტნიორებს სხვადასხვა სამხედრო ალიანსთა წევრობა? ეს ჩვენ გერმანიისთვის საგანგებო სტატუსის მინიჭების სახიფათო გზაზე დაგვაყენებდა. გერმანიის გახლეჩა იდეოლოგიური კონფრონტაციის, ანუ დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის კონფრონტაციის შედეგი იყო და ამგვარი პრობლემები სახელმწიფოსამართლებრივი კონსტრუქციების მეშვეობით ვერ დაიძლევა. ამ პრობლემათა საფუძველში მდებარე პოლიტიკის შეცვლა იყო საჭირო. მხოლოდ ამ გზით თუ მოხერხდებოდა ამ პრობლემების გადაჭრა.

სასადილო შესვენების შემდეგ ავიღე სიტყვა. შესვენება იმისთვის გამოვიყენე, რომ ჩვენი პოზიცია ჩამომეყალიბებინა და გრაფ ლამბსდორფთან შემეთანხმებინა. ისიც შეცბუნებული იყო იმით,

რომ ესოდენ მნიშვნელოვანი განცხადება არც კოალიციასა და არც მინისტრთა კაბინეტში არ განხილულა. ჩემთვის ნათელი იყო, რომ საგარეოპოლიტიკური რეაქცია ამ განცხადებაზე დასავლეთსა და აღმოსავლეთში პრობლემებს წამოჭრიდა, რომლებიც თავიდან უნდა აგვერიდებინა. შიდაპოლიტიკურად კი პირიქით, მოწონებით შეხვდებოდნენ. სინამდვილეში კი ფედერალური კანცლერის ეს განცხადება ძალიან ჩამორჩებოდა გაერთიანების პროცესის ფაქტობრივ მდგომარეობას.

მოვლენათა განვითარება დიდი ხნის წინ გასცდა კონფედერაციული ურთიერთთანამშრომლობის ეტაპს. გაერთიანების პროცესი, ქვედა ფენებიდან დაძრული, სრული სვლით მიიწევდა წინ, და კარგი იყო, რომ ის სწორედ ქვედა ფენებიდან მოდიოდა. მას ამის გამო საზღვარგარეთ, დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც, ბევრად უფრო კარგი თვალით შეხედავდნენ, ვიდრე ზემოდან წამოსულ აქტიურობას. მთავარი ის იყო, სახელმწიფოებრივი გაერთიანება გერმანიის შინაგან გაერთიანებაში გადაგვეზარდა. როგორც შიონებერგის რატუშის წინ განვაცხადე, გდრ-ელ გერმანელებს კვლავაც უცხოდ და .გარედან ან ზემოდან მართულად არ უნდა ეგრძნოთ თავი. მათი საქმე იყო, გადაეწყვიტათ და ეთქვათ, თანახმანი იყვნენ თუ არა ჩვენი კონსტიტუციის მიერ შეთავაზებულ გაერთიანებაზე.

აშკარა იყო, რომ კონფედერაციული სტრუქტურების შესაქმნელად დრო არ იკმარებდა. პირიქით, გერმანიის გაერთიანება რაც შეიძლება სწრაფად უნდა დასრულებულიყო, და ამისთვის გვჭირდებოდა ჩვენ ყველა უშუალო მონაწილის, ანუ გერმანიაზე პასუხისმგებელი ოთხი სახელმწიფოს თანხმობა. საქმის ინტერესებიდან გამომდინარე გადაეწყვიტე, ბუნდესტაგის წინაშე კრიტიკული არაფერი მეთქვა იმის გამო, რომ საკითხი კოალიციასა და მთავრობასთან შეუთანხმებლად იქნა გამოტანილი. განვითარების ამ ისტორიულად მნიშვნელოვან სტადიაზე არ გვქონდა იმის უფლება, რომ გაგვემართა სპექტაკლი, რომელიც წარმოაჩენდა კონფედერალური სტრუქტურების და, ამდენად, არსებითი პრობლემისადმი დამოკიდებულების წესის გამო კამათით დაქსაქსულ მთავრობას. ამიტომ განცხადების სუსტ მხარეებზე საუბარს — მაგალითად, მასში არ იყო გამოხატული დამოკიდებულება გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრის მიმართ — თავი ავარიდე. გერმანული პოლიტიკის იმ ფაზაში,

ახლა რომ იწყებოდა, ნაციონალურ ინტერესებს აბსოლუტური უპირატესობა უნდა მინიჭებოდა.

ფედერალურმა კანცლერმა განაცხადა, სავსებით შეგნებული გვაქვს, რომ გერმანიის გაერთიანების გზაზე მრავალი რთული საკითხი წამოიჭრება, რომლებზეც დღეს საბოლოო პასუხის გაცემას ვერავინ შეძლებს. მათ რიცხვს უწინარეს ყოვლისა განეკუთვნება იმდენადვე რთული, რამდენადაც გადამწყვეტი პრობლემა ყოვლისმომცველი „უშიშროების სტრუქტურებისა ევროპაში". „რა პოზიციას დაიკავებს ფედერალური მთავრობა ეკონომიკური და სავალუტო გაერთიანებისადმი მიძღვნილი სამთავრობო კონფერენციების მიმართ, რომელთა ჩატარება ახლო მომავალშია გათვალისწინებული?"— აი შეკითხვა, რომელსაც ხშირად გაიგონებდით.

ჩემს გამოსვლაში აღვნიშნე, რომ მე მარტო ჩემი სახელით კი არ გამოვდიოდი, არამედ თავისუფალი დემოკრატიული პარტიის სახელითაც, რადგანაც ფედერალური კანცლერის განცხადების შემდეგ პირველი ორატორი ვარ-მეთქი ჩემი პარტიიდან. ვთქვი, რომ განცხადება შეესაბამებოდა იმ პოლიტიკის უწყვეტობას, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით საგარეო, უშიშროებისა და გერმანიის საკითხებთან დაკავშირებულ სფეროებში, წარმოვადგენდით პარლამენტში, საზოგადოებრიობაში და რომლის გამოც სამთავრობო პასუხისმგელობას ვგრძნობდით. ეს უწინარეს ყოვლისა გერმანიის ერთიანობისკენ მიმავალი გზის მიმართ ითქმის-მეთქი. შემდეგ გავიხსენე თავისუფალი დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმის წინადღის, 1989 წლის 27 ნოემბრის განცხადება. კერძოდ იქ ნათქვამი იყო: „თავისუფალი დემოკრატიული პარტია მოუწოდებს გდრ-ის ახალ ხელმძღვანელობას, საბოლოოდ გააუქმოს კონსტიტუციის ის ნორმა, რომელიც გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას წარმმართველ როლს აკუთვნებს, შექმნას ახალი პარტიების გაჩენის პირობები, მოამზადოს საარჩევნო კანონი, რომელიც ყველა პარტიას თანაბარ უფლებებს მიანიჭებს და მის საფუძველზე სასწრაფოდ ჩაატაროს საყოველთაო, თავისუფალი და ფარული არჩევნები". ჩვენ, თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ, ფედერალური კანცლერის განცხადებამდე ერთი დღით ადრე დავაფიქსირეთ, რომ ლიბერალური გერმანული პოლიტიკის ძველი მიზანი დღეს უფრო აქტუალურია, ვიდრე ოდესმე, ეს გახლავთ მცდელობა, ზემოქმედება მოვახდინოთ სამშვიდობო მდგო-

მარეობაზე, რომლის პირობებშიც გერმანელი ხალხი თავისუფალი თვითგამორკვევის გზით აღიდგენდა თავის ერთიანობას, როგორც ეს ნათქვამი იყო გერმანიის გაერთიანებისადმი მიძღვნილ წერილში. ამავდროულად ჩვენ ულაპარაკოდ ვაღიარებდით ევროპულ თანამეგობრობას და ევროპის გამაერთიანებელი პროცესის განგრძობის აუცილებლობას, ნატოსა და ევროთათბირის მნიშვნელობას.

გერმანიის ბუნდესტაგში წარმოთქმულ სიტყვაში გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრის საკითხსაც შევეხე და განვაცხადე, რომ პოლონეთის დასავლეთი საზღვრის თაობაზე მნიშვნელოვანი ერთობლივი გადაწყვეტილება მივიღეთ. ამას ახლა კიდევ ერთხელ უნდა განემტკიცებინა ის განცხადება გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრის შესახებ, რომელიც მე სექტემბერში გავაკეთე გაერთიანებული ერების წინაშე გერმანიის მოახლოებული გაერთიანების გათვალისწინებით. შემდეგ თვით გერმანიის გაერთიანების საკითხზე გადავედი და გდრ-ის ყველა თანამოქალაქის მისამართით განვაცხადე: „თქვენ რომ თუნდაც ორმოცი წლის დაგვიანებით ისეთივე შანსები მოგეცეთ, როგორიც ჩვენ ისტორიის ბედნიერი შემობრუნების წყალობით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გვაქვს, ამისათვის თქვენ კი არ უნდა მოგიწიოთ საზღაურის გადახდამ, არამედ ჩვენ უნდა დაგეხმაროთ თქვენ". ვინც გდრ-ის რეალურ მდგომარეობას იცნობდა, მან ისიც იცოდა, რა უზარმაზარი პრობლემები შეგვექმნებოდა გაერთიანებასთან დაკავშირებით.

ბოლოს გავიმეორე ჩემი მაქსიმა, რომ გაერთიანებისთვის აუცილებელი იყო ორივე გერმანულ სახელმწიფოში მცხოვრებ გერმანელთა ნება. როგორც კი თავისუფალი არჩევნები შედგებოდა, გავიგებდით, საით ისწრაფოდნენ ჩვენი გდრ-ლი თანამოქალაქენი და რა სახით ჰქონდათ წარმოდგენილი თავიანთი შინაგანი წესრიგი.

როცა ექვსი კვირის შემდეგ, 1989 წლის 20 დეკემბერს, პირველად მომეცა შესაძლებლობა ჩემს მშობლიურ ქალაქ ჰალეში საჯაროდ გამოვსულიყავი სიტყვით, კვლავ დავუბრუნდი ამ საკითხს. „ჩვენ უკვე მივიღეთ გადაწყვეტილება ნაციის ერთიანობის სასარგებლოდ", ვთქვი მე. „ახლა თქვენი ჯერია, თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, რა გზას გსურთ დაადგეთ, გინდათ თუ არა ჩვენთან ერთად ცხოვრება". დარწმუნებული ვიყავი, საბჭოთა კავშირისთვის — და არა მარტო მისთვის — დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმას,

რომ გაერთიანების ნება აღმოსავლელ გერმანელთა ნების გამოხატულებაც ყოფილიყო. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შექმნილიყო მცდარი შთაბეჭდილება, თითქოს დასავლეთ გერმანიას გარკვეული აზრით აღმოსავლელ გერმანელთა „დათრევა", მათი საკუთარი კონტროლისთვის დაქვემდებარება სურდა. ბოლოს და ბოლოს ბევრი რამ იყო დამოკიდებული იმაზე, რომ ეს ნაბიჯები ჩვენ დასავლელ პარტნიორებთან სრული თანხმობის, მაგრამ აგრეთვე გორბაჩოვისა და შევარდნაძისადმი დიდი გულახდილობისა და ნდობის ვითარებაში გადაგვედგა.

ამისთვის კარგი წინაპირობები იყო შექმნილი, ამას ემსახურებოდა 1989 წლის ზაფხულის დამდეგს მიღებული გერმანია-საბჭოთა კავშირის ერთობლივი დეკლარაციაც, რომლის დასახვეწად შევარდნაძემ და მე ხანგრძლივად ვიმუშავეთ. ვენუსბერგზე ჩემს თანამშრომლებთან ერთად მოწმე ვიყავი, როგორ ახერხებდა ჩემი საბჭოთა კოლეგა თავის მრავალრიცხოვან მრჩეველთა შეშფოთების იგნორირებას. კვლავ და კვლავ ცდილობდნენ ისინი საგარეო საქმეთა მინისტრის გადარწმუნებას, აძლევდნენ მას მითითებებს. ბოლოს ის მოთმინებიდან გამოვიდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ფედერაციული რესპუბლიკა და საბჭოთა კავშირი ისეთ დეკლარაციას ამზადებდნენ, რომელიც ფართო ჰორიზონტებს ხსნიდა, დეკლარაციას, რომელიც ახლებური აზროვნების ნიმუში იყო ამ გამოთქმის უჭეშმარიტესი მნიშვნელობით და იგი ამ ახლებურ აზროვნებას პრაქტიკული პოლიტიკის საგნადაც ხდიდა.

ოთხნი და ერთობა II: მოლაპარაკებები ლონდონში პარიზსა და მოსკოვში

29 ნოემბერს ლონდონს გავფრინდი. ჯერ პრემიერ-მინისტრს, ქალბატონ ტეტჩერს, შევხვდი, საუბარში საგარო საქმეთა მინისტრი ჰერდიც მონაწილეობდა; მერე მოლაპარაკება მარტო განვაგრძეთ. ქალბატონი ტეტჩერი დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკის განვითარებას შეეხო და აღნიშნა, ჯერჯერობით ეს პოლიტი-

კა, სახელდებული ტერმინით containment *, მხოლოდ თავდაცვას წარმოადგენსო. ევროთათბირის მიმართულებით დასავლეთი უფრო გაბედული, შემტევი გახდა, უწინარეს ყოვლისა თავისუფლებისა და დემოკრატიის მოთხოვნის წყალობითო, შენიშნა მან. პირველი მაინც პრეზიდენტი რეიგანი იყო, ვინც აღმოსავლეთი გამოიწვია — ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით — და მძლავრი თავდაცვითი სტრატეგია გაატარა; ბოლოს და ბოლოს მისი მმართველობის დროს გახდა შესაძლებელი საბჭოთა კავშირის SS-20 ტიპის რაკეტებისთვის ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების და შემდეგ პერშინგების დაპირისპირებაო. ევროთათბირის დადებითად შეფასებამ გამახარა. ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კი თავაზიანად მივანიშნე, ამ დადგენილების მომზადებისთვის გადამწყვეტი იმპულსი შმიდტ-გენშერის მთავრობისგან, ხოლო მისი განხორციელების იმპულსი კი კოლ-გენშერის მთავრობისგან წამოვიდა-მეთქი.

შემდეგ აღვუწერე რეფორმათა განვითარების განსხვავებული ხასიათი ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებში. ვთქვი, რომ გდრ-ში და ჩეხოსლოვაკიაში რეფორმატორული მოძრაობა ქვემოდან დაიწყო, საბჭოთა კავშირში კი ზემოდან; უნგრეთში პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გარდაქმნები წამოიწყო და ამავდროულად საკუთარი თავიც გარდაქმნა-მეთქი.

ქალბატონმა ტეტჩერმა 1989 წლის 18 ნოემბერს პარიზში გამართული ევროგაერთიანების სამიტი გაიხსენა. მეგონა იქ ერთიანობას მიაღწიეს და სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს. ახლა კი, როგორც დავადგინე, ყველაფერი ამოძრავებულაო. იგი აშკარად ათპუნქტიან გეგმას გულისხმობდა, რომელიც ამის შემდეგ მე მას განვუმარტე, ოღონდ მისი წარმოშობის გარემოებებსა და ჩემს შენიშვნებზე არაფერი მითქვამს. მერე გავაცანი შემდგომი განვითარების ჩარჩოპირობები, რასაც განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლის ჩვენი პოლიტიკის თანმიმდევრული განგრძობა მოითხოვდა. განსაკუთრებით გავუსვი ხაზი ჩვენს მტკიცე პოზიციას ნატოსა და ევროგაერთიანებაში. როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰერდმა ამ დროს ჩაურთო, ფედერალურ კანცლერს გერმანიის გაერთიანების კალენდარული გეგმა არ წარმოუდგენიაო, მე განვმარტე, რომ

* შეფერხება, შეკავება. (ინგლ.)

ჩვენი პოლიტიკა ევროპული პოლიტიკის კონტექსტში იყო მოაზრებული, მაგრამ მაშინვე ისიც დავძინე, ევროპის გაერთიანება გერმანიის გარშემო როდი უნდა განხორციელდეს-მეთქი.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ქალბატონ ტეტჩერს პრეტენზიები ჰქონდა გერმანიის გაერთიანების მიმართ. მისი გამუდმებული გაფრთხილებებიც, სტატუს კვო არ შეიცვალოსო, იმას მოასწავებდა, რომ მას მოვლენების ამგვარი განვითარება გულზე დიდად არ ეხატებოდა. და მაინც, ლონდონი ამ რწმენით დავტოვე: თუკი ვაშინგტონი და პარიზი გვერდით დაგვიდგებოდა, აქაც შევძლებდით შეთანხმებას. დუგლას ჰერდის იმედი ყველა შემთხვევაში შემეძლო მქონოდა. ნატოსადმი, ევროგაერთიანებისა და ოდერ-ნაისეს საზღვრისადმი ჩვენი დამოკიდებულების ნათლად წარმოჩენით მოვახერხებდით მოვლენათა განვითარების გაადვილებას. მარგარეტ ტეტჩერთან საუბარი იმისთვისაც გამოვიყენე, რომ გორბაჩოვის პოლიტიკის როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური მხარდაჭერის სასარგებლოდ აგიტაცია გამეწია. სხვაგვარად დასავლეთ-აღმოსავლეთის კონტექსტში გერმანიის გაერთიანებას დაბრკოლებები შეექმნებოდა, რის გამოც დასავლეთ-აღმოსავლეთის ძირეულ ურთიერთდამოკიდებულებას გადამწყვეტი ჩარჩოფაქტორის როლი ეკისრებოდა. ეს 1989 წლის მიწურულს ისევე მნიშვნელოვანი იყო, როგორც წლის დამდეგს, როცა მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული რაკეტების მოდერნიზაციაზე ვკამათობდით. ხოლო 1990 წელს ამას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭებოდა.

გერმანიის გაერთიანების თაობაზე დადებითი აზრი გამოთქვა ნეილ კინოკმა, ბრიტანული ოპოზიციის თავკაცმა, 1989 წლის 30 ნოემბერს ერთობლივად საუზმობისას. მასაც ვუთხარი, რომ ჩვენ გერმანიის ერთიანობას ევროპული განვითარების კონტექსტში მოვიაზრებდით.

ლონდონიდან პარიზს გავფრინდი. იქ როლან დიუმას შევხვდი, შემდეგ ყოფილ პრეზიდენტს ჟისკარ დ'ესტენს და სენატის თავმჯდომარეს პოეს. დიუმა შეცბუნებული იყო, რომ ევროთათბირის სამიტზე პარიზში სიტყვა არ დაძრულა იმის შესახებ, რაზეც ახლა ათპუნქტიან განცხადებაში იყო საუბარი. ამასთან ბონიდან ეკონომიკური და სავალუტო გაერთიანების წინააღმდეგ მიმართული ახალ-ახალი შენიშვნები მოდის. ათპუნქტიანი გეგმის თაობაზე დასავ-

ლელ მოკავშირეთა ინფორმირების ტელჩიკისეულმა მანერამაც უკ-მაყოფილება გამოიწვიაო.

იმავე დღეს სენატის სხდომაზე მიმიწვიეს. დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვის დაწყებამდე თამჯდომარე პოე გულთბილად მომესალმა, სენატორები ფეხზე წამოდგნენ და მქუხარე ტაში დამიკრეს — ეს დიდი პატივი იყო გერმანული საგარეო პოლიტიკისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი-სათვის. ჩემი სათქმელი ყველა მოლაპარაკებისას ერთი და იგივე რჩებოდა: ევროპა, — იქაც ასე განვაცხადე, — არ შეიძლება გერმა-ნიის ირგვლივ გაერთიანდეს. ჩვენ გაერთიანება გვსურს ევროპულ კონტექსტში; ნატოსა და ევროგაერთიანების წევრობის საკითხი კვლავ აქტუალურია. განსაკუთრებით საჭიროა ეკონომიკური და სავალუტო გაერთიანების ფორსირება. ევროგაერთიანების შინაგანი დინამიკა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამორჩეს იმ დინამიკას, რომელიც დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთდამოკიდებულების ახლებურად ფორმირებას განსაზღვრავს-მეთქი.

გვიან ნაშუადღევს პრეზიდენტმა მიტერანმა მიმიღო. მან მთხო-ვა, პირველი სიტყვა მე მეთქვა, და განვაცხადე, რომ ბობოქარ დროში მოგვიწია ცხოვრებამ და გდრ-ში მიმდინარე მოვლენებმა ჩვენი ერი მართლაც რომ ააფორიაქა. განსაკუთრებით ეს ჩემზე ითქმის ჩემი წარმოშობისა და იმ პასუხისმგებლობის გამო, რაც მაკისრია; ვერ დავმალავ-მეთქი სიამაყის გრძნობას იმის გამო, რომ ჩემი თანამემამულეები მშვიდობიანი ფორმით აღდგნენ თავისუფლებ-ისა და დემოკრატიის მოსაპოვებლად. აბსურდული იქნება, თუ იმ ზეგავლენის იგნორირებას შევეცდებით, რაც ევროპაში დასავლეთი-სა და აღმოსავლეთის დაახლოების პროცესმა იქონია ორივე გერ-მანულ სახელმწიფოზე. ახლა საჭიროა, ჩვენი საერთო პოზიცია განვსაზღვროთ, და ამ მიზნით სტრასბურგის სამიტი უნდა გამოვ-იყენოთ-მეთქი. ამით მივუახლოვდი ჩარჩოპირობების საკითხს, რომელიც უნდა გაგვერკვია, თუკი გვსურდა გერმანიის გაერთიანებისათვის მიგველღწია. სტრასბურგიდან ორი სიგნალი უნდა წამოვიდეს-მეთქი: ერთი ევროგაერთიანებაში შემდგომი ინტეგრაციის მტკიცე ნების და მეორე აღმოსავლეთთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნის მანიშ-ნებელი. ჩვენ ახლა ევროპაში ორი დინამიკური პროცესის თითქოს-და შეჯიბრის ფაზაში შევდივართ. ერთი მათგანია დასავლური

ინტეგრაცია ევროგაერთიანებაში, ხოლო მეორე რეფორმატორული მოძრაობა აღმოსავლეთში, და, აქედან გამომდინარე, დასავლეთ-აღმოსავლეთის დაახლოება. ამგვარად, ევროპულ თანამეგობრობაში გაერთიანება მარტო ეკონომიკური და მონეტარული თვალსაზრისით როდია მნიშვნელოვანი, არამედ პოლიტიკური მოსაზრებითაც-მეთქი. ისიც ვთქვი, მომავალი სტაბილიზაციისთვის აუცილებელია აგრეთვე ჩვენი მკაფიო განაცხადი იმის თაობაზე, რომ ვეკუთვნით დასავლურ სამხედრო ალიანსს და ვემხრობით ამერიკელების ყოფნას ევროპაში. ალიანსი მომავალში უფრო მეტად მიიღებს პოლიტიკური გაერთიანების სახეს, და იგი უფრო აქტიურად უნდა ჩაერიოს განიარაღების პროცესში-მეთქი. ევროპული სტაბილიზაციის შემდგომ პირობად დავასახელე ფედერაციული რესპუბლიკის არაორაზროვანი პოზიცია პოლონეთის დასავლეთი საზღვრის მიმართ. თანაც დავძინე, რომ ეს პოზიცია მე გაეროს წინაშე გამოვხატე სექტემბერში, და იგი 1989 წლის 8 ნოემბერს გერმანიის ბუნდესტაგმა ხმების დიდი უმრავლესობით დაამტკიცა-მეთქი.

შემდეგ ვთქვი: ნატოს წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლების თავყრილობიდან, 4 დეკემბერს რომ უნდა გაიმართოს ბრიუსელში — სადაც პრეზიდენტ ბუშს მოხსენება უნდა გაეკეთებინა მალტაზე გორბაჩოვთან უმაღლეს დონეზე შეხვედრის შესახებ — და სტრასბურგში მოწვეული ევროსაბჭოს სხდომიდან უნდა წამოვიდეს სიგნალი, რომ ჩვენი სურვილია ხელი შევუწყოთ აღმოსავლეთში რეფორმატორული მოძრაობის წარმატებას და იქაური სიძნელეებიდან ცალმხრივი სარგებლობის მოპოვებას კი არ ვესწრაფით, არამედ ხანგრძლივმოქმედი ჩარჩოპირობების შექმნით ვართ დაინტერესებული ევროპის მასშტაბით.

მიტერანმა მიპასუხა, მოვლენები დიდი სიმძლავრით განვითარდაო. ის დამეთანხმა: თუ გვსურდა, რისკის გარეშე მიგვეღწია წინსვლისთვის დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის ურთიერთობაში, ამისთვის საჭირო იყო პარალელური პროგრესი ევროპული ინტეგრაციის გზაზე. თუ ევროპული ინტეგრაცია ადგილზე ტკეპნას მოჰყვა, ის ჩამორჩება; და მაშინ ევროპაში ვითარება ძირეულად შეიცვლება, ახალი პრივილეგირებული ალიანსები წარმოიშობა. ეგ კი არა, — განაგრძო მან, — არც ის არის გამორიცხული, 1913 წლის დროინდელ წარმოდგენათა სამყაროში გადავეშვათ. თუ გერ-

მანიის გაერთიანება ისეთ ევროპაში მოხდა, რომელიც ამ თვალსაზრისით სათანადოდ არ იქნება წასული წინ, მაშინ ევროპელი პარტნიორები, რომლებიც მომავალში ოთხმოცი მილიონი გერმანელის პირისპირ აღმოჩნდებიან, ალბათ საპირწონის ძებნას შეუდგებიანო. ამაზე მე მივუგე, ეგ საპირწონეები საჭირო აღარ იქნება, თუკი ევროპული ინტეგრაცია ისე განვითარდა, როგორც ჩვენ ვისურვებდით-მეთქი.

მიტერანმა კვერი დამიკრა და განაგრძო, რომ ევროსაბჭოში გასარკვევ პრობლემებს სტრასბურგში ამ ასპექტით უნდა შევხედოთო, თანაც დასძინა, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც აქამდე ევროპული გაერთიანების პროცესში მოტორის როლს ასრულებდა, ახლა ამ მხრივ თითქოს აღარ ჩქარობს — მუხრუჭად იქცა. ამით სხვები ისარგებლებენ, ისინი, რომლებიც პრინციპში არც ევროპულ ერთიანობას უწყობენ ხელს და არც გერმანიის გაერთიანებასო. იგი აშკარად ლონდონს გულისხმობდა.

მიტერანმა განაცხადა, რომ მისთვის გერმანიის გაერთიანება შეუჩერებელი „საქმე" იყო. ოღონდ სიფრთხილეა საჭირო, ამ პროცესში საბჭოთა კავშირთან არ მოხდეს დაპირისპირებაო. გერმანიის გაერთიანება ისტორიული აუცილებლობაა: „ამ საქმეში ჩვენ თქვენს მხარეზე ვართ, მაგრამ როგორი იქნება გაერთიანებული გერმანიის პოზიცია ევროპული ერთობის მიმართ?" გერმანია და საფრანგეთი ამ განვითარების ყველა ფაზაში ერთობლივად უნდა მიიწევდნენ წინ. ფედერაციულმა რესპუბლიკამ სისუსტე არ უნდა გამოიჩინოს. ბუნებრივია, ბევრი რამ გერმანიის შიდაპოლიტიკური ვითარებით აიხსნება, და მაინც ეს მეორეხარისხოვანია იმ ისტორიულ გადაწყვეტილებებთან შედარებით, რომლებიც სტრასბურგში უნდა მივიღოთო.

პრეზიდენტ მიტერანთან წლების განმავლობაში სხვადასხვა მოლაპარაკებები მიწარმოებია. ეს მოლაპარეკება კი უმნიშვნელოვანესი იყო: იმ დროსაც მიტერანი წარმოჩნდა როგორც ევროპული რანგის სახელმწიფო მოღვაწე და გერმანელთა საიმედო მეგობარი, მოწადინებული არა საიმისოდ, რომ დაბრკოლებები შეექმნა გერმანიის გაერთიანებისთვის, არამედ პირიქით — განემტკიცებინა ჩარჩოპირობები, რომლებიც გერმანიის გაერთიანებას მთელი ევროპის



გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობა – ეს მეტია, ვიდრე უბრალოდ პარტნიორობა.

მონაპოვრად აქცევდა. ეს შეესაბამებოდა ჩემს მოსაზრებებსა და ჩემს სტრატეგიას, და ამიტომაც მივუგე: „ჩვენ გავაკეთეთ არჩევანი" – ეს გახლდათ ფრაზა, რომლის წარმოთქმა დამშვიდებული სინდისით შემეძლო. ჩემი შეხედულება ხომ თავისთავად ასეთი იყო, მაგრამ ფედერალურ მთავრობაშიც თანხმობა სუფევდა ჩვენი ევროპული ძალისხმევის თაობაზე; ეს განსაკუთრებით ჰელმუთ კოლის მიმართ ითქმოდა. და მაინც ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ბლოკი ყოყმანობდა სამთავრობო კონფერენციის თარიღის დასახელებისას, რადგან ის შესაძლოა 1990 წლის ბოლოსთვის დანიშნულ ბუნდესტაგის არჩევნებს დამთხვეოდა.

ამ ყოყმანისთვის ვერაფერი მომეხერხებინა. მოცემულ ვი-

თარებაში ის, ჩემი აზრით, პრობლემასაც კი ქმნიდა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მისულიყო საქმე იქამდე, რომ ამას პარიზში უნდობლობა დაეთესა და ამგვარად ზემოქმედება მოეხდინა გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობასა და საფრანგეთის პოზიციაზე გერმანიის გაერთიანების მიმართ.

მიტერანის აზრით, თუ გერმანელები ევროპის აღმშენებლობაში მიიღებდნენ მონაწილეობას, გერმანული საკითხიც მოგვარდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს საბჭოთა კავშირიც კი შეეგუება გერმანიის გაერთიანებას, თუკი ეს ევროგაერთიანების ფარგლებში მოხდება, მაშინ როცა გერმანიის იზოლირებულ გაერთიანებას ის უეჭველად შეეწინააღმდეგებაო. „გერმანიას, გდრ-ის ტერიტორიაშემომატებულს და ევროპული თანამეგობრობის სივრცეში მოძრავს, ევროგაერთიანებაში შეგობრები ეყოლება, სხვა შემთხვევაში კი — მხოლოდ პარტნიორები საკუთარი რეფლექსებით". ამგვარად, გერმანელები მართლაც რომ შორსმწვდომი შედეგების მქონე გადაწყვეტილების წინაშე დგანან.

დაბეჯითებით მივუგე: „სტრასბურგში შესაძლებელი იქნება გადაწყვეტილების მიღება სამთავრობათაშორისო კონფერენციისა და მისი დაწყების თარიღის თაობაზე. ჩვენი მომავალი ევროგაერთიანებაშია. ეს მომავალი არ არის საძიებელი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის — ასეთ შემთხვევაში ორმოცწლიან პოლიტიკას ამაოდ ჩაუვლია". ძალიან კარგად ვიცით, რომ გორბაჩოვსაც ჩვენს ცალკე არსებობას ჩვენი ევროგაერთიანების წევრად ყოფნა ურჩევნია-მეთქი. ისიც ვთქვი, რომ ფედერალური მთავრობის ევროპულ პოლიტიკას ოპოზიციური სოციალ-დემოკრატიული პარტიაც უჭერდა მხარს. გერმანიის გაერთიანების კალენდრის დადგენაში გდრ და საბჭოთა კავშირიც მიიღებენ მონაწილეობას და ეს გაერთიანება უფრო ახლო მომავლის საქმეა, ვიდრე ბევრი ფიქრობს-მეთქი. ხოლო ევროპული გაერთიანების კალენდარს წევრი სახელმწიფოები თვითონ განსაზღვრავენ, და გადაწყვეტილება ამის შესახებ სტრასბურგში უნდა იქნეს მიღებული, თანაც ეს სწორი გადაწყვეტილება უნდა იყოს. საამისო არგუმენტები აღმოსავლეთში მოვლენათა განვითარების წყალობით კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდა-მეთქი.

ბოლოს განვაცხადე, რომ მადლობელი ვიყავი საფრანგეთის პრეზიდენტისა გერმანიის გაერთიანებისადმი მისი პოზიციის გამო;

ეს ჩვენთვის ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. და ეს იქნება ევროპის ერთიანობის საქმეში შეტანილი ჩვენი წვლილი-მეთქი.

ელისეს სასახლე და პარიზი ოპტიმისტური განწყობით დავტოვე. როგორც აღმოჩნდა, ჩვენ შეგვეძლო იმედი გვქონოდა, რომ საფრანგეთი არამარტო გაგვიგებდა, არამედ მხარშიც ამოგვიდგებოდა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. აქაც ძალაში იყო ჩემი ძველი ნაცადი წესი: საფრანგეთის გარეშე არაფერი გამოვა, საფრანგეთთან ერთად კი — თითქმის ყველაფერი.

ისტორიის მიტერანისეული გაგებისთვის ის იყო ნიშანდობლივი, რომ მისი პოზიცია გერმანიის გაერთიანების მიმართ არ იყო დამოკიდებული იმაზე, რა პოზიცია გვეკავა ჩვენ ევროპის გაერთიანების მიმართ — გერმანიის გაერთიანებას იგი სავსებით სამართლიანად გარდუვალად თვლიდა. და მაშინაც სავსებით მართალი იყო, როცა მიიჩნევდა, რომ გერმანიის ყოყმანს ევროპის გაერთიანების საკითხში შესაძლოა მოვლენათა ახლებური განვითარებისთვის მიეცა დასაბამი ევროპაში; აქამდე საქმე არ უნდა მისულიყო. გერმანიის საკითხის ევროპეიზაციამ მთელ კონტინენტზე იმ რევოლუციურ ცვლილებებამდე მიგვიყვანა, რამაც ახლა ჩვენ ისტორიული შანსი მოგვცა და მარტო ამ მიზეზითაც უნდა გამორიცხულიყო ევროპეიზაციის საწინააღმდეგო ნაბიჯები დასავლეთის მიმართულებით. ხოლო ასეთი შედეგი შეიძლება გამოეღო ყოყმანსაც კი — ანდა ყოყმანის შთაბეჭდილების შემქმნელ პოზიციას — ევროპის გაერთიანების საკითხში. ეს კი ის იყო, რაც ჩვენ ყველაზე ნაკლებ გვესაჭიროებოდა.

მაშინ — 1988, 1989 და 1990 წლებში, მაგრამ მოგვიანებითაც ამ წლების გახსენებისას — იმის გამო, რომ დაჟინებით მოვითხოვდი გერმანული საკითხის მოგვარებას კონტინენტის განვითარების კონტექსტში და იმის გამოც, რომ გამუდმებით ვლაპარაკობდი ევროგაერთიანებასა და ნატოში ჩვენი დარჩენის აუცილებლობაზე, ხანდახან დამცინოდნენ. ჩემთვის ესენი ევროპის სამომავლო განვითარების ძირითადი ელემენტები იყო, გერმანული ერთიანობის ჩათვლით. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრის საკითხის გარდა ევროგაერთიანებისა და ნატოს მიმართ ჩვენი დამოკიდებულებაც უმთავრესი საკითხი იქნებოდა.

1989 წლის 2 და 3 დეკემბერს მალტაზე გამართულ ამერიკა-საბჭოთა კავშირის სამიტის გამო რაიმე უნდობლობას რომ არ ეჩინა თავი, პრეზიდენტი ბუში და საგარეო საქმეთა მინისტრი ბეიკერი მალტიდან ბრიუსელში ჩამოვიდნენ, რათა ორშაბათს, 4 დეკემბერს, ევროპელ მოკავშირეთათვის ინფორმაცია მიეწოდებინათ. ფედერალურ კანცლერსა და მე საგანგებო ინფორმაცია გველოდა. პრეზიდენტი ფედერალურ კანცლერს შეხვდა, მე კი ბელგიაში გერმანიის ელჩის ქალბატონ ფინკე-ოზიანდერის რეზიდენციაში — საგარეო საქმეთა მინისტრ ბეიკერს, რომელმაც ვრცელი ინფორმაცია მომაწოდა.

საჯარო განცხადებებიდან უკვე ჩანდა, რომ მალტის სამიტზე გერმანულ საკითხს გადამწყვეტი როლი უთამაშია. პრეზიდენტ ბუშს იქ, როგორც თვითონ თქვა, „ნატოს ტრადიციული პოზიცია", ანუ გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებული ვალდებულება განუმტკიცებია. ამავე დროს ვალდებულება იკისრა, საზღვრების ხელშეუხებლობის პოლიტიკისთვის დაეჭირა მხარი და ამასთან დაკავშირებით „პერმანენტული საზღვრების" კონცეფციაზე ილაპარაკა, რაც პოლონეთის საზღვრების უცვლელობას გულისხმობდა. საერთოდ კი, — ასე განაცხადა ბუშმა პრესის წინაშე,— „ჩვენ ჩვენი მხრივ არაფერი არარეალისტურის გაკეთება არა გვსურს, რამე ისეთის, რაც რომელიმე ქვეყანაში რეგრესს ან საკუთარი ხალხის კონფლიქტში ჩაბმას გამოიწვევდა. ჩემი აზრით, ჩვენ ვეცადეთ ისე გვემოქმედა, როგორც პრეზიდენტი გორბაჩოვი მიანიშნებდა: გონივრულად".

არაჩვეულებრივად მადლიერი ვიყავი ჯიმ ბეიკერისა, რომელმაც იმაზე მეტი მითხრა, ვიდრე საჯარო განცხადებებში ითქვა და მეორე დღეს ნატოს საბჭოზე უნდა თქმულიყო, დაწვრილებითი ინფორმაციებით უახლესი ვითარების კურსში ჩამაყენა და ამავე დროს მოვლენებს თავის კომენტარებსაც ურთავდა. უშუალოდ ჩემი მოსკოვური ვიზიტის წინ ეს ინფორმაციები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

როგორც ჩანს, გორბაჩოვმა მალტაზე — ისევე როგორც ჩემთან საუბრისას მოსკოვში — აგრძნობინა თანამოსაუბრეთ, რომ მას ვაჭრობის შესახებ კანონის ხელიდან გაშვება არ სურდა. ხოლო

გერმანიის საკითხში მისი პოზიცია მალტაზე ერთობ სტატიკური ყოფილა.

1989 წლის 5 დეკემბრის დილას პრეზიდენტმა ბუშმა უკვე ოფიციალურად მოახსენა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს, აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრებს მალტაზე გორბაჩოვთან შეხვედრის შესახებ. ამის შემდეგ მოსკოვს გავფრინდი, სადაც ადგილობრივი დროით 20 საათზე ჩავედი. ვიზიტი საფუძვლიანად იყო მომზადებული. ამერიკის, საფრანგეთისა და ბრიტანეთის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების შემდეგ მინდოდა სამჭოთა წარმომადგენლებთანაც მესაუბრა ევროპაში განვითარებული უახლესი მოვლენებისა და გერმანიის გაერთიანების თაობაზე.

1989 წლის ნოემბერს ვაშინგტონში გამართული მოლაპარაკების შემდეგ ამერიკელთა მხარდაჭერაში შეგვეძლო დარწმუნებული ვყოფილიყავით. იგივე ითქმის პარიზის გამოც. რაკი აშშ მხარში გვედგა, ქალბატონი ტეტჩერის მხრივ სერიოზულ წინააღმდეგობას აღარ მოველოდი; დუგლას ჰერდი რომ გაგებით ეკიდებოდა ჩვენს სწრაფვას, ამაში დარწმუნებული ვიყავი. ახლა საჭირო იყო მოსკოვის დარწმუნება იმაში, რომ გერმანიის გაერთიანებით შესაძლებელი გახდებოდა საერთოევროპული პოლიტიკის წამოწყება, რომელიც ახალი ევროპული სტრუქტურებისა და სამხედრო ალიანსთა შორის ახლებური ურთიერდამოკიდებულების წყალობით საბჭოთა კავშირს მეტ სარგებლობას მოუტანდა, ვიდრე ევროპის გახლეჩა და ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობა.

მოსკოვის აეროპორტში შევარდნაძე არ დამხვედრია, იგი სწორედ იმ დროს ვარშავის ხელშეკრულების ქვეყანათა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელების მოსკოვის კონფერენციაში ღებულობდა მონაწილეობას. მის მაგივრად დამხვდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ანატოლი ადამშინი. ზისის მარკის დიდი ლიმუზინით აეროპორტის სამთავრობო ნაწილიდან ფართო ქუჩაზე გამოვედით და გეზი ქალაქის მიმართულებით ავიღეთ. გვიანი ნაშუადღევი იყო და უკვე ბნელოდა. ქარბუქი ხედვას აძნელებდა. აეროპორტს ერთი კილომეტრით ვიქნებოდით დაცილებული, როცა მსუბუქი ავტომობილების გრძელი კოლონა შევნიშნეთ, რომელიც აეროპორტის მიმართულებით მიმავალ გზაზე იყო გაჩერებული.

საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განმიმარტა, ეს გდრ-ის ხელმძღვანელობა არისო: ახალი გენერალური მდივანი კრენცი, პრემიერ-მინისტრი მოდროვი და გდრ-ის ხელმძღვანელობის სხვა წევრები, რომლებიც მოლაპარაკებებზე ყოფილან მოსკოვში ჩამოსული. როგორც ჩანს, კოლონა იქ იმიტომ შეეჩერებინათ, რომ აეროპორტში მათი და ჩემი შეხვედრა არ მომხდარიყო.

მოსკოვში ჯერ შევარდნაძეს ვესაუბრე ამასობაში ჩემთვის კარგად ნაცნობ სასტუმრო სახლში, რომელიც საგარეო სამინისტროს ეკუთვნოდა. პირისპირ საუბრისას, რომელსაც მხოლოდ თარჯიმნები ესწრებოდნენ, მე ვიგრძენი საბჭოთა ხელმძღვანელობის განაწყენება ათპუნქტიანი გეგმის გამო. შევარდნაძემ განმიცხადა: გერმანია-საბჭოთა კავშირის დეკლარაციაში, რომელიც ძნელი მოლაპარაკებების შედეგად ზაფხულის დამდეგს მივიღეთ, ჩვენ ჩავწერეთ, რომ მნიშვნელოვან საკითხებზე ერთმანეთს მოვთათბირებოდით. მაგრამ, აი, ათპუნქტიანი გეგმა, რომელიც საბჭოთა პოლიტიკის და ამავდროულად გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ცენტრალურ საკითხებს ეხება, აზრთა წინასწარი გაცვლა-გამოცვლის გარეშე შეგიდგენიათო.

ეტყობა ახლახან გამგზავრებულმა გდრ-ის ხელმძღვანელობამაც შეუწყო ხელი ათპუნქტიანი განცხადების საწინააღმდეგო განწყობილების გაძლიერებას. შევარდნაძე გულდამძიმებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ჩანდა, ის ხვდებოდა მოვლენათა განვითარების გარდუვალობას, რაც, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა იმას, რომ თვითონ იგი ამის გამო წუხდა, უფრო პირიქით. მაგრამ მან იცოდა, რა პრობლემებსა და ძვრებს მოასწავებდა ეს მისი ქვეყნისთვის, მეტადრე გორბაჩოვისა და თვით მისთვისაც. ამასთან ჩვენი ადრინდელი საუბრებიდან მისთვის ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ჩვენი მიზანი მუდამ გერმანიის გაერთიანება იყო. ჩვენი თანამშრომლობის წლებში ერთმანეთთან მართლაც რომ გულითადი ურთიერთობა დავამყარეთ, მეტიც — მჭიდრო მეგობრული გრძნობა გვაკავშირებდა, ხოლო მისმა დახმარებამ პრაღის საელჩოს საკითხის მოგვარებაში ადამიანურად მასთან კიდევ უფრო მეტად დამაახლოვა. და იგი გამომიტყდა, როგორი ნაწყენი ყოფილა გორბაჩოვი იმის გამო, რაც ათპუნქტიან განცხადებაში ეწერა. ამიტომ ჩემი ვიზიტი პრეზიდენტთან სასიამოვნო ვერ იქნებოდა. თავისთა-

ვად ცხადია, რომ ეს მე არანაირად ხელს არ მაძლევდა, მით უფრო, რომ კონსტრუქციულ მოლაპარაკებათა ჟამი იდგა: უნდა გვესაუბრა უახლოეს მომავალზე, უწინარეს ყოვლისა საერთო-ევროპული პერსპექტივების შესახებ, გდრ-ში შექმნილ ვითარებასა და ორივე გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების წინაპირობებზე.

ეს უნდა ყოფილიყო ჩემი ყველაზე უსიხარულო შეხვედრა გენერალურ მდივანთან, რომელშიც მე პირველმა ამოვიცანი ის ადამიანი, ვინც თავისი პოლიტიკით მსოფლიოს შეცვლიდა. ეს ჩემთვის იმიტომ იყო განსაკუთრებით დასანანი, რომ გორბაჩოვთან მართლა მნიშვნელოვან თემებზე საუბრის შანსი ამ მომენტისთვის ხელიდან იქნა გაშვებული. მომაგონდა ჩემი უსიხარულო შეხვედრა შევარდნაძესთან ვენაში გაზეთ „ნიუსუიკში" გამოქვეყნებული ინტერვიუს შემდეგ. ამჯერადაც უნდა აგვერიდებინა სკანდალი ბონსა და მოსკოვს შორის, რადგან მოსკოვი გერმანიის გაერთიანებაზე უნდა დაგვეყოლიებინა; აქ იდო გასაღები. ისეთი არაფერი უნდა მომხდარიყო, რაც განწყობილებას გააუარესებდა, პირიქით, გორბაჩოვის იმედგაცრუება და წყენაც რაც შეიძლება ჩქარა უნდა გაქარწყლებულიყო. საუბარში მე ჰელმუთ კოლის პოზიციას წარმოვადგენდი, მაგრამ არ შევხებივარ არაფერს ისეთს, რაც ვითარებას გაამწვავებდა. არც მანამდე და არც მას შემდეგ გორბაჩოვი ასე აღელვებული და განაწყენებული არ მინახავს.

გორბაჩოვთან საუბარს საბჭოთა კავშირის მხრივ ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე და ზაგლადინი, გერმანიის მხრივ კი ელჩი ბლეხი და მინისტერიალდირექტორი კასტრუპი. კლაუს ბლეხმა 1974-75 წლებში გადამწყვეტი როლი ითამაშა ჰელსინკის დასკვნითი აქტის შესახებ მიმდინარე დამაგვირგვინებელ კონსულტაციებზე. იგი გერმანული დიპლომატიის ბრწყინვალე წარმომადგენელი და დასავლურ-აღმოსავლურ ურთიერთობათა დიდებული მცოდნეა, ჩინებულად ერკვეოდა აგრეთვე საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებში. მოსკოვში მისი ელჩად გამწესება იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით საბჭოთა კავშირთან ურთიერთობებს.

გორბაჩოვმა მისალმებისთანავე თქვა, რომ მოვლენათა უახლესმა განვითარებამ ამ ვიზიტს განსაკუთრებული დაღი დაასვა. მითხრა, თუმცა პრივილეგირებული თანამოსაუბრე ბრძანდებით, მაგრამ

უნდა მოგახსენოთ, რომ ადრინდელი მოლაპარაკებებისგან განსხვავებით ამჟამად უფრო მძიმე ვითარებაში ვიმყოფებითო.

მე გადავეცი ფედერალური პრეზიდენტისა და ფედერალური კანცლერის სალამი და დავძინე, კარგია, რომ ეს საუბარი ახლა შედგა. მას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ჩემი სურვილია, აზრთა გაცვლა-გამოცვლა მიღწეულ შეთანხმებათა სულისკვეთების გათვალისწინებით, სრული გულახდილობის, გულწრფელობისა და სიცხადის ატმოსფეროში წარიმართოს-მეთქი. გორბაჩოვი მიმიხვდა. მთხოვა, მდგომარეობის ჩემეული შეფასება გამეცნო მისთვის.

თავიდან განვაცხადე, ყველა მხარეს დიდი პასუხისმგებლობა, შორსმჭვრეტელობა, სიფრთხილე და გონიერება მართებს. გენერალურმა მდივანმა ძალიან კარგად იცის, რომ ჩვენი პოლიტიკა მოსკოვის ხელშეკრულებას, ჩეხოსლოვაკიასთან დადებულ შეთანხმებას, ვარშავის ხელშეკრულებას, გდრ-თან ხელმოწერილ ფუძემდებლურ ხელშეკრულებას, ასევე გერმანია-საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვან ერთობლივ დეკლარაციებს ეფუძნება-მეთქი. როგორც ცნობილია, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს არამარტო ბილატერალური ურთიერთობების, არამედ მთლიანად დასავლურ-აღმოსავლური ურთიერთობებისთვისაც. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მჭიდროდ არის ინტეგრირებული დასავლურ ალიანსში, ევროგაერთიანებაში. ჩვენ ევროთათბირის პროცესის მტკიცე მომხრენი ვართ და არასოდეს გაგვიხდია საეჭვოდ ის ამბავი, რომ ჩვენთვის ნაციონალური განკერძოებულობა გამორიცხულია-მეთქი. შემდეგ ვთქვი, სულ უფრო და უფრო ძლიერდება ევროპული ინტეგრაცია; არც ერთი ხალხი არ უნდა გამოეთიშოს ამ პროცესს. ოღონდ ხაზგასმით უნდა ვთქვა, რომ ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთშეზრდა ევროპული სტრუქტურების ფარგლებში და ევროპული განვითარების კონტექსტში უნდა განხორციელდეს-მეთქი. გავიხსენე, რომ მოსკოვის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ფედერალურმა მთავრობამ საბჭოთა მთავრობას გერმანიის გაერთიანებისადმი მიძღვნილი წერილი გაუგზავნა, რომელშიც გერმანული საკითხისადმი ჩვენი დამოკიდებულება არაორაზროვნად გამოვხატეთ, კერძოდ, იქ ნათქვამი იყო: ზემოქმედება უნდა ვიქონიოთ სამშვიდობო მდგომარეობაზე, რომელის პირობებშიც გერმანელ ხალხს თავისუფალი თვითგამორკვევის გზით შესაძლებლობა ექნება აღიდგინოს

თავისი ერთიანობა. მოსკოვი ყოველთვის საქმის კურსში იყო ამ მიზნის თაობაზე-მეთქი.

გენერალურმა მდივანმა მიპასუხა: ერთია პოლიტიკური ფილოსოფია, ხოლო მეორე — პრაქტიკული ნაბიჯები. მიუკიბ-მოუკიბავად უნდა ვთქვა, რომ ზოგი რამ, რაც ფედერაციულ გერმანიაში ხდება, ჩემს შეშფოთებას იწვევს. ვერ გამიგია, როგორ შეეძლო ფედერალურ კაცლერს თავის ათ პუნქტში ულტიმატუმისთვის დამახასიათებელი გამონათქვამები ეხმარა გდრ-ის მიმართ; ეს ყველა მონაწილე მხარის გამოწვევას ნიშნავს. ჩემი მოლოდინის შესაბამისი ქმედება ის იქნებოდა, რომ ეს ათი პუნქტი აზრთა ურთიერთგაცვლის შემდეგ ჩამოგვეყალიბებინა. ან იქნებ, ფედერალური კანცლერის აზრით, ამგვარი რამ უკვე ზედმეტია? და გენერალურმა მდივანმა მკვახედ განაცხადა, ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევურიგდებით; ასე ევროპულ პოლიტიკაში შორს ვერ წავალთო. ფედერალური მთავრობის პრაქტიკული ნაბიჯები შეთანხმების შესაბამისი უნდა ყოფილიყო. ნდობაა საჭირო. ხაზგასმით უნდა შეგახსენოთ, რომ მოვლენათა ახლებური განვითარება გდრ-ში მხოლოდ ახალი საბჭოთა პოლიტიკის წყალობით გახდა შესაძლებელი. ფედერალური კანცლერი ტელეფონით საუბრისას შემპირდა, რომ დინჯად იმოქმედებდა. გუშინ კანცლერმა კოლმა მითხრა, პრეზიდენტმა ბუშმა ორი გერმანული სახელმწიფოს კონფედერაციული ურთიერთობის იდეს დაუჭირა მხარიო. ახლა მე, გენერალური მდივანი, ვკითხულობ, რა ბედი ელის ნატოს? რა მოუვა გერმანია-საბჭოთა კავშირის შეთანხმებებს?

გორბაჩოვის კრიტიკის ასე დატოვება არ შეიძლებოდა. ის არამარტო ფორმით, შინაარსითაც არ იყო გამართლებული. ამიტომ შევეპასუხე, ფედერალურმა კანცლერმა თავის ათპუქტიან პროგრამაში განაცხადა, რომ ჩვენ მზად ვართ დახმარებისა და თანამშრომლობისთვის; მან მხოლოდ ორი გერმანული სახელმწიფოს დაახლოების შესაძლებლობაზე მიუთითა და მეტი არაფერი. ეს არის შეთავაზება და არა ულტიმატუმი და დიქტატი. მეც ველაპარეკე-მეთქი წამოსვლის წინ ჰელმუთ კოლს. მან დამარწმუნა, რომ მისი პროგრამა ჩაფიქრებულია როგორც პერსპექტივა, როგორც შესაძლებლობის მიცემა გდრ-სთვის, ან ჰო თქვას და ან არა. ათი პუნქტი ნათლად უნდა გავმიჯნოთ გდრ-ის შიდა პრობლემებისაგან,

რომელთა გამო ფედერალურ მთავრობას არავითარი პასუხისმგებლობა არ აკისრია-მეთქი.

გენერალური მდივანი შემეპასუხა, ტყუილად ცდილობთ ფედერალური კანცლერის ადვოკატობას. მისი განცხადებები ანგრევს ყოველივე იმას, რაც ერთობლივი პოლიტიკის წყალობით ავაგეთო. ამის გამო მძაფრი კამათი გავაჩაღეთ და ამ სიტყვიერ შეხლა-შემოხლაში მე ფედერალური კანცლერის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა მოვიგერიე.

გორბაჩოვმა განაგრძო და თქვა: პირადად თქვენ პატივს გცემთ, მაგრამ აქ ცეცხლში დენთია ჩაგდებულიო, რაც საარჩევნო კამპანიით ახსნა. მაგრამ მე ეს თვალსაზრისი კვლავ მტკიცედ უარვყავი და განვაცხადე, ამა თუ იმ საკითხზე შესაძლოა აზრთა სხვადასხვაობა სუფევდეს, მაგრამ ზრახვებსა და მიზნებს რაც შეეხება, აქ ორმხრივი ნდობა უნდა არსებობდეს-მეთქი. ჩვენ ავანტიურისტები არა ვართ: „ჩვენ გვესმის ჩვენი პასუხისმგებლობა". გდრ-ის მოქალაქეებმა უნდა გადაწყვიტონ, როგორ გამოიყენონ თავიანთი თავისუფლება. ჩვენ არაფერზე უარს არ ვამბობთ, რაც ერთობლივად ჩავწერეთ გერმანია-საბჭოთა კავშირის დეკლარაციაში-მეთქი.

ბოლოს გორბაჩოვმა თქვა: ჩვენი მოლაპარაკება სასარგებლო და გულწრფელი გამოდგა, ეს იყო აზრთა ურთიერთგაზიარება ძალიან მნიშვნელოვან მომენტში. არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებ, ადრინდელი შეთანხმებები ეჭვქვეშ დავაყენო, მაგრამ მაქვს დიდი შეშფოთების საფუძველიც და მინდა მიუკიბ-მოუკიბავად განვაცხადო, რომ საზოგადოდ იმპროვიზაციები სახიფათო რამ არის. თანამშრომლობისკენ მოწოდება, რომელსაც ფედერალურ მთავრობას გავუგზავნი, ემთხვევა საერთაშორისო პოლიტიკის გადამწყვეტ ფაზას. ამიერიდან მსოფლიოს სიურპრიზებს ნულარ მოვუმზადებთ.

მე ის მაფიქრებდა, რომ ამ საუბრის დეტალები შეიძლება გახმაურებულიყო, რაც უპირველეს ყოვლისა გდრ-ის მოსახლეობას დააბნევდა და შეაშფოთებდა. ეს ხელახლა გაამწვავებდა ვითარებას, ვინაიდან ხალხს ეგონებოდა, ახლად წარმოჩენილ პერსპექტივებს კვლავ საფრთხე დაემუქრაო. გარდა ამისა მაინცდამაინც იმ დროს ამგვარ კრიტიკას გერმანიის მთავრობის მეთაურის მოქმედებათა ეფექტურობისთვის საზოგადოების თვალში შესაძლოა ზიანი მიეყენებინა. ამიტომ ვთქვი, თუკი გენერალური მდივანი სიურპრიზე-

ბის გარეშე ურთიერთთანამშრომლობისკენ მოგვიწოდებს, მე მხოლოდ თანხმობა შემიძლია განვაცხადო-მეთქი. ჩვენც ეგ გვინდა და სწორედ ამიტომ ვარ-მეთქი აქ. და ამას მოვაყოლე: ჩემი მოთხოვნა, რომ სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით მივეკიდოთ საქმეს, ჩვენს დღევანდელ საუბარსაც ეხება; ამიტომ მთელი გულახდილობით მინდა ვიკითხო, ამ ჩვენი მოლაპარაკების შესახებ როგორ ვაუწყოთ-მეთქი საზოგადოებას.

გორბაჩოვი მაშინვე მიმიხვდა. ეტყობა, ჩემი არ იყოს, არც ის იყო დაინტერესებული იმით, რომ ჩვენი ურთიერთობის გამწვავების შესახებ საზოგადოებას შეეტყო. მან თქვა, ჩემი შეფასებების საჯაროდ გამჟღავნების დრო ჯერ არ დამდგარა და ახლო ხანებში ამ მხრივ არც არაფერი შეიცვლება. მაგრამ ბონმა უნდა იცოდეს, რომ ფედერალური მთავრობის ქცევას კრემლიდან ყურადღებით მიადევნებენ თვალს. საბჭოთა მთავრობის შეშფოთება სერიოზულ დამოკიდებულებას იმსახურებს; სულსწრაფობა არ გვარგებს. არც ის მინდა, რომ ფედერალური კანცლერი და მისი მოადგილე ერთმანეთს შეეაჯახო. თქვენ კი იცავთ ფედერალური კანცლერის ათ პუნქტს, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ მათ შესახებ პირველად ბუნდესტაგში შეიტყვეთო. ჩემი პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო: „ეს ჩვენი შინაური საქმეა და აქ განსახილავი არ არის". გორბაჩოვმა განაგრძო, ჩვენ ჩვენს საჯარო განცხადებებში უნდა აღვნიშნოთ, რომ დაწვრილებით ვისაუბრეთ ევროპისთვის აქტუალურ საკითხებზე ამჟამინდელ ცვლილებებთან კავშირში. ამასთან საბჭოთა მხარემ გამოხატა პრინციპული დამოკიდებულება გერმანული საკითხისადმი, ხოლო მე კი განვაცხადე, რომ ბონი აღიარებს თავის აღმოსავლურ ხელშეკრულებებს და ჰელსინკის დასკვნით აქტს და გამოვთქვი ჩვენი დაინტერესება ევროპაში სტაბილური სიტუაციის დამყარებით. საბჭოთა კავშირი და ფედერალური მთავრობა ერთსულოვანნი იყვნენ იმ საკითხში, რომ დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, განსაკუთრებით დიდ მოთხოვნებს უყენებს პასუხისმგებლობის შეგნებაზე დამყარებულ პოლიტიკას. მაგრამ თუ დასავლეთგერმანული მხარე, — დასძინა გორბაჩოვმა, — განაგრძობს იმას, რაც ფედერალურმა კანცლერმა თავის ათ პუნქტში ჩამოაყალიბა, მაშინ ხვალიდანვე საბჭოთა კავშირის პოზიცია შეიცვლება. მე საუბარი იმის აღნიშვნით დავამთავრე, რომ ჩვენ გავაგრძელებდით პასუხის-

მგებლობის შეგნებაზე დაფუძნებულ ჩვენს პოლიტიკას.

როცა ცოტა ხნის შემდეგ ერთმანეთს ვემშვიდობებოდით, ჩემი ყურადღება მიიქცია გენერალური მდივნის ერთმა შენიშვნამ: „თუ საერთოევროპული პროცესი და საბჭოთა კავშირსა და ფედერალურ მთავრობას შორის ურთიერთობანი კარგად წარიმართა, მაშინ გერმანულ საკითხშიც შესაძლოა სიახლეები გაჩნდეს". ეს მკაფიო შეტყობინება გახლდათ. ამრიგად, ამ მოსკოვურმა ვიზიტმაც დაგვანახა: კარიბჭე, რომლითაც გერმანიის გაერთიანების გზაზე გავიდოდით, უკვე ღია იყო. ახლა ყველაფერი იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, როგორ მოვახერხებდით ჩვენ ამ მიზნისკენ მიმავალი გზისთვის საერთოევროპული განვითარების შემადგენელი ერთი ელემენტის სახე მიგვეცა.

მოლაპარაკების ჩემეული შეფასება ასეთი გახლდათ: ერთი მხრივ გორბაჩოვს, ეტყობა, სურდა, ისეთი შთაბეჭდილება არ შექმნილიყო, თითქოს მოვლენებმა მას გაუსწრეს. მისი სურვილი იყო აქტიურ მოქმედ პირად და მოვლენათა კონსტრუქტორად დარჩენილიყო, ხელიდან არ გაეშვა განვითარების სადავეები, თავდამცველის როლში არ აღმოჩენილიყო. მეორე მხრივ მისთვის ნათელი იყო, რომ გერმანული საკითხი, იმ მოვლენების შემდეგ, რაც გდრ-ში მოხდა, პასუხს მოითხოვდა. ჩვენი გამოთხოვებისას გამოთქმული მისი შენიშვნა სტრატეგიული შეტყობინება გახლდათ: საბჭოთა ხელმძღვანელობა განეწყო საიმისოდ, რომ გერმანიის გაერთიანება გარდუვალი გახდა. ახლა საკითხავი მხოლოდ ის იყო, რა დროსა და რა ვითარებაში შეიძლებოდა ეს განხორციელებულიყო.

ამრიგად მოსკოვი, მიუხედავად მოლაპარაკების პროცესში წარმოშობილი ზოგიერთი უსიამოვნებისა, იმ რწმენით დავტოვე, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა პრინციპში უკვე განწყობილი იყო გერმანიის გაერთიანების სასარგებლოდ, მაგრამ სურდა თვითონაც ყოფილიყო ამ მიზნისკენ მიმავალი გზის განმსაზღვრელი — ეს მნიშვნელოვანი შეტყობინება გახლდათ.

შევარდნაძესთან საუბარში გერმანული პოლიტიკა კიდევ ერთხელ დაწვრილებით განვიხილეთ. ამ მოლაპარაკებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ გაჩენილიყო ნდობის ფაქტორი, რადგან ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტისას საბჭოთა

კავშირი კიდევ დაგვჭირდებოდა. ამიტომ საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრის წინაშე ხაზგასმით გავიმეორე: როცა ფედერაციულმა რესპუბლიკამ მოსკოვის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, მის ტექსტს დაურთო წერილი გერმანიის გაერთიანების თაობაზე, რომელიც გერმანული საკითხის ევროპულ კონტექსტში მოგვარებას ითვალისწინებდა. უკვე იმ დროს იყო ნათელი, რომ ჩვენ ამ მიზანს მხოლოდ მაშინ მივაღწევდით, თუ ევროპაში თვისებრივად ახლებური ვითარება შეიქმნებოდა-მეთქი. ამ არგუმენტების გამო შევარდნაძემ ოფიციალური ადვოკატი მიწოდა, რაც — თუმცა სხვა სიტყვებით — უკვე ნათქვამი ჰქონდა ჩემ მიმართ გორბაჩოვს. როგორც გორბაჩოვთან, ასევე შევარდნაძესთან საუბრისას განვაცხადე, რომ ჩვენ არ ვაგებდით პასუხს გდრ-ში განვითარებული მოვლენების გამო. ჯერ კიდევ 1989 წლის გაზაფხულზე და ზაფხულის დამდეგს ვუთხარი-მეთქი ჰონეკერთან დაახლოებულ ერთ პიროვნებას — ადვოკატ დრ. ფოგელს ვგულისხმობდი —, რომ გდრ-ში რადიკალური რეფორმებია საჭირო, თორემ იქ მალე უკიდურესად კრიტიკული ვითარება შეიქმნება-მეთქი. ისიც გავიხსენე, რომ ეს მე მისთვისაც, საგარეო საქმეთა მინისტრ შევარდნაძისთვისაც, მქონდა ნათქვამი — სულ ბოლოს ეს აზრი მას გერმანია-საბჭოთა კავშირის სამიტთან დაკავშირებული ერთობლივი განცხადების მომზადებისას გავუზიარე. ნამდვილად არ დავფრინავთ ცაში სიხარულით ამის გამო, მაგრამ ეს პრობლემები ჩვენი გადასაწყვეტი არ არის-მეთქი. ხაზგასმით ვახსენე ისიც, რომ გერმანელები გდრ-ში არაჩვეულებრივი პასუხისმგებლობის გრძნობით მოქმედებდნენ. ყველაფერს თავი აარიდეს, რაც შფოთს გამოიწვევდა. ძალის ყოველგვარ გამოყენებაზე უარი თქვეს-მეთქი.

ზემოთ ნახსენებ საუბარში, გაზაფხულზე რომ შედგა, ჰონეკერის ახლობელს ისიც ვუთხარი, გდრ ვერ გამოეთიშება იმ პროცესს, რომელიც საბჭოთა კავშირში დაიწყო და პოლონეთსა და უნგრეთში გაგრძელდა-მეთქი. უკვე მაშინ გდრ-ში ძალიან დიდი უიმედობა იგრძნობოდა; ამიტომ შემდგომი შეხვედრისას, ივნისში, ვკითხე, როგორ მოუვიდათ გდრ-ის წამყვან პოლიტიკოსებს, რომ მუნიციპალური არჩევნები კვლავაც ძველებურად ჩაატარეს — თითქოს არაფერი შეცვლილიყოს, თუმცა ცოტა ხნის წინ საბჭოთა კავშირში ჩატარდა არჩევნები, რომლებზეც, სხვა თუ არაფერი, რამდენიმე

კანდიდატი მაინც იყო-მეთქი წამოყენებული.

მოსკოვის ვიზიტმა ცხადყო, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო, გერმანიის გაერთიანების გზაზე ყოველი ნაბიჯის გადადგმისას გარანტირებული გვქონოდა როგორც ჩვენი დასავლელი მოკავშირეების, ასევე საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლელი მეზობლების ნდობა.

კონტროლის საბჭო თუ პარტნიორები?

1989 წლის 7 დეკემბრის საღამოს სტრასბურგს გაეფრინდი, რათა როლან დიუმასთან ერთად კომუნიკე მომემზადებინა, რომელსაც გერმანიის გაერთიანების თვალსაზრისით ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. იმგვარი დაძაბულობა, პარიზში ევროსაბჭოს საგანგებო სხდომაზე რომ იჩინა თავი, ამჯერად თავიდან უნდა აგვერიდებინა, და მართლაც სტრასბურგში გამართული ევროსაბჭოს სხდომის კლიმატი ძირეულად განსხვავდებოდა პარიზის სხდომის კლიმატისაგან. საგარეო საქმეთა მინისტრების ინტენსიური კონსულტაციების შედეგად ყრილობის პოლიტიკური ნაწილი კარგად მოვამზადეთ. პრინციპულ საკითხებზე აზრთა თანხვედრის მიუხედავად იმ ტექსტზე მუშაობა, რომელზეც პოლიტიკური დირექტორები იყვნენ პასუხისმგებელნი, გვარიანად რთული გამოდგა. აქ მინისტერიალდირექტორმა დიტერ კატრუპმა — ისევე, როგორც შემდგომ „ორი პლუს ოთხი" ფორმულით წარმოებული მოლაპარაკებებისას — თავი გამოიჩინა როგორც გუნდის იდეალურმა წევრმა. ეს წარმოსადეგი მამაკაცი, საუბრებისა და მოლაპარაკებების დიდი გამოცდილების მქონე და კონცეფციური აზროვნების უნარით დაჯილდოებული, ფლობს იდეის გატანისა და აზრის კარგად ფორმულირების ნიჭს. კარგა ხანია ვჭვრეტდი მასში მომავალ ბრწყინვალე სტატს-მდივანს. ასე რომ, საგარეო საქმეთა მინისტრების კონსულტაციების დროსაც და ტექსტის ფორმულირებაზე პოლიტიკურ დირექტორთა მუშაობის პერიოდშიც კასტრუპსა და მე მუდმივი კონტაქტი გვქონდა ერთმანეთთან ბარათების მეშვეობით.

ევროსაბჭოს უნდა შეეგულიანებინა შუა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, განეგრძოთ დემოკრატიის, პლურალიზმისა და სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ მიმავალი გზით სიარული.

უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო, გერმანიის გაერთიანება ევროგაერთიანების ყველა ქვეყნის საერთო სურვილად ქცეულიყო; ეს მკაფიო სიგნალი იქნებოდა როგორც გდრ-ის ხელმძღვანელობისთვის, ასევე საბჭოთა კავშირისთვისაც. მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ამ საკითხში ჩვენ მარტო არ ვიყავით, ვინაიდან შეგვეძლო ევროგაერთიანების წევრ ჩვენს პარტნიორთა მხარდაჭერის იმედი გვქონოდა.

ჩვენი მისწრაფების პრინციპულმა მხარდაჭერამ მკაფიო ასახვა პოვა ერთობლივ დასკვნით დეკლარაციაში. დეტალებზე კამათი უფრო მეტი რამ იყო, ვიდრე მხოლოდ ფორმულირების საკითხთა გამო დავა. ახლა გამოჩნდა, რაოდენ სწორი ყოფილა, მაისში ნატოს ბრიუსელის ყრილობაზე, რომლის დღის წესრიგის ცენტრში მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული რაკეტების შესახებ დისკუსიის დამთავრება იდგა, ნატოს ორმოცი წლისთავის გამო მიღებულ დასკვნით დეკლარაციაში გერმანიის ერთიანობის აღდგენა დასავლური სამხედრო ალიანსის წევრ სახელმწიფოთა ერთობლივ მიზნად რომ იქნა აღიარებული. მაშასადამე, ირლანდიის გარდა, რომელიც ნატოს წევრი არ იყო, ევროგაერთიანების ყველა სახელმწიფომ ჯერ კიდევ შვიდი თვის წინ გამოიყენა გერმანიის ერთიანობისადმი მიძღვნილი წერილის ფორმულირება! ოღონდ მაშინ, 1989 წლის მაისში, ალიანსის წევრთა მიერ მდგომარეობის გასხვავებულად შეფასებაც საგრძნობი იყო: ერთი მხრივ მიმდინარეობდა კამათი მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული რაკეტების თაობაზე, რომელთა მოქმედების რადიუსი გდრ-ს, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას მოიცავდა, მეორე მხრივ კი არსებობდა პარტნიორთა უმეტესობის მიერ გაზიარებული ჩვენი რწმენა, რომ ევროპამ უკვე გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი იმ გზაზე, რომელმაც მის გამთლიანებამდე უნდა მიგვიყვანოს. სტრასბურგში ზოგიერთს ნატოს მაშინდელი განცხადება ევროგაერთიანების თაობაზე თავისი არსით მეტისმეტად კონკრეტული, იქნებ ზედმეტად შორსმიმავალიც კი ეჩვენა. და მაინც იგი მიღებულ იქნა საზღვრის საკითხთან ერთობლიობაში, ეს ის პუნქტი იყო, რომელზეც კვლავაც ახდენდა ზემოქმედებას ევროგაერთიანების პარიზის სამიტის დებატები. ამ ერთიან კონცეფციას, რაც ისედაც გარდუვალი იყო, შეგვეძლო დავთანხმებოდით. ევროგაერთიანება მიხვდა, რომ მოვლენათა განვითარება გერმანიის გაერთიანების მიმართულებით შეუქცევადი პროცესი გახდა. ამავდროულად ისიც დადასტურდა, რაოდენ

მნიშვნელოვანი იყო სიცხადე გერმანიის საზღვრების საკითხში.

ევროპარლამენტის წინაშე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა როლან დიუმამ ხაზგასმით დაიმოწმა გაეროში გაკეთებული ჩემი განცხადება, როცა ის 1989 წლის 12 დეკემბერს ევროსაბჭოს შესახებ მოხსენებას კითხულობდა, როგორც ევროგაერთიანების თავმჯდომარე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი. დასკვნების შესახებ მან განაცხადა: ის ნაწილი, რომელიც გერმანიის გაერთიანების პრობლემას ეძღვნება, არაჩვეულებრივად ნათელია და პოლიტიკური დირექტორების, საგარეო საქმეთა მინისტრების და სახელმწიფოს მეთაურთა საფუძვლიანი განსჯის საგანი გახლდათო. ეს საკითხი გულდასმით იქნა შესწავლილი, ვინაიდან იგი მომდევნო წლებში აშკარად უზარმაზარ როლს ითამაშებს, რომლის მიმართ ევროგაერთიანების ინსტანციებს წევრ სახელმწიფოთა ყოველ განცხადებაში თავისი დამოკიდებულების გამოხატვა მოუწევთო. დიუმამ განაგრძო: „დღეს ნათელია, რომ ეს" — გულისხმობდა მოვლენების შემდგომ განვითარებას — „მხოლოდ გარკვეული პირობების გათვალისწინებით შეიძლება განხორციელდეს. აუცილებელია, რომ ეს ფაქტი ყველამ გაიცნობიეროს". საზღვრების ხელშეუხებლობის თაობაზე თქვა, აქ საკმარისია ჰელსინკის დასკვნით აქტზე მითითება. ისე კი ყველას, ვისაც ეს აუცილებლად მიაჩნია, შეუძლია ის განცხადება დაიმოწმოს, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრმა გენშერმა გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე გააკეთა 1989 წლის სექტემბერში. მან იქ ფედერალური მთავრობის სახელით მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ოდერნაისეს საზღვრის გამო განაცხადა, რომ არც დღეს, არც მომავალში გერმანია პოლონეთის მიმართ არავითარ ტერიტორიულ მოთხოვნებს არ წამოაყენებსო.

მართლაც თვითგამორკვევის უფლებისა და საზღვრების ხელშეუხებლობის ერთმანეთთან დაკავშირებაში მე უკვე დიდი ხანია ვხედავდი გერმანული საკითხის გადაჭრისთვის აუცილებელ წინაპირობას.

სტრასბურგის განცხადება ჩვენთვის დიდი წარმატება იყო. ყველა თორმეტმა სახელმწიფომ გაითავისა ის, რაც ჩაწერილ იქნა გერმანიის ერთიანობისადმი მიძღვნილ წერილში, სადაც ესეც იყო

ნათქვამი: „გაერთიანების პროცესი უნდა განხორციელდეს მშვიდობიანად და დემოკრატიულად, შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების, ასევე ჰელსინკის დასკვნით აქტში მოცემული ყველა პრინციპის დაცვით დიალოგისა და აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის თანამშრომლობის კონტექსტში. ამასთან იგი უნდა ჩაეწეროს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივაში". ეს პერსპექტივა რეალური გახდა იმ შეთანხმების წყალობით, რომ ახლა ევროკავშირის ფორმირებისკენ მიმავალ გზას უნდა დავდგომოდით, ერთობლივი შიდა ბაზარი შეგვექმნა და სამთავრობათაშორისო კონფერენცია მოგვეწვია, რომელიც უკვე 1990 წელს უნდა ჩატარებულიყო იტალიის მთავრობის მასპინძლობით, რომლის თავმჯდომარეობის რიგი მომავალ წელს დგებოდა.

კიდევ ერთხელ გახდა აშკარა: ერთიანობისკენ გერმანიის მარტოდმარტო სვლის ყოველი მცდელობა უდიდეს სიძნელეებს შეგვიქმნიდა, ხოლო ყოველი მცდელობა გერმანიის საგარეო პოლიტიკის რენაციონალიზირებისა სრულ იზოლაციაში მოგვაქცევდა.

ამრიგად, ევროსაბჭოს შედეგი სერიოზული ნაბიჯი იყო, გერმანიის გაერთიანებისთვის საერთაშორისო თანხმობის მოსაპოვებლად გადადგმული. ამ განცხადებისადმი ჩვენი თანხმობით ჩვენ განვამტკიცეთ ის, რაც მე პრეზიდენტ მიტერანთან ჩემთვის ესოდენ მნიშვნელოვანი და გამამხნევებელი საუბრისას განვაცხადე 1989 წლის 30 ნოემბერს ელისეს სასახლეში: გაერთიანებული გერმანია განაგრძობს თავის ევროპულ კურსს. დაბნეულობა, რაც რამდენიმე კვირის წინ პარიზსა და სხვა დედაქალაქებში გამოიწვია უპასუხოდ დარჩენილმა კითხვამ, დათანხმდებოდა თუ არა ფედერალური მთავრობა უკვე 1990 წლის დამლევისთვის ეკონომიკური და სავალუტო გაერთიანების საკითხებზე სამთავრობო კონფერენციის მოწვევას, უკვე დაძლეული იყო. ამგვარი ეჭვი და გაურკვევლობა იმ დროს ჩვენ მართლაც რომ ყველაზე ნაკლებად გვესაჭიროებოდა. მიტერანისა და დიუმას სტრატეგია, ერთმანეთთან დაეკავშირებინათ გერმანიის გაერთიანება და ევროგაერთიანებაში ინტეგრაცია, ჩვენს თვალსაზრისსა და ჩვენს ინტერესებს შეესაბამებოდა. მხოლოდ ასე თუ შეიქმნებოდა იმისი წინაპირობები, რომ გერმანიის გაერთიანება ევროპისთვის მონაპოვარი ყოფილიყო და არა პრობლემა. ამიერიდან ჩვენი პარტნიორები ევროგაერთიანებიდან გერმანულ საკითხში ჩვენს

გვერდით გვეგულებოდნენ.

მაგრამ სტრასბურში ისიც ნათელი გახდა, რაოდენ ძირეულად განსხვავებული პოზიციები ეკავათ გერმანიის გაერთიანებისადმი მიტერანსა და ქალბატონ ტეტჩერს. ქალბატონ პრემიერ-მინისტრს, როგორც ჩანდა, პოლიტიკური და ემოციური ხასიათის ეჭვები აწუხებდა, მიტერანს პირიქით — გერმანიის გაერთიანების ევროპეიზაციით რაინის გაღმა-გამოღმა ძველთაგანვე არსებული მტრობის განახლებისთვის სურდა ხელი შეეშალა. მსგავსადვე უყურებდა იგი გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრის საკითხს. ოდერ-ნაისეს საზღვრის ცნობას რომ მოითხოვდა, ამით მას გერმანიის გაერთიანების გზაზე დაბრკოლების შექმნა კი არ ეწადა, არამედ სურდა ამ პროცესისთვის დამცავი ევროპული გარანტიები მოეპოვებინა. მიტერანს ზოგიერთ გერმანელ პოლიტიკოსსა და პუბლიცისტზე ნათლად ესმოდა იმ ისტორიული ჩარჩოპირობების მნიშვნელობა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა გერმანიის ერთიანობის მიღწევა. ჩვენში ხშირად არცთუ სათანადოდ დიფერენცირებულად გამოთქმული პრინციპული ეჭვები ეკონომიკური და სავალუტო გაერთიანებისა და ოდერ-ნაისეს საზღვრის ცნობის მიმართ საფრთხეს უქმნიდა ისტორიულ შანსს.

ჩემი შეტყობით, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ქალბატონი ტეტჩერი გერმანიის გაერთიანების აუცილებლობას ყოყმანით ეგუებოდა. მაგრამ პარიზში მისმა მკვეთრმა გამოსვლამ ამ პროცესის წინააღმდეგ დიდი ზემოქმედება ვერავისზე მოახდინა; ევროგაერთიანებაში ჩვენს პოლიტიკას უკვე ძლიერი მხარდაჭრა ჰქონდა. ამ თვალსაზრისით ძალზე ნიშანდობლივი იყო ბრიტანეთის თემთა პალატაში 1989 წლის 12 დეკემბერს ჩატარებული დებატები. მარგარეტ ტეტჩერმა სტრასბურში გამართული ევროსაბჭოს სხდომის შესახებ გაკეთებულ თავის მოხსენებაში დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა აღმოსავლეთ ევროპაში მოვლენების განვითარების, უწინარეს ყოვლისა კი გერმანიის გაერთიანებისადმი დამოკიდებულების საკითხს. მილანში გამოსვლისგან განსხვავებით ამჯერად აღარ უცდია, ხელი შეეშალა ევროპული გაერთიანების პოლიტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სამთავრობათაშორისო კონფერენციის მოწვევისთვის. აშკარად გრძნობდა, რა ძლიერი იყო ევროპული ერთიანობის გზაზე წინსვლით პარტნიორთა დაინტერესება, — დაინტერესება, რომელიც

ერთიანი გერმანიის კონტურთა გამოკვეთის გამო კიდევ უფრო იზრდებოდა. ასე რომ, გერმანული საკითხის მიმართ პოზიციის გამოხატვა ოპოზიციის ლიდერს ნეილ კინოკს მოუწია. მან ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი გერმანიის ერთიანობას: „ჩვენი აზრით, ჭკვიანურად მოიქცა სამიტი, კომუნიკე რომ მიიღო, რომელშიც მკაფიოდ არის დაფიქსირებული გერმანელი ხალხის უფლება, თავისუფალი თვითგამორკვევის გზით მიაღწიოს გაერთიანებას.“ ეს მარტო გერმანელი ხალხის სურვილი კი არ არის, არამედ ეს არის აგრეთვე სურვილი ყველა მისი დასავლელი და აღმოსავლელი მეზობლისა, — თქვა მან და ასეთი კითხვა დასვა: „თუ აქვს ქალბატონ პრემიერ-მინისტრს შეგნებული ის ამბავი, რომ ეს პოზიტიური გადაწყვეტილება სტრასბურგში არსებითად მისი პოზიციის მიუხედავად იქნა მიღებული და არა მისი პოზიციის გამო?“ მარგარეტ ტეტჩერმა ამაზე ერთობ მკვახედ მიუგო: ვიმედოვნებ, ყველამ იცის, რომ ოპოზიციის ლიდერი სტრასბურგში არ იმყოფებოდა და ამიტომ არც შეიძლება იცოდეს, რა მოხდა იქ სინამდვილეში. მაგრამ კინოკის ნათქვამს გერმანული საკითხის თაობაზე აღარ შეკამათებია. კიდევ ერთხელ შეეხნენ გერმანიის თემას; ეს გახლდათ ლეიბორისტი დეპუტატი ტედ როულენდსი, რომელმაც თქვა: „განა ანაქრონიზმი არ არის, ილაპარაკო გერმანულ საკითხზე გერმანელების დაუსწრებლად?“ ამით მან მიანიშნა ოთხი ელჩის შეხვედრაზე, რომელიც წინა დღეს შედგა ბერლინის კონტროლის საბჭოს შენობაში. და ის მართალი იყო.

შეხვედრა 1989 წლის 11 დეკემბერს გაიმართა საბჭოთა მხარის სურვილით და განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. ელჩებმა საჭიროდ ჩათვალეს ერთობლივი ფოტოსურათიც კი გადაეღოთ. რას ნიშნავდა ეს დემონსტრაცია? გერმანელების გაფრთხილებას? თავმჯდომარეობდა ამერიკის ელჩი უოლტერსი. ეს ფოტო რაღა საჭირო იყო? შექმნილ ვითარებაში ამგვარი შეხვედრის გამართვა ასეთ ადგილას, კონტროლის საბჭოს შენობაში, ხომ არ იყო ოთხთა პასუხი გდრ-ის მშვიდობიან განმათავისუფლებელ რევოლუციასა და თავისუფლების, დემოკრატიისა და გაერთიანებისკენ გერმანელთა სწრაფვაზე? პრეზიდენტ ბუშისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ბეიკერის პოზიცია ჩემთვის კარგად იყო ცნობილი და ვიცოდი, ასეთ რამეს არ განიზრახავდნენ. იგივე ითქმოდა პრეზი-

დენტ მიტერანისა და როლან დიუმას გამოც. როცა სურათები ვნახე, ძალიან ნაწყენი დავრჩი.

დასავლეთის სამმა წარმომადგენელმა ეს სხდომა იმისთვის გამოიყენა, რომ ბერლინთან დაკავშირებული თავიანთი ინიციატივა, რომელიც კარგა ხნის წინ იყო განსახილავად გამოტანილი, დისკუსიის ძთავარ საკითხად ექციათ. ამ ინიციატივას დასავლეთ ბერლინის მდგომარეობა უნდა გაეუმჯობესებინა. მისი განხილვა 1989 წლის 11 დეკემბერს, ანუ მაშინ, როცა თვეზე მეტი იყო გასული კედლის დანგრევიდან, არცთუ მთლად შეესაბამებოდა შექმნილ ვითარებას. ელჩმა უოლტერსმა დასავლური მხარის სახელით წაიკითხა ტექსტი, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ჯერ კიდევ კედლის დანგრევის წინა პერიოდში ვიმყოფებოდით. მაგრამ ჯობდა სამუშო დონეზე *ამის წინააღმდეგ* არავითარი შეშფოთება არ გამოგვეთქვა; ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას ჰქონდა, რომ გერმანულ საკითხზე ოთხ სახელმწიფოს უჩვენოდ — თანაც ზემოხსენებულ დაწესებულებაში — არ ემსჯელა. აქ სამი ელჩი კატეგორიულად უჭერდა მხარს იმ შეთანხმებას, რომელიც სამმა სახელმწიფომ დადო ჩვენთან.

საბჭოთა ელჩმა კოჩემასოვმა კონტროლის საბჭოს შენობაში შეხვედრისას წარმოადგინა მოსკოვის თვალსაზრისი სტატუს კვოს შესახებ: საბჭოთა დიპლომატია იმ დროს ჯერ კიდევ ცდილობდა გდრ-ის შენარჩუნებას, მაშასადამე მაშინ უპრობლემო გაერთიანების არავითარი გარანტია არ არსებობდა. „ჩვენ ისტორიულ ფაზაში ვიმყოფებით", თქვა კოჩემასოვმა, რათა ბოლოს მთელ ევროპასა და გდრ-ში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესზე მინიშნებით გამაფრთხილებელი ტონით განეცხადებინა: „ჩვენ მივესალმებით ცვლილებებს გდრ-ში. ისინი დაკავშირებულია შინაგან და საერთაშორისო სიძნელეებთან. ზოგ ვინმეს გფრ-ში, ეტყობა, არ სურს ხელი აიღოს გდრ-ში მიმდინარე პროცესის მართვაზე. ჩვენ აქ კვლავ გავიმეორებთ იმას, რაც გენერალურმა მდივანმა გორბაჩოვმა თავის 9 დეკემბრის სიტყვაში განაცხადა: გდრ-ის ღირსებას ჩვენ არავის შევალახვინებთ. ის ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე და ვარშავის ხელშეკრულების წევრია. ჩვენ ომისშემდგომი რეალობები უნდა გავითვალისწინოთ, ანუ უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობს ორი დამოუკიდებელი, სუვერენული გერმანული სახელმწიფო და

ორივე გაეროს წევრია. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ომისშემდგომი რეალობები ხელახლა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ; ეს საფრთხეს შეუქმნის სტაბილურობას ევროპაში. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს დამოკიდებულება გდრ-სა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის არ უნდა შეიცვალოს. მშვიდობიანი თანამშრომლობა ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის შესაძლოა და კიდევაც უნდა განვითარდეს. მომავალს იქ ისტორია ევროპაში მრავლისმომცველი პროცესის ჩარჩოში განსაზღვრავს". ბოლოს მან ილაპარაკა საბჭოთა კავშირის როგორც გამარჯვებული სახელმწიფოს პოზიციაზე, ტერიტორიულ რეალობათა პატივისცემის აუცილებლობაზე, ჰელსინკის პროცესსა და მის შედეგებზე. მან სიტყვასიტყვით ასე განაცხადა: „რაც შეეხება ევროპის კონტინენტს, აქ მშვიდობიანი განვითარების წინაპირობა ის იქნება, რომ დავძლიოთ სიძნელეები, ვცნოთ ტერიტორიალური რეალობანი და სიფრთხილე გამოვიჩინოთ, აგრეთვე პატივი ვცეთ ჰელსინკის თათბირის პროცესსა და შედეგებს. ეს არის ერთადერთი გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვიკისროთ პასუხისმგებლობა, რომელიც ომისა და ომის შემდგომი პერიოდის შეთანხმებებიდან გამომდინარეობს. სამი სახელმწიფოს მთავრობათა მოსაზრებანიც ამ საკითხებზე ჩვენი შეხედულებების მსგავსი გვგონია. მალტის შეხვედრაზე ამ საკითხების შესახებ სრული თანხმობა სუფევდა, მეტადრე ევროპაში თანაბარზომიერი განვითარების აუცილებლობის თაობაზე. ეს გდრ-ის პრობლემებსაც ეხება. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს პრობლემები ორივე მხარის მიერ საერთოევროპული პროცესის კონტექსტში იქნეს დანახული. ეს გვიჩვენა გორბაჩოვ-მიტერანის შეხვედრამაც. მიტერანის შეხედულებები ევროპაში მდგომარეობის შესახებ ჩვენს შეხედულებებს უახლოვდება, და ვითარების ამის მსგავსი შეფასება შევნიშნეთ ჩვენ პრემიერ-მინისტრ ქალბატონ ტეტჩერის მოსაზრებებშიც". დასკვნის სახით მან დასძინა: „ევროპაში სტაბილურობის განმტკიცება მნიშვნელოვანი ამოცანაა იმ ისტორიულ ფაზაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ".

პირველი საფრანგეთის ელჩი გამოეხმაურა კოჩემასოვის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. მან თანამოსაუბრეთ მოუწოდა, მხოლოდ ბერლინზე ელაპარაკათ. ამასთან დაკავშირებით საფრანგეთს სურს ხაზგასმით აღნიშნოს ბერლინის თაობაზე ოთხი სახელმწიფოს შეთ-

ანხმების მნიშვნელობაო. ორივე მნიშვნელოვანი იყო: ისიც, რომ გერმანელების გარეშე გერმანის შესახებ არ ელაპარაკათ და ისიც, რომ მოლაპარაკებათა ჩარჩოდ ოთხი სახელმწიფოს შეთანხმება დარჩენილიყო. ბრიტანეთის ელჩმა მელებიმაც ასეთივე პოზიცია დაიკავა, ოღონდ მან ამას დაუკავშირა რამდენიმე მოსაზრება სტრასბურგში გამართული ევროსაბჭოს სხდომის შედეგის შესახებ. აქედან გამომდინარეობს, თქვა მან, რომ საბჭოთა კავშირის შეხედულებებს სტაბილიზაციის თაობაზე იზიარებენ. ელჩმა უოლტერსმა როგორც თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აშშ-ც, ისევე როგორც ყველა სხვა, დაინტერესებულია სტაბილიზაციით. ამიტომ პრეზიდენტი ბუში მიესალმა სტრასბურგში მიღწეულ შედეგსო. ამის აღიარება და ხაზგასმა ევროგაერთიანების ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და მოსკოვისაკენ გაგზავნილი მკაფიო სიგნალი იყო.

განცხადების თაობაზე, რომელიც ამ შეხვედრის შემდეგ უნდა გამოქვეყნებულიყო, ოთხ ელჩს შორის ხანგრძლივი დისკუსია გაიმართა, რომლის დროსაც კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა ევროპაში სტაბილიზაციის მნიშვნელობა. შეხვედრის მიმდინარეობისა და შედეგის შესახებ ჩვენ დაუყოვნებლივ შევიტყვეთ ელჩ ბუადვესაგან, რის გამოც ჩვენ მისი უაღრესად მადლიერნი დავრჩით.

მაგრამ რისი დემონსტრირება სურდათ შეხვედრის ამნაირად, ამგვარ გარემოებებში ჩატარებით? ნამდვილად შეესაბამებოდა ეს შეხვედრა იმ დამოკიდებულებას, რაც ჩვენ ამ სამ სახელმწიფოსთან გვქონდა? გდრ-ში მიმდინარეობდა მშვიდობიანი განმათავისუფლებელი რევოლუცია, რომელიც თანაგრძნობას, სიმპათიას, პატივისცემას იწვევდა მთელ მსოფლიოში. აქამდე არასოდეს მომხდარა გერმანიის ისტორიაში, რომ გერმანელთა და სხვა ევროპელი ხალხების გრძნობები და შეხედულებები ისეთ თანხმობაში ყოფილიყვნენ ერთმანეთთან, როგორშიც იმ მღელვარე თვეებში იყვნენ. ცივი ომის პერიოდში ევროპელ მოკავშირეთაგან გერმანიამ თავისი ბუნდესვერით საერთო უსაფრთხოების საქმეში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა. ჩვენც იმავე სამხედრო ალიანსში შევდიოდით, რომელსაც აშშ, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი ეკუთვნოდნენ; ხოლო ორ მათგანთან ერთად ევროგაერთიანების თანაბარუფლებიანი წევრიც ვიყავით. ახლა ეს ვიკითხოთ, თუ შეესაბამებოდა ეს შეხვედრა იმ დამოკიდებულებას, რაც ჩვენსა და საბჭოთა კავშირს შორის დამ-

ყარდა? საბჭოთა კავშირის მხრივ ამგვარი რამ უფრო ადვილი ასახსნელი იყო, თუმცა არა გასაგები. ეტყობოდა, ვნებათაღელვა ათპუნქტიანი გეგმის გამო იქ ჯერ მთლიანად არ ჩამცხრალიყო.

ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლთა შემდგომი შეხვედრების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო კონტროლის საბჭოს შენობაში მოწყობილი ამ შეხვედრის ამბავი რეაქციის გარეშე არ დამეტოვებინა. გადავწყვიტე, მელაპარაკა ამაზე ჩემს სამ დასავლელ კოლეგასთან. უწინარე ყოვლისა უცნაური იყო ამ შეხვედრის ესოდენ თვალში საცემი ფორმა. სამივე ელჩთან ბონში მათი მუშაობისას მჭიდრო ურთიერთობა და პიროვნული კონტაქტებიც კი მქონდა. ვერნონ უოლტერსი ფედერალურ კანცელარიაში ერთი მოხსენებისას გავიცანი სამოცდაათიანი წლების შუა ხანებში და მის პიროვნებას განსაკუთრებულად ვაფასებდი, ხოლო ელჩი ბუადვე ჩემი ძველი კარგი ნაცნობი და მეგობარი იყო იმ დროიდან, როცა პირველად მსახურობდა ბონში, საფრანგეთის საელჩოში. ისიც ელჩ მელების მსგავსად თავისი ქვეყნის უმაღლესი კლასის დიპლომატთა რიცხვში შედიოდა.

ამ თემაზე საუბრის შესაძლებლობა 13 დეკემბერს ბრიუსელში ნატოს წარმომადგენელთა შეხვედრაზე მომეცა, სადაც ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრი მოსალაპარაკებლად ჩავედით. ეს იყო აშშ-ის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტრადიციული ოთხთა შეხვედრა. იქ მე განვაცხადე, რომ ოთხი ელჩის ამგვარმა გამოსვლამ შელახა გერმანელი ხალხის ღირსება. ჩვენ ვამაყობთ, გდრ-ის მშვიდობიანი განმათავისუფლებელი რევოლუციით; იქაურმა გერმანელებმა პასუხისმგებლობის არაჩვეულებრივი შეგნება გამოამჟღავნეს. ამგვარი ხმაურიანი შეხვედრა კონტროლის საბჭოს შენობაში არავითარ შემთხვევაში არ შეეფერება-მეთქი ჩვენს ურთიეთდამოკიდებულებას. გერმანია არის ნატოს წევრი, და ამ ალიანსში შემავალ ევროპელ პარტნიორთაგან მას მიუძღვის უმთავრესი წვლილი ევროპული უსაფრთხოების შენარჩუნების საქმეში. არასოდეს ავყოლივართ-მეთქი ცდუნებას, ის პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, რაც ჩვენ გვეკისრებოდა როგორც დასავლური ალიანსის წევრს, ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსზე გაგვეცვალა; ჩვენ ევროგაერთიანების წევრი ვართ-მეთქი და ამ თანამეგობრობის ფარგლებში იმ ქვეყანათა რიცხვს

მივეკუთვნებით, რომელთაც წინ მიჰყავთ ევროპული გაერთიანების საქმე. მე სიტყვასიტყვით ასე ვთქვი: „თქვენ არჩევანი უნდა გააკეთოთ — ან ჩვენთან ითანამშრომლოთ ნატოსა და ევროგაერთიანებაში, ანდა საბჭოთა კავშირთან კონტროლის საბჭოში". ეს მე ინგლისურად წარმოვთქვი და თანაც მძაფრი ტონით, რაც ჩვეულებრივ არ მახასიათებს. მეგობრებს — სამივე ჩემს კოლეგას მეგობრად ვთვლიდი — უნდა სცოდნოდათ: ოთხი სახელმწიფოს მექანიზმის ხელახალი გაცოცხლება ჩვენთვის მიუღებელი იქნებოდა. სამივემ კარგად იგრძნო, რომ ეს წუთიერი აღელვება კი არ იყო, არამედ ჩვენი ორმხრივი ურთიერთობის პრინციპულ საკითხთან გვქონდა საქმე და გერმანიაში მოვლენათა დრამატულად განვითარების ფონზე გასარკვევი იყო, მომავალ'ში როგორ გვემოქმედა მსგავს სიტუაციებში. ჯიმ ბეიკერმა ხელი ჩამომართვა და თქვა: „ჰანს-დიტრიხ, ჩვენ გვესმის შენი". როლან დიუმასა და დუგლას ჰერდსაც შევატყვე სახეზე, რომ არამარტო გამიგეს, არამედ ჩემი რეაქცია სავსებით მართებულადაც ჩათვალეს. ოთხთა შეხვედრამ კონტროლის საბჭოს შენობაში შემდგომ მნიშვნელოვანი და საჭირო ზემოქმედება იქონია ჩვენს ურთიერთობებზე. ჩემი რეაქციის შედეგად ჩვენი პარტნიორებისთვის ნათელი შეიქნა, რომ საკითხები, რომლებიც გერმანიასა და ბერლინს შეეხებოდა, აღარ შეიძლებოდა მხოლოდ ოთხი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირისა და დასავლური ალიანსის სამ სახელმწიფოს შორის — განხილულიყო. ამგვარ მოლაპარაკებებში გერმანიის თანაბარუფლებიან მონაწილეობას გვერდი ვეღარ აევლებოდა. ამ ამბავს წერტილი დაესვა. ჩემს პატივისცემას სამი ელჩის მიმართ მათი იმ შეხვედრის გამო არაფერი დაკლებია; მაგრამ ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია, აბსოლუტური ნათელი მომეფინა ვითარებისთვის.

ელჩების ბერლინის შეხვედრის შესახებ მოსკოვში საუბრის შესაძლებლობა 1990 წლის 10 თებერვალს შევარდნაძესთან მოლაპარაკების დროს მომეცა, როცა საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრს განვუმარტავდი ჩემს შეხედულებებს „ორი პლუს ოთხის" მექანიზმის მნიშვნელობაზე გერმანიის გაერთიანების თაობაზე წარმოებულ მოლაპარაკებებში. „ჩვენ არც ერთ მოლაპარაკებას არ დავთანხმდებით", ვთქვი მე, „სადაც ოთხი ქვეყანა ჩვენი ბედის გადასაწ-

ყვეტად შეიკრიბება. ყველა ხალხს თავისი სიამაყე აქვს. ჩვენ გვსურს ოთხ სახელმწიფოსთან ერთად დავსხდეთ და ვიმსჯელოთ. ოთხი ელჩის შეხვედრა დეკემბრის დამდეგს ბერლინში არ გაგვხარებია. იმგვარ კონფერენციაზე, როგორიც ორმოცდაათიან წლებში ჟენევაში გაიმართა, როცა გერმანული დელეგაციები მოლაპარაკებათა მთავარ მაგიდასთან არ დასხეს, მე არ გამოვჩნდები".

ისტორიული წელიწადის დამლევს

1989 წლის უკანასკნელ კვირებში ჩვენმა კოცეფციამ გერმანიის გაერთიანებისთვის მოლაპარაკებათა თაობაზე კონკრეტული სახე მიიღო. სახელშეკრულებო გაერთიანება, როგორც ჰელმუთ კოლის ათპუნქტიანი გეგმის ახლო მიზანი, 19 დეკემბერს ფედერალური კანცლერისა და პრემიერ-მინისტრ მოდროვის მიერ კიდევ ერთხელ იქნა დადასტურებული, როცა ისინი დრეზდენში შეხვდნენ ერთმანეთს.

ჰელმუთ კოლის ეს ვიზიტი გახლდათ მთელ მსოფლიოში გახმაურებული მოვლენა, რომლის დროსაც დრეზდენელებმა ერის ერთიანობისკენ სწრაფვა გამოხატეს. სიტყვაში, რომელიც ჰელმუთ კოლმა დრეზდენში წარმოთქვა, იგრძნობოდა მისი შინაგანი მღელვარება; ეს მღელვარება გადაედო ადამიანებს; ეს გახლდათ იმ მოვალეობისთვის თვალის გასწორება, რომელიც ფედერაციულ მთავრობას მძიმე, მაგრამ ამავდროულად იმედით აღსავსე ხანაში სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად უნდა აღესრულებინა.

1989 წლის 12 დეკემბერს ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯიმ ბეიკერი ბერლინს ეწვია, რათა ბერლინური პრესის ყოველწლიურ ზეიმზე შტაიგენბერგერის სასტუმროში ევროპის ახალი არქიტექტურის შესახებ სამომავლო გზების დამსახავი სიტყვა წარმოეთქვა. ამ გამოსვლაში მან აღნიშნა, რა მნიშვნელობა ენიჭებოდა აღმოსავლეთ გერმანიის საკითხის რეგულირებას.

შაბათს, 16 დეკემბერს, სიტყვით გამოვედი თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ნორდრაინ-ვესტფალენის რეგიონულ საარჩევნო თავყრილობაზე ვერლში და გერმანიაში შექმნილ მდგო-

მარეობასა და გერმანიის გაერთიანებაზე ვილაპარაკე. შემდეგ შვეულ-მფრენით გავემგზავრე ჰერლესჰაუზენისკენ, საიდანაც მანქანით წავედი აიზენახში; იქ ეპისკოპოს ლაიხს ვეწვიე. თან მახლდნენ ჩემი მეუღლე და ბუნდესტაგის დეპუტატები ბაუმი და ჰირში, ერთი მათგანი წარმოშობით დრეზდენიდან იყო, მეორე მაგდებურგიდან. ეპისკოპოსთან ვისაუბრეთ გდრ-ში შექმნილ ვითარებაზე, ევანგელისტურ ეკლესიაში არსებულ განწყობილებასა და ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების შესაძლებლობებზე. მერე აიზენახიდან ჰალესკენ გავემგზავრეთ.

პასტორმა ჰანევინკელმა, განმათავისუფლებელი რევოლუციის ერთ-ერთმა იდეოლოგმა ქალაქ ჰალეში, სასტუმროში გამოგვიარა და თავისი ტრაბანტით წმინდა გიორგის მრევლის — აუგუსტ ჰერმან ფრანკეს ეკლესიის — სამრევლო სახლში წაგვიყვანა. იქ ნაშუადღევს შედგა საუბარი მრგვალი მაგიდის წარმომადგენლებთან. თვითონ ეკლესია საეკლესიო მსახურებისთვის აღარ გამოდგებოდა. სახურავი ჩანგრეულიყო და წვიმას ღვთის სახლის ინტერიერი ძალიან დაეზიანებინა. მაგრამ უკვე დაწყებული იყო სახურავის შესაკეთებელი სამუშაოები. ეკლესიის აღდგენა იმისი დემონსტრირება უნდა ყოფილიყო, რომ ხალხს სურდა თავის თავზე თვითონ ეზრუნა.

ასე იქცა წმინდა გიორგის ეკლესიის აღდგენის ინიციატივა სამოქალაქო მოძრაობის სიმბოლოდ. შემთხვევითი არ იყო, რომ ორშაბათობით გამართული დემონსტრაციები ჰალეში ამ ეკლესიიდან და მისი სამრევლო სახლიდან იღებდა სათავეს. პასტორი ჰანევინკელი და მისი მეუღლე, რომელიც შემდეგ ბუნდესტაგის დეპუტატი გახდა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, ამ საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ. მათთან ერთად მრგვალი მაგიდის წევრები იყვნენ ადამიანები ჰალეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან, მათ შორის იყო ერთი თეატრის ხელმძღვანელი პეტერ ზოდანიც. გაერთიანების შემდეგ ტელემაყურებლებს მისი ხილვა შეეძლოთ კომისრის როლში ერთ-ერთ სატელევიზიო კრიმინალურ სერიალში. დღეს ის შუაგულ ქალაქში თავისი თეატრალური კუნძულით თავისებურად უნიკალურ შემოქმედებით ცენტრს ქმნის, რომელიც თანადროულობის შესატყვისი პროფილით ჰალეს დიდ კულტურულ ტრადიციებს აგრძელებს.

ვისხედით უბრალო სამრევლო სახლში და ყავასა და ნამცხ-

ვარს შევექცეოდით. გამართულა ნეტა კიდევ ოდესმე ისეთი საუბარი, რომლის დროსაც ამდენი ოპტიმიზმი, ამდენი იმედი, ამდენი ადამიანურობა და საკუთარი სამოქალაქო გმირობით გამოწვეული იმდენადვე აღტაცების მომგვრელი, რამდენადაც კანონიერი სიამაყე გამოვლენილიყოს?

მეორე დილით გერმანიის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ჰალეს განყოფილების ხელმძღვანელობასთან მქონდა შეხვედრა. თუ 1981 წლის სტუმრობას არ ჩავთვლით, ეს მათთან ჩემი პირველი კონტაქტი იყო მას შემდეგ, რაც 1952 წელს გდრ დავტოვე. ჰალეს ინტერჰოტელის — იმ სასტუმროს ერთ ოთახში, სადაც ჰალეში ყოფნისას ვჩერდებოდით ხოლმე, შეეხვდი გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის საოლქო განყოფილების გამგეობას. ვისაუბრეთ პარტიის მდგომარეობაზე და თავისუფალ დემოკრატიულ პარტიასთან თანამშრომლობის შესაძლებლობებზე. ამის შემდეგ მარკტკირხეს ვეწვიეთ საკვირაო ღვთისმსახურებაზე დასასწრებად. ამჯერად ეკლესიაში ყველა ადგილი დაკავებული იყო. გამოეცხადებინათ, რომ ღვთისმსახურების შემდეგ მე უნდა მელაპარაკა. წირვის დასრულების მერე ცოტა ხნით შევისვენეთ. ამასობაში სხვა სამწყსოებიდანაც შემოგვიერთდა ხალხი და მალე ეკლესია ისე გაიჭედა, ნემსი არ ჩავარდებოდა.

ძალიან ამაღელვებელი მომენტი იყო — კვლავ იმ ეკლესიაში ვიმყოფებოდი, სადაც ბავშვობაში მშობლებთან ერთად — ხოლო მამის გარდაცვალების შემდეგ — დედასთან ერთად ხშირად ვესწრებოდი წირვას. მოწაფეობისას აქ მონაწილეობა მივიღეთ რეფორმატორულ ღვთისმსახურებაში, და ახლა შესაძლებლობა მქონდა აქვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში პირველად გამოვსულიყავი სიტყვით ჩემს მშობლიურ ქალაქში. ჩემს კოლეგებთან, ბაუმთან და ჰირშთან ერთად დავჯექი საკურთხევლის წინ მდგარ მერხზე, იქვე ისხდნენ მრგვალი მაგიდის წარმომადგენლებიც. პირველ რიგებში ვიცანი რამდენიმე ჩემი სკოლის ამხანაგი, რომლებიც მეუღლეებითურთ იყვნენ მოსულნი. იქვე დამჯდარიყო ჩემი მეუღლეც.

ჩემს გამოსვლაში მე ჩემს გრძნობებზე ვილაპარაკე, უწინარეს ყოვლისა კი გერმანიის ერთიანობაზე. ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩვენ უკვე მივიღეთ გადაწყვეტილება, ახლა გდრ-ელი გერმანელების



ჰანს-დიტრიხ გენშერისთვის ამაღელვებელი მოვლენა იყო 1989 წლის 17 დეკემბერს ჰალეს მარკტკირხეში სიტყვით გამოსვლა: აქ იგი ბავშვობისას თავის მშობლებთან ერთად ესწრებოდა წირვას. ახლა ის მშობლიურ ქალაქში პირველად წარმოთქვამდა სიტყვას ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში.

ჯერია, განაცხადონ, როგორ უყურებენ-მეთქი ერთიანობას. აქაც იმას ეხებოდა საქმე, რომ საზღვარგარეთ, კერძოდ, საბჭოთა კავშირში, არ შექმნოდათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს გდრ-ის გერმანელებს თავს ახვევდენ გერმანიის გაერთიანებას. მათ თვითონ უნდა გადაეწყვიტათ, ეთქვათ თუ არა თანხმობა თავისუფლებაზე. ხოლო როგორი იქნებოდა ეს გადაწყვეტილება, ჩემთვის სავსებით ნათელი იყო. და მაინც ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამ შეკითხვაზე მთელ მსოფლიოში ყველას მკაფიოდ უნდა გაეგონა. მაგრამ მარტო საზღვარგარეთის რეაქცია როდი მაფიქრებდა, საქმე უპირველეს ყოვლისა იმ ადამიანებს ეხებოდა, რომლებიც ჩემ წინაშე ისხდნენ. არ უნდა მომხდარიყო ისე, რომ მათთვის კვლავ ვინმეს, ამჯერად დასავლეთის პოლიტიკოსებს ეკარნახათ, რა უნდა გაეკეთებინათ. განმთავისუფლებელი რევოლუცია მხოლოდ და მხოლოდ მათი საკუთარი საქმე იყო. ეს გახლდათ მათი შეუცვლელი წვლილი თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის ბრძოლის გერმანულ ისტორიაში და გერმანიისა და ევროპის ერთიანობის საქმეში. გადაწყვეტილებაც იმის შესახებ, თუ როგორ გამოეყენებინათ მოპოვებული თავისუფლება, მათვე უნდა მიეღოთ.

ჩემი გამოსვლის შემდეგ დისკუსია გაიმართა. დამსწრეთ გერჰარტ ბაუმი წარვუდგინე როგორც წარმოშობით დრეზდენელი, ხოლო ბუკჰარდი როგორც წარმოშობით მაგდებურგელი, რომელიც სკოლაში ჰალეში დადიოდა. დიდ ეკლესიაში მშვიდი, თითქმის საზეიმო განწყობა სუფევდა. ეს იყო საშობაო განწყობილების წინასწარგანცდა, ყოველ შემთხვევაში მე იმ წუთებში ასეთი გრძნობა დამეუფლა.

როცა ღვთისმსახურება დასრულდა, ლაიფციგისკენ წავედით, სადაც დემოკრატიული გარღვევის დამფუძნებელი კონგრესი უნდა გამართულიყო. მე იქ პირველად შევხვდი ფრიდრხ შორლემერს, ვარტბურგის შლოსკირხეს პასტორს, რომელიც ჩემთვის ერთ-ერთი დიდი იმედი იყო მაშინდელ გდრ-ში: ის ახლაც იმედია, ამჯერად გერმანიის შინაგანი გაერთიანების იმედი. როცა მას გერმანული წიგნით ვაჭრობის სამშვიდობო პრემია მიანიჭეს, ამით ღირსეულად დააფასეს ადამიანი, რომელიც ჩემთვის ჰუმანისტი და რწმენის კაცი იყო.

სხვა დასავლეთგერმანული პარტიებიც მოვიდნენ, მოვიდა ბუნდესტაგის პრეზიდენტი ქალბატონი პროფესორი ზიუსმუთიც. იქაც გერმანულ და ევროპულ ერთიანობაზე ვილაპარაკე, თანაც ისე,

რომ არც ჰალეში და არც ლაიფციგში სახელშეკრულებო ურთიერთობა არ მიხსენებია. ნოემბრის შემდეგ კიდევ უფრო განმიმტკიცდა რწმენა, რომ მოვლენათა განვითარების შედეგად ეს იდეა კარგა ხნის მოძველებული იყო.

დემოკრატიული გარღვევის კონგრესიდან გევანდჰაუსისკენ* გავემგზავრეთ. პირველად შევხვდი პროფესორ მაზურს, რომელიც ორშაბათის დემონსტრაციებზე ლაიფციგში საპასუხისმგებლო როლს ასრულებდა, ცდილობდა სამოქალაქო მოძრაობის და სახელმწიფოს წარმომადგენელთა მორიგებას. ჩვენ ვილაპარაკეთ ბოლო თვეებში განვითარებულ მოვლენებზე, აგრეთვე ორი გერმანული სახელმწიფოს შეერთებაზე. არსებობს გერმანიის გაერთიანების შანსი, ვთქვი მე, თუკი გდრ-ის მოქალაქენი ამას მოისურვებენ. ლოზუნგი „ჩვენ *ერთი* ხალხი ვართ" ჩემთვის მხოლოდ იმისი დადასტურებაა, რასაც ყოველთვის ვფიქრობდი-მეთქი: თუ გერმანელებს აზრის თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობა მიეცემოდათ, ისინი *ერთ* სახელმწიფოს მოითხოვდნენ. პროფესორმა მაზურმა სთხოვა ორღანისტ პროფესორს მიხაელ შიონჰაიტს, გევანდჰაუსის ორღანზე დაეკრა. ეს განუმეორებელი შემთხვევა და მასთან დაკავშირებული განცდა გავიხსენე 1994 წელს, როცა იმავე დარბაზში ლაიფციგის საგაზაფხულო ბაზრობა გავხსენი. თავისუფლების მხარდასაჭერი დემონსტრაციები, რომლებიც ლაიფციგიდან იღებდნენ სათავეს, თავიანთი წარმოშობითა და ჩატარების თვალსაზრისით იყო უმაგალითო გარღვევა დემოკრატიული საზოგადოებისკენ, რომლის ხანგრძლივმოქმედი ეფექტი დღესაც კი არ არის სავსებით გაცნობიერებული. ჩემმა მოთხოვნამ ფედერალური მთავრობის მიმართ, გაერთიანების შემდეგ ყოველწლიურად მომზადებულიყო მოხსენება ნაციის მდგომარეობის შესახებ — ამჯერად უკვე ერთიან გერმანიაში —, ის გამოიწვია, რომ ამ საკითხზე არამარტო ბუნდესტაგში, არამედ საზოგადოების ფართო ფენებშიც ღრმად გააზრებული დისკუსიები მიმდინარეობს. ამ დისკუსიებში ჩვენ 1989 წლის დემონსტრაციათა აზრები, მამოძრავებელი მოტივები და შეხედულებები გვესაჭიროება.

ეს არ იყო ჩემი პირველი გამგზავრება ლაიფციგში მას შემდეგ, რაც გდრ დავტოვე; ერთხელ იქ ჩასვლისას ლაიფციგისკენაც

---

* საკონცერტო დარბაზი ლაიფციგში. (რედ.)

გადავუხვიეთ. და მაინც ეს ჩემთვის იყო დაბრუნება იმ ქალაქში, სადაც იურისპრუდენციის შესწავლა დავასრულე და 1949 წელს რეფერენდერის გამოცდა ჩავაბარე. მუსიკის სმენისას ფიქრებით 1948-49 წლებში დავბრუნდი, როცა ზამთრის სემესტრისა და შემდგომი საგამოცდო პერიოდის განმავლობაში თითქმის ყოველ-დღე მატარებლით დავდიოდი ჰალესა და ლაიფციგს შორის. და აი ახლა ეს საოცარი კონცერტი იმ ქალაქში, რომელიც თავისუფლებისა და ერთიანობისკენ გერმანელთა სწრაფვის სიმბოლოდ იქცა! ეს კონცერტი მხოლოდ ჩვენთვის გაიმართა. ვისხედით ჩვენ, ერთი მუჭა ადამიანები, საკონცერტო დარბაზში, რომელშიც თითქმის ორიათასი კაცი ეტევა. მას შემდეგ, რაც შთამბეჭდავ კურტ მაზურს გამოვემშვიდობეთ, ფეხით გავემართეთ ნიკოლოზის ეკლესიისკენ. იქ იმ დროს წინასაშობაო წირვა ტარდებოდა. ეკლესია ხალხით იყო სავსე, ბევრი ფეხზე იდგა, და ჩვენც ღვთისმსახურების დამთავრებამდე კარების ახლოს ვიდექით. ლაიფციგელებთან ერთად მოვისმინეთ წინასაშობაო წირვა — გარშემო მყოფნი გვცნობდნენ და თავის დაკვრით თავაზიანად გვესალმებოდნენ.

ეკლესიიდან გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლაიფციგის განყოფილების გამგეობასთან შესახვედრად წავედით. იქაც გარღვევის მომასწავებელი განწყობილება სუფევდა. გაგვაცნეს წინადადებები, ვის შეიძლებოდა ეყარა კენჭი ობერბიურგერმაისტერის თანამდებობაზე, აგრეთვე გამგეობის ცალკეულ წევრთა გეგმები. შეხვედრამ დიდი გულახდილობის ვითარებაში ჩაიარა, სამადლობელი სიტყვებიც მრავლად ითქვა ჩვენი მისამართით.

ჩვენ კარგად გვესმოდა, რომ დამსწრეთა შორის ისეთებიც იქნებოდნენ, რომლებსაც ალბათ იმ ძნელ დროში იძულებით კომპრომისებზეც მოუწევდათ წასვლა — რაც მეტს ვფიქრობდი ამაზე, მით უფრო ერწმუნდებოდი, რომ ასე იქნებოდა; მაგრამ ისინი ჩვენი, დასავლეთის წარმომადგენელთა, განსასჯელნი არ იყვნენ. მე ვიზრუნებდი, გაგებით მოჰკიდებოდნენ მათ, ვინც ალალი რწმენით მოქმედებდა, ოღონდ დანაშაული არ ჩაუდენია, და მათაც, ვინც ცდებოდა ან სისუსტეს იჩენდა, მაგრამ სხვებისთვის ზიანი არ მიუყენებია. ამ საკითხშიც თავისუფლების მხარდამჭერი მშვიდობიანი დემონსტრაციების სულისკვეთების მიხედვით იყო საჭირო მოქმედება. ლაიფციგიდან ჰალეში დავბრუნდით, სადაც საღამოს ჩემს ნათესავ-

ებს შევხვდით და მერე ინტერჰოტელში გავათიეთ ღამე. დილით მანქანით გავემგზავრეთ ჰერლესჰაუზენში, იქიდან კი ფედერალური სასაზღვრო დაცვის შვეულმფრენით კიოლნ-ვაანისაკენ ავიღეთ გეზი და მერე თვითმფრინავით განვაგრძეთ გზა ბრიუსელისკენ.

იქ როლან დიუმას შევხვდი სადილზე. ჩვენ ვამზადებდით ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომას, რომელიც ნაშუადღევს უნდა გამართულიყო. პირველ ყოვლისა მე მას ვუამბე ჰალესა და ლაიფციგში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ; მას უნდა სცოდნოდა, რა განწყობილება სუფევდა გდრ-ში.

საღამოს ჰქონდა თავისი აპოგეა და პრემიერა. ევროგაერთიანების თორმეტ საგარეო საქმეთა მინისტრს პირველად სტუმრობდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი. ჩვენ შევიკრიბეთ იმ დარბაზში, სადაც ჩვეულებრივ ვსადილობდით ხოლმე, ოვალურ მაგიდასთან, სადაც მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრები და ევროკომისიის წევრები სხდებიან. ამ განსაკუთრებული გარემოების გამო კაბინებში საკმაოდ ისხდნენ თარჯიმნები, ასე რომ, ყველას შეეძლო თავის ენაზე ელაპარაკა. როლან დიუმა მიესალმა შევარდნაძეს, რომელიც მის გვერდით დაჯდა.

შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა ამ შეხვედრის უჩვეულობა და განსაკუთრებულობა. შემდეგ შეაფასა მოვლენათა დრამატული განვითარება ევროპასა და გერმანიაში. ჩემთვის ამ შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ედუარდ შევარდნაძემ ის საუბარი გაიხსენა, რომელიც 1988 წლის სექტემბერში გვქონდა მე და მას ნიუ-იორკში. მან თქვა: „ჩემმა მეგობარმა ჰანს-დიტრიხმა, პირველმა და ერთადერთმა, ადრევე, კერძოდ წელიწადზე მეტი ხნის წინ, გაგვაფრთხილა გდრ-ში მოვლენათა შესაძლო განვითარების თაობაზე. გულწრფელად უნდა განვაცხადო, თავიდან ჩვენ მისი არ გვჯეროდა, ვიდრე ბოლოს თვითონვე არ დავრწმუნდით, რომ ვითარების და გდრ-ში მიმდინარე მოვლენათა მისეული შეფასება სწორი ყოფილა“.

ჩემ გვერდით მჯდარმა პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟუაო დე დეუშ დე პინეირომ ჩემკენ ბარათი გამოაცურა, რომელშიც მწერდა, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მისთვის შევარდნაძის ეს შენიშვნა. იმავე 1988 წელს ევროგაერთიანების საგარეო

საქმეთა მინისტრების ერთ არაფორმალურ შეხვედრაზე კოლეგებს ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებში მოვლენათა შემდგომი განვითარების თაობაზე ჩემი შეხედულება გავაცანი და ვთქვი, რომ 1989 წლისთვის როგორც გდრ-ში, ასევე ჩეხოსლოვაკიაში მოვლენათა დრამატული განვითარება იყო მოსალოდნელი. პინეიროსთვის, ჩემი კეთილი პირადი და პოლიტიკური მეგობრისთვის, მნიშვნელოვანი იყო ის, რომ შევარდნაძესთანაც ისევე გულახდილად მილაპარაკია, როგორც ჩემი დასავლელი კოლეგების წინაშე ვილაპარაკე. ამგვარ სიცხადესა და გულწრფელობას მე ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი. ნდობის ატმოსფერო მხოლოდ მაშინ შეიქმნებოდა, როცა აზრი მიუკიბავ-მოუკიბავად გამოითქმოდა.

ედუარდ შევარდნაძეს იმ დღეს ევროსაბჭოს პოლიტიკური კომიტეტის წინაშე უკვე წარმოთქმული ჰქონდა სიტყვა, რომელშიც მან გამოთქვა აზრი, რომ ყოველგვარი აჩქარება სახიფათო იქნებოდა. მან ილაპარაკა გერმანიის დაუყოვნებლივი გაერთიანების წინააღმდეგ და გაერთიანებული გერმანიის სტატუსის საკითხი წამოჭრა. ახლა მანაც იკითხა, როგორი არის ფედერალური მთავრობის დამოკიდებულება საზღვრის საკითხის მიმართო, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩემი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ გაურკვევლობა ამ პუნქტში გერმანიის გაერთიანებას დამატებით პრობლემებს შეუქმნიდა.

იმ საღამოს მხოლოდ მე შევხვდი პირისპირ სასაუბროდ ედუარდ შევარდნაძეს. ჩვენ იმ ოთახისკენ გავსწიეთ, სადაც ჩვეულებრივ ევროგაერთიანების პრეზიდენტი ქვეყანა თავის ბილატერალურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. ის შენობის ბოლოს წინა სართულზე მდებარეობს, იქ, სადაც საბჭოს სხდომებიც იმართება. ვილაპარაკეთ შექმნილ მდგომარეობასა და განვითარების ზოგად ტენდენციებზე, და კიდევ ერთხელ გამოთქვა შევარდნაძემ აზრი, ყოველგვარი აჩქარება სახიფათოაო. მერე მე მას მოვახსენე, როგორ განვითარდებოდა ჩემი აზრით მოვლენები გდრ-ში. საბჭოთა კავშირი, ვთქვი მე, კარგს იზამდა, თუკი გაერთიანების ნებას წინ არ აღუდგებოდა. ამ საუბრის დროსაც დავრწმუნდი, რომ თუმცა მოსკოვს მოვლენებზე კონტროლის შენარჩუნება სურდა, მაგრამ იგი სავსებით უწევდა ანგარიშს ისტორიის მამოძრავებელ ძალასა და მოვლენათა დრამატიზმს. სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ იქ მოვლენათა განვითარების წინააღმდეგნი არ იქნებოდნენ, თუ

ეს მოწესრიგებული ფორმით მოხდებოდა, არ იქნებოდა მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ანდა მის ზურგს უკან არ განხორციელდებოდა. ბოლოს და ბოლოს ასეთი აზრის გამოტანა შეიძლებოდა ჯერ კიდევ მოსკოვში გორბაჩოვის მიერ წარმოთქმული დასკვნითი რეპლიკიდან. იმ სიტყვაზე მითითებით, რომელიც წინა დღეს ჰალეში წარმოვთქვი, შევარდნაძეს მოვახსენე, როგორი მხარდაჭერა გამოიწვია მარკტკირხეში ჩემმა სწორედ იმ გამონათქვამებმა, რომლებიც მოწმობდნენ, რომ გერმანელებს გდრ-შიც და ფედერაციულ რესპუბლიკაშიც გაერთიანების გარდა არავითარი სხვა მიზანი არ ჰქონდათ. მაგრამ ისინი ამ მიზნის მიღწევას ევროპისა და თავიანთი მეზობლების წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით ესწრაფოდნენ.

1989 წლის 18 დეკემბრის შეხვედრების შემდეგ ბრიუსელიდან გამომყვა რწმენა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელების თანხმობას უფრო ადვილად მივაღწევდით, თუკი მოსკოვს მომხდარი ფაქტების წინაშე არ დავაყენებდით. გერმანიის გაერთიანება სერიოზულად წარმართული მოლაპარაკებების შედეგად უნდა მომხდარიყო. იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოჩენილიყო როგორც საბჭოთა კავშირის დამცირება.

მომდევნო კვირაში, ისევე, როგორც ყოველთვის წინასაშობაო დღეებში, უამრავი შეხვედრა მქონდა დაგეგმილი. სამშაბათამდე, 19 დეკემბრამდე, ბრიუსელში დავრჩი, სადაც ევროგაერთიანების და ევროპის თავისუფალი სავაჭრო ასოციაციის წევრ სახელმწიფოთა შეხვედრა იყო დათქმული. შევთანხმდით ჩვენთვის თვალმისაწვდომ ევროპულ ეკონომიკურ სივრცეზე — ეს იყო სწრაფვა დიდი ევროპული ერთიანობისკენ, რაც ჩემთვის საერთო მდგომარეობის გამო სასიხარულო გახლდათ. და მაინც ევროპის ეკონომიკურ სივრცეს მე დიდ მომავალს არ ვუწინასწარმეტყველებდი. ჩემი აზრით, ევროპის თავისუფალი სავაჭრო ასოციაციის წევრთა უმეტესობა ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრობას მალე ევროგაერთიანებაში შესვლას ამჯობინებდა. ამიტომ საკამათო გახლდათ, საერთოდ რამდენად საჭირო იყო, ამ გზას ევროპის ეკონომიკურ სივრცეზე გაევლო. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ეს იდეა მოვლენათა განვითარებას სწორი მიმართულებით წარმართავდა.

1989 წლის 22 დეკემბერი: ბრანდენბურგის კარიბჭე გაიხსნა! ორივე გერმანიის მთავრობა შეხვდა ერთმანეთს. აქ არიან კანცელარიის მინისტრი ზაიტერსი, მთავრობის სპიკერი ფედერალური მინისტრი კლაინი, ბიურგერმაისტერი ვალტერ მომპერი, გდრ-ის პრემიერ-მინისტრი მოდროვი და გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი ოსკარ ფიშერი.

1989 წლის 19 დეკემბერს ქალაქის შემნახველი სალაროს მშვენიერ დარბაზებში თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ვუპერტალის საოლქო განყოფილების საშობაო ზეიმი გაიმართა. ქალაქის სახურავებს გადავყურებდი და ვსაუბრობდი საოლქო განყოფილების წევრებთან, ვუამბობდი მათ ჩემს ვიზიტზე ჰალესა და ლაიფციგში. ყველანი ვხვდებოდით, რომ იმ სასიკეთო მაგრამ ამავდროულად დრამატული მოვლენების შუაგულში აღმოვჩნდით, რომლებსაც ჩვენ პრინციპში ყოველთვის ვნატრობდით. და ეს დროც დადგა.

20-დან 22 დეკემბრამდე ფრანსუა მიტერანმა გდრ-ში იმოგზაურა. ამის შესახებ ადრევე მელაპარაკა როლან დიუმა. მე ვუპასუხე: საჭიროა თუ არა ასეთი ვიზიტი, ეს მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთის გადასაწყვეტია. გასათვალისწინებელია, რომ პრემიერ-მინისტრი მოდროვი და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გერ-

ლახი გარდამავალი პერიოდის მთავრობას წარმოადგენენ-მეთქი. „შესაძლოა, პრეზიდენტი მიტერანი იყოს პირველი და უკანასკნელი მაღალი რანგის სტუმარი, რომელსაც ეს ხელმძღვანელობა მიიღებს“. მთავარი ის არის, რომ ფრანსუა მიტერანმა გერმანიის გაერთიანებაზე მკაფიო თანხმობა განაცხადოს, ისიც მნიშვნელოვანია, რომ ლაიფციგს, როგორც მშვიდობიანი განმათავისუფლებელი რევოლუციის ცენტრს, პატივი მიაგოს-მეთქი. კარგი იქნება, თუ იქ კურტ მაზურს შეხვდება, ვურჩიე მე.

ფრანსუა მიტერანი ისე მოიქცა, როგორც მე მისგან მოველოდი. ლაიფციგის უნივერსიტეტში სტუდენტების წინაშე გამოსვლისას მან თქვა, გერმანიის გაერთიანება უწინარეს ყოვლისა გერმანელების გადასაწყვეტიაო; მხოლოდ თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები დაგვანახებს, რა სურთ გერმანელებს ორივე გერმანულ სახელმწიფოში. საფრანგეთი პატივს მიაგებს და ცნობს ამგვარად მიღებულ გადაწყვეტილებასო. იგივე აზრი გამოთქვა მან სუფრაზეც თავისი მასპინძლის, სახელმწიფო საბჭოს ახალი თავმჯდომარის გერლახის წინაშე და ორი პირობაც დაუმატა: საჭიროა საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპის დაცვა ევროთათბირის შეთანხმებათა შესაბამისადო — აქ იგულისხმებოდა გერმანიის აღმოსავლეთი საზღვარი. გარდა ამისა მანაც, ისევე როგორც მე ცოტა ადრე, მხარი დაუჭირა ევროთათბირის კონფერენციის მოწვევას უმაღლეს დონეზე და მისი ჩატარების ადგილად პარიზი დაასახელა. ამით მიტერანი მიემხრო იმ ორ ჩარჩოპირობას, რომლებიც ჩვენც აუცილებლად მიგვაჩნდა.

1989 წლის 22 დეკემბერს ბერლინში ბრანდენბურგის კარიბჭე გაიხსნა. ჩვენ, დასავლეთგერმანული მხარის წარმომადგენლები, რაიხსტაგის შენობასთან შევხვდით ერთმანეთს და მერე იქიდან ერთად წავედით ბრანდენბურგის კარიბჭისკენ. ჩვენ შორის იყვნენ ფედერალური კანცლერი, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ოტო გრაფი ლამბსდორფი და სხვა მრავალი. ჩვენს შესახვედრად მოვიდა გდრ-ის დელეგაცია. მაშინ პირველად შევხვდი გდრ-ის პრემიერ-მინისტრს ჰანს მოდროვს.

ჩემთვის დიდად სასიამოვნო იყო ის ამბავი, რომ ეს გზა მე ჰელმუთ კოლსა და ოტო გრაფ ლამბსდორფთან ერთად განვვლე.

გერმანიის ერთიანობის საკითხზე სამივეს მუდამ ერთნაირი აზრი გვქონდა. 1982 წელს ჩვენ ერთობლივად შეეადგინეთ ეს ფედერალური მთავრობა, რომელსაც ახლა ჩვენი ქვეყანა განვითარების ამ ისტორიულ ფაზაში უნდა შეეყვანა.

დიდად მნიშვნელოვანი მოვლენებით მდიდარ იმ წელიწადს კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა 23 დეკემბერს. ჯერ ნიურნბერგში გავფრინდი, ხოლო იქიდან შვეულმფრენით გავემგზავრე გერმანია-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე მდებარე ვაიდჰაუსისკენ, სადაც ჩეხოსლოვაკიის ახალ საგარეო საქმეთა მინისტრ ირჟი დინსტბირთან ერთად ფედერაციულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიას შორის არსებული სასაზღვრო მავთულხლართი უნდა გადამეჭრა. იქ ვნახე ერთი ადამიანი, რომელსაც პირველად 1968 წელს შევხვდი. მაშინ ვალტერ შეელთან ერთად ვსტუმრობდი „პრაღის გაზაფხულის" ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელობას. ქალაქის ძველ უბანში მდებარე რესტორნის ერთ უკანა ოთახში შევხვდით ახალგაზრდა ჩეხ ჟურნალისტებს, რომლებიც ალექსანდრე დუბჩეკის რეფორმატორულ კურსს უჭერდნენ მხარს. მათ შორის იყო ირჟი დინსტბირიც, რომელიც ახლა ჩემ წინაშე იდგა, როგორც ახალი ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ვეება მკვნეტარებით ხელში ორივე მხრიდან მივუახლოვდით საზღვრის მავთულხლართს და გადავჭერით. ამით ჩვენ სიმბოლურად ცხადვყავით: რკინის ფარდა აქაც გაიხსნა. სწორედ გერმანია-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე ჰქონდა ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა. რა ამაღლეებელი სცენები გათამაშდა რამდენიმე თვის წინ ჩვენს პრაღის საელჩოში! ფრენისას იმაზე ვფიქრობდი, რომ ჩეხოსლოვაკია იყო პირველი სახელმწიფო, რომელიც ჰიტლერმა სამხედრო ძალით დაიპყრო, გაანადგურა და ნაწილობრივ გერმანიას შემოუერთა. ლიდიცეში მოწყობილი ხოცვა-ულეტა გახდა ამ დაპყრობის საშინელი სიმბოლო. ომის დამთავრების შემდეგ სუდეტელი გერმანელების გაძევებამდე მივიდა საქმე და პრაღაშიც და სუდეტელი გერმანელებით დასახლებულ რაიონებშიც მრავალ მძიმე შედეგების მომტან უსამართლობას ჰქონდა ადგილი. ვიცოდი, კიდევ ბევრი ისტორიული დანაშაული იყო გამოსასყიდი, მაგრამ ამიერიდან ამ ამოცანის გადაწყვეტა დემოკრატიულ მთავრობებს მოუწევდათ.

სადილს სასტუმრო ბილერში ბავარიის ლანდტაგის ქრის-

ტიანულ-სოციალური კავშირის ფრაქციის თავმჯდომარეც ესწრებოდა. მაგრამ იმ საათებში კოალიციის შიგნით არსებული საგარეოურთიერთობითი ხასიათის წინააღმდეგობების ნიშანწყალიც არ იგრძნობოდა.

ვაიდჰაუსიდან ბონში საღამო ხანს დაბრუნდი, რათა შობასაღამოს — როგორც ამას ყოველ წელიწადს ვაკეთებდი 1969 წლიდან მოკიდებული — 15 საათსა და 30 წუთზე სამინისტროში წავსულიყავი. თანამშრომლებს, რომლებიც იმ საღამოს მუშაობდნენ — საინფორმაციო ცენტრში, ტელეგრამების განყოფილებაში, შესასვლელში —, ასევე ფედერალური სასაზღვრო დაცვის სამსახურის წარმომადგენლებს ბედნიერი შობა ვუსურვე და მცირეოდენი საჩუქრები გადავეცი.

ორი პლუს ოთხი

გაერთიანებული გერმანიის ადგილის განსაზღვრა: ჩვენ ევროგაერთიანებას და ნატოს ვეკუთვნით

შობის დღესასწაულის დღეებში პოლიტიკამ და სამუშაომ იმაზე მეტი დრო წამართვა, ვიდრე ამას ჩემი ოჯახი იყო შეჩვეული. როგორ უნდა მოგვემზადებინა მოლაპარაკებანი გერმანიის გაერთიანების თაობაზე?

1989 წლის ნოემბერში ვაშინგტონში დასახული გზა სწორი გახლდათ. საზავო კონფერენციაც და საზავო ხელშეკრულებაც უნდა გამორიცხულიყო. ეს აღარ იყო საჭირო, რაკი ჩვენ გაეროსა და ნატოს წევრები ვიყავით და ევროგაერთიანებას განვეკუთვნებოდით, და ისინი ზედმეტი გახდა იმ ხელშეკრულებების გამოც, რომლებიც საბჭოთა კავშირსა და შუა და სამხრეთევროპელ მეზობლებთან დავდეთ. აგრეთვე 1989 წლის გაზაფხულის დამდეგს მიღებული გერმანია-საბჭოთა კავშირის დეკლარაციის გამოც და იმის შედეგადაც, რომ ევროპის უშიშროებისა და ურთიერთთანამშრომლობის თათბირში ვმონაწილეობდით. საზავო ხელშეკრულება გერმანიის გაერთიანების ძნელ საქმეს კიდევ უფრო გაართულებდა — მარტო იმითაც კი, რომ მონაწილეთა რაოდენობა იქნებოდა ძალიან დიდი. ასეთი მოლაპარაკებანი რეპარაციის საკითხის განხილვისას ჩიხ'ში შევიდოდა. და განა არ გვემუქრებოდა იმის საშიშროება, რომ ყველა შეცდომა, რაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დამარცხებული გერმანიის მიმართ იქნა ჩადენილი, კიდევ ერთხელ გამეორებულიყო? იგივე ითქმის მოლაპარაკებებზე ევროპის უშიშროებისა და ურთიერთთანამშრომლობის თათბირის ფარგლებში. აქედანაც ევროპული საზავო ხელშეკრულება გამოვიდოდა, მსოფლიო მასშტაბის საზავო ხელშეკრულების მსგავსი შედეგებით. ასე რომ, ერთადერთი გზა დარჩა: ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებში უნდა გარკვეულიყო ყველა საკითხი, რაც გაერთიანებული გერმანიის უსაფრთხოებასა და მის საგარეოპოლიტიკურ სტატუსს შეეხებოდა.

გერმანიის გაერთიანების იმ გეგმების შემუშავებაში, რომლებიც თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მიერ ორგანიზებულ დისკუსიებში განიხილებოდა, ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში ოთხი სახელმწიფოს თანამშრომლობამ არცთუ უმნიშვნელო როლი ითამაშა. პარტიის მაშინდელი პრესმდივანი, დოქტორი იოზეფ უნგეპოიერი, სტატიებში, რომელთაც ყოველთვის არც უთანხმებდა პარტიულ ხელმძღვანელობას, მოითხოვდა ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკების დაწყებას ოთხი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ. „ოთხი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ" — ეს ორმოცდაათიან წლებში დროის შესაფერისი მოთხოვნა იყო, ოთხმოცდაათიან წლებში კი იგი აღარ გამოდგებოდა. ამიტომ უნდა მოგვეფიქრებინა, როგორ წარგვემართა ჩვენ, ორივე გერმანულ სახელმწიფოს, ეს მოლაპარაკებები ოთხ ქვეყანასთან თანაბარ დონეზე და თანასწორობის საფუძველზე.

გერმანიის გაერთიანება ნეიტრალიტეტის გამოცხადებით ამ ფაზაშიც გამოვრიცხე. პრინციპში ეს საკითხი მე უკვე მაშინ გადავწყვიტე, როცა ჯერ კიდევ გდრ-ში ცხოვრებისას მეგობრებთან იმაზე ვკამათობდი, სწორი იყო თუ არა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გადაწყვეტილება, ხელახლა შეიარაღებულიყო. უკვე ჰალეში მივედით იმ დასკვნამდე, რომ ხელახალი შეიარაღება დასავლეთ გერმანიის უსაფრთხოებისთვის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო. უსაფრთხოების პოლიტიკის თვალსაზრისითაც გერმანიის ადგილი შეუძლებელია მესამე ბანაკში ყოფილიყო, მოგვიანებით ასე იტყოდნენ: დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მესამე გზა არ არსებობსო. ანდა, როგორც მე ვამბობდი ხოლმე ჩემს გამოსვლებში: „ჩვენ არა ვართ სამყაროებს შორის მოხეტიალენი". ჩვენ საბოლოოდ მივიღეთ გადაწყვეტილება დასავლური დემოკრატიული თანამეგობრობის სასარგებლოდ.

ამ იდეამ ჯერ კიდევ 1946 წელს მომხიბლა, როცა უინსტონ ჩერჩილმა ციურიხში სიტყვა წარმოთქვა და ევროპულ დემოკრატიას ევროპის გაერთიანებისკენ მოუწოდა, და თანაც — ეს იყო, როგორც მოგვიანებით მთელი სიგრძე-სიგანით შევიცანი, ყველაზე მნიშვნელოვანი — გერმანიასა და საფრანგეთს განსაკუთრებული როლი მიაკუთვნა. მაშინ მე თანხმობის წერილი მივწერე ჩერჩილს, მისამართზე: House of Commons, London. ნეტა მიიღო მან ის? ყოველ შემთხვევაში, მე მისგან პასუხი არ მომსვლია.

საგარეო საქმეთა მინისტრმა გენშერმა (გფრ) და საგარეო საქმეთა მინისტრმა დინსტბირმა (ჩსსრ) 1989 წლის 22 დეკემბერს გადაჭრეს მავთულხლართი გერმანია-ჩეხეთის საზღვარზე.

რაც მეტს ვფიქრობდი შობის დღეებში ამ საკითხზე, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ საჭირო იყო ჩვენი გადაწყვეტილება, გაერთიანებული გერმანიის ნატოსა და ევროგაერთიანების წევრად დარჩენის თაობაზე მკაფიოდ გამომეხატა საჯარო გამოსვლაში. აუცილებელი იყო საჯაროდ განმეცხადებინა, რაც შინაგანად კარგა ხნის გადაწყვეტილი მქონდა: გაერთიანებული გერმანიაც ნატოსა და ევროგაერთიანების წევრი იქნება. ამ თვალსაზრისს ყოველთვის გამოვთქვამდი ჩვენი მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლებთან საუბრებში 1989 წელს, ასევე 1989 წლის ნოემბერში პრეზიდენტ ბუშთან, პრემიერ-მინისტრ ტეტჩერთან და პრეზიდენტ მიტერანთან მოლაპარაკებებისას. 1990 წლის იანვრის პირველ დღეებში კიდევ უფრო განმიმტკიცდა რწმენა, რომ ეს გადაწყვეტილება სწორი იყო. მრავალრიცხოვან საუბრებში გამოიკვეთა შემაშფოთებელი ვითარება: გერმანიაში კამათის საგნად იქცა ალტერნატივა „ან გაერთიანება,

ან ნატო", მით უფრო, რომ ბევრს ვერ დაეჯერებინა, თუ საბჭოთა კავშირი გერმანიის ნატოში დარჩენას დათანხმდებოდა. ამიტომ საჭირო იყო თავიდანვე ჩამოვყალიბებულიყავით: გაერთიანებული გერმანიისთვის საგანგებო სტატუსი უნდა აგვერიდებინა. ამა თუ იმ ალიანსში შესვლის ჩვენი უფლების შეზღუდვა, თუნდაც ნეიტრალიტეტის ფორმით, გამორიცხული უნდა ყოფილიყო — არამარტო ჩვენი ინტერესების, არამედ ევროპული სტაბილიზაციის ინტერესების გამოც. ჩემს თანამშრომლებთან საუბრებისას იმ დასკვნამდე მივედით, რომ გაერთიანებული გერმანიის დარჩენა დასავლურ ალიანსში საბჭოთა კავშირისთვის ალბათ უფრო მისაღები იქნებოდა, თუკი დასავლურ-აღმოსავლურ ბლოკებს შორის ახლებური ურთიერთობის დამყარება მოხერხდებოდა და თუ დასავლურ-აღმოსავლური ურთიერთობა სხვა თვალსაზრისითაც გაუმჯობესდებოდა.

ევროთათბირის ფარგლებში აღმოსავლურ-დასავლური ურთიერთობის თვალსაზრისით უკვე საკმაო წარმატებები გვქონდა მოპოვებული. 1989 წლის ზაფხულის დამდეგს მიღებული გერმანია-საბჭოთა კავშირის დეკლარაციის წყალობით საბჭოთა კავშირთან იმგვარ ურთიერთობას ჩაეყარა საფუძველი, როგორზეც რამდენიმე წლის წინ ფიქრიც კი შეუძლებელი იქნებოდა. მოლაპარაკების დროს, რომელსაც ჩვენ შევარდნაძესთან ამ დეკლარაციის თაობაზე 1989 წლის მაისში ვენუსბერგზე ვაწარმოებდით, ნათელი შეიქნა, რა წინააღმდეგობების გადალახვა უწევდა ჩემს საბჭოთა კოლეგას თავის თანამშრომლებთან ურთიერთობისას, როდესაც ცდილობდა ამ ახლებური აზროვნებისთვის გაეკაფა გზა. მაგრამ სამოკავშირეო ბლოკებს შორის მიმართება ჯერ კიდევ ანტაგონისტური იყო. ის გამოთქმები, რომლებიც ნატოსა და ვარშავის ბლოკის განცხადებებში გამოიყენებოდა, თვალნათლივ ადასტურებდა ამას.

ისიც ძალიან კარგად გვახსოვდა, ერთი წლის წინ მოკლე მანძილზე მოქმედი ატომური რაკეტების მოდერნიზების წინააღმდეგ რომ გავილაშქრე, რა სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა ამის გამო, ბრძოლა, რამაც ალიანსის საფუძვლები შეარყია და კინაღამ კოალიციის დაშლა გამოიწვია. მოვლენების განვითარებამ უკვე ამ დროისათვის დაადასტურა, რაოდენ ანაქრონისტული იყო მაშინ მოდერნიზაციის მომხრეთა არგუმენტები; ისინი დროის სუნთქვას ვერ გრძნობდნენ. ახლა, მას შემდეგ, რაც პრინციპული პოლიტიკური წინააღმდეგობებისაგან სულ

უფრო და უფრო ვთავისუფლდებოდით, უნდა გვეცადა, უსაფრთხოების ერთობლივი სტრუქტურების მეოხებით სამხედრო კონფრონტაციაც შეგვემცირებინა. ყოველი ღონე უნდა გვეხმარა საერთოევროპული წესრიგის დასამყარებლად, რაც ჰარმელის მოხსენების მიხედვით ალიანსის უმაღლესი პოლიტიკური მიზანი იყო.

ასეთი გახლდათ ის მოსაზრებანი, რომლებიც საფუძვლად დაუდე ჩემს გამოსვლას თავისუფალი დემოკრატიული პარტიის სანათლისღებო შეხვედრაზე 1990 წლის 6 იანვარს შტუტგარტში. „ნატოსა და ვარშავის ბლოკს", ვთქვი მე, „ამ პროცესში პოლიტიკური მარეგულირებლის განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრებათ. უსაფრთხოება, რასაც ეს ბლოკები ევროპის ხალხებს დაჰპირდებიან, პირველი ნაბიჯიდანვე უსაფრთხოების ერთობლივი სტრუქტურებით უნდა განმტკიცდეს. მეორე ნაბიჯი კი ის უნდა იყოს, რომ ერთობლივი სტრუქტურების მქონე ეს ალიანსები კოლექტიური უსაფრთხოების კავშირად უნდა გარდაიქმნას, ანუ – ბლოკებს *შორის* უნდა შეიქმნას სტრუქტურები, რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ დაძლევენ ანტაგონიზმს". სიტყვები „ბლოკებს შორის" იმას გამოხატავდა, რომ მე ნატოს შენარჩუნების მოსურნე ვიყავი, მაგრამ ამავე დროს ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებთან თანამშრომლობის ახალი ფორმების მომხრეც. ეს ახალი ფორმები – ნაბიჯ-ნაბიჯ – სულ უფრო და უფრო სწრაფი ტემპით ყალიბდებოდა. იმ დროს შტუტგარტის სახელმწიფო თეატრში მყოფი რომელი მსმენელი იფიქრებდა, რომ სულ რაღაც ორი წლის შემდეგ ჯიმ ბეიკერთან ერთად ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს იდეას წამოვაყენებდი? მასში უნდა შესულიყო ნატოში გაერთიანებული ყველა სახელმწიფო, ასევე – ვარშავის ხელშეკრულებით გაერთიანებული ყველა ქვეყანა, მოგვიანებით საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოებიც. ჩემი თვალსაზრისით, ერთობლივი უსაფრთხოება ერთადერთი შესაძლო ფორმა იყო ისეთი სტრუქტურების შესაქმნელად, რომელთა არსებობის პირობებში მოსკოვს დავიყოლიებდით გაერთიანებული გერმანიის ნატოს შემადგენლობაში დატოვებაზე. ამიტომ მოვითხოვე 1990 წლის დამდეგს საბჭოეთის უსაფრთხოების ინტერესთა გათვალისწინება, რადგანაც მხოლოდ ამ ინტერესთა გათვალისწინების და მათთვის ანგარიშის გაწევის შემდეგ შეიძლებოდა იმედი გვქონოდა, რომ

საბჭოთა კავშირი ევროპაში მიმდინარე ცვლილებებს არათუ დაბრკოლებას შეუქმნიდა, არამედ აქტიურადაც დაუჭერდა მხარს.

1990 წლის 31 იანვარს ტუცინგის ევანგელისტურ აკადემიაში წარმოვთქვი კარგა ხნის შეპირებული სიტყვა. ეს შესაძლებლობა იმისათვის გამოვიყენე, რომ განმემარტა ჩვენი პოზიცია ნატოს წევრობასთან დაკავშირებით — ეს აუცილებელი შეიქნა, ვინაიდან ქვეყნის მომავალი სტატუსის შესახებ დისკუსიები მარტო გერმანიის საზოგადოებას როდი აფორიაქებდა. დასავლეთის სახელმწიფოების დედაქალაქებიდან მოდიოდა შეკითხვები ერთი ინტერვიუს გამო, რომელიც ჰელმუთ კოლმა მისცა „ვაშინგტონ პოსტის" კორესპონდენტს. 1990 წლის 18 იანვარს „ვაშინგტონ პოსტი" წერდა: „ისე ჩანდა, თითქოს იგი არ ეთანხმებოდა ბუშის მთავრობის დაჟინებულ არგუმენტაციას, რომ გერმანიის გაერთიანება გერმანიის მიერ ნატოს მიმართ აღებული ვალდებულებების შენარჩუნების კონტექსტში უნდა მომხდარიყო". იმოწმებდნენ კოლის სიტყვებს: „არა მგონია, გონივრული იყოს ამგვარი აზრების ქადაგება ამჟამინდელ ვითარებაში".

„ასოშიეიტედ პრესი" ამ სიტყვებს ასეთ ინტერპრეტაციას აძლევდა: „გერმანიის გაერთიანების თემასთან დაკავშირებით კანცლერმა განაცხადა, აღმოსავლეთ ევროპაში მოვლენები ისე განვითარდა, ამერიკის პოზიცია, თითქოს გერმანიის გაერთიანება მხოლოდ გერმანიის ნატოში დარჩენის პირობით იყოს შესაძლებელი, მოძველებული ჩანსო. კოლის სიტყვით, ამ საკითხზე ვაშინგტონისგან განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მაგრამ ის ფიქრობს, რომ ნატოსა და ვარშავის ქვეყნებს შორის დამოკიდებულების შეცვლასთან ერთად შეიძლება ვაშინგტონის თვალსაზრისიც შეიცვალოს".

ამ ინტერვიუს ამბავი მე არ მაღელვებდა, რადგან ძალიან კარგად ვიცოდი ჰელმუთ კოლის დამოკიდებულება ნატოსადმი. მაგრამ საერთაშორისო და გერმანული საზოგადოებრიობისთვის სასწრაფოდ უნდა შეგვეტყობინებინა, რომ ნატოს წევრად დარჩენას ვაპირებდით. ამას ჩემი საკუთარი პრესტიჟის ინტერესებიც მოითხოვდა, რადგან მთელი 1989 წლის განმავლობაში მოკავშირეებს ვარწმუნებდი, რომ ნატოში დარჩენა გვინდოდა.

ტუცინგში გამოსვლას ზეგავლენა უნდა მოეხდინა საზოგადოებრივ აზრზე და მთელი მსოფლიოს სახელმწიფოებისთვის არაორაზროვნად ეცნობებინა ჩვენი სურვილი. წინა პლანზე ეს მიზანი

დავაყენე: „მსოფლიოში მშვიდობის მსახურება, გაერთიანებული ევროპის სრულუფლებიან წევრად გახდომა და გერმანიის ნაციონალური და სახელმწიფოებრივი ერთიანობის დაცვა — ეს არის კონსტიტუციის მოთხოვნილება". ამით ჩვენი კონსტიტუცია ჩვენს ნაციონალურ მიზანს საერთოევროპულ მიზანსწრაფვასთან აკავშირებს და ამავდროულად მას მშვიდობისთვის ჩვენს პასუხისმგებლობასაც უქვემდებარებს. სახალხო პალატის 1990 წლის 18 მარტის არჩევნებს გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებდი. „1990 წლის 18 მარტის საღამოს", ვთქვი მე, „მსოფლიოს ზუსტად ეცოდინება, რა გზას დაადგებიან ადამიანები გდრ-ში". იქამდე დარჩენილი დრო უნდა გამოგვეყენებინა; „არ იქნებოდა სწორი, გვეფიქრა, რომ მანამდე არაფერი ან თითქმის არაფერი მოხდება". შემდეგ მოდიოდა მითითება აუცილებელ საერთოგერმანულ სოლიდარობაზე: „გერმანიის გაერთიანება ვერ მოხდება ნულოვანი ტარიფით, ვერც სამეურნეო, ვერც ფინანსურ და ვერც პოლიტიკურ სფეროში". გარდა ამისა მოვითხოვე ხელშეკრულების დადება გერმანიის ფედერაციულ და დემოკრატიულ რესპუბლიკებს შორის, რაც იქნებოდა „ჩარჩო ორი გერმანიის გასაერთიანებლად". აქედან მოგვიანებით ორი გერმანიის გაერთიანების ხელშეკრულება მივიღეთ.

საგარეო ასპექტების თაობაზე, ანუ მომავალ ევროპაში გაერთიანებული გერმანიის ადგილის განსაზღვრის შესახებ, მე ჩემს გამოსვლაში ასეთი რამ ვთქვი: „კითხვა, რომელსაც ჩვენ, გერმანელებმა პასუხი უნდა გავცეთ, ასე ჟღერს: რა უნდა გაერთიანდეს? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: ორივე გერმანული სახელმწიფო ბერლინის ჩათვლით. არც მეტი, მაგრამ არც ნაკლები... საზღვრების ხელშეუხებლობის გარანტიის მიცემა ყველა ჩვენი მეზობელი ქვეყნისთვის ორივე გერმანიის პარლამენტებისა და მთავრობების ერთობლივი ნების პირველი გამოხატულება იქნება". შემდეგ გადავედი გერმანიის პოლიტიკური ადგილის განსაზღვრის უმთავრეს მომენტზე და დავძინე, ახლა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ „პასუხი უნდა გასცეს შეკითხვას, როგორ უყურებს იგი გერმანიის გაერთიანების შემთხვევაში თავის წევრობას ევროპულ თანამეგობრობასა და დასავლურ სამხედრო ალიანსში. პასუხი ერთმნიშვნელოვანია: გაერთიანების შემთხვევაში ვრჩებით ევროპული თანამეგობრობის წევრად და უცვლელი დარჩება ჩვენი სწრაფვაც შემდგომი ინტეგრაციის გზით პოლიტიკურ კავშირში გაერთიანებისკენ". ეს

სიტყვები უწინარეს ყოვლისა ფრანსუა მიტერანის გასაგონად ითქვა, მაგრამ აგრეთვე ყველა სხვა ევროპელისა და მოკავშირის მისამართითაც. ეს იყო თანხმობა არა მარტო ევროგაერთიანების წევრობაზე, ეს იყო თანხმობა ევროგაერთიანების შემდგომ განვითარებაზეც, რაც ორ წელიწადზე ცოტა ნაკლები დროის გასვლის შემდეგ კიდევაც განხორციელდა მაასტრიხტის ხელშეკრულებების დადებით. ნატოსთან დაკავშირებით განვაცხადე: „იგივე უნდა ითქვას დასავლური სამხედრო ალიანსის წევრობაზეც. ნეიტრალური ერთიანი გერმანია ჩვენ არ გვსურს". აქ მე ხაზგასმით ვილაპარაკე ერთიან გერმანიაზე, რათა გამორიცხულიყო ყოველგვარი გაუგებრობა იმასთან დაკავშირებით, რომ იქნებ შესაძლებელი ყოფილიყო გდრ-ის ნატოს ფარგლებს გარეთ დატოვება, ანუ მისთვის ფსევდონეიტრალური სტატუსის მინიჭება.

საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების ინტერესებისთვის მრავალმხრივ უნდა გაგვეწია ანგარიში, მაგრამ მთელი გერმანია ნატოს წევრი უნდა ყოფილიყო. თუმცა გდრ-ის ტერიტორიისთვის მე სხვაგვარი სტატუსიც შესაძლებლად მიმაჩნდა. ამიტომ განვაცხადე: „ამისთვის საჭირო წინაპირობები რომ შეიქმნას, დაგვჭირდება დიდი დოზა ევროპული სახელმწიფო ხელოვნებისა. წარმოდგენა, რომ გერმანიის ის ნაწილი, რომელიც დღეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკად იწოდება, ნატოს სამხედრო სტრუქტურებში უნდა შევიდეს, დაამუხრუჭებდა ორი გერმანის დაახლოების პროცესს". მოსკოვში „ორი პლუს ოთხი" ხელშეკრულების ხელმოწერის წინა დღეს, 1990 წლის 12 სექტემბერს, გამოჩნდა, რაოდენ მართებული იყო ეს ჩემი გაფრთხილება. და აი, მოლაპარაკებებზე „ორი პლუს ოთხი" იმ შეთანხმებამდე მივედით, რომ დასავლეთ გერმანიაში არსებული ნატოს სტრუქტურების მოქმედება მართლაც არ გავრცელდებოდა ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე. საგარეო ურთიერთობების ჩარჩოპირობების შესაცვლელად მოვითხოვე, სამხედრო ალიანსები კონფრონტაციიდან თანამშრომლობაზე გადასულიყვნენ; შემდეგ ხელახლა ხაზგასმით აღვნიშნე ევროთათბირის ფარგლებში უმაღლეს დონეზე შეხვედრის აუცილებლობა. ამ გამოსვლით საფუძველი ჩაეყარა გაერთიანებული გერმანიის ადგილს საერთოევროპულ არქიტექტურაში.

ტუცინგში გამოსვლამ დიდი მღელვარება გამოიწვია. ზოგიერთი დამსწრის აზრით, მე მეტისმეტად შორს წავედი; მოთხოვნაში,

მთელი გერმანია ნატოს წევრი ყოფილიყო, მათ ის საფრთხე დაინახეს, რომ ამას შეიძლება ხელი შეეშალა გერმანიის გაერთიანებისთვის. ჩემთვის მთავარი იყო, ყველას ნათელი წარმოდგენა ჰქონოდა ჩვენს უმთავრეს პრინციპებზე. საბჭოთა ხელმძღვანელობას უნდა სცოდნოდა, რომ ჩვენ მისი უსაფრთხოების ინტერესებსაც გავითვალისწინებდით და სერიოზულად ვიღვაწებდით ორ სამხედრო ბლოკს შორის არსებული დაძაბულობის განსამუხტავად.

ნატოს დეკლარაციებმა, რომლებიც 1990 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში გაკეთდა ტერნბერისა და ლონდონში, დაადასტურა ჩემი განცხადებები. მხოლოდ ასე უნდა გაკაფულიყო ის გზა, რომელმაც მოსკოვს სამხედრო ალიანსის საკითხში აზრი შეაცვლევინა. მკვახე განცხადება გერმანიის მხრივ ნატოს წევრობის თაობაზე — იმის აღნიშვნის გარეშე, რომ აუცილებელია შეიცვალოს პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ვითარება — ისეთივე ნაკლებპერსპექტიული იქნებოდა განსახილავი საკითხების კომპლექსურად გააზრების თვალსაზრისით, როგორიც აღმოჩნდა ერთი წლის წინ ჩატარებული დისკუსია მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული იარაღის თაობაზე, რომელიც ზუსტად ასევე არ ითვალისწინებდა შექმნილ ვითარებას. აშკარა იყო, რომ ჰელმუთ კოლმა სწორედ ამ კომპლექსურობას გაუწია ანგარიში „ვაშინგტონ პოსტის" კორესპონდენტთან საუბარში თავისი დიფერენცირებული შეხედულებების გამოთქმით.

თანხმობა ვაშინგტონში

1990 წლის 2 თებერვალს ვაშინგტონში გავფრინდი. ეს იყო ამ ქალაქში ჩემი ყველაზე ხანმოკლე, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ვიზიტი.

დილით ნიურნბერგში საგარეო საქმეთა მინისტრ დინსტბირთან საქმიანი საუზმე მქონდა. რატუშაში ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას ჩვენი ქვეყნების კულტურულ დაწესებულებათა შორის კონტაქტების თაობაზე და საკონსულტაციო აქტს, ამის შემდეგ ჩავატარეთ ერთობლივი პრესკონფერენცია. იქიდან გავფრინდი სახელმწიფო კანცელარიაში, რათა მოვლაპარაკებოდი მინისტრებს — ჰაუსმანს, ვაიგელს, შოიბლეს, ვილმსს, ბლიუმს, ენგელჰარდსა და ზაიტერსს.

13 საათსა და 30 წუთზე გავფრინდი ვაშინგტონისკენ. 17 საათსა და 15 წუთზე შევხვდი იქ საგარეო საქმეთა მინისტრს ბეიკერს. ამ ფრენისას ჩემი ჩვეულების საწინააღმდეგოდ მხოლოდ საათნახევარი მეძინა. დანარჩენი დრო ჯიმ ბეიკერთან საუბრისთვის მზადებას მოვანდომე; მასთან უნდა შემეთანხმებინა გერმანიის გაერთიანების საგარეოპოლიტიკური გარანტიები, რადგან აშშ-ის სრული მხარდაჭერის გარეშე ამ საკითხის სწრაფად მოგვარება წარმოუდგენელი იყო. უკვე იმ დროს ვიყავი დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირს მიღებული ექნებოდა სტრატეგიული გადაწყვეტილება, მსოფლიო მასშტაბით თავის ურთიერთობებში აშშ-ზე დაემყარებინა იმედი, ევროპული მასშტაბის ურთიერთობებში კი გერმანიაზე. ამიტომაც გერმანიის გაერთიანების საკითხში ვაშინგტონსა და ბონს შორის თანხმობა ამ მიზეზის გამოც აუცილებელი იყო. ახლა საჭირო შეიქნა, აშშ-სთან უწინარეს ყოვლისა ამგვარი მოლაპარაკებებისაკენ მიმავალი საუკეთესო გზისა და ამ მოლაპარაკებების ჩარჩოს თაობაზე შევთანხმებულიყავით.

იმის შესაძლებლობა, რომ ექვსივე სახელმწიფოს — გდრ-ს და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, აშშ-ს, სსრკ-ს, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს — ერთობლივად მოგველაპარაკა, მოგვეცემოდა 12 თებერვალს, როცა ოტავაში „ღია ცის" კონფერენცია დაიწყებოდა. ეს იყო ნატოსა და ვარშავის ალიანსებში შემავალი ყველა ქვეყნის კონფერენცია, სადაც დასავლეთ-აღმოსავლეთიდან ყველა მონაწილე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. იმის მსგავსი სცენა, რაც კონტროლის საბჭოს შენობის წინ გათამაშდა ბერლინში, ანდა იმის გამეორება, რაც გერმანიას გაუკეთეს დიდი ოთხეულის მოლაპარაკებისას ჟენევაში ორმოცდაათიან წლებში, ან კიდევ ისეთი დამამცირებელი მოპყრობა, როგორიც წილად ხვდა პირველ გერმანულ დემოკრატიას ვერსალის საზავო ხელშეკრულების შესამუშავებლად წარმოებული მოლაპარაკებების დროს, მეტიც — თვით ყოველგვარი დისკუსიაც კი რამენაირი საზავო ხელშეკრულების თაობაზე, ამჯერად თავიდან უნდა აგვეცილებინა. გაერთიანებული გერმანია მომავლისაკენ ღიად დარჩენილი კითხვებისა და დისკრიმინაციული ვალდებულებების გარეშე უნდა წასულიყო. გერმანიის დემოკრატიულ სტაბილურობას მეორედ აღარ უნდა დამუქრებოდა საფრთხე. მემარჯვენე რადიკალურ ოპოზიციას არავითარი ახალი შანსი არ უნდა მისცემოდა.

ვაშინგტონის აეროპორტში ფრანკ ელბე დამხვდა, რომელიც ჩემზე ადრე ჩავიდა იქ. დიტერ კასტრუპი მე მახლდა თან. ელბემ მაუწყა, რომ ჩემს არაორაზროვან პოზიციას ნატოში დარჩენის თაობაზე, ტუცინგში წარმოთქმულ სიტყვაში რომ გამოვხატე, დადებით გამოხმაურება მოჰყოლია. ამერიკის მხარე თანახმაა, ოთხმა სახელმწიფომ მოლაპარაკება აწარმოოს ორივე გერმანიასთანო. ამ გადაწყვეტილებას ნოემბრის შეხვედრის შემდეგ უკვე ველოდი. მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი იმას, რომ საგარეო პოლიტიკურ ასპექტებზე გერმანულ სახელმწიფოებს (რომელთა სახელმწიფოებრივი გაერთიანებაც იდგა დღის წესრიგში) ეწარმოებინათ მოლაპარაკება ოთხ ქვეყანასთან და არა პირიქით. ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა დარჩენილიყო, თითქოს ის ოთხი სახელმწიფო წყვეტდა გერმანიის ბედს. აქედან წარმოდგა კონფერენციის სახელწოდებაში მის მონაწილეთა დასახელების ამგვარი თანმიმდევრობა: ორი პლუს ოთხი, და არა — ოთხი პლუს ორი.

ჯიმ ბეიკერმა თავის სამუშაო ოთახში მიგვიღო. შემოგვთავაზა, ჯერ პირისპირ გავისაუბროთო. ბუხარში ცეცხლი გაეჩაღებინა. გავიძრეთ პიჯაკები, ფართო სავარძლებში მოხერხებულად მოვკალათდით ცეცხლთან და ფეხები მაღლა შემოვაწყვეთ. როცა ბეიკერმა მთხოვა, ჩემი პოზიციები განმემარტა, მე ყოველგვარი შესავლის გარეშე მოვახსენე: საბჭოთა კავშირთან მომავალი მოლაპარაკებების საფუძველი, როგორც არაერთგზის დამიდასტურებია მისთვისაც და მისი წინამორბედებისთვისაც, ის იქნება, რომ გერმანია ვერ ჩაებმება კამათში იმის შესახებ, დარჩება თუ არა იგი დასავლურ თანამეგობრობაში, ანუ ნატოში და ევროგაერთიანებაში. ჩვენ გაერთიანებული გერმანიის მომავალი მხოლოდ ასე წარმოგვიდგენია: ის ნატოსა და ევროგაერთიანების წევრი უნდა იყოს. ჯერ კიდევ არსებული გდრ-ის ტერიტორიისთვის ნატოს წევრობასთან დაკავშირებით ალბათ განსაკუთრებული სტატუსი უნდა მოინახოს, რაც მოგვიანებით იქნება ფორმულირებული. ოღონდ ნათლად უნდა ითქვას, რომ გერმანიის ეს ნაწილი ევროპაში ნაკლები უსაფრთხოების ზონად არ უნდა იქცეს. ბეიკერი დაეთანხმა ჩემს წინადადებას და ამით ოფიციალურად დაადასტურა იმ საუბრებში მიღწეული შეთანხმება, რომლებიც ელბემ ბეიკერსა და მის უახლოეს

თანამშრომლებთან ცოლეკთან და როსთან წინასწარ ჩაატარა.

ბოლოს ჯიმ ბეკერთან ერთად მოსკოვის შესაძლო რეაქციები განვიხილე. ჩემი აზრით, საჭირო იყო საბჭოთა კავშირისათვის რამე შეგვეთავაზებინა. ვიფიქროთ-მეთქი სამხედრო ალიანსებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შეცვლაზე, ევროთათბირის განმტკიცებასა და გაძლიერებაზე და ევროთათბირის ფარგლებში უმაღლესი დონის კონფერენციის მოწვევაზე, ნდობის განმამტკიცებელი ღონისძიებების შემუშავებაზე და უსაფრთხოების ერთობლივ პოლიტიკაზე. მოკლედ, ევროპაში ისეთი მდგომარეობა უნდა შეიქმნას, რომელიც საბჭოთა კავშირისთვისაც სასარგებლო იქნება-მეთქი. მხოლოდ ასე თუ მოვახერხებდით საბჭოთა ხელმძღვანელობის გულის მოგებას. გორბაჩოვსა და შევარდნაძეს თავიანთი პოზიცია მოსკოვში იმ ხელმძღვანელი ძალების წინაშე უნდა დაეცვათ, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ გერმანიის გაერთიანების და კიდევ უფრო მეტად — გაერთიანებული გერმანიის ნატოსა და ევროგაერთიანებაში გაწევრიანებისა.

შემდეგ კი ერთი ასეთი შორსგამიზნული აზრი გავათამაშე: რაკი ვენაში წარმატებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები საჯარისო ფორმირებების შემცირების შესახებ, დროა გაერთიანებული გერმანიის სამხედრო ძალების შემცირებაზეც ვიფიქროთ, ისე, რომ გაერთიანებულ გერმანიას შემლებისდაგვარად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე ნაკლები ჯარისკაცი ჰყავდეს. ეს ისედაც თავსდება-მეთქი დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობათა განვითარების ლოგიკაში. თუ საბჭოთა კავშირი დათანხმდებოდა გერმანიის გაერთიანებაზე ნატოს ფარგლებში, თუ ახლებური ურთიერთობა დამყარდებოდა სამხედრო ბლოკებს შორის და სხვა სათანადო ცვლილებებიც მოხდებოდა, მაშინ შეიარაღებული ძალები ისედაც ყველგან შემცირდებოდა. ასე რომ, ეს ცალმხრივი გერმანული ინიციატივა იმ საქმის წინ წაგდება იქნება, რასაც საბოლოოდ ყველანი ისედაც აღასრულებენ-მეთქი. ისიც განვაცხადე, რომ მერჩია, თუკი ასეთ შეთანხმებას ვენაში მიმდინარე მოლაპარაკების ფარგლებში მივაღწევდით, რათა გამორიცხულიყო გერმანიის ყოველგვარი დისკრიმინაციული განმხოლოება.

ბოლოს ისიც განვმარტე, რატომ იყო ფსიქოლოგიური და ასევე პოლიტიკური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი, რომ მოლა-

პარაკებებისთვის „ორი პლუს ოთხი“ გვეწოდებინა და არა „ოთხი პლუს ორი“. ბეიკერი შიგადაშიგ შეკითხვებს მაძლევდა; უნდოდა გაეგო, მართლა თუ მჯეროდა, რომ საბჭოთა კავშირი დათანხმდებოდა გერმანიის ნატოში გაწევრიანებას. დადებითად ვუპასუხე და ჩამოვუთვალე ჩემი აზრით აუცილებელი საერთოევროპული პირობები, რაც ამისთვის იყო საჭირო. ეს გეგმა ძირითადად შეესაბამებოდა იმ წარმოდგენებს, რომლებიც ბეიკერს, ეტყობოდა, უკვე შეემუშავებინა თავის თანამშრომლებთან ერთად. მას შემდეგ, რაც კარგა ხანს ვისაუბრეთ მარტო ჩვენ ორმა, თანამშრომლებს მოვუხმეთ. ჯიმ ბეიკერმა მათ მოკლედ გააცნო ჩვენი საუბრის შინაარსი და დაადასტურა ჩვენი შეხედულებების თანხვედრა.

როცა შემდეგ პრეზიდენტმა ბუშმა მიმიღო თეთრ სახლში, მან, ასე ვთქვათ, გზა დაულოცა ამ გეგმას, რაც მე და ბეიკერმა შევიმუშავეთ. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე იმ ბუნებრიობამ და პირადი თანამონაწილეობისთვის მზადყოფნამ, რაც ბუშმა და ბეიკერმა გამოიჩინეს, როცა თანხმობა განაცხადეს მხარდაჭერაზე. ბრიფინგს გერმანელი ჟურნალისტებისთვის შინაგანი ამაღლებულობის გრძნობით ვატარებდი. გარეგნულად კი ეცდილობდი არ დამტყობოდა კმაყოფილება, რადგან არავითარ შემთხვევაში არ მსურდა მიღწეული წარმატების ნაადრევი გამხელით სამი სხვა ძალა — ლონდონი, პარიზი და მოსკოვი — გამენაწყენებინა.

ბოლოს და ბოლოს ჯერ ხომ მოსკოვი უნდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ ეს გეგმა მისთვისაც მისაღები იყო. ჩემმა ამერიკელმა კოლეგამ თავის თავზე აიღო, მომდევნო კვირაში დაგეგმილი ვიზიტისას შევარდნაძესა და გორბაჩოვთან ესაუბრა ჩვენს განზრახვებზე, უპირველეს ყოვლისა კი იმაზე, რომ გვსურდა, მოლაპარაკებათა შინაარსის, მასშტაბისა და დაწყების თარიღის თაობაზე ოტავაში შევთანხმებულიყავით. და მან ეს განასორციელა მისთვის დამახასიათებელი სიზუსტითა და საფუძვლიანობით. მე ვთხოვე, ეცნობებინა ჩვენთვის საბჭოთა მხარის რეაქცია (ფედერალური კანცლერი და მე უშუალოდ ბეიკერის ვიზიტის შემდეგ უნდა ჩავსულიყავით მოსკოვს) და მან მოსკოვში წერილი დაგვიტოვა, რომელმაც ჩვენ იმედიანად განგვაწყო. ჰელმუთ კოლსა და მე შეგვეძლო საბჭოთა ხელმძღვანელობასთან საუბრისას აშშ-ის მხარდაჭერასა და ვაშინგტონის მიერ წინასწარ ჩატარებულ სამუშაოს დავყრდნობოდით. 2 თებერვალს ვაშინგტონში

ჯორჯ ბუში და ჰანს-დიტრიხ გენშერი – თანამებრძოლნი გერმანიის გაერთიანების გზაზე.

მოლაპარაკებისას ბეიკერისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე აღმოსავლეთის საზღვრის საკითხი. აქ მე გავიხსენე ჩემი განცხადება, რომლითაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოვედი და რომელიც გერმანიის ბუნდესტაგმა ამასობაში გაიზიარა და გაითავისა.

იმავე საღამოს გამოვემგზავრე ბონში. მეორე დღეს მრავალი შეხვედრა მქონდა პრესის წარმომადგენლებთან და მე საჭირო თავშეკავებით განვმარტავდი ვაშინგტონში გამართული ჩემი საუბრების შედეგებს.

3 თებერვალს გადავწყვიტე შემესრულებინა რამდენიმე თვის წინ ნაკისრი ვალდებულება. მეუღლესთან ერთად დიუსელდორფს გავემგზავრე, სადაც სოლიდურმა საკარნავალო საზოგადოებამ „დიუსელდორფის პრინცის ამალამ“ „ოქროს ჩოჯანი“ მომანიჭა. ხალხმა ისეთი გახალისებული ჰანს-დიტრიხ გენშერი იხილა, როგორსაც ალბათ მანამდე ვერც კი წარმოიდგენდნენ. შეიძლება ზოგმა კიდევაც იგრძნო, რომ ამ სიხალისის მიღმა რაღაც უფრო მეტი იგულისხმებოდა, ვიდრე უბრალოდ კარგ ფორმაში ყოფნა. იმ საღამოს ავყევი მოზღვავებულ გრძნობებს, ოღონდ ისე, რომ

სიხარულის მიზეზი არ გამიმჟღავნებია.

მეორე დღეს, შაბათს, ბერლინ-ვაისენზეეში გრაფ ლამბსდორფთან ერთად მონაწილეობა მივიღე გდრ-ის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის დაარსებისადმი მიძღვნილ ყრილობაში. ჩვენ ვისაუბრეთ იქ მყოფ დელეგატებთან, თანამოაზრეებთან, რომლებსაც უკვე მიეღოთ ჩვენი პარტიის სახელწოდება.

ვიდრე ბრიუსელში საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე გავემგზავრებოდი, 1990 წლის 6 თებერვალს სახელმწიფო მდივანს ზუდჰოფსა და მინისტრიალდირექტორს კასტრუპს ვესაუბრე. საღამოს ბრიუსელში შევხვდი პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კშიშტოფ სკუბიშევსკის; ეს შეხვედრა ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. პოლონეთი გერმანიის გაერთიანების პროცესის ყველა ფაზაში დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ მის ზურგს უკან ან მის ხარჯზე არაფერი მოხდებოდა. მახსოვდა, 1989 წლის ნოემბერში ფედერალური კანცლერის ვარშავაში ვიზიტისას „სოლიდარნოსტის" თავმჯდომარე ლეხ ვალენსა ბერლინის კედლის დაცემის გამო უფრო შეშინებული ჩანდა, ვიდრე გახარებული. კშიშტოფ სკუბიშევსკი, როგორც წარმოშობით პოზნანელი, საკმაოდ იცნობდა გერმანია-პოლონეთის ურთიერთობას და გერმანიის ისტორიასაც. მან იცოდა, რომ მიმდინარეობდა ისტორიული მნიშვნელობის და ევროპაში მომავალი სტაბილურობის დამყარების თვალსაზრისით აუცილებელი პროცესი. პრინციპში, მან ეს აზრი უკვე გამოხატა თავისი განცხადებით 1989 წლის 10 ნოემბერს. მისთვისაც, ისევე როგორც ყოველი პოლონელისთვის, საზღვრების საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

მომდევნო დღეებში სამინისტროში თათბირები შედგა. 9 თებერვალს პოტსდამის კულტურის სახლში გამართულ სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევითი ინსტიტუტის (SIPRI) კონფერენციაზე წარმოვთქვი სიტყვა. ჩასვლისთანავე სულ სხვაგვარ ატმოსფეროში აღმოვჩნდი, ვიდრე თითქმის ორი წლის წინ, როცა პოტსდამში აღმოსავლეთ-დასავლეთის უსაფრთხოების საკითხთა შემსწავლელი ინსტიტუტის სხდომაზე გამოვედი სიტყვით. სასაზღვრო დაბრკოლებები აღარ არსებობდა და მე განვაცხადე: „ორივე გერმანული სახელმწიფო მოწოდებულია, ნაციონალური ერთიანობისკენ სწრაფვას არამარტო გერმანული, არამედ საერთოევროპული პასუხიც გასცეს."

გერმანიის მომავალ სტატუსთან დაკავშირებით წამოვაყენე მოთხოვნა: „გაერთიანებული გერმანია ნატოს წევრი უნდა იყოს". ამ დებულებას შეიცავდა მე-5 და მე-6 პარაგრაფები. ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე ნატოს სტრუქტურებთან დაკავშირებით მოქნილი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობაზე მივანიშნე. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ, „ორი პლუს ოთხის" ხელშეკრულების დადებამდე, გვაჩვენა, რაოდენ საჭირო იყო ეს მოქნილობა.

ბერლინიდან დრეზდენს გავემგზავრე. სასტუმრო „ბელვიუში" მელოდა ლაიფციგიდან ჩამოსული ქალიშვილი ერთი ჩემი ჰალელი თანაკურსელისა, რომელიც ჩემზე რამდენიმე წლით ადრე წავიდა დასავლეთ გერმანიაში. გოგონას თავისი ღვიძლი მამა, რომელიც ამასობაში გარდაიცვალა, არასოდეს უნახავს. იგი მეწვია ქმარსა და ვაჟიშვილთან ერთად და სურდა, რაც შეიძლება მეტი გაეგო ჩემგან მამამისზე. ამ საუბარმა, რომელსაც პირველ რიგში მისთვის და მისი ოჯახისთვის ჰქონდა მნიშვნელობა, ჩემს თვალში სრულიად სხვა აზრი შეიძინა. როცა მამასა და პაპამისზე ვუყვებოდი (პაპამისი მოსამართლედ მუშაობდა ჰალეში, იგი მაშინ გავიცანი, როცა რეფერენდარად ვიყავი სასამართლოში), ვგრძნობდი შეხვედრის სიმბოლურ მნიშვნელობას. რამდენიმე ათეული წელი ელოდა ეს ქალი ამგვარი საუბრის შესაძლებლობას.

დრეზდენში მონაწილეობა მივიღე ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაში, რომლის წევრიც ვიყავი 1946 წლის 30 იანვრიდან 1952 წლის 20 აგვისტომდე, ანუ იმ დრომდე, ვიდრე გდრ-იდან წავიდოდი. შევედი თუ არა დარბაზში, დელეგატები ფეხზე წამოდგნენ და ტაშით შემეგებნენ. გრაფი ლამბსდორფი და ვოლფგანგ მიშნიკი, რომელთაც პირველ რიგში მივესალმე, უკვე იქ იყვნენ. მერე ჩემთან ის კაცი მოვიდა, ვინც ამ მომენტამდე მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას: დრ. მანფრედ გერლახი, რომელსაც მე ლაიფციგში სწავლის პერიოდში არ ვიცნობდი. ლაიფციგელმა თანაკურსელებმა გამაფრთხილეს, ამ კაცს, რომელსაც ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლაიფციგის განყოფილებაში 40-იანი წლების ბოლოს წამყვანი პოსტი ეკავა, ერიდეო. მართებული იყო თუ არა ეს გაფრთხილება, ამის შესახებ დღემდე არაფრის თქმა არ შემიძლია; საამისოდ არავითარი საფუძველი არა მაქვს. 1982 წელს მე მას პირველად

შევხვდი ჰალეში. და ახლა კვლავ ვიხილეთ ერთმანეთი დრეზდენში სრულიად შეცვლილ ვითარებაში.

დრეზდენში თავდაპირველად იმ განზრახვით ჩავედი, რომ გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის დელეგატებისთვის შემეთავაზებინა, შეევსოთ ჩვენი რიგები გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიაში. მაგრამ ჩემმა თანამშრომელმა იშინგერმა, რომელიც ჩემზე ადრე ჩავიდა იქ, მითხრა, გრაფი ლამბსდორფი და ვოლფგანგ მიშნიკი სხვა აზრისანი არიანო. ამიტომ ამ საკითხზე ჩემს გამოსვლაში აღარ მილაპარაკია.

მრავალი მათგანი, ვინც ახლა დარბაზში იჯდა, ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიაში იყო გაწევრიანებული, რათა გარმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წევრობა აერიდებინათ. უმეტესობას გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრობით იმის ჩვენება სურდა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმისაგან განსხვავებულ მოძღვრებას აღიარებდა. ცხადია, მათ შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებიც თავიანთი განცხადებებითა და ქმედებებით იმაზე შორს წავიდნენ, ვიდრე ეს შექმნილ ვითარებაში აუცილებელი ჩანდა. მაგრამ ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ ფაქტს ჰქონდა, რომ მათ იმავე პარტიისკენ იპოვეს გზა, რომელი პარტიის წევრიც მე გავხდი 1946 წელს. ახლა მათ სურდათ, საერთოგერმანულ ლიბერალურ ოჯახს შეერთებოდნენ. მხოლოდ ეს იყო ანგარიშგასაწევი.

ყრილობაზე ჰალეს მარტინ ლუთერის სახელობის უნივერსიტეტის დელეგაციამ წიგნი მაჩუქა; მათ იცოდნენ, რომ 1946 წლიდან 1948 წლამდე ამ უნივერსიტეტში ვსწავლობდი. შთამბეჭდავი იყო ახლადდაფუძნებული თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის დოქტორ მენცელის გამოსვლა. მან მის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი დელეგატების ყურადღების მიპყრობაც შეძლო და მრავალ საკითხში მათი თანხმობაც მოიპოვა.

ღიობი მოსკოვში

შაბათს, 1990 წლის 10 თებერვალს, ფედერალური კანცლერი და მე მოსკოვს გავფრინდით. ჯიმ ბეიკერის მცდელობანი საბჭოთა დედაქალაქში წარმატებული გამოდგა: იქაურმა ხელმძღვანელობამ უკვე იცოდა, რომ გერმანია და შეერთებული შტატები ერთობლივად

მოქმედებდნენ. გარდა ამისა ბეიკემა „ორი პლუს ოთხი" ფორმულისათვის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰერდისა და საგარეო მინისტრის დიუმას მხარდაჭერაც გაინაღდა. ჩემს ამერიკელ კოლეგასთან საუბრებიდან ნათელი გახდა, რა შენიშვნები, ეჭვები, წინააღმდეგობები არსებობდა მოსკოვში გერმანიის ნატოს წევრად დარჩენასთან დაკავშირებით. აქ მნიშვნელოვან როლს საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების ინტერესები თამაშობდა. ასე რომ, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა გველვაწა, რათა ევროპაში ვითარება საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ შეგვეცვალა. საქმე ეხებოდა დასავლეთის პოზიციას, რომელსაც მომავალში უკეთ უნდა დაეცვა საბჭოთა კავშირის უსაფრთხოება, ვიდრე ეს მოხერხდებოდა საბჭოეთის იმ მცდელობის განხორციელების შემთხვევაში, რაც გახლეჩილი ევროპისა და გახლეჩილი გერმანიის იძულებით, ვითარებისდა მიხედვით კი ძალის გამოყენებით შენარჩუნებაში მდგომარეობდა.

მოსკოვის ხელისუფლებას შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, რა ხდებოდა ამასობაში ვარშავის ხელშეკრულებით გაერთიანებულ სხვა ქვეყნებში. ყველაზე საყურადღებო კი ჩანდა მოვლენების განვითარება გერმანიაში. ჯიმ ბეიკერი მიხეილ გორბაჩოვს დაჟინებით არწმუნებდა, რომ არარეალისტური იქნებოდა გერმანიის, ესოდენ დიდი შესაძლებლობების ქვეყნის, ნეიტრალიტეტზე ფიქრი, და თანაც იმ საფრთხეზეც მიუთითებდა, რასაც ნეიტრალური გერმანია საბჭოთა კავშირსაც შეუქმნიდა. ამ თვალსაზრისს მეც ვიზიარებდი, მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, რომ ასე აჯობებდა არამარტო ჩვენთვის, არამედ აგრეთვე ჩვენი მეზობლების, მათ შორის საბჭოთა კავშირისთვისაც.

მოვლენების განვითარებამ გვიჩვენა, რომ საკითხისადმი ფრთხილი მიდგომა, რომელიც, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირს ნატოში დარჩენის ჩვენს მტკიცე განზრახვაზე, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოეთის უსაფრთხოების ინტერესთა გათვალისწინებაზეც მიანიშნებდა, უფრო პერსპექტიული აღმოჩნდა, ვიდრე პრინციპულად სწორი, მაგრამ ჯიქური მოთხოვნა: „გერმანია ნატოს წევრი უნდა იყოს". ყველა უფლება და მოვალეობა, რასაც გერმანიას ნატოს წევრობა აკისრებდა, გარანტირებული უნდა ყოფილიყო, ნატოს ხელშეკრულების მე-5 და მე-6 პარაგრაფებით გათვალისწინებული დაცვისა და თავდაცვის გარანტიების ჩათვლით. საკითხის ამგვარად მოგვარებისთვის ახალი

ჩარჩოპირობები იყო საჭირო, რომლებიც მოსკოვს დათანხმებას გაუადვილებდა: მაგალითად, გერმანიის შეიარაღებული ჯარების შემცირება, გერმანიის მიერ ატომურ, ბიოლოგიურ და ქიმიურ იარაღზე უარის თქმა, ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე მოკავშირეთა სამხედრო ძალების არგანლაგების პირობა, სამხედრო ალიანსებს შორის მტრული დამოკიდებულების „ლიკვიდაცია“ და მრავალი სხვა.

ჩვენი ძირითადი გამოცდილების სისწორე, რომ გადაუჭრელად მიჩნეული საკითხების გადაჭრა შესაძლებელია ამ საკითხთა გარემომცველი ვითარების, ანუ ჩარჩოპირობების შეცვლით, კიდევ ერთხელ უნდა დადასტურებულიყო. ჩემი შიში, რომ არადიფერენცირებული მიდგომა მოსკოვის ეჭვებს კიდევ უფრო გააღრმავებდა, არაერთგზის გამართლდა „ორი პლუს ოთხის“ მოლაპარაკების პროცესში. ხელის შემშლელი მოვლენები თუ ბონის მხრიდანაც იჩენდა თავს, ეს კი აღარ მეგონა — მაგრამ ამ მწარე გამოცდილებამაც არ დააყოვნა.

შევარდნაძესთან საუბარში დაწვრილებით შევეხე ოტავის კონფერენციისთვის მზადებას და მომავალ მოლაპარაკებებს ფორმულით „ორი პლუს ოთხი“. შევარდნაძე უნდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ მოლაპარაკების ჩარჩო უკვე ოტავაში უნდა დადგენილიყო. მნიშვნელოვანია, — დავძინე მე, — იმ წრით შემოვიფარგლოთ, რასაც ფორმულა „ორი პლუს ოთხი“ გულისსმობს, და თვით ფორმულა სწორედ ამგვარი თანმიმდევრობით მივიღოთ-მეთქი.

ჩვენი მოლაპარაკების პარალელურად ფედერალური კანცლერი გორბაჩოვს ესაუბრა. შემდეგ ერთმანეთს შევხვდით და ჰელმუთ კოლმა განაცხადა, შევთანხმდითო: გერმანელებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ, გაერთიანდნენ თუ არა. ეტყობა, გორბაჩოვი და შევარდნაძე ამ საკითხზე შეთანხმებულნი იყვნენ, თორემ ჩემი საბჭოთა კოლეგა ასე კონკრეტულად ვერ ილაპარაკებდა გერმანიის გაერთიანების საგარეოპოლიტიკურ ასპექტებზე.

როცა მაგიდას ვუსხედით, იმ საუბარზე ვფიქრობდი, 1986 წელს რომ მქონდა გორბაჩოვთან და რამაც იმედი ჩამისახა; და აი ახლა იმ დიდი მოლოდინის აღსრულების გზაზე ერთი დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ. მაგრამ ფედერალური პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტიც მახსოვდა, რომლის დროსაც პრეზიდენტმაც წამოჭრა გერმანიის გაერთიანების საკითხი. მაშინ გორბაჩოვმა უპასუხა, გერმანიის საკითხს

ისტორია ასი წლის შემდეგ თუ გადაწყვეტსო. ამ ნათქვამმა ბევრს გაუცრუა იმედი, მე კი სხვაგვარად ვფიქრობდი. ჩემთვის ეს სიტყვები მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ გორბაჩოვს გერმანიის გახლეჩა გერმანიის პრობლემის გადაწყვეტად არ მიაჩნდა. მისთვის ეს ღიად დარჩენილი საკითხი იყო, თუმცა მას, ჩვენგან განსხვავებით, მისი გადაჭრა შორეული მომავლის ამოცანა ეგონა. და განა ჩვენთან კი მართლა ყველა უფრო იმედიანად იყო ამ მხრივ განწყობილი? განა მრავალი ადამიანი — უფრო მართებული იქნება ვთქვათ, ადამიანთა უმრავლესობა — გერმანიის საკითხის გადაწყვეტას ისევე შორეული მომავლის საქმედ არ თვლიდა, როგორც სკკპ-ს გენერალური მდივანი? აქ მორატორიუმის იდეაც თამაშობდა გარკვეულ როლს — თითქოს შესაძლებელი იყო, გერმანელი ხალხის ნება, ეცხოვრათ ერთ სახელმწიფოში, სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების შედეგად დადგენილ დროის რაღაც გარკვეულ მონაკვეთში გამოემწყვდიათ.

ამ დროს გამახსენდა ფრიად უსიამოვნო საუბარი მიხეილ გორბაჩოვსა და ედუარდ შევარდნაძესთან 1989 წლის 5 დეკემბერს — მას აქეთ მხოლოდ ორი თვე იყო გასული. აზრთა იმ ურთიერთგაცვლის დასასრულს საბჭოთა პოზიციაში ღიობი გამოიკვეთა. შემდგომმა მოლაპარაკებებმა მოსკოვში დაადასტურა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა ამასობაში შეეგუა გერმანიის ერთიანობის იდეას. ახლა მისი საზრუნავი ის იყო, ამ იდეის თანაავტორად და ამ გადაწყვეტილების მიღების თანამონაწილედ წარმოჩენილიყო, და არა ამ პროცესის ისეთ მონაწილედ, რომელიც აიძულეს ეს ნაბიჯი გადაედგა.

ჩვენი ვიზიტის შედეგი გახლდათ იმის ერთობლივი აღიარება, რომ საბჭოთა კავშირს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გდრ-ს შორის არ არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, რომ გერმანელი ერის ერთიანობის საკითხი თვით გერმანელების გადასაწყვეტი იყო და თვითონვე უნდა გაეკეთებინათ არჩევანი, რა სახელმწიფოებრივი ფორმით, რა დროს, რა ტემპით და რა პირობებით უნდა განხორციელებულიყო იგი.

ახლაც თვალწინ მიდგას ჟურნალისტთა ურწმუნო გამომეტყველებით აღბეჭდილი სახეები, როცა მათ მოსკოვში საერთაშორისო პრესკონფერენციაზე ეს ამბავი შეიტყვეს. ეს ისტორიულ ცეზურას მოასწავებდა. ჰელმუთ კოლმა ეს აზრი უბრალო

და ნათელი ფრაზით გამოხატა: „დღეს საღამოს მე ყველა გერმანელს ერთადერთი რამ უნდა ვაუწყო: გენერალური მდივანი გორბაჩოვი და მე იმ აზრისა ვართ, რომ თვითონ გერმანელმა ხალხმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, სურთ თუ არა ერთ სახელმწიფოში ცხოვრება“. ჰელმუთ კოლმა და მე პრესკონფერენციის ბოლოს, როცა ჯერ კიდევ გვერდიგვერდ ვისხედით, იმით გამოვხატეთ ჩვენი ურთიერთკავშირი, რომ მაგრად ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს. ჩვენმა რვა წლის ერთობლივმა გარჯამ ის შედეგი გამოიღო, რასაც ჩვენ მუდამ ვნატრობდით, თუმცა არ ვიყავით დარწმუნებულნი, რომ მას ჩვენი ერთობლივი მუშაობის პერიოდში მივაღწევდით.

ოტავა — „ორი პლუს ოთხის“ დაბადების ადგილი

კვირას, შუადღისას დავბრუნდით მოსკოვიდან. აეროპორტიდანვე დასავლეთგერმანული რადიოს სტუდიაში გავემგზავრე დასავლეთგერმანული რადიოს პრესკლუბის პირდაპირ გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად. იქიდან კვლავ აეროპორტში დავბრუნდი და ოტავისაკენ გავფრინდით, რომელსაც ნაშუადღევს მივაღწიეთ.

„ღია ცის“ კონფერენცია იყო შემდგომი გადამწყვეტი ნაბიჯი გერმანიის გაერთიანების გზაზე. მეორე დღეს, 1990 წლის 12 თებერვალს, კონფერენციის გახსნისას ჯგუფური ფოტო გადავიღეთ — სურათი, რომელიც დღესაც კიდია ჩემს სადეპუტატო ოთახში, ბუნდესტაგის შენობაში. უკანასკნელად არიან ამ ფოტოზე გამოსახულნი ევროპის ძველი წესრიგის წარმომადგენელნი. ბევრი მათგანი ახლა აღარ მუშაობს, და ამაში თავისთავად არაფერია განსაკუთრებული, რაკიღა მას შემდეგ წლები გავიდა; მაგრამ რამდენიმე სახელმწიფო, რომელიც მაშინ კონფერენციაში მონაწილეობდა, დღეს აღარ არსებობს, სამაგიეროდ ახალი სახელმწიფოები გაჩნდა.

პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვედი. კიდევ ერთხელ ხაზგასმით გავიხსენე 1989 წლის სექტემბერს ნიუ-იორკში ჩემ მიერ გაკეთებული განცხადება, რომელშიც მე გაერთიანებული ერების წინაშე საზღვრების საკითხისადმი ჩემი დამოკიდებულება გამოვხატე. ამან ყველა დამსწრეზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, ამან მოამზადა ნიადაგი „ორი პლუს ოთხის“ თაობაზე მიღებული შეთანხმებისათვის. ორივე გერმანული სახელმწიფოს მომავალ გაერთიანებას მე

ისტორიული განზომილება მივანიჭე; თომას მანის სიტყვები მოვიშველიე: „ჩვენ გვინდა ევროპული გერმანია და არა გერმანული ევროპა“.

ამ მიზანს ემსახურებოდა აგრეთვე ჩემი საუბრები ჩვენი აღმოსავლელი მეზობლების საგარეო საქმეთა მინისტრებთან. წინა დღეს ირჟი დინსტბირს ველაპარაკე, შემდეგ რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჩელაკს, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰორნს, და ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრს დიმიტროვს. ორშაბათ საღამოს ჯიმ ბეიკერსაც შევხვდი. გავუზიარეთ ერთმანეთს მოსკოვური შთაბეჭდილებანი, განვაგრძეთ ის საუბრები, რაც ვაშინგტონში წამოვიწყეთ.

მეორე დილით გერმანიის ელჩის რეზიდენციაში შედგა დასავლური ოთხეულის — აშშ-ის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის — შეხვედრა, რომელიც საბჭოთა კავშირთან და გდრ-თან ჩვენი შეხვედრებისა და „ორი პლუს ოთხის“ მოლაპარაკებათა მომზადების საკითხებს მიეძღვნა. ამ საუზმის დაწყებამდე, რომელიც კანადის დროით 7 საათსა და 30 წუთზე იყო დანიშნული, ჩვენი ელჩის რეზიდენციიდან ტელეფონით ვესაუბრე ფედერალურ კანცლერს ბონში. გავაცანი ვითარება, რაც ცალკეული მოლაპარაკებების — უწინარეს ყოვლისა ჯიმ ბეიკერთან საუბრის — შედეგად შეიქმნა. ამ სამ დასავლურ სახელმწიფოსთან ერთად მე უკვე შემიძლია საქმის ბოლომდე მიყვანისათვის ვიზრუნო-მეთქი, დავამატე. შემდგომ ვაპირებდით ამ საკითხებზე შევარდნაძესთან გვესაუბრა. ჰელმუთ კოლი ყველაფერზე დაგვთანხმდა. საუზმისას ბეიკერმა, დიუმამ, ჰერდმა და მე ერთმანეთთან შევათანხმეთ დასავლური პოზიცია, რომელიც გერმანიის გაერთიანების თაობაზე მომავალი მოლაპარაკებებისას უნდა დაგვეკავებინა, ვისაუბრეთ აგრეთვე „ორი პლუს ოთხის“ ჩარჩოზე.

12 საათისა და 45 წუთისთვის კანადელმა მასპინძლებმა კონფერენციის ყველა მონაწილე სადილზე მიგვიწვიეს; ორი საათის შემდეგ ნატოს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა იყო დანიშნული. დღის პირველ ნახევარში დაიწყო მოლაპარაკებები საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან, რომლებსაც — ცალ-ცალკე — ძირითადად ჯიმ ბეიკერი და მე ვუძღვებოდით. მრავალჯერ შეეხვედროდი ედუარდ შევარდნაძეს,

რომელსაც ბოლო დროს პიროვნულად კიდევ უფრო დავუახლოვდი. მე დიდი სიმპათიით ვიყავი მის მიმართ გამსჭვალული; ასევე ჩემი დასავლელი კოლეგებიც. იგრძნობოდა, რა ძნელი იყო მისთვის ეს მოლაპარაკებები. მოსკოვში ბეიკერისა და ჩემი ვიზიტების შედეგად ის წინასწარ იყო შემზადებული იმისთვის, რაც ახლა ხდებოდა, და მას ეტყობოდა, დღის წესრიგში მდგარი მოლაპარაკებების და „ორი პლუს ოთხის" ფარგლებში ჩასატარებელი შეხვედრების მთელი მნიშვნელობა კარგად ჰქონდა გასიგრძეგანებული. ამ დისკუსიებმა რომ მას პირადად — ამ გამოთქმის უჭეშმარიტესი გაგებით — ქანცი გააძრო, ეს, სხვათა შორის, მისი წიგნიდანაც მკაფიოდ ჩანს. ჩემთან საუბრებს რომ ეხება, ის წერს, დაუნდობლად ვეკამათებოდით ერთმანეთსო.

მე მტკიცედ გადავწყვიტე, ისე არ გავმგზავრებულიყავი ოტავიდან, რომ არ მიმეღწია საბოლოო ურთიერთგაგებისთვის „ორი პლუს ოთხი" შეხვედრის ორგანიზებისა და მისი ძირითადი ამოცანის თაობაზე. კიდევ როდის მოიყრიდა ყველა ეს მინისტრი ერთად თავს? და თუ ურთიერთთანხმობას ვერ მივაღწევდით, რამდენი საბაბი გაუჩნდებოდათ მოწინააღმდეგე ძალებს, სულ ცოტა, გაეჭიანურებინათ მაინც მოლაპარაკების დაწყება?

საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრს ვსაყვედურობდი — სავსებით მართებულად იხსენებს ამას იგი თავის წიგნში — „ქვასავით შეუვალი" ხარ-მეთქი. კვლავ და კვლავ ამოწმებდა იგი იმ ტექსტს, რომელსაც მე ვთავაზობდი მოლაპარაკების ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად. ბოლოს მივიღეთ რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „...შეხვდებიან ერთმანეთს და მოილაპარაკებენ გერმანიის გაერთიანების საგარეო ასპექტებზე მეზობელ სახელმწიფოთა უსაფრთხოების საკითხების ჩათვლით". კვლავ და კვლავ წყვეტდა შევარდნაძე მოლაპარაკებებს. მოსკოვს უკავშირდებოდა? ამის შესახებ მისთვის არაფერი მიკითხავს.

როცა ყველაფერი ბოლომდე მიყვანილი ჩანდა, ერთმა დაბრკოლებამ იჩინა თავი, რომელსაც მე არ მოველოდი. ჯიმ ბეიკერმა მითხრა, თეთრი სახლიდან მოსული შეტყობინების მიხედვით, საჭიროა კანცლერ კოლს ვკითხოთ, თანახმაა თუ არა, მოლაპარაკებები „ორი პლუს ოთხი" რომ ჩატარდესო. საგარეო საქმეთა მინისტრად ჩემი მოღვაწეობის თექვსმეტი წლის მანძილზე ამგვარი რამ პირველად

მოხდა; და შემდგომ არც აღარასოდეს განმეორებულა. ბეიკერი, ეტყობოდა, ძალიან უხერხულად გრძნობდა თავს, მაგრამ იგი სწორად მოიქცა, როცა გადაწყვიტა, ხარისთვის პირდაპირ რქებში ჩაევლო ხელი. მე ბრაზი ჩავყლაპე – ბეიკერზე ან პრეზიდენტ ბუშზე კი არ ვბრაზობდი, არამედ ამ გაუგებრობის სათავეზე, რომელიც ბონში მეგულებოდა.

გაუგებარია-მეთქი ჩემთვის შენი შეკითხვა, მივუგე მე. წინა დღით ბეიკერთან ჩემი საუბრის შემდეგ და სამ დასავლელ კოლეგასთან შეხვედრის წინ ხომ ველაპარაკე კანცლერს გერმანიის რეზიდენციიდან და მანაც ხომ კიდევ ერთხელ განაცხადა სრული თანხმობა. ჩემს შეკითხვაზე: „ვისგან მოდის ეს?“ ბეიკერმა თქვა: „არ ვიცი, მაგრამ შეკითხვა მომდინარეობს მრჩეველისაგან უსაფრთხოების დარგში“. ჩემი პასუხი გახლდათ: „მაშინ ჩემთვის გასაგებია, საიდან იღებს ეს სათავეს ბონში“. ბეიკერმა დასტურის ნიშნად თავი დამიქნია. რაც არ უნდა მომხდარიყო, ამ წუთში ამას ჩემთვის არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა; ხოლო თუ ოტავაში გარღვევას მივაღწევდით, მაშინ ხომ არა და არ ჰქონდა. მთავარი ის იყო, სასწრაფოდ მოგვეფინა საქმისთვის ნათელი.

ბეიკერის ოთახიდან დაეუკავშირდი კოლის კაბინეტს. ქალბატონმა ვებერმა, რომელმაც ყურმილი აიღო, მითხრა, ფედერალური კანცლერი კანცელარიის სხვა დარბაზშია თათბირზეო. მაგრამ ის მაშინვე მიხვდა, რომ სასწრაფოდ მინდოდა კაცლერთან დალაპარაკება და რამდენიმე წუთში თვითონ კოლმა დამირეკა. მოვახსენე ბეიკერთან საუბრის შესახებ და ვთხოვე, ამერიკის პრეზიდენტის წინაშე სასწრაფოდ გაეფანტა ეს გაუგებრობა. თორემ შეიძლება საქმეს გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს-მეთქი, რაზეც იგი ყოველგვარი შეპასუხების გარეშე დამეთანხმა. ყოვლად დაუშვებელია, გერმანიისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხი ვინმეს ვერაგულ ზრახვებს ემსხვერპლოს-მეთქი, დავუმატე. კანცლერი შემპირდა, სასწრაფოდ დავუკავშირდები ამერიკის პრეზიდენტსო. უეჭველია, მისთვისაც ისეთივე მოულოდნელი იყო ეს ამბავი, როგორც ჩემთვის. ცოტა ხანში ჯიმ ბეიკერმა მწვავე შუქი მიიღო თეთრი სახლიდან. ჰელმუთ კოლთან თანხმობა, ვისაც, ცხადია, ამ საკითხზე ჩემგან განსხვავებული თვალსაზრისი არ ჰქონია, კიდევ ერთხელ წაადგა საქმეს.

შემდგომ შევიტყვე, რაოდენ უხერხული ყოფილა ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრისთვის, შემკითხოდა, თანახმაა თუ არა ფედერალური კანცლერიო — და მე კარგად მესმის მისი მაშინდელი მდგომარეობა. ისე კი ჩვენ, დიდი ცვლილებების პირისპირ მდგარნი, ერთი აზრისანი ვიყავით იმის შესახებ, რომ ის, რაც მოხდა, ერთობ წვრილმანი ინციდენტი იყო.

შევარდნაძესთან უკანასკნელი საუბრისას, რომლის დროსაც ჩვენ დეტალებზეც კი შევთანხმდით, მან თქვა, არსებობს მეექვსე პიროვნება, ვისთანაც ჩვენ ჯერ არ გვისაუბრია, და ეს არისო გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი ოსკარ ფიშერი. შევარდნაძემ მთხოვა მის ოთახში დავრჩენილიყავი. მას სურდა ფიშერთან ელაპარაკა და მისი თანხმობაც მიეღო. თხუთმეტი წუთის შემდეგ ის დაბრუნდა და განაცხადა, ფიშერი თანახმააო. ხომ არაფერი გექნება საწინააღმდეგო, როცა საგარეო საქმეთა მინისტრები ერთობლივ ფოტოსურათს გადავიღებთ, ფიშერიც მოვიდესო. მე ვუპასუხე: ეს ჩემთვის თავისთავად იგულისხმება. ჩვენ ხომ „ორი პლუს ოთხი" ფორმულის ფარგლებში მოლაპარაკებაზე ვსაუბრობთ-მეთქი. შევამჩნიე, რომ შევარდნაძე — მხედველობაში ჰქონდა რა პოლონეთის დასავლეთი საზღვარი — დაინტერესებული იყო, ოტავაში შემუშავებული ფორმულის „ორი პლუს ოთხის" თაობაზე პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სკუბიშევსკის თანხმობაც მიგვეღო. ჩართული ფრაზა — „მეზობელ სახელმწიფოთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით" — ამას ითვალისწინებდა.

საგარეო საქმეთა მინისტრ ოსკარ ფიშერს იმავე საღამოს შევხვდი საგარეო საქმეთა მინისტრ სკუბიშევსკისთან საუბრის შემდეგ. თავიდან ორივენი ერთმანეთის მიმართ გვარიან დისტანციას ვიცავდით, მაგრამ წლების განმავლობაში იმდენი მოვახერხეთ, რომ ჩვენი საუბრები უკვე საქმიან ატმოსფეროში მიმდინარეობდა, და მთელ რიგ შემთხვევებში, როცა საქმე ჰუმანიტარულ საკითხებს ეხებოდა, ფიშერი თხოვნას მისრულებდა. როცა ჩვენ დაძაბულობის შენელებაზე ან განიარაღების პოლიტიკაზე ვსაუბრობდით, ჩვენი თვალსაზრისები საკმაოდ ემთხვეოდა ერთმანეთს. დროთა განმავლობაში შევნიშნე, ის თავისებურად პირდაპირი ადამიანი ყოფილა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, მოლაპარაკებებისას ვრცელი ასპარეზი არ იყო მის

განკარგულებაში. ბოლოს ჩვენ პიროვნულადაც დავუახლოვდით ერთმანეთს.

და აი, ვისხედით ოტავაში ერთიმეორის პირისპირ. მასაც ჩემსავით კარგად ესმოდა, რომ შეთანხმება „ორი პლუს ოთხის" ფარგლებში მოლაპარაკების შესახებ ამავე დროს გდრ-ის აღსასრულის თაობაზე შეთანხმებას ნიშნავდა. გამოცდილი კაცი იყო და, ცხადია, ამის მიხვედრა არ გაუჭირდებოდა. მითხრა, აქტიურ პოლიტიკას უნდა შევეშვა და პენსიაზე გავიდეო. პოსტიდან იგი ძალიან ღირსეულად გადადგა, მანერამ, რომლითაც მან ეს მოიმოქმედა, ღრმა პატივისცემა აღძრა ჩემში მის მიმართ. ამ ღირსეული ქცევის ბადალი იყო ისიც, რომ მან 1990 წლის 3 ოქტომბერს წერილი მომწერა გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით.

სურათიც გადავიღეთ ოტავაში. ნაშუადღევს ჯიმ ბეიკერი, ედუარდ შევარდნაძე, როლან დიუმა, დუგლას ჰერდი, ოსკარ ფიშერი და მე ჯგუფური ფოტოს გადასაღებად დავდექით. მერე მე გერმანული პრესის წარმომადგენლებთან შესახვედრად წავედი, რათა მათთვის ჩვენი მოლაპარაკების შედეგები განმემარტა. ნეტა ყველას თუ ჰქონდა შეგნებული, გერმანიის გაერთიანებისთვის აუცილებელი რა ისტორიული გადაწყვეტილება იქნა იმ წუთებში მიღებული? მე ვთქვი, დიდი სიფრთხილით შევარჩიეთ ფორმულირება „გერმანიის ერთიანობის აღდგენა". ეს ცოტა სხვა რამეა, ვიდრე „სახელშეკ-რულებო ურთიერთობა" ან „კონფედერაცია"-მეთქი. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნე, რომ გერმანია უეჭველად ნატოში უნდა დარჩენილიყო, მაგრამ გდრ-ის ტერიტორიაზე ნატოს სტრუქტურების სხვადასხვაგვარად მოწყობის შესაძლებლობის საკითხი ღიად დავტოვე.

პრესკონფერენციის შემდეგ სხდომათა დარბაზისკენ გავემართე, სადაც ნატოს წევრ ქვეყანათა წარმომადგენლები თათბირობდნენ. დარბაზიდან ჯიმ ბეიკერი გამოვიდა და ჩემკენ გამოეშურა. „შიგნით რაღაც ხდება", თქვა მან. „კოლეგები ნაწყენი არიან, რომ „ორი პლუს ოთხის" თაობაზე საბჭოთა კავშირთან შეთანხმება მათთან მოლაპარაკების გარეშე მოხდა. ჩვენ ვიცავდით ჩვენს პოზიციას, ახლა შენი ჯერია. როლან დიუმა უკვე გაემგზავრა. ჩვენ ოთხთაგან მხოლოდ დუგლას ჰერდია იქ". დარბაზში რომ შევედი, ნატოში ჩვენმა წარმომადგენელმა გრაფმა რანცაუმ ინფორმაცია მომაწოდა

დისკუსიაზე შექმნილი ვითარების შესახებ. იმ მომენტში ზედიზედ მოითხოვეს სიტყვა ნიდერლანდების და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა. ორივემ თქვა, გერმანიის გაერთიანების საგარეო ასპექტებზე მოლაპარაკებანი ისეთი საქმეა, რომელიც ნატოს პარტნიორ ყველა ქვეყანას ეხებაო. ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა ისიც დაუმატა, ჰოლანდიაც გერმანიის მეზობელიაო. შევარდნაძესთან მოლაპარაკება თავიდან უნდა დავიწყოთო.

უაღრესად შევშფოთდი. რა მიზნით უნდა დაწყებულიყო მოლაპარაკებები თავიდან? ჩემი შეტყობით, შევარდნაძემ მაქსიმუმს მიაღწია; ის კი არა, უფრო მეტსაც, როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ ამ საქმის მოსკოველი თანამონაწილეებისაგან. მოლაპარაკებათა თავიდან წამოწყება, ბუნებრივია, მხოლოდ გააუარესებდა ჩვენს პოზიციას — რომ აღარაფერი ვთქვათ დროის ფაქტორზე. გარდა ამისა, ამ ახალ მოლაპარაკებებს ოტავაში ბოლომდე ველარ მივიყვანდით, რადგანაც ყველანი გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. როლან დიუმა ხომ ისედაც უკვე წასულიყო. და საერთოდ, რა შედეგამდე უნდა მივეყვანეთ აზრთა ამ ხელახალ გაცვლა-გამოცვლას? მოვლენათა განვითარების სადავეები უეჭველად ხელიდან გაგვისხლტებოდა. ახლა საჭირო იყო, ჩემთვის ჩვეული შემრიგებლური მიდგომის საპირისპიროდ, არაორაზროვნად განმემარტა, რომ არავითარ შემთხვევაში მოლაპარაკებები თავიდან არ უნდა წამოგვეწყო.

ამიტომაც ორივე კოლეგის მისამართით განვაცხადე: „მიეკუთვნებით თქვენ გერმანიისთვის პასუხისმგებელ იმ ოთხ სახელმწიფოს? ხართ თქვენ ორიდან ერთ-ერთი გერმანული სახელმწიფო? თქვენ არც ერთი ხართ და არც მეორე". და მცირე განმარტების შემდეგ ეს ჩემი იმდენადვე მძაფრი რამდენადაც ხანმოკლე ინტერვენცია ამ სიტყვებით დავამთავრე: „You are not part of the game!" („თქვენ არა ხართ თამაშის მონაწილე!").

ჩემთვის აღვილი არ იყო, ასე მელაპარაკა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. ამ მომენტში კოლეგათა წრეში ნათელი შეიქნა, რომ მოლაპარაკებათა თავიდან დაწყების მოთხოვნა მეტისმეტი იყო. დისკუსია ჩქარა დასრულდა; რამდენიმე კოლეგამ მხარი დამიჭირა. თავმჯდომარემ, კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლარკმა, განაცხადა, რომ ყოველ შემთხვევაში დღეისათვის საკითხი გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოსო. ამან ცოტა დამამშვიდა, რადგან ნებისმიერი

სხვაგვარი დასასრული მოლაპარაკებებსა და მათი ჩატარების თარიღზე სხვაგვარად იმოქმედებდა. მაგრამ იმასაც მივხვდი, დიდი ძალისხმევა იქნებოდა საჭირო, ზოგიერთი პარტნიორის — უწინარეს ყოვლისა ჰანს ვან დენ ბროეკისა და ჯანი მიკელისის — (მათი თვალსაზრისით ბუნებრივი) უთანხმობა რომ დაგვეძლია.

მაგრამ მეორე მხრივ ყოველგვარი სხვა ქმედება აბსოლუტურად მიუღებელი იქნებოდა. თუკი ჩვენ შევარდნაძესთან მოლაპარაკებებისას იძულებული ვიქნებოდით თითოეული ფორმულირებისთვის ნატოს ყველა პარტნიორის თანხმობა მოგვეპოვებინა, ასე ეს პროცესი უსასრულოდ გაჭიანურდებოდა. ამით სწორედ იმ შედეგს მივიღებდით, რისი ყველა საშუალებით თავიდან აცილება უნდა ყოფილიყო ჩვენი მიზანი „ორი პლუს ოთხის" მოლაპარაკებებისას. სხვა მხრივ კი ჩვენ იმ მიზნის მიღწევას ვესწრაფოდით, რომელსაც ნატოს ყველა პარტნიორი მუდამ მხარს უჭერდა, კერძოდ გერმანიის ერთიანობას. 1967 წლის ჰარმელის მოხსენება, ისევე როგორც ნატოს 1989 წლის მაისის დეკლარაცია, ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვან პასუხს იძლეოდა, ამასვე ღაღადებდა 1989 წლის ნოემბერს სტრასბურგში ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოთა უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიღებული განცხადებაც. ასე რომ, არ არსებობდა რაიმე სერიოზული მიზეზი, ჩვენი ქმედებების გამო ვინმე რამენაირად ნაწყენი დარჩენილიყო. კოლეგები დარწმუნებულნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ ფედერალური მთავრობაც და ამერიკის, საფრანგეთის და ბრიტანეთის წარმომადგენლებიც ნატოს ინტერესებს დაიცავდნენ.

გამგზავრების წინ კანადის პრემიერ-მინისტრს ვეწვიე და მივაწოდე მას ინფორმაციები შევარდნაძესთან ჩვენი საუბრების და მიღწეული შეთანხმების შინაარსისა და მასშტაბების შესახებ. პრემიერ-მინისტრმა მალრონიმ მაგრძნობინა, რომ ღირსეულად აფასებდა ამ ჟესტს — პროტოკოლით გაუთვალისწინებელ ჩემს ვიზიტს. იგი დიდი მოწონებით შეხვდა გერმანიის გაერთიანების პროცესს, მომილოცა წარმატება და კანადის თანადგომა აღგვითქვა. ის მიხვდა, რომ ნატოს ამ ოთხი წევრისთვის — აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიისთვის — არავითარი სხვა შესაძლებლობა არ არსებობდა. ისტორიული შანსისთვის ქეჩოში უნდა ჩაგვეველო ხელი, მოლაპარაკებები ერთმანეთის მიმართ ნდობით გამსჭვალული ადამიანების რაც შეიძლება ვიწრო წრეში უნდა ჩატარებულიყო.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ მოთათბირეთა წრის გაფართოება, თუნდაც კონსულტაციების ფორმით, უამრავ ხალხს მოიზიდავდა და ალბათ მრავალ მოწინააღმდეგე ძალას გააქტიურებდა. ეს კი გაგვიძნელებდა დასახული მიზნის მიღწევას: ოტავაში საფუძველი ჩაგვეყარა გერმანიის გაერთიანების თაობაზე მოლაპარაკებისთვის და განგვესაზღვრა მათი ჩარჩო.

მოგვიანებით, 1991 წლის 27 სექტემბერს, ოტავაში, „თანხმობის ცენტრში" აკურთხეს მემორიალური დაფა, მიძღვნილი ექვსი საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრისადმი, რომელზეც მიღწეული იქნა შეთანხმება „ორი პლუს ოთხი" ფორმულის ფარგლებში მოლაპარაკებების თაობაზე. 1992 წლის 2 აპრილს დაფა სათანადო ადგილას მიამაგრეს. 27 სექტემბრის საზეიმო ცერემონიალზე პრემიერ-მინისტრმა მალრონიმ და მე კიდევ ერთხელ ვილაპარაკეთ ამ მნიშვნელოვან მოვლენაზე. გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე შედგენელი ტექსტი ასე ჟღერს:

„1990 წლის 13 თებერვალს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საფრანგეთის, გაერთიანებული სამეფოს, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრები ოტავის „ღია ცის" კონფერენციის მსვლელობისას შეთანხმდნენ დაეწყოთ ისტორიული მოლაპარაკებები გერმანიის გაერთიანების თაობაზე ფორმულით „ორი პლუს ოთხი". ამით საფუძველი ჩაეყარა პროცესს, რომელიც 1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებით დაგვირგვინდა. ოტავის ეს შეთანხმება არის სიმბოლო ხალხთა ჰარმონიული თანაცხოვრებისთვის კანადის მხრივ გამოჩენილი დიდი ძალისხმევისა.

ეს მემორიალური დაფა დამაგრებულია ბერლინის კედლის ერთ ნამსხვრევზე. ის კედელი ერთ დროს გერმანიას ყოფდა, მაგრამ იძულებული შეიქნა მშვიდობის, კეთილდღეობის და თავისუფლების ნიშნით ევროპის გაერთიანების იმედისათვის დაეთმო გზა.

საზეიმოდ გაიხსნა 1991 წლის 27 სექტემბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრისა და ვიცე-კანცლერის ჰანს-დიტრიხ გენშერის მიერ, რომელიც პრემიერ-მინისტრმა ბრაინ მალრონიმ მოიწვია".

ოტავის „ღია ცის“ კონფერენციიდან ევროპაში დაბრუნდით. ადგილობრივი დროით 6 საათსა და 20 წუთზე ლონდონში ჩავფრინდი. აეროპორტიდან გერმანიის რეზიდენციაში გავემგზავრე, რათა 10 საათისათვის პრემიერ-მინისტრს შევხვედროდი, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრ ჰერდთან ერთად ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდე მიღწეულ შეთანხმებათა შესახებ. საუბარს მარგარეტ ტეტჩერი საქმიანად უძღვებოდა. მე ვიმედოვნებდი, რომ იგი ბრიტანული პრაგმატიზმით გარდაუვალს ისე მიიღებდა, როგორც გარდაუვალს. ქალბატონმა ტეტჩერმა — ალბათ იმის გამოც, რომ იმ დროს იქ ვიზიტად პოლონეთის პრემიერ-მინისტრი მაზოვეცკი იმყოფებოდა — განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა პოლონეთის სასაზღვრო გარანტიის მიმართ. მე წარმოვადგინე ჩვენი პოზიცია და ვთქვი, რომ შესაძლოა დაიდოს საერთაშორისოსამართლებრივი ხელშეკრულება და არა საზავო ხელშეკრულება, რაც საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰერდმა დაბეჯითებით დაადასტურა. გარდა ამისა, ქალბატონმა ტეტჩერმა იკითხა, ჩსსრ-სთანაც თუ არსებობდა ისეთივე სასაზღვრო პრობლემა, როგორიც პოლონეთთან. ჩემი უარყოფითი პასუხის შემდეგ მანაც გაიზიარა თვალსაზრისი, რომ საზავო ხელშეკრულება საჭირო არ იყო.

თუმცაღა პრემიერ-მინისტრმა დაიჩივლა, გერმანიის გაერთიანება მეტისმეტად ფარსირებულად მიმდინარეობსო; ჯერ აუცილებელია ყველა ჩარჩოპირობა გაირკვესო. გდრ-ში სახელმწიფო ავტორიტეტი სულს ღაფავს,— ვთქვი ამის საპასუხოდ,— და ის მარტო ხალხის ნება-სურვილის გამოც იძულებული გახდება, 1990 წლის 18 მარტს სახალხო პალატის პირველ თავისუფალ არჩევნებში გადაწყვეტილება მიიღოს ქვეყნის მომავლის თაობაზე. ამის შემდეგ კი გაერთიანების პროცესი დრამატულად დაჩქარდება. მოძრაობა ქვემოდან დაიწყო და გარედან არ არის-მეთქი ინსპირირებული.

ლონდონიდან ბონში გავფრინდი, სადაც მონაწილეობა მივიღე სამთავრობო კომისიის — „გერმანიის გაერთიანება“ — სხდომაში. შემდეგ საგარეო საქმეთა უწყებაში სახელმწიფო მდივანს ზუდჰოფსა და მინისტერიალდირექტორს კასტრუპს ვესაუბრე „ორი პლუს ოთხი“ ფორმულით გათვალისწინებულ მოლაპარაკებებთან დაკავშირებულ

შემდგომ ღონისძიებათა შესახებ. ჩემზე დამამშვიდებლად მოქმედებდა, ამ გადამწყვეტ თვეებში სახელმწიფო მდივნები ლაუტენშლაგერი და ზუდჰოფი ბონში რომ იყვნენ. ჩემი მხრივ უსაზღვრო ნდობით აღჭურვილნი, ისინი ზურგს მიმაგრებდნენ სხვა საკითხების მოგვარების პროცესში, ასე რომ, მე შემეძლო მინისტერიალდირექტორ კასტრუპთან ერთად მთლიანად გაერთიანების საკითხებზე გადავრთულიყავი. უკვე 1990 წლის 19 თებერვალს პირადი წერილები დავუგზავნე აშშ-ის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომლებშიც მადლობას მოვახსენებდი მათ ოტავაში მიღწეული გარღვევისათვის.

მეორე დღეს მოვამზადეთ მთავრობის განცხადება მოსკოვში მოგზაურობისა და ბონში პრემიერ-მინისტრ მოდროვის ვიზიტის თაობაზე. დებატების დაწყებამდე საგარეო საქმეთა უწყებაში ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს არენსს შევხვდი საუზმეზე; მასაც გავაცანი ოტავაში გამართული საუბრების შინაარსი. ამასთანავე ვიმსჯელეთ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარებისა და გერმანია-ისრაელის ურთიერთობათა შესახებაც. როგორ მიიღებს-მეთქი ისრაელი გერმანიის გაერთიანებას? არენსს არავითარი შენიშვნა არ გამოუთქვამს. ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, ეს სულაც არ იყო თავისთავად ცხადი. მე კი გადაწყვიტე, „ორი პლუს ოთხის" გახსნაზე ებრაელი ხალხის ბედისწერაც გამეხსენებინა.

მოვლენათა დინამიკამ გადააჭარბა მრავალთა წარმოსახვის უნარს — არა მარტო აღმოსავლეთში — დასავლეთშიც. იმ დროს, როცა ჩვენ ყველანი ყოველნაირად ვცდილობდით „ორი პლუს ოთხის" პროცესი შემოდგომისთვის ბოლომდე მიგვეყვანა, ბერლინიდან შევიტყვეთ, რომ იქ დასავლური ალიანსის სამი სახელმწიფოს დესპანებთან საუბრებისას გაისმა ხმები, რომლებიც სათავეს გერმანიის ორ სახელმწიფოდ ხანგრძლივად არსებობის ფაქტიდან იღებდა. ან იქნებ ეს იმის გამო ხდებოდა, რომ ბერლინში ვიღაც-ვიღაცები შეჩვეულ თბილ ადგილებს ვერ ელეოდნენ. მაგრამ სიტუაცია მრავალ გერმანელზე უფრო რეალისტურად დესპანებს რატომ უნდა შეეფასებინათ?

1990 წლის პირველ თვეებში უთანხმოება იყო ჩემსა და თავდაცვის მინისტრ შტოლტენბერგს შორის, რაც გაუგებარი დარჩა,

ვინაიდან ჩვენ იმ საკითხზე, რომ გაერთიანებული გერმანია ნატოს წევრი უნდა ყოფილიყო, ერთი აზრისანი ვიყავით. ასე ვაცნობე მე ჩვენს მოკავშირეებს თვეების წინ – ჯერ კიდევ იმ დროს, როცა სხვები გაერთიანების შესაძლებლობას ვერც კი ხედავდნენ. მართებულად მოითხოვდა ფედერალური კანცლერი, რომ ამ ცენტრალურ საკითხზე საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებს შორის საჯარო დისპუტი თავიდან აგვერიდებინა. ჩემთვის ეს არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა, მით უფრო, რომ კანცლერის თვალსაზრისი, რომელიც მან 1990 წლის 15 თებერვალს ბუნდესტაგში გამოთქვა, გერჰარდ შტოლტენბერგმა და მე 1990 წლის 19 თებერვლის განცხადებით კიდევ ერთხელ დავადასტურეთ. ოღონდ მე დაჟინებით მოვითხოვდი, დამატებით მიგვეღო შემდეგი ფორმულირება: „დღევანდელი გდრ-ის ტერიტორიის უსაფრთხოების პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებული ყველა ასპექტი უნდა გაარკვიონ გდრ-ის თავისუფლად არჩეულმა მთავრობამ, – ვგულისხმობდი 1990 წლის 18 მარტისთვის დანიშნულ სახალხო პალატის არჩევნებს, – და აგრეთვე ერთიანი გერმანიისთვის პასუხისმგებელმა ოთხმა სახელმწიფომ“. ამით გავფანტავდით ეჭვს, თითქოს ჩვენ გდრ-ის მეურვეობას ვაპირებდით; ამ საკითხის გადაწყვეტას თავისუფლად არჩეულ მთავრობას ვანდობდით და არც მოსკოვს წავუყენებდით ულტიმატუმს. ჩემი ღრმა რწმენით, ამ გზით უფრო შორს წავიდოდით, ვიდრე ამ ყაიდის კატეგორიული მოთხოვნით: „ან ჭამე, ჩიტო, ან სული გააცხე!“. მე მინდოდა გვერდი ამევლო ვაშინგტონში მოარული ფორმულისთვის: „არავითარი ნატოს იურისდიქცია“, ვინაიდან ეს შეიძლება ისე გაეგოთ, როგორც ნატოს მხრიდან მომდინარე დამცავ გარანტიებზე უარის თქმა. მოლაპარაკებები დასავლეთის ბანაკში იმანაც გაართულა, რომ ამერიკის თავდაცვის სამინისტროს ბონიდან მოხელეთა დონეზე აცნობეს შეშფოთების შესახებ, რასაც იწვევდა საგარეო საქმეთა სამსახურის და პირადად ჩემი პოზიციაც. ამას ვაშინგტონში სხვადასხვაგვარი რეაქცია მოჰყვა. ზოგიერთმა სერიოზულად მიიღო ეს გაფრთხილება, ისინი კი, ვინც საქმის ვითარებას დარგად იცნობდა, მიხვდნენ, რომ ბონში წამოწყებული ეს პოზიციური ბრძოლები მოლაპარაკების ჩასაშლელად იყო გამიზნული.

გერჰარდ შტოლენბერგთან ერთად მე ყოველთვის კარგად ემუშაობდი. მან დიდი პლიტიკური გამოცდილება დააგროვა სხვადასხვა

უწყებებში და შლეზვიგ-ჰოლშტაინის პრემიერ-მინისტრის პოსტზე მოღვაწეობისას. გამოთქმა „დიდი სიგრილე ჩრდილოეთიდან", რომელიც მას მიუსადაგეს, მხოლოდ გარეგნულად ჩანდა მართებული; პიროვნულად ის არაჩვეულებრივად მომხიბლავი ადამიანია. ყოველ შემთხვევაში, მე მას აღვიქვამდი კორექტულ და ლოიალურ კოლეგად — რასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ საგარეო და თავდაცვის სამინისტროთა ურთიერთთანამშრომლობისას.

მანიფესტაცია ხუთი კოშკის ქვეშ

16 თებერვალი ის დღე იყო, რომელსაც მე ვერ დავივიწყებ. დილით მოვინახულე ფედერალური პრეზიდენტი და მივაწოდე ინფორმაცია, რა მდგომარეობაში იყო მოლაპარაკებები გერმანიის გაერთიანების შესახებ — კერძოდ, მოვახსენე ის, რაც ამ მოლაპარაკებათა საგარეოპოლიტიკურ ნაწილს შეეხებოდა. ამის შემდეგ შვეულმფრენით გავფრინდი ჰერლესჰაუზენისკენ, ხოლო იქიდან მანქანით განვაგრძე გზა ჰალესკენ. 14 საათზე ხელახლა შევხვდი მრგვალი მაგიდის წარმომადგენლებს. მათი რაოდენობა ახლა მეტი იყო და ნაციონალური სახალხო არმიის ერთი ოფიცერიც იყო მონაწილეთა შორის. 15 საათსა და 15 წუთზე მოლაპარაკება მქონდა გარდამავალი პერიოდის ობერბიურგერმაისტერთან დრ. პრაჩთან, ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა ქალაქის ოფიციალურ წარმომადგენელთან მას შედეგ, რაც 1952 წელს ემიგრაციაში წავედი. აქამდე ქალაქში ჩამოსვლისას თავს ვარიდებდი ქალაქის ოფიციალურ წარმომადგენ-ლებთან ყოველგვარ პირდაპირ თუ არაპირდაპირ კონტაქტს, თუმცა ძალიან მსურდა მათთან შეხვედრა. 16 საათზე შევხვდი თავისუფალ დემოკრატთა კავშირს, მერე კი დაძაბული ველოდი დიდ მანიფესტაციას, რომელზეც 17 საათისთვის ვიყავი მიწვეული.

პოლიციის მანქანა მიგვაცილებდა იქითკენ. ჰანზას წრის გასწვრივ მივდიოდით, ქალაქის საბჭოს ქუჩის გავლით — ბაზრისკენ; ეს ის ქუჩები იყო, ბავშვობიდან რომ ვიცნობდი, უწინარეს ყოვლისა იმ დროიდან, როცა ჰალეში ვსწავლობდი, ხოლო შემდეგ სტაჟიორად ვიყავი სასამართლოში და ადვოკატ ფრიც ჰერფელდთანაც ვმუშაობდი. მანქანიდან გადმოსვლა შეუძლებელი შეიქნა. ქალაქის საბჭოს ქუჩა

გადაჭედილი იყო ხალხით, რომელიც ცდილობდა ბაზრისკენ გაეღწია. ჩემს მეუღლესა და მე ჩვენმა უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა, უთუოდ თავიანთ გდრ-ელ კოლეგებთან ერთად, გზა გაგვიკაფეს ტრიბუნისკენ, რომელზეც უკანა კიბით ავაღწიე.

მე მზად მქონდა ჩემი გამოსვლის ტექსტი, მაგრამ უკვე ვიცოდი, რომ მას არ გამოვიყენებდი. მსურდა ადამიანებთან გულიდან წამოსული ფრაზებით მელაპარაკა. ქალაქის საბჭოს შენობის წინ შემეგება ტრანსპარანტი, რომელიც მესალმებოდა როგორც გერმანული ერთიანობის არქიტექტორს. ზღვა ხალხი შეგროვილიყო, ასე ოთხმოცი ათასამდე, და ტრანსპარანტებით გერმანიის გაერთიანებას მოითხოვდნენ. ამავე დროს პლაკატებზე ეწერა ჰალეს ახლო-მახლო მდებარე მრავალი დასახლებული პუნქტის სახელწოდება, იმ ადგილებისა, საიდანაც ესა თუ ის ჯგუფი იყო ჩამოსული, და სულ მთლად ახლოს დავინახე ტაბლო წარწერით „კლიჩმარი". მესალმებოდნენ მეგობრები ჩემი კუზენის ახიმ შარფისა, რომელიც ორმოცდაათიანი წლების დამდეგიდან ბოხუმში ცხოვრობდა. ბავშვობისას მშობლებთან ერთად ხშირად დავდიოდი სტუმრად კლიჩმარში, სადაც ახიმის მშობლებს კარ-მიდამო ჰქონდათ. სანამ ორატორები გამოდიოდნენ, ფიქრებით ბავშვობაში წავედი, ჩვენს მშობლებთან, ჩვენს საერთო ნათესავ გიუნთერ მიხელთან. სამივეს — მათ შორის მე ვიყავი უმცროსი — მრავალი მშვენიერი დღე გაგვიტარებია ერთად.

ტაშმა იქუხა, როცა ტრიბუნაზე გამოვჩნდი. ზემოთ თავი მოეყარათ ლიბერალურ პარტიათა წარმომადგენლებს, რომლებთანაც ჩვენ ვთანამშრომლობდით — ლიბერალ-დემოკრატიული პარტიისა და აღმოსავლეთ გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წევრებს. ჩემი ყოფილი თანაკლასელებიც იქ იყვნენ; ტრიბუნის ახლო-მახლო ვცნობდი მათ, როცა თავის თავზე მანიშნებდნენ. ჩემი გამოსვლის ჯერიც მოვიდა და მე ველაპარაკე ჰალეს მცხოვრებთ, ჩემი მშობლიური კუთხის ადამიანებს. ჩემს მაშინდელ განწყობასა და გრძნობებს მხოლოდ ის თუ გაიგებს, ვინც თვით იყო იძულებული სამშობლო მიეტოვებინა, ვისაც ჩემსავით მხოლოდ შეზღუდულ პირობებში შეეძლო ნათესავთა მონახულება და ახლა კვლავ იხილა ისინი, კვლავ უკან დაბრუნდა.

რა ხშირად მინატრია — და ეს ჰონეკერსაც ვუთხარი ტიტოს გასვენებაში — ჰალეში საარჩევნო კამპანიისას სიტყვით გამოსვლა.

ცხადია, ეს იყო ნაწილი 1990 წლის სახალხო პალატის საარჩევნო კამპანიისა, მაგრამ ჩემთვის ეს ჰალეში ოფიციალურად დაბრუნებას ნიშნავდა. ეს სულ სხვა გრძნობა იყო, ვიდრე ის, რამდენიმე კვირის წინ, 1989 წლის შობისწინა კვირადღეს რომ დამეუფლა, როცა ხალხს ეკლესიაში მივმართე სიტყვით; ამჯერად სხვაგვარად ვიყავი შეძრული და ძალიან გამიჭირდა, შინაგან მღელვარებას არ ავყოლოდი. იმ წუთებში ხომ მრავალი ჩემი ოცნება ახდა. იმ მომენტში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად კი არ ვგრძნობდი თავს, არამედ ჰალეს მოქალაქედ. და ჰალეს მკვიდრნიც, ეტყობა, ასევე აღმიქვამდნენ. ლაპარაკისას მზერას ვავლებდი კოშკებს, ჰალეს სიმბოლოდ ქცეულთ — ბაზრის ეკლესიის ოთხ კოშკს და წითელ კოშკს.

ღონისძიების დამთავრების შემდეგ გამიჭირდა ტრიბუნის დატოვება. ბევრი მოდიოდა ჩემთან, მეუბნებოდნენ, წარსულში ერთმანეთს შევხვედრივართო. ზოგიერთს ვიხსენებდი, ზოგიერთს ვერა. დიდი წვალებით მივაღწიეთ ჩვენს ავტომობილამდე, რომელიც კუს ნაბიჯით მიუყვებოდა ქალაქის საბჭოს ქუჩას, ჰანზას წრის მიმართულებით. იქიდან კვლავ ჰერლესჰაუზენისკენ ავიღეთ გეზი, მერე კი შვეულმფრენით ბონში დავბრუნდით.

ერთი კვირის შემდეგ ვიცოდი, რომ ის დიდი მხარდაჭერა, რომელიც ჰალეში მხვდა წილად, არ იყო მხოლოდ ადგილობრივი მოვლენა. როცა 24 თებერვალს კვლავ გავფრინდი შკოიდიცში, ჯერ ერთხელ კიდევ ველაპარაკე ჰალეს ობერბიურგერმაისტერს, მერე კი ბუნა* -ს ქარხნებისკენ გავემგზავრე, რომელთა დასაცავადაც 1943 წელს გამამწესეს საჰაერო თავდაცვის დამხმარე ჯგუფში. იქ დაარსდა გდრ-ის მეწარმეთა კავშირის სამხარეო გაერთიანება ჰალეს რეგიონისთვის. თან მახლდა დრ. რიოლერი, დრეზდენის ბანკის სპიკერი. ჰალეს საქალაქო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მას არ დართეს სწავლის გაგრძელების ნება, ამიტომ თავიდან ბუნა-ს ქიმიურ ქარხნებში მუშაობდა.

მერე ვაიმარს გავემგზავრე, სადაც „რუსიშერ ჰოფში" გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის

---

* ბუნა — ბუტადიენი + ნატრიუმი. (რედ.)

თავმჯდომარეს პროფ. ორტლებსა და აღმოსავლეთ გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს დრ. მენცელს შევხვდი. 13 საათსა და 30 წუთზე ვაიმარის სახელმწიფო თეატრის წინ გამართულ დიდ მიტინგზე გამოვედით. ვეებერთელა მოედანი ხალხით იყო სავსე, საყოველთაო აღფრთოვანება სუფევდა. მქონდა პატივი ვაიმარში მელაპარაკა, სადაც პირველმა რესპუბლიკამ თავისი კონსტიტუცია მიიღო და სახელმწიფოს ძირითად კანონსაც ამის მიხედვით დაერქვა სახელი — ვაიმარის კონსტიტუცია! და აი, მოვიყარეთ თავი გერმანული სულიერებისა და კულტურის ისტორიის თვალსაზრისით დაუვიწყარ ადგილას, მოედანზე, სადაც გოეთესა და შილერის ძეგლი დგას.

შემდეგ ლიბერალური ახალგაზრდული ორგანიზაციის კონგრესზე გამოვედი სიტყვით. კონგრესს ესწრებოდა ვოლფგანგ ნატონეკი, ომისშემდგომ პერიოდში ყველა ლიბერალურად განწყობილი სტუდენტის კერპი საბჭოთა ჯარების მიერ დაკავებულ ზონაში. ამ კაცს, რომელიც ლაიფციგის უნივერსიტეტმა სტუდენტი ახალგაზრდობის თავისუფლების სიმბოლოდ გამოაცხადა, თავისი ლიბერალური პოზიცია ძვირი დაუჯდა. მრავალი წელი გაატარა საპყრობილეში; მერე, განთავისუფლების შემდეგ გიოტინგენში წავიდა. ვაიმარში მე მას მადლობა გადავუხადე იმისათვის, რომ მან თავისი სიმამაცითა და თანმიმდევრულობით სტუდენტთა მთელ თაობას მისცა მაგალითი.

ვაიმარიდან მოგზაურობა კემნიცისკენ გავაგრძელე, სადაც ქალაქის საბჭოს აივნიდან სიტყვით მივმართე იქ მოგროვილ ზღვა ხალხს. ჩემ გარდა სიტყვა წარმოთქვა იურგენ შმიდერმა, დემოკრატიული ფორუმის წარმომადგენელმა, რომელიც ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის სიით იყრიდა კენჭს. აქედანაც ძალიან გაგვიჭირდა გამგზავრება. ტაატით მიიკვლევდნენ გზას მანქანები ხალხში. კვლავ და კვლავ ერწმუნდებოდი, რამდენს ნიშნავდა ადამიანებისათვის ეს ცვლილებები, და იმასაც ნათლად ვხედავდი, როგორი ნდობით იყვნენ განმსჭვალულნი ჩვენ მიმართ. პირადად ჩემ მიმართაც. გადავწყვიტე, ეს ნდობა არ გამემტყუნებინა და ისეთს არაფერს დავპირებოდი მათ, რასაც ვერ შევასრულებდი. ასეთი ფიქრები მიტრიალებდა თავში „რუსიშერ ჰოფისკენ“ მგზავრობისას, საიდანაც უკანვე დაებრუნდით ბონში.

იმ შაბათს — ეს საკარნავალო შაბათი გახლდათ — უაზრო

აურზაურს გავეცალე. ისე ფრთაშესხმულად ვგრძნობდი თავს, როგორც ალბათ მხოლოდ ასეთ შემთხვევებში იცის. მოზღვავებული გრძნობების მიუხედავად არ მავიწყდებოდა, სწორედ ახლა რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა მეკისრებოდა როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს. ყველა დაბრკოლება, ხილული თუ დაფარული, რომელიც გერმანიის გაერთიანების გზაზე გველობებოდა, უნდა დაგვეძლია.

21 თებერვალს რომს გავფრინდი, რათა პრემიერ-მინისტრ ანდრეოტისა და საგარეო საქმეთა მინისტრს დე მიკელისს შევხვედროდი. იტალიელები, რომლებთანაც მე ყოველთვის განსაკუთრებით კარგი დამოკიდებულება მქონდა, ოტავის მოვლენების შემდეგ გულნაკლულნი არ უნდა დარჩენილიყვნენ, მით უფრო ანდრეოტი, ვისთანაც ხანგრძლივი და მჭიდრო თანამშრომლობა მაკავშირებდა. ის ჩემთვის მაგალითი იყო ისეთი პოლიტიკოსისა, რომელიც დიდი მონდომებით ილვწოდა ევროპული ერთიანობისთვის. მისთვის ნატო ევროპული უშიშროებისა და სტაბილურობის აუცილებელი პირობა იყო; მაგრამ მე ის ხშირად მიჭერდა მხარს, როცა საჭიროება მოითხოვდა, ნატოსა და ევროგაერთიანების წარმომადგენელი კოლეგები დაგვერწმუნებინა ალმოსავლეთის მიმართ დაძაბულობის შემცირებისა და ევროთათბირის მოღვაწეობისადმი ნდობის ფაქტორის გაძლიერების აუცილებლობაში. ერთი წლის წინ მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული რაკეტების შესახებ კამათში მან ჩემი მხარე დაიჭირა. უეჭველია, ჯულიო ანდრეოტი გამოცდილი და უნარიანი პოლიტიკოსია; ჩემთვის ის მუდამ საიმედო პარტნიორი იყო, და მის მიმართ ნდობით ვიყავი და ვარ განწყობილი. ის ბუნებრიობაც, რითაც იგი თავის კათოლიკურ აღმსარებლობას აღიარებს, მუდამ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე.

ჯანი დე მიკელისთანაც წლების განმავლობაში კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. დღემდე ვერ გამიგია, რატომ იყო მისი რეაქცია ოტავაში ესოდენ მძაფრი.

ნიდერლანდებშიც გავემგზავრე, როგორც ყოველთვის ვიქცეოდი მაშინ, როცა ზედმეტი პრობლემების თავიდან აცილებას ეხებოდა საქმე. ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან მუდამ უმჭიდროესი კავშირის დამყარებას ვცდილობდი. 1940 წელს ნიდერლანდებზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ განვითარებული საშინელი მოვლენების

და გერმანული ოკუპაციის მძიმე პერიოდის შედეგად გერმანია-ნიდერლანდების ურთიერთობა განსაკუთრებით მგრძნობიარე გახდა. თანაგრძნობითა და მოთმინებით, იმისთვის მზადყოფნით, რომ პასუხისმგებლობა გვეკისრა ყოველივე იმის გამო, რაც გერმანელების ხელით და გერმანელთა სახელით მოხდა, ჩვენ შეგვეძლო — ასე მწამდა მე — ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვეპოვებინა ნდობა. ამ ქვეყნის ადგილიც ევროგაერთიანებასა და ბენელუქსის სახელმწიფოთა ჯგუფში მნიშვნელოვანს და საპასუხისმგებლოს ხდიდა მასთან ურთიერთობის მოგვარებისთვის ზრუნვას, — მე ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი ევროგაერთიანების წევრ მცირე სახელმწიფოებთან თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დამყარებულ ურთიერთობას. ბენელუქსის ქვეყნებთან მიმართებით ამ ამოცანას ისიც მიადვილებდა, რომ ისინი ევროპული ერთიანობის და აგრეთვე ძირეულ ეკონომიკურ საკითხებზე ჩვენს თვალსაზრისს პრინციპულად იზიარებდნენ.

27 თებერვალს, ნაშუადღევს შევხვდი საგარეო საქმეთა მინისტრს ვან დენ ბროეკს, მანამდე, სანამ 18 საათზე პრემიერ-მინისტრ ლუბერსსა და მასთან ვისაუბრებდი. ეს საუბარი ნიდერლანდების მხრივ შესაძლო უთანხმოებათა დაძლევაში უნდა დაგვხმარებოდა, რადგან ამ ისტორიულ მომენტში თავს უფლებას ვერ მივცემდით, იმაზე გვედავა, ვინ მართალი იყო და ვინ მტყუანი, რაც არ უნდა დარწმუნებული ვყოფილიყავი ჩვენი პოზიციის სისწორეში. ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო, რაც ჩვენს პარტნიორებთან მოლაპარაკებებს გააადვილებდა — ის სიძნელეებიც გვეყოფოდა, საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებისას რომ გველოდა. რაკი ჰანს ვან დენ ბროეკის მიმართ პიროვნული სიმპათიები მქონდა და მაქვს, და ვინაიდან მას, ისევე როგორც რუდ ლუბერსს, უწინარეს ყოვლისა მისი პროფესიონალიზმის გამო ვცემდი პატივს, ამ ამოცანის შესრულება დიდად არ გამძნელებია.

28 თებერვალს, ნაშუადღევს ერფურტის ტაძრის მოედანზე გამართულ დიდ მანიფესტაციაზე გამოვედი სიტყვით, საღამოს კი ზანგერჰაუზენის ცენტრალურ მოედანზე მოწყობილ მიტინგზე ვილაპარაკე. უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი თავსხმა წვიმაში. ზანგერჰაუზენში მგზავრობისას ჩემი თავი იმაში გამოვიჭირე, რომ ერთ მშვენიერ ქალიშვილზე ვფიქრობდი, რომელიც 1942 წლის

ზაფხულს მოწაფეობისას გავიცანი ცვინტშიონესთან მდებარე ფრიდრიხსბადში. ის მაშინ ჰალეში დაიარებოდა სკოლაში – ნეტა თუ მოვა-მეთქი მიტინგზე,– ვფიქრობდი. არ მოვიდა. თავი იმით ვინუგეშე, შეიძლება ზანგერჰაუზენში აღარ ცხოვრობს-მეთქი.

პირველ მარტს საგარეო საქმეთა მინისტრ დიუმას შევხვდი ბერლინში, სადაც ის სასტუმრო შტაიგენბერგერში სიტყით გამოვიდა პრესკონფერენციაზე. აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების გამოსვლებს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა; წლების განმავლობაში ისინი გამოხატავდნენ ამ სამი სახელმწიფოს პოზიციას ბერლინთან და დასავლურ-აღმოსავლურ ურთიერთობასთან დაკავშირებით. საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეიკერმა ეს 1989 წელს განსაკუთრებით შთამ-ბეჭდავად მოიმოქმედა და უწინარეს ყოვლისა ხაზგასმით აღნიშნა დასავლური ალიანსის მნიშვნელობა. ახლა როლან დიუმამ პირველ რიგში გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრის თაობაზე გამოთქვა თავისი შეხედულება. ყველა მსმენელი მაშინვე მიხვდა: ყოველგვარი ყოყმანი გერმანიის მხრივ, ყოველგვარი ტაქტიკური მანევრი საზღვრის საკითხში არამარტო პოლონეთში, არამედ დასავლეთშიც დიდ პრობლემებს წარმოშობდა.

შემდეგ დიუმამ შიონებერგის რატუშაში „ბერლინის ოქროს წიგნში" გააკეთა სამახსოვრო ჩანაწერი. დღევანდელი გადასახედიდან ეს ჩემთვისაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო: ეს გახლდათ ბოლო ვიზიტი სამთაგან ერთ-ერთი დასავლური ზედამხედველი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრისა, რომელიც მოკავშირეთა სუვერენიტეტის განსახორციელებლად ეწვია ბიურგერმაისტერს რატუშაში. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ამ ვიზიტისას ქალაქის სტატუსის გამო არავითარი ოფიციალური ფუნქცია არ ეკისრებოდა, ის კი არა, წარსულში ამგვარ შეხვედრებზე მარტო ჩემი დასწრებაც კი მუდამ სერიოზულ სიძნელეებს გვიქმნიდა საბჭოთა კავშირთან და გდრ-თან ურთიერთობებში. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მოღვაწეობის დაწყებისთანავე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი იმ ამბავს, რომ სამი დასავლური სახელმწიფოს წარმომადგენელთა შეხვედრებისას მეც იქ ვყოფილიყავი: დასავლეთ ბერლინის საგარეო წარმომადგენლობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, როგორც ეს დასავლეთ ბერლინის შესახებ ოთხმხრივი შეთანხმებით

იყო განსაზღვრული, ამის შედეგად უნდა განმტკიცებულიყო; ეს ის პუნქტი გახლდათ, რომელიც დასავლეთშიც კი ზოგჯერ დავას იწვევედა. ინგლისი და აშშ ამას გაგებით ეკიდებოდნენ, ფრანგული მხარე კი დიდხანს შეშფოთებული ჩანდა იმით, რომ შესაძლოა ჩემი დასწრების გამო ქალაქის სტატუსი დარღვეულიყო და ამის შედეგად მოკავშირეთა უფლებები შელახულიყო. საფრანგეთის პოზიცია მხოლოდ მას შემდეგ შეიცვალა საბოლოოდ, რაც საგარეო საქმეთა მინისტრი როლან დიუმა გახდა. რაკი იგი გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, გულისხმიერად ეკიდებოდა ჩემს პოზიციას გერმანიის პრობლემასა და ბერლინის მდგომარეობასთან მიმართებით და უგულებელყოფდა ზოგიერთი თავისი მრჩეველის ფორმალურ შეხედულებებს ამ საკითხზე.

ამასთან დაკავშირებით მტკივნეულად მაგონდება ერთი შემთხვევა, რომელიც ჩემი საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობის პირველ წლებში მოხდა. გავემგზავრე ბერლინში, რათა რატუშაში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გირინგოს სტუმრობას დავსწრებოდი. აეროპორტიდან შოინებერგის რატუშისკენ მგზავრობისას ისე გავერთე დოკუმენტების კითხვით, ვერც კი გავიგე, როგორ მივედით დანიშ-ნულების ადგილას. მანქანა გაჩერდა, კარი გამიღეს და ავტომობილიდან გადმოვედი. თავიდან ყურადღება არ მივაქციე იმ გარემოებას, რომ გვერდითა შესასვლელთან ვიდექით და საგარეო სამსახურის მოხელემ, რომელიც პროტოკოლით გათვალისწინებულ დავალებას ასრულებდა, ამ შესასვლელით შემიყვანა, მერე კი დერეფნების გავლით წამიძღვა ბიურგერმაისტერის კაბინეტისაკენ. ჩემს შეკითხვაზე: „ამჯერად რატომ წინა შესასვლელიდან არ შეგვედით-მეთქი", ჩემმა გამცილებელმა მიპასუხა: ასე ისურვა საფრანგეთის დელეგაციამ და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმაო. ყურს არ დავუჯერე. დღემდე მახსოვს ის თავხედობა, რაც ამ საქციელში იგულისხმებოდა. თავიდან ვიფიქრე, ხომ არ მივატოვო-მეთქი ეს შეხვედრა; მერე მაინც გადავწყვიტე დავრჩენილიყავი და მონაწილეობა მიმეღო: ეს სკანდალი მოსკოვში, უფრო მეტად კი აღმოსავლეთ ბერლინში, ბარე ორს გაახარებდა. ამის გამო ვცდილობდი ინციდენტი არ გამეხმაურებინა, ჩემს გამცილებელ მოხელეს კი ვაგრძნობინე, რა აზრისაც ვიყავი იმის შესახებ, რომ მან გაუფრთხილებლად ჩამაყენა ამ მდგომარეობაში.

ამ ინციდენტს კიდევ უფრო სერიოზულს ხდიდა ის გარემოება, რომ წინა კვირებში მნიშვნელოვნად დაიძაბა ურთიერთობა გდრ-თან. ყველა მოვლენასთან დაკავშირებით თავს იჩენდა სტატუსის საკითხები; ამიტომ ყველაფერი უნდა გვეღონა საიმისოდ, რომ ისეთი შთაბეჭდილება არავის დარჩენოდა, თითქოს აღმოსავლეთ ბერლინიდან ზეწოლის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა ჩვენზე რამენაირი ზემოქმედება მოეხდინათ. დასავლეთ ბერლინში ჩემი ყოფნის გამო გდრ-ის რეაქციამაც დიდხანს არ დააყოვნა. გდრ-ის საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა გდრ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს თვალსაზრისი, სადაც ნათქვამი იყო: „გფრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის დემონსტრაციული გამოჩენა დასავლეთ ბერლინში, ანუ იმ ტერიტორიაზე, რომელიც არ შედის გფრ-ის შემადგენლობაში, წარმოადგენს ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეების კიდევ ერთ მცდელობას, დასავლეთ ბერლინს კანონსაწინააღმდეგოდ ისე მოეპყრონ, თითქოს ის გფრ-ში შედიოდეს“.

ამგვარ ვითარებაში შიონებერგის რატუშაში ყოველთვის გამოვდიოდი სიტყვით, ასე მოვიქეცი ამჯერადაც გირინგოს მიღებისას. მოგვიანებით, კოკტეილზე მე მას ვუთხარი: „ბატონო მინისტრო, ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, ეს თქვენი მითითებით მოხდა, თუ თქვენმა თანამშრომლებმა გადაწყვიტეს ასე. ეს არ არის მართებული მოპყრობა არც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისადმი, არც გერმანელი ხალხისადმი და არც პირადად ჩემდამი. ვისურვებდი, აღარასოდეს დამჭირვებოდეს ამგვარ თავხედობაზე რეაგირება!“ გირინგომ ჩემს საყვედურებზე მიკიბულ-მოკიბული პასუხი გამცა. ეს პროცესი მისთვის ძალიან უსიამოვნო გამოდგა და არც უცდია არგუმენტების მოშველიებით ემართლებინა თავი. მან თავი დამიქნია და უპასუხოდ დატოვა შეკითხვა, ამ გადაწყვეტილების მიღებისას დაეკითხნენ თუ არა მას. ყოველ შემთხვევაში, მომდევნო წლებში რამდენჯერაც ჩავსულვარ ბერლინში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიღებისას, პრობლემები აღარ შემქმნია. სიტყვაში, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრმა გირინგომ შიონებერგის რატუშაში წარმოთქვა, დასავლეთის უფლებები და პასუხისმგებლობები ნათლად და ერთმნიშვნელოვნად იყო დადასტურებული და მას მხარი დავუჭირე.

1990 წლის თებერვლის მეორე ნახევარმა და მარტმა სამინისტროში „ორი პლუს ოთხის“ მოლაპარაკებისთვის ინტენსიური მზადების ნიშნით ჩაიარა. ამასთან გვქონდა მრავალრიცხოვანი შეხვედრები მეგობარ მთავრობებთან. მაგრამ სახალხო პალატის პირველი არჩევნებისთვის გამართული საარჩევნო კამპანიაც მოითხოვდა ჩემგან ძალისხმევას.

პირველ მარტს ამ მიზნით დესაუსა და ვიტენბერგში გავემგზავრე. ვიტენბერგში შეხვედრამ განსაკუთრებით ამაღელვა, რადგან 1945 წლის იანვარში აქ გამიწვიეს მესანგრეთა ბატალიონში. ჯერ ტაუენციენის ხოლო შემდეგ ბრიუკენკოპფის ყაზარმებში მოგვათავსეს. აქ გამოვემშვიდობე 1945 წლის მარტში დედაჩემს. ახლა, ორმოცდახუთი წლის შედეგ, კვლავ ჩამოვედი ქალაქში, სადაც მე, ახალგაზრდა ჯარისკაცმა, ომის ბოლო თვეები გავატარე, ვიდრე ბრძოლაში ჩავებმებოდით, ანუ ვენკის არმიას შევუერთდებოდით, რომელიც იმ თვეებში დესაუ-როსლაუსთან დააყენეს.

ასეთი და ამის მსგავსი მოგონებებით წავედი პირველ მიტინგზე, რომელიც 17 საათზე გაიმართა დესაუში. როცა ორი საათის შემდეგ ვიტენბერგის უკვე ჩაბნელებულ ცენტრალურ მოედანზე მივედი და რატუშისა და მარტინ ლუთერის ძეგლის მშვენიერ კულისებს შევავლე თვალი, ადამიანთა თვალუწვდენელი მასით აღმოვჩნდი გარშემორტყმული. როგორ ენატრობდი აქ, ვიტენბერგში ომის დამთავრებას! მაგრამ ჩვენს ხალხს ბოლომდე უნდა ეწვნია ყველაფერი; ახალგაზრდა ჯარისკაცები ვხედავდით, როგორ გადადიოდნენ ელბაზე გადებულ ხიდზე ლტოლვილთა უსასრულო ნაკადები, მათი უმეტესობა სილეზიიდან იყო. აქ ჩვენი თვალით ვიხილეთ გერმანელი ხალხის მთელი გაჭირვება — შედეგი ჰიტლერის მიერ გაჩაღებული ომისა. ამ მოედანს მე ძალიან კარგად ვიცნობდი, თანაც ისეთი პერსპექტივიდან, საიდანაც იგი ალბათ არცერთ აქ მყოფთაგანს არ ექნებოდა ნანახი. აქ მე რეკრუტობისას ბრძანებაზე „დაწექით!“ უშუალო კონტაქტს ვამყარებდი ამ ქვაფენილთან. ახლა მე ვიტენბერგში ჩამოვედი როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი და ვლაპარაკობდი დემოკრატიაზე, გერმანელთა ნებაზე, ეცხოვრათ ერთიან გერმანიაში. ომის დამთავრებიდან ორმოცდახუთი წლის შედეგ ახალი შანსი გაგვიჩნდა და შესაძლებლობა მქონდა მეც მეღვაწა ამ საპასუხისმგებლო პოსტზე ამ შანსის გამოსაყენებლად! ვიტენბერგიდან გვიან საღამოს მანქანით

ხელის ჩამორთმევა სამშობლოში. ზაქსენ-ანჰალტში მოგზაურობისას საგარეო საქმეთა მინისტრი თანამოქალაქე ქალბატონს ხვდება.

გავემგზავრეთ ლაიფციგ-ჰალეს აეროპორტისაკენ და იქიდან პირდაპირ მადრიდს გავფრინდით.

მადრიდში 2 მარტს ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ორდონესსა და პრემიერ-მინისტრს გონსალესს შევხვდი, რათა მათთან გაერთიანების პროცესის შესახებ მესაუბრა. ორივე ძალიან კეთილად იყო განწყობილი გერმანიის გაერთიანებისადმი. მადრიდიდან შაბათს უკანვე დავბრუნდი ჩრდილოგერმანიაში, როსტოკის, ვისმარის და შვერინის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად.

როსტოკში ტრიბუნაზე ჩემ გვერდით იდგა ჩემი თანასკოლელი დიტერ შტრიხი, იქაური ადვოკატი. ჩემთან მეგობრობის გამო ოთხმოციანი წლების დამდეგს მას საკმაო უსიამოვნებანი შეხვდა. ახლა ჩვენ აქ ერთად ვიდექით და მე შესაძლებლობა მქონდა როტოკის მცხოვრებთათვის მიმემართა. ისინი მხურვალე ტაშით შემხვდნენ, იგრძნობოდა, რომ მოუთმენლად მელოდნენ. იმის გამო, რომ ჩემ გვერდით შტრიხი იდგა, რომელმაც ხალხში თავისი ქალიშვილი დამანახა, ამ გამოსვლამ ჩემთვის ძალიან პირადული ნიშნით ჩაიარა.

როსტოკში ჩემი ფიქრები არნო ეშსაც დასტრიალებდა, კარლ-

ჰერმან ფლაქსის მეგობარს, რომელიც ხელადვე ომის შემდეგ როსტოკში — ისევე როგორც ვოლფგანგ ნატონეკი ლაიფციგში — საბჭოთა საოკუპაციო ზონის სტუდენტთა ლიბერალური მოძრაობის ერთ-ერთ დიდ წარმომადგენლად იქცა. მას ვოლფგანგ ნატონეკზე საშინელი ბედი ეწია: თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის გამო საბჭოთა სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა და დახვრიტა — ის მაშინ ოცი წლისა იყო. იმ ლიბერალების გახსენება, რომლებმაც დევნილობაში თავიანთ მრწამსს არ უღალატეს, მათ მიერ გაღებულ პირად მსხვერპლზე ფიქრი, საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობის უმძიმეს წუთებში მუდამ ძალას მმატებდა. ჩემს მოვალეობად ვთვლიდი, მთელი ძალით მემუშავა ახალი დემოკრატიული გერმანიისა და ევროპის საკეთილდღეოდ.

ბოლოს და ბოლოს — კანონი საგარეო უწყების შესახებ

7 მარტს საგარეო ურთიერთობათა სამსახურისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. ეს თითქმის როგორც ბედის ჭირვეულობა, ისე ჩანს, მაგრამ სწორედ ამ ისტორიულ პერიოდში, როცა ყოველი ღონისძიება გაერთიანების პროცესისკენ იყო მიმართული, მიღებულ იქნა დიდი ხნის მომზადებული კანონი, რომლის ამოქმედებას წლების განმავლობაში ვცდილობდი: საგარეო სამსახურის მოთხოვნებს, ჩვენი უწყების თანამშრომელთა მეუღლეებსა და ოჯახებს, როგორც იქნა ანგარიში გაეწია. შევძელი, ფედერალური კანცლერი, ფინანსთა მინისტრი, საგარეო საქმეთა კომიტეტის წევრები და ბოლოს ყველა ფრაქცია ამ კანონის მიღებაზე დამეყოლიებინა. 19 საათსა და 30 წუთზე შედგა კანონის განხილვა პირველი წაკითხვით.

ჯერ კიდევ 1971 წელს რეფორმის გამტარებელმა კომისიამ მოამზადა მთელი რიგი ორგანიზაციული, სამართლებრივი და პერსონალური რეკომენდაციებისა უნარიანი საგარეო სამსახურისთვის საჭირო წინაპირობების შესაქმნელად. მას შემდეგ ოცი წელი გავიდა და ჩვენი თანამშრომლების მუშაობისა და ცხოვრების პირობები მრავალ ქვეყანაში შესამჩნევად გაუარესდა, მაშინ როცა მოთხოვნები საგარეო სამსახურის მიმართ გაიზარდა. კანონპროექტი ითვალისწინებდა სათანადო ღონისძიებებს, იმ სწრაფად მიმდინარე ცვლილებების

შესაბამისს, რასაც ადგილი ჰქონდა ორასზე მეტ ქვეყანაში, სადაც ჩვენი სამსახურის ხალხი მოღვაწეობდა. პირველ რიგში ეს ეხებოდა იმ გეოგრაფიულ პუნქტებს მთელ მსოფლიოში, რომელთათვისაც სოციალური კრიზისები, პოლიტიკური არასტაბილურობა და უკიდურესად გამწვავებული კრიმინალური ვითარება, ბევრ შემთხვევაში კი სამოქალაქო ომის მაგვარი სიტუაციები გახლდათ ნიშანდობლივი. ამიტომ იყო, რომ 7 მარტს გერმანიის ბუნდესტაგის წინაშე განვაცხადე: „საგარეო უწყების თანამშრომლებისაგან ჩვენ მოვითხოვთ, რომ მათ საგანგებო მოვალეობები იკისრონ. ჩვენ გვსურს, რომ ისინი პენსიაზე გასვლამდე ყოველ წუთს მზად იყვნენ საზღვარგარეთ სამუშაოდ. ხშირ შემთხვევაში საქმე ეხება არამარტო მათი სამუშაო ადგილის შეცვლას, არამედ ჯანმრთელობისთვის სახიფათო კონფრონტაციებს და დიდ რისკს კრიმინალური და ტერორისტული ძალების მოქმედების პირობებში. დროა, ჩვენი თანამშრომლები, მათი მეუღლეები და ოჯახის წევრები სამსახურებრივად განპირობებული რისკისაგან სამართლებრივად დავაზღვიოთ“.

ამით მე მსურდა საგარეო უწყების თანამშრომელთა მეუღლეების პოზიცია განმემტკიცებინა, რათა მათ საშუალება ჰქონოდათ, სათანადო პირობები შეექმნათ თავიანთი შვილებისთვის. მეუღლეები, ანუ უმეტეს შემთხვევაში ცოლები, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყვნენ, რადგან ფაქტობრივად საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას ისინიც ისევე ექვემდებარებოდნენ, როგორც თვით ჩვენი თანამშრომლები. მრავალ შემთხვევაში ეს ნიშნავდა უარის თქმას საკუთარ პროფესიულ მოღვაწეობაზე, საკუთარ განვითარებაზე, საკუთარ შემოსავალზე. ამას ისიც ემატებოდა, რომ ისინი ხშირად დიდ დროს კარგავდნენ იმაზე, რომ მეუღლეებს პოლიტიკური დავალებების შესრულებაში ეხმარებოდნენ, რადგან საგარეო უწყების წარმატება წარმოუდგენელი იქნებოდა მათი მხრივ გულისხმიერების, თანადგომის და მსხვერპლის გაღებისთვის მზადყოფნის გარეშე. და ეს შრომა მათ მატერიალურად მანამდე არ უნაზღაურდებოდათ. ამიტომ კანონში გათვალისწინებული იყო, მართალია, არა რაღაც განსაკუთრებული, მაგრამ მაინც ნორმალური და ობიექტური – თუმცა კი მოკრძალებული – ანაზღაურება. კანონპროექტს ამით წვლილი შეჰქონდა პროფესიის პერსპექტიულობაში და იმაშიც, რომ თანამშრომლები და მათი ოჯახები სამართლებრივად მეტად იქნებოდნენ დაცული. ამ კანონით

მე შემეძლო საგარეო უწყებისთვის, ყველა მისი თანამშრომლისთვის მადლობა გადამეხადა ლოიალობის, სამოქმედოდ მზადყოფნის, მათი ადამიანური და პროფესიული კვალიფიკაციის გამო. სხვათა შორის, გერმანიის საგარეო საქმეთა უწყება ასეთი მაღალხარისხოვანი იმიტომაც არის, რომ ყოველთვის წარმატებით ხერხდებოდა პარტიულ-პოლიტიკური ზეგავლენების მოგერიება. ჩემთვის საკადრო გადაწყვეტილებების მიღებისას მუდამ მხოლოდ კვალიფიკაცია იყო უმთავრესი კრიტერიუმი.

კანონის მიღების შემდეგ თანამშრომელთა საბჭომ ერთი თანამშრომელი ქალის მიერ მოქსოვილი გრძელი, ფართო შალი მაჩუქა, რომლის ლურჯ ფონზე ამოქარგული იყო სამი ყვითელი ასო — საწყისი ასოები სიტყვებისა: საგარეო უწყების კანონი. ეს ჟესტი ყველაზე უკეთ მეტყველებდა იმაზე, თუ რას ნიშნავდა ეს კანონი ჩვენი თანამშრომლებისა და მათი ოჯახებისთვის.

ამ თვეებში ისტორიას შვებულება არ აუღია. მეორე დღესვე, 8 მარტს, დილის 9 საათზე დღის წესრიგში იდგა დებატები პოლონეთის დასავლეთი საზღვრის თაობაზე. გერმანიის ბუნდესტაგის პლენუმის წინაშე მე განვაცხადე: „თუ ეს დეკლარაცია და მომავალში დასადები ხელშეკრულება არაფერს დათმობს იქიდან, რაც ნაციონალ-სოციალისტური ძალმომრეობისა და ომის შედეგად უკვე წაგებულია, მაშინ მრავალ ადამიანს, რომლებმაც თავიანთი სამშობლო იმ დროს დაკარგეს და არა დღეს, იგი გულის სიღრმემდე შეძრავს. ვისაც თავისი სამშობლო უყვარს, ამ გრძნობებს კარგად გაიგებს. ეს გრძნობები ჩვენს პატივისცემას იმსახურებს, როგორც ის წვლილი, რომელიც დევნილებმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამეურნეო აღმშენებლობაში, ჩვენი თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებასა და ჩვენს აღმოსავლელ მეზობელთან შერიგებაშიც შეიტანეს. ახლა ჩვენს წინაშე დგას ამოცანა, ორივე გერმანულ სახელმწიფოსა და გერმანიისთვის პასუხისმგებელ ოთხ ქვეყანას შორის მოლაპარაკებებზე გერმანიის გაერთიანების საგარეო ასპექტები განვიხილოთ. პოლონეთის მისამართით მე მსურს აქ გერმანული მხარის სახელით ხაზგასმით აღვნიშნო ის, რაც პრეზიდენტმა ბუშმა თქვა: „ჩვენ ამ ჩარჩოს ფარგლებში არ მივიღებთ არავითარ გადაწყვეტილებას პოლონეთის შესახებ მისივე მონაწილეობის

გარეშე. ჩვენი მიზანია, ექვსმა სახელმწიფომ ევროთათბირის წევრი ოცდათხუთმეტი ქვეყნის ლიდერთა თავყრილობას ისეთი შედეგი წარუდგინოთ, რომელიც სრულად შეესაბამება ევროთათბირის ყველა პრინციპს და ამის გამო ყველასათვის მისაღები იქნება".

მას შემდეგ, რაც ჩემს ბიუროში სახელმწიფო მდივან ლაუტენშლაგერთან ვისაუბრე, ჰალეში გავემგზავრე. რაინჰარდ აპელის ტელეგადაცემა „ჟურნალისტები ეკითხებიან – პოლიტიკოსები უპასუხებენ" ჩემი ძველი სკოლის სააქტო დარბაზში მოეწყო. უკეთეს ადგილს საამისოდ ვერავინ გამოძებნიდა, თუმცა უნდა გამოვტყდე, კურტ ფიშერის სახელობის სკოლა ყურში ცუდად მხვდებოდა. ფიშერმა გდრ-ში სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნისას განსაკუთრებული სიმკაცრით გამოიჩინა თავი. და, აი, ჩემი ძველი სკოლისთვის მისი სახელი დაურქმევიათ! და მაინც – დარბაზში გამეფებულმა სულისკვეთებამ დამატყვევა.

გადაცემა იმისთვის გამოვიყენე, რომ საჯაროდ გამომეთქვა ჩემი შეხედულებანი გერმანიის ერთიანობის საკითხზე. „ოდნავადაც არ მეეჭვება",– ვთქვი მე მაშინ,– „რომ გდრ-ის თავისუფლად არჩეული მთავრობა, რომელსაც ისეთივე პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორიც ფედერალურ მთავრობას, არ შეეცდება, ვინმე მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენოს. პირიქით, ჩვენ გვიხარია, რომ განმათავისუფლებელმა რევოლუციამ შუა და აღმოსავლეთ ევროპაში და აქაც, გდრ-ში, გზა გაუხსნა გერმანიის გაერთიანებას. და ჩვენ ეს გაერთიანება გვჭირდება მეზობლებთან ჰარმონიული თანაცხოვრებისთვის. ჩვენ ის კი არ გვინდა, ჩვენმა გაერთიანებამ პრობლემა შუქმნას სტაბილურობას ევროპაში, არამედ ჩვენი სურვილია, რომ მან – პირიქით – განამტკიცოს ევროპის სტაბილურობა".

გადაცემის შემდეგ მონაწილეობა მივიღე ლაიფციგში გამართულ მიტინგში და სიტყვით გამოვედი ძველი საიმპერიო სასამართლოს შენობის წინ. ამ შენობის ერთ-ერთ გვერდითა ფლიგელში 1949 წელს ჩემი პირველი იურიდული საგამოცდო წერითი სამუშაოები შევასრულე. აქედან კოპენჰაგენისკენ გავფრინდი, სადაც საგარეო საქმეთა მინისტრი ელემან-იენსენი მუდამ და ყოველგვარი პირობის გარეშე უჭერდა მხარს გერმანიის გაერთიანებას, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით დანიის მთავრობის ყველა მაშინდელი წევრის მიმართ.

მას შემდეგ, რაც ელემან-იენსენს „ორი პლუს ოთხი“ მოლაპარაკების მზადების შესახებ მივაწოდე ინფორმაცია, და, გარდა ამისა, საერთო სადილზე პრემიერ-მინისტრ შლიუტერსა და დანიის ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შევხვდი, გერმანიისაკენ გამოვეშურე — საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად.

დრეზდენის აეროპორტის VIP-ის ოთახში იქაურ ბიურგერ-მაისტერს შევხვდი, კაცს, რომელიც გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიაში რეფორმისტად ითვლებოდა. შესაძლებლობა მოგვეცა მცირე ხნით გვესაუბრა, უწინარეს ყოვლისა ქალაქის პრობლემებზე ვილაპარაკეთ. შემდეგ განვაგრძე მგზავრობა კოტბუსისა და ჰოიერსვერდასკენ. კოტბუსში, ვიდრე სიტყვით გამოსვლები დაიწყებოდა, ხალხი მღეროდა სიმღერას „ბრანდენბურგის ველი, ბრანდენბურგის ქვიშა“; მეც მძლავრად ავყევი. იქ მყოფნი განცვიფრებულნი დარჩნენ, რომ მე, ჰალეს მცხოვრებმა, ეს ტექსტი ვიცოდი. ბავშვობისას ამ სიმღერას, რომელიც არც აზრით, არც წარმოშობით ნაციონალ-სოციალისტური არ იყო, ხშირად ვმღეროდი იუნგფოლკში*. მაშინ მე ეს ძველი ბრანდენბურგული სიმღერა მეგონა, მოგვიანებით შევიტყვე, რომ ის ოციან წლებში შექმნილა.

საარჩევნო კამპანიის დღეები დაძაბული იყო. ამავე დროს შესაძლებლობა მეძლეოდა, ჩემი ძველი სამშობლო მეხილა, ადამიანებისა და ლანდშაფტებისთვის ხელახლა შემევლო თვალი, ხელახლა მომესმინა მათთვის და — უწინარეს ყოვლისა — თავიდან შემესწავლა ისინი. ცოტა ხნის შემდეგ მაგდებურგს გავემგზავრე მიტინგში მონაწილეობის მისაღებად. ორი საათის შემდეგ კი ბერნბურგში, მერე კი კიოთენში ვილაპარაკე. 1951 წელს მე აქ რამდენიმე თვეს მომხსენებელ მოსამართლედ ვმუშაობდი. მაგრამ პიროვნული რემინისცენციებისთვის ბევრი დრო არ მრჩებოდა. კიოთენიდან შვეულმფრენით უკანვე დავბრუნდი ბონს, სადაც საღამოს ორმოცდამეათე დაბადების დღეს ზეიმობდა იორგენ ხრობოგი, ჩემი პრესმდივანი და შემდგომ საგარეო ურთიერთობათა სამსახურის პოლიტიკური დირექტორი. მრავალი წლის განმავლობაში ხრობოგი ჩემი უახლოესი პირადი მრჩეველი იყო; მის სიტყვას ჩემთვის დიდი წონა ჰქონდა და აქვს. იგი გამოირჩევა პროფესიული კომპეტენტურო-

---

* იუნგფოლკი — ბავშვთა ფაშისტური ორგანიზაცია. (რედ.)

ბით, საქმიანობით და პირდაპირობით. ის ბუნებრიობა, რითაც იგი ჩემ წინაშე თავის, არცთუ იშვიათად ჩემგან განსხვავებულ, შეხედულებას გამოთქვამდა, ყოველთვის მომწონდა. ჟურნალისტებიც პატივს სცემდნენ მას — უწინარეს ყოვლისა მისი საქმიანი და სერიოზული ინფორმაციული მუშაობის გამო. ის თავის ამოცანას ინფორმირებაში ხედავდა და არა იმაში, რომ ჩემი იმიჯმეიკერის როლი შეესრულებინა. მისგან წარმოუდგენელი იყო ბონში სამწუხაროდ ესოდენ გავრცელებული აკრძალული ილეთებით ბრძოლა.

მომდევნო კვირადღე თავისუფალი მქონდა — ეს ნიშნავდა: რამდენიმე სქელი საქაღალდე მელოდებოდა. წინა პლანზე, ბუნებრივია, მოლაპარაკებანი „ორი პლუს ოთხი" იდგა, მაგრამ სხვა მრავალი პრობლემაც — ყოველდღიური, მაგრამ მნიშვნელოვანი სამსახურებრივი საკითხების მოგვარება — მოითხოვდა ყურადღებას, კონტროლს და გადაწყვეტილების მიღებას.

ორშაბათს, 1990 წლის 12 მარტს, 11 საათზე იოხენ ფოგელისა და ვილი ბრანდტის თხოვნით მივიღე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გდრ-დან, იბრაჰიმ ბიომე. მან ჩემზე მორიდებული და დაფიქრებული კაცის შთაბეჭდილება დატოვა. ვის შეეძლო იმ მომენტში სცოდნოდა, რომ მას ძალიან მალე თავისი წარსული წამოეწეოდა. პრინციპში — შეიძლებოდა ასე გვეთქვა — ის განასახიერებდა პოლიტიკური ცხოვრების ტრაგედიას და უბედურებას გდრ-ში, და ამავე დროს ისიც უნდა გვქონდეს მხედველობაში, რაოდენ თავდაჯერებულად გამოაქვთ ზოგჯერ გერმანიის დასავლეთში ნაჩქარევი დასკვნები. თავდაჯერებულობას კი სამართლიანობასთან არაფერი აქვს საერთო, ხშირად იგი ახალი უსამართლობის საწინდარია.

შუადღისას ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰერდს ვესაუბრე გერმანიის გაერთიანებისა და ევროგაერთიანების პრობლემებზე; ნაშუადღევს ამას მოჰყვა მოლაპარაკება ამერიკელ სენატორებთან საგარეო საქმეთა სამსახურის მცირე საკონფერენციო დარბაზში. ეს შეხვედრები, ისევე, როგორც ჩემი გამგზავრება მეორე დღეს პარიზში ჩემს კოლეგა დიუმასთან, ერთ მიზანს ემსახურებოდა: ჩვენს პარტნიორებსა და მოკავშირეებთან უმჭიდროეს კონტაქტში „ორი პლუს ოთხის" ფარგლებში განსახილავი საკითხები

თანმიმდევრულად მოგვემზადებინა და შეგვეთანხმებინა.

14 მარტს კვლავ შევხვდი პროფესორ კესლერს და თავიდან ყველაფერს კარგი პირი უჩანდა. მაგრამ, როგორც მალე გამოირკვა, თურმე ვცდებოდი.

დღის განმავლობაში გერმანიის გაერთიანების სამთავრობო კომიტეტში ებჭობდით ორი გერმანიის ურთიერთობის საკითხებზე. ამის შემდეგ მივესალმე „ორი პლუს ოთხი" მოლაპარაკების დელეგაციათა ხელმძღვანელებს. ეს მოლაპარაკება ბონში დაიწყო მოხელეთა დონეზე. დიტერ კასტრუპმა მირჩია, პირადად მივესალმებოდი დელეგაციათა ხელმძღვანელებს, მით უფრო, რომ ყველა მათგანს კარგად ვიცნობდი; სწორედ მათ აწვათ მხრებზე მუშაობისა და პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე მოსამზადებელ ფაზაში. ფოიეში ამ შეხვედრის ამსახველი სურათები გადავიღეთ. საღამოს კვლავ საარჩევნო ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად გავემგზავრე, ამჯერად ცვიკაუსა და ციაცში დაგეგმილ მიტინგებზე.

იქიდანვე წავედი ერთ სახელმწიფო ვიზიტში მონაწილეობის მისაღებად, რომელსაც განსაკუთრებული სიამოვნებით ვიგონებ. ფედერალურ პრეზიდენტთან ერთად ვეწვიე პრაღას, სადაც პრეზიდენტ ჰაველთან და საგარეო საქმეთა მინისტრ დინსტბირთან ვისაუბრე. 1989 წლის 30 სექტემბრის შემდეგ ეს ქალაქი ჩემთვის კიდევ უფრო მეტს ნიშნავდა. პრაღა მუდამ იყო ჩემთვის ყველაზე ევროპული ევროპულ ქალაქთა შორის, მაგრამ ახლანდელი სტუმრობა სულ სხვაგვარი იყო — და სულ სხვაგვარი იყო შეხვედრა ვაცლავ ჰაველთან, როგორც რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტთან.

გზად „ორი პლუს ოთხისაკენ": ბეიკერსა და შევარდნაძესთან ერთად უინდჰუკში

1990 წლის 20 მარტს გავფრინდით უინდჰუკში, ნამიბიის დედაქალაქში, რომელმაც 1990 წლის 21 მარტს მოიპოვა დამოუკიდებლობა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასმესამოცე წევრი ქვეყანა გახდა. ამ საბაბით ჩამოვიდნენ უინდჰუკში ჯიმ ბეიკერი, ედუარდ შევარდნაძე, მრავალი სხვა კოლეგა და მეც მათთან ერთად. ამ მოგზაურობამ დიდი კმაყოფილება მომანიჭა,

რადგან სამოცდაათიანი წლების ბოლოდან აქტიურად ვუჭერდი მხარს ნამიბიის დამოუკიდებლობას. გაეროს უშიშროების საბჭოს საკონტაქტო ჯგუფის შემადგენლობაში აშშ-სთან, საფრანგეთთან, დიდ ბრიტანეთთან და კანადასთან ერთად ვიმუშავეთ ამ მიმართულებით, რისთვისაც გერმანიაში სასტიკად მაკრიტიკებდნენ. კრიტიკა ეხებოდა ჩემს შეხვედრებს სამ ნუიომასთან, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ხალხთა ორგანიზაციის (SWAPO) პრეზიდენტთან, რომელსაც მე რამდენჯერმე შევხვდი ბონში და საზღვარგარეთ. გერმანიის საგარეო პოლიტიკა გადაჭრით უჭერდა მხარს ნამიბიის დამოუკიდებლობას და იქ სტაბილური დემოკრატიული სისტემის აღმშენებლობას; ჩვენი კონსტიტუციის ფასეულობათა სისტემას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის დაძლევითა და ნამიბიაზე სამხრეთ აფრიკის კოლონიური ბატონობისთვის ბოლოს მოღებითაც უნდა დაემტკიცებინა თავისი სანდოობა. მაგონდება ის ბრძოლები, რომლებიც გადამხდა უინდჰუკში ჩვენი საკონსულოს დახურვის შემდეგ: საკონსულო ზედამხედველობა ადვოკატთა ბიურომ განაგრძო, ამიტომ პრაქტიკულად არავინ დაზარალდებოდა. საკონსულოს დახურვით გამოვხატეთ ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება ნამიბიაზე სამხრეთ აფრიკის ბატონობის გამო. ხოლო ამ პოლიტიკას წილად ხვდა კრიტიკა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და — განსაკუთრებით — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის მხრივ. როცა 1990 წლის 21 მარტს სამ ნაიომა — მრავალთა მიერ, თვით გერმანიაშიც, დიდხანს „ტერორისტად" შერაცხული — პრეზიდენტი გახდა, არც ფედერალურ მთავრობას და არც გერმანულ დიპლომატიას წარსულში თავისი საქციელისთვის ბოდიშის მოხდა არ დასჭირვებია.

23 საათზე სტადიონზე დაიწყო დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ზეიმი; ჩვენ დიდი აღფრთოვანებისა და დიდი სიამაყის მოწმენი გავხდით — მარტო ესეც კმაროდა იმათ შეფასებათა მცდარობის წარმოსაჩენად, რომლებიც მე რასისტული ქედმაღლობით ყოველთვის მისაყვედურებდნენ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ხალხთა ორგანიზაციისა და აფრიკის ნაციონალური კონგრესის მხარდაჭერის გამო. „One man, one vote" („ერთი კაცი, ერთი ხმა") — ეს პრინციპი, მათი აზრით, იმ ქვეყნებში, სადაც თეთრკანიანები და შავკანიანები ერთად ცხოვრობენ, განუხორციელებელია, რადგან, მათი აზრით, შავკანიანები მზად არ არიან დემოკრატიისთვის. ამის მტკიცება

გერმანელთა მიერ ყოველივე იმის შემდეგ, რაც 1933-1945 წლებს შორის მოხდა, მეტისმეტად თავდაჯერებულად და ქედმაღლურად ეღერდა.

უინდჰუკმა შესაძლებლობა მომცა, კიდევ ერთხელ მელაპარაკა ჯიმ ბეიკერსა და ედუარდ შევარდნაძესთან. ჩემს საბჭოთა კოლეგასთან ერთად ვიჯექი ჩვენი რეზიდენციის ბაღში, საჩრდილობელი ქოლგის ქვეშ; მხოლოდ თითო თანამშრომელი (მე ფრანკ ელბე მახლდა) და თარჯიმნები იყვნენ ჩვენთან ერთად. განვიხილეთ მრავალი პრობლემა, გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებული, და მე დავრწმუნდი, შევარდნაძის სურვილი აშკარად ის იყო, თავისი ქვეყნის თანხმობის წინაპირობად პოტსდამის შეთანხმება და მისი შესრულება ექცია. „ჩვენ ფანქრით ხელში პუნქტ-პუნქტად უნდა ჩავიკითხოთ პოტსდამის შეთანხმება და მოვნიშნოთ საჭირო პუნქტები", — თქვა მან, — რამაც ჩვენ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში 1949 წლამდე გატარებულ საექსპროპრიაციო ღონისძიებებამდე მიგვიყვანა, ე.წ. მიწის რეფორმამდე, მაგრამ სხვა სახის ექსპროპრიაციებამდეც. როგორც ჩანდა, ისინი უნდა წარმოჩენილიყო არა სოციალისტურ საზოგადოებრივ წესრიგსა და სამეურნეო სისტემაზე გადასვლის მოსამზადებელ ღონისძიებებად, არამედ ფაშიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ მიმართულ, პოტსდამის შეთანხმებით გათვალისწინებულ აქციებად, რომლებიც ამის გამო შემდგომ უკანონოდ და ძალადაკარგულად აღარ ჩაითვლებოდა. ეს ის საკითხი იყო, რომელსაც მოლაპარაკებათა შემდგომ პროცესში კვლავ მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა. მაგრამ უკვე უინდჰუკში შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ამ საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა ღია დაგვეტოვებინა ის კარები, რომლის გავლითაც ექსპროპრიაციის შედეგად დაზარალებულთათვის ზარალის ანაზღაურებამდე მივიდოდით. მხოლოდ მოგვიანებით გამოჩნდა, რომ ექსპროპრიაციის საკითხი ორი გერმანიის ურთიერთობის პრობლემასაც შეიცავდა, ხოლო ზარალის ანაზღაურების საკითხი პრობლემას წარმოადგენდა კოალიციის შიგნითაც.

შევარდნაძის სიტყვით, პოტსდამის შეთანხმება კვლავინდებურად ბევრს ნიშნავდა საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა პოლიტიკისთვის. და რაკი ეს შეთანხმება მომავალ საზავო ხელშეკრულებას ითვალისწინებს, მინდა ეს საკითხი „ორი პლუს ოთხი" მოლაპარაკების მსჯელობის საგნად ვაქციოო. მოლაპარაკებები მოხელეთა დონეზე

უკვე დაწყებული იყო; საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი აქებდა დირექტორთა კონტაქტუნარიანობას. დღის წესრიგი ახლავე უნდა დადგინდეს იქ, რათა შემდეგ მინისტრებს აღარ მოუწიოთ მასზე მსჯელობაო.

ეს პროცედურული შენიშვნები პროგრესის ნიშანი იყო. კონფერენციათა უმეტესობა, რომლებზეც წარსულში გერმანიის საკითხი უნდა განხილულიყო, იმის გამო ჩაიშალა, რომ დღის წესრიგზე ვერ მოხერხდა შეთანხმება. თუკი შევარდნაძე ამ საკითხის გადაწყვეტას მოხელეებს ანდობდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მოსკოვი მას პოლიტიკური დავის საგნად აღარ მიიჩნევდა. აშკარა იყო, რომ ის აღარც მოლაპარაკებათა ბლოკირების საშუალებად იქნებოდა გამოყენებული, რაც მე იმედიან განწყობას მიქმნიდა. მაგრამ საზავო ხელშეკრულების ქცევა დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ პუნქტად მე მიუღებლად მივიჩნიე. შევარდნაძის შენიშვნა, „ყოველივე შემდგომ საზავო ხელშეკრულებამ უნდა მოაწესრიგოსო", აღარ იყო დროის შესაფერისი და ამდენად მიუღებელი გახლდათ. მე ამის საწინააღმდეგოდ განვაცხადე: „საზავო ხელშეკრულება წარსულის ცნებაა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისტორია სხვაგვარად განვითარდა; ორი გერმანული სახელმწიფო წარმოიქმნა, მაგრამ ჩვენ ერთ ხალხად დავრჩით. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ნატოსა და ევროგაერთიანების წევრია, ჩვენ ხელშეკრულებები გვაქვს დადებული საბჭოთა კავშირთან, პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან და გდრ-თან. რაც ახლა გერმანიასა და ევროპაში ხდება, სრულ თანხმობაშია ჰელსინკის დასკვნით აქტთან. ჩვენ ახალ ევროპას ვაშენებთ. საზავო ხელშეკრულება ამ ვითარებაში უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა".

და მე განვაგრძე: „მოლაპარაკებები „ორი პლუს ოთხი" უჰაერო სივრცეში არ უნდა შედგეს; მან ერთმანეთთან უნდა დააკავშიროს გერმანული და ევროპული პოლიტიკის სამომავლო პერსპექტივები". შემდეგ დავასახელე ამ მოლაპარაკებებისთვის მნიშვნელობის მქონე სამი საერთოევროპული მოვლენა: ერთი იყო ევროთათბირის ეკონომიკური კონფერენცია, რომელიც მოკლე ხანში უნდა გამართულიყო ბონში და სადაც უმთავრესი საკითხი ეკონომიკური თანამშრომლობა იქნებოდა, მეორე გახლდათ განიარაღებაზე მოლაპარაკებები ვენაში, ხოლო მესამე — ახალი პერსპექტივა ევროთათბირისათვის აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქტს მიღმა.

ამ საკითხებზე შევარდნაძეს განსხვავებული შეხედულებები არ ჰქონია, მაგრამ კიდევ ერთხელ დაუბრუნდა საზავო ხელშეკრულების თემას. „ასეთი ხელშეკრულება საერთოევროპული პროცესის საწინააღმდეგო რამ ხომ არ იქნება?“ იკითხა მან. უნდა მიიღოს თუ არა მასში მონაწილეობა ომის ყველა ყოფილმა მონაწილემ — ნამიბიის ჩათვლით, თუმცა იგი ჯერ მხოლოდ ერთი დღის არის?— შევუბრუნე მე შეკითხვა. საგარეო საქმეთა მინისტრს ვერ შეატყობდით, იღიმებოდა თუ დაღლილობა ეწერა სახეზე. მაინც, ეტყობა, სწორად გამიგო. შემდეგ მან განაგრძო: „მესმის, რომ გერმანია ნატოს ვერ დატოვებს“. მე ყურადღება დავძაბე. ამ ნათქვამში იდო ფარული, მაგრამ ჩემთვის კი საკმაოდ ნათელი შინაარსი: გაერთიანებული გერმანიის დატოვება ნატოს წევრად! შევარდნაძემ განაგრძო: „მეორეს მხრივ, საბჭოთა კავშირი ვერ შეურიგდება ვარშავის ხელშეკრულების გაუქმებას. მაშინ ბალანსი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაირღვევა“. ასე გამოიკვეთა სამი რამ: ერთი ის, რომ გერმანიის საკითხის პერსპექტივა ჩემი საბჭოთა კოლეგისთვის აშკარად გარკვეული იყო. მეორეც: ის შიშობდა, რომ ვარშავის ხელშეკრულება გაუქმდებოდა, შიშობდა კი არა — იგი მოელოდა ამას. და მესამე: მან მიმახვედრა, რომ გერმანიას არ შეეძლო ნატოდან გამოსვლა და არც გამოვიდოდა; ეს კი ბალანსს დაარღვევდა, ამიტომ მისი გაწონასწორებისთვის ერთობლივად უნდა გვეზრუნა.

მისი გამონათქვამების ტონსა და ფორმას ამავე დროს ეტყობოდა, რომ საბჭოთა კავშირში არსებობდა ისეთი პოლიტიკური ძალები, რომლებისაც მას ეშინოდა. კვლავ და კვლავ საყვედურობდნენ მას და გორბაჩოვს, თქვენი რეფორმატორული პოლიტიკით ისეთ გზას ადგახართ, რომ მნიშვნელოვან საგარეოპოლიტიკურ პოზიციებს საჭიროების გარეშე დათმობთო. უსაფრთხოების გარანტიები, რასაც აქამდე სოციალისტური სისტემის არსებობა იძლეოდა, აღარ იყო, და თუმცა გდრ-ის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ იდგნენ საბჭოთა ჯარები, მათი იქ ყოფნა თვით შევარდნაძესაც კი პრინციპულად აღარ მიაჩნდა დროის შესაფერის მოვლენად; უეჭველია, იგი ელოდა ანტისაბჭოთა დემონსტრაციებს, მეტიც — ძალადობებს წითელი არმიის მიმართ. არც ერთ ხალხს არ შეუძლია დიდ ხანს აიტანოს უცხო ქვეყნის ჯარების ყოფნა თავის ტერიტორიაზეო,— განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა. მე მას ამ საკითხში დავეთანხმე,

თუმცა, ჩემი აზრით, მოსახლეობის ანტისაბჭოთა გამოსვლები არ იყო მოსალოდნელი.

ჩვენს საუბარში მე შევეცადე ჩემი საბჭოთა კოლეგის ყურადღება იმაზე გამემახვილებინა, თუ რაოდენ სარგებლობას მოუტანდა გაერთიანებული გერმანია მის ქვეყანას. „საშინელი ომების მიუხედავად ჩვენი ხალხები ერთმანეთის მოსისხლე მტრები არასოდეს ყოფილან. ეს მნიშვნელოვანი საფუძველია მომავალი განვითარებისა; ამიტომ ჩვენ მშვიდად უნდა განვიხილოთ ამ საკითხის ყველა ასპექტი. გერმანიის გაერთიანება საბჭოთა კავშირსაც მოუტანს სარგებლობას", ვთქვი მე და განვაგრძე: „ჩვენი სახელმწიფოების ინტერესები ბევრწილად ერთმანეთს ემთხვევა. ეკონომიკური პოტენციალი მომავალი ერთობლივი მუშაობისთვის პრაქტიკულად ამოუწურავია". შევარდნაძე დამეთანხმა.

21 მარტს, ეს ჩემი დაბადების დღე იყო, ჯიმ ბეიკერი მოვიდა ჩვენს რეზიდენციაში; მან მომილოცა ეს დღე მეგობრულად და პირადად. მაშინ სამი დღე იყო გასული სახალხო პალატის პირველი თავისუფალი არჩევნებიდან; ბეიკერმა კმაყოფილება გამოთქვა არჩევნების ნორმალურად დამთავრების გამო. მე მას ვუთხარი, რომ როგორც ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა, ასევე ლიბერალებმა გდრ-ში მხარი დაუჭირეს ფედერალური მთავრობის პოზიციას გაერთიანებული გერმანიის ნატოს წევრად დარჩენის თაობაზე. შევარდნაძეს ახლა თავის ქვეყანაში მომეტებულად გააკრიტიკებენ, რადგან იგი, მისი მოწინააღმდეგეების აზრით, ზედმეტ გულისხმი-ერებას იჩენს გერმანიის საკითხის მიმართ-მეთქი. ბეიკერმა ამაზე თქვა, ჩვენი საბჭოთა კოლეგა ნერვიულობს იმის გამო, რომ გერმანიის საკითხის განვითარება ესოდენ სწრაფად მიიწევს წინ; მართლაც, შიდაპოლიტიკური ვითარების გამო მისთვის ძნელი იქნება, გაერთიანებული გერმანიის ნატოს წევრად დარჩენას დაუჭიროს მხარი. ამიტომ იხრება თვითონ უფრო ნეიტრალიტეტისკენო.

ჩემი ცნობების მიხედვით, შევნიშნე მე, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი და პოლონეთიც წინააღმდეგნი არიან გაერთიანებული გერმანიის ნეიტრალიტეტისა: შედეგი გამოიღო ჩემმა მცდელობამ, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენს აღმოსავლელ მეზობლებს განვუმარტავდი, რაოდენ სასარგებლო იქნებოდა მათი სტაბილურობისთვის გერმანიის ნატოში დარჩენა. გარდა ამისა, ხაზს ვუსვამდი აშშ-ის ევროპაში

კვლავაც დარჩენის და საერთოევროპულ სტრუქტურებში ჰარმელის მოხსენების სულისკვეთების შესაბამისად მისი მონაწილეობის საჭიროებას. ბუნდესვერის პერსპექტივასთან დაკავშირებით მივუთითებდი, რომ ჯარისკაცთა რაოდენობას შემლებისდაგვარად შევამცირებდით; მაგრამ ეს არ უნდა იყოს-მეთქი „ორი პლუს ოთხი" მოლაპარაკებების განხილვის საგანი. უნდა ავაცილოთ საგანგებო სტატუსი გერმანიას, რისთვისაც უმჯობესია, ამ თამაზე ვენაში, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ გამართულ შეხვედრაზე მოვილაპარაკოთ და ეს საკითხი ყველა მონაწილისთვის სავალდებულო შეზღუდვების ფართო ურთიერთკავშირში ჩავრთოთ-მეთქი. სხვათა შორის, ბეიკერიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სასაზღვრო საკითხის მოგვარებას პოლონეთთან.

უინდჰუკში, როგორც სხვა ადგილას უკვე აღვნიშნე, პირველად შევხვდი ნელსონ მანდელას. სამხრეთ აფრიკის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დიდი ხნის წინ დავამყარე კონტაქტი. უპირველეს ყოვლისა მანდელას ბედი მაღელვებდა; ვცდილობდი, ყველაფერი შემეტყო მის შესახებ. ამასობაში განმიმტკიცდა რწმენა, რომ იგი სამართლიანად უწოდებდა თავის თავს პოლიტიკურ პატიმარს, რომ ის მკვლელობის გამო არ იჯდა, როგორც სამხრეთ აფრიკის რასისტული ხელისუფლება და იმ ხელისუფლების მიმართ გერმანიაში სიმპათიით განწყობილი ადამიანები ირწმუნებოდნენ. მისი პატიმრობისას ემიგრაციაში მყოფი აფრიკის ნაციონალური კონგრესის ხელმძღვანელის ფუნქციას ოლივერ ტამბო ასრულებდა, რომელიც 1977 წელს მივიღე ბონში.

განუწყვეტლივ ვიღვწოდი ნელსონ მანდელას განთავისუფლებისთვის. ვურჩევდი სამხრეთ აფრიკის მთავრობას, ასეთი ავტორიტეტისა და მნიშვნელობის მქონე ადამიანი სასწრაფოდ გაეთავისუფლებინათ პატიმრობიდან. მას შეეძლო პარტნიორობა გაეწია მოლაპარაკებებისას, მისი ავტორიტეტის გამოყენებით ისე შეიძლებოდა ვითარების მოგვარება, რომ თეთრკანიან უმცირესობასაც კარგი სამომავლო შანსები შერჩენოდა. ცხადია, ამგვარ მოსაზრებებს სამოცდაათიანი წლების შუა ხანებში ფედერაციულ რესპუბლიკაშიც და სამხრეთ აფრიკაშიც უნდობლად ეკიდებოდნენ. მხოლოდ ძალიან დიდი ხნის შემდეგ გაათავისუფლეს მანდელა. ის გახდა თვალსაჩინო ლიდერი

სამხრეთ აფრიკაში და ის იყო მთავარი პარტნიორი პრეტორიის თეთრ მთავრობასთან მოლაპარაკებების პროცესში, როცა აპარტეიდიდან სამხრეთ აფრიკის გამოყვანას ეხებოდა საქმე. დღეს იგი კანონიერად არჩეული პრეზიდენტია, რომელმაც შესაძლებელი გახადა მშვიდობიანი გადასვლა ახლებურ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე.

1990 წლის 29 მარტს მანდელამ ჩემთან შეხვედრისას მადლობა გადაუხადა გერმანიის ყველა პოლიტიკურ ძალას, რომლებიც წლების განმავლობაში ბეჯითად მოითხოვდნენ მის განთავისუფლებას. მან იცოდა, რომ მე სამხრეთ აფრიკის მთავრობასთან მოლაპარაკებებისას, აგრეთვე გაეროსა და ევროგაერთიანებაში გამოსვლების დროს მის თავისუფლებას ვითხოვდი. როცა მანდელა ჩემ შესახვედრად გამოეშურა, ვიგრძენი, რომ ჩემ წინაშე მნიშვნელოვანი პიროვნება იმყოფებოდა. მან პატივისცემით მოიხსენია სამხრეთ აფრიკის ახალი პრეზიდენტი დე კლერკი; მანაც, როცა მე მას რამდენიმე საათის შემდეგ შევხვდი, მანდელას შესახებ დიდი მოწიწებით ისაუბრა.

სხვა სამხრეთაფრიკელი შავკანიანი ლიდერის, ნაციონალურ-კულტურული განმათავისუფლებელი მოძრაობის (INKATHA) და ზულუთა მეთაურის, ბუთელეზის მიმართ მე არ მქონია ისეთი პოზიტიური დამოკიდებულება, როგორიც მანდელასა და დე კლარკისადმი გამაჩნდა. კვლავ და კვლავ მთავაზობდნენ მას მოლაპარაკებების პარტნიორად გერმანიისა და სამხრეთ აფრიკის კონსერვატიული წრეები. ბუნებრივია, მე მივიღე ბუთელეზი ბონში, ისევე როგორც ნამიბიის სპორტულ დარბაზთა წარმომადგენელი დირკ მაჯი მივიღე, ანდა ნკომო ზიმბაბვედან. მაგრამ ბუთელეზი ტომობრივი კატეგორიებით აზროვნებდა, მას ეშინოდა დემოკრატიული და ეროვნული ორიენტაციის მქონე კონკურენციისა, რასაც სამართლიანად ელოდა მანდელას მხრივ. ჩემთვის მთლად ნათელი არც ის იყო, რამდენად დაეჯერებოდა იმ ხმებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, ბუთელეზს თეთრკანიან უმცირესობის მთავრობასთან უფრო მჭიდრო კონტაქტები აქვს, ვიდრე ეს გარეგნულად ჩანსო.

ნამიბიიდან დაბრუნების შემდეგ გავქანდი ევროსაბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო კონფერენციაზე ლისაბონში, სადაც 23 და 24 მარტს განიხილებოდა ცვლილებები შუა და აღმოსავლეთ ევროპაში. ევროსაბჭოს ის დემოკრატიული ევროპული ქვეყნებიც

ეკუთვნიან, რომლებიც ნატოს და ევროგაერთიანების წევრები არ არიან. კოლეგათა ამ წრეში მსურდა გერმანული საკითხი დაწვრილებით და კეთილმეზობლობის ასპექტით განმეხილა. ყველამ გულისხმიერება გამოიჩინა, ასე რომ, კონფერენციის დამთავრების შემდეგ შემეძლო მეთქვა, ეს ერთი ბედნიერი დღე იყო ევროპისთვის-მეთქი. ჩემი წინადადება, ევროთათბირის მფარველობით სისტემატურად ჩატარებულიყო საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრები და შექმნილიყო ერთი ცენტრი სადავო საკითხთა მოსაგვარებლად, ხოლო მეორე — განიარაღებაზე კონტროლის დასამყარებლად, ამასთანავე დაარსებულიყო გარემოს დაცვის სააგენტო, მოწონებული და მიღებული იქნა. ახალ ევროპულ არქიტექტურაზე მუშაობისას ევროსაბჭოსაც დიდი როლი უნდა ეთამაშა, ვითარცა ადამიანის და უმცირესობათა ინტერესების დამცველს, კულტურული ურთიერთთანამშრომლობის ხელშემწყობს და საერთოევროპული სამართლებრივი სივრცის ორგანიზატორს.

კონფერენციაზე, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა, მე მხოლოდ პირველ დღეს შევძელი მონაწილეობის მიღება. 23 მარტს დასავლეთევროპული კავშირის საგანგებო სხდომაზე, რომელიც ლუქსემბურგის კირხბერგზე უნდა გამართულიყო, გერმანიის გაერთიანების პროცესის მიმდინარეობის შესახებ უნდა მელაპარაკა. იქ მე ღირსეული შეფასება მივეცი დასავლეთევროპული კავშირის მუშაობას, რომელსაც მართებდა ანგარიში გაეწია ცვლილებებისათვის და გავიხსენე ისტორიული საგანგებო სხდომა რომში, რომლის შემდეგ ხუთ წელიწადზე მეტი იყო გასული. მაშინ ჩვენ დასავლეთევროპულ კავშირს — უპირატესად საფრანგეთისა და გერმანიის ინიციატივით — ახალი იმპულსი შევძინეთ. გაერთიანების პროცესი, ვთქვი მე, სულდგმულობს მშვიდობისა და თავისუფლებისკენ გერმანელი ხალხის დიდი მისწრაფებით, რაშიც ყველა დარწმუნდება, ვინც ფხიზელი თვალით შეხედავს იმას, რაც გერმანიაში ხდება. ჩვენ, გერმანელებს, სხვა არაფერი გვსურს, გარდა იმისა, რომ თავისუფლებასა და მშვიდობაში ვიცხოვროთ ჩვენს მეზობლებთან ერთად-მეთქი.

შემდეგ განვაგრძე: „გერმანიის ერთიანობა ევროპის გარეშე არ გამოვა. ასევე არც ევროპის ერთიანობა გამოვა გერმანიის გვერდის ავლით". ამასთან დაკავშირებით მოვითხოვე ახლებური დინამიკა ევროპული ერთიანობისთვის ევროგაერთიანების ფარგლებში. საზღ-

ვრების საკითხთან დაკავშირებით გავიმეორე ბუნდესტაგის გადაწყვეტილების ტექსტი, ხოლო ალიანსის თემაზე ჩემი პოზიცია ამ სიტყვებით გამოვხატე: „გერმანიის ნეიტრალიტეტი გერმანელებს ამოაგდებდა ევროპული კონტექსტიდან... ჩვენი დასავლური ალიანსი სწორედ დღევანდელ დღეს ახდენს კეთილისმყოფელ ზემოქმედებას როგორც სამშვიდობო გარანტიებისა და სტაბილიზაციის წარმომშობი ფაქტორი და ეს ფუნქცია მას მომავალშიც ექნება". შემდეგ განვმარტე ჰარმელის მოხსენების საფუძველზე უსაფრთხოების ახალი სტრუქტურების შექმნის შესაძლებლობები, რომელთაგან ზოგიერთმა — მაგალითად, ძალზე მნიშვნელოვანმა ჩრდილოატლანტიკურმა საკოოპერაციო საბჭომ და ბევრად უფრო შორსმიმავალმა პარტნიორობამ მშვიდობისათვის — ამასობაში ხორცი შეისხა. ხაზგასმით აღვნიშნე ევროთათბირის მნიშვნელობა და განვაცხადე, შუა და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე დემოკრატიზაციის მზარდი პროცესის შედეგად დასავლურ-აღმოსავლური კონფლიქტი თანდათან კარგავს თავის იდეოლოგიურ საფუძველს-მეთქი.

დასავლურ ალიანსში მომავალ საერთოევროპულ უსაფრთხოების სტრუქტურებზე კამათის მანერამ კვლავ მკაფიოდ წარმოაჩინა სხვაობა ტრადიციონალისტურ და ევოლუციონერულ აზროვნებას შორის. აღმოსვლეთ-დასავლეთის შორის პოლიტიკური და იდეოლოგიური დაპირისპირების დაძლევას რომ ზეგავლენა უნდა მოეხდინა ალიანსთა სისტემებზე, ბოლოს ცხადზე ცხადი გახდა: ვარშავის ხელშეკრულებას გარკვეულწილად საფუძველი გამოეცალა მას შემდეგ, რაც დაძლეულ იქნა მარქსიზმ-ლენინიზმი როგორც სახელმწიფო დოქტრინა და ამდენად შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაზე საბჭოთა ჰეგემონიის იდეოლოგიური დასაბუთება; იგი დაიშალა. ნატოსთვის კი, ვითარცა დასავლურ ღირებულებებზე დაფუძნებული ორგანიზაციისათვის, გუშინდელი მოწინააღმდეგენი დღევანდელ და ხვალინდელ პარტნიორებად იქცნენ. შეცვლილ ვითარებაზე პირველი რეაქცია ბეიკერ-გენშერის 1991 წლის ინიციატივა იყო, რომელიც ჩრდილოატლანტიკური კოოპერაციული საბჭოს შექმნას ითვალისწინებდა. ამას მოჰყვა წინადადება მშვიდობისათვის პარტნიორობის შესახებ. მაგრამ ეს სწორედაც რომ პირველი რეაქცია გახლდათ და მეტი არაფერი. მან ხელი შეუშალა უსაფრთხოების პოლიტიკის თვალსაზრისით ვაკუუმის წარმოქმნას, ეს იყო ერთობლივი უსაფრთხოების

პოლიტიკის შეთავაზება და ხელი შეუწყო ახალი საერთოევროპული უსაფრთხოების სტრუქტურების შექმნას. მისი უპირატესობა მდგომარეობდა და დღესაც მდგომარეობს იმ წინადადების დიდ მოქნილობაში, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში მშვიდობისათვის დიფერენცირებულ პარტნიორობას ითვალისწინებს რუსეთთან, ანუ იმ ზესახელმწიფოსთან საგანგებო ურთიერთობის ჩათვლით, რომელიც დასავლურ ალიანსს არ ეკუთვნის და რომელთანაც აშშ, როგორც ნატოში შემავალი ზესახელმწიფო, სავსებით მართებულად განაგრძობს სტრატეგიულ პარტნირულ ურთიერთობას.

ნატოს მომავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება იმას, რომ თვალთახედვიდან არ დაკარგოს თავისი უმაღლესი მიზანი: შექმნას ევროპაში ის ხანგრძლივი და სამართლიანი სამშვიდობო წესრიგი, რასაც 1967 წლის ჰარმელის მოხსენება მოითხოვს. მას შემდეგ, რაც მიღწეული იქნება ნატოს სხვა მიზანი — გერმანიის მშვიდობიანი გზით გაერთიანება — შემუშავებული უნდა იქნეს საერთოევროპული სამშვიდობო წესრიგის კონცეფცია ჰარმელის მოხსენებაში ჩამოყალიბებული თვალსაზრისის შესაბამისად. ასე რომ, აუცილებელი შეიქნა ჰარმელის მოხსენება №2, შეძლებისდაგვარად ზურგგამაგრებული ტრანსატლანტიკური პარტნიორობით, რაც პირველად გენშერ-ბეიკერის 1990 წლის ინიციატივამ მოითხოვა. ეს იმიტომ, რომ თავიანთი გლობალური მოვალეობის შესასრულებლად ჩრდილოამერიკელებსა და ევროპელებს ყველა სფეროში როგორც ფართო, ასევე ვიწრო მასშტაბის ურთიერთთანამშრომლობა ესაჭირობათ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: უნდა ვითანამშრომლოთ მომავალშიც უსათუოდ საჭირო ნატოს ფარგლებს გარეთაც. შეიძლებოდა ასეც გვეთქვა: ცივი ომის დამთავრების შემდეგ ატლანტიკის გაფართოება აღარ უნდა მოხდეს.

ახლო და შორეულ მეზობლებთან ჩემი ინტენსიური საინფორმაციო-მოლაპარაკებითი მარათონისას ყოველივე ამასთან ერთად მე იმ თვალსაზრისის პროპაგანდასაც ვცდილობდი, რომ არც გერმანიის ისტორია და არც გერმანიის მომავალი, რიხარდ ფონ ვაიცზეკერის სიტყვებით რომ ვთქვათ, მარტო ჩვენ არ გვეკუთვნის. ჩვენს მეზობლებთან მუდმივ კომუნიკაციას უნდა წარმოეჩინა, რომ ჩვენთვის გერმანელების ბედი განუყრელად იყო დაკავშირებული ევროპელი ხალხების ბედთან. გერმანიის გაერთიანების პროცესიც უნდა

განვითარებულიყო ნატოს სტრუქტურებში დარჩენის, აგრეთვე ევროგაერთიანებაში, ეუთოს პროცესში შემდგომი ინტეგრაციის, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სტაბილური პარტნიორობის, საერთოევროპული სახლის აგების და, დასავლური ალიანსის მოთხოვნის შესაბამისად, საერთოევროპული სამშვიდობო წესრიგის შექმნის წყალობით. ყველას უნდა გაეგო: გერმანელებს არ სურთ ცალკე იარონ, არ ეძებენ თავისთვის განსაკუთრებულ ბილიკს — გერმანელებს სურთ ევროპულ გზას დაადგნენ.

26-დან 31 მარტამდე მრავალი შესაძლებლობა მომეცა მოკავშირე და მეგობარი ქვეყნების მთავრობებს შევხვედროდი. ორშაბათს, 26 მარტს, ფედერალურ კანცლერთან ერთად პორტუგალიაში გავემგზავრე სახელმწიფო ვიზიტით. ოფიციალური მოლაპარაკებების შემდეგ ჩვენმა კეთილმა მეგობარმა დეუშ პინეირომ ჩემს მეუღლესა და მე სადილი გაგვიმართა, რომელმაც მთლიანად პირადი და პოლიტიკური მეგობრობის ნიშნით ჩაიარა. დეუშ პინეირო გულწრფელად გახარებული იყო ევროპისა და გერმანიის გაერთიანების პროცესით, ისევე როგორც პრემიერ-მინისტრი კავაკო სილვა, რომელიც მე ნაშუადღევს მეგობრული საუბრისათვის მივიღე.

ბონში რომ დავბრუნდი, სამშაბათს კოალიციური საუბრის შემდეგ თავის სამუშაო კაბინეტში ველაპარაკე ფედერალურ კანცლერს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გვემოქმედა მომავალში შეხვედრა „ორი პლუს ოთხთან" დაკავშირებით — ეს იყო ერთ-ერთი მრავალ საუბართაგანი იმ თვეში, რომლებმაც მჭიდრო ურთიერთკავშირის, აზრთა სრული თანხვედრისა და აქტუალურ საკითხებზე შეხედულებათა ურთიერთგაცვლის ვითარებაში ჩაიარეს. ნაშუადღევს ჩამოვიდა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი მოკი, ოთხშაბათს — ირლანდიის პრემიერ-მინისტრი ჰაგეი. 1990 წლის 30 მარტს ფედერალურ კანცლერთან ერთად ლონდონს გავფრინდით ქალბატონ ტეტჩერსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ჰერდთან მოსალაპარაკებლად.

ქალბატონმა პრემიერ-მინისტრმა გერმანიის გაერთიანების პირობად სამი გარემოება დაასახელა: ნატოს წევრობა, ნატოს ბირთვული იარაღის შენარჩუნება გერმანულ მიწაზე და ამერიკული და ბრიტანული ჯარების დატოვება გერმანიაში. ამავე დროს მან განაცხადა, რომ გერმანიის გაერთიანების შემდეგ დიდი ბრიტანეთი

რაინის 55 ათასიანი ბრიტანული არმიის ერთ ნაწილს გაიყვანდა. მისი მოთხოვნები შეესაბამებოდა ამ საკითხებზე ჩვენს წარმოდგენებს, ამიტომ ისინი არ აღგვიქვამს როგორც პირობები.

3-დან 6 აპრილამდე ვსტუმრობდი შეერთებულ შტატებსა და კანადას „ორი პლუს ოთხის" პროცესის ცალკეულ საკითხებზე მოსალაპარაკებლად. პრეზიდენტმა ბუშმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მხარს უჭერდნენ გერმანიის ერთიანობას. მე ხაზი გავუსვი ფედერალური მთავრობის ფუნდამენტურ დაინტერესებას იმით, რომ მოლაპარაკებანი „ორი პლუს ოთხი" შეძლებისდაგვარად ნოემბერში გათვალისწინებულ ევროთათბირის სამიტამდე დამთავრებულიყო. სხვაგვარად, ვთქვი მე, ეს შეხვედრა თავისებურ გერმანიისადმი მიძღვნილ კონფერენციას დაემგვანება. ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა დარჩეს, თითქოს გერმანიის ბედს ევროთათბირის 35 სახელმწიფო წყვეტს-მეთქი. იმთავითვე სწორედ ეს გვსურდა აგვეცილებინა ჩვენ თავიდან.

შემდეგ ხაზგასმით განვაცხადე, ამერიკის შეერთებული შტატების როლი მომავალი საერთოევროპული სტრუქტურების ფორმირების საქმეში უნდა გაიზარდოს-მეთქი. როცა პრესკონფერენციაზე მკითხეს, ბირთვული იარაღის მოდერნიზებაზე თუ ილაპარაკეთო, უარყოფითი პასუხი გავეცი. მე ვთქვი: „ჩვენ მხოლოდ მომავალზე ვილაპარაკეთ". ბირთვული იარაღის მოდერნიზების თემა კი წარსულს ეკუთვნოდა.

თორმეტი თვეც არ იყო გასული, რომ ისტორიამ დაადასტურა მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული იარაღის მოდერნიზების საწინააღმდეგო ჩემი არგუმენტების მართებულობა. საგარეო პოლიტიკა, რომელიც პასუხისმგებლობას კისრულობს, ანალიზის და, ამაზე დაყრდნობით, მოვლენათა შემდგომი განვითარების სწორად შეფასების უნარს მოითხოვს. პრეზიდენტ ბუშისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ბეიკერის დიდ საგარეოპოლიტიკურ პროფესიონალიზმზე მეტყველებდა ის ამბავი, რომ მათ 1989 წელს, როცა სულ რამდენიმე თვის მოსულნი იყვნენ ამ თანამდებობებზე, ირწმუნეს: დასავლურ-აღმოსავლური ურთიერთობის განვითარება დიდი ხანია გასცდა ამ საკითხებს.

ახალმა ამერიკულმა ადმინისტრაციამ სწრაფად აუღო ალღო იმ ვითარებას, რომ ფედერაციულ რესპუბლიკაში საკონსტიტუციო

კანონი და საკონსტიტუციო სინამდვილე მთავრობის წევრების კომპეტენციას და პასუხისმგებლობას ერთმნიშვნელოვნად არეგულირებს. ამის მიხედვით ყოველი მინისტრი, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრიც, თავის უწყებას საკუთარი პასუხისმგებლობით უძღვება. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ურთიერთობები საგარეო უწყების გვერდის ავლით ზარალის გარეშე ვერ ჩაივლის. თუ საზღვარგარეთული მისიის ხელმძღვანელი ამ გარემოებას არ გაითვალისწინებს, ამით ავნებს თავის საქმიანობას.

უსაფრთხოების იმ რთულ საკითხთა გადასაჭრელად, რომლებმაც გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით იჩინა თავი, ვაშინგტონში დაჟინებით მოვითხოვდი ევროთათბირის პროცესის ინსტიტუციონალიზებას, როგორც ეს უკვე მოვითხოვე დასავლეთევროპული კავშირის წინაშე. ხანმოკლე ვიზიტის განმავლობაში 1990 წლის 3 და 4 აპრილს საუბრები მქონდა პრეზიდენტ ბუშთან, საგარეო საქმეთა მინისტრ ბეიკერთან, გავლენიან სენატორებთან მიჩელთან, ნანთან, ბიდენთან და საგარეო საქმეთა კომიტეტის წევრებთან. ბოლოს შევხვდი სპიკერ ფოლის.

ამის შემდეგ ოტავაშიც ხაზგასმით აღვნიშნე, რაოდენ აუცილებელი იყო ნატოს ჯარების კანადური კონტინგენტის ყოფნა ფედერაციულ რესპუბლიკაში. კანადის კავშირი ევროპასთან მომავალშიც თვალსაჩინო უნდა ყოფილიყო, ადრინდელი სტატუსის მქონე სახელმწიფოთა შენაერთების შემდგომი სტაციონირებისათვის გვერდი უნდა აგვევლო. და ბოლოს მადლობა გადავუხადე კანადის მთავრობას გერმანიის გაერთიანების საქმეში მხარდაჭერისათვის.

ოტავასა და ვაშინგტონში ჩრდილოამერიკულ დემოკრატიასა და ევროგაერთიანების წევრებს მოვუწოდე, მიეღოთ ერთობლივი დეკლარაცია ახალი ტრანსატლანტიკური პარტნიორობის თაობაზე. მას უნდა მოეცვა ურთიერთობათა ყველა პალიტიკური, სამეურნეო, ტექნიკური და კულტურული ასპექტი და თვალი გაესწორებინა კაცობრიობის გლობალური გამოწვევისათვის. საერთოევროპული სახლის მშენებლობას მხოლოდ ამერიკელთა თანამშრომლობისა და ევროთათბირის ახალი ორგანიზაციების შექმნის შემთხვევაში თუ ექნებოდა წარმატება; ამგვარად იმ საერთო სახლის მშენებლობაში ჩვენი აღმოსავლელი მეზობლებიც მიიღებდნენ მონაწილეობას, საბჭოთა კავშირის ჩათვლით. რადგანაც ყოველივე გერმანიის გაერთიანების

ხიბლს მოენუსხა, საჭირო იყო რაც შეიძლება დროულად აგვეხილა ხალხთათვის თვალი მომავალი ტრანსატლანტიკური პერსპექტივების დასანახად. ორი საშინელი ომის შემდეგ, 1918 და 1945 წლებში, აშშ სხვადასხვანაირად მოიქცა. 1918 წელს მან ევროპას ზურგი აქცია და კონტინენტი ბედის ანაბარა მიატოვა; 1945 წელს კი ის ევროპაში დარჩა. როგორ მოიქცევა ახლა, ცივი ომის დამთავრების შემდეგ? ვაშინგტონსა და ევროპას შორის სულ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, რომელიც ალიანსის ფარგლებს სცილდება — აი ამის მიღწევა უნდა ყოფილიყო ჩვენი ერთ-ერთი ამოცანათაგანი.

ოტავიდან კვლავ ვაშინგტონს გავფრინდი, სადაც 1990 წლის 6 აპრილს ამერიკელ მთავარ რედაქტორთა კავშირში გამოვედი სიტყვით. მოხსენების თემა იყო „ევროპული გერმანიის მომავალი"; ეს შესაძლებლობა იმისთვის გამოვიყენე, რომ ჩვენი პოზიცია და ჩვენი პოლიტიკის მიზნები წარმომეჩინა. „ფედერაციულ რესპუბლიკას თავის დასავლელ პარტნიორებთან უმჭიდროესი კავშირი აქვს", ვთქვი მე: „ეს არის საერთო ფასეულობებსა და პრინციპებზე დამყარებული კავშირი. ახლა საჭიროა, რომ ჩვენ, ამერიკელმა და ევროპელმა პარტნიორებმა, ეს კავშირი პერსპექტიული გავხადოთ, ის ღია უნდა იყოს ახლებური აზროვნებისა და ახლებური ქმედებისთვის... როგორია გერმანიის როლი ამ განვითარებაში? ეს როლი უნდა იყოს ნათელი, ერთმნიშვნელოვანი და პროგნოზირებადი. ჩვენ, გერმანელები, დასავლური თანამეგობრობის — ევროგაერთიანებისა და ნატოს — წევრები ვართ. ჩვენი სურვილია, ამ ორგანიზაციათა წევრად დავრჩეთ გერმანიის გაერთიანების შემდეგაც". და აღმოსავლელი მეზობლების გასაგონად დავუმატე: „უეჭველია, გერმანიის გაერთიანებისას უნდა გავითვალისწინოთ ევროპის სახელმწიფოთა, მათ შორის საბჭოთა კავშირის, უსაფრთხოების ინტერესები".

11 აპრილს დასკვნითი დოკუმენტის მიღებით დასრულდა ევროთათბირის ეკონომიკური კონფერენცია, რომელიც 19 მარტს დაიწყო ბონში. კონფერენციამ, თავისთავად ნაკლებსანახაობრივმა მოვლენამ, დრამატული ვითარების ფონზე სამაგალითოდ ჩაიარა. საერთოდ მოგვეწვია თუ არა ეს კონფერენცია, დიდხანს კამათის საგანი იყო დასავლურ ბანაკში და ჩვენ კვლავ და კვლავ იძულებული

ვიყავით გვებრძოლა შეერთებული შტატებისაგან საამისო უფლების მოსაპოვებლად. ვაშინგტონი უფრთხოდა აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის სავაჭრო პოლიტიკის საკოორდინაციო კომიტეტის მიერ აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის დაწესებული ემბარგოს შესუსტებას. როცა 1989 წლის იანვარში ვენაში ევროთათბირის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების დასკვნითი თავყრილობა შედგა, ნატოს წევრ ქვეყნებში ეკონომიკური კონფერენცია ისეთივე კამათის საგანი იყო, როგორიც ადამიანთა უფლებების დაცვისადმი მიძღვნილი კონფერენციის ჩატარება მოსკოვში. ფედერალური მთავრობა კი ბონში ევროთათბირის ეკონომიკური კონფერენციის ჩატარებას უყურებდა, როგორც გორბაჩოვის რეფორმატორული პოლიტიკის წახალისებას, ხოლო ადამიანის უფლებათა დაცვის კონფერენციის მოსკოვისთვის გადაბარებაში თვით საბჭოეთის ტერიტორიაზე ადამიანთა უფლებების დასაცავი მოძრაობის გაძლიერების საშუალებას ხედავდა. იქაურ ხელმძღვანელობას ვალდებულება უნდა ეკისრა, კონფერენციაში მონაწილეობის უფლება მიეცა როგორც თავის ქვეყანაში, ასევე სხვა კომუნისტურ ქვეყნებში არსებული ადამიანთა უფლებების დამცველი ჯგუფებისთვის; ასე რომ, დასავლეთს კი არ უნდა ჰქონოდა ამ კონფერენციის შიში, არამედ სსრ კავშირის ხელმძღვანელობას, თუკი არ ჰქონდა განზრახული — მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ არ ჰქონდა — გაეგრძელებინა ღია საზოგადოების შექმნა გორბაჩოვისა და შევარდნაძის პოლიტიკის სულისკვეთების შესაბამისად. სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ გენერალური მდივანი და საგარეო საქმეთა მინისტრი ამგვარ კონფერენციას ისეთივე იმედებს უკავშირებდნენ, როგორსაც ჩვენ ვუკავშირებდით: ისინიც ფიქრობდნენ, ამ გზით ლიბერალიზაციის პროცესი გაეძლერებინათ და დაეჩქარებინათ დოგმატიკური ძალების სურვილის საწინააღმდეგოდ. ბოლოს და ბოლოს ორივე ეს პროექტი გავიტანეთ, რითაც ორ მნიშვნელოვან სფეროში — ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეკონომიკის სფეროებში — ევროთათბირის ერთიანი სტრატეგიის თვალსაზრისით გარღვევას მივაღწიეთ.

აქაც ისევე, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ორი პრინციპული თვალსაზრისი დაუპირისპირდა ერთმანეთს. ტრადიციონალისტებს ჯიუტად არ სურდათ ახლებურად აზროვნება: ცვლილებები მათ ან მიუღწეველი ეჩვენებოდათ, ან ამ ცვლილებებისკენ მიმავალი გზები

მიაჩნდათ ერთობ სარისკოდ. ასეთ სკეპტიკოსთა რიცხვს პირველ რიგში განეკუთვნებოდა ბრიტანელი პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი, რომელსაც თავიდან დიდი გავლენა ჰქონდა ვაშინგტონზე. მას უპირისპირდებოდნენ „ევოლუციონისტები", უწინარეს ყოვლისა წარმოდგენილი გერმანული საგარეო პოლიტიკის სახით, რომელიც თავისუფლების ძალმოსილებაზე ამყარებდა იმედს. „არაფერია იმაზე ძლიერი, ვიდრე იდეა, რომლის დროც დადგა",– არასოდეს გამომიყენებია ეს გამოთქმა ისე ხშირად, როგორც ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში ვიყენებდი. არც არასდროს მქონია საამისოდ ამდენი საბაბი. ტრადიციონალიზმი თუ ევოლუცია,– ამ სხარტი ანტითეზით შეიძლება დახასიათდეს კამათი ე.წ. გენშერიზმის თაობაზე. მე იმედს ვამყარებდი ფასეულობათა ჩვენს სისტემას დაფუძნებულ ცვალებადობებზე. ეს შეცვლიდა პოლიტიკის, უსაფრთხოების პოლიტიკის და ეკონომიკის ჩარჩოპირობებს და შესაძლებელს გახდიდა დღემდე გადაუწყვეტელი საკითხების გადაჭრას.

ევროთათბირის კონფერენცია ბონში

ჯერ კიდევ 1986 წლის ნოემბერში წამოაყენა საგარეო საქმეთა მინისტრმა შევარდნაძემ ევროთათბირის ადამიანის უფლებათა დაცვის კონფერენციის მოსკოვში ჩატარების იდეა. ჩემი რეაქცია პრინციპულად დადებითი იყო. შევარდნაძის ამ განცხადებიდან ორი დღის შემდეგ სიტყვით გამოვედი ევროთათბირის კონფერენციაზე ვენაში და აღვნიშნე, ამ კონფერენციის მოსკოვში ჩატარება შესაძლებლობას გვაძლევს ადამიანთა უფლებების დაცვა თვით საბჭოთა დედაქალაქში მოვითხოვოთ-მეთქი. და განვაგრძე: „თუ უკვე მიღწეული შეთანხმების განხორციელება ამ კონფერენციის შედეგად არ გადაიდება, თუ ეს კონფერენცია სათანადო პირობებში ჩატარდება და თუ მივაღწიეთ, თავყრილობის მიზანი საკმაოდ კონკრეტულად და იმგვარი ფორმულირებით ჩამოვაყალიბოთ, რომელიც ამ საქმის განვითარებას ხელს შეუწყობს, მაშინ ეს კონფერენცია ადამიანთათვის სარგებლობის მომტანი იქნება". ეს ისეთი პერსპექტივა იყო, რომლის გათვალისწინებით შესაძლებელი იქნებოდა დასავლეთის მიზნების სათანადო სიცხადით ჩამოყალიბება.

ბოლოს შევთანხმდით სამნაწილიან კონფერენციაზე. 30 მაისიდან 23 ივნისამდე, ორასი წლის შემდეგ საფრანგეთის რევოლუციიდან, პარიზში შედგა პირველი შეხვედრა, სადაც მონაწილეთა რაოდენობა დადგინდა. 1990 წლის 5-დან 29 ივნისამდე უნდა ჩატარებულიყო მეორე თავყრილობა კოპენჰაგენში, ხოლო 1991 წლის 10 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე მოსკოვში შევიკრიბებოდით. ეს იყო პირველი საერთაშორისო კონფერენცია პუტჩის შემდეგ.

პარიზში განისაზღვრა მომავალი შეხვედრების, მათ შორის მოსკოვის შეხვედრის, მასშტაბები. კოპენჰაგენში მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი პროგრესი „ორი პლუს ოთხი" მოლაპარაკებების თვალსაზრისითაც, ხოლო მოსკოვში, გორბაჩოვის წინააღმდეგ მიმართული პუტჩისგან მიღებული უშუალო შთაბეჭდილებების ფონზე იმას მივაღწიეთ, რომ ევროთათბირის ქვეყნების შიდადემოკრატიული წესრიგის დაცვა ჰელსინკის დასკვნითი დოკუმენტის მოშველიებით განგვემტკიცებინა. სწორედ ასე მოვიქეცი მეც ადრე ბონში საბჭოთა ელჩ ტერეხოვთან შეხვედრისას მას შემდეგ, რაც პირველად შევიტყვე პუტჩის შესახებ. ბოლოს და ბოლოს ეკონომიკური კონფერენციის ჩატარებაც მოხერხდა.

ყოველივე ამაზე ვფიქრობდი, როცა 1990 წლის 11 აპრილს ეკონომიკურ კონფერენციაზე მივემგზავრებოდი ბონის სასტუმრო „მარიტიმისაკენ". ამასობაში დავა ამ კონფერენციის თაობაზე ისტორიის კუთვნილებად იქცა, როგორც მრავალი სხვა დაბრკოლება, ტრადიციონალისტთა და მოჭოჭმანეთა მიერ აღმართული ახალი ევროპისკენ მიმავალ გზაზე. თავყრილობამ ეკონომიკური კოოპერაციის საკითხებზე გამართული ნორმალური დარგობრივი კონფერენციის სახე მიიღო. ფედერალურმა კანცლერმა ჰელმუთ კოლმა ისარგებლა შესაძლებლობით და კონფერენციის გახსნისას წარმოთქმულ შთამბეჭდავ სიტყვაში ჩვენი საგარეო პოლიტიკის პრინციპები ჩამოაყალიბა. როცა კონგრესის დარბაზში შევედი, რამდენიმე ჩემთვის მანამდე უცნობი პიროვნება მომესალმა. ესენი იყვნენ სახალხო პალატის თავისუფლად არჩეული დეპუტატები, რომლებიც ეკონომიკურ კონფერენციაში მონაწილეობდნენ.

ბონში გამართულმა ევროთათბირის ეკონომიკურმა კონფერენციამ ისტორიული მნიშვნელობა შეიძინა იმით, რომ მან ანგარიში გაუწია პერსპექტივებს, რომლებმაც თავი იჩინა შუა და აღმოსავლეთ ევროპაში

მომხდარი გარდატეხის შედეგად. იმ ახალ პოლიტიკურ ხელმძღვანელთა ხელშეწყობით, რომლებიც საბაზრო ეკონომიკას ემხრობოდნენ, მოვლენები ისე უნდა განვითარებულიყო, რომ დაგვეძლია ევროპის ეკონომიკის გაყოფა. აქედან გამომდინარე, ბონში მიღებული დასკვნითი დოკუმენტი ევროთათბირის წევრ ყველა ოცდათხუთმეტ სახელმწიფოს ავალდებულებდა, შეესრულებინათ დასავლური სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესრიგისთვის აუცილებელი ელემენტარული მოთხოვნები: ღია, პლურალიზმზე, დემოკრატიასა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე დამყარებული საზოგადოებრივი სისტემა უნდა გამხდარიყო აუცილებელი წინაპირობა ეკონომიკური ეფექტურობის მიღწევისა მთელ ევროპაში!

ამ თვალსაზრისით დოკუმენტმა მონიშნა ახალი ეკონომიკურ-პოლიტიკური ეტაპის დასაწყისი. პირველად აღიარა ევროთათბირის მონაწილე ყველა ქვეყანამ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისადმი ერთგულება, და მე ჩემს 11 აპრილის გამოსვლაში ვთქვი: „საკვანძო საკითხთაგანია ის, რომ შეუძლებელია ერთმანეთს დავაშოროთ ადამიანის უფლებათა პატივისცემა, დისკრიმინაციაზე ხელის აღება, პოლიტიკური პლურალიზმი, თავისუფალი არჩევნები, დემოკრატია, კანონის უზენაესობა და კერძო ინიციატივაზე დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკა. ასეთ საბაზრო ეკონომიკას სოციალური და გარემოსდაცვითი განზომილება აქვს — ის სოციალური და ეკოლოგიური საბაზრო ეკონომიკაა“.

ბოლოს მონაწილეთა ყურადღება მიეაპყრე ამ განვითარების გრძელვადიან პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს: ევროთათბირის უმაღლესი დონის შეხვედრაზე ჰელსინკიში, 1992 წელს, შესაძლოა ევროპის უსაფრთხოების და ურთიერთთანამშრომლობის ერთგვარ დიდ ქარტიას მოეწეროს-მეთქი ხელი. გარდა ამისა ევროთათბირის შემდგომი განვითარებისთვის საჭიროდ ვთვლიდი ახალი საერთოევროპული ღონისძიებების და ინსტიტუციების მთელ წყებას; საგარეო საქმეთა მინისტრების სისტემატურ შეხვედრებს, მაგალითად, და კონფლიქტების დროული პროგნოზირებისა და მათი პოლიტიკური გზით მოგვარების ევროპული ცენტრის დაარსებას, რაც რამდენადმე კრიზისების მენეჯმენტის ახალი ფორმა იქნებოდა. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიების უფლებამოსილება მომავალში მთელ

ევროპაზე უნდა გავრცელებულიყო; ამასთან თავისუფალი არჩევნების უფლების დაცვა ევროთათბირის კომპეტენცია უნდა გამხდარიყო, გარემოს დაცვის ევროპული სააგენტო უნდა შექმნილიყო, ხოლო ევროპის კვლევითი კოორდინაციის სააგენტო ღია უნდა ყოფილიყო ყველა ევროპელისათვის. ცხადად ჩანდა, რომ ეს საერთოევროპული ღონისძიებები გერმანიის გაერთიანების პროცესს პოლიტიკური თვალსაზრისით „ორი პლუს ოთხი" მოლაპარაკებების გარეშეც შესძენდა სიმყარეს: შეცვლილ გარემოებებს საკვანძო სფეროებშიც უნდა გაეადვილებინა პროგრესი.

ორი გერმანელი საგარეო საქმეთა მინისტრი

1990 წლის 17 აპრილს შინ ვეწვიე გდრ-ის ახალ საგარეო საქმეთა მინისტრს მეკელს. ორ-ორ თანამშრომელთან ერთად ვივახშმეთ; ვახშმობისას და ნავახშმევს შემდეგ ვისაუბრეთ ჩვენს ურთიერთთანამშრომლობასა და „ორი პლუს ოთხის" შეხვედრისთვის მზადებაზე. მარკუს მეკელმა ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა თავისი უბრალოებით და თვითშეგნებით. თანამდებობაზე თავისუფალი არჩევნების შედეგად მოსული გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი იმ დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა, რომელიც 1952 წელს გდრ-იდან წავიდა დასავლეთ გერმანიაში. მეკელის უახლოეს თანამშრომელთა შორის, რომელთა ერთი ნაწილი დასავლეთ გერმანიიდან იყო რეკრუტირებული, იმყოფებოდა ძმა ერთი ჩემი ყოფილი თანამშრომლისა — გეროლდ ფონ ბრაუნმიულისა, რომელიც მოკლულ იქნა. ის რომ არ მოეკლათ, ვფიქრობდი მე, მეიძლება ახლა ორი ძმა მჯდარიყო ერთმანეთის პირისპირ, რათა ემსჯელათ, როგორ გაეერთიანებინათ ორი გერმანული სახელმწიფო.

მე განვმარტე მოვლენების ჩვენეული ხედვა და ჩვენი კონცეფცია „ორი პლუს ოთხთან" დაკავშირებით, თანაც ვთქვი, როგორ ვაფასებდი ამ მოლაპარაკებებში მონაწილე ოთხი სახელმწიფოს პოზიციებს. გარდა ამისა მარკუს მეკელს მჭიდრო პოლიტიკური და პიროვნული თანამშრომლობა შევთავაზე: ჩემთვის დიდად მნიშვნელოვანია, ყველა ნაბიჯი საგარეო საქმეთა მინისტრ მეკელთან ერთად გადავდგა და თუკი თქვენ დამხმარედ ჩვენი საგარეო უწყების თანამშრომლებს

1990 წელს ბონში პირველად შეხვდა ერთმანეთს თავისუფლად არჩეული ორი საგარეო საქმეთა მინისტრი. მარკუს მეკელმა, გდრ-ის წარმომადგენელმა, შთაბეჭდილება მოახდინა დასავლეთგერმანელ კოლეგაზე თავისი ღირსების გრძნობითა და მოკრძალებულობით.

ისურვებდით, მე მათ ულაპარაკოდ მოგაშველებთ-მეთქი. თუ გინდათ, იმ თანამშრომლებს დაგისახელებთ, რომლებიც, ვიცი, დაკავშირებულნი არიან ან ახლოს დგანან სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან — თქვენს პარტიასთან-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ მე ჩემს თანამშრომლებზე მათი საქმიანობისა და ხასიათის მიხედვით ვმსჯელობ და არა მათი პარტიული კუთვნილების მიხედვით და ამგვარმა მიდგომამ კარგი შედეგები მომცა-მეთქი. თანამშრომელთა ამ შეთავაზებაზე საერთოდ ერთობ გულღია მეკელის რეაქცია ძალზე თავშეკავებული იყო.

შემდგომი შეხვედრისას, 1990 წლის 24 აპრილს, მან მითხრა მე ჩვენს საგარეო უწყებაში: გაერთიანების დასაჩქარებლად, რასაც ჩვენ ვესწრაფით, გდრ-ის საგარეო პოლიტიკას განსაკუთრებული ამოცანის შესრულება მოუწევსო. „ჩვენ შეგვიძლია პოლონეთთან უმჭიდროესი ურთიერთობები დავამყაროთ“, განმარტა მან და

პოლონეთი მოიყვანა მაგალითად, ჯერ კიდევ იმ აზრის ტყვეობაში მყოფმა, თითქოს აღმოსავლეთ ბერლინს უკეთესი ურთიერთობები ჰქონდა პოლონეთთან, ვიდრე ბონს. მაგრამ სწორედ პოლონეთი მუდამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან კონტაქტებს, თვით იმ პერიოდშიც, როცა ვარშავის საგარეო პოლიტიკას მთლიანად კომუნისტური პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია განსაზღვრავდა. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ პოლონეთის დასავლეთი საზღვრის საბოლოოდ აღიარების საქმეში გარანტის როლი პოლონელთა ცნობიერებაში გდრ-ს მიეწერებოდა; იგივე ითქმის პოლონეთში პოლიტიკურ შეხედულებათა მთელ სპექტრზეც.

მეკელი ისეთი საგარეო პოლიტიკის მომხრე იყო, რომლის მიზანი მხოლოდ გდრ-ის გაუქმება არ იქნებოდა. მთავარ მიზნად მან დაასახელა: გერმანიის გაერთიანება იმგვარად, რომ ამან არ ავნოს სტაბილურობას ევროპაში. ეს მთლიანად შეესაბამებოდა ჩემს საკუთარ ზრახვებს. როცა ვარშავაში თავის ვიზიტზე ილაპარაკა, განაცხადა, რომ პოლონეთი მყარად დგას სკუბიშევსკის მიერ წამოყენებულ წინადადებაზე: ჯერ მოხდეს სასაზღვრო ხელშეკრულების პარაფირება და შემდეგ იქნეს იგი ხელმოწერილი და რატიფიცირებული საერთოგერმანული მთავრობის მიერ. ისე კი, ჩემი შთაბეჭდილებით, გერმანიის ნატოს წევრად დარჩენა პრეზიდენტ იარუზელსკისთვის აშკარად უფრო ძნელად წარმოსადგენია, ვიდრე პრემიერ-მინისტრ მაზოვეცკისა და საგარეო საქმეთა მინისტრ სკუბიშევსკისთვისო. მის ამ შეფასებას მეც ვიზიარებდი. გარდა ამისა საუბრიდან ისიც ნათელი გახდა, რომ მარკუს მეკელს — ისევე როგორც ფედერალურ მთავრობას — კონსტიტუციის 23-ე პარაგრაფი მიაჩნდა ორივე გერმანიის გაერთიანებისკენ მიმავალ საუკეთესო გზად. ამაზე მე ვთქვი, ამ გზას მხოლოდ მაშინ უნდა დავადგეთ, როცა გაერთიანების საგარეოპოლიტიკური ასპექტები გაირკვევა. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, მოლაპარაკებები „ორი პლუს ოთხი“ შემოდგომაზე დამთავრდეს-მეთქი.

შემდეგ მე კიდევ ერთხელ გავიხსენე ჩემი 1989 წლის სექტემბრის გამოსვლა გაეროში და მკაფიო ფრაზეოლოგიის გამოყენებით განვმარტე ჩემი პოზიცია ოდერ-ნაისეს სასაზღვრო ზოლთან დაკავშირებით. ამაზე იგი აშკარად თანახმა იყო.

უფრო დიდი ფედერალური რესპუბლიკა მთელ გერმანიაში ჩატარებული თავისუფალი არჩევნების შედეგად ხელახლა რომ მოიპოვებდა ლეგიტიმაციას, ეს მე ხაზგასმით აღვნიშნე. შემდეგ აზრი გამოვთქვი ეკონომიკურ, სავალუტო და სოციალურ გაერთიანებაზე, და განვაცხადე, რომ გდრ-ის ვალუტიდან გფრ-ის ვალუტაზე გადასვლა საბჭოთა ჯარისკაცებსაც შეუქმნიდა პრობლემებს, ვინაიდან წითელი არმია სოლიდური რაოდენობით ფლობდა გერმანულ ნაღდ ფულს. გადაჭრით მხარს ვუჭერდი ეკონომიკურ გაერთიანებას 1990 წლის 1 ივლისისთვის, რადგან კარგად ვიცოდი, რომ პოლიტიკური გაერთიანება 1 ოქტომბრამდე არ იყო მოსალოდნელი.

1990 წლის 25 და 26 აპრილს პარიზში შედგა 55-ე გერმანულ-ფრანგული კონსულტაციები. როლან დიუმას ვესაუბრე „ორი პლუს ოთხი" მოლაპარაკების მზადების თაობაზე, გარდა ამისა მოვლენების განვითარებაზე გდრ-ში, და დავძინე, გერმანიის ეკონომიკური, სავალუტო და სოციალური გაერთიანების გადადება პრობლემებს მხოლოდ გაამწვავებს-მეთქი. შიდაპოლიტიკური ასპექტების გამოც, უფრო ზუსტად, იმის გამო, რომ სულ უფრო მატულობს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ლტოლვილთა რიცხვი, აუცილებლად დასაჩქარებელია-მეთქი გაერთიანება.

ეს იყო უმაღლეს დონეზე შეხვედრა, რომელმაც კვლავაც წარმოაჩინა ერთიანობა და მჭიდრო ურთიერთკავშირი გერმანიასა და საფრანგეთს შორის. ერთობლივ პრესკონფერენციაზე, რომელიც საუბრების შემდეგ გაიმართა, პრეზიდენტმა მიტერანმა და ფედერალურმა კანცლერმა კოლმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ გაერთიანებული გერმანიის ნატოში დარჩენის თაობაზე მათ განსხვავებული აზრები არ ჰქონდათ. ისიც აღნიშნეს, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირისთვის გერმანულ-ფრანგული ინიციატივა. იგულისხმებოდა ის ინიციატივა, რომელიც ჰელმუთ კოლმა და ფრანსუა მიტერანმა ევროსაბჭოს თავმჯდომარის, ირლანდიის პრემიერ-მინისტრისადმი 1990 წლის 19 აპრილს გაგზავნილ ერთობლივ წერილში წამოაყენეს. ამასთან უწინარეს ყოვლისა დიდად მნიშვნელოვანი იყო ფედერალური კანცლერის განცხადება, რომ გერმანიას არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები არა აქვს: დეკლარირება იმისა, რომ ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანებით ევროპაში კონფლიქტის კერა მოისპობოდა

— ფსიქოლოგიური თვალსაზრისით თუ შევხედავთ — საჭირო დროსა და საჭირო ადგილას მოხდა.

იმავე საღამოს პარიზში შევიტყვეთ, რომ თავს დაესხნენ ოსკარ ლაფონტენს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ წამოყენებულ კანცლერობის კანდიდატს. ასეთ წუთებში ყველა დაპირისპირება დავიწყებას ეძლევა. მალე გაირკვა, რომ ეს ნამდვილი ტერორისტული აქტი არ ყოფილა, გამოძიების მიხედვით, ეს ერთი ჭკუაარეული ქალის მიერ მოწყობილი თავდასხმა იყო.

ოსკარ ლაფონტენის ამბავმა განსაკუთრებულად ამაღელვა. წლების განმავლობაში მქონდა მასთან ურთიერთობა. მინიმუმ წელიწადში ერთხელ ვხვდებოდით ერთმანეთს ზაარბრიუკენში ზაარის ბაზრობაზე, და ყოველთვის ვპოულობდით დროს სასაუბროდ. ის ამბავი, რომ ერთად ვსხდებოდით და პარლამენტარული დემოკრატიის პირობებში მტრის ხატის გარეშე ვსაუბრობდით ერთმანეთთან, მისთვისაც და ჩემთვისაც ძალიან ბუნებრივი რამ იყო და ჩვენ ერთობლივად გვართობდა ის გადაჭარბებული ყურადღება, რასაც ზოგჯერ მასმედია იჩენდა ამ შეხვედრებისადმი. იგი თავისი, ხშირად არაკონვენციური, ქცევის მანერის გამოც მესიმპათიურებოდა: არაიშვიათად გამოსულა თავის პარტიაში ერთგვარი ტაბუს დამრღვევის როლში, მაგალითად, გარემოს დაცვისა და ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში — ამას გაბედულება უნდა. თუმცა სხვადასხვა თაობას ვეკუთვნოდით, წარმოშობითაც ძალიან შორს ვიყავით ერთმანეთისაგან (არა მხოლოდ ტერიტორიული თვალსაზრისით), სხვადასხვაგვარი მოწაფეობა და სტუდენტობა გვქონდა გამოვლილი, მაგრამ მაინც არ გვიჭირდა საერთო ინტერესების პოვნა. თუმცა გერმანიის ერთიანობის საკითხს მე უფრო დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი, ვიდრე ის, მაგრამ ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდა „ორივე გერმანული სახელმწიფოს ერთიანი პასუხისმგებლობის“ საკითხში. საინტერესო იყო მისი მოსმენა, როცა იგი ზაარლანდელ ერიხ ჰონეკერთან თავის საუბრებზე ყვებოდა, ვისთანაც მე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, პრაქტიკულად არ შემეძლო შეხვედრა — მით უფრო მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ლაფონტენის ეს უშუალობით აღსავსე თხრობა. გერმანია-საფრანგეთის მეგობრობისა და ევროპული ერთობის საკითხებშიც ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდა. მთელი გულით ვუსურვებდი, ეს საშინელი შემთხვევა

სერიოზული შედეგების გარეშე გადაეტანა. მოგვიანებით შევამჩნიე, რომ ამ თავდასხმის გამო ის კიდევ დიდხანს თავს დათრგუნულად გრძნობდა.

ევროგაერთიანების საგანგებო უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომელიც 28 აპრილს შედგა დუბლინში, განხილულ იქნა გერმანიის გაერთიანების შედეგები თანამეგობრობასთან მიმართებაში და თანამეგობრობის სამომავლო ურთიერთობა შუა და აღმოსავლეთ ევროპის რეფორმის მოსურნე სახელმწიფოებთან. გერმანია-საფრანგეთის საკონსულტაციო შეხვედრაზე, რომელიც ამ ფორუმამდე გაიმართა, ორივე მხარე შეთანხმდა, რომ უმაღლესი დონის ამ შეხვედრაზე დასახულიყო ევროპაში პოლიტიკური კავშირის სწრაფი რეალიზების გზა. რაკი ვიცოდით, რა დინამიკა შეიძინა გერმანიის გაერთიანების პროცესმა იმ თვეებში, ჰელმუთ კოლმა და მე განსაკუთრებული ძალისხმევა გამოვიჩინეთ საიმისოდ, რომ ხაზგასმით გამოგვეხატა ჩვენი მტკიცე მხარდაჭერა დასავლეთევროპული ინტეგრაციული პროცესისადმი. თანამეგობრობის წევრები დასკვნით დეკლარაციაში მიესალმნენ გერმანიის გაერთიანებას: თანამეგობრობა, ნათქვამი იყო დოკუმენტში, „წინდაწინვე ხარობს იმ პოზიტიური და ნაყოფიერი წვლილის გამო, რომელსაც მთელი გერმანელი ხალხი შეიტანს თანამეგობრობის საქმიანობაში, მას შემდეგ, რაც გდრ-ის სახელმწიფო ტერიტორია გფრ-ს შეუერთდება. ჩვენ გვჯერა, რომ გაერთიანებული გერმანია პოზიტიურ როლს შეასრულებს ზოგადად ევროპის და კერძოდ თანამეგობრობის განვითარების თვალსაზრისით“.

1990 წლის 29 აპრილს შოკში ჩავვარდი. ამ დღეს დიუსელ-დორფის შტადტჰალეში თავისუფალი დემოკრატიული პარტიის რეგიონალური საარჩევნო კრება გაიმართა. დგებოდა ნორდრაინ-ვესტფალენიდან გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატობის კანდიდატთა სია; მე უნდა წამეკითხა მთავარი მოხსენება. ჯერ კიდევ გზად დიუსელდორფისკენ ვიგრძენი თავი ცუდად. სისუსტის შეგრძნება მქონდა, როცა კათედრასთან მივედი. თავიდან დაწვრილებით შევჩერდი იმ წინააღმდეგობრივ განწყობილებაზე, რომელიც გაერთიანების პროცესის დაწყების პირველ თვეებში წარმოიქმნა ფედერაციულ გერმანიაში. „ვინც აქ, ჩვენთან“, ვთქვი მე მაშინ, „მეტს ლაპარაკობს გაერთიანების ტვირთზე, ვიდრე შანსებზე, ის შურს თესავს, ხოლო

ვინც მეტს ლაპარაკობს გდრ-ში ჩასატარებელი საფუძვლიანი ცვლილებების სიძნელეებზე, ვიდრე ძველი სისტემის დემონტაჟის აუცილებლობაზე, ის მომავალს წააგებს. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ აღმაფრთოვანებელი სწრაფვა გაერთიანებისკენ ქონების გამო წვრილმან კინკლაობად იქცეს. ჩვენ არა გვაქვს უფლება ერთიანობის იდეა ლაყბობით გავაუფასუროთ. გერმანელები გდრ-იდან სულაც არ მოდიან ხელცარიელნი, მათ მოაქვთ ძვირფასი ქონება — თავისით და მშვიდობიანი გზით მოპოვებული თავისუფლება".

შემდეგ გამოვხატე ჩემი შეცბუნება იმ გულცივობის გამო, რომლითაც ჩვენთან ვალუტის გაცვლით კურსზე ალაპარაკდნენ, თითქოს საქმე ეხებოდა კაპიტალის გაზრდას სააქციო საზოგადოებაში. სინამდვილეში კი საქმე იმ ადამიანთა ბედ-იღბალს ეხებოდა, რომელთათვისაც საკუთრებისადმი მტრულად განწყობილ საზოგადოებაში ხანგრძლივ და მძიმე შრომაში გავლილი ცხოვრების საფასური მოკრძალებული პენსია და შემნახველ სალაროში შეტანილი მცირეოდენი თანხა იყო. ამიტომაც ეს ხალხი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამხდარიყო გარდაქმნის მსხვერპლი.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირის წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გდრ-ის მთელი ეკონომიკური, სავალუტო და სოციალური სისტემის ძირეულ გარდაქმნას. ამასთან მეტადრე დასავლელ და აღმოსავლელ ლიბერალთა ამოცანა მეურვეობაზე დაფუძნებული სოციალისტური საზოგადოების ბიუროკრატიული მანქანის დაძლევა იყო. საშინაო პოლიტიკის მხრივაც, განვაცხადე მე, გერმანიის გაერთიანება პრინციპულ პრობლემებს კი არ შექმნის, არამედ, პირიქით, მათ გადაჭრას შეუწყობს ხელს.

ლაპარაკისას ვიგრძენი, რომ სულ უფრო და უფრო მიძლიერდებოდა სისუსტის შეგრძნება. შემეშინდა, გრძნობა არ დავკარგომეთქი; არც საყელოზე პერანგის ზედა ღილის გახსნამ მიშველა. ბოლოს დელეგატებს ვთხოვე, გამოსვლა უნდა შევწყვიტო-მეთქი.

სცენის უკან მდებარე ოთახში ტახტზე წამოვწექი. დელეგატთა შორის იმყოფებოდა კიოლნის ჯანდაცვის ფედერალური შტაბბინის ხელმძღვანელი, ქალბატონი დრ. ელიზაბეტ პოტი, რომელმაც დახმარება აღმომიჩინა. ერთმა სანიტარმა სასწრაფოდ ელექტროკარდიოგრამა გადამიღო: კვლავ იჩინა თავი გულის არიტმიამ. ნახევარი საათი ვიწექი; მერე ცოტა უკეთესობა ვიგრძენი, დარბაზს მივაშურე

და ისევ ჩემი ადგილი დავიკავე სცენაზე, მაგიდასთან. ცოტა ხნით კიდევ მოვითხოვე სიტყვა, მოვიბოდიშე მომხდარის გამო და ვთქვი, ეს მხოლოდ დროებითი სისუსტე იყო-მეთქი. ბოლოს მადლობა გადავიხადე ერთხმად არჩევისათვის: პირველად მოხდა ჩემს ცხოვრებაში, რომ რეგიონალურ კრებაზე ერთხმად ამირჩიეს ბუნდესტაგის დეპუტატობის კანდიდატად ნორდრაინ-ვესტფალენიდან.

საინფორმაციო სააგენტოებმა მაშინვე გაავრცელეს ცნობა ჩემი შეუძლოდ ყოფნის შესახებ. მით უფრო დიდი გაოცება გამოიწვია ტელემაყურებლებში იმან, რომ 12 საათზე მიხილეს და მომისმინეს პირდაპირ ტელეგადაცემაში „ARD პრესკლუბი", სადაც მიმდინარეობდა დისკუსია თემაზე „ევროპის გზა პოლიტიკური კავშირისკენ". ჯანმრთელობის თვალსაზრისით ეს არ იყო ბრძნული გადაწყვეტილება, და სამართლიანადაც მისაყვედურა მოგვიანებით ამის გამო პროფესორმა კესლერმა. მაგრამ მუშაობა არ უნდა შეფერხებულიყო; ყველგან და ყოველთვის ჩვენი პოლიტიკის პროპაგანდა უნდა გამეწია მოსახლეობაში. გარდა ამისა მინდოდა ყველას დაენახა, რომ არაფერი სერიოზული არ მჭირდა, და ამ სურვილს სრულებითაც არ ედო საფუძვლად შიდაპოლიტიკური მიზეზები: აქ არავითარ როლს არ თამაშობდა ის ხშირად გამოთქმული და ზოგჯერ არცთუ მთლად უსაფუძვლო საყვედური, პოლიტიკოსებს სურთ თავიანთ ამომრჩევლებს მუდამ სიცოცხლით აღსავსე ჯანღონიან ადამიანებად ეჩვენონო. მრავალი ადრინდელი შემთხვევის გამო საზოგადოებამ იცოდა, რომ ჩემი ჯანმრთელობის საქმე მთლად კარგად ვერ იყო, არც ის გახლდათ საიდუმლო, რომ ახალგაზრდობაში წლების განმავლობაში ფილტვების ტუბერკულოზი მაწუხებდა. არც გულთან დაკავშირებული პრობლემები დამიმალავს — პირიქით: ის ამბავი, რომ 1989 წლის 20 ივლისს გულის ინფარქტი გადავიტანე, საგარეო უწყების სამსახურს ოფიციალურადაც კი გამოვაცხადებინე.

ამჯერად კი საგარეოპოლიტიკური მიზეზების გამო არ მსურდა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საზოგადოებაში ეჭვები გაჩენილიყო. ომის შემდგომი გერმანიის საგარეო პოლიტიკის ამ იქნებ უმძიმეს, მაგრამ ამავე დროს ყველაზე მეტად პერსპექტიულ ფაზაში წარმატება მნიშვნელოვანწილად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელთა პირადი ნდობის კაპიტალზე იყო დამოკიდებული. ეს ეხებოდა ფედერალურ პრეზიდენტს, ფედერალურ

კანცლერს და საგარეო საქმეთა მინისტრს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაჩენილიყო ეჭვები ჩემი პირადი ქმედითუნარიანობის შესახებ — ამაში დარწმუნებული ვიყავი, და ჩემი ამ პოზიციის სისწორე 1990 წლის 12 სექტემბერს შევარდნაძემაც დამიდასტურა. მანამდე კი კიდევ უნდა დამეძლია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემა.

კვირადღის ნაშუადღევი, ნაწილობრივ ორშაბათიც დასასვენებლად გამოვიყენე, და რაკი სამშაბათს პირველი მაისი იყო, კიდევ ერთი დასვენების დღე გამომივიდა. მაგრამ უკვე 2 მაისს თან ვახლდი ფედერალურ პრეზიდენტს ფონ ვაიცზეკერს მისი ოფიციალური ვიზიტისას ვარშავაში, ერთი ერთზე ვესაუბრე საგარეო საქმეთა მინისტრს სკუბიშევსკის პოლონეთის ინტერესების შესახებ გერმანიის გაერთიანების პროცესში და ბოლოს მონაწილეობა მივიღე ფედერალური პრეზიდენტის საუბრებში პრემიერ-მინისტრ მაზოვეცკისა და პრეზიდენტ იარუზელსკისთან. სეიმში შევხვდით სეიმის მარშალს. მერე ვეწვიეთ კათოლიკური ეკლესიის პირველ პირს, კარდინალ გლემპს. მასთან მე წარსულში მქონია არც თუ მთლად უპრობლემო საუბრები, უწინარეს ყოვლისა პოლონეთში გერმანული უმცირესობის უფლებებთან დაკავშირებით.

საღამოს პრეზიდენტმა იარუზელსკიმ სასტუმრო ვიქტორიაში სადილი გამართა. თუკი ამ ვიზიტს იმ ოფიციალურ ვიზიტს შევადარებთ, ფედერალურ კანცლერსა და მე 1989 წლის 8 ნოემბერს რომ გვქონდა პოლონეთში, ძირეულ ატმოსფერულ ცვლილებას დავინახავთ. გერმანიის გაერთიანებას, იგრძნობოდა, ახლო მომავლის საქმედ თვლიდნენ, გერმანიის წევრობას ნატოსა და ევროგაერთიანებაში აშკარად პოლონეთისთვის სასარგებლო მრვლენად მიიჩნევდნენ. ჩემი დაჟინებული განცხადებები იმის შესახებ, რომ გერმანიის გაერთიანების შემდეგ გერმანელებისა და პოლონელების შეხვედრა სრულიად ახალი ფორმით მოხდებოდა, მით უფრო, რომ პოლონეთის დასავლელი მეზობელი მარტო გერმანია კი არ იქნებოდა, არამედ ამავდროულად ევროგაერთიანება და ნატოც, სწორად იქნა გაგებული. მხოლოდ გერმანია-პოლონეთის სასაზღვრო ხელშეკრულების დადების დრო და გარემოებები არ იყო ჯერ დადგენილი. ჩემი კოლეგა სკუბიშევსკის აზრით, თუკი ფედერალური პრეზიდენტის ხმა გერმანელთა უმრავლესობის ხმას წარმოადგენდა, მაშინ სამომავლოდ გერმანია-

პოლონეთის საერთო ბედისწერით დაკავშირების პერსპექტივას კარგი პირი უჩანდა. კიდევ ერთხელ მკაფიოდ წარმოჩნდა, ნდობის რაოდენ დიდ კაპიტალს ფლობდ. რიხარდ ფონ ვაიცზეკერი მსოფლიო მასშტაბით.

იმავე საღამოს ვარშავიდან ბრიუსელს გავფრინდი, რათა მეორე დღეს ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაში მიმეღო მონაწილეობა. იქ საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეიკერმა საბჭოთა კავშირთან თავისი საუბრების შინაარსი გაგვაცნო.

იქაც ვისარგებლე შესაძლებლობით და იმის გათვალისწინებით, რომ ერთი დღის შემდეგ ბონში „ორი პლუს ოთხი" მოლაპარაკებების პირველი რაუნდი უნდა გამართულიყო, დასავლელ კოლეგებთან პოზიციები შევაჯერე. შემდეგ ვისაუბრე ბონში კარპოვთან მოლაპარაკებებზე და იმაზე, თუ რა აზრი გამოვიტანეთ ამ მოლაპარაკებებიდან საბჭოთა პოზიციის შესახებ. ვთქვი, მოსკოვი აშკარად შიშობს, რომ გდრ-ის შეყვანა დასავლეთგერმანული მარკის ზონაში, რაც ეკონომიკური და სავალუტო გაერთიანების გეგმით არის გათვალისწინებული 1990 წლის ივლისიდან, უარყოფითად იმოქმედებს საბჭოთა ჯარების მდგომარეობაზე გდრ-ში. ამის გამო მოსკოვში სურთ იცოდნენ, როგორ აპირებს გაერთიანებული გერმანია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაგრძელებას — ეს გახლდათ საკვანძო საკითხი, რომელიც ევროთათბირის პროცესის შემდგომი ინსტიტუციონალიზებით დაინტერესების გამოც არ იყო მოსკოვისთვის უმნიშვნელო. საბჭოთა მთავრობა აშკარად შეფიქრიანებული ჩანდა იმით, რომ შესაძლოა იგი ევროპიდან გამოეძევებინათ. ეს საკითხი მოსკოვში ყოველთვის აწუხებთ, სულ ერთია, როგორი პოლიტიკური სისტემაა იქ და რომელი პიროვნებები არიან ქვეყნის სათავეში. ეს ის რეალობაა, რომელიც დასავლეთს არასოდეს უნდა გამორჩეს მხედველობიდან.

პირველ რიგში ვიმსჯელეთ გაერთიანებული გერმანიის ნატოში დარჩენის საკითხზე. აქ გამოჩნდა იმედის მომცემი ნიშნები საბჭოთა მხრიდან; გამართლდა ჩემი ვარაუდი, რომ ჩვენი მცდელობანი, შეგვეცვალა სამხედრო ალიანსების პოზიცია ერთმანეთის მიმართ, მოსკოვში ნაბიჯ-ნაბიჯ ნატოსთვის „სატანური" იმიჯის ჩამოცილებამდე მიგვიყვანდა. ისიც, რაც ჯიმ ბეიკერმა შეხვედრის დაწყებისთანავე იმ სიტყვის შესახებ მოგვახსენა, რომელიც პრეზიდენტ ბუშს მალე

უნდა წარმოეთქვა, ამავე მიმართულებით მუშაობდა.

ამის შემდეგ ჩემს კოლეგებს მოვახსენე საზღვრის საკითხში არსებული მდგომარეობის შესახებ. ორივე გერმანული პარლამენტის, ბუნდესტაგისა და სახალხო პალატის სურვილი იყო, ამ პუნქტის გამო ერთნაირი განცხადება გაეკეთებინათ, რომელიც შემდგომ ყველა ფორმალობის დაცვით პოლონეთის მთავრობას გადაეგზავნებოდა. ამ გზით შესაძლებელი იქნებოდა მაღალი რანგის ვალდებულება გვეკისრა. როგორც პრემიერ-მინისტრ მაზოვეცკისა და საგარეო საქმეთა მინისტრ სკუბიშევსკისგან უკვე ვიცოდი, ეს ფორმა პოლონეთისთვის მისაღები იყო. ბონსა და მოსკოვში ძალა არ დამიშურებია ამ გადაწყვეტილების გასატანად.

ბოლოს კიდევ ერთხელ ხაზგასმით გამოვთქვი ჩემი აზრი „ორი პლუს ოთხი" შეხვედრების ინტენსიურად წარმართვის შესახებ. ეს მომენტი, ანუ ხელსაყრელი გარემოება და განვითარების დინამიკა არ უნდა გაგვეშვა ხელიდან, გაბედულად უნდა გვესარგებლა შექმნილი ვითარებით. არ მშორდებოდა იმის ფიქრი, რომ შეიძლებოდა რაღაცა მომხდარიყო — ან საერთაშორისო არენაზე, ან საბჭოთა კავშირში —, რაც გერმანიის გაერთიანებას ან გააძნელებდა, ანდა სულაც დაამუხრუჭებდა. როცა 1991 წლის აგვისტოში მოსკოვში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა მოხდა, ამან ჩემი შიში დაადასტურა — საბედნიეროდ იმ დროისათვის გაერთიანების პროცესი, „ორი პლუს ოთხი" ხელშეკრულების ჩათვლით, უკვე სამშვიდობოს იყო გასული. რა მოხდებოდა, ეს მოვლენები მოსკოვში რამდენიმე თვით ადრე რომ განვითარებულიყო ანდა — რაც კიდევ უფრო სახიფათო იქნებოდა — დრამატული ფორმები მიეღო? იგივე ითქმის ომზე სპარსეთის ყურეში.

ბრიუსელიდან ჰანოვერს გავემგზავრე, სადაც ჩატარდა ნიდერზაქსენის ლანდტაგის საარჩევნო კამპანიით გათვალისწინებული ღონისძიება. თვით არჩევნები 13 მაისს უნდა გამართულიყო. გაჭირვებით ჩავამთავრე ჩემი სიტყვა. ხელახლა იჩინა თავი გულის არიტმიამ.

მეორე დღეს დავიწყე მზადება 5 მაისისთვის, — ამ დღისთვის იყო დანიშნული პირველი შეხვედრა „ორი პლუს ოთხი“ მოლაპარაკების ფარგლებში. 11 საათსა და 15 წუთზე ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრ ჯიმ ბეიკერს შევხვდი საგარეო უწყების სასტუმროში, ვენუსბერგის ვილაში, რათა მეორე დღეს განსახილავ ყველაზე საჭირბოროტო საკითხებზე გვემსჯელა. ნაშუადღევს საგარეო საქმეთა მინისტრ მეკელს ველოდი, საღამოს საგარეო საქმეთა მინისტრ შევარდნაძეს. როცა ისინი გამოჩნდნენ, ვახშამი გავმართე, რომელსაც დუგლას ჰერდი და როლან დიუმაც ესწრებოდნენ.

5 მაისს საგარეო საქმეთა მინისტრ დიუმასა და საგარეო საქმეთა მინისტრ ჰერდთან ერთად ვისაუზმე. სხდომა 10 საათისა და 30 წუთისთვის იყო დანიშნული, 10 საათზე გამოცხადდნენ დელეგაციები. „ხიდის“ ქვეშ, რომელსაც „დიპლომატების გადასარბენსაც“ ეძახიან და საგარეო უწყების მთავარ კორპუსს მინისტრთა და მათ მოადგილეთა ფლიგელთან აერთებს, მივიღე დელეგაციები გერმანული ანბანის თანმიმდევრობით: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, საფრანგეთი, საბჭოთა კავშირი, აშშ, გაერთიანებული სამეფო. იმ მომენტში ყველას დასტყობოდა გერმანიის გაერთიანებისადმი მიძღვნილი პირველი კონფერენციის მნიშვნელოვანების განცდა. ეგრეთ. წოდებულ „მსოფლიო დარბაზში“ მოვაწყობინეთ მრგვალი მაგიდა. იქ მე ზურგით მსოფლიო რუკისკენ ვიჯექი, ჩემ პირისპირ კი შევარდნაძე იჯდა.

„ორი პლუს ოთხის“ ფარგლებში გამართული ეს პირველი სხდომა 28 თებერვლიდან მზადდებოდა. მას შემდეგ დასავლელი დირექტორები კასტრუპი, დიუფურკი (საფრანგეთი), ვესტონი (დიდ ბრიტანეთი) და საიკი (აშშ) ლონდონში შეხვდნენ ერთმანეთს. გარდა ამისა კასტრუპს 2 მარტს წინასწარი საუბრები ჰქონდა ჟენევაში საბჭოთა ვიცე-საგარეო საქმეთა მინისტრთან ადამშინთან, ხოლო 9 მარტს გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან კრაბაჩთან, მანამდე, ვიდრე პოლიტიკური დირექტორები 1990 წლის 14 მარტს, ანუ სახალხო პალატის არჩევნებამდე, პირველად შეხვდებოდნენ ერთმანეთს ბონში.

მე ჩინებული გუნდი მყავდა „ორი პლუს ოთხი“ მოლაპარა-

კებებისთვის. მასში შედიოდნენ დიტერ კასტრუპი, საგარეო უწყების პოლიტიკური დირექტორი, ფრანკ ელბე, მინისტრთა ბიუროს ხელმძღვანელი, და პეტერ ჰარტმანი ფედერალური კანცლერის სამსახურიდან, რომელიც როგორც მაღალკვალიფიციური პროფესიონალი დიპლომატი, კანცლერის წინაში ლოიალობას ძალდაუტანებლად უთავსებდა საგარეო უწყებასთან თავის კავშირს. ისედაც, ჩვენ იმ მთავრობის წარმომადგენელნი ვიყავით, რომლის წევრებსაც საერთო მიზნები ჰქონდათ, და ამის გამოც ამგვარი მიმართება, კაცმა რომ თქვას, საკვანძო ბუნებრივი იყო. მე ვთხოვე ფედერალურ კანცლერს, პეტერ ჰარტმანი ჩვენს დელეგაციაში გამოეშვა. მისგან გარანტირებული გვქონდა ფედერალური კანცლერის ხელთ არსებული მრავალისმომცველი, სანდო და პროფესიონალური ინფორმაცია, რომელიც აუცილებლად საჭირო იყო მოლაპარაკებების დროს.

კასტრუპის გუნდში ამას გარდა შედიოდნენ ქრისტიან პაულსი, ფრიდრიხ გრიონინგი, იულიუს-გეორგ ლუი და მარტინ ნეი. საჭირობისდა მიხედვით სხვა თანამშრომლების მოზიდვაც შეიძლებოდა. კასტრუპი განსაკუთრებით ბედნიერი არჩევანი გამოდგა. წარმოშობით ვესტფალიელი, იგი მოლაპარაკებების წარმართვის ბუნებრივ ტალანტს ფლობს, რასაც გონივრულად უთავსებს მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციას. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მას საბჭოთა პარტნიორებთან მოლაპარაკებების მდიდარი გამოცდილებაც ჰქონდა: სამოცდაათიან წლებში იგი როგორც გერმანიის განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე ხშირად გახლართულა მოსკოვთან მძიმე მოლაპარაკებების ქსელში, რომელიც მაშინ ბერლინის საკითხზე ოთხმხრივი შეთანხმების შეზღუდულად განმარტების წყალობით თავისი პოზიციის გაუმჯობესებას ცდილობდა. მაგრამ იგი თავისი დასავლელი კოლეგების მიზნებსა და ინტერესებსაც კარგად იცნობდა ევროგაერთიანებაში, ნატოში, დასავლეთევროპულ კავშირსა და ევროთათბირში მიღებული ურიცხვი კონსულტაციების შედეგად. ასე რომ, ეს ახოვანი კაცი მოლაპარაკებებს დიდად ავტორიტეტულად წარმართავდა. ჩემი სრული ნდობით აღჭურვილმა და თავისი როგორც დასავლელი, ისე აღმოსავლელი კოლეგების მხრივ დიდად დაფასებულმა პიროვნებამ, მან ჩქარა მოიპოვა „ორი პლუს ოთხი“ მოლაპარაკების პროცესში მონაწილე ყველა მინისტრის პატივისცემა.

ჩვენ საუცხოოდ მოვემზადეთ. უწვრილმანეს დეტალებამდე

ყველაფერზე თვითონ ვზრუნავდი; ამის მიზანი ისიც იყო, რომ მინდოდა საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩატარებულ მოლაპარაკებათა პირველი რაუნდის შეუფერხებელი მიმდინარეობა უზრუნველმეყო. ბოლო წუთში შევამჩნიე, რომ საკონფერენციო დარბაზში კონდიციონერი არ იდგა. რა მექნა? სასწრაფოდ გავეცი განკარგულება, კონფერენციის ჩახუთულ დარბაზში კონდიციონერი დაედგათ.

თუმცა 1990 წლის 5 მაისი დასვენების დღეს – შაბათს დაემთხვა, მაგრამ ბევრმა ჩვენმა თანამშრომელმა სპეციალური საშვები მოიპოვა, რათა მოლაპარაკებათა დაწყებას უბრალო მაყურებლად მაინც დასწრებოდა. ყველას შეგნებული ჰქონდა მომენტის ისტორიულობა. როგორც საერთოდ ამგვარ შემთხვევებში ხდება, მკაფიოდ გამოჩნდა, რა თავდადებით უმუშავიათ საგარეო უწყების თანამშრომლებს წლების განმავლობაში გერმანიის გაერთიანების დიადი მიზნის მისაღწევად. სიტყვას, რომელიც კონფერენციის გახსნისას როგორც თავჯდომარემ წარმოვთქვი, და შესავალ სადისკუსიო მოხსენებასაც დიდხანს ვჩალხავდი. საჭირო იყო სწორად გამენაწილებინა აქცენტები.

ორმოცდახუთი წლის წინათ – 1945 წლის 7 მაისს – მე, ელბაზე მდებარე ტანგერმიუნდესთან მდგარი ვენკის არმიის თვრამეტი წლის ჯარისკაცი ამერიკელთა ტყვეობაში აღმოვჩნდი. ომის ბოლო კვირებში გამოვცადე მთელი საშინელება გერმანიის მიერ გაჩაღებული ყაჩაღური ომისა. ამიტომ იყო, რომ ჩემი გამოსვლა საგარეო უწყებაში ამ სიტყვებით დავიწყე: „ორმოცდახუთი წლის წინ ევროპაში დამთავრდა ომი, რომელმაც უთვალავი მსხვერპლი მოითხოვა და უზომო ტანჯვა მიაყენა ხალხს. ჩვენ პატივს მივაგებთ ომისა და ძალმომრეობის მსხვერპლთ, როცა ჰელსინკის დასკვნითი აქტის პირველ ფრაზაში კვლავაც ერთობლივად გამოვხატავთ ჩვენს ნებასურვილს, წვლილი შევიტანოთ ევროპაში მშვიდობის, უსაფრთხოების, სამართლიანობის და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში. ამ სულისკვეთებით ვიწყებთ დღეს მოლაპარაკებებს. ჩვენი სურვილია შევქმნათ წანამძღვრები გერმანული და ევროპული ისტორიის ახალი თავისათვის, ამ ისტორიის მშვიდობიანი და ბედნიერი პერიოდისათვის. მეორე მსოფლიო ომისა და ჰოლოკოსტის საშინელებანი მეხსიერებიდან არ ამოიშლება. ომის შემდეგაც იღუპებოდნენ დევნილი და ლტოლვილი

ადამიანები. სხვები კიდევ იმის გამო გამოეთხოვნენ სიცოცხლესა და თავისუფლებას, რომ ადამიანებს თავისუფლებისკენ მოუწოდებდნენ. ევროპას რკინის ფარდა ყოფდა. ის ყოფდა გერმანელ ხალხს. ჩვენ ვიცით, ხალხებს როგორი გრძნობები და მოგონებები აკავშირებთ იმასთან, რაც მათ მიმართ გერმანელთა სახელით ჩაიდინეს. ფედერალურმა პრეზიდენტმა რიხარდ ფონ ვაიცზეკერმა 1985 წლის 8 მაისს თქვა ის, რაც ყველა გერმანელის სათქმელი იყო. ომის შემდგომ, ყველა დაძაბულობისა და კონფრონტაციის მიუხედავად, მოხერხდა მშვიდობის შენარჩუნება. ორმოცდახუთი წელი ომის გარეშე – ეს ჩვენი კონტინენტისთვის ახალი გამოცდილებაა. გერმანიის გაერთიანება ყველა ხალხმა უნდა აღიქვას როგორც უკეთესი ევროპის აღმშენებლობაში შეტანილი წვლილი".

განვაგრძე და ვთქვი, რომ ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება ყველა გერმანელის ნება-სურვილს შეესაბამება და ამის შედეგად არავის მიმართ არ იქნება წამოყენებული ტერიტორიული პრეტენზიები. „გერმანიის გაერთიანება", განვაცხადე მე, „რაც სურთ ადამიანებს ორივე გერმანულ სახელმწიფოში და სურთ მათ დემოკრატიულ და ლეგიტიმურ მთავრობებსა და პარლამენტებს, იქნება შედეგი პასუხისმგებლობის პოლიტიკისა. გაერთიანებული გერმანია შეიქმნება ხალხთა უფლებების დეკლარაციასა და ჰელსინკის დასკვნით აქტში ჩადებული თვითგამორკვევის უფლების გათვალისწინებით. თვითგამორკვევა იმასაც ნიშნავს, რომ გერმანელები თვითონ აკეთებენ არჩევანს, რა სახელმწიფო ფორმით, რა დროისთვის, რა ტემპით და რა პირობებით სურთ მათ გაერთიანება. ასე განაცხადა ეს მოსკოვში 1990 წლის 10 თებერვალს გენერალურმა მდივანმა გორბაჩოვმა და, მე ვფიქრობ, ამავე აზრისანი არიან ყველანი, ვინც ამ მაგიდას უსხედან. მკაფიო კონტურებს იძენს ის პროცედურები და კალენდარული გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა წარმოიშვას გერმანული ერთობა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გაერთიანების პროცესის თანაბარუფლებიანი მონაწილენი არიან. ჩვენ ვითვალისწინებთ ჯერ კიდევ ძალაში მყოფ იმ უფლებებსა და პასუხისმგებლობებს ოთხი სახელმწიფოსას მთელი გერმანიისა და ბერლინის მიმართ, რომლებიც ჩვენ წესისა და რიგის მიხედვით უნდა გავაუქმოთ. ეს არის ამ მაგიდასთან ჩვენი მოლაპარაკებების უმთავრესი საგანი". ამასთან

ადგილი არ უნდა ექნეს არც დისკრიმინაციას და არც განკერძოებას: „ჰელსინკის დასკვნით აქტში მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ ყველა პრინციპს ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. ამასთან დაკავშირებით შეგახსენებთ სუვერენული თანასწორობის პრინციპს, რომელიც ამ აქტზე ხელმომწერ ყველა სახელმწიფოს უფლებას აძლევს, იყოს ან არ იყოს რომელიმე ალიანსის წევრი. რაკი ჩვენთვის ცნობილია დასავლური ალიანსის ძალისხმევა მშვიდობისა და უსაფრთხოების მისაღწევად, იმ ალიანსისა, რომელიც მზად არის მხარი დაუჭიროს ცვლილებებს ევროპაში, ამიტომ კავშირსგარეთ დარჩენილი გაერთიანებული გერმანია ევროპისთვის სარგებლობის მომტანი ვერ იქნება". ამით არაორაზროვნად ითქვა ორი რამ: ერთი ის, რომ გერმანია გამოიყენებდა თავის უფლებას, ყოფილიყო ან არ ყოფილიყო ამა თუ იმ საერთაშორისო გაერთიანების წევრი, ხოლო მეორეს მხრივ ისიც ჩანდა, *როგორ* ფიქრობდა იგი ამ უფლების გამოყენებას — კერძოდ, აშკარა იყო, გაერთიანების შემდეგ ის ნატოს წევრობას ირჩევდა. ის გარემოება, რომ პირველი სხდომა ბონში გაიმართა, ხაზს უსვამდა იმას, რომ ჩვენ გაერთიანების საკითხებზე ოთხ მოკავშირე სახელმწიფოსთან ერთად თანაბარი უფლებებით ვმსჯელობდით — ეს იყო პუნქტი, რომელიც კასტრუპმა გაიტანა თავის კოლეგებთან მოლაპარაკების შედეგად.

ორივე გერმანული სახელმწიფო, განვაგრძე მე, ნაციონალურ ერთობას უყურებს არა როგორც მხოლოდ გერმანული პოლიტიკის მიზანს, არამედ აგრეთვე როგორც ახალი ევროპის აშენების საქმეში შეტანილ წვლილს. ამიტომაც გაერთიანების პოლიტიკა ჩვენ თავიდანვე ევროპულ ჩარჩოში მოვათავსეთ. გერმანიის გაერთიანებამ კონტინენტს ახალი პრობლემები კი არ უნდა შეუქმნას, არამედ ხანგრძლივი სტაბილურობა უნდა მოუტანოს; ამას ვუწოდე მე გერმანიის ევროპული მისია ამ საუკუნის ბოლოს.

ვინაიდან გერმანიის გაერთიანება ამასობაში არამარტო ჩვენი უშუალო მეზობლების, არამედ მათთან ერთად ყველა ევროპელის ინტერესის საგანი გახდა, მიზნად დავისახეთ, „ორი პლუს ოთხი" მოლაპარაკებების შედეგები 1990 წლის შემოდგომაზე პარიზში ევროთათბირის წევრ სახელმწიფოთა საგანგებო უმაღლესი დონის შეხვედრაზე წარმოგვედგინა. სანამ სხვა კოლეგები აიღებდნენ სიტყვას, საგარეო უწყების „მსოფლიო დარბაზში" მე განვაცხადე: „გერმანიის

გაერთიანება არამარტო ევროპულ სტრუქტურებს შეცვლის, არამედ იგი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მრავალრიცხოვან პარტნიორთა ორმხრივ ინტერესებსაც შეეხება. გერმანიის ერთიანობის მიღწევა ჩვენ სხვა სახელმწიფოთათვის ზარალისა და ზიანის მიყენების ხარჯზე არ გვსურს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ გერმანიის გაერთიანება არათუ შეასუსტებს ინტენსიურ, ორმხრივსასარგებლო ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობას, არამედ არსებითად გააუმჯობესებს მას. ეს განსაკუთრებით ითქმის გაერთიანებული გერმანიის ურთიერთობაზე საბჭოთა კავშირთან, რაც გაერთიანებული გერმანიისთვისაც ცენტრალური საკითხი იქნება. ჩვენ სავსებით შეგნებული გვაქვს, რომ მრავალ ძნელ კითხვაზე მოგვიწევს პასუხის პოვნა. მაგრამ ჩვენი სურვილია, დაუყოვნებლივ დავიწყოთ მოლაპარაკებები, და ვალდებულნი ვართ გავამართლოთ გერმანიის ორივე ნაწილში მცხოვრებ ადამიანთა მოლოდინი".

შევარდნაძემ, რომლის სიტყვასაც ყველანი განსაკუთრებული დაძაბულობით ველოდით, პრინციპულად გაიზიარა ჩემი მოსაზრებანი. დიდ პასუხისმგებლობის გრძნობასა და პრობლემების გაცნობიერებაზე მეტყველებდა მისი ეს ნათქვამი: „ჩვენ მხარს ვუჭერთ გერმანელთა თვითგამორკვევის უფლებას. ჩვენ გვწამს, რომ გაერთიანებული გერმანია, როგორც დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა და მოვალეობა მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, შევა ევროპის ხალხთა ოჯახში. ჩვენს ამ რწმენას ის განამტკიცებს, რომ ვიცნობთ გერმანელთა ახალი თაობის ღირებულებრივ ორიენტაციას, მათ მისწრაფებებსა და ცხოვრებისეულ წარმოდგენებს. ჩვენ არც სურვილი გვაქვს და არც საბაბი საიმისოდ, რომ ეჭვქვეშ დავაყენოთ მისი მშვიდობისმოყვარეობა და ზოგადადამიანური ჰუმანისტური ღირებულებებისადმი მისი ერთგულება. ყველაზე უარესი ის იქნება, თუკი დრომოჭმულ კლიშეებსა და წარმოდგენებს დავეყრდნობით. დღეისათვის, ჩვენი აზრით, დისკუსიის საგანი აღარ უნდა იყოს გერმანელთა რამენაირი დისკრიმინაცია, სამართლებრივი თუ ფსიქოლოგიური".

ეს იყო ფრაზა, რომელიც მე დიდი მადლიერების გრძნობით აღვიქვი. გერმანიის ომისშემდგომ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ, საუბრებს შევარდნაძესა და გორბაჩოვთან ამაოდ არ ჩაუვლია.

და რაკიღა ამ შეხვედრის მიზანი ისიც იყო, არც გამარჯვებულ მხარეს გაემეორებინა წარსულის შეცდომები, ამიტომ გერმანელ ხალხს უნდა მისცემოდა საშუალება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე განესაზღვრა თავისი მომავალი. შევარდნაძეს სურდა გამოეხატა ის კარგი ადამიანური ურთიერთდამოკიდებულება, რაც ჩვენ შორის წარმოიშვა, და განაცხადა: „დასასრულს, ნება მიბოძეთ, არა ფორმალობის, არამედ ჭეშმარიტების გულისთვის, კიდევ რამდენიმე კეთილი სიტყვა ვთქვა ჩვენი მასპინძლების და უწინარეს ყოვლისა ჩემი მეგობრის, ბატონი ჰანს-დიტრიხ გენშერის მისამართით — მისი იშვიათი საგარეოპოლიტიკური თვისებების, ტაქტის, კეთილგანწყობის გამო, მისი უნარის გამო, უმძიმეს სიტუაციებშიც კი ისეთი ატმოსფერო შექმნას, რომელიც ხელს უწყობს სერიოზულ და მშვიდ მუშაობას, პრობლემების გადაჭრის გზებისა და კომპრომისების ძიებას“.

„ჩემი მეგობარი ჰანს-დიტრიხ გენშერი“ — ეს სიტყვები ჩემმა საბჭოთა კოლეგამ პირველად 1989 წლის დეკემბერში წარმოთქვა ბრიუსელში, ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრების წინაშე. ეს რომ მან აქ, ბონში, გერმანიის გაერთიანებისადმი მიძღვნილი მოლაპარაკებების პირველ რაუნდზე გაიმეორა, იმის ნიშანი იყო, რომ ჩვენი მოლაპარაკებები კარგად დაიწყო. მაგრამ ეს რევოლუციურ პოლიტიკურ ცვლილებებსაც მოწმობდა: რამდენიმე წლის წინ სიტყვები „ჩემი მეგობარი“, წარმოთქმული საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ' დასავლელ საგარეო საქმეთა მინისტრის მისამართით, მას ალბათ პოლიტიკური კარიერის ფასად დაუჯდებოდა, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს კი — დანამდვილებით.

ყველამ იგრძნო, რაც გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთმიმართებასა და მოლაპარაკებებში მონაწილე მხარეთა დამოკიდებულებაში შეცვლილიყო. შევარდნაძეს ძალიან კარგად ესმოდა, რომ ჩვენ გერმანიის საკითხი ევროპული განვითარების ფარგლებში წარმოგვედგინა, და ამიტომ თავის სიტყვაში აღნიშნა, აქ მარტო გერმანიაზე როდი ვმსჯელობთ, მარტო გერმანიის პრობლემის გადაწყვეტა როდი გვსურსო. მართლაც, ეს სწორედ ასე იყო. მაგრამ მას არც ის დაუმალავს, რა მძიმე გზა ედო წინ საბჭოთა ხელმძღვანელობას ახლა, მას შემდეგ, რაც თანხმობა განაცხადა გერმანიის ერთიანობაზე. „ვერც დღევანდელი და ვერც ნებისმიერი სხვა საბჭოთა ხელმძღვანელობა გვერდს ვერ აუვლის საზოგადოებრივ აზრს. საბჭოთა

ხალხმა უნდა დაინახოს, რომ წარსულიდან შემორჩენილ პრობლემებს ღირსეული და ჯეროვანი გადაწყვეტა მოეძებნა. მე ამას ვაცხადებ უაღრესად პატიოსნად და გულახდილად. ჩვენ სიტუაციას იმ სახელს ვარქმევთ, რასაც ის წარმოადგენს, როგორადაც ჩვენ მას ვხედავთ და შევიგრძნობთ". არც ერთი იმ დროს დარბაზში მყოფთაგანი არ დაეჭვებულა ამ განცხადების გულწრფელობაში. ეს არ გახლდათ ტაქტიკური ხრიკები. ყველამ იცოდა, რა ძნელი იქნებოდა სწორედ საგარეო საქმეთა მინისტრისთვის, ისევე როგორც გორბაჩოვისთვისაც, შიდაპოლიტიკური თვალსაზრისით იმის განხორციელება, რასაც ჩვენ მათგან მოველოდით. და თუკი ვინმეს გვიანდელი გადასახედიდან მოვლენების 1990 წლის შემდგომი განვითარება თავისთავად ცხადი და ბუნებრივი მოეჩვენება, მას უნდა შევახსენოთ: ეს ასე არ ყოფილა.

შევარდნაძის განცხადება ერთ მნიშვნელოვან დებულებას შეიცავდა, რომელსაც მოგვიანებით კვლავ უნდა ეთამაშა როლი გერმანიის შესახებ დისკუსიებში. რა მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიის გაერთიანებისთვის პოტსდამის ხელშეკრულებას? მან თქვა: „თავისთავად ცხადია, გერმანიას არა აქვს უფლება იმ ღონისძიებების და ინსტრუქციების რევიზიისა და ეჭვქვეშ დაყენებისა, რომლებიც ოთხი სახელმწიფოს მიერ იქნა გატარებული საოკუპაციო ზონებში".

შევარდნაძის სიტყვა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მარჯვედ იყო აგებული, უწინარეს ყოვლისა იმ ნაწილში, სადაც იგი ალიანსებისადმი გერმანიის დამოკიდებულების საკითხსა და ამ ალიანსების პოზიციას განიხილავდა. „თუკი მე ახლა სამხედროპოლიტიკური სტატუსის პრობლემას დავუბრუნდები", შენიშნა მან, „უნდა დავადასტურო ჩვენი უარყოფითი პოზიცია გაერთიანებული გერმანიის ნატოს წევრად დარჩენის თაობაზე. ასეთი გადაწყვეტილება ჩვენი უსაფრთხოების არსებით ინტერესებს შელახავდა, ძლიერ დაარღვევდა ევროპაში ძალთა შეფარდებას და ჩვენთვის სახიფათო სამხედროსტრატეგიულ ვითარებას შექმნიდა". აქ მე განმიმტკიცდა ჩემი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ საჭირო იყო მომავალში აუცილებლად მიგვეღწია ორივე ალიანსს შორის (ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის) ახლებური ურთიერთობის დამყარებისთვის. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრთა კონფერენციას ტერნბერიში, ასევე — მოგვიანებით ნატოს წევრ სახელმწიფოთა უმაღლესი დონის

შეხვედრას ლონდონში. და მაინც, შევარდნაძემ ნატოს საკითხი პრინციპულ საკითხად არ აქცია. უსაფრთხოების იმ საკითხებზე, რომლებიც მან წამოჭრა, შეიძლებოდა პასუხის გაცემა.

ამის შემდეგ შევარდნაძე შეეხო საკითხს, რა საფუძვლები შეიძლებოდა არსებულიყო გაერთიანებული გერმანიის მომავალი გაწევრიანებისთვის ნატოში. ამავე დროს იგი ცდილობდა, ის ფაქტი, რომ ეს გაწევრიანება მარტო ფედერალური მთავრობის კი არა, დასავლეთის სახელმწიფოების სურვილიც იყო, უნდობლობის უკანასკნელი ნაშთის თვალსაზრისით განემარტა. „არსებობს საკმაო საფუძველი იმ ვარაუდისთვის, რომ ნატოში ახალი სახელმწიფოს გაწევრიანების მიზანი ამ სამხედრო ბლოკის არსებობის იურიდიული თვალსაზრისით გამარადიულების მცდელობაა. ან იქნებ აქ გერმანელთა მიმართ უნდობლობასთან გვაქვს საქმე, იმის შიშთან, რომ თუ ისინი ბლოკს გარეთ დარჩებიან, დაიკარგება კონტროლი გერმანიაზე? ასეთ შემთხვევაში ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ პრინციპულ კითხვას: სადამდე წვდება ჩვენი ხელშეკრულება, და ვაპირებთ თუ არა, ვენდოთ გერმანელებს? თუ ვაპირებთ, მაშინ, ჩემი აზრით, ბოლომდე უნდა ვენდოთ მათ. სხვაგვარად თავიდანვე სახიფათო ბზარს გავაჩენთ გერმანიის საკითხის მოგვარების საქმეში, მეტიც, ევროპის ხელახალ გახლეჩამდე მივალთ, ხელახალ დაპირისპირებამდე, კონფრონტაციის გამოცოცხლებამდე. მაგრამ თუ სხვაგვარი მიზანდასახულებიდან ამოვალთ, მაშინ ბლოკებს კი არ უნდა დავეყრდნოთ, არამედ საერთოევროპულ უსაფრთხოების სტრუქტურებს, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას". და დაამატა: „გარდა წმინდა სამხედრო ასპექტისა ეს ვარიანტი, გერმანიის ნატოში გაწევრიანება, ჩვენთვის შიდაპოლიტიკური ხასიათის მოტივებითაც მიუღებელია. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში საშინელი დანაკარგები განიცადა, გაერთიანებული გერმანიის ნატოში შესვლას ვერ შეურიგდება, როგორც ეს გვიჩვენა ახლახან ჩატარებულმა გამოკითხვამ. ასეთივე განწყობილება სუფევს ჩვენს უმაღლეს საბჭოშიც. ეს უნდა გავითვალისწინოთ. ამიტომ ვთხოვ ჩემს კოლეგებს, ნუ შეიქმნიან იმის ილუზიას, თითქოს ჩვენ შეიძლება თამაშისა და ბლეფის საშუალება მოგვეცეს. პირიქით, მე მოგიწოდებთ, ერთობლივად ვეძებოთ ვარიანტები, რომლებიც არამარტო ჩვენს ინტერესებს გაითვალისწინებენ, არამედ ევროპული მშვიდობისა და გლობალური უსაფრთხო-

ების მრავლისმომცველ ინტერესებსაც... ჩვენთვის ნატო იმადვე რჩება, რაც მუდამ იყო", დასძინა მან მტკიცედ, „ეს არის ჩვენ პირისპირ მდგარი სამხედრო ბლოკი, გარკვეული დოქტრინით და პირველი ბირთვული დარტყმის შესაძლებლობით აღჭურვილი".

რატომ გამოიყენა შევარდნაძემ ეს პირქუში ფორმულები ცივი ომის პროპაგანდისტული არსენალიდან? მაშინაც მჯეროდა და ახლაც მჯერა, რომ მას იმ დღეს სურდა თავის შიდაპოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა არგუმენტებიც გამოეტანა საჯაროდ. ისიც გორბაჩოვივით გერმანიის ერთიანობის საკითხისადმი მიძღვნილი ყველა მოლაპარაკებისას მძლავრ შიდაპოლიტიკურ ზეწოლას განიცდიდა, ამას ფედერალური კანცლერი და მე ძალიან ნათლად ვხედავდით, რასაც ვერ ვიტყვით ყველა დასავლელ დამკვირვებელზე. შემდგომი პერიოდის კონფიდენციალურ საუბრებში საბჭოთა პოზიცია ასეთი შეურიგებელი არ ჩანდა. ჩემი სადარდელი კი ეს იყო: რა ზემოქმედებას მოახდენდა შიდაპოლიტიკური სიძნელეების მქონე ხელმძღვანელობაზე მოსკოვში „ორი პლუს ოთხი" მოლაპარაკებების არასწორი მიმართულებით განვითარება, უწინარეს ყოვლისა კი ამ მოვლენის თანმხლები საზოგადოებრივი ხმაური დასავლეთში? და მეორე მხრივ, რა საფრთხე შეექმნებოდა გაერთიანების პროცესს, თუკი უეცრად გორბაჩოვისა და შევარდნაძის პოლიტიკურად პარალიზებას მოახერხებდნენ, ანდა ხელისუფლებას ჩამოაცილებდნენ მათ? რაც „ორი პლუს ოთხის" პროცესის დასაწყისში გამოიკვეთა, მხოლოდ ვიწრო წახნაგი იყო და სხვა არაფერი. საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა მოლაპარაკებებში მონაწილე კოლეგები მკაფიოდ გააფრთხილა, გადაწყვეტილება გერმანიის გაერთიანების საგარეოპოლიტიკურ ასპექტზე არ მიეღოთ მის ქვეყანაში არსებული შიდაპოლიტიკური ვითარების გაუთვალისწინებლად. „ჩვენ ისეთ საკითხთან გვაქვს საქმე, რომელიც საბჭოთა ადამიანებისთვის, მთელი ჩვენი საზოგადოებისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა", თქვა მან. „თუ შეეცდებიან, იმ საკითხებში, რომლებიც ჩვენს უსაფრთხოებას ეხება, კუთხეში მიგვიმწყვდიონ, მაშინ ეს — სავსებით გულახდილად მოგახსენებთ — იმგვარ სიტუაციას გამოიწვევს, რომელშიც ჩვენი პოლიტიკური მოქნილობა ერთბაშად შეიზღუდება. ჩვენს ქვეყანაში ემოციები აბობოქრდება, წინა პლანზე წარსულის აჩრდილები წამოიწევს და კვლავ გაცოცხლდებიან ნაციონალური კომპლექსები,

რომელთაც ფესვები ჩვენი ისტორიის ტრაგიკულ პერიოდში აქვთ გადგმული". ეს კვლავაც ის შეშფოთება იყო, რომელიც მე ჯერ კიდევ დეკემბერში, მოსკოვში ჩემი ვიზიტისას შევამჩნიე მას.

შევარდნაძის შეკითხვა, გაერთიანებული გერმანიის ნატოში გაწევრიანების მოთხოვნა დასავლეთის მხრივ უნდობლობის გამოხატულება ხომ არ იყო, მკაფიო პასუხს მოითხოვდა, და თანაც ჩვენგან. ასეც მოხდა. საჭირო იყო საბჭოთა კავშირი დაგვერწმუნებინა, რომ ნატოს წევრად დარჩენა გერმანიის სურვილი იყო. ამიტომ ნატოს წევრობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოჩენილიყო, როგორც ძალით თავსმოხვეული რამ — და სინამდვილეში ეს ხომ ასე არც ყოფილა. მოსკოვი უნდა მიგვეხვედრებინა, რომ სამხედრო ალიანსებს შორის ახლებური დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისთვისაც სტაბილიზაციის ფაქტორი იქნებოდა. ის ამბავი, რომ ზოგიერთი თამამი გამონათქვამი (სხვათა შორის, გერმანელთა მხრიდანაც — არადიფერენცირებული, საერთო ვითარებასთან შეუხამებელი განცხადებები ნატოს წევრობის თაობაზე) საბჭოთა კავშირში არსებულ განწყობას უყურადღებოდ ტოვებდა, ამ მიზეზის გამო არცთუ უხიფათო იყო, მაშინაც კი, როცა ამ საკითხში აზრთა სხვადასხვაობას არ ჰქონდა ადგილი. რაოდენ ნაკლებ ესმოდათ მოსკოვის პოლიტიკური და ემოციური პრობლემები მათ, ვინც მაშინ გორბაჩოვისა და შევარდნაძისთვის ანგარიშის გაწევის პოლიტიკას — ასე უწოდებდნენ ამას თვითონ — აკრიტიკებდა და დღესაც ასევე იქცევა! ძირითადად იგივე ხალხი მოითხოვდა ერთი წლის წინ ნატოს დადგენილებას, რომლითაც უნდა გადაწყვეტილიყო გდრ-ის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიისაკენ მიმართული მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული რაკეტების დადგმა. ის ამბავი, რომ დასავლეთის სხვა ქვეყნებში გორბაჩოვისა და შევარდნაძის პრობლემებს გულარხეინად უვლიდნენ გვერდს, არაშორსმჭვრეტელური და სახიფათო იყო, მაგრამ მაინც უფრო გასაგები, ვიდრე ამ საკითხისადმი ასეთივე დამოკიდებულება ჩვენში. საქმე ხომ გერმანიის გაერთიანებას ეხებოდა და არა ინგლისისას ან ამერიკისას. მით უფრო დასაფასებელია, რომ ჯიმ ბეიკერი და პრეზიდენტი ბუშიც ვითარებას იმავე თვალით უყურებდნენ, რა თვალითაც ჩვენ ვუყურებდით — ეგეევ ითქმის დუგლას ჰერდის მიმართაც.

1990 წლის 5 მაისს ერთი ახალი პრობლემაც წამოიჭრა,

როცა შევარდნაძემ თავის სიტყვაში განაცხადა: „ჩვენი შეხედულებით, არ არის აუცილებელი გერმანიის გაერთიანების შიდაპოლიტიკური და საგარეოპოლიტიკური საკითხების მოგვარება დროში ერთმანეთს დაემთხვეს, არც ის არის სავალდებულო, რომ ისინი ერთსა და იმავე გარდამავალ პერიოდში მოგვარდეს. თვით ერთიანი პარლამენტის და ერთი მთავრობის შექმნის შემდეგაც რამდენიმე წლის განმავლობაში უთუოდ ეფექტური იქნება გარკვეული ღონისძიებანი, დაკავშირებული რეგულირების საგარეოპოლიტიკური ასპექტების გადაწყვეტასთან". ეს იმდენად იყო მართებული, რამდენადაც, სულ ცოტა, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში კვლავაც ადგილი ექნებოდა შეზღუდვებს, რასაც განაპირობებდა საბჭოთა ჯარების დროებითი განლაგება ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე. მეორე მხრივ ისიც ნათელი იყო, რომ გაერთიანებულ გერმანიას გადაუჭრელი საკითხები არავითარ შემთხვევაში ტვირთად არ უნდა დასწოლოდა. სწორედ ამიტომ მოლაპარაკებები „ორი პლუს ოთხი" გერმანიის გაერთიანებამდე უნდა დამთავრებულიყო – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ოთხი სახელმწიფოს ის უფლებები, რომლებიც ჩვენს სუვერენიტეტს ზღუდავდა, დაუყოვნებლივ გაუქმებულად უნდა გამოცხადებულიყო.

მას შემდეგ, რაც ჩემს სხვა კოლეგებსაც მიეცათ შესაძლებლობა შესავალი სიტყვა წარმოეთქვათ, მე ვისარგებლე ჩემი, როგორც თავმჯდომარის, უფლებებით. ჯერ შევაჯამე ექვსი საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლები და განვმარტე, როგორ გავიგე ისინი. კმაყოფილებით აღვნიშნე, რომ ყველა მინისტრმა თავიანთ განცხადებებში ცნო გერმანელთა ნება – გაერთიანებულიყვნენ. მეორეც: არსებობს აზრთა თანხვედრა იმ საკითხშიც, რომ გაერთიანების პროცესი დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. მესამე: ერთიანი აზრია იმის თაობაზეც, რომ პოლონეთმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მისი საზღვრების შესახებ გამართულ მოლაპარაკებებში. მეოთხე: ყველა იზიარებს იმ შეხედულებას, რომ პოლონეთის ამჟამინდელი დასავლეთი საზღვარი საბოლოოა.

საყურადღებო ერთსულოვნება შევნიშნე, განვაგრძე მე, ევროთათბირის პროცესის მოწესრიგების საკითხში. ყველა მინისტრი თანახმაა ამ პროცესის გაფართოებასა, გაღრმავებასა და ინსტიტუციონალიზებაზე. დაბოლოს ერთიანობა სუფევს იმის თაობაზეც, რომ ჩვენთვის, გერმანელებისთვის, ცხადია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,

გერმანიის მიმართ ოთხი სახელმწიფოს უფლებები და პასუხისმგებლობები საბოლოო საერთაშორისოსამართლებრივი რეგულირებით შეიცვალოს-მეთქი. აქ საქმე ეხებოდა გერმანიისთვის სრული სუვერენიტეტის მინიჭებას.

პირველმა შევარდნაძემ მოითხოვა სიტყვა. ის პრინციპულად დაეთანხმა ჩემს მოსაზრებებს, ოღონდ შენიშნა, იქნებ გვეფიქრა, პოლონეთის მონაწილეობასთან დაკავშირებით უფრო შორსმიმავალი დადგენილება ხომ არ მიგვეღო — დაახლოებით ასეთი შინაარსისა: ვარშავამ მონაწილეობა უნდა მიიღოს მოლაპარაკებებში, თუ მისი უსაფრთხოების ინტერესებს რამე დაემუქრება. ამაზე მე მივუგე: „ეს საკითხი უნდა გადავდოთ მანამდე, სანამ პოლონეთის მონაწილეობის საკითხის განხილვას შევუდგებოდათ". ჯერ დღის წესრიგი დავამტკიცოთ, რომელიც პოლიტიკურმა დირექტორებმა მოამზადეს-მეთქი — პირველი: საზღვრების საკითხი, მეორე: პოლიტიკური და სამხედრო საკითხები, მესამე: ბერლინის პრობლემა, მეოთხე: საბოლოო საერთაშორისოსამართლებრივი რეგულირება და ოთხი სახელმწიფოს უფლებათა და პასუხისმგებლობათა გაუქმება. შევარდნაძემ კვლავაც მოითხოვა სიტყვა; მას სურდა კოლეგებისათვის შეეხსენებინა საბჭოთა კავშირის წინადადება გერმანიის გაერთიანების საგარეოპოლიტიკური ასპექტების საერთოევროპულ პროცესთან სინქრონიზების საკითხის დღის წესრიგში ცალკე პუნქტად შეტანის თაობაზე. მისი სიტყვით, ეს საკითხი შეიძლებოდა დღის წესრიგის მეხუთე პუნქტად დაგვემატებინა, ანდა შეძლებისდაგვარად მეორე პუნქტთან გაგვეერთიანებინა, რომელიც როგორც პოლიტიკურ და სამხედრო საკითხებს, ასევე გერმანიის გაერთიანების საერთოევროპულ პროცესთან სინქრონიზებასაც მოიცავდა. ეს ინიციატივა პრობლემატური მეჩვენა: თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ გერმანიის გაერთიანება ხელს შეუწყობდა ევროპის ქვეყნების ურთიერთდაახლოებას, მაგრამ თუ გერმანიის გაერთიანებას საერთოევროპული განვითარების მძევლად ვაქცევდით, საგარეოპოლიტიკური ასპექტების დარეგულირების პროცესი შესაძლოა უსასრულოდ გაჭიანურებულიყო. საქმე აქამდე არ უნდა მისულიყო.

პირველმა სიტყვა გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მარკუს მეკელმა, მოითხოვა, რომელიც, ეტყობოდა, იმასვე ფიქრობდა, რასაც მე. მან თქვა, ყველა მინისტრი ერთი აზრისაა იმის თაობაზე, რომ

გერმანიის გაერთიანებასა და საერთოევროპულ პროცესს შორის ურთიერთკავშირი არსებობს; ეს, ასე ვთქვათ, მთელი ამ პროცესის დევიზია. ამიტომ, მისი აზრით, ამ საკითხის დღის წესრიგში ცალკე პუნქტად შეტანა არ იყო საჭირო. ბოლოს და ბოლოს აქ საქმე გერმანიისთვის სპეციფიკურ სიტუაციას ეხება, კერძოდ ოთხი სახელმწიფოს უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაუქმებას და ყოველივეს, აქედან გამომდინარეს. მოსაზრებანი, რომელნიც ამ პრობლემის მიღმა დგას, ევროთათბირის პროცესს განეკუთვნება, რის შესახებაც სხვა ევროპელი მინისტრებიც გამოთქვამენ თავის აზრსო. ჩემი არ იყოს, მეკელსაც, ეტყობოდა, სიძნელეებს უქმნიდა ცნება „სინქრონიზება", რომელიც დღის წესრიგის მეორე პუნქტში უნდა შეტანილიყო. სინქრონიზება მისთვის იმას არ ნიშნავდა, რომ ყველა პროცესი ერთნაირად სწრაფად უნდა წარმართულიყო; მეტიც, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმის დაფიქსირებას, რომ გერმანული გაერთიანების პროცესი უფრო სწრაფად უნდა წარმართულიყო, ვიდრე ევროპული გაერთიანებისა.

ეს განცხადება რომ გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან წამოვიდა, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; მე მას მხარი დავუჭირე. როლან დიუმაც ამ პოზიციაზე იდგა და თქვა, ამ საკითხის დღის წესრიგში ცალკე პუნქტად შეტანა არ მომწონსო. გერმანიის გაერთიანება გერმანელების საქმეა და ამ აზრს შევარდნაძეც ეთანხმებაო. მისი აზრით, სინქრონიზება ეჭვქვეშ დააყენებდა გერმანელების უფლებას, თვითონ განესაზღვრათ თავიანთი გაერთიანების რიტმი.

ამაზე შევარდნაძემ — აშკარად შინაურების დასამშვიდებლად — თქვა, არ არის აუცილებელი, გერმანიის გაერთიანება დროში დაემთხვეს ოთხი სახელმწიფოს პირობითი უფლებების გაუქმებასო. ბოლოს და ბოლოს ორივე აუცილებლად იდენტური შეიძლება არ იყოსო — შეხედულება, რომელიც იმდენად იყო სწორი, რამდენადაც ორივე გადაწყვეტილება ისედაც ერთსა და იმავე დროს ვერ შევიდოდა ძალაში. და მართლაც მოვლენები ამის შესაბამისად განვითარდა, რაკი გერმანიის გაერთიანების შემდეგ ჯერ „ორი პლუს ოთხი" ხელშეკრულების რატიფიცირება უნდა მომხდარიყო მასში მონაწილე ხუთი სახელმწიფოს მიერ. 1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანიის გაერთიანების შედეგად „ორი პლუს ოთხი" „ერთი პლუს ოთხად" გადაიქცა.

„ორი პლუს ოთხის“ მოლაპარაკებათა პირველი რაუნდის მონაწილენი ბონში, საგარეო უწყების შენობის წინ, 1990 წლის 5 მაისს. ახალი დროის პოლიტიკური მათემატიკა ასეთია: 2+4=5.

ჩვენ ტყუილად როდი გვინდოდა გერმანიის გაერთიანება იმ დრომდე გადაგვეწია, ვიდრე 1 ივლისისთვის გათვალისწინებული ეკონომიკური და სავალუტო გაერთიანება არ მოხდებოდა. „ორი პლუს ოთხი“ ხელშეკრულების რატიფიკაცია თავისუფლად არჩეულ საერთოგერმანულ პარლამენტს უნდა მოეხდინა და არა ორი გერმანიის პარლამენტებს.

შევარდნაძე სხვა პუნქტსაც შეეხო: მისი სურვილი იყო გერმანიის საკითხის სინქრონიზება საერთოევროპული უსაფრთხოების ახალი სტრუქტურების განვითარებასთან. ამ შენიშვნით მას უნდოდა უსაფრთხოების ახალი სტრუქტურების შექმნა დაეჩქარებინა, ანუ ის მოითხოვდა ორივე სამხედრო ბლოკს შორის ახლებური ურთიერთობის ჩამოყალიბების ტემპი დაგვეჩქარებინა. საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბონში ესეც განაცხადა: „არაფერია შეთანხმებული მანამ, სანამ საკითხის მოგვარების ყველა ასპექტზე არ არის მიღწეული აზრთა ერთობა, სანამ ინტერესთა სრულყოფილი ბალანსი არ არის

ნაპოვნი“. ცხადია, მე დღემდე არ მჯერა, რომ ჩემს საბჭოთა კოლეგას — როგორც ამის შესახებ მაშინ საჯაროდ კამათობდნენ — აქ მართლაც შინაგანი და გარეგანი გაერთიანების ერთმანეთისაგან დაცილება ჰქონდა მხედველობაში.

როგორც ბეიკერმა და მე, დუგლას ჰერდმაც საეჭვოდ მიიჩნია სინქრონიზება: თუკი სინქრონიზებას დღის წესრიგში შევიტანთ, შენიშნა მან, ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანელთა თვითგამორკვევის უფლების ამოქმედებას გავაჭიანურებთ. ყველა მინისტრმა თავიანთი მოვალეობები ევროთათბირის პროცესის მიმართ მკაფიოდ წარმოაჩინა; ახლა თავიდან უნდა ავიცილოთ ის ამბავი, რომ ევროთათბირის პროცესის განვითარებამ გერმანელთა თვითგამორკვევის უფლება არ შელახოსო.

ამის შემდეგ შევარდნაძე მიხვდა, რომ საბჭოთა პოზიცია არ იქნა გაზიარებული და განაცხადა, რომ იგი ამ შემთხვევაში მხოლოდ გერმანიის გაერთიანების საგარეოპოლიტიკურ ასპექტებზე ფიქრობდა. ამიტომ უკანვე მიაქვს თავისი წინადადება სინქრონიზების მეხუთე პუნქტად შეტანის თაობაზე. ხოლო თუკი ცნება „სინქრონიზება“ არ გამოგვადგება, მაშინ კომპრომისულ ვარიანტს შემოგთავაზებთო: „პოლიტიკური, სამხედრო საკითხები, ასევე შეთანხმებები გერმანიის გაერთიანების სამზადისის და ევროპაში უსაფრთხოების სტრუქ-ტურათა შექმნის შეთავსებადობის შესახებ“.

აქედან, ფორმულირებაში სხვადასხვა ცვლილებების შეტანის შემდეგ, ასეთი რამ მივიღეთ: „პოლიტიკური და სამხედრო საკითხები ევროპაში სათანადო უსაფრთხოების სტრუქტურათა მომზადების გათვალისწინებით“.

ყველა მინაწილემ თავიანთ გამოსვლებში ცნო გერმანელთა ნება გაერთიანების საკითხში. ასევე ყველა თანახმა იყო, რომ გაერთიანების პროცესი დაუყოვნებლივ დაწყებულიყო და პოლონეთიც მოგვეწვია, როცა მისი საზღვრების შესახებ გვექნებოდა მოლაპარა-კებები. დილის სხდომის შედეგი დადებითი იყო. ყველამ მხარი დაუჭირა იმასაც, რომ ოთხი სახელმწიფოს უფლებები გერმანიის მიმართ საბოლოო საერთაშორისოსამართლებრივ რეგულირებას უნდა შეეცვალა — ეს იყო გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენთვის, გერმანელებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან

საქმე ეხებოდა სრული გერმანული სუვერენიტეტის აღიარებას.

სხდომა სადილის გამო შეწყდა, რამაც შესაძლებლობა მომცა ფედერალური კანცლერისთვის ტელეფონით გამეზიარებინა ჩემი პირველი შთაბეჭდილებები. 15 საათზე მუშაობა განვაგრძეთ. შევარდნაძემ კიდევ მრავალჯერ გამოთქვა შეშფოთება იმის გამო, რომ შესაძლოა თვითონ გერმანიის გაერთიანების პოლიტიკური მსხვერპლი გამხდარიყო. დოგმატიკოსი მოწინააღმდეგენი მხოლოდ ხელსაყრელ შემთხვევას ელოდნენ, რომ გორბაჩოვისთვის და მისთვის ერთგვარი პოლიტიკური ვაჭრობის ბრალდება წაეყენებინათ; რასაც მე გერმანელებს გაერთიანების საკითხში დავუთმობ, მოსკოვში სიხარულით გამოიყენებენ გორბაჩოვის გერმანული პოლიტიკის სახელის გასატეხადო. გასაგებია, რომ შევარდნაძემ ჯეიმს ბეიკერის სიტყვები დაიმოწმა: „ჩვენ ისეთი გადაწყვეტილება უნდა ვიპოვოთ, რომლის შედეგად არც მოგებული დარჩება ვინმე და არც წაგებული“.

შევარდნაძის განცხადებამ, შინაგანი და გარეგანი გაერთიანება შეძლებისდაგვარად უნდა განვაცალკეოთ ერთმანეთისგანო, ცოტა ხნის შემდეგ შიდაპოლიტიკური უთანხმოება წარმოშვა. როცა 8 მაისს გაზეთი გავშალე — ამასობაში უკვე სამშაბათი დამდგარიყო —, ასეთი რამ წავიკითხე: „გენშერი მიესალმა მოსკოვის მზადყოფნას გაერთიანების შიდა და გარეპოლიტიკური ასპექტების განცალკევებისთვის“. ეს აშკარა სიცრუე იყო, ამიტომ ბუნდესტაგისთვის განკუთვნილ სამთავრობო განცხადებაში ხაზგასმით აღენიშნე, სინამდვილეში რა პოზიციაზე ვიდექი მოლაპარაკებათა მაგიდასთან: „ჩვენ არ გვინდა გაერთიანებულ გერმანიას ტვირთად დააწვეს გადაუჭრელი საკითხები, არც იმ სფეროში, სადაც გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებული ცვლილებებია აუცილებელი, — ასეთია, მაგალითად, საბჭოთა ჯარების გდრ-ის ტერიტორიაზე დროებით დარჩენის შესახებ მიღებული შეთანხმება“. აშკარა იყო, პრესის ინფორმაციები ისეთ გერმანულ წყაროს ეყრდნობოდა, რომელიც მოლაპარაკებებში არ მონაწილეობდა. მოგვიანებით მივიღე ცნობები, რომ ვაშინგტონსა და ლონდონშიც უცდიათ ამ არასწორი ინფორმაციის გავრცელებით ჩემი საწინააღმდეგო განწყობის შექმნა.

სინამდვილეში მე მხოლოდ ეს ვთქვი: „ისე ჩანს, რომ საბჭოთა კავშირის სურვილია, იმ საკითხების მოგვარება, რომელთა გადაწყვეტა, მისი აზრით, დღესდღეობით იქნებ შეუძლებელია,

გადააბაროს მოვლენების ყველა ჩვენგანისთვის სასურველ მომავალ განვითარებას ევროპაში". ამით მე შევარდნაძის შეხედულება სრულიადაც არ გამიზიარებია, მე მხოლოდ მისი მოტივების ნათელყოფა ვცადე. მერე დავამატე: „ეს რთული საკითხებია, ასე რომ, შეიძლება დასაშვებად მივიჩნიოთ საბჭოთა ჯარების გარკვეული დროის განმავლობაში დარჩენა დღევანდელი გდრ-ის ტერიტორიაზე". ის ამბავი, რომ გერმანიაში განლაგებული წითელი არმიის ნაწილები გერმანიის გაერთიანების და „ორი პლუს ოთხი" ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე არ დატოვებდნენ ჩვენს ქვეყანას, საქმეში ჩახედული ყველა ადამიანისთვის თავიდანვე ნათელი იყო. მხოლოდ ფანტაზიორები თუ დაიჯერებდნენ იმას, რომ მოსკოვი ყოფილი გდრ-ის ტერიტორიიდან შეიძლებოდა 1990 წელსვე გასულიყო. ის ამბავი, რომ ხელშეკრულება „ორი პლუს ოთხი" მხოლოდ ძალიან მოგვიანებით, კერძოდ 1991 წლის 15 მარტს შევიდა ძალაში, მოწმობს რამდენი სიძნელეები ახლდა რატიფიცირების პროცესს მოსკოვში. შევარდნაძის პოსტიდან გადადგომამ 1990 წლის დეკემბერში ცხადყო, რომ იმ დროს კრემლში დღის წესრიგში იდგა პოლიტიკური ძალაუფლების საკითხი, რაც გერმანიის პრობლემისადმი საბჭოთა ხელმძღვანელობის დამოკიდებულებასთანაც იყო დაკავშირებული, ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა, ამასობაში უკვე რუსული ჯარები მხოლოდ 1994 წლის შემოდგომაზე გავიდნენ. ისე მოხდა, როგორც მე ვიწინასწარმეტყველე.

შევარდნაძისა და გორბაჩოვისთვის მათ მიერ წამოყენებული წინადადების გამო არავითარი ბოროტი განზრახვა არ მიმიწერია. ფრთხილად და წინდახედულად ვცდილობდი, საბჭოთა ინტერესები ჩვენი მიზნის მიმართულებით წარმემართა. საკითხს, თუ რამდენ ხანს დარჩებოდნენ ჩვენთან საბჭოთა ჯარები — ცხადია, ისე, რომ გერმანიის სუვერენიტეტს არ შეზღუდავდნენ — ისედაც ვერ ავუვლიდით გვერდს.

ჰორსტ ტელჩიკის „329 დღეში", ავტორის პირად ჩანაწერებს შორის, ასეთ შენიშვნას ვხვდებით: „გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე" დღეს იხსნება უზარმაზარი სათაურით: „გენშერი მიესალმა მოსკოვის მზადყოფნას გაერთიანების შიდა და გარეპოლიტიკური ასპექტების განცალკევებისთვის". თუ ეს ასეა, მაშინ აზრთა სხვადასხვაობას ჰქონია ადგილი საგარეო საქმეთა მინისტრსა და

ფედერალურ კანცლერს შორის, რომელიც იმ პოზიციაზე რჩება, რომ შიდა და გარეპოლიტიკური ასპექტები ერთმანეთისაგან არ უნდა განვაცალკეოთ".

მაინც მივიდა საქმე განცალკევებამდე, თუმცა სულ სხვაგვარი — და გერმანიისთვის ბევრად უფრო სასარგებლო — შედეგით: საგარეო უწყებამ „ორი პლუს ოთხის" მოლაპარაკებებზე მიაღწია იმას, რომ „ორი პლუს ოთხის" ხელშეკრულებას, ჩვენი სურვილის შესაბამისად, გერმანიის გაერთიანებამდე მოეწერა ხელი! ამ ძვირფას დოკუმენტზე ხელმოწერა სწორედ იმ დროს უნდა მომხდარიყო, როცა ეს აუცილებელი იყო, და არც ერთი წამით გვიან. გარდა ამისა მოვიპოვეთ ოთხი სახელმწიფოს განცხადება იმის თაობაზე, რომ გერმანიის მიმართ მათი უფლებები გერმანიის გაერთიანებიდან „ორი პლუს ოთხი" ხელშეკრულების ამოქმედებამდე უნდა შეჩერებულიყო. აქაც გამოჩნდა, რომ სასურველ შედეგამდე მიეყავართ არა მეთოდს „ან ყველაფერი, ან არაფერი", არამედ მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეთა შიდაპოლიტიკური საჭიროებებისა და პრობლემებისათვის ანგარიშის გაწევას. დღესაც ჩამესმის ყურში შევარდნაძის მუდარით აღსავსე სიტყვები: „ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებას გერმანიის გაერთიანების საგარეოპოლიტიკურ ასპექტებზე ჩემი ქვეყნის შიდაპოლიტიკური ვითარების გაუთვალისწინებლად!" პრესკონფერენციაზე, რომელმაც ბონში „ორი პლუს ოთხის" შეხვედრა დაასრულა, „განცალკევების" პრობლემა აღარავის უხსენებია. ეტყობა, ჟურნალისტების წინაშე არავინ ისურვა ამ „პრობლემის" წამოჭრა.

ექვსმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბონშივე გადაწყვიტა, რომ ივნისში ბერლინში შეხვედროდნენ ერთმანეთს, ივლისში პარიზში, ხოლო სექტემბერში კი მოსკოვში. ბერლინში პოლიტიკურ და სამხედრო თემებზე უნდა გვემსჯელა; პარიზში საზღვრის საკითხი უნდა განხილულიყო პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად. გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა მეკელმა მხარი დაუჭირა ვარშავის წინადადებას პოლონეთთან სასაზღვრო ხელშეკრულების ცალკე დადების შესახებ და განაცხადა, მე ყოველივე იმის ქომაგი ვიქნები, რისგანაც პოლონელები თავიანთთვის უდიდეს უსაფრთხოებას გამოელიანო — მისი ეს პოზიცია ჩემთვის სრულიად გასაგები იყო.

რაკი მე და ჩემს გდრ-ელ კოლეგას გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრის თაობაზე სავსებით ერთნაირი შეხედულება გვქონდა, შემეძლო ზემოხსენებულ კონფერენციაზე ბონში ორივეს სახელით განმეცხადებინა: „დღეს ორივე გერმანულმა სახელმწიფომ გამოხატა თავისი გადაწყვეტილება, რომ პოლონეთის დასავლეთი საზღვარი, იმ სახით, რა სახითაც იგი გიორლიცის და ვარშავის ხელშეკრულებებსა და ამ საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტებშია აღწერილი, პოლონეთსა და გერმანიას შორის საბოლოო საზღვრად უნდა დარჩეს და რომ ეს გადაწყვეტილება საერთაშორისოსამართლებრივი ხელშეკრულების საგანი იქნება, რომელსაც გაერთიანებული გერმანია პოლონეთის რესპუბლიკასთან დადებს".

ჩემს ინიციატივას, პარიზში „ორი პლუს ოთხის" შეხვედრაზე პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სკუბიშევსკიც მოგვეწვია, მაშინვე მხარი დაუჭირა როლან დიუმამ, რომელთანაც ამ საკითხზე მანამდე ვილაპარაკე. მაშინაც, როცა ერთი წლის შემდეგ დიუმასა და სკუბიშევსკის საფრანგეთის, პოლონეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების პირველი შეხვედრის გამართვა შევთავაზე ვაიმარში, ვიცოდი, რა პოზიციას დაიკავებდა საფრანგეთი გერმანია-პოლონეთის ურთიერთობის საკითხში. 1991 წელს დიუმამ და მე პოლონეთთან ურთიერთობა ორივე ჩვენი ქვეყნის საერთო საქმედ ვაქციეთ — ეს იყო ისტორიული პროგრესი ყოველივე იმის შემდეგ, რაც ამ საუკუნეში მოხდა. სკუბიშევსკისთვის კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმის შეცნობას, რომ ბონი და პარიზი სერიოზულად ფიქრობდნენ მათთან თანაბარუფლებრივი დამოკიდებულების დამყარებას. და მაინც გერმანია-პოლონეთის ურთიერთობის მოგვარებამდე ჯერ კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი.

თითქმის სამი წლის შემდეგ, 1993 წელს, კიდევ ერთხელ დავსხედით „მსოფლიო დარბაზში" ერთმანეთის პირისპირ შევარდნაძე და მე. ვის შეეძლო იმის წინასწარ განჭვრეტა, რაც 1990 წლის მაისიდან 1993 წლის ივნისამდე გავლილი დროის მანძილზე მოხდა? მე 1992 წლის მაისში დავტოვე ჩემი თანამდებობა. ხოლო ბუნდესტაგის დეპუტატის ჰანს-დიტრიხ გენშერის პირისპირ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი კი არა, საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის პრეზიდენტი იჯდა. საბჭოთა კავშირი აღარ არსებობდა.

მოლაპარაკებების დასაწყისით კმაყოფილი დავრჩი. ახლა საჭირო იყო, გაერთიანების პროცესის პარალელურად ახალი ძალით გაჩაღებულიყო თანამშრომლობა უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში, და ასე განვაცხადე 10 მაისს ბუნდესტაგში გამოსვლისას: „ორივე სამხედრო ბლოკი — რაც უნდა განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისგან — მოწოდებულია, სულ უფრო და უფრო მეტად დაისახონ პოლიტიკური მიზნები და ხანგრძლივი დროით გადაიქცნენ უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის იარაღად. ამიტომ საჭიროა, ჩვენმა სამხედრო ბლოკმა ახლებური ურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა კავშირთან. საგარეო საქმეთა მინისტრ შევარდნაძის სტუმრობა ბრიუსელის ნატოს შტაბბინაში იმის მაჩვენებელია, რომ საბჭოთა კავშირიც ასევე ფიქრობს. ნატოს გენერალური მდივნის მოსკოვში მიწვევაც ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია“.

მომდევნო თვეები საბჭოთა კავშირისთვის განსაკუთრებით მძიმე გამოდგა, რადგან ჩვენ გერმანიის მიმართ მათი პოლიტიკის ძირეულ შეცვლას და გერმანიის საკითხის საბოლოო, უეჭველ მოგვარებას მოვითხოვდით. ამიტომ იყო, რომ 1990 წლის 10 მაისს ბუნდესტაგის წინაშე წაკითხულ სამთავრობო განცხადებაში ვთქვი: „ჩვენ არ გვინდა გაერთიანებულ გერმანიას ტვირთად დააწვეს გადაუჭრელი საკითხები, არც იმ სფეროში, სადაც გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებული ცვლილებებია აუცილებელი, — ასეთია, მაგალითად, საბჭოთა ჯარების გდრ-ის ტერიტორიაზე დროებით დარჩენის შესახებ მიღებული შეთანხმება. კაცმა რომ თქვას, ეს თავისთავად ცხადი უნდა იყოს“. საქმე ეხებოდა არსის ნათლად წარმოჩენას, იმას, რომ საკითხები ღიად არ დაგვეტოვებინა, ეს იყო და ეს.

თანამშრომლობა ჩემს გდრ-ელ კოლეგასთან კარგად აეწყო, რაც აღვნიშნე კიდევაც ჩემს იმავე გამოსვლაში. „მარკუს მეკელმა, გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა 1990 წლის 5 მაისს სამართლიანად უწოდა გერმანიისა და ევროპის დიდი დღე“, ვთქვი მე. „ვეთანხმები ამას და მსურს აქვე მოგახსენოთ, რომ დიდად ვაფასებ კოლეგა მეკელთან თანამშრომლობას“.

ამ პირველმა შეხვედრამ ბონში ოპტიმისტური განწყობილება დაბადა. გერმანელთა დიდი ხნის ნალოლიავები სურვილი, მშვიდობიანად გაერთიანებულიყვნენ, აღსრულების გზაზე იდგა. ჩემს დასავლელ და აღმოსავლელ კოლეგებთან შეთანხმებით უკვე შემეძლო

შეხვედრის დასასრულს განმეცხადებინა: „ყველა მონაწილემ ცნო გერმანელთა ნება, თავიანთი გაერთიანება წესისამებრ და დაუყოვნებლივ განახორციელონ. გერმანიის გაერთიანებამ ყველა სახელმწიფოსთვის სარგებლობა უნდა მოიტანოს“.

ბონის შეხვედრის ყველა მონაწილემ აღიარა ის, რაც მე მანამდე არაერთხელ აღმინიშნავს: „გერმანიის გაერთიანება არ შეუქმნის პრობლემას ევროპას, ის კი არა, ერთი მძიმე პრობლემისგან გაგვათავისუფლებს კიდეც“. მაგრამ მე მსურდა აგრეთვე ბუნდესტაგის წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში საბჭოთა მხარისთვისაც მკაფიოდ მეგრძნობინებინა, რომ ჩვენ ღირსეულ პატივს მივაგებდით მათი ქვეყნის კომპლექსურ ინტერესებს. ამიტომ ვთქვი: „ჩვენს ინტერესებში შედის ის, რომ პრეზიდენტ გორბაჩოვის პოლიტიკამ წარმატება მოიპოვოს ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც. საბჭოთა კავშირის პრობლემები საბჭოთა კავშირშივე უნდა გადაწყდეს, დასავლეთის მხრივ ნდობის გამომხატველი პოლიტიკა და სოლიდარობა საბჭოთა კავშირშიც ნდობის ატმოსფეროს შექმნის და პროგრესს შეუწყობს ხელს. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული, რაოდენ მრავალმხრივი პრობლემების წინაშე დგას ამჟამად საბჭოთა ხელმძღვანელობა. ეს ჩვენი მხრივ დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. პასუხისმგებლობის ეს პოლიტიკა, რომელმაც წარსულის ძალის პოლიტიკა შეცვალა, იმასაც გულისხმობს, რომ ცალმხრივი სარგებლობა არ ვეძიოთ. საბჭოთა კავშირისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გაერთიანების პროცესში ზარალი არ ნახოს გდრ-თან დადებული მრავალრიცხოვანი ხელშეკრულებითი შეთანხმებების გამო. იგივე უნდა ითქვას ხელშეკრულებაში მონაწილე მეორე მხარის — გდრ-ის შესახებაც. ჩვენ შევასრულებთ ჩვენს დანაპირებს, რომ გერმანიის გაერთიანება სხვებს არ დააზარალებს. გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ნამდვილ სახეს მხოლოდ გერმანიის გაერთიანების შემდეგ მიიღებს. ჩვენი სურვილია, გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ყველა თავის განზომილებაში სავსებით ამოვწუროთ. გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შეუძლიათ ევროპას ძალიან ბევრი რამ მისცენ“.

სასტუმრო „მარიტიმში“ ჩატარებული ამ პრესკონფერენციის შემდეგ უკანვე დავბრუნდი საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც ჩემს კაბინეტში ჩემს უახლოეს თანამშრომლებს შევხვდი. შევაჯამეთ

შედეგები; ბალანსი დადებითი იყო. დიდი ტვირთი მომეხსნა. მას შემდეგ, რაც კასტრუპსა და მის გუნდს მადლობა მოვახსენე ჩინებულად ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოს გამო, ტელესტუდიისკენ გავეშურე, რადგან ამ ისტორიული შეხვედრის შედეგის განმარტება იყო საჭირო. გვიან ღამით გავემგზავრე შინისაკენ. ცოტა ხანს ვიჯექი მეუღლესთან ერთად და ვუზიარებდი მას ჩემს მთლად პირადულ შეგრძნებებსა და შთაბეჭდილებებს.

1990 წლის 6 მაისის საღამოს რედუტში საბჭოთა ელჩთან, კვიცინსკისთან გამოსამშვიდობებელი ვახშამი გავმართე — კვიცინსკი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს მოსკოვში. ბოლო დროს ის უკვე ორმაგ ფუნქციას ასრულებდა — ოფიციალურად ჯერ კიდევ ელჩი იყო ბონში, ამავე დროს საბჭოთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა „ორი პლუს ოთხის“ მოლაპარაკებებზე.

ერთი კვირის განმავლობაში, 1990 წლის 7 მაისიდან 13 მაისამდე, პრაქტიკულად ბონიდან არ გავსულვარ, რაც იშვიათობა გახლდათ ჩემთვის. გამონაკლისი იყო პარასკევი, როცა დილაადრიან გასასინჯად წავედი პროფესორ კალტენბახთან მაინის ფრანკფურტში. შედეგი: „ყველაფერი რიგზეა, მაგრამ არ გადაიღალოთ!“ მის მიერ ნათქვამ პირველ ორ სიტყვას შემეძლო დავთანხმებოდი.

ფრანკფურტისაკენ მგზავრობისას ჩემი ფიქრები 1981 წლის 11 მაისს მომხდარ ამბავს დასტრიალებდა — ამ დღეს მოკლეს ჰაინც ჰერბერტ კარი. შვიდი წელი ვიმუშავეთ ერთად თავისუფალი დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმში. მისმა სიკვდილმა ღრმად შემძრა; მე დავკარგე კარგი მეგობარი და თანამგზავრი. კარი, რომელიც ნაციონალ-სოციალიზმის ბატონობის წლებში დევნილი იყო და რომლის პოლიტიკური შეხედულებები არასამართლებრივ სახელმწიფოში მიღებული გამოცდილების ზეგავლენით ჩამოყალიბდა, მამაცი და დამოუკიდებელი ადამიანი გახლდათ. ის იბრძოდა თავისი პრინციპებისთვის, მაგრამ იბრძოდა მოთმინებით და არავის შეურაცხ-ყოფდა. თავისუფლებისა და ჰუმანიზმის, მშვიდობისა და თანასწორობის ამ ქომაგის შეხედულებათა სიმტკიცე პრინციპებს ეფუძნებოდა და არა სიჯიუტეს. მან იცოდა, რომ არ კმაროდა, ცოცხალი გადარჩე-ნილიყავი, და გრძნობდა ვალდებულებას, ემუშავა იმისთვის, რომ აღარასოდეს განმეორებულიყო, რაც მან და მისმა ოჯახმა განიცადა.

უკან რომ დავბრუნდი, დავსხედით ორივე სტატს-მდივანი — ლაუტენშლაგერი და ზუდჰოფი, კასტრუპი, ელბე, იურგენ ხრობოგი და მე. მუდმივ კონტაქტს უახლოეს თანამშრომლებთან ამ გადამწყვეტ თვეებში უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე სხვა დროს. ყოველი ნაბიჯი კარგად უნდა აგვეწონ-დაგვეწონა; ყველაფერი კვლავ და კვლავ უნდა შეგვემოწმებინა; მოვლენათა განვითარების ყოველ შეფერხებაზე მაშინვე უნდა მოგვეხდინა რეაგირება. შემდეგ გავემგზავრე ჰელმუთ კოლთან კანცელარიაში. იქ მე მას გავაცანი მდგომარეობის ჩემეული შეფასება — როგორც არაერთხელ გამიკეთებია ეს იმ თვეებში. შემდეგ ველაპარაკეთ ბულგარეთის პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს.

მას შემდეგ, რაც 21 საათისთვის შინ დავბრუნდი და მეუღლესთან ერთად ვივახშმე, ორივენი დავსხედით და ომის ბოლო დღეები გავიხსენეთ. 1945 წლის 7 მაისის საღამოს ამერიკელთა ტყვეობაში აღმოვჩნდი, ხოლო ჩემმა მეუღლემ, ცხრა წლისამ, იმ დღეს თავის ოჯახთან ერთად საქსონიაში პოვა თავშესაფარი. სახლ-კარი სილეზიაში იმ დროისთვის უკვე დაეკარგათ. ახლა, ორმოცდახუთი წლის შემდეგ, დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანელები ვაპირებდით ერთობლივად დაგვეწყო ახალი ცხოვრება. ამით გამოწვეულ სიხარულს წარსული საშინელების ხსოვნა არ უნდა წაეშალა, გამოთქმა „ისტორიის გაკვეთილები“ არ უნდა ქცეულიყო საკვირაო საუბრების ფორმულად. ოღონდ იმ საღამოს უწინარეს ყოვლისა მადლიერი ვიყავი იმით, რომ ცოცხალი გადავურჩი ომს, რომ გერმანელებს ახლა კვლავ შეგვეძლო გაერთიანება, და მე საშუალება მქონდა ამ საქმის თანამონაწილე ვყოფილიყავი.

საკითხთა საკითხი: ნატოს წევრობა და შევარდნაძესთან შეხვედრა ჟენევაში

მეორე დილით, 1990 წლის 8 მაისს, ჩემს კაბინეტში მივიღე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ფრაქციის თავმჯდომარე დრ. იოხენ ფოგელი, აგრეთვე პარტიის სპიკერი საგარეო პოლიტიკის დარგში ჰორსტ ემკე. კასტრუპმა და მე გავაცანით მათ მოლაპარაკებებზე შექმნილი ვითარება და ჩვენი შემდგომი გეგმები.

ამის შემდეგ მეწვია მირჩა დინესკუ, რუმინელი პოეტი მეუღლესთან ერთად. ჩაუშესკუს მკაცრი დიქტატურის პერიოდში იგი ერთ-ერთი ყველაზე მედგარი და ამავე დროს ერთ-ერთი ყველაზე ტანჯული დევნილი იყო, რის გამოც მე მას ვესარჩლებოდი. ამ მამაცმა სიტყვის მსახურმა თავისი სერიოზული ახალგაზრდულობით ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

შუადღისას შევხვდი ახალგაზრდა ბერძენ საგარეო საქმეთა მინისტრს ანტონის სამარასს, რომელთანაც პრემიერ-მინისტრმა მიცოტაკისმა ძალიან დამაახლოვა. მიცოტაკისი ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში საგარეო საქმეთა მინისტრობისას გერმანიის ერთგულ მეგობართა რიცხვს ეკუთვნოდა, თუმცა მეორე მსოფლიო ომში მას, როგორც წინააღმდეგობის მებრძოლს, თავის მშობლიურ კუნძულ კრეტაზე გერმანელებმა ორჯერ გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი. ორივეჯერ გადაურჩა სიკვდილით დასჯას — ერთხელ გაათავისუფლეს, მეორედ კი სხვაში გაცვალეს. მისი ოჯახი ფლობს გერმანულ ენას, იცნობს და აფასებს ჩვენს კულტურას.

1990 წლის 10 მაისს ჟურნალ „შპიგელს“ ინტერვიუ მივეცი, რომელიც ხუთი დღის შემდეგ გამოქვეყნდა. შეკითხვაზე, დარწმუნებული ვარ თუ არა, რომ საბჭოთა კავშირი ბოლოს და ბოლოს დათანხმდება გაერთიანებული გერმანიის ნატოში გაწევრიანებას, ვუპასუხე: „დიახ“. ამას ასე ვასაბუთებდი: „ვინაიდან ეს იქნება წევრობა ძირეული ცვალებადობის პროცესში მყოფ ევროპაში, რომელშიც ეს ჩვენი სამხედრო ალიანსი არამარტო შეიცვლება, არამედ ახლად წარმოქმნილ უსაფრთხოების ერთობლივ სტრუქტურათა სულ უფრო და უფრო ხელშემწყობ ფაქტორად იქცევა, იმგვარ ვითარებაში, როცა განიარაღების პროცესი წინ წავა“. ამით ტერნბერიში და ლონდონში გაკეთებული ნატოს განცხადების დედააზრი მოკლე ფორმულაზე დავიყვანე.

ახალი განვითარების კონტურები უკვე საგარეო საქმეთა მინისტრ ბეიკერის მოსკოვში 15-დან 19 მაისამდე სტუმრობისას გამოჩნდა. წინასწარ ჩატარებული კონცეფციური სამუშაოს საფუძველზე, რომელიც „ორი პლუს ოთხის“ პროცესის დირექტორთა მოლაპარაკებებზე შემუშავდა, ბეიკერმა მაშინ შემდეგი ცხრა პუნქტის შემცველი კატალოგი წარმოადგინა:

„1. მივიღეთ გადაწყვეტილება, შემდგომი მოლაპარაკებები

ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ განვავრცოთ მთელი ევროპის მასშტაბით, რამაც ევროპის ცენტრალური რეგიონების შეიარაღებული ძალებიც უნდა მოიცვას.

2. განვაცხადეთ ჩვენი მზადყოფნა, წინ წავწიოთ მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული იარაღის შესახებ მოლაპარაკებანი, რომლებიც მაშინვე უნდა დაიწყოს, როგორც კი ხელი მოეწერება ხელშეკრულებას ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ.

3. გერმანია დაადასტურებს თავის ვალდებულებას, არც აწარმოოს და არც იქონიოს ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღი.

4. ნატო წამოიწყებს შეიარაღებულ ძალებზე მოთხოვნილების და მათი სტრატეგიის ფართო მასშტაბიან გადასინჯვას როგორც ჩვეულებრივი, ასევე ბირთვული შეიარაღების სფეროში, რათა ესენი შეცვლილ ჩარჩოპირობებთან თანხმობაში მოიყვანოს.

5. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ნატოს შეიარაღებული ძალები არ განლაგდება ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე.

6. გერმანელებმა თანხმობა განაცხადეს გარდამავალ პერიოდზე, რაც საჭირო იქნება გდრ-დან საბჭოთა შეიარაღებული ძალების გასაყვანად.

7. გერმანია იკისრებს მტკიცე ვალდებულებებს თავის საზღვრებთან დაკავშირებით და ამავდროულად მკაფიოდ განაცხადებს, რომ გაერთიანებული გერმანია მოიცავს მხოლოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გდრ-ის და ბერლინის ტერიტორიებს.

8. გაძლიერდება ევროთათბირის პროცესი.

9. გერმანიამ ცხადყო, რომ იგი შეეცდება ეკონომიკური საკითხები იმგვარად გადაწყვიტოს, როგორც ეს სასარგებლო იქნება „პერესტროიკის“ მხარდასაჭერად“.

ეს ცხრა პუნქტი მეტწილად დასავლელმა დირექტორებმა შეიმუშავეს რამდენიმე კვირის წინ, ამ საქმეში პირველყოვლისა კასტრუპს მიუძღოდა უდიდესი წვლილი. ამ პუნქტების ზემოქმედების ძალა დაფუძნებული იყო შემაჯამებელი ფორმულირების თავისებურებაზე, იმ დროსა და იმ ადგილზე, სადაც მოხდა საბჭოთა კავშირისთვის მისი პრეზენტაცია.

უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ შეერთებულმა შტატებმა თავიდანვე – არამარტო ვაშინგტონის უმაღლესი დონის შეხვედრის მოსამზადებელ პერიოდში და თვით ამ შეხვედრისას, არამედ მთელი „ორი პლუს ოთხის" პროცესის განმავლობაში – ფედერალურ მთავრობასთან ერთად იკისრა ახალი პასუხისმგებლობა. მან თითქოს საკუთარ საქმედ გაიხადა გერმანიის გაერთიანებაც და ჩვენი უფლებაც, თვითონ გადაგვეწყვიტა სამხედრო ალიანსისადმი კუთვნილების საკითხი. ზესახელმწიფოს მთელი ძალმოსილების გამოყენებით მათ შეძლეს მოსკოვისთვის პოლიტიკური გარანტიების მიცემა, რომლებიც გორბაჩოვსა და შევარდნაძეს შეეძლოთ წარმატებით დაეპირისპირებინათ თავიანთი კრიტიკოსებისთვის.

1990 წლის 23 მაისს ჟენევაში, გაეროს საბჭოთა მისიის შენობაში შევხვდი ედუარდ შევარდნაძეს და სამ საათზე მეტხანს ვესაუბრე მას. საგარეო საქმეთა მინისტრმა საუბარი ზოგადი ხასიათის შენიშვნებით დაიწყო, და კიდევ ერთხელ წარმოადგინა თავისი ქვეყნის ინტერესთა სპექტრი. მთელი საუბრის განმავლობაში იგი გამოთქმებს „ექვსთა შეხვედრა" და „მოლაპარაკებები „ორი პლუს ოთხი" გვერდიგვერდ ხმარობდა და ამით ამჟღავნებდა, კვლავაც როგორ ეძნელებოდა შეგუება გამოთქმასთან „ორი პლუს ოთხი". დღეს ჩვენ ვიცით, რომ მან მოსკოვში დაბრუნების შემდეგ კრიტიკის ქარცეცხლი იწვნია იმის გამო, რომ ოტავაში ამ ფორმულაზე დათანხმდა.

საინტერესო იყო, რომ შევარდნაძე ახლა უეცრად საქმის დაჩქარებას მოითხოვდა. მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილებები სწრაფად და საქმიანად უნდა მომზადდეს, ვინაიდან გაერთიანების პროცესმა თავისი საკუთარი დინამიკა შეიძინა; თუმცა გარეგან და შინაგან ასპექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებაც არისო საჭირო. ამიტომ ლაპარაკობს საბჭოთა კავშირი სინქრონიზებაზე, რათა თავიდან ავიცილოთ წინააღმდეგობები, – თქვა მან. საერთოდ, მე მჯერა, რომ საგარეოპოლიტიკურ თვალსაზრისთა რეგულირება უფრო სწრაფად წაიწევს წინ, ვიდრე შიდაპოლიტიკურისაო.

ამასობაში (ეს უკვე ნათელი გახდა) საბჭოთა კავშირი მიხვდა, რომ შინაგანი გაერთიანების პროცესის თავის ნებაზე „გაქცევა" თვითონ მასაც შეუქმნიდა პრობლემებს. ჩვენც დაინტერესებულნი ვიყავით, საგარეოპოლიტიკური ასპექტები რაც შეიძლება სწრაფად მოგვეგვარებინა, რადგან გვსურდა გერმანიას გაერთიანების შემდეგ

არც გადაუჭრელი საკითხები დასწოლოდა ტვირთად და არც მათი საბოლოო რეგულირება მიგვენდო მოვლენების ბურუსით მოცული განვითარებისთვის მოსკოვში. კიდევ ერთხელ წამოიწყო შევარდნაძემ საუბარი გარდამავალი პერიოდის ცნების თაობაზე. მე ვუპასუხე, რომ ამ საკითხზე გერმანიის ბუნდესტაგში ვილაპარაკე; საბჭოთა ჯარების დროებით დარჩენასთან დაკავშირებით სავსებით შესაძლებელია კაცმა ამგვარი რამ წარმოიდგინოს-მეთქი. სხვა მხრივ კი არ შეიძლება გაერთიანებულ გერმანიას გადაუჭრელი საკითხები ტვირთად დააწვეს — ესეც სავსებით ნათელი უნდა იყოს-მეთქი. რაკი ერთი აზრისა ვიყავით იმის შესახებ, რომ ევროთათბირის უმაღლესი დონის შეხვედრამდე ყველა საკითხი უნდა მოგვარებულიყო, ვთხოვე შევარდნაძეს, ჩემთვის საბჭოთა კავშირის უმთავრესი პრობლემები განემარტა. ბოლოს და ბოლოს აუცილებელია მეორე მხარის სიძნელეები ვიცოდეთ, რაც გაგვიადვილებს მათ დაძლევას-მეთქი.

ჩემმა საბჭოთა კოლეგამ მითხრა, ამჟამად ერთ დოკუმენტში რამდენიმე პრინციპს ვაყალიბებთ, რომლებიც გერმანიის გაერთიანების საერთაშორისოსამართლებრივი რეგულირებისთვის არისო საჭირო; მხოლოდ ასეთმა დოკუმენტმა შეიძლება დაუსვას წერტილი მეორე მსოფლიო ომსო. მასში ნათქვამია უნდა იყოს, რომ გერმანიის ტერიტორიიდან მხოლოდ სამშვიდობო ინიციატივები წამოვა და იქიდან არც აღარავითარი სამხედრო ქმედება სხვათა მიმართ აღარ განხორციელდება და არც სამხედრო აქციები მსგავსი მიზნებით სხვა სახელმწიფოთა მხრივ. ამ პუნქტთან დაკავშირებით ჩემი რეაქცია მგრძნობიარე გახლდათ: აშკარა იყო, ამითი სამხედრო ალიანსის საკითხი წამოიჭრა. მე შევეკამათე, დასახელებულ ქმედებათა ჩადენა სხვა ქვეყნებისთვის თუ არის დასაშვები-მეთქი. მოვალეობები, რაც გერმანიამ უნდა იკისროს — და ეს სამშვიდობო ვალდებულება მართლაც შეესაბამება ჩვენს მიზნებს —, ყველა სხვა სხელმწიფოსთვის ასევე სავალდებულო არის თუ არა-მეთქი? ბოლოს და ბოლოს ჩვენ ისეთი ევროპა გვსურს, სადაც არც ერთი ქვეყანა სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო აქციებს არ წამოიწყებს და მზად ვართ ხელი მოვაწეროთ ყველა შეთანხმებას, რომელიც ამ მიზანს ემსახურება-მეთქი. მაგრამ რა შთაბეჭდილება შეექმნებათ ევროპაში, თუკი ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ გერმანიის ტერიტორიაზე იქნება საუბარი და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე კი არა? ცხადია,

ჩვენ ამგვარი განზრახვები არა გვაქვს, რაც არაერთგზის განგვიცხადებია გდრ-თან ერთად. მაგრამ ესენი გერმანიის მიერ საკუთარი ინიციატივით გაკეთებული განცხადებები იყო-მეთქი. თანაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფედერაციულმა რესპუბლიკამ უარი თქვა ატომურ, ბიოლოგიურ და ქიმიურ იარაღზე და მათ გაუვრცელებლობაზე დადებული ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანაა. დაბოლოს, გდრ-თან ერთად გაკეთებულ განცხადებებს ისიც დავუმატოთ, რომ ჩვენთან კონსტიტუციურად არის აკრძალული თავდასხმითი ომის წარმოება — რაც უნიკალური შემთხვევაა-მეთქი.

შევარდნაძე დამეთანხმა. ეს მოთხოვნები, მიპასუხა მან, უკვე გაეროს წესდებიდან გამომდინარეობს. მეორეს მხრივ, არც გარკვეული გერმანული თავისებურებების, მათ შორის ფსიქოლოგიური ასპექტების, სათანადოდ შეუფასებლობა ივარგებსო; ამ შენიშვნას უკვე მე დავეთანხმე. ყოველ შემთხვევაში, — თქვა შევარდნაძემ, — რაღაც ამის მსგავსი ოთხი სახელმწიფოს მიმართაც უნდა ითქვას, რათა ცხადი შეიქნეს, რომ გერმანიის დისკრიმინაციას ან მისი თავისუფლების შეზღუდვას არავინ აპირებს.

ამის შემდეგ საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა ილაპარაკა სამომავლო ზედა ზღვარზე, რომელიც უნდა დაწესებულიყო გაერთიანებული გერმანიის შეიარაღებული ძალებისთვის, და გარკვეული სტრუქტურული ცვლილებების საკითხსაც შეეხო. როგორც აღმოჩნდა, საბჭოთა მხარე ფიქრობდა, ჯარისკაცთა გერმანიისთვის დასაშვები რაოდენობა 200 000-დან 250 000-მდე კაცით განსაზღვრულიყო, და ეს ზედა ზღვარი სამი წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყო მიღწეული. მან თქვა: ეს პროცესი თავისებურ პარალელს ქმნის ვენის მოლაპარაკებებთან, მეტიც, არსებობს ერთიანი დამოკიდებულება, რომელიც სამხედრო ძალებისა და შეიარაღების საკითხებს მთელ ევროპაში ერთმანეთს უკავშირებს; მაგრამ ზედა ზღვარის საკითხი ექვსთა შორის უნდა შეთანხმდესო. ბოლოს შევარდნაძე მიესალმა ჩვენს მზადყოფნას, უარი განგვეცხადებინა ატომურ, ბიოლოგიურ და ქიმიურ იარაღზე. შემდეგ მან ხელახლა წამოჭრა ის პრობლემა, რომელმაც მოგვიანებითაც გვარიანი თავსატეხი გაგვიჩინა, კერძოდ, გაერთიანებულ გერმანიას უნდა ეცნო ოთხი სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების ლეგიტიმურობა. ამათ განეკუთვნება კერძო საკუთრების განსაზოგადოებაცო

— იგულისხმება 1949 წლის ექსპროპრიაციები. გარდა ამისა, უნდა გამოგვეჩინა მზადყოფნა თანამშრომლობისთვის სამუშაოზე იძულებით დასაქმებულთათვის ზარალის ასანაზღაურებლად; ნაცისტური მოძრაობა და მისი იდეოლოგია აღარასოდეს არ უნდა აღორძინებულიყო. ამასთან დაკავშირებით ერთი ძალიან მგრძნობიარე საკითხი მემორიალების ხელუხლებლობა არისო, უწინარეს ყოვლისა მებრძოლთა საფლავების და ძეგლებისო. და ბოლოს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაერთიანებულმა გერმანიამ გდრ-თან და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან დადებული ყველა შეთანხმება ძალაში დატოვოსო.

გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, განაგრძო შევარდნაძემ, ფაქტობრივი მდგომარეობა არ უნდა შეიცვალოს, ეს ეხება აგრეთვე გდრ-ის ყოფნას ვარშავის სამხედრო ბლოკში და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისას ნატოში. ეს ის აზრები იყო, რომლებიც მე უკვე კონფედერაციის თუ კონფედერალური სტრუქტურების თაობაზე მოწყობილ დისკუსიაზე სახიფათოდ ჩავთვალე. ორივე მოსაზრება ნეიტრალიტეტის განსაკუთრებულ ფორმას გულისხმობდა სამხედრო ბლოკებში ფორმალურად დარჩენის პირობებში.

შემდეგ შევარდნაძემ წარმოაჩინა მთელი რიგი ალტერნატივებისა, თუ როგორ შეიძლებოდა სტატუსის საკითხის მოგვარება. ერთი შესაძლებლობა იქნებ ყოფილიყო გამოსვლა როგორც ვარშავის ხელშეკრულებიდან, ასევე ნატოდან, სხვა კიდევ — ნეიტრალიტეტი — მაგრამ მე ვიცი, რომ ამ შესაძლებლობას თქვენთან სიმპათიით არ უყურებენო. ბოლოს და ბოლოს შესაძლებელია სამხედრო ბლოკებიდან გამოსვლა საერთო ევროპული უსაფრთხოების სტრუქტურათა მომზადებას დაუკავშირდეს. გარდა ამისა შესაძლებელია ვარშავის ხელშეკრულებისა და ნატოს ერთდროულად გაუქმება, რაც საერთოევროპული სტრუქტურების ჩამოყალიბებას დაუკავშირდებაო. მაგრამ ყოველივე ეს, თქვა შევარდნაძემ, ჰიპოთეტური ვარიანტებია. საბჭოთა კავშირი ეძებს გამოსავალს. იქნებ გვეფიქრა შეთანხმების დადებაზე ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის, რომლითაც ასოციაციის შექმნა, ურთიერთთანამშრომლობა ან რამე ამის მსგავსი გაფორმდებოდაო. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისთვის და გორბაჩოვისთვის გაერთიანებული გერმანიის ნატოში მიღების მხარდაჭერა ფსიქოლოგიურადაც და პოლიტიკურადაც მიუღებელი იყო. პოლიტიკურ-სამხედრო სტატუსის საკითხი უმთავრეს

პრობლემად, საკითხთა საკითხად რჩებაო. გარდა ამისა, საქმე ეხება მოკავშირეთა ჯარებს გერმანიაში, რომლებიც მნიშვნელოვნად უნდა შემცირდესო. ბოლოს ამას მოჰყვა განსჯა იმის თაობაზე, თუ რა გზით იქნებოდა შესაძლებელი გერმანიის მიმართ ოთხი სახელმწიფოს უფლებათა გაუქმება.

როგორ შეიძლებოდა ამ მოსაზრებათა გაგება? მე მათში ბედთან შეგუების გამოხატულება დავინახე. ეტყობა, ნატოს წევრობას გარდუვალად მიიჩნევდნენ და ჩემი საბჭოთა კოლეგა, როგორც ჩანს, იმ ალტერნატივებზე მესაუბრებოდა, რომლებსაც იმ დროს მოსკოვში განიხილავდნენ. „ჩვენ ვეძებთ გადაწყვეტილებებს“ — ეს ალბათ ნიშნავდა: არც ერთი ამ ვარიანტთაგანი არ მოსწონდათ, ეძებდნენ სხვას. პრინციპში შევარდნაძე თან ეძებდა და თან აყალიბებდა ახალ ვარიანტთა ფორმულირებებს. საინტერესო მეჩვენა შესაძლებლობა, იქნებ ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის შეთანხმებანი დადებულიყო, — ეს იყო აზრი, რომელიც სწორედ იმ პრობლემას ეხებოდა, რომელსაც ჩვენი ფიქრებიც დასტრიალებდა: შეიძლებოდა თუ არა, გერმანიის ნატოში გაწევრიანება საბჭოთა კავშირისთვის იმით გაგვეხადა მიმზიდველი, რომ მოგვესპო ამ ორ სამხედრო ალიანსს შორის მტრული ურთიერთდამოკიდებულება? ამ ალიანსებს შორის ახლებური ურთიერთდამოკიდებულება უნდა წარმოშობილიყო, რომ ამ გზით და ევროთათბირის ამაედროული გაძლიერებით ევროპაში ძირეულად შეგვეცვალა ვითარება.

შევარდნაძის მოსაზრებებს მე იმით ვუპასუხე, რომ განვაცხადე, გერმანიის გაერთიანებით საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვან მოგებას ნახავს-მეთქი. მოსკოვის ურთიერთობები გაერთიანებულ გერმანიასთან ულაპარაკოდ უფრო მეტი რამ იქნება, ვიდრე გდრ-სა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან მოსკოვის ურთიერთობათა ჯამი. საჭიროა რეალისტურად შევაფასოთ ამოსავალი პოზიცია. წარსულში გერმანიის გაყოფა მუდამ ბონსა და მოსკოვს შორის ხდებოდა. ისტორიული პასუხისმგებლობის შეგნებით აჯობებს საიმისოდ გავისარჯოთ, რომ ამ ვითარებიდან მომდინარე დამაბრკოლებელი პოტენციალი შევამციროთ-მეთქი. ეს მეტი იქნება, ვიდრე მხოლოდ რეალისტური პოლიტიკა, კერძოდ, ეს ღრმად ფესვგადგმული ისტორიული და მორალური პასუხისმგებლობის გამოხატულება იქნება-მეთქი. კარგია, რომ ჩვენი ურთიერთობების ფორმირებაში ის თაობა

მონაწილეობს, რომელმაც უშუალოდ განიცადა ომი, ფაშიზმი და მისი შედეგები. ხოლო პირადად მე გერმანიის გაერთიანებაში ბევრად უფრო მეტს ვხედავ, ვიდრე მხოლოდ ნაციონალური სურვილის დაკმაყოფილებას-მეთქი. გერმანელების მიზანი ის არის, ერთობლივად დაუბრუნდნენ თანასწორუფლებიანი ევროპელი ხალხების თანამეგობრობას და ამით თავისი წვლილი შეიტანონ უკეთესი ევროპის მშენებლობაში.

საზღვრის საკითხთან დაკავშირებით, განვაგრძე მე, არავითარი ეჭვი არ არსებობს იმის თაობაზე, თუ რისი გაერთიანება გვსურს ჩვენ: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გდრ-ის და მთელი ბერლინის. ამასთან სასაზღვრო ხაზთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხების გამო ჩვენსა და ვარშავას შორის აზრთა არავითარი სხვადასხვაობა არ არსებობს: ახლანდელი საზღვრის საერთაშორისო-სამართლებრივი ცნობა მოხდება. ამ პოზიციას ორივე გერმანული პარლამენტი და მთავრობა დააფიქსირებს და ოფიციალურად გაუგზავნის პოლონეთის მთავრობას; და თუ მას ამაზე რეაგირების სურვილი გაუჩნდება, ბუნებრივია, ამის სრული უფლება ექნება-მეთქი. მაშინ შევარდნაძემ მკითხა, რა ფუნქცია ეკისრება ამ პუნქტთან დაკავშირებით გაერთიანებული გერმანიის პარლამენტსო. მე მივუგე: „გაერთიანებული გერმანიის პარლამენტი სასაზღვრო ხელშეკრულების რატიფიცირებას მოახდენს“.

ახლა რაც შეეხება ჩვენი შეიარაღებული ძალების რაოდენობის ზედა ზღვარს და ამასთან დაკავშირებით დასამტკიცებელ სტრუქტურებს: ჩემი აზრით, ევროპაში სტაბილიზაციის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვეულებრივი შეიარაღების სფეროში განიარაღებისკენ მიმართული მთელი რიგი რადიკალური ნაბიჯების გადადგმას-მეთქი. შეცდომა იქნებოდა, მარტო გერმანიის მიმართ გაგვეტარებინა ეს ღონისძიებები, ხოლო სხვათა მიმართ არა. ვუთხარი, რომ ჩვენ არ ვაპირებდით ამ საკითხის შორეული მომავლისთვის გადადებას; გვწყინდა, რომ ვენაში მოლაპარაკებები შეჩერებული იყო. თუკი საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია, ვენაში რამე გზიანი ითქვას ევროპასა ან ევროპის რომელიმე რეგიონში შეიარაღებული ძალების რაოდენობის შესახებ, მაშინ ამაზე ლაპარაკი უნდა დაიწყოს-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სურვილია, წვლილი შევიტანოთ ევროპის განიარაღების საქმეში და იმ აზრისა ვართ, რომ გერმანიის გაერთიანება მხოლოდ დაჩქარებს პოზიტიური განვითარების პროცესს

ევროპაში. როგორც მონაწილე ამგვარი რეგულირებისა, რაც სხვათა შეიარაღებულ ძალებსაც უნდა შეეხოს, ჩვენ მზად ვართ, მოლაპარაკება ვაწარმოოთ ჩვენი ჯარების რაოდენობის შემცირების თაობაზე; ეს შესაძლოა მხოლოდ იმ რიცხვების შესაბამისად მოხდეს, რომლებიც სხვათათვის დაწესებულ რიცხვებთან მიმართებით დადგინდება. შესაბამისი შეთანხმებების განხორციელება ჩვენთან პრობლემა არ იქნება, თუ სხვებიც ასევე სწრაფად მოახდენენ რეაგირებას. საგანგებო რეგულირება გერმანიისთვის კი ყველა შემთხვევაში უნდა ავიცილოთ-მეთქი თავიდან.

ყოველივე ამას რომ ვამბობდი, ვითვალისწინებდი, რომ გაერთიანებულ გერმანიას იმაზე ნაკლები სამხედრო ძალა ეყოლებოდა, ვიდრე ორივე გერმანულ სახელმწიფოს ერთად, მეტიც: მე შესაძლებლად მიმაჩნდა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაერთიანებული გერმანიის სამხედრო ძალები რაოდენობით იმაზე ნაკლები ყოფილიყო, ვიდრე ფედერაციულ გერმანიას დასავლეთ-აღმოსავლეთის კონფრონტაციის დროს როგორც საკუთარი ასევე სამხედრო ალიანსის ინტერესებისთვის ესაჭიროებოდა. ის რაოდენობა ჯარისა, რომელსაც მე ვვარაუდობდი, 350 ათას – 400 ათას კაცს შორის მერყეობდა – ოღონდ ეს რიცხვები მე ჟენევაში არ მიხსენებია.

შევარდნაძეს მხოლოდ ეს ვუთხარი: „გერმანიის მზადყოფნისაგან დამოუკიდებლად, მონაწილეობა მიიღოს ჯარების რაოდენობის შემცირებისკენ მიმართულ ღონისძიებებში – თქვენ მიერ დასახელებული რიცხვები სავსებით მიუღებელია“. და შევახსენე, რომ ვერსალის ხელშეკრულების ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზიანის მომტანი შედეგი ის იყო, რაიხსვერის რაოდენობა 100 000 კაცამდე რომ შეიზღუდა. რაც თქვენ ახლა შემოგვთავაზეთ, იმაზე ბევრად უკეთესი როდია-მეთქი.

მე მსურდა, ჯარების შემცირებისთვის გერმანიის მზადყოფნა ამავე დროს ერთგვარ საწყის ბიძგად გამომეყენებინა, რასაც სხვა ევროპული არმიების შემცირებაც უნდა მოჰყოლოდა. ამის გამო ჯერ ჩემთვის ის კი არ იყო მთავარი, გამემჟღავნებინა რიცხვები, რომლებიც მხედველობაში მქონდა, არამედ ის, რომ შევარდნაძის მიერ დასახელებული რიცხვები უკუმეგდო, როგორც მიუღებელი.

თუ გერმანიის შეარაღებული ძალების რაოდენობას სხვა ქვეყნების ან ევროპის გარკვეული რეგიონების შეიარაღებულ ძალებთან

მიმართებით განიხილავდნენ, მაშინ შესაძლოა გერმანიის ჯარების შემცირება ერთგვარ ბერკეტად ყოფილიყო გამოყენებული შეიარაღებული ძალების ფართომასშტაბიანი შეზღუდვისთვის. ამავე დროს სულ მხედველობაში მქონდა ის შესაძლებლობა, რომ ჩვენ „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულებაში გერმანიის სამხედრო ძალთა როდენობის ზედა ზღვარსაც მივუთითებდით — თუმცა მე ამას მხოლოდ უკან დახევად მივიჩნევდი. თუ ეს მაინც მოხდებოდა, მინდოდა მეცადა, ევროპულ მოლაპარაკებებთან დამემყარებინა კავშირი, რაც ორივე გერმანულმა სახელმწიფომ ვენის კონფერენციისათვის გაგზავნილი შეტყობინებით მოგვიანებით კიდევაც გააკეთა. ამ დამატებითი შეტყობინების მნიშვნელობის ხაზგასასმელად პრემიერ-მინისტრი დე მეზიე, ვითარცა გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი, და მე მაშინ ვენაში გავემგზავრეთ, რათა ეს დეკლარაციები კონფერენციისთვის პირადად ჩაგვებარებინა. ამით აშკარა გახდა „ორი პლუს ოთხი“ მოლაპარაკებების მიმართება ვენაში მიმდინარე მოლაპარაკებებთან. ბოლოს და ბოლოს ჩვენი სურვილი იყო, აუცილებლად აგვერიდებინა გერმანიის შეიარაღებული ძალების ზედა ზღვარის დადგენა ევროპული დამოკიდებულების გაუთვალისწინებლად — რათა წინასწარვე გამოგვერიცხა ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემები და აგრეთვე ჩვენი უსაფრთხოების ინტერესების ყოველგვარი ხანგრძლივი შებღალვა, რაც შუა ევროპაში სტაბილიზაციასაც მოუტანდა ზიანს. შეიარაღების ახალი ძლიერი პროცესის დაწყების შემთხვევაში, რისი ალბათობა ძალიან მცირე იყო, მაგრამ შეუძლებელი სულაც არ გახლდათ, გაერთიანებულ გერმანიას უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა ადრინდელ მოლაპარაკებებზე დაყრდნობით საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ჯარების რაოდენობა გაეზარდა. ეს „clausula rebus sic stantibus“ * კი მხოლოდ ვენაში მიმდინარე მოლაპარაკებებთან კავშირის წყალობით იქნებოდა შესაძლებელი.

რაც შეეხება ოთხი სახელმწიფოს უფლებებზე დაფუძნებულ და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გატარებულ ღონისძიებებს, განვაგრძე მე, აქ საქმე გვაქვს სავსებით განსხვავებული ხასიათის პროცესებთან, რომლებიც ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ. მე ვახსენე მოლაპარაკებები, რომლებსაც ფედერაციული რესპუბლიკა და გდრ

* პირობა უცვლელ გარემოებათა ვითარებაში. (ლათინ.). (რედ.)

აწარმოებდნენ თავიანთი სახელმწიფო ხელშეკრულების თაობაზე; იქ ინტენსიური დისკუსიები მიმდინარეობდა 1949 წლამდე ჩატარებული ექსპროპრიაციების შესახებ. ოღონდ ეს მოლაპარაკებები ჩვენში საგარეო საქმეთა უწყების კონპეტენციაში კი არ შედის, არამედ საშინაო პოლიტიკის სფეროა-მეთქი.

რაც შეეხება ძეგლებსა და მონუმენტებს, შევარდნაძე დავარწმუნე, რომ პატივისცემით მოვეპყრობოდით ყველა ეროვნების მიცვალებულებს: რაც კი ამ — ყველა ომთაგან უსაშინლესი — ომის მოსაგონებლად აღმართულა, ყოველივეს უპირობოდ ვცნობთ. არაფერს მივჩქმალავთ, არაფერს მოვიშორებთ, რაც ისტორიას, განსაკუთრებით ომის შემდგომ ისტორიას მოგვაგონებს-მეთქი. ხოლო, რაც შეეხება ორივე გერმანული სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილ საერთაშორისოსამართლებრივ ხელშეკრულებებს, აღვნიშნე ამ ხელშეკრულებათა სხვადასხვაგვარობა და ის მოლაპარაკებებიც ვახსენე, რომლებიც სტატს-მდივან ლაუტენშლაგერსა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ობმინსკის შორის დაიწყო.

მე შემდგომი თემა წამოვჭერი: უსაფრთხოების სტატუსისა და სამხედრო ალიანსის საკითხს სტატიკურად ნუ შევხედავთ, მით უფრო — ნურც ცივი ომის დროინდელი მზერით-მეთქი. აქ რამდენიმე პრინციპია გასათვალისწინებელი, ვთქვი მე, და პირველი მათგანი ასე ჟღერს: გაერთიანებული გერმანია უნდა იყოს თუ არა თანასწორუფლებიანი სახელმწიფო? თუ თანასწორუფლებიანი უნდა იყოს, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ანგარიში უნდა გავუწიოთ ჰელსინკის დასკვნითი შეთანხმების იმ ჩანაწერს, რომელიც უფლებას გვაძლევს, თუ ჩვენი სურვილია, ამა თუ იმ ალიანსში გაერთიანდეთ — და სწორედ ეს უნდა დარჩეს ცენტრალურ მოთხოვნად. მეორე კითხვა იმას შეეხება, უნდა შეიტანოს თუ არა გაერთიანებულმა გერმანიამ მეტ-ნაკლები წვლილი სტაბილიზაციის საქმეში. ჩვენი თვალსაზრისით, გერმანიამ ევროპის სტაბილიზაციის საქმეში რაც შეიძლება მეტი წვლილი უნდა შეიტანოს, ამიტომ არის ესოდენ მნიშვნელოვანი, არც სამომავლოდ მოხდეს ძალთა თანაფარდობის დარღვევა, თანაც, რა თქმა უნდა, დასაზუსტებელია, რომელი ძალთა თანაფარდობა იგულისხმება და ვისსა და ვის შორის-მეთქი. ვითომ მართლა შეიძლება დღეს კიდევ ითქვას, რომ აქ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ძალთა თანაფარდობა იგულისხმება? მესამე კითხვა წარსულთან დამოკი-

დებულების გამოცდილებას მოიცავს. ჩვენთვის გასაგებია საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა გრძნობები და იმასაც ვხედავთ, რომ ეს ზეგავლენას ახდენს საბჭოეთის ხელმძღვანელობაზე. ამიტომ უნდა ვიპოვოთ გზა, რომელიც შეგვაძლებინებს, ჰელსინკის დასკვნით დოკუმენტში ფიქსირებული უფლება გერმანიისა, თვითონ გადაწყვეტოს ამა თუ იმ ალიანსისადმი თავისი დამოკიდებულების საკითხი, უსაფრთხოების ერთობლივი პოლიტიკის ახალ პერსპექტივებს დავუკავშიროთ-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირმა უნდა იცოდეს — ამას მოითხოვს გულახდილობა —, გერმანია თავის ამ უფლებას იმისთვის გამოიყენებს, რომ ნატოს წევრობა ირჩიოს-მეთქი.

შემდეგ მიმავალი განვითარების მონაცემთა მთელი თაიგულია გასათვალისწინებელი, განვაგრძე მე: ჯერ ერთი, გაერთიანებული გერმანიის მიზნები; ამაზე უკვე ვილაპარაკეთ: ჩვენი სურვილია განვავითაროთ ურთიერთობები ჩვენს მეზობლებთან, უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან. მეორეც, საზღვრების საკითხი უნდა გაირკვეს და ამაზეც შეეთანხმდით. შემდეგ მოდის საკითხი იმის შესახებ, ნატოს არსებული სტრუქტურები გდრ-ის ტერიტორიაზეც უნდა განლაგდეს თუ არა, და საკითხი დღევანდელი გერმანიის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების დარჩენის თაობაზე იმ დროის განმავლობაში, რომელიც ჯერ კიდევ დასადგენია. თუ ეს ფაზა ძალიან ხანგრძლივი არ იქნება, ჩვენ შეგვეძლო მასზე თანხმობა განგვეცხადებინა. ბოლოს ისიც ძალიან მნიშვნელოვანია, გერმანიამ დაადასტუროს, რომ უარს ამბობს მასობრივი განადგურების იარაღზე და სურს სამომავლოდ მისი გაუვრცელებლობის ხელშეკრულების მომზადებაში მიიღოს მონაწილეობა. ჯერ კიდევ არ გვისაუბრია-მეთქი მთელი ევროპის მომავალი განვითარების თაობაზე. მაგრამ შევარდნაძემ ხომ ძალიან კარგად იცის, რაოდენ დაინტერესებულია ფედერაციული რესპუბლიკა ევროთათბირის პროცესის გაფართოებითა და მისი ინსტიტუციონალიზებით. გავიხსენე, რომ თავიდანვე ვმონაწილეობდი ჰელსინკის პროცესში, რომლის უდიდესი სიბრძნე ძევს პრინციპში — ყველას თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეს. ევროთათბირის პროცესი ევროპაში მდგომარეობას სრულიად შეცვლის, თანაც არა ოდესმე, არამედ — თუ ჩვენ ამის სურვილი გვექნა — წელსვე შეგვიძლია ამის თაობაზე უმაღლესი დონის შეხვედრა მოვაწყოთ. ამ თვალსაზრისს უთუოდ ორივე ჩვენგანი ვიზიარებთ-მეთქი.

რაც შეეხება ნატოს, განვაგრძე მე, ის მზადაა თავისი სტრატეგია, თავისი თვითშეგნება და თავისი მიზნები გადასინჯოს. უკვე ნატოს უმაღლესი დონის კონფერენცია, რომელიც ივლისში უნდა ჩატარდეს, ამ თვალსაზრისით ახალ პერსპექტივებს წარმოაჩენს. რა სწრაფად იცვლება მდგომარეობა ევროპაში, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ამასობაში საკვანძო გაუვიდა ყავლი მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული იარაღის მოდერნიზების გეგმას-მეთქი. საბჭოთა კავშირიც რომ ახლებური ურთიერთობის დამყარებას აპირებს დასავლურ სამხედრო ალიანსთან, ამასაც ძალიან მივესალმებით გასაგები მიზეზების გამო; და თქვენი სტუმრობა ნატოში ამ მხრივ დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ვთქვი მე. არ ვიცი, რას ფიქრობს საბჭოთა კავშირი ვარშავის ხელშეკრულების მომავალზე, მაგრამ მანდაც ალბათ რაღაც შეიცვლება. ბოლოს და ბოლოს შეიძლებოდა შეცვლილი ვითარების საფუძველზე ორივე სამხედრო ალიანსს შორის თანამშრომლობის პოლიტიკა აღმოცენებულიყო, რაც ამავდროულად ის ურთიერთდამოკიდებულება იქნებოდა, რომელშიც გაერთიანებული გერმანიის სტატუსს მე დასავლური სამხედრო ალიანსის წევრობაში ვხედავ-მეთქი.

ამ სიტყვებით ჩემი სათქმელის ბოლოში გავედი, წარმოვაჩინე ის კონცეფცია, რომლის მეშვეობითაც „საკითხთა საკითხის“ — როგორც მას შევარდნაძემ უწოდა — გადაწყვეტა შესაძლებელი უნდა ყოფილიყო.

საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი კიდევ ერთხელ დაუბრუნდა გარდამავალი პერიოდის იდეას. მე გავიხსენე ჩემ მიერ ნათქვამი ბუნდესტაგში: თუ გარდამავალი პერიოდი დროში მკაფიოდ დასაზღვრულ არცთუ ხანგრძლივ სტაციონირებას გულისხმობს საბჭოთა შეიარაღებული ძალებისას დასკვნითი დოკუმენტის რატიფიცირების შემდგომ, მაშინ ეს საკვანძო შესაძლებელია. მაგრამ არ შეიძლება გაგრძელდეს ის მდგომარეობა, რომელიც ომმა და ომის შემდგომმა პერიოდმა წარმოშვა. სხვა სიტყვებით: დაუშვებელია ოთხი სახელმწიფოს უფლებამოსილებათა მუდმივი გაგრძელება; ამაში შევარდნაძე დამეთანხმა. ბოლოს შევთანხმდით, რომ ჩვენი თანამშრომლები თავიანთ მოლაპარაკებებს განაგრძობდნენ. ჩვენ კი კვლავ შევხვდებოდით ერთმანეთს, როგორც კი ეს აუცილებელი შეიქნებოდა.

ვიდრე ერთმანეთს დავშორდებოდით, შევარდნაძემ შემომთავაზა,

ჩვენი პირადი ორმხრივი მოლაპარაკებები განგვეგრძო; ზოგ რამეს ასე მოვაგვარებთო. მე ამაზე დავთანხმდი, ოღონდ შევნიშნე: საბჭოთა კავშირი და ჩვენ სხვადასხვა ალიანსის წევრები ვართ, ჩვენ ორნი ვართ „ორი პლუს ოთხი“ მოლაპარაკებების ექვს მონაწილეთაგან და ჩვენს პარტნიორთა წინაშე გულწრფელნი უნდა ვიყოთ — მათ ზურგს უკან არაფერი უნდა მოვიმოქმედოთ. შემდგომი შეხვედრა ბერლინში დავთქვით „ორი პლუს ოთხის“ მეორე რაუნდისას. პირისპირ საუბრისას მე დავადასტურე — ფედერალურ კანცლერთან შეთანხმების შემდეგ —, რომ მზად ვიყავით ფინანსური დახმარებისათვის. გორბაჩოვისა და შევარდნაძისთვის ამ პერსპექტივას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

აზრთა ამ გაცვლა-გამოცვლას, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა, ის ფუნქცია ეკისრებოდა, რომ მკაფიოდ გამოკვეთილიყო პრობლემები და პერსპექტივები. ჩემთვის უკვე უეჭველი იყო: შევარდნაძე პრობლემის გადაწყვეტას ეძებდა — დროის მოგებას კი არ ცდილობდა, არამედ ახალ თვალსაზრისებს, ახალ არგუმენტებს ეძებდა. ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდით წინ შეცვლილ გარემოებათა კონტექსტში მოქცეული ნატოს პრობლემის გადაწყვეტის გზაზე; ამისთვის ჩვენ მოსკოვი გვჭირდებოდა. ის დაუფიქრებელი განცხადება, რომელიც მოსკოვში სტუმრობის შემდეგ გერმანიის დელეგაციის წევრებისაგან გაისმა — თითქოს ჩვენ უკვე მოვიპოვეთ გერმანული ერთიანობის „გასაღები“ —, არამარტო ფსიქოლოგიურად, არამედ არსებითადაც მცდარი იყო. გერმანიის ამოცანა ამ მძიმე ფაზაში ის იყო, რომ დასავლელ პარტნიორებთან შეთანხმებით კონცეფციური მუშაობა გაგვეშალა ევროპაში გარემოვითარების შესაცვლელად და ამით საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის ჩვენი თვალსაზრისის გაზიარება გაგვეადვილებინა. ეს მოლაპარაკებები რომ შეჩერებულიყო ან სულაც ჩაშლილიყო, ვთქვათ, იმის გამო, რომ გორბაჩოვსა და შევარდნაძეს დაამუხრუჭებინეს, ანდა სულაც გადააყენეს ისინი თანამდებობებიდან, ეს ჩვენთვის უფრო მეტი უბედურება იქნებოდა, ვიდრე სხვათათვის. ბევრად მეტიც კი — შესაძლოა ამით დაგვეკარგა ყოველივე ის, რაც ახლა ერთი ხელის გაწვდენაზე იყო ჩვენგან: სუვერენული გერმანიის ერთიანობა.

მე იმედიანად დავტოვე ჟენევა. როგორც ჩანდა, შევარდნაძე ესწრაფოდა პრობლემის გადაწყვეტას და მენდობოდა მე. სამხედრო

ალიანსთან დაკავშირებული პრობლემის, მოსკოვისთვის ამ აშკარად უმთავრესი პრობლემის, გადაწყვეტის გზა სამხედრო ალიანსებს შორის ორმხრივი ურთიერთობების ახლებურად წარმართვასა და გარემოვითარების შეცვლის იმ იდეაზე გადიოდა, რომელსაც მე გავუთქვი ჟენევაში სახელი; ამაში დარწმუნებული ვიყავი. აქედან გამომდინარე, ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების ივნისის კონფერენციას ტერნბერიში, აგრეთვე ნატოს უმაღლესი დონის ივლისის კონფერენციას ლონდონში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჟენევიდან ცოტა ხნით პარიზს გავემგზავრე, სადაც როლან დიუმას შევარდნაძესთან ჩემი საუბრის შინაარსი გავაცანი.

აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქტის დაძლევის გზაზე

24 მაისს ამაღლების დღესასწაული იყო. მანქანით გავემგზავრე 1990 წლის კარლოსის პრემიის* მინიჭების ცერემონიალზე აახენში. იმ წლის პრემია ერგო, ჩემი აზრით, საესებით დამსახურებულად, დრ. დიულა ჰორნს, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ჭეშმარიტად ევროპული ქმედებისთვის: საზღვრების გახსნისათვის. ასე რომ, მე სიამოვნებით მივიღე შეთავაზება, სიტყვით მივსალმებოდი პრემირებულ მინისტრს. ამგვარად საშუალება მეძლეოდა, მამაცი უნგრელი რეფორმატორისა და ურყევი ევროპელისთვის, ისევე როგორც მისი მამაცი ხალხისთვის პირადად ჩემი და აგრეთვე მთელი გერმანელი ხალხის მადლობა გადამეცა.

მეორე დღეს ვაშინგტონს გავფრინდი, სადაც საგარეო საქმეთა მინისტრ ბეიკერს შევხვდი. მისთვისაც მსურდა გამეცნო შევარდნაძესთან საუბრის შინაარსი. შემდეგ აზრთა გაცვლა-გამოცვლა მქონდა მრჩეველთან უშიშროების დარგში, სკოუკროფტთან. მეორე დღეს ჯორჯტაუნის უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორის ხარისხი მომანიჭა; ამის შემდეგ უკანვე გავფრინდი გერმანიაში, სადაც დილის 2 საათისთვის ჩავაღწიეთ. ნაშუადღევს ჰაიდელბერგში მივიღე მერილენ-

---

* კარლოს დიდის სახელობის პრემია, დაარსდა 1949 წ., ევროპულ პოლიტიკაში საგანგებო დამსახურების მქონე პოლიტიკოსებს ანიჭებენ ქ. აახენში. (რედ.)

დის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ხარისხი.

იმავე დღეს, 1990 წლის 25 მაისს, საფრანგეთის პრეზიდენტი მოსკოვში იყო. როგორც შემდეგ მიტერანმა და გორბაჩოვმა განაცხადეს, მათი საუბრის დაახლოებით სამოცდაათი პროცენტი გერმანიის გაერთიანებას მიეძღვნა. სტუმრის თანდასწრებითაც მიესალმა გორბაჩოვი გაერთიანებული გერმანიის დაბადებას: „გერმანელი ხალხი ახდენს თავისი შესაძლებლობების რეალიზაციას კონკრეტულ ისტორიულ პირობებში, რომლებმაც მას ამის შანსი მისცეს. ეს მისი საშინაო საქმეა". ხოლო საგარეოპოლიტიკურმა პრობლემებმა თავი იჩინა, როცა გენერალურმა მდივანმა დასძინა: „ბევრი ჩქარობს ახლა, მიგვაღებინოს გადაწყვეტილება საიმისოდ, რომ გაერთიანებული გერმანია აუცილებლად ნატოს წევრი გახდეს!" მაგრამ ეს იქნებოდა წონასწორობის დარღვევა ერთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტში, ვინაიდან ამ ადგილას ერთმანეთის პირისპირ უძლიერესი ძალები დგანან. „რაკი გაერთიანებული გერმანია ორივე სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკთან არის შეხებაში", თქვა მან, „ალბათ ახალი სტრუქტურების გამოძებნა იქნება საჭირო ამ კავშირ-ურთიერთობების განვითარებისთვის. იქნებ სწორედ ეს იმპულსი გამოგვეყენებინა საიმისოდ, რომ ბლოკების დემილიტარიზაცია მოგვეხდინა". აქ ადვილი საცნობი იყო ის პერსპექტივები, რომლებსაც ჩვენც ვუჭერდით მხარს, თუმცა ისინი ნაწილობრივ ძველებური ფრაზეოლოგიით იყო გამოთქმული.

28 მაისს, გვიან ნაშუადღევს, ლონდონს გავფრინდი, სადაც დუგლას ჰერდმა სასტუმრო სახლში მიმიღო. მასაც მოვახსენე ჟენევაში შევარდნაძესთან საუბრის შინაარსი; ასე რომ, სამივე დასავლელი კოლეგა დაუყოვნებლივ და უშუალოდ ჩავაყენე საქმის კურსში. იმავე საღამოს გამოვემგზავრე გერმანიაში.

29 მაისს მქონდა მთელი რიგი საუბრებისა საგარეო საქმეთა სამინისტროში. ჯერ ჰანს-იურგენ ვიშნევსკის შევხვდი, შემდეგ „Congressional Study Group on Germany"-ს („გერმანიის შემსწავლელი ჯგუფი კონგრსში") ვაშინგტონიდან. 12 საათზე, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სიტყვით გამოვედი „აფრიკის დღეზე", რომელსაც აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები აწყობენ. გვიან ნაშუადღევს ფედერალურ პრეზიდენტს, რიხარდ ფონ ვაიცზეკერს ვეწვიე და გავაცანი მოლაპარაკებებზე შექმნილი ვითარება, ხოლო

მადლობის სიტყვა აახენში. როცა დიულა ჰორნს 1990 წელს კარლოსის პრემია მიენიჭა, ჰანს-დიტრიხ გენშერმა სიტყვით მიმართა მას და ღირსეული შეფასება მისცა უნგრეთის მთავრობის მამაცურ გადაწყვეტილებას, რომელმაც 1989 წლის 10 სექტემბერს საზღვარი გახსნა ავსტრიასთან.

გვიან საღამოს, უკვე 23-ე საათი იყო დაწყებული, ფედერალურ კანცლერთან წავედი. მოლაპარაკებებზე შექმნილ ვითარებასა და შემდგომ ნაბიჯებზე უნდა გვემსჯელა.

ერთი დღის შემდეგ კვლავ პარიზისკენ გავემგზავრე – ფედერალურ პრეზიდენტთან ერთად, რომელმაც საღამოს ბოარნეს სასახლეში, გერმანიის საელჩოს რეზიდენციაში, სადილი გამართა პრეზიდენტ მიტერანის პატივსაცემად. ამას წინ უძღოდა კონცერტი და ფედერაციული გერმანიის სახელმწიფო ორდენის (დიდი ჯვარი ვარსკვლავითა და შულტერბანდით) გადაცემა ჩემი მეგობრის როლან დიუმასათვის, რომელმაც ეს ჯილდო სავსებით დაიმსახურა. მადლიერების გრძნობით ვიგონებდი იმ დღეს, როცა ფრანსუა მიტერანმა ელისეს სასახლეში საპატიო ლეგიონის დიდი ჯვრის ორდენი მომანიჭა – საგარეო საქმეთა მინისტრისთვის ერთობ იშვიათი ჯილდო. 31 მაისის დილით როგორც იქნა დავბრუნდი შინ. ეს დღე საგარეო საქმეთა სამსახურისთვის მნიშვნელოვანი დღე გახლდათ: ნაშუადღევს ბუნდესტაგმა მეორე და მესამე წაკითხვით მიიღო კანონი საგარეო საქმეთა სამსახურის შესახებ. ბოლოს და ბოლოს ეს კანონი უკვე „სამშვიდობოს იყო გასული“.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის უმაღლესი დონის შეხვედრამაც, რომელიც 30 მაისიდან 3 ივნისამდე გრძელდებოდა, ხელი შეუწყო გერმანიის გაერთიანების პროცესს. არავინ მოელოდა, თუ ვაშინგტონში გერმანიის გაერთიანების და უპირველეს ყოვლისა გაერთიანებული გერმანიის ნატოში გაწევრიანების საკითხი გადაწყდებოდა. მაგრამ განცხადებამ, რომელიც 3 ივნისს პრეზიდენტმა ბუშმა გააკეთა გორბაჩოვის თანამონაწილეობით ჩატარებულ პრესკონფერენციაზე, დაგვანახა, რომ აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის თვალსაზრისები ამ პუნქტთან დაკავშირებით დაახლოებულიყო. ბუშმა აღნიშნა, რომ გაერთიანებულ გერმანიას შეეძლო ნატოს სრულუფლებიანი წევრი ყოფილიყო: „პრეზიდენტი გორბაჩოვი ამ მოსაზრებას — გულახდილად რომ ვთქვა — არ იზიარებს. მაგრამ იმ თვალსაზრისს კი ორივენი ვიზიარებთ, რომ სამხედრო ალიანის წევრობის საკითხი ჰელსინკის დასკვნითი დოკუმენტის მიხედვით ის საკითხია, რომელიც თვით გერმანელებმა უნდა გადაწყვიტონ“. ხოლო გორბაჩოვმა თქვა: „ალიანსის საკითხი ჰელსინკის დასკვნითი დოკუმენტის მიხედვით ის საკითხია, რომელიც გერმანელებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ!“

ეს ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ თუმცა გერმანიის გაერთიანების საგარეოპოლიტიკურ ასპექტებთან დაკავშირებით კომპრომისი ვერ მოიძებნა, მაგრამ ეს „არ ნიშნავს, რომ ჩვენი გარჯა ამაო იყო“.

ვაშინგტონში გორბაჩოვმა წინადადება წამოაყენა, ნატოსა და ვარშავის ალიანსებს შორის შეთანხმება დადებულიყო. ბეიკერმა ამაზე თქვა, რომ ეს „შეძლებისდაგვარად პოლიტიკური შეთანხმება უნდა ყოფილიყო, რომელიც შუა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს გაუადვილებდა ერთიანი გერმანიის ნატოს წევრობის იდეისთვის მხარდაჭერას, საბჭოთა კავშირს კი — ამ იდეაზე დათანხმებას“. ეს ჩემს მიზანსწრაფვასაც შეესაბამებოდა. ვაშინგტონის უმაღლესი დონის შეხვედრაზე ორივე ზესახელმწიფომ დაადასტურა, რომ გერმანიის გაერთიანებისაკენ მიმავალი გზა ამა თუ იმ ალიანსში შესვლის ან არშესვლის იმ უფლებაზე გადიოდა, რომელიც ჰელსინკის საბოლოო დოკუმენტში იყო ჩაწერილი. და ეს იყო გადამწყვეტი.

1 ივნისს შედგა ორივე გერმანიის საგარეო სამინისტროთა შერეული კომისიების დამფუძნებელი სხდომა. მისი გახსნისას მე განვაცხადე: „გერმანული ერთიანობის მიღწევა ორივე გერმანული

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას მრავალრიცხოვანი ახალი ამოცანის წინაშე აყენებს. ორივე მთავრობა ილვწის სახელმწიფოებრივი გაერთიანებისათვის. ისინი ილვწიან საიმისოდ, რომ ეს გაერთიანება წესიერად და გამართულად წარიმართოს. შედეგი, გაერთიანებული და გამთლიანებული გერმანია, სარგებლობის მომტანი უნდა იყოს ყველა სახელმწიფოსთვის. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ გერმანიის გაერთიანება ამავე დროს ევროპის გაერთიანების ერთი ნაწილიც არის. ევროპაში მომხდარი ფუნდამენტური ცვლილებები, რაშიც გადამწყვეტი წვლილი გდრ-ის ხალხს მიუძღვის, ჩვენ, გერმანელებს, მარტო გაერთიანების შანსს კი არ მოგვიტანს, არამედ ახალ პასუხისმგებლობასაც დაგვაკისრებს. ამ პასუხისმგებლობის ერთი ასპექტი გახლავთ გერმანიის ევროპული მოწოდება ამ საუკუნის ბოლოს. ამოცანები, რომლებიც დღეს ჩვენ წინაშე დგას, ჩვენგან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას მოითხოვს. ყოველი ჩვენგანი თავის სფეროში მოწოდებულია, გააღრმაოს ორმხრივი ურთიერთგაგება და წარმოაჩინოს საერთო მიზნები".

შოტლანდიაში გამართული ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციის წინ, 1990 წლის 7 ივნისს ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა უმაღლესი დონის კონფერენცია ჩატარდა, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა ყველა წინამორბედი ამგვარი თავყრილობისაგან მონაწილეებით, მიმდინარეობის მხრივ და შედეგით. გდრ პირველად იყო წარმოდგენილი პრემიერ-მინისტრით, რომელიც თავისუფალი არჩევნების შედეგად იყო მისული თანამდებობაზე და კომუნისტურ სახელმწიფო პარტიას არ ეკუთვნოდა: ეს გახლდათ ქრისტიან-დემოკრატი ლოთარ დე მეზიე. იგივე ითქმის იოსებ ანტალზეც, უნგრეთის პრემიერ-მინისტრზე. რუმინეთიდან მონაწილეობდა ახლად არჩეული პრეზიდენტი ილიესკუ, ბულგარეთიდან — პეტარ მლადენოვი, რომელმაც შეცვალა პრეზიდენტობისა და პარტიის გენერალური მდივნობის ხანგრძლივი სტაჟის მქონე ჟივკოვი. მლადენოვთან, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, მრავალი წლის განმავლობაში ვთანამშრომლობდი, რის შედეგადაც — გარემოებებსაც თუ გავითვალისწინებთ — კარგი გამოცდილება შევიძინე.

კონფერენციის მიმდინარეობას განსაზღვრავდა იმის მცდელობა, რომ შეცვლილ პირობებშიაც შეენარჩუნებინათ ვარშავის ხელშეკრულება. საბჭოთა წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ არც ერთ

მონაწილეს არაფერი უთქვამს გაერთიანებული გერმანიის ნატოში გაწევრიანების სასარგებლოდ. მაგრამ არც ის უთქვამთ, ვინმე ამ გაწევრიანების წინააღმდეგი იყოო — სწორედ ამას ჰქონდა ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ვარშავის ხელშეკრულების ბლოკის ამოცანებსა და მის შემდგომ ბედზე აზრთა სხვადასხვაობა ჯერჯერობით დაძლეული არ იყო: როგორც ჩანს, შეთანხმდნენ, ეს პრობლემა ამჟამად პრობლემადვე დავტოვოთო. განსაკუთრებული გულისყურით შევისწავლე აბზაცი, რომელიც გერმანიის გაერთიანების საგარეოპოლიტიკურ ასპექტებს შეეხებოდა. ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ იგი საერთოევროპული პროცესის კონტექსტში უნდა განხორციელებულიყო ამავე პროცესის პრინციპთა საფუძველზე. შემდეგ საუბარი იყო გერმანიის მეზობელ და ყველა სხვა სახელმწიფოს უსაფრთხოების ლეგიტიმურ ინტერესებზე, ბოლოს კი ევროპული საზღვრების ხელშეუხებლობის მტკიცე გარანტიათა საჭიროებაზე. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ გაერთიანებული გერმანიის ნატოსთან დამოკიდებულება, რასაც ჟენევაში შევარდნაძემ „საკითხთა საკითხი“ უწოდა, ნახსენები აღარ ყოფილა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ თვალსაზრისით ერთიანი პოზიციის შემუშავება სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა წრეშიც ვერ მოეხერხებინათ. პირიქით, ჩვენ ვიცოდით, რომ ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოები ამ საკითხზე სრულიად განსხვავებული აზრისანი იყვნენ, ზოგი მათგანი გაგებით ეკიდებოდა ჩვენს ნება-სურვილს, გაგვგრძელებინა ნატოს წევრობა. ან იქნებ უკვე ყველა ასე ფიქრობდა?

ამას წინ უძღოდა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა პრაღაში 17 მარტს, რომელზეც უკვე ვეღარ მოახერხეს შეთანხმება არსებითი ხასიათის დეკლარაციის ტექსტზე. ახლა, უმაღლესი დონის კონფერენციაზე, შესაძლებელი გახდა დეკლარაციის მიღება, თუმცა შედარებით მოკლე ტექსტისა. მისი შესწავლისას თვალში მოგვხვდა აქცენტირებული პასაჟები — ევროთათბირის მნიშვნელობის ხაზგასმით აღნიშვნა, მითითება ნატოს მხრივ გადადგმულ მისასალმებელ ნაბიჯებზე და ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების თაობაზე ვენაში მიმდინარე მოლაპარაკებებზე. უწინარეს ყოვლისა კი ის განცხადება იყო ღირსშესანიშნავი, რომ თავყრილობაზე წარმოდგენილ სახელმწიფოებს აუცილებლად მიაჩნდათ ვარშავის ხელშეკრულების ხასიათისა და ფუნქციის რევიზია.

ვარშავის ხელშეკრულების მცირე სახელმწიფოებისაგან ჩვენი შეხედულების დასტური მივიღეთ. სხვათა შორის, პრაღასა და ბუდაპეშტთან მოლაპარაკებებისას უკვე გვქონდა საუბარი გაერთიანებული გერმანიის ნატოში დარჩენის უპირატესობებზე. შევარდნაძე ამას ინტერესით შეხვდა — რაც თავისთავად ცხადია. ყოველივე ამან მას შინ ბევრი რამ გაუადვილა.

სიგნალი ტერნბერიდან

1990 წლის 8 ივნისს ნატოს საგაზაფხულო ყრილობაზე მოვიყარეთ თავი ტერნბერიში. შოტლანდიაში ტიპურ ბრიტანულ პირველი კლასის სასტუმროში დაგვაბინავეს, რომლის წინ დიდი კარვები იყო გაშლილი პრესისთვის. ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა; ლამის წაიღო კარვები. ქარი ისეთი ხმაურით არხევდა კარვის კალთებს, ხშირად საკუთარ ხმასაც ვერ გაიგონებდი.

ჩემი მონაწილეობა ტერნბერის შეხვედრაში კინაღამ შეუძლებელი გახდა. უკვე ჩემს ოთახში ვიჯექი, დოკუმენტების შესწავლით გართული, რომ ჩემი თანამშრომელი შემოვარდა: „ბატონო მინისტრო, პრობლემა გაჩნდა! უშიშროების სამსახურის ხალხმა თქვენი ბარგი გასინჯა და პისტოლეტი აღმოაჩინა. თქვენ ხომ იცით, დიდ ბრიტანეთში იარაღით შესვლა აკრძალულია. ახლა მთელ ბარგს დააკავებენ“. რა მექნა? ვთხოვე ელბეს, ინგლისელთა უშიშროების ოფიცრისთვის აეხსნა, რომ ეს ჩემი პირადი იარაღი იყო. ელბემ მითხრა: „ეგ არ გვიშველის, საგარეო საქმეთა უწყების თანამშრომლებმა ეგ უკვე უთხრეს“. „მაშინ შეატყობინეთ უშიშროების ოფიცერს, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას კონფერენციაში, თუ ბარგს დაუბრუნებთ-თქო. შეუძლია დაელაპარაკოს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს და ჰკითხოს, ბრიტანეთის მთავრობას აუცილებლად მიაჩნია თუ არა გერმანიის დელეგაციის მონაწილეობა ნატოს ამ თავყრილობაში“. ეს, ცხადია, მეტისმეტად თამამი განცხადება გახლდათ, რადგან არავინ იყო უფრო მეტად ამ ყრილობით დაინტერესებული, ვიდრე მე. დიახ, მე აუცილებლად უნდა გამეკეთებინა ერთი განცხადება, რომლის წყალობითაც ერთიანი

გერმანიის ნატოში გაწევრიანება საბჭოთა კავშირისთვის ასატანი დახდებოდა. ათი წუთის შემდეგ მოვიდნენ ჩემი უშიშროების თანამშრომლები და ბარგი მოიტანეს. ინგლისის უშიშროების ოფიცერს, როგორც მოსალოდნელი იყო, არაფერი უკითხავს თავისი მთავრობისთვის და ბარგი საკუთარი პასუხისმგებლობით დაუბრუნებია.

ყრილობის დაწყებამდე საბჭოთა კავშირისთვის იმისი მკაფიო ნიშანი უნდა მიგვეცა, რომ ჩვენ სამხედრო ალიანსებს შორის ახლებური ურთიერთობის მომხრე ვიყავით: ნატოს წევრი სახელმწიფოების მიზანი დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის დაპირისპირების დაძლევა იყო. აქაც გაამართლა ჩვენმა ერთობამ ამერიკელებთან, რადგანაც ჯიმ ბეიკერი, რომელიც ამავე მიზნით ჩამოვიდა ტერნბერიში, ყველანაირად ცდილობდა, ჩვენი განცხადებისთვის, როგორც ფორმის მხრივ, ასევე არსებითადაც, წონა შეემატებინა.

მსგავს დეკლარაციებს ნატოს შტაბბინის თანამშრომლები ამზადებდნენ ბრიუსელში. იქ გენერალური მდივნის სამდივნო ნატოს მისიათა ხელმძღვანელების მოადგილეებთან ერთად დამქანცველი მოლაპარაკებების შედეგად შეიმუშავებდა დოკუმენტთა ტექსტებს, ალიანსის ყველა პრობლემისა და ყველა აქტუალური თემის შესახებ. ოთხი დასავლური სახელმწიფოს მიერ მუდმივი ჩასწორებები კეთდებოდა გერმანიისა და ბერლინის თაობაზე მიღებულ დოკუმენტებში და ბრიუსელელი კოლეგები მათ უკამათოდ ღებულობდნენ. ასეთი ზოგადი ხასიათის განცხადებების გვერდით ხანდახან დამატებითი დოკუმენტიც ქვეყნდებოდა, როცა განცხადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა და მასზე ყურადღების გამახვილება იყო საჭირო. ასე მოხდა ტერნბერიშიც: საბჭოთა კავშირს მიზანმიმართულად უნდა შევხმიანებოდით. ამასობაში პოლიტიკურმა დირექტორმა კასტრუპმა ტექსტის პირველივე შესწავლისთანავე დაადგინა, რომ თუმცა იგი თავისი არსით სწორი და სასარგებლო დოკუმენტი იყო, მაგრამ ძალიან ზოგადად იყო ფორმულირებული: პოლიტიკური სიგნალი აკლდა.

კასტრუპი ფორმულირების და მისი გატანის ოსტატია. მან ტექსტის თავისი ვარიანტი მოამზადა, რომელზეც ამერიკელთა მეცადინეობით ნატოს ყველა პარტნიორმა თანხმობა განაცხადა. დასავლელ კოლეგებს განვუმარტე, რომ გერმანიის წევრობა ნატოში სამომავლოდაც ევროპაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების

წინაპირობად უნდა დარჩენილიყო; გერმანიის სურვილია, გამოიყენოს ჰელსინკის დოკუმენტით მინიჭებული უფლება, თვითონ აირჩიოს თავისი ალიანსი. მაგრამ ერთიანი გერმანიის ნატოში შესვლის პერსპექტივა ძნელად მოსანელებელი იყო მოსკოვისთვის, ამიტომ საბჭოთა კავშირისთვის დადებითი პოლიტიკური ტენდენციის ნიშნები უნდა გვეჩვენებინა, უნდა გვეგრძნობინებინა, რომ დასავლური ალიანსი ანგარიშს უწევდა ცივი ომის შემდგომ შექმნილ ვითარებას და გარდა ამისა მზად იყო, როგორც უსაფრთხოების ახალი სტრუქტურის ნაწილს, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებთან ეთანამშრომლა. ამასთან დაკავშირებით სისტემატური კონსულტაციები უნდა დაწყებულიყო. ამიტომ მივესალმეთ ჩვენ, ნატოს მინისტრები, ტერნბერიში ვარშავის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოთა 7 ივნისის მოსკოვურ დეკლარაციას. ამ სასიხარულო ცნობამ და კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის მზადყოფნამ, რაც ამ დოკუმენტიდან გამომდინარეობდა, მხნეობა შეგვმატა.

დასკვნით განცხადებაში საბჭოს წევრებმა მკაფიოდ გამოხატეს თავიანთი აზრი ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის პოლიტიკური დიალოგის გაფართოებისა და გაღრმავების სასარგებლოდ. „ჩვენ გვსურს შემდგომი ამგვარი კონტაქტები", ნათქვამი იყო დოკუმენტში. „ჩვენი, ოთხი ათეული წლის განმავლობაში შუაზე გაყოფილი, კონტინენტი თანამშრომლობის ახალ ფორმებსა და სტრუქტურებს ეძებს". შესაბამისად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნატო ევროპის უსაფრთხოების ხელშეკრულების დადებას. მას უნდა გამოესწორებინა წონასწორობის მადესტაბილიზებელი დარღვევა და აღეკვეთა რომელიმე სახელმწიფოს მხრივ მოულოდნელი თავდასხმისა და ფართომასშტაბიანი შეტევითი ოპერაციების შესაძლებლობა. ნატოს შუამავლებმა ვენაში ახალი ინსტრუქციები მიიღეს; ნდობისა და უსაფრთხოების განმამტკიცებელი ღონისძიებები წელსვე უნდა დამთავრებულიყო. დამატებით ნატომ წამოაყენა წინადადება მთელი რიგი ახლებური მექანიზმების შემოღების თაობაზე, მათ შორის მექანიზმისა არაორდინარული სამხედრო აქტიურობების განსასჯელად. ევროპის უსაფრთხოების თაობაზე ხელშეკრულების დადების შემდეგ უნდა დაწყებულიყო შემდგომი მოლაპარაკებები, რომელთა მიზანი განიარაღების პროცესის უფრო ფართო მასშტაბით გაშლა იქნებოდა. განზრახული იყო ქიმიური იარაღის მსოფლიო მასშტაბით აკრძალვა,

მარგარეტ ტეტჩერსა და ჰანს-დიტრიხ გენშერს შორის ურთიერთობა ყოველთვის ასე ნდობით აღსავსე როდი იყო.

ამასთან ბირთვული და ქიმიური იარაღის და მათთვის განკუთვნილი საფრენი მოწყობილობების გავრცელების აკრძალვაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნატო ტერნბერიდან ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს სიგნალს აძლევდა, მზად ვარ მოულოდნელი ქმედებების გამომრიცხავი, ორმხრივი ნდობის და მაღალი უსაფრთხოების ატმოსფეროს შესაქმნელად. თანამშრომლობისთვისო! ევროთათბირის პროცესი დასახელდა ევროპის უსაფრთხოების ჩარჩოდ. ეს სიახლე იყო და უთუოდ დააჩქარებდა საპასუხო ნაბიჯებს ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის მხრივ.

ტერნბერიდან გადაცემული ამ სიგნალით სამხედრო ალიანსებს შორის ახლებურ ურთიერთობას ჩაეყარა საფუძველი. სიტყვასიტყვით ნათქვამი იყო: „ჩვენ, ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრები, ვაცხადებთ ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას, ვისარგებლოთ ისტორიული შანსით, რომელიც ევროპაში მიმდინარე ფუნდამენტურმა ცვლილებებმა მოგვცა, რათა შევქმნათ ახალი ევროპული სამშვიდობო წესრიგი, დაფუძნებული თავისუფლებაზე, სამართალსა და დემოკრატიაზე. ამ სულისკვეთებით ვუწვდით ხელს საბჭოთა კავშირს და ყველა სხვა ევროპულ ქვეყანას მეგობრობისა და თანამშრომლობისთვის... ჩვენ დარწმუნებული ვართ,

გერმანიის გაერთიანება არსებით წვლილს შეიტანს ევროპის კონტინენტზე სტაბილურობის განმტკიცების საქმეში".

რაკი იმ დღეებში კვლავ მოსალოდნელი იყო მწვავე შეხლა-შემოხლა გორბაჩოვსა და მის მოწინააღმდეგეთა შორის – მალე სკკპ ყრილობა უნდა ჩატარებულიყო –, ჩვენს ამ მოწოდებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გორბაჩოვისა და შევარდნაძის მცდელობათა წარმატებით დაგვირგვინებისთვის და თანაც მორიგ ნაბიჯს წარმოადგენდა ნატოს სატანური იმიჯის გასაქარწყლებლად. წარმატებით რომ გაერთმია თავი სკკპ ყრილობისათვის, რომელიც 1 ივლისს უნდა დაწყებულიყო, შევარდნაძეს რეალური ფაქტები სჭირდებოდა, რომლითაც იგი შეუვალ დოგმატიკოსთა არგუმენტებს წონას დაუკარგავდა და უმრავლესობას დაარწმუნებდა იმაში, რომ გერმანიის გაერთიანება, ისევე როგორც ევროპული განხეთქილების დაძლევა, საბჭოთა კავშირისთვისაც ახალ და უკეთეს პერსპექტივებს წარმოაჩენდა.

იმ ღამეს დიდხანს არ დამეძინა, რაც იშვიათად დამმართნია. ვცდილობდი ჩემი თავი საბჭოთა ხელმძღვანელობის, პირველ რიგში ჩემი კოლეგის შევარდნაძის ადგილას წარმომედგინა, რომელსაც მე წლების განმავლობაში უფრო და უფრო დავუმეგობრდი. კვლავ და კვლავ ვიხსენებდი ჩვენს საუბრებს; ხშირად მხოლოდ ხანმოკლე მზერითი კონტაქტი კმაროდა, ურთიერთგაგებისთვის რომ მიგვეღწია. რა ძლიერ უნდა შეცვლილიყო მოსკოვში ვითარება უარესობისკენ, თუკი შევარდნაძეს მძიმე ბრალდებების მოსმენა მოუწევდა! რა თქმა უნდა, ამგვარი რამ ჩემთვის ნაცნობი იყო თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ყრილობებიდან. არცთუ იშვიათად მეც მიწევდა იქ სამთავრობო პოლიტიკის დაცვა ძველი, შეჩვეული პოზიციების და კეთილგანწყობილი შემოთავაზებების წინააღმდეგ.

ვის მოუწევდა პარტიის ამ ყრილობაზე ხელჩართულ ბრძოლაში გადაშვება: მარტო შევარდნაძეს თუ გორბაჩოვიც ამოუდგებოდა მას მხარში? თუ ორივენი უმცირესობაში აღმოჩნდებოდნენ? ნუთუ ახდება ამერიკელების ვარაუდი, რომ გორბაჩოვი გერმანიის უსაფრთხოების სტატუსის ძნელ საკითხს საგარეო საქმეთა მინისტრს შეაჩეჩებსო? წინასწარ შეთანხმებულ როლთა განაწილებასთან გვქონდა საქმე, თუ სხვა რამესთან? და საერთოდ, რა ხდებოდა ამ ორ ესოდენ მნიშვნელოვან პიროვნებას შორის? პარტიის ყრილობიდან მოსულმა

ცნობებმა მოგვიანებით დაადასტურა, რომ კრიტიკის ტვირთის ტარება ყრილობაზე შევარდნაძეს უპირატესად მარტო მოუწევდა.

გარღვევა ბრესტში

მომდევნო, იქნებ უმნიშვნელოვანესი გერმანულ-საბჭოთა შეხვედრა გერმანიის გაერთიანების წინაპერიოდში, ეს იყო შევარდნაძისა და ჩემი მოლაპარაკება 1990 წლის 11 ივნისს ბრესტში — ქალაქში, რომელიც მან თვითონ შეარჩია საგანგებოდ ამ კონფერენციისთვის. იქ 1941 წელს, ომის პირველსავე დღეებში დაიღუპა მისი ოცდაერთი წლის ძმა და იქვე დაკრძალეს. ბრესტი არის სიმბოლო ჩვენი საერთო ისტორიის მძიმე პერიოდისა, როგორც შევარდნაძემ განაცხადა. და მაინც ასეთ ადგილას შეხვედრა იმის ნათელი დასტური იყო, რომ მზად ვიყავით გვესწავლა წარსულისაგან და ისეთი ურთიერთობა დაგვემყარებინა ერთმანეთთან, რომელიც შიშის ნაცვლად კეთილმეზობლობისა და ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობის ნიშნით იქნებოდა აღბეჭდილი — ყოველ შემთხვევაში მე ასე ვიმედოვნებდი.

მაგრამ ისიც ვიცოდი, საკონფერენციოდ ამ ადგილის შერჩევა პოლონელებს გულზე არ დაეხატებოდათ. ბრესტი: ამ ქალაქში დაიდო ზავი 1918 წლის მარტში გერმანიის იმპერიისა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის. 1939 წლის სექტემბრის ბოლოს ბრესტი იყო სიმბოლო ჰიტლერსა და სტალინს შორის პოლონეთის ხარჯზე დადებული ხელშეკრულებისა; გერმანელი და საბჭოთა სამხედროები ერთობლივად გამოვიდნენ პოლონეთის დამამცირებლის როლში. ყოყმანი გვერდზე გადავდე, რაკი შევარდნაძეს ღრმად პირადული მოგონებების გამო სურდა ჩემთან ამ ადგილას შეხვედრა. ეს იყო ახლა მთავარი.

თვითონ ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც 1928 წლის დამდეგს არის დაბადებული, ასაკის გამო ომში მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ რაკი იცოდა, რომ გერმანიის გაერთიანების მიმართ მრავალი საბჭოეთში მცხოვრები ომგამოვლილი ადამიანი უარყოფითად იქნებოდა განწყობილი, ამიტომ სურდა მათთვის ეჩვენებინა — მართალია ჩემმა ოჯახმაც გაიღო მსხვერპლი დიდ სამამულო ომში, მაგრამ მზად ვარ შერიგებისთვისო. რა ჟესტი იმოქმედებდა ამ მიზნით უფრო დამარწმუნებლად, ვიდრე გერმანიის საგარეო საქმეთა

მინისტრთან ერთად ძმის საფლავის მონახულება? ჩემი შთაბეჭდილება სწორი გამოდგა: მისი წინადადება, ბრესტში შეეხვედროდით ერთმანეთს, საკუთარი ხალხისთვისაც იყო გამიზნული.

წინდახედულად მოვიქეცი: დავურეკე პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და ვუთხარი: შექმნილ ვითარებაში პოლონეთს ამ შეხვედრის ადგილად ბრესტის არჩევა საწყენად არ მიეღო. „რაკი ჩვენ ყველანი დაინტერესებულნი ვართ იმით, რომ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კონფრონტაციის გაუქმებამ საბჭოთა კავშირშიც ფართო მხარდაჭერა პოოს, მადლობელი ვიქნებოდი“, ასე ვუთხარი სკუბიშევსკის ტელეფონში, „თუ თქვენს შესაძლებლობებს გამოიყენებდით, რათა ეს მოტივი ყველასათვის გასაგები გაგეხადათ“. მან მაშინვე გაიგო ჩემი მიზანდასახულობაც და ამ შეხვედრის მნიშვნელობაც, ბევრი ლაპარაკი არ დამჭირვებია ამაში მის დასარწმუნებლად. სკუბიშევსკი ის კაცია, ვინც იცის ისტორიის ყადრი, მაგრამ ამავე დროს მზერა მომავლისკენა აქვს მიპყრობილი; ის ისეთივე გაგებით მოეკიდა ამ ამბავს, როგორითაც ფართო პოლონური საზოგადოებრიობა.

1990 წლის 11 ივნისს, დილის 7 საათი იყო დაწყებული, ბრესტისაკენ გასაფრენად რომ დავიძარით. ეს შეხვედრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. უკვე შეხვედრის ადგილის შერჩევის მოტივები ცხადყოფდა, რაოდენ სერიოზული იყო შევარდნაძის განზრახვა — როგორც თვითონ განაცხადა —, წერტილი დაესვა მეორე მსოფლიო ომისათვის. მაგრამ ეს არ უნდა ყოფილიყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო წერტილის დასმა ისტორიისათვის. დამაგვირგვინებელ პრესკონფერენციაზე მე ვთქვი: ძალიან კარგად მესმის, რას ნიშნავს ის ამბავი, რომ შევარდნაძემ აქ მომიწვია, ამ ქალაქში, რომელთანაც ესოდენ მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი და მისი ოჯახის პირადი გრძნობები. ჩვენი ურთიერთობის ახლებურად წარმართვა შეესაბამება ჩვენი ქვეყნის ორივე ნაწილში მცხოვრებ გერმანელთა სურვილებსა და გრძნობებს.

მოლაპარაკებები ხუთ საათს გაგრძელდა. შევარდნაძე ძალიან გულითადად მომესალმა. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს ერთ ტიპურ სასტუმროში, რომლის მსგავსს ბევრს იხილავთ აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში, და ჩემმა მასპინძელმა მომიბოდიშა, კონფერენციისთვის უფრო დიდი შენობა რომ ვერ შეარჩიეს. მე

სიტყვა გავაწყვეტინე და ვუთხარი, რომ თავშეყრის ადგილის სიდიდე და კეთილმოწყობა კონფერენციის წარმატებით ჩატარების არავითარ გარანტიას არ იძლევა: ეკლესიის სიდიდე და მშვენიერებაც ხომ ვერაფერს გვეუბნება მრევლის ღვთისმოსაობის შესახებ-მეთქი.

დიდ დარბაზში გრძელი მაგიდა იდგა, რომელსაც ერთმანეთის პირისპირ ვუსხედით ორივე დელეგაციის წევრები. გარდა ამისა ჩვენს განკარგულებაში იყო მოსასვენებელი ადგილი, რომელიც ერთი მომცრო სალონისა და ერთიც ცოტა უფრო მოზრდილი საწოლი ოთახისაგან შედგებოდა. შევარდნაძემ მადლობა მითხრა, რომ იქ შეხვედრაზე დავთანხმდი. ბრესტს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ის ჩვენი ერთობლივი ისტორიის მძიმე პერიოდს გვახსენებს, ჩვენი შეხვედრა კი ორმხრივი ურთიერთგაგების სურვილის გამოხატულებააო. ამიტომ, — განაგრძო შევარდნაძემ, — მე მინდა კიდევ ერთხელ ხაზგასმით განვაცხადო საბჭოთა ხელმძღვანელობის პრინციპული პოზიციის შესახებ: იგი ემხრობა გერმანიის გაერთიანებას და ერთიანი გერმანიის მშენებლობას. ეს მრავალგზის განაცხადა პრეზიდენტმა გორბაჩოვმა, და ამ პერსპექტივის გათვალისწინებით დავთანხმდით „ორი პლუს ოთხის“ მექანიზმის ამოქმედებაზე; ამ გზით მოხერხდება საკითხის მოგვარების პროცესში ორივე გერმანული სახელმწიფოს და მთელი გერმანელი ერის ჩართვა. გაერთიანება იქცევა ევროპაში სტაბილიზაციისა და მშვიდობის ფაქტორადო.

ეს სიტყვები ძალიან ბევრს ნიშნავდა. სულ რაღაც ნახევარი წლის წინ, 1989 წლის დეკემბრის დამდეგს, საბჭოთა ელჩი აღმოსავლეთ ბერლინში სამი დასავლური სახელმწიფოს ელჩებს კონტროლის საბჭოს შენობაში განუმარტავდა, რა საფრთხით ემუქრებოდა გერმანიის გაერთიანება ევროპის სტაბილიზაციას. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ნაბიჯ-ნაბიჯ შევძელით დაგვერწმუნებინა საბჭოთა კავშირი, რომ გერმანიის გაერთიანება დადებით ზემოქმედებას მოახდენდა მთელ კონტინენტზე.

კვლავ საგულდაგულოდ ვილაპარაკე გერმანია-რუსეთის ურთიერთობის ისტორიაზე. მერე ვთქვი, რომ 1990 წელი ჩვენ ისეთ შესაძლებლობებს გვთავაზობდა, რომელთა ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანების პროცესმა დააჩქარა ევროპაში მოვლენათა განვითარება; ამიტომ სავსებით მართალია შევარდნაძე, როცა ამბობს, რომ გაერთიანება

ხელს შეუწყობს ევროპაში სტაბილიზაციასა და უსაფრთხოებას. აქ აშკარად შეინიშნება ორმხრივი დამოკიდებულება, რომელიც სუფევს გერმანულ საკითხსა და ევროპულ განვითარებას შორის. თუკი გერმანია და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს შორის მოლაპარაკებებს მართავენ, ეს არავისთვის არაფრის წართმევას არ ისახავს მიზნად. ჩვენს ქვეყნებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ და ამიტომ ჩვენ განსაკუთრებულად უნდა გავისარჯოთ-მეთქი.

შევარდნაძემ განაცხადა, მინდა ურთულესი პრობლემით დავიწყო, რომელიც ყველას დიდ თავსატეხს უჩენს, ეს სამხედრო გაერთიანებებში გერმანიის გაწევრიანების საკითხი გახლავთო. აქ კვლავ და კვლავ ერთი პრინციპული პრობლემაა. უნდა შეგახსენოთ, რომ ჟენევაში ამ საკითხის მოგვარების რამდენიმე ვარიანტი წამოვაყენე, რომლებსაც ახლა აქ კიდევ ერთხელ სიამოვნებით გავიმეორებო. ერთმა ფორმულირებამ ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია: შევარდნაძემ თქვა: ყველა შემთხვევაში წამოიჭრება ერთი კითხვა — როგორ შეძლებს გაერთიანებული გერმანია ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებისა და ნატოს მიმართ თავისი ვალდებულებების შესრულებას. მე მინდა, თქვა მან, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ვარშავის გაერთიანებამ უკვე გადადგა არსებითი ნაბიჯი, მიიღო ფუნდამენტური გადაწყვეტილება: გარდაიქმნას პოლიტიკურ კავშირად. თუკი ნატოც ასევე მოიქცევა, მაშინ ევროპაში სრულიად ახალი ვითარება შეიქმნება. უმთავრესია ხელშეკრულების დადება ვარშავის გაერთიანებასა და ნატოს შორის, რადგან შეთანხმებას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს პრინციპულად ურთიერთობები ამ ორ გაერთიანებას შორის გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, უშუალო ზემოქმედების მოხდენა შეუძლია იმ შეთანხმებების რეალიზებისას, რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს გერმანიის გაერთიანების საგარეოპოლიტიკური ასპექტების გათვალისწინებითო.

მაშასადამე შევარდნაძეს ნატოს წევრობა, იმ აზრით, რა აზრითაც ეს ჩვენ გვესმოდა, შესაძლებლად მიაჩნდა, თუკი სამხედრო ალიანსებს შორის ახლებური ურთიერთობის დამყარება მოხერხდებოდა. შემდეგ მან მოგვახსენა თავისი საუბრების შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრ ბეიკერთან, რომელთანაც მას უკვე ჰქონია მსჯელობა იმის თაობაზე, თუ როგორი შეიძლება იყოს ორი პოლიტიკური კავშირის (ეს სიტყვა იხმარა მან) ურთიერთობები. სხვათა შორის, ჩემმა

თანამშრომლებმა ამასთან დაკავშირებით მითხრეს, რომ შევარდნაძე იყენებდა გამოთქმას „პოლიტიკური კავშირები", ხოლო საბჭოთა თარჯიმანი სიტყვა „კავშირს" ყოველთვის „ბლოკად" თარგმნიდა.

ამასობაში, განაგრძო შევარდნაძემ, ამ იდეებმა შემდგომი განვითარება პოვა, მოსკოვში ვარშავის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოთა შეხვედრისაგან მიღებული შთაბეჭდილების ზეგავლენითაც; მაგრამ ეს იდეები საბოლოო სახით ჯერ, ბუნებრივია, ჩამოყალიბებული არ არის. აშკარაა, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ზოგიერთი სახელმწიფოს იმ პოზიციამაც იქონია გავლენა, რომ ჯობს გერმანია დასავლური ალიანსის წევრად ვიხილოთ, ვიდრე ნეიტრალური დარჩესო. უმნიშვნელოვანესი ის არის, განაგრძო ჩემმა საბჭოთა კოლეგამ, ორივე მხარემ განაცხადოს, რომ ვარშავის გაერთიანება და ნატო ერთმანეთს მტრულად აღარ უყურებენ. პრეზიდენტმა გორბაჩოვმა უკვე მალტაზე ცხადყო, რომ აშშ-ს აღარ უყურებს როგორც მოწინააღმდეგესო. აქ შევარდნაძემ გაგვიზიარა თავისი მოსაზრებები, როგორ შეიძლებოდა წარმოგვედგინა ამ ორ ალიანსს შორის ახლებური ურთიერთდამოკიდებულება.

მე მადლობა მოვახსენე შევარდნაძეს საბჭოთა მხარის მოსაზრებათა წარმოჩენისათვის. ალიანსების მომავლისა და მათში შემავალ სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების გამო ვთქვი, რომ ეს ის საკითხებია, რომლებიც თვით ამ ალიანსების წევრ ოცდასამ სახელმწიფოს ეხება. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაც მათ შორის არის და ამიტომ მასაც შეუძლია ამის თაობაზე აზრი გამოთქვას. ტერნბერიში მიღებულმა ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებამ ალბათ თქვენთვის ნათელი გახადა, ვთქვი მე, რომ ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა მოსკოვის დეკლარაცია ჩვენში ერთობ პოზიტიურად იქნა აღქმული. და ამის შემდეგ მე წავიკითხე ის ადგილები ტერნბერიში გამოქვეყნებული განცხადებიდან, სადაც ლაპარაკი იყო ევროპულ სამშვიდობო წესრიგსა და როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე ყველა სხვა ევროპული ქვეყნის მზადყოფნაზე, მეგობრობის ხელი გაუწოდონ ერთმანეთს. შევარდნაძემ კვლავაც ილაპარაკა ბლოკებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე; ჩვენს შენიშვნაზე, რომ ცნება „ბლოკები" აღარ შეეფერებოდა შექმნილ ვითარებას, მან თქვა: არა, კავშირები იგულისხმებაო. ძველებური აზროვნება ხანდახან თავს იჩენს ტერმინოლოგიაში,

ეტყობა ძველი და ახალი შეხედულებები ტექსტში და თარჯიმანთა თარგმანებში ერთმანეთს შეერიაო.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ევროპის მომავლისათვის, განვაგრძე მე, არის ძალის გამოყენებაზე უარის თქმა. ჯერ კიდევ 1982 წლის ზაფხულს ბონის სამიტზე განაცხადა ეს ნატომ მკაფიოდ. ძალადობაზე უარის თქმა ნიშნავს როგორც თავდასხმაზე, ასევე ძალის გამოყენების მუქარაზე ხელის აღებას, რაც ყოველგვარი მშვიდობიანი თანაცხოვრების ელემენტარული საფუძველია. აქედან გამომდინარე ახლა აუცილებელია, განიარაღების შესახებ მოლაპარაკებებს და ევროთათბირის ფარგლებში ევროპის ერთიანობას ისე შევხედოთ, როგორც ერთ მთლიან პროცესს; განსხვავებული უსაფრთხოების ზონები არ უნდა არსებობდეს. ნატოს ლონდონის სამიტი ივლისში მკაფიოდ განაცხადებს ჩვენი ალიანსის ახალი ვითარებისდა მიხედვით გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ.

გაერთიანებული გერმანიის იზოლირებაც დაუშვებელია და დისკრიმინირებაც, განვაგრძე მე. მაგრამ საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების საკითხებით მართებულ ინტერესთა აღიარება იმასაც ითვალისწინებს, რომ მოსკოვმა იცოდეს, რა რაოდენობის შეიარაღებული ძალები ეყოლება გაერთიანებულ გერმანიას. ამასობაში მრავალ პრობლემასთან დაკავშირებული უმთავრესი მომენტი შეიცვალა; ეს კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება ევროთათბირის პარიზის სამიტის შედეგების წყალობით. ალიანსებს შორის ახლებურ ურთიერთდამოკიდებულებამდეც მივალთ. მართალია, ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით საბოლოო და სრულყოფილი პასუხების გაცემა არ შეგვიძლია, მაგრამ ერთი რამის თქმა ახლავე შეიძლება: ლონდონის სამიტზე გაცხადდება პრინციპულად პოზიტიური დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი, ისევე, როგორც ეს ტერნბერიში მოხდა ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე. ბოლოს და ბოლოს მთავარია, როგორი წარმატებით წარიმართება მოლაპარაკებები განიარაღების თაობაზე, და ამ უფრო ფართო მასშტაბის მოვლენასთან კავშირში უთუოდ იმ შეკითხვასაც გაეცემა პასუხი, როგორი უნდა იყოს მამავალში გერმანული არმიის რაოდენობის ზედა ზღვარი. ხოლო რაც შეეხება გერმანიის აღმოსავლეთ საზღვარს, გაერთიანების შემდეგ გერმანია და პოლონეთი ხელს მოაწერენ სავალდებულო სამართლებრივ აქტს-მეთქი.

ამრიგად მე წარმოვადგინე მონაცემთა ერთობლიობის უმთავრესი ელემენტები, უმნიშვნელოვანესი ევროპაში მოვლენათა შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. საუბარში ერთ-ერთი შემდგომი ჩართვისას კიდევ ერთხელ დავუბრუნდი გაერთიანებული გერმანიის სამხედრო პოტენციალის საკითხს. სულ უფრო და უფრო მეტად ვცდილობდი, გერმანიის სამხედრო ძალთა რაოდენობის ზედა ზღვარის, ჩემი ღრმა რწმენით, გარდუვალი დადგენის მეშვეობით დადებითი იმპულსი მიმენიჭებინა განიარაღების მცდელობისათვის ევროპაში. ოღონდ გერმანიის იზოლირების თავიდან ასაცილებლად ეს შეთანხმება მრავალმხრივი ურთიერთობის ჩარჩოში — მაშასადამე ვენის მოლაპარაკებებზე უნდა დადებულიყო. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ვუთხარი მე შევარდნაძეს, რომ არც საბჭოთა კავშირმა მიიღოს შინაარსის ან მეთოდის თვალსაზრისით გერმანიის დამამცირებელი გადაწყვეტილება. საუკეთესო ის იქნებოდა, ვენაში მიგვეღწია ურთიერთგაგებისთვის, რაც მხედველობაში იქნებოდა მიღებული „ორი პლუს ოთხის“ ფარგლებში მოლაპარაკებებისას-მეთქი. აქ საქმე ეხება არა არსებით მხარეს, არამედ ჩარჩოს, მით უფრო, რომ ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, წინ წავწიოთ განიარაღების პროცესი ევროპაში. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუტოვოთ გაერთიანებულ გერმანიას ტვირთად გადაუჭრელი საკითხები, ამისთვის ბეჯითად უნდა ვიღვაწოთ და ამ პრობლემის გადაწყვეტა დავაჩქაროთ-მეთქი.

შემდეგ საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა წამოჭრა მთელი რიგი პრობლემებისა, თუმცა დასძინა, რომ ყველა ესენი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადაიჭრებოდა ევროთათბირის სამიტამდე — ხოლო მანამდე კიდევ „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულებაზე უნდა მოგვწერა ხელი. „რა საკითხებია, რომლებზეც ახლა შეუძლებელია პასუხი გაიცეს?“ ვიკითხე მე. „ასეთი ბევრია“, მიპასუხა მან, რაზეც მე მივუგე: ჩვენ ვეძებთ პრობლემათა გადაწყვეტის გზებს, მაგრამ ვერ ვიქნებით თანახმა გარდამავალ პერიოდებზე, რადგან ისინი განვითარების დინამიკას ანელებენ და ბოლოს მის სრულ პარალიზებას მოახდენენ. მე მინდა ძალიან ნათლად ვთქვა: გაერთიანების საგარეოპოლიტიკურმა ასპექტებმა გერმანელები ევროპული განვითარების ტყვეებად არ უნდა აქციოს. ჩვენი სურვილია ამ განვითარების მოტორი გავხდეთ, კეთილი გზით განვითარებისა, და სულაც არ გვინდა ევროპული პროცესის გაურკვევლობაზე ვიყოთ დამოკიდებულნი-მეთქი.

ჩვენ არ გვაქვს უფლება ხელიდან გავუშვათ წლევანდელ წელს შექმნილი ხელსაყრელი ვითარება, კვლავ აღვნიშნე მე. თუკი ყველა შედეგს შევაჯამებთ, ახლო მომავალში ჩასატარებელი ევროთათბირის სამიტის ჩათვლით, მაშინ მართლა გაგვიჩნდება შეკითხვა, რაღა უშლის ხელს ოთხ სახელმწიფოს, უარი თქვან გერმანიის მიმართ თავიანთ უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე „ორი პლუს ოთხის" იმ დოკუმენტის ფარგლებში, რომლის მიღებასაც ჩვენ ვესწრაფით. ჯერ კიდევ ჟენევაში გითხარით-მეთქი, რომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება ორივე გერმანული სახელმწიფოს ეკონომიკური, სავალუტო და სოციალური გაერთიანების შესახებ: სრულყოფილად ეს მხოლოდ სტაბილიზაციის პირობებში განხორციელდება და არა მაშინ, თუ გაერთიანებულ გერმანიას გადაუჭრელ პრობლემებს ავკიდებთ ტვირთად. ამიტომ ჩვენი სამომავლო როლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ პროცესის არც ერთმა მონაწილემ თავისი ძალისხმევა არ მოადუნოს-მეთქი.

თავის მხრივ შევარდნაძემ ალიანსისადმი კუთვნილების საკითხს უმნიშვნელოვანესი საკითხი უწოდა. ევროთათბირის შეთანხმებანი ყველა ქვეყანაზე ვრცელდება, მივუგე მე, მათ შორის გაერთიანებულ გერმანიაზეც. ისინი ყველა ქვეყანას აძლევენ იმის უფლებას, შეუერთდნენ ან არ შეუერთდნენ რომელიმე ალიანსს, ეს პრინციპი პირობებთან არ არის დაკავშირებული. საგარეო საქმეთა მინისტრმა მიპასუხა, გარდამავალი პერიოდის გარეშე საბჭოთა კავშირი იზოლაციაში მოექცევაო. ბალანსი დაირღვევა, როცა გდრ, გაერთიანებული გერმანიის შემადგენლობაში მყოფი, ნატოს წევრი აღმოჩნდება, თქვა მან. გარდა ამისა აღმოსავლეთ ევროპაშიც იცვლება რაღაც-რაღაცები. საბჭოთა კავშირს ჯერჯერობით თავისი უსაფრთხოების არავითარი გარანტია არა აქვს, და ბოლოს და ბოლოს არავინ იცის, რა მიმართულებით განვითარდება მოვლენები.

აქედან ჩანდა, რაოდენ სერიოზულად უყურებდნენ მოსკოვში იმას, რომ არ იყო ნათელი ევროპის სამომავლო განვითარების გზა. მე მესმოდა ეს: ეტყობა, შევარდნაძე ვარშავის ხელშეკრულებას ხანგრძლივ მომავალს აღარ უწინასწარმეტყველებდა — და სამართლიანადაც. ეტყობოდა, იგი უკვე აღარ გამორიცხავდა ნატოში ჩვენს ყოფნას, რაც ჩვენთვის ამას ნიშნავდა: დროსთან შეჯიბრმა კიდევ უფრო მეტი წონა შეიძინა. შევარდნაძე გარდამავალ პერიოდს

იმის გამოც იცავდა, რომ გდრ-ში საბჭოთა ჯარები იდგნენ, და როცა მე ამის მიზეზი ვკითხე, განმიმარტა: სანამ ოთხი სახელმწიფოს უფლებები ძალაშია, საბჭოთა კავშირს არ სჭირდება გდრ-ში თავისი ჯარების ყოფნის გამართლება. ხოლო თუ ეს უფლებები გაუქმდა, მაშინ ახალი საფუძველი გახდება საჭირო. ამიტომ უნდა ვეცადოთ, აქ კომპრომისი მოვძებნოთო.

ამას შეიძლება მივაღწიოთ, მივუგე მე, მით უმეტეს, რომ შემოდგომაზე ახალი ერთიანი ევროპის საფუძვლები უნდა შეიქმნასმეთქი. მხედველობაში მქონდა პარიზის სამიტი და ევროპის ქარტია; მაგრამ ამასთან წინააღმდეგობაში მოვა, თუ გერმანიისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებას მოვინდომებთ-მეთქი. ძალიან კარგად გვესმის, განვაგრძე მე, რომ მოსკოვს სურს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს გაერთიანებული გერმანიის სამხედრო სიძლიერეზე; ეს უდავოდ სამართლიანი ინტერესია. ძალთა თანაფარდობის დარღვევაზე მსჯელობისას, კაცმა რომ თქვას, გდრ-ში განლაგებულ საბჭოთა ჯარებზეც უნდა ვილაპარაკოთ-მეთქი. ბოლოს შევარდნაძემ განაცხადა, საბჭოთა კავშირი გერმანიის გარდა არავის ენდობაო. იგი იმისთვისაც კი არის მზად, რომ გერმანიის ნეიტრალიტეტს და გერმანიის ტერიტორიიდან ყველა უცხოური შეიარაღებული ძალის გაყვანას დათანხმდესო. მაგრამ თქვენი მოკავშირეების ნდობის საკითხია პრობლემატურიო.

ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხავად ამაზე მე მივუგე: „ნატოელი პარტნიორების მხრივ ჩვენ თავს შებოჭილად არ ვგრძნობთ, ჩვენ *იძულებულნი* კი არა ვართ ნატოს წევრი გავხდეთ, ჩვენ *გვსურს* ნატოს წევრობა“. და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნე, რომ ჩვენ ალიანსის თავისუფლად არჩევის პრეტენზია გვქონდა. დასავლურ ალიანსს დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის სტაბილიზაციისთვის, ამიტომ გვინდა მის წევრად დავრჩეთ-მეთქი. ნატო მომავალშიც საჭირო იქნება. სხვათა შორის, სრულიად გულახდილად უნდა აღვნიშნო ერთი გეოგრაფიული მომენტის შესახებ ევროპაში, რაც ძალთა შორის პარიტეტის დარღვევას იწვევს-მეთქი: ზეძლიერი სახელმწიფო საბჭოთა კავშირი ევროპაში მდებარეობს, ზეძლიერი სახელმწიფო აშშ კი აქედან შორს არის. ეს მოსკოვმა უნდა გაითვალისწინოს: ფედერალური რესპუბლიკა მაინც აღმოსავლური ქვეყანაა დასავლურ ალიანსში. ბოლოს კი კიდევ ერთხელ გავიხსენე

ნატოს სამიტი, რომელიც ევროთათბირის სამიტამდე უნდა გამართულიყო. ისიც ვთქვი, ვენაშიაც შეიძლება წინსვლას მივაღწიოთ, თუ ამის სურვილი იქნება-მეთქი.

საუბრის ბოლოს შევარდნაძე კიდევ ერთხელ დაუბრუნდა ბალანსის საკითხს. ამას მისთვის, ეტყობა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. საბჭოთა კავშირს დრო სჭირდება, დასძინა მან, რათა დაფიქრდეს იმაზე, თუ რა შეიძლება ახლა, კაცმა რომ თქვას, მოხდეს. „მოგვეცით დრო, რათა ჩვენი ხალხის დარწმუნება შევძლოთ. გერმანიას შეუძლია გაერთიანდეს, ეს ბუნებრივი პროცესია. მაგრამ ბალანსი უნდა შევინარჩუნოთ. ევროპული სტრუქტურების განვითარებას დრო სჭირდება, რათა შინაგანი პროცესები ჩამთავრდეს. ეს ხომ უმნიშვნელოვანესია“. მე ვუპასუხე: „შიდა და გარე ასპექტები ჩვენთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია, და მათ ურთიერთდაცილებამდე საქმე არ უნდა მივიდეს“. ჩემი თანამოსაუბრის აზრით, მაშინ საბჭოთა კავშირი იძულებული იქნებოდა დაეცადა. პოტსდამის ხელშეკრულება უცვლელად განაგრძობს არსებობას და მოსკოვის სურვილია, თქვენ ეს გაიგოთო. მან ეს ძალიან მტკიცედ წარმოთქვა, გამონათქვამი მემწვავა კიდეც. ამიტომ იმავე ტონით მივუგე: „იმედი მაქვს, საუბარს ამგვარი გამოთქმებით აღარ გავაგრძელებთ. ჩვენ იმისთვის დავსხედით ერთად, რომ გამოსავალი ვეძიოთ. გაერთიანებულ გერმანიას ფედერაციული რესპუბლიკა და გდრ შეადგანს. უსაფრთხოების იმ ფაქტორისთვის, რომელიც თქვენსა და გდრ-ს შორის აქამდე არსებული კავშირიდან გამომდინარეობს, საბჭოთა კავშირმა ეკვივალენტი უნდა მიიღოს; ამიტომ შესაძლოა გარდამავალი პერიოდის განმავლობაში საბჭოთა, ჯარები გდრ-ში დარჩნენ. მე ასეთი გრძნობა მაქვს: ჩვენ მრავალ საკითხში ახლოს მივედით ერთმანეთთან. იქნებ მე ვცდები, იქნება ჩვენ იქითკენ ვიხრებით, რომ ევროთათბირს, ვენის მოლაპარაკებებს, ალიანსთა სისტემებს შორის ახლებურ დამოკიდებულებას გადაჭარბებულად ვაფასებთ. მაგრამ მე სავსებით ნათლად უნდა განვაცხადო: ჩვენ კავშირს გარეთ დარჩენას ვერ დავთანხმდებით. იქნებ ჯობდეს, ამაზე საუბარი პირისპირ გავაგრძელოთ.“

ასეც მოხდა. და შევარდნაძემ დამისვა კითხვა, რომელიც მისთვის აშკარად მთავარ პრობლემას წარმოადგენდა: „რა რაოდენობის ჯარი უნდა ჰყავდეს გერმანიას?“ ამ შეკითხვაზე საპასუხოდ მზად ვიყავი: „იმ რაოდენობაზე ბევრად მეტი, რაც თქვენ ჟენევაში

დაასახელეთ. რა აზრისა იქნებით ასეთ რაოდენობაზე – 350 ათასიდან 400 ათასამდე?" ვუპასუხე და ისიც ვუთხარი, ეს ჩემი პირადი ვარაუდია-მეთქი. თუკი შევარდნაძისთვის მთავარი საკითხი ის იყო, რა რაოდენობის არმია ეყოლებოდა გაერთიანებულ გერმანიას, მაშინ ჩვენ უკვე სამშვიდობოს ვყოფილვართ გასული.

რაღაც მძლავრი გრძნობა მაიძულებდა მეჩქარა. ჰელმუთ კოლსა და მე მოსვენებას არ გვაძლევდა იმაზე ფიქრი, რომ ვაი თუ ამასობაში რამე გაუთვალისწინებელი მომხდარიყო. ჩემი თანამშრომლები არაერთხელ გამიფრთხილებია იმ პერიოდში: „ჩვენ წარმოდგენაც კი არ შეგვიძლია, რა ცუდი რამ შეიძლება მოხდეს". ახლაც ბევრ მოულოდნელ რამეს შეეძლო გაერთიანების პროცესისთვის ხელი შეეშალა, გაეჭიანურებინა, დაემუხრუჭებინა ან სულაც უკანვე შემოებრუნებინა იგი. ტერორისტული აქტი ან პუტჩი რომ მომხდარიყო, მაგალითად: ვთქვათ, შიდასაბჭოური პროცესების შედეგად გორბაჩოვს რომ ავტორიტეტი ან ძალაუფლება დაეკარგა და ერთ დღეს ველარ მოეხერხებინა იმის გატანა, რისი სურვილი და შესაძლებლობაც ახლა ჰქონდა. ევროპაში ან სადმე სხვაგან შესაძლოა კრიზისებს ან სულაც ომებს ეფეთქა; ესეც ხომ ხელის შემშლელად იმოქმედებდა ჩვენს მიზნებზე. ამრიგად, ჩვენს თავზე აბრეშუმის ძაფით ეკიდა დამოკლეს მახვილი. ისტორიას ძალიან ხშირად მოუხდენია იმის დემონსტრირება, რომ დიდი მოვლენები მატარებელივით თანაბარი სიჩქარით როდი გვიახლოვდებიან. ხშირად ყველაფერი უკანვე შებრუნდება ხოლმე, თანაც საშინელი ძალით. იაკობ ბურკჰარდტმა თავის წიგნში „მსოფლიოისტორიული დაკვირვებანი" წარმოაჩინა, რა საშინელი სისწრაფით ვითარდება ზოგჯერ კრიზისები. პროცესებისთვის, რომელთაც ჩვეულებრივ საუკუნეები სჭირდება, ზოგჯერ თვეები, კვირები და დღეებიც კი საკმარისია, რათა კოლოსალური ენერგიით განვითარდნენ. ხოლო ბისმარკი გვირჩევს, ყურადღებით ვიყოთ, რათა არ გამოგვეპაროს ის მომენტი, როცა ისტორიის სანახებში უფალი ღმერთი გამოჩნდება. და მაშინ პოლიტიკოსი უნდა ჩაებღაუჭოს მისი მოსასხამის კიდეს და თან გაჰყვეს მასო.

ბისმარკის ეს გამონათქვამი გამახსენდა, როცა 1991 წლის აგვისტოში პუტჩი დაიწყო გორბაჩოვის ხელისუფლების წინააღმდეგ.



როდესაც ედუარდ შევარდნაძემ და მისმა გერმანელმა კოლეგამ 1990 წელს ბრესტში ევროპული პოლიტიკის ახალ ფაზას დაუდეს სათავე, ქალაქის სასაფლაოც მოინახულეს, სადაც საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრის ძმა განისვენებს, რომელიც 1941 წელს გერმანელთა თავდასხმის პირველსავე დღეებში დაიღუპა. წარსული და მომავალი ხვდებიან ერთმანეთს.

მაშინაც, როცა 1990 წლის აგვისტოში ერაყი თავს დაესხა ქუვეითს და სპარსეთის ყურეში ომი ატყდა, ნათელი გახდა, რომ ჩვენი შეშფოთება 1990 წლის ზაფხულის დამდეგს სულაც არ იყო თითიდან გამოწოვილი. საბედნიეროდ, ეს მოვლენები მთელი ძალით მას შემდეგ განვითარდა, რაც ხელშეკრულება „ორი პლუს ოთხი" უკვე ხელმოწერილი იყო. ისინი რომ რამდენიმე თვით ან კვირით ადრე მომხდარიყო, ანდა ჩვენ გაგვეჭიანურებინა გაერთიანების პროცესი საჭიროზე მეტ ხანს, ცუდად წავიდოდა საქმე.

საერთო ინტერესების, მაგრამ სრულიად განსხვავებული მიზეზებისა და პერსპექტივების გამო, შევარდნაძე და მე ბრესტში შევთანხმდით, რომ ჩვენი საუბრის შინაარსი პრესის წარმომადგენელთა წინაშე არ გამოგვემზეურებინა. ჟურნალისტებმა მხოლოდ ჩემი ღრმადკმაყოფილი სახე იხილეს, ამ ამაღლებული განწყობილების მიზეზი კი ვერ შეიტყვეს.

ტერნბერიში გამოქვეყნებულ დეკლარაციას მართლაც მოუხდენია ზემოქმედება საბჭოთა ხელმძღვანელობაზე. ფრთხილი აწონ-დაწონის მომხრე შევარდნაძისთვის მოვლენათა ასეთი განვითარება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ თავს უფლება მისცა, დამაგვირგვინებელ პრესკონფერენციაზე ასეთი მინიშნება გაეკეთებინა: „წარმატებანი სხვა საკითხთა გადაწყვეტაში გააადვილებდა გაერთიანებული გერმანიის მომავალი სტატუსის განსაზღვრას“. ეს გულისხმობდა ერთიანი გერმანიის შეიარაღებულ ძალთა რაოდენობის ზედა ზღვარის საკითხს და სამხედრო ალიანსებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას. ჩემთვის, რაკიღა ვიცოდი, რა ფონზე გაკეთდა ეს განცხადება, ეს იყო ნათელი და გამამხნევებელი ინფორმაცია. მე შევათანხმე შევარდნაძესთან საპასუხო ვიზიტი, რომელიც ერთი კვირის შემდეგ უნდა გამართულიყო. მოლაპარაკებათა რკინა სანამ ცხელი იყო, მანამდე უნდა გამოგვეჭედა.

იმ უღრმეს შთაბეჭდილებებს, რომლებიც მე ბრესტიდან გამომყვა, განეკუთვნება შევარდნაძის ძმის საფლავის მონახულება. ამან შეხვედრა განსაკუთრებული, პიროვნული ნიშნით აღბეჭდა. გვერდიგვერდ მივაბიჯებდით მარადიული ცეცხლისაკენ მიმავალ გზაზე, რათა იქ ყვავილების გვირგვინები დაგვეწყო, საბჭოთა ჯარისკაცებს რომ მიჰქონდათ ჩვენ წინ. შევარდნაძე და მე ერთმანეთს შევყურებდით, როცა ხმის გამაძლიერებლებიდან შუმანის „ოცნება“ ჟღერდა. მერე სათითაოდ დავალაგეთ ყვავილები გრძელ, დაახლოებით მკერდის სიმაღლეზე ამოყვანილ კედელზე, რომელზედაც დაცემულ ჯარისკაცთა სახელები ეწერა; მათ შორის იყო შევარდნაძის ძმა აკაკი. ჩვენ მტკიცედ ჩავხედეთ ერთმანეთს თვალებში, ხელი გავუწოდეთ ერთიმეორეს. „აღარასოდეს“ — ეს ჩემთვის ფიცის ტოლფასი იყო. ასე ახლოს მე მანამდე საბჭოთა კავშირის არც ერთ წარმომადგენელთან არ მივსულვარ. ნუთუ მილიონობით მსხვერპლი იყო საჭირო, რომ აქამდე მოგვეღწია? რამდენი ტანჯვა გადაიტანეს ჩვენმა ხალხებმა ომის იმ პირველი დღის შემდეგ, 1941 წელს რომ გათენდა ბრესტში. ყოველი ცალკეული ადამიანისთვის, ჯარისკაცი იქნებოდა თუ სამოქალაქო პირი, კაცი, ქალი თუ ბავშვი, მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი: ისინი საწუთროს გამოესალმნენ. მაგრამ გადარჩენილებს არა აქვთ ამის დავიწყების უფლება. არც

მკვდრების დავიწყებისა და არც იმისა, თუ რამ გამოიწვია მათი სიკვდილი და ვინ იყო ამისთვის პასუხისმგებელი, არც იმის დავიწყება ეგების, რა უნდა გაკეთდეს, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდეს.

ბრესტის მოლაპარაკებები ჩემთვის ძალიან მძიმე გამოდგა. გულის არიტმია მაწუხებდა, ფეხზე დგომა მიჭირდა. მოლაპარაკებების პროცესში ერთხელ საუბრის დროებით შეწყვეტა მოვითხოვე ჩემიანებთან მოთათბირების საბაბით. დელეგაციასთან ერთად გავედით ჩვენთვის გამოყოფილ აპარტამენტებში. დელეგაცია პატარა სალონში დარჩა, ხოლო მეზობელ საძინებელ ოთახში ბუნდესვერის ექიმი ქალბატონი და მისი თანმხლები ბუნდესვერის სანიტრები ცდილობდნენ, კვლავ ფეხზე დაეყენებინე. ოცდაათი წუთის შემდეგ განვაგრძეთ მოლაპარაკებები. მრავალრიცხოვანი დელეგაციის არც ერთ წევრს არ დასცდენია სიტყვა ამის შესახებ პრესის წარმომადგენელთა წინაშე.

ბონში რომ დავბრუნდი, 12 ივნისს, დილით ფედერალურ კანცლერს მოვახსენე ყველაფერი. ჩემი დასკვნა ასეთი იყო: „შევარდნაძე დაინტერესებულია იმით, რომ ნატომ ლონდონის სამიტზე მნიშვნელობით იმის მსგავსი დეკლარაცია მიიღოს, როგორიც ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებმა მიიღეს მოსკოვში. გერმანული ჯარის რაოდენობის 350 ათასიდან 400 ათასამდე კაცით განსაზღვრის გარდა, ჩემი შთაბეჭდილებით, იმის მიღწევაც შესაძლებელია, რომ ალიანსის საკითხი ისე გადაწყდეს, როგორც ჩვენ ვფიქრობთ. ჯარის რაოდენობის საკითხი განიარაღების თაობაზე ვენაში მიმდინარე მოლაპარაკებებს უნდა დავუკავშიროთ“.

1990 წლის 15 ივნისს კოპენჰაგენში შედგა ჰუმანიტარული საკითხებისადმი მიძღვნილი ევროთათბირის მეორე კონფერენცია. აქ მე ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრს ბეიკერს ვესაუბრე, შემდეგ კი შევარდნაძეს, რომელმაც ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაშინგტონის სამიტზე ჩამოაგდო სიტყვა. მან თქვა, ორმხრივი შეთანხმებების შთამბეჭდავი თაიგული გამოგვივიდაო. რა თქმა უნდა, სხვა საკითხებზეც გვქონდა ლაპარაკი, მათ შორის გერმანიაზეც. მაგრამ ამასთან დაკავშირებით არაფერი არ დაგვიდგენია, რადგან ძალიან კარგად გვესმოდა, რომ, მართალია, მოლაპარაკებაში მონაწილე მთავრობები ვართ, მაგრამ სხვების გარეშე არაფრის გადაწყვეტის უფლება არ გვქონდაო. ერთმანეთს დავეკითხეთ, მიღწეული

შეთანხმებები გამოგვექვეყნებინა თუ არა. გადავწყვიტეთ, რომ ჯობდა ამისგან თავი შეგვეკავებინა; აზრთა სხვადასხვაობა მაინც დარჩაო. ჩემს შეკითხვაზე, რა საკითხებზე მიაღწიეთ-მეთქი შეთანხმებას, შევარდნაძემ მიპასუხა, მიმართულება, რომელიც ახლა ჩვენ ავირჩიეთ, მნიშვნელოვანია: საქმე ალიანსების ტრანსფორმაციას ეხება. მათ შორის ურთიერთობების მოსაგვარებლად შეთანხმებებს უნდა მივაღწიოთ, ძირითადი პრინციპების თაობაზე უნდა მოვრიგდეთ, ხელშეკრულებები უნდა დავდოთ. ეს ყველაზე პერსპექტიული გზაა. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, რამდენად მზად არიან ალიანსები იმისათვის, რომ ნამდვილად გარდაიქმნან. თუ ამისთვის ერთობლივი საერთაშორისოსამართლებრივი საფუძველი შეიქმნება, ეს უდავოდ ახალი, პოლიტიკურად დიდმნიშვნელოვანი შედეგი იქნებაო.

მე ცნება „ალიანსების ტრანსფორმაცია" გაუგებრობაზე დამყარებული, მეტიც, არცთუ მთლად უხიფათო მეჩვენა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ბუშსა და ბეიკერს ამგვარი რამ ეთქვათ; მეორე მხრივ შევარდნაძის გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარებოდა. იმ დროსაც კი შეიძლება გაუგებრობა წარმოიშვას, როცა საუკეთესო თარჯიმნები გყავს, განსაკუთრებით მაშინ, როცა გაუკვალავი გზებით გიწევს სიარული.

ამ ინიციატივის წინააღმდეგ, განაგრძო საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა, არც პრეზიდენტ ბუშს, არც საგარეო საქმეთა მინისტრს ბეიკერს არავითარი შენიშვნა არ გამოუთქვამთო. ჩემს შეკითხვაზე, აქ საქმე იმას ხომ არ ეხება, რომ ალიანსთა ურთიერთმიმართება განისაზღვროს და შესაბამისი შეთანხმება დაიდოს-მეთქი, შევარდნაძემ დადებითად მიპასუხა. ამ განმარტების მერე ვთქვი, მართლაც ძალიან საჭიროა, ნატოს და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ურთიერთობა თავიდან განისაზღვროს-მეთქი.

გერმანიის სტატუსის საკითხს გვერდი ავუარეთო, განაგრძო შევარდნაძემ. თუ ალიანსებს შორის ურთიერთდამოკიდებულება გარდაიქმნება, მაშინ სრულიად შეცვლილ ვითარებასთან გვექნება საქმე. ახლა უნდა დავაჩქაროთ ევროპაში უსაფრთხოების სტრუქტურათა შექმნის პროცესი; მაშინ გერმანიის გაერთიანების საგარეოპოლიტიკური ასპექტების მოგვარება არც ისე ძნელი იქნებაო. ყოველ შემთხვევაში, ეს ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლის საკითხზე დაიყვანებაო. ამ მსჯელობებიდან ასეთი აზრი გამოვიტანე:

ჟენევაში გაკეთებულ ჩემს განმარტებებს იმის თაობაზე, რომ საჭიროა ევროპაში საფუძვლიანად შეიცვალოს მდგომარეობა, ერთობ ნაყოფიერი ნიადაგი უპოვია მოსკოვში. როგორც ჩანს, ამიერიდან იქ გერმანიის პრობლემის გადაწყვეტის გზას ამგვარ ახალ გარემოებებში ეძებდნენ.

საბჭოთა განცხადებამ ვაშინგტონის პრესკონფერენციაზე იმის შესახებ, რომ თვით გერმანელთა საქმეა, გადაწყვიტონ ალიანსისადმი მათი კუთვნილების საკითხი, ჩვენში დადებითი გამოხმაურება მოჰყვა-მეთქი, ვუთხარი. მე ხომ ამას ჯერ კიდევ ჟენევაში მოვითხოვდი. შევარდნაძემ იმ სიტყვებით მიპასუხა, რომლებიც მე გამოვიყენე მაშინ: გერმანელთა უფლება, იყვნენ რომელიმე კავშირის წევრი, ჰელსინკის დასკვნითი აქტიდან გამომდინარეობს. ბოლომდე რომ მომეფინა ნათელი საკითხისათვის, შევნიშნე: „რომელიმე" კავშირის კი არა, არამედ სრულიად გარკვეული კავშირის. ცნობილია, რომ ჩვენ ნატოს ვგულისხმობთ-მეთქი. შევარდნაძემ მიპასუხა, რა თქმა უნდა, პოტსდამის ხელშეკრულებაც არსებობს, რომელმაც გერმანიის ბედის შემდგომი განსაზღვრა ოთხ სახელმწიფოს დააკისრაო. მაგრამ ახლა ყველაზე ძნელ პრობლემებს ნუ წამოვწევთ წინა პლანზე, ჯობს ფონს დავაკვირდეთო, და ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ახლებურ ურთიერთობას ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებსა და ნატოს შორის, ასევე შეთანხმებასაც გარდამავალი ფაზის თაობაზე — ამის შემდეგ უფრო მშვიდად გავხედავთ მომავალსო.

მე ამაზე შევნიშნე, რომ საზოგადოებრივი აზრი ხშირად პრობლემათა გარკვეულ ნაწილზე კონცენტრირდება და საერთო ჩარჩოს ყურადღებას არ აქცევს, როგორც მე ეს ჟენევაში განვმარტე-მეთქი. ამ ჩარჩოს კი, ჩვენი შეხედულებით, განეკუთვნება ევროთათ-ბირის პარიზის სამიტის მომზადება, გარდა ამისა ახლებური ურთიერთობების დამყარება ალიანსებს შორის, ისევე, როგორც ჩვენი უფლება, გავხდეთ ერთ-ერთი მათგანის წევრი. ისეთი გადაწყვეტილება უნდა მოინახოს, რომელიც ინტერესთა გაწონასწორებას მოემსახურება და გაერთიანებული გერმანიისთვის შეკვეცილი სამართლებრივი სტატუსის მინიჭებას აგვაცილებს-მეთქი თავიდან.

ამჟამად, განვაგრძე მე, მთელი ყურადღება იმას უნდა მივაპყროთ, რომ სათანადო ჩარჩოპირობები შევქმნათ გერმანია-საბჭოთა კავშირის გრძელვადიანი თანამშრომლობისთვის. მე გავიხსენე

ჩემი ნათქვამი, რომ ვაშინგტონის სამიტმა გერმანიის გაერთიანების პერსპექტივები გააუმჯობესა. ჩემს შეკითხვაზე, ისიც იზიარებდა თუ არა ამ თვალსაზრისს, მან თქვა, ეგ სავსებით სწორი შეფასებაა: პოზიციების დაახლოება ალიანსთა ტრანსფორმირების საკითხში ძალიან დიდი პროგრესია; აქ მნიშვნელოვანი პოტენციალი ძევსო. შევარდნაძის თანხმობა იმას მიანიშნებდა, რომ მოსკოვი თანახმა იყო, ჩვენ მიერ შეთავაზებული ახალი პირობები გერმანიის ნატოში გაწევრიანების წინაპირობად მიეღო.

სიტყვა ჩამოვარდა ჩვეულებრივი განიარაღების თაობაზე. ვაშინგტონში ყოფილა იმაზე ლაპარაკი, რომ ამ საკითხზე შესაძლოა მიღწეულ იქნეს აზრთა ერთიანობა. ეს ამჟამინდელ ჩარჩოში უნდა მოხდეს თუ ამ ჩარჩოს ფარგლებს მიღმა-მეთქი, ვიკითხე. შევარდნაძემ განაცხადა, მოლაპარაკებისთვის არსებული მანდატი უნდა იქნეს გამოყენებული, რათა იგი სამიტამდე დამთავრდეს. მერე კი მომდევნო ეტაპს დავადგენთო. მე ვკითხე: ხომ არ არის შესაძლებელი, ფედერალურმა კანცლერმა ან მე ოფიციალურად განვაცხადოთ, როგორი უნდა იყოს გერმანიის არმიის რაოდენობის ზედა ზღვარი? შევარდნაძემ მიპასუხა: მოლაპარაკებების დამთავრების წინ — იგულისხმება მოლაპარაკებები „ორი პლუს ოთხი“ — ასეთი განცხადება უნდა არსებობდეს, ვინაიდან არ იქნება კარგი, თუკი ჯერ საბჭოთა კავშირი, ან ოთხი სახელმწიფო, ან თუნდაც ექვსივე ერთად გამოთქვამდა თავის თვალსაზრისს ამის შესახებ. ეს თქვენ თვითონ უნდა მოიმოქმედოთ: ეს წინადადება თქვენგან უნდა წამოვიდესო. ეტყობა, საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრს არ უნდოდა ისეთი შთაბეჭდილება შექმნილიყო, თითქოს ჩვენ, გერმანელებს, გაუგონარ პირობებს გვახვევდნენ თავს. ჩვეულებრივი განიარაღების საკითხების გადაწყვეტა — მათ შორის გერმანიისთვისაც — ვენაში არის შესაძლებელი-მეთქი, ვუპასუხე. ჩვენ ისეთი გარემო გვჭირდება, მარტო ჩვენთვის რომ არ იქნება შექმნილი. ჩვენ არა გვაქვს იმის პატივმოყვარეობა, ცალმხრივად ვფლობდეთ დიდი რაოდენობით შეიარაღებას, თუ სხვები განიარაღდებიან; მაგრამ არც ის გვინდა, საწინააღმდეგო მიმართულებით მოხდეს ჩვენი განმხოლოება. საამისოდ სწორი გზა უნდა ავირჩიოთ-მეთქი.

შევარდნაძე კოპენჰაგენში ჯიმ ბეიკერსაც შეხვდა. მან ამ საუბარში პოზიტიური დამოკიდებულება გამოავლინა ამერიკელი

კოლეგის ცხრაპუნქტიანი კატალოგის მიმართ. ეს შეესაბამებოდა ჩემთან საუბრის მიმართულებას და ამასობაში მიღწეული პროგრესის მაჩვენებელიც იყო, რაკიღა შევარდნაძემ ეს აზრი ბეიკერის წინაშეც დაადასტურა. გვიან საღამოს ბეიკერმა მთხოვა მასთან მივსულიყავი, რათა ჩვენი საბჭოთა კოლეგის შენიშვნების შესახებ მოეწოდებინა ინფორმაცია. ორივე იმ აზრისანი ვიყავით, რომ მოსკოვს მიუღია გადაწყვეტილება; წილი ნაყარი იყო.

ჩემი სასტუმროს ოთახიდან მაშინვე დავურეკე ჰელმუთ კოლს, რომელიც ნიუ-იორკში იმყოფებოდა. პირობითი გამოთქმებით, მაგრამ მისთვის ნათლად და გასაგებად ვაცნობე: მოსკოვი დათმობაზე მოდის.

ჩვიდმეტი ივნისის დილას კიოლნ-ბონის აეროპორტიდან ბერლინ-შიონეფელდის აეროპორტისაკენ გავფრინდი, რაც ორი მიზეზის გამო განსაკუთრებული მოვლენა გახლდათ: ვსარგებლობდი ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო საჰაერო ძალების თვითმ-ფრინავით და უნდა დავფრენილიყავი შიონეფელდში. მოკავშირეთა უფლებებით აქამდე ნებადართული არ იყო ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო თვითმფრინავით ფედერაციული რესპუბლიკიდან ბერლინში გაფრენა, ხოლო შიონეფელდი დასავლეთ ბერლინს როდი ეკუთვნის.

როცა თვითმფრინავიდან ბრანდენბურგის ლანდშაფტს გადავ-ყურებდი, ვფიქრობდი ჩემს საუბარზე შევარდნაძესთან ნიუ-იორკში 1988 წელს. მაშინ მე მას გავანდე, რას ველოდი 1989 წლისაგან და დავძინე, ისე აღარ მოვიქცევით, როგორც 1953 წელს მოვიქეცით-მეთქი. უკვე 1988 წელს ბევრი რამ შეცვლილიყო 1953 წელთან შედარებით, 1989 წლიდან კი ყველაფერი შეიცვალა. აი დავეშვი შიონეფელდში: იქ, სადაც ერთ წელიწადზე ცოტა ნაკლები ხნის წინ გდრ-ის ხელმძღვანელთა სახელმწიფო თვითმფრინავები სხდებოდნენ, სადაც ერიხ ჰონეკერმა გდრ-ის არსებობის ორმოცი წლის აღსანიშნავ ზეიმზე მიხეილ გორბაჩოვი მიიღო, ახლა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოფრინდა ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო თვითმფრინავით. მე სიმსუ-ბუქის განცდა დამეუფლა, არა ტრიუმფისა. ასეთი რამ არც მანამდე, არც მის შემდეგ აღარ განმიცდია. გავემართე საგარეო საქმეთა სამინისტროსაკენ, სადაც ადრე არასოდეს ვყოფილვარ და „ორი პლუს ოთხი" მოლაპარაკებების დაწყებამდე საგარეო საქმეთა მინისტ-

რის რანგში ვერც ვერასოდეს მოვხვდებოდი. ამჟამად თავისუფლად არჩეული გდრ-ის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის მარკუს მეკელის სტუმარი ვიყავი. შენობა გარედან დიდად თვალში მოსასვლელი არ იყო. ინტერესით მიმოვიხედე გარშემო. აი აქედან იმართებოდა გდრ-ის საგარეო პოლიტიკა — თუკი პარტიის მიერ არ იყო იგი განსაზღვრული — და აქ ღებულობდნენ ოპერატიულ საგარეოპოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომელთა წყალობითაც გდრ-ის არსებობა და მისი სამოქმედო სივრცე უნდა განმტკიცებულიყო და გერმანიის გაყოფა ჩადულაბებულიყო.

შემდეგ მარიენკირხეში მივედი, სადაც მარკუს მეკელთან — პასტორთან, სოციალ-დემოკრატთან და გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად ღვთისმსახურებას დავესწარი. ამის შემდეგ კი მონაწილეობა მივიღეთ 17 ივნისის სამახსოვრო ღონისძიებაში.

უკან ბონისაკენ ფრენისას ფიქრებით უკვე ხვალინდელ დღეში ვიყავი გადასული. 18 ივნისს, ჩვენი ბრესტში შეხვედრიდან ერთი კვირის შემდეგ, ედუარდ შევარდნაძესთან მორიგი შეხვედრა მელოდა. ამასთან დაკავშირებით ისტორიული შინაარსით დატვირთული შეხვედრის ადგილის შერჩევას შევუდექი. როცა შემომთავაზეს სასტუმრო რაინ-მაინის ოლქში, უარი განვაცხადე და ვთქვი: „ჩვენ მიუნსტერში წავალთ“. 1648 წლის ოქტომბერში დადებული ვესტფალიის ზავით დასრულდა ოცდაათწლიანი ომი ევროპაში; ახლა კი ოთხ ათეულ წელიწადზე უფრო ხანგრძლივი ცივი ომის დამთავრებაზე იყო ლაპარაკი.

შეხვედრა მიუნსტერში: საქმე წინ მიდის

მიუნსტერის აეროდრომზე გულითადად მივესალმეთ ერთმანეთს, როგორც კარგ მეგობრებს შეჰფერით. მანქანით ერთობლივი მგზავრობისას ვუთხარი, რომ მიუნსტერის ცენტრალური ნაწილის ოთხმოცდაათი პროცენტი დაინგრა მეორე მსოფლიო ომის დროს. ამ მშვენიერი ქალაქის შემხედვარე, იგი კვლავ და კვლავ იჭვნეულად კითხულობდა: „ეს ყოველივე დანგრეული იყო? არაფერზე აღარ ეტყობა“. ჩანდა, ნანახმა მასზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. ორ რამეს დასტრიალებდა ჩემი საბჭოთა კოლეგის ფიქრი: ნანგრევებსა

და დანგრეულის აღდგენას. როგორც ჩანს, მას არ ეგონა, თუ გერმანიაც ასე ძლიერ დაზიანდა ომის დროს. „მარტო მიუნსტერი კი არ განადგურებულა ასე; მე შემეძლო თქვენთვის ასეთივე წარმატებით დრეზდენი, ჰამბურგი ან კიოლნი, პფორცჰაიმი ან ნიურნბერგი მეჩვენებინა", ვუთხარი მე. მასზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა დანგრეულის აღდგენამ დასავლეთ გერმანიაში; ომის კვალი აღმოფხვრილი იყო. საუნივერსიტეტო ქალაქ მიუნსტერში, სადაც ვაჭრობა და ინდუსტრიაც ყვავის, დიდი წარსული ბინადრობს. „აქ, მიუნსტერში, 1648 წელს შესაძლებელი გახდა დიდი ევროპული ზავის დადება", მივმართე ჩემს სტუმარს. „ამ აზრმა უნდა მისცეს მიმართულება ჩვენს დღევანდელ მოლაპარაკებებს".

როცა რატუშასთან მივედით, ათასობით ადამიანი აღტაცებული მოგვესალმა. გადმოვედით მანქანიდან და ერთად გაეეშურეთ ხალხისკენ, რომელიც გზის ჩამკეტ გისოსებს მიღმა იდგა. ისინი ცდილობდნენ ხელი ჩამოერთმიათ შევარდნაძისთვის, მადლობა ეთქვათ მისთვის რეფორმისა და ევროპაში მშვიდობის მხარდაჭერისთვის. საგარეო საქმეთა მინისტრი აშკარად აღელვებული ჩანდა იმ გულითადობით, პატივისცემითა და კეთილგანწყობით, რითაც იგი ვესტფალენის მიუნსტერში მიიღეს. „ეს გულიდან მოდის", მითხრა მან. არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, რომ ამ ადამიანებს არ შეეძლოთ სცოდნოდათ, ამასობაში როგორი შემობრუნება მოხდა ჩვენს მოლაპარაკებებში. ისინი გრძნობდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ ძველ კურსზე ხელი აიღო და გერმანიასა და ევროპასთან თანხმობასა და თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობის გაბმას ცდილობდა. თარჯიმნები ვერ აუდიოდნენ ისე სწრაფად თარგმნას, რა სისწრაფითაც ადამიანები საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრს მიმართავდნენ. რა თქმა უნდა, მან, როგორც საქართველოს ყოფილმა პარტიის ცეკას მდივანმა, იცოდა, რომ აღფრთოვანება შეიძლება ინსცენირებულიც იყოს. მაგრამ აქ ის გრძნობდა: გერმანელებს კეთილი ზრახვები ამოძრავებთ აღმოსავლელი მეზობლების მიმართ, გერმანელ ხალხს სხვა არაფერი სურს, გარდა იმისა, რომ მშვიდობიანად იცხოვროს საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად.

შევარდნაძესთან ჩემი მოლაპარაკებისთვის ეს შთამბეჭდავი მიღება პოლიტიკურად ძალზე მნიშვნელოვანი იყო. გორბაჩოვსა და მოსკოვის მთავრობას მე ყოველთვის ვარწმუნებდი: „გერმანელები

თქვენ გენდობიან". ახლა ჩემი სიტყვები დადასტურდა. დღემდე არ ვიცი, რამდენად ობიექტურად აცნობდნენ საბჭოთა ხელმძღვანელებს ხალხის განწყობილებას ფედერაციულ გერმანიაში. თუმცა 1989 წლის ივნისში გორბაჩოვთან ერთად სტუმრობის დროსაც შევარდნაძეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეგობრულმა მიღებამ, ის დღე მიუნსტერში მაინც სხვაგვარი გამოდგა — იგი მას კიდევ უფრო განუმტკიცებდა რწმენას, რომ მისი პოლიტიკა სწორი იყო.

როცა რატუშის ტერასაზე გამოვედით, კვლავ იქუხა ოვაციებმა, და კვლავ შეძრა შევარდნაძე გულითადობის ამ სპონტანურმა გამოვლინებამ. ობერბიურგერმაისტერი მოგვესალმა, მერე ქალაქის ოქროს წიგნში გაკეთდა ჩანაწერი. მშვიდობის დარბაზში შევსვით „ოქროს მამლიდან", სიმბოლური მშვიდობის თასიდან, ამ სურათმა მაშინ მთელი მსოფლიო შემოიარა.

ჩვენს სტუმრობას მიუნსტერში დიდი ატმოსფერული მნიშვნელობა ჰქონდა; აქ, ბრესტისგან განსხვავებით, აღარ იყო საჭირო გარღვევისთვის მიგვეღწია. როცა ნასადილევს რატუშაში ერთად ვისხედით, მე ვთქვი, შორს ვერ წავალთ, თუ გასაკეთებელს ხანგრძლივი დროით გადავდებთ-მეთქი: „რაც აუცილებელია, ახლავე უნდა გავაკეთოთ. ნათელი გახდა, რომ გაერთიანებული გერმანიის ჯარის სიძლიერეს საბჭოთა კავშირისთვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. თქვენი ინტერესი ჩვენ ჯეროვნად უნდა გავითვალისწინოთ". ამჯერადაც იკითხა ჩემმა სტუმარმა, ხომ არ სურს ფედერალურ მთავრობას, გაერთიანების პროცესი კიდევ უფრო დააჩქაროსო. „ჩვენ კი არ ვაჩქარებთ მოვლენებს, მოვლენები თვითონ აჩქარებენ თავის თავს", ვთქვი მე და განვაგრძე: „ყველა ჩვენგანის ინტერესებს სარგებლობას მოუტანს, თუკი პერიოდი გერმანიის ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაერთიანებას შორის რაც შეიძლება ხანმოკლე იქნება". ეკონომიკური გაერთიანებს დღედ 1990 წლის 1 ივლისი იყო დათქმული; პოლიტიკური გაერთიანების საბოლოო თარიღი კი ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი.

შევარდნაძის წინადადება, ალიანსისადმი კუთვნილების საკითხი ჯერჯერობით გვერდზე გადავდოთო, ჩემთვის იმის მანიშნებელი იყო, რომ იგი ამ პრობლემას პრინციპში გადაწყვეტილად თვლიდა. ის აშკარად საკითხის ისეთ გადაწყვეტას გულისხმობდა, რომელიც უსათუოდ ჩვენს მოლოდინსაც შეესაბამებოდა. საბჭოთა კავშირმა,

როგორც ჩანს, ირწმუნა ის, რასაც მე საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრს თავიდანვე განვუმარტავდი: „გერმანის გაერთიანება ძირეულად შეცვლის ვითარებას ევროპაში, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ახლებური ურთიერთობა დამყარდება, ასევე სამხედრო ალიანსებს შორისაც. ამიტომ გერმანიის ნატოში გაწევრიანება უფრო შეესაბამება საბჭოთა კავშირის ინტერესებს, ვიდრე კავშირს გარეთ დარჩენილი გერმანია“.

ხელახლა გამოთქვა შევარდნაძემ მოსაზრებანი გარდამავალ პერიოდზე. როცა მას ვუსმენდი, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს იგი ხანდახან ფიქრებით სადღაც სხვაგან იმყოფებოდა. ნეტა რა საზრუნავი აწუხებდა? ლაპარაკობდა მონოტონურად, მისთვის ჩვეული შემართება არ იგრძნობოდა. ვითომ მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად მოჰყავდა არგუმენტები, რათა მერე შინ ეთქვა, კიდევ ერთხელ ვცადე, მაგრამ უარი მივიღეო? ამიტომ არც მე დამიკლია არგუმენტები, როცა კიდევ ერთხელ განვუმარტავდი, რატომ იყო გარდამავალი პერიოდი შეუძლებელი იმ აზრით, რა აზრითაც მას ჰქონდა წარმოდგენილი.

მიუნსტერის შეხვედრიდან ორი მნიშვნელოვანი მომენტია აღსანიშნავი: მოლაპარაკებამ გულითად ვითარებაში ჩაიარა და შევარდნაძემ პრესის წინაშე მკაფიოდ განაცხადა, რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა ნატოს საბჭოს მომავალი სხდომა: „თუკი ნატო თავის ლონდონის სამიტზე იმის მსგავს დეკლარაციას მიიღებს, როგორიც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციამ მიიღო მოსკოვში, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა, გერმანიის სამხედრო სტატუსის საკითხი ახლებურ ატმოსფეროში და ახალ პირობებში განგვეხილა და მნიშვნელოვნად წავწეულიყავით წინ მისი მოგვარების გზაზე“. ეს ადასტურებდა და განამტკიცებდა ბრესტში გამოთქმულ თვალსაზრისს.

ეს თვალსაზრისი მანამდეც დადასტურდა. სადილობის წინ სერგეი ტარასენკომ, ვისაც შევარდნაძის გეგმების შედგენის ხელმძღვანელობა ევალებოდა, გვერდზე გაიხმო ჩემი ბიუროს უფროსი ელბე და მას ერთი ჩანაწერი გადასცა, სადაც გარდამავალი პერიოდი, რასაც დაჟინებით მოითხოვდა საჯაროდ შევარდნაძე, სულ აღარ იყო ნახსენები. „დარდი ნუ გექნებათ, ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც აქ წერია“, განუმარტა მას ტარასენკომ. უეჭველია, ტარასენ-

კოს შევარდნაძემ დაავალა, ელბესთვის ეს აზრი მიეწვდინა. ესეც იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა მხარე მზად იყო წინსვლისათვის პრობლემის მოგვარების გზაზე.

ასე რომ, მიუნსტერის შეხვედრის შედეგი აშკარად დადებითი გახლდათ. საბჭოთა კავშირი გერმანიის სრულუფლებიან წევრობას ნატოში პრინციპულ წინააღმდეგობას აღარ გაუწევდა; საჭირო იქნებოდა მხოლოდ გარემოებათა და დეტალთა მოგვარება. დასავლეთს ტერნბერიში გაკეთებული განცხადების გარდა უნდა დაედასტურებინა თავისი ნება სამხედრო ალიანსებს შორის ნდობაზე აგებული ურთიერთობის დამყარების თაობაზე. გარდა ამისა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიის შეიარაღებული ძალების რაოდენობრივად შეზღუდვის საკითხს. მაგრამ გერმანიის გაერთიანების ჩარჩო-პირობები შეესაბამებოდა ჩვენს ძირითად გეგმას, რომელსაც მე კვლავ და კვლავ ვუმეორებდი შევარდნაძეს.

კარგი განწყობილებით უახლოვდებოდა ჩვენი შეხვედრა დასასრულს. მთლიანად ვერ მოხერხდა ამ შთაბეჭდილების პრესისთვის გაზიარება. საქმის ინტერესებისთვის ასე ჯობდა: პარტიის ყრილობის წინ შევარდნაძისა და გორბაჩოვისაგან მეტისმეტს ვერ მოვითხოვდით, ვინაიდან მათ ბოლოს და ბოლოს თავიანთი იდეები და შეხედულებები სკკპ ყრილობის წყალქვეშა კლდეებს შორის უნდა გაეტარებინათ.

ამ გრძელი, მოვლენებით მდიდარი დღის ბოლოს შევარდნაძესთან ერთად უკანვე, აეროპორტისკენ გავემგზავრე. ეტყობოდა, ისიც ერთობ იმედიანად უყურებდა მოვლენათა შემდგომი განვითარების პერსპექტივას. გამოთხოვებისას ხელი ჩამომართვა და მითხრა: „ჩვენ კარგ შედეგამდე მივალთ“.

მას შემდეგ, რაც მისი თვითმფრინავი აფრინდა და მე გამომშვიდობების ნიშნად ხელი დავუქნიე, მიუნსტერიდან პირდაპირ ლუქსემბურგში გავფრინდი ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრების შეკრებაზე, რათა დაუყოვნებლივ მომეხსენებინა მათთვის შევარდნაძესთან საუბრის შედეგები. ყველა კოლეგას უნდა დაენახა, რომ გერმანიას თავისი პასუხისმგებლობა ევროპისა და მოკავშირეთა წინაშე სავსებით შეგნებული ჰქონდა.

ბონში დაბრუნდი და მეორე დილით საკოალიციო საუბარი შედგა, რომლის დამთავრების შემდეგ ფედერალურ კანცლერს

დაწვრილებით მოვახსენე მიუნსტერის შეხვედრისა და ლუქსემბურგში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ. „ახლა საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის მთავარია, სკკპ ყრილობაზე დოგმატიკოსთა ცეცხლი მოიგერიოს. საბჭოთა ხელმძღვანელობა დაინტერესებულია იმით, რომ პარტიის ყრილობის შემდეგ სწრაფად მივიდეს საბოლოო გადაწყვეტილებამდე; ხანგრძლივი მოლაპარაკებები არც მათ ინტერესებს შეესაბამება. ამიტომ „ორი პლუს ოთხის" ფარგლებში მოსკოვში შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება". ჰელმუთ კოლმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. შემდეგ მე მას ასეთი პრობლემის თაობაზე მოვახსენე: „ჩვენ „ორი პლუს ოთხის" ფარგლებში შეხვედრები ბონში, აღმოსავლეთ ბერლინში, პარიზსა და მოსკოვში დავგეგმეთ, მაგრამ არა ლონდონსა თუ ვაშინგტონში. ამიტომ ახლა მინდა ჩემს კოლეგებს ჰერდსა და ბეიკერს დავეკითხო, აუცილებლად მიაჩნიათ თუ არა შეხვედრები მათ დედაქალაქებში. თუ აუცილებლად მიაჩნიათ, მაშინ ეს ორი შეხვედრა უშუალოდ მოსკოვში შეხვედრის შემდეგ უნდა შედგეს. ჩვენ უფრო სწრაფად წავედით წინ, ვიდრე თავიდან ველოდით. ამიტომ შეგვიძლია ლონდონისა და ვაშინგტონის შეხვედრებზე არამარტო დროის ფაქტორის გამო ვთქვათ უარი". ამ რევოლუციურ დროში მოვლენები შეიძლება საეჭვოდ განვითარებულიყო საბჭოთა კავშირში, ან სხვაგან დაწყებულიყო კრიზისი. არავითარ შემთხვევაში არ გვქონდა უფლება, მოლაპარაკებები „ორი პლუს ოთხი" გაგვეჭიანურებინა! ეს პროცესი დროზე უნდა მიგვეყვანა ბოლომდე.

ჰერდისა და ბეიკერის გულისხმიერებაზე მეტყველებს ის, რომ მათ ჩემს შეკითხვაზე ასეთი პასუხი გამცეს: დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენს დედაქალაქებშიც ჩატარდება თუ არა „ორი პლუს ოთხის" რაუნდებიო. კიდევ ერთხელ ვიგრძენი მათი მხრივ მეგობრული მხარდაჭერა. ჰერდმა შემდგომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მე თხოვნა ჯიუტად კი არ წამომიყენებია, არამედ ჩვენი პარტნიორებისა და მოკავშირეების ინტერესთა სრული შეგნებითა და პატივისცემით მოვიმოქმედე ეს.

21 ივნისს გერმანიის ბუნდესტაგს მოვახსენე გაერთიანების საგარეოპოლიტიკური ასპექტების მოსაგვარებლად გაწეული მუშაობის შესახებ: „გერმანიის გაერთიანება უნდა იქცეს ევროპის გაერთიანების საქმეში შეტანილ წვლილად: გერმანია — არა როგორც ევროპული

დანაწევრებულობის ასპარეზი, არა როგორც ძალისმიერი პოლიტიკის ამოსავალი პუნქტი, არამედ გერმანია, საფრანგეთთან ერთად მტკიცედ მდგარი დემოკრატიული ფასეულობების სადარაჯოზე და *ერთიანი* ევროპისაკენ გზის გამკვალავი. გერმანიის ერთიანობა — არა ფუყე პათოსით აღსავსე ნაციონალური ეგოიზმის გამოხატულება, არამედ ევროპის ერთი ნაწილის მიერ მთლიანი ევროპის წინაშე ნაკისრი პასუხისმგებლობა. გერმანიის ერთიანობის და გერმანიის თვითგამორკვევის ამ ევროპული მეფური გზის მიმართ ვართ ჩვენ დავალებულნი".

„ორი პლუს ოთხი" ბერლინში: წარუმატებლობა თუ შევარდნაძის შიდაპოლიტიკური სიფრთხილე?

მეორე დღეს, საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმიდან ზუსტად ორმოცდაცხრა წლის შემდეგ, აღმოსავლეთ ბერლინში შედგა მეორე რაუნდი მოლაპარაკებებისა „ორი პლუს ოთხი". სანამ ნიდერშიონჰაუზენის საკონფერენციო დარბაზში შევიკრიბებოდით, ექვსმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მონაწილეობა მივიღეთ მოკავშირეთა საკონტროლო-გამშვები პუნქტის შენობის („ჩეკპოინტ ჩარლის") აღებაში. ამ მოვლენას ვილი ბრანდტიც დაესწრო, რომელმაც ბიურგერმაისტერობისას, საგარეო საქმეთა მინისტრის და ფედერალური კანცლერის პოსტებზე მოღვაწეობისას გადამწყვეტი წვლილი შეიტანა დასავლეთ ბერლინის თავისუფალ ზონად დატოვების და ორად გახლეჩილი ევროპის, გერმანიისა და ბერლინის გამთლიანების საქმეში. ქალაქის ორივე, ჯერ კიდევ გაუერთიანებელი ნაწილის წარმომადგენლებიც აქ იყვნენ. ვეებერთელა ამწემ ასწია საკონტროლო-გამშვები პუნქტის შენობა და გვერდზე ეზოში გადადგა: ასე უბრალოდ შეწყვიტა არსებობა ძნელ დროში საქვეყნოდ ცნობილმა ბარაკმა. 1961 წლის აგვისტოში, რამდენიმე დღის შემდეგ ბერლინის კედლის აგებიდან, მრისხანედ იდგნენ აქ ერთმანეთის პირისპირ ამერიკული და საბჭოთა ტანკები, ერთიმეორისაგან სულ რამდენიმე მეტრით დაშორებულნი.

მაგრამ ეს წარსული იყო; ახლა ჩვენ გერმანიის გაერთიანების საკითხისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებათა მეორე რაუნდს ვატარებდით. იმ დროს, როცა მე მოვლენათა განვითარების ამ დინამიკაზე ფიქრში

ვიყავი დანთქმული, ისე ჩანდა, თითქოს კონფერენციის დასაწყისისთვის ცივი შხაპი გველოდა — *ჩანდა* ასე. შევარდნაძემ წარმოადგინა ხელშეკრულების ტექსტი გაერთიანებული გერმანიის საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის შესახებ, რომელიც არაფერს ითვალისწინებდა იქიდან, რაზეც ჩვენსა თუ ამერიკა-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებებზე იყო მსჯელობა და რაც ნაწილობრივ უკვე წინასწარ იყო გარკვეული. წარმოდგენილი ტექსტი იმ არაოფიციალურ ტექსტსაც ეწინააღმდეგებოდა, ფრანკ ელბეს რომ გადასცეს მიუნსტერში.

ჩვენ უკუვაგდეთ ეს განცხადება. ხაზგასმით გააკრიტიკა ბეიკერმა იგი, რადგანაც ეს გაერთიანებული გერმანიის განმხოლოებას და დისკრიმინაციას მოასწავებდა: „გერმანიის სუვერენიტეტის შეზღუდვაზე ლაპარაკიც არ შეიძლება იყოს!“ დუგლას ჰერდმაც უარყო შევარდნაძის მიერ წარმოდგენილი პროექტი. მე ვთქვი: „თავისი გაერთიანების მომენტისათვის გერმანია უნდა ფლობდეს სრულ სუვერენიტეტს და არ შეიძლება მას გადაუჭრელი საკითხები ავკიდოთ ტვირთად“.

როცა შევარდნაძემ თავისი გამოსვლა დაამთავრა, ჯიმ ბეიკერმა პატარა ბარათი გადმომაწოდა: „რას უნდა ნიშნავდეს ეს?“ მე პასუხად მივწერე: „Window dressing“*. ბეიკერმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. ორივენი იმ აზრზე დავდექით, რომ მძიმე შიდა-პოლიტიკური ვითარების გამო პარტიის ყრილობის წინ შევარდნაძე იძულებული შეიქნა ამ დიდი ხნის დრომოჭმულ პოზიციაზე დამდგარიყო.

პრინციპში ეს არავისთვის უნდა ყოფილიყო მოულოდნელი. ჩემი საბჭოთა კოლეგა მოლაპარაკებებისას ყოველთვის რამდენიმე შესაძლებლობით ოპერირებდა, რაც საშუალებას აძლევდა, ისე ემუშავა სასურველი მიმართულებით, რომ ფორმალურად არ მიჯაჭვოდა მას. ჩემი საქმე ბევრად იოლი იყო. ფედერალურ მთავრობაშიც და ალიანსშიც ყველანი ერთ აზრზე ვიდექით. დასავლეთში, პირველ ყოვლისა გერმანიაში, ორი სულ სხვა ჯგუფი უპირისპირდებოდა ერთმანეთს: ერთნი მოვლენების განვითარებას უნდობლობით შეჰყურებდნენ. ისინი, ვინც წლების განმავლობაში ნატოსადმი, აშშ-სადმი და ბუნდესვერისადმი თავის უარყოფით დამოკიდებულებას არ მალავდა ანდა მხოლოდ ილუზიაზე დამყარებულ პოლიტიკას

* მოჩვენებითობა, შენიღბვა. (ინგლ.)

ელოლიავებოდა, ახლა ხედავდნენ, რომ სულ უფრო რეალური ხდებოდა საბჭოთა კავშირისაგან გაერთიანებული გერმანიის ნატოს წევრობაზე თანხმობის მიღება. ამით აიხსნება გაერთიანების პროცესში გერმანელ მემარცხენეთა ორიენტაციის უქონლობა, რისი შედეგები წლების შემდგომაც საგრძნობია. მეორე მხარეს ის ძალები იდგა, რომლებსაც გერმანიის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად 1988-89 წლებში მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული რაკეტების მოდერნიზება მიაჩნდა, ხოლო 1988 წელს ორმაგ ნულოვან ვარიანტს და პერშინგ 2-ზე უარის თქმას დასავლეთის დაღუპვად თვლიდა. მაშინ მათ დროს ალღო ვერ აუღეს და ძველებურად აგრძელებდნენ აზროვნებას. ახლა ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო ხმამაღლა მოითხოვდა გერმანიის ნატო'ში დარჩენას, რითაც საბჭოთა მხარეს უძნელებდნენ, დათანხმებოდა ჩვენს შეხედულებებს.

მთლად დასარწმუნებლად იმაში, რომ შევარდნაძეს სინამდვილეში კურსი არ შეუცვლია, დილის სხდომის დამთავრების შემდეგ მასთან მივედი. ჯერ გორბაჩოვის ჯანმრთელობის ამბავი ვკითხე — ჩვენთან საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომ პრეზიდენტს გულთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდა. მე ეს მაინტერესებდა ადამიანურად, პოლიტიკურად და კიდევ იმის გამო, რომ ორივენი ერთ ბედქვეშ ვიყავით; ამ სფეროში ჩემი გამოცდილება ვახსენე და ყოველგვარი სამედიცინო დახმარება შევთავაზე. მაგრამ შევარდნაძემ მიპასუხა, გორბაჩოვი კარგად არისო. მერე მე ხუმრობის კილოთი დავძინე: ეტყობა დემოკრატიზაციის პროცესი საბჭოთა კავშირში ისე შორს წავიდა, რომ საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი პარტიის ყრილობის წინ მკაცრი ტონით გამოსვლასაც კი არ ერიდება, ისე როგორც დასავლეთში ხდება ეს ზოგჯერ ამგვარი მოვლენების წინ-მეთქი. შევარდნაძემ გაიცინა, მაგრამ არავითარი კომენტარი არ გაუკეთებია, არც შემკამათებია. ის მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი, და მე ახლა დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემეული შეფასება სწორი იყო. ექვსი მინისტრის ერთობლივი სადილობისას ეს შთაბეჭდილება დადასტურდა.

დამაგვირგვინებელი პრესკონფერენციის მონაწილეთ თვალში მოხვდათ, რომ შევარდნაძე და მე, მიუხედავად მოლაპარაკების პროცესში ერთმანეთის მიმართ გამოყენებული მწარე დარტყმებისა,



1990 წლის 22 ივნისს ბერლინში აღარ არსებობდა ლეგენდარული „ჩეკპოინტ ჩარლი“: ამწემ საკონტროლო-გამშვები პუნქტის შენობა იქიდან მოაშორა. სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ: გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი მარკუს მეკელი, სენატორი ინგრიდ შტამერი, დუგლას ჰერდი, ჯეიმს ბეიკერი, როლან დიუმა, ჰანს-დიტრიხ გენშერი, ედუარდ შევარდნაძე და აღმოსავლეთ ბერლინის ბიურგერმაისტერი შვირცინა.

ერთმანეთში ვჩურჩულებდით და ვიცინოდით კიდეც. ეს მართლაც ეწინააღმდეგებოდა ოფიციალურ სურათს, მაგრამ კორექტივიც შეჰქონდა მასში. ეს ჩემს ინტერესებში შედიოდა და აშკარად შევარდნაძეც იყო ამით დაინტერესებული. ამ თვალსაზრისით პრესის წარმომადგენელთა წინაშე მან ცოტა მეტის თქმაც მოახერხა: საბჭოთა პროექტი ჯერ საბოლოო სიტყვა როდიაო. ჩემი მთავრობა მზად არის კვლავაც განაგრძოს კომპრომისული გადაწყვეტილებების ძიება. ბევრი რამ იქნება იმაზე დამოკიდებული, რა რეაქციას გამოამჟღავნებს თავის ყრილობაზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსიო. გარემოვითარების შეცვლის სტრატეგია ამოქმედდა.

პარასკევ საღამოს ბერლინი გულდაჯერებულმა დავტოვე, თავისუფალი შაბათ-კვირის ოჯახთან ერთად გატარების პერსპექტივაც გამოჩნდა. შაბათ საღამოს, 23 ივნისს, მეუღლესთან ერთად დავესწარი კანცლერის მიერ ფედერალურ კანცელარიაში მოწყობილ საზეიმო

შეხვედრას, რომელშიც პირველად მონაწილეობდნენ გდრ-ის თავისუფლად არჩეული წარმომადგენლები, მათ შორის იყო პრემიერ-მინისტრი დე მეზიეც. საერთოგერმანული ზეიმი გამოვიდა. შევატყვე, ჰელმუთ კოლიც ისევე იყო გახარებული, როგორც მე, და მარტო ჩვენ როდი ვხარობდით ასე.

25 და 26 ივნისს დუბლინში ევროსაბჭოს ყრილობა გაიმართა. ბუნებრივია, აქაც ორი მთავარი თემა იდგა დღის წესრიგში: ერთი იყო ეკონომიკური, სავალუტო და ამასთანავე პოლიტიკური გაერთიანების საკითხი. გადაწყდა, 1990 წლის 14 დეკემბერს ევროგაერთიანების ხელშეკრულების 236-ე პარაგრაფის თანახმად პოლიტიკური საკითხის განსახილავად სამთავრობათაშორისო კონფერენცია მოწვეულიყო; ასეთივე გადაწყვეტილება იქნა მიღებული ეკონომიკური და სავალუტო გაერთიანების თაობაზეც. ორივე კონფერენციას მუშაობა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაემთავერებინა, რათა წევრ სახელმწიფოებს მისი შედეგების რატიფიცირება 1992 წლის ბოლომდე მოესწროთ.

დიდი დრო დაეთმო აგრეთვე გერმანიის გაერთიანებისადმი მიძღვნილ დისკუსიას. მოხსენებით ფედერალური კანცლერი გამოვიდა. ევროსაბჭო ხაზგასმით მიესალმა ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის გაერთიანების თაობაზე ხელშეკრულების დადებას, რაც, როგორც კომუნიკეში იყო ნათქვამი, ხელს შეუწყობდა და დააჩქარებდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის თანამეგობრობაში ინტეგრაციას. ეს შეესაბამებოდა იმ ამოსავალ პოზიციას, რომელზეც თავიდანვე იდგა კომისიის პრეზიდენტი ჟაკ დელორი.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო გდრ-ის პირველი თავისუფლად არჩეული მთავრობის პრემიერ-მინისტრის ლოთარ დე მეზიესა და საგარეო საქმეთა მინისტრ მარკუს მეკელის მონაწილეობა საბჭოს წევრთა სადილზე. ლოთარ დე მეზიემ დამსწრეთ მოახსენა გდრ-ში მოვლენათა განვითარების თაობაზე: მან მშვიდი, თავდაჯერებული მანერით ილაპარაკა და ყველას გააგებინა, რაც ბოლო თვეებში მოხდა გდრ-ში. ფიქრებით კვლავ უკან დავბრუნდი. 1989 წლის პარიზის საგანგებო შეხვედრისა და ევროსაბჭოს სტრასბურგის სხდომის შემდეგ მსოფლიო ძირეულად შეიცვალა და გერმანიამ ამაში არსებითი წვლილი შეიტანა. მთავარი დამსახურება კი გდრ-ის გერმანელებს მიუძღოდათ, თავიანთი მშვიდობიანი განმათავისუფ-

ლებელი რევოლუციით მსოფლიო რომ შეცვალეს და ყველგან ხელახლა გააღვიძეს გერმანიის მიმართ ნდობა. ისინი აქ, დუბლინში, ღირსეულად იყვნენ წარმოდგენილნი ლოთარ დე მეზიესა და მარკუს მეკელის სახით. სიამაყით მავსებდა ის ამბავი, რომ მათთვის შეუჩვეველ გარემოში ორივეს ესოდენ ბუნებრივად და ღირსეულად ეჭირა თავი. დღესაც იმ აზრისა ვარ, რომ მავანთა ქედმაღლობისა და გაუგებრობის ბრალია (თუ რაღაც ამაზე უარესის არა) ის, რომ ლოთარ დე მეზიე შემდეგ იძულებული გახდა თავისი თანამდებობები მიეტოვებინა.

ორივე სამთავრობათაშორისო კონფერენციაზე ჩვენ საფრანგეთთან ერთად ჩვენს თავზე ავიღეთ აქტიური როლი. ნათელი პოზიცია ჩვენს აღმოსავლელ მეზობლებთან საერთო საზღვრების საკითხში და ამერიკელებთან ერთობლივი მუშაობა, როცა საქმე ეხებოდა ტერნბერიში საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე სამხედრო ალიანსებს შორის ახლებური დამოკიდებულების ამსახველი ფორმულირების შემუშავებას — აი ჩვენი თვალსაჩინო წვლილი საერთო საქმეში, რამაც საბჭოთა კავშირს გაუადვილა, თანხმობა განეცხადებინა გაერთიანებული გერმანიის ნატოში დარჩენაზე.

ნატოს წევრ ქვეყანათა სახელმწიფო და მთავრობის მეთაურთა შეხვედრამ ლონდონში 5 და 6 ივლისს ევროპაში შეცვლილი ვითარების და მომავალი ერთიანი გერმანიის ნიშნით ჩაიარა. „ცივი ომი ისტორიაა", განაცხადა გენერალურმა მდივანმა მანფრედ ვიორნერმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნატო ძირეულ ცვლილებებს ევროპაში საკუთარი ინიციატივებით უპასუხებდა. ერთი რამ კი არ უნდა იქნეს დავიწყებული: ნატო მხოლოდ მაშინ შეასრულებს ახალ ამოცანებს, თუ იგი არ უღალატებს თავის უძველეს მოვალეობას: მშვიდობის შენარჩუნების მოვალეობას.

ევროპაში გარდატეხის დაწყების პარალელურად მანფრედ ვიორნერი იმ კურსს ატარებდა, რომელთანაც ჩემი შეხედულებების სიახლოვეს ახლა ბევრად უფრო მეტად ვგრძნობდი, ვიდრე წლების წინ. კონცეფციური აზროვნების თავისი დიდი უნარი მან უპირველეს ყოვლისა ნატოს სამომავლო ამოცანებზე მუშაობისას გამოავლინა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ის თავის საშინელ სენთან ბრძოლაში ახალი ძალებით ივსებოდა, რასაც იგი დიდი პასუხისმგებლობის აღსრულების საქმეს ახმარდა. მისი გარდაცვალების შემდეგ

დავესწარი სამგლოვიარო ცერემონიებს ბრიუსელსა და ბონში (ბუნდესტაგში) და გამოვეთხოვე ჩემს კოლეგას, ვისთანაც მრავალწლიანი ურთიერთობა მაკავშირებდა და რომელიც ნატოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გენერალური მდივანი იყო.

ჰელმუთ კოლმა ლონდონში წარმოთქმული თავისი სიტყვა მთლიანად საბჭოეთის უსაფრთხოების ინტერესთა თემაზე ააგო. ამიტომაც მიესალმა იგი ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა ერთობლივ განცხადებას, რომელშიც უნდა ჩაწერილიყო, „რომ ჩვენ ერთმანეთს მტრის თვალით აღარ ვუყურებთ და გაეროს ქარტიისა და ევროთათბირის საბოლოო აქტის მოთხოვნათა შესაბამისად ვადასტურებთ ჩვენს ვალდებულებას, ვიზრუნოთ ძალადობაზე უარის თქმისთვის მთელს ევროპაში". ამასთან ერთად ფედერალურმა კანცლერმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა მომავალი გერმანია ნატოს წევრი გაეხადა. მაგრამ ისიც დასძინა, რომ ევროთათბირიც საერთოევროპული უშიშროების არქიტექტურის ერთ-ერთ მთავარ ბურჯად უნდა იქცეს, რათა სამხედრო ალიანსი შეავსოსო. კენჭის ყრისას ჩვენ ორივენი ლონდონში დაჟინებით მოვითხოვდით საბჭოთა კავშირის ჩართვას ევროპულ სახელმწიფოთა თანამშრომლობაში.

საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკებათა ერთ-ერთ რაუნდში ვიმსჯელეთ სამიტის განცხადების პროექტის თაობაზე. უმეტესობამ პიჯაკები გავიძრეთ. ჯიმ ბეიკერმა და მე, რაკიღა ჩვენი იმჟამინდელი კონტაქტების წყალობით უკეთ ვიცოდით, რა პირობებში დათანხმდებოდა მოსკოვი ჩვენს ნატოში გაწევრიანებას, კამათში ერთმანეთს დავუჭირეთ მხარი, ერთი წლის წინათაც ჩვენ გავუძეხით მოლაპარაკებებს, როცა მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული რაკეტების მოდერნიზებაზე იყო მსჯელობა, ჩემი მიზანი კი მოდერინზაციის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებისთვის ხელის შეშლა გახლდათ — ოღონდ მაშინ დისკუსიის დასასრულს ვიბრძოლეთ ერთმანეთის მხარდამხარ. საბოლოოდ ლონდონის ნატოს სამიტის დეკლარაცია მომავლისაკენ მიმართული დოკუმენტი გამოვიდა, რომელიც გუშინდელ მეტოქეებს ახლებური ურთიერთდამოკიდებულების პერსპექტივას უხსნიდა.

ორი კვირის შემდეგ შედგა გერმანია-საბჭოთა კავშირის დაუვიწყარი შეხვედრები მოსკოვსა და კავკასიაში. მანამდე ცოტა ხნით ადრე სკკპ ყრილობა ჩატარდა, გორბაჩოვმა და შევარდნაძემ ეს სიძნელეც დაძლიეს. მაგრამ როგორ? ყოველ შემთხვევაში მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა შესაძლებელი შევარდნაძესთან ხანგრძლივ საუბრებში მომზადებული გადაწყვეტილებების უთუო და რეალური განხორციელება.

მაგრამ ჯერ კვირადღეს, 1990 წლის 8 ივლისს, ჰიუსტონში, ტეხასში, მსოფლიო ეკონომიკური სამიტი უნდა გამართულიყო. როცა მისი ჩატარების თარიღი დადგინდა, მაშინ ვერავინ იწინასწარმეტყველბდა, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის მოსკოვისა და კავკასიის შეხვედრების მომზადების თვალსაზრისით ამ თავყრილობის უკეთეს დროს დანიშვნა შეუძლებელი იყო. მოვლენათა კალენდარი ამგვარი გახლდათ: 1990 წლის 25 და 26 ივნისს დუბლინში ჩატარებულ ევროგაერთიანების სამიტზე, კიდევ უფრო მნიშვნელოვან 5 და 6 ივლისის ლონდონის სამიტსა და 8 და 10 ივლისს დიდი შვიდეულის ჰიუსტონის შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმებების შედეგად შესაძლებელი გახდა მოსკოვის მოლაპარაკებების წარმატებით ჩატარება.

როცა ჩემი მეუღლე და მე 8 ივლისს, შუადღისას ჰიუსტონში ჩავედით, რამდენიმე საათი გვქონდა აკლიმატიზაციისა და დასვენებისთვის. 18 საათისათვის პრეზიდენტმა ბუშმა ბარბიკიუზე* მიგვიწვია, სადაც ქანთრის მუსიკა ჟღერდა. ბზის კონებით, ცხენის უნაგირებით და ტყავისგან დამზადებული ნივთებით საამქროსავით მოწყობილ ოთახებში სტუმრები თავისუფალ ვითარებაში ხვდებოდნენ ერთმანეთს. „რას მიაღწევთ მოსკოვში?“, ეს იყო შეკითხვა, რომელსაც კვლავ და კვლავ გვისვამდნენ სამიტის მონაწილენი. მაგრამ არასოდეს გამოუხატავთ უნდობლობა, ასე იყო მთელი სამიტის განმავლობაში. საგარეო საქმეთა მინისტრების წრეში საუბრობდნენ „ორი პლუს ოთხის“ შესახებაც, მით უმეტეს, რომ ჰიუსტონში მყოფი შვიდი მინისტრიდან ოთხი მისი მონაწილე გახლდათ.

---

* ბარბიკიუ — ზეიმი, რომელიც ტარდება ბაღში, სადაც შამფურზე წამოგებული მთლიანი ცხოველი იბრაწება. (რედ.)

იმის გამო, რომ კარგად წარიმართა ამერიკა-საბჭოთა კავშირის შეხვედრა, და იმ შთაბეჭდილებების ზეგავლენითაც, რაც შევარდნაძესთან ბრესტსა და მიუნსტერში შეხვედრებიდან გამომყვა, დარწმუნებული ვიყავით, რომ მოსკოვში წარმატებას მივაღწევდით. მხოლოდ ამით თუ აიხსნება ის ამბავი, რომ ვახშმობისას შვიდი საგარეო საქმეთა მინისტრი ერთმანეთში მარტო სახელმწიფო მოღვაწეთათვის დამახასიათებელი სერიოზულობით კი არ საუბრობდა, არამედ ნავახშმევს, ასე ვთქვათ, ბიჭურად წაუცელქეს კიდეც. ვყვებოდით ანეკდოტებს, გულიანად ვიცინოდით. მოსკოვში ჩატარებული პარტიის ყრილობის შემდეგ კვანძი გაიხსნა? ან იქნებ ამის მიზეზი სულ სხვა რამ იყო: დრამატული თვრამეტი თვის განმავლობაში, მოყოლებული 1989 წლის დამდეგიდან, სულ უფრო და უფრო მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობამ, რამაც ცივი ომის და ევროპული და გერმანული განხეთქილების დაძლევამდე მიგვიყვანა, ჩვენ დაგვამეგობრა. მანერა, რომლითაც იმ საღამოს შევარდნაძეზე ვლაპარაკობდით, იმის მაჩვენებელი იყო, რომ მას პრინციპში ჩვენიანად ვთვლიდით. კვლავ და კვლავ ვუბრუნდებოდით მას. საბჭოთა კავშირი, რომელიც ამგვარ გზას დაადგა, ასევე ჩვენი საუბრის თემატურ წრეს განეკუთვნებოდა. და მე ჰიუსტონი დავტოვე მტკიცე გადაწყვეტილებით, ყველაფერი მეღონა, რათა მომდევნო მსოფლიო ეკონომიკურ სამიტს ლონდონში 1991 წელს გორბაჩოვი და შევარდნაძეც დასწრებოდნენ.

საერთო ჯამში ჰიუსტონის შეხვედრამ ყველა საკითხთან დაკავშირებით როდი მოიტანა ჩვენთვის სასურველი შედეგი. გერმანიის დელეგაცია, ფედერალურ კანცლერ კოლის, ფინანსთა მინისტრ ვაიგელის, ეკონომიკის მინისტრ ჰაუსმანისა და ჩემი შემადგენლობით, ძალიან ეცადა, გორბაჩოვისთვის ერთობლივი ფინანსური დახმარების საკითხი მოეგვარებინა. ამ საქმეში ჩვენ მხარს გვიჭერდნენ უპირველეს ყოვლისა საფრანგეთი და იტალია. პრეზიდენტ ბუშთან საუბარში ჰელმუთ კოლმა გაიხსენა ხუთი მილიარდი გერმანული მარკის კრედიტი, რომელიც ჩვენი თავდებობით გაიცა. ჩვენ ჩვენი შესაძლებლობების ზღვარს მივაღწიეთ და მარტოკა ამ საქმეში ველარაფერს გავხდებოდით; ერთობლივად გამოძებნილი თხუთმეტი მილიარდი იყო საჭირო. მაგრამ სამიტის სხვა მონაწილეთა პოზიციამ იმედი გაგვიცრუა: ერთნი უფრო ფართო მასშტაბის რეფორმებს მოითხოვდნენ, სხვანი ჩიოდნენ, ფული უყაირათოდ იხარჯებაო.

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა კაიფუმ ფინანსური დახმარების საკითხი კურილიის კუნძულების დაბრუნების საკითხს დაუკავშირა. მისი ეს მოთხოვნა ჩემთვის გაუგებარი იყო. ჩემი აზრით, ეს ვერც გორბაჩოვს წაადგებოდა რამეში და ვერც კუნძულების საკითხის იაპონიის სასარგებლოდ გადაწყვეტას შეუწყობდა ხელს. ვინ იცის, იქნებ მაშინ იაპონიის მიზნებისთვისაც კი არსებობდა „შესაძლებლობის ფანჯარა". თუ ეს ასე იყო, მაშინ ამ ფანჯრის გაღება კრედიტის საშუალებით უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე უმისოდ.

ბოლოს ჰიუსტონში მიღებულ იქნა პოლიტიკური განცხადება, რომელიც გორბაჩოვს, თითქოს მხარზე ხელის დაკვრით, რეფორმების კურსის განგრძობისთვის აგულიანებდა. ერთობლივი ფინანსური დახმარების საკითხის საპასუხოდ კი საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკს, ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას და აღმოსავლეთ ევროპის ბანკს დავალება მიეცათ, სათანადო პროექტი წარმოედგინათ. იმ სახელმწიფოებს, „რომლებსაც ახლავე აქვთ შესაძლებლობა", დიდსულოვნად დაერთოთ ნება, პროექტის მომზადებამდე გადაედგათ სათანადო ნაბიჯები — ეს იყო ფორმულირება, რომელიც პირველ რიგში ჩვენ გვგულისხმობდა, ვინაიდან ჩვენ უნდა გვეკისრა მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა მოსკოვისთვის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მანამდე გორბაჩოვმა საგანგებო წერილით სთხოვა მონაწილეებს დახმარება, მაშინ ამგვარი რეაქცია გამაწბილებელი გამოჩნდება. ჩვენ ამას განსაკუთრებით განვიცდიდით, არამარტო იმის გამო, რომ სხვებზე მეტად გავისარჯეთ, არამედ იმიტომაც, რომ გერმანიის გაერთიანების მცდელობასთან დაკავშირებით ძალიან კარგად ვგრძნობდით, როგორი სიმამაცით ცვლიდა საბჭოთა ხელმძღვანელობა ძველებურ აზროვნებას სამომავლო გზის დამსახველი პოლიტიკით. ცხადია, ამ ახალ პოლიტიკურ კურსს ვერ იყიდდი, მაგრამ რეფორმების მხარდაჭერა ხომ შედიოდა დასავლეთის ინტერესებში.

სხვა საკითხთან დაკავშირებით კი სამიტი წარმატებული გამოდგა. ფედერალური კანცლერი კოლი დაჟინებით მოითხოვდა, გვემსჯელა გარემოს თემაზე, განსაკუთრებით გარემოს დანაგვიანებაზე, ტროპიკული ტყეების დაცვასა და ჰაერის დაბინძურების შესამცირებელ ღონისძიებებზე. ამ მსჯელობათა შედეგები აისახა დასკვნითს

კომუნიკეში, თუმცა მთლად ისე არა, როგორც ჩვენ გვსურდა. მაგრამ წერტილი დაისვა.

1990 წლის 14 ივლისის საღამოს ფედერალური კანცლერი და მე მოსკოვს ვეწვიეთ. მანამდე კი დილით ჰალეში მოვასწარი ჩასვლა. ლაიფციგ-ჰალეს აეროპორტიდან რომ მოვდიოდი, პროფესორ პარტიერს შევხვდი, მსოფლიოში უძველესი საბუნებისმეტყველო საზოგადოების, ლეოპოლდინას პრეზიდენტს. იგი დიდი ხნის წინ უნდოდათ ამ პოსტზე, მაგრამ ეს საქმე არ გამოდიოდა, რადგან მის პროფესორად მოწვევას კელავ და კელავ დაბრკოლებები ეღობებოდა წინ. იგი არ იყო თანახმა, გამხდარიყო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წევრი. მისმა წინამოადგილემ მანამდე შეუნახა მას ეს ადგილი, სანამ 1989 წლის გარდატეხის შემდეგ გზა გაიხსნებოდა.

მოსკოვში კარგად აღჭურვილნი გავემგზავრეთ: „ორი პლუს ოთხი" მოლაპარაკებების დამთავრებისთვის საჭირო ჩარჩოპირობები არსებობდა. დასადგენი იყო გერმანიის შეიარაღებული ძალების რაოდენობა — 350 ათასიდან 400 ათას კაცამდე —, გერმანული ფინანსური დახმარების მოცულობა, საჭირო იყო სამართლებრივი საფუძვლის შექმნა საბჭოთა ჯარების გერმანიის ტერიტორიაზე დროებით დასატოვებლად, მათი გაყვანის საბოლოო ვადის დადგენა და აგრეთვე უკანასკნელი საბჭოთა ჯარისკაცის გამოსვლამდე იმ დროისათვის უკვე ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე გერმანიის შეიარაღებული ძალების სტაციონირებისა და სტატუსის საკითხის გარკვევა.

გავრცელდა დამსწრეთა მონათხრობი იმ საუბრის შესახებ, რომელიც ჰელმუთ კოლსა და ჩემ შორის გაიმართა მოსკოვისკენ თვითმფრინავით მგზავრობისას. ეს მონათხრობი ძირითადად — რამდენადაც ის ჩემთვის ცნობილია — სიმართლეს წრმოადგენს. მაგრამ აქ ერთი პრინციპული საკითხი წამოიჭრება: სად ძევს იმ ადამიანთა თავშეკავების საზღვარი, რომლებიც პასუხისმგებელ პირთა საუბარში მონაწილეობენ? როგორ უნდა შევძლოთ საპასუხისმგებლო საკითხებზე ბჭობის წარმართვა, თუკი თან იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენმა ნალაპარაკევმა შეიძლება გაჟონოს; თანაც, მაშინაც კი, როცა ეს გაჟონილი ინფორმაცია დეტალურად გადმოსცემს ამბავს, მაინც კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი და მარტო ამის გამოც მცდარ წარმოდგენას ქმნის? ეს მით უფრო შემაშფოთებელია, რომ

მოვლენათა შემდგომი განვითარება ამა თუ იმ მოსაზრებას ახალ წონასა და ახლებურ აზრს ანიჭებს ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, ამგვარი გაუფრთხილებლობის წინაშე შიში ხელს უშლის საპასუხისმგებლო საუბრის გამართვას – სამთავრობო თვითმფრინავის VIP-ის პაწაწინა განყოფილებასაც აქვს იმის პრეტენზია, რომ იქ გამართული საუბრების კონფიდენციალობა დაცული იყოს.

15 ივლისს, კვირადღეს, თერთმეტი საათი ახალი დაწყებული იყო, როცა სასტუმრო სახლში სასაუბროდ შევხვდი საგარეო საქმეთა მინისტრს შევარდნაძეს. მან ჯერ პარტიის ყრილობის შესახებ მომითხრო, რომელიც ზუსტად ისე წარმართულა, როგორც ჩვენ ვვარაუდობდით და რომლის მიმდინარეობის შესახებაც ამასობაში უკვე მიღებული გვქონდა ინფორმაცია ჩვენი მოსკოვური საელჩოდან. ორი საკითხი მდგარა წინა პლანზე: „რატომ დაუშვით აღმოსავლეთ ევროპის დაკარგვა?“ და „რატომ აძლევთ გაერთიანების უფლებას ქვეყანას, რომელსაც გამთლიანების შემდეგ ნატოში ინტეგრირება აქვს განზრახული?“ გარდა ამისა სურდათ სცოდნოდათ, ვინ იყო პასუხისმგებელი მოვლენათა ამგვარი განვითარების გამო. შევარდნაძემ მიამბო, რომ ყრილობაზე იგი ორჯერ გამოსულა სიტყვით და თავის მხრივ დაუსვამს კითხვა, მივიდა თუ არა საბჭოთა კავშირის არმია შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში როგორც განმათავისუფლებელი. თუ ამ ხალხებს, როგორც ომის ნადავლს, ისე უნდა ვუყუროთ? იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიხდის ბოდიშს, თუ მართებული აღმოჩნდება ის პოზიცია, რომ მათ სწორედ ამ თვალით უნდა ვუყუროთ. რაც შეეხება გერმანიას, განაგრძო ჩემმა საბჭოთა კოლეგამ, დელეგატებს განვუმარტე, რომ აქ ჩვენ არჩევანის წინაშე ვიდექით: ერთ მხარეს იდო გერმანელთა თვითგამორკვევის უფლება და საბჭოთა ინტერესების გათვალისწინება უსაფრთხოების სხვა სტრუქტურების შექმნის გზით, გარდა ამისა თვისებრივად ახალი ურთიერთდამოკიდებულების დამყარებისთვის ძალისხმევა. ამისი ალტერნატივა კი იქნებოდა 500 ათასიანი არმიისა და მრავალი ტანკის ამოქმედება, რათა წინ აღვდგომოდით თვითგამორკვევის უფლების განხორციელების მცდელობას. რა შედეგები მოჰყვებოდა ამას, ადვილი წარმოსადგენია, უთქვამს მას. მე მადლობა მოვახსენე შევარდნაძეს მისი პოზიციის გამო. პარტიის ყრილობაზე გამოთქმული მრავალი თქვენი შეხედულება ჩემთვის უკვე ცნობილი იყო-მეთქი.

ვიმსჯელეთ არამარტო იმ მოვლეებზე, რაც ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ მოხდა, არამედ იმ საკითხზეც, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობა მომავალში. მე მოვახსენე, რა აქტიური პოზიცია დაიკავეს დასავლურმა სამხედრო ალიანსმა და დასავლეთის სხვა ორგანიზაციებმა შეცვლილ ვითარებაში; ეს პოზიცია მკაფიოდ იყო გამოხატული საგარეო საქმეთა მინისტრების ტერნბერის განცხადებაში, ნატოს ლონდონის სამიტის და ჰიუსტონის მსოფლიო ეკონომიკური სამიტის დეკლარაციებში. ამასთანავე მადლობა მოვახსენე ჩემს საბჭოთა კოლეგას ნატოს გერნერალურ მდივანთან ვიორნერთან ესოდენ პოზიტიური მოლაპარაკების გამო. კიდევ ერთხელ განვმარტე, როგორ წარმოგვედგინა ჩვენ ევროპის მომავალი განვითარება. მე საკმაოდ ასაკოვანი ვარ იმისთვის, რათა ვიცოდე, რა საშინელება იქნებოდა ამ განვითარების იმპულსი გერმანიიდან რომ წამოსულიყო, საშინელება არამარტო თვით ჩვენთვის, არამედ მთელი ევროპისთვის-მეთქი. მით უფრო დიდია ჩემი კმაყოფილება, რომ გერმანიის იმგვარი გაერთიანება, როგორი გაერთიანების კონტურებიც ახლა საცნაური ხდება ჩვენთვის, მთელ კონტინენტს სიკეთეს უქადის. შემიძლია უკვე გითხრათ, რომ ფედერალური კანცლერი პრეზიდენტს გერმანული შეიარაღებული ძალების ჩვენ მიერ განსაზღვრულ ზედა ზღვარს დაუსახელებს-მეთქი — ეს ის პუნქტი იყო, რომელსაც შევარდნაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

მერე შეაქო ჩემი გარჯა საიმისოდ, რომ დასავლეთში გაგებით მოჰკიდებოდნენ საბჭოთა „პერესტროიკას". აღნიშნა, რომ დასავლეთში ამ მოვლენისადმი პოზიტიური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საქმეში მე მნიშვნელოვან როლს ვასრულებდი, მოკიდებული 1985 წლიდან. თქვენს ყველა სათანადო განცხადებას ვიცნობ, მაგრამ ახლა ყველაზე საპასუხისმგებლო წამი დადგა: ერთი მხრივ საჭიროა, გერმანიის ბედი გერმანელი ხალხის სურვილისამებრ გადაწყდეს, მეორე მხრივ კი მთელი ძალები, გამოცდილება და შესაძლებლობები უნდა გამოვიყენოთ, რათა ევროპაში ნამდვილი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტიები შევქმნათ. ამიტომ არის საჭირო ევროპული ინსტიტუციების ჩამოყალიბებაო, და განაგრძო: გერმანიის გაერთიანების პროცესი შეუჩერებლივ მიმდინარეობს; ჩვენ უფლება არ გვაქვს ამგვარ განვითარებას ჩამოვრჩეთ, თორემ დიდ შანსს გავუშვებთ ხელიდან. ამ პროცესში თვალსაჩინო მნიშვნელობას იძენს ჩვენს

სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაო.

შემდეგ შევარდნაძემ შემომთავაზა „ორი პლუს ოთხის“ დოკუმენტზე გველაპარაკა. თავიდან გული დამიმძიმდა, რადგან ასეთი რამ თქვა: ცოტა არ იყოს, მეშინია, როცა მახსენდება, მინისტრების შეხვედრა მოსკოვში სექტემბრის დამდეგისთვის რომ არის დანიშნულიო. ნეტა მანამდე თუ მოვასწრებთ ხელშეკრულების ტექსტის მომზადებასო. ამის გაგონებაზე გულს მომეშვა: თუკი შევარდნაძე მხოლოდღა ხელშეკრულების ტექსტის გამო წუხს, მაშინ ცენტრალური პრობლემა მართლაც რომ ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტილა.

რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩა მოსაგვარებელი, მივუგე მე. მაგრამ მაინც მძიმე შეცდომა იქნებოდა სექტემბრისთვის დანიშნული შეხვედრის გადადება. დადგენილი თარიღი უნდა შევინარჩუნოთ, ოღონდ დარჩენილი დრო უნდა გამოვიყენოთ უკეთმეთქი. და დავძინე: როგორც ადრეც არაერთხელ მითქვამს, გაერთიანებული გერმანია თავიდანვე თავისუფალი უნდა იყოს გადაუჭრელი საკითხების ტვირთისაგან და სრული სუვერენიტეტით უნდა სარგებლობდეს, რის გამოც არ შეგვიძლია დავთანხმდეთ გარდამავალ პერიოდზე. საბჭოთა ჯარების გერმანიაში ყოფნა და მათი რაოდენობა, ამასთანავე მათი გაყვანისთვის გამოყოფილი დრო, ეს ყოველივე არის შემადგენელი ნაწილები იმ პროცესისა, რომელიც თავიდანვე საბოლოოდ უნდა იქნეს განსაზღვრული და არა ეტაპობრივად. ჩვენ ხომ შეთანხმებულნი ვიყავით, განვაგრძე მე, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ევროთათბირის პროცესის გაფართოება და ორივე სამხედრო ალიანსის წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის განვითარება, რათა სათანადო პირობები შეიქმნას ერთიანობისთვის. შევარდნაძემ დაადასტურა, ლონდონში მიღებული განცხადება ძალიან მნიშვნელოვანიაო და მაღალი შეფასება მისცა ფედერალური კანცლერისა და ჩემს წვლილს მისი მომზადების საქმეში. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს დოკუმენტი შეიცავს მოთხოვნას, ნატომ და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებმა მიიღონ ერთობლივი დეკლარაცია და განაცხადონ, რომ ერთიმეორეს მტრის თვალით აღარ უყურებენ, თქვა მან. აშკარა იყო, სწორედ ამას ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. შევარდნაძემ და მე დავსახეთ მოლაპარაკებების დაწყება გერმანია-საბჭოთა კავშირის დიდი ხელშეკრულების მოსამზადებლად. მოლაპარაკებათა ხელმძღვანელად მან ელჩ ტერეხოვის კანდიდატურა

დაასახელა, მე მინისტერიალდირექტორის დრ. კასტრუპისა.

ჩვენი საუბარი იმან შეწყვიტა, რომ დელეგაციათა ერთობლივ დისკუსიაზე მიგვიწვიეს. ჩვენი მხრიდან ფედერალური კანცლერი, ფინანსთა მინისტრი ვაიგელი, მთავრობის სპიკერი ფედერალური მინისტრი კლაინი და მე ვმონაწილეობდით, აგრეთვე ჩვენი უახლოესი მრჩევლებიც. საბჭოთა მხარეს წარმოადგენდნენ პრემიერ-მინისტრი რიჟკოვი და ფინანსთა მინისტრ ვაიგელის თანამოსაუბრენი. პრეს-კონფერენციაზე, რომელიც ამის შემდეგ გაიმართა, ჰელმუთ კოლმა და მიხეილ გორბაჩოვმა ფრთხილი ოპტიმიზმი გამოხატეს.

კავკასიისკენ რომ მივფრინავდით, მე ედუარდ შევარდნაძის გვერდით ვიჯექი. გავიხსენეთ ჩვენ მიერ გავლილი ვრცელი გზა, მოკიდებული ჩვენი პირველი შეხვედრიდან ჰელსინკიში 1985 წელს, რასაც მოჰყვა მწარედ მოსაგონარი მოლაპარაკება ვენაში 1986 წელს, და ბოლოდროინდელი შეხვედრები ბრესტსა და მიუნსტერში.

სტავროპოლში შუალედური დაჯდომა გვქონდა. თუმცა ეს მხარე მეორე მსოფლიო ომში ცოტა ხნით ჰქონდა დაპყრობილი გერმანულ არმიას — კერძოდ 1942 წლის აგვისტოდან 1943 წლის იანვრამდე —, აქაც ომის მოგონებას ღრმადა აქვს ფესვი გადგმული. მიხეილ გორბაჩოვმა და ფედერალურმა კანცლერმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა პატივსაცემად აღმართულ ობელისკთან გვირგვინები დააწყვეს. უამრავ ვეტერანს მოეყარა თავი. თუმცა ახსოვდათ წარსული, მაგრამ მათთან პირადი ურთიერთობისას ისიც ნათელი შეიქნა, რომ ამ ხალხს ჩვენთან ერთად სურდა ეშენებინა მომავალი. მოვინახულეთ გორბაჩოვის ყოფილი სამუშაო ოთახი, იმდროინდელი, როცა იგი ამ რეგიონის პარტიული ორგანიზაციის მდივნად მუშაობდა. ამაღლებული მოედნიდან, მკერდის სიმაღლეზე ამოყვანილ ქვის კედელთან მდგარნი, ვესალმებოდით ხალხს. ისინიც სალამითა და ტაშით გვიპასუხებდნენ — ეს გულითადი ტაში იყო.

ფეხით სავალი გზის უდიდესი ნაწილი ავტომობილებიდან ობელისკამდე, ქალაქის საბჭოს შენობამდე და გალავნამდე ქალბატონ გორბაჩოვასთან ერთად გავიარე. ჩვენ ვისაუბრეთ შეთანხმებათა მნიშვნელობისა და მომავალზე მათი ზემოქმედების შესახებ. მის სიტყვებს შეშფოთება ახლდა. მას ძალიან კარგად ესმოდა, რას ნიშნავდა ეს ნაბიჯი მიხეილ გორბაჩოვისთვის.

მგზავრობა შვეულმფრენით განვაგრძეთ და კვლავ შევჩერდით ერთ პურის ყანაში. უამრავმა გლეხმა, კომბაინების გვერდით რომ იდგნენ და გველოდნენ, მეტად გულითადი შეხვედრა მოგვიწყო. პური და მარილი მოგვართვეს. სტავროპოლის მსგავსად აქაც ისეთივე შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ამ ადამიანებს ჩვენი იქ ყოფნით მძიმე ტვირთი მოეხსნათ. ცხადია, მათ არ იცოდნენ, რა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა ამ დღეებში მიღებული. და მაინც გრძნობდნენ: კარიბჭე მომავლისაკენ გაიხსნა. ყველა მათგანმა იცოდა, რასაც ნიშნავდა ომი, მათ ეს ომი გერმანიასთან, რომელიც საბჭოთა კავშირს თავს დაესხა, დიდი მსხვერპლის ფასად მოიგეს. მაგრამ იმის ბუნებრივი შეგრძნებაც ჰქონდათ, რომ მშვიდობა და მომავალი ერთმანეთთან დაპირისპირებით კი არა, ერთმანეთის თანადგომით, მაშასადამე გერმანიაში მცხოვრებ ადამიანთა თანადგომითაც, მიიღწევა.

შევარდნაძესთან მოთათბირების და ამერიკა-საბჭოთა კავშირის ზონდირებების შემდეგ მოსკოვსა და კავკასიაში მოლაპარაკებებისთვის ნათელი ამოსავალი პოზიცია არსებობდა: დასავლეთმა ტერნბერისა და ლონდონის ნატოს დეკლარაციებით ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულება მტერ-მეგობრობის სქემისგან გაათავისუფლა. საკითხი, მისცემოდა თუ არა გერმანიას უფლება, თვითონ გადაეწყვიტა, როგორი იქნებოდა ალიანსისადმი მისი დამოკიდებულება, ჰელსინკის დასკვნითი აქტის მიხედვით უნდა მოგვარებულიყო. ნოემბერში პარიზში ევროთათბირის უმაღლესი დონის კონფერენციის ჩატარების თაობაზეც აზრთა ერთიანობა სუფევდა, იმაზეც მიღწეული იყო შეთანხმება, რომ გაერთიანებული გერმანიაც ძველი ფედერაციული გერმანიის მსგავსად-ატომურ, ბიოლოგიურ და ქიმიურ იარაღზე უარს იტყოდა. ისიც შეთანხმებული იყო, რომ გაერთიანებული გერმანიის არმია რაოდენობით ბუნდესვერის ამჟამინდელ რაოდენობაზე – 500 ათას კაცზე – საგრძნობლად ნაკლები იქნებოდა – დაახლოებით 350 ათასიდან 400 ათასამდე. და ბოლოს დევიზით „გაერთიანებული გერმანიის ნატოში გაწევრიანება“ უნდა მომხდარიყო ჩვენი უსაფრთხოების ინტერესთა დაცვა, რაც ნატოს დამცავი მექანიზმების მთელი გერმანიის მასშტაბით განვრცობას ითვალისწინებდა. „ნატოს სტრუქტურების გაუვრცელებლობა ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე“,

კავკასიაში.

ეს ნიშნავდა: ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე გერმანიის შეიარაღებული ძალები უნდა განლაგებულიყო ახლავე, ნატოში ინტეგრირებული გერმანული ჯარები — საბჭოთა არმიის გერმანიიდან გასვლის შემდეგ, მოკავშირეთა შენაერთები კი ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე არასოდეს უნდა შესულიყვნენ. მოსკოვისთვის მიუღებელი იყო, საბჭოთა კავშირის ჯარების გერმანიიდან გასვლის შემდეგ მათი ადგილი გერმანიის ნატოელ მოკავშირეთა ჯარებს დაეკავებინა. რა თქმა უნდა, სწორი იქნებოდა თავიდან აგვეცილებინა ურთიერთდამოკიდებულება ნატოს წევრ სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებსა და გერმანიიდან გამავალ საბჭოთა ჯარებს შორის. მაგრამ მოლაპარაკებებისთვის და ალბათ უფრო მეტად თვით გორბაჩოვისა და შევარდნაძისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, შესაძლებელი ყოფილიყო იმის თქმა, რომ ნატოს სტრუქტურებს — ჩვეულებრივ სტრუქტურებს — აღმოსავლეთისკენ არ გადმოუნაცვლებიათ. ძალთა თანაფარდობის დასავლეთის სასარგებლოდ შეცვლას და საბჭოთა კავშირის სამხედრო მოქმედებათა სივრცის შევიწროებას ახლა კიდევ დასავლური სამხედრო ალიანსის სტრუქტურულად უცვლელი გაფართოება აღმოსავლეთისკენ აღარ უნდა მოჰყოლოდა. ხოლო ჩვენთვის კი ის იყო აუცილებლად საჭირო,

რომ ყოფილ გდრ-ის ტერიტორიაზე ნაკლები უსაფრთხოების ზონა არ წარმოქმნილიყო.

კავკასიისკენ ფრენისას და მის მომდევნო ღამეს ხშირად ვეკითხებოდი ჩემს თავს, ნუთუ მართლა ჰქონდა საბჭოთა ხელმძღვანელობას იმის იმედი, რომ ნატოს გვერდით ვარშავის ალიანსი კიდევ დიდხანს იარსებებდა. ვარშავის ბლოკის მცირე სახელმწიფოების წარმომადგენელ ჩემს ახალ კოლეგებთან საუბრებიდან ისეთი აზრი გამოვიტანე, რომ მათ აღმოსავლური ალიანსის დიდხანს არსებობის იმედი აღარ ჰქონდათ. გამახსენდა შევარდნაძის მიერ ჩვენი პირისპირ შეხვედრებისას ამასთან დაკავშირებით გამოთქმული ეჭვიც. ვინ იცის, იქნებ ეს მარტო ეჭვი კი აღარ იყო, არამედ მტკიცე რწმენა.

არხიზში რომ ჩავედით, პირველ ყოვლისა ჩვენ-ჩვენი საცხოვრებელი ბინები მოგვიჩინეს. მე ერთ მოზრდილ ძველ რუსულ ხის სახლში დამაბინავეს, სადაც სასიამოვნო ატმოსფერო სუფევდა, როგორსაც მხოლოდ ხის ნაგებობები ასხივებენ ხოლმე. თავისებურ ანფილადაში ვცხოვრობდი: პატარა წინკარი, მისაღები ოთახი, ლოჯია, საძინებელი ოთახი და სააბაზანო. შენობაში განთავსებული იყო აგრეთვე სამედიცინო სამსახური, როგორც საბჭოთა, ასევე გერმანული. მე მახლდა სამედიცინო სამსახურის მაიორი ქალბატონი დრ. ლუპი; იმ მზრუნველობის გარეშე, რასაც მაშინ ჩემ მიმართ იჩენდნენ ის და მისი კოლეგები ბუნდესვერის ულმის საავადმყოფოდან — სამედიცინო სამსახურის ვიცე-პოლკოვნიკები დრ. მაიერი და დრ. თომასი, მე ალბათ 1990 წლის დაძაბულობას ვერ გადავიტანდი. მაშინაც გვიან საღამოს გავესინჯე დრ. ლუპის. წნევა დამივარდა და თავი იჩინა გულის რიტმის ინტენსიურმა დარღვევამ, რამაც მეორე დღემდე, უკან დაბრუნებამდე გასტანა. ეს დიდებული დღე ჩემთვის ფიზიკურად მძიმე გამოდგა.

უკან რომ დავბრუნდით და ძალ-ღონე მოვიკრიბე, მთავარი შენობისაკენ გავსწიე. იქიდან დაიწყო ტელევიზიისა და უამრავი ფოტოსურათების წყალობით კარგად ცნობილი გასეირნება, რომელიც მდინარის ნაპირას დასრულდა. ჰელმუთ კოლი და მიხეილ გორბაჩოვი მასიური ხის მაგიდასთან მდგარ კუნძებისაგან გამოთლილ სკამებზე დასხდნენ. ერთი სკამი თავისუფალი დარჩა. მათ გარშემო ჯგუფად ვიდექით ორივე მხარის დელეგაციათა წევრები, მინისტრები შევარდნაძე და სიტარიანი, ვაიგელი, კლაინი და მე. გორბაჩოვმა მთხოვა

დავმჯდარიყავი. მე ედუარდ შევარდნაძეს ვანიშნე, ჩემ მაგივრად თქვენ დაბრძანდით-მეთქი, მაგრამ უარი თქვა. ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ და მე დავჯექი.

ფიქრებით შორს, ძალიან შორს ვიყავი: ჩემს მშობლებთან და მშობლების მშობლებთან, ჰალეში, რაიდებურგში, კლეფციგში. დედაჩემი 1988 წლის 13 ოქტომბერს გარდაიცვალა და ვეღარ მოესწრო იმას, რასაც მუდამ ნატრობდა. მაგონდებოდა 1946 წლის 1 იანვარი, როცა ჩემი პაპა ოტო კრაიმე წინასწარმეტყველებდა, ორმოცდაათი წელი გავა კიდევ, ვიდრე წითელი არმია დატოვებს ჩვენს ქვეყანას და კვლავ გავერთიანდებითო.

ამ მაგიდისკენ რომ მოვდიოდით, გზად რაღაცა მოხდა, რამაც იმედიანად განმაწყო, მაგრამ ამასთანავე ვითარების მთელი სერიოზულობაც მაგრძნობინა. როცა ჩვენი ერთობლივი გასეირნება დაიწყო — თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პირობებში ასეთი რამ უფრო ერთობლივი საჩვენებელი გასეირნებაა —, ერთ ოთხკაციან ჯგუფს გორბაჩოვი, კოლი, შევარდნაძე და მე შევადგენდით და წინ მივდიოდით, თარჯიმნებიც გვახლდნენ. უცებ ვიღაცის ხელმა მკლავზე მომქაჩა. მივიხედე და რაისა გორბაჩოვა დავინახე. მას კვლავ ჩემთან საუბარი ეწადა. იცით თუ არა, რას ნიშნავს ყოველივე ის, რაზეც აქ არის მსჯელობა და რაც აქ უნდა გადაწყდესო? ნათელია თუ არა ჩვენთვის, რა პასუხისმგებლობას კისრულობს, მეტიც, რა რისკზე მიდის ამით მისი მეუღლე? მე თავი დავუქნიე. მაშინ მან განაგრძო: „ბატონო გენშერ, აქ გერმანიამაც უნდა განაცხადოს თანხმობა, აქ გერმანიამაც რაღაც უნდა გაიღოს. ბატონო გენშერ, თქვენც უნდა შეასრულოთ ეს — ყველაფერი". ეს მუდარას ჰგავდა. ერთი წამით შეეჩერდი და ხელი გავუწოდე. „შეგიძლიათ გვენდოთ. ჩვენ ისტორიიდან ყველა თვალსაზრისით გამოვიტანეთ დასკვნები. მე ძალიან კარგად მესმის, რას აკეთებს აქ თქვენი მეუღლე. ყველაფერი კარგად იქნება".

შეშფოთების გამომხატველი ეს შეკითხვები ადასტურებდა, რომ გორბაჩოვი და შევარდნაძე ვიწრო და ძნელად სავალ ბილიკს ადგნენ. მიუხედავად იმ უთანხმოებისა, რაც პარტიის ყრილობაზე, ეტყობა, მათ შორის სუფევდა, იმჟამად ისინი კვლავ ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. ამაზე ეს დეტალიც მიგვანიშნებს:

ხალისიანი განწყობილებით შეეხვდით ერთმანეთს სადილზე.

გორბაჩოვმა გვიამბო, როგორ გაისეირნა ერთხელ შევარდნაძესთან ერთად. ეს ის დროა, როცა საბჭოთა ჯარები ახალი შესულნი არიან ავღანეთში. მაშინ გორბაჩოვი პარტორგანიზაციის მდივანი კი აღარ არის კავკასიაში, არამედ ცენტრალური კომიტეტის მდივანია მოსკოვში. ჯარების ავღანეთში შესვლის მომდევნო გაზაფხულს ის თბილისში ჩასულა და, როგორც არაერთხელ გაუკეთებია ეს ადრეც, ედუარდ შევარდნაძესთან ერთად გაუსეირნია. უცბად შევარდნაძეს უკითხავს: „შენ იცოდი, ავღანეთზე თავდასხმა რომ მზადდებოდა?" –„არა". –„მაგრამ შენ ხომ ცეკას მდივანი ხარ". –„პოლიტბიუროს ყველა წევრსაც კი არ გაანდეს ეს ამბავი". უცბად შევარდნაძე გაჩერებულა და უთქვამს: „ჩვენ ძირეულად უნდა შევცვალოთ ჩვენი სისტემა". „ამ საქმეს, – თქვა გორბაჩოვმა, – მერე ჩვენ ერთობლივად მოვკიდეთ ხელი".

იქნებ მას ამ ამბის მოყოლით შევარდნაძესთან შერიგება სურდა, რომელიც აშკარად გაწბილებული ჩანდა მისი საქციელით პარტიის ყრილობაზე? ყოველ შემთხვევაში ამ მონათხრობით მან შევარდნაძეს დაუთმო ინიციატორის როლი ახალი აზროვნების დამკვიდრების გზაზე. ახლა მე საბოლოოდ მივხვდი, რატომ აქცია მან 1985 წელს საერთაშორისო პოლიტიკაში გამოუცდელი ქართველი საგარეო საქმეთა მინისტრად. „სისტემის" მიმართ გამოტანილმა ამ ვერდიქტმა, უშუალო რეაქციამ ავღანეთზე საერთაშორისო სამართლის დარღვევით განხორციელებულ თავდასხმაზე, დაადასტურა ის აზრი ამ ორი ადამიანის შესახებ, რომელსაც მე თავიდანვე ვიზიარებდი. „პერესტროიკა" და „გლასნოსტი" მათ აზროვნებასა და მათ მიზნებში ტაქტიკური ვარიანტები კი არ იყო, იმის მცდელობა კი არ იყო, ძველი მიზნებისთვის ახლებური მეთოდებით მიეღწიათ, ეს გახლდათ კურსის პრინციპული შეცვლა. და პრინციპული ამ შემთხვევაში მორალურად დასაბუთებულსაც ნიშნავდა.

საღამოს შედგა ხანმოკლე მოლაპარაკება კოლსა და გორბაჩოვს შორის, აგრეთვე მინისტრთა მოლაპარაკება კოლის, ვაიგელის, კლაინის და ჩემი მონაწილეობით. მერე ფიქრებში დანთქმული გავემართე ჩემი ბინისაკენ, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წუთის სავალზე იყო. მქონდა კიდევ ხანმოკლე კონტაქტი შევარდნაძესთან; ამის შემდეგ, კაცმა რომ თქვას, აღარავითარი საბაბი აღარ იყო შეშფოთებისთვის. როცა ამხელა მიზანია მისაღწევი, მხოლოდ მაშინ

დამშვიდდები, ყოველივეს რომ მოაგვარებ. ეს მეორე დილით მოხდა.

ყველა წინაპირობა არსებობდა ღრმა ძილისათვის, მაგრამ საქმე სხვაგვარად შეტრიალდა: გულის არიტმიამ და სისხლის მიმოქცევის არასტაბილურობამ პრობლემები გამიჩინა. შინაგანად აფორიაქებული ვიყავი და ამან, ეტყობა, იმოქმედა ჩემს ჯანმრთელობაზე. ყოველ შემთხვევაში მოსვენებული ღამე არ მქონია. როცა დილით, მოლაპარაკების დაწყებამდე, დიდი სასტუმრო სახლის წინ მდებარე ტერასაზე შევიკრიბენით, ფეხზე ძლივს ვიდექი. გრაფმა ნაიჰაუსმა ორიოდე შეკითხვა მომცა; პასუხის გაცემისას ძალიან გამიჭირდა წელგამართული დგომა. მაგრამ მოლაპარაკებების დაწყება იმასაც ნიშნავდა, რომ შეგვეძლო დავმსხდარიყავით. მერე კი საქმემ გამიტაცა და ჯანმრთელობის პრობლემები გადამავიწყა.

არხიზში ყოფნის მეორე დღეს, 1990 წლის 16 ივლისს, დელეგაციებმა ისაუბრეს ერთმანეთთან. ჩვენგან მონაწილეობდნენ ფედერალური კანცლერი, თეო ვაიგელი, კლაინი და მე, აგრეთვე ჩვენი მოსკოველი ელჩი ბლეხი, მინისტერიალდირექტორი კასტრუპი, ბატონი ჰალერი ფინანსთა სამინისტროდან და ბატონები ტელჩიკი და ნოიერი ფედერალური კანცელარიიდან. საბჭოთა მხარეს წარმოადგენდნენ გორბაჩოვი, ედუარდ შევარდნაძე, პრემიერ-მინისტრის მოადგილე სიტარიანი — თავისი ფუნქციით შევარდნაძის პარტნიორი —, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კვიცინსკი და ელჩი ტერეხოვი.

პირველ საკითხად იდგა ჩვენი მომავალი ურთიერთობის გრძელვადიანი პერსპექტივების განხილვა. აქ აზრთა ერთიანობა სუფევდა როგორც მოლაპარაკების, ასევე გრძელვადიანი ხელშეკრულების დადების თაობაზეც, რომელსაც გორბაჩოვისთვის აშკარად არსებითი, მაგრამ ამავე დროს ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც ჰქონდა. ამით მას შეეძლო საბჭოთა საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, რომ გერმანიის საკითხის გადაწყვეტა მათი ქვეყნისთვისაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იქნებოდა სარგებლობის მომტანი. ამით აიხსნება, თუ რატომ ანიჭებდა ორი თვის შემდეგ მოსკოვი ასეთ მნიშვნელობას იმას, რომ ეს დოკუმენტი შევარდნაძისა და ჩემ მიერ ყოფილიყო პარაფირებული და დროისა და ადგილის თვალსაზრისით დაკავშირებოდა „ორი პლუს ოთხი" ხელშეკრულების ხელმოწერას მოსკოვში 1990 წლის 13 სექტემბერს. ჰელმუთ კოლმა სავსებით მართებულად ამ თემით დაიწყო თავისი გამოსვლა: ჩვენც გვსურს

ფართო და ღრმა ურთიერთთანამშრომლობა, და სავსებით შეგნებული გვაქვს, რომ აუცილებელია ჩვენი პარტნიორების ინტერესთა გათვალისწინება, განაცხადა მან. აშკარა იყო, ამგვარ დასაწყისს გორბაჩოვისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

შემდეგ საუბარი „ორი პლუს ოთხის" დოკუმენტს შეეხო. გაირკვა, რა იყო გასაერთიანებელი: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, გდრ და ბერლინი. გორბაჩოვისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე გაერთიანებული გერმანიის მიერ ატომურ, ბიოლოგიურ და ქიმიურ იარაღზე უარის თქმას. გერმანიის ნატოს წევრობაზე თანხმობის მისეული პირობა ის იყო, რომ „ნატოს სამხედრო სტრუქტურები" გდრ-ის ტერიტორიაზე არ უნდა განთავსებულიყო. საბჭოთა ჯარების გდრ-ში ყოფნის თაობაზე ცალკე ხელშეკრულება უნდა დაიდოსო. ფედერალურმა კანცლერმა განაცხადა, რომ „ორი პლუს ოთხი" მოლაპარაკებების უმთავრესი მიზანი გაერთიანებული გერმანიის სრული, შეუზღუდავი სუვერენიტეტის მიღწევა იყო. მე დავამატე, იმაზეც უნდა შევთანხმდეთ, რომ ეს ამავდროულად ნიშნავს გაერთიანებული გერმანიის უფლებას, გახდეს ამა თუ იმ ალიანსის წევრი, ამ შემთხვევაში ნატოს წევრობაზეა-მეთქი ლაპარაკი. მას შემდეგ, რაც ფედერალურმა კანცლერმა ეს ყოველივე შეაჯამა, გორბაჩოვმა თანხმობა განაცხადა. რათა გამორიცხულიყო გაუგებრობა იმის თაობაზე, თუ რას გულისხმობდა გენერალური მდივანი ნატოს სტრუქტურების გაუვრცელებლობაში, საჭიროდ ჩავთვალე, ამ პუნქტზე მსჯელობისას და დისკუსიის შემდგომი მიმდინარეობის დროსაც, ნათელი მომეფინა ყველა საკითხისთვის, რომლებიც უკვე წამოიჭრა მოლაპარაკებებში „ორი პლუს ოთხი" ან̣და შესაძლოა მომავალში წამოჭრილიყო. ამ სტადიაზე ჰელმუთ კოლი და მე, მუდმივ მზერით კონტაქტში მყოფნი, როცა საჭირო იყო ერთმანეთს ვუთმობდით მოლაპარაკების წამყვანის ფუნქციას, ერთმანეთს ვანიშნებდით, როდის უნდა გაგვეცვალა როლები. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ნატოს ხელშეკრულების მე-5 და მე-6 პარაგრაფებს მთელი გერმანიის მიმართ ემოქმედა. ამიტომ განვაცხადე, გერმანიაში არ შეიძლება განსხვავებული უსაფრთხოების ზონები არსებობდეს, ანუ ნატოს დაცვითი გარანტიები გდრ-ის ტერიტორიაზეც უნდა მოქმედებდეს, რაც მოითხოვს შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ მე-5 და მე-6

პარაგრაფები ამ ტერიტორიის მიმართაც ძალაში დარჩეს-მეთქი.

რაც შეეხებოდა ახალი ფედერალური მხარეების სტატუსს, 1994 წლამდე იქ განლაგდებოდა ბუნდესვერის ის შენაერთები, რომლებიც ნატოში არ იყვნენ ინტეგრირებულნი, ხოლო საბჭოთა შეიარაღებული ძალების გასვლის შემდეგ — ნატოში ინტეგრირებულნიც. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად შეთანხმების არსი ამ თვალსაზრისით კიდევ ერთხელ შევაჯამე. გორბაჩოვი დამეთანხმა, მაგრამ თან დასძინა, არც ერთი უცხოური შეიარაღებული ძალა არ უნდა იქნეს იქ გადაყვანილიო. ეს აზრი კი თავის მხრივ კანცლერმა გაიზიარა.

ამით ნათელი მოეფინა ძნელ საკითხებს, დადგენილ იქნა უსაფრთხოების განსამტკიცებელი პოლიტიკური სტატუსი. ჩვენი მხრივ გაკეთდა ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო უსაფრთხოებისთვის, ნატოში ინტეგრირებული გერმანული შენაერთების განლაგების ჩათვლით. მეორე მხრივ, ნატოს სტრუქტურები იმ ფორმით, რა ფორმითაც ისინი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებობდნენ, აღმოსავლეთისკენ არ გაფართოვდებოდა. ჩემი შეფასებით, ამით იმას მივაღწიეთ, რომ თავიდან ავიცილეთ განსხვავებული უსაფრთხოების ზონების წარმოქმნა.

ხაზგასმით მოითხოვა გორბაჩოვმა, რომ ადრინდელი გდრ-ის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ არც ერთი უცხო სახელმწიფოს არმია არ განლაგებულიყო იქ. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, კიდევ ერთხელ გავიმეორე, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალების გასვლის შემდეგ ნატოში ინტეგრირებულ გერმანულ ჯარებსაც ჰქონდათ იქ განლაგების უფლება. ფედერალურმა კანცლერმაც განამტკიცა ეს პოზიცია მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო.

მათ, ვინც 1989 წლის გაზაფხულზე აუცილებლობად მიიჩნევდა მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული რაკეტების განლაგებას, ხოლო სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ, 1990 წლის გაზაფხულზე, შესაძლებლად თვლიდა, ნატოს სტრუქტურების დასავლეთ გერმანიის დარად გაერთიანებული გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრებამდე გაფართოებას, ორივე შემთხვევაში თვალზომა და საღი განსჯის უნარი ღალატობდათ: 1989 წელს ისინი ვერ მიხვდნენ, რომ ისტორიული მასშტაბის გარდაქმნები იყო დაწყებული. 1990 წელს

ვერ ჩასწვდნენ იმას, რომ ამ გარდაქმნების შედეგად ახალ ფედერალურ მხარეთა უსაფრთხოების ისეთი ხარისხის მიღწევა შეიძლებოდა, რომელიც კიდევაც გადააჭარბებდა ძველი ფედერაციული რესპუბლიკის უსაფრთხოების ხარისხს. წარსულში ჩვენს საზღვართან, რომელიც შუაზე ჰყოფდა გერმანიას, 300 ათას კაციანი წითელი არმია იდგა. გაერთიანებული გერმანია კი 1994 წლის ბოლოს პოლონეთისა და ჩსსრ-ის მეზობელი აღმოჩნდებოდა, იმ ქვეყნებისა, რომლებსაც საბჭოთა ჯარები დატოვებდნენ, და ის 300 ათასი კაციც ადრინდელი გდრ-დან გაყვანილი იქნებოდა.

დემოკრატიისკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი მეტ უსაფრთხოებას ნიშნავდა. მით უფრო ანაქრონისტული ჩანდა 1990 წლის 11 სექტემბერს, „ორი პლუს ოთხი" ხელშეკრულების ხელმოწერის წინ, ბრიტანელთა მცდელობა, ცნება „არ იქნას გადაყვანილი", რომელიც არხიზში გამოყენებული ფორმულირებიდან მომდინარეობდა, ისე განემარტათ, თითქოს ნატოში ინტეგრირებულ მოკავშირეთა სამხედრო ძალებს ახალი ფედერალური მხარეების ტერიტორიაზე მანევრების მოწყობის უფლება ჰქონდათ. ვითომ ეს ყოფილიყო მთავარი!

არხიზის მოლაპარაკებებზე განისაზღვრა აგრეთვე გერმანიის შეიარაღებული ძალების ზედა ზღვარი. რაოდენობა, როგორც თავიდან ვვარაუდობდით, 350 ათასიდან 400 ათას კაცამდე უნდა ყოფილიყო. დადგინდა 370 ათასი კაცი; იმ საუბრის შემდეგ, რომელიც ფედერალურ კანცლერს წინა საღამოს ჰქონდა გორბაჩოვთან, ჩვენ ამ რაოდენობაზე ავიღეთ ორიენტაცია. ახლა საჭირო იყო, ეს რიცხვი ოფიციალურად გვეცნობებინა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ვენაში მიმდინარე მოლაპარაკების მონაწილეთათვის. ჩემს მოსაზრებას ამ საკითხზე საბჭოთა მხარე დაეთანხმა.

გერმანიის შეიარაღებულ ძალთა ზედა ზღვართან დაკავშირებით მოლაპარაკებებში ისეთი გზა მოინახა, რომელიც საშუალებას იძლეოდა, ჩვენი მიზანიც შეგვენარჩუნებინა — ვენის კონფერენციისთვის საფუძვლად განცხადება შეგვეთავაზებინა, და ამავდროულად ანგარიში გაგვეწია საბჭოთა კავშირის ინტერესებისთვისაც, რომელსაც სურდა ეს რაოდენობა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ენახა. ორივე გერმანულმა სახელმწიფომ 1990 წლის 30 აგვისტოს, მაშასადამე ჯერ კიდევ „ორი პლუს ოთხის" დოკუმენტის ხელმოწერამდე, გააკეთა განცხადება ამის თაობაზე, და ის დამოწმებულია ხელშეკრულების

მე-3 პარაგრაფში. საფუძველდამდები კი ვენაში წარდგენილი განცხადება იყო.

ჰელმუთ კოლი და მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით იმას, რომ არხიზში ყველა გერმანულ კითხვაზე მიგვეღო პასუხი. საქმიანობაში რომ ჩვენ შორის თანხმობა სუფევდა, ეს ცხადზე ცხადი იყო, მაგრამ პიროვნული კეთილგანწყობაც კარგად იგრძნობოდა, ერთად გავლილი გზა ერთობლივად მიღწეული წარმატებით დაგვირგვინდა. ამ გზის დასაწყისში, 1982 წელს მე, როგორც პარტიის თავმჯდომარეს, მძიმე გადაწყვეტილების მიღება მომიხდა, ხოლო 1983 წელს ორივენი დიდად გავისარჯეთ ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების იმ ნაწილის გასატანად, რომელიც ბირთვული იარაღის განლაგებას ეხებოდა.

კიდევ ერთი პუნქტი მქონდა საბჭოთა ხელმძღვანელობასთან გასარკვევი, უპირველეს ყოვლისა შევარდნაძესთან, რადგანაც სწორედ ის უნდა მჯდარიყო „ორი პლუს ოთხის" ფარგლებში შემდგომი შეხვედრისას პარიზში მოლაპარაკებათა მაგიდასთან. საქმე ეხებოდა პოლონელების სურვილს, სრული სუვერენიტეტი გერმანიას მხოლოდ მას შემდეგ მინიჭებოდა, როცა საზღვრის თაობაზე ხელშეკრულებას მოეწერებოდა ხელი; გარდა ამისა მე პარიზში უნდა ნათელმეყო, რომ გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრის და პოლონეთის დასავლეთი საზღვრის საკითხი მხოლოდ ამ ორი ქვეყნის მიერ ერთმანეთს შორის განსახილავი საკითხი იყო და არა საერთოევროპული — ყოველ შემთხვევაში სამართლებრივი თვალსაზრისით მაინც. დარწმუნებული ვიყავი, ჩემს კოლეგა სკუბიშევსკისთან პარიზში თანხმობას მივაღწევდი. პოლონეთი არ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული იმით, რომ საზღვრის საკითხი სხვა სადავო საკითხებთან დაეკავშირებინა და ამით უფრო გაერთულებინა, ვიდრე გაემარტივებინა იგი. გარდა ამისა სკუბიშევსკიმ იცოდა, რომ მეც სიცხადის მომხრე ვიყავი და არა გართულებისა.

მადლიერებას ვგრძნობდი ორივე ამ ადამიანის — მიხეილ გორბაჩოვისა და ედუარდ შევარდნაძის მიმართ. „ჩვენ ამას არასოდეს დაგივიწყებთ", აღვუთქვი მე მათ გამომშვიდობებისას. ეს განვაცხდე როგორც პირადად ჩემი, ასევე ჩემი ქვეყნის სახელითაც. და ასეც იქნება.

„ორი პლუს ოთხი“ პარიზში — თანხმობა პოლონეთთან

კავკასიიდან დაბრუნებულნი 16 ივლისს, 21 საათსა და 45 წუთზე კიოლნ-ვაანის აეროპორტში დავფრინდით. ორმოცდახუთი წუთის შემდეგ უკვე პარიზისკენ მივფრინავდი, სადაც მომდევნო დღე საგარეო საქმეთა მინისტრ ბეიკერთან საუზმით დაიწყო ჩემს სასტუმროში, „ბრისტოლში“. მე ვესაუბრე მას კავკასიაში ჩატარებულ მოლაპარაკებებზე, და ბეიკერი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღოდა იმაში, რომ ეს შეხვედრა შედგა, ძალიან კმაყოფილი დარჩა მისი შედეგით. ოთხი დასავლელი საგარეო საქმეთა მინისტრის — მაშასადამე დიუმას, ბეიკერის, ჰერდის და ჩემი გასაუბრების შემდეგ „სენტრ კლებესაკენ“ გავწიეთ, სადაც მესამე შეხვედრა შედგა „ორი პლუს ოთხი“ მოლაპარაკებების ფარგლებში.

როლან დიუმამ, რომელიც, როგორც მასპინძელი, თავმჯდომარეობდა, გახსნა სხდომა. მან იგი წარმართა უკვე მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით. შეეხო უპირველეს ყოვლისა ნატოს ლონდონის სამიტს, ჰიუსტონის მსოფლიო ეკონომიკურ სამიტსა და კავკასიურ მოლაპარაკებებს. ის ამბავი, რომ ნაშუადღეევიდან პოლონეთის დელეგაციაც მიიღებდა მონაწილეობას, იმის ნიშანი იყო, რომ ამ რაუნდში საზღვრის საკითხი მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა.

შევარდნაძემ განაცხადა, პოლიტიკური სიმამაცე სჭირდება იმას, რომ გერმანიის გაერთიანება ახალი მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად შეგვეფასებინაო. ახლა უსაფრთხოების ახალი სტრუქტურების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი გარემო უნდა შევქმნათო. მანაც მაღალი შეფასება მისცა იმ სიგნალებს, რომლებიც ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა მოსკოვის შეხვედრიდან, ევროგაერთიანების დუბლინის სამიტიდან და ნატოს ლონდონის სამიტიდან წამოვიდა: სამივე შეხვედრაზე კონფრონტაციისთვის ზურგის შექცევის და თანამშრომლობისკენ მიბრუნების სურვილი შეიმჩნეოდა, და გულახდილად უნდა ითქვას, გაერთიანების პროცესში პროგრესის მიღწევა მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ბევრი რამის გაკეთება მოხერხდა ორივე სამხედრო ალიანსისა და ევროთათბირის ფარგლებშიო. ამით მან დაადასტურა ის თვალსაზრისი, რომელსაც ჩვენ თავიდანვე ვადექით — ჩარჩოპირობების შეცვლის წყალობით შესაძლებელი გაგვეხადა უმთავრესი საკითხების — გაერთიანების

და ნატოს წევრობის — გადაწყვეტა.

შევარდნაძემ განაგრძო, კავკასიაში მოლაპარაკებისას პრობლემათა ოთხ წყებას მივაქციეთო ყურადღება: გერმანიის სუვერენიტეტს, ოთხი სახელმწიფოს უფლებებსა და პასუხისმგებლობებს, გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურ სტატუსს და დღევანდელი გდრ-ის ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა ჯარების საკითხს. მართალია ყველა პრობლემა არ გადაგვიჭრია, მაგრამ უმთავრესნი გადავწყვიტეთ; ეს ახლა მუშაობას გაგვიადვილებს. მოსკოვის შეხვედრამდე, რისთვისაც 12 სექტემბერს გეპატიჟებით, საბოლოო რეგულირების შემცველი ტექსტი მზად უნდა იყოს, — თქვა მან. თუ ეს ამ ვადაში ვერ მოესწრება, მაშინ სექტემბრის ბოლოს, გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიმდინარეობისას შესაძლებელია კიდევ ერთხელ დავსხდეთ, იქნებ შემდგომ ლონდონში შეხვედრაც გახდეს აუცილებელიო.

ბოლოს მან კიდევ ერთხელ ილაპარაკა იმ სიძნელეებისა და შეშფოთების გამო, რაც საბჭოთა კავშირში სუფევდა.

მე ჩემს გამოსვლაში ხაზი გავუსვი იმას, რომ „ორი პლუს ოთხის“ ფარგლებში ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ ფუძემდებლური ცვლილებები განხორციელდა. ამიტომ დღეს შეგვიძლია, სხვა ბაზისზე დაყრდნობით ვილაპარაკოთ გერმანიის გაერთიანების საგარეოპოლიტიკურ ასპექტებზე-მეთქი. ეს ადასტურებს ჩვენს თვალსაზრისს, რომ გერმანიის საკითხის გადაწყვეტა საერთოევროპულ კონტექსტშია შესაძლებელი. მეტიც: თვალსაჩინოა, რომ გერმანიის გაერთიანების პროცესის დინამიკა ხელს კი არ უშლის მოვლენათა განვითარებას ევროპაში, არამედ პირიქით — პოზიტიურ ზემოქმედებას ახდენს მასზე. მთელ კონტინენტზე ამჟამად ფართო მასშტაბის ცვლილებები ხდება-მეთქი. მოლაპარაკებები საბჭოთა ხელმძღვანელობასთან,— განვაგრძე მე,— კეთილგანწყობის სულისკვეთებით წარიმართა. ისიც მისასალმებელია, რომ აქ, ამ მაგიდასთან მსხდომთ ჩინებულად ესმით, რომ იქ მიღწეული შედეგები მთელ ევროპას წაადგება — ისინი არავის დააწვება ტვირთად და ყველას სარგებლობას მოუტანს. „ჩვენ, გერმანელები,— ვთქვი მე,— იმას, რაც ახლა ხდება, ისე აღვიქვამთ, როგორც მთელი ევროპისთვის სარგებლობის მომტანს. და რაკი ეს სასარგებლოა ევროპისთვის, მადლია ჩვენი ხალხისთვისაც. ამან უნდა განამტკიცოს თქვენი და თქვენი ხალხების რწმენა, რომ

გერმანელთა გადაწყვეტილება, თავისი ბედი ევროპის ბედს დაუკავშირონ, გარდუვალი და საბოლოოა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ გერმანიის გაერთიანება ევროპული ერთიანობის მიღწევის საქმეში შეტანილი წვლილი იქნება. ეს ევროპა, რომლის შექმნაში ჰელსინკის დასკვნით აქტზე ხელმომწერი ყველა ქვეყანა მონაწილეობს, შეერთებულ შტატებსა და კანადასაც მოიცავს". ამის აღიარება იმჟამინდელ ვითარებაში ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო.

მერე ვთქვი, რომ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მონაწილეობა პარიზის შეხვედრის მეორე ნაწილს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის საზღვრების უცვლელობის დადასტურება სერიოზული წვლილია ევროპული სამშვიდობო წესრიგის განმტკიცების საქმეში-მეთქი. „გერმანელებს სხვა არაფერი სურთ, — ასე დავამთავრე მე გამოსვლა, — გარდა იმისა, რომ ერთობის, თავისუფლების და მშვიდობის პირობებში იცხოვრონ თავის მეზობლებთან ერთად. ამ სულისკვეთებით გადასცეს ორივე გერმანიის პარლამენტებმა და ორივე გერმანიის მთავრობებმა თავიანთი განცხადებები პოლონეთის მთავრობას".

მარკუს მეკელიც შეუერთდა პოზიტიურ შეფასებებს. ოღონდ წამოაყენა მოთხოვნები, რომლებიც ახალ პრობლემებს შეგვიქმნიდა, მათ შორის იყო ატომური იარაღისაგან თავისუფალი ერთიანი გერმანიის მოთხოვნა. აქ მკაფიოდ იგრძნობოდა მისი იმ დასავლეთ-გერმანელი მრჩეველების ზეგავლენა, რომლებიც სამშვიდობო მოძრაობიდან მოვიდნენ.

მეთოდური ხასიათის პრეტენზიებიც ჰქონდა გდრ-ს — საქმე ეხებოდა საბოლოო რეგულირების შემცველ ტექსტთა ფორმულირებებს. მრავალია ისეთი პუნქტი, რომლებზეც დღეს ვერ შეეთანხმდებითო. პრემიერ-მინისტრ დე მეზიესთან დალაპარაკებაც აუცილებელიაო. მაშინვე მოვითხოვე სიტყვა: „დღეს ჩვენ რაც შეიძლება წინ უნდა წავიწიოთ, დასაკარგავი დრო ჩვენ არა გვაქვს". რა თქმა უნდა, მესმის კოლეგა მეკელის მდგომარეობა,— ვთქვი მე,— ამიტომ ასეთ რამეს გთავაზობთ: ყველა სხვა მონაწილე გამოთქვამს თავის თანხმობას, გდრ კი ad referendum*. ეს აზრი ყველამ გაიზიარა. „დროის ბომბი" გავაუვნებლეთ. ჩემი თხოვნით სხდომა შეწყდა,

---

* მოსახსენებლად; მოხსენებისათვის. (ლათინ.). (რედ.)

რადგან მე საგარეო საქმეთა მინისტრ სკუბიშევსკის უნდა შეეხვედროდი. პოლიტიკური დირექტორები მაშინვე შეუდგნენ მუშაობას ფორმულირებათა დასახვეწად.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან წინასწარი მოლაპარაკებებისათვის პოლონეთის ელჩის რეზიდენციაში გავემგზავრე. უნდა გვემსჯელა გერმანია-პოლონეთის სასაზღვრო ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე, რომელიც გერმანიის გაერთიანების შემდეგ, მაგრამ 1990 წლის 2 დეკემბრის ბუნდესტაგის არჩევნებამდე უნდა შემდგარიყო. მისი რატიფიცირება კი მხოლოდ მას შემდეგ მოხდებოდა, რაც გერმანია სრულ სუვერენიტეტს მოიპოვებდა, ანუ მას შემდეგ, რაც „ორი პლუს ოთხის" დოკუმენტი ყველა მონაწილის მიერ იქნებოდა რატიფიცირებული. გარდა ამისა უნდა გველაპარაკა ბონსა და ვარშავას შორის ფართომასშტაბიან ხელშეკრულებაზე, რომელიც მალე უნდა დადებულიყო, რათა მომავალი ურთიერთობის საფუძვლები შეგვექმნა.

14 ნოემბერს, მაშასადამე ამ შეხვედრიდან ორი თვის შემდეგ, საგარეო საქმეთა მინისტრი სკუბიშევსკი და მე ვარშავაში პრემიერ-მინისტრ მაზოვეცკის თანდასწრებით ხელს ვაწერდით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც მათ შორის არსებული საზღვრის ხელშეუხებლობას ადასტურებდა. ხოლო ხელშეკრულებას კეთილმეზობლობისა და მეგობრული ურთიერთთანამშრომლობის შესახებ 1991 წლის 17 ივნისს მოვაწერეთ ხელი ბონში, ჩვენი მხრივ ფედერალურმა კანცლერმა ჰელმუთ კოლმა და მე, ხოლო პოლონეთის მხრიდან პრემიერ-მინისტრმა მაზოვეცკიმ და საგარეო საქმეთა მინისტრმა სკუბიშევსკიმ.

17 ივლისის ნაშუადღევს დაიწყო მოლაპარაკებათა ამ რაუნდის მეორე ნაწილი, ამჯერად უკვე სკუბიშევსკის მონაწილეობით. ჩემს შესავალ განცხადებაში ნათქვამი იყო: „ჩვენ კმაყოფილნი ვართ იმის გამო, რომ პოლონეთი, ისევე როგორც ჩვენ, მიზნად ისახავს, გერმანია-პოლონეთის საზღვრის ხელუხლებლობის შესახებ ხელშეკრულების დადების შემდეგ კიდევ ერთი ხელშეკრულება დავდოთ, რომელიც გერმანია-პოლონეთის მომავალ ურთიერთობებს განსაზღვრავს... დღეს ჩვენს თავყრილობაში პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და მისი დელეგაციის წევრებიც მონაწილეობენ

და ჩვენ სავსებით შეგნებული გვაქვს, რასაც გვაკისრებს გერმანია-პოლონეთის ურთიერთობის მრავალტანჯული ისტორია, უპირველეს ყოვლისა კი ამ ისტორიის ყველაზე ბნელი თავი". შემდეგ განვაცხადე, რომ ბუნდესტაგმა თავისი დადგენილებით, რაც ფედერალურმა მთავრობამაც გაიზიარა — იგივე ითქმის გდრ-ის სახალხო პალატისა და მთავრობის შესახებაც —, გამოხატა თავისი ნება საიმისოდ, რომ გაერთიანებულ გერმანიასა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის არსებული საზღვარი საბოლოოდ დამტკიცდეს საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულების საშუალებით. ეს გადაწყვეტილებები ორივე გერმანიის მთავრობებმა ოფიციალურად გადასცეს პოლონეთის მთავრობას, რათა ამით ყველაზე შორსმიმავალი ვალდებულება იკისრონ, რაც კი გაერთიანებამდე არის შესაძლებელი. „ჩვენი მიზანია, გერმანიის გაერთიანების მეოხებით ჩვენი წვლილი შევიტანოთ ევროპის სამშვიდობო წესრიგის ფორმირებაში, რომლის დროსაც საზღვრები აღარ დააცილებს ადამიანებს".

ამას მოჰყვა არცთუ იოლი დისკუსია საზღვრის თაობაზე ოთხი სახელმწიფოს მიერ გაკეთებული განცხადების გამო. ამ დროს ძალიან სასარგებლო გამოდგა ის, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი სკუბიშევსკი მთელ საამისო მასალას ძალიან კარგად იცნობდა. გარდა ამისა, შვიდ საგარეო საქმეთა მინისტრთაგან ის ერთადერთი იყო, ვისაც საყურისების გარეშე შეეძლო მონაწილეობა მიეღო დებატებში, რადგანაც თავისი მშობლიური ენის გარდა გერმანული, რუსული, ინგლისური და ფრანგულიც იცის.

სკუბიშევსკის აზრით, გერმანია-პოლონეთის საზღვრის თაობაზე ოთხი სახელმწიფოს მიერ განკერძოებულად მიღებული დეკლარაცია მისასალმებელია, მით უმეტეს, რომ მას ალბათ ორივე გერმანული სახელმწიფოც მიუერთდებაო. მისი სიტყვით, პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა საზავო ხელშეკრულების ან საზავო ხელშეკრულების მსგავსი მარეგულირებელი აქტის საკითხს მოგვარებულად წარმოაჩენდა. და მაინც პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ პოლონეთი მას გარანტიად ვერ მიიღებს; ამაზე ჩვენს მხარეს არასოდეს უფიქრიაო. გულზე მომეშვა: სწორედ ამისი მეშინოდა არხიზში. მან თქვა, რომ მადლობელია ჩემი იმისთვის, რაც მე გერმანია-პოლონეთის ურთიერთობათა მომავლის გამო ვთქვი.

ამის შემდეგ ჯიმ ბეიკერმა ასეთი ფორმულირება შემოგვთავაზა:

„ოთხი სახელმწიფო აცხადებს, რომ გაერთიანებული გერმანიის საზღვრებს საბოლოო ხასიათი ექნება და გარეშე გარემოებათა და მოვლენათა მიხედვით მათი კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება არ მოხდება“.

სკუბიშევსკის პოზიცია ოთხი სახელმწიფოს განცხადების თაობაზე ჩვენს ინტერესებსაც შეესაბამებოდა. გერმანია-პოლონეთის საზღვრის საკითხი ორი მხარის შეთანხმების საგანი იყო. პოლონეთმა იცოდა, რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა გერმანიის ხელმოწერა სასაზღვრო ხელშეკრულებაზე, მაშინ როცა გარანტიების საიმედოობა ყოველთვის ამა თუ იმ პერიოდში გაჩენილ ინტერესებსა და გარემოებებზეა დამოკიდებული. ამასთან ჩვენთვის მიუღებელი იქნებოდა, ისეთი შთაბეჭდილება შექმნილიყო, თითქოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და უკვე დემოკრატიულად ლეგიტიმირებულ გდრ-თან შეთანხმებული სასაზღვრო რეგულირების საკითხი კიდევ სხვათა მიერ გარანტიების მიცემას საჭიროებდა. არც ის იყო უმნიშვნელო საკითხი, რომ ამის გამო მომავალში შესაძლოა მესამე მხარის უფლებათა დაფიქსირების საჭიროებაც გაჩენილიყო, რაც ჩვენს სუვერენიტეტს შელახავდა.

გერმანია-პოლონეთის ერთობლივმა საზრუნავმა ხანგრძლივი დისკუსია წარმოშვა. პოლონეთს სურდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ხელშეკრულება საზღვრის ხელშეუხებლობის თაობაზე ოდესმე მომავალში საეჭვო არ გახდებოდა იმ არგუმენტის მოშველიებით, რომ სასაზღვრო ხელშეკრულების დადების დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა საზავო ხელშეკრულება ან საზავო ხელშეკრულების მსგავსი მარეგულირებელი აქტი. ჩვენ კი არც ერთი გვაინტერესებდა და არც მეორე, ორივეს დიდი ხანია ყავლი ჰქონდა გასული. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ხელშეკრულება ლამის მთელ მსოფლიოსთან უნდა დაგვედო, და მაშინ ყველას შეეძლო თავისი ანგარიში წარმოედგინა ჩვენთვის. ასე რომ, პოლონეთი და ჩვენ სხვადასხვა მოტივებით ერთსა და იმავე თოკს ვექაჩებოდით.

ჩემთვის არცთუ უსიამოვნო ეს დებატები იმისთვის გამოვიყენე, რომ ოთხთა გაუხმაურებელი შეთანხმება, არავითარი საზავო ხელშეკრულება ან საზავო ხელშეკრულების მსგავსი მარეგულირებელი აქტი არ იქნებაო საჭირო, საჯაროდ განმეცხადებინა: „ფედერალური მთავრობა უერთდება ოთხი სახელმწიფოს განცხადებას და ამასთან ადასტურებს, რომ ოთხი სახელმწიფოს განცხადებაში ნახსენებ

მოვლენებსა და გარემოებებს ადგილი არ ექნება, კერძოდ, საზავო ხელშეკრულების ან საზავო ხელშეკრულების მსგავსი მარეგულირებელი აქტის მიღება განზრახული არ არის“.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელიც თავმჯდომარეობდა, ოქმში შესატანად განაცხადა: „მე ვაფიქსირებ კონსენსუსს“. ამით ერთხმად დადასტურდა, რომ ვერც პოტსდამის შეთანხმება და ვერც ძველი ფედერაციული რესპუბლიკის მიერ სამ დასავლურ სახელმწიფოსთან პარიზში დადებული ხელშეკრულებები მომავალში საზავო ხელშეკრულების მოთხოვნის საფუძველად ველარ იქნებოდა გამოყენებული. მაშასადამე საზავო ხელშეკრულების მოთხოვნა უკვე აღარ წამოიჭრებოდა — ამით მხრებიდან მოგვეხსნა საზრუნავი, რასაც კასტრუპმა მანამდე მოხელეთა დონეზე მიაღწია.

1990 წლის 27 ივლისს სკუბიშევსკი სიტყვით გამოვიდა პოლონეთის პარლამენტის — სეიმის — წინაშე. მან მაღალი შეფასება მისცა პარიზის შეხვედრაზე მიღწეულ შედეგებს. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ორივე გერმანიის პარლამენტების გადაწყვეტილებათა დიდ მნიშვნელობას და განაცხადა, ისინი ამ მოლაპარაკებათა „ჰარმონიული პრელუდია“ იყოო. მანამდე მან პრესას განუცხადა, პარიზის კონფერენციის „საბოლოო“ გადაწყვეტილებების შემდეგ „საზავო ხელშეკრულება“ აუცილებელი აღარ არისო.

ვინც გერმანია-პოლონეთის საზღვრის ცნობისათვის პარიზში ოთხი სახელმწიფოს ძალისხმევის მოწმე იყო, ის მიხვდებოდა, 1989 წელს გაეროში გაკეთებული განცხადებიდან მოკიდებული, ნაბიჯ-ნაბიჯ რა დაბრკოლებების გადალახვა დაგეჭირდა. ამავე დროს ისიც ნათელი გახდა, რა დიდი ზიანი მოგვიტანა ყოველმა ყოყმანმა გერმანიის მხრიდან. ეს მით უფრო სამწუხარო იყო, რომ თავიდანვე ცხადი ჩანდა: პოლონეთის დასავლეთი საზღვრის ცნობის გარეშე ვერც აღმოსავლეთიდან და ვერც დასავლეთიდან ვერ მივიღებდით გერმანიის გაერთიანებაზე თანხმობას.

პარიზიდან შინ გვიან საღამოს დავბრუნდი. კიდევ დიდხანს ვიჯექი ჩემს მეუღლესთან ერთად ჩვენი სახლის ბუხრიან კუთხეში. ჩვენ დიდ მანძილზე წავიწიეთ წინ; ეს გზის უძნელესი მონაკვეთი იყო. ერთი გახლდათ იმის მიხვედრა, რომ აუცილებელია საზღვრის საკითხის საბოლოოდ მოგვარება, ხოლო სხვა იყო მისი განხორ-

ციელება. ეს მე იმ წლებში, როცა ამგვარი შეთანხმების მიღებას უკვე ვუჭერდი მხარს, მუდამ გაცნობიერებული მქონდა. მაგრამ ამის ცოდნა მარტო აუცილებლობის შეცნობა როდი იყო, მარტო, ასე ვთქვათ, ის საფასური როდი იყო, რომელიც გერმანიის გაერთიანებისთვის უნდა გაგვეღო: აქ საქმე მორალურ კატეგორიას შეეხებოდა, რომელიც ვითარცა პოლონელებსა და გერმანელებს შორის ახალი ურთიერთობის ფუნდამენტი, აუცილებლობას წარმოადგენდა. აქ საჭირო გახლდათ (ხშირად მიწევდა ამ სიტყვებით განმარტება) უსამართლობის და ახალი უსამართლობის მოჯადოებული წრე გაგვერღვია, რომელიც ტვირთად აწვა ევროპის, მეტადრე გერმანია-პოლონეთის ურთიერთობათა ისტორიას. ყოველივე იმის შემდეგ, რაც 1939 წლიდან 1944 წლამდე გერმანელებმა ჩაიდინეს პოლონეთში ან გერმანელების სახელით გაკეთდა იქ, ჩვენი მოვალეობა იყო ეს ნაბიჯი გადაგვედგა. ხშირად მიკითხავს ჩემი თავისთვის, არასასურველი ფაქტის ცნობიერებიდან განდევნის როგორი უნარი უნდა გქონდეს, რომ ჩვენი ურთიერთობის თავისებურება მარტო იმაზე დააფუძნო, პოლონეთი თავდასხმის პირველი ობიექტი იყოო, მით უმეტეს, რომ ეს მოსაზრება ისტორიულად მცდარია. პირველი მსხვერპლი ჩეხოსლოვაკია გახლდათ; პოლონეთზე თავდასხმით მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. ხოლო პოლონელი ხალხისთვის „დიდგერმანულ იმპერიაში“ მუშა-მონების როლი იყო განკუთვნილი. ინტელიგენცია უნდა ამოძირკვულიყო, და ეს მარტო განზრახვად როდი დარჩა. რაც პოლონეთში მოხდა, ეს იყო ერის სელექციური მკვლელობა, გადაჯაჭვული გადარჩენილთა დამონებასთან. ამიტომ ისტორიული ჭეშმარიტება მოითხოვს ითქვას: მაშინაც კი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანია ორად რომ არ გაყოფილიყო, საზღვრის საკითხი მხოლოდ ასე გადაწყდებოდა და არა სხვაგვარად. იმ გერმანელებს, რომლებიც ამჟამად პოლონეთის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, მძიმე მსხვერპლის გაღება ხვდათ წილად, მათ უნდა გადაეხადათ იმის საფასური, რაც მოხდა — და ეს მაღალი საფასური იყო — იგი ნიშნავდა სამშობლოს დაკარგვას, ბევრისთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაკარგვასაც, ტანჯვასა და დამცირებას. და ეს რომ ახალ რევანშიზმში, ექსტრემიზმში არ გადაიზარდა, გაძევებულთა ისტორიული დამსახურება გახლდათ.

მომდევნო დღეები მთლიანად საგარეო უწყებას ეკუთვნოდა. საჭირო იყო გვემსჯელა „ორი პლუს ოთხის“ პროცესში გადასადგმელ შემდგომ ნაბიჯებზე, სხვა საკითხებიც გვქონდა განსახილავი.

20 ივლისი ჰალეში გავატარე: შევხვდი პარტიის წარმომადგენლებს, მაგალითად, ხანგრძლივად ვესაუბრე ქალაქის საბჭოს დეპუტატთა საკრებულოს ლიბერალ პრეზიდენტს, ქალბატონ ჰაიდემარი ეკერტს, მერე კი ლიბერალ ქალთა ჯგუფის თავმჯდომარეს, კორნელია პიპერს. ეკონომიკის წარმომადგენლებთან ერთად განვიხილე ეკონომიკის მდგომარეობა და კიდევ რამდენიმე შეხვედრის შემდეგ საღამოს უკანვე დავბრუნდი ბონში.

მეორე დღეს ჯანმრთელობამ თავისი მოითხოვა. ჯერ 8 საათიდან 11 საათამდე საზოგადოებრივ გაერთიანებათა თავმჯდომარეების თათბირი მქონდა, რომელზეც მოხსენება გავაკეთე „ორი პლუს ოთხის“ მოლაპარაკებათა მდგომარეობაზე. ამას მოჰყვა მთავარი ფედერალური კომიტეტის სხდომა, და იქაც გამოვედი სიტყვით. მაგრამ შუადღისას სხდომა დავტოვე. დრო მჭირდებოდა დასასვენებლად და ახალი ძალების მოსაკრებად. თანაც შინ რამდენიმე საქაღალდე მელოდებოდა, რომლებიც უნდა დამემუშავებინა, რადგან ორშაბათს მხოლოდ ორიოდე საათით მომიწევდა ყოფნა საგარეო უწყებაში. შემდეგ კი შვებულებაში უნდა გავსულიყავი.

არც 1990 წელს დაგვირღვევია ჩემს მეუღლეს და მე ტრადიცია, დავსწრებოდით პრემიერას ბაიროითში. პროგრამაში იყო „მფრინავი ჰოლანდიელი“. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სტუმრები დავპატიჟე, და 24 სექტემბერს, პრემიერის წინა დღეს კიპრის პრეზიდენტი, ვასილიუ ჩამოვიდა ბიშოფსგრიუნში, სადაც ჩვენ ჩვეულებისამებრ სასტუმრო „კაიზერალმში“ ვცხოვრობდით. მაგრამ ახლა ყოველივე სხვაგვარად იყო: ადრე ჩემი საზღვარგარეთელი სტუმრები ყოველთვის კობურგში მიმყავდა, რათა მათთვის ის არაადამიანური სასაზღვრო კონსტრუქციები მეჩვენებინა, რომელიც გერმანიას ყოფდა.

ახლაც კობურგისკენ მივემართებოდით, მაგრამ ამჯერად ღია საზღვრის გავლით ტიურინგიისკენ გვქონდა აღებული გეზი. კობურგის რატუშაში ობერბიურგერმაისტერი კასტნერი მოგვესალმა და პრეზიდენტმა ვასილიუმ ჩანაწერი გააკეთა ოქროს წიგნში. რატუშის წინ, მოედანზე უთვალავ ადამიანს მოეყარა თავი, რომლებიც გულითადად მოგვესალმნენ. მივირთვით გემრიელი შემწვარი სოსისი, მერე განვაგრძეთ

გზა კობურგის ციხესიმაგრისკენ, საიდანაც ტიურინგიის მხარე ხელისგულივით მოჩანს. შემდეგ მანქანით გავწიეთ მაინინგენისკენ, სადაც ბიურგერმაისტერმა შტრობუშმა მიგვიღო, ამჯერად ქალაქის თეატრში. მშვენიერმა შენობამ, მე-19 საუკუნის დამდეგს აგებულმა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვასილიუზე, რომელიც კარგად ლაპარაკობს გერმანულად.

მეორე დღეს, დილით, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი მიცოტაკისიც შემოგვიერთდა, ნაცადი მეგობარი, რომელიც ჭირშიაც და ლხინშიაც მხარში გვედგა. იგი ჯერ კიდევ მაშინ გავიცანი, როცა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ნაშუადღევს „მფრინავი ჰოლანდიელის“ პრემიერას დავესწარით. როცა შემდეგ თავისუფალ გარემოში ჩვენს მეგობრებთან ერთად ვისხედით, საუბრისას კვლავ და კვლავ ვუბრუნდებოდით მოვლენთა იმ ისტორიულ განვითარებას, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში ძირეულად შეცვალა ევროპა და გერმანიაც. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ვასილიუ და პრემიერ-მინისტრი მიცოტაკისი მეორე დილით გაემგზავრნენ, ბერხტესგადენისკენ განვაგრძეთ გზა.

შეიძლებოდა შვებულება დაწყებულიყო, რამდენადაც იმ წელს შვებულებაზე საერთოდ შესაძლო იყო ლაპარაკი. ერთი, იმდენადვე მშვენიერი, რამდენადაც საინტერესო, საბაბი შვებულების შეწყვეტისა მომცა 29 ივლისს ინგლისში გამგზავრების საჭიროებამ. დუგლას ჰერდმა და მისმა მეულლემ სპექტაკლზე მიგვიწვიეს გლინდებურნში. პირველად მოგვეცა შესაძლებლობა, იქაური განსაკუთრებული და ესოდენ ბრიტანული ატმოსფერო შეგვეგრძნო: პატარა, ინტიმური ოპერის თეატრი, შთამბეჭდავი წარმოდგენა ბაღში პიკნიკითურთ, ამინდის ღმერთიც გვწყალობდა. როცა ანტრაქტის შემდეგ კვლავ დარბაზში დავბრუნდი, ჩემთან რამდენიმე ბრიტანელი მოვიდა. ერთმა მათგანმა მითხრა: „ყველა ინგლისელი როდი ფიქრობს ისე, როგორც ქალბატონი ტეტჩერი“ — აშკარად ის უნდობლობა ჰქონდა მხედველობაში, რომლითაც ქალბატონი პრემიერ-მინისტრი გერმანიის გაერთიანებას ეკიდებოდა.

მეორე დღეს შევეულმფრენით ლონდონს გავფრინდით. დუგლას ჰერდი და მე ფეხით გავუყევით გზას საგარეო უწყების შენობიდან დაუნინგ სტრიტის 10 ნომრისაკენ, სადაც მარგარეტ ტეტჩერმა მიმიღო. ჩვენ ვისაუბრეთ „ორი პლუს ოთხის“ მოლაპარაკებებზე

შექმნილი მდგომარეობის შესახებ, და, ეტყობოდა, ქალბატონი პრემიერ-მინისტრის უმთავრეს საზრუნავს იმ დროისათვის ის წარმოადგენდა, რა ეშველებოდათ ინგლისელ ჯარისკაცებს, რომლებიც გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, 1994 წლამდე ბერლინში უნდა დარჩენილიყვნენ. მას დისციპლინის საკითხი აწუხებდა. რით იქნებიან ჯარისკაცები დასაქმებულნიო, ბჭობდა იგი. „რითაც აქამდე", მივუგე მე ლაპიდარულად.

ბერხტესგადენში დაბრუნებას კვლავ რამდენიმე დღის მოსვენება მოჰყვა, რასაც ყოველდღიური სატელეფონო საუბრები და ფაქსის მიღება-გაგზავნა მირღვევდა. „ორი პლუს ოთხის" დოკუმენტზე მუშაობა გრძელდებოდა მოხელეთა დონეზე, საერთაშორისო განვითარებაც არ შეჩერებულა. ჯერ კიდევ არსებულ გდრ-ის რადიოში 4 აგვისტოს ევროთათბირის არსებობის თხუთმეტი წლისადმი მიძღვნილ დისკუსიაში მივიღე მონაწილეობა პროფესორ რუპერტ შოლცთან (ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი) და ეგონ ბართან (სოციალ-დემოკრატები) ერთად. ჩემთვის, ევროთათბირის თავგამოდებული მხარდამჭერისთვის, იმ დღეს განსაკუთრებით ადვილი იყო ამ თემაზე ლაპარაკი. ორი დღის შემდეგ მეწვია საგარეო საქმეთა მინისტრი მეკელი, რომელსაც ბად რაიხენჰალში შევხვდი სასტუმრო „შტაგენბერგერ აქსელმანშტაინში". მასთან ერთადაც განვიხილე შექმნილი ვითარება.

7 აგვისტოს ზალცბურგიდან ვენაში გავფრინდი, რათა ბრუნო კრაისკის დაკრძალვისადმი მიძღვნილ ცერემონიაში მიმეღო მონაწილეობა. ავსტრიის რესპუბლიკა ეთხოვებოდა თავის ყოფილ ფედერალურ კანცლერს პარლამენტის შენობაში გამართული შთამბეჭდავი ცერემონიალით, რასაც მოჰყვა სამგლოვიარო პროცესიის სვლა ქალაქის გავლით. პროცესიას საზღვარგარეთელი სტუმრები მიუძღოდნენ, გზის უდიდესი ნაწილი ვილი ბრანდტის მხარდამხარ გავიარე. ეს თითქმის სიმბოლური იყო: 1969 წელს ჩვენ ერთ გზას დავადექით და, აი, ოცი წლის შემდეგ დასასრულს უახლოვდებოდა ის, რაც ჩვენ მაშინ წამოვიწყეთ. ამაზე ესაუბრობდით, როცა ვენის ქუჩებში მივაბიჯებდით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრიამ წარმოშო მთელი რიგი მაღალი რანგის პოლიტიკოსთა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი უთუოდ ბრუნო კრაისკი იყო. ავსტრიის სახელმწიფო

ხელოვნებამ გამოიყენა სახელმწიფო ხელშეკრულების გაფორმების ისტორიული შანსი, როცა დასავლურ-აღმოსავლურ პოლიტიკურ ურთიერთობებში ცა მცირე ხნით გაიხსნა. კრაისკიმ თავისი ქვეყნის ევროპული, მეტიც საერთაშორისო პოზიცია თვალსაჩინოდ გააფართოვა; მის სიტყვას ყველგან წონა ჰქონდა. ასე რომ, ევროთათბირის პროცესში და დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კონსტრუქციული ურთიერთობებისას ვენა ჩვენთვის მნიშვნელოვანი, დაუზარელი პარტნიორი იყო. დღევანდელობის გადასახედიდან ისიც შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ავსტრიის გავლენა კურტ ვალდჰაიმმა გააძლიერა გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის პოსტზე მოღვაწეობისას. პირადად ჩემთვის უწინარეს ყოვლისა დიდად სასარგებლო იყო თანამშრომლობა საგარეო საქმეთა მინისტრ ალოის მოკთან. თავისი ქვეყნის ისტორიაში იგი, სამართლიანად მიჩნეული ევროპული მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწედ, შევა როგორც ავსტრიის ევროკავშირში გაერთიანების არქიტექტორი.

როლან დიუმასა და ჯანი დე მიკელისთან ერთად ვისადილე. იქაც ვაანალიზებდით „ორი პლუს ოთხის" პროცესსა და მოვლენათა განვითარებას ევროპაში. დე მიკელისი დიდი ხანია შეგუებული იყო გერმანიის გაერთიანების თაობაზე მოლაპარაკებათა შემდგომ წინსვლას; პრინციპში მისი წამიერი ამბოხი ოტავის იმ სხდომაზე წლის დასაწყისში გერმანიის გაერთიანების წიანააღმდეგ კი არა, პროცედურის წინააღმდეგ იყო მიმართული.

იმავე საღამოს დავურეკე შევარდნაძეს, რათა მისთვის გერმანიის შიდაპოლიტიკური განვითარება, უწინარეს ყოვლისა კი ფედერაციულ რესპუბლიკასა და გდრ-ს შორის ურთიერთობა აღმეწერა. პრემიერ-მინისტრ დე მეზიეს განცხადებებმა პირველი საერთოგერმანული არჩევნების თარიღის შესახებ გაუგებრობები გამოიწვია. არ გვინდოდა მოსკოვში ისეთი შთაბეჭდილება შექმნოდათ, თითქოს ჩვენ საბჭოთა კავშირის ფაქტის წინაშე დაყენება გვსურდა, და მე განვმარტე: გაერთიანების თარიღი სექტემბრის მეორე ნახევარსა და 14 ოქტომბერს შორის პერიოდზე მოვა, მეტი გადადება კი აღარ გამოვა-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ მე მაინც დარწმუნებული ვიყავი, 12 სექტემბერს მოსკოვში „ორი პლუს ოთხის" შეხვედრაზე ჩვენს მოლაპარაკებებს დავასრულებდით; ჩემ მიერ დასახელებული გაერთიანების თარიღი არავითარ პრობლემას არ შეგვიქმნის-მეთქი.

კავკასიაში მიღწეული ყველა შეთანხმება,— განვაგრძე მე,— შეუზღუდავად შესრულდება. უკვე შევუთანხმდი საგარეო საქმეთა მინისტრ მეკელს იმის თაობზე, რომ განცხადება გერმანიის შეიარაღებულ ძალთა ზედა ზღვარის შესახებ აგვისტოში ჩაბაროს ვენაში. და თუკი სახალხო პალატაში კონსტიტუციის 23-ე პარაგრაფის შესაბამისად ინიციატივები გამოჩნდება უფრო ადრე გაერთიანების მოთხოვნით, მაშინვე შეგატყობინებთ-მეთქი. შევარდნაძე არაჩვეულებრივად მადლიერი იყო მის გამო, რომ დავურეკე. გდრ-ში მოვლენები დიდი სისწრაფით ვითარდება, მითხრა მან, და „ორი პლუს ოთხის" მოლაპარაკებები ამას არ უნდა ჩამორჩეს. ჩვენი კავკასიური შეთანხმებების მნიშვნელობაც გაიზრდება ამის შედეგად. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსკოვში შეხვედრას 16-17 აგვისტოს, ისევე როგორც გერმანია-საბჭოთა კავშირის ერთობლივ განცხადებას მომავალი გერმანული არმიის რიცხოვნობის თაობაზე.

ვისაუბრეთ აგრეთვე სპარსეთის ყურეში მოვლენების განვითარებაზეც, ვთქვი, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა ერთნაირი შეფასება მისცეს იმას, რაც იქ ხდება; თქვენი შეთანხმებული, თავდაჯერებული რეაქცია უშიშროების საბჭოში მსოფლიოში სტაბილურობის განმტკიცებას ემსახურება-მეთქი. კვლავაც წარმოჩნდა, რომ ევროპაში წინააღმდეგობების მოხსნა შესაძლებელს ხდის ერთობლივი პასუხისმგებლობისთვის მზადყოფნას გლობალური მასშტაბითაც, ვუთხარი მე. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ იმით, რომ ამ საკითხთან დაკავშირებითაც მოსკოვთან მჭიდრო კონტაქტის პირობებში ვიმოქმედოთ, რაც შეესაბამება გერმანია-საბჭოთა კავშირის თვისებრივად ახლებურ ურთიერთობებს-მეთქი.

ისიც შევატყობინე, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი დე მიკელისი, რომელსაც ევროგაერთიანების თავმჯდომარის პოსტი ეჭირა, პარასკევისთვის ევროპული პოლიტიკური ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზაციის შეხვედრას გეგმავდა სპარსეთის ყურეში შექმნილი მდგომარეობის გამო. გარდა ამისა ალბათ ნატოს წევრ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო სხდომაც გაიმართება ბრიუსელში, რომელშიც შეიძლება საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეიკერმაც მიიღოს-მეთქი მონაწილეობა. რაც შეეხება ვენის მოლაპარაკებებს, იმედი გამოვთქვი, რომ განრიგი შესრულდებოდა. შევარდნაძე მიესალმა ევროპელთა მხარდაჭერას უშიშროების საბჭოს პოზი-

ციისადმი, მით უფრო, რომ,– თქვა მან,– გულახდილად უნდა განვაცხადო, მოსკოვის ხელმძღვანელობისთვის ადვილი არ იყო ამ გადაწყვეტილების მიღება ერაყსა და ჩვენს შორის ტრადიციულად არსებული კარგი ურთიერთდამოკიდებულების გამოო. რაც არ უნდა იყოს, ერაყთან ათეული წლების განმავლობაში მჭიდროდ ვთანამშრომლობდით, უწინარეს ყოვლისა ეკონომიკის დარგში, მაგრამ აგრეთვე სხვა სფეროებშიცო. და მაინც, მისი სიტყვით, მიღებული გადაწყვეტილება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო: მოსკოვს სხვაგვარად მოქცევის უფლება არ ჰქონდაო. მე იგი დავარწმუნე, რომ განსაკუთრებით ვაფასებდით მსოფლიოს უშიშროების საბჭოში საბჭოთა კავშირის მიერ სხვა სახელმწიფოთა მიმართ გამოჩენილ სოლიდარობას და თანამშრომლობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

მეორე დილით პროფესორ კესლერთან გავემგზავრე, რათა კიდევ ერთხელ რუტინული გამოკვლევები ჩამეტარებინა. „ყველაფერი რიგზეა", მითხრა ბოლოს. გულს მომეშვა. 8 აგვისტომ მთლიანად სამსახურებრივი მოლაპარაკებების ნიშნით ჩაიარა; უნდა დასრულებულიყო გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებისა და „ორი პლუს ოთხის" მოსამზადებელი სამუშაოები. ეს მოლაპარაკებები მხოლოდ ბუნდესტაგში მოწვეული ფრაქციის სხდომის გამო შევწყვიტეთ, ხოლო ნაშუადღევს საგარეო საქმეთა კომიტეტის სხდომა შედგა. მომდევნო დღე კი საპარლამენტო დავალებით იყო შევსებული: ჯერ საარჩევნო კანონისადმი მიძღვნილი საგანგებო სხდომა სახელობითი კენჭისყრით, შემდეგ მოსმენა გერმანიის გაერთიანების მოსამზადებელი სამუშაოების თაობაზე, ხოლო ნაშუადღევს კაბინეტის სხდომა.

ლიბერალთა ერთობა

1990 წლის 10 აგვისტო განსაკუთრებული თარიღია: იმ დღეს ჩატარდა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა ჰანოვერში. ჩემი მეუღლეც ჩემთან ერთად გამოემგზავრა. პარტიის ყრილობებში ის, ჩვეულებრივ, მონაწილეობას არ ღებულობდა, მაგრამ ამჯერად ვთხოვე, წამომყოლოდა. ვერ ვგრძნობდი თავს მაინცდამაინც კარგად. ზაფხულში ისე ვერ დავისვენე, როგორც საჭირო იყო, განვლილი წელი დაძაბული გამოდგა და დაღლილობას

ვგრძნობდი, მით უმეტეს, რომ გულის ინფარქტის შემდეგ ვერ გამოვნახე დრო, წესიერად დამესვენა. გულის არიტმია კვლავ მაწუხებდა და შეშფოთებული ვფიქრობდი საბოლოო სიტყვაზე, პარტიის ყრილობაზე რომ უნდა წარმომეთქვა. წინდახედულად მივიქეცი და კათედრის უკან ჩუმად ტაბურეტი დავადგმევინე, იმ შემთხვევისთვის, თუ ფეხზე მდგარი ვეღარ მოვახერხებდი სიტყვის გაგრძელებას. არავითარ შემთხვევაში აღარ უნდა განმეორებულიყო ის, რაც ნორდრაინ-ვესტფალენის სამხარეო საარჩევნო შეკრებაზე მოხდა დიუსელდორფში. ამიტომ ყრილობის მუშაობაში ინტერვალებით ვღებულობდი მონაწილეობას, დრო და დრო ჩვენს ოთახში გავდიოდი და ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი ძალა მომეკრიბა. ჩემდა გასახარად ყველაფერი კარგად დამთავრდა. ისე წარმოვთქვი სიტყვა, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს თავი არ შეუხსენებია.

დაუვიწყარი დღე გამოვიდა. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისა და აღმოსავლეთ გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის შერწყმით მოხერხდა გერმანიაში ლიბერალური პარტიების გაერთიანება სამი ადამიანის — ოტო გრაფ ლამბსდორფის, ბრუნო მენცელის და რაინერ ორტლების თავმჯდომარეობით. ჩვენ გავხდით პირველი საერთოგერმანული პარტია. ძალიან მიხაროდა, რომ ამ ისტორიულ მომენტში ჩვენი თავმჯდომარე ოტო გრაფი ლამბსდორფი იყო; გულითადად მიეულოცე მას ეს. გერმანიის ერთიანობა მისი სანუკვარი მიზანი გახლდათ, და იმ დღეს ჩემთვისაც შეიკრა წრე: 1946 წლის 30 იანვარს მაშინდელ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში გავხდი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრი, და 1952 წლის 20 აგვისტომდე, ვიდრე ჰალედან დასავლეთში წავიდოდი, ამ პარტიას ვეკუთვნოდი, თუმცა 1946 წლის ბოლოდან პარტიულ ცხოვრებაში აღარ ვმონაწილეობდი. როგორც კი ბრემენში ჩავედი, ოქტომბერში თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში შევედი. ამას მე მუდამ გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრობის გაგრძელებად ვთვლიდი, თუმცა იგი დიდი ხანია ლიბერალური პოლიტიკის პრინციპებს დაშორდა, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ: იძულებული შეიქნა დაშორებოდა. ყოველ შემთხვევაში, შეკითხვაზე, რა დროიდან ვეკუთვნი თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას, სულ ასე ვუპასუხებდი: „1946 წლის 30 იანვრიდან“.

ჰანოვერში კიდევ ერთხელ დაიდო ფიცი გერმანული ლიბერა-

ლიზმის პოლიტიკური ერთიანობისთვის: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთგერმანელი ლიბერალების დიდი დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ მათ მოახერხეს დაეძლიათ გერმანული ლიბერალიზმის ისტორიული განხეთქილება. გამოინახა საიმისო ძალა, რომ ომისშემდგომი პერიოდის უაღრესად ურთიერთგანსხვავებული ლიბერალური პარტიები შეეკავშირებინათ და ყველა მათგანისთვის ერთი პოლიტიკური და ორგანიზაციული სამშობლო შეეთავაზებინათ. მართლაც, 1945 წლის შემდეგ პარტია აღარ გახლეჩილა, გადახრებს კი ჰქონდა ადგილი, 1956 წელს მარჯვნივ და 1982 წელს — თუმცა ბევრად უფრო მცირე მასშტაბით — მარცხნივ. ასეთ შემთხვევებში უმეტესწილად საქმე გვქონდა განდგომილთა მიერ ადრევე შეცვლილი პარტიულპოლიტიკური ორიენტაციის ნაგვიანებ აღიარებასთან, რასაც მოსდევდა მათი გადასვლა ან ქრისტიანულ-დემოკრატიულ, ან სოციალ-დემოკრატიულ პოზიციებზე. ლიბერალური პარტია კი მუდამ იმაზე უნდა ზრუნავდეს, რომ მთელი ლიბერალური სპექტრი მოიცვას. თავისუფლებაზე მისი პრეტენზია მრავლისმომცველია, ის არ იძლევა პოლიტიკის ან საზოგადოებრივი სპექტრის გარკვეული სფეროებით შემოზღუდვის საშუალებას. ეს ეხება პასუხისმგებლობის პოსტულატსაც, რომელიც გადაჯაჭვულია თავისუფლების ლიბერალურ პრეტენზიასთან. ვისაც სურს პარტიის მოღვაწეობა გარკვეული პოლიტიკური სფეროებით შემოზღუდოს, ის ზიანს აყენებს ამ პარტიის პრეტენზიას, იყოს თავისუფლების პარტია. და თუნდაც პარტიამ ამ ვითარებაში მოახერხოს თავისი ორგანიზაციული ერთიანობის შენარჩუნება, შესაძლოა მაინც მოხდეს განხეთქილება ქვემოდან, ანუ ელექტორატი გაიხლიჩოს, რაც ზოგჯერ უფრო საშიშია, ვიდრე ორგანიზაციული განხეთქილება. ამიტომ თამამი და თავდაჯერებული პროპაგანდა მრავლისმომცველი ლიბერალური თავისუფლების იდეისა არის შანსი და გამოწვევა — ეს არ გახლავთ შპაგატი, როგორც ხანდახან ამტკიცებენ ხოლმე. ლიბერალთათვის ორ სხვადასხვა თავისუფლებას შორის შპაგატი არ არსებობს.

თავისუფალი დემოკრატიული პარტია, ვითარცა ლიბერალური პარტია, თავისი თვითშეგნების მიხედვით არ შეიძლება ეკონომიკურ ინტერესებზე ორიენტირებული პარტია იყოს, ის უნდა იყოს პარტია თავისუფლებისა, მოქალაქეებისა, პროგრესისა და რეფორმებისა. როგორც კი იგი კლიენტურის ინტერესთა დამცველ პარტიად იქცევა,

პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა – წრე აქაც იკვრება. რაც გენშერისთვის 1946 წელს გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიაში შესვლით დაიწყო და 1952 წელს თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წევრობით გაგრძელდა, 1990 წელს საერთოგერმანული თავისუფალი დემოკრატიული პარტიის შექმნით დაგვირგვინდა.

ის სულიერი თვითშეზღუდვის, მეტიც თვითგაგუდვის გზაზე აღმოჩნდება. მისი ქმედება უნდა განსაზღვროს მხოლოდ მომავლის წინაშე პასუხისმგებლობამ, დაფუძნებულმა კონსტიტუციის პირველი პარაგრაფის მოთხოვნაზე – „ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია“ – ეს გახლავთ პრინციპი, რომელიც ცხოვრების ბუნებრივ საფუძვლებსაც მოიცავს და მომავალ თავისუფლებას ცხოვრების შანსების განმტკიცებით უზრუნველყოფს.

ჰანოვერიდან უკანვე გავფრინდი ბერხტესგადენში. 14 აგვისტოს იქ, ბად რაიხენჰალში, სასტუმრო „შტაიგენბერგერ აქსელმანშტაინში“ მივიღე ისრაელის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ლევი. მასთან, რომელსაც მანამდე არ ვიცნობდი, სასარგებლო საუბარი მქონდა; ღია ცის ქვეშ დავსხედით და ზაფხულის იმ დიდებულ დღეს დაწვრილებით განვიხილეთ გერმანიის დამოკიდებულება ისრაელისადმი. სწორედ გერმანიის მომავალ გაერთიანებასთან დაკავშირებით იძენდა ეს თემა გადამწყვეტ მნიშვნელობას.

16 აგვისტოს კვლავ დავტოვე ბერხტესგადენი, ამჯერად მოსკოვს გასაფრენად. 21 საათზე იქ საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე დამხვდა. ერთად გავემგზავრეთ სასტუმრო სახლისკენ, ასე რომ, გაჩნდა პირველი შესაძლებლობა გულდასმით საუბრისა, აზრთა ურთიერთგაცვლისა, რაც ამასობაში თითქმის ჩვეულებად გვექცა.

ოფიციალური შეხვედრა ხალხმრავალი იყო. ჩვენი მხრივ მონაწილეობდნენ: ელჩი დრ. ბლეხი, მინისტერიალდირექტორი კასტრუპი და მინისტერიალდირიგენტი ჰიოინკი, მინისტერიალ-დირიგენტი იელონეკი, მინისტერიალდირეგენტი ხრობოგი, საელჩოს მომხსენებელი პირველი მრჩეველი ელბე, საელჩოს მომხსენებელი მრჩეველი ნოიბერტი, საელჩოს მრჩეველი შეფერი, თარჯიმნობდა საელჩოს მრჩეველი ჰარტმანი. განიარაღების ექსპერტები, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კარპოვი და ფედერალური მთავრობის რწმუნებული განიარაღების საკითხში, ელჩი ჰოლიკი, ცალკე თათბირობდნენ; ისინი მოგვიანებით შემოგვიერთდნენ.

შევარდნაძემ თავიდანვე განაცხადა, რომ საკითხების ორ-მოცდაათი პროცენტი უკვე მოგვარებული იყო ჩვენი პირისპირ შეხ-ვედრების დროს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მომდევნო დღეებსა და კვირებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის მომავა-ლი ურთიერთობების თვალსაზრისითო. უნდა დავძლიოთ უკანასკნე-ლი დაბრკოლებები, რომლებიც ხელს გვიშლის „ორი პლუს ოთხ-ის“ ფარგლებში მოლაპარაკებებისას. ჯერ ერთი, მოლაპარაკებები „ორი პლუს ოთხი“ 12 სექტემბრისთვის უნდა დამთავრდეს, მეო-რეც, მანამდე ნათელი უნდა მოეფინოს ორმხრივი ურთიერთობის ყველა ასპექტს, და მესამეც, უნდა მოვიფიქროთ, რა წვლილი უნდა შევიტანოთ ევროთათბირის პროცესში, რომ ევროპაში ახალი უსა-ფრთხოების სტრუქტურები შევქმნათ. თანაც დასძინა, ეს პროცესი არ უნდა ჩამორჩეს გერმანიის გაერთიანების პროცესსო. შევარდნა-ძის მოსაზრებები მოლაპარაკების ჩვენეულ კონცეფციასთან თანხ-მობას მოასწავებდა.

მეც აღვნიშნე, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ხელშეკრულების

დადება დათქმულ ვადაში. ოღონდ ეს დოკუმენტი იმ თემებით უნდა შემოიფარგლოს, რომლებიც ერთმანეთთან არის დაკავშირებული; საბჭოთა პროექტში, ჩემი აზრით, ზოგი ისეთი საკითხია შეტანილი, რომლებიც უმჯობესია ორმხრივი ურთიერთობის სფეროში მოგვარდეს-მეთქი.

შემდეგ წამოვჭერი ერთი თემა, რომელსაც ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა: რაკი „ორი პლუს ოთხი" მოლაპარაკებების საბოლოო დოკუმენტი ყველა პარტნიორის მიერ უნდა ყოფილიყო რატიფიცირებული, ამიტომ ხელმოწერასა და რატიფიკაციას შორის ძალაუნებურად დროის გარკვეული შუალედი გაჩნდებოდა. რატიფიკაციასთან ერთად გაუქმდებოდა ოთხი სახელმწიფოს უფლებები, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, ეს უფლებები ხელმოწერის მომენტიდან შეჩერებულ იქნეს, აჯობებს, თუ ამის შესახებ ცალმხრივი დეკლარაციის მეშვეობით განაცხადებენ ომში გამარჯვებული სახელმწიფოები-მეთქი. ამან შევარდნაძე შეაშფოთა: ეს გაართულებს მოსკოვში ხელშეკრულების რატიფიკაციასო. მაგრამ მე დაჟინებით მოვითხოვდი ამას და საამისოდ მტკიცე საფუძველიც მქონდა. ამ უფლებების შეუზღუდავად დატოვება ძალაში შეიძლებოდა მომხიბლავ საბაბად ქცულიყო რატიფიკაციის გასაჭიანურებლად. შევარდნაძემ მიპასუხა, რომ ორ-სამ თვეში ყველაფერი მოგვარდებოდა. გაირკვა, რომ ეს ექვს თვეს მაინც გასტანდა, 12 სექტემბრიდან 15 მარტამდე. თუ ეს ხანმოკლე პერიოდია, ვთქვი მე, მით უფრო ადვილი იქნება უფლებათა შეჩერება.

შემდეგ ცალ-ცალკე განვიხილეთ ხელშეკრულების ღიად დარჩენილი საკითხები, უწინარეს ყოვლისა კი გერმანიის განცხადება მისი შეიარაღებული ძალების შეზღუდვის შესახებ. კვლავაც დაჟინებით მოვითხოვე, ეს განცხადება არამარტო მოლაპარაკებაში მონაწილე ოთხი სახელმწიფოსთვის, არამედ ვენაში მიმდინარე მოლაპარაკებათა მონაწილეებისთვისაც წარგვედგინა. შევარდნაძის შენიშვნას, რომ საამისოდ გამიზნული ჩვენი ტექსტი ისე იყო შედგენილი, თითქოსდა პირობებზე იყო ლაპარაკი, თითქოსდა მის მიხედვით ჩვენ არმიის ზედა ზღვარის საკითხს ვენის მეორე მოლაპარაკებების შედეგს ვუკავშირებდით, მე ვუპასუხე: ეს არ არის ურთიერთკავშირი კანონპროექტთა შორის და არ არის წინაპირობა, არამედ ეს არის მოლოდინი. ჩემმა საბჭოთა კოლეგამ გაიცინა და

თქვა, ამაზე შეიძლება საათობით ვიკამათოთო. ეს დეკლარაცია ვენაში მიმდინარე სხვა მოლაპარაკებებთან კავშირში უნდა განვიხილოთ,— შეეეცადე სხვაგვარი ფორმულირება გამომეყენებინა. ამაზე იგი ბოლოს და ბოლოს დამთანხმდა. გარდა ამისა მე მას ვუთხარი, რომ განზრახული მქონდა, ეს განცხადება ვენაში პირადად ჩამეტანა საგარეო საქმეთა მინისტრ მეკელთან ერთად, თანაც 12 სექტემბრამდე, სავარაუდოდ აგვისტოს ბოლოსათვის. ეს, რასაკვირველია, იქნება საბოლოო საერთაშორისოსამართლებრივი რეგულირების შემადგენელი ნაწილი „ორი პლუს ოთხი" ხელშეკრულების ფარგლებში, მაგრამ მიემართება ვენის განიარაღების მოლაპარაკებებში მონაწილე ყველა ოცდასამ ქვეყანას,— ვთქვი მე.

როცა საბჭოთა შეიარაღებული ძალების გდრ-ის მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხს მივადექით, წამოვაყენე წინადადება ერთობლივი ძალისხმევის შესახებ მათ შორის კარგი ურთიერთობის დასამყარებლად, და ვთქვი, რა თქმა უნდა, მოსკოვის საქმეა, გადაწყვიტოს, როგორი შეიძლება იყოს მისი ჯარების კონტაქტი მოსახლეობასთან. იმაზეც ვილაპარაკე, რომ ვეწვიე ფედერაციულ რესპუბლიკაში განლაგებულ დასავლელ მოკავშირეთა შეიარაღებულ ძალებს; ასეთი რამ შეიძლება დღევანდელი გდრ-ის ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა ჯარების მიმართაც გაკეთდეს-მეთქი. თანაც დავძინე, დასავლეთ გერმანიაში იქ განლაგებულ უცხო ქვეყნის ჯარებსა და მოსახლეობას შორის პარტნიორული ურთიერთობის მრავალი მაგალითი არსებობს, მეგობრული საზოგადოებებიც კი შეიქმნა და იქნებ ჩვენს საგარეო უწყებასა და საბჭოთა საგარეო საქმეთა სამინისტროში ამგვარი ნაბიჯების შესახებაც ვიფიქროთ-მეთქი. ბოლოს და ბოლოს ამჟამად გდრ-ში ნახევარი მილიონი საბჭოთა მოქალაქე ცხოვრობს და ჩვენი სურვილია, ისინი დადებითი ემოციებითა და კეთილი მოგონებებით დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირში. მათი ერთობლივად მონახულებაც არ იქნება ურიგო-მეთქი. შევარდნაძემ მადლობა გადაიხადა და თქვა, უნგრეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან გამოსვლისას კრიტიკული სიტუაციები შეიქმნაო. გარდა ამისა მას ძალიან აწუხებდა შინდაბრუნებულ სამხედროთა ოჯახების მდგომარეობა: ისინი ნაწილობრივ ჯერ კიდევ კარვებში ცხოვრობდნენ, თუმცა ზამთარი კარს იყო მომდგარი. ბევრ ახალგაზრდა უნარიან ოფიცერს არმიის დატოვება სურდა.

მერე ჩვენ კიდევ ერთხელ შევუდექით განსაკუთრებით ძნელი საკითხის განხილვას: ეს გახლდათ 1949 წლამდე მაშინდელ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში გატარებული საექსპროპრიაციო ღონისძიებანი. მე გავიხსენე, რომ ჰიტლერის მიერ ჩამორთმეული საკუთრება — ეს შეეხებოდა უწინარეს ყოვლისა ე.წ. „არიზირების" მიზნით ჩამორთმეულ ქონებას — ფედერაციულმა რესპუბლიკამ სრულად დაუბრუნა პირვანდელ მფლობელებს. საბჭოთა საოკუპაციო ზონაში 1945 წლის შემდეგ მსგავსი რამ არ მომხდარა, ის კი არა, ისე ჩატარდა ექსპროპრიაცია, არავის უკითხავს ამ საკუთრების ადრინდელი ებრაელი ან ნაცისტების მიერ დევნილი სხვა ეროვნების მფლობელების შესახებ. დევნილებს საკუთრება ყველა შემთხვევაში უკანვე უნდა დაუბრუნდეს, მაშინაც კი, როცა ის მეორეჯერ არის ექსპროპრიირებული-მეთქი. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კვიცინსკის შენიშვნაზე, შესაძლებელია ცალკეული შემთხვევები გადაისინჯოსო, მე ვუპასუხე, რომ ძალიან დიდ რაოდენობასთან გვქონდა საქმე. მან განაცხადა, ყველა დანარჩენი, მაშინაც კი, თუ საოკუპაციო-სამართლებრივი ღონისძიებები კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგება, კომპენსაციას მიიღებსო. ამაზე მე ვთქვი: დაზარალებულებს უფლება აქვთ ბოლოს და ბოლოს კონსტიტუციის მე-14 პარაგრაფის მე-3 მუხლზე დაყრდნობით იჩივლონ; ჩვენ კი ჩვენს სასამართლოებს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავავალდებულებთ-მეთქი.

სამუშაოდ იძულებით გამწესებულთა პრობლემა, რომელზეც საბჭოთა ტექსტშია ლაპარაკი, ჩვენი აზრით, „ორი პლუს ოთხის" ხელშეკრულებაში არ უნდა შესულიყო. შევთანხმდით, რომ საკითხს სხვანაირად მოვაგვარებდით.

საკუთრების საკითხთან დაკავშირებით შევარდნაძემ მიპასუხა: მაშინდელი ღონისძიებების მიზან-მიმართულება და კანონიერება უნდა ვაღიაროთ; ახლა ძველი საკითხების ხელახლა წამოჭრის უფლება არა გვაქვსო. ამაზე მე შევეპასუხე, რომ ექსპროპრიაციების გვერდის ავლით შეუძლებელი იქნება მესამე რაიხის უსამართლობათა გამოსწორება. ისე კი დასაშვებია, ყველა იმ შემთხვევაში, როცა საქმე ნაცისტების მიერ დევნილთან არა გვაქვს, კომპენსაცია გაიცეს, როგორც ეს ჩვენი კონსტიტუციის მე-14 პარაგრაფის მე-3 მუხლით არის გათვალისწინებული-მეთქი.

ამით მე მსურდა საერთოგერმანული კანონმდებლისთვის დამეტოვებინა იმის უფლება, თვითონ გადაეწყვიტა, საჭირო იყო თუ არა კომპენსაციის გაცემა და თუ საჭირო იყო, რა სახით და რა რაოდენობით, და ისიც მსურდა, ღიად დამეტოვებინა ჩვეულებრივი სასამართლოებისკენ მიმავალი გზა. შევარდნაძე ამ პოზიციას არ შეწინააღმდეგებია, ოღონდ ხაზგასმით აღნიშნა, ის ღონისძიებები შეუქცევადი უნდა დარჩეს — ისე, როგორც ეს ორივე გერმანიის მთავრობებმა ჯერ კიდევ 1990 წლის 15 ივნისს განაცხადესო.

ექსპროპრიაციებთან მიმართების საკითხი იმ მომენტისთვის პოლიტიკურად დიდი ხნის გადაწყვეტილი იყო, და თანაც ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებათა შედეგად. 1990 წლის 15 ივნისს ფედერაციულმა რესპუბლიკამ და გდრ-მა ერთობლივი განცხადება გააკეთეს, რომელშიც ისინი იმ აზრს გამოხატავდნენ, რომ ის ნაბიჯები „შეუქცევადი უნდა დარჩეს". ეს ქვეყნის შიდა საკითხებზე მომუშავე ორგანოებმა დაადგინეს. საგარეო უწყებამ დასავლელ მოკავშირეებთან შეთანხმებით უარი თქვა 1945 წლამდე ჩატარებული ექსპროპრიაციების საკითხის „ორი პლუს ოთხის" ხელშეკრულებაში შეტანაზე, თუმცა საბჭოთა კავშირი ამას კვლავ და კვლავ მოითხოვდა. ჩემი პასუხისმგებლობით მოხდა, რომ საერთოგერმანული კანონმდებელი და ჩვენი სამართალწარმოება კომპენსაციის საკითხში „ორი პლუს ოთხის" ხელშეკრულებაზე არ აღმოჩნდა მიჯაჭვული. ბოლოს საბჭოთა კავშირი შეურიგდა იმას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ორივე გერმანიის 1990 წლის 15 ივნისის განცხადების შინაარსი ოთხ სახელმწიფოს 1990 წლის 12 სექტემბერს, „ორი პლუს ოთხი" ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს, ერთობლივი წერილით შეატყობინეს. უშუალოდ პარაფირების წინ ედუარდ შევარდნაძემ თავის თანამშრომლებს დაადასტურებინა წერილის მიღება, რაც იმის მაჩვენებელია, თუ რაოდენ არსებითი იყო ეს საკითხი საბჭოთა კავშირისთვის. მხოლოდ ამის შემდეგ მოაწერა ხელი საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა დოკუმენტს.

„ორი პლუს ოთხის" მოლაპარაკებებს არავითარი ცვლილება არ შეუტანია იმ პუნქტებში, რის თაობაზეც ორი გერმანიის განცხადებასა და გაერთიანების ხელშეკრულებაში შეთანხმება იყო მიღწეული. გაერთიანების ხელშეკრულების მე-3 დამატების შინაარსიც

ეს არის: „საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რეს-პუბლიკის მთავრობები ვერ ხედავენ ვერავითარ შესაძლებლობას იმისას, რომ გადაისინჯოს მაშინ გატარებული ღონისძიებები". მა-გრამ საერთოგერმანული კანონმდებლის თავისუფლება ამ საკითხში შენარჩუნებულ იქნა. სამაგიეროდ საბჭოთა კავშირისთვის გადამწ-ყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ თავის საოკუპაციო ზონაში გატარებულ ღონისძიებათა კანონიერების აღიარებას: ყოველგვარ სხვანაირ შეფასებას უარყოფს მოლაპარაკებათა წარმოების საბ-ჭოური წესი და საბჭოური პოზიცია. ჩემი შთაბეჭდილებით, ეს დიდ როლს თამაშობდა აგრეთვე „ორი პლუს ოთხის" ხელშეკრულების რატიფიკაციისას უმაღლეს საბჭოში, რადგან სხვაგვარად ის პრობ-ლემები გაჩნდებოდა, რის საფრთხესაც შევარდნაძე გრძნობდა. ჩვენ მოლაპარაკებებისას ვცდილობდით, კომპენსაციის საკითხი მთლი-ანად გერმანიის კომპეტენციაში დაგვეტოვებინა. გერმანულ სასა-მართლოებს და გაერთიანებული გერმანიის საკონსტიტუციო ორგა-ნოებს უნდა დარჩენოდათ უფლება, გადაეწყვიტათ, გაცემულიყო კომპენსაცია თუ არა, და თუ უნდა გაცემულიყო, რა სახით და რა რაოდენობით. ჩემი შეხედულებით, კომპენსაცია შესაძლებელი იყო ნატურალური ანაზღაურებითაც გაცემულიყო. ოღონდ ამ საკითხზე კოალიციის შიგნით აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა; ვოლფგანგ შოიბლე თავის წიგნში იმის შესახებ, თუ როგორ იქმნებოდა გაერ-თიანების ხელშეკრულება, იხსენებს, რომ თავისუფალი დემოკრატი-ული პარტია კომპენსაციის მომხრე იყო.

ჩვენ იმ აზრისა ვიყავით, რომ მოცემული შესაძლებლობების ფარგლებში მე-14 პარაგრაფი გამოყენებული უნდა ყოფილიყო. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გვეხლო ხელი ახლადაღმოცენებ-ული კერძო საკუთრებისთვის; არც საზოგადოებრივი საჭიროები-სთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთები უნდა დაბრუნებოდა ადრინ-დელ მფლობელებს. მაგრამ არც ის გვინდოდა, გერმანულ სახელმ-წიფოს მაშინდელ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში გატარებულ საექსპროპრიაციო ღონისძიებებიდან ენახა სარგებელი. ყოფილ მფლო-ბელებს უნდა დაბრუნებოდათ ის, რისი თავისუფლად ფლობაც შეიძლებოდა ისე, რომ არ შელახულიყო ახალი საკუთრებითი უფლებები. მე არ ვფიქრობდი პირველ რიგში ფულად ანაზღაურე-ბაზე. ჩემი იდეა იყო, ექსპროპრიირებულთა შორის სამართლიანი

თანასწორობა დამემყარებინა, ვინაიდან საკუთრების უკან დაბრუნების შესაძლებლობა სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებული იყო. შინა დისკუსიებზე მე ვამბობდი: „საუკეთესო ინვესტორი არის მესაკუთრე". ამ საკითხთან დაკავშირებით კოალიციაში ჩვენი ვერ გავიტანეთ, როგორც კორექტულად მოგვახსენებს ვოლფგანგ შოიბლე.

ექსპროპრიირებულთა წარმომადგენლების მიერ დიტერ კასტრუპის მიმართ გამოთქმული საყვედურები დაუსაბუთებელია. პირიქით, სწორედ კასტრუპის დიდი დამსახურებაა, ექსპროპრიაციის საკითხი „ორი პლუს ოთხის" ხელშეკრულებაში რომ არ შევიდა და კომპენსაციის გაცემის უფლება საერთოგერმანული კანონმდებლობის ხელში დარჩა. როცა 1994 წელს შეტევები განმეორდა, მე ვრცელ განცხადებაში განვმარტე საქმის ვითარება. სხვათა შორის, 1994 წლის 7 სექტემბერს სიტყვასიტყვით დაადასტურა ჩემი ნათქვამი მიხეილ გორბაჩოვმაც.

„გადამდგარი ფედერალური მინისტრის ჰანს-დიტრიხ გენშერის განმარტება 1945 წლიდან 1949 წლამდე იმდროინდელ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში ჩატარებული ექსპროპრიაციების შესახებ გამართული დისკუსის გამო:

საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის მთავრობებმა გერმანიის გაერთიანების თაობაზე 1990 წლის მოლაპარაკებებში ვერ გამონახეს ვერავითარი შესაძლებლობა 1945 წლიდან 1949 წლამდე საოკუპაციოსამართლებრივ ან საოკუპაციოსუვერენულ საფუძველზე ჩატარებული ექსპროპრიაციების რევიზიისათვის. ეს დადასტურებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და გდრ-ის მთავრობათა 1990 წლის 15 ივნისის ერთობლივი განცხადებით. ორივე გერმანული მთავრობა მაშინ — ესეც ასახულია განცხადებაში — იმ გადაწყვეტილებამდე მივიდა, რომ ეს ექსპროპრიაციები „შეუქცევადია". 1990 წლის 15 ივნისის ერთობლივი განცხადება გახდა შემადგენელი ნაწილი 1990 წლის 31 აგვისტოს გაერთიანების თაობაზე დადებული ხელშეკრულებისა. მათი შედეგები გაერთიანების ხელშეკრულების მეშვეობით აისახა კონსტიტუციის 143-ე პარაგრაფში.

ამ განცხადებაში ექსპროპრიაციის საკითხში საბჭოთა პოზიციის სწორად გადმოცემა „ორი პლუს ოთხის" მოლაპარაკებისას და ამ

მოლაპარაკების მომზადების პერიოდში ამ დღეებში დადასტურებულ იქნა მოლაპარაკებათა მაშინდელი ხელმძღვანელის კვიცინსკის და სხვა ყოფილი საბჭოთა დიპლომატების მიერ.

1990 წლის 15 ივნისის განცხადებაში რომ სწორად არის გადმოცემული საბჭოთა პოზიცია, ადასტურებს აგრეთვე ყოფილი საბჭოთა პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი. ჟურნალ „შპიგელის" 1994 წლის 5 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში იგი აცხადებს: „ფედერაციული რესპუბლიკისა და გდრ-ის მთავრობათა 1990 წლის 15 ივნისის ერთობლივ განცხადებაში ჩვენს პოზიციას ღიად დარჩენილი ქონებრივი საკითხების მოგვარების საქმეში ანგარიში გაეწია". ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მას მოაქვს სათანადო ადგილები 1990 წლის 15 ივნისის განცხადებიდან.

გდრ-ის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა დე მეზიემ და ყოფილი გდრ-ის სხვა პოლიტიკოსებმაც ასევე დაადასტურეს 1990 წლის 15 ივნისის განცხადებაში მოყვანილ დებულებათა სისწორე.

1945-1949 წლების ექსპროპრიაციათა საკითხი 1990 წელს მოლაპარაკებათა ორ სხვადასხვა არხზე განიხილებოდა:

1. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გდრ-ს შორის. აქ ეს პრობლემები 1990 წლის 15 ივნისის განცხადებით გადაიჭრა. ამ მოლაპარაკებებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხრივ შიდა საკითხების მოგვარებით დაკავებული ორგანიზაციები წარმართავდნენ.

2. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის, აგრეთვე „ორი პლუს ოთხის" მოლაპარაკებათა ფარგლებში. აქ მოლაპარაკებას საგარეო უწყება წარმართავდა.

აშშ-თან, დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან თანხმობით საგარეო უწყებამ უარი თქვა 1945-1949 წლების ექსპროპრიაციის საკითხის „ორი პლუს ოთხის" ხელშეკრულებაში შეტანაზე. ამას კვლავ და კვლავ დაჟინებით მოითხოვდა საბჭოთა კავშირი. მან თავისი პოზიცია საკუთრების საკითხთან დაკავშირებით იმ დოკუმენტებშიც გამოხატა, რომლებიც მოხსენებულნი არიან ფედერ-

ალური მთავრობის 1994 წლის 2 სექტემბრის დოკუმენტაციაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს მიერ 1990 წლის 27 მარტს გავრცელებული განცხადება საბჭოთა მთავრობისა გდრ-ის მთავრობის მიერ საკუთრების საკითხზე მიღებული დადგენილებების შესახებ, და აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრის შევარდნაძის განცხადება, გაკეთებული 1990 წლის 5 მაისს „ორი პლუს ოთხის" პირველ პრესკონფერენციაზე, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრებმა გამართეს. გერმანია-საბჭოთა კავშირის იმდროინდელ ორმხრივ მოლაპარაკებებზეც განიხილებოდა ეს თემა, დელეგაციის მეთაურ დრ. კასტრუპისა და ელჩ კვიცინსკის დონეზე, და რამდენჯერმე საგარეო საქმეთა მინისტრ შევარდნაძესა და ჩემ შორისაც იყო ამაზე მსჯელობა.

საბჭოთა კავშირი ბოლოს და ბოლოს შეეგუა იმას, რომ ამ საკითხზე არ იქნებოდა ლაპარაკი „ორი პლუს ოთხის" ხელშეკრულებაში, მაგრამ მოითხოვა, რომ 1990 წლის 15 ივნისის განცხადების სათანადო შინაარსი 1990 წლის 12 სექტემბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის და გდრ-ის პრემიერ-მინისტრ დე მეზიეს (რომელიც იმ დროს გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრიც იყო) მიერ ხელმოწერილი ერთობლივი წერილით ეცნობებინათ ოთხი სახელმწიფოს მთავრობებისთვის. წერილის თარიღი და შინაარსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ 1945-1949 წლებში მაშინდელ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში ჩატარებული ექსპროპრიაციების საკითხი „ორი პლუს ოთხი" მოლაპარაკებების ბოლო წუთამდე მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა კავშირისთვის. ეს შეესაბამება საბჭოთა პოზიციას მოლაპარაკებათა მთელ მანძილზე.

1990 წლის 12 სექტემბრის წერილი იმას იტყობინება, რაც ფედერალურმა მთავრობამ უკვე 1990 წლის 15 ივნისს მაშინდელ გდრ-ის მთავრობასთან ერთად დაადგინა ორ გერმანიას შორის მოლაპარაკებებისა და საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის პოზიციათა გათვალისწინების შედეგად.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოთხოვნა, რომ საერთოგერმანულ პარლამენტს შეუნარჩუნდეს უფლება, გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება შესაძლო სახელმწიფო კომპენსაციათა თაობაზე, განმტკიცებულია 1990 წლის 15 ივნისის დეკლარაციით.

ამით საერთოგერმანულ კანონმდებელს მიეცა უფლება ამგვარი საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისა“. და ეს იყო მთავარი.

1990 წლის 16-17 აგვისტოს მოსკოვში ჩემი ვიზიტისას ცხადი გახდა, რომ საბჭოთა კავშირს სურდა 12 სექტემბრამდე მისულიყო საბოლოო შედეგამდე. სხვა თემებზეც მოვახერხეთ შეთანხმება: იმ მოლაპარაკებების პარალელურად, რომლებსაც პრემიერ-მინისტრის მოადგილე ფედერალურ მინისტრ ვაიგელთან აწარმოებდა, უნდა შემდგარიყო მოლაპარაკებები ეკონომიკის მინისტრ ჰაუსმანთანაც, და თანაც 24 აგვისტოს. ოღონდ შევარდნაძე კვლავ დაუბრუნდა საზავო ხელშეკრულების საკითხს: სულ კომპრომისებზე მივდივართ, საზავო ხელშეკრულების ცნებაზე ასე უბრალოდ ვერ ავიღებთ ხელსო. ეს მე უარვყავი როგორც მიუღებელი, მით უმეტეს, რომ ოტავაში „ორი პლუს ოთხის“ ჩარჩოს შესახებ მიღწეული შეთანხმებით ეს პრობლემა პრინციპულად უკვე გადაწყდა და საკითხის ამგვარი რეგულირება რომ გამორიცხული იყო, ბოლოს ეს 1990 წლის 17 ივლისს „ორი პლუს ოთხი“ შეხვედრის ყველა მონაწილემ ცხადად დაადასტურა.

ხუთშაბათს, 30 აგვისტოს, ვენაში გავფრინდი, რათა იქ ჩამებარებინა შეპირებული განცხადება გერმანული შეიარაღებული ძალების შეზღუდვის თაობაზე. გდრ-დან ჩამოვიდა არა საგარეო საქმეთა მინისტრი მეკელი, როგორც თავიდან იყო განზრახული — ამასობაში სოციალ-დემოკრატები გდრ-ის მთავრობას ჩამოაშორეს — არამედ პრემიერ-მინისტრი დე მეზიე, რომელმაც გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, გაერთიანებამდე საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიც შეითავსა. ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთ ოთახში ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ ერთად შევედით საკონფერენციო დარბაზში — მარტო ამის გამოც არაჩვეულებრივი გრძნობა დაგვეუფლა. ერთმანეთის გვერდით დავსხედით ჩვენი დელეგაციის მაგიდასთან, პროტოკოლური თანმიმდევრობის შესაბამისად. კვადრატულად დაწყობილი მაგიდების ირგვლივ ისხდენენ სხვა დელეგაციათა ხელმძღვანელებიც. მოგვცეს სიტყვა.

ჩემს გამოსვლაში გავიხსენე საგარეო საქმეთა მინისტრ შევარდნაძის სიტყვები, წარმოთქმული 1989 წლის დამდეგს, მოლაპარაკებების დაწყებისას — ახლა ჩვენ ევროპის განხეთქილების

დაძლევას ვიწყებთო. ეს ნათქვამი, — დავძინე მე, — დრამატულად მართალი გამოდგა: ევროპა თავისი ისტორიის ახალი ფაზის ზღურბლზე დგას. იგი ცდილობს კვლავ მოიპოვოს თავისი ერთიანობა და იდენტურობა; თავისუფლების, ადამიანისა და მოქალაქის უფლებების, სამართლებრივი სახელმწიფოსა და პლურალისტური დემოკრატიის პრინციპების აღიარება იქცა გამაერთიანებელ ფაქტორად. კიდევ ერთხელ ჩამოვაყალიბე ჩვენი აქტიური თანამონაწილეობით ევროპაში მომხდარი ცვლილებების ფილოსოფიური არსი, ვილაპარაკე გერმანული საკითხის ევროპული განვითარების პროცესისადმი მორგების შესახებ. ეს იყო ის საფუძველი, რის გამოც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შემავალ ქვეყანათა სახელმწიფო და მთავრობის მეთაურებმა წინადადება წამოაყენეს, შეცვლილი თვითცნობიერება ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოთა ერთობლივი დეკლარაციით გამოგვეხატა.

გერმანიის მომავალი გაერთიანება, — განვაგრძე მე, — იქნება ისტორიული მნიშვნელობის ცეზურა არამარტო ჩვენთვის, გერმანელებისთვის, არამედ მთელი კონტინენტისთვის. ევროპული განხეთქილების დაძლევასა და გერმანიის გაერთიანებას შორის განუყოფელი ურთიერთკავშირი არსებობს. მე გავიხსენე ფრანგი პოეტისა და დიპლომატის პოლ კლოდელის სიტყვები, 1945 წელს თქმული: „გერმანია იმისთვის როდი არსებობს, რომ ხალხები დააშორიშოროს ერთმანეთს, არამედ იმისთვის, რომ სხვადასხვა ერებს, მას რომ ერტყმიან გარშემო, აგრძნობინოს — მათ უერთმანეთოდ ცხოვრება არ შეუძლიათ“. ჩვენი კონსტიტუცია ჩვენ გვავალებს, გაერთიანებულ ევროპაში მსოფლიოს მშვიდობას ვემსახუროთ; ამით ჩვენ ძალის პოლიტიკის ნაცვლად პასუხისმგებლობის პოლიტიკას ვირჩევთ. ბოლოს წავიკითხე ჩვენი განცხადება შეიარაღებული ძალების შეზღუდვის თაობაზე: „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს, გაერთიანებული გერმანიის შეიარაღებული ძალები სამი-ოთხი წლის განმავლობაში 370 ათას კაცამდე (სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალები) შეამციროს. ეს შემცირება ევროთათბირის პირველი ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე უნდა დაიწყოს. ამ საერთო ზედა ზღვრის ფარგლებში სახმელეთო და საჰაერო შეიარაღებულ ძალებში 345 ათას კაცზე მეტი არ იქნება, ანუ ლაპარაკია ჯარის იმ სახეობებზე,

რომლებიც შეთანხმების თანახმად ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების თაობაზე მოლაპარაკების საგანს წარმოადგენენ". მე დავამატე: „ფედერალური მთავრობა სახმელეთო და საჰაერო შეიარაღებული ძალების შემცირების ამ თავის ვალდებულებას მიიჩვენს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შემცირების საქმეში გერმანიის მიერ შეტანილ მნიშვნელოვან წვლილად". და ახლა დადგა ჯერი გადამწყვეტი ფრაზისა, რომელიც ჩვენს ამ ნაბიჯს უფრო ფართო ევროპული ურთიერთდამოკიდებულების კონტექსტში წარმოაჩენდა: „ფედერალური მთავრობა იქიდან ამოდის, რომ შემდგომი მოლაპარაკებებისას ამ მოლაპარაკებათა სხვა მონაწილეებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ ევროპაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში, შეიარაღებულ ძალთა შემადგენლობის შემზღუდავ შეთანხმებათა მიღების ჩათვლით". ამგვარად გადავეცით ჩვენი ვალდებულების შემცველი განცხადება ვენის კონფერენციას, მართალია იგი არ ჩაითვალა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების თაობაზე მოლაპარაკების ნაწილად, როგორც მე მქონდა თავიდან ჩაფიქრებული, მაგრამ ეს გადაცემა მაინც კონფერენციის ფარგლებში მოხდა. და იგი შეფასდა როგორც ევროპაში შეიარაღებულ ძალთა საერთო შემცირების გზაზე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ერთი მხრივ ეს იყო განიარაღების იმპულსი მთელი ევროპისათვის; მეორე მხრივ ამით მოხერხდა პრობლემის იმგვარად მოგვარების თავიდან აცილება, რომელსაც გერმანიის დისკრიმინაციისა და ამავე დროს მისი. განმხოლოების ელფერი დაჰკრავდა.

მაგრამ მე მარტო ამ საკითხის მოგვარება როდი მაინტერესებდა. მე მსურდა ჩემს სიტყვაში ჩამომეყალიბებინა ჩვენი წარმოდგენებიც ვენის მოლაპარაკებათა განგრძობის თაობაზე. ამიტომ მოვითხოვე ევროპაში სამხედრო სტაბილურობის კონცეფციის შემუშავება ნდობისა და უსაფრთხოების განმამტკიცებელ ღონისძიებათა წინ წამოწევის მეშვეობით. ამას მოვაყოლე ევროთათბირის მხარდასაჭერი სიტყვები და მას „სტაბილურობის ჩარჩო" ვუწოდე. ახლა საჭიროა, — ვთქვი მე, — ამ ჩარჩოს ინსტიტუციური გაფართოება და განმტკიცება. საჭიროა ევროთათბირის ახალი ინსტიტუტების შექმნა, რომლებშიც შესაძლებელი იქნება წევრ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების ერთობლივად განხილვა და მათი აღმოფხვ-

რა, საჭიროა ევროთათბირის სამიტების პერიოდულად მოწვევა, მინისტრთა სისტემატური შეხვედრები, კონფლიქტთა თავიდან აცილებისათვის გამიზნული ევროთათბირის მუდმივი ცენტრის ფორმირება და სხვა ქმედითი ორგანიზაციების ჩამოყალიბება; ეს ყოველივე უნდა შევიდეს ევროთათბირის ნოემბრის სამიტის დღის წესრიგში-მეთქი. მას შემდეგ, რაც წევრმა სახელმწიფოებმა ეს განცხადება დიდი ენთუზიაზმით მიიღეს, პრემიერ-მინისტრმა დე მეზიემ გდრ-ის პოზიცია წარმოადგინა. გადაგმულ იქნა შემდგომი გადამწყვეტი ნაბიჯი გერმანიისა და ევროპის ერთიანობის გზაზე.

აგვისტოს ბოლოს მოვიდა ედუარდ შევარდნაძის წერილი, საიდანაც იგრძნობოდა ის გასაჭირი, საბჭოთა ხელმძღვანელობას რომ დაადგა მას შემდეგ, რაც ძველმა სტრუქტურებმა მოვლენათა განვითარების მთელი მნიშვნელობა გაიცნობიერეს. საბოლოო ანგარიშით ეს იყო საბჭოთა მხარისთვის სასურველი კორექტივების ნუსხა. ჩვენი შეფასება, რომ გორბაჩოვი და შევარდნაძე ვიწრო ბილიკზე მოძრაობდნენ, მართებული ჩანდა.

დასავლეთში ხშირად მხედველობიდან უშვებდნენ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: ჯერ ხელმოწერილი არ იყო „ორი პლუს ოთხის" დოკუმენტი და მოსკოვისგან უკვე თხოულობდნენ ახლებური აზროვნების დამადასტურებელ შემდგომ მაგალითებს. მოელოდნენ, რომ სპარსეთის ყურის კრიზისში მოსკოვი დასავლეთის მხარეს დაიჭერდა და თავისი ძველი პარტნიორის სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ გამოვიდოდა, და გორბაჩოვმა და შევარდნაძემ ეს მოლოდინი გაამართლეს — საკუთარი პრინციპებიდან გამომდინარე. მათ სურდათ ხელი აეღოთ წარსულის ძალისმიერ პოლიტიკაზე. დასავლური საზოგადოება კი, მათ შორის მრავალი პერსონა გერმანიაშიც, როგორც მე ვაფიქსირებდი სულ უფრო მზარდი შეშფოთებით, ანგარიშს არ უწევდა იმ გარემოებას, რომ „ორი პლუს ოთხის" ხელშეკრულებაც და მოსკოვის რეაქციაც სპარსეთის ყურის კრიზისზე არსებითი საბჭოური პოზიციების დათმობის ტოლფასი იყო. უნარი იმისა, რომ შეგეძლოს თავი ჩააყენო მოპირისპირე მხარის მდგომარეობაში — მოწინააღმდეგე იქნება ეს, მტერი თუ პარტნიორი — შეუცვლელი უნარია, თუკი გსურს მართებულ დასკვნებამდე მიხვიდე.

შევარდნაძის წერილში შემოთავაზებული კორექტივები უპირველეს ყოვლისა საბჭოთა ჯარების გაყვანის ვადებს შეეხებოდა — სამი-ოთხი წელი კი არა, ხუთი-ექვსი წელი იქნება უფრო რეალისტური ვადაო. გარდა ამისა ხელშეკრულებაში უსაფრთხოების საკითხის მოსაგვარებელი დამატებითი საშუალებები უნდა შევიტანოთო. ეგრეთ წოდებული სასაზღვრო ხელშეკრულებაც იყო ნახსენები. დოკუმენტის ხელმოწერისა და რატიფიცირების თარიღის შესახებ ასევე დამატებითი მოლაპარაკებებია საჭიროო.

მე მივხვდი, რომ საბჭოეთი შინ შექმნილი სიძნელეების გამო „ორი პლუს ოთხის" ხელშეკრულების ხელმოწერის წინ სასაზღვრო შეთანხმების შესრულების გარანტიებს მოითხოვდა. რატიფიცერებამდე ამ საკითხში შემდგომი პროგრესისთვის უნდა მიგვეღწია. გერმანული მოსაზრება, სხვა თანმიმდევრობით გვემოქმედა, დაუსაბუთებელი მეჩვენებოდა, მით უფრო, რომ პოლონეთის მთავრობასაც ის ერჩია, თუკი შეთანხმებას „ორი პლუს ოთხის" მოლაპარაკებების დასრულებამდე მოეწერებოდა ხელი. ეს კი გერმანულ მხარეს უქმნიდა პრობლემებს.

ამიტომ ყველაფერი უნდა მეღონა, რათა გერმანია-პოლონეთის სასაზღვრო ხელშეკრულების ისტორიული ღირებულება მის გამო ატეხილი კამათით არ გაგვეუფასურებინა. ის მეტი იყო, ვიდრე გერმანული ერთიანობის საფასური: თუმცა სწორი რჩებოდა ის აზრი, რომ გაერთიანება საზღვრის ცნობის გარეშე ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ ამავე დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიჩქმალულიყო ამ მოვლენის მორალურ-ისტორიული განზომილება. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც პოლონელი, ასევე გერმანელი ხალხისთვისაც. ბოლოს და ბოლოს 1990 წელს ჩვენ ერთიანობას აღმოსავლეთ ტერიტორიებში არ ვცვლიდით — ეს მიწები უკვე წააგო ორმოცდახუთი წლის წინ დამნაშავე ხელისუფლებამ თავისი დანაშაულებრივი პოლიტიკით.

მომდევნო კვირების განმავლობაში კვლავ დიტერ კასტრუპს მოუწია ძირითადი სამუშაოს შესრულება. კიდევ ერთხელ დასჭირდა მას აემოქმედებინა თავისი მაღალი კვალიფიკაცია და ნდობის ის დიდი კაპიტალი, რაც მას თავის კოლეგებში ჰქონდა მოპოვებული. სამინისტროს თათბირებზე თუ ვიწრო წრეში კვლავ და კვლავ განხილვის საგანი იყო კასტრუპის მიერ წარმართული მოლაპარ-

აკებები. ნანატრი დღე მოსკოვს გამგზავრებისა, რომელსაც „ორი პლუს ოთხის“ პროცესისთვის უნდა დაესვა წეტილი, სულ უფრო ახლოვდებოდა.

მთელი მსოფლიოდან გვეხმიანებოდნენ ჩვენი მეგობრები და ამ ბოლო ეტაპზე წარმატებას გვისურვებდნენ. კვირას, 9 სექტემბერს, როცა შინ საწერ მაგიდას ვუჯექი, ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გუჯრალმა დამირეკა და ყოველგვარი სიკეთე მისურვა.

ერთი დღის შემდეგ ჯეიმს ბეიკერი ნატოს წევრებს ბრიუსელში ამერიკა-საბჭოთა კავშირის უმაღლესი დონის შეხვედრის შესახებ მოახსენებდა, რომელიც წინადღით გაიმართა ჰელსინკიში. ამ შეხვედრაზე უპირველეს ყოვლისა სპარსეთის ყურეში წარმოქმნილი კრიზისის დასაძლევად ორივე ზესახელმწიფოს ურთიერთთანამშრომლობის საკითხი განიხილებოდა, მაგრამ ბეიკერმა და შევარდნაძემ მოსკოვის მომავალ შეხვედრაზეც ისაუბრეს. ჰელსინკის კონფერენციაზე გამეფებული კარგი კლიმატი, რაც ხაზგასმით აღნიშნა ამერიკელმა, იმედიანად განმაწყობდა დამაგვირგვინებელი შეხვედრის წინ. როცა ბეიკერი ნატოს შტაბბინაში მოხსენებით გამოდიოდა, მე კვლავ გამექცა ფიქრები. სადამ ჰუსეინის თავდასხმამ ქუვეითზე დაგვანახა, რომ მოლაპარაკებათა პროცესს შესაძლოა საფრთხე დამუქრებოდა, რომლის წინაშეც ჩვენ ვერაფერს გავაწყობდით. თავიდანვე რომ ტემპის აჩქარებას მოვითხოვდით, ეს სწორი გამოდგა.

10 სექტემბრის საღამოს შევარდნაძეს დავურეკე, რომელიც უკვე მოსკოვში იმყოფებოდა. ჩვენ განვიხილეთ უკანასკნელი ღიად დარჩენილი საკითხები, და თუმცა, როგორც მოსალოდნელიც იყო, ამ საუბარმა ნათელი ვერ მოჰფინა სადავო თემებს, მაგრამ მაინც გამოიკვეთა ერთგვარი დაახლოება და რწმენა, რომ მოსკოვში შესაძლებელი იქნებოდა შეთანხმება.

შებრკოლების ლოდი ბოლო წუთზე

1990 წლის 11 სექტემბერს საბჭოთა დედაქალაქში გავფრინდი. როცა ადგილობრივი დროით 15 საათზე თვითმფრინავიდან გამოვედი, კასტრუპისა და ელბეს შეწუხებულ სახეებს შევეფეთე. მათ

გამაფრთხილეს, რომ ბოლო წუთზე მაინც წარმოქმნილა სირთულეები ხელშეკრულების ერთ ფორმულირებასთან დაკავშირებით. საქმე ეხებოდა მე-5 პარაგრაფის მე-3 მუხლს, ანუ იმას, შეიძლებოდა თუ არა გდრ-ის ტერიტორიაზე საბჭოთა შეიარაღებული ძალების გასვლის შემდეგ — მანამდე ეს, ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა — მათი ადგილი ნატოს ქვეყნების ჯარებს დაეკავებინა. მითხრეს, შევარდნაძესთან საუბარში ეს საკითხი დიდ როლს ითამაშებსო.

შევარდნაძე გულითადად მომესალმა და მომიბოდიშა იმის გამო, რომ ჩვენი შეხვედრა დათქმულ დროზე გვიან შედგა. უმაღლეს საბჭოში გამოვედი სიტყვით და მერე დეპუტატების შეკითხვებზე მომიწია პასუხის გაცემაო. მისი სიტყვით, კასტრუპის, კვიცინსკისა და ბონდარენკოს მოლაპარაკებებში ყველა პრობლემა სათანადოდ გაირკვევა. ერთი წლის წინ თანამედროვე განვითარების პროცესის ასეთ ბუნებრივ ზრდას — ეს გამოთქმა იხმარა მან — ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, და ეს მაშინ, როცა გერმანული საკითხი მუდამ არსებობდა და საბჭოთა მხარემაც იცოდა, რომ იგი ოდესმე უნდა გადაჭრილიყო. კარგია, დასძინა მან, რომ პოლიტიკური ძალისხმევა ამ პროცესს არ ჩამორჩა.

ეს მოვლენები არავითარ შემთხვევაში არ არის საბჭოთა კავშირისთვის გარედან თავსმოხვეული, — ასეთი კომენტარი გავუკეთე მე მის ნათქვამს. თქვენ თვითონ შეიტანეთ წვლილი ამაში, რისი დასტურიც არის თქვენი სიტყვა, წარმოთქმული 1989 წლის დამდეგს ვენაში გამართულ ევროთათბირის კონფერენციაზე-მეთქი. მაშინ თქვენ ბრძანეთ, რომ რკინის ფარდა ჟანგდება და რამდენიმე თვის შემდეგ უნგრეთმა კიდევაც გახსნა თავისი საზღვრები. მოვლენების დინამიკური განვითარება არც ხვალინდელ დღეს შეწყდება: ახლა ჩვენი ვალია განვაგრძოთ პოზიტიური განვითარება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა 12 სექტემბრის მომდევნო დღესვე ორმხრივი ურთიერთობის ხელშეკრულების პარაფირება მოახდინონ — ეს მრავლისაღმთქმელი სიგნალი იქნება-მეთქი. შევარდნაძემ თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და აღნიშნა, ყველასათვის, მათ შორის თქვენთვისაც და ჩემთვისაც, ამ პროცესში მონაწილეობა დიდი პატივია, მით უმეტეს, რომ ჩვენ პრობლემების გადაჭრის გზები მოვნახეთო. ახლებური ურთიერთო-

ბა დამყარდება გაერთიანებულ გერმანიასთან — როგორც მან თქვა —, ერთიან ერთან. მისი სიტყვით, გაერთიანების საგარეო ასპექტები მოგვარებული იყო და მას იმედი ჰქონდა, საგარეო საქმეთა მინისტრებს საკამათო საკითხები აღარ ელოდათ, თუმცა ისიც მითხრა, ჩემი თანამშრომლები რთული ხალხია, ისე დამჯერენი არ არიან, როგორც თქვენებიო. ამით, ეტყობა, იმაზე მიმანიშნა, რომ კომპრომისებისა და კონცესიების საკითხში მას მისი მრჩეველები პრობლემებს უქმნიდნენ, მაშინ როცა აშკარად შემჩნეული ჰქონდა სრული თანხმობა კასტრუპსა და ჩემ შორის. მან სიტყვა კვიცინსკის გადასცა.

კვიცინსკიმ განაცხადა, დიდი ბრიტანეთი, აგრეთვე აშშ და საფრანგეთიც დაჟინებით მოითხოვენ იმის უფლებას, რომ ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე მანევრები და სამხედრო წვრთნები ჩაატარონ. საბჭოთა კავშირი სავსებით მზად არის, მონაწილეობა მიიღოს სათანადო ფორმულირების შემუშავებაში. დიდი ბრიტანეთი მოითხოვს საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებას იმის თაობაზე, რომ მოკავშირეთა მანევრები, თუ მასში 13 ათას კაცზე ნაკლები მონაწილეობს, დასაშვებია. ეს არ შეესაბამება იმ მორიგებას, რაც ფედერალურ კანცლერსა და გორბაჩოვს შორის მოხდა არხიზში, ამიტომ ახლა ეს საკითხი საგარეო საქმეთა მინისტრებმა უნდა გადაწყვიტონო. მე ვუპასუხე: რაც შეეხება მე-5 პარაგრაფის მე-3 მუხლს, საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეიკერმა მიამბო, რომ მის შესახებ საუბარი ჰქონია შევარდნაძესთან. ამის მიხედვით საბჭოთა კავშირი აშკარად იმით არის დაინტერესებული, რომ დიდი მანევრები გამოირიცხოს, ამიტომ ვაშინგტონში ისეთი წარმოდგენა შეექმნათ, თითქოს სამხედრო წვრთნები, თუ მასში 13 ათას კაცზე ნაკლები მიიღებს მონაწილეობას, დასაშვებია. პრეზიდენტ გორბაჩოვის და ფედერალური კანცლერის მიერ კავკასიაში გაკეთებული განცხადებები მთლად იდენტურნი არ არიან; და მაინც შესაძლებელი იქნება გამოსავლის პოვნა, — ვთქვი მე. კითხვა ასე დაისმის: 1994 წლის შემდეგ, ანუ საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ და მას შემდეგ, რაც გერმანიას კარგა ხნის მოპოვებული ექნება სრული სუვერენიტეტი, ვინ შეიძლება გადაწყვიტოს, დასაშვებია თუ არა ასეთი მანევრების ჩატარება მოკავშირეთა მონაწილეობით: ამას ვერ გადაწყვეტს ვერც დიდი ბრიტანეთი, ვერც საფრანგეთი, ვერც აშშ და ვერც საბჭოთა კავშირი, ეს შეიძლება გადაწყვიტოს მხოლოდ გაერ-

თიანებულმა გერმანიამ. დასკვნითი დოკუმენტის პრეამბულაში,— გავიხსენე მე,— მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ გასათვალისწინებელია თითოეულის უსაფრთხოების ინტერესები. ფედერალური მთავრობა ამ საკითხს გონივრულად და პასუხისმგებლობის გრძნობით გადაწყვეტს, და მე მზადა ვარ, განცხადება გავაკეთო იმის შესახებ, თუ როგორ ესახება ჩვენს მხარეს ამგვარი საკითხის მოგვარება.

შევარდნაძემ და კვიცინსკიმ ამის შემდეგ რამდენიმე ფორმულირება განიხილეს. ბოლოს საგარეო საქმეთა მინისტრმა შემოგვთავაზა, საერთოდ ნუ ვახსენებთ ცნება „მანევრს"; ის მხოლოდ აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევსო. და შემოგვთავაზა: მარტო ისა ვთქვათ, რომ ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე არ შეიძლება უცხო ქვეყნის ჯარი განლაგდეს და გადაადგილდეს.

მე განვმარტე, დასაშვებია თუ არა მცირე მანევრები, ეს გერმანიის გადასაწყვეტია, პრეამბულაში გამოთქმული აზრის გათვალიწინებით. აქ შევარდნაძესა და ჩემ შორის აზრთა ხანგრძლივი შეხლა-შემოხლა გაიმართა, რომლის დროსაც მე ვთქვი, რომ მომავალს ნდობის თვალით უნდა შევხედოთ: უკვე ხუთი წლის შემდეგ დღევანდელი დისკუსია შესაძლოა გაუგებარიც გახდეს-მეთქი. შევარდნაძემ კი კიდევ ერთხელ გაიხსენა ფედერალური კანცლერის განცხადება. ამის საპასუხოდ მე განვმარტე: კანცლერი იმაზე ლაპარაკობდა, რომ ამ ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარები არ შეიძლება გადაადგილდეს-მეთქი.

სახიფათო მეჩვენა, ახლა კიდევ ერთხელ ჩაებმულიყავი დისკუსიაში ხელშეკრულების ტექსტის ფორმულირებათა გამო. ამიტომ ძალიან მტკიცედ ვთქვი: მე-5 პარაგრაფის მე-3 მუხლის ტექსტი ისე უნდა დარჩეს, როგორც არის. მაგრამ შესაძლებელია, მოლაპარაკების მაგიდასთან გავაკეთოთ განცხადება ოქმში შესატანად, ასეთი შინაარსისა: ფედერალური მთავრობა ამ განსაზღვრების ინტერპრეტირებისას პრეამბულის მოთხოვნის შესაბამისად გაითვალისწინებს ყველა მონაწილის უსაფრთხოების ინტერესებს და გადაწყვეტილების მიღების დროს გონივრულად და პასუხისმგებლობის შეგნებით იმოქმედებს. ჩანდა, რომ შევარდნაძისთვის ეს აზრი მისაღები იყო. მზად ვარ, ეს ხვალ საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომაზე განვაცხადო,— აღარ დავახანე მე. ამით გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ გვრჩებოდა, და

არც კატეგორიულად გამოირიცხებოდა ყოველგვარი მანევრი.

რათა აღარ გამეგრძელებინა საუბარი, რომელმაც ჩემ მიერ შეთავაზებული ფორმულირების წყალობით საქმიანი შედეგი გამოიღო, განვაცხადე, რომ საგარეო საქმეთა მინისტრ ჰერდთანაც მქონდა დათქმული შეხვედრა, და იქნებ ამით დაგვემთავრებინა-მეთქი. მართლაც მსურდა ჰერდთან და თითო თანამშრომელთან ერთად მევახშმა გერმანიის ელჩის რეზიდენციაში. ამავე დროს იმასაც ვშიშობდი, რომ დისკუსიის გაგრძელებას შეიძლება საქმე გაერთულებინა.

„ჩვენ გენდობით თქვენ და იმედი გვაქვს, პასუხისმგებლობით მოეკიდებით საქმეს და გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებთ", თქვა ბოლოს შევარდნაძემ. „მაგრამ რამდენ ხანს იქნებით თქვენ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრი?" „დიდხანს", მივუგე მე, „თქვენ კი რამდენ ხანს იქნებით?"

შემდეგ დიდი ხელშეკრულების შესახებ საუბარზე გადავედი, რომელიც ხუთშაბათს, 13 სექტემბერს, შევარდნაძისა და ჩემ მიერ უნდა ყოფილიყო პარაფირებული. ხელი კი მასზე ფედერალურ კანცლერსა და პრეზიდენტ გორბაჩოვს უნდა მოეწერათ. როგორ მოვიქცეთ სხვა სამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით?— ვიკითხე მე და მხედველობაში მქონდა გარდამავალი ხელშეკრულება, ეკონომიკური ხელშეკრულება და შეთანხმება საჯარისო ფორმირებების შესახებ. ამაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა მოგვახსენა, რომ უკანასკნელ მათგანთან დაკავშირებით კვლავ გრძელდებოდა მოლაპარაკებები, და შევარდნაძემ შემოგვთავაზა, ამ სამი ხელშეკრულების პარაფირება ნიუ-იორკში მოვახდინოთო. ამაზე მე მივუგე, რომ დიდი ხელშეკრულების პარაფირება საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ მხოლოდ მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო იყო საჭირო; სხვა სამი ხელშეკრულება კი შეიძლებოდა იმათ მიერ ყოფილიყო პარაფირებული, ვინც იმ მომენტში ხელმძღვანელობდა მოლაპარაკებებს. ის დამეთანხმა.

მივუბრუნდი რა ოთხი სახელმწიფოს უფლებების შეჩერების საკითხს, გავიხსენე, რომ შევარდნაძემ 17 აგვისტოს უმაღლეს საბჭოში ისაუბრა ამ პრობლემაზე, და ვიკითხე, როგორ არის-მეთქი ახლა ამ მხრივ საქმე. შევარდნაძემ მთხოვა, ნიუ-იორკში შეხვედრამდე გადავდოთ ამ საკითხის გადაწყვეტაო. მაშინ უკვე ყველა

ხელშეკრულება მზად იქნება და საკმარისი დრო დაგვრჩება 3 ოქტომბრამდე — გერმანიის გაერთიანების დღემდეო. მისი სიტყვით, ორმხრივი შეთანხმებების ხელმოწერის შემდეგ მას გაუადვილდებოდა ოთხი სახელმწიფოს უფლებათა შეჩერების საკითხის გატანა „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, ეს ნიშნავდა: საბჭოთა ხელმძღვანელობას უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა.

ჩვენი მოლაპარაკებებისას შევარდნაძე ტელეფონთან მივიდა, რათა გორბაჩოვს დათათბირებოდა. ახალ ფედერალურ მხარეებში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მანევრების საკითხი, ეტყობა, მისთვის ისე მნიშვნელოვანი იყო, რომ არ სურდა იგი დამოუკიდებლად გადაეწყვიტა. ჩემი შეთავაზებული ფორმულირება, რომელიც ამ საკითხის გადაწყვეტის პროგრამატივას ფედერალურ მთავრობას უტოვებდა, მისთვის პრინციპში მისაღები ჩანდა. თუ ის დასავლეთში კიდევ ჭოჭმანს გამოიწვევდა, აღარ მეგონა.

ჩვენი შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა. ამიტომ მე ვთქვი: ხვალ ლაპარაკი იქნება ამ მოვლენის ისტორიულ მნიშვნელობაზე, მაგრამ დღეს საღამოსვე ვგრძნობ იმის აღნიშვნის მოთხოვნილებას, რომ ჩვენ სავსებით შეგნებული გვაქვს მნიშვნელობა ამ ხელშეკრულებისაც და იმ წვლილისაც, რაც მას, შევარდნაძეს, და გორბაჩოვს მიუძღვით ამ საქმეში. ამისთვისაც მინდა მადლობა მოგახსენოთ და იმ პირადი ურთიერთდამოკიდებულებისთვისაც, რაც ჩვენ შორის გაიბა-მეთქი. ჩემ მიერ განვლილი ცხოვრების გზის გამო, კერძოდ იმის გამო, რომ მე გდრ დავტოვე, ეს ამბავი განსაკუთრებული მღელვარებით მავსებს. ხვალ ხელი მოეწერება საბოლოო საერთაშორისოსამართლებრივ დოკუმენტს. და ამ დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ის ადამიანები, რომლებიც იმ საშინელ ომში სიცოცხლეს გამოესალმნენ. ამიტომ პრემიერ-მინისტრ დე მეზიესა და მე განზრახული გვაქვს 13 სექტემბერს უცნობი ჯარისკაცის საფლავთან პატივი მივაგოთ ომში დაღუპულ საბჭოთა მოქალაქეებს და იგივე გვსურს მოვიმოქმედოთ ლუბლინოში, გერმანელ ჯარისკაცთა საფლავებთან გერმანელ ჯარისკაცთა სასაფლაოზე. თუმცა ამგვარ შემთხვევებში გვირგვინების მიტანა არ არის მიღებული, მაგრამ არ მინდა ისე დაეტოვო მოსკოვი, რომ ომის მსხვერპლნი არ გავიხსენო. როცა ახალი და უკეთესი მომავლისკენ გვიჭირავს გეზი, არ

გვაქვს უფლება, დავივიწყოთ ის, რაც წარსულში მოხდა,— ვთქვი მე.

შევარდნაძემ მიპასუხა, მეც მინდა ამის შესახებ რაღაც ვთქვა, ოღონდ უფრო დაწვრილებით ამ დღეებში უმაღლეს საბჭოში ვიტყვიო. მინდა ვეცადო,— თქვა მან,— სათანადო სიტყვები ვიპოვო, როგორც „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულების დადების, ასევე ჩვენი ორმხრივი ხელშეკრულების და ევროპისთვის, მთელი მსოფლიოსთვის და მომავლისთვის მათი მნიშვნელობის შესაფასებლად. ამიტომ მინდა, რომ ბოლო სხდომამ დებატების, ღიად დატოვებული საკითხების, შეხლა-შემოხლის გარეშე ჩაიაროს — ამას სიმბოლური მნიშვნელობაც ექნება. ბოლოს და ბოლოს ეს ძალიან სერიოზული საქმეაო. მერე მითხრა, რაც თქვენ თქვით, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ბრესტში სწორად მოვიქეცითო. ისიც ძალიან კარგია, დოკუმენტში ძეგლებისა და წარსულის წინაშე პატივისცემაც რომ აისახა. ორივე მხარემ ღირსეული დამოკიდებულება გამოვამჟღავნეთ ისტორიის იმ ეტაპის მიმართ, რომელიც უმნიშვნელოვანესი იყო არამარტო ჩვენი ხალხების, არამედ მთელი ევროპის, მთელი მსოფლიოს ისტორიაში. ეს პოლიტიკა არ არის მცდარი, თუნდაც ამის გამო საყვედურებიც გაგვაგონონ, გორბაჩოვიც ამ აზრისაა და იგი ამ საკითხზე თქვენთან კიდევ ილაპარაკებსო.

შემდეგ მითხრა, როგორ აპირებდა ხვალინდელი სხდომის წარმართვას: მე გავხსნი სხდომას, მერე თქვენ მოგცემთ სიტყვას, შემდეგ პრემიერ-მინისტრ დე მეზიეს, ჯეიმს ბეიკერს, დუგლას ჰერდს და როლან დიუმას. მისი ვარაუდით, სხდომა საათნახევარს ან ორ საათს გასტანდა; მერე გორბაჩოვი მოვიდოდა ხელის მოსაწერად. ამის შემდეგ დაგეგმილი იყო ერთობლივი სადილი პრეზიდენტის მონაწილეობით, „ოჯახური ფოტოს“ გადაღება და ბოლოს გორბაჩოვისა და ჩემი შეხვედრა. დიდი ხელშეკრულების პარაფირება 13 სექტემბრის დილით შეიძლებოდა. ხვალინდელი ხელმოწერისას სიტყვებით გამოსვლა არ არის გეგმაში, სიტყვებს პარაფირებისას წარმოვთქვამთო.

საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა მეორე დღის 11 საათისთვის იყო დანიშნული. შევარდნაძესთან საუბრის შემდეგ ჩვენი რეზიდენციისკენ გავემგზავრე, ოღონდ მანამდე დუგლას ჰერდს

ვაცნობე, რომ შეგვეძლო ერთმანეთს შევხვედროდით. თითო თანამშრომლის თანხლებით დავსხედით სავახშმოდ. ატმოსფერო იყო დაუძაბავი. ვუთხარი დუგლას ჰერდს, რომ შევარდნაძესთან მივაღწიეთ შეთანხმებას, ვაჩვენე მას ტექსტი და შევაჯამე მოლაპარაკების შედეგები. ჰერდმა თავი დამიქნია. მე ვთხოვე მას, დაერეკინებინა თავის პოლიტიკურ დირექტორთან და ეცნობებინა მისთვის, რომ ეთანხმებიან ამ გადაწყვეტილებას, რაც მან გააკეთა კიდეც. ვახშამი მეგობრულად დასრულდა, თუმცა ძალიან გვიან. გერმანელ ჟურნალისტებთან შეხვედრის შემდეგ, შუაღამისას, ჩემი სასტუმროსკენ გავემგზავრე.

კასტრუპი კვლავ შეწუხებული სახით შემომეგება. ჩვენ ჩემს ანფილადაში შევედით. იქ მან მომახსენა, რომ ინგლისელი პოლიტიკური დირექტორი, რომელსაც ამერიკელი კოლეგაც მხარს უჭერს (ფრანგს თავი შეუკავებია), არ ეთანხმება ჩვენ მიერ მოძებნილ გადაწყვეტილებას. პირიქით: ის დაჟინებით მოითხოვს, მკაფიოდ ჩაიწეროს, რომ დასაშვებია მანევრების ჩატარება, თუ მასში 13 ათას კაცზე ნაკლები მონაწილეობს. ეს უსიამოვნო სიურპრიზი გახლდათ. საბჭოეთი თავისი შესაძლებლობების მართლაც რომ ზღვრამდე მივიდა; ისინი ხომ დათანხმდნენ, ამ საკითხის გადაწყვეტა მთლიანად გერმანიის პრეროგატივა ყოფილიყო, თანაც არავითარი გარანტია არ ჰქონდათ, რომ ხუთი წლის შემდეგ ეს უფლება ცალკეულ შემთხვევებში მათ საზიანოდ არ იქნებოდა გამოყენებული. წინასწარ ვინ განჭვრეტდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, თუმცა საფიქრებელი იყო, რომ ეს საკითხი ხუთი წლის შემდეგ ნაკლებმნიშვნელოვანი იქნებოდა, ვიდრე იმჟამად იყო. დავიწყეთ თათბირი, როგორ მოვქცეულიყავით. ჩვენ რომ ასე ვისხედით, ფრანკ ელბეს ტელეფონზე სთხოვეს. მისმა საბჭოთა კოლეგამ აცნობა, რომ შევარდნაძეს მოუხსენებია გორბაჩოვისთვის ჩვენი მოლაპარაკების შედეგის და აგრეთვე პოლიტიკურ დირექტორთა თათბირის თაობაზეც, რომელიც დუგლას ჰერდთან ჩემი ვახშმობისას გამართულა. ამის შედეგად გენერალურ მდივანს გადაუწყვეტია, იმ დილისთვის დანიშნული „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულების ხელმოწერა გადაედო. საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე გთხოვთ გადასცეთ საგარეო საქმეთა მინისტრ გენშერს, რომ შეუძლია ამაღამ ნებისმიერ დროს დაუკავშირდეს ტელეფონითო.

ახლა კი უნდა გვემოქმედა, მით უფრო, რომ ვშიშობდი, მსოფლიო საზოგადოებრიობას ცნობა გორბაჩოვის გადაწყვეტილების თაობაზე შესაძლოა ისე აღექვა, როგორც მოლაპარაკებების ჩაშლა ბოლო წუთზე. ეს თემა, რაც სადავო გახდა, ანუ მანევრების მოწყობის შესაძლებლობა, საერთაშორისო მოვლენათა განვითარების, მათ შორის სპარსეთის ყურეში დატრიალებული ამბების ფონზე, არ იყო დიდად მნიშვნელოვანი. ის სულაც არ გახლდათ აქტუალური. ხუთი წლის შემდეგ გერმანიის მთავრობა თავისუფალი იქნება და გადაწყვეტილებას პასუხისმგებლობის შეგნებით და „ორი პლუს ოთხის" ხელშეკრულების პრეამბულის შესაბამისად მიიღებს; სხვა მხრივ კი ცოტა ხნის წინ მოძებნილი ფორმულირება იმას ნიშნავდა, რომ ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეეძლო თავისი მფარველობის ქვეშ აეყვანა ახალი ფედერალური მხარეები. ამიტომ აღარ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, შეიძლებოდა თუ არა მანევრების ჩატარება წინასწარ დადგენილი მასშტაბით. თუ გავითვალისწინებდით რა შორი გზა გამოიარა საბჭოთა ხელმძღვანელობამ, ბოლო მომენტში მისგან მეტისმეტი აღარ უნდა მოგვეთხოვა. ვთხოვე ელბეს, იმ სასტუმროში დაერეკა, სადაც ამერიკელთა დელეგაცია ცხოვრობდა, და გადაეცა ჯეიმს ბეიკერისთვის, რომ თუმცა ძალიან გვიანი იყო, მაინც ახლავე უნდა მივსულიყავი მასთან ერთ მნიშვნელოვან და რთულ საკითხზე მოსალაპარაკებლად, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა ხვალისათვის. ამერიკელთა დელეგაციის პასუხი გასაგები იყო, მაგრამ მიუღებელი: ბეიკერს უკვე სძინავს, თანაც საძილე ტაბლეტი აქვს მიღებულიო. მე ვუთხარი, გადაეცით, რომ უკვე მოვდივარ-მეთქი. თუ საჭირო იქნებოდა, ჩემს მეგობარს მე თვითონ გავაღვიძებდი.

ბეიკერმა უახლოეს თანამშრომელთა თანდასწრებით მიგვიღო თავის ანფილადაში. ჩვენ სამნი ვიყავით — დიტერ კასტრუპი, ფრანკ ელბე და მე. ბეიკერსა და მის თანამშრომლებს ღამის პიჟამები ეცვათ, ზედ მოსხმული ჰქონდათ მორუხო-მოყავისფრო სააბაზანო ხალათები, ყველას ერთნაირი — სასტუმროს ფონდიდან. შემდეგ, როცა დაძაბულობამ გაგვიარა, ამ თავშეყრას „სააბაზანო ხალათების კონფერენცია" დავარქვი. დიდი საქმე ბოლო მომენტში არ უნდა ჩავშალოთ,— ვემუდარებოდი ჯეიმს ბეიკერს,— თანაც იმ მიზეზით, რომელიც არც არსებითია და ვერც ქვეყანაზე ვერსად ვერავის



„ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულების ხელმოსაწერად 1990 წლის 12 სექტემბერს მოსკოვში ერთმანეთს ხვდება ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრი და ერთი პრემიერ-მინისტრი.

გავაგებინებთ რაშია საქმე. ჩვენ ახლა არ გვაქვს უფლება, ისეთი რამ ჩავიდინოთ, რასაც შეიძლება მოლაპარაკებათა შეწყვეტა მოჰყვეს-მეთქი. ჩემი აზრით, გორბაჩოვისა და შევარდნაძის მუქარა სერიოზულად უნდა მიგვეღო. ამიტომ დაჟინებით ვთხოვდი, ამ საკითხში ჩვენი მხარე დაეჭირა, მით უფრო, რომ აშშ ამ გზის ყველა მონაკვეთზე დიდი ერთგულებით მოგვაცილებდა. აუცილებელია, ხელმოწერის ცერემონია ხვალ დათქმულ დროს ჩატარდეს-მეთქი. მერე ვუთხარი: სრული გულახდილობით უნდა ვთქვა: დარწმუნებული ვარ, ჩემ გარდა დე მეზიეც მიიღებს ხელმოწერაში მონაწილეობას, ასევე საბჭოთა კავშირიც, და მინდა ჩემს თავს ვუსურვო, რომ ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრი იმ დროს ჩემ გვერდით უჯდეს მაგიდას. ყველა მინისტრმა თვითონ გადაწყვიტოს, სურს თუ არა მას ამ საკითხის გამო მოლაპარაკებების ჩაშლა. და მსოფლიოს საზოგადოებრიობა დაინახავს, ვინ ესწრებოდა და ვინ არა ამ საზეიმო აქტს-მეთქი.

ჯეიმს ბეიკერმა მიპასუხა, აშშ მუდამ თქვენ გვერდით იდგაო. თუმცა ბრიტანელთა პოზიციას დაუჭირეს მხარი, მაგრამ შემპირდა,

დაგეხმარებიო. მაშინ მე შევთავაზე, დაუყოვნებლივ გვეცნობებინა შევარდნაძისთვის, რომ ხელმოწერის ჩატარება შესაძლებელი იყო. ხოლო დილით, ოთხი დასავლური სახელმწიფოს — ანუ საფრანგეთის, ინგლისის, შეერთებული შტატების და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, რომელიც 8 საათისა და 30 წუთისთვის არის დანიშნული საფრანგეთის რეზიდენციაში, საბოლოოდ მოვილაპარაკოთ-მეთქი. ბეიკერმა თანხმობა განაცხადა. ჩვენ უკან დავბრუნდით, საქმის კურსში ჩავაყენე დე მეზიე და შევატყობინე შევარდნაძეს, ჩვენი აზრით, დილით ხელმოწერა შედგება-მეთქი.

დიდი მღელვარება გადავიტანე. რა გასაკვირია, რომ ღამით და 12 სექტემბერსაც გულის არიტმიამ გამაწამა. ეს ეტყობა დოკუმენტებზე დასმულ ჩემს ხელმოწერებსაც.

იმ 11-12 სექტემბრის ღამით, ჯეიმს ბეიკერთან საუბრის შემდეგ უკან რომ დავბრუნდი, ღია ფანჯარასთან დავჯექი და მოსკოვურ ღამეს გავცქეროდი. 1969 წლის შემდეგ, როცა ჯერ კიდევ დეპუტატი ვალტერ შეელთან და ვოლფგანგ მიშნიკთან ერთად პირველად ვეწვიე მოსკოვს, კვლავ არაერთხელ ჩამოვსულვარ აქ. ჩემი ვიზიტები სრულიად განსხვავებულ ვითარებაში ეწყობოდა: ხშირად მარტო ჩამოვსულვარ როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, ხან თან ვახლდი ფედერალურ კანცლერებს ჰელმუთ შმიდტსა და ჰელმუთ კოლს, ფედერალურ პრეზიდენტებს ვალტერ შეელს, კარლ კარსტენსსა და რიხარდ ფონ ვაიცზეკერს.

ოღონდ ყველაზე ღრმა შთაბეჭდილებები დამრჩა გორბაჩოვთან ჩემი პირველი შეხვედრისგან 1986 წელს. მას შემდეგ ჩვენ დიდი გზა გავიარეთ. დილით, ამაში უკვე დარწმუნებული ვიყავი, ხელი მოეწერებოდა „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულებას, რომელიც ბოლოს და ბოლოს შესაძლებელს გახდიდა გერმანიის გაერთიანებას. შინაგანი გაერთიანება, რომელიც ქვემოდან უკვე დაწყებული იყო, შემდგომი დიდი გამოწვევა იქნებოდა. კონსტიტუციის მოთხოვნები, გვეღვაწა ევროპის გაერთიანების და მსოფლიო მშვიდობის სასარგებლოდ, კვლავ შენარჩუნებული იქნებოდა, ასევე ჩვენი კონსტიტუციის ძირითადი ფასეულობები და ძალის პოლიტიკის ნაცვლად პასუხისმგებლობის პოლიტიკის მსახურების ვალდებულებაც.

ჩემს თავს გამოვუტყდი, რომ წინათ, განსაკუთრებით იმ გრძელ დღეებსა და ღამეებში, რომლებიც სანატორიუმში გამიტარებია ფილტვე-

ბის ტუბერკულოზით დაავადებულს, ხშირად მიოცნებია, მონაწილეობა მიმეღო გერმანიის გაერთიანების საქმეში. ახლა გუშინდელი ოცნებები სინამდვილედ იქცა. ეს მე ღრმა მადლიერების გრძნობით მავსებდა. ნამდვილად მართალია ის აზრი, რომ პოლიტიკოსმა თავისი მოღვაწეობა საკუთარი მიღწევებით გამოწვეული კმაყოფილების გრძნობაზე არ უნდა ააგოს, მაგრამ მე სხვაგვარი გამოცდილებაც შემიძენია.

ცოტა სხვა რამეა ის, რომ გაზვიადებული წარმოდგენა არ შეიქმნა საკუთარ თავზე, შეინარჩუნო იმის უნარი, რომ მადლიერი დარჩე, თუკი შესაძლებლობა მოგეცა, ადამიანებს დაეხმარო, წვლილი შეიტანო მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, მონაწილეობა მიიღო ახალი ევროპის შენებაში — და მერე მოიმკო ნაყოფი ათეული წლების მანძილზე გაწეული მუშაობისა, რომელიც იქითკენ იყო მიმართული, რომ საკუთარი ხალხისთვის გაგეხსნა ის გზა, რომელიც მას ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებამდე მიიყვანდა. იმ საღამოს მე ამას თავისებურ მოწყალებად აღვიქვამდი. მივხურე ფანჯარა და ჩემს მეუღლეს დავურეკე, რათა ორიოდე ფრაზით მაინც აღმეწერა მისთვის, რასაც განვცდიდი.

აღსრულდა: ხელშეკრულებას ხელს ვაწერთ

ადრიანად გავემგზავრე საფრანგეთის რეზიდენციაში, რათა ერთი ერთზე დავლაპარაკებოდი როლან დიუმას: „როლან, მე შენთვის არასოდეს რამე განსაკუთრებული არ მითხოვია. ახლა გთხოვ: როგორც მოლაპარაკების წამყვანმა, თავიდანვე უნდა განაცხადო, რომ საფრანგეთი შეთანხმებებს ამ სახით ხელს მოაწერს". როლან დიუმამ უყოყმანოდ მომცა დასტური. როცა თავი მოვიყარეთ, ჯიმ ბეიკერმაც განაცხადა, აშშ-ც ხელს აწერსო. დუგლას ჰერდიც დათანხმდა.

თავიდანვე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ჰერდი უპირობოდ უჭერდა მხარს გაერთიანებას. დარწმუნებული ვარ, წინა საღამოს ჩვენსა და საბჭოთა მხარეს შორის მიღწეულ შეთანხმებას მისთვის პრობლემები არ გაუჩენია. მაგრამ მისი პოლიტიკური დირექტორი მითითებებს მარტო მისგან კი არა, აშკარად ლონდონიდანაც ღებულობდა, რითაც შეიძლება აიხსნას, ვახშმობისას ჰერდის თანხ-

მობის შემდეგ ბრიტანელმა დირექტორმა რატომ დაიკავა თავისი მინისტრისგან განსხვავებული პოზიცია. საბჭოთა მხარესთან მიღწეული სიტყვიერი შეთანხმება იმავე ღამით წერილობითაც გაფორმდა. ყველა ექვსივე მონაწილის მიერ ხელმოწერილი ეს ტექსტი ბოლოს ხელშეკრულების შემადგენილი ნაწილი გახდა.

ხელმოწერა გაჭიანურდა, რადგან ფრანგული ტექსტის მომზადებისას პრობლემები გაჩნდა. ჩვენ ჩვენი მბეჭდავებითა და თარჯიმნებით ფრანგებს ტექნიკური დახმარება აღმოვუჩინეთ — ამით მცირეოდენი საპასუხო სამსახური გავუწიეთ მათ როლან დიუმას დილანდელი გულისხმიერების სამაგიეროდ. ბოლოს ყველაფერი მზად იყო, შეგვეძლო მაგიდას მივსხდომოდით. ხელშეკრულება „ორი პლუს ოთხი" გამზადებული იდო, ასევე განცხადებაც. ედუარდ შევარდნაძემ შეამოწმა, ნამდვილად იყო თუ არა შემოსული პრემიერ-მინისტრ დე მეზიესა და ჩემ მიერ ხელმოწერილი ოფიციალური შეტყობინება ადრინდელ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში ჩატარებული ექსპროპრიაციებისადმი დამოკიდებულების თაობაზე. მერე კი დოკუმენტს ხელი მოვაწერეთ. აღსრულდა.

ამის შემდეგ მიმიღო მიხეილ გორბაჩოვმა ედუარდ შევარდნაძის თანდასწრებით. მან საუბარი იმის აღნიშვნით დაიწყო, რომ ბედმა ინება, ამ პროცესში საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მხარეები უმთავრესი მოქმედი პირნი ყოფილიყვნენ. ყოველივე, რასაც მივაღწიეთ, შეუძლებელი იქნებოდა ფედერაციულ რესპუბლიკაში, გდრ-სა და საბჭოთა კავშირში მომხდარი ღრმა ცვლილებების გარეშე; ახლა საჭიროა, დროის ეს უაღრესად რთული მონაკვეთი ღირსეულად გავიაროთ. საბჭოთა კავშირში ეს პროცესი მეტისმეტად მძიმედ მიმდინარეობს, კიდევ უფრო გართულდება ვითარება, თუკი გერმანიის პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნება, თითქოს ყველა სხვა ხელშეკრულება ჰაერშია გამოკიდებული. ამის შედეგად შესაძლოა ფეთქებადი ვითარება წარმოიშვასო. ეს შენიშვნა დიდი ხელშეკრულების მნიშვნელობის ხაზგასმასაც გულისხმობდა და შემდგომი დახმარებების აუცილებლობაზეც მიგვანიშნებდა, რაც მარტო გერმანიას კი არ უნდა გაეწია, არამედ მთელ დასავლეთს. გორბაჩოვმა გაიხსენა ფედერალური კანცლერის ნათქვამი, საბჭოთა კავშირს დღესაც და მომავალშიც მხარში ამოუდგებითო.

შემდეგ ამას მოჰყვა პირადული, მეტიც — მეგობრული სიტყვები: გენერალურმა მდივანმა მადლობა გადამიხადა პირადად მის მიმართ ჩემი დამოკიდებულებისთვისაც. აღმითქვა, შეგიძლიათ კვლავაც თქვენს პარტნიორად მიგულოთო. და იმედი გამოთქვა, რომ ჩემი დამოკიდებულებაც მის მიმართ ამგვარივე იქნებოდა.

მოვახსენე, ჩემი დამოკიდებულებაც თქვენს მიმართ ასეთივეა-მეთქი, და განვაგრძე: ამიხდა ის, რაზეც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი: ჩემი მშობლიური მხარე ამიერიდან იმავე სახელმწიფოს ეკუთვნის, რომელშიც მე ახლა ვცხოვრობ. ორმოცდაჩვიდმეტი წლის შემდეგ ყველა გერმანელი კვლავ *ერთ დემოკრატიულ* სახელმწიფო სისტემაში გაერთიანდა. ძალიან გავიხარებდი, განვაგრძე მე, თუკი ჰალეში მესტუმრებოდით, რაც შესაძლებლობას მომცემდა იქ კიდევ ერთხელ მომეხსენებინა თქვენთვის მადლობა. სამი წლის შემდეგ სულ მთლად შეცვლილ ვითარებაში მან შემახსენა ეს მიწვევა. მისი სტუმრობა 1993 წლის დეკემბერში შედგა.

საუბრის დასასრულს უსიტყვოდ გავუწოდეთ ერთმანეთს ხელი. შევხედეთ ერთიმეორეს და თავი დავუკარით. ეს ფიცის დადებას ჰგავდა: დიახ, ჩვენ გვსურდა კვლავაც გვეღვაწა ჩვენი ხალხების უკეთესი მომავლისთვის, უკეთესი ევროპისათვის.

ის დღე დასრულდა საბჭოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სასტუმრო სახლში გამართული საზეიმო ვახშმით, რომელზეც მიხეილ გორბაჩოვმა ექვსი საგარეო საქმეთა მინისტრი მიიწვია. ახლა, როცა ყველაფერი დასრულდა, საუბრებმა ძალზე პირადული და ძალდაუტანებელი სახე მიიღო. პოლიტიკამ უკანა პლანზე გადაინაცვლა.

13 სექტემბერს შევარდნაძემ და მე „კეთილმეზობლობის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრულების პარაფირება მოვახდინეთ. ინიციატივა, რომ ეს ხელშეკრულება საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ყოფილიყო პარაფირებული, თანაც „ორი პლუს ოთხი“ ხელშეკრულების ხელმოწერის მეორე დღესვე, საბჭოთა მხარისაგან მოდიოდა. ამით უნდოდათ ყველასთვის ეჩვენებინათ, რომ მრავალმხრივი ხელშეკრულების დადების შემდეგ გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ახალი პერსპექტივები გამოჩნდა — ეს იყო სიგნალი, რომელიც ჩვენს ინტერესებსაც უპასუხებდა, როგორც ორმხრივი ურთიერთობის, ასევე ევროპაში სტაბილურო-

ბის განმტკიცების თვალსაზრისით. „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულების სწრაფად რატიფიკაციაც, ბუნებრივია, ასევე თავის როლს ითამაშებდა — მის რატიფიკაციას გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებაც ხელს შეუწყობდა, როგორც თავისი შინაარსით, ასევე პარაფირების მომენტითაც. ედუარდ შევარდნაძემაც თავის გამოსვლაში მკაფიოდ დაუკავშირა ერთმანეთს 1990 წლის 12 და 13 სექტემბერი: „საბჭოთა კავშირ-გერმანიის თანამშრომლობას ეხსნება ფართო ჰორიზონტი და მრავალმხრივი შესაძლებლობები“.

ხელმოწერისა და საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრთან დამაგვირგვინებელი საუბრის შემდეგ ბონში დაბრუნებისთვის მზადებას შევუდექი. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა შევარდნაძემ „დიდი ხელშეკრულების“ მნიშვნელობა. აშკარა იყო, რა ძლიერ სურდა საბჭოთა ხელმძღვანელობას, ამ დოკუმენტის მეშვეობით არამარტო ხანგრძლივი პერსპექტივები წარმოეჩინა, არამედ უკვე „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულების ხელმოწერის მეორე დღესვე გაეხადა ეს მკაფიო. ხალხებს პრაქტიკულად უნდა ვაჩვენოთ, თქვა შევარდნაძემ, რომ მართლაც ახალი ურთიერთობის დაბადებასთან გვაქვს საქმე.

შევარდნაძეც დავპატიჟე ჰალეში. ვუთხარი: ჩემთან უამრავი საუბრებიდან ხომ იცით, გერმანიის გახლეჩამ პირადად ჩემზე როგორ იმოქმედა, ახლა თქვენთან ერთად მინდა ჩემს მშობლიურ ქალაქს ვეწვიო-მეთქი. მინდა იქაურებმა თავისი თვალით დაინახონ: ეს ორი კაცი — შევარდნაძე და გენშერი — დიდებულად უგებს ერთმანეთს. მე აუცილებლად ვუამბობ მათ, რამდენი გააკეთეთ თქვენ საიმისოდ, რომ ერთიანობასა და დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრების მათი სურვილი ახდენილიყო.

15 სექტემბერს ჯეიმს ბეიკერი ჩამოვიდა ბონში, თუმცა მხოლოდ სულ რამდენიმე საათით. კიდევ ერთხელ მომეცა შესაძლებლობა მადლობა გადამეხადა მხარდაჭერისთვის მისთვისაც და პრეზიდენტისთვისაც. ახლა უკვე საჭირო იყო მომავლისაკენ მიგვეპყრო მზერა: 1990 წლის შუახანების შემდგომ უკვე მქონდა ბეიკერთან საუბარი იმის თაობაზე, თუ რა სახე შეიძლებოდა მიგვეცა ცივი ომის დამთავრების შემდეგ ნატოსა და ტრანსატლანტიკური ურთიერთობებისთვის. „ატლანტიკური კავშირი არ უნდა გაფარ-

1990 წლის 13 სექტემბერს, „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მეორე დღეს, საგარეო საქმეთა მინისტრები გენშერი და შევარდნაძე ახდენენ „კეთილმეზობლობის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ დიდი ხელშეკრულების“ პრეამბულის საბჭოთა საგარეო საქმეთა სამინისტროს სასტუმრო სახლში.

თოვდეს“, ეს იყო ჩემი მთავარი კომენტარი. ჩვენ ერთი აზრი გვქონდა იმის თაობაზე, რომ ევროთათბირის პროცესი ინტენსიური უნდა გამხდარიყო; ახალი ინიციატივები იყო საჭირო. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა წავსულიყავით წინ, მთელ ევროპაში ხანგრძლივი და სამართლიანი სამშვიდობო წესრიგისკენ — ნატოს დიდი მიზნისკენ.

ასევე საჭიროდ მიმაჩნდა პრივილეგირებული კავშირების განმტკიცება ერთი მხრივ აშშ-სა და კანადას, ხოლო მეორე მხრივ მათ ევროპელ მოკავშირეებს შორის. ჩემი თავდაპირველი იდეა იყო, ტრანსატლანტიკური ხელშეკრულება შეგვემუშავებინა და მასზე პარიზში, უშუალოდ ევროთათბირის სამიტის დაწყების წინ მოგვეწერა ხელი, რათა ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა განგვემტკიცებინა და გაგვეღრმავებინა — ესოდენ საჭირო და აუცილებელი ჩრდილოატლანტიკური ორგანზაციის ფარგლებს მიღმა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სრულყოფილი ხელშეკრულება ასე მოკლე დროში ვერ შემუშავდებოდა; გარდა ამისა მისი რატიფიკაცია აშშ-ში პრობლემებს

შექმნიდა. ამიტომ ბეიკერი და მე იმ აზრამდე მივედით, რომ ტრანსატლანტიკური დეკლარაციით დავკმაყოფილებულიყავით. ამას რატიფიკაცია არ სჭირდებოდა, მაგრამ როგორც ნათელი პოლიტიკური განაცხადი, ყველასათვის გასაგები იქნებოდა.

- ტრანსატლანტიკური ხელშეკრულების გამო კი ჩემს თანამშრომლებს ვუთხარი: „დოკუმენტის ხელახალი წარდგენა მოხდება ხუთი წლის შემდეგ". მე ეჭვიც არ მეპარება: ევროპას და ჩრდილო ამერიკას ერთობლივი პასუხისმგებლობა აკისრიათ, რომელიც ცივი ომის შემდეგ ახალ პასუხებს ითხოვს. მარტო ნატო ამისთვის არ იკმარებს, საჭირო გახდება პოლიტიკური, სავაჭროპოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და უსაფრთხოების პოლიტიკის შემმუშავებელი კოოპერაცია მსოფლიოს მასშტაბით. გლობალური გამოწვევები კატეგორიულად მოითხოვენ ამას. იგივე უნდა ითქვას ევროპის გამოც: აქაც სტაბილურობა მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას ევროპული თანამეგობრობის ფარგლებში, რომელიც ამასობაში ევროკავშირად იქცა.

აშშ, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპიდან წავიდა და ევროპა თავის ანაბარა დატოვა, რასაც ცნობილია, რა შედეგებიც მოჰყვა, აი ეს შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში დარჩა — ამას მოწმობს მარშალის გეგმა, ნატო და ევროთათბირის პროცესში მონაწილეობა. მის გარეშე ის, რაც 1990 წელს მოხდა, შეუძლებელი იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში ამ ფორმით მაინც ვერ განხორციელდებოდა. მაგრამ როგორ მოიქცევა იგი ცივი ომის დამთავრების შემდეგ? და ამჯერად ეს მარტო ევროპას ეხება? უმალ მსოფლიო მასშტაბის კოოპერაცია ხომ არ არის საჭირო?

მტკიცედ ვარ დარწმუნებული: ეს პარტნიორობა, რომელიც არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული და თავისუფლებასა და სტაბილურობას ისახავს მიზნად, ისტორიული აუცილებლობაა, დიდად მნიშვნელოვანი მთელი ევროპისთვის. მაგრამ ასე შეკავშირებულ სახელმწიფოებს საერთო პასუხისმგებლობაც მართებთ, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათ მთელი ევროპა უნდა შეაკავშირონ, ჰარმელის მოხსენებით გათვალისწინებული ევროპული სამშვიდობო წესრიგი შექმნან და ჩაბან რუსეთი ფართო მასშტაბის თანამშრომლობაში. „დიდი შვიდეულის" ვალია რვა წევრიან ჯგუფად გადაიქცეს.

ჯიმ ბეიკერის შემდეგ, შაბათს, 15 სექტემბერს, როლან დიუმაც ჩამოვიდა ბონში. საღამოს მასთან ერთად გავფრინდი ჰალეში, სადაც ობერბიურგერმაისტერმა დრ. რენგერმა ლაიფციგის კოშკთან მდებარე სახლში — ამ კოშკს ჰალეს ხნიერი მოქალაქენი „პოტელ უნდ პროსკოვსკის" სახელით იცნობენ — ბუფეტი გამართა, რომელზეც ჩემი თანაკლასელებიც იყვნენ მოწვეულნი. როლან დიუმამ ბევრი რამ შეიტყო ჩემი ჰალეში გატარებული წლების შესახებ, თუმცა ზოგი რამ მისთვის უკვე ცნობილი იყო ჩვენი ხანგრძლივი საუბრებიდან.

მეორე დილით ვეწვიეთ მორიცბურგის სახელმწიფო გალერიას. მიუხედავად იმისა, რომ ნაციზმის პერიოდში იგი „გაწმინდეს" „გადაგვარებული" ხელოვნების ნიმუშებისაგან, იქ მაინც მნიშვნელოვანი საგანძური ინახება, მათ შორის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჰალეში შექმნილი შთამბეჭდავი ნაწარმოებებიც. შემდეგ ჰენდელის სახლისაკენ გავემგზავრეთ, სადაც დიუმაზე დამატყვევებელი შთაბეჭდილება მოახდინა შენობის ატმოსფერომ, კომპოზიტორის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებულმა მრავალმა ნივთმა, იმდროინდელმა ინსტრუმენტებმა და ავეჯმა.

პროგრამაში გვქონდა აგრეთვე მარკტკირხეს ტაძრის დათვალიერება, სადაც უამრავი ადამიანი გველოდა. აქ ჰალეში, მადლობა გადავუხადე როლან დიუმას და პრეზიდენტ მიტერანს მძიმე პერიოდში გამოჩენილი მეგობრული თანადგომისათვის, იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა „ორი პლუს ოთხის" ხელშეკრულების ხელმოწერის ბოლო მომენტამდე. ამ ხელშეკრულების ერთი ასლი თან მქონდა, რათა იგი რატუშაში მიღებისას ობერბიურგერმაისტერისთვის გადამეცა. მე მაღლა ავწიე დოკუმენტი: „ამ ხელშეკრულებამ ჩვენ გაერთიანებისკენ გაგვიხსნა გზა. ჩემი მეგობრის, როლან დიუმას, ხელმოწერა არის მასზე, ისევე როგორც პრემიერ-მინისტრ დე მეზიეს, ჯეიმს ბეიკერის, დუგლას ჰერდის, ედუარდ შევარდნაძისა და ჩემი ხელმოწერები". მერე როლან დიუმამ სამახსოვრო ჩანაწერი გააკეთა ქალაქის „ოქროს წიგნში".

ჰალედან შვეულმფრენით გავფრინდით ვაიმარში, გოეთესა და შილერის სახლისკენ. ამას მოჰყვა ავტომობილით გასეირნება ერფურტისკენ, სადაც ტაძარი დავათვალიერეთ. ბოლოს როლან დიუმამ პარიზს გასწია, მე კი ბონისკენ ავიღე გეზი. კეთილ და საიმედო მეგობარს, ძნელ პერიოდში ჩვენს თანამდგომს, ჩემს სამშობლოში —

ამ სიტყვის ვიწრო და ფართო გაგებითაც — ღრმა მადლიერება და მეგობრობა დახვდა.

სხვათა შორის 1990 წელმა მის მიერ მოტანილი ცვლილებების გამო ბუნდესტაგის დეპუტატი ჰანს-დიტრიხ გენშერიც დააყენა მძიმე არჩევანის წინაშე. 1965 წლიდან მე ნორდრაინ-ვესტფალენის სამხარეო სიით ვიყრიდი კენჭს, 1976 წლიდან პირველ ნომრად და მუდამ ვუპერტალ I-ის საარჩევნო ოლქში. 1990 წლის 30 მარტსაც კვლავ წამომაყენეს ამ საარჩევნო ოლქში კანდიდატად თავისუფალი დემოკრატიული პარტიიდან და 1990 წლის 29 აპრილს დიუსელდორფში გამართულ ნორდრაინ-ვესტფალენის სამხარეო კრებაზე სიაში პირველ ნომრად შემიტანეს.

მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ ბუნდესტაგის მომავალი არჩევნები პირველი საერთოგერმანული არჩევნები იქნებოდა, ჰალედან და ზაქსენ-ანჰალტიდან მოვიდა თხოვნა, პირველ ნომრად მეყარა კენჭი ჰალე-ალტშტადტის საარჩევნო ოლქში. ეს იყო შემოთავაზება, რომელმაც გულით გამახარა. მაგრამ მეორე მხრივ უკვე წამოყენებული ვიყავი ნორდრაინ-ვესტფალენისა და ვუპერტალის კანდიდატად — ახლა მეთქვა, „გმადლობთ, აღარ მინდა“-მეთქი?

თანაც ვუპერტალმა და ნორდრაინ-ვესტფალენმა მე, ჰალეს ყოფილ მკვიდრს, შესაძლებლობა მომცეს კენჭი მეყარა, ბუნდესტაგის წევრი გავმხდარიყავი და მერე ამ მანდატით ჩემი სამშობლოს სასიკეთოდ მეღვაწა. ურიგო საქციელი იქნებოდა ახლა ჩემს პოლიტიკურ სამშობლოზე ხელი ამეღო, რაც განვაცხადე კიდეც ჰალეში, საციგურაო სპორტულ დარბაზში გამართულ დიდ საარჩევნო მიტინგზე. მე გამიგეს. „ჩემს ნაცვლად უვე ლიური აირჩიეთ“, ასეთი იყო ჩემი რჩევა. 1990 წელს ის პირდაპირი არჩევნებით აირჩიეს.

ვუპერტალის საარჩევნო ოლქში დარჩენა ჩემთვის მარტო პოლიტიკური სტილისა და პირადი სანდოობის საკითხი როდი იყო. ქალაქსა და მის მცხოვრებლებსაც გულით შევეთვისე, სწორედ იმიტომ, რომ მათთან ურთიერთობა ადვილი არ არის. ვუპერტალში შევიძინე მე ჩემი პოლიტიკური თანამგზავრები, რომლებიც ჭირშიაც და ლხინშიაც გვერდით მედგნენ, მაშინაც კი, როცა ჩემს პოლიტიკურ კურსს მთლიანად არ იზიარებდნენ. თავმჯდომარემ დრ. როლფ კიოსტნერმა ოლქს ახლებური, ევროპოლიტიკური ელეგან-

ტურობა შესძინა. უკვე მისი წინამორბედის მიხაელ რუპერტის დროს დაიწყო თაობათა ცვლის პროცესი; ოლქი რუპერტის ხელმძღვანელობით 1982-1983 წლების საკოალიციო ცვლილების დროსაც ჩემ მხარეს იდგა. ეს ყოველივე გვაკავშირებდა ჩვენ — ამიტომაც დავრჩი. ჩემი ქცევა ამომრჩევლებმა ვუპერტალსა და ნორდრაინ-ვერსტფალენშიც და ჰალესა და ზაქსენ-ანჰალტშიც ღირსეულად დააფასეს.

სხვა გამოწვევა უფრო ძნელი გადასატანი იქნებოდა. რაკი ახალ ფედერალურ მხარეებში რეგიონალური არჩევნები 1990 წლის 14 ოქტომბრისთვის დაინიშნა, ამიტომ ისინი ექვს თვეზე მეტი ხნით უსწრებდნენ წინ ბუნდესტაგის არჩევნებს. ასე რომ, ცდუნება, კენჭი მეყარა ზაქსენ-ანჰალტის ლანდტაგის დეპუტატობისა და პრემიერ-მინისტრის პოსტის მოსაპოვებლად, ვეღარ გაჩნდებოდა. მნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილებები იყო კიდევ მისაღები, ევროთათბირის ნოემბრის სამიტი იყო ჩასატარებელი პარიზში; გერმანია-პოლონეთის საზღვრის თაობაზე ხელშეკრულებაც არ იყო ჯერ დადებული, არც „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულება გახლდათ რატიფიცირებული. გარდა ამისა აშკარა იყო, რომ ბუნდესტაგის არჩევნების შედეგზე ძლიერ ზეგავლენას მოახდენდა გერმანიის ერთიანობა. და თუ ამ დროს თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას მოუწევდა პარტიის თავმჯდომარის ოტო გრაფ ლამბსდორფის გარდა ნომერ პირველ კანდიდატს, საგარეო საქმეთა მინისტრსაც შელეოდა, ეს უარყოფითად იმოქმედებდა პარტიის პრესტიჟზე.

მართლაც, ჩვენ ერთადერთი პარტია ვიყავით, რომელმაც ბუნდესტაგის 1987 წლის არჩევნებთან შედარებით უკეთეს შედეგს მიაღწია. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ბლოკი 44,3 პროცენტიდან 43,8 პროცენტზე დავიდა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხმათა რაოდენობა კი 9,1 პროცენტიდან 11,0 პროცენტამდე გაიზარდა. და მაინც ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ბლოკი მრავალი პირდაპირი მანდატის წყალობით ძალიან მიუახლოვდა აბსოლუტურ უმრავლესობას.

პარტიული მეგობრების რჩევა, ეს საარჩევნო კამპანია ჩემი მონაწილეობით ისე წარგვემართა, როგორც ამას ჰელმუთ კოლის მონაწილეობით აკეთებდნენ ბლოკში შემავალი პარტიები, საარჩევნო

კამპანიისთვის მზადებისას არ იქნა გათვალისწინებული. ბოლოს იურგენ მიოლემანმა ნორდრაინ-ვესტფალენიდან გადაწყვიტა, ზაქსენ-ანჰალტში მაინც გაეკრა პლაკატები ჩემი გამოსახულებით. ეტყობა, ამან გაამართლა; ყოველ შემთხვევაში თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ 1990 წლის 14 ოქტომბერს ზაქსენ-ანჰალტში 13,5 პროცენტით საუკეთესო შედეგი აჩვენა. ამას მოჰყვა ტიურინგენი 9,3 პროცენტით, ბრანდენბურგი 6,6 პროცენტით, მეკლენბურგ-ფორპომერნი 5,5 პროცენტით და ზაქსენი 5,3 პროცენტით.

22 სექტემბერს ჩემი მეგობრის უფე ელემან-იენსენის მიწვევით სიტყვით გამოვედი დანიელი ლიბერალების პარტიის ყრილობაზე, რომელთაც საპატიო წევრად ამირჩიეს. ვისარგებლე შემთხვევით და მადლობა გადავუხადე დანიის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელიც მხარს უჭერდა გერმანიის გაერთიანებას. დანიელი ლიბერალების მიერ გამოჩენილი ეს გულისხმიერება პირადად ჩემთვის ბევრს ნიშნავს: ჩვენი გაერთიანების მომენტში ისინი ჩვენ, ანუ გერმანელ ლიბერალებს, ჩემი სახით თავიანთ თანამეგობრობაში გვიღებენ. მათ იცოდნენ, რომ არ უნდა ჰქონოდათ გერმანული ევროპის შიში, რადგან ევროპული გერმანია წარმოიშვა.

პარასკევს, 25 სექტემბერს, ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაზე ჩემი გამგზავრებით დაიწყო საერთაშორისო რუტინა. და მაინც იმ დღეს ყოველივე სხვაგვარად იყო, ვიდრე მანამდე. პირველად ხდებოდა, რომ მე აღარ მჭირდებოდა სხვათათვის შემეხსენებინა გერმანიის გაერთიანება, რადგან ის კარს იყო მომდგარი. მხოლოდ ერთი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც მე აქ პრაღაში ჩვენი საელჩოს გაღების შესახებ ვლაპარაკობდი და მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი.

ჩემს სიტყვაში მე ჯერ ჩვენს გრძნობებსა და ჩვენს პასუხისმგებლობაზე ვილაპარაკე: „გერმანელთა განწყობას ამ ისტორიულ დღეს ისტორიაზე ფიქრი და პასუხისმგებლობის შეგნება განსაზღვრავს და არა ნაციონალისტურ გრძნობათა მოზღვავება. ჩვენ ვერ დავივიწყებთ იმ არაადამიანურ ტანჯვას, რაც გერმანელთა სახელით მოუტანეს ევროპისა და მსოფლიოს ხალხებს. ჩვენ პატივს მივაგებთ ომისა და ძალმომრეობის ყველა მსხვერპლს, განსაკუთრებით ებრაელ ხალხს ენითაუწერელი ტანჯვისათვის. ჩვენ

ვცნობთ ჩვენს პასუხისმგებლობას და ჩვენს თავზე ვიღებთ მას".

გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეას ასეთი ტექსტით მივმართე: „ჩვენ, გერმანელები, იმ სურვილით ვერთიანდებით, რომ ასეთი რამ აღარასოდეს განმეორდეს. კვლავ გაერთიანებული ჩვენი ხალხი დემოკრატიულ სახელმწიფოში იცხოვრებს. ჩვენი ერთობლივი სახელმწიფო ადამიანის ხელშეუვალი უფლებების პატივისცემაზე იქნება დაფუძნებული. გაერთიანებული გერმანიის ტერიტორიიდან მხოლოდ მშვიდობა წამოვა.

ჩვენი აზროვნების და ჩვენი ქმედების განმსაზღვრელი ყველა დროში იქნება ჩვენი კონსტიტუციის პრინციპები, ადამიანის უფლებები და ადამიანის ღირსება, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო, სოციალური სამართლიანობა და პატივისცემა ღვთის ქმნილების მიმართ, მშვიდობა და კეთილმეზობლობა.

ჩვენი, როგორც გაერთიანებული ევროპის თანაბარუფლებიანი წევრის, სურვილია, ვემსახუროთ მშვიდობას მთელ მსოფლიოში. ეს ვალდებულება, რომელიც ჩაწერილია ჩვენი კონსტიტუციის პრეამბულაში, განსაზღვრავს ჩვენს პოლიტიკას. ის არის უარის თქმა ძალის პოლიტიკაზე, ის პასუხისმგებლობის პოლიტიკას ნიშნავს.

გაერთიანებულ ერებში გაწევრიანების დღიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ფორუმის წინაშე ჩვენი განუყოფელი ერის სახელმწიფოებრივ გაერთიანებას მოითხოვდა. მე თვითონ 1974 წლიდან ყოველ წელს გამოვდიოდი გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის წინაშე, რათა განმეცხადებინა ჩვენი სურვილი — გვეღვაწა ევროპაში ისეთი სამშვიდობო ვითარების შესაქმნელად, რომლის პირობებში გერმანელი ხალხი კვლავ მიაღწევდა თავის ერთობას თავისუფალი თვითგამორკვევის გზით.

ამ დროს მე ყოველთვის ვფიქრობდი ჩემი სამშობლოს — გდრ-ის — გერმანელებზეც, რომლებიც იქ ცხოვრობენ, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე. მე ვიცოდი, რომ ისინიც ისევე ნატრობდნენ გერმანიის გაერთიანებას, როგორც ჩვენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მაგრამ მათ არ შეეძლოთ, თავიანთი გრძნობები და შეხედულებები ამ საკითხზე ხმამაღლა გამოეთქვათ. ახლა მათ თავისუფლება და ერთობა აღიარეს. მათთან ერთად ვხარობთ ჩვენ ახლა გერმანული ერთობის გამო. ჩვენ ვიცით, ის ევროპასაც მოუტანს ერთობას.

ასე ვესალმებით ჩვენ დღეს ჩვენს გულებსა და ჩვენს სურვილებში გაერთიანებულნი მსოფლიოს ხალხებს... იმ გერმანელებმა, რომლებიც ახლა ჩვენთან ერთიანდებიან, თავისუფლებისადმი, ერთობისა და დემოკრატიისადმი და ამით აგრეთვე ევროპისადმი ერთგულება მთელ მსოფლიოს დაანახეს თავიანთი მშვიდობიანი რევოლუციის დროს... ჩვენ, გერმანელებს, სხვა არაფერი გვინდა, გარდა იმისა, რომ ყველა ჩვენს მეზობელთან ერთად თავისუფლების, დემოკრატიის, ერთობის და მშვიდობის პირობებში ვიცხოვროთ... ჩვენი პოლიტიკა კარგი მაგალითის პოლიტიკა უნდა იყოს... თავისი გაერთიანების წინ გერმანია აცხადებს სახელმწიფოთა თანამეგობრობის გასაგონად: ჩვენ არ გავექცევით ჩვენს პასუხისმგებლობას ევროპისა და მსოფლიოს წინაშე.

თუ 1990 წლის 2-3 ოქტომბრის ღამით გერმანელები გაერთიანდებიან, ისინი აღიესებიან მადლიერებით და სიხარულით, ფიქრითა და პასუხისმგებლობით. ეს გვაკავშირებს ჩვენ ევროპისა და მსოფლიოს ხალხებთან. გაერთიანებული გერმანია თავის წვლილს შეიტანს ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და თავისუფლების განმტკიცების საქმეში“.

გაეროს თავყრილობის კულუარებში გამართული საუბრებიც ამჯერად სხვა ხასიათისა იყო; ყველგან ხაზს უსვამდნენ გაერთიანებასა და მის მნიშვნელობას. ასევე მრავალი დისკუსიის საგანი იყო სადამ ჰუსეინის დამპყრობლური ომი ქუვეითის წინააღმდეგ, და აქ გამოჩნდა, რა სწორად ვიქცეოდით, როცა გაუთვალისწინებელი საერთაშორისო მოვლენების შიშით „ორი პლუს ოთხი“ მოლაპარაკებების ტემპის დაჩქარებას მოვითხოვდით.

მას შემდეგ, რაც 1990 წლის 27 სექტემბრის საღამოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში წვეულება გაგმართე, დროებით შევწყვიტე ჩემი სტუმრობა ნიუ-იორკში, რათა ნიურნბერგში გაერთიანებული პარტიის ყრილობაში მიმეღო მონაწილეობა. ჰანოვერის გამაერთიანებელი ყრილობის შემდეგ ეს იყო გაერთიანებული პარტიის პირველი საერთოგერმანული ყრილობა; მან ამჯერად მთლიანად ახალ ფედერალურ მხარეებსა და ბავარიაში მხარეთა პარლამენტების მომავალი არჩევნების ნიშნით ჩაიარა. 1 ოქტომბერს დროულად დავბრუნდი ნიუ-იორკში.

მიზანთან ბერლინში

1 და 2 ოქტომბერს აქ შედგა ევროთათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების პირველი კონფერენცია აშშ-ის მიწაზე. ოცდაოთხი წელი იყო მას შემდეგ გასული, რაც მე 1969 წლის ზაფხულის დამდეგს, იმ დროს ჯერ კიდევ ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა, საბჭოთა პრემიერ-მინისტრს კოსიგინს განვუცხადე: „ჩვენ მომხრე ვართ ამგვარი კონფერენციის, ოღონდ იმ პირობით, თუ მასში აშშ და კანადა მიიღებენ მონაწილეობას“. მხოლოდ გერმანულმა აღმოსავლურმა ხელშეკრულებებმა. გახსნეს გზა; საბჭოთა კავშირი მიხვდა, რომ ყოველგვარი მცდელობა, ნაპრალი გაეჩინა ევროპასა და ამერიკას შორის, წარუმატებლობისთვის იყო განწირული. აშშ, რომელიც კარგა ხანს ევროთათბირზე დიდი წარმოდგენისა არ იყო, მაგრამ მას ამავე დროს თავისი ინტერესებისთვის უხიფათოდ თვლიდა, დათანხმდა მონაწილეობაზე. უკვე ოთხმოციანი წლებიდან დაიწყო მან ევროთათბირის შესაძლებლობების პოზიტიურად შეფასება და შეუდგა მათ გამოყენებას უპირატესად ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ბუშისა და ბეიკერის მმართველობისას იმასაც მიხვდნენ, რა მართალნი ვიყავით, როცა ვამბობდით, რომ ევროთათბირი სოციალისტურ სახელმწიფოებში ვითარებას შეცვლიდა, რადგან იგი სტაბილურ ჩარჩოს გვთავაზობდა იმისათვის, რომ გარდაქმნას ზე-

მოდანაც შეწყობოდა ხელი და ამავე დროს ქვემოდანაც შეეგ-ულიანებინათ ზემოთ მყოფნი საამისოდ. ამიტომ, — ვამბობდით მაშინ ჩვენ,— ევროთათბირს ყველაზე სწრაფად შეუძლია ახალ ევროპას სტრუქტურა და წონა შესძინოს. ამ მიზან-მიმართულების სამსახურში უნდა ჩამდგარიყო პარიზის ქარტია, რომელსაც 1990 წლის 19 ნოემბერს მოეწერა ხელი. ნიუ-იორკის კონფერენცია ამ ქარტიის მოსამზადებლად იქნა მოწვეული. მომენტი ჩვენთვის იდეალური იყო: 3 ოქტომბერს გერმანია გაერთიანდებოდა, მანამდე, 1 ოქტომბერს შესაძლებლობა მქონდა ევროთათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციისთვის „ორი პლუს ოთხის" პროცესის შედეგი მომეხსენებინა. ასე შევასრულე ჩვენი ადრინდელი დანაპირები, რომ „ორი პლუს ოთხის" პროცესის შედეგები ევროთათბირს წარედგინებოდა.

მანამდე კი საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც იმ უფლებების შეჩერებას ითვალისწინებდა, რომელიც მათ ჰქონდათ მთელი გერმანიისა და ბერლინის მიმართ. მაშასადამე, გაერთიანებული გერმანია თავის დაბადების წამს, 1990 წლის 3 ოქტომბერს, თავისუფალი იქნებოდა მის საქმეებში გარედან ჩარევის შესაძლებლობებისაგან. სრულ სუვერენიტეტს კი იგი მხოლოდ მას შემდეგ მოიპოვებდა, რაც ოთხი სახელმწიფო და თვითონ გერმანია „ორი პლუს ოთხის" ხელშეკრულების რატიფიკაციას მოახდენდნენ. ახლა ოთხი სახელმწიფო აცხადებდა, რომ „მათი უფლებები და პასუხისმგებლობები ბერლინისა და მთლიანად გერმანიის მიმართ გერმანიის გაერთიანების მომენტიდან გერმანიის საკითხის საბოლოოდ მარეგულირებელი ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე შეჩერებულია". ბოლოს ნათქვამი იყო: „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, წარმოდგენილი მისი საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ, და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, წარმოდგენილი მისი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ, ამ განცხადებას ცნობად ღებულობენ".

შინაგან საქმეთა მინისტრის და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტებზე ოცდასამი წლის მოღვაწეობის მანძილზე ისეთი რამეებიც მიმიღია ცნობად, რასაც ყოველთვის როდი მოუტანია ჩემთვის

სიხარული. ოთხი სახელმწიფოს ეს განცხადება კი კმაყოფილებითა და მადლიერებით მივიღე ცნობად. ის ისტორიული მნიშვნელობა, რაც მასში იყო ჩადებული, მთელი სიგრძე-სიგანით მქონდა გაცნობიერებული.

ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავდა: გაერთიანება, ის კი არა, უკვე ოთხი სახელმწიფოს უფლებების მარტო ეს შეჩერებაც კი, ზრდიდა ჩვენს ვალდებულებას, გერმანიის პოლიტიკა განგვესაზღვრა როგორც პასუხისმგებლობის პოლიტიკა. მისი დაპირისპირება პოზიციასთან — „ჩვენ კვლავ რაღაცას წარმოვადგენთ!", განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. ნაციონალიზმს გერმანიაში აღარასოდეს უნდა მისცემოდა გასაქანი.

1989 წლის 30 სექტემბერი, 1990 წლის 1 ოქტომბერი, ნიუიორკი — მხოლოდ ერთი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც მე პრაღაში ჩვენი საელჩოს აივანზე განვაცხადე, გზა თავისუფალია-მეთქი. 1990 წლის 1 ოქტომბერს კი უკვე ამერიკის პრეზიდენტმა წარმოგვიდგინა ევროთათბირის პროცესის ინსტიტუციონალიზებისთვის საჭირო მრავლისმომცველი წინადადებები — ესეც მნიშვნელოვანი შემობრუნება იყო. ახალ ასპარეზზეც, ევროთათბირის პროცესის შეფასების საქმეში, ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდა. პრეზიდენტმა ბუშმა სიტყვასიტყვით განაცხადა: „ჩვენ შეგვიძლია ერთობლივად ახალი ტრანსატლანტიკური პარტნიორული ურთიერთობა გამოვჭედოთ ევროთათბირში — თავისუფალ ერთა თანამეგობრობა, რომელიც ჩვენს შორის არსებულ ოკეანეზე ხიდად გაიდება". ეს იმაზე მეტი იყო, რაც ჩვენ ოდესმე მოგვითხოვია, ჩვენ ხომ ცნებას „ტრანსატლანტიკური პარტნიორობა" შეზღუდული მნიშვნელობით ვიყენებდით და მასში მუდამ მხოლოდ ევროპელი და ჩრდილოამერიკელი მოკავშირეების ურთიერთობას ვგულისხმობდით. ამას რომ ამბობდა, პრეზიდენტი ჰარმელის მოხსენების სულისკვეთებას ეხმაურებოდა — მიზნად ჰქონდა ხანგრძლივი დ. სამართლიანი სამშვიდობო წესრიგი ევროპისთვის. ბუშმა ამ საქმეშიც გამოიჩინა თავი, როგორც მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწემ.

როცა ბუში ლაპარაკობდა, მე იმ აურაცხელ პრობლემებზე ვფიქრობდი, რასაც ბოლო დრომდე გვიქმნიდა დაბალი და საშუალო დონის ამერიკული ბიუროკრატია, ბონში აშშ-ის საელჩოს ზოგიერ-

თი წარმომადგენელი, როცა საქმე ეხებოდა ევროთათბირის მნიშვნელობასა და შესაძლებლობებს. ბუშმა და ბეიკერმა, ასევე მათმა უახლოესმა თანამშრომლებმა, ეს შესაძლებლობები უფრო ადრე ამოიცნეს. სხვები გვაბრალებდნენ, თითქოს ჩვენ ევროთათბირით ნატოს ჩანაცვლებას ვაპირებდით. მათ არც ევროთათბირის პროცესის ხასიათი ესმოდათ და არც ნატოს პოლიტიკური ფუნქცია იმ აზრით, რა აზრითაც იგი ჰარმელის მოხსენებაში იყო დახასიათებული. მაშინ არ შემეძლო მეფიქრა, რომ ეს ვიწროშუბლიანობა „ორი პლუს ოთხის" ფარგლებში ჩატარებული მოლაპარაკებების გაანალიზების დროსაც იჩენდა თავს. ეტყობა, ზოგიერთი ამ გზით მცდარი შეფასებების და შეხედულებების კომპენსაციას ახდენს.

ნიუ-იორკში მეც გვარიანად გავისარჯე ევროთათბირის პროცესის შემდგომი განვითარების სასარგებლოდ: ვამტკიცებდი, სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურთა სისტემატური თათბირები, ევროპაში უსაფრთხოებისა და ურთიერთთანამშრომლობისთვის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შექმნა და კონფლიქტების თავიდან აცილების და დარეგულირების ცენტრი არის-მეთქი აუცილებლად საჭირო. გარდა ამისა მოვითხოვე ადამიანთა, მოქალაქეთა და უმცირესობათა უფლებების ქმედითი დაცვა.

გაერთიანებით გამოწვეული სიხარული ჰალეში, ბერლინში, ვუპერტალსა და ბონში

1990 წლის 1 ოქტომბერს დავტოვე ნიუ-იორკი, რათა 2 ოქტომბრის ნაშუადღევს კვლავ ჰალეში გავფრენილიყავი, სადაც გერმანიის გაერთიანების წინადღით სახალხო ზეიმზე გამოვედი სიტყვით. იქიდან ბერლინისკენ გავემგზავრე. იქ შევხვდი ჩემს მეუღლესა და სიძეს. რაიხსტაგის წინ მომსწრე გავხდით გერმანული ერთიანობის დაუვიწყარი შუაღამისა. ამბობენ, როცა ადამიანები სიკვდილის მოახლოებას გრძნობენ, მათ თვალწინ კიდევ ერთხელ ჩაივლის მთელი მათი ცხოვრება, თითქოს შენელებულ კონოკადრებს უყურებენო; იქნებ ასე ხდება მაშინაც, როცა განუმეორებელი მომენტის მომსწრენი ვართ. ერთიანობა თავისით არ მოსულა. იყო ის, როგორც ხშირად ამბობენ, ნაჩუქარი? დიახ, თუკი ამით იმის თქმა სურთ,



1990 წლის 3 ოქტომბერს რაიხსტაგის შენობის წინ წამყვან პოლიტიკოსებთან ერთად უამრავი ხალხი შეიკრიბა. გერმანია კვლავ ერთიანია.

რომ იგი საჩუქრად გვერგო ყოველივე იმის შემდეგ, რაც 1933 წლიდან 1945 წლამდე მოხდა გერმანიაში და რაც გერმანელებმა სხვა ხალხების მიმართ ჩაიდინეს. მაგრამ ეს ერთიანობა დასავლეთის და აღმოსავლეთის გერმანელებმა დაიმსახურეს კიდევაც – დასავლეთში მშვიდობიანი აღმშენებლობით, თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების შექმნით, ხოლო აღმოსავლეთში თავისუფლების მომტანი მშვიდობიანი რევოლუციით. გრძელ გზაზე ნაბიჯ-ნაბიჯ იქნა მოპოვებული ნდობა.

ძალიან მნიშვნელოვანია არ დავივიწყოთ, რომ ხელახალი გაერთიანება არც თავისთავად ცხადი რამ იყო და არც თავსმოხვეული გახლდათ. ჩვენი საკუთარი ისტორიის შეგნება მომავალშიც უნდა გაგვყვეს, როგორც ეს რიხარდ ფონ ვაიცზეკერმა განაცხადა 1985 წლის 8 მაისს. თუ გერმანიის გაერთიანებისკენ მიმავალი გზის ნიშანსვეტებზე ვილაპარაკებთ, მაშინ ეს გამოსვლაც უნდა ვახსენოთ. ამ ისტორიულმა მიმართვამ გერმანელებს პასუხისმგებლობის გრძნობა გაუმახვილა და ნდობა მოგვიპოვა მსოფლიო მასშტაბით, რაც ჩვენ სწორედ 1989 და 1990 წლებში ესოდენ გვჭირდებოდა. ახლა კი, აი, რაიხსტაგის წინ ვიდექი ტრიბუნაზე რიხარდ ფონ ვაიცზეკ-

ერთან და ჰელმუთ კოლთან ერთად, რომელთანაც თითქმის რვაწლიანი ერთობლივი პოლიტიკური მოღვაწეობა მაკავშირებდა.

1982 წლის 1 ოქტომბერს თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ და ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ბლოკმა ჰელმუთ კოლი ჩვენი გადაწყვეტილებით ფედერალურ კანცლერად აირჩია, 1982 წლის 4 ოქტომბერს ფედერალურმა პრეზიდენტმა კარსტენსმა ისევ დამნიშნა ფედერალური კანცლერის მოადგილედ და საგარეო საქმეთა მინისტრად. ჰელმუთ კოლმა და მე მძიმე პერიოდები გამოვიარეთ, იმედიც ხშირად გაგვცრუებია, ეს ჩვენს პირად ურთიერთობაზეც ითქმის. ბოლო თვეებში დიდებული მომენტებიც გვქონდა; ამ წამმა კი დააგვირგვინა ჩვენი ერთობლივი მუშაობა, და ამგვარი რამ ადამიანურად უფრო მეტად აკავშირებს ერთმანეთს თანამშრომლებს, ვიდრე ეს ზოგიერთს მიაჩნია შესაძლებლად პოლიტიკური საქმიანობის მკაცრ სფეროში.

ვილი ბრანდტიც ჩვენს გვერდით იდგა. მისთვისაც ალბათ ეს დღე მისი ხანგრძლივი და ხშირად ესოდენ მძიმე პოლიტიკური ცხოვრების მწვერვალი იყო.

3 ოქტომბრის პირველ საათებში ვისხედით ჩემი მეუღლე, ჩემი სიძე და მე კურფიურსტერდამის ერთ შესახვევში, ჰაინი ჰოლთან მის დაუვიწყარ ტრაქტირში და გვსურდა ეს საათები ბერლინელებთან ერთად გაგვეტარებინა, გარს უამრავი ხალხი გვეხვია, რომლებიც მხიარულად, მაგრამ ამასთან ღირსების გრძნობით ხვდებოდნენ ახალი ცხოვრების დასაწყისს გაერთიანებულ ქვეყანაში.

მოგვიანებით ჯერ ეკუმენურ ღვთისმსახურებაში მივიღეთ მონაწილეობა, მერე კი ამას მოჰყვა ოფიციალური საზეიმო ღონისძიება ფილარმონიაში. სიტყვით გამოვიდნენ პირველი თავისუფლად არჩეული სახალხო პალატის ყოფილი პრეზიდენტი ქალბატონი ბერგმან-პოლი, ბუნდესტაგის პრეზიდენტი ქალბატონი რიტა ზიუსმუთი, ბერლინის ბიურგერმაისტერი ვალტერ მომპერი და ფედერალური პრეზიდენტი რიხარდ ფონ ვაიცზეკერი. მეხსიერებაში ჩამებეჭდა მისი ნათქვამი შინაგანი გაერთიანების თაობაზე: „ამისთვის მარტო დახმარება კი არ არის საჭირო, არამედ უწინარეს ყოვლისა პატივისცემა“. ეს კვლავ და კვლავ უნდა გავიმეოროთ, უპირველეს ყოვლისა მათ გასაგონად, ვინც თავის თავს ერის ერთიანობისთვის „მოწყალების დიდსულოვან გამღებად“ მიიჩნევს.

1990 წლის 3 ოქტომბერს, ნაშუადღევს, ვუპერტალში ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა გაიმართა. სიტყვებით გამოვიდნენ ობერბიურგერმაისტერი ქალბატონი ურზულა კრაუსი, იოანეს რაუ, პრემიერ-მინისტრი და ვუპერტალის ლანდტაგის დეპუტატი, და ნორბერტ ბლიუმი, შრომის მინისტრი. მიხაროდა, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირიდან სწორედ მან მოითხოვა სიტყვა. მასთან დიდი ხანია ღრმა პატივისცემაზე დაფუძნებული მეგობრობა მაკავშირებს. მეც გამოვედი სიტყვით. და ასე ვიზეიმე გერმანიის გაერთიანება ოცდაოთხი საათის განმავლობაში ჰალეში, ჩემს მშობლიურ ქალაქში, ბერლინში, რომელიც ჩემთვის ყოველთვის გერმანიის დედაქალაქად რჩებოდა, ვუპერტალში, რომელიც ჩემს პოლიტიკურ სამშობლოდ იქცა, და მერე ბონში — ვახტბერგ-პეხში —, სადაც ახალი სამშობლო ეპოვე ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის.

გვიან საღამოს მოვინახულე რაინჰიოენის სასაფლაო, სადაც ჩემი მშობლების საფლავია. აქ პოვა უკანასკნელი განსასვენებელი დედაჩემმა, რომელმაც 1988 წლის 13 ოქტომბერს დატოვა წუთისოფელი. საფლავის ქვას მამაჩემის სახელიც აწერია, რომელიც 1937 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა — მაშინ ჩვენ ჯერ კიდევ ჰალეში ვცხოვრობდით, მაგრამ დედაჩემის საფლავის ქვაზე მისი სახელიც აღვბეჭდეთ.

ბერლინის საკითხის გადაწყვეტა

სამი ოქტომბრის ღამემ მთელ გერმანიაში გაერთიანების ნიშნით ჩაიარა. ბერლინში, რაიხსტაგის შენობის წინ, ფედერალური პრეზიდენტი გამოვიდა სიტყვით: „ჩვენ სრულყოფთ თავისუფალი თვითგამორკვევის გზით მოპოვებულ ერთიანობასა და თავისუფლებას გერმანიისას. ამ ამოცანის შესრულებისას ჩვენ საკუთარი შეგნებული გვაქვს ჩვენი პასუხისმგებლობა ღვთისა და ადამიანების წინაშე. ჩვენი სურვილია გაერთიანებულ ევროპაში მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს ვემსახუროთ“. იმ წუთებში რას ვიფიქრებდი, თუ თითქმის ცხრა თვის შემდეგ გერმანიის ბუნდესტაგში ცხარე დებატები ატყდებოდა იმის თაობაზე, უნდა ყოფილიყო თუ არა მომავალშიც რაიხსტაგი ბუნდესტაგის ადგილსამყოფელი.

იმ დროს, როცა 1991 წლის 19 და 20 ივნისს ბერლინში ევროთათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების პირველი კონფერენცია ტარდებოდა, ბონში პარლამენტისა და მთავრობის მომავალი ადგილსამყოფელის თაობაზე გაეჩაღებინათ კამათი. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციამ რაიხსტაგში დამირეკა, კონფერენციის დასრულების შემდეგ სასწრაფოდ ჩავსულიყავი ბონში და სიტყვა წარმომეთქვა ბუნდესტაგში, რადგან ბერლინის საკითხში ხმათა უმრავლესობის მოპოვება სათუოაო. ჩემი კოლეგა საგარეო საქმეთა მინისტრები, როცა მათ ეს ვუთხარი, გაოგნებულები დარჩნენ; მათ ვერ წარმოედგინათ, თუ აქ რამე საკამათო იყო. კონფერენციის დამთავრებისთანავე შევხვდი ბალტიისპირეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებს, მერე გავფრინდი ფედერალურ დედაქალაქში.

უკვე ოთხმოცდათერთმეტი ორატორი იყო გამოსული, როცა გერმანიის ბუნდესტაგში სიტყვა მომცეს; ჩემ შემდეგ კიდევ თოთხმეტი გამოვიდა. ჩემთვის ბერლინის საკითხი 1991 წლის 20 ივნისს როდი გადაწყდა, ჩემი მტკიცედ დგომა ამ თვალსაზრისზე არ იყო გამოწვეული მარტოოდენ პიროვნული სანდოობის შენარჩუნების სურვილით: საქმე ეხებოდა აგრეთვე ფედერალური მთავრობისა და ბუნდესტაგის საკონსტიტუციო ორგანოების სანდოობას. ამიტომ მე ვთქვი: „რამდენ ხანსაც ორად გაყოფილი გერმანიის გაერთიანებას ველოდი, ვიმედოვნებდი და ამისთვის ვმუშაობდი, იმდენივე ხანს მქონდა იმის იმედიც, რომ ბერლინი კვლავ გერმანიის დედაქალაქი იქნებოდა. დედაქალაქი ჩემთვის აბრა კი არ არის, არამედ ყოველთა გერმანელთა თავისუფლად არჩეული პარლამენტისა და თავისუფლად არჩეული მთავრობის ადგილსამყოფელი. მას შემდეგ, რაც კვლავ მოვიპოვეთ ერთიანობა და იმისი უფლებაც, თვითონ გადავწყვიტოთ ჩვენი დედაქალაქის საკითხი, მე არ მინდა ხელი ავიღო იმაზე, რაზეც წარსულში მიფიქრია, რაც მინატრია, მსურვებია და რასაც სხვებს დავპირებივარ. მე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, მხარს ვუჭერდი იმ აზრს, რომ დედაქალაქი ბერლინი ყოფილიყო. ამასვე ვეუბნებოდი ჩემს საზღვარგარეთელ პარტნიორებს. მე ვთხოვდი მათ, თავიანთი ერთგულების ნიშნად ბერლინში ჩამოსულიყვნენ. ვიბრძოდი ყოველი სანტიმეტრისთვის, რათა მეტი ფედერალური ორგანოს განთავსება მოგვეხერხებინა ბერლინში. ახლა მთელი

ბერლინის საპატიო მოქალაქე: 1993 წლის 9 სექტემბერს ბიურგერ-მაისტერი ებერჰარდ დიპგენი ჰანს-დიტრიხ გენშერს ბერლინის საპატიო მოქალაქის სიგელს გადასცემს. მარცხნივ ბერლინის პარლამენტის თავმჯდომარე ქალბატონი ჰანა რენატე ლაურიენი.

ფედერალური წარმომადგენლობის ბერლინში თავმოყრაა შესაძლებელი. აი ამას მინდა მე ხმა მივცე გერმანიის ბუნდესტაგში... გერმანიის ისტორია მთელ გერმანიაში გერმანიის ისტორიად რჩება, თავის როგორც კარგი, ასევე ცუდი პერიოდებით. ეს არ გამოდგება არგუმენტად არც ბონის და არც ბერლინის წინააღმდეგ".

საჭირო იყო აგრეთვე გაერთიანებული გერმანიის პოლიტიკური ადგილის განსაზღვრა: ღირებულებათა სისტემა არ შეიძლება შეიცვალოს და არც უნდა შეიცვალოს, პირიქით, გაერთიანებული გერმანიის ევროპული ორიენტაცია უფრო მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს. ჩვენი საერთოგერმანული და საერთოევროპული დანიშნულება ერთმანეთს არ უნდა დაუპირისპირდეს; ამიტომ მე განვაგრძე: „ნურავინ იტყვის, რომ ბერლინის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ჩვენს კავშირს დემოკრატიულ ღირებულებებთან. ჩვენ სწორედ იმის მომსწრენი ვართ, როგორ ვრცელდება ეს ღირებულებები აღმოსავლეთისკენ. ევროპა — ეს სულ უფრო და უფრო ხშირად უნდა გავიმეოროთ — მეტია, ვიდრე

ევროპული თანამეგობრობა. ჩვენი აღმოსავლელი მეზობლების მნიშვნელობა ჩვენთვის იმაზე ნაკლები არ არის, ვიდრე ჩვენი დასავლელი მეზობლებისა. განა ბერლინი ათეული წლების განმავლობაში თავისუფლების სიმბოლო არ იყო? სწორია, რაც გაერთიანების ხელშეკრულებაშია ნათქვამი: ჩვენი დედაქალაქი არის ბერლინი. ეს ქალაქი უყრის თავს გერმანელთა აღმოსავლურ და დასავლურ გამოცდილებას. ამ ქალაქთან არის დაკავშირებული 1957 წლის 17 ივნისის სახალხო აჯანყება და კედლის დანგრევა. ყოველმა ჩვენგანმა უნდა გასცეს დღეს პასუხი შეკითხვას: რას გულისხმობს იგი დედაქალაქში? მხოლოდ სიმბოლურ სახელწოდებას თუ ქალაქს, სადაც ჩვენი ხალხის მომავლისთვის საჭირო გადაწყვეტილებებს ღებულობენ? ჩემი პასუხი ეს არის: მე ბერლინს ვაძლევ ხმას".

პარლამენტისა და მთავრობის მომავალი ადგილსამყოფელის გამო გამართულ დებატებში გამოსჭვივოდა ის მცდარი წარმოდგენები, რომლებმაც მოგვიანებით ომისშემდგომი გერმანული დემოკრატიის განუწყვეტლობის შესახებ დისკუსიაშიც იჩინა თავი. ლაპარაკი რაღაც „ბონის რესპუბლიკაზე" ხშირად იწვევდა მცდარ წარმოდგენას, თითქოს ფედერაციული რესპუბლიკა ემშვიდობებოდა ნაციის სახელმწიფოებრივ ერთიანობას. ბერლინმა გერმანიის რღვევა და მისი დანაწილებით გამოწვეული გასაჭირი, თავისუფლების იმედი და გაერთიანების სიხარული განიცადა, გადაიტანა და ბოლოს კედლის დაცემით ყოველივე ამის სიმბოლიზება მოახდინა. აქ ორივე გერმანული სახელმწიფო იყო წარმოდგენილი თავ-თავიანთი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესრიგით — აქ ისინი ერთიმეორის პირისპირ იდგნენ. 1989 წელს ამ ქალაქში გადაეხვია ხალხი ერთმანეთს, აქ განხორციელდა ნაციის ერთობა. ამ ქალაქში იჭედებოდა და იჭედება გერმანელთა ბედი. ამიტომ არის ისტორიის ფესვებს მოწყვეტილი და სახიფათო, ახლა ერთმანეთს დავუპირისპიროთ ეგრეთ წოდებული „ბერლინის რესპუბლიკა" და ყბადაღებული „ბონის რესპუბლიკა". 1949 წელს ბონში დემოკრატიული გერმანული რესპუბლიკა შეიქმნა; აზრი მისი დროებითობის შესახებ მარტო მომჭირნეობისთვის ზრუნვით კი არ იყო ნასაზრდოები, არამედ ეს უწინარეს ყოვლისა ისტორიული ცნობიერების, სახელმწიფოებრივი სიბრძნისა და პოლიტიკური შერსმჭვრეტელობის გამოხატულება გახლდათ. ვისთვისაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლი-

კა 1949 წლიდან გაერთიანებამდე ბონის რესპუბლიკაა, მაშინ მისთვის იმ წლების გდრ ბერლინის რესპუბლიკა იქნება. შეიძლება კაცმა ასეთი რამ ისურვოს? ჩემთვის ბონიც გერმანიის რესპუბლიკის დედაქალაქი იყო და ბერლინიც.

სინამდვილეში აი რა არის საჭირო: ფედერაციულ რესპუბლიკაში 1949 წლის შემდეგ წამოზრდილი საზოგადოების ღრმად დემოკრატიულმა მსოფლგანცდამ, იმისათვის, რომ თავისი ზემოქმედების მთელი გერმანიის მასშტაბით განვრცობა შეძლოს, ყოფილ გდრ-ში მცხოვრებ ადამიანთა გამოცდილებაც უნდა აითვისოს. ამ ხალხის მიერ განცდილი – 1989 წლის მშვიდობიანი რევოლუციის სულიერი ფესვები – წარმოადგენს თვითმოპოვებული თავისუფლების ძვირფას განძს, გამამდიდრებელ, წონად გამოცდილებას, შემოტანილს საერთო რესპუბლიკაში. მას ვერაფერი შეცვლის საერთოგერმანულ სამოქალაქო საზოგადოებაში. „აღარაფერი აღარ დარჩება ისე, როგორც იყო, არც აღმოსავლეთში და არც დასავლეთში“ – ეს დებულება ამ შემთხვევაშიც მართებულია. გაერთიანებული რესპუბლიკა მარტო სამართლებრივად როდი გვაერთიანებს, ის აერთიანებს ჩვენს გამოცდილებებს და ჩვენს მომავალს. შინაგანი გაერთიანების გზებსა და მიზნებს ჩვენ ერთობლივად დავადგენთ იმ საზოგადოებაში, რომელიც ყველაზე თავისუფალი და ყველაზე დემოკრატიული საზოგადოებაა ჩვენს ისტორიაში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა 1989 წლამდე სულაც არ ყოფილა ბონის რესპუბლიკა და არც გაერთიანებული რესპუბლიკა იქნება ბერლინის რესპუბლიკა. მაშინაც და ახლაც საქმე გვაქვს გერმანელთა დემოკრატიულ სახელმწიფოსთან. მისი ადგილის განსაზღვრა შეუძლებელია გეოგრაფიულად, კითხვაზე – ბონი თუ ბერლინი? – პასუხის გაცემით. მისი ადგილი ჩვენი კონსტიტუციის პირველი პარაგრაფი გახლავთ: „ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია“.

გრძელი გზის ბოლოში: გერმანია-პოლონეთის სასაზღვრო ხელშეკრულება

1990 წლის დამლევს უკანასკნელი დიდად მნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური ნაბიჯი უნდა გადაგვედგა. გერმანია-პოლონე-

თის სასაზღვრო ხელშეკრულებით დასაბამი უნდა მისცემოდა გერმანია-პოლონეთის ახლებურ ურთიერთობას. 14 ნოემბრის დილით გავფრინდი ვარშავისკენ.

ბუნებრივია, პოლონური მხარე დაინტერესებული იყო იმით, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერას საზეიმო ხასიათი ჰქონოდა. უნდოდათ, ერთი დღით ადრე ჩავსულიყავი, რათა ორ დღეს შემძლებოდა იქ დარჩენა. როცა საგარეო საქმეთა მინისტრს სკუბიშევსკის ტელეფონით ველაპარაკე ვიზიტის თაობაზე, ვთხოვე გაეთვალისწინებინა, რას ნიშნავდა მრავალი გერმანელისთვის ეს ხელშეკრულება. ამიტომ უარი უნდა გვეთქვა ყოველგვარ საზოგადოებრივ ღონისძიებაზე, არც ოფიციალური ბანკეტი და ამ ბანკეტზე წარმოთქმული ოფიციალური სიტყვები იქნებოდა საჭირო. გარდა ამისა ჩამოვალ დილით და საღამოსვე უკან გავბრუნდები-მეთქი, ვუთხარი.

როცა იმ დილით პოლონეთის დედაქალაქში გაფრენის წინ მეუღლეს ვემშვიდობებოდი, ეს არ გახლდათ ჩვეულებრივი, სხვა გამომშვიდობებათა მსგავსი დამშვიდობება. წარმოიდგინეთ, რას ნიშნავდა მისთვის ის, რომ მის ქმარს იმ ხელშეკრულებაზე უნდა მოეწერა ხელი, რომელიც საბოლოოდ აღიარებდა, მისი სამშობლო სილეზია გერმანიას რომ აღარ ეკუთვნოდა. ჩემი მეუღლე თავიდანვე გაგებით ეკიდებოდა ჩემს პოზიციას საზღვრის საკითხში, მეტიც, ის მას უპირობოდ უჭერდა მხარს. ისიც ჩემსავით დარწმუნებული იყო იმაში, რომ არავითარ შემთხვევაში ახალი უბედურება არ უნდა დატრიალებულიყო. მაგრამ იგი მაინც სილეზიელად რჩებოდა — და ეს ასეა დღევანდლამდე —, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო.

1945 წლის შემდეგ მან ერთხელ მოინახულა სილეზია. ეს მოხდა 1975 წლის გაზაფხულზე; ის ძმასთან ერთად გაემგზავრა თავის მშობლიურ სოფელში პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთი თანამშრომლის თანხლებით და მშობლების სახლი მოინახულა. მე მას წინასწარ ვუთხარი: ამგვარი მოგზაურობა კი მოხერხდება, მაგრამ მე ვერ გამოგყვები. სანამ გერმანია-პოლონეთის საზღვარი საერთაშორისოსამართლებრივი წესით არ არის აღიარებული, მე, როგორც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს, არც შემიძლია და არც სურვილი მაქვს გერმანიის ყოფილ ტერიტორიაზე დავდგა-მეთქი ფეხი.

ვარშავაში აეროპორტზე საგარეო საქმეთა მინისტრი სკუბიშევს-

კი დამხვდა. მანქანაში კიდევ ერთხელ განვუმარტე მას ის მოტივები, რის გამოც უარი ვთქვი ჩემს ვიზიტთან დაკავშირებით ყოველგვარ საზოგადოებრივ ღონისძიებათა გამართვაზე. ამ ხელშეკრულების ხელმოწერისას, ვთქვი მე, ერთმანეთს უკავშირდება ჩვენი ისტორიული ტვირთი, მორალური მოსაზრებანი და აქედან გამომდინარე ჩვენი ხალხის პასუხისმგებლობა მშვიდობისათვის. ისიც ვთხოვე, ხელმოწერის შემდეგ, მიღებული წესის საწინააღმდეგოდ, არავითარი სასმელი არ გვინდა-მეთქი. შამპანურის ჭიქები ამ შემთხვევაში უადგილო იქნებოდა. მერე ვიმსჯელეთ ცერემონიის დეტალებზე. მანამდე იყო კამათი იმის თაობაზე, რომელი ელჩები მოგვეწვია: პოლონეთის მთავრობას სურდა ოთხი სახელმწიფოს ელჩები დაეპატიჟებინა. რატომ ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლები? ვიკითხე მე. თუმცა ამაზე „ორი პლუს ოთხის" ფარგლებში გამართულ მოლაპარაკებებზეც გვქონდა საუბარი, მაგრამ, რასაც ახლა ჩვენ ვაკეთებთ, ეს მაინც გერმანია-პოლონეთის საქმეა-მეთქი. კშიშტოფ სკუბიშევსკიმ, დიდად განათლებულმა კოლეგამ, რომელსაც მე როგორც ადამიანური, ასევე პროფესიული თვალსაზრისით განსაკუთრებულად ვაფასებდი, ძალიან კარგად გაიგო ჩემი მოტივები. ხელმოწერის ცერემონია მოკრძალებულად და ღირსეულად ჩატარდა. მე ჩემივე სურვილის თანახმად ბოლოს წარმოვთქვი სიტყვა, პრემიერ-მინისტრ მაზოვეცკისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შემდეგ.

ვარშავაში შევხვდი პრემიერ-მინისტრის მოადგილეს და ფინანსთა მინისტრს დრ. ბალცეროვიჩს, 11 საათზე საუბარი მქონდა პრემიერ-მინისტრ მაზოვეცკისთან. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ სადილად დავსხედით „პალე ფოკსალში". შემდეგ თავის სამუშაო კაბინეტში მოვინახულე პრეზიდენტი იარუზელსკი. მე მას სხვადასხვა ვითარებაში შევხვედრივარ, პრემიერ-მინისტრობის დროსაც და პრეზიდენტობის დროსაც. ეს ჩვენი მეოთხე შეხვედრა იყო. ამას მოჰყვა საუბარი საგარეო საქმეთა მინისტრ სკუბიშევსკისთან, რომელიც ამასობაში ჩემი კარგი მეგობარი გახდა, და საუბარი სეიმის მარშალთან. ბოლოს გერმანიის რეზიდენციაში პოლონეთში მცხოვრები გერმანელების ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლებს ველაპარაკე, ვიდრე 19 საათზე „ბარკოვას" სასტუმრო სახლში კიდევ ერთხელ შევხვდებოდი ლეხ ვალენსას. 20 საათზე შედგა დასკვნითი საუბარი საგარეო საქმეთა მინისტრ სკუბიშევსკისთან.

1990 წლის იმ 14 ნოემბერს მე ჩემს სიტყვაში არ შემეძლო გვერდი ამევლო იმ ტკივილისთვის, რაც ამ დღემ ჩვენ, გერმანელებს მოგვიტანა. გერმანია-პოლონეთის ახლებური ურთიერთობა საჭიროებდა, ჩვენს პოლონელ პარტნიორებს გაეგოთ, რას ნიშნავდა ჩვენთვის ეს ხელშეკრულება, და ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ეს მათთვის ისეთ ვინმეს ეთქვა, ვის შესახებაც პოლონელებმა იცოდნენ, რომ იგი პატიოსნად და მთელი ძალით ესწრაფოდა გერმანელებსა და პოლონელებს შორის ახლებური ურთიერთობის დამყარებას. ჩვენ გვამოძრავებდა საკუთარი ისტორიული და მორალური პასუხისმგებლობის გრძნობა და ვმოქმედებდით იმ დანაშაულობების სრული შეგნებით, რაც გერმანელების სახელით და გერმანელების მიერ იქნა ჩადენილი პოლონელი ხალხის მიმართ. ჩვენ ამას კიდევ იმიტომ ვაკეთებდით, რომ ვიცოდით, გერმანია-პოლონეთის ამ საზღვრის ეჭვქვეშ დაყენება ევროპას ახალ კატასტროფამდე მიიყვანდა და ჩვენ, გერმანელებს, უფსკრულში გადაგვჩეხავდა — ამჯერად სამუდამოდ. „არსებული საზღვრის ცნობა გერმანელთა თავისუფლად მიღებული გადაწყვეტილებაა. ის ჩვენთვის თავს არავის მოუხვევია". ვარშავიდან სიტყვა მივაწვდინე განდევნილთ — როგორც ამას მუდამ ვაკეთებდი სხვა დროსაც. მე ხაზგასმულად მაღალი შეფასება მივეცი მათ მორალურ წვლილს შერიგების საქმეში და მათ წვლილს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თავისუფალი წესწყობილების აღმშენებლობაში: ასე რომ, გადაწყვეტილება, ხელი მოვაწეროთ ამ ხელშეკრულებას, ჩვენთვის, გერმანელებისთვის არ არის ადვილი — არავისთვის არ არის ადვილი, არც ჩემთვის, ვთქვი მე. ხოლო მათთვის, ვინც სამშობლო დაკარგა და ლტოლვილობის ტანჯვა გამოსცადა, ეს განსაკუთრებით მტკივნეულია. მათ გრძნობებსა და მათ პასუხისმგებლობას მშვიდობისათვის უნდა მივაგოთ ჩვენ ამ წუთში განსაკუთრებული პატივი, რადგან სამშობლოს დაკარგვა მძიმე მსხვერპლის გაღებაა. ისინიც უნდა გავიხსენოთ, ვინც ლტოლვილობისას გამოეთხოვა სიცოცხლეს, ვთქვი და განვაგრძე: „ჩვენი ეს გრძნობები ჩვენივე გადაწყვეტილების, ვითარცა ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისათვის გაღებული წვლილის, მნიშვნელობას ოდნავადაც არ ამცრობს. ისინი ოდნავადაც არ ამცრობს იმ მნიშვნელობას, რაც ამ გადაწყვეტილებას აქვს ახალი ევროპული მომავლისთვის. ეს გრძნობები უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს ევროპაში



1990 წლის 14 ნოემბერს ხელმოწერილი გერმანია-პოლონეთის სასაზღვრო ხელშეკრულება დიდი მორალური და ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენა იყო. სურათზე: გერმანიისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები გენშერი და სკუბიშევსკი ხელშეკრულების ხელმოწერისას.

მშვიდობის განმტკიცებისათვის პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებას".

როცა ვარშავაში ამას ვამბობდი, განსაკუთრებით ჩემს მეუღლეზე ვფიქრობდი. ეს ხელშეკრულება შეესაბამებოდა ჩემში ღრმად ფესვგადგმულ მრწამსს. ხელი მოვაწერე სავსებით დარწმუნებულმა, რომ ჩვენ მიერ არჩეული გზა და მისი მორალური დასაბუთება სწორი იყო.

მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ყველგან მსოფლიოში — პოლონეთში დანამდვილებით, და ამის შესახებაც ხანგრძლივი საუბარი მქონდა კშიშტოფ სკუბიშევსკისთან — მართლა შეძლებდნენ იმის გაგებას, თუ რას ნიშნავდა ის ამბავი, რომ გერმანიამ ამ ხელშეკრულებას პირველი საერთოგერმანული არჩევნების წინ მოაწერა

ხელი. თავად განსაჯეთ: ხელმოწერა 1990 წლის 14 ნოემბერს მოხდა. ორნახევარი კვირის შემდეგ, 2 დეკემბერს, ჩატარდა პირველი საერთოგერმანული ფედერალური არჩევნები. ამ გადაწყვეტილებით გერმანიის მთავრობა ამომრჩეველთა სამსჯავროს წინაშე წარდგა. მოგვიანებით მე ვუთხარი ჩემს დასავლელ კოლეგებს, მთავრობა, რომელმაც ამ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, ხმების შთამბეჭდავი უმრავლესობით იქნა არჩეული, ოპოზიციამ მთლიანად დაუჭირა მხარი ხელშეკრულებათა მთელ პაკეტს. ამან ამ დოკუმენტს სანდოობის განსაკუთრებული ხარისხი შესძინა.

საღამოს კიოლნ-ბონის აეროპორტისკენ გავფრინდით. შინ რომ მივედი, მეუღლეს არ ეძინა. იმ საღამოს ხელშეკრულებაზე არ გვისაუბრია. მაგრამ ის კი ვუთხარი, ცერემონიამ ისე ჩაიარა, როგორც მე მინდოდა-მეთქი, და რომ სკუბიშევსკიმ დიდი გულისხმიერება გამოიჩინა და სანდო პარტნიორად წარმოჩნდა, ისეთად, როგორადაც მე იგი თავიდანვე მიმაჩნდა.

მართლაც, საგარეო საქმეთა მინისტრ სკუბიშევსკისა და ჩემ შორის ღრმა ადამიანური ურთიერთობა აღმოცენდა. შესაძლებელი გახდა, 1991 წელს ვაიმარში მოგვეწყო შეხვედრა, რომელშიც დიუმა, სკუბიშევსკი და მე ვმონაწილეობდით. იქ ჩვენ გამოვაქვეყნეთ ერთობლივი ფრანგულ-პოლონურ-გერმანული დეკლარაცია ევროპის მომავლის თაობაზე. ეს იყო ამ სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების პირველი შეხვედრა, რომელიც ევროპის ერთიანობის მაღიარებელი ერთობლივი, დამავალდებულებელი დოკუმენტის მიღებით დაგვირგვინდა. ასე წარმოიქმნა ვაიმარის სამკუთხედი ან, როგორც სხვაგვარადაც უწოდებენ, ვაიმარის რკალი: საფრანგეთი, პოლონეთი და გერმანია ევროპის ერთიანობისთვის ერთობლივ პასუხისმგებლობას კისრულობდნენ. ეს სიგნალი ვაიმარიდან წამოვიდა, გოეთესა და შილერის ქალაქიდან.

ისტორიაში ხშირად ისეთი რაღაცები ხდება, რომელთა მსგავსი ყველაზე თამამი ფანტაზიის რომანისტსაც არ მოუვა თავში. ჩვენი შეხვედრის ბოლოს ორივე კოლეგას შევთავაზე, არამარტო ვაიმარი, არამედ კიდევ ერთი რომელიმე სხვა ადგილი დაგვეთვალიერებინა. სკუბიშევსკიმ ნაუმბურგის დათვალიერება მოიწადინა, ნაუმბურგის ტაძარი მინდა ვნახო, რაკგანაც ჩემი ძმა, ხელოვნების ისტორიკოსი, ბევრს მომითხრობდა მის შესახებ.

რაკი როლან დიუმა ნაადრევად უნდა დაბრუნებულიყო პარიზში, სკუბიშევსკი და მე მის გარეშე გავფრინდით შეეულმფრენით ნაუმბურგში. ავტომობილით გავემგზავრეთ ქალაქის ცენტრალური მოედნისკენ, სადაც ობერბიურგერმაისტერი და საბჭოს წარმომადგენლები გველოდებოდნენ. უამრავი ხალხი შეკრებილიყო რატუშის წინ. სამხედრო მუსიკის ხმა შემოგვესმა — ნეტა პოლიციის ორკესტრია თუ ბუნდესვერისა-მეთქი, გავიფიქრე. როცა მანქანიდან გადმოვედით, დავადგინეთ, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ორკესტრი გვესალმებოდა. მერე ობერბიურგერმაისტერმა აგვიხსნა, ვერ მოხერხდა ბუნდესვერის ორკესტრის მოყვანა, ამიტომ საბჭოთა არმიას ვთხოვე და მათაც სპონტანურად მიიღეს გადაწყვეტილება, დაგვხმარებოდნენო. სკუბიშევსკიმ და მე ერთმანეთს თვალებში ჩავხედეთ და მერე, ორიოდე წუთით მარტო რომ დავრჩით, ვთქვით: „რა მოხდა ამ ევროპაში ისეთი, რომ პოლონეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრებს გაერთიანებულ გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ორკესტრი ესალმება! მართლაც რომ ახალი მომავალი დაიწყო“.

ამ გზაზე მავალთ დღემდე არაფერი მიგვიღია ვინმესგან საჩუქრად. ყოველივე წარსულისა და მომავლისათვის პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებით, ჩვენი ისტორიის მიმართ პატიოსანი დამოკიდებულებით, ჩვენს მეზობლებთან გულწრფელობაზე დაფუძნებული ურთიერთობის წყალობით მოვიპოვეთ. ეს იმგვარი მსოფლმხედველობის გამომუშავებას მოითხოვდა, რომელიც ბოლოს მოულებდა ძველებურ აზროვნებას, აზროვნებას ნაციონალური ეგოიზმის და ძალის კატეგორიების გამოყენებით; საჭირო იყო, შეგვეცნო პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობის შეგნებით გვემოქმედა.

გერმანელების დამოკიდებულება საფრანგეთსა და პოლონეთთან მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მთელი კონტინენტის მომავალს. თუ გერმანელები, ფრანგები და პოლონელები ერთობლივად იმოქმედებენ ისე, როგორც ევროპელებს შეჰფერით, და ნაციონალიზმს არ მისცემენ ხელახალი გააქტიურების შანსს, ეს წარმოშობს ნდობას და განამტკიცებს მშვიდობას მთელ ევროპაში. ევროპისათვის გაწეულმა ამ ერთობლივმა გარჯამ შესაძლოა წარმოშოს და კიდევაც უნდა წარმოშოს ახლებური აზროვნება, თანაცხოვრების ახალი კულტურა. ამაში მდგომარეობს ვაიმარის რკალის მორალური, ისტორიული მნიშვნელობა. ეს იყო შეხვედრა და თანამშრომლობა, იმ ქალაქის

სახელთან დაკავშირებული, რომელმაც ისტორიულად ევროპული სულისა და ევროპული კულტურის სიმაღლეებს გვაზიარა და რომელიც ამავდროულად არასოდეს გვაძლევს საშინელებათა უფსკრულების დავიწყების საშუალებას – ყოველივე იმის შეხსენებით, რაც იქიდან სულ რამდენიმე კოლომეტრის დაშორებით მოხდა ბუხენვალდში.

ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ეს ვაიმარის სამკუთხედი, როგორც მას პოლონეთში უწოდებენ, ეს ვაიმარის რკალი აღქმულ იქნას როგორც ევროპის მიმართ გერმანულ-ფრანგულ-პოლონური ვალდებულების მუდმივი შეხსენება.

ნაწილი VI

ახალი კრიზისები და ახალი ცვლილებანი

თავი 18

გერმანია და ომი სპარსეთის ყურეში

ქუვეითში შეჭრა:
ხალხთა თანამეგობრობა რეაგირებას აცხადებს

1990 წლის 2 აგვისტოს, დილაადრიან ერაყის ჯარები ტანკებისა და თვითმფრინავების მხარდაჭერით ქუვეითში შეიჭრნენ. ირანზე განხორციელებული შეტევის შემდეგ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ერაყი მეორედ დაესხა თავს მეზობელ ქვეყანას.

პრეზიდენტმა ბუშმა იმ დღესვე დაგმო ერაყის აგრესია და საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდა ნათელი, მტკიცე პოზიცია დაეკავებინა ბაღდადის მიმართ. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა ასპენში, კოლორადოში, ბუშთან შეხვედრის შემდეგ ერაყის აგრესიას ყოვლად მიუღებელი უწოდა; თუ ამგვარ ქმედებას დასაშვებად მივიჩნევთ, მაშინ ამ რეგიონის ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იგრძნობს უსაფრთხოდ თავსო, თქვა მან. შექმნილი კრიზისული ვითარების განსახილავად უკვე 2 აგვისტოსვე აშშ-ს წინადადებით ნიუ-იორკში გაიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც თოთხმეტი ხმით — იემენმა თავი შეიკავა — მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო, „რომ ქუვეითის მიმართ ერაყის აგრესიის სახით საქმე გვაქვს მსოფლიო მშვიდობის და საერთაშორისო უსაფრთხოების ხელყოფასთან", რაც ყოველმხრივ დასაგმობია. უშიშროების საბჭო მოითხოვდა, ერაყს თავისი შეიარაღებული ძალები დაუყოვნებლივ და უპირობოდ დაებრუნებინა იმ პოზიციებზე, რაც მათ 1990 წლის 1 აგვისტოს ეკავათ; საბჭო მოუწოდებდა ერაყსა და ქუვეითს, სასწრაფოდ დაეწყოთ საფუძვლიანი მოლაპარაკებები თავიანთ უთანხმოებათა მოსაგვარებლად. საბჭომ გამოთქვა მზადყოფნა ყველა საამი-

სოდ გამიზნული ძალისხმევის ინიციატივათა მხარდასაჭერად; რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ საჭიროების შემთხვევაში საბჭო ხელახლა შეიკრიბებოდა, რათა ემსჯელა შემდგომ ღონისძიებებზე, რომლებიც ამ რეზოლუციის მოთხოვნათა შესრულებას უზრუნველყოფდა.

მეორე დღეს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოსკოვის აეროპორტში მოლაპარაკების შემდეგ ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნეს, რომლითაც ისინი სახელმწიფოთა თანამეგობრობას მოუწოდებდნენ, შეეწყვიტათ ერაყისათვის სამხედრო აღჭურვილობის მიწოდება და ერაყის აგრესიის დაგმობა პრაქტიკული ნაბიჯებით განემტკიცებინათ. 4 აგვისტოს ევროგაერთიანებამ მიიღო სანქციები, რომელთა შორის იყო ერაყისა და ქუვეითის ნავთობის იმპორტზე ტოტალური აკრძალვის დაწესება, ერაყის ქონებრივ ფასეულობათა კონფისკაცია, იარაღისა და სხვა სამხედრო აღჭურვილობის ექსპორტის აკრძალვა, ბაღდადთან სამხედრო, სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობის შეჩერება და სავაჭრო შეღავათების გაყინვა. პარიზში როლან დიუმამ ილაპარაკა ერაყის მიმართ საზღვაო ბლოკადის შესაძლებლობის შესახებ, ხოლო იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბუდიმირ ლონჩარმა მიუმხრობელ სახელმწიფოთა მოძრაობის სახელით, რომლის იმჟამინდელი პრეზიდენტიც იგი იყო, თავის მხრივ დაგმო აგრესია და მოითხოვა ქუვეითიდან ერაყის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა და ქუვეითის კანონიერი მთავრობისა და მისი სუვერენიტეტის ცნობა.

ფედერალურმა მთავრობამ დაგმო ქუვეითზე თავდასხმა. თავდასხმის დღესვე დავამყარეთ კონტაქტი მეგობარ და მოკავშირე მთავრობებთან, რათა შეთანხმებულად და ერთსულოვნად გვემოქმედა. ეჭვგარეშეა, ჩვენი უმთავრესი მოკავშირენი ჩვენზე უფრო გაწბილებულად გრძნობდნენ თავს. ეს ახალი აგრესია საკუთარი ესადაგებოდა ჩვენს წარმოდგენას ერაყის ხელმძღვანელობის პოლიტიკაზე, რომელიც რეგიონში გაბატონებას ისახავდა მიზნად. ჩვენი მთავარი მოკავშირენი კი სადამ ჰუსეინის რეჟიმს წლების განმავლობაში ამარაგებდნენ სამხედრო აღჭურვილობით, რადგან მას ბასტიონად თვლიდნენ უფრო სახიფათოდ მიჩნეულ თეირანის აიათო-

ლასეული რეჟიმის წინააღმდეგ. ჩვენმა საგარეო უწყებამ მდგომარეობა უფრო ფხიზლად და, როგორც ახლა გამოჩნდა, უფრო რეალისტურად შეაფასა. სადამ ჰუსეინის ამბიციები, ამ რეგიონში ერაყისათვის გაბატონებული პოზიცია მოეპოვებინა, უკვე ყველასთვის ნათელი გახდა. მისი პოლიტიკა, როგორც ეს ჯერ კიდევ ირანზე თავდასხმამ ცხადყო, თავისი არსით აგრესიული იყო. როცა მე ირანზე თავდასხმის გამო ერაყს აგრესორი ვუწოდე, ამ შეფასებას დასავლეთში თავშეკავებულად, ნაწილობრივ კრიტიკულადაც კი შეხვდნენ. ისრაელმა კი გაიზიარა ჩვენი შეხედულება, რომ სადამ ჰუსეინი მარტო მათი ქვეყნისთვის კი არა, მთელი რეგიონისთვის საფრთხეს წარმოადგენდა.

დიდად გვაწუხებდა ერაყსა და ქუვეითში ჩარჩენილი გერმანიის და სხვა ქვეყნების მოქალაქეთა ბედი. სადამ ჰუსეინი ხელს უშლიდა ერაყში მცხოვრები და მომუშავე ათასობით უცხოელი მოქალაქის შინ დაბრუნებას. ისინი მძევლებად ჰყავდათ განთავსებულნი უმთავრესად საომარი მოქმედებისთვის მნიშვნელოვან შენობა-ნაგებობათა სიახლოვეს. ქუვეითში, სადაც ოთხასამდე გერმანელი ცხოვრობდა, თითქმის ათიათასამდე დასავლეთიდან ჩასული უცხოელი იძულებული იყო მათთვის მითითებულ სასტუმროებში შეკრებილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასე იყო გამოცხადებული, „ისინი და მათი მთავრობები იქნებოდნენ მთლიანად პასუხისმგებელნი ყველა იმ არასასურველი შედეგისთვის, რაც მტრული ელემენტების მოქმედებას მოჰყვებოდა“. სადამ ჰუსეინის განცხადებით, დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეებს გაათავისუფლებდნენ, როგორც კი პრეზიდენტი ბუში წერილობით დაადასტურებდა, რომ გაიყვანდა აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს საუდის არაბეთიდან, ეკონომიკურ ბლოკადას მოუხსნიდა ერაყს და არ დაესხმოდა თავს მის ქვეყანას.

20 აგვისტოს ერაყი იქამდეც კი მივიდა, რომ ჯერ კიდევ ქუვეითში მყოფ დიპლომატებს მოსთხოვა, 24 აგვისტომდე საელჩოები დახურეთო. გერმანიის ინტერესები გაერთიანების პროცესისკენ იყო მიმართული, რომელიც 1990 წლის ზაფხულში გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. როცა ერაყის კრიზისი დაიწყო, უკვე ვუახლოვდებოდით „ორი პლუს ოთხის“ ფარგლებში შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებათა დასას-

რულს; მხოლოდ რამდენიმე კვირა იყო დარჩენილი ტექსტის ფორმულირებათა საბოლოოდ დადგენამდე, ოთხი სახელმწიფოს უფლებების შეჩერებამდე და საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის ორმხრივი ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებამდე.

ერაყის მიერ განხორციელებული თავდასხმის შემდეგ ჩემი პირველი ფიქრი იყო, რა ზეგავლენას მოახდენდა ეს მოვლენა დასავლეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობაზე, რასაც გერმანიის გაერთიანებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. როგორ შეეძლო ფედერაციულ გერმანიას სპარსეთის ყურეში საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესებისთვის დაეჭირა მხარი? როგორც ყველა მოკავშირე და მეგობარი მთავრობები, ჩვენც შეშფოთებული ვიყავით ახლო აღმოსავლეთში მოვლენათა შესაძლო განვითარების გამო.

როცა აშშ-მა გადაწყვიტა საუდის არაბეთისა და სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ მიმართული ერაყის ჯარების მუქარის მოსაგერიებლად შეიარაღებული ძალები გაეგზავნა საუდის არაბეთში, ფედერალურმა მთავრობამ სავსებით დაუჭირა მხარი მის განზრახვას, ამ მიზნით გამოყენებული ყოფილიყო ამერიკული სამხედრო ბაზები გერმანიაში. ეს მნიშვნელოვანი ნდობის გამომწვევი ნაბიჯი იყო, მით უმეტეს, რომ ადრე სხვა ვითარებაში ფედერაციულმა რესპუბლიკამ თავი შეიკავა ამისაგან — თუმცა საპატიო მიზეზით.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერთობლივ განცხადებას, რომელიც მიღებულ იქნა 1990 წლის 10 აგვისტოს ევროპის პოლიტიკური ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების მინისტრთა შეხვედრის შემდეგ. ევროგაერთიანების სახელმწიფოებმა მასში ხაზგასმით აღნიშნეს: „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა სტაბილურობის, ტერტორიული ხელშეუხებლობის და სუვერენიტეტის მიმართ სასიცოცხლო ევროპული ინტერესის არსებობის გამო ევროგაერთიანების სახელმწიფოებმა გამოხატეს თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება ფართო მასშტაბის ძალისხმევისთვის მზადყოფნის შესახებ, რათა აიძულონ ერაყი, გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს 662-ე რეზოლუციის თანახმად აღადგინოს ქუვეითის სუვერენიტეტი“.

უკვე 1990 წლის 16 აგვისტოს ერთმა გერმანულმა გამნაღმველმა შენაერთმა დატოვა გერმანიის ნაესადგურები და კურსი ხმელთაშუა ზღვისკენ აიღო. 20 აგვისტოს შევხვდი ფედერალურ კანცლერსა და თავდაცვის მინისტრს გერჰარდ შტოლტენბერგს.

ჩვენ დავადასტურეთ ჩვენი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ჩვენი საკონსტიტუციო სამართალი გამორიცხავდა გერმანული შეიარაღებული ძალების სპარსეთის ყურის რეგიონში გაგზავნას სამხედროიძულებით ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. „ორი პლუს ოთხის“ მოლაპარაკებებზე შექმნილი ვითარებაც თავშეკავებისკენ მოგვიწოდებდა.

ფედერალური მთავრობის ეს პოზიცია გერჰარდ შტოლტენბერგმა და მე დასავლეთევროპული კავშირის წინაშეც დავაფიქსირეთ. ამის გამო 23 აგვისტოს გერმანიის ბუნდესტაგში განვაცხადე: „კონსტიტუცია არ გვაძლევს უფლებას, გავგზავნოთ ჯარები ნატოში შემავალი სახელმწიფოების ტერიტორიათა გარეთ მდებარე რეგიონებში. ჩვენ მოვახსენეთ ჩვენს პარტნიორებს იმის შესახებ, რომ ფედერალურმა მთავრობამ სოციალისტურ ოპოზიციასთან ერთად ძირითადი კანონის დამატების განხილვა დაიწყო. ამ დამატების მიზანია, ბუნდესვერს მომავალში იმ აქციებში მონაწილეობის უფლება მისცეს, რომლებიც გაერთიანებული ერების ქარტიის ფარგლებში ტარდება უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით. ამით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გამოხატავს თავის მზადყოფნას, გერმანიის გაერთიანებისა და აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ იკისროს თავისი წილი პასუხისმგებლობა მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში გაერთიანებული ერების ღონისძიებათა ფარგლებში და მისი ქარტიის საფუძველზე“.

ამ საკითხმა ორად გაყო საზოგადოებრივი აზრი. ფედერალურმა მთავრობამ განაცხადა, რომ მზად იყო, საერთაშორისო სამხედრო ექსპედიციისთვის ეგრეთ წოდებული მაძებარი ტანკები გადაეცა. გასაოცარია, ბევრმა რა სწრაფად გამოამჟღავნა მზადყოფნა, ხელი აეღო კონსტიტუციურსამართლებრივი მოსაზრებითა და აგრეთვე გერმანიის ისტორიის სპეციფიკით გამოწვეულ თავშეკავებაზე და „ორი პლუს ოთხის“ პროცესის სიმყიფისა და მოსკოვსა და ბაღდადს შორის ჯერ კიდევ არსებული მჭიდრო ურთიერთობის მიუხედავად ფედერაციული რესპუბლიკის მხრივ სამხედრო ძალისხმევის გამოჩენა მოითხოვა. სრულიად უყურადღებოდ დარჩა ის ამბავი, რომ სპარსეთის ყურეში ამგვარი მოქმედებისთვის ბუნდესვერი არც ფსიქოლოგიურად და არც სწავლების, შეიარაღების და ლოგისტიკის თვალსაზრისით მომზადებული არ იყო.

1990 წლის 21 აგვისტოს გამართულ მინისტრთა შეხვედრაზე დასავლეთევროპულმა კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, მას როგორც ევროპულ კომიტეტს ახლო აღმოსავლეთის ომთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხებზე კენჭისყრისას წინა პლანზე წამოეწია ევროპის უსაფრთხოებრივ-პოლიტიკური იდენტურობა. თავდაცვის მინისტრი და მე მივესალმეთ ამას ფედერალური მთავრობის სახელით. შეხვდრაზე მოწვეულნი იყვნენ აგრეთვე ევროგაერთიანების ის სახელმწიფოები, რომლებიც დასავლეთევროპული კავშირის წევრები არ არიან, და იმჟამინდელი კრიზისის გამო განსაკუთრებით დაზარალებული ნატოს წევრი ქვეყანა, კერძოდ, თურქეთი. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, გარდა ინტენსიური კონსულტაციებისა, კრიზისულ რეგიონში საერთაშორისო ღონისძიებანი ერთმანეთისთვის შეგვეთანხმებინა.

ოთხი დღის შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 665-ე რეზოლუცია, რომელიც გაეროს წევრ სახელმწიფოთა საზღვაო-შეიარაღებულ ძალებს უფლებას აძლევდა მიეღოთ შესაბამისი ზომები ერაყის მიმართ ემბარგოს განსახორციელებლად. ამბობდნენ, რომ ეს იყო მნიშვნელოვანი გამონაკლისი ამ მსოფლიო ორგანიზაციის ისტორიაში, რადგან მანამდე უშიშროების საბჭომ მხოლოდ ორჯერ მიმართა ძალის გამოყენებას თავისი გადაწყვეტილებების შესასრულებლად — 1950 წელს კორეის კონფლიქტისას და 1965 წელს როდეზიასთან დაკავშირებით. რაკი თვით საბჭოთა კავშირმაც და ჩინეთმაც მხარი დაუჭირეს ამ რეზოლუციას, თუმცა ადრე მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდათ ერაყთან, ერაყელი დიქტატორი მსოფლიო მასშტაბით მანამდე არნახულ იზოლაციაში აღმოჩნდა. ნათელი გახდა, რომ ცივი ომის დამთავრებამ ევროპის ფარგლებს გარეთაც ურთიერთთანამშრომლობის ახალი ფორმების წარმოშობა გამოიწვია.

გერმანიის პოზიცია

გერმანული საგარეო პოლიტიკის ხაზი მკაფიოდ გამოიკვეთა: საჭირო იყო მკვეთრი დაპირისპირება ერაყთან და ამავდროულად ყველა დიპლომატიური შესაძლებლობის გამოყენება იმისათვის, რომ ბაღდადელი დიქტატორი იძულებული გაგვეხადა უკან დაეხია. უმაღლეს

მიზნად დავისახეთ, ბოლო მოღებოდა ერაყის მიერ ქუვეითის ოკუპაციასა და ანექსიას და შენარჩუნებულიყო რეგიონის სახელმწიფოთა უსაფრთხოება. ემბარგოს საშუალებით, რომელიც გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით აგვისტოდან შედიოდა ძალაში, უნდა აღდგენილიყო ქუვეითის ტერიტორიული ხელშეუხებლობა და სუვერენიტეტი. საჭირო იყო არამარტო გადაწყვეტილებათა თანამიმდევრული შესრულება, არამედ იმ სახელმწიფოთა მიმართ სოლიდარობის გამოცხადებაც, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალდნენ კრიზისისაგან, რადგან ემბარგო მხოლოდ მაშინ იქნებოდა წარმატებული, თუ იმ ქვეყნებს, ეკონომიკურად მჭიდროდ რომ იყვნენ ერაყთან დაკავშირებულნი, დავეხმარებოდით, გადაეტანათ ის სიძნელეები, რაც ამ კრიზისმა წარმოშვა და ისიც, რაც მოჰყვებოდა ლტოლვილთა მოსალოდნელ ნაკადს. ეს უპირველეს ყოვლისა იორდანიას ეხებოდა, რომელიც დაუცველი იყო და რომელთანაც ჩვენ დიდი ხანია კეთილმეგობრული ურთიერთობები გვქონდა. მაგრამ ეგვიპტეც ძალიან დაზარალდა ეკონომიკურად იმის შედეგად, რომ ასიათასამდე მისი მოქალაქე იძულებული შეიქნა ერაყიდან შინ დაბრუნებულიყო, ისევე როგორც თურქეთი, რომელსაც მანამდე დიდი რაოდენობით ნავთობი შემოჰქონდა ერაყიდან, და საერთოდ მასთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა.

ევროგაერთიანების თორმეტი საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრაზე, რომელიც ევროპული პოლიტიკური ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში შედგა, შევეცადეთ ევრპულ-არაბული დიალოგის მეშვეობითაც გვეპოვა პოლიტიკური გადაწყვეტილება. რაკიღა ჩვენთვის უმთავრესი ის იყო, არაბული სახელმწიფოებისგან მომდინარე სამშვიდობო ინიციატივებისთვის დაგვეჭირა მხარი, ამიტომ განუწყვეტლივ კონტაქტში ვიმყოფებოდი მათთან. ამავე დროს ვეცადეთ, ჩვენი ურთიერთობები სირიასა და ირანთან კონფლიქტის დიპლომატიური მოგვარებისათვის გამოგვეყენებინა.

ყოველივე ამასთან ერთად პირველ რიგში იმედს ვამყარებდი მსოფლიო უშიშროების საბჭოს პოზიციაზე. მისი გადაწყვეტილებების ერთმნიშვნელოვნება იმის მაუწყებელი იყო, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის წინააღმდეგობის დაძლევამ გაერთიანებული ერების ახალ, უფრო ფართო მასშტაბის ქმედითუნარიანობამდე მიგვიყვანა; ახლა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შეეძლოთ ურთ-

იერთმოლაპარაკების შემდეგ ერთობლივი აქტიურობისთვის მიემართათ, და ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა: რადგანაც მხოლოდ ხალხთა თანამეგობრობის ერთსულოვნებას და სიმტკიცეს შეეძლო სადამ ჰუსეინისთვის ჭკუა ესწავლებინა და შესაძლოა უკან დახევაც ეიძულებინა.

მას შემდეგ, რაც ერაყის ჯარები ქუვეითში საფრანგეთისა და ჰოლანდიის საელჩოებში შეიჭრნენ, ევროგაერთიანებამ 14 სექტემბერს კიდევ ერთი განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც მან ეს მოვლენა საერთაშორისო შეთანხმებათა უხეშ დარღვევად შეაფასა. ოთხი დღის შემდეგ დასავლეთევროპული კავშირის საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებმა პარიზში მხარი დაუჭირეს საფრანგეთის წინადადებას, მოეხდინათ დასავლეთევროპული კავშირის ყველა წევრ სახელმწიფოთა საზღვაო-შეიარაღებული ძალების მოქმედებათა კოორდინაცია სპარსეთის ყურეში, ოღონდ საამისოდ ერთობლივი მთავარსარდლობა არ დაეწესებინათ. ლუქსემბურგისა და გერმანიის გარდა დასავლეთევროპული კავშირის ყველა წევრ სახელმწიფოთა ფლოტები ღებულობდა ამ ძალისხმევაში მონაწილეობას.

გერმანიის ბუნდესტაგში გამოსვლისას სასტიკად დავგმე ის ამბავი, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს არ აძლევდნენ ერაყიდან და ქუვეითიდან გამგზავრების საშუალებას. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი ვუწოდე იმ ფაქტს, რომ ისინი სამხედრო ბაზების სიახლოვეს ჰყავდათ დაბინავებული; ეს იყო საერთაშორისო სამართლისა და ცივილიზებული ქცევის ნორმათა დარღვევა. მე ვთქვი, ფედერაციული რესპუბლიკა და ევროგაერთიანება ერთი აზრისანი არიან იმის თაობაზე, რომ არ შეიძლება ანგარიში გაეწიოს ერაყის მოთხოვნას, დაიხუროს ქუვეითში უცხოეთის საელჩოები, ვინაიდან ერაყს არავითარი უფლება არა აქვს, ამგვარი მოთხოვნა წამოაყენოს. ეს მიუღებელი იყო, რადგანაც ამგვარი რამ ქუვეითის ერაყისათვის მიერთების აღიარების ტოლფასი იქნებოდა. გარდა ამისა ქუვეითში ჩვენი სახელმწიფოების მრავალი მოქალაქე იმყოფებოდა და ისინი ჩვენი დიპლომატების მხრივ მეურვეობას საჭიროებდნენ. ქუვეითსა და ბაღდადში მომუშავე ჩვენი საელჩოების თანამშრომლებს მადლობა გადავუხადე მათი მზადყოფნისთვის, გაეგრძელებინათ მოღვაწეობა;

ისინი უძნელეს პირობებში ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას.

ყველას შეგნებული გვქონდა ის ამბავი, რომ ერაყის აგრესიამ მსოფლიო ისეთ მძიმე კრიზისში ჩააგდო, რომლის დაძლევა მხოლოდ მძლავრი, ერთსულოვანი და კარგად მოფიქრებული ქმედებით იყო შესაძლებელი. გაეროს საპასუხო ღონისძიებები კი არ უქმნიდა საფრთხეს მსოფლიო მშვიდობას, არამედ ერაყის აგრესია — ეს არ უნდა ყოფილიყო მხედველობიდან გაშვებული. სწორედ ანტიამერიკული პროტესტის გამო, რაც იმ თვეებში შესამჩნევი გახდა ფედერაციულ რესპუბლიკაში, მივანიშნე მე ხაზგასმით ამ გარემოებაზე — აღკვეთეთ საწყისები, ასე ჟღერდა ჩემი დევიზი. დიდ ევროპულ სამშვიდობო გადაწყვეტილებას, რომელსაც ევროთათბირის 1990 წლის ნოემბრის სხდომაზე თვალსაჩინო გამოხატულება უნდა ეპოვა, არავითარი გასაქანი აღარ უნდა მიეცა საომარი მოქმედებებისთვის მსოფლიოს სხვა რეგიონებში. მშვიდობისათვის ევროპული პასუხისმგებლობა ამასაც გულისხმობდა.

როცა 30 აგვისტოს ამერიკის მთავრობამ გვკითხა, მზად იყო თუ არა ბონი, ხარჯები გაეღო სპარსეთის ყურეში ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის, კანცლერმა კოლმა 13 სექტემბერს განაცხადა, რომ ფედერაციული რესპუბლიკა გაიღებდა ხარჯებს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში; მან კვლავ გაიმეორა, რომ ბუნდესტაგის არჩევნების შემდეგ სათანადო ცვლილებებს შეიტანდა კონსტიტუციაში, რაც ბუნდესვერს შესაძლებლობას მისცემდა კრიზისულ რეგიონებში გაეროს ეგიდით ჩატარებულ აქციებში მიეღო მონაწილეობა.

15 სექტემბერს გვეწვია ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბეიკერი, რათა იმ ღონისძიებებსა და დახმარებებზე გვემსჯელა, რომლებიც ჩვენ გვქონდა მხედველობაში. ჰელმუთ კოლი და მე შეთანხმებულნი ვიყავით კაბინეტთან, საპარლამენტო ოპოზიციასთან და მოსახლეობის უმეტეს ნაწილთან იმის თაობაზე, რომ ქუვეითის და ახლო აღმოსავლეთის გასათავისუფლებლად ჩვენ მნიშვნელოვან წვლილს გავიღებდით — მაგრამ გერმანელ ჯარისკაცებს ვერ გავგზავნიდით კრიზისულ რეგიონში.

თუმცა საბჭოთა კავშირი პრინციპულად თანახმა იყო ამ კრიზისთან დაკავშირებით დასავლეთთან, მეტადრე აშშ-თან ერთობლივად ემოქმედა, მაგრამ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეო-



1985 წლის თებერვალში ჰანს-დიტრიხ გენშერი თან ახლდა ფედერალურ პრეზიდენტს ფონ ვაიცზეკერს ამანში მოგზაურობისას, სადაც წარმოებდა მოლაპარაკებები მეფე ჰუსეინთან. იორდანელ მონარქთან ურთიერთობას ათწლეულების განმავლობაში ნდობა და მეგობრობა განსაზღვრავდა.

ბის მიღება არ სურდა. გორბაჩოვისა და შევარდნაძისთვის ამ საქმეში ვაშინგტონისა და ევროგაერთიანებისთვის მხარდაჭერა ისედაც არ იყო ადვილი. ერაყი ათეული წლების განმავლობაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული მოსკოვთან. ერაყის არმიის დიდი ნაწილი საბჭოთა კავშირიდან ღებულობდა შეიარაღებას და სამხედრო ცოდნას; აგრესიის მომენტში ერაყში დაახლოებით რვა ათასი საბჭოთა კონსულტანტი იმყოფებოდა.

მით უფრო დიდ მოწიწებას ვგრძნობდი ორივე ამ პოლიტიკოსის მცდელობათა წინაშე, დიპლომატიური გზით მიეღწიათ უშიშროების საბჭოს 660-ე რეზოლუციის შესრულებისთვის და სამხედრო კონფლიქტი თავიდან აეცილებინათ. მე მხარს ვუჭერდი მათ საშუამავლო მცდელობებს, რაც, სამწუხაროდ, უშედეგოდ დამთავრდა. სადამ ჰუსეინი ვერ დაიყოლიეს დათმობაზე წასულიყო.

26 სექტემბერს ნიუ-იორკში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე განვაცხადე: „ჩვენ ვგმობთ ერაყის აგრესიას მისი მეზობელი არაბ-

ული და ისლამური ქვეყნების წინააღმდეგ, გაერთიანებული ერების წევრ ქუვეითის წინააღმდეგ. სახელმწიფოთა თანამეგობრობა ვერ მოითმენს იმას, რომ რომელიმე ქვეყანას თავს დაესხან და მისი ანექსია მოახდინონ. აგრესია უნდა განვიხილოთ როგორც აგრესია, შანტაჟი – როგორც შანტაჟი, ადამიანის უფლებათა დარღვევა – როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა, თუკი არ გვსურს საერთაშორისო სამართლის გრძნობა შეილახოს". შემდეგ ჩემს სიტყვაში გაერთიანებულ ერებს მისი მოთხოვნებისადმი სრული მხარდაჭერა აღვუთქვი: სრული და უპირობო გასვლა ქუვეითიდან, ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენა და ყველა მძევლის დაუყოვნებლივ გათავისუფლება.

18 ნოემბერს სადამ ჰუსეინმა განაცხადა, რომ შობის დადგომამდე ყველა უცხოელს შეეძლო დაეტოვებინა ერაყი. ამან იმედი აღძრა. ამასობაში სხვადასხვა მთავრობათა მეთაურებმა და მთელი მსოფლიოს მაღალი რანგის პოლიტიკოსებმა, მათ შორის ვილი ბრანდტმა, ბაღდადში ორმხრივი საუბრებისა და მოლაპარაკებების წყალობით ნაბიჯ-ნაბიჯ მიაღწიეს იმას, რომ სულ უფრო მეტი უცხოელი იქნა გათავისუფლებული. ფედერალური მთავრობა ბრანდტის გარჯას პატივისცემით მოეკიდა და მადლობა განუცხადა მას იმისათვის, რომ ხელი შეუწყო ადამიანთა გათავისუფლებას. მე არამც და არამც არ ავყევი მცდელობას, ბრანდტის მოგზაურობის წარმატება გათავისუფლებულთა რაოდენობით გაზომილიყო. მე თითოეული ადამიანის გათავისუფლება მახარებდა. როცა სადამ ჰუსეინმა 20 ნოემბერს ყველა გერმანელის გაშვება ბრძანა, მაშინვე განვაცხადე, რომ ჩვენ გავაგრძელებდით ჩვენს მცდელობას ერაყში ჩარჩენილი სხვა ეროვნების ადამიანთა გათავისუფლებისთვისაც.

ბუნდესვერის აქცია ერაყში? საგარეოპოლიტიკური მოსაზრებანი შიდაპოლიტიკური დისკუსიის საგნად

ამასობაში ერაყში და ერაყის ირგვლივ კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება. სადამ ჰუსეინი, ეტყობოდა, არ აპირებდა, ნებაყოფლობით დაეტოვებინა ქუვეითი. საავჭრო ემბარგო 1991 წლის 15 იანვრამდე უნდა გაგრძელებულიყო. უშიშროების საბჭომ სადამ ჰუსეინს

არაორაზროვნად განუმარტა, რომ გაეროს გადაწყვეტილებები — რომლებსაც ფედერალური მთავრობა სავსებით უჭერდა მხარს — იარაღის ძალით იქნებოდა სისრულეში მოყვანილი, თუ იგი მანამდე თავის პოზიციებს არ დათმობდა. აქ საერთაშორისო კრიზისის მენეჯმენტის ახალმა თვისებრიობამ იჩინა თავი: გაეროს ეგიდით წამოწყებული მოკავშირეთა სამხედრო ექსპედიცია, რომელსაც აშშ წინამძღოლობდა, ეგვიპტის, სირიისა და მაროკოს მონაწილეობის წყალობით დასავლურ-არაბული თანამეგობრობის აქციას წარმოადგენდა.

როცა თურქეთის მთავრობამ 1990 წლის დეკემბერში მოკავშირეთა მობილური ძალების შენაერთთა გაგზავნა მოითხოვა, რომელთა შემადგენლობაში ბუნდესვერის საჰაერო და სახმელეთო ნაწილებიც შედიოდა, ამ საკითხმა ნატოს ხელშეკრულებასთან მიმართებით როგორც გერმანულ საზოგადოებრიობაში, ასევე ფედრაციული რესპუბლიკის პარტიებს შორის აზრთა მძაფრი შეხლა-შემოხლა გამოიწვია.

ნატოს სურდა თავისი მტკიცე განზრახვის დემონსტრირება მოეხდინა — დაიცავდა თურქეთს გარედან თავდასხმებისაგან. ამ ფონზე ფედერალურმა მთავრობამ ივალდებულა, საჰაერო ძალების ერთი გერმანული შენაერთი გაეგზავნა თურქეთში, რათა სადამ ჰუსეინს ვეღარ გაებედა თავდასხმა ჩვენს მოკავშირე ქვეყანაზე.

ამასობაში სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა საზოგადოებაში მოთხოვნა, ჩვენც მიგვეღო სამხედრო მონაწილეობა სპარსეთის ყურეში განვითარებულ მოვლენებში. მაგრამ კონსტიტუციურსამართლებრივ მოსაზრებათა გარდა არც ის უნდა დაგვივიწყნოდა, რომ ხელშეკრულება „ორი პლუს ოთხი“ მოსკოვში ჯერ რატიფიცირებული არ იყო და ამიტომ კარგს ვიზამდით, თუ ანგარიშს გავუწევდით შიდაპოლიტიკურ ვითარებას საბჭოთა კავშირში. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიგვეცა მიხეილ გორბაჩოვის მოწინააღმდეგეთათვის მათთვის სასურველი არგუმენტები გერმანიისადმი დამოკიდებულების შესაცვლელად; თუ საბჭოთა პარლამენტი უარს იტყოდა ხელშეკრულება „ორი პლუს ოთხის“ რატიფიცირებაზე, ამას გერმანიისა და ევროპისათვის კატასტროფული შედეგები მოჰყვებოდა. შევარდნაძის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებამ, გადამდგარიყო საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან, დიდ საგონებელში ჩამაგ-

დო. შევარდნაძემ ასე დაასაბუთა თავისი გადადგომა: „ეს არის ჩემი პროტესტი მოსალოდნელი დიქტატურის გამო. დემოკრატები მიიმალნენ, დიქტატურა ახლოვდება — ამას ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით. არავინ იცის, რა სახის დიქტატურა იქნება ეს, რა დიქტატორი მოვა და რა ვითარება გაბატონდება. მე ყოველთვის მხარს დავუჭერ განახლებისა და დემოკრატიის იდეებს". და შემდეგ განაგრძო: „თუ თქვენ დიქტატურას დაუშვებთ, არავის შეუძლია თქვას, ვინ იქნება დიქტატორი. თუ თქვენ ღილაკს თითს დააჭერთ, ამით მარტო გორბაჩოვის ბედს როდი გადაწყვეტთ, არამედ პერესტროიკის და დემოკრატიის ბედსაც". მას ხმამაღლა არ უთქვამს, მაგრამ, როცა ამ ბოლო წინადადებაზე დავფიქრდი, მივხვდი, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ ამას ნიშნავდა: პერესტროიკის დასასრული უმაღლეს საბჭოში „ორი პლუს ოთხი" ხელშეკრულების რატიფიკაციასაც შეუქმნიდა საფრთხეს. ამიტომ მე ამ განსაკუთრებულ სიტუაციაში მარტო კონსტიტუციურსამართლებრივი მიზეზით როდი ვიყავი სპარსეთის ყურეში ბუნდესვერის ჯარისკაცების გაგზავნის წინააღმდეგი, არამედ საერთაშორისოპოლიტიკური მიზეზებითაც. და მართლაც რამდენიმე თვე გავიდა, ვიდრე საბჭოთა ელჩი 1991 წლის 15 მარტს საგარეო საქმეთა უწყებაში რატიფიცირების დოკუმენტს გადმომცემდა; მხოლოდ ამით აღიდგინა გერმანიამ თავისი სრული სუვერენიტეტი.

„პეტრიოტის" შენაერთების თურქეთში გადაყვანამ ცხადყო, რომ ჯარისკაცები თვით ასეთი აქციისთვისაც კი სრულიად მოუმზადებელნი იყვნენ. უწინარეს ყოვლისა საგრძნობმა აღმზრდელობითმა პრობლემებმა იჩინა თავი. ათეული წლების განმავლობაში ბუნდესვერისთვის და მასთან ერთად გერმანული საზოგადოებისთვისაც ქვეყნის თავდაცვა და ალიანსის თავდაცვა სინონიმები იყო. ალიანსის ტერიტორიის სხვა ნაწილებში სამხედრო მოვალეობის შესრულება დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის კონფრონტაციის დასრულებამდე ჩვენთან სერიოზულად არასოდეს განხილულა. ვარშავის ბლოკისაგან თავდაცვის საქმეში ჩვენი ალიანსის წევრებს შორის ყველაზე მეტი დატვირთვა ფედერაციულ რესპუბლიკაზე მოდიოდა. ჩვენ გვყავდა უდიდესი ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალები 500 000 კაცის შემადგენლობით. გარდა ამისა, აშშ-ის და დიდი

ბრიტანეთისაგან განსხვავებით, ჩვენ შევინარჩუნეთ სავალდებულო სამხედრო სამსახური და შეგვეძლო რეზერვისტთა მობილიზაციის საშუალებით ჩვენი შეირაღებული ძალების რაოდენობა უმოკლეს დროში გაგვეზარდა. ჩვენი ჯარები ჩინებულად იყვნენ შეიარაღებულნი, დიდებულად იყვნენ გაწვრთნილნი და უკეთესი მომარაგება ჰქონდათ, ვიდრე ზოგიერთ მოკავშირე არმიას — ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები, მაგალითად, სპარსეთის ყურეში მოქმედებისას იძულებულნი იყვნენ ჩვენი საბრძოლო მასალების რეზერვით ესარგებლათ. ამით დადასტურდა ის, რაც დიდი ხანია იწვევდა ჩემს შეშფოთებას.

მას შემდეგ, რაც დასავლურ-აღმოსავლური კონფლიქტი დასრულდა, ბუნდესვერს მრავალფეროვანი ამოცანის შესრულებამ მოუწია. მან ამ ამოცანას სამაგალითოდ გაართვა თავი. ერთი მხრივ იგი, ისევე როგორც სხვათა შეიარაღებული ძალებიც, შემცირდა — ეს იყო ნაბიჯი, რომელიც ჯარისკაცებსა და მათ ოჯახებს საგრძნობ ტვირთად დააწვა და რომელიც ცხოვრების ყველა სფეროში ძირეულ ცვლილებას მოასწავებდა. მეორე მხრივ კი ბუნდესვერს ალიანსის თავდაცვითი ამოცანების ახლებური გაგებისთვის უნდა გაეწია ანგარიში. ამ ამოცანების განხორციელება მხოლოდ ნაბიჯ-ნაბიჯ იყო შესაძლებელი. გარდა ამისა ბუნდესვერს ერთი უნიკალური ამოცანაც უნდა შეესრულებინა — გდრ-ის ნაციონალური სახალხო არმიის შეიარაღებულ ძალთა თავის რიგებში ინტეგრირება მოეხდინა. მან ეს დიდი ტაქტით, გულისხმიერებით და დიდი ადამიანური თანადგომით განახორციელა. ამით მან უნიკალური და სამაგალითო წვლილი შეიტანა შინაგანი გაერთიანების საქმეში.

რაც შეეხება გერმანული ჯარების თურქეთში გადასროლას, უნდა განვაცხადო: არც ერთმა აგრესორმა, თვით სადამ ჰუსეინმაც კი, არ უნდა იქონიოს იმედი, რომ აღმოსავლურ-დასავლური მეტოქეობის ჩრდილში შეძლებს დაუბრკოლებლად განახორციელოს თავისი სისხლიანი ძალისმიერი პოლიტიკა. იანვრის მეორე კვირაში თურქეთში, ნატოს სამხედრო-საჰაერო ბაზაზე გავგზავნეთ ფედერალური სამხედრო-საჰაერო ძალების ერთი ბრიგადა თვრამეტი საბრძოლო თვითმფრინავით (ალფა-ჯეტ) და ორასი ჯარისკაცი. თებერვალში ამას ნატოს კომიტეტებსა და თურქეთთან შეთანხმების შემდეგ დაემატა შემავსებელი გერმანული შენაერთები, რომლებმაც დედამიწა-ჰაერის

და როლანის ტიპის საჰაერო თავდაცვის რაკეტებით და ექვსასკაციანი მომსახურე პერსონალით გააძლიერეს ნატოს გერმანული, იტალიური და ბელგიური მფრინავთა შენაერთების ნაკლული თავდაცვისუნარიანობა საჰაერო შეტევის წინააღმდეგ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სხვადასხვა პოლიტიკოსთა საყვედური, თითქოს ეს ღონისძიებები ყალბი სიგნალი იყო და ხელს უშლიდა სამშვიდობო მცდელობებს, რადგან, მათი აზრით, ომის თავიდან ასაცილებლად დიპლომატიური და არა სამხედრო ზეწოლა იყო საჭირო, მე უარვყავი. არც ის არგუმენტი გახლდათ ჩემთვის მისაღები, რომლის მიხედვითაც ერაყის შესაძლო თავდასხმა თურქეთზე ნატოს ხელშეკრულების მე-5 პარაგრაფის თანახმად არ იყო ის შემთხვევა, რომელიც ფედერაციულ რესპუბლიკას თურქეთის თანადგომას ავალებდა. პირიქით, მოკავშირე თურქეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობისთვის გადადგმულ ჩვენს ნაბიჯებს აუცილებელ საჭიროებად ვთვლიდი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის გასაგონად განვაცხადე, რომ ჯარების გაგზავნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში აგრესია არ წავახალისოთ-მეთქი.

1990-1991 წლების მიჯნაზე გერმანია-თურქეთის ურთიერთობა გვარიანი წნეხის ქვეშ მოექცა. თურქეთის საზოგადოებრიობაში გაისმა საყვედურები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მისამართით თითქოსდა არასაკმარისი მხარდაჭერის გამო. განსაკუთრებით პრეზიდენტმა ოზალმა გამოთქვა ისეთი მოსაზრებები რაც, ჩვენი აზრით, გერმანია-თურქეთის ნაცადი მეგობრობისთვის შეუფერებელი იყო. გერმანიის საგარეო პოლიტიკა ამ ურთიერთობებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, და ძნელ დროებშიც ჩვენ ყოველთვის თურქეთის გვერდით ვიდექით — ეს ეხება ბუნდესტაგის ყველა პარტიას. რაკი გერმანიაში დიდი რაოდენობით თურქი ცხოვრობდა თავიანთი ოჯახებითურთ, თურქებსა და გერმანელებს შორის მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა. ამან თავი იჩინა სოლიდარობის გამომხატველ აქციებში, მთელ გერმანიაში რომ გაიმართა მას შემდეგ, რაც მემარჯვენე-რადიკალურმა ბანდებმა თურქი თანამოქალაქეების წინააღმდეგ ხანძრები გააჩაღეს და აგრესია გამოამჟღავნეს.

1990 წლის 17 და 18 დეკემბერს გაიმართა ნატოს საბჭოს სხდომა, რომელზეც ნატოს სამხრეთი ფლანგის უსაფრთხოების

შესახებაც ვიმსჯელეთ. მე პირველმა განვაცხადე, რომ თურქეთს შეუძლია მოკავშირეთა თანადგომა მოითხოვოს, თუკი სადამ ჰუსეინი თურქეთის ტერიტორიას ხელყოფს — ეს მე ჩემს თურქ კოლეგასაც გავუმეორე, როცა სასაუბროდ შევხვდით ერთმანეთს. პრესის წინაშეც გავაკეთე ამგვარი განცხადება.

ნატოს ყრილობის დამთავრების შემდეგ, 1990 წლის 18 დეკემბერს, ნაშუადღევს, ბრიუსელშივე გვქონდა ევროგაერთიანების საერთო საბჭოს სხდომა. იქ მოვიდა ჩვენი ელჩი ნატოში, ფონ პლიოცი, და შემატყობინა, რომ დიპლომატიურ წრეებში ცირკულირებდა თურქეთის თხოვნა, ეტყობა, ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების ყრილობის დამთავრების შემდეგ გამოჩენილი. თურქეთი მოითხოვდა, წინასწარ დადგენილიყო, რა შემთხვევაში უნდა ეწარმოებინა ნატოს თავდაცვითი ომი, რათა ერაყის თავდასხმისას დაუყოვნებელი მოქმედება ყოფილიყო შესაძლებელი. ამგვარი წინასწარი განსაზღვრა შემთხვევისა, რომლის დროსაც თავდაცვითი ომი იქნებოდა შესაძლებელი, რამდენადაც მახსოვს, ჯერ არასოდეს მომხდარა.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ ნატოს ხელშეკრულება, განსხვავებით დასავლეთევროპული კავშირის ხელშეკრულებისაგან, არ იცნობს ავტომატური თანადგომის ვალდებულებას. პირიქით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საგანგებო დადგენილებაა საჭირო და ეს სწორიცაა, თუ იმ შორსმიმავალ შედეგებს გავითვალისწინებთ, ასეთ დროს რომ იჩენს თავს. გასაოცარი და უცნაური ის იყო, რომ თურქეთის თხოვნა სწორედ მაშინ გამოჩნდა, როცა საგარეო საქმეთა მინისტრების ყრილობა დამთავრდა; ბუნებრივი იქნებოდა, ის რომ სხდომაზე წაკითხულიყო. აქედან დავასკვენი, რომ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ამ ნაბიჯის შესახებ ინფორმირებული არ ყოფილა. რასაც აქ ითხოვდნენ — თანაც ასეთი უცნაური პროცედურული ფორმით —, გახლდათ ერთგვარი მოქმედების სრული თავისუფლების მოთხოვნა. 1990 წლის 20 დეკემბერს ბერლინში რაიხსტაგის დამფუძნებელი სხდომის დროს ანკარის ამ მოთხოვნის თაობაზე ფედერალურ კანცლერს ჰელმუთ კოლსა და თავდაცვის მინისტრს გერჰარდ შტოლტენბერგს ვესაუბრე. ჩემი რჩევა იყო, არ დათანხმებოდნენ ამგვარი „სარეზერვო დადგენილების“ გამოტანას, ვინაიდან მე იმ აზრისა ვიყავი, რომ არავითარი ავტომატური მექანიზმის შექმნა არ იქნებოდა მიზანშეწონილი საომარ

ოპერაციებში ნატოს ჩასაბმელად. ჩემი რწმენით, მას შემდეგ, რაც მკაფიოდ გამოვხატე ნატოს საბჭოზე თურქეთისადმი მხარდაჭერა, თურქეთის ამ თხოვნაზე უარის თქმა იმ მომენტისთვის არ იქნებოდა არასწორად გაგებული. ფედერალური კანცლერი საუსებით დამეთანხმა, მაშინ როცა გერჰარდ შტოლტენბერგი მზად იყო, თურქეთის სურვილებისთვის ანგარიში გაეწია.

14 იანვარს, სამი დღით ადრე საომარი მოქმედებების დაწყებამდე, ბუნდესტაგის ყველა პარტიამ ერთობლივი მიმართვით გააფრთხილა ერაყელი დიქტატორი, თავიდან აეცილებიან ომი მისი ხალხისათვის იმით, რომ გაეყვანა ჯარები ქუვეითიდან. ეს უკან დახევა, ნათქვამი იყო შემდეგ დოკუმენტში, არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული სხვა საკითხებთან, მაგალითად, პალესტინელების პრობლემასთან. ჰელმუთ კოლმა განაცხადა, რომ სადამ ჰუსეინს ხელთ ეპყრა ომისა და მშვიდობის გასაღები; მას შეუძლია ისე მოიქცეს, რომ ბაღდადში გონიერებამ იზეიმოსო. ამ მოსაზრებებიდან წარმოდგა ერაყის კრიზისში გერმანული პოლიტიკის შემდეგი პრინციპები:

— ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად უმჯობესი პარტნიორული თანამშრომლობა შეერთებულ შტატებთან იყო ფედერალური მთავრობის პოზიციის განმსაზღვრელი ცენტრალური მომენტი;

— ერთობლივი ქმედება მშვიდობიანობისა და ქუვეითის დამოუკიდებლობის აღსადგენად გამორიცხავდა გერმანისათვის ამ მიმართულებით სავალი საგანგებო გზის ძიებას, ვინაიდან ჩვენც ჩვენი წვლილი ხალხთა თანამეგობრობის ფარგლებში უნდა შეგვეტანა;

— რაკი ბუნდესვერის ჯარისკაცების გაგზავნა კრიზისის ზონაში შეუძლებელი იყო, ამიტომ თავდაცვითი ალიანსისთვის შესაბამისად მეტი არასამხედრო დახმარება უნდა გაგვეწია;

— სპარსეთის ყურეში წარმოქმნილ კრიზისს არ უნდა შეექმნა საფრთხე გერმანიის გაერთიანების პროცესისა და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობისთვის;

— ფედერაციულ რესპუბლიკას გაერთიანების პროცესის მიმდინარეობის დროსაც უნდა მოეხდინა სხვა დასავლური დემოკრატიების წინაშე საგარეოპოლიტიკური სანდოობისა და ლოიალურობის დემონსტრირება;

— ისტორიულად განპირობებული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა გერმანიას ისრაელის მიმართ და მის დასაცავადაც საგანგებო ძალისხმევა იყო საჭირო.

ამასობაში სპარსეთის ყურეში მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. უკვე ნახსენები დებატებისას, 14 იანვარს რომ გაიმართა გერმანიის ბუნდესტაგში, ფედერალურმა კანცლერმა აღნიშნა, რომ მშვიდობას არც გაერთიანებული ერების ულტიმატუმი უქმნიდა საფრთხეს და არც აშშ, მშვიდობა უკვე 1990 წლის 2 აგვისტოს დაირღვა ერაყის მიერო. ფედერალურმა კანცლერმა ამით პასუხი გასცა ნაწილობრივ ფარულ, ნაწილობრივ აშკარა ანტიამერიკანიზმს, რომელიც განვლილ თვეებში ჩვენში სულ უფრო ძლიერდებოდა. საწინააღმდეგო მხარეს კი ისმოდა მათი ხმა, ვისაც უნდოდა გაერთიანებული, მაგრამ ჯერ კიდევ სრული სუვერენიტეტის არმქონე გერმანია სპარსეთის ყურეში მოქმედი შეიარღებული ძალების სათავეში ეხილა. მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ ფედერალურმა მთავრობამ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ღონისძიებათა მიმართ თავისი პოზიცია მკაფიოდ გამოხატა და აშშ-საც მტკიცე სოლიდარობა გამოუცხადა; ამით მან საზოგადოებრივ აზრს გერმანიაში ორიენტირი მისცა პოლიტიკური პოზიციის შესამუშავებლად.

ბუნდესტაგში გამართულ დებატებში ფედერალური მთავრობის პოზიციამ ფართო მხარდაჭერა პოვა. რაკი მე კამათში მონაწილეობას ვერ მივიღებდი იმის გამო, რომ იმ დროს ბრიუსელში ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა იყო დანიშნული, ჩვენი პოზიცია სპარსეთის ყურეში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით დილითვე შევათანხმე ფედერალურ კანცლერთან. ცოტა ხნის შემდეგ ტელეფონით დაველაპარაკე ზამბიის პრეზიდენტს კენეთ კაუნდას, რომელიც უკანასკნელ მომენტამდე ცდილობდა, დაეთანხმებინა სადამ ჰუსეინი, დათმობაზე წასულიყო.

1991 წლის 22 თებერვალს გერმანიის ბუნდესტაგში გაკეთებულ ჩემს სამთავრობო განცხადებაში მე კიდევ ერთხელ განვმარტე ჩვენი პოზიცია – ამ დროისათვის საომარი მოქმედებები თვეზე მეტი ხნის დაწყებული იყო, ერაყი საგრძნობლად იყო შევიწროებული. ჩვენ საერთაშორისო სამართლის მხარეზე ვიდექით, გაერთიანებული ერების მხარეზე და განმათავისუფლებელი კოალიციის მხა-

რეზე: სხვაგვარი პოზიცია არც ჩვენი ისტორიიდან გამოტანილი დასკვნების და არც ჩვენი კონსტიტუციის ღირებულებითი წარმოდგენების შესატყვისი არ იქნებოდა. ჩვენ ვიცოდით, რომ სპარსეთის ყურეში მყოფ ჩვენს მოკავშირეთა ჯარისკაცებს — უწინარეს ყოვლისა ამერიკელებს, ფრანგებსა და ინგლისელებს — ისეთივე უნიფორმა ეცვათ, როგორიც იმათ, ვინც აქ, ევროპაში, ნაწილობრივ გერმანიაშიც კი, ჩვენ გვერდით იდგნენ, რომლებსაც არ დაუყოვნებიათ და როცა დასავლეთ ბერლინს დიდი საფრთხე დაემუქრა; შექმნეს საჰაერო ხიდი, და რომელთაც ჩვენთან ერთად უზრუნველყვეს მშვიდობა ევროპაში, როცა ამ მშვიდობას უნგრეთში და შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ინტერვენციის შედეგად უშუალო საფრთხე დაემუქრა. მე მოვიწონე აგრეთვე არაბული შეიარაღებული ძალების ყოფნა კოალიციის შემადგენლობაში. მათმა მონაწილეობამ შეუძლებელი გახადა, სადამ ჰუსეინს თავი არაბი ხალხების ინტერესთა დამცველად გამოეცხადებინა. სადამი ომს თავისი საკუთარი ხალხის წინააღმდეგაც აწარმოებდა.

ამ უკანასკნელ მომენტზე მითითებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მოლაპარაკებებისას მე მუდამ ვაფრთხილებდი ჩემს დასავლელ მეგობრებს, სადამის რეჟიმი ერაყის ხალხთან არ გაეიგივებინათ. საჯარო განცხადებებში და დადგენილებებში უმეტესად მხოლოდ *ერაყზე* იყო ლაპარაკი. ამ დროს კი მთელი პასუხისმგებლობა სადამის რეჟიმს ეკისრებოდა. ერაყელი ხალხისთვის არავის არაფერი უკითხავს; ის თვითონ შეიქნა აგრესიული პოლიტიკის მსხვერპლი.

საუბრები ისრაელსა და ახლო აღმოსავლეთში

რომელმა გერმანელმაც 18 იანვარს პირველად იხილა ტელევიზიით, როგორ დაარტყეს ერაყის რაკეტებმა ისრაელს, მას შეუძლებელია ღრმა შეძრწუნების გრძნობა არ დაუფლებოდა. ჩვენ, გერმანელებს, ისრაელის უსაფრთხოებისთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გვეკისრებოდა. თავისთავად ცხადია, იქ გაისმა მოწოდებები საპასუხო დარტყმის შესახებ ერაყის სარაკეტო პოზიციების გასანადგურებლად, მაგრამ იერუსალიმის მთავრობა არ აჰყვა პრო-

ვოკაციას. ისრაელის ხელმძღვანელობის და მოსახლეობის პასუხისმგებლობის შეგნებით გამსჭვალული, უაღრესად თავშეკავებული მიმართება ჩვენს პატივისცემასა და მხარდაჭერას იმსახურებდა.

ორი დღის შემდეგ, კვირადღეს, მე შინ დავურეკე ფედერალურ კანცლერს და ვუთხარი, რომ აუცილებლად მიმაჩნდა ვიზიტი ისრაელში და შემდეგ აგრეთვე მის მეზობელ სახელმწიფოებში. ჰელმუთ კოლი თუმცა დამეთანხმა, მაგრამ, მისი აზრით, ამ განზრახვის დაუყოვნებლივ აღსრულება საჭირო არ იყო. ამან მაინცდამაინც არ გამახარა. გარდა ამისა ვურჩიე, წვლილი შეგვეტანა მიყენებული ზარალის სწრაფი ლიკვიდაციის საქმეში. ბოლოს შევთანხმდით, რომ კვირის დამდეგს სათანადო გადაწყვეტილებას მივიღებდით. კანცლერმა ილაპარაკა ფინანსურ დახმარებაზე, მაგრამ ამის თაობაზე ჯერ თეო ვაიგელს უნდა მოვთათბირებოდით. ეს მოხდა სამი დღის შემდეგ, 23 იანვარს; ფინანსთა მინისტრმა მაშინვე განაცხადა თანხმობა ფინანსურ დახმარებაზე. და კანცლერმა დელეგაციის გაგზავნა შემოგვთავაზა, რომლის შემადგენლობაში განვითარებადი ქვეყნების დახმარების მინისტრი შპრანგერიც უნდა ყოფილიყო, რათა მთელ კოალიციას თავის თანაგრძნობა და სოლიდარობა გამოეხატა. არაფერი მქონდა საწინააღმდეგო კოლეგა შპრანგერის წამოსვლისა, რომელმაც ჩეკის გადაცემა ითავა; მაგრამ, სამწუხაროდ, ვიზიტმა სპონტანურობა დაკარგა. ოღონდ პარტიული ალიანსის რიგებიდან წამოსული საყვედური ჩეკების წიგნაკით წარმოებული დიპლომატიის გამო უადგილო იყო; ფედერალური კანცლერი და ფინანსთა მინისტრი, ანუ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი და ქრისტიანულ-სოციალური კავშირი, თვით იყვნენ გერმანიის მხრივ ფინანსური დახმარების აშკარა მომხრენი. ამ კრიტიკას საჯაროდ არასოდეს დავპირისპირებივარ, ვინაიდან მე განსხვავებულად მესმოდა მთავრობაში ერთობლივი პასუხისმგებლობა და სოლიდარობა. პრემიერ-მინისტრ შამირთან საუბრისას, რომელიც ძალიან მეგობრულად შემხვდა, მივხვდი, რომ მან ჩვენი ჟესტი სწორად გაიგო.

ერაყის სარაკეტო თავდასხმებთან დაკავშირებით მე ისრაელს გერმანელი ხალხის სახელით სოლიდარობა, პატივისცემა და აქტიური მხარდაჭერა აღვუთქვი. ისრაელი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ გაერთიანებული გერმანია კელავაც მის მხარეზე

იქნებოდა. ასე რომ, ჩემი სტუმრობა ისრაელში მარტო ისტორიული და მორალური მოსაზრებებით კი არ იყო განპირობებული, ის ამავე დროს ჩვენი სოლიდარობის გამოხატულება იყო. განვითარებადი ქვეყნების დახმარების მინისტრ შპრანგერთან ერთად დავათვალიერე ადგილები, სადაც ერაყის რაკეტებმა განსაკუთრებით ძლიერი ნგრევა გამოიწვია. იად ვაშემში, ცენტრალურ მემორიალურ კომპლექსში, პატივი მივაგეთ ჰოლოკოსტის მსხვერპლთ. ჩვენი იქ ყოფნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გამოხატა ერთმა დემონსტრანტმა პროტესტი ჩვენი მისამართით — და ისიც, როგორც ერთმა ისრაელელმა დიპლომატმა მითხრა, ისრაელის მოქალაქე კი არ ყოფილა, არამედ სტუმარი აშშ-დან.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ლევიმ ჩემთან საუბარში თქვა: „ქიმიური იარაღი, ასევე ატომური ტექნოლოგია, გერმანიიდან მოდის და სადამ ჰუსეინს შესაძლებლობას აძლევს, არამარტო დაემუქროს ისრაელს, არამედ გამანადგურებელი დარტყმებიც მიაყენოს მას. ისრაელის მცხოვრებთ ჯერ კიდევ აჩნიათ მძიმე წარსულის ნაიარევი. მოსახლეობა დღეს აირწინაღებით ზის ჰერმეტულად დახშულ ოთახებში. ჩვენ არ გვეგონა, თუ ეს კვლავ განმეორდებოდა“. მე ვუთხარი, რომ სავსებით მესმოდა მისი აღშფოთება და ზიზღი გამოვხატე ისეთი გერმანელების მიმართ, რომლებიც პატივს არ სცემენ ჩვენს კანონებს და მონაწილეობას ღებულობენ ერაყში მომწამლავი გაზების დამამზადებელი საწარმოების მშენებლობაში. ამ უნამუსო ქმედების გამო მით უფრო აღშფოთებული ვიყავი, რომ სწორედ მე მოვითხოვდი დაჟინებით საექსპორტო დადგენილების გამკაცრებას და სასტიკ სასჯელს მათთვის, ვინც მას დაარღვევდა. ზოგიერთ ეკონომიკის მინისტრთან კონფლიქტიც მქონდა სამხედრო აღჭურვილობის ექსპორტის პოლიტიკისა და საექსპორტო კანონმდებლობის გამო. გამონაკლისი იყო პირველ რიგში იურგენ მიოლემანი, რომელიც საგარეო უწყებაში მიღებული გამოცდილების გამო ჩემს მკაცრ შეხედულებას იზიარებდა. მე ყოველთვის ამ შეხედულებას ვიცავდი, მაშინაც კი, როცა უშიშროების ფედერალურ საბჭოს უნდა გადაეწყვიტა იარაღის ექსპორტზე ნებართვის გაცემის საკითხი. ის არგუმენტი, რომ ამგვარი რამ სამუშაო ადგილების შენარჩუნებისთვის იყო საჭირო, რასაც სისტემატურად მიმტკიცებდნენ, ჩემთვის მიუღებელი გახლდათ, ვინაიდან ეკონომიკურ მიზე-

ზებს თავდაყირა არ უნდა დაეყენებინა შეიარაღების პოლიტიკის შემზღუდავი, ჰუმანიტარულ ღირებულებებზე ორიენტირებული გადაწყვეტილება. გერმანულ პასუხისმგებლობის პოლიტიკას აქაც უნდა გაემართლებინა იმედი და მას არ უნდა დაეხია უკან არც ძალის პოლიტიკის და არც ეკონომიკური ინტერესების წინაშე.

სხვათა შორის ჩვენს თავშეკავებას იარაღის ექსპორტის საქმეში ჩვენთვის ზიანი არ მოუტანია; ამის მიუხედავად სწორედ არაბულ ქვეყნებში გვქონდა ჩვენ მაღალი ავტორიტეტი, და სამოქალაქო დანიშნულების საქონლის ექსპორტი ჩვენი პოზიციის გამო არ დაზარალებულა. თუ გავითვალისწინებთ იმ დამოკიდებულებებს, რაც იარაღის ხანგრძლივი და დიდი ოდენობით ექსპორტის შედეგად ყალიბდება, მე კვლავინდებურად იმ აზრისა ვარ, რომ უდიდესი სიფრთხილეა საჭირო საკუთარი საგარეო და ეკონომიკური პოლიტიკის ინტერესთა თვალსაზრისით. წესრიგის პოლიტიკის თვალსაზრისით იარაღის ექსპორტზე დაფუძნებული საქმიანობა ისედაც საბაზროეკონომიკური აზროვნების საწინააღმდეგო რამ არის.

მაშინ, როცა საგარეო საქმეთა მინისტრმა ლევიმ ჩვენი სტუმრობა გერმანიის მკაცრი კრიტიკისათვის გამოიყენა, რაც, როგორც ჩანს, შიდაპოლიტიკური მიზეზებით იყო გამოწვეული, პრეზიდენტი ჰერცოგი და პრემიერ-მინისტრი შამირი, პირიქით, ძალზე მეგობრულად შეგვხვდნენ. შამირი დიახაც რომ მტკიცე ნებისყოფის ადამიანი იყო, ვინაც ზუსტად იცოდა, რა სურდა და არც თავისი აზრების პირდაპირ გამოთქმას ერიდებოდა. მაგრამ მეორე მხრივ მას საკმაო გამოცდილება ჰქონდა საიმისოდ, რომ სცოდნოდა, რასაც ნიშნავდა გერმანიის პოზიცია ისრაელის მიმართ და არ იქნებოდა ჭკვიანური, ნაცადი მეგობრისთვის ზიანი მიგეყენებინა. მოლაპარაკებებზე ჩვენ გერმანია-ისრაელის ეკონომიკური კომიტეტის შექმნის გადაწყვეტილებაც მივიღეთ.

გერმანიას სავსებით შეგნებული ჰქონდა თავისი განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ისრაელის მიმართ და ებრაელ ხალხთან მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულების საჭიროება. ტელ-ავივის ბიურგერმაისტერს შლომო ლაჰათს განვითარებადი ქვეყნების დახმარების მინისტრმა შპრანგერმა ხუთი მილიონი გერმანული მარკის ჩეკი გადასცა სარაკეტო თავდახმების მსხვერპლთა დაუყოვნებლივ დასახმარებლად.

ისრაელიდან ჩემი დაბრუნების შემდეგ ფედერალურმა კაბინეტმა 29 იანვარს მოიწონა ჩემი წინადადება, სასწრაფოდ მოგვემზადებინა ისრაელისა და მისი მოსახლეობის უსაფრთხოების განმტკიცებისთვის საჭირო დამხმარე ღონისძიებათა პაკეტი. ჩვენ გვსურდა ისრაელისთვის ქიმიური საბრძოლო ნივთიერებებისგან დამცავი საშუალებანი და სამედიცინო მასალა მიგვეწოდებინა, თანხმობა გვეთქვა მათთვის დიდი ხნის წინ დაგეგმილი იმ ორი, გერმანიაში აგებული წყალქვეშა ნავის, შესყიდვის დაფინანსებაზე, რომლებიც განსაკუთებით გამოსადეგი იქნებოდა ისრაელის სანაპირო წყლების დასაცავად, და „პეტრიოტის" სახელით ცნობილი საჰაეროთავდაცვითი რაკეტები შეგვეთავაზებინა. გარდა ამისა ომის შედეგების სალიკვიდაციოდ ფედერალურმა მთავრობამ ისრაელს 250 მილიონი გერმანული მარკა გადასცა.

ისრაელის წამყვანმა პოლიტიკოსებმა მადლობა გადაგვიხადეს სტუმრობისა და ამ მძიმე ვითარებაში გაწეული დახმარებისთვის. შინ და კიდევ სადღაც-სადღაც კი ბევრი კრიტიკული შენიშვნა გაგვაგონეს, ვინაიდან სამხედრო აღჭურვილობის მიწოდება ნაწილობრივ ეწინააღმდეგებოდა ნატოს არაწევრ ქვეყნებში იარაღის ექსპორტის თაობაზე მიღებულ დირექტივას. მაგრამ აქ საქმე გვქონდა აუცილებელი თავდაცვის მდგომარეობაში მყოფთა მიმართ გაწეულ დახმარებასთან.

12-დან 14 თებერვლამდე ვეწვიე ეგვიპტეს, სირიასა და იორდანიას. იქ გამართული ჩემი მოლაპარაკებების მთავარი საგანი, ბუნებრივია, სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომი და ომის დამთავრების შემდეგ ახლო აღმოსავლეთში ფართომასშტაბიანი სამშვიდობო წესრიგის დამყარება იყო. როცა 12 და 13 თებერვალს კაიროში პრეზიდენტ მუბარაქსა და საგარეო საქმეთა მინისტრს მეგუიდს შევხვდი, სრულ ურთიერთთანხმობას მივაღწიეთ იმ მიზნების თაობაზე, რომელთა მიღწევაც საჭირო იქნებოდა რეგიონში მშვიდობიანობის დასამყარებლად. მათ შორის იყო პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება, ფართომასშტაბიანი შეთანხმება უსაფრთხოების თაობაზე და აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სოციალური და ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება. იმაზეც ერთი აზრისანი ვიყავით, რომ ისრაელს გარანტირებული უნდა ჰქონოდა მტკიცე საზღვრებში არსებობის უფლება. ბოლოს, ფედერალურ კანცლერსა და ფინანსთა მინისტრთან შეთანხმების შემდეგ, 150 მილიონი გერმანული მარკის ფინანსური დახმარება აღვუთქვი მასპინძლებს.



ძველი მეგობრები ჰოშნი მუბარაქი და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ერთმანეთს ჯერ კიდევ მაშინ დაუახლოვდნენ, როცა მუბარაქი სადათის დროს ვიცე-პრეზიდენტი იყო.

მუბარაქთან საუბარში კიდევ ერთხელ წარმოჩნდა, რა ძლიერ თანხვდებოდა ერთმანეთს გერმანული და ეგვიპტური შეხედულებები. ჩემი მოლოდინი, რომ პრეზიდენტი პასუხისმგებლობის პოლიტიკას გაატარებდა, გამართლდა: მისი ქვეყანა გახდა სამშვიდობო პროცესის წარმმართველი ახლო აღმოსავლეთში. ამასთან თავისი წინამორბედის, პრეზიდენტ სადათის მსგავსად ისიც იძულებული იყო ქვეყნის ექსტრემისტული ძალების წინააღმდეგობა დაეძლია. ეგვიპტეში პრეზიდენტების სადათისა და მუბარაქის სახით ზედიზედ მოვიდა სახელმწიფოს სათავეში ორი მნიშვნელოვანი პიროვნება; ანვარ ას-სადათმა ისრაელში თავისი ვიზიტით და მოგვიანებით დადებული ხელშეკრულებით უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული ნაბიჯი გადადგა. როგორი მეგობრული ურთიერთობაც თავის დროზე სადათთან მქონდა, ისეთივე მეგობრული გრძნობა მაკავშირებდა ამჯერად მუბარაქთანაც.

13 და 14 თებერვალს დამასკოში სირიის მთავრობასთან შევათანხმე ერთობლივი გერმანულ-სირიული კომისიის შექმნის საკ-

ითხი. სირიის პრეტენზიები ჩვენ მიერ ისრაელისთვის მიწოდებული იარაღის გამო სახელმწიფოს მეთაურ ასადთან, პრემიერ-მინისტრ ზუბისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ალ-შარასთან მოლაპარაკებებისას მნიშვნელოვანწილად გავაქარწყლე.

დამასკოში ძველ ნაცნობებს შევხვდი — ასადსა და ალ-შარას. როცა ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებასა და მოვლენათა შესაძლო განვითარებაზე ვფიქრობდი, ყოველთვის მახსოვდა, რომ ასადის გარეშე, მით უფრო მისი საწინააღმდეგო ქმედებებით, ამ რეგიონში ფართომასშტაბიან მშვიდობას ვერ მივაღწევდით; ამიტომ სირია ყოველმიზეზგარეშე უნდა ჩაგვერთო მოლაპარაკებებში — რაც უფრო ადრე და რაც უფრო ფართო მასშტაბით მოხდებოდა ეს, მით უკეთესი. გერმანული პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში ამ ქვეყნისა და მისი პრეზიდენტის როლს ყოველთვის დიდად აფასებდა. პრეზიდენტი ასადი — იმის გამოც, რომ თავი რეალისტ პოლიტიკოსად მიაჩნდა — ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ფიგურა იყო რეგიონში, და საკმაო ავტორიტეტს ფლობს საიმისოდ, რომ სამშვიდობო პროცესის რეგულირებისთვის საჭირო გადაწყვეტილებები მიიღოს. აქ მეტი იგულისმება, ვიდრე გოლანის მაღლობების თაობაზე შეთანხმება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და ამავე დროს ძნელად მისაღწევი. მე შევამჩნიე, რომ არც პრეზიდენტი და არც საგარეო საქმეთა მინისტრი ისრაელის მათთვის ჩვეულ მეტისმეტად მძაფრ კრიტიკას აღარ მიმართავდნენ. გამახსენდა ერთი ჩემი ვიზიტი დამასკოში სამოცდაათიან წლებში, როცა მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა და ამჟამინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა ხადამმა ჩემ მიერ გამართულ სადილზე ჩემი წარმოთქმული სიტყვის საპასუხოდ ისე მძაფრად გააკრიტიკა ისრაელი, რომ იძულებული შევიქენი უჩვეულო ნაბიჯი გადამედგა: განმეორებით წამოვდექი, რათა ჩვენთან დამეგობრებული ქვეყნის მიმართ შეტევები მომეგერიებინა. როგორც ვიმედოვნებდი, მაშინდელმა შეპასუხებამ განმარტა ვითარება და გარკვეულად განმწმენდელი ზემოქმედება იქონია.

და ბოლოს 14 თებერვალს ამანში მქონდა მოლაპარაკება იორდანიის მეფე ჰუსეინთან, კრონპრინც ჰასანსა და საგარეო საქმეთა მინისტრ მასრისთან. იორდანიის ხელმძღვანელობა ჩემი სტუმრობით განსაკუთრებით მადლიერი დარჩა. ერაყთან თავისი უშუალო მეზობლობის გამო იორდანია სპარსეთის ყურის კრიზისში აქამდე



1981 წელს მოკლული ანვარ ას-სადათი, ბონის ერთ-ერთი უმთავრესი პარტნიორი ახლო აღმოსავლეთში, ჰანს-დიტრიხ გენშერის განსაკუთრებული პატივისცემითა და სიმპათიით სარგებლობდა. აბუ კირში გადაღებულ ამ სურათზე გამოსახულნი არიან გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი და სადათი იმ წელს, როდესაც ეს უკანასკნელი მოკლეს.

ძალიან თავშეკავებულად იქცეოდა, არაბთა გაერთიანებულ ფრონტსაც კი არ შეუერთდა. ეს მოვლენებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების გამოხატულება კი არ იყო, არამედ პოლიტიკურად სავსებით რეალისტური შეფასება ვითარებისა. დასავლეთის პასუხისმგებელ პოლიტიკოსთაგან ცოტა თუ უფიქრდებოდა იმ ამბავს, რომ იორდანიის მეფეს თავის მოსახლეობაში პალესტინელთა დიდი წილის გამო ვიწრო ბილიკზე უწევდა სიარული, რადგან იორდანიის საზოგადოებრიობა დიდი სიმპათიით იყო განწყობილი სადამ ჰუსეინისა და მისი პოლიტიკის მიმართ. მით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მეფეს ქვეყნის შიგნით სიძნელეები არ შექმნოდა ან სულაც კრახი არ განეცადა. მისი პასუხისმგებლობის შეგნებით წარმართული და შორსმჭვრეტელური პოლიტიკა არსებითი მნიშვნელობის მქონე იყო ისრაელის უსაფრთხოებისთვის, ყოველ შემთხვევაში ის იმის გარანტიას მაინც იძლეოდა, რომ ისრაელისა და

ერაყის საერთო საზღვრებზე სიწყნარე ყოფილიყო. მეფე ჰუსეინმა მოახერხა, თავისი პატარა და არცთუ მაინცდამაინც მდიდარი ქვეყნისაგან პოლიტიკური სტაბილურობის ფაქტორი შეექმნა. მეფეს შეეძლო თავი მოეწონებინა დამაკმაყოფილებელი ეკონომიკური განვითარებით, იგი ზრუნავდა სოციალური დაცვის სფეროში სერიოზული პროგრესის მისაღწევად. ის იმის შეგნებით მოქმედებდა, რომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარება და რეგიონის ყველა ქვეყნის — ისრაელის ჩათვლით — ურთიერთთანამშრომლობა იქ მცხოვრებ ყველა ხალხს განვითარების შანსს მისცემდა. ხშირად შეუწუხებია იგი იმ დასავლელ პოლიტიკოსთა თავდაჯერებულ შეფასებებს, რომლებიც ნაკლებად ითვალისწინებდნენ მისი მდგომარეობის თავისებურებებს. გერმანული საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამსახურება ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სტაბილიზაციის განმტკიცების საქმეში ის იყო, რომ ჩვენ ანგარიშს ვუწევდით ამ პატარა ქვეყნის მნიშვნელობას, მის იდენტურობას და მის პოლიტიკას.

თავის მხრივ იორდანიის ხელმძღვანელობა დიდად აფასებდა იმას, რომ გერმანია არ იღებდა მონაწილეობას მათი ქვეყნის დიპლომატიურ იზოლირებაში, და მოლაპარაკებები ამჯერადაც არაჩვეულებრივად მეგობრულ ატმოსფეროში წარიმართა; მეფეს, მის ძმას, კრონპრინცსა და ჩემ შორის უკვე კარგა ხანი იყო, რაც ნდობით აღსავსე, გულწრფელობითა და ძალდაუტანებლობით აღბეჭდილი ურთიერთობა სუფევდა.

ჩემი ჩასვლის წინა დღეს ერთმა იორდანელმა რესტორანში დანით დაჭრა ერთი გერმანელი სტუდენტი: თავდამსხმელს იგი ამერიკელი ეგონა. როცა მეფეს ამის შესახებ დაველაპარაკე, მან მითხრა, განკარგულება გავეცი, სტუდენტს პირადად ჩემ დაქვემდებარებაში მყოფ საავადმყოფოში უმკურნალონო. მან სპონტანურად შემომთავაზა, დაჭრილი საავადმყოფოში მოგვენახულებინა. „ბევრი არაფერი დაგვეხარჯება“, მითხრა მან. „მე თვითონ ვმართავ ავტომობილს. თქვენ შეგიძლიათ გვერდით მომიჯდეთ“. ამაზე მე მივუგე: „რაოდენ მომხიბლავიც არ უნდა იყოს ჩემთვის, მეფემ მატაროს ავტომობილით — არც ის შესაძლებლობა მინდა გაუშვა ხელიდან, რომ მე ვატარო მეფე“. და იქითობას მე ვიჯექი საჭესთან, აქეთობას — ის. უშიშროების თანამშრომელთა მხოლოდ ერთი მანქანა მიგ-

ვაცილებდა ამანის ქუჩებში საავადმყოფოსკენ; მოვინახულეთ სტუდენტი, რომელიც ამასობაში უკვე საკმაოდ მომჯობინებულიყო.

გერმანიის წვლილი ქუვეითის განთავისუფლების საქმეში

23 თებრვალს დაიწყო სპარსეთის ყურეში ომის დამამთავრებელი ფაზა. ყველას გულს მოგვეშვა, რომ ზოგიერთი პროგნოზის საწინააღმდეგოდ ომი შეიძლებოდა ჩქარა დასრულებულიყო. ფედერალურმა კანცლერმა განაცხადა, ქუვეითის მოსახლეობის მიმართ ჩადენილი უკვე გახმაურებული ამაზრზენი დანაშაულით ერაყის ხელმძღვანელობამ თავისი ჭეშმარიტი სახე გვაჩვენაო. მე დავამატე: „მსოფლიო თანამეგობრობას და კოალიციას გაეროს გადაწყვეტილებათა შესასრულებლად სხვა გზა არ ჰქონდათ“. მანამდე არც ერთი აგრესორისთვის არ მიუციათ ამდენი შესაძლებლობა, გონს მოსულიყო, რამდენიც სადამს მიეცა. მაგრამ მან ყველა შესაძლებლობის გამოყენებაზე უარი თქვა.

ფედერალურმა რესპუბლიკამ სამხედრო ალიანსს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში საიმედო პარტნიორობა გაუწია: მან ერთ-ერთმა პირველმა აქცია გაეროს მიერ ერაყისა და ქუვეითის მიმართ გამოცხადებული ემბარგო ნაციონალურ კანონად, და გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ერაყის კრიზისთან დაკავშირებით გამოტანილი რეზოლუციების, ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებათა შესრულებაშიც მივიღეთ მონაწილეობა. რაკი ჩვენ უშიშროების საბჭოში არ ვიყავით წარმოდგენილნი, ამიტომ მით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს მონაწილეობას სხვა საერთაშორისო კომიტეტებში — ევროგაერთიანებასა და ევროპის პოლიტიკური ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზაციაში, დასავლეთევროპულ კავშირში, ნატოში, ასევე მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის ინსტიტუტებში. გარდა ამისა 1991 წლის მარტში, ბრძოლების შეწყვეტის შემდეგ, მაგრამ საომარი მოქმედებების ოფიციალურად დამთავრებამდე, ბონმა შეასრულა ამერიკელთა თხოვნა, საზღვაო შენაერთები გაეგზავნა სპარსეთის ყურეში ერაყის ნაღმების გასაუვნებლებლად.

ერთი მნიშვნელოვანი გერმანული წვლილი ქუვეითის გან-

თავისუფლების საქმეში გახლდათ ჩვენი ინიციატივა, დასავლურ ფინანსურ ინსტიტუტებს დაეკმაყოფილებინათ საბჭოთა კავშირის სურვილები და ინტერესები, რამაც შესაძლებელი გახადა პოლიტიკური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და დასავლეთს შორის.

კრიზისულ სიტუაციაში ჩვენი აღმოსავლური პოლიტიკის წყალობით ევროპაში მნიშვნელოვნად განვამტკიცეთ სტაბილიზაცია და ვზრუნავდით საბჭოთა კავშირთან თანხმობისა და თანამშრომლობისთვის მიგვეღწია. გერმანიის მზადყოფნამ, დახმარება გაეწია საბჭოთა სახალხო მეურნეობისთვის, გააადვილა საბჭოეთის წასვლა ცენტრალური ევროპიდან. ამან თავის მხრივ განამტკიცა ალიანსის უსაფრთხოება სტრატეგიული თვალსაზრისით.

ასე ითამაშა ბონმა მნიშვნელოვანი როლი არამარტო შუა და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესის, არამედ სპარსეთის ყურეში შექმნილი ვითარების სტაბილიზაციის საქმეში. ორივე მათგანი შედიოდა როგორც გერმანიის ნაციონალური ინტერესების სფეროში, ასევე ყველა ევროპული სახელმწიფოსა და აშშ-ის ინტერესთა სფეროშიც. ფუნდამენტური შემობრუნების ხანაში ევროპაში სტაბილური უსაფრთხოება წინაპირობა და საფუძველი იყო სპარსეთის ყურეში ჩატარებული აქციისა. რომ არა ცენტრალურ ევროპაში მოვლენათა მშვიდობიანი განვითარება, რაც 1990 წლის ივლისში ლონდონში ჩატარებული ნატოს სამიტისა და ცოტა ხნის შემდეგ ფედერალურ მთავრობასა და საბჭოთა ხელმძღვანელობას შორის მიღწეული შეთანხმების შედეგი იყო, ძალიან საეჭვოა, მოსკოვი დათანხმებოდა გაეროს მიერ ერაყის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს და სპარსეთის ყურეში ამერიკული ჯარის ყოფნას შერიგებოდა. 1990 წლის 17 ოქტომბერს ედუარდ შევარდნაძემ ტოკიოში განაცხადა: „ეს კრიზისი (კრიზისი სპარსეთის ყურეში) ცივი ომის დამთავრებამდე რომ დაწყებულიყო, ჩვენ საბრძოლო მდგომარეობაში მოვიყვანდით ჩვენს რაკეტებს. ეს მესამე მსოფლიო ომი იქნებოდა“.

საგარეოპოლიტიკური სიფრთხილე და დასავლური ალიანსის პოლიტიკური კურსის მკაფიო აღიარება, ამავე დროს საბჭოთა კავშირის ელემენტარული ინტერესების გათვალისწინება — ეს იყო ჩვენს ქმედებათა წარმმართველი მომენტები. ამერიკელ, ბრიტანელ და ფრანგ მოკავშირეებს ჩვენი მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. ამავე დროს ჩვენ ხელს ვუწყობდით საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის

უკანასკნელ საშუამავლო მცდელობებსაც. ომის თავიდან აცილება ისე, რომ საკუთარ მიზნებზე ხელი არ აგვეღო, ჩემთვის უმაღლეს მცნებას წარმოადგენდა. ამიტომ მიტერანისა და გორაბაჩოვის მცდელობები ჩემთვის სისუსტის გამოხატულება კი არ იყო, არამედ პასუხისმგებლობის გრძნობისა.

ერაყთან ომში გერმანია, როგორც ამერიკული და ბრიტანული შეიარაღებული ძალების უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული შუალედური პუნქტი, ბევრად უფრო დიდ როლს ასრულებდა, ვიდრე საზოგადოებისთვის არის ცნობილი. როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ ნება დავრთეთ ამერიკელებს, ჩვენს ტერიტორიაზე არსებული მათი სამხედრო ბაზები თავიანთი აქციებისთვის გამოეყენებინათ, ასევე უფლება მივეცით, გადაეფრინათ გერმანიაზე ან შუალედური დაფრენის ადგილად გამოეყენებინათ ჩვენი ტერიტორია. გარდა ამისა ჩვენ ხელს ვუწყობდით გერმანიაში განლაგებული ამერიკული და ბრიტანული შენაერთების გადასროლას სპარსეთის ყურეში. მაგალითად, მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გადაადგილების მეორე ფაზაში, 1990 წლის ნოემბრიდან, ორიოდე კვირის განმავლობაში ამერიკული ჯარისა და ბრიტანული რაინის არმიის აღჭურვილობის უდიდესი ნაწილი თითქმის 900 გერმანული საბარგო მატარებლის, რაინზე მცურავი 450 გემის და აგრეთვე საგზაო ტრანსპორტის მობილიზების შედეგად მიტანილ იქნა ბრემერჰავენის, ნორდენჰამის, ემდენის, როტერდამისა და ანტვერპენის სატვირთო პორტებში. გერმანიის სამხედრო ავიაციამაც დიდი მუშაობა გასწია არამარტო სხვადასხვა ჰუმანიტარული მისიის ფარგლებში, არამედ 250-ზე მეტი რეისი შეასრულა ამერიკული, ბრიტანული და ჰოლანდიური შეიარაღებული ძალებისთვის. აქ უზარმაზარი ლოგისტიკური სამუშაო იყო შესასრულებელი.

ალიანსისათვის გაწეულმა გერმანიის ფინანსურმა დახმარებამ 1990-91 წლებში დაახლოებით 18 მილიარდი გერმანული მარკა შეიადგინა. აქედან დაახლოებით 10,3 მილიარდი, ანუ საერთო თანხის ნახევარზე მეტი, შეერთებული შტატებისთვის იყო განკუთვნილი, და ამასთან ზოგიერთი სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით ბონმა ეს თავისი წვლილი დროულად და სრული ოდენობით გაიღო. ამაში შედიოდა 800 მილიონი გერმანული მარკის სუბსიდია დიდი ბრიტანეთისთვის და 300 მილიონი საფრანგეთისთვის, მარტო თურქეთმა

1993 წლამდე გერმანიის სამხედრო აღჭურვილობის მარაგიდან 1,5 მილიარდი გერმანული მარკის ღირებულების საგანგებო დახმარება მიიღო, იმის გარდა, რასაც გერმანია სისტემატურად გაიღებდა ნატოს ფარგლებში თურქეთის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად.

28 თებერვალსა და 1 მარტს ამერიკის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად ვაშინგტონს გავფრინდი. შევხვდი კონგრესის დეპუტატებს და, რა თქმა უნდა, პრეზიდენტ ბუშს, საგარეო საქმეთა მინისტრს ბეიკერს და თავდაცვის მინისტრს ჩენის. ჩვენი საერთო წვლილის გამო სპარსეთის ყურის კრიზისში გერმანიის პოზიციის არავითარი კრიტიკა არ მომისმენია ამ საუბრებში. კრიტიკა უფრო გერმანიაში გაისმოდა, ვიდრე საზღვარგარეთ, ეს ფედერალური მთავრობის პოზიციის კრიტიკას სერიოზულობას როდი მატებდა. ახლა საჭირო იყო, ახლო აღმოსავლეთში ისეთი სამშვიდობო წესრიგი დაგვემყარებინა, რომელიც ერაყს მასობრივი განადგურების იარაღის და მისი მატარებელი სისტემების ფლობის საშუალებას არ მისცემდა. პრეზიდენტ ბუშთან ერთად განვიხილე ახლო აღმოსავლეთში ომისშემდგომი წესრიგის პერსპექტივები.

ამასთან გასათვალისწინებელი იყო, რომ ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო ძალისხმევისას ორი განსხვავებული წარმოდგენა უპირისპირდებოდა ერთმანეთს: ისრაელისა, რომელიც იერუსალიმსა და კონფლიქტის ცალკეულ მონაწილეთა შორის ორმხრივი მოლაპარაკებების მომხრე იყო, და არაბული, რომელიც ერთობლივ მოლაპარაკებებს უჭერდა მხარს. მე გავაცანი ბუშს ის გზა, რომელსაც ჩვენ დავადექით 70-იანი წლების დამდეგს ევროპაში. მაშინ ფედერაციულმა რესპუბლიკამ, თავისი პასუხისმგებლობის პოლიტიკის შესაბამისად, საბჭოთა კავშირთან, პოლონეთთან, გდრ-თან და ჩეხოსლოვაკიასთან სადავო საკითხების მოსაგვარებლად ორმხრივი მოლაპარაკებები არჩია და ამით შესაძლებელი გახადა ევროთათბირის ფარგლებში ფართო მასშტაბის ურთიერთდაახლოების პროცესის დაწყება. გარდა ამისა პრეზიდენტი ბუში და მე იმაზეც შევთანხმდით, რომ საბჭოთა პრეზიდენტს გორბაჩოვს, მიუხედავად მისი შიდაპოლიტიკური სიძნელეებისა, კვლავაც დავხმარებოდით, ვინაიდან მისი პოზიცია სპარსეთის ყურეში კრიზისისას არაჩვეულებრივად კონსტრუქციული იყო.

2 აპრილს ბონში შეეხვდი იორდანიის მეფეს ჰუსეინს, რათა იორდანიის ეკონომიკურ სიძნელეებსა და სამშვიდობო პროცესში ამ ქვეყნის ჩაბმის შესახებ გვემსჯელა. ერთობლივად დავუჭირეთ მხარი რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებას, რომლის პრინციპები ან ორმხრივ მოლაპარაკებებზე, ან რეგიონალურ კონფერენციაზე უნდა შემუშავებულიყო. ისრაელსა და არაბებს შორის მოლაპარაკებათა პარალელურად ისრაელსა და პალესტინელებს შორის მოლაპარაკებებიც უნდა დაწყებულიყო, რათა ბოლოს და ბოლოს არსებითი პროგრესისთვის მიგვეღწია. კიდევ სამი წელი უნდა გასულიყო, ამ ოცნებას რომ ხორცი შეესხა. ჰუსეინთან საუბრისას გამოვთქვი აზრი, რომ კარგი იქნებოდა ინტერრეგიონალური შეთანხმების დადება ნავთობის ქვეყნებსა და სხვა არაბულ სახელმწიფოებს შორის, რომელთაც იორდანიაც მიეკუთვნება. გარდა ამისა მხარი დავუჭირე იმას, რომ ევროგაერთიანებასა და სპარსეთის ყურის კოოპერაციულ საბჭოს შორის ურთიერთთანამშრომლობას ეკონომიკის სფეროს გარდა პოლიტიკის სფეროც მოეცვა.

თუმცა ალიანსის საბრძოლო მოქმედებებმა სპარსეთის ყურეში 1991 წლის იანვრიდან მარტამდე წარმატებით ჩაიარა, მაგრამ მომდევნო პოლიტიკური დისკუსიებისას გაირკვა, რომ პრეზიდენტმა ბუშმა 27 თებერვალს ცეცხლის შეწყვეტა გამოაცხადა, ვიდრე გენერალი შვარცკოპფი ერაყის ტანკებს ბასრის დასავლეთით ალყაში მოაქცევდა ან გააუნებლებდა. ერაყის დიქტატორის რესპუბლიკური გვარდიის უფრო მრავალრიცხოვანმა სატანკო ნაწილებმა შეძლეს ჩრდილოეთით გაღწევა და ამას მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე მალე მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოეხდინა.

მარტის შუა რიცხვებში ერაყის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ქურთები აჯანყდნენ. ორი ყველაზე გავლენიანი ხელისუფლებას დაპირისპირებული პარტია, ქურთისტანის პატრიოტული კავშირი და ქურთული დემოკრატიული პარტია, მოულოდნელად გაერთიანდნენ სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ მიმართულ ქურთისტანის ფრონტში. პირველად მოხდა ისიც, რომ სადამ ჰუსეინს ქალაქებიც დაუპირისპირდნენ. მაგრამ დიქტატორმა რესპუბლიკურ გვარდიასა და რამდენიმე ასეულ ტანკზე დაყრდნობით შეძლო ჩრდილოეთში წამოწყებული ამბოხების ჩახშობა. ქურთი სამოქალაქო მოსახლეო-

ბა ნაწილობრივ თურქეთის, ნაწილობრივ ირანის კუთვნილი ტერიტორიებისკენ გაიქცა. თურქეთის საზღვართან ნახევარმა მილიონმა კაცმა მოიყარა თავი, ირანში ალბათ მილიონზე მეტი ქურთი ეძებდა თავშესაფარს. კერძო და საერთაშორისო მაშველთა ჯგუფები მალე უკვე ვეღარ უმკლავდებოდნენ გასაჭირს. გერმანელების და სხვა ევროპელთა რჩევების და დაჟინებული მოთხოვნის შედეგიც იყო ის, რომ 10 აპრილს ამერიკის მთავრობამ ერაყის არმიას მოსთხოვა, არავითარი სამხედრო აქტიურობა არ ეწარმოებინა ქურთი ლტოლვილების სიახლოვეს და ოცდამეთექვსმეტე განედის ჩრდილოეთით არც ერთი მისი შეიულმფრენი ან თვითმფრინავი არ გაჭაჭანებულიყო. ბოლოს და ბოლოს შესაძლებელი გახდა დამცავი ზონების შექმნა ქურთებისთვის. რაკი თურქეთი ქურთების მიმართ კეთილგანწყობას არ ამჟღავნებდა, თორმეტ აპრილს ბონში თურქ კოლეგასთან საუბარში ვთხოვე ანკარას, გაუვალი მთებიდან ქურთებისთვის ბარში დაშვების საშუალება მიეცა. სასაზღვრო ზოლში ქურთი ლტოლვილებისთვის მყარი თავშესაფრის აგება შევთავაზეთ; დღეში ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული რამდენიმე გერმანული თვითმფრინავი მიფრინავდა თურქეთსა და ირანში. ჩემი დაჟინებული მოთხოვნით თურქეთის მთავრობამ 15 აპრილს ბოლოს და ბოლოს ნება დართო 400 000 ქურთ ლტოლვილს, მთებიდან დაბლობში ჩამოსულიყვნენ, სადაც მათთვის ბანაკები იყო გამზადებული. გერმანულ-ამერიკული ინტენსიური კონსულტაციების შემდეგ, 16 აპრილს, პრეზიდენტმა ბუშმა გამოაცხადა, რომ ქურთი ლტოლვილებისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული აქციების გაფართოება სურდა.

ამის გამო 17 აპრილს ბუნდესტაგში განვაცხადე: „მსოფლიო მოწმეა განუზომელი გაჭირვებისა ერაყში. იქ ადამიანებს ხოცავენ, დევნიან და ქვეყნიდან აძევებენ. მთებში ადამიანები შიმშილობენ და იყინებიან, მშობლებს ხელში აკვდებათ ბავშვები... ქურთთა ჯგუფების საშინელი ხვედრი ქვეყნის სამხრეთში ჩვენს აღშფოთებასა და თანაგრძნობას იწვევს... ქურთთა და სხვა ეროვნების ხალხთა ჯგუფები ერაყში განადგურებისა და გადაშენების წინაშე დგანან. სახელმწიფოთა თანამეგობრობას დუმილის უფლება არა აქვს... რაც ერაყში ხდება, ეს აღარ არის ამ ქვეყნის საშინაო საქმე, ეს არის ხალხების მოსპობის მცდელობა“.

ლტოლვილთა რაოდენობა დაახლოებით სამ მილიონს აღწევდა. ახლა საჭირო იყო ჰუმანიზმის საჰაერო ხიდის გადება, რათა ლტოლვილები გადაგვერჩინა. ფედერაციულმა რესპუბლიკამ დიდძალი დახმარება გაიღო, მათ შორის საველე ლაზარეთის სრული აღჭურვილობა, გამოყო ჯგუფი გერმანიის წითელი ჯვრიდან, ასევე მთების დაცვის დამხმარე ჯგუფი და თურქეთ-ერაყის სასაზღვრო ზოლში სასმელი წყლის დამამზადებელი პერსონალი. ჰუმანიტარულ ტვირთს ბუნდესვერის მძიმე სატრანსპორტო შვეულმფრენები ანაწილებდნენ; ასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი იყო მუდმივად დასაქმებული; ყოველდღე გზაში იყვნენ თვითმფრინავები. 16 აპრილს გერმანელ ექსპერტთა დელეგაცია გაიგზავნა ირანში იმის დასადგენად, გერმანული დახმარება ლტოლვილებმა დროულად მიიღეს თუ არა. ირანში მთლიანად რამდენიმე ასეული ტონა ჰუმანიტარული ტვირთი გადაიგზავნა. გერმანიის წითელმა ჯვარმა ირან-ერაყის სასაზღვრო ზოლში ბანაკი მოაწყო 30 000 ლტოლვილისთვის; ხოლო საერთაშორისო წითელმა ჯვარმა გერმანიის დახმარებით 100 ათასზე მეტ კაცს შეუქმნა საცხოვრებელი პირობები. ირანისგან ჩვენ სამ რამეს მოველოდით: პირველყოვლისა დროებითი საჰაერო ხიდის მოწყობას გერმანიასა და ჩრდილოეთ ირანს შორის, რომლითაც ყოველდღიურად სამი თვითმფრინავი ისარგებლებდა; მეორე, 20 შვეულმფრენით ლტოლვილთა მომარაგებას სამხრეთ თურქეთში ჩატარებული ანალოგიური აქციის მსგავსად; და მესამეც, ირანის კრიზისულ რეგიონში ბუნდესვერისთვის ოპერატიული ბაზის მოწყობას შვეულმფრენთა წინწამოწეული დასასხდომი პუნქტებით, რომლის მსგავსი თურქეთში უკვე არსებობდა. ამას გარდა ფედერალურმა მთავრობამ კიდევ ერთხელ გაიღო 450 მილიონი გერმანული მარკა სასწრაფო ჰუმანიტარული დახმარებისთვის. ამის გამო გერმანიის ბუნდესტაგში გამოსვლისას ვთქვი: „ფედერალური მთავრობის აზრით, გაერთიანებული ერები მოვალე და პასუხისმგებელია, ახლად მოპოვებული ავტორიტეტი, რაც მას ქუვეითის წინააღმდეგ აგრესიის მოგერიებამ შეუქმნა, ახლა იმისთვის გამოიყენოს, რომ ბოლო მოუღოს ქურთთა და სხვა ხალხთა ჯგუფების საშინელ დევნას, და შესაძლებელი გახადოს ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნება თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე“.



პატივისცემითა და ნდობით გამოირჩეოდა მათი ურთიერთდამოკიდებულება: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი და სირიის სახელმწიფოს მეთაური ჰაფიზ ელ ასადი.

საერთაშორისო სამართლის განვითარების გზაზე გადაგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო გაეროს 688-ე რეზოლუცია, რომელშიც პირველად იქნა დაფიქსირებული, რომ ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა აღარ შეიძლებოდა ჩათვლილიყო ამა თუ იმ სახელმწიფოს საშინაო საქმედ, ვინაიდან ასეთი რამ საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას ემუქრებოდა. მომავალში ვერც ერთი მთავრობა, რომელიც ფეხქვეშ გათელავდა ხალხთა და ადამიანთა უფლებებს, თავისი ქვეყნის მოქალაქეებს დაჩაგრავდა და ქვეყნიდან გააძევებდა, ველარ იტყოდა, ხალხთა თანამეგობრობას ამასთან არაფერი ესაქმებაო. და მე ერაყელ დიქტატორს გერმანიისა და ევროგაერთიანების სახელით მოვთხოვე: „პირველი: უმცირესობის უფლებების და სხვა ეროვნების ადამიანთა ჯგუფების უფლებათა აღიარება; მეორე: დევნილთა უსაფრთხო დაბრუნება თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე; მესამე: საზღვრის გახსნა იმ ადგილებზე ჰუმანიტარული დახმარების მისატანად“.

ყველა ამ ღონისძიებისთვის მეთვალყურეობა და მეურვეობა გაეროს უნდა გაეწია. არავინ აპირებდა ერაყის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, ქვეყნის დაქუცმაცებას და ამასთან ერთად იქ შინაგანი კონფლიქტების გაღვივებას. მაგრამ ევროგაერთიანება დაჟინებით მოითხოვდა ჭეშმარიტი ავტონომიის განხორციელებას, როგორც ეს ბაღდადსა და ქურთთა ორგანიზაციებს შორის 1970 წელს მიღწეული შეთანხმებით იყო გათვალისწინებული და რომელსაც ერაყის მთავრობა უგულებელყოფდა.

კვლავაც მოვუწოდე სახელმწიფოთა თანამეგობრობას, განსაკუთრებით გაეროს უშიშროების საბჭოს წევრ ქვეყნებს, ჰუმანიტარული დახმარების გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარებაც გაგვეწია, რათა ქურთთა უმცირესობისა და სხვა ჯგუფთა უფლებები მომავალში საიმედოდ ყოფილიყო დაცული. ამასთან დაკავშირებით უწინარეს ყოვლისა მივესალმე ამერიკის პრეზიდენტის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ერაყის ჩრდილოეთში ბანაკი მოეწყობოდა, რომელსაც სამხედროები დაიცავდნენ.

19 აპრილს ვეწვიე თურქეთს, რათა ჩემს კოლეგას ალფ-თემოჩინსა და პრეზიდენტ ოზალთან ერთად ქურთი ლტოლვილების დახმარების საკითხი განმეხილა. ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა შევძელით. მოლაპარაკებების შემდეგ ანკარაში განვაცხადე: „ჩვენ ვიცით, რომ ლტოლვილთა ტრაგედია თურქეთს მძიმე პრობლემებს უქმნის, ამიტომ გადავწყვიტეთ, თურქეთს დავეხმაროთ. ჩვენ ყველანი იმ აზრს ვიზიარებთ, რომ ჰუმანიტარული ღონისძიებებით ერაყში ქურთთა პრობლემა ბოლომდე ვერ გადაიჭრება. საჭიროა პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტა“.

ორი დღის შემდეგ თავდაცვის მინისტრმა შტოლტენბერგმა გამოაცხადა, რომ ირანში ბუნდესვერის ორასი მესანგრე გაიგზავნა, იქ ლტოლვილთა ბანაკის მოწყობაში მონაწილეობის მისაღებად. ირანის პოზიცია ამ დაძაბულ ვითარებაში ძალზე კონსტრუქციული იყო. თეირანი სპარსეთის ყურეში მეორე ომის დროს ნეიტრალიტეტს იცავდა, მაგრამ გარკვევით მოითხოვდა, სადამ ჰუსეინი ქუვეითიდან გასულიყო.

6-დან 8 მაისამდე ირანში მოლაპარაკებები მქონდა სპარსეთის ყურეში შექმნილი ვითარებისა და ქურთთა მდგომარეობის შესახებ. პრეზიდენტ რაფსანჯანისთან შეხვედრისას ხაზგასმით

აღვნიშნე, რაოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მისი ქვეყანა სპარსეთის ყურის რეგიონში სამშვიდობო წესრიგის დამყარების საქმეში. ვთქვი, რომ ირანი ყველა სამშვიდობო ძალისხმევაში უნდა ჩაგვერთო. ჩემი აზრით, ამით ირანს დიდებული შანსი ეძლეოდა, კვლავ დაბრუნებოდა სახელმწიფოთა თანამეგობრობას. რაფსანჯანი და მე მრავალ პუნქტში შევთანხმდით: ორივენი ვგმობდით ჰუსეინის საქციელს, მხარს ვუჭერდით სანქციების გაგრძელებას, ვიდრე ერაყში დემოკრატიზაციის პროცესი არ დაიწყებოდა და მოვითხოვდით სადამ ჰუსეინის, როგორც ომის დამნაშავის, გასამართლებას, რაც ევროგაერთიანების მოთხოვნაც იყო — მე მაშინ პირველმა დავიწყე ამაზე ლაპარაკი ევროგაერთიანების წრეში. ირანის პრეზიდენტმა დიდი მადლობა გადამიხადა ქურთთა პრობლემის დაძლევისას გაწეული დახმარების გამო. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას, რომ გერმანიამ თავისი მაშველი აქციების სიმძიმის ცენტრი ირანში გადაიტანა.

გერმანული წვლილი ქურთ ლტოლვილთა სასწრაფო ჰუმანიტარული დახმარების საქმეში თითქმის 2,6 მილიარდ გერმანულ მარკას შეადგენს, რაც სპარსეთის ყურის კრიზისის დასაძლევად ჩვენ მიერ გაღებული საერთო წვლილის დაახლოებით 15 პროცენტია. დაახლოებით 25 მილიარდი გერმანული მარკით კი „ფრონტის სახელმწიფოებს" ეგვიპტეს, თურქეთს და იორდანიას დავეხმარეთ.

1991 წლის აპრილში ფედერალურმა მთავრობამ ერაყელი ლტოლვილებისათვის გერმანიაში და ევროგაერთიანების ფარგლებში 470 მილიონი გერმანული მარკა მოიძია; ეს ყველა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მთელი ჰუმანიტარული დახმარების დაახლოებით 30 პროცენტია. ხოლო საბრძოლო მოქმედებების დამთავრების შემდეგ ფედერალურმა მთავრობამ მრავალი ინიციატივით ხელი შეუწყო ეკოლოგიური ხასიათის ღონისძიებების გატარებას სპარსეთის ყურის რეგიონში.

ის ამბავი, რომ გერმანიის მოსახლეობაში სპარსეთის ყურეში გაჩაღებულ ომს არავითარი „აღფრთოვანება" არ გამოუწვევია და მას ისე უყურებდნენ, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის აღსადგენ აუცილებელ აქციას, სულაც არ მიმაჩნდა ნაკლად. მაშინ ერთ ინტერვიუში ვთქვი, გერმანული ფიქრიანობა მირჩევნია გერმანულ დაუფიქრებლობას-მეთქი — დღესაც ამას გავიმე-

ორებდი, და ჩვენი პოლიტიკაც ხომ — დასახელებულ მიზეზთა გამო — თავშეკავებულობით იყო აღბეჭდილი.

იმ მოსაზრებას, რომ ჩვენ პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობა უნდა მიგველო სპარსეთის ყურეში ჩატარებულ სამხედრო აქციაში, მე მაშინაც სახიფათოდ ვთვლიდი. ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა, მაგალითად, „გერმანიამ ბოლოს და ბოლოს პასუხისმგებლობა უნდა აიღოს თავის თავზე", მიზნად ისახავდა, შთაეგონებინა ადამიანებისთვის — სავსებით უმართებულოდ —, რომ ასეთი რამ წარსულში არ მომხდარა. ამ დროს კი გერმანიის წვლილი ევროპისა და ევროგაერთიანების ერთიანობის საქმეში განუზომელი იყო, ბოლოს და ბოლოს ბონმა ბუნდესვერის, როგორც ევროპაში დასავლეთის უსაფრთხოების გარანტისა და ევროთათბირის პოლიტიკის შემამზადებლის, შექმნით ისტორიული პასუხისმგებლობა იკისრა. ყოველივე ამან 1989 წლის ზაფხულის დამდეგს ძალთა ისეთი უნიკალური განლაგება წარმოშო, რომ ორივე ზესახელმწიფო ევროპაში თავის უმთავრეს პარტნიორად გერმანიას ასახელებდა. ამ პოზიციის შენარჩუნებას მომავალშიც დიდი პოლიტიკური ხელოვნება დასჭირდება.

საყვედური, თითქოს ფედერალურმა მთავრობამ სპარსეთის ყურის ომიდან ფინანსების საშუალებით დაიხსნა თავი, ასევე უსაფუძვლოა. თავისთავად ცხადი იყო, რომ ფედერაციული რესპუბლიკა თავისი დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის შესაბამის — ანუ საკმაოდ დიდ — წვლილს გაიღებდა სპარსეთის ყურეში მშვიდობის, სამართლიანობისა და წესრიგის აღდგენისთვის. „თავის დახსნა" კი ჩვენ მარტო იმის გამოც არ შეგვეძლო, რომ სპარსეთის ყურის „კოალიციაში" სამხედრო მონაწილეობის მიღების შემთხვევაშიც არავინ გაგვათავისუფლებდა ფინანსური ხარჯებისაგან.

თავი 19

ომი იუგოსლავიაში: ევროპული ორიენტაციისათვის

საწყისი პოზიცია

გერმანიის პოლიტიკას იუგოსლავიის მიმართ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძირითადად წარსულის ცოდვათა გამოსყიდვის სურვილი განსაზღვრავდა. დიპლომატიური ურთიერთობების ადრეული დამყარებაც 1951 წლიდან ხომ ჩვენი დამოკიდებულებების გაუმჯობესებას ემსახურებოდა ამ ქვეყნის ხალხებთან, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს განსაკუთრებით დააზარალა გერმანულმა ოკუპაციამ. ომი იუგოსლავიელ მებრძოლთა წინააღმდეგ განსაკუთრებული სიმკაცრითა და სისასტიკით გამოირჩეოდა, შეტევითი და დაპყრობითი ომები იუგოსლავიის წინაღმდეგ უაღრესად დანაშაულებრივი გახლდათ: ხორვატი ფაშისტთა მეთაური ანტე პაველიჩი დევნიდა სერბებს, რამაც ასიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა - ამას დაერთო მესამე რაიხის გამანადგურებელი პოლიტიკა ებრაელი მოსახლეობის მიმართ.

გერმანული ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლა ასევე გამოირჩეოდა იუგოსლავიელ მებრძოლთა შორის ეთნიკური და იდეოლოგიური შუღლით. ტიტოს წარმატებულმა საომარმა პოლიტიკამ გერმანულ ვერმახტს დიდი ზარალი მიაყენა. ომის დასასრულს სასტიკად გაუსწორდნენ გერმანელ ტყვეებს, ხოლო იუგოსლავიაში მცხოვრები გერმანული უმცირესობა ნაწილობრივ გაასახლეს, ნაწილი კი ამოჟლიტეს.

1951 წელს ახალ ეტაპს გერმანია-იუგოსლავიის ურთიერთობებში საიმედო პირი უჩანდა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველი ელჩი იუგოსლავიაში გახდა კარლ-გეორგ ფლაიდერერი, რომელიც 1949 წლის შემდეგ გერმანულ ბუნდესტაგში ვაიბლინგენის საარჩევნო ოლქის წარმომადგენელი იყო თავისუფალი დემოკრატიული პარტიიდან. ის იუგოსლავიასთან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტის წინააღმდეგ გამოვიდა, მას შემდეგ, რაც

იუგოსლავიამ გდრ-თან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა. ფლაიდერერი და თავისუფალი დემოკრატიული პარტია ხვდებოდნენ, რომ ეგრეთ წოდებული ჰალშტაინის დოქტრინა დამადამბლავებელ ზემოქმედებას მოახდენდა გერმანიის საგარეო პოლიტიკაზე.

განახლების შემდეგ დიპლომატიური ურთიერთობები სწრაფად და პოზიტიურად განვითარდა. მეტიც: ამის პარალელურად გახშირდა შეხვედრები ამ ორი ქვეყნის ხალხებს შორის. უამრავი იუგოსლავიელი ჩამოვიდა გერმანიაში გასტარბაიტერად და აქ დიდად სასურველ ევროპელ თანამოქალაქეებად იქცნენ. მეორეს მხრივ გერმანელებს ძალიან უყვარდათ შვებულების გატარება იუგოსლავიაში; ასე თანდათანობით განმტკიცდა ორმხრივი დამოკიდებულება 60-იან, 70-იან და 80-იან წლებში, მით უფრო, რომ გერმანია იყო ევროგაერთიანების ის ქვეყანა, რომელიც განსაკუთრებით ცდილობდა — და წარმატებითაც — ბელგრადს ევროგაერთიანებასთან ეთანამშრომლა.

ჩემი მოღვაწეობის დასაწყისში გერმანია-იუგოსლავიის ურთიერთობათა კიდევ ერთი ასპექტი იქცევდა ჩემს ყურადღებას: სხვა დასავლურ ხელისუფლებათაგან განსხვავებით, ბლოკგარეშეთა მოძრაობაში მე ვხედავდი მნიშვნელოვან მასტაბილიზებელ დაჯგუფებას, რომელსაც შეეძლო შეეზღუდა დასავლურ-აღმოსავლური დაპირისპირების ზეგავლენა მესამე სამყაროზე. მეორეს მხრივ ბლოკგარეშეთა მოძრაობა არ იყო ხელწამოსაკრავი ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობათა დეიდეოლოგიზაციის საქმეში: აქ თავს იყრიდნენ უაღრესად ურთიერთგანსხვავებული სახელმწიფოები, განსხვავებულნი თავ-თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი წყობით, განსხვავებულნი თავ-თავიანთი სარწმუნოებით, განსხვავებულნი აგრეთვე თავ-თავიანთი ეკონომიკური სისტემებით. მათთვის ავტორიტეტულ პიროვნებებს მიეკუთვნებოდა პრეზიდენტი ტიტო, რომლის ქვეყანამ ბლოკგარეშეთა შორის, ისევე როგორც მოგვიანებით ევროთათბირში, მნიშვნელოვანი, დამოუკიდებელი როლი იკისრა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საერთოევროპული ინტერესიდან გამომდინარე. რასაკვირველია ევროპისთვის მიუღებელი იქნებოდა, ბლოკგარეშეთა მოძრაობას ანტიევროპული ხასიათი რომ შეენარჩუნებინა. სწორედ ამიტომ ამ მნიშვნელოვან ევროპულ ქვეყანასთან თანამშრომლობა იყო მონაპოვარი, რომელიც მთელ კონტინენტს სასიკეთოდ წაადგა.

რა თქმა უნდა, იუგოსლავიის მნიშვნელობა იმ ფაქტითაც იყო განპირობებული, რომ ტიტოს უკვე თავი დაეხსნა სტალინის ბრჭყალებიდან და დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა. ამავდროულად იგი ეძებდა ერთგვარ მესამე გზას სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის.

1974 წელს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის დაკავების შემდეგ დასავლურ წრეებში ძალიან მალე მომიხდა იუგოსლავიის მომავალთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა. ამასთან პირველ ყოვლისა გასარკვევი იყო, როგორი რეაგირება უნდა მოეხდინა დასავლეთს საბჭოთა კავშირის შესაძლო მცდელობაზე, იუგოსლავია კვლავ თავის მბრძანებლობის სფეროში მოექცია. თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ მოსკოვი ამისთანა რამეს არ მოიმოქმედებდა, რაკიღა საამისოდ ძალა არ — თუ აღარ? — შესწევდა. თუმცა, ჩემი აზრით, საფრთხე დიდი არ იყო, მაგრამ მის ალბათობას მაინც ერთობ სერიოზულად უნდა მოვკიდებოდით, ასე რომ, ჰენრი კისინჯერს ხელმეორედ დაველაპარაკე ამ პრობლემაზე. იუგოსლავიასთან მჭიდრო ურთიერთობა მესახებოდა საუკეთესო ხელშემწყობ ფაქტორად ბალკანეთში სტაბილიზაციის დამყარების საქმეში — ამას მნიშვნელობა ჰქონდა ორივე მხარისთვის, აგრეთვე ევროგაერთიანებისთვისაც.

ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფნისას მქონდა კონტაქტი ბელგრადთან. მინდოდა, იმ გდრ-ელ გერმანელთა საქმე მომეგვარებინა, რომლებიც ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა გავლით იუგოსლავიაში მოხვდნენ: ნუთუ არ უნდა ყოფილიყო შესაძლებელი, რომ ჩვენი საელჩოს მეშვეობით გვეზრუნა მათზე და მათთვის გფრ-ში ჩამოსვლის საშუალება მიგვეცა? 1972 წლის აგვისტოში ბელგრადში ვიზიტისას ადგილი ჰქონდა ერთგვარ ჯენტლმენურ შეთანხმებას ჩემს კოლეგასთან, იუგოსლავიელ შინაგან საქმეთა მინისტრთან. ჩვენ შევთანხმდით, რომ თუ რომელიმე გდრ-ელი გერმანელი იუგოსლავიის საზღვარს გადმოკვეთდა — რაც უპირატესად არალეგალურად ხდებოდა — იუგოსლავიურ სამსახურებს მიეცათ მისთვის საშუალება, კონტაქტი დაემყარებინა ჩვენს საელჩოსთან; გარდა ამისა, ამ სამსახურებს თავადვე უნდა მიეწოდებინათ ინფორმაცია ჩვენი საელჩოსთვის. ამის შემდეგ ლტოლვილები იმ პასპორტით, რომელსაც მათ გერმანული საკონსულო გადასცემდა, გფრ-ში უნდა ჩამოსულიყვნენ.

თვითონ ტიტოს პირველად 1974 წლის ზაფხულში შევხვდი. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ოფიციალური ვიზიტი შმიდტ-გენშერის ერთობლივი მოღვაწეობის დაწყებიდან. ერთი წლის შემდეგ, 1975 წელს, ბუნდესკანცლერი შმიდტი და მე ტიტოსა და მის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰელსინკიში დასკვნით აქტზე ხელმოწერასთან დაკავშირებით შევხვდით, და ამ შეხვედრის დროსაც ტიტო წარმოგვიდგა როგორც იუგოსლავიური პოლიტიკის დომინანტური ფიგურა.

თავისი ავტორიტეტის გამოყენებით ტიტომ გაატარა რიგი სახელმწიფო-სამართლებრივი რეფორმებისა, რომელთა წყალობითაც იუგოსლავიურ სახელმწიფო კავშირში შემავალ ცალკეულ რესპუბლიკებსა და ეროვნებებს შორის გაწონასწორებული ურთიერთდამოკიდებულება დამყარდა. იგი მიხვდა, რომ ერთი ხალხის, ამ შემთხვევაში სერბების, დომინანტური მდგომარეობა ცენტრიდანული ძალების ერთგვარ განმტკიცებას მოახდენდა. მისი გარდაცვალების შემდეგ მალევე გამოვლინდა ამ მოსაზრების წინასწარმეტყველურობა: ტიტოს პიროვნული ავტორიტეტის გარეშე სერბთა სწრაფვა ჰეგემონიისკენ ისევე ძლიერდებოდა, როგორც ამით გამოწვეული ცენტრიდანული ტენდენციები ამავე ქვეყნის სხვა ხალხებისა.

კრიზისის სათავეები

80-იანი წლების დასასრულს სერბიის რესპუბლიკაში მიღებულ იქნა ორი გადაწყვეტილება, რამაც იუგოსლავიის ერთიანობაზე დენთივით იმოქმედა: 1989 წელს ავტონომიური სტატუსი გაუუქმეს ვოივოდინას, მძლავრი უნგრული უმცირესობით დასახლებულ ოლქს; 1990 წელს იგივე ბედი ეწია კოსოვოსა და მის ალბანელებს. არადა თავის დროზე სწორედ ამ ავტონომიებმა განმუხტა ეროვნებათა საკითხი სერბიის რესპუბლიკაში. მაშასადამე, მათი გაუქმება მხოლოდ ნეგატიურ შედეგებს თუ მოიტანდა, ხოლო სერბიაში მცხოვრებ ალბანელთა მრავალრიცხოვნების გამო კოსოვოს ავტონომიური სტატუსის გაუქმება უფრო სახიფათო იყო, ვიდრე წინამორბედი ნაბიჯი ვოივოდინაში. ორივე მოვლენას უნდა შეეძრა მხოლოდ ევროპული კი არა, მსოფლიო საზოგადოებრიობა; რადგან იუგოს-

ლავიელ ხალხთა მშვიდობიან თანაცხოვრებას — და ამით ამ სახელმწიფოს ერთიანობასაც — აქ შეუნთეს ცეცხლი. მაინც გასაგებია, რატომ იყო საერთაშორისო რეაქცია ასე მოკრძალებული. 1989 წელი იყო თავისუფლების მომტანი მშვიდობიანი რევოლუციის წელი არა მხოლოდ აღმოსავლეთ გერმანიაში, არამედ მთელს შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, 1990 წელი კი მთლიანად ვარშავის ხელშეკრულების გაუქმებისა და გერმანიის ერთიანობის აღდგენის, აგრეთვე მაშინდელ საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენათა ნიშნით იყო აღბეჭდილი.

სლობოდან მილოშევიჩმა, სერბიის პრეზიდენტმა, ამ პერიოდით ისარგებლა და თვითნებობას მიჰყო ხელი. ეს ეხებოდა არა მხოლოდ პრობლემასთან უშუალოდ დაკავშირებულ ადამიანებს, არამედ რასაკვირველია იუგოსლავიის ფედერაციაში გაერთიანებულ სხვა რესპუბლიკებსაც. იქ შიშობდნენ, რომ ეს იქნებოდა დასაწყისი იმ პოლიტიკისა, რომელიც სერბიის მეცნიერებათა აკადემიის მემორანდუმის მიზნებს შეესაბამებოდა, წლების წინ რომ ჩაუყარა იდეოლოგიური საფუძველი დიდსერბიულ პოლიტიკას. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გააძლიერა სერბიული ხელმძღვანელობის მოთხოვნამ, სხვა რესპუბლიკებში მცხოვრები სერბებისთვის მიეცათ უფლება, სერბიას შეერთებოდნენ, თუნდაც ამას ერთიანი სახელმწიფოს დაშლა მოჰყოლოდა. ამის პარალელურად უპირატესად სერბებით დაკომპლექტებულმა იუგოსლავიის სახელმწიფო პრეზიდიუმმა 1991 წლის გაზაფხულზე უარი უთხრა პრეზიდიუმის ხორვატ წევრს მესიჩს თავმჯდომარის პოსტის დაკავებაზე, რამაც არა მხოლოდ გაამწვავა ისედაც არსებული დაძაბულობა, არამედ აგრეთვე მეტი გასაქანი მისცა არასერბიულ რესპუბლიკებში მცხოვრებ პოლიტიკოსებს, რომლებიც დამოუკიდებლობას ესწრაფოდნენ. ეს ეხებოდა პირველ რიგში სლოვენიასა და ხორვატიას, სადაც უფრო და უფრო ხმამაღლა მოითხოვდნენ კონსტიტუციით მინიჭებული უფლების გამოყენებას — ფედერაციის დატოვებას.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი იუგოსლავიის ერთიანი სახელმწიფო პირველ ყოვლისა ორი გარეპოლიტიკური ფაქტორით იყო სტაბილიზებული, რომლებმაც ცივი ომის დასასრულს აქტუალობა დაკარგეს. პირველი იყო შიში გერმანიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისკენ ექსპანსიის წინაშე, რაც იმ შემთხვევაში

იქნებოდა მოსალოდნელი, თუ გერმანია და ავსტრია გაერთიანდებოდნენ. რამდენად საფუძვლიანი იყო ეს ვარაუდი, მალე გამოჩნდა: ავსტრიის შერთებას მესამე რაიხთან 1938 წელს მოჰყვა ჰიტლერის თავდასხმა იუგოსლავიაზე 1941 წელს. გერმანიის კაპიტულაციამ 1945 წელს, მოკავშირეთა შემდგომმა დაცალკევებამ და მათი სამხედრო ნაწილების ხანგრძლივად დარჩენამ გერმანიაში, ავსტრიის რესპუბლიკის აღდგენამ და აგრეთვე შესანიშნავმა ურთიერთობებმა ახალ გფრ-სთან ამ შიშს ნიადაგი გამოაცალა: გერმანიის წინაშე შიში ვეღარ იქნებოდა იუგოსლავიისთვის გამაერთიანებელი ძალა. სამაგიეროდ ახალი საფრთხე გამოიკვეთა: გაჩნდა შიში, რომ საბჭოთა ძალაუფლების სფეროდან იუგოსლავიის გამოსვლის შემდეგ მოსკოვს შესაძლოა თავისი გავლენის აღსადგენად ხელსაყრელი შემთხვევის ძიება დაეწყო და ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყანა კვლავ თავისი ძალაუფლების სფეროში მოექცია. ეს იყო ახალი, მაგრამ არანაკლებ ყურადსაღები საფუძველი, რომელიც ტიტოს ავტორიტეტთან და დაბალანსებაზე გათვლილ კონსტიტუციურსამართლებრივ წესრიგთან ერთად განამტკიცებდა იუგოსლავიის მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთიანობას.

მაგრამ აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქტის დასრულებისა და გორბაჩოვის ხელში საბჭოთა პოლიტიკის მიმართულების ძირფესვიანი შეცვლის შემდეგ საბჭოთა ინტერვენციის წინაშე შიში სულ უფრო და უფრო კარგავდა აქტუალობას და სიტუაცია შეტრიალდა: სერბიის შეცვლილი დამოკიდებულება ეროვნული საკითხის მიმართ და დიდსერბიული ჰეგემონიური სწრაფვა ერთიანი სახელმწიფოს სიმტკიცეს შიგნიდან უქმნიდა საფრთხეს. დასავლეთი — ისევე როგორც მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა — 1990-91 წლებში მხარს უჭერდა იუგოსლავიის ფედერაციის შენარჩუნებას. გერმანული საგარეო პოლიტიკაც ამ პოზიციაზე იდგა; ამისათვის მას პოლიტიკური სპექტრის ყველა ნაწილის მხრივ მზარდი შიდაპოლიტიკური კრიტიკის ატანა უწევდა. ჯერ კიდევ 1991 წლის 9 მაისს ევროგაერთიანებამ დემოკრატიული ერთიანი იუგოსლავიის მომავალზე ილაპარაკა. 1991 წლის 8 ივნისს მან (ევროგაერთიანებამ) მოითხოვა საკონსტიტუციო წესრიგს განახლება, რომელიც სახელმწიფო პრეზიდიუმში როტაციის შეფერხების გამო იქნა დარღვეული. ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეიკერმაც 1991 წლის გაზაფხულზე ბელგრადში ვიზიტისას

მგზნებარედ დაუჭირა მხარი იუგოსლავიის სახელმწიფოს ერთიანობას.

1991 წლის პირველ ნახევარში გაცხოველებული კონტაქტები მქონდა იუგოსლავიელ პოლიტიკოსებთან. 1991 წლის 3 თებერვალს დავოსში ყოფნისას შევხვდი იუგოსლავიის სახელმწიფო პრეზიდიუმის წევრს დრნოვშეკს, სლოვენიის წარმომადგენელს, რომელმაც თავისი საწუხარი გამანდო. ოთხშაბათს, 20 მარტს, მივიღე სლოვენიის პრეზიდენტი მილან კუჩანი და საგარეო საქმეთა მინისტრი რუპელი; მათაც მომახსენეს თავიანთი საწუხარი და აგრეთვე ის, რომ სლოვენია სულ უფრო და უფრო მეტად ისწრაფოდა დამოუკიდებლობისკენ. მაშინათვე ვურჩიე მათ, მოვლენებისთვის არ გაესწროთ, პირველ ყოვლისა ცალმხრივი ნაბიჯები არ გადაედგათ, არამედ ეძებნათ შესაძლებლობა ფედერაციის რაიმე სხვა საკონსტიტუციო-სამართლებრივი ფორმით შენარჩუნებისა.

ამასობაში გერმანიის ბუნდესტაგისა და აგრეთვე ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრისთვის სულ უფრო და უფრო მეტად გასაგები ხდებოდა იუგოსლავიელ ხალხთა სურვილი, შესაძლებლობა ჰქონოდათ, თავისუფლად მოეწყოთ თავიანთი სახელმწიფოებრივი არსებობა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ ნორბერტ განზელმა 1991 წლის 23 მაისს იუგოსლავიაში მოგზაურობის შემდეგ ასე განაცხადა: „ევროთათბირის პარიზის ქარტიის თანახმად იუგოსლავიის ხალხებს აქვთ თვითგამორკვევის უფლება. აქედან გამომდინარე მათ უფლება აქვთ იუგოსლავიის დემოკრატიზაციის პროცესის კვალდაკვალ ფედერაციის დატოვებაც კი გადაწყვიტონ. სლოვენიაში ყველა პოლიტიკური ძალა დამოუკიდებლობას უჭერს მხარს. საერთაშორისო თანამეგობრობამ სლოვენიას ხელი უნდა შეუწყოს ამ გზაზე და მზად უნდა იყოს, მისი დამუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საერთაშორისოსამართლებრივად სცნოს იგი. ხორვატიაც დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზას ადგას“.

ამ რეგიონთან ჩვენი მგრძნობიარე, აგრეთვე ისტორიულად დამძიმებული მიმართების გათვალისწინებით გერმანიის საგარეო პოლიტიკისთვის ორი ასპექტი იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი: პირველი — არ უნდა დაგვეშვა ცენტრიდანული ტენდენციების წახალისება და მეორე — იუგოსლავიის პოლიტიკაში მარტონი არ უნდა ჩავრეულიყავით. გერმანულ საზოგადოებრიობას, ისევე როგორც

პოლიტიკურ პარტიებს — ეს ეხებოდა თავისუფალ დემოკრატიულ პარტიასაც — ყოველთვის არ ჰქონდა ეს სრულად შეგნებული. ერთსულოვნებას კი ევროგაერთიანებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუ არ გვსურდა ხელახლა გაგვეღვივებინა ძველი, პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროინდელი დაპირისპირებანი და საფრთხე შეგვექმნა ახალი ევროპისთვის. უნდა მონახულიყო საერთო პოზიცია პირველ ყოვლისა ევროგაერთიანების წრეებში, აგრეთვე ევროთათბირში.

კრიზისის დაწყებიდან მოკიდებული პოსტიდან ჩემს გადადგომამდე სულ ვცდილობდი, კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარესთან მქონოდა დიალოგი. ამიტომ განმეორებით შევხვდი საგარეო საქმეთა მინისტრებს, აგრეთვე სხვა მაღალი რანგის წარმომადგენლებს ამ ექვსი რესპუბლიკისას, სერბიის ჩათვლით, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრი იოვანოვიჩი ორჯერ მივიღე ბონში. 1991 წლის 7 ოქტომბერს ჩვენი შეხვედრისას მან სულ ცოტა ორმოცწუთიანი მონოლოგის სახით წარმოადგინა სერბების პოზიცია. 18 ივლისს ფედერალურმა კანცლერმა კოლმა და მე მოლაპარაკება გავმართეთ ხორვატიის პრეზიდენტთან ტუჯმანთან; 20 აგვისტოს სლოვენიისა და ხორვატიის საგარეო საქმეთა მინისტრები, რუპელი და შეპაროვიჩი, ჩამოვიდნენ ბონში, 18 სექტემბერს კი მაკედონიის პრეზიდენტი გლიგოროვი გვესტუმრა. 7 ოქტომბერს ხელახლა გვეწვია საგარეო საქმეთა მინისტრი შეპაროვიჩი, ერთი დღის შემდეგ კი ვესაუბრეთ სლოვენიის პრეზიდენტს კუჩანს და საგარეო საქმეთა მინისტრს რუპელს. 24 ნოემბერს, ბოლოს და ბოლოს, ჩამოვიდა სტეპან მესიჩი, იუგოსლავიის სახელმწიფო პრეზიდიუმის ხორვატი წევრი. ამ დროისათვის მესიჩი იუგოსლავიის სახელმწიფოს ლეგიტიმური მეთაური იყო, თუმცა მისი მოქმედების შესაძლებლობანი სერბიის პრეზიდენტისა და ეგრეთ წოდებული იუგოსლავიური სახალხო არმიის ხელმძღვანელობის მიერ მკვეთრად იზღუდებოდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 22 ნოემბერს ბოსნია-ჰერცეგოვინის პრეზიდენტის იზეტბეგოვიჩის ჩამოსვლას. მის რესპუბლიკაში სიტუაცია უკიდურესად იყო დაძაბული, ის ხომ ერთგვარი პატარა იუგოსლავია გახლდათ: მუსულმანი ბოსნიელები ახლო მეზობლობაში ცხოვრობდნენ სერბებთან და ხორვატებთან.

15 ოქტომბერს ამ რესპუბლიკამაც თავი დამოუკიდებლად

გამოაცხადა, თუმცა ეს ეწინააღმდეგებოდა მძლავრი სერბიული უმცირესობის ნება-სურვილს. ბევრი რამე მეტყველებდა იმის სასარგებლოდ, რომ ჯობდა გვეცლია ერთიანი სახელმწიფოსთვის შემდგომი განვითარება, თუმცა სიტუაცია სწორედ ამ დროისთვის დრამატულად გამწვავდა.

15 ნოემბერს იუგოსლავიის პარლამენტის დარჩენილმა ნაწილმა პრემიერ-მინსტრს მარკოვიჩსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ლონჩარს უნდობლობა გამოუცხადა, 18 ნოემბერს ხორვატულმა დაჯგუფებებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს ვუკოვარში. ქალაქი ნანგრევებად იყო ქცეული. დუბროვნიკის ისტორიული ცენტრიც მასიური არტილერიული დაბომბვით ხელახლა იქნა აღებული იუგოსლავიის სახალხო არმიის მიერ, ხოლო როცა 3 დეკემბერს სლოვენიის პრეზიდენტი და 5 დეკემბერს ხორვატიის პრეზიდენტი ტუჯმანი ბონში ჩამოვიდნენ, ჯერ კიდევ მძვინვარებდა ომი ხორვატიაში და ხორვატიის წინააღმდეგ. ამას თან დაერთო ხორვატების მასიური განდევნა სერბებით დასახლებული ოლქებიდან. დაიწყო ეთნიკური წმენდის სერბიული პოლიტიკა.

მაგრამ დავუბრუნდეთ წლის შუა პერიოდში არსებულ სიტუაციას: 19-20 ივნისს შედგა ევროთათბირის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს პირველი სხდომა. გერმანია როგორც მასპინძელი თავმჯდომარეობდა. ამ სხდომის მოსამზადებლად ტირანას გავემგზავრე, რათა მოლაპარაკება გამემართა ალბანეთის ევროთათბირის წევრად მიღების წინაპირობების შესახებ. ამას უნდა განემტკიცებინა დემოკრატიზაციის პროცესი და დემოკრატიული ძალები ალბანეთში, რომლებიც სწორედ მაშინ ყალიბდებოდნენ.

წინა დღით ბერლინიდან ჯიმ ბეიკერთან ერთად ჰალეს გავემგზავრე, სადაც იგი ძალიან გულთბილად მიიღეს. ჰალეს მაცხოვრებლებს კარგად ახსოვდათ, რაოდენ დიდი იყო მისი წვლილი გაერთიანების საქმეში და როდესაც რატუშიდან ტაძრისკენ მიმავალ გზას გავუყევით, ხალხის უზარმაზარი მასა მოგვესალმა. უეცრად წინ წამოდგა ჰალეს კოლორიტი „მეარღნე როლფი“ და ბეიკერს გადასცა გდრ-ის ყოფილი ახალგაზრდული ორგანიზაციის „თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის“ წევრის მანდატი. პირადი მონაცემების შევსებისას რუბრიკაში „პროფესია“ მან ჩაწერა: „კაპიტალისტი“, რითიც დიდად გაამხიარულა ბეიკერი და აგრეთვე გარშემო მდგომნი.

საიდანღაც ბრბოდან ომახიანი, ნაღდი ჰალეური ინგლისურით გაისმა: „God bless the Republicans, not the Demokrats, they are like our Socialdemocrats.*“ ჩემს ამერიკელ სტუმარს ჩაეღიმა.

ბერლინში დაბრუნებული ნაშუადღევს რაიხსტაგში რამდენიმე საგარეო საქმეთა მინისტრს შევხვდი ორმხრივი მოლაპარაკებისთვის. პირველად იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბუდიმირ ლონჩარი მივიღე, რათა ჯერ მასთან განმეხილა იუგოსლავიის საკითხი, რომელიც სავარაუდოდ კონფერენციის ერთ-ერთი ცენტრალური თემა უნდა ყოფილიყო. საჭირო იყო ხაზგასმით აღგვენიშნა, რომ დაინტერესებულნი ვიყავით ერთიანი, მაგრამ დემოკრატიული და ფედერაციული სახელმწიფოს შენარჩუნებით, ამასთანავე კონფერენცია იმ პრინციპების ერთგული უნდა დარჩენილიყო, რომლებიც რამდენიმე თვის წინ პარიზის ქარტიაში იქნა ასახული. ლონჩარის გარდა წინასწარ ვესაუბრე აგრეთვე ბეიკერს, ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრს ალოის მოკს და ჩემს საბჭოელ კოლეგას ბესმერტნიხს, რადგან ყოველთვის ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა, საბჭოთა კავშირი იუგოსლავიის მიმართ წარმოებული პოლიტიკის ყველა ფაზაში ჩამერთო. საამისოდ ევროთათბირის პროგრამა განსაკუთრებით კარგ წინაპირობებს გვთავაზობდა.

მე მოვახერხე, დისკუსია ევროთათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე მიღებული დეკლარაციის შესახებ საჯარო პლენარული სხდომიდან გამომეცალკევებინა და სადილობის დროისთვის გადამეტანა საგარეო საქმეთა მინისტრებისა და პოლიტიკური დირექტორების წრეში – ეს იქნებოდა სამუშაო სადილი ამ გამოთქმის სრული მნიშვნელობით. სუფრა გაიშალა რაიხსტაგის საამისოდ გამოსადეგ ყველაზე დიდ სხდომათა დარბაზში, დიდ წრიულ მაგიდაზე, რომელსაც როგორც შიგნითა, ასევე გარეთა მხრიდანაც შეიძლებოდა შემოვსხდომოდით. „ევროთათბირის ალფაბეტ-მა“ განაპირობა ის, რომ გერმანია, ამერიკა, საბჭოთა კავშირი და იუგოსლავია ერთიმეორის გვერდით ისხდნენ ისე, რომ შეგვეძლო, უშუალოდ დაველაპარაკებოდით ერთმანეთს. ჯერ კიდევ მანამდე,

---

* „ღმერთმა დალოცოს რესპუბლიკელები და არა დემოკრატები, რომლებიც ჩვენს სოციალ-დემოკრატებს ჰგვანან“. (ინგლ.)

ჰალეში, მარკტკირხეს წინ, მოედანზე ქალაქის კოლორიტი მეარღნე როლფი 1991 წლის ივნისში მიესალმება საგარეო საქმეთა მინისტრებს ბეიკერსა და გენშერს. იქვე იმყოფებიან სიუზან ბეიკერი და ბარბარა გენშერი, აგრეთვე ობერბიურგერმაისტერი რაუენი. მეარღნე როლფი ბეიკერს გადასცემს თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის ორგანიზაციის წევრობის მოწმობას, რომელშიც წერია, რომ იგი პროფესიით კაპიტალისტია.

სანამ სუფრას მივუსხდებოდით, ლონჩართან, ბესმერტნიხთან და ბეიკერთან სრულ თანხმობას მივაღწიე. ამ სიტუაციაში გადამწყვეტი იყო პირველ ყოვლისა ის, რომ ერთიანობისთვისა და ტერიტორიული ინტეგრაციისთვის მხარდაჭერა შერწყმული ყოფილიყო დემოკრატიაზე ზრუნვის მოთხოვნასთან; ამაში იგულისხმებოდა უმცირესობათა უფლებების აღიარება და დემოკრატიულ ორგანოთა ქმედითუნარიანობა, რასაც სერბიული პოლიტიკის წყალობით საფრთხე ემუქრებოდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო იმის აღიარება, რომ თავად იუგოსლავიელ ხალხებს უნდა გადაეწყვიტათ თავიანთი ქვეყნის მომავალი, რადგან ამით ევროთათბირის სახელმწიფოთა თანამეგობრობა თვითგამორკვევის უფლებასაც ანგარიშს უწევდა — ისევე, როგორც ერთიანი სახელმწიფოსგან ცალკეულ ეროვნებათა „გამოცალკევების უფლებასაც“,

რაც ჩაწერილი იყო „იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის“ 1974 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში.

ჩვენი ერთობლივი აწონილ-დაწონილი პოზიცია უმცირესი საერთო მნიშვნელი იყო – რომელიც არც თუ ისე მცირე გახლდათ. უწინარეს ყოვლისა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრს ალოის მოკს ერჩივნა უფრო შორს წავსულიყავით თვითგამორკვევის უფლების თვალსაზრისით, მაგრამ, როგორც გამოცდილმა დიპლომატმა, შენიშნა, რომ მეტის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა. იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრის თანხმობა ამ განცხადებაზე საკმაოდ საოცარი იყო. ამ სიტუაციაშიც მოკმა კვლავ თავი გამოიჩინა, როგორც ევროპის მნიშვნელოვანმა სახელმწიფო მოღვაწემ.

იუგოსლავიის მთელი კონფლიქტის განმავლობაში გამუდმებით ვცდილობდი, ფედერალური მთავრობის პოლიტიკისთვის საჭირო დასაყრდენი მიმეღო ბუნდესტაგში, რაც იმითაც მოვახერხე, რომ ჩვენს მიმართულებას ვაცნობდი არა მხოლოდ საგარეო საქმეთა კომიტეტს, არამედ პირადად ყველა ფრაქციის საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელ ხელმძღვანელსაც რეგულარულ საუბრებში ანდა ორივე სახელმწიფო მინისტრსა და სახელმწიფო მდივანს კასტრუპს ვავალებდი ამის გაკეთებას. გარდა ამისა მუდმივი მჭიდრო კავშირი მქონდა ფედერალურ კანცლერთან. ბუნდესტაგის გადაწყვეტილებები იუგოსლავიასთან დაკავშირებით, რომლებიც საგარეო საქმეთა კომიტეტსა და ჩემ შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის შედეგად იქნა მიღებული, ფედერალურ მთავრობას ზურგს უმაგრებდა. ამიტომ ვითხოვდი, რომ დაუყოვნებლივ გამოეგზავნათ ჩემთვის ბერლინში პარლამენტის ფუძემდებლური დეკლარაცია, რომელიც ევროთათბირის კონფერენციის დღეს იქნა მიღებული. მე მსურდა, რომ ის ევროთათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების დოკუმენტში შესულიყო, და ვინც ამ ორ ტექსტს ერთიმეორეს შეადარებს, მას აქა-იქ თვალში მოხვდება სიტყვასიტყვითი თანხვედრა.

ორშაბათს, 24 ივნისს, ფედერალურ პრეზიდენტთან ერთად სახელმწიფო ვიზიტით იტალიაში გავფრინდი. სადილობამდე, რომელიც პრემიერ-მინისტრმა ანდრეოტიმ ვიზიტის მეორე დღეს მთავრობის რეზიდენციაში, ვილა მადამაში, გამართა ჩვენთვის, შევხვდი საგარეო საქმეთა მინისტრს ჯანი დე მიკელისს. იმ დროს, როცა ჩვენ იუგოსლა-

ვიაში მოვლენათა შემაშფოთებელ განვითარებაზე ვმსჯელობდით, მივიღეთ ცნობა, რომ საღამოსათვის მოწვეულ იქნა ხორვატიისა და სლოვენიის პარლამენტები, რათა თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობის საკითხი გადაეწყვიტათ. ამასთან სულ უფრო და უფრო გახშირდა ცნობები სლოვენიაში იუგოსლავიის სახალხო არმიის სამხედრო ინტერვენციის შესახებ — მძიმე სამხედრო კონფლიქტის საფრთხე მწვავდებოდა. ამის გამო დე მიკელისს შევთავაზე, დაუყოვნებლივ დაერეკა საგარეო საქმეთა მინისტრ ლონჩართან და დაჟინებით მოეთხოვა მისთვის, ყველა ღონე ეხმარა სამხედრო ჩარევის თავიდან ასაცილებლად.

ვილა მადამადან, რომელიც რომის ერთ-ერთ გორაკზე მდებარეობს, ქალაქის დიდებული ხედი იშლება. ხშირად გავჩერებულვარ ამ ძველ შენობაში, რომელსაც შესანიშნავი ბაღი აკრავს. სანამ ჩვენ ვსადილობდით, ჩვენმა თანამშრომლებმა მოახერხეს ლონჩართან დაკავშირება. დე მიკელისი და მე ოთახიდან გავედით. ლონჩარს ჯერ მე ველაპარაკე, მერე დე მიკელისი. მე მას ვუთხარი, რომ ჩვენი ინფორმაციების მიხედვით, რომლებზეც მასაც მიუწვდებოდა ხელი, დღეს საღამოსვე სლოვენიისა და ხორვატიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას აპირებდნენ. ეს პოლიტიკური საკითხია-შეთქი, რომლის შესახებაც შეიძლება სხვადასხვაგვარი მოსაზრებანი არსებობდეს: ყოველ შემთხვევაში საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ სწორედ ბერლინში იქნა დამტკიცებული იუგოსლავიის ხალხთა უფლება, თავად მიეღოთ გადაწყვეტილება თავიანთი მომავლის შესახებ. როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა გვქონეს ამის მიმართ, სამხედრო ინტერვენცია არავითარ შემთხვევაში არ არის-შეთქი დასაშვები. ისიც ვუთხარი, ომის შემდგომი ევროპის პოლიტიკაში საკმათო აღარ არის, რომ პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად სამხედრო ძალა არ უნდა გამოვიყენოთ. ძალადობაზე უარის თქმა არის მშვიდობის ძირითადი გარანტია ევროპაში: ამას ითვალისწინებს როგორც ჰელსინკის დასკვნითი დოკუმენტი, ასევე პარიზის ქარტია. ლონჩარმა ეს განმარტებანი დიდი სერიოზულობით მიიღო; ჩანდა იგი იზიარებდა ჩვენს შეშფოთებას, ოღონდ აშკარად ვერ გამოხატავდა ამას. დე მიკელისმა დაჟინებით სთხოვა ლონჩარს, მოლაპარაკებოდა ბელგრადის ყველა გავლენიან პირს, რათა არ დაეშვათ შეიარაღებულ ძალთა გამოყენება. ცოტა ხნის შემდეგ მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა.



1991 წლის 27 ივნისი: ევროთათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების პირველი კონფერენციის მონაწილენი რაიხსტაგის შენობის წინ ბერლინში.

ომი სლოვენიისა და ხორვატიის წინააღმდეგ

ნასადილევს გერმანიისკენ გამოვემგზავრე. 1991 წლის 29 ივნისს, საღამოს, სიტყვა წარმოვთქვი პოტსდამში, მაცხოვრის ეკლესიაში გამართულ შერიგების კონცერტზე, რომელზეც წითელი არმიისა და ბუნდესვერის ჯარისკაცებიც იყვნენ მოწვეულნი. კონცერტი გაიმართა საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით. აქ, პოტსდამში, ტარდებოდა შერიგების ღონისძიება გერმანელების და რუსების მონაწილეობით! ადგილისა და საბაბის თვალსაზრისით უკეთეს სიმბოლიკას ვერც მოიფიქრებდი. მშვენივრად მახსოვდა 1941 წლის 22 ივნისი, თავზარდაცემული დედაჩემი და პაპა-ბებია. რაღაც საშინელება რომ მოხდა, ამას მაშინ მეც მივხვდი, მაგრამ თოთხმეტი წლის ბიჭს არ შემეძლო გამესიგრძეგანებინა ყოველივე ამის მნიშვნელობა. მთელი საშინელება

მერე და მერე უნდა გვეწვნია. ხოლო ის სულისკვეთება, რომლითაც ჩვენ, გერმანელები და რუსები, პოტსდამში შეეხვდით ერთმანეთს, მოწმობდა: ჩვენმა ხალხებმა ყურად იღეს ისტორიის გაკვეთილები.

ამასობაში რა ხდებოდა იუგოსლავიაში? ოთხშაბათს მქონდა მთელი რიგი მოლაპარაკებებისა: მივიღე ამერიკის ელჩი ვალტერსი, მოგვიანებით იუგოსლავიის ელჩი, რომელსაც კიდევ ერთხელ მთელი სერიოზულობით მოვახსენე ჩვენი მოსაზრებები სლოვენიის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების თაობაზე. 27 ივნისს ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრს მოკს და დე მიკელისს ტელეფონით შევატყობინე მოვლენათა დრამატული განვითარების შესახებ.

ბოლოს გადავწყვიტე, მომავალი კვირის დასაწყისში ხანმოკლე ვიზიტით ვწვეოდი იუგოსლავიას, როგორც ევროთათბირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. ცოტა ხნით ადრე, სანამ 1 ივლისს გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტში წავიდოდი — ამის შემდეგ ბელგრადში გაფრენას ვაპირებდი —, ტელეფონით დამიკავშირდა სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც დაჟინებით მთხოვა, სლოვენიაშიც ჩავსულიყავი. პირველად მაინც ბელგრადს გავემგზავრე, სადაც მიმიღო საგარეო საქმეთა მინისტრმა ლონჩარმა, ხორვატმა. ჩვენ უკვე დიდი ხანი იყო, რაც ერთმანეთს ვიცნობდით, იმ ურთიერთობის წყალობით, რომელიც, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრებს, ერთმანეთთან გვქონდა და უფრო ადრინდელი პერიოდიდანაც, როცა ლონჩარი ბონში იუგოსლავიის ელჩად მუშაობდა. მდიდარი გამოცდილების მქონე, მრავალი ენის მცოდნე ლონჩარი, იუგოსლავიის ინტერესებს თავგამოდებული იცავდა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრისთვის ყოველთვის ადვილი როდი იყო მასთან საუბარი. იგი იცნობდა საერთაშორისო პოლიტიკის ბევრ მონაწილეს და კარგად იყო ჩახედული საბჭოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ამიტომ მე მას ვაფასებდი, როგორც საინტერესო, ინფორმირებულ და სერიოზულ თანამოსაუბრეს.

1988 წელსაც ჩავედი იუგოსლავიაში, სადაც მანამდეც ბევრჯერ ვყოფილვარ. შეხვედრები ჩემს იუგოსლავიელ კოლეგებთან კარგ ვარჯიშად მექცა, და ეს შეხვედრები მხოლოდ დედაქალაქებში როდი იმართებოდა. უფრო ხშირად მშვენიერი ლანდშაფტების სიმყუდროვით ვსარგებლობდით, რათა ვრცელი საუბრებისთვის მშვიდი გარემო გვქონოდა; ბოლოს და ბოლოს გერმანელებისა და იუგოსლავიე-

ლებისთვის, თუმც სხვადასხვა მიზეზებით, დასავლურ-აღმოსავლურ ურთიერთობას საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა. მაშინ, 1988 წელს, ერთმანეთს შევხვდით 4 აგვისტოს ლონჩარის სამშობლოში, საპორტო ქალაქ ზადარში. ნავით ხანგრძლივი გასეირნებისას უცბად გერმანულ საკითხზე ჩამოვარდა სიტყვა. ადრიატიკის ზღვაზე, ნავში განმარტოებულებმა, ერთმანეთს გავუზიარეთ ჩვენ-ჩვენი თვალსაზრისები. იმ დასკვნამდე მივედით, რომ დასავლურ-აღმოსავლურ ურთიერთობაში მოვლენათა განვითარება აუცილებლად და ძალიან მალე მიგვიყვანდა გერმანიის გაერთიანებამდე. გაერთიანებისთვის ხელის შეშლა მხოლოდ მოსკოვურ პუტჩს ან დასავლეთის შეცდომას შეეძლო, რომლებიც უარყოფითად იმოქმედებდნენ დაძაბულობის შენელების პოლიტიკაზე. ლონჩარმა ჩემი მოსაზრება დაადასტურა, თანაც დიდი სიმპათიით და არამც და არამც თავშეკავებით ან შეშფოთებით.

ახლა, 1991 წლის ვიზიტისას, სხვებთან ერთად ვესაუბრე პრემიერ-მინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრს და რესპუბლიკათა წარმომადგენლებს. ყველას ვაცნობდი ჩვენს თვალსაზრისს, რომ ვერაფერი, სრულიად ვერაფერი ვერ გაამართლებდა სამხედრო ძალის გამოყენებას, უმალ ყველა საკითხი პოლიტიკურად უნდა მოგვარებულიყო. ამასთან უნდა გაგვეთვალისწინებინა ისიც, რომ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ ჰელსინკის დასკვნითი დოკუმენტით და პარიზის ქარტიით თვითგამორკვევის უფლება დაადგინა, რაც დადასტურებულ იქნა ბერლინში ევროთათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების 20 ივნისის დეკლარაციითაც. შევხვდი აგრეთვე სერბიის პრემიერ-მინისტრს მილოშევიჩს, და ვისაც არ უნდა შევხვედროდი, ყველას დაჟინებით მოვუწოდებდი, წერტილი დაესვათ სლოვენიაში სისხლისღვრისთვის და მოლაპარაკების გზას დადგომოდნენ.

დაგეგმილი ფრენა ბელგრადიდან ლიუბლიანისკენ ვეღარ შედგებოდა, რადგან ქალაქის თავზე იუგოსლავიის სახალხო არმიის ავიაცია მცელავ რეიდებს ახორციელებდა. მოდიოდა ცნობები დაბომბვების შესახებ. სრულიად აშკარად ცდილობდნენ, დაბრკოლებები შეექმნათ ევროთათბირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისთვის, რათა იგი ვეღარ ჩასულიყო შეჭირვებულ სლოვენიაში. ყოველგვარი პროვოკაციისგან რომ დამეზღვია თავი, გადავწყვეტე, არ მესარგებლა ლიუბლიანის აეროპორტით, რომელიც იმ დროისთვის ისედაც მწყობრიდან იყო გამოსული. ამიტომ 1991 წლის 2 ივლისს

კლაგენფურტში ჩავფრინდი, რათა იქიდან ავტომობილით გავმგზავრებულიყავი სლოვენიის დედაქალაქისკენ. კლაგენფურტის აეროპორტში დამხვდნენ პრეზიდენტი კუჩანი და საგარეო საქმეთა მინისტრი რუპელი, რომელთაც სახიფათოდ მიაჩნდათ ლიუბლიანისკენ ავტომობილით გამგზავრება. მათ მომახსენეს, ამის მაგივრად შეიარაღებული მატარებელი გვიდგას სადგურზე, რომელიც შუა გზამდე მიგვიყვანს კლაგენფურტსა და ლიუბლიანას შორისო. მატარებელი თავში და ბოლოში ორი ვაგონით იყო დაცული და თითოეულ მათგანზე ოთხლულიანი საზენიტო ქვემეხი იდგა. რაკი თავად სლოვენიის ხელმძღვანელობა ლიუბლიანაში გამგზავრებას შეუძლებლად მიიჩნევდა, შევთავაზე მოლაპარაკება კლაგენფურტში ჩაგვეტარებინა. პრეზიდენტი კუჩანი დამთანხმდა: მთელ მსოფლიოს უნდა გაეგო, რომ ევროთათბირის თავმჯდომარეს სამხედრო ძალის გამოყენებით საშუალება არ მისცეს, სლოვენიის დედაქალაქში ჩასულიყო. ავსტრიის მთავრობასაც არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, რომ შეხვედრა მის ტერიტორიაზე შემდგარიყო. პრეზიდენტ კუჩანს, რომელმაც დამაჯერებლად აღმიწერა თავისი ქვეყნის გასაჭირი, განვუცხადე, რომ მე როგორც ევროთათბირის თავმჯდომარე და აგრეთვე როგორც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, დაინტერესებული ვიყავი საკითხის პოლიტიკური მოგვარებით. ძალის გამოყენებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავუჭერდით მხარს.

სამხედრო ძლიერების დემონსტრირებამ მკაფიოდ დამანახა, რომ იუგოსლავიის სახალხო არმიის ხელმძღვანელობა და მის უკან მდგარი პოლიტიკური ძალები აპირებდნენ, ყველა ღონე ეხმარათ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად. ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა ჯერ კიდევ წინა დღეს ბელგრადში მილოშევიჩთან საუბრისას. მოლაპარაკება, რომელიც საქმიან ატმოსფეროში შედგა, არავითარ ეჭვს არ ტოვებდა, რომ მილოშევიჩს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, განეხორციელებინა იუგოსლავიის სამომავლო მოწყობის თავისი გეგმები ისე, როგორც მას მიაჩნდა საჭიროდ.

იუგოსლავიიდან დაბრუნების შემდეგ პირველ ყოვლისა პრეზიდენტ მესიჩის ნდობით აღჭურვილ პირს დავურეკე, რომელმაც პრეზიდენტის შეჭირვებული მდგომარეობა აღმიწერა, შემდეგ დავუკავშირდი პრეზიდენტ კუჩანს და საგარეო საქმეთა მინისტრებს ჰერდსა და ბეიკერს. იმავე საღამოს ფედერალურ კანცლერს გავუზიარე

ჩემი მოსაზრებები ბელგრადში მოვლენათა სულ უფრო და უფრო სახიფათო განვითარების გამო. მომდევნო დღესაც განვაგრძე კონტაქტები მესიჩთან, დუგლას ჰერდთან, როლან დიუმასთან, ჰანს ვან დენ ბროეკთან, დე მიკელისთან, აგრეთვე მოკთან, თან აფორიაქებული ვიყავი თვითონ მესიჩთან დრამატული სატელეფონო საუბრებით — აშკარა იყო, იგი შველას ითხოვდა. ეტყობოდა, რომ შიშობდა თავისი და აგრეთვე პრემიერ-მინისტრის უსაფრთხოების გამო. ამასთან დაკავშირებით მაშინვე საქმის კურსში ჩავაყენე ფედერალური კანცლერი, თავისუფალი დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე გრაფი ლამბსდორფი და სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან დოქტორი ფოგელი; ნაშუადღევს საქმის კურსში ჩავაყენე საგარეო საქმეთა კომიტეტის ფრაქციათა ხელმძღვანელები აგრეთვე ევროგაერთიანება და ნატოს რამდენიმე საგარეო საქმეთა მინისტრი. მეორე დღეს იგივე სურათი იყო: საუბრები ჰანს ვან დენ ბროეკთან, რომელიც ევროგაერთიანებას თავმჯდომარეობდა, სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრთან, პრეზიდიუმის წევრ დრნოვშეკთან და ლონ-ჩართან. მე მინდოდა ბელგრადს სცოდნოდა, რომ ევროპული საზოგადოებრიობა შეძრული იყო.

იუგოსლავიის სახალხო არმიის შეტევა სლოვენიაზე 1991 წლის 27 ივნისს დაიწყო. ევროგაერთიანების ტროიკამ, რომელსაც 30 ივნისამდე ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრი პოო თავმჯდომარეობდა, მის მერე კი ვან დენ ბროეკი ხელმძღვანელობდა, ენერგიული ზომები მიიღო ცეცხლის შესაწყვეტად და წარმატებასაც მიაღწია. ამას გარდა ევროგაერთიანებამ 1991 წლის 5 ივლისს მთელს იუგოსლავიას დაუწესა იარაღის ემბარგო, რომლის განხორციელებაც თავის თავზე აიღეს ევროთათბირმა 1991 წლის 4 სექტემბერს და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭომ 25 სექტემბერს. ბოლოს, ტროიკის სამი მისიის შემდეგ, 1991 წლის 7 ივლისს ბრიონიში ევროგაერთიანებასა და იუგოსლავიის კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარეს შორის შეთანხმების შედეგად მიღებული იქნა შემდეგი დადგენილებები:

1. იუგოსლავიის სახალხო არმია ყაზარმებში უნდა დაბრუნდეს. ცეცხლი უნდა შეწყდეს.

2. სლოვენიისა და ხორვატიის დამოუკიდებლობის გამოცხადება სამი თვით უნდა გადაიდოს.

3. ხორვატი მესიჩი — როგორც გათვალისწინებული იყო — სახელმწიფო პრეზიდიუმის თავმჯდომარედ უნდა იქნეს არჩეული.

4. არაუგვიანეს 1991 წლის 1 აგვისტოსი უნდა დაიწყოს შიდაიუგოსლავიური მოლაპარაკებები ქვეყნის მომავლის შესახებ.

ამ პროცესს სულ უფრო და უფრო ართულებდა შეიარაღებულ სერბებსა და ხორვატიის ეროვნულ გვარდიას შორის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები. ჩანდა, სერბიამ და იუგოსლავიის სახალხო არმიამ, სლოვენიასთან მარცხის შემდეგ — ტერიტორიული დაცვის კარგად გაწვრთნილმა და აღჭურვილმა შეიარაღებულმა ძალებმა უარი განაცხადეს მძიმე იარაღის ჩაბარებაზე ბელგრადის შტაბბინაში — თავისი ძალები ხორვატიისკენ მიმართა.

29 ივნისს ლუქსემბურგში ევროსაბჭომაც განიხილა იუგოსლავიაში შექმნილი სიტუაცია. შემდგომ ფედერალურმა კანცლერმა ჩვენი პოზიცია, რომელიც ჩვენ საბჭოს სხდომაზე გამოვხატეთ, სხვებსაც გააცნო: იუგოსლავიის ერთიანობის შესანარჩუნებლად იარაღის ძალა არ შეიძლება იქნეს გამოყენებული — ეს იყო კიდევ ერთი მკაფიო უარი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად სამხედრო ძალის გამოყენებაზე. ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრები 5 ივლისს ჰაგაში გამართულ სხდომაზე შეთანხმდნენ, რომ გაერთიანება თავის თვალსაზრისს ზავის ყოველი ხელახალი დარღვევისას გადასინჯავდა.

არც ევროთათბირი დასჯერდა 20 ივნისის გადაწყვეტილებას. ივლისის დასაწყისში ჩვენ, როგორც თავმჯდომარე ქვეყანამ, გავააქტიურეთ ევროთათბირის ეგრეთ წოდებული კრიზისის მექანიზმი. ცოტა ხნის შემდეგ პრაღაში შედგა მაღალი რანგის მოხელეთა კომიტეტის სხდომა.

ჩვენს შესაძლებლობებში რომ გავრკვეულიყავით, ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების წრეში დავსვი კითხვა, რა როლი უნდა ეკისრა ევროგაერთიანებას შიდაიუგოსლავიურ მოლაპარაკებათა პროცესში. ლუქსემბურგმა, იტალიამ და აგრეთვე ნიდერლანდებმა ერთმნიშვნელოვნად დაუჭირეს მხარი იმ აზრს, რომ ზედმიწევნით გვედევნებინა თვალყური მოლაპარაკებებისთვის და ხელი შეგვეწყო მათთვის როგორც ტექნიკური თვალსაზრისით, ასევე საკუთარი პროცედურული და არსებითი ხასიათის წინადადებებით — მაგალითად, საკონსტიტუციო-

სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. ითქვა, რომ მართალია ევროგაერთიანებამ არ უნდა დატოვოს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს სურს, იუგოსლავიელებს დაასწროს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ფიქრით მაინც უნდა ვიფიქროთ ამაზეო. განსაკუთრებით იმან გამახარა, რომ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მტკიცე უარი განაცხადა შიდაიუგოსლავიური საზღვრების შეცვლაზე; უმჯობესი იქნებოდა, თქვა მან, უმცირესობათა უფლებების დამცველი უზადო საერთაშორისოსამართლებრივი სისტემა შეგვემუშავებინაო. ჩვენ ყველანი იმ აზრის ვიყავით, რომ ორივე ამ საკითხს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა: უმცირესობათა უფლებების გარანტიის გარეშე საზღვრების შეცვლას არაფერი დაუდგებოდა წინ. ევროგაერთიანების თავმჯდომარე ქვეყანას, ნიდერლანდებს, ჩვენი შეთანხმებისამებრ, უნდა ეზრუნა განსაკუთრებული ოპერატიული ჯგუფის შექმნაზე იუგოსლავიაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად და ამას გარდა დაედგინა, ევროგაერთიანება ბრიონის დოკუმენტის საფუძველზე რა და რა საკითხებში შეიტანდა წვლილს შიდაიუგოსლავიურ მოლაპარაკებათა პროცესში. ამასთან მინდოდა გამერკვია, რა მიმართებაში იყო ერთმანეთთან 1991 წლის 4 ივლისის ევროთათბირის მაღალი რანგის მოხელეთა პრაღის გადაწყვეტილება, ბრიონის დოკუმენტის დადგენილებები და ევროგაერთიანების პოლიტიკური კომიტეტის დასკვნები. მაღალი რანგის მოხელეთა კომიტეტმა, ევროთათბირის უმაღლესმა კომიტეტმა მინისტრთა კომიტეტის შემდეგ, ხაზგასმით მოიწონა ევროგაერთიანების დაგეგმილი მისია, რომელიც მოთხოვნილი ზავის გაკონტროლებას ითვალისწინებდა. ეს გარემოება დაემთხვა ჩემს სურვილს, ევროთათბირის მეშვეობით საბჭოთა კავშირი სრულად ჩართულიყო ევროგაერთიანების იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც იუგოსლავიის კონფლიქტთან იყო დაკავშირებული, რაც საბედნიეროდ წარმატებით იქნა მიღწეული ევროგაერთიანების შემდგომი ნაბიჯების დროსაც.

მე იმ აზრის ვიყავი, რომ ეს დოკუმენტები უმალ ევროგაერთიანების მისიისკენ იყო მიმართული. წინასწარვე შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ევროთათბირის წევრი სახელმწიფოები ჩვენ მოგვმართავდნენ, რათა ინფორმაცია მიეღოთ „კეთილი საქმის" მისიაში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ.

ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა დაადასტურა —

ინფორმაციის წყაროს დაუსახელებლად –, რომ იუგოსლავიელებს აშკარად ერჩივნათ ევროგაერთიანებასთან თანამშრომლობა, თუმცა ამის საჯაროდ აღიარება არ სურთო. ამიტომ მან წინადადება შემოიტანა, რომ გერმანიას, როგორც ევროთათბირის თავმჯდომარეს, ეს ამბავი იმ წევრი სახელმწიფოებისთვის ეცნობებინა, რომლებიც ჩვენ მოგვმართავდნენ. ჩვენ კიდევ ერთი მოკლე განცხადება გავაკეთეთ, რომლითაც ყველა იუგოსლავიურ ურთიერთდაპირისპირებულ მხარეს მოვუწოდეთ, მხარი დაეჭირათ ბრიონის შეთანხმებისთვის მის ყველა ასპექტში. 1991 წლის 19 ივლისს ბელგრადის სახელმწიფო პრეზიდიუმმა გვაცნობა თავისი გადაწყვეტილება იუგოსლავიის სახალხო არმიის სლოვენიიდან გამოყვანის შესახებ.

ექვსი დღის შემდეგ თავი მოვიყარეთ ბრიუსელში ევროგაერთიანების ერთობლივი საბჭოს სხდომაზე. აქაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იუგოსლავიის მოვლენები. წინასწარ შევუთანხმდი საგარეო საქმეთა მინისტრს დიუმას და ლუქსემბურგელ კოლეგას პოოს და მოლაპარაკებებზე საერთო პოზიციით გამოვედით, რაც მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ სადილზე იუგოსლავიის წარმომადგენლები იყვნენ მოწვეულნი.

მე, როგორც ევროთათბირის თავმჯდომარეს, სხდომაზე პირველ ყოვლისა ხაზი უნდა გამესვა ევროგაერთიანების ღონისძიებათა ევროთათბირის პროცესში ინტეგრაციის საჭიროებისთვის, რათა ვინმეს ისეთი შთაბეჭდილება არ დარჩენოდა, თითქოს ევროგაერთიანებას სურდა საბჭოთა კავშირის ან სხვა ევროპული სახელმწიფოების გვერდის ავლით ემოქმედა. აშშ-თან და კანადასთან ევროგაერთიანებას ისედაც მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა.

ამის შემდგომ, სადილის დროს წამოვჭერი საკითხი, როგორ შეხვდებოდნენ იუგოსლავიის წარმომადგენლები კონტროლის მისიის გაფართოებას. ამავე დროს ეს იყო ჩემი წინადადება, რომელიც თანამოსაუბრეებს შევთავაზე. ისინი დამეთანხმნენ, ამასთანავე ყველასთვის ნათელი იყო, რომ უშუალო მეზობელთა მონაწილეობა ნაგულისხმევი არ ყოფილა. ამის შემდგომ როლან დიუმამ შემოგვთავაზა, დამკვირვებელთა რაოდენობა სამასიდან ოთხას კაცამდე გვევარაუდა, რასაც ყველა დათანხმდა. ჩვენ მივესალმეთ აგრეთვე ევროთათბირის წევრ სხვა სახელმწიფოთა, მათ შორის შვედეთის, კანადისა და ჩეხოსლოვაკიის, მზადყოფნას ამ პროცესში მონაწილეობის

მისაღებად. გაიმართა აგრეთვე დისკუსია, გაგვემწესებინა თუ არა შერეული პატრულები, რისთვისაც ევროგაერთიანების თავმჯდომარე ნიდერლანდებს იუგოსლავიის სახალხო არმიის წარმომადგენლებიც ჰყავდა მხედველობაში. ბელგიამ და ჩვენ ეს საეჭვოდ მივიჩნიეთ; აღინიშნა, რომ სერბიული გავლენის გამო ეს არმია თავად გადაიქცეოდა კონფლიქტში მონაწილე მხარედ. მე ყველა გავაფრთხილე, პატრულირების დეტალებზე შეთანხმებისას იუგოსლავიის სახალხო არმიისთვის, როგორც მოლაპარაკების პარტნიორისთვის, არ მიენდოთ პოლიტიკური როლი, რაც მას თავისი ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად არ ეკუთვნოდა.

გარდა ამისა, დარწმუნებული ვიყავი, რომ უმჯობესი იქნებოდა, სადილზე ყველა იუგოსლავიური რესპუბლიკის, მათ შორის სლოვენიის, ხორვატიისა და სერბიის, წარმომადგენლები გვეხილა. ჩანდა, სახელმწიფო პრეზიდიუმში ვერ გადაეწყვიტათ, მოეწვიათ თუ არა ყველა წევრი — რატომ გაჩნდა ეს ტენდენცია და ვინ იდგა ამის უკან, გაურკვეველი დარჩა. ამის შემდგომ გამართულ საფუძვლიან დისკუსიაში, რომელიც კვლავ მხოლოდ სხდომის მონაწილეთა წრეში შედგა, ერთხმად იქნა დაგმობილი გაჭიანურებული სისხლისღვრა; ხელახლა დავუჭირეთ მხარი კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას და მოვუწოდეთ ბელგრადის სახელმწიფო პრეზიდიუმს, ყველა ღონე ეხმარა ზავის დაუყოვნებლივ დასადებად და მოლაპარაკებები გაემართა იუგოსლავიის ხალხთა მომავლის შესახებ. იმ კონფერენციის მოსაწყობად, რომელიც ამ მიზნით უნდა მოწვეულიყო, თანამეგობრობა დახმარებისთვის მზადყოფნას გამოთქვამდა. ჩვენ კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ ქვეყნის შინაგანი და გარეგანი საზღვრების ძალისმიერი შეცვლა მიუღებელი იქნებოდა, პირიქით ყველა გადაწყვეტილებას უნდა უზრუნველეყო იუგოსლავიის სხვადასხვა ნაწილში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებისა თუ გაერთიანებების უფლებათა დაცვა, თან ვიმოწმებდით ვოივოდინასა და კოსოვოს ავტონომიური სტატუსის გაუქმების მაგალითს. გარდა ამისა მაშინდელ ზავზე პასუხისმგებელი პირები მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი, შეთანხმებულიყვნენ, რომ სერბია თავისი სახელით მოეხსენიებინათ, თუმცა ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

ევროგაერთიანების ტროიკის მისიის შეფასებაზე რომ მიდგა საქმე, გადაჭრით განვაცხადე, ჩემის აზრით, მისიას მარცხი არ

განუცდია; უნდა დავინახოთ, რომ კონკრეტულ შედეგებს სწორედ სერბიის მიზეზით ვერ მივაღწიეთ-მეთქი. თან დავძინე, რომ სამშვიდობო და საშუამავლო პოლიტიკის გაგრძელება მაინც აუცილებელი იყო. საინტერესო გამოდგა ანალიზი, რომელიც ტროიკის სამმა წევრმა სერბიის პრეზიდენტ მილოშევიჩთან მათი საუბრის შესახებ მოგვაწოდა: სერბიის პოზიციის გამო იმედგაცრუებულებმა გაგვაფრთხილეს არანაირი სახით არ დაგვეჭირა მხარი მისი პერსონისთვის, რადგან ეს აუცილებლად გამოიწვევდა იუგოსლავიის რღვევას. ტროიკის ერთ-ერთი წევრი იმასაც კი ფიქრობდა, რომ სერბია ხორვატიისა და სხვა რესპუბლიკების წინააღმდეგ ანექსიურ ომს გეგმავდა, რათა ამგვარად ჩაკეტილი სერბიული ტერიტორია შეექმნა.

ბელგრადის ხელმძღვანელობის პოზიციის გამო შეშფოთება მეც გამოვთქვი. ფედერალური მთავრობა, განვაცხადე მე, არავითარ შემთხვევაში არ აღიარებს ძალისმიერი მეთოდებით შეცვლილ საზღვრებს. ჩვენ ყოველთვის ზავის მომხრე ვიყავით და ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა მოწოდება იუგოსლავიის სახელმწიფო პრეზიდიუმის მიმართ, დაიწყოს მოლაპარაკებები ქვეყნის მომავლის შესახებ-მეთქი.

შეთანხმება სერბიის წინააღმდეგ სანქციათა შემოღების შესახებ ჩაიშალა რამდენიმე პარტნიორის უარის გამო. ჩვენ მაინც შევთანხმდით იმაზე, რომ კომისიას უნდა გაერკვია, რომელი ეკონომიკური და ფინანსური ღონისძიებების გატარება იქნებოდა შესაძლებელი კონფლიქტის მონაწილე იმ მხარეთა წინააღმდეგ, რომლებიც არც ზავისთვის იყვნენ მზად, არც იმისთვის, რომ ხელი შეეწყოთ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და არც იუგოსლავიის მომავლის შესახებ მოლაპარაკებების დაწყება სურდათ.

იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკა — აქ ჯერჯერობით მხოლოდ სერბია იგულისხმებოდა — მოლაპარაკებებს შეაფერხებდა, ხოლო საომარი მოქმედებანი იმ ვადაზე მეტ ხანს გაგრძელდებოდა, რომელიც დამკვირვებელთა მისიის შესახებ მიღებულ 1991 წლის 10 ივლისის შეთანხმებებში იყო დადგენილი, გერმანია თანამეგობრობას შესთავაზებდა, გადაესინჯა ხორვატიისა და სლოვენიის რესპუბლიკების აღიარების საკითხი. ყველა მონაწილისათვის სასურველი პოლიტიკური გადაწყვეტა არც სამხედრო ღონიძიებებს უნდა შეეფერხებინა და არც მოლაპარაკებებზე უარის თქმას. ფედერალური

რესპუბლიკა, განვაცხადე მე, მხოლოდ ევროგაერთიანების ჩარჩოებში და მასთან შეთანხმებით იმოქმედებდა. თუ მოლაპარაკებები შეფერხდებოდა და ომი გაგრძელდებოდა, მაშინ უნდა გვეფიქრა, ხომ არ გამოგვეყენებინა კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია ორივე რესპუბლიკის აღიარების გზით, როგორც უკანასკნელი პოლიტიკური საშუალება, რათა სისხლის ღვრასა და დევნას ბოლო მოღებოდა.

ჩვენ თხოვნით მივმართეთ ევროთათბირს, რომელიც ,,გადაუდებლობის მექანიზმის" ფარგლებში იქნა მოწვეული პრაღაში 8 აგვისტოს, მხარი დაეჭირა ევროგაერთიანების ბოლოდროინდელი ინიციატივებისთვის, რაც ზავის დადებას და მშვიდობიანი დიალოგისთვის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. აგრეთვე განსახილველად შევთავაზეთ ევროგაერთიანების ან ევროთათბირის ჩარჩოებში ცისფერჩაფხუტიანთა ამოქმედების საკითხი.

ამას გარდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიუმამ მოითხოვა, გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოსთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია ევროგაერთიანების ძალისხმევათა შესახებ. მაგრამ მთელი რიგი წევრი სახელმწიფოებისა, პირველ ყოვლისა დიდი ბრიტანეთი, ამ პუნქტს თავშეკავებით შეხვდნენ. იმის სურვილით, რომ საფრანგეთსა და გერმანიას ერთობლივად ემოქმედათ, აგრეთვე საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, საფრანგეთის ინიციატივას ენერგიულად დავუჭირე მხარი: რაც არ უნდა იყოს, გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო ერთადერთი საერთაშორისო ორგანოა, ისეთი გადაწყვეტილებების მიღება რომ შეუძლია, რომლის შესრულებაც ყველა სახელმწიფოსთვის სავალდებულოა. გარდა ამისა უშიშროების საბჭოს ჩართვა, ისევე როგორც ევროთათბირისა, საბჭოთა კავშირის გამო იყო მნიშვნელოვანი. 7 აგვისტოს დასავლეთევროპული კავშირის ელჩთა დონეზე ჩატარებული სხდომის დროს ის საკითხიც განიხილება, განვაცხადე მე, თუ რისი გაკეთება შეუძლია ამ კავშირს იუგოსლავიაში საბრძოლო მოქმედებების დამთავრების შემდეგ. საბოლოოდ შევთანხმდით, რომ საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო და ბელგია, რომელიც იმ დროს არამუდმივი წევრი იყო უშიშროების საბჭოსი, ამ უკანასკნელს ინფორმაციას მიაწვდიდნენ იუგოსლავიაში ევროგაერთიანების მოქმედების შესახებ.

გერმანიის დაჟინებული მოთხოვნით 1991 წლის 27 აგვისტოს ხელახლა შედგა ევროპული პოლიტიკური ურთიერთთანამშრომლობის

ჰანს-დიტრიხ გენშერი – ევროთათბირის კრიზისების კომისიის თავმჯდომარე 1991 წლის 1 ივლისს ბელგრადში იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბუდიმირ ლონჩართან ერთად.

მინისტრთა საბჭოს რიგგარეშე სხდომა, რომელზეც სერბთა საქციელის გერმანულ შეფასებას იმ წევრმა სახელმწიფოებმაც დაუჭირეს მხარი, მანამდე თავს რომ იკავებდნენ. მძაფრად იქნა გაკრიტიკებული „სავსებით მცდარად წარმოებული სერბ მოხალისეთა პოლიტიკა“; ამასთან ევროგაერთიანებამ დაადგინა: აღარ შეიძლებოდა იმის უარყოფა, რომ იუგოსლავიის სახალხო არმიის ნაწილები ამ მოხალისეებს აქტიურად უწყობდნენ ხელს. სახელმწიფო პრეზიდიუმს დაუყოვნებლივ უნდა აღეკვეთა მის განკარგულებაში მყოფი შეიარაღებული ძალების კანონსაწინააღმდეგო ქმედება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის განაცხადი, რომ ევროგაერთიანება და მისი წევრი სახელმწიფოები

არასოდეს შეურიგდებოდნენ ფაქტის წინაშე დაყენების პოლიტიკას, რადგან მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ, არ ელიარებინათ საზღვართა ძალისმიერი ცვლილებები. სერბიას საყვედურობდნენ, რომ წინააღმდეგი იყო ხორვატიაში ევროგაერთიანების დამკვირვებელთა მისიის გაფართოებისა; ევროგაერთიანებას კი არ შეეძლო გულხელდაკრეფილს ეყურებინა, დღითიდღე როგორ ძლიერდებოდა იქ სისხლისღვრა.

ბოლოს და ბოლოს ევროგაერთიანებამ არაორაზროვანი პოზიცია დაიკავა და ახალ თანხმობას მიაღწია, მათ შორის პასუხისმგებლობათა შეფასების საკითხშიც. ჩვენთვის, ვინც დაინტერესებულნი ვიყავით, რომ ევროგაერთიანების სახელმწიფოები ერთიან პოზიციაზე მდგარიყვნენ, ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო.

გარდა ამისა 27 აგვისტოს სხდომამ წარმოაჩინა საფრანგეთისა და გერმანიის მკაფიოდ გამოხატული ურთიერთთანადგომა. ჯერ კიდევ სხდომამდე ტელეფონით ვესაუბრე როლან დიუმას და შევთავაზე, ერთობლივად შეგვეტანა ახალი იმპულსები ევროგაერთიანების ღონისძიებებში. ჩვენ დავთქვით შეხვედრა ბრიუსელში ევროპული პოლიტიკური ურთიერთთანამშრომლობის სხდომამდე. პირისპირ შეხვედრისას კიდევ ერთხელ დავუდასტურეთ ერთმანეთს ჩვენი ნება, ეს რთული საკითხიც საფრანგეთისა და გერმანიის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით დაგვეძლია.

ყველა ღონე უნდა გვეხმარა საიმისოდ, რომ კონფლიქტის მოლაპარაკებათა გზით მოგვარებისთვის მიგვეღწია. ამიტომ წამოვაყენე წინადადება, მოგვეწვია იუგოსლავიის კონფერენცია ევროგაერთიანების მფარველობით: მხოლოდ ამ გზით თუ მოხერხდებოდა დაპირისპირებულ მხარეთა დასმა მოლაპარაკების მაგიდასთან. როლან დიუმამ წამოაყენა იდეა, იურისტთა დამოუკიდებელი კომისია შეგვექმნა, რომელიც, როგორც ერთგვარი საარბიტრაჟო ორგანო, კონფლიქტის გადაჭრისას მოსალოდნელ სამართლებრივ პრობლემებს მოაგვარებდა. ამ წინადადებას მაშინვე დავეთანხმე, როლანმა კი თავის მხრივ ჩემს წინადადებას დაუჭირა მხარი. ეს პროექტი წარვადგინეთ მინისტრთა წრეში როგორც გერმანულ-ფრანგული ინიციატივა. არბიტრაჟული კომისიის შემადგენლობაზე დიუმას ჯერ არ ჰქონდა მკაფიო წარმოდგენა, თუმცა თავმჯდომარე შეგულებული ჰყავდა: საფრანგეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტი რობერ ბადინტე, რომელსაც მეც კარგად ვიცნობდი და ვაფასებდი როგორც

მაღალკვალიფიციურ იურისტსა და პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანს. გარდა ამისა იგი პრეზიდენტ მიტერანის ნდობითაც სარგებლობდა. იმისათვის, რომ მკაფიო კრიტერიუმები შეგვემუშავებინა კომისიის წევრების შესარჩევად, დიუმას შევთავაზე, ბადინტეს გარდა კომისიაში შეეყვანა სხვა წევრი სახელმწიფოების საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტებიც, მათ შორის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტი, პროფესორი რომან ჰერცოგი. ჩვენს წამოწყებას სხვებიც დაეთანხმნენ და ბოლოს იტალიის, ესპანეთისა და ბელგიის მაღალი რანგის მოსამართლეებისა და ზემოხსენებული კანდიდატებისგან შედგა ბადინტე-ჰერცოგის კომისია. ჩვენს წამოწყებას დაეთანხმნენ ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების წრეში. ჩემთვის ეს ერთობლივი ინიციატივა და მისი გაზიარება სხვა კოლეგების მიერ თავისი მნიშვნელობით იუგოსლავიის თემას სცილდებოდა. გერმანიამ და საფრანგეთმა ევროგაერთიანების პოლიტიკას კვლავ მნიშვნელოვანი იმპულსი მისცეს.

ჯერ კიდევ ჰააგაში საგარეო საქმეთა მინისტრების მორიგი შეხვედრის წინ დამირეკა ჰანს ვან დენ ბროეკმა, რათა შეეტყო, რა აზრის ვიქნებოდი იდეაზე, იუგოსლავიის კონფერენციის თავმჯდომარედ მოგვეწვია ბრიტანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი პიტერ კერინგტონი. მაშინვე განვაცხადე ჩემი თანხმობა. ლორდ კერინგტონს, რომელთანაც მე როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი წარსულში მჭიდროდ და მეგობრულად ვთანამშრომლობდი, კომპეტენ-ტურ და გამოცდილ პოლიტიკოსად ვიცნობდი; განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი წარმატებული ძალისხმევანი ეგრეთ წოდებული ლანკასტერ-ჰაუზის კონფერენციაზე, რომლის წყალობითაც ზიმბაბვემ დამოუკიდებლობა მოიპოვა. 3 სექტემბერს ჰააგაში ევროგაერთიანების წევრ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ამ წინადადებას სხვა კოლეგებმაც დაუჭირეს მხარი.

3 სექტემბრის მოლაპარაკებები მაინც არ აღმოჩნდა ისეთი უპრობლემო, როგორიც ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ იყო მოსალოდნელი. საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ესპანეთი დაჟინებით მოითხოვდნენ, კონფერენცია რაც შეიძლება მალე გამართულიყო. ხოლო ევროგაერთიანების იმდროინდელი თავმჯდომარე ქვეყანა ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი და აგრეთვე

ევროგაერთიანების კომისიის პრეზიდენტი დელორი შეშფოთებას გამოთქვამდნენ, რომ ეს საფრთხეს შეუქმნიდა საერთო საბჭოს მუშაობას, რომლის სხდომაც 6 სექტემბერს უნდა შემდგარიყო, ასე რომ, ბოლოს 7 სექტემბერზე შევთანხმდით.

ევროთათბირი ჰაგის კონფერენციაზე — გერმანიის თავმჯდომარეობით რომ უნდა გამართულიყო — ისევე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, როგორც იუგოსლავიის სახელმწიფო პრეზიდიუმი, იუგოსლავიის ფედერალური მთავრობა და ექვსი რესპუბლიკა. გარდა ამისა ყველა ეთნიკურ დაჯგუფებას, რომელიც ამა თუ იმ რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილად არ მიიჩნევდა თავს, თვალ-ყური უნდა ედევნებინა კონფერენციის მუშაობისთვის და თავისი პრობლემები მსჯელობის საგნად ექცია. ოღონდ სამშვიდობო კონფერენცია, ევროგაერთიანების თავმჯდომარე ქვეყნის მოთხოვნის თანახმად, მხოლოდ იმ პირობით დაიწყებოდა, თუ საზავო შეთანხმებას არ დაარღვევდნენ.

ცხარე კამათი გაიმართა, როცა საქმე მიდგა კონფერენციასა და საარბიტრაჟო კომისიას შორის დამოკიდებულების გარკვევაზე. საფრანგეთი, რომელსაც ჩვენც ვუჭერდით მხარს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ საარბიტრაჟო კომისია შეძლებისდაგვარად დამოუკიდებელი ყოფილიყო, მაშინ როცა საბჭოს პრეზიდენტი ვან დენ ბროეკი მას თავმჯდომარის ინსტრუმენტად მოიაზრებდა. დიუმა და მე პირველ ყოვლისა იმით ვიყავით დაინტერესებულნი, რომ ყველა ურთიერთდაპირისპირებულ იუგოსლავიურ მხარეს ჰქონოდა შესაძლებლობა, საარბიტრაჟო კომისიისთვის მიემართა. ბოლოს იმაზე შევთანხმდით, რომ კომისიისთვის დავალების მიცემა თავმჯდომარისთვის დაგვეკისრებინა, და მასვე მოეხსენებინა კომისიის შედეგები კონფერენციისთვის. თავისი პროცედურული წესების შემუშავებისას და ორგანიზაციული საკითხების მოგვარებისას მისთვის სრული თავისუფლება უნდა მიგვენიჭებინა. თავმჯდომარე ნიდერლანდების შეხედულებას, რომ კომისიას მჭიდროდ უნდა ეთანამშრომლა ჰაგის საარბიტრაჟო სასამართლო პალატასთან, არავინ არ დაეთანხმა — ამ კომისიის სრული დამოუკიდებლობა აუცილებელი იყო.

19 სექტემბრის საღამოს ხელახლა მოვიყარეთ თავი ჰაგაში ევროპული პოლიტიკური ურთიერთთანამშრომლობის რიგგარეშე შეხვედრაზე. ლორდ კერინგტონს ამასობაში მოენახულებინა კრიზისის რეგიონი, მან მოგვახსენა ამის შესახებ და ჰაგაში ჩატარებული

იუგოსლავიისადმი მიძღვნილი კონფერენციის თაობაზეც. ყველა იუგოსლავიური მხარე დაინტერესებულია კონფერენციითო, მაგრამ რიგი რესპუბლიკებისა მას უსარგებლოდ მიიჩნევს მანამ, სანამ ქვემეხები არ დადუმდებიანო. თუმცა ყველას სურდა გაგრძელებულიყო ევროგაერთიანების დამკვირვებელთა საქმიანობა, განსაკუთრებით კი ბოსნია-ჰერცეგოვინასა და მაკედონიას, სადაც დამკვირვებელთა პრევენციული ქმედება საბრძოლო მოქმედებათა თავიდან ასაცილებლად შედეგიანი ჩანდა. იუგოსლავიის ფედერალურ მთავრობას თათბირებში რესპუბლიკების გვერდით აღარავითარი როლი აღარ უთამაშიაო. მომდევნო სხდომა 26 სექტემბრისთვის არის დაგეგმილი; მაშინ გადაწყდება, ზავის მცდელობა საბოლოოდ მივიჩნიოთ თუ არა წარუმატებლადო. ლორდმა კერინგტონმა გამოთქვა შემაჯამებელი აზრი იმის შესახებ, რომ შანსი, რომელსაც კონფერენცია იძლეოდა, ხელიდან არ გაგვეშვა, რაც იმ პირობით იქნებოდა შესაძლებელი, თუ ყველა გამოამჟღავნებდა მოლაპარაკებისთვის მზადყოფნას. წარმატება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენად რეალური იქნებოდა პრობლემის გადაჭრის პოლიტიკური ნება — ამ ნებას ევროგაერთიანება ვერაფრით ვერ ჩაანაცვლებდა. საგარეო საქმეთა მინისტრი ვან დენ ბროეკიც იზიარებდა ლორდ კერინგტონის მოსაზრებას, რომ მიუხედავად 18 სექტემბრის შემდეგ მომხდარი ექსცესებისა, ჯერჯერობით ნაადრევი იყო საზაეო შეთანხმების წარუმატებლობაზე ლაპარაკი.

რა შეგვეძლო გაგვეკეთებინა საიმისოდ, რომ დაზავებისთვის შეგვეწყო ხელი? მე ვკითხე ლორდ კერინგტონს, საჭიროდ მიიჩნევდა თუ არა დამკვირვებელთა რიცხვის გაზრდას ან სამშვიდობო ჯარის ამოქმედებას და შეიძლებოდა თუ არა, გვქონოდა თანხმობის იმედი ყველა იუგოსლავიელი მონაწილისგან. როლან დიუმა დაჟინებით გვაფრთხილებდა, მეტი დრო აღარ დაგვეკარგა. იმის გამო, რომ ევროგაერთიანებისგან ყველა მოუთმენლად ელის გადაწყვეტილების მიღებას, ახლა სიმტკიცე უნდა გამოვიჩინოთ და თუ ევროპას არ სურს საკვანძოდ გამოეთიშოს კონფლიქტს, სათანადო საშუალებები უნდა მოვიძიოთ, რათა დამკვირვებელთა საქმიანობა კვლავ ოპერატიული გავხადოთო. გარდა ამისა საფრანგეთს მიაჩნია, რომ დადგა საიმისო მომენტი, როცა პროცესში გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო უნდა ჩაგვერთო. ამას მე ხაზგასმით დავუჭირე მხარი. ჩვენ

დავიმოწმეთ ფედერალურ კანცლერ კოლისა და პრეზიდენტ მიტერანის განცხადება, რომელიც მათ იმ დღეს ბერლინში გააკეთეს. ჩვენი აზრით, სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად კვლავაც აუცილებელი იქნებოდა მეტადრე შემდეგი პრინციპების დაცვა:

1. უარის თქმა ყოველგვარ ძალადობაზე;
2. საზღვართა ძალისმიერი ცვლილებების არცნობა;
3. ეთნიკურ დაჯგუფებათა და გაერთიანებათა უფლებების, აგრეთვე იუგოსლავიელ ხალხთა სამართლიანი ინტერესების დაცვა.

რაკი ევროთათბირმა მშვიდობაზე ზრუნვა ევროგაერთიანებას დაავალა, პასუხისმგებლობა კვლავაც ევროგაერთიანებას ეკისრებოდა. დასავლეთ ევროპის კავშირს ევალებოდა, მოეფიქრებინა, რა სახის დახმარება შეეძლო გაეწია, თუ ევროგაერთიანება ამას საჭიროდ ჩათვლიდა, ხოლო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ევროგაერთიანებას უნდა ეკისრა.

მე, როგორც ევროთათბირის თავმჯდომარეს, მევალებოდა ბერლინში 1991 წლის 20 ივნისს შექმნილი „გადაუდებლობის მექანიზმის" საშუალებით ევროთათბირის ყველა წევრი სახელმწიფო ევროგაერთიანების საქმიანობის შესახებ საქმის კურსში ჩამეყენებინა, რათა ამგვარად უზრუნველმეყო საბჭოთა კავშირის, სხვა ევროპული სახელმწიფოების, აშშ-სა და კანადის ინფორმირება. ამით ევროთათ-ბირი ახალ მნიშვნელობას იძენდა. განსაკუთრებული კმაყოფილებით ვაუწყე ევროგაერთიანების წევრ სხვა პარტნიორებს, რომ ევროთათ-ბირის ორმა წევრმა სახელმწიფომ — პოლონეთმა და ჩეხოსლოვაკიამ — გამოთქვეს სურვილი, მონაწილეობა მიეღოთ დასავლეთევროპული კავშირის ფარგლებში ჩატარებულ აქციებში. ევროგაერთიანების დამკვირვებლები უკვე თანახმანი არიან-მეთქი ამაზე და თუ დასავლეთევროპული კავშირის თანხმობაზე მიდგებოდა საქმე, მე მხარს დავუჭერდი ამგვარ თანამშრომლობას. პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის შემოთავაზება ერთის მხრივ პოლიტიკური მხარდაჭერა იყო; და თანაც ეს ეწინააღმდეგებოდა რამდენიმე სერბიელი ხელმძღვანელის მიერ ინსპირირებულ თეზას, რომ თითქოს ევროგაერთიანება ანტისლავურ პოლიტიკას ეწეოდა.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდი საფრანგეთის მოწოდებას ამ პროცესში გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს ჩართვის შესახებ. მნიშვნელოვნად მესახებოდა, მსოფლიო მასშტაბის

მხარდაჭერა გაგვენაღდებინა და განსაკუთრებით უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრისთვის მათი შესაფერისი როლი გამოგვენახა, მაშინ როცა იტალიელი კოლეგა გვაფრთხილებდა, ეს საბოლოო ინსტანცია, სახელდობრ უშიშროების საბჭო, თამაშში არ ჩაგვერთო, სანამ ბოლომდე ნათელი არ იქნებოდა, რისი მიღწევა გვსურდა და შეგვეძლო. ყველა ჩავარდნის მიუხედავად, იტალიის აზრით, ევროგაერთიანებას წარმატების ყველაზე მეტი შანსი ჰქონდა.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმაც კატეგორიულად განაცხადა, ფიქრშიაც არ დაგვეშვა მშვიდობისმყოფელი ძალების ამოქმედება. მან თქვა: საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე — როგორც ჩანს, მას მხედველობაში ჰქონდა ჩრდილოირლანდია — უნდა გირჩიოთ, არ დაუშვათ სამხედრო მოქმედების დაწყება. რადგან არაერთხელ დადასტურებულა, რომ გაცილებით უფრო ადვილია ასეთი რამის წამოწყება, ვიდრე მერე მისი შეჩერება. როგორც კი სიტუაცია გაუარესდება, იძულებული ვიქნებით ან ყველაფერი შეეწყვიტოთ, ანდა აქცია გავაფართოოთ. თუმცა დიდ ბრიტანეთს არ სურს უარი თქვას კონსენსუსზე, რაც დასავლეთევროპული კავშირისთვის კონტროლის ფუნქციის დაკისრებას ითვალისწინებსო. დუგლას ჰერდი მოგვიწოდებდა, პოლიტიკური და ეკონომიკური საშუალებები, პირველ ყოვლისა იარაღის ემბარგოზე მეთვალყურეობა, მაქსიმალურად გამოგვეყენებინა და გაგვემაფრებინა. ხოლო დე მიკელისმა იმ წინადადებებზე მითითებით, რომლებზედაც ჩვენ ორივენი შევთანხმდით ვენეციაში 1991 წლის 14 და 15 სექტემბერს გერმანია-იტალიის შეხვედრაზე, მოგვიწოდა, დამკვირვებელთა მისია საგრძნობლად გაგვეფართოებინა, რასაც სწორედ იქ ექნებოდა აზრი, სადაც ბრძოლები ჯერ კიდევ არ გაჩაღებულიყო, ესე იგი, ხორვატიის ფარგლებს გარეთ. გარდა ამისა მე მხარი დავუჭირე უნგრეთის სურვილს, იუგოსლავიასთან მათი საერთო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზეც გაგვემწესებინა ევროგაერთიანების დამკვირვებლები; ამას მაშინვე ყველა პარტნიორი დაეთანხმა. შემდგომ გადავწყვიტეთ, გვეფიქრა ევროგაერთიანების დამკვირვებელთა გაგზავნაზე იუგოსლავიის საზღვრის გარე ზოლში, ძირითადად იმისთვის, რომ იარაღის ემბარგოს განხორციელება უზრუნველგვეყო. მისიის პროფილაქტიკური მიზნით გაფართოების წინააღმდეგ ბოსნია-ჰერცეგოვინასა და მაკედონიის რესპუბლიკებში, სადაც ჯერ კიდევ არ გაჩაღებულიყო

კონფლიქტი, აზრი გამოთქვეს ნიდერლანდებმა და საბერძნეთმა, ისე რომ, ბოლოს შევთანხმდით ამ საკითხზე კიდევ გვემსჯელა. ეს იყო სამწუხარო გადაწყვეტილება: ვინც იუგოსლავიის ხალხთა ისტორიას იცნობდა, იცოდა რა პრობლემები თვლემდა ბოსნია-ჰერცეგოვინასა და მაკედონიაში. მაგრამ თუნდაც ერთი ქვეყნის კატეგორიული წინააღმდეგობის წინაშე ვერაფერს გავაწყობდით.

მეორე დღეს გერმანიის ბუნდესტაგშიც ენერგიულად დავუჭირე მხარი ევროგაერთიანების ერთობლივ პოზიციას, ამასთან კიდევ ერთხელ გავაკეთე აქცენტი საფრანგეთთან თანამშრომლობაზე: „შეძლებისდაგვარად ფართო მასშტაბის მხარდაჭერა ჩვენ მიერ გადადგმულ ყველა ნაბიჯს უფრო ქმედითს გახდის. ეს ეხება აგრეთვე ხორვატიისა და სლოვენიის აღიარების საკითხს, რასაც შეიძლება ითვალისწინებდეს ფედერალური კანცლერისა და საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადება პერსპექტივაში. ჩვენ საფრანგეთთან თანამშრომლობა გადამწყვეტ ფაქტორად მიგვაჩნია.“ ამით ჩვენ განვაცხადეთ, რომ უარს ვამბობდით დამოუკიდებლად მოქმედებაზე.

ამ სიტყვებით დავიმოწმე პრეზიდენტ მიტერანისა და ფედერალურ კანცლერ კოლის 19 სექტემბრის ზემოხსენებული განცხადება, რომელშიც ევროთათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების 1991 წლის 20 ივნისის დეკლარაციაზე დაყრდნობით ნათქვამი იყო: თვითგამორკვევის უფლებას პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ, და ამ უფლების მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით გამოყენება თავად ხალხების გადასაწყვეტია. ამავდროულად უნდა უზრუნველვყოთ უმცირესობათა უფლებების დაცვა.

1991 წლის 5 და 6 ოქტომბრისთვის ევროგაერთიანების პრეზიდენტთა ჩვეულებისამებრ ჰანს ვან დენ ბროეკმა საგარეო საქმეთა მინისტრები თავის ქვეყანაში, ჰოლანდიაში, არაოფიციალურ შეხვედრაზე მიგვიწვია და საამისოდ დიდებულ ადგილას მდებარე, ძალზე მდიდრულად მოწყობილი სასახლე ჰაარცუილენსი შეარჩია. მე ფედერალური სასაზღვრო ჯარის შვეულმფრენით გავემგზავრე, ისე რომ აზრადაც არ მომსვლია, თუკი ამ სატრანსპორტო საშუალების არჩევა მოულოდნელ დამატებით მნიშვნელობას შეიძენდა. როდესაც ჩემს მეუღლესთან ერთად ჰაარცუილენსში ჩავედი, ჩვენ მოგვესალმა ნიდერლანდელი ცერემონმაისტერი და იმ ანფილადაში შეგვიძღვა, რომელიც, მისი თქმით, უმშვენიერესი იყო ამ სასახლეში;

თან მითხრა, ჰანს ვან დენ ბროეკს ძალიან უნდა, რომ თქვენ სწორედ ამ ანფილადაში დაბინავდეთო. მე ეს იმის ნიშნად ჩავთვალე, რომ მას სურდა, მიუხედავად იუგოსლავიური პოლიტიკის შესახებ ჩვენ შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, ჩემთან კარგი და მეგობრული დამოკიდებულება შეენარჩუნებინა. ცერემონმაისტერს ვუთხარი, ძალიან ვაფასებ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრს პირადად უზრუნია ჩემს დაბინავებაზე — ეს არ არის-მეთქი ცარიელი დიპლომატიური ფრაზა.

როგორც მოსალოდნელი იყო, თათბირები ჰაარცუილენსში მთლიანად იუგოსლავიური კონფლიქტის ნიშნით წარიმართა. აქაც მინდოდა საფრანგეთთან ერთობა მეჩვენებინა და ამიტომ როლან დიუმას მეორე დილისთვის ერთობლივად საუზმობაზე შევუთანხმდი, რომლის დროსაც ევროგაერთიანებისთვის საჭირო გადაწყვეტილებებზე მოვილაპარაკეთ. ჯერ კიდევ შეხვედრის პირველ დღეს, 5 ოქტომბერს ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელიც იუგოსლავიის სახელმწიფო პრეზიდიუმის პოზიციას ან — უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — სახელმწიფო პრეზიდიუმში სერბიისა და მონტენეგროს წარმომადგენლებს ეხებოდა. მათ განაცხადეს, რომ მომავალში გადაწყვეტილების მიღებას მხოლოდ და მხოლოდ ოთხი წევრის ხმათა საფუძველზე აპირებდნენ. გარდა ამისა, განზრახული ჰქონდათ, თავის თავზე აეღოთ გარკვეული ფუნქციები, რომლებიც კონსტიტუციის თანახმად ფედერალური პარლამენტის კომპეტენციაში შედიოდა. ის ფაქტი, რომ მონტენეგრომ და სერბიამ პრეზიდიუმის კონტროლი თავის თავზე აიღეს, დანარჩენი რესპუბლიკების მიერ უკვე დაგმობილ იქნა. ევროგაერთიანებაც და მისი წევრი სახელმწიფოებიც აკრიტიკებდნენ ამ არალეგალურ აქტს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა როგორც იუგოსლავიის კონსტიუტუციას ასევე პარიზის ქარტიასაც. შემდეგ ითქვა, რომ ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოებს არ სურდათ ეცნოთ იმ კომიტეტის გადაწყვეტილებები, რომელსაც აღარ უნდა ჰქონოდა უფლება მთელი სახელმწიფოს მაგივრად ელაპარაკა. ამით ევროგაერთიანებამ მკაფიო პოზიცია დაიკავა შიდაიუგოსლავიურ კონსტიტუციურსამართლებრივი სახელისუფლებო ბრძოლების მიმართ, გამხნევებულმა ევროთათბირის კონფერენციით, რომელიც სექტემბერში, საბჭოთა კავშირში პუტჩის წარუმატებელი მცდელობიდან ცოტა ხნის შემდეგ, მოსკოვში შედგა.

იქ, მოსკოვში, კატეგორიულად განვაცხადე, რომ ანტიკონსტიტუციური ქმედებანი ევროთათბირის წევრ სახელმწიფოებში განგვეხილა, როგორც იმ დემოკრატიული პრინციპის დარღვევები, პარიზის ქარტიით რომ იყო გათვალისწინებული. წამოვაყენე წინადადება, რომ ევროთათბირს მომავალში უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, ამგვარი გადაწყვეტილებები შესაბამისი ქვეყნის მონაწილეობის გარეშე მიეღო, ამიტომ ახალი ფორმულა უნდა ყოფილიყო „ერთსულევნებას მინუს ერთი". ჩემდა სასიხარულოდ მაშინ ჩემს ამ წინადადებას მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა, რომელიც — ჯერ კიდევ წარუმატებელი პუტჩის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი — სიტყვით გამოვიდა. ცოტა მოგვიანებით, 1992 წლის 31 იანვარს ევროთათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების შემდგომ სხდომაზე მიღებულ იქნა ეგრეთ წოდებული „კონსენსუსს მინუს ერთის" პრინციპი.

ჩემთვის ეს იყო მნიშვნელოვანი დადასტურება იმ პოზიციის მართებულობისა, რომელიც მე პუტჩთან დაკავშირებით დავიკავე. როდესაც პუტჩის დღეს, 1991 წლის 18 აგვისტოს, ორშაბათს, საბჭოთა ელჩი ტერეხოვი ჩვენს უწყებაში გამოცხადდა, რათა ჩემთვის ხუნტის დეკლარაცია გაეცნო, მე მას მივუგე, რომ ევროთათბირის მიერ გარანტირებულ და ამის გამო წევრი სახელმწიფოების მხრივ გასაზიარებელ პარიზის ქარტიის პრინციპებს ეკუთვნოდა დემოკრატიის პრინციპიც, რომლის დარღვევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ამით მე პარიზის ქარტია დავსახე მოსკოვში მიმდინარე პროცესების შესაფასებელ მასშტაბად, რომელიც ჩვენ, რაკი მას საბჭოთა კავშირიც აშკარად იზიარებდა, საფუძველს გვაძლევდა საიმისოდ, რომ ევროთათბირის პრინციპების შესაბამისი პოზიცია დაგვეკავებინა. ამრიგად ჩვენ, პირველებმა დასავლურ ხელისუფლებათა შორის, გამოკვეთილი პოზიცია დავიკავეთ პუტჩის მცდელობის წინააღმდეგ. ჩემი შთაბეჭდილებით ელჩმა ტერეხოვმა ჩემ მიერ პუტჩის უარყოფა არცთუ უხალისოდ მიიღო: მან აშკარად ამ საქმიდან ჩემი დისტანცირება მოახდინა და მხოლოდ ფორმალურად, უხალისოდაც კი, გამაცნო ხუნტის პოზიცია.

საღამოს ჰაარცუილენსში გაიმართა მშვენიერი შეხვედრა, რომელზეც მეუღლეებთან ერთად გამოვცხადდით. ჰანს ვან დენ ბროეკი მეუღლესთან ერთად ცდას არ აკლებდა, რომ ეს თავყრილობა ყველა მონაწილისთვის რაც შეიძლება მეტად სასიამოვნო ყოფილიყო

— იგი ჩინებული მასპინძელია და მასთან არ მოიწყენ.

მეორე დღეს თათბირზე მივიღეთ დეკლარაცია იუგოსლავიის მიმართ: იგი ფრიად გამოკვეთილად ადასტურებდა პოზიციას, გერმანიას იმთავითვე რომ ჰქონდა დაკავებული. დეკლარაციაში დავაფიქსირეთ, რომ მინისტრები განსაკუთრებით იყვნენ შეშფოთებულნი იმ ცნობების გამო, რომელთა მიხედვითაც იუგოსლავიის სახალხო არმია ყოვლად შეუსაბამო და განურჩეველ ძალადობრივ ღონისძიებებს მიმართავდა. მან ამით გამოამჟღავნა, აღვნიშნეთ ჩვენ, რომ ის აღარ წარმოადგენდა ნეიტრალურ და დისციპლინირებულ ინსტიტუციას, და რომ ჩვენ მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი, საერთაშორისოსამართლებრივ პასუხისგებაში მიგვეცა ყველა ისინი, ვინც იუგოსლავიაში ამ უმაგალითო, უამრავი მსხვერპლის მომტან ძალადობაში იყო დამნაშავე. ამ პუნქტით პირველად იქნა დაწესებული პირადი პასუხისმგებლობა ძალადობის გამოყენებისთვის — ეს ის მოთხოვნა იყო, რომელიც მე კარგა ხნის წინ წამოვაყენე. ამას მოსდევდა: „იუგოსლავიის საკითხებისადმი მიძღვნილი 4 ოქტომბრის კონფერენციის მე-4 პლენარულ სხდომაზე მიღწეული შესაბამისი შეთანხმების გათვალისწინებით დაისახა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება აღიარების პერსპექტივით.“ აღიარება მოჰყვებოდა მოლაპარაკების პროცესის დასრულებას, რომელიც კეთილგანწყობის ვითარებაში უნდა ჩატარებულიყო ყველა მხარის მონაწილეობით.

ამით ევროგაერთიანებამ მთლიანობაში დაუჭირა მხარი დამოუკიდებლობის უფლებას იმ რესპუბლიკებისთვის, რომლებსაც ეს სურდათ. დამყარდა ურთიერთკავშირი იუგოსლავიის ყველა ხალხის თვითგამორკვევის უფლებასა და ცალკეულ რესპუბლიკებში მცხოვრებ ეთნიკური დაჯგუფებებისა და გაერთიანებების უფლებათა შორის — ეს სწორედ ის იყო, რაც მე ადრევე მოვიმოქმედე. ჩვენ დავადასტურეთ, რომ მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი, არასოდეს მიგველო საზღვართა ძალისმიერი ცვლილებანი. მრავალჯერ იქნა დაგმობილი სახელმწიფო პრეზიდიუმის კონტროლი მისი სერბი და მონტენეგროელი წევრების მიერ, და შემზღუდავი ღონისძიებები, ანუ სანქციები, გამოცხადდა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც პატივისცემით არ ეკიდებოდნენ შეთანხმებას შუღლის შეწყვეტის თაობაზე. ჩვენ მოვუწოდეთ გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, რაც შეიძლება მალე წარმოედგინა ის შეტყობინება, რომლის მომზადებასაც მისგან მოითხოვდა

უშიშროების საბჭოს 1991 წლის 25 სექტემბრის 713-ე რეზოლუცია და ამ მიზნით დაუყოვნებლივ წარეგზავნა იუგოსლავიაში საგანგებო რწმუნებული.

ამ დეკლარაციის ტექსტზე შეთანხმება შესაძლებელი გახდა პირველ ყოვლისა როლან დიუმასა და ჩემი ურთიერთთანამშრომლობის წყალობით. ჩვენი ალიანსი სხვებისთვისაც რომ ა'მკარა ყოფილიყო, გადავწყვიტეთ, ამ შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენციები, რომლებსაც ჩვეულებისამებრ ცალ-ცალკე ვატარებდით, ერთობლივად ჩაგვეტარებინა.

ხორვატიისა და სლოვენიის წინააღმდეგ გამართული ომის დასასრულის გამო

რა იყო ჰაარცუილენსში გამართული სხდომის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები? პირველ ყოვლისა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, რომ გვეღიარებინა ის რესპუბლიკები, რომლებსაც ამის სურვილი ჰქონდათ. ამით ეს პროცედურა პირველად იქნა განხილული შედეგის სავალდებულოობის თვალსაზრისით.

10 ოქტომბერს ევროთათბირის მაღალი რანგის მოხელეთა კომიტეტმა დაადასტურა ჰაარცუილენსის შეთანხმება. ამიერიდან დამოუკიდებლობის მსურველი იუგოსლავიური რესპუბლიკების აღიარებას, როგორც პერსპექტივას ევროთათბირიც უჭერდა მხარს — შესაბამისად აგრეთვე ორი ზესახელმწიფოც: აშშ და საბჭოთა კავშირი. ეს გადამწყვეტი იყო, რადგან ასეთი პოლიტიკა ქმნიდა ერთობლივ პლატფორმას, რომელზე დაყრდნობითაც არა მხოლოდ ევროგაერთიანება, არამედ აგრეთვე ორივე ზესახელმწიფო, საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, მოქმედებდა. რა თქმა უნდა, ევროგაერთიანების ფარგლებში ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ყოველთვის მხედველობაში გვქონდა ამ ნაბიჯის შესაძლო ზეგავლენა მოვლენათა განვითარებაზე საბჭოთა კავშირში.

ჩემთვის საზღვართა ხელშეუხებლობის აღიარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: საზღვართა ძალისმიერი ცვლილების აკრძალვას, ერთის მხრივ, ხოლო ეროვნებათა და უმცირესობათა უფლებების დაცვას, მეორეს მხრივ, ხომ არსებითი მნიშვნელობა ჰქონ-

და სტაბილურობისთვის ევროთათბირის მთელ ზონაში.

ასრულებდა რა ევროგაერთიანების პრეზიდენტის მოვალეობას, მინისტრ ვან დენ ბროეკს სურდა, ჰაარცუილენსის შეხვედრის გადაწყვეტილებებისთვის ხორცი შეესხა. სერბიისა და ხორვატიის პრეზიდენტებთან, მილოშევიჩთან და ტუჯმანთან, შეხვედრის შემდეგ მან 1991 წლის 10 ოქტომბერს პრესის საშუალებით გაავრცელა შეტყობინება, რომელშიც ნათქვამი იყო: „პოლიტიკური პროცესის დასრულებისას სავარაუდოდ ერთ ან არაუმეტეს ორ თვეში დადგება დრო, რომ თორმეტმა ქვეყანამ გადაწყვეტილება მიიღოს იმ რესპუბლიკების აღიარების შესახებ, რომლებმაც დემოკრატიული პროცესის შედეგად სურვილი გამოთქვეს, იყვნენ დამოუკიდებელნი.“ ერთი კვირის შემდეგ, 1991 წლის 18 ოქტომბერს, ვან დენ ბროეკმა ეს ვადა დაუკონკრეტა ავსტრიის ყოველდღიურ გაზეთ „დი პრესეს“: თუ არაუგვიანეს 1991 წლის 10 დეკემბრისა არ იქნება მიღწეული კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტა და იუგოსლავიის არმია მთლიანად არ გამოვიდა ხორვატიიდან, მაშინ თანამეგობრობას მოუწევს, გადაწყვეტილება გამოიტანოს სლოვენიისა და ხორვატიის აღიარების თაობაზე. მაშინ მათ დამოუკიდებლობაზე უარს ვეღარ ვეტყვით.“ და მან დაამატა: „ჩვენ არ ვცდილობთ, თავს მოვახვიოთ რესპუბლიკებს იუგოსლავიის ერთიანობა, რაც რეალობას აღარ შეესაბამება.“ ამით საბჭოს თავმჯდომარემ საჯაროდაც დაადასტურა, რომ ევროგაერთიანება იუგოსლავიის დაშლას გარდაუვალად მიიჩნევდა.

ვან დენ ბროეკის მიერ დანიშნული ვადა, 1991 წლის 10 ოქტომბრიდან გადათვლილი ორი თვე, შეესაბამებოდა ფედერალური მთავრობის წარმოდგენებს: ვადა არ სცილდებოდა 1991 წელს. ამრიგად ევროგაერთიანებამ განაცხადა, რომ არ სურდა უსასრულოდ გადაედო გადაწყვეტილების მიღება დამოუკიდებლობის თაობაზე. მაგრამ მაასტრიხტის უმაღლესი დონის შეხვედრისთვის არ უნდა დაგვეკისრებინა ამ გადაწყვეტილების გამოტანა; განსაკუთრებით ფედერალურ კანცლერს სურდა, ამ თემას იქ არ შევხებოდით. მოლაპარაკებები საკმაოდ მძიმე იქნებაო, ამბობდა იგი, და დრო არ გვეყოფა, სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურთა და საგარეო საქმეთა მინისტრების წრეში კიდევ ერთი ისეთი რთული თემა განვიხილოთ, როგორიცაა რესპუბლიკათა აღიარება. დეკლარაცია, რომელიც ბოლოს და ბოლოს გამოსცა ფედერალურმა მთავრობამ

— ჩვენ სწორად მიგვაჩნდა, რომ გადაწყვეტილება აღიარების თაობაზე ჯერ კიდევ შობის დღესასწაულამდე მიგვეღო —, გადასცდა კიდევაც იმ ვადას, რომელსაც ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრი, როგორც ევროგაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე, ითვალისწინებდა.

1991 წლის 27 ოქტომბერს ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაგმეს იუგოსლავიის სახალხო არმიის შეტევების განახლება ხორვატიის ქალაქებზე. ჩვენ სხვათა შორის ესეც განვაცხადეთ: „იუგოსლავიის სახალხო არმიის ამასწინანდელ შეტევებს არავითარი კავშირი არა აქვს ხორვატიის მხრივ შეთანხმებათა დარღვევასთან. დუბროვნიკზე განმეორებითმა შეტევებმა ნათელყო იმ მტკიცების სიცრუე, თითქოსდა იუგოსლავიის სახალხო არმიას მხოლოდ ის მიზანი ამოძრაევებდა, რომ გაეთავისუფლებინა ალყაშემორტყმული გარნიზონები ან დაეცვა სერბიული დასახლებები.“

მეორე დღეს თორმეტი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ბრიუსელში რიგგარეშე შეხვედრაზე მოიყარეს თავი. თათბირები საქმიან ატმოსფეროში ჩატარდა და შედეგი ერთმნიშვნელოვანი იყო: ევროგაერთიანება განასხვავებდა კოოპერირებად და არაკოოპერირებად რესპუბლიკებს. ხუთი რესპუბლიკა მზად იყო, ლორდ კერინგტონის მიერ წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე ეთანამშრომლათ, ხოლო ერთი რესპუბლიკა, სახელდობრ სერბია, იმავე პოზიციაზე დარჩა. ჩვენ კიდევ ერთხელ მკაფიოდ ჩამოვაყალიბეთ ჩვენი პრინციპები: საზღვრების არავითარი ცალმხრივი ცვლილებები, უმცირესობათა უფლებებისა და ეთნიკურ და ნაციონალურ გაერთიანებათა უფლებების დაცვა. ეს იმიტომაც იყო მნიშვნელოვანი, რომ სულ უფრო და უფრო მწვავედ დგებოდა საკითხი, თუ რა უნდა მიგვეჩნია უმცირესობად და რა — ეთნიკურ და ნაციონალურ ჯგუფად ან გაერთიანებად — მაგალითად, კოსოვოელი ალბანელები თავიანთ თავს უმცირესობად კი არ მიიჩნევენ, არამედ ნაციონალურ გაერთიანებად. მეტად ენერგიულად გამოხატა ევროგაერთიანებამ თავისი აღშფოთება ამ პრინციპთა დაუსრულებელი დარღვევების გამო, დაასახელა კიდევაც პასუხისმგებელი პირები: „მათ ამასთან დაკავშირებით გაიხსენეს კონფერენციაზე სერბების მიერ დაფიქსირებული პოზიცია, სახელმწიფო პრეზიდიუმის ოთხი წევრის მიერ მოწყობილი პუტჩი, აგრეთვე მათ მიერ იმ გეგმის გაცხადება, რომელიც

დიდი სერბიის შექმნას ითვალისწინებდა. ამიტომ იუგოსლავიის ფედერალური არმიის მოქმედების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც დაგმობილ იქნა დუბროვნიკის 1991 წლის 27 ოქტომბრის განცხადებაში, ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს გაშუქებული.“ გარდა ამისა ჩვენ მოვუწოდეთ ევროთათბირსა და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს კვლავაც დაეჭირათ მხარი ევროგაერთიანების ღონისძიებებისთვის და დაეგმოთ ფედერალური არმიის როლი და აგრეთვე სახლმწიფო პრეზიდიუმის ოთხი წევრის მიერ მოწყობილი პუტჩი. ევროგაერთიანების ფარგლებში წარმოშობილი მოსაზრებები იმაზე მეტყველებდა, რომ თვით ის სახელმწიფოებიც კი, რომლებმაც თავიდან სერბიის ხელმძღვანელობას გარკვეული კრედიტიც გამოუყვეს, ამასობაში უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ სერბიის ხელმძღვანელობის გერმანული შეფასება იმთავითვე მართებული იყო. რამ უნდა მოულოს ბოლო სისხლის ღვრას, გამუდმებით ვეკითხებოდი ჩემს თავს. სულ უფრო და უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ სლოვენიისა და ხორვატიის აღიარება და აქედან გამომდინარე ინტერნაციოლიზაცია ამ კონფლიქტისა იყო ერთადერთი დარჩენილი პოლიტიკური საშუალება.

რაკიღა სერბებს არ ეტყობოდათ თანამშრომლობის სურვილი, ლორდმა კერინგტონმა კონფერენციის მუშაობა შეწყვიტა. კონფერენციის მიერ დამუშავებული შეთანხმების პროექტის 1991 წლის 23 ოქტომბრის ვარიანტი შეიცავდა გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკებს კვლავ უნდა გამოეყენებინათ ავტონომიური პროვინციებისთვის განკუთვნილი 1990 წლის დადგენილებები; ეს ითვალისწინებდა სერბიის მიერ გაუქმებული ავტონომიის აღდგენას ვოივოდინასა და კოსოვოში. ხოლო 4 ნოემბრის შეთანხმების პროექტში არ იყო ეს მითითება — ამან გამოიწვია კოსოვოელი ალბანელებისა და ვოივოდინაში მცხოვრები უნგრული უმცირესობის დიდი იმედგაცრუება. როგორც მოსალოდნელი იყო, სერბიის ხელმძღვანელობამ კონფერენციის გადადება და აგრეთვე ავტონომიის საკითხის შესახებ თვალსაზრისის შეცვლა გამხნევებად აღიქვა. პროექტის ეს ხარვეზი, რომელიც ჩვენ მიერ არ ყოფილა სანქცირებული, მცდარი სიგნალი იყო.

4 ნოემბერს ევროგაერთიანების წევრი საგარეო საქმეთა მინისტრები კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს ბრიუსელში, რათა გადაეწყვიტათ იუგოსლავიასთან თანამშრომლობის შესახებ მიღებული

შეთანხმების დაუყოვნებლივ გაუქმების საკითხი. იუგოსლავია აღარ მიიწვიეს ჯგუფ 24-ის მინისტრთა შეხვედრაზე, რომელიც 11 ნოემბერს გაიმართა. გარდა ამისა, შევთანხმდით, რომ თანამშრომლობის მსურველი რესპუბლიკების მიმართ პოზიტიური ზომები მიგვეღო, სახელდობრ პრივილეგიები და შეღავათები დაგვეწესებინა ევროგაერთიანების სხვა პროგრამების ფარგლებში.

ნავთობის ემბარგოს საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რიგ ღონისძიებებს დაუკავშირდა. სხვა სანქციები სერბიის წინააღმდეგ — მაგალითად, იუგოსლავიის ბანკთა საზღვარგარეთული ანაბრების გაყინვა, ორმხრივი სატრანსპორტო შეთანხმების შეჩერება, საექსპორტო ლიცენზიების გაუქმება ადვილად დაზიანებად საქონელზე და საექსპორტო კრედიტების გარანტიების მოხსნა, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ იუგოსლავიისთვის კრედიტების გაცემის შეწყვეტა, აგრეთვე საყოველთაო სავაჭრო ემბარგო — დღის წესრიგში რჩებოდა და გრძელდებოდა მათზე მუშაობა. იუგოსლავიის მეზობელი სახელმწიფოები და საბჭოთა კავშირი დაგვპირდნენ, რომ ხელს შეგვიწყობდნენ ევროგაერთიანების ღონისძიებათა გატარებაში, ჩვენ კი ჩვენის მხრივ სოლიდარობა აღვუთქვით საბერძნეთს, რომელსაც სერბიის მხრივ რეპრესიების შიში ჰქონდა.

ამის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე იმედი გამოვთქვი, რომ სერბია ეჭვს არ შეიტანდა ევროგაერთიანების გადაწყვეტილებათა სერიოზულობაში: სანქციების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ პირველი ნაბიჯია, ჩვენ მეტსაც ვისურვებდით-მეთქი. პირველ ყოვლისა, ნავთობის ემბარგოს ამოქმედებისთვის სავალდებულო არ არის გაეროს რეზოლუცია, თუ ამ ღონისძიებას იუგოსლავიის მეზობელი სახელმწიფოები და საბჭოთა კავშირი შეუერთდებოდნენ, როგორც მათ ეს მინიშნებით აქვთ ნათქვამი-მეთქი. ის-ის იყო მიღებულ გადაწყვეტილებას ნაგვიანევი ვუწოდე. აღვნიშნე, რომ ჩვენი მოქმედებისთვის შემდეგი პრინციპები უნდა ყოფილიყო განმსაზღვრელი:

— იმ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობა, რომელთაც ეს სურდათ, ნებაყოფლობითი ასოცირების ან სახელმწიფოებრივი ერთიანობის უფრო მჭიდრო ფორმის ოპტაციით,

— შინაგანი და გარეგანი საზღვრების დაურღვევლობა.

გარეგანი საზღვრების დაურღვევლობაც მნიშვნელოვანია, რათა

მაკედონიამ საბერძნეთს ტერიტორიული პრეტენზიები ვერ წაუყენოს-მეთქი. ამასთან დაკავშირებით ვახსენე აგრეთვე ჩემი შეხვედრა იუგოსლავიის სახელმწიფო პრეზიდიუმის წევრთან, დოქტორ ვასილ ტუპურკოვსკისთან, რომელმაც მკაფიოდ განმიმარტა, რომ რაკი მაკედონიის პარლამენტმა კონსტიტუციაში ცვლილება შეიტანა, ტერიტორიულ მოთხოვნებს ადგილი აღარ ექნებოდა.

გარდა ამისა მოვითხოვე, ყველა რესპუბლიკაში მცხოვრები უმცირესობებისა და ეროვნებებისთვის თანაბარი უფლებები მიგვენიჭებინა, ამავდროულად ხაზგასმით აღვნიშნე, რომ სანქციები მაინც უნდა შესულიყო ძალაში, თუნდაც ხორვატიაში იუგოსლავიის სახალხო არმიის საომარ მანქანას არ შეეწყვიტა მოქმედება. საერთოდ კი ჰაგის მოლაპარაკებები რესპუბლიკათა შესაძლო აღიარების ტენდენციით უნდა გაგრძელდეს-მეთქი.

როდესაც ოთხი დღის შემდეგ, 8 ნოემბერს ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრები კვლავ შეეხვედით ერთმანეთს, გაირკვა, რომ ჩვენს წინადადებათა ძირითადი ელემენტებისთვის იუგოსლავიის ყველა ურთიერთდაპირისპირებულ ძალას არ დაუჭერია მხარი. ეს საფრთხეს უქმნიდა მოლაპარაკების პროცესს; ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, სანქციები გაგვეტარებინა სერბიისა და მონტენეგროს წინააღმდეგ. ამას გარდა გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოსგან მოვითხოვეთ ნავთობის ემბარგოს დაწესება. ეს გადაწყვეტილებები ფორმალურად მიღებულ იქნა რომში ნატოს ქვეყნების უმაღლესი დონის კონფერენციაზე: კონფერენციის სასტუმროს საგანგებო დარბაზში ჩვენ, ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრები, დილით ნატოს თათბირების დაწყებამდე შევიკრიბეთ და საოცრად მოკლე დროში მოვახერხეთ ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე შეთანხმება.

როგორც უკვე მანამდე არაერთხელ მიგრძვნია, ახლაც ვიგრძენი, რომ არაჩვეულებრივად სასარგებლო იყო, გერმანულ ბუნდესტაგში *ყველა* ფრაქცია ჩვენს პოლიტიკას რომ იზიარებდა. პრინციპში ჩვენ ზედმეტ გაუბედაობასაც კი გვისაყვედურებდნენ, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოიკვეთა ხორვატიისა და სლოვენიის აღიარების მოთხოვნისას: 1991 წლის 15 ნოემბრის განაცხადებაში, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული ქრისტიანულ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-სოციალური კავშირების, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის,

თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციათა და ჯგუფ „ბიუნდნის-90“-ის მიერ, ბუნდესტაგი „მხარს უჭერს“ ფედერალური მთავრობის ღონისძიებებსაც, რომლებიც მიზნად ისახავს, „სამშვიდობო კონფერენციის პარალელურად შეიქმნას წინაპირობები ევროგაერთიანებისა და მისი წევრი სახელმწიფოების მიერ სლოვენიისა და ხორვატიის საერთაშორისო სამართლებრივი აღიარებისთვის და აგრეთვე იუგოსლავიის იმ რესპუბლიკების აღიარებისთვისაც, რომლებიც დამოუკიდებლობას ესწრაფიან, თავიანთი უმცირესობების უფლებებს უზრუნველყოფენ და მზად არიან საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმებზე შეთანხმებისთვის, განსაკუთრებით ევროგაერთიანებასთან.“

ფედერალურმა კანცლერმა, რომელთანაც პირად საუბრებში ნაბიჯ-ნაბიჯ ვათანხმებდი ხოლმე ჩვენს იუგოსლავიურ პოლიტიკას, 1991 წლის 27 ნოემბერს ბუნდესტაგის წინაშე გამოხატა თავისი პოზიცია კრიზისულ რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართლებრივი აღიარება იმ რესპუბლიკებისა, რომელთაც ეს სურდათ, დიდი ხნით არ უნდა გადადებულიყო სამშვიდობო ძალისხმევათა ბლოკირების გამო. დაასახელა აგრეთვე თარიღი, როცა უნდა გამოტანილიყო გადაწყვეტილება აღიარების შესახებ: ის უნდა მომხდარიყო შობის დღესასწაულის წინ, ესე იგი, ორი კვირის შემდეგ იმ თარიღიდან, 10 დეკემბრიდან, რომელიც საბჭოს თავმჯდომარემ ვან დენ ბროეკმა დაასახელა. არც ერთი ქვეყანა არ შეწინააღმდეგებია ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრს. მეტიც: სლოვენიისა და ხორვატიის აღიარების ტენდენცია შესამჩნევად გაძლიერდა. ეს მაშინაც გამოვლინდა, როცა 1991 წლის 1 დეკემბერს ვენეციაში ერთმანეთს შეხვდენენ ეგრეთ წოდებული ჰექსაგონალური ჯგუფის საგარეო საქმეთა მინისტრები — ამ ჯგუფში შედიოდა პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ავსტრია, იტალია, იუგოსლავია და საბერძნეთი. ორი მათგანი ევროგაერთიანებას ეკუთვნოდა, ოთხი — არა. მაგრამ აქაც გამოირკვა, რომ იუგოსლავია თავისი უწინდელი ფორმით აღარ არსებობდა. ამიტომ ბელგრადის წევრობა არ გაუქმებულა, მაგრამ მიღებულ იქნა ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: იუგოსლავიას, რომელიც 1992 წლისთვის თავმჯდომარედ იყო გათვალისწინებული, ეს უფლება ჩამოერთვა და სლოვენიასა და ხორვატიას საბოლოოდ მიენიჭათ დამკვირვებლის სტატუსი. ეს იმის სიგნალი იყო, რომ საქმე აღიარებისკენ მიდიოდა.

მაასტრიხტში გამართული ევროსაბჭოს სხდომის შემდეგ, რომელიც მთლიანად თანამოსახელე ხელშეკრულებებზე შეთანხმების ნიშნით წარიმართა, ჩვენ, ევროგაერთიანების ყველა წარმომადგენელი, იმ აზრზე ვიდექით, რომ 16 დეკემბერს მიღებული უნდა ყოფილიყო აუცილებელი გადაწყვეტილებები სლოვენიისა და ხორვატიის აღიარების შესახებ. მაგრამ სანამ საქმე აქამდე მივიდოდა 1991 წლის 7 დეკემბერს ბადინტე-ჰერცოგის კომისიამ თავისი მოწმობა წარმოადგინა, დოკუმენტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროგაერთიანების იუგოსლავიური პოლიტიკისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეთა კომისიამ დაადგინა: „იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა რღვევის პროცესშია. რესპუბლიკების ვალია, სახელმწიფოთა მემკვიდრეობის პრობლემები, რომლებიც ამ პროცესიდან გამომდინარეობს, საერთაშორისოსამართლებრივ პრინციპებთან და წესებთან შეთანხმებით გადაჭრან და ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ადამიანთა უფლებებს, აგრეთვე ხალხთა და უმცირესობათა უფლებებს. რესპუბლიკებს, თუკი სურთ, შეუძლიათ ერთმანეთთან ითანამშრომლონ, რათა შექმნან ახალი გაერთიანება მათთვის სასურველი დემოკრატიული ინსტიტუციებით.“ ამრიგად ბადინტე-ჰერცოგის კომისია იქიდან გამოდიოდა, რომ იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა რღვევის პროცესში იმყოფებოდა. ახლა მთელი ყურადღება გადატანილ იქნა იმ რესპუბლიკების აღიარების საკითხზე, რომლებსაც დამოუკიდებლობა სურდათ, ანდა იმ რესპუბლიკათა ახალი გაერთიანების ჩამოყალიბებაზე, რომლებიც ამას ესწრაფოდნენ.

ახლა დამატებით წარმოიშვა გადაწყვეტილების მიღების საჭიროება. უნდა გაგვეთვალისწინებინა — ასეც მოვახსენე 1991 წლის 13 დეკემბერს გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს, პერეს დე კუელიარს ჩემს წერილში —, რომ რესპუბლიკათა აღიარების გადადება იუგოსლავიის სახალხო არმიის მხრივ ძალადობის შემდგომ ესკალაციას გამოიწვევდა, რადგან ისინი აღიარების დაყოვნებას ხორვატიის წინააღმდეგ მიმართული თავიანთი დამპყრობლური პოლიტიკის წახალისებად ღებულობდნენ. იმავდროულად როლან დიუმამ შემოგვთავაზა ახალი გერმანულ-ფრანგული ინიციატივა 1991 წლის 16 დეკემბერს ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის მოსამზადებლად. შემდგომ იურგენ ხრობოგმა, საგარეო საქმეთა კომიტეტის პოლიტიკურმა დირექტორმა, ბონში თავის ფრანგ

კოლეგასთან ერთად შეიმუშავა ერთობლივი პროექტი აღიარების კრიტერიუმთა შესახებ, რომელსაც სიტყვასიტყვით მითანხმებდა ტელეფონით. ევროგაერთიანების მინისტრთა საზოგადოებამ მიიღო ეს გერმანულ-ფრანგული პროექტი, მოგვიანებით მხოლოდ მცირედი შესწორებები შეიტანა მასში. ამ პროექტს მანამდე აგრეთვე პრეზიდენტმა მიტერანმა და ფედერალურმა კანცლერმა კოლმა დაუჭირეს ენერგიულად მხარი. პროექტი შეიცავდა აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილ ახალ სახელმწიფოთა აღიარებისთვის საჭირო ობიექტურ კრიტერიუმებს, აგრეთვე დამატებით პირობებს იუგოსლავიურ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის აღიარებისთვის — ევროგაერთიანებამ ამ გადაწყვეტილებაზე აიღო ორიენტაცია და საამისოდ სათანადო მასშტაბები დაადგინა.

16 დეკემბერს დათქმულ სხდომაზე შევხვდით ერთმანეთს. როცა ნაშუადღევს ბრიუსელში ჩავედი, ჩანდა, რომ საზოგადოებრიობა იმ დღეს არ მოელოდა აღიარების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას. რადიო და ტელემაუწყებლობა — არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ მთელს ევროპაში, პირველ ყოვლისა თვით სლოვენიასა და ხორვატიაში — უბრალოდ ახალი სხდომის შესახებ იტყობინებოდა. შუაღამემდე გაგრძელებულ თათბირებზე ერთის მხრივ მატულობდა იმ კოლეგათა რიცხვი, რომლებიც აღიარებას უჭერდნენ მხარს, თუმცა ამავე დროს ეჭვებსაც ჰქონდა ადგილი. ასე მაგალითად, საბერძნეთი პრინციპულად არ ეწინააღმდეგებოდა აღიარებას, მაგრამ საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სამარასი შიშობდა, რომ სლოვენიისა და ხორვატიის აღიარების შემდეგ შეიძლება მაკედონიასაც მოსურვებოდა ამგვარი ნაბიჯის გადადგმა და მერე ბერძნული ტერიტორიებიც მოეთხოვა სალონიკის ჩათვლით. რასაკვირველია, მე მას საზღვრების საკითხში გერმანიის მხარდაჭერა აღვუთქვი საბერძნეთის კუთვნილი ტერიტორიის და ბერძნული ინტერესების დასაცავად, თუკი ამგვარი მოთხოვნები იქნებოდა წამოყენებული, რაც, ჩემი აზრით, მოსალოდნელი არ იყო.

მინისტრთა გამოსვლები საქმის დიდი ცოდნით გამოირჩეოდა. ევროგაერთიანებაში შექმნილი სულისკვეთების დამსახურება გახლდათ ის, რომ საათობით გაგრძელებული ასეთი რთული დებატები ყოველგვარი სიმწვავის გარეშე ჩატარდა. მალევე დავბრუნდით

დარბაზში, რომელშიც ჩვეულებისამებრ ვსადილობდით ხოლმე. ამ ოთახში საგარეო საქმეთა მინისტრები ოვალური მაგიდის გარშემო ვიკრიბებოდით, აქვე იყვნენ კომისიის წარმომადგენლები და ევროგაერთიანების თავმჯდომარე ქვეყნის – ნიდერლანდების მთავრობის წარმომადგენელი, რომელსაც სხდომის ოქმი უნდა ეწარმოებინა. ამ სხდომებზე როგორც წესი ფრანგულად და ინგლისურად საუბრობდნენ, მაგრამ მშობლიური ენით სარგებლობაც შეიძლებოდა. გვიანი საღამო იდგა, სხდომა კი ჯერ არ დამთავრებულიყო; არგუმენტები და კონტრარგუმენტები საფუძვლიანად იქნა აწონილ-დაწონილი. კიდევ ერთხელ მკაფიოდ აღვნიშნე, რომ ამჟამად ევროგაერთიანების ნდობის ფაქტორი იდო სასწორზე: ჩვენ ერთის მხრივ გვქონდა ბადინტე-ჰერცოგის კომისიის მოწმობა და განაცხადი, იმის შესახებ, რომ ორთვიანი ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილება უნდა მიგვეღო და აშკარა იყო, მხოლოდ სერბები ცდილობდნენ, შეთანხმებისთვის ხელი შეეშალათ. ამიტომ გადაწყვეტილების მიღების კვლავ გადადება სტიმულს მისცემდა ხორვატიის წინააღმდეგ წარმოებული დამპყრობლური ომის გაგრძელებას. ძალადობის წახალისება კი ყოვლად დაუშვებელი იყო. მერედა, რა მოუღებდა ბოლოს ხორვატიაში გაჩაღებულ ომს, თუ არა ამ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება და აქედან გამომდინარე ამ კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია? სხვა რა უნდა გვეღონა, თუ აღიარებაზე კვლავ უარს ვიტყოდით?

თათბირის განმავლობაში ფედერალურ კანცლერს ორჯერ დავუკავშირდი ტელეფონით, რათა იგი საქმის კურსში ჩამეყენებინა და ყველაფერი მასთან შემეთანხმებინა. ისიც იმ აზრისა გახლდათ, რომ გადაწყვეტილების გამოტანის გადავადება სერბიას ომის გაგრძელების სტიმულს მისცემდა. ბოლოს თორმეტმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: „ევროგაერთიანება და მისი წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, აღიარონ ყველა იმ იუგოსლავიური რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, რომლებიც ყველა ქვემოთ მოყვანილ პირობებს აკმაყოფილებენ. ეს გადაწყვეტილება ძალაში შევა 1992 წლის 15 იანვარს. ამიტომ ევროგაერთიანება მოუწოდებს ყველა იუგოსლავიურ რესპუბლიკას, 23 დეკემბრამდე გააკეთონ განაცხადი, უნდათ თუ არა, აღიარებულ იქნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, იკისრებენ თუ არა ვალდებულებებს, რომ-

ლებსაც ზემოხსენებული სამოქმედო კურსი გულისხმობს, ეთანხმებიან თუ არა დადგენილებებს, რომლებსაც შეთანხმების ის პროექტი შეიცავს, იუგოსლავიის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერანციის წინაშე რომ არის წარდგენილი, განსაკუთრებით მე-2 თავში შემავალ დადგენილებებს ადამიანის უფლებებისა და ნაციონალურ ან ეთნიკურ დაჯგუფებათა უფლებების შესახებ, შემდგომშიც დაუჭერენ თუ არა მხარს გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს გენერალური მდივნის მიერ გატარებულ ღონისძიებებს და იუგოსლავიის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციის გაგრძელებას. იმ რესპუბლიკათა თხოვნას, რომლებიც დადებითად გვიპასუხებენ, კონფერენციის თავმჯდომარე წარუდგენს საარბიტრაჟო კომისიას, რათა ამ უკანასკნელმა იგი განხორციელების ვადამდე განიხილოს.“

ფედერალურმა მთავრობამ — ბოლომდე დაზღვეული რომ ყოფილიყო — საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ სპეციალისტს, პროფესორ ტომუშატს დაავალა წარმოედგინა დასკვნა ხორვატიაში უმცირესობათა მდგომარეობის შესახებ. ტომუშატმა ნოემბრის ბოლოს, ზაგრებში მრავალდღიანი მივლინების შემდეგ განაცხადა, ხორვატიაში უმცირესობათა კონსტიტუციურსამართლებრივი უფლებების დაცვა „სანიმუშო უნდა იყოს ევროპაში უმცირესობათა უფლებების დაცვის შემდგომი განვითარებისთვის, სერბიამაც მომავალში ამ მასშტაბით უნდა იხელმძღვანელოს“-ო.

მას შემდეგ, რაც ამაზე შევთანხმდით, საგარეო საქმეთა მინისტრების წრეში განვაცხადე, რომ ფედერალურ მთავრობას განზრახული ჰქონდა, შობის დღესასწაულამდე გადაეწყვიტა აღიარების საკითხი. ოღონდ პოზიტიური გადაწყვეტილებაც კი მხოლოდ ევროგაერთიანების მიერ დადგენილი ვადის გასვლის, ანუ მომავალი წლის 15 იანვრის შემდეგ, დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარებასთან ერთად უნდა შევიდეს-მეთქი ძალაში. ამ ვადის თაობაზეც მინდოდა თანხმობაში ყოფილიყავი კოლეგების გადაწყვეტილებასა და მოსაზრებასთან. ტომუშატის დასკვნა და აგრეთვე ჩვენი საკუთარი ცოდნა ხორვატიაში მცხოვრებ უმცირესობათა სტატუსის შესახებ საშუალებას გვაძლევს, გადაწყვეტილება ახლავე მივიღოთ და, ეჭვი არაა, ბადინტე-ჰერცოგის კომისიაც ამავე დასკვნამდე მივა-მეთქი. მათ დამიდასტურეს: მართლაც, გადაწყვეტილების მიღება შობის დღესასწაულამდეც შეგვიძლიაო. ეს საკითხი მაინც კიდევ

ერთხელ წამოვჭერი ჩემს მოხსენებაში, რადგან ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, ფედერალურ მთავრობას დაეცვა დადგენილი ვადა ისე, რომ თორმეტთა წრეში არსებული შეთანხმება არ დარღვეულიყო. მაგრამ მეორე ჯერზეც ჩემს მოსაზრებას არც ერთი საგარეო საქმეთა მინისტრი არ შეწინააღმდეგებია. ასე რომ, მოგვიანებით ცუდად ინფორმირებული მხარისაგან გამოთქმული საყვედური, თითქოს ჩვენ ვიჩქარეთ გადაწყვეტილების მიღება, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ფედერალური მთავრობის დადგენილება საგარეო უწყებას ზედმიწევნით საფუძვლიანად მოვამზადებინე. ამ დადგენილებაში ნათქვამი იყო: „ფედერალური კაბინეტი 19 დეკემბერს დათანხმდა, საერთაშორისოსამართლებრივად ცნოს ის იუგოსლავიური რესპუბლიკები, რომლებიც 1991 წლის 23 დეკემბრამდე გააკეთებენ განაცხადს, რომ სურთ, აღიარებულ იქნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და აკმაყოფილებენ ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ იუგოსლავიისადმი მიმართულ 16 დეკემბრის დეკლარაციაში მოცემულ პირობებს. საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი უშუალოდ 23 დეკემბრის შემდეგ იმ რესპუბლიკებთან, რომლებიც აღიარებისთვის აუცილებელ ზემოხსენებულ წინაპირობებს აკმაყოფილებენ, დაიწყებს მოლაპარაკებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოემზადნონ მხარეები დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარებისთვის, რაც 15 იანვარს უნდა განხორციელდეს. ამას მოსდევდა კონსტატაცია იმისა, რომ ფედერალური კაბინეტის ეს გადაწყვეტილება შეესაბამებოდა ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ 16 დეკემბერს ბრიუსელში გამოტანილ დადგენილებებს. ჩვენ გვსურდა, ჩვენი პოზიციით ანგარიში გაგვეწია იმ გარემოებისთვის, რომ იუგოსლავიის რამდენიმე რესპუბლიკამ გამოთქვა დამოუკიდებლობის სურვილი დემოკრატიულ და სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ საფუძველზე დამყარებული თავისუფალი თვითგამორკვევის პირობებში. რაც შეეხება ხორვატიასა და სლოვენიას, როგორც კი ზემოხსენებული წინაპირობები გაჩნდება – განაცხადა 27 ნოემბერს ფედერალურმა კანცლერმა დოქტორმა ჰელმუთ კოლმა – შესაძლებელი იქნება, მათი აღიარება ჯერ კიდევ შობის დღესასწაულამდე გაფორმდეს ოფიციალურადო. ამავდროულად ფედერალური მთავრობა ყველა ღონეს იხმარს საიმისოდ, რომ იუგოსლავიის სამშვიდობო კონფერენცია გაგრძელდეს და წარმატებით დასრულდეს. ჩვენ მზად ვართ, ვაღიაროთ

ყველა იუგოსლავიური რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, თუკი მათ ეს სურთ და თუკი საამისო წინაპირობებს აკმაყოფილებენო. ამით ფედერალური მთავრობის გადაწყვეტილება სრულად უწევდა ანგარიშს ევროგაერთიანების მიერ დადგენილ კრიტერიუმებს. 1992 წლის 11 იანვარს მოხსენება გააკეთა ბადინტე-ჰერცოგის კომისიამ: როგორც მოსალოდნელი იყო, მან მხარი დაუჭირა ხორვატიისა და სლოვენიის აღიარებას; გარდა ამისა, აზრი გამოთქვა აგრეთვე მაკედონიის აღიარების სასარგებლოდ. ამასთანავე ხორვატიის პრეზიდენტისგან მიიღო გარანტია, რომ ხორვატიაში მცხოვრებ სერბიულ დაჯგუფებას კერინგტონის კონვენციის პროექტის შესაბამისად განსაკუთრებული ავტონომიური სტატუსი მიენიჭებოდა. ბადინტე-ჰერცოგის კომისიის დასკვნა ჩვენი უწინდელი შეფასებების შთამბეჭდავი დასტური გახლდათ.

15 იანვარს ევროგაერთიანების თავმჯდომარე ქვეყანამ — წლის დასაწყისიდან ევროგაერთიანებას პორტუგალია თავმჯდომარეობდა — გვაცნობა თორმეტთა გადაწყვეტილება: ახლა კი უნდა ვაღიაროთ ხორვატიისა და სლოვენიის დამოუკიდებლობაო. ამის შემდეგ, და არა მანამდე, დავამყარეთ დიპლომატიური ურთიერთობანი — როგორც ბრიუსელში შეკინიხმდით. მაკედონიის აღიარებასთან დაკავშირებით ფედერალურმა მთავრობამ არ გადაუხვია თავის პირობას საბერძნეთის ინტერესთა დაცვის თაობაზე; დისკუსიამ 1993 წლის გაზაფხულამდე გასტანა. შემდგომ პირველ ყოვლისა საქმე ეხებოდა მაკედონიის სახელმწიფოს სახელის შეცვლას.

ხორვატიისა და სლოვენიის დამოუკიდებლობის აღიარებას არ გამოუწვევია ომის ესკალაცია ხორვატიაში, როგორც რამდენიმე ჩემი კოლეგა, აგრეთვე რამდენიმე სხვა სახელმწიფო შიშობდა. პირიქით: პრეზიდენტმა მილოშევიჩმა 1992 წლის 9 იანვარს ომი ხორვატიაში და ხორვატიის წინააღმდეგ დამთავრებულად გამოაცხადა და შეიარაღებული შეხლა-შემოხლა თანდათან მიწყდა. ის ფაქტი, რომ მილოშევიჩს შეეძლო ომი ცალმხრივად გამოეცხადებინა დამთავ-რებულად, და რომ ამით ომი კიდევაც დასრულდა, გვიჩვენებს, თუ ვინ იყო ამ ომის სულისჩამდგმელი. საომარი მოქმედებები მხოლოდ და მხოლოდ სერბიისგან იღებდა სათავეს, ამიტომაც მხოლოდ სერბია თუ მოუღებდა მათ ბოლოს, რადგანაც იმ დროისათვის სერბიას ჰქონდა დაკავებული ხორვატიის ერთი მესამედი და არა პირიქით.

ამის შემდეგ 1992 წლის 2 თებერვალს ევროგაერთიანების

საგარეო საქმეთა მინისტრებმა საფრანგეთის მოთხოვნით განაცხადეს: „ევროგაერთიანება და მისი წევრი სახელმწიფოები პატივისცემით ეკიდებიან სერბიის კონსტრუქციულ პოზიციას.“ ადვილი როდი იყო ჩემთვის, ეს პოზიცია ამგვარად მომეხსენიებინა, ჩემი აზრით ხომ ეს ხანგრძლივი ოკუპაცია ხორვატიის ტერიტორიის ერთი მესამედისა „კონსტრუქციულის“ გარდა ყველაფერი იყო. თუმცა მეორეს მხრივ მინდოდა, სწორედ ამ მომენტში საფრთხე არ შექმნოდა საფრანგეთთან ერთიანობას, მით უფრო, რომ ეს განაცხადი ორ, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან, დებულებას შეიცავდა:

1. შუღლი სერბიისგან იღებდა სათავეს, თუმცა ეს უფრო არაპირდაპირ გახლდათ გამოთქმული.

2. როგორც კი ბელგრადმა „კონსტრუქციული პოზიცია“ დაიკავა, საომარ მოქმედებებს ბოლო მოეღო. ამან დაადასტურა ჩვენი მოლოდინი, რომ აღიარების საკითხთან მკაფიო მიმართება კონფლიქტის ჩაცხრობას შეუწყობდა ხელს და არა მის ესკალაციას.

რაკი ბადინტე-ჰერცოგის კომისიამ ბოსნია-ჰერცეგოვინას საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარება შემოგვთავაზა, ამ მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა გადაიდო.

ხორვატიაში რომ კონფლიქტი ჩაცხრა, ამაში, რა თქმა უნდა, გაერთიანებული ერების საშშვიდობო გეგმის მიღებამაც შეიტანა წვლილი.

1991 წლის 11 დეკემბერს პრეზიდენტმა ტუჯმანმა უპირობოდ მიიღო ეგრეთ წოდებული ვენსის გეგმა გაერთიანებული ერების შეიარაღებულ ძალთა განლაგების შესახებ ხორვატიის ოკუპირებულ რეგიონებში, რომელთა უმეტესი ნაწილი სერბებით იყო დასახლებული. ტუჯმანისთვის ადვილი არ იყო ამაზე დათანხმება. ეს თანხმობა ხომ პირველ რიგში იმას ნიშნავდა, რომ ოკუპაციის შემდეგ ხორვატიის მოსახლეობა სერბიულ საოლქო მმართველობას უნდა შეგუებოდა. მეორეს მხრივ ვენსის გეგმა ითვალისწინებდა ამ რეგიონში სერბიის ჯარების განიარაღებას, გაძევებულ ხორვატ ლტოლვილთა დაბრუნებისთვის საჭირო პირობების შექმნას და საპოლიციო ძალთა დაკომპლექტების დაწყებას მოსახლეობის იმ ეთნიკური შედგენილობის შესაბამისად, საომარ მოქმედებათა აფეთქებამდე რომ არსებობდა.

არაერთი სატელეფონო საუბარი დამჭირდა პრეზიდენტ ტუჯმანის დასარწმუნებლად, რომ ხორვატიას თავისი წვლილი უნდა შეეტანა კონფლიქტის ჩაცხრობის საქმეში და უნდა მიეღო ვენსის

გეგმა. თავიდან ტუჯმანმა ისეთი განმარტება მოგვცა, რომელიც მთლად ერთმნიშვნელოვანი არ იყო, რის შემდეგაც მე მას საირუს ვენსის თხოვნით ხელახლა დაველაპარაკე. ბოლოს და ბოლოს იგი უპირობოდ დაგვთანხმდა. ამის შემდგომ ვენსმა მადლობა გადამიხადა გარჯისთვის. 1992 წლის 6 თებერვალს მან მომწერა: „დარწმუნებული ვარ, თქვენ იცით, რომ პრეზიდენტ ტუჯმანისგან მეორე წერილი მომივიდა, რომელიც საკვლევით მისაღებია. კვლავ და კვლავ დიდ მადლობას მოგახსენებთ. ჩვენ ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტი უნდა ვიქონიოთ. იმედი მაქვს, მალე გიხილავთ."

დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ, მართალია, გაერო დაჟინებით მოითხოვდა, ხორვატიას ეს გეგმა მიეღო, მაგრამ მას არ გაუტარებია შესაბამისი ღონისძიებები ხორვატიის მიმართ გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესასრულებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ არ მომხდარა სერბიულ ფორმირებათა დაშლა და არც პოლიცია დაკომპლექტებულა იმ ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით, რომელიც საომარ მოქმედებათა დაწყებამდე არსებობდა. სხვა რომ არაფერი, მარტო ამიტომაც ვერ შეძლეს დევნილმა ხორვატებმა უკან დაბრუნება. გაერო ვალშია ხორვატიის წინაშე. იგი პასუხისმგებელია მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე, რადგან ხორვატიის სერბებით დასახლებულ რეგიონებში თავისი გეგმის განხორციელებისთვის არ უზრუნია.

1992 წლის მარტში შემატყობინეს ლორდ კერინგტონის მიერ 10 მარტს Chatham House-ში წარმოთქმული სიტყვის შესახებ. ერთი მსმენელის კრიტიკულ რეპლიკაზე, რომელმაც ხორვატიისა და სლოვენიის დამოუკიდებლობის აღიარებას მცდარი, ანდა ყოველ შემთხვევაში ნაადრევი უწოდა, ლორდმა კერინგტონმა უპასუხა, რომ დღევანდელი გადასახედიდან მისი პირადი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ამბივალენტურია, რადგან ამჟამინდელმა შედეგმა კორექტივი შეიტანა აღიარებაზე მის უწინდელ შეხედულებაში. აღიარების შემდეგ ძალის გამოყენება ერთმნიშვნელოვნად შეწყდაო. მე ადრე სხვაგვარი წარმოდგენა მქონდა, ახლა კი ჭკუა ვისწავლე,— თქვა მან. გადაწყვეტილება სლოვენიისა და ხორვატიის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ გარდაუვალი იყო: „The decision was inevitable." ეს მე დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე ვიცი.

ამასთან დაკავშირებით არაორაზროვნად გამოთქვა თავისი შეხედულება აგრეთვე ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დუგლას ჰერდმა და ეს მაშინ, როცა ბოსნია-ჰერცეგოვინაში უშედეგო სამშვიდობო ღონისძიებათა გამო დასავლური ბანაკის მხრივ იყო მცდელობა, ბოსნია-ჰერცეგოვინას აღიარება სლოვენიისა და ხორვატიის აღიარებასთან დაეკავშირებინათ და ბოსნია-ჰერცეგოვინაში არსებული მდგომარეობისთვის პასუხისმგებლობა გერმანიისთვის დაეკისრებინათ. 1993 წლის რადიოინტერვიუში ჰერდს ჰკითხეს: „But isn't one of the lessons of all of this that by and large when we have done what Germany wanted, i. e. recognizing Croatia in the first place which led on to the recognition of Bosnia, we have just made one mistake after another?"* მან უპასუხა: „I don't see how you can justify that. Are you really saying that we should not have recognized Croatia, that Croatia didn't exist? By the time we have recognized Croatia it had existed for a long time and we were under strong attack then from people like Margaret Thatcher for hanging on so long to the idea that Yugoslavia - the whole lot of it - might be preserved. You can argue about the timing. I do think, left to ourselves, we would [have] left it a bit longer before we recognized Croatia and Slovenia, but you cannot really argue that that created the war in Bosnia. I have never understood that argument."** ეს პოზიცია საკმაოდ შეესაბამებოდა იმ მოსაზრებას, დუგლას ჰერდმა ჩემთან საუბრისას რომ გამოთქვა,

---

* „მაგრამ ყოველივე ამისგან ხომ არ უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ, საზოგადოდ, როცა ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც გერმანიას უნდოდა, ანუ პირველად ხორვატია ვაღიარეთ, რამაც ბოსნიის აღიარებამდე მიგვიყვანა, მხოლოდ შეცდომა შეცდომაზე დავუშვით?" (ინგლ.)

** „არ მესმის, როგორ შეგიძლიათ ამტკიცოთ ეს. ნამდვილად იმის თქმა გსურთ, რომ არ უნდა გვეღიარებინა ხორვატია, რომ ხორვატია არ არსებობდა? იმ დროისათვის, როცა ჩვენ ხორვატია ვაღიარეთ, ის უკვე კარგა ხანია არსებობდა და ჩვენ განვიცდიდით ძლიერ ზეწოლას ისეთი პიროვნებებისგან, როგორიცაა მარგარეტ ტეტჩერი, იმის გამო, რომ ასე დიდხანს ვებღაუჭებოდით იმ აზრს, რომ იუგოსლავია – მთელი თავისი შემადგენლობით – შეიძლებოდა შეგვენარჩუნებინა. თქვენ შეგიძლიათ იკამათოთ დროის შერჩევის შესახებ. მე ნამდვილად იმ აზრისა ვარ, ჩვენი ნება რომ ყოფილიყო, ხორვატიისა და სლოვენიის აღიარებას ცოტა ხნით კიდევ გადავდებდით, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ ამტკიცოთ, რომ ამან გამოიწვია ომი ბოსნიაში. მე არასოდეს მესმოდა ეს არგუმენტი." (ინგლ.)

როცა მან თავად ჩამოაგდო სიტყვა ამ თემაზე. ეს საუბარი შედგა მისი სამსახურის კაბინეტში 1993 წლის 14 ივლისს, როცა ინგლისში პირადი ვიზიტით ვიმყოფებოდი. ჩემმა მემკვიდრემ კლაუს კინკელმა მომახსენა ევროგაერთიანების კოლეგათა წრეში გამართული საუბრების თაობაზე, რომელთა დროსაც კოლეგებს გაოცება გამოუხატავთ გერმანული პოზიციის კრიტიკის გამო და ამ უკანასკნელისთვის აბსოლუტურად უსამართლო უწოდებიათ. სხვათა შორის ამავე აზრისა გახლდათ ამასობაში ევროგაერთიანების კომისიაში გადასული ჰანს ვან დენ ბროეკი, რომელიც ნამდვილად არ მიეკუთვნებოდა აღიარების თავგადაკლულ მომხრეებს — მის სამართლიანობაში ეჭვი არასოდეს შეუტანია ვინმეს.

დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ ხორვატიისა და სლოვენიის დამოუკიდებლობის აღიარებამ იქ მცხოვრებ ხალხს მშვიდობა მოუტანა. 1991 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების წყალობით ხორვატიაში საბრძოლო მოქმედებები რომ დასრულდა და სლოვენიის გამუდმებით საფრთხეში ყოფნას ბოლო მოეღო, ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

ამიტომ ვინც დღეს ევროგაერთიანების მიერ 1992 წლის 16 დეკემბერს გამოცემულ აღიარების დეკლარაციას აკრიტიკებს, მან თავის თავს უნდა ჰკითხოს, განა უკეთესი იქნებოდა, ხორვატიაში ომი რომ გაგრძელებულიყო. ხორვატიის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის დასრულება, სლოვენიის წინააღმდეგ ახალი აგრესიის საფრთხის თავიდან აცილება — ეს ხომ უმაღლესი მიზანი იყო, და ამას მივაღწიეთ კიდეც. რა არის აქ გასაკრიტიკებელი? სლოვენიისა და ხორვატიის აღიარებას ძალმომრეობა კი არ გამოუწვევია, არამედ მან ბოლო მოუღო პირველ იუგოსლავიურ ომს, რომელზეც ბელგრადი იყო პასუხისმგებელი. გერმანია განცალკევებულად არ მოქმედებდა: ეს იყო თორმეტთა გადაწყვეტილება, რომელსაც შეუერთდნენ ევროთათბირის წევრი სახელმწიფოები და სახელმწიფოთა მთელი თანამეგობრობა.

ომი ბოსნია-ჰერცეგოვინაში — მეორე იუგოსლავიური ომი — მოგვიანებით დაიწყო, ბოსნია-ჰერცეგოვინას დამოუკიდებლობის აღიარება კი ჩვენი ინიციატივით არ მომხდარა — პირიქით. 1992 წლის მარტის დასაწყისში ვაშინგტონმა წამოაყენა წინადადება, რომ აშშ-სა და ევროგაერთიანებას ერთობლივად უნდა ემოქმედათ. ამასთან

ვაშინგტონმა არა მხოლოდ სლოვენიისა და ხორვატიის აღიარებას დაუჭირა მხარი, არამედ სურდა ეს ნაბიჯი ბოსნია-ჰერცეგოვინაზეც გაევრცელებინა. აღიარება მოხდა 1992 წლის 6 აპრილს (ძალაში შევიდა 7 აპრილიდან) ამჯერად ერთდროულად აშშ-სა და ევროგაერთიანების მიერ. აქაც, ისევე როგორც მანამდე, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ფართო კონსენსუსის დამყარება ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის და საფრანგეთთან თანამშრომლობა.

ევროგაერთიანების შიგნით გამართულ დებატებში და აგრეთვე საჯარო განცხადებებში ყოველთვის მხარს ვუჭერდი ევროპულ პასუხს ყოფილი იუგოსლავიის პრობლემის თაობაზე. კონკრეტულად ეს იმას ნიშნავდა, რომ ასოციაციად გაერთიანება შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების მსგავსად ყოფილი იუგოსლავიის მემკვიდრე სახელმწიფოებისთვისაც უნდა შეგვეთავაზებინა, რომლებმაც ყურად იღეს ევროგაერთიანებისა და მის შუამავალთა რეკომენდაციები — ეს გახლდათ შეთავაზება, რომელიც ამ წინადადებათა მიმზიდველობას მკვეთრად ზრდიდა, რადგან ეს ევროპული პერსპექტივა ყველა კეთილგანწყობილ მხარეს მათი მდგომარეობის ძალზე მნიშვნელოვანი გაუმჯობესების იმედს აძლევდა. ამ სფეროში ძევს ევროგაერთიანების რეალური შესაძლებლობანი და ამგვარი შეთავაზება არც ახლაა დაგვიანებული. აქ ევროკავშირს ხელთ ისეთი შესაძლებლობები აქვს, როგორიც არც ერთ სხვა ძალას და არც ერთ სხვა ორგანიზაციას არ გააჩნია. წინადადება, რომ დაიდოს ევროკავშირის ევროპული ხელშეკრულებები ყოფილი იუგოსლავიის მემკვიდრე მშვიდობისმოსურნე სახელმწიფოებთან, არის ევროპული პასუხი იმ ნაციონალიზმზე, რომელიც იუგოსლავიაში ომს განაპირობებს. ყოფილი იუგოსლავიის მშვიდობისმოსურნე სახელმწიფოებს ამგვარად უნდა შეეწყოს ხელი.

თუმცა ევროკავშირის პოზიციას იუგოსლავიაში მიმდინარე მოვლენათა განვითარების მიმართ ხშირად არაკომპეტენტურობის გამოხატულებად განიხილავენ ხოლმე. მართლა ასეა ეს? პოზიტიურ შედეგად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გერმანია-საფრანგეთის თანამშრომლობამ ამ ფაზაშიც გაამართლა. პარიზიცა და ბონიც ყველა ღონეს მიმართავდნენ, რომ იუგოსლავიაში განვითარებულ მოვლენებს ამ ორმხრივ დამოკიდებულებაზე ცუდად არ ემოქმედა, მით უმეტეს, რომ საზოგადოებრივი აზრი თითოეულ ამ ქვეყანაში,

პირველი თვეების განმავლობაში მაინც, სრულიად სხვადასხვაგვარად აფასებდა სიტუაციას. ევროგაერთიანებაშიც შენარჩუნებულ იქნა პრინციპი, გვემოქმედა მხოლოდ და მხოლოდ ერთობლივად: გერმანიამ მანამდე არ აღიარა სლოვენია და ხორვატია, სანამ თორმეტივე წევრი სახელმწიფო არ დათანხმდა. ამიტომ გერმანია-საფრანგეთის ერთიანობა ამ საკითხშიც ისევე არ შეიძლება საკადრისად არ დაფასდეს, როგორც ევროგაერთიანების ბრძოლა ერთობლივი პოზიციებისთვის: ბალკანეთს ევროგაერთიანება არ გაუხლეჩია.

მიუხედავად ამისა მთავრობები და ევროპული ინსტიტუციები — ეს ეხება როგორც ევროგაერთიანებას, ასევე ევროთათბირს — მაინც არ იყვნენ საკმარისად მომზადებულნი იუგოსლავიაში განვითარებული მოვლენებისთვის. თუმცა 1989-90 წლებში შუა და აღმოსავლეთ ევროპაში განვითარებული დრამატული მოვლენების შემდეგ ეს სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. გერმანიის საგარეო პოლიტიკისთვის იმთავითვე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი გახლდათ ის, რომ აკრძალულიყო პოლიტიკურ საკითხთა გადაჭრა სამხედრო ძალის გამოყენებით.

ნავთობზე და სხვა ენერგომატარებლებზე ფართომასშტაბიანი ემბარგოს დაწესების გზით ომის დამთავრების შესაძლებლობები, ეჭვგარეშეა, ჯეროვანად არ იქნა გამოყენებული. ასეთი ემბარგო, სულ მცირე, მძიმე იარაღის — ტანკების, არტილერიის — აგრეთვე საჰაერო შეიარაღებული ძალების გამოყენებას მაინც დააბრკოლებდა, თავიდან მხოლოდ სერბიული მხარე რომ ფლობდა; ამით ეს ემბარგო სერბებს აიძულებდა, მოლაპარაკების მაგიდასთან დამსხდარიყვნენ, რისთვისაც სხვა მონაწილე მხარეები თავიდანვე მზად იყვნენ. აქ პირველ ყოვლისა გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობები. გერმანიას კი სურდა, თავისი მოთხოვნით — კონფლიქტის მოგვარებაში თავიდანვე ჩართულიყო უშიშროების საბჭო და ევროთათბირი — გაეფანტა შთაბეჭდილება, თითქოს პრობლემის გადაჭრას საბჭოთა კავშირის გარეშე ან სულაც მის საწინააღმდეგოდ ვაპირებდით.

ისტორიულ დასკვნებს, რომლებიც ყოფილ იუგოსლავიაში განვითარებული მოვლენებისგან შეიძლება გამოვიტანოთ, უეჭველად მიეკუთვნება ძალადობაზე უარის თქმის პრინციპი: მხოლოდ ამგვარად მოხერხდება შევინარჩუნოთ ან შევქმნათ თანაცხოვრების

ის კულტურა, პარიზის ქარტია რომ გულისხმობს. უნდა გაძლიერდეს ევროთათბირის – ამჟამინდელი ეუთოს – დაწესებულებათა ავტორიტეტი და ზემოქმედების მეთოდები და ვინც მათ წინააღმდეგ ან მათ გარეშე ეცდება სამხედრო საშუალებათა გამოყენებით გადაჭრას კონფლიქტი, მას არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ სახელმწიფოთა თანამეგობრობა გულმოწყალებას გამოიჩენს მის მიმართ, ანდა მის ნამოქმედარს „პოსტ ფაქტუმ" მოიწონებს. დისკუსია აგრესიის გამართლების ან გაუმართლებლობის შესახებ ქცევის ძველ ნორმებთან დაგვაბრუნებს და ამიტომ ძალადობაზე უარის თქმა ევროპაში მშვიდობიანი თანაცხოვრების ურყევ საფუძვლად უნდა დარჩეს. აგრესია არასოდეს არ უნდა იქნეს გამართლებული, მსხვერპლი და თავდამსხმელი ერთ დონეზე არ უნდა განვიხილოთ და ეთნიკურ წმენდებს არასოდეს არ უნდა დავუჭიროთ მხარი. ვინც არ უნდა იყოს აგრესორი – არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ მისი ქმედება შემდგომ შეიძლება გაამართლონ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, კონფლიქტთა მშვიდობიანი მოგვარების ნება გავაძლიეროთ ევროპულ ხელშეკრულებათა დადების გზით ყოფილი იუგოსლავიის მემკვიდრე სახელმწიფოებთან, რომლებიც საამისოდ მზად არიან. ამაში მდგომარეობს ევროკავშირის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა – ამაში მდგომარეობს აგრეთვე მისი განსაკუთრებული შანსი.

მოვლენათა ახლებური განვითარება ევროპაში დიდი გარდატეხის შემდეგ

ახალი ხელშეკრულებები ჩვენს აღმოსავლელ მეზობლებთან

ისტორიულმა გარდატეხამ შუა და აღმოსავლეთ ევროპაში ვარშავის ხელშეკრულების გაუქმება და მის ყოფილ წევრ ქვეყნებში თავისუფლების, დემოკრატიისა და ნაციონალური თვითგამორკვევის მოთხოვნილება გამოიწვია. ამიერიდან ფედერაციული რესპუბლიკის მთელი აღმოსავლური პოლიტიკა, ისევე როგორც ორმხრივი ურთიერთობები ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებთან, შეიძლებოდა სრულიად ახალ ნიადაგზე დაფუძნებულიყო. თუკი უწინდელი აღმოსავლური პოლიტიკა თავისი სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმებისას 1970 წლის მოსკოვური ხელშეკრულების ნიმუშით ხელმძღვანელობდა, ახლა გაერთიანებულ გერმანიას შეეძლო როგორც ძველი ისტორიული ურთიერთობების გაგრძელება, ასევე სრულიად ახალი საწყისების მოსინჯვა — და ეს პროცესი დაიწყო საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადებით უშუალოდ „ორი პლუს ოთხი“ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

მას შემდეგ, რაც 1991 წლის მარტში მოსკოვის უმაღლესმა საბჭომ, მონაწილე პარლამენტთაგან უკანასკნელმა, მხარი დაუჭირა „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულებას, აგრეთვე გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და ამავე ქვეყნებს შორის ფართო მასშტაბის ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებებს, სამეზობლო ხელშეკრულება გერმანული ბუნდესტაგის მიერაც იქნა რატიფიცირებული. „ბევრი ეჭვისა და პესიმისტური პროგნოზების შემდეგ“, ვთქვი მე მაშინ, „რომ თითქოს საბჭოთა საგარეო პოლიტიკა შეიცვალა ან მომავალში შეიცვლებოდა, ჩვენ დაბეჯითებით ვამბობთ: გორბაჩოვს მყარად უჭირავს კურსი, რომელიც შეესაბამება მის დაპირებებსა და მისი

პოლიტიკის საფუძველს. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სავსებით თანმიმდევრულად აგრძელებს დემოკრატიზაციის პოლიტიკას აღმოსავლეთ ევროპაში, პოლიტიკას, რომელიც ევროპის დანაწევრების დაძლევას ემსახურება. ეს გერმანიისთვის, აგრეთვე ევროპისა და მთელი მსოფლიოსთვის სასიხარულო ფაქტია." 1991 წლის 15 მარტს ელჩმა ტერეხოვმა საგარეო უწყებაში წარმოადგინა რატიფიკაციის მოწმობა. ამით ძალაში შევიდა ხელშეკრულება „ორი პლუს ოთხი".

ახლა კი აღარაფერი გვიშლიდა ხელს, რომ საბჭოთა კავშირთან ბოლოს და ბოლოს ისეთი ურთიერთობები დაგვემყარებინა, დამძიმებული რომ აღარ იქნებოდა მოსკოვის დაჟინებული სურვილით, გერმანია გახლეჩილი დარჩენილიყო. ჩამოცილებულ იქნა აგრეთვე აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქტის ჰიპოთეკა, თანაც გერმანიის გაერთიანების ხასიათმა დაამტკიცა, რომ გერმანიის ინტეგრაცია დასავლურ გაერთიანებებში საბოლოო და შეუქცევადი იყო. ჩვენი ორმხრივი კონტაქტების ახლებური ფორმირება როგორც ჩვენს, ასევე საბჭოთა კავშირის ინტერესებში შედიოდა. მოქიშპეობის თავიდან ასაცილებლად ვცდილობდი, ჩვენი აღმოსავლური პოლიტიკა ევროგაერთიანების წევრ პარტნიორებთან ერთად, პირველ ყოვლისა გერმანია-საფრანგეთის მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში გვეწარმოებინა. ამ პოსტულატს ევროკავშირის სახელმწიფოებმა მომავალშიც უნდა მიაქციონ ყურადღება, რადგან დასავლური კონკურენტული აზროვნება შუა და აღმოსავლეთევროპული პოლიტიკის სფეროში აუცილებლად ახალ არასტაბილურობას შექმნის ევროპის ამ ნაწილში. ამიტომ ევროკავშირის ევროპული და პარტნიორულ ხელშეკრულებებზე დამყარებული პოლიტიკა, ჩვენი გადამწყვეტი ძალისხმევით წარმოებული, აგრეთვე ნატოს მიერ სამშვიდობო პარტნიორობის შეთავაზება კონცეფციურად მართებული წამოწყებებია. ევროთათბირისა და მისი ინსტიტუციების სრულად გამოყენება და მათი შემდგომი შინაარსობრივი განვითარება ასევე აუცილებელი ფაქტორია მთელს ევროპაში სტაბილიზაციის დასამყარებლად. დასავლეთს ყოველთვის თვალწინ უნდა ჰქონდეს საერთოევროპული სამშვიდობო წესრიგის დიადი მიზანი, რომელსაც, როგორც ასეთს, მთელი ევროპა გაიზიარებს.

ჩემს თვალში საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვანი პარტნიორი

იყო ევროპის მომავლის ფორმირებისა და გლობალური სტაბილიზაციის უზრუნველყოფის სფეროში; ამიტომ ჩვენი ელემენტარული ინტერესიდან გამომდინარე, ეს პარტნიორობა უნდა განგვემტკიცებინა. დღესაც რუსეთის იზოლირების ყოველი მცდელობა წარუმატებლობისთვის იქნება განწირული ამ ქვეყნის სიდიდისა და მნიშვნელობის გამო, უგულებელყოფის საშუალებით იზოლირებაც აგრეთვე მცდარი და სახიფათო უნდა იყოს. ამიტომ მე ევროგაერთიანებაში მომხრე ვიყავი ინტენსიური სახელშეკრულებო ურთიერთობებისა, და ეს რუსეთთან დადებულ თანამშრომლობის ხელშეკრულებაში ბოლოს და ბოლოს რეალობად იქცა. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნდა გორბაჩოვის მონაწილეობა მსოფლიოს ეკონომიკურ სამიტში, 1991 წელს ლონდონში რომ გაიმართა: საბჭოთა პრეზიდენტის მოწვევის მოთხოვნას უფრო შორს მიმავალ კონცეფციას ვუკავშირებდი, რაც დიდი შვიდეულის რვა სახელმწიფოსგან შემდგარ ჯგუფად გადაქცევას, ანუ ახალი საბჭოთა კავშირის თანაბარუფლებიან წევრად მიღებას გულისხმობდა. უნდა გვესარგებლა იმ ახალი შესაძლებლობებით, ეს კონცეფცია რომ გვთავაზობდა.

მაგრამ საქმე სხვაგვარად წარიმართა, და დასავლეთის ყოყმანს, აგრეთვე მსოფლიოს ეკონომიკურ სამიტზე გორბაჩოვის მიმართ გამოვლენილ გულგრილ დამოკიდებულებას — სხვათა შორის გერმანული და ფრანგული დელეგაციების რჩევის საწინააღმდეგოდ — საბჭოთა პრეზიდენტის პოზიცია 1991 წლის ზაფხულის გადამწყვეტ თვეებში ყოველ შემთხვევაში არ განუმტკიცებია. მაშინ შანსი ხელიდან იქნა გაშვებული. მეტიც: შესაძლოა ლონდონის სამიტის ზეგავლენა უფრო მნიშვნელოვანი და მასშტაბური იყო, ვიდრე იმ მომენტში ჩანდა. როგორ შეხვდებოდნენ მოსკოველები ლონდონში აშკარად პოზიციაგანმტკიცებულ გორბაჩოვს?

1990 წლის 12 სექტემბრის „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ჩვენს ვალდებულებას, რაც მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან პოლონეთთან არსებული საზღვრის საერთაშორისოსამართლებრივ დამტკიცებას გვავალებდა, ზურგი გაუმაგრა ფედერალურმა მთავრობამ გერმანია-პოლონეთის სასაზღვრო ხელშეკრულების დადებით. ამ ხელშეკრულებას 1990 წლის 14 ნოემბერს ვარშავაში ჩემს კოლეგა სკუბიშევსკისთან ერთად მოვაწერე ხელი.

თუ სასაზღვრო ხელშეკრულება წარსულში შექმნილ ვითარებას ადასტურებდა, მოგვიანებით ბონში ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომელიც კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას და თანამშრომლობას ითვალისწინებდა, მომავლისკენ იყო მიმართული. პოლონეთში, გდრ-ში და ჩეხოსლოვაკიაში მომხდარი მშვიდობიანი განმათავისუფლებელი რევოლუციების და დიულა ჰორნის უნგრული მთავრობისა და მთელი უნგრელი ხალხის გაბედული პოზიციის შედეგად ევროპის ყოფილ კომუნისტურ ნაწილშიც გაიხსნა საზღვრები. ახლა ერთობლივად უნდა გვეზრუნა იმაზე, რომ ეს საზღვარი ღარიბებსა და მდიდრებს შორის გავლებულ მიჯნად არ ქცეულიყო. ამიტომ ჩვენ გადაჭრით დავუჭირეთ მხარი პოლონეთის სურვილს, გამხდარიყო ევროგაერთიანების წევრი: იმ უპირატესობებით, რომელთაც დასავლეთევროპა დიდი ერთობლივი ბაზრის წყალობით გვთავაზობს, შუა და აღმოსავლეთევროპის იმ ხალხებსაც უნდა ესარგებლათ, ხელახლა რომ მოიპოვეს თავისუფლება. ასეთი ხანგრძლივი პროცესის ბოლოში უნდა ყოფილიყო ევროგაერთიანებაში გაწევრიანების პერსპექტივა, ვინაიდან რაც უფრო მეტად დაუახლოვდებოდა პოლონეთი ევროგაერთიანებას, მით უფრო ინტენსიური იქნებოდა გერმანია-პოლონეთის თანამშრომლობა.

გაერთიანებულმა გერმანიამ თავისი ორმხრივი აღმოსავლური პოლიტიკა იმთავითვე დაუკავშირა ევროგაერთიანების აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურებისკენ მიმართულ მცდელობას.

ვარშავაში, 1990 წელს, გავიმეორე: „გერმანია 1990 წლიდან ევროპული გერმანიაა. გერმანიის საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობაც ევროპულია თავისი ხასიათითა და თავისი მიზანდასახულობით. ეს თანამშრომლობა პოლონეთსაც მოიცავს. წარსულს ჩაბარდა ნაციონალური წინააღმდეგობანი ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ორიენტაციაში.“

ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ შუა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან დადებული ახალ ორმხრივ ხელშეკრულებათა წყება ნაციონალურ ძალის პოლიტიკასთან დაბრუნებად არ ყოფილიყო ინტერპრეტირებული. ის ისე უნდა გაეგოთ, როგორც ჩვენ გვქონდა ჩაფიქრებული: არავის ეჭვი არ უნდა შეეპარვოდა, რომ ეს იყო დამატებითი საყრდენი მრავალმხრივი კოოპერაციული და ნაწილობრივ ინტეგრაციული სახელშეკრულებო

მცდელობებისა, რომლებსაც ფედერალური მთავრობა საერთოევროპულ სიბრტყეზე ახორციელებდა. ამ ორმხრივი შეთანხმებებითა და გარიგებებით ევროპის შენება ევროგაერთიანების ფარგლებს მიღმა კონტინენტის ყველა ხალხთა და ეროვნებათა ახალი თანამეგობრობის შექმნას ნიშნავდა. საამისოდ კი არავინ იყო უფრო მეტად მოწოდებული ვიდრე გერმანია და პოლონეთი, რაც წარსულის ტვირთით იყო განპირობებული.

პირველ ყოვლისა ვიმედოვნებდი, რომ ახლა გერმანელთა კულტურულ მემკვიდრეობას აღმოსავლეთ და დასავლეთ პრუსიაში, დანციგში, პომერანიაში და სილეზიაში პოლონეთი ობიექტურად შეაფასებდა, პატივისცემით მოეკიდებოდა და მოუფრთხილდებოდა, როგორც გერმანიის მიერ ევროპის ისტორიასა და კულტურაში შეტანილ წვლილს. ეს კულტურული საგანძური ჩვენი ერთობლივი მემკვიდრეობაა. ის იმსახურებს, რომ ორივე მხარემ მოუაროს მას.

პოლონეთთან დადებულ ხელშეკრულებას ახალი ხიდები უნდა გაედო, ჩვენი ისტორიკოსებისთვის უნდა მოგვეწოდებინა, უფრო ღრმად გაეაზრებინათ ის, რაც ჩვენს ქვეყნებს საერთო ჰქონდათ. ამიტომ გერმანია-პოლონეთის ისტორიის ინსტიტუტის დაარსება ერთ-ერთი ჩვენი მთავარი ჩანაფიქრთაგანი იყო. ჩვენ არ უნდა დაგვევიწყებინა ამ საუკუნის საშინელი მოვლენები, მაგრამ ამასთანავე მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩენოდა, რომ გერმანელებს და პოლონელებს გაცილებით უფრო დიდხანს უცხოვრიათ მშვიდობიანად და კეთილმეზობლურად, ვიდრე მტრულად.

1991 წლის 17 ივნისს მოლაპარაკებათა ექვსი ნაყოფიერი რაუნდის შემდეგ გერმანიასა და პოლონეთს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება კეთილმეზობლური დამოკიდებულებისა და თანამშრომლობის შესახებ. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ბონში ჩამოვიდნენ პოლონეთის პრემიერ-მინისტრი იან კშიშტოფ ბელეცკი და საგრეო საქმეთა მინისტრი სკუბიშევსკი, მოვიწვიეთ ვილი ბრანდტიც. ხელი მოვაწერეთ აგრეთვე შეთანხმებას გერმანელ და პოლონელ ახალგაზრდებთან მუშაობისა და ერთობლივი ეკოლოგიური საბჭოს შექმნის შესახებ, შემდეგ ერთმანეთს გავუცვალეთ ნოტები რეგიონული და საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე თანამშრომლობისთვის გერმანულ-პოლონური სამთავრობო კომისიის მოწყობის შესახებ. სკუბიშევსკიმ და მე ერთმანეთს გადავაწოდეთ ერთნაირი შინაარსის

წერილები, რომლებშიც მოყვანილი იყო ის პუნქტები, ხელშეკრულებით ჯერ კიდევ რომ ვერ მოგვარებულიყო, მაგალითად, პოლონეთში გერმანელთა დასახლების შესაძლებლობის თუ ყოფილ გერმანულ რეგიონებში ორენოვანი ტოპონიმების საკითხი. ამასთან მიმართებით კიდევ ერთხელ გავიხსენე პოლონეთის დელეგაციის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ვარშავა მოცემული დროისათვის მზად იქნებოდა დათმობებზე წასულიყო ბოლო პუნქტთან დაკავშირებით.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უმცირესობათა უფლებებს. გერმანულ უმცირესობას პოლონეთში და პოლონელი ერის წარმომადგენლებს გერმანიაში, ჩვენი შეთანხმებების მიხედვით, უფლება უნდა ჰქონოდათ, „ცალ-ცალკე ან თავიანთი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად თავისუფლად გამოეხატათ, შეენარჩუნებინათ და განევითარებინათ თავიანთი ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური იდენტურობა, ისე, რომ არ ყოფილიყო მცდელობა მათი ძალით ასიმილირებისა. მათ შეუძლიათ თავიანთი უფლებები და თავისუფლებები სრულად და ეფექტიანად გამოიყენონ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და კანონის წინაშე სრული თანასწორობის პირობებში. მათ აგრეთვე უფლება აქვთ, თავისუფლად გამოიყენონ მშობლიური ენა ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გაავრცელონ და ერთმანეთს გაუცვალონ ინფორმაციები ამ ენაზე, მათთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკუთარი განათლების, კულტურისა და რელიგიურ დაწესებულებათა დაარსება და არ უნდა ეკრძალებოდეთ კანონთან თანხმობის პირობებში საზოგადოებრივი მხარდაჭერის ძიება.“ პოლონეთში მცხოვრებ გერმანული უმცირესობის უფლებათა ოფიციალურმა აღიარებამ ნათელყო გერმანია-პოლონეთის ურთიერთობების თვისებრივი ცვლილება 1989 წლის შემდეგ.

რეგიონულ და საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებს შორის თანამშრომლობაზე პასუხისმგებელ გერმანულ-პოლონურ სამთავრობო კომისიას ევალებოდა დაეჩქარებინა საზღვრის ორივე მხარეს მდებარე რეგიონში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა და კონტაქტების განმტკიცება სახელმწიფოებრივ და არასახელმწიფოებრივ დაწესებულებათა შორის. ამ გზით, საზღვრის გაღმა-გამოღმა პირდაპირი კონტაქტების წყალობით უნდა გაცამტვერდეს ანტიგერმანული, შესაბამისად ანტიპოლონური განწყობა.

1991 წლის 19 აგვისტოს ზალცბურგიდან ბონში დაბრუნებას ვაპირებდი, რადგან შუადღისთვის პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჟუაო დე დეუშ პინეიროს ვიზიტი იყო დაგეგმილი. მაგრამ დილაადრიან ტელეფონის ზარმა გამაღვიძა: საგარეო უწყებიდან მოსკოვის პუტჩის შესახებ მაცნობეს. დაგეგმილზე ადრე გამოვფრინდი ბონისკენ, დე დეუშ პინეიროსთან თათბირი ჩემს თანამშრომლებთან მოლაპარაკებით შეიცვალა. მერე სიტუაცია ფედერალურ კანცლერთან ერთად განვიხილე, რომელიც კანცელარიაში პარტიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებს შეხვდა. ყველა იმ გაურკვევლობასთან ერთად, რომლებიც ამგვარ სიტუაციას ახლავს ხოლმე თან, მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერც ის დამეჯერებინა, რომ გორბაჩოვი ავად იყო და ვერც ის, როგორც .მოგვიანებით ამტკიცებდნენ, რომ იგი პუტჩს შეეგუა.

საღამო ხანს მეწვია საბჭოთა ელჩი ვლადისლავ ტერეხოვი, რათა ჩემთვის ახალ ხელისუფალთა განცხადება გაეცნო, თუმცა ეს ისე მოიმოქმედა, რომ ცხადად ჩანდა, იგი პუტჩისტების მხარეს არ იდგა. შეუძლებელი იყო არ შეგემჩნია მისი დისტანციური დამოკიდებულება თავისი დავალების მიმართ. ჩვენ გორბაჩოვის განცხადებას ველოდით, ვუთხარი მე, რომელიც ჯერჯერობით საბჭოთა კავშირის არჩეული პრეზიდენტია-მეთქი. სხვათა შორის, მინდა შეგახსენოთ, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი წესრიგის პატივისცემა ევროთათბირის, განსაკუთრების პარიზის ქარტიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია-მეთქი. ცოტა ხნის მერე მოსკოვში ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილ ევროთათბირის კონფერენციაზე რომ გავემგზავრე, ეს არგუმენტი ჩემი მოხსენების მნიშვნელოვან პუნქტად გამოვიყენე და, სხვათა შორის, საბჭოთა დელეგაციის მხარდაჭერა დავიმსახურე.

მაგრამ ჯერ საქმე აქამდე არ მისულიყო. პუტჩისტები ჯერ კიდევ არ იყვნენ დამარცხებულნი. შთამბეჭდავი გახლდათ რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის გამოსვლა პუტჩისტების წინააღმდეგ; ის ისტორიას ქმნიდა კარგი გაგებით. ელცინმა, რომელსაც მანამდე ერთხელ შევხვდი, იმ დღეებში არა მხოლოდ სიმამაცე, არამედ პასუხისმგებლობისთვის მზადყოფნაც გამოიჩინა. ტელეფონით

რომ ვერ მოვახერხე მასთან დაკავშირება, მოსკოვში ჩვენს ელჩს დოქტორ ბლეხს დავავალე ელცინისთვის ან მისი გარემოცვისთვის ჩვენი სოლიდარობა გამოეცხადებინა.

დამთრგუნველი იყო გორბაჩოვის ოჯახის უკან დაბრუნების ამსახველი კადრები, ასევე გორბაჩოვის გამოსვლა რუსეთის პარლამენტის წინაშე, ელცინთან მისი შეხვედრა და დაპირისპირება. როგორც მთლიანობაში საბჭოთა კავშირისთვის, ასევე რუსეთისთვისაც სასიკეთო იქნებოდა, ამ ორ ადამიანს კვლავ გამოენახა ერთმანეთთან საერთო ენა. ჩემს თანამშრომლებთან ერთად ტელევიზორის ეკრანზე შეფიქრიანებული ვადევნებდი თვალს 23 აგვისტოს, ნაშუადღევს რუსეთის პარლამენტში მიმდინარე მოვლენებს. ამასთან დიდად გავიხარე, ამ პირველი დღეების აურზაურში ჩემი მეგობრის ედუარდ შევარდნაძის მკაფიო ხმა რომ გავიგონე — იგი პუტჩისტების წინააღმდეგ გამოვიდა.

პუტჩის გამოისობით არ შედგა აგრეთვე ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერა რუსეთის, ყაზახეთისა და უზბეკეთის მიერ, რაც 1991 წლის 20 აგვისტოსათვის იყო დაგეგმილი: დაიწყო საბჭოთა კავშირის რღვევა. ბალტიისპირეთის ქვეყნები სულ უფრო და უფრო ხმამაღლა მოითხოვდნენ დამოუკიდებლობას. ელცინის ინიციატივით ამ ქვეყნებმა 1991 წლის 6 სექტემბერს დატოვეს საბჭოთა კავშირი.

უკვე აგვისტოში, პუტჩიდან ცოტა ხნის შემდეგ, ევროკავშირის სახელმწიფოებს შორის დაიწყო კონტაქტები ბალტიისპირეთის ქვეყნების მიმართ ერთობლივი პოზიციის შესამუშავებლად. მათთვის ხელმეორედ ღალატი აღარ შეიძლებოდა; გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას არასოდეს უცვნია მათი მიერთება საბჭოთა კავშირის მიერ. ამიტომ, როდესაც საბჭოთა კავშირში ჩავდიოდი, ყოველთვის უარს ვამბობდი ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში, ანუ როგორც საბჭოეთში ამბობდნენ, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში ვიზიტებზე. ასე რომ, აღიარება კი არ გვაინტერესებდა, არამედ დიპლომატიურ ურთიერთობათა ხელახლა დამყარება. ამიტომ 1991 წლის 23 აგვისტოს რამდენჯერმე ვესაუბრე დანიის საგარეო საქმეთა მინისტრს უფე ელემან-იენსენს, რომელიც ჩემსავით ენერგიულად უჭერდა მხარს ამ ქვეყნებთან დიპლომატიური

ურთიერთობების დამყარებას.

სატელევიზიო ინტერვიუებშიც ამ ნაბიჯის სასარგებლოდ ვილაპარაკე, თან წამოვაყენე წინადადება, რომ ევროგაერთიანება უნდა მომზადებულიყო ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან სამოკავშირეო ხელშეკრულებათა შესახებ მოლაპარაკებების გასამართავად. იმავე დღის „ნორდზეე-ცაიტუნგის“ სტატიაში გავიმეორე ეს მოწოდება, ბოლოს და ბოლოს ამ პოზიციამ გზა გაიკვლია ფედერალურ მთავრობაში. 28 აგვისტოს ბონში ჩამოვიდნენ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, რათა ხელი მოეწერათ შეთანხმებისთვის, რომელიც დიპლომატიურ ურთიერთობათა ხელახლა დამყარებას ითვალისწინებდა. 1991 წლის 8 სექტემბერს, კვირადღეს, მოსკოვში გავფრინდი, რათა მონაწილეობა მიმეღო ჰუმანიტარული საკითხებისადმი მიძღვნილ ევროთათბირის კონფერენციაში, რომელიც 10 სექტემბერს იწყებოდა. დასავლეთში უკვე კარგა ხანი იყო ვიბრძოდი იმისთვის, რომ ეს კონფერენცია მოსკოვში ჩატარებულიყო. ჰოდა ასეც მოხდა: კონფერენცია შედგა, მაგრამ სრულიად შეცვლილ ვითარებაში. მოსკოვშიც და კონფერენციაზეც პუტჩით გამოწვეული შოკი იგრძნობოდა.

ორშაბათ დილით პირველი, ვინც ერთობლივ საუზმეზე ვიხილე, ჩემი მეგობარი ედუარდ შევარდნაძე გახლდათ. მისგან გავიგე, რომ ამასობაში ძალაუფლება ცენტრიდან რესპუბლიკებისკენ გადანაცვლებულიყო. სურათი, რომელიც მან დახატა, რეალისტური გამოდგა. შემდეგ ვესაუბრე იაკოვლევს და გორბაჩოვს, რომელიც დათრგუნული მეჩვენა. მან გულახდილად ილაპარაკა თავის პრობლემებზე. შემდგომ ჩვენი ელჩის რეზიდენციაში შევხვდი სახელმწიფო უშიშროების ახალ შეფს ბაკატინს, ეს გახლდათ ყველა თვალსაზრისით უჩვეულო შეხვედრა. ელჩმა ბლეხმა და მე სენსაციად აღვიქვით, რომ საუბარი საერთოდ შედგა, უფრო სენსაციური კი ის იყო, რომ ბაკატინი ჩვენს რეზიდენციაში მოვიდა, რათა ჩვენთვის განემარტა, როგორ აპირებდა, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი დემოკრატიული კონტროლისთვის დაექვემდებარებინა. ჩანდა, მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რა ბევრს იღებდა საკუთარ თავზე.

ჩემი, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის, გამოცდილებიდან გამომდინარე მოვახსენე მას, რომ ჩვენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ჩვენი ისტორიის გაკვეთილებით ჭკუანასწავლებმა,

მივაღწიეთ იმას, რომ იქ ამგვარი სამსახურები დღესდღეობით დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად მოიაზრებიან, კონსტიტუციას ემსახურებიან და დემოკრატიული კონტროლი მათთვის ბუნებრივი რამ არის.

საგარეო საქმეთა მინისტრებთან ბეიკერთან, ჰერდთან და პანკინთან მოლაპარაკებებს საღამოხანს ლენინგრადის ქალაქის თავთან სობჩაკთან შეხვედრა მოჰყვა; ამ ადამიანმა ჩემზე არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი მკაფიო შეხედულებებით რეფორმაზე. კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაში წამოვაყენე ევროთათბირის რეფორმის პროექტი ხუთ პუნქტად: ევროთათბირის ვალდებულებათა შესრულების მოთხოვნა არავის უნდა მიეჩნია საშინაო საქმეებში ჩარევად; ხელისუფლება, რომელიც ევროთათბირის ვალდებულებათა დარღვევით მივიდოდა ქვეყნის სათავეში, არავის უნდა ეცნო, რეჟიმებს, რომლებიც უხეშად შელახავდნენ პარიზის ქარტიის პრინციპებს, ასევე არ უნდა ჰქონოდათ აღიარების იმედი; მაგრამ პირველ ყოვლისა, და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, ხოლო ევროთათბირისთვის პირდაპირ რევოლუციურიც კი გახლდათ, სათანადო მხარეთა თანხმობის გარეშეც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო პარიზის ქარტიით გათვალისწინებული ღირებულებრივი წესრიგის აღდგენის მოთხოვნა და ევროთათბირის დამკვირვებლების ამოქმედება. ყველაზე ენერგიულად მხარი საბჭოთა დელეგაციამ დამიჭირა.

მოსკოვიდან ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში გავემგზავრე. ვიზიტები ტალინში, რიგასა და ვილნიუსში დაუვიწყარი იქნება ჩემთვის. ლიტველებს, ლატვიელებსა და ესტონელებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, რომ ხელახლა მოპოვებული დამოუკიდებლობა დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის აღმშენებლობისთვის გამოეყენებინათ. საგარეო საქმეთა მინისტრებთან ლენარტ მერისთან, იანის იურკანსთან და ალგირდას საუდარგასთან საუბრებში გავიხსენეთ, თუ რა სრულიად სხვაგვარ გარემოებებში შევხვედრივართ ერთმანეთს — ბერლინში ევროთათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების პირველი კონფერენციის დასასრულს და ბონში, როცა დიპლომატიურ ურთიერთობათა ხელახლა დამყარებაზე შევთანხმდით.

ამასობაში საბჭოთა კავშირში გრძელდებოდა ბრძოლა მისი შენარჩუნებისთვის. მართალია, მსოფლიო მის საშინაო საქმეებში

არ ერეოდა, მაგრამ მაინც მიანიშნებდა, რომ საბჭოთა კავშირის შენარჩუნების მომხრე იყო, თუმცა არა მაინცდამაინც ამავე სახელწოდებით. ამავე პოზიციაზე იდგა ფედერალური მთავრობაც — ჩვენ სიმპათიით ვადევნებდით თვალყურს გორბაჩოვის მცდელობებს, შეენარჩუნებინა საბჭოთა კავშირის ერთიანობა ახალი ფორმით და ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებით. ეს არ იყო მხოლოდ პირადი სიმპათიის გამოხატულება, ამის უკან იდგა შეშფოთება, თუ რა პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ შედეგებს მოიტანდა საბჭოთა კავშირის დაშლა. ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით გვაინტერესებდა ატომური იარაღის საკითხი; პროლიფერაცია არ უნდა დაგვეშვა. თანაც ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, რომ საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ადამიანებს ყოველთვის ნათლად არ ჰქონდათ წარმოდგენილი, რარიგ დიდი დამატებითი ეკონომიკური პრობლემები მოჰყვებოდა საბჭოთა კავშირის დაშლას.

1991 წლის 15 ნოემბერს საბჭოთა კავშირის შვიდი რესპუბლიკა — რუსეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და ბელორუსია — შეუთანხმდნენ პრეზიდენტ გორბაჩოვს „სუვერენულ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ დაარსების შესახებ. ეს იყო უკანასკნელი მცდელობა, ძველი საბჭოთა კავშირისგან დემოკრატიული კონფედერაცია მიგვეღო. ცხადად ვგრძნობდი, თანდათან როგორ ეცლებოდა ხელიდან გორბაჩოვს ხელისუფლება და ინსტიტუციები.

ამასობაში 1991 წლის 19 ნოემბერს სასიხარულო ცნობა მივიღეთ: გორბაჩოვმა ედუარდ შევარდნაძე კვლავ დაასახელა საგარეო საქმეთა მინისტრად. შევარდნაძის გადადგომის შემდეგ მისი პოსტი ჯერ მოქმედმა დიპლომატმა ბესმერტნიხმა დაიკავა, რომელმაც გამოცდილებითა და უტყუარი ინსტინქტით აღჭურვილმა განაგრძო წინამორბედის პოლიტიკა. იული კვიცინსკი, საბჭოთა ელჩი ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომელიც ალბათ 1991 წლის დასაწყისისთვის ელოდა, რომ თავად გახდებოდა შევარდნაძის მემკვიდრე, ჩემი შთაბეჭდილებით უეჭველად ლოიალურად იყო განწყობილი ახალი მინისტრის მიმართ; მე მას არასოდეს დავუვიწყებ, როგორი მოხერხებითა და შემართებით გამოდიოდა საგარეო საქმეთა კომიტეტში „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულების რატიფიცირების სასარგებლოდ, თუმცა იგი, დასაწყისში მაინც, დიდად კმაყოფილი არ ჩანდა

გორბაჩოვისა და შევარდნაძის ახლებური დამოკიდებულებით გერმანიის საკითხისადმი. მაგრამ ბოლოს ორივეს — ბესმერტნიხსა და კვიცინსკის — პუტჩთან დაკავშირებით თავიანთი პოსტების დატოვება მოუხდათ. მე მეეჭვებოდა და მეეჭვება, რომ მათი განთავისუფლებისთვის ნამდვილად არსებობდა საკმარისი საბაბი.

ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა პანკინი, ელჩი პრაღაში, რომელიც აშკარად გამოვიდა პუტჩისტების წინააღმდეგ. მასთანაც სასიამოვნო იყო თანამშრომლობა. თანდათან უფრო და უფრო იკვეთებოდა, განსაკუთრებით პუტჩის დამარცხების შემდეგ, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მხოლოდ ფორმალურად არსებობდა, მართვისა და გადაწყვეტილების მიღების საგარეო პოლიტიკურ ინსტიტუტად იქცა. კარგა ხანი იყო, ეს მოვალეობა დიდი ენთუზიაზმით ჩაიბარა კოზირევმა, ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილმა, თავისი საქმის ცოდნით გამორჩეულმა დიპლომატმა, რომელიც აშკარად რუსეთის პრეზიდენტ ელცინის მფარველობით სარგებლობდა.

შევარდნაძის ხელახალ დანიშვნას საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად მთელი მსოფლიო ეოწონებით შეხვდა. სატელეფონო საუბარში მე მას პირადად ვუთხარი, როგორ გაუხარდათ გერმანიაში გორბაჩოვისა და მისი გადაწყვეტილება. ორიენტაცია კი მაშინ უკვე საბჭოთა კავშირის დაშლისკენ იყო აღებული.

1991 წლის 21 დეკემბერს დაარსდა „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა". ეს იყო საბჭოთა კავშირის დასასრული, ოთხი დღის შემდეგ გორბაჩოვიც გადადგა. მის დამსახურებებს მსოფლიო მასშტაბით მიაგეს პატივი, ფედერალურმა კანცლერმა ჰელმუთ კოლმაც განაცხადა: „არავინ გახდის სადავოდ მის კუთვნილ ადგილს ჩვენი საუკუნის ისტორიაში." მაშინ ჩემს თავს ვკითხე, ყველა მონაწილეს თუ ჰქონდა შეგნებული, რა შედეგები მოჰყვებოდა საბჭოთა კავშრის დაშლას: პოლიტიკური, უსაფრთხოებითი და ეკონომიკური თვალსაზრისით.

1991 წლის 25 დეკემბერს გორბაჩოვმა უკანასკნელად წარმოთქვა სიტყვა როგორც საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა. სატელევიზიო გამოსვლაში იგი დაემშვიდობა თავისი ქვეყნის მოქალაქეებს. საშობაო დღესასწაულის ამ პირველ დღეს ვცდილობდი, ტელეფონით დავკავშირებოდი კაცს, რომელსაც მსოფლიო, ევროპა

და გერმანია ამდენს უმადლოდა. ნაშუადღევს როგორც იქნა დაეუკავშირდი. ეს იყო ბოლო საუბარი, რომელსაც იგი კრემლიდან აწარმოებდა. „როცა ყურმილს დავდებ, კრემლსაც დავტოვებ", თქვა გორბაჩოვმა.

მე მადლობა გადავუხადე ყველაფრისთვის, რაც მას ჩვენთვის გაუკეთებია, გავიხსენეთ „სადგურები", რომლებიც 1986 წელს ჩვენი პირველი შეხვედრიდან მოყოლებული უკან მოვიტოვეთ. პირდაპირ დაუჯერებელია, რა ძლიერ შეიცვალა მსოფლიო ამ ხუთნახევარ წელიწადში. „მე შემეძლო გუშინვე წარმომეთქვა ჩემი სატელევიზიო სიტყვა, მაგრამ არ მინდოდა თქვენთვის საშობაო სუფრა ჩამემწარებინა", იხუმრა მან. ორივემ გავიცინეთ, თუმცა, კაცმა რომ თქვას, სიცილის გუნებაზე არ გახლდით. მე დავრეკე, რათა გორბაჩოვს ამ მძიმე დღეს სცოდნოდა, რომ მას, რაც არ უნდა მომხდარიყო, შეეძლო ჩემი იმედი ჰქონოდა. დავარწმუნე, რომ გარანტირებული ჰქონდა გერმანელთა მადლიერება არა მხოლოდ გერმანიის ერთიანობისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ ის იყო კაცი, ვინც აღმოსავლეთ-დასავლეთის საპედისწერო კონფლიქტს ბოლო მოუღო. მას უნდა სცოდნოდა, რომ მეგობრები არ დაივიწყებდნენ.

მთელი ეპოქა დასრულდა. დაიწყო გორბაჩოვის შემდგომი პერიოდი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის შემდგომი პერიოდი. ახლა საჭირო იყო პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა ყველა მემკვიდრე სახელმწიფოში, მით უფრო, რომ რამდენიმე მათგანი ბირთვული იარაღის უზარმაზარ არსენალს ფლობდა, ეს იყო საფრთხის უზომოდ დიდი პოტენციალი. დასავლურ გაერთიანებებში ჩვენ მხარს ვუჭერდით რუსეთის აღიარებას საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრედ. აპას მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოში მუდმივი ადგილის დასაკავებლად, არამედ აგრეთვე იმ ვალდებულებათა შესრულების თვალსაზრისითაც, რომლებიც საბჭოთა კავშირს ჰქონდა აღებული ბირთვული პოტენციალის შეზღუდვასა და შემცირებასთან დაკავშირებით.

1991 წლის 20 დეკემბერს შედგა ჩრდილოატლანტიკური კოოპერაციული საბჭოს პირველი სხდომა, რომელზედაც თავი მოიყარეს ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა და ვარშავის ხელშეკრულების ყოფილმა წევრმა ქვეყნებმა. ასეთი ორგანოს შექმნის წინადადება

მე და ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეიკერმა წამოვაყენეთ, რათა ვარშავის ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ უსაფრთხოების ვაკუუმი არ გაჩენილიყო; პირიქით, უსაფრთხოების კოოპერაციული ფორმების განვითარება იყო საჭირო.

ბრიუსელში გამართული სხდომის დროს მოხდა ერთ-ერთი იმგვარ სენსაციათაგანი, რომლებიც მაშინ უკვე თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმებოდა: საბჭოთა დროშა ჩამოხსნეს და რუსმა დელეგატმა განაცხადა, რომ მან ეს-ესაა მიიღო ინსტრუქცია, რომლის ძალითაც იგი ამიერიდან რუსეთის წარმომადგენელი ხდებოდა. წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავდა ჩვენთვის ის ამბავი, რომ ნატოს დარბაზში, სადაც ჩვენ წარსულში უკიდურესად გასაიდუმლოებულ საკითხებზე ემსჯელობდით, ახლა ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების წარმომადგენლებთან ერთად უნდა გვეთათბირა? მსოფლიო მართლაც რომ შეიცვალა.

სულ რამდენიმე თვით ადრე, 1991 წლის 9 ოქტომბერს სოფიაში ჩემს ბულგარელ კოლეგასთან ვიქტორ ვალკოვთან ერთად ხელი მოვაწერე გერმანია-ბულგარეთის ხელშეკრულებას ევროპაში მეგობრული თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ. პირველი პარაგრაფი ეხებოდა ორმხრივ ურთიერთობათა გაუმჯობესებას, აგრეთვე ერთობლივი ევროპის შექმნას, „რომელშიც ადამიანის უფლებები და თავისუფლებები დაცული იქნებოდა დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთა საფუძველზე და საზღვრები თავიანთ განმაცალკევებელ ხასიათს იმის გამოც დაკარგავდნენ, რომ ეკონომიკური და სოციალური განსხვავებანი წაიშლებოდა.“ მე-2 პარაგრაფში ევროთათბირის დასკვნითი აქტისა და პარიზის ქარტიის დამოწმებით ორივე მხარე აღიარებდა კონფლიქტების არაძალადობრივი გზით გადაწყვეტის პრინციპს. მე-3 პარაგრაფი კი ითვალისწინებდა საკონსულტაციო ვალდებულებას ევროთათბირისა და გაეროს ჩარჩოებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მე-15 პარაგრაფს, რადგან მასში მკაფიოდ იყო აღნიშნული, რომ საჭიროა თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში, განსაკუთრებით დუნაის ეკოლოგიური დატვირთვის შემცირებისა და ატომურ ელექტროსადგურთა უსაფრთხოების ამაღლების მოზნით.

ხელმოწერის ცერემონიაზე, რომელშიც ბულგარეთის პრეზი-

დენტი შელევიც მონაწილეობდა, პატივი მივაგე გერმანია-ბულგარეთის ისტორიულად მჭიდრო ურთიერთობებს, იმავდროულად ხაზი გავუსვი განახლების შესაძლებლობას და ახალ პერსპექტივებს. ამ ხელშეკრულებას ნამდვილად არ ევალებოდა წარსულის პრობლემების მოგვარება. ამას გარდა მასში ისიც აისახა, რომ ფედერალური მთავრობა ცდილობდა, ხელი შეეწყო ევროპის ახალი დემოკრატიებისთვის და მათთვის ევროგაერთიანებისკენ მიმავალი გზა გაეკვალა. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნე: „ბულგარეთმა თვითონ შეიმუშავა გაბედული და კოჰერენტული სარეფორმო პროგრამა. მისი განხორციელება მსხვერპლს მოითხოვს. უამისოდ განახლების საქმე არ გამოვა. ამის მისაღწევად გადამწყვეტი წინაპირობაა ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის სტაბილური კონსენსუსი რეფორმათა აუცილებლობის შესახებ. ხსნა უნდა ვეძიოთ მხოლოდ გაბედულ წინსვლაში და არა უკან-უკან ცქერაში.“ ეს ხელშეკრულება მნიშვნელოვანი წვლილი აღმოჩნდა, მშვიდობისა და თანამშრომლობის იმ საერთოევროპული წესრიგის მშენებლობაში შეტანილი, ევროპის ყველა ხალხსა და ჩრდილოამერიკულ დემოკრატიებს რომ მოიცავს.

ვიზიტი ყაზახეთსა და უკრაინაში

1991 წლის ოქტომბერში მივიჩნიე, რომ დადგა დრო, წარმოდგენა შემექმნა საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვან რესპუბლიკებში მიმდინარე განვითარების პროცესებზე. გადავწყვიტე, გავმგზავრებულიყავი ყაზახეთსა და უკრაინაში. ასეთი თანმიმდევრობა შეგნებულად იქნა არჩეული, რადგან ამ მოგზაურობას არამც და არამც არ უნდა შეეწყო ხელი საბჭოთა კავშირში ცენტრიდანული ძალების გაძლიერებისთვის, აგრეთვე მოსკოვის ხელმძღვანელობასთან დამოკიდებულებაც არ უნდა გართულებულიყო. ისევე როგორც იუგოსლავიის შემთხვევაში, აქაც არ გვსურდა, ხელი შეგვეწყო უწინდელი, სხვადასხვა ხალხთა და ეროვნებათა გამაერთიანებელი სტრუქტურების დაშლისთვის. ჩვენი პრინციპი ის იყო, რომ ყველა ხალხს, მათ შორის საბჭოთა კავშირის ხალხებსაც, თავიანთი სამომავლო ბედი თვითონ გადაეწყვიტათ და ჩვენ მათ გადაწყვეტილებას პატივისცემით მოვეკიდებოდით. ყაზახეთის პრეზიდენტი ნაზარბაევი

იმ პოლიტიკურ ხელმძღვანელთა რიგს მიეკუთვნებოდა, რომლებიც გორბაჩოვთან ერთად ცდილობდნენ, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა თანაცხოვრების ახალი წესები შეემუშავებინათ. ხოლო კიევში კავშირიდან გამოცალკევების პროცესი უკვე ძლიერ შორს იყო წასული.

ოთხშაბათს, 16 ოქტომბერს, კაბინეტის სხდომის შემდეგ, ჩემს მეუღლესთან ერთად გავფრინდი ალმა-ათაში, სადაც საღამოხანს ჩავედით, როცა ადგილობრივი დროით 21 საათს ცოტა გადასცილებოდა. აეროპორტში დაგვხვდა პრეზიდენტი ნაზარბაევი მეუღლითურთ და გულითადად მოგვესალმა. ერთ მანქანაში ნაზარბაევი და მე ჩავსხედით, მეორეში მეუღლეები და ქალაქში, პრეზიდენტის რეზიდენციისკენ გავემგზავრეთ.

ჩვენ ოთხმა ვივახშმეთ თარჯიმანთა თანხლებით, რომლებიც ჩვენს უკან ისხდნენ. სუფრა ხუთი კაცისთვის იყო გაშლილი და, ბუნებრივია, ჩემს თავს ვეკითხებოდი, ეს მეხუთე ვინ უნდა ყოფილიყო. ბოლოს, კარგა ხნის შემდეგ გამოჩნდა პრეზიდენტის ქალიშვილი, რომელსაც, როგორც ჩანს, თავიდანვე უნდა მიეღო ტრაპეზში მონაწილეობა. იგი თორმეტი-ცამეტი წლისა თუ იქნებოდა და აშკარად ეტყობოდა, ჩვენთან ერთად სუფრასთან ჯდომა ვერავითარ სიამოვნებას ვერ მიანიჭებდა. მალე დაგვტოვა კიდეც შეუძლოდ ყოფნის საბაბით. ძალიან კარგად მესმოდა მისი — ჩემი ქალიშვილი მსგავს სიტუაციაში ზუსტად ასევე მოიქცეოდა. კერძები, ამ ქვეყნის ტრადიციების მიხედვით შერჩეული, ჩემთვის მაინც და მაინც მიმზიდველი ვერ იყო, ჯერ მარტო იმის გამო, რომ მათში ცხვრის ხორცი დომინირებდა. საუბარი ნაზარბაევს მიჰყავდა. მალევე ჩამოაგდო სიტყვა ყაზახეთის იმჟამინდელ მდგომარეობაზე და თავისი წარმოდგენები გამიზიარა ქვეყნის მომავალზე. პირველ ყოვლისა, თქვა მან, ქვეყანა ეკონომიკურად სწრაფად უნდა განვითარდესო. საამისოდ აქ მცხოვრები გერმანელები მჭირდება, რომლებსაც თავიანთი ეროვნული იდენტურობის სრული გამოვლენის საშუალებას მივცემო. ეს უზარმაზარი ქვეყანა, სადაც მოსახლეობა მცირერიცხოვანია, მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით და გერმანიას შეეძლო ყაზახეთისთვის საინტერესო პარტნიორი ყოფილიყო.

ამ საათნახევრიანი ვახშმის შემდეგ ნაზარბაევმა მითხრა, მინდა ჩემი რეზიდენციაც გაჩვენოო, და ამრიგად დავშორდით

ქალბატონებს. შემდგომ კი შევიტყვე, რომ ნაზარბაევის მეუღლე მაშინვე თავის ქალიშვილთან წასულა, ასე რომ, ჩემს მეუღლეს კარგა ხანს მოუწია მარტო ყოფნამ და ბოლოს ჩვენი რეზიდენციისკენ გამოეშურა. ნაზარბაევმა შემომთავაზა, მისი აუზი დამეთვალიერებინა და მისი საუნით მესარგებლა. მან სიცილით მითხრა, თავს ვალდებულად ვთვლი ასე მოვიქცე, რადგან საგარეო საქმეთა მინისტრი ბეიკერიც ნამყოფია ჩემს საუნაშიო. როდესაც მას ბეიკერისთვის ერთი სატელეფონო საუბრის დროს ჩემი მომავალი ვიზიტის შესახებ უცნობებია, ბეიკერს უთქვამს: „აბა, ჰანს-დიტრიხი აუცილებლად საუნაში უნდა დაპატიჟოთო.“

საუნის შემდეგ დავსხედით ვესტიბიულში, რომელიც ხის ავეჯით მართლაც რომ მყუდროდ იყო მოწყობილი. ბლომად ალკოჰოლიანი სასმელები მოგვაწოდეს, მაგრამ მე მხოლოდ ცოტა შევსვი. ნაზარბაევმა მითხრა, დრო ბევრი მაქვს და მინდა გამოწვლილვით გესაუბროთ სამომავლო განვითარების შესაძლებლობათა შესახებო.

ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გორბაჩოვის პოზიციის მისეულ შეფასებას. თუმცა ისიც მინდოდა მცოდნოდა, რა აზრის იყო იგი ელცინზე. ჩანდა, ნაზარბაევს არ სურდა კავშირის დაშლა, მაგრამ დაინტერესებული იყო ცალკეული რესპუბლიკებისა და მათი პრეზიდენტების გაძლიერებით; ამ თვალსაზრისით გორბაჩოვს შეეძლო გარკვეულწილად მისი მხარდაჭერის იმედი ჰქონოდა. ელცინის შესახებ ნაზარბაევი დიდხანს და გულითადად მესაუბრა. ორი საათის შემდეგ მასპინძელს დავემშვიდობე და ჩემი რეზიდენციისკენ გავწიე, რათა მეორე დღისთვის კარგად დამესვენა.

მეორე დღე საგარეო საქმეთა მინისტრთან ქალბატონ აკმარალ არისტანბეკოვასთან ვიზიტით დაიწყო, რომლის რეზიდენცია ცარისტული ეპოქის სტილის მომცრო შენობაში იყო მოთავსებული. საუბარის დასაწყისში აღვნიშნე, რომ საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენათა განვითარებას დიდი ინტერესით ვადევნებ-მეთქი თვალყურს; კარგად მესმის, რომ ყაზახეთი გამორჩეულად მნიშვნელოვანი რეგიონია ამ ქვეყნის მომავლისთვის და განსაკუთრებით პრეზიდენტი ნაზარბაევი თამაშობს-მეთქი გადამწყვეტ როლს.

საგარეო საქმეთა მინისტრი თავის მხრივ ძალზე გულითადად მომესალმა. ჩემი გერმანელი კოლეგის ვიზიტს ყაზახეთში დიდი

მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ხელმძღვანელობისთვისო, აღნიშნა მან. ჩვენ ვისაუბრეთ გერმანიასა და ყაზახეთს შორის ეკონომიკურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობებზე, რომლებიც, როგორც იგი მარწმუნებდა, ბოლო დროს შესანიშნავად განვითარდა. არსებობს თორმეტი ყაზახურ-გერმანული ერთობლივი საწარმო, ამას გარდა გერმანიაში უკვე ორჯერ მოვაწყვეთ კულტურის დღეებიო, მითხრა მან. მისი თქმით, ჩემი ვიზიტი დაემთხვა რადიკალური ეკონომიკური რეფორმების რთულ პერიოდს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას მოასწავებდნენ. ახლა პარლამენტი საზღვარ-გარეთული ინვესტიციებისთვის და თავისუფალი ეკონომიკური ზონების მოსაწყობად საკანონმდებლო ბაზას ქმნისო. პრეზიდენტი ნაზარბაევი თანასწორობაზე დაფუძნებული კავშირის შენარჩუნების მომხრეაო; ამიტომ ყაზახეთმა ჯერ კიდევ შარშან გამოაცხადა თავისი სუვერენიტეტიო. ყაზახეთი, უნიკალური თავისი მრავალეროვანი მოსახლეობით, დიდ სამეცნიერო და ეკონომიკურ პოტენციალს ფლობს და ხალხთა თანამეგობრობის სრულფასოვანი, თანაბარუფლებიანი წევრი იქნებაო.

განსაკუთრებულად ვაფასებ იმას, რომ ყაზახეთი მხარს უჭერს კავშირის შენარჩუნებას-მეთქი, აღვნიშნე მე. ჩვენ ყურადღებით მოვეკიდეთ რესპუბლიკათა შორის თანამშრომლობის ხელახალი დამყარების მცდელობებს და მეც იმ აზრისა გახლავართ, რომ ჩვენს ურთიერთობებს განვითარების პერსპექტივა აქვს-მეთქი. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გერმანელთა მდგომარეობა ყაზახეთში. თუ მათ თავიანთი კულტურული იდენტურობის გამოვლენის საშუალება მიეცემათ — რითაც ჩვენ განსაკუთრებით ვართ დაინტერესებულნი —, მაშინ ეს სასარგებლო იქნება არა მხოლოდ კულტურის სფეროში მომავალი თანამშრომლობისთვის, არამედ ხელს შეუწყობს გერმანელ ინვესტორთა ყაზახეთით დაინტერესებას, ეს ქვეყანა ხომ მდიდარია ნედლეულითა და ენერგომატარებლების საბადოებით. სამაგიეროდ ჩვენ ძალგვიძს ტექნოლოგიურ განვითარებასა და წიაღისეულის უკეთ ათვისებაში დიდი წვლილი შევიტანოთ. ამასთან შეგვიძლია ახალ ფედერალურ მხარეებში მიღებული ჩვენი გამოცდილების საფუძველზე სოციალისტური ეკონომიკის საბაზროე კონომიკად გარდაქმნისას რჩევითა და საქმით მხარში ამოგიდგეთ; საბაზრო-ეკონომიკური სტრუქტურების აღმშენებლობა რომ ადვილი საქმე არ არის, ამას ვერ დაგიმალავთ-მეთქი.

შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრმა აღმიწერა, როგორ ახორციელებდნენ რესპუბლიკები თავიანთი საგარეო პოლიტიკის კოორდინირებას. 1991 წლის იანვრიდან არსებობს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, რომლის ბოლო სხდომაზე სექტემბერში განხილულ იქნა აგრეთვე კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალი სტატუსისა და ფუნქციების საკითხიცო, თქვა მან. ეს საბჭო უნდა იქცეს კავშირისა და რესპუბლიკების სტრატეგიული კოორდინირების ორგანოდ, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით რესპუბლიკებს მოეკიდებაო. ამით გარანტირებული იქნება ის, რომ რესპუბლიკებიც მიიღებენ მონაწილეობას კავშირის საგარეო-პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში; თავიანთ ორმხრივ ინტერესებს კი თავადვე მიხედავენ. ყაზახეთი უკვე საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა მინისტრმა ახსენა პრეზიდენტ ნაზარბაევის ვიზიტი ჩინეთში და ამ ქვეყნის ხელმძღვანელობასთან გამართული დიალოგი პეკინში. დინამიკური ურთიერთობები ვითარდებოდა აგრეთვე თურქეთთან, კორეასთან და აშშ-თან, როგორც ამას საგარეო საქმეთა მინისტრ ბეიკერის ვიზიტიც ადასტურებდა. სანამ ის საუბრობდა, მე ვფიქრობდი იმ პრობლემებზე, რომლებიც, მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, მაინც დასაძლევი იყო ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში. კოოპერაციის აქ გათვალისწინებული ფორმა უფრო რთული უნდა ყოფილიყო.

საგარეო საქმეთა მინისტრთან საუბარი რომ დამთავრდა, პრეზიდენტისკენ გავეშურე. იგი კიდევ ერთხელ დიდი გულითადობით მომესალმა და მკაფიოდ წარმოაჩინა ჩემი წვლილი გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის, აგრეთვე ყაზახეთთანაც, ურთიერთობათა განვითარების საქმეში. გულწრფელად მოგვილოცა გერმანიის გაერთიანება. შემდეგ ილაპარაკა ჩვენს ძალისხმევაზე გეგმიურ-ეკონომიკური სტრუქტურების საბაზროეკონომიკურ სტრუქტურებად გარდაქმნის საქმეში. გარდა ამისა მან დაახასიათა პარლამენტის მუშაობა ყაზახეთის კანონებზე, რაც ამ კანონების საბაზრო ეკონომიკასთან მისადაგებას ისახავდა მიზნად. საუბარში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ახალმა პრემიერ-მინისტრმა ტერეშენკომ, რომელსაც, შემთხვევით ვისარგებლე და, პოსტზე დანიშვნა მივულოცე.

ნაზარბაევმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ გერმანია

ასეთ ცხოველ ინტერესს იჩენდა ყაზახეთში მოვლენათა განვითარების მიმართ. მოხარული ვარ, რომ ჩვენი გუშინდელი საუბარი, რომელიც ღრმაშინაარსიანი და ნდობით აღსავსე გამოვიდა, ამხანაგურ, მეტიც, მეგობრულ ატმოსფეროში წარიმართაო, თქვა მან. ხოლო ღირსეული მიუზღო რა გერმანიის პოზიციას ევროგაერთიანებაში და ჩვენს დამსახურებებს ევროპის გაერთიანების საქმეში, გამოთქვა იმედი, რომ გერმანიის დახმარებით ყაზახეთიც შეძლებდა ევროგაერთიანებასთან კარგი დამოკიდებულების დამყარებას. მე ძალებს ვიკრებ ქვეყნის მოდერნიზაციისთვისო, თქვა მან. მართალია, ნედლეული და ენერგია დიდი რაოდენობით გვაქვს, მაგრამ ნაცვლად არსებული კოლონიური ეკონომიკის გაგრძელებისა – ასე უწოდა მან ნედლეულის ექსპორტზე დამოკიდებულებას –, გვირჩევნია ხანგრძლივი ვადით რაც შეიძლება მეტი პროდუქცია ვაწარმოოთ საკუთარ ქვეყანაშიო. ეს ზედმიწევნით შეესაბამებოდა ჩვენს წარმოდგენებს საერთოევროპულ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. ევროგაერთიანება უნდა დაინტერესებულიყო იმ ეკონომიკური პარტნიორებით, რომელნიც საკუთარი ეკონომიკის განვითარებისთვის იღვწოდნენ და არ სურდათ მხოლოდ ნედლეულისა და ენერგიის მიმწოდებლად დარჩენილიყვნენ. თუმცა ისიც საჭირო იყო, რომ ამ ქვეყნებს ეს როლი მომავალშიც შეესრულებინათ, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ, როგორც ვალუტის წყარო, მათთვის შეუცვლელნი ვიყავით, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დივერსიფიკაციას ნედლეულითა და ენერგიით ჩვენი მომარაგებისა, რაც დასავლეთ-აღმოსავლეთის კონფლიქტის შედეგად აქამდე უპირატესად სამხრეთიდან ხორციელდებოდა.

მადლობა მოვახსენე ნაზარბაევს იმისთვის, რომ საშუალება მომცა, შევხვედროდი ყაზახეთის ხელმძღვანელობას. ვუთხარი, ჩვენი გუშინდელი საუბარი, რომლის დროსაც გამაცანით თქვენი მოსაზრებები საბჭოთა კავშირის ახლებური მოწყობის, აგრეთვე ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ, ჩემთვის დიდი შენაძენია-მეთქი. საზღვარგარეთთან თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანია, სწრაფად გაირკვეს, მომავალში რა გზას დაადგება კავშირი და რა გზას – რესპუბლიკები, და ვიმედოვნებ, რომ სამომავლო გადაწყვეტილებისთვის პასუხისმგებელნი ამას გაითვალისწინებენ-მეთქი. გერმანელთა საქმე არ არის, განვაგრძე მე, ყაზახეთს ან სხვა რესპუბლიკებს

ურჩიონ, დამოუკიდებლები გახდნენ თუ კავშირში დარჩნენ. მაგრამ საჭიროა, მკაფიო წარმოდგენა გვქონდეს მომავალ დამოკიდებულებათა და ურთიერთობათა შესახებ, ამას მოწმობს ჩვენი გამოცდილებაც. ჩვენ ჩვენის მხრივ გვსურს, ჩვენი მცდელობები იქითკენ მივმართოთ, რომ 1993 წლის 1 იანვრისთვის განხორციელდეს ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ინტეგრაცია საერთო შიდა ბაზარში და 1991 წელსვე მიღებულ იქნეს გადაწყვეტილებანი პოლიტიკური კავშირის შესახებ. განვითარება მიემართება არა ახალი საზღვრების დადგენის, არამედ უკვე არსებულთა დაძლევის გზით. ეს უმალ ახალი ფორმით ერთად დარჩენის სასარგებლოდ მეტყველებს-მეთქი.

რა თქმა უნდა, ჩვენ დიდად დაინტერესებულნი ვართ ყაზახეთთან ურთიერთობით, ვთქვი მე. იმასთან დაკავშირებით, რომ სულ უფრო და უფრო მეტი გერმანელი ტოვებდა საბჭოთა კავშირს, მე განვაცხადე, რომ თითოეულ მათგანს უფლება ჰქონდა, თავად მიეღო გადაწყვეტილება, რაც, რასაკვირველია, ძირითადად იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ რომელი ქვეყანა თვითგამოვლენის რა შესაძლებლობებს სთავაზობდა მათ. ამიტომ პრეზიდენტის ჩანაფიქრი, ინვესტიციები გერმანელებით დასახლებულ რაიონებშიც მოიზიდოს, მართებულია-მეთქი; ამით იგი ალბათ შეძლებს, გერმანელ ინვესტორებზე დადებითი ზეგავლენა მოახდინოს, და ისინი ხიდის ფუნქციას იკისრებენ-მეთქი. წინადადება წამოვაყენე, გერმანიიდან ყაზახეთში დელეგაცია წარგვეგზავნა, რომელიც ეკონომიკის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებას შეისწავლიდა და იმავდროულად გერმანული ენისა და კულტურის ხელშეწყობისთვისაც იზრუნებდა. ჩვენ გვსურს, რომ თანამშრომლობისთვის ყველა თვალსაზრისით ხელსაყრელი გარემო შეიქმნას; შემდეგ შესაძლოა უკეთესი წინაპირობები გაჩნდეს ყაზახეთში მცხოვრებ გერმანელთა კულტურული და ეროვნული იდენტურობის თავისუფალი გამოვლენისთვის. ჩვენ აგრეთვე მზად ვართ ალმა-ათაში რაც შეიძლება მალე დავაარსოთ გოეთეს ინსტიტუტი. მანამდე კი საჩქაროდ უნდა დასრულდეს მოლაპარაკებები-მეთქი.

ნაზარბაევის შენიშვნა ტელეკომუნიკაციის შეფერხებათა თაობაზე გამოვიყენე, რათა მისთვის განმემარტა, რომ ჩვენ ევროპის ხალხთა დიდ საზოგადოებრივ დავალებად მიგვაჩნდა საერთოევროპული ინფრასტრუქტურის შექმნა. ეს ტელეკომუნიკაციის გარდა ტრანსპორ-

ტისა და ენერგეტიკის სფეროებსაც ეხება-მეთქი. თუ აქ კავშირის დამყარება მოვახერხეთ, ევროპის ქვეყნები უფრო დაუახლოვდებიან ერთმანეთს. თქვენი დაინტერესება,— ვუთხარი მე,— ევროგაერთიანებასთან და გერმანიასთან თანამშრომლობით მესმის, როგორც ევროპასთან კოოპერაციის პერსპექტივისკენ მიბრუნება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამის ცოდნა — ასეთი საპასუხისმგებლო პოლიტიკა კეთილ ნაყოფს გამოიღებს-მეთქი.

შემდეგ ნაზარბაევი წინა დღის საუბრის თემას დაუბრუნდა და თქვა, რაკი ყაზახეთი მრავალეროვანი სახელმწიფოა, დაინტერესებული ვარ კავშირის შენარჩუნებითო. იგი შიშობდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა ტერიტორიული პრეტენზიების გაჩენას გამოიწვევდა, რასაც გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვებოდა. მისი აზრით, შესაძლოა იმაზე უარესი სიტუაცია შექმნილიყო, ვიდრე იუგოსლავიაში და ეს მსოფლიო მასშტაბის კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევდა. ამის გამოც მინდა, განვაგრძო ჩემი პოლიტიკა და ადამიანის უფლებათა გარანტიის საკითხში მაგალითის მიმცემის ფუნქცია ვიკისროო, თქვა მან.

მე მივუგე, რომ მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები საბჭოთა კავშირის მომავლის შესახებ ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. შემდეგ დავუმატე, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებები ძალაში უნდა დარჩეს და ფინანსური ვალდებულებები შენარჩუნებულ იქნეს-მეთქი; ამაზე ნაზარბაევი უყოყმანოდ დამეთანხმა. საერთოდ მთელ დასავლეთში გაგებით ეკიდებიან-მეთქი იმას, რომ სოციალიზმის ათწლეულების შემდეგ რესპუბლიკებს სურთ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება. ამავდროულად ის შესაძლებლობებიც უნდა გავითვალისწინოთ, რასაც ურთიერთთანამშრომლობა გვთავაზობს, როგორც ამას ევროგაერთიანების წევრი ქვეყნები აკეთებენ, თუმცა ეს როდი ნიშნავს, თითქოს გვინდოდეს, ჩვენი მოსაზრება თავს მოგახვიოთ-მეთქი.

მე განვაგრძე: ისტორიამ გვასწავლა, რომ საზღვრების ძალმომრეობით შეცვლა დაუშვებელია, ეს პრინციპი გულისხმობს უმცირესობათა უფლებების პატივისცემას, ჰელსინკის დასკვნითი ხელშეკრულების ყველა დებულების პატივისცემას. ამჟამინდელი სიტუაცია იუგოსლავიაში შეცდომათა მთელმა წყებამ განაპირობა, განსაკუთრებით კი ერთი ერის პრეტენზიამ, ჰეგემონი ყოფილიყო

მრავალეროვან სახელმწიფოში. ევროპის საზღვრები გამუდმებით იცვლებოდა ისტორიის განმავლობაში — რასაც ცუდი შედეგები მოსდევდა —, მაგრამ ისტორიული საზღვრების შესახებ აღარავინ კამათობს. მზერა ერთობლივად მომავლისკენ უნდა მიემართოთ. ჩვენ მზად ვართ, საბჭოთა კავშირთან და რესპუბლიკებთან ისე ვითანამშრომლოთ, როგორც საბჭოთა კავშირის ხალხებს მიაჩნიათ სწორად-მეთქი.

ნაზარბაევი დამეთანხმა. მან განაცხადა, რომ სურდა დაეჩქარებინა მოლაპარაკებები რესპუბლიკათა შორის ეკონომიკური ხელშეკრულების დადების შესახებ, რათა მერე პოლიტიკური ხელშეკრულებისთვის ეზრუნა. მჯერა, რომ რესპუბლიკები კონფედერაციად გაერთიანდებიანო, თქვა მან. ეს არავითარ საფრთხეს არ გვიქადის; ბევრი სახელმწიფო წარმოადგენს კონფედერაციას. როგორც კი რესპუბლიკები იგრძნობენ, რომ ტოტალიტარული ცენტრი აღარ არსებობს, ეს კი პირველ ყოვლისა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი, კვლავ გაძლიერდება ბუნებრივი სწრაფვა თანამშრომლობისკენ. როგორც კი ამჟამინდელი პოლიტიკური დავა ჩაცხრება, რესპუბლიკები ვალდებულნი იქნებიან, გააუმჯობესონ თავიანთი მოსახლეობის ცხოვრების პირობები და ეს მხოლოდ მჭიდრო კოოპერაციის ვითარებაში თუ მოხერხდებაო. ახლა კი საჭიროა, გორბაჩოვს დავუჭიროთ მხარი: იგი ერთადერთი მაინტეგრირებელი ფიგურაა ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებშიო.

ისევე, როგორც წინა საღამოს, ახლაც ხაზი გავუსვი გორბაჩოვის როლს გერმანიის გაერთიანების საქმეში, აგრეთვე საბჭოთა კავშირში მოვლენათა განვითარებასა და საერთაშორისო პოლიტიკაში. საუბრის შემდეგ დამრჩა მყარი შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა კავშირში თავისუფალი კონფედერაციული კავშირის შენარჩუნება ნაზარბაევის გულწრფელი სურვილი იყო. მას, ჩანდა, ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რა უზარმაზარ პრობლემებს წარმოშობდა საბჭოთა კავშირის სრული დაშლა. გორბაჩოვის შესახებ წარმოთქმული სიტყვებიც გულწრფელი მეჩვენა; და პირიქით, გორბაჩოვისგან მსგავსი შეფასება მქონდა მოსმენილი ნაზარბაევის შესახებ.

ნაზარბაევი მიეკუთვნებოდა საბჭოთა კავშირის უძლიერეს პოლიტიკურ პიროვნებათა რიცხვს ამ კავშირის არსებობის ბოლო ფაზაში. იგი იყო აგრეთვე ერთ-ერთი ყველაზე შორსმჭვრეტელი

წარმომადგენელი 1992 წლის დასასრულიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაჩენილი სუვერენული სახელმწიფოებისა. ისტორია გვიჩვენებს, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიკური რეორგანიზაციის მისეული პრაგმატული კონცეფცია უფრო ხანგრძლივად წარმატებული იქნება, თუ სხვა მოდელები. გარდამავალ პერიოდში მან მოახერხა შეენარჩუნებინა თავისი მრავალეროვანი სახელმწიფოს სტაბილურობა. ეს კი ბევრს ნიშნავს.

ქალაქში ჩვენი მგზავრობისას ვათვალიერებდით ალმა-ათას, რომელიც კოლონიური ქალაქივით არის გაშენებული, სწორკუთხა, თითქოს სახაზავ დაფაზე გამოსახული ქუჩებით. დილით დიდების მემორიალთან ყვავილების გვირგვინი დავდეთ, შემდეგ კი იქაურ გერმანელთა წარმომადგენლებს შევხვდით. დიდ დარბაზში ნახევარწრედ დავსხედით, მე მცირე მისასალმებელი სიტყვა წარმოვთქვი. შემდეგ კი გერმანელთა წარმომადგენლებმა ილაპარაკეს. მალე ნათელი გახდა, რომ საბჭოთა კავშირიდან და ყაზახეთიდან გამგზავრება გერმანელთა უდიდესი ნაწილის სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა. ერთმა ქალმა, რომელიც დაახლოებით ჩემი ასაკისა გახლდათ, ეს სურვილი ისეთნაირად გამოხატა, რომ განსაკუთრებით მომხვდა გულზე. მან მოგვითხრო, 1941 წლის ზაფხულში, საბჭოთა კავშირზე ჰიტლერის თავდასხმის შემდეგ, იგი თავის მშობლებთან ერთად ვოლგისპირეთიდან როგორ გაუყენეს ციმბირის გზას; იქიდან იგი მოგვიანებით ყაზახეთში გადავიდა, სადაც თავის მომავალ გერმანელ მეუღლეს შეხვდა, რომელსაც მსგავსი თავგადასავალი გადახდენოდა. „ჩვენ არ გვსურს ყაზახეთში დარჩენა. ჩვენ არც ის გვინდა, როგორც ზოგიერთ აქაურს, რომ საცხოვრებლად სხვაგან გადავიდეთ, რათა ყირიმში ან სხვა ადგილას ახალი სამშობლო ვპოვოთ. ჩვენ შინ გვინდა, გერმანიაში. მე მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს, მინდა, ჩემი შვილიშვილები გერმანიაში გაიზარდნონ.“ ვინ შეეკამათებოდა ამ ქალს, რომელსაც ამდენჯერ გასცრუებია იმედი? ვგრძნობდი, უფლება არ მქონდა, რჩევა მიმეცა იმ ადამიანებისთვის, რომელთა ცხოვრების პირობებს არ ვიცნობდი, თანაც შესანიშნავადაც მესმოდა მათი: 1952 წელს ხომ მე თვითონ მივეცი ჩემს თავს უფლება, საკუთარი სამშობლო დამეტოვებინა და დასავლეთ გერმანიაში წავსულიყავი. რა თქმა უნდა, ჩემთვის ბიძგის მომცემი სხვაგვარი პოლიტიკური

ვითარებები იყო, და არა ისეთი, როგორიც ახლა ყაზახეთში სუფევდა. მაგრამ სურვილი გერმანიაში წასვლისა, ქვეყანაში, რომელსაც ისინი თავიანთ სამშობლოდ მიიჩნევდნენ, თუმცა არასოდეს ენახათ იგი, არასოდეს ეცხოვრათ იქ — ეს სურვილი არამარტო გასაგები იყო, არამედ პატივისცემის ღირსიც უცვალებელი და ხელშეუხებელი ადამიანური ღირსების თვალსაზრისით. ამიტომ მე მივუგე: „ჩვენ არავის ვაქეზებთ, არც არავის მოვუწოდებთ, დატოვოს საბჭოთა კავშირი. მაგრამ ვალდებულად მივიჩნევთ თავს, ჰელსინკის დასკვნითი დოკუმენტის თანახმად ვიმოქმედოთ და ყველას, ვისაც საბჭოთა კავშირის ან რომელიმე რესპუბლიკის დატოვება გადაუწყვეტია, გზა გავუხსნათ გერმანიისკენ. გარდა ამისა გვინდა წვლილი შევიტანოთ ყაზახეთში ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეში. ამით ცხოვრება აქაურ გერმანელთათვისაც უფრო ადვილი, უკეთესი და იმედიანი გახდება.“

ამაღელვებელი იყო შეხვედრები ყაზახეთში მცხოვრებ გერმანელთა წარმომადგენლებთან. ადამიანები, რომელთაც ვესაუბრე — მათი ნაწილი შორიდან ჩამოვიდა —, იმედით და მოლოდინით აღსავსენი ჩანდნენ, თუმცა ეს სრულიად სხვადასხვაგვარი მოლოდინი იყო. ერთს თუ რაც შეიძლება მალე გამგზავრება სურდა, მეორე გერმანელთა დახმარებით ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ელოდა. მინდოდა ისინი დამერწმუნებინა, რომ გვესმოდა მათი მდგომარეობა და ვცნობდით თითოეული ადამიანის კანონიერ უფლებას, წასულიყო იქ, სადაც სურდა, ანდა — ადამიანურ პირობებში — დარჩენილიყო იქ, სადაც ერჩივნა.

ამ შეხვედრის შემდეგ ვეწვიე ალმა-ათაში გამომავალი გერმანულენოვანი გაზეთის, „დოიჩე ალგემაინე“-ს რედაქციას, რომელსაც დიდი ადმინისტრაციული შენობის რამდენიმე ოთახი ეკავა. შთამბეჭდავი გახლდათ ჩემს თანამოსაუბრეთა ნება და სიმტკიცე, ყველა ღონე ეხმარათ იმისთვის, რომ ყაზახეთში მცხოვრებ გერმანელებს შეხმიანებოდნენ, მათთვის თავიანთი თავის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინათ, მაგრამ გერმანიისთვისაც უნდოდათ ხმის მიწვდენა. გულის ამაჩუყებლად მოკრძალებული საშუალებებით ამზადებდნენ გაზეთს.

რედაქციიდან აეროპორტისკენ გავემართეთ და კიევისკენ გავფრინდით, სადაც საგარეო საქმეთა მინისტრი სლენკო მელოდა.

უკრაინაში ვიზიტს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ვიცოდი, რომ მომავალში ეს ქვეყანა დიდი როლს ითამაშებდა აღმოსავლეთ ევროპაში ვითარების სტაბილიზაციის საქმეში. თუკი აქ, დასავლეთის სურვილის თანახმად, ხანგრძლივი და სამართლიანი სამშვიდობო წესრიგი დამყარდებოდა, მაშინ უკრაინას გამორჩეული როლი ხვდებოდა წილად. სულ ერთია, საბჭოთა კავშირი ახალი ფორმით გააგრძელებდა არსებობას, თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წარმოშობამდე მივიდოდა საქმე — რუსეთსა და უკრაინას შორის დამოკიდებულება ყველა შემთხვევაში გადამწყვეტი იქნებოდა. მოვლენათა ამჟამინდელი განვითარება უკრაინისთვის, თუ მის ისტორიას გადავავლებთ თვალს, ოცნების ახდენა უნდა ყოფილიყო, ოცნებისა, ბოლოს და ბოლოს საკუთარი იდენტურობა გამოევლინა, საკუთარი კულტურა განევითარებინა, საკუთარ ენაზე ელაპარაკა, თავად განესაზღვრა საკუთარი მომავალი. მეორე მსოფლიო ომში ბელორუსიასთან ერთად განსაკუთრებით უკრაინა დაზარალდა, კიევი იქცა სასაკლაოდ და გერმანელთა მიერ ებრაელთა ხოცვა-ჟლეტის საზარელ ადგილად.

ჩვენი შეხვედრის დასაწყისშივე სლენკომ უკრაინის საგარეო პოლიტიკური მიზნები გამაცნო და გამოთქვა დაინტერესება როგორც გაეროში, სადაც მის ქვეყანას ყოველთვის ჰქონდა თავისი ადგილი, ასევე ევროთათბირში თანამშრომლობით. გვინდა, რომ ევროპის გაერთიანების პროცესი უკრაინის სასარგებლოდ გამოვიყენოთ და ჩვენი ადგილი დავიკავოთ ევროპულ ურთიერთთანამშრომლობაშიო.

ჩემს საპასუხო სიტყვაში პირველ ყოვლისა დაბეჯითებით განვაცხადე, რომ ჩვენ დიდად ვიყავით დაინტერესებულნი უკრაინასთან კონტაქტებით. სულ ცოტა ხნის წინ ვიწვნიეთ სახიფათო არასტაბილურობის სიმწარე იუგოსლავიაში-მეთქი. ამიტომ საკითხებს, რა სტრუქტურა უნდა ჰქონდეს მომავალში საბჭოთა კავშირს და რა როლი უნდა იტვირთოს უკრაინამ საბჭოთა კავშირის ფარგლებში. სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ამასთან ყოველ ცალკეულ ხალხს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. რაც შეეხება ბირთვულ იარაღს. საბჭოთა კავშირის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულება სრული მოცულობით უნდა შესრულდეს-მეთქი.

მე სლენკოს ავუხსენი, რომ ჩვენ, ევროგაერთიანების წევრები, მზად ვიყავით, გადაგვეჭრა შემდგომი ინტეგრაციული ნაბიჯები.

1993 წლის 1 იანვარს შეიქმნებოდა ერთობლივი შიდა ბაზარი და მოკლე ხანში დასრულდებოდა სამთავრობო კონფერენციები სამეურნეო და თავდაცვითი, აგრეთვე პოლიტიკური კავშირების შესახებ. დარწმუნებულნი ვართ, რომ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ზესახელმწიფოებრივ სტრუქტურებთან ევროპის სტაბილურობას ემსახურება და ამასთანავე ყოველი ცალკეული სახელმწიფოსთვის სასარგებლო იქნება-მეთქი. ჩვენს პოლიტიკას განსაზღვრავს ნება, რომ, ახლა, რაკი გერმანიის ერთიანობა მიღწეულია, გადამწყვეტი წვლილი შევიტანოთ ევროპის გაერთიანების საქმეში. ამიტომ გვინდა, ყველა ღონე ვიხმაროთ, რათა ეკონომიკური და სოციალური გამყოფი ხაზით აღმოსავლეთ-დასავლეთის ხელახალი დაცალკევება არ მოხდეს და ამან ყოფილი სამხედრო-იდეოლოგიური კონფრონტაციის მაგივრობა არ გასწიოს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ევროპულ სტრუქტურებს ევროთათბირის ფარგლებში, ხოლო ევროპის მომავლისთვის ევროგაერთიანებასა და ნატოს ცენტრალური მნიშვნელობა აქვთ. ამას გარდა იმისთვისაც უნდა გავისარჯოთ, რომ ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის სფეროში საერთო ევროპული ინფრასტრუქტურა შეექმნათ-მეთქი.

საგარეო საქმეთა მინისტრმა სლენკომ უკრაინას ყოფილი საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფო უწოდა. უკრაინა დაიცავს შეთანხმებებს სტრატეგიული ბირთვული იარაღის შემცირების შესახებ და მზად არის, მოლაპარაკებები დაიწყოს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან და თავად კავშირთან ამ შეთანხმების შესაბამისად სტრატეგიული იარაღის განადგურების თაობაზეო, თქვა მან. რაც შეეხება ეკონომიკას, დაინტერესებულნი ვართ ამ სფეროში ყოველმხრივ სასარგებლო თანამშრომლობითო. პარლამენტმაც განაცხადა, რომ დაცული უნდა იქნეს საერთაშორისო ვალდებულებები ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით. უკრაინას შესანიშნავად ესმის ის პრინციპები, რომლებიც ევროპის ინტეგრაციას უდევს საფუძვლად, მაგრამ იმასაც ხედავს, რა რიგ შორია მათკენ მიმავალი გზა. ამასთან ჩვენ ვიზიარებთ თქვენს შეშფოთებას ევროპაში და პირველ ყოვლისა იუგოსლავიაში მოვლენათა განვითარების გამო. გაერთიანებულმა ევროპამ და დამოუკიდებელმა უკრაინამ საერთო ენაზე უნდა ვილაპარაკოთო. შემდეგ სლენკო შეეხო თემას, რომელიც, მისი თქმით, ისევ და ისევ დგებოდა პარლამენტის დღის წესრიგში, სახელდობრ, იმ უკრაინე-

ლთათვის კომპენსაციის გაცემის საკითხს, რომლებსაც იძულებით ამუშავებდნენ გერმანიაში: პარლამენტი მოელის, რომ უკრაინა კუთვნილ წილს მიიღებს გერმანელთა საკომპენსაციო აქციებიდანო. ამის შესახებ მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია, მაგრამ კიევი დაჟინებით მოითხოვს ეს პრობლემა უშუალოდ იქნეს განხილულიო.

მე მივუგე, რომ შეთანხმებისამებრ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის შედგებოდა მოლაპარაკება კომპენსაციის საკითხზე. მხოლოდ ამ ჩარჩოებში შეიძლებოდა უკრაინის საკითხის მოგვარება, რომელიც, რა თქმა უნდა, წარმოდგენილი იქნებოდა საბჭოთა დელეგაციაში. საბჭოთა კავშირის შიგნით პრობლემების გადაწყვეტა ჩვენ არ შეგვიძლია-მეთქი.

შეიარაღების კონტროლის პრობლემის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრს ვუთხარი, ჩვენ, მით უფრო, რომ თავად ბირთვული სახელმწიფო არ გახლავართ, გვაქვს ელემენტარული ინტერესი და პრეტენზია მასზედ, რომ ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოთა რიცხვი არ გაიზარდოს-მეთქი. ერთი ბირთვული სახელმწიფოსგან, საბჭოთა კავშირისგან, რამდენიმე არ უნდა წარმოიშვას, რადგან ესეც პროლიფერაციის ფორმაა, რასაც ჩვენ ვერაფრით ვერ შეეგუებით. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, აშშ-სა და საბჭოთა კავშირის პრეზიდენტებმა თავიანთ ცალმხრივ განმარტებებში მკაფიოდ რომ გამოხატეს მოკლე რადიუსის რაკეტებისა და ბირთვული საარტილერიო აღჭურვილობის სრული ლიკვიდაციის განზრახვა, რაც მხოლოდ მისასალმებელია. თუმცა ეს საკმარისი არ არის სტრატეგიული იარაღის საკითხის გადასაჭრელად. აქ ჩვენ შემდგომ ნაბიჯებს მოველით, და თანაც პროლიფერაციის პოლიტიკისგან დამოუკიდებლად-მეთქი.

შემდეგ ვისაუბრე ევროთათბირის ხელშეკრულებაზე: იგი ახლა ყველგან უნდა შევიდეს ძალაში, ეს არის ევროპაში სტაბილიზაციის დამყარების წინაპირობა-მეთქი. „ორი პლუს ოთხი“ მოლაპარაკებების ფარგლებში ჩვენ მნიშვნელოვნად შევამცირეთ ორივე გერმანული სახელმწიფოს ჯარისკაცთა საერთო რაოდენობა 660 000-დან 370 000-მდე, თუმცა ოთხმოცი მილიონი მცხოვრები გვყავს-მეთქი.

ამ საუბრის შემდეგ ვინახულე პრეზიდენტი კრავჩუკი. ჩვენ ერთიმეორის პირისპირ ვისხედით ფართო მაგიდასთან. იგი მომესალმა

და, პირველ ყოვლისა, მაღალი შეფასება მისცა ჩვენს პოლიტიკას. შემდეგ აღნიშნა, სწორედ ახლა კიევში გერმანული კულტურის კვირეული ტარდებაო და იმედი გამოთქვა, რომ ჩემი ვიზიტი ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობებს დასახავდა. მეც ხაზი გავუსვი კულტურის კვირეულის მნიშვნელობას და აღვნიშნე უკრაინის სერიოზული წვლილი ევროპული კულტურის განვითარებაში. ეს ვიზიტი, განვაგრძე მე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ პერიოდის წყალობით, რომელსაც ის დაემთხვა, პერიოდისა, რომელიც გაჯერებულია როგორც ევროპაში, ასევე თვით საბჭოთა კავშირში მიმდინარე ღრმა ცვლილებებით. ამის გამოც ვარ მადლობელი, თქვენთან საუბრის შესაძლებლობა რომ მომეცა-მეთქი. მას აქეთ, რაც გერმანიის ერთიანობა რეალობად იქცა, ჩვენი ინტერესი ევროპის გაერთიანებისკენ არის მიმართული; ამის მიზეზი ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა და ჩვენი ისტორიაა. ამასთან ჩვენ დაინტერესებულნი ვართ მთელი კონტინენტით და არა მხოლოდ მისი დასავლეთი ნაწილით. ჩვენ ევროგაერთიანების წევრი ვართ, მაგრამ დასავლეთის ინდუსტრიულ სახელმწიფოებს შესანიშნავად აქვთ შეგნებული თავიანთი პასუხისმგებლობა შუა და აღმოსავლეთ ევროპაში მოვლენათა განვითარებაზე-მეთქი. მას შემდეგ, რაც ხაზი გავუსვი ევროთათბირის მნიშვნელობას, სამომავლო განვითარების შესაძლებლობათა შესახებ ვისაუბრე. იმისათვის, რომ შევძლოთ წვლილის შეტანა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სივრცის შენარჩუნების საქმეში, უკრაინის პოზიციას უნდა ვიცნობდეთ-მეთქი. ჩვენ რომ აქ ვსხედვართ, ამ დროს მოსკოვში მნიშვნელოვანი შეხვედრა მიმდინარეობს. ჩვენ პატივს ვცემთ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. მაგრამ მუდამ უნდა გავუწიოთ ანგარიში სამომავლო გზას, რომელმაც ნაციონალისტურ აზროვნებასთან არ უნდა დაგვაბრუნოს; ამის ნაცვლად უნდა ვეცადოთ, უფრო მჭიდრო ზენაციონალური ურთიერთთანამშრომლობა დავამყაროთ. ჩვენ შესანიშნავად გვესმის, რომ სოციალისტური პრაქტიკის ათწლეულების შემდეგ, რამაც ჩაახშო რესპუბლიკათა იდენტურობა, განსაკუთრებით დიდია სურვილი თვითგამოვლენისა. მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მოვლენათა ამ მხრივ განვითარება დიდი პასუხისმგებლობით წარიმართოს. ახალი საზღვრები ახალ შესაძლებლობებს კი არა, ახალ საშიშროებებს წარმოშობს-მეთქი.

მე ვიზიარებ თქვენს მოსაზრებას, მითხრა კრავჩუკმა, რომ არც ერთი ქვეყანა არ უნდა განუდგეს ინტეგრაციის პროცესებს. მაგრამ თუ ეს პროცესები ხალხებს თავიანთ სახელმწიფოებრიობას წაართმევს, ადამიანები ამაზე არ დათანხმდებიანო. სხვანაირადაა საქმე ევროგაერთიანებაში, სადაც სახელმწიფოებს თავიანთი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი შენარჩუნებული აქვთ; ეს კარგად ჩანს გერმანიის, საფრანგეთისა ან ნიდერლანდების მაგალითზე. საბჭოთა კავშირში კი არის ტენდენცია, რესპუბლიკები ახალი კავშირის წევრებად აქციონ. მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ამით რესპუბლიკებს თავიანთ სახელმწიფოებრიობასა და სუვერენიტეტს ართმევენ. მთელი მოსახლეობის სურვილია, ააშენოს საკუთარი სახელმწიფო, რომელიც სხვა სახელმწიფოებთან და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან თანასწორუფლებიან ურთიერთობებს დაამყარებსო. მე, კრავჩუკი, მომხრე ვარ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორია ეკონომიკურ სივრცედ შევინარჩუნოთ, მაგრამ ეს თანასწორუფლებიანობის საფუძველზე უნდა მოხდეს — ეს არის მოთხოვნა, რომელიც ყველამ ვერ გაიგო. გარდა ამისა ამგვარი ახალი კავშირის დაარსებისას დაირღვევა თამაშის ელემენტარული წესები. მაგალითად, დღეს მოსკოვში ხელი უნდა მოეწეროს ხელშეკრულებას, რომლის ტექსტი არც კი მინახავს; ამგვარი ქმედება მოსკოვის ახალი ხელმძღვანელობის მხრივ უკვე სისტემად იქცა. უკრაინა თვალდახუჭული ხომ ვერ მოაწერს ხელს — ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ვიცოდეთ, რას ვაწერთ ხელს. ამ მომენტში ჩემი ქვეყნისთვის პირველ ყოვლისა მნიშვნელოვანია სახელმწიფოს არსებობისა და მისი სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხიო.

ამ დღის დატვირთული პროგრამა უკრაინის კულტურული და ინტელექტუალური ცხოვრების წარმომადგენლებთან შეხვედრასაც ითვალისწინებდა. შეხვედრა შედგა ნაშუადღევს, გენერალური კონსულის, გრაფ ბასეეიცის, რეზიდენციაში, სადაც უკრაინის ინტელექტუალთა სახელით მეტად საზეიმო, გულითადობით აღბეჭ-დილი ცერემონიის ფარგლებში სკოვოროდას პრემია მომანიჭეს. ამით პატივი მიაგეს ჩემს ძალისხმევას დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობაში ორმხრივი ურთიერთგაგების მიღწევისთვის, პირველ ყოვლისა ევროთათბირის პროცესში; როგორც ჩანს, დამსახურებად

ჩამითვალეს ისიც, რომ ხალხთა კულტურული იდენტურობის გამოვლენა-განვითარებისთვის ვიღვწოდი. აქ, კიევში, იცოდნენ, რა შედეგი გამოიღო ევროთათბირის პროცესმა, აქ ესმოდათ აღმოსავლეთ-დასავლეთის პოლიტიკის კულტურული ასპექტებიც, რომლებსაც დასავლეთში ხშირად საცინლად იგდებდნენ, ზოგჯერ კი აკრიტიკებდნენ კიდეც. ამ შეხვედრის შემდეგ საოპერო თეატრისკენ გავემართეთ, სადაც გერმანული კულტურის კვირეულის ფარგლებში გერმანულ-უკრაინული კულტურული ურთიერთობების შესახებ ვისაუბრე. შემდეგ მოვისმინეთ მიუნხენის ფილარმონიის ორკესტრის კონცერტი სერგიუ ჩელიბიდაკეს ხელმძღვანელობით, რასაც საგარეო საქმეთა მინისტრთან მიღება მოჰყვა. იმავე საღამოს ბონისკენ გამოვფრინდი.

სახელშეკრულებო პოლიტიკის შემდგომი ნაბიჯები

ჩემთვის პირველი რიგის ამოცანად რჩებოდა შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან სახელშეკრულებო ქსელის საბოლოო ფორმირება. ამ მიზნით 1991 წლის დეკემბერში უნგრეთთან გაფორმებული ხელშეკრულების პარაფირება მოხდა ბონში. მასზე ხელმოსაწერად 1992 წლის თებერვალში ჰელმუთ კოლი და მე ბუდაპეშტს გავემგზავრეთ. გერმანიის ურთიერთობები ამ ქვეყანასთან არამარტო უპრობლემოდ აეწყო, არამედ, ამას გარდა, ეს ურთიერთობები 1989 წლის მოვლენათა ფონზე განსაკუთრებულად მეგობრული იყო, რასაც ჩვენის მხრივ უდიდესი მადლიერების გრძნობაც ახლდა. ჩვენ არასოდეს დავუვიწყებთ უნგრეთს იმას, რომ 1989 წლის შემოდგომაზე მან თავისი საზღვრები გაუხსნა ათასობით გდრ-ელ ლტოლვილს. ამ ორმხრივ ხელშეკრულებაშიც, რომელიც 1992 წლის 6 თებერვალს იქნა ხელმოწერილი, არა მხოლოდ ზოგადი პრინციპები იყო დაფიქსირებული, არამედ მას ერთიანად გამსჭვალაედა მეგობრული და კეთილმეზობლური სულისკვეთება. მისი პრეამბულა მსგავსი იყო სსრკ-თან, პოლონეთთან თუ ბულგარეთთან დადებული კონვენციების პრეამბულებისა. ამას გარდა მე-3 პარაგრაფში გერმანია მზადყოფნას აცხადებდა, მხარი დაეჭირა ევროგაერთიანებაში უნგრეთის მიღებისთვის; მე-9 პარაგრაფი ორივე პარლამენტს შორის კონტაქტების ხელშეწყობას ითვალისწინებს,

მე-10 კი — რეგიონთა, ქალაქთა და ადგილობრივ თვითმმართველობათა შორის კონტაქტების გაადვილებას.

ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა ორივე მთავრობის მეთაურთა, ჰელმუთ კოლისა და იოჟეფ ანტალის, აგრეთვე ჩემ და ჩემი კოლეგის ფერენც მადელის მიერ. ანტალს, რომელსაც ჯერ კიდევ გარდატეხამდე სხვა ოპოზიციურ დაჯგუფებათა წარმომადგენლებთან ერთად შევხვდი ბუდაპეშტში, ჩვენი ელჩის რეზიდენციაში, ამ დროისთვის უკვე მკაფიოდ ეტყობოდა ვერაგი დაავადების ხელი. დიდი მოწიწებითა და ღრმა თანაგრძნობით განვიცდიდით, როგორ ებრძოდა ეს გულადი კაცი სასიკვდილო სნეულებას და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იხარჯებოდა ახალი დემოკრატიული უნგრეთისთვის. ყოველთვის აღფრთოვანებით მოვიგონებ მე ამ ადამიანს. თუმცა ზოგიერთ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ საკითხებში მე მას არ ვეთანხმებოდი, იგი მაინც უნგრეთის დიდ პიროვნებათა რიგს მიეკუთვნება. საერთოდ ამ პატარა, მამაც უნგრელ ხალხს ბედმა გაუღიმა, რომ გარდატეხის ისტორიულ პერიოდში ყველა პოლიტიკურ ბანაკში ქვეყნის ბედს გამორჩეული ადამიანები განსაზღვრავდნენ და განსაზღვრავენ კიდეც.

ახლა უნგრეთს ჰყავს ლიბერალი პრეზიდენტი არპად გიონცი, დიდი ინტეგრაციული ფიგურის როლს რომ ასრულებს, რომელიც, თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკურ ბანაკთა შორის არსებულ მძაფრ, ზოგჯერ აგრეთვე პირადი ხასიათის წინააღმდეგობებს, ახალგაზრდა უნგრული დემოკრატიის სტაბილურობის გარანტად ითვლება, ხოლო პარტიათა სპექტრის მარცხენა მხარეს დიულა ჰორნი დგას, სახელმწიფო მოღვაწე, გულადი რეფორმატორი და — განსაკუთრებით ჩვენთვის, გერმანელთათვის — გასაჭირში თანადგომისთვის მზადმყოფი მეგობარი.

შესანიშნავი ორმხრივი ურთიერთობები, რაშიც სწორედ დიულა ჰორნს მიუძღვის გადამწყვეტი წვლილი, უნგრეთს საიმისოდ წაადგა, რომ ევროპასთან მიახლოება დაეჩქარებინა. ევროკავშირთან დადებული ევროპის ხელშეკრულება საამისოდ კარგ ნიადაგს გვთავაზობს.

ჩეხოსლოვაკიასთანაც დავდეთ ხელშეკრულება კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ. 1992 წლის 27 და 28 თებერვალს ფედერალური კანცლერი და მე ხელმოსაწერად პრაღაში, შემდეგ კი სლოვაკეთში გავემგზავრეთ. მეორე მსოფლიო ომის

დამთავრებიდან 47 წლის შემდეგ ამ ხელშეკრულების მეშვეობით გვინდოდა, ყველაფერი ხელახლა დაგვეწყო. პრეზიდენტმა ჰაველმა ეს შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ამ ხელშეკრულებით იწყება ახალი ერა ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობებში, ერა ურთიერთგაგებისა, ურთიერთნდობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისა, ერა, რომელიც განავრცობს ყველა იმ სიკეთეს, რაც ევროპის შუაგულში ჩვენი ხალხების თანაცხოვრების ათასწლოვანმა ისტორიამ მოგვიტანა და საბოლოოდ დაასამარებს ყველა იმ ბოროტებას, რაც ისტორიის მანძილზე თან სდევდა ამ თანაცხოვრებას. მე მჯერა, რომ ეს ხელშეკრულება დასაბამს დაუდებს გაერთიანებული, დემოკრატიული ევროპის ერთობლივი აღმშენებლობის ერას. მე მჯერა, რომ ის ურთიერთობები, რომელთაც ჩვენ დღეს ვუყრით საფუძველს, და რომელთა შემადგენელ ნაწილადაც იქცევა ეს ხელშეკრულება, მომავალ თაობებს სასიკეთოდ წაადგება. მე მჯერა, რომ ჩვენ ამ ხელმოწერით წვლილი შევიტანეთ ჩვენი ხალხების მშვიდი ცხოვრებისა და ამავდროულად ჩვენი კონტინენტის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომით აღბეჭდილი მომავლის უზრუნველყოფის საქმეში."

ამ ხელშეკრულების მოსამზადებელი სამუშაოები, მის შესახებ მოლაპარაკებები და მისი ხელმოწერა მაინც რთულად წარიმართა: მიუნხენის შეთანხმებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში ეს ხელშეკრულება გერმანია-ჩეხოსლოვაკიის 1974 წლის ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ დებულებებს ეყრდნობა. გარდა ამისა, ორივე საგარეო საქმეთა მინისტრის მიმოწერაში მკაფიოდ იყო ნათქვამი, რომ ქონებრივ საკითხებს ეს ხელშეკრულება არ უნდა შეხებოდა.

ჯერ კიდევ 1991 წლის ოქტომბერში ფედერალური პრეზიდენტი რიხარდ ფონ ვაიცზეკერი და მე ჩეხოსლოვაკიას ვეწვიეთ. შეგვიძლია ბედნიერი დამთხვევა ვუწოდოთ იმ ფაქტს, რომ გერმანია-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობებისთვის იმ გადამწყვეტ წლებში ჩვენს ქვეყნებს სათავეში ედგა ორი ისეთი გამორჩეული პრეზიდენტი, როგორებიც არიან ვაცლავ ჰაველი და რიხარდ ფონ ვაიცზეკერი. ჰაველმა შერიგების გაბედული და ცხადი ნიშანი მოგვცა, როცა გერმანელთა გაძევებას უსამართლო უწოდა. თავის მხრივ ფედერალურმა პრეზიდენტმა ფონ ვაიცზეკერმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პარლამენტის წინაშე წარმოთქვა თავისი ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სიტყვა, რომელშიც მან აღიარა პასუხისმგებლობა იმ

ენითაუწერელი უსამართლობისა და ტანჯვისთვის, რაც 30-იან და 40-იან წლებში გერმანიამ ჩეხოსლოვაკიას დააწია.

ამ ვიზიტის დროსვე საგარეო საქმეთა მინისტრ ჟირი დინსტბირთან ერთად მოვახდინე პარაფირება ხელშეკრულებისა, რომელიც კეთილმეზობლობასა და მეგობრულ ურთიერთთანამშრომლობას ითვალისწინებდა. ეს იყო სამომავლო გზის დამსახველი დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოვაწერეთ „სამახსოვროდ იმ ურიცხვი მსხვერპლისა, ძალმომრეობის ბატონობამ, ომმა და დევნამ რომ შეიწირა, და იმ მძიმე ტანჯვისა, უამრავ უდანაშაულო ადამიანს რომ ერგო წილად.“ გერმანული უმცირესობის უფლებებიც ამომწურავად დაფიქსირდა ამ ხელშეკრულებაში.

გერმანია-ჩეხეთის დამოკიდებულება უფრო ფართო მასშტაბის რეგულირებას საჭიროებდა, მაგალითად, ნაციონალ-სოციალისტთა მიერ დევნილი ჩეხების კომპენსაციის საკითხში. იმ მიზნით, რომ პროგრესისთვის მიგვეღწია და არა მხოლოდ ამ საკითხში, საგარეო საქმეთა მინისტრი დინსტბირი და თავადი შვარცენბერგი — ჩეხეთის პრეზიდიუმის სამსახურის უფროსი — ფრანკენში, შვარცენბერგის ციხესიმაგრეში შეგვხვდნენ პრემიერ-მინისტრ შტრაიბლსა და მე ხანგრძლივი საუბრისთვის, რომელსაც ყოველი მონაწილე დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა. ჩვენ განვიხილეთ შესაძლებლობა ფონდის დაარსებისა და სატრანსპორტო პროექტის შექმნისა, რომელიც პრაღას უფრო მჭიდროდ დააკავშირებდა ნიურნბერგთან. მაგრამ დრო საამისოდ აშკარად ჯერ არ იყო მომწიფებული. წერილმა პრემიერ-მინისტრ შტრაიბლისა, რომელიც მონაწილეობდა როგორც სუდეტელ გერმანელთა მფარველი ქვეყნის მთავრობის მეთაური და საუბრის დროს განსაკუთრებულად ცდილობდა კონსენსუსის მიღწევას, დროებით დაასრულა ჩვენი მცდელობანი. და მაინც გერმანული პოლიტიკის მიერ პრაღის მიმართ დადგენილ პრიორიტეტებს შორის უნდა ყოფილიყო კომპენსაციის საკითხის გადაჭრა ფონდის დაარსების გზით.

გერმანიასა და ჩეხეთს შორის ურთიერთგაგების მიღწევისა და შერიგების თავგამოდებულ მომხრთა რიცხვს ოდითგანვე მიეკუთვნებიან ჩემი დიდი ხნის მეგობარი და კოლეგა პარლამენტიდან, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წევრი იოზეფ გრიუნბეკი და მისი მეუღლე. გრიუნბეკი, რომელმაც სახელი გაითქვა, როგორც

საშუალო ფენის ინტერესთა დამცველმა პოლიტიკოსმა, წარმატებული მეწარმეა. მან, თავად სუდეტელმა გერმანელმა 1925 წლიდან, ბავარიაში არაფრისგან შექმნა გარემოს დაცვის ტექნოლოგიის საწარმო. უკვე ამითაა იგი გამორჩეული. მაგრამ რის გამოც ის დიდ პატივისცემას იმსახურებს, არის მისი გამუდმებული ძალისხმევა, მისი მიზანსწრაფული მოღვაწეობა გერმანელებსა და ჩეხებს შორის ახალი ურთიერთობის დასამყარებლად. როგორც მის მეულლეს, აგრეთვე მასაც ახლო ნათესავები დაუკარგავთ გერმანელთა გაძევების პერიოდში; ეს ამბავი დღემდე მტკივნეულად ახსოვთ. თუმცა თავიანთ უწინდელ სამშობლოს მაინც დაეხმარნენ პირადი სახსრებით ჩვილ ბავშვთა თანამედროვე სტაციონარის მოწყობაში. იქაურებმა მადლიერება იმით გამოხატეს, რომ იოზეფ გრიუნბეკს საპატიო მოქალაქეობა მიანიჭეს.

რუმინეთთანაც დაიდო ხელშეკრულება, რამაც სხვა საკითხების მოგვარებასთან ერთად საერთაშორისოსამართლებრივი საფუძველი შეუქმნა გერმანული უმცირესობის უფლებებს ამ ქვეყანაში: მკაფიოდ დაფიქსირდა ევროპაში უსაფრთხოებისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ გამართული კონფერენციის მიერ მიღებული დებულება უმცირესობათა დაცვის შესახებ, ასე რომ, დაახლოებით 70 000-მა რუმინელმა გერმანელმა მიიღო სანდო გარანტია, ამ ქვეყანაში თავი დაიმკვიდროს როგორც ეროვნულმა უმცირესობამ და თავისი ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური იდენტურობის შენარჩუნების შესაძლებლობა ჰქონდეს. ხელშეკრულება შეიცავს გერმანიის დაპირებას, მხარი დაუჭიროს რუმინეთის განაცხადს ევროგაერთიანებასთან ასოცირების შესახებ; ეს სახავდა იმის პერსპექტივას, რომ რუმინეთი ევროგაერთიანების სრულუფლებიანი წევრი გახდებოდა, როგორც მე 1992 წლის 30 აპრილს ბუქარესტში ხელშეკრულების ხელმოწერისას განვაცხადე.

გარდა ამისა, ამ ცერემონიისას იმაზეც ვისაუბრე, რომ ამიერიდან რუმინეთ-გერმანიის ურთიერთობაში ახალი ფურცელი გადაიშლებოდა. დიქტატორ ჩაუშესკუს ჩამოგდებიდან სულ რაღაც ორი წლის შემდეგ დემოკრატიული განვითარება რუმინეთში შეუქცევადი გახდა მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო დაძლეული. მოლდოვაში გამართულ შეხლა-შემოხლასთან დაკავშირებით კი კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარეს მოვუწოდე ძალადობის უარყოფისა და ევროთათბირის პრინციპების პატივისცემისკენ. რუმინეთის

საგარეო საქმეთა მინისტრმა ნასტასემ თავის მხრივ ხაზი გაუსვა ბუქარესტის სურვილს, მჭიდრო კავშირი დაემყარებინა ნატოსთან; ბოლოს და ბოლოს რუმინეთი ცენტრალური ევროპის ქვეყანაა. ჩრდილოატლანტიკური კოოპერაციული საბჭოს წევრებს შორის ორმხრივი შეთანხმება უნდა დაიდოსო, განაცხადა მან.

ამ ხელშეკრულებას — ეს იყო ჩემი უპირველესი იმედი — იმ გერმანელთათვის, ჯერ კიდევ რუმინეთში რომ ცხოვრობდნენ, შესაფერისი სამომავლო პერსპექტივა უნდა გადაეშალა და მრავალი მათგანისთვის ზიბენბიურგენსა და ბანატში დარჩენის სტიმული მიეცა. რადგანაც, მიუხედავად გერმანულ უმცირესობათა სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, კულტურული დაწესებულებებისა და მედიის ორგანოებისთვის გაწეული ჩვენი მიზანმიმართული ფინანსური დახმარებებისა, რუმინელ გერმანელთა ემიგრაცია მაინც გრძელდებოდა. უმცირესობის წარმომადგენლებს რომ შევხვდით, ბევრი მათგანი უჩიოდა უსამართლო მოპყრობას სახელმწიფო სამსახურების მხრივ; მაგალითად, ისინი ამბობდნენ, რომ სახელმწიფოს კუთვნილი დიდი აგრარული ქონების პრივატიზაციისას მათ არასაკმარისი და თანაც უვარგისი საყანე მიწები არგუნეს.

რუმინეთთან დადებული ხელშეკრულება მეგობრობისა და პარტნიორული თანამშრომლობის შესახებ ბოლო იყო ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკის სახელმწიფოებთან დადებულ ორმხრივ ხელშეკრულებათა რიგში, რომლებსაც გარდა თავისთავადი მნიშვნელობისა ის ფუნქციაც ჰქონდათ, რომ საერთო ევროპული სამშვიდობო სტრუქტურა უნდა განემტკიცებინათ. ჩვენს ამოცანად რჩება, ამ სახელმწიფოებს გზა გავუკაფოთ ევროკავშირისკენ. სასწრაფოდაა დასადგენი ევროკავშირში შესვლის შესახებ მოლაპარაკებათა დაწყების თარიღები.

1992 წლის 22 აპრილს ბუქარესტიდან ხანმოკლე ვიზიტით გავემგზავრე ალბანეთისკენ, სადაც პრეზიდენტი ბერიშა მომესალმა, როგორც მეგობრობისა და იმედის მაცნეს. ტირანაში გამოვაცხადე, რომ ფედერალური მთავრობა ხელს შეუწყობდა ალბანეთს საერთაშორისო ინსტიტუციებთან დაახლოების საქმეში. ამას გარდა მხარი დავუჭირე ალბანეთის ევროგაერთიანებასთან ასოცირებასა და ჩრდილოატლანტიკურ კოოპერაციულ საბჭოში თანამშრომლობას:

ალბანეთმა ოდესღაც პირველმა დატოვა ვარშავის ხელშეკრულება, ამიტომ უსამართლობაა, ამ ხელშეკრულების ყოფილი წევრი სახელმწიფოები კოოპერაციულ საბჭოში შედიოდნენ, ალბანეთი კი — არა-მეთქი. გარდა ამისა ჩემს კოლეგა სერექვისთან ერთად, რომელიც ექიმია, ხელი მოვაწერე კონვენციას შრომის და სოციალური პოლიტიკის შესახებ, აგრეთვე ჩარჩოშეთანხმებას საჰაერო მიმოსვლის დარგში.

სიტყვაში, რომელიც ტირანაში პარლამენტის წინაშე წარმოვთქვი, ვისაუბრე ევროთათბირის ვალდებულებებზე, რომლებიც კოსოვოს ალბანელ მოსახლეობასაც უნდა შეხებოდა. ძალიან კარგად გვესმის ალბანეთის შეშფოთება კოსოვოში სერბიის მიერ გატარებული პოლიტიკის გამო-მეთქი. პარტიის თავმჯდომარეებთან და პრემიერ-მინისტრ მეკისისთან მოლაპარაკებების შემდეგ, ჩემი ვიზიტის დასასრულს ინდუსტრიულ ქალაქ ელბასანში გავემგზავრე, სადაც მთავარი მოედნისთვის „გენშერის მოედანი" დაერქმიათ. ათასობით ალბანელმა მხურვალე ტაშით მიიღო სიტყვები, რომლებიც პრეზიდენტმა ბერიშამ და მე იქ წარმოვთქვით.

ვიზიტი მეგობართან

დიდი გარდატეხის შემდგომ პერიოდში ჩვენი აღმოსავლური პოლიტიკის კიდევ ერთი ასპექტი იყო დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარება ახალ სახელმწიფოებთან, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიშვნენ ანდა ხელახლა იშვნენ.

ასე ვეწვიე საქართველოს დედაქალაქ თბილისს 1992 წლის 12-13 აპრილს, რათა ახლო მომავალში საქართველოს ევროგაერთიანებასთან ასოცირების შესაძლებლობები შემესწავლა და გამეძლიერებინა ეკონომიკური დახმარება გერმანიის მხრივ. პირადად ჩემი მთავარი მიზანი ამ ვიზიტისას ის იყო, რომ სანამ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს დავტოვებდი, ჩემი მეგობრისთვის, ედუარდ შევარდნაძისთვის, რომელიც იმ დროს როგორც სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე მთავრობას ედგა სათავეში, თავის სამშობლოში კიდევ ერთხელ გადამეხადა მადლობა იმის გამო, რაც მან ევროპისთვის და გერმანიის ერთიანობისთვის გააკეთა.

ორი მეგობარი სკოლის მერხზე: ედუარდ შევარდნაძე და ჰანს-დიტრიხ გენშერი 1990 წლის 10 ნოემბერს ჰალეში, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილ სკოლაში, რომელიც ამჟამად ჰერდერის სახელობისაა.

ჩემმა ყოფილმა კოლეგამ აღმიწერა ის ძნელი გზა, რომლის გავლაც მოუწევდა როგორც პირადად მას, ასევე საქართველოსაც. მიუხედავად ამისა მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, დაბეჯითებით მეუბნებოდა იგი, ჩემს სამშობლოშიც დემოკრატიული მიზნების ერთგული დავრჩე და ადამიანისა და უმცირესობათა უფლებები დავიცვაო, და ეს იმ ქვეყანაში, რომელიც წელში წყდებოდა ეკონომიკური სიძნელეებით, პოლიტიკური არასტაბილურობითა და ეთნიკური კონფლიქტებით. შევარდნაძე მადლიერი იყო, რომ ამ აწეწილ დროში გერმანია დახმარებას სთავაზობდა. ჩვენ ვისაუბრეთ გერმანია-საქართველოს ფართო ხელშეკრულებისა და კულტურის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. გარდა ამისა დროულად უნდა დაწყებულიყო სამეცნიერო გაცვლითი პროგრამები, ქართველ სტუდენტებს გერმანიაში სწავლის შესაძლებლობა უნდა მისცემოდათ.

ამჯერად თბილისში მე შევხვდი შევარდნაძეს როგორც სახელმწიფოს თავკაცს, რომელსაც, როგორც მე მეჩვენებოდა, ყველაფერზე უნდა ეზრუნა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი

რჩებოდა ერთადერთ მაინტეგრირებელ ფიგურად, ვისაც ქვეყნის შედულაბება შეეძლო. ამის შეგნებამ გადააწყვეტინა მას, მოსკოვიდან, სადაც იგი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პრაქტიკულად უცხოელივით ცხოვრობდა, თბილისში დაბრუნებულიყო. მას მოვალეობა დაეკისრა და იგი არ გაქცევია ამ მოვალეობას. თუმცა ის, როგორც ყოველთვის, სიმტკიცესა და გამჭრიახობას ასხივებდა, ეგრძნობდი, რამხელა ტვირთად აწვა თავისი მძიმე პასუხისმგებლობა. ლამის ნოსტალგიით ისაუბრა მან ჩვენი თანამშრომლობის შესახებ და მეც კვლავ ცოცხლად დამიდგა თვალწინ ჯერ კიდევ არცთუ შორეული წარსული. უნდა ვთქვა, რომ სწორედ ჩვენი გვერდიგვერდ მოღვაწეობა და ჩვენი პირადი ურთიერთობების განვითარება იყო ჩემთვის საბუთი იმისა, თუ რა ძალა აქვს საზიარო მრწამსს, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე იდეოლოგიები და პოლიტიკური დაპირისპირებანი. ის ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც უარი თქვა ავღანეთის წინააღმდეგ ომზე, რომელიც მხარს უჭერდა ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას, ადამიანის უფლებებს, პლურალისტურ დემოკრატიას, საბაზრო ეკონომიკას, აღარ წარმოადგენდა მოლაპარაკების მეორე მხარეს. სწორედ ამ საზიარო პრინციპებმა შეაძლებინეს მას, ერთიანობისკენ მიმავალი გზა გაეხსნა გერმანიისთვის და თანხმობა განეცხადებინა პარიზის ქარტიაზე. ამიტომ ჩვენ მას და მის ქვეყანას, საქართველოს, არასოდეს არ უნდა დავუვიწყოთ, რაც დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს პრეზიდენტმა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნისას გააკეთა უკეთესი ევროპისა და გერმანიის ერთიანობისთვის.

ამ თვის სავიზიტო და სახელშეკრულებო დიპლომატიით დასრულდა ევროპული პასუხისმგებლობის პოლიტიკის კიდევ ერთი ეტაპი. სწორედ რევოლუციური ცვლილებების პერიოდში იყო საჭირო ნდობის განმტკიცება და სტაბილიზაციის ხელშეწყობა.

თავი 21

გადადგომა

პირადი გადაწყვეტილება

1990 წლის 2 დეკემბრის არჩევნების შედეგებმა კოალიციას დიდი სამთავრობო უმრავლესობა არგუნა. სოციალ-დემოკრატთა წარუმატებლობის გამო ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა იმდენი მანდატი მიიღო ახალ ფედერალურ მხარეებში, რომ კინაღამ აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა. მით უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამაც ასევე კარგ შედეგს მიაღწია – პირველ ყოვლისა ახალ ფედერალურ მხარეებში და მათ შორის განსაკუთრებით ზაქსენ-ანჰალტში. ბუნებრივია, სწორედ ჩემს სამშობლოში ამგვარმა წარმატებამ გამახარა. საარჩევნო კამპანიის დროს არაფერი შემილამაზებია. გავიხსენე ჩემი სიტყვა, წარმოთქმული გერმანიის ბუნდესტაგის წინაშე 1989 წლის 8 ნოემბერს, კედლის დანგრევის წინა დღეს, რომელშიც აღვნიშნე, ძველი ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ მათ დიდი წვლილი აქვთ შესატანი ერის გამთლიანების საქმეში-მეთქი. ამით მე თავისი სახელი ვუწოდე პრობლემებს, რომლებიც გადასაჭრელი გვქონდა. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მთელ პარტიულ ხელმძღვანელობასთან ერთად მხარი დავუჭირე ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ძალაში შესვლას 1990 წლის 1 ივლისისთვის. ჩვენი აზრით, საჭირო იყო, რაც შეიძლება სწრაფად მოგვემზადებინა ნიადაგი ეკონომიკური შერწყმისთვის – არა მხოლოდ იმიტომ, რომ შეგვეჩერებინა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ წამოსულ მიგრანტთა უწყვეტი ნაკადი, არამედ იმისთვისაც, რომ შეგვექმნა პრეცედენტები, რომლებიც შინაგანი გამთლიანების პროცესს შეუქცევადს გახდიდნენ და „ორი პლუს ოთხის“ მოლაპარაკებების გაჭიანურებასაც აღუდგებოდნენ წინ. ეს კია, დიდი პოლემიკა გაიმართა აღმოსავლური გერმანული მარკის დასავლურ გერმანულ მარკაზე გაცვლის კურსის შესახებ.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მე და ფედერალური ბანკის პრეზიდენტი, კარლ-ოტო პიოლი, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ და ვისთანაც პიროვნულადაც ბევრი რამ მაკავშირებს, სხვადასხვა აზრისა გახლდით — მისგან განსხვავებით მე ერთი ერთზე გაცვლის კურს ვუჭერდი მხარს. რასაკვირველია, ვიცოდი, რომ ეკონომიკური და სავალუტო გაერთიანება სიტუაციას გდრ-ის ბაზარზე და გდრ-ის უწინდელ საგარეო ვაჭრობას ძირფესვიანად შეცვლიდა; თუმცა ამის უმთავრესი მიზეზი გერმანული მარკის გაცვლითი კურსი არ იქნებოდა.

საბჭოთა კავშირსა და ვარშავის ხელშეკრულების სხვა სახელმწიფოებში, რომლებთანაც გდრ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოთი იყო დაკავშირებული, უკვე თავი იჩინა მძიმე ეკონომიკურმა კრიზისმა. ამან დამატებითი პრობლემები შეუქმნა გდრ-ის ეკონომიკას, რადგან მისი ექსპორტი ძირითადად ამ ეკონომიკური სივრცისკენ იყო მიმართული. კურსის გადაყვანა დასავლურ გერმანულ მარკაზე — სულ ერთია, როგორი იქნებოდა შიდა გადაანგარიშების კურსი — გააძვირებდა გდრ-ის საქონელს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ძველ ბაზრებზე, თუკი ბარტერულ გაცვლას არ განაგრძობდნენ. აქ უპრიანი იქნებოდა ფედერალური ხელმძღვანელობის დიდსულოვანი საკრედიტო და სათავდებო პოლიტიკა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამიერიდან ერთობლივ ეკონომიკურ რეგიონში გდრ-ის ეკონომიკას — მეტადრე, თუ 1993 წლის 1 იანვარს ერთობლივი შიდა ბაზარი ამოქმედდებოდა — დამატებითი ადაპტაციური პრობლემები გაუჩნდებოდა.

ფარული უმუშევრობის დონე გდრ-ში მაღალი იყო; ბევრი მხოლოდ იმის გამო კარგავდა სამსახურს, რომ სამეურნეო და ადმინისტრაციულ სისტემებში დასაქმებულთა რაოდენობას მინიმუმამდე ამცირებდნენ. მხოლოდ საყოფაცხოვრებო მომსახურების სექტორში თუ უჩანდა საიმედო პირი ახალი სამუშაო ადგილების სწრაფად შექმნას. წინდაწინ გავუწიე პროპაგანდა დაბალგადასახადებიანი რეგიონის შექმნას ახალ ფედერალურ მხარეებში, რაკიღა ამან გაამართლა დასავლეთ ბერლინში გერმანიის გათიშულობის პერიოდში. საამისოდ ორი გზა არსებობდა: ერთი გულისხმობდა საშემოსავლო და სახელფასო გადასახადისა და საკორპორაციო გადასახადის მკვეთრად შემცირებას, მეორე კი საქონელბრუნვის გადასახადზე

პრივილეგიათა დაწესებას, რაზედაც ყოფილმა ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრმა კარლ შილერმა წამოიწყო საუბარი. ეს დაბალი გადასახადები გარკვეული საშუალო ვადით — ჩემი აზრით, ათი წლით — უნდა ყოფილიყო გარანტირებული. ეს ერთის მხრივ წაახალისებდა ინვესტორებს აღმოსავლეთ ნაწილში ახალი საწარმოების დაარსებისთვის, არა მხოლოდ დასავლეთ გერმანელებს, არამედ უცხოელებსაც ევროგაერთიანების სივრციდან, აგრეთვე აშშ-დან და იაპონიიდან. მეორეს მხრივ ეს გააუმჯობესებდა კონკურენციის პირობებს ახალ ფედერალურ მხარეებში არსებული საწარმოებისთვის და ამით უფრო გაიოლდებოდა დასავლეთის ბაზრებზე არსებულ ახალ სიტუაციასთან შეგუება. დაბალგადასახადებიანი რეგიონის შექმნის მოთხოვნა სულ უფრო პოპულარული ხდებოდა თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში; ბოლოს იგი საარჩევნო კამპანიის საყოველთაო მოთხოვნად იქცა.

არჩევნების შემდეგ კოალიციურ მოლაპარაკებებზე გამოჩნდა, რომ ბლოკში შემავალი პარტიები — ჩემი შთაბეჭდილებით, პირველ ყოვლისა ქრისტიანულ-სოციალური კავშირის გავლენით — დაბალგადასახადებიანი რეგიონის შექმნას უარყოფდნენ. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ავტორიტეტულ წევრებსაც ეტყობოდათ, რომ ეს თემა მათთვის პრიორიტეტული არ იყო.

მეორე პრობლემა, რაც ჩვენ თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში 1990 წლის ზაფხულიდან გვაფიქრებდა, გახლდათ საკითხი, გამოიწვევდა თუ არა გერმანიის გაერთიანება გადასახადების ზრდას. ჩემის აზრით, ამ საკითხზე მხოლოდ დადებითი პასუხი უნდა გაცემულიყო; ჯერ კიდევ 1989 წლის 8 ნოემბერს გერმანიის ბუნდესტაგის წინაშე გამოსვლისას მინდოდა მეთქვა ეს. პრეზიდიუმში მხარს მიჭერდნენ პირველ ყოვლისა ირმგარდ შვეცერი, იურგენ მიოლემანი, გერჰარტ ბაუმი და ეკონომიკის მინისტრი ჰაუსმანი; სამაგიეროდ გრაფი ლამბსდორფი სხვა აზრისა გახლდათ — და იგი პარტიის თავმჯდომარე იყო. დაჟინებით გავაფრთხილე ყველა, არ გამოეტანათ დადგენილება გადასახადთა გაზრდის წინააღმდეგ. არჩევნების შემდეგ ძალიან გაგვიჭირდებოდა ასეთი დადგენილებისგან თავის დახსნა. გადასახადების გაზრდა, ჩემის აზრით, გარდაუვალი იქნებოდა. სამი მცდელობა პრეზიდიუმში, რომ გადასახადების გაზრდა არ გამოგვერიცხა მაინც (უმჯობესი კი იქნებოდა, გვეღიარებინა,

რომ ის აუცილებელი იყო), წარუმატებელი დარჩა. ამან კოალიციის ნდობის კრიზისი გამოიწვია, რაც შეგვეძლო წინასწარ განგვეჭვრიტა და თავიდან აგვეცილებინა, რადგან დაპირებას, გადასახადებს არ გავზრდითო, არჩევნების შემდეგ ვეღარ შევასრულებდით.

1990 წლის დეკემბერსა და 1991 წლის იანვრის დასაწყისში შეძლებისდაგვარად ვცდილობდი, ჩემი – როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის – მოვალეობების შესრულების გარდა კოალიციის მოლაპარაკებებშიც მიმეღო მონაწილეობა. სპარსეთის ყურის კრიზისისა და ამასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გამო, რაზეც ამ წიგნის სხვა ადგილას ვილაპარაკე, ეს სულაც არ გახლდათ იოლი საქმე. იმ დროისათვის თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში პირველად წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, თუ როგორ განაწილებულიყო პოსტები. გრაფმა ლამბსდორფმა ამის შესახებ ჩამომიგდო სიტყვა, როცა მე მას 1991 წლის 1 იანვარს ეიფელში, თავის აგარაკზე ვეწვიე, რათა მასთან ერთად განმეხილა არსებული სიტუაცია. მისი აზრით, ეკონომიკის მინისტრი ოტო ზოლმსი უნდა ყოფილიყო. ჰელმუთ ჰაუსმანს ეს პოსტი ცოტა ხანს ეკავა – მან იგი საკუთარი გადაწყვეტილებით დატოვა ბუნდესტაგის არჩევნების დამთავრებისთანავე; მას აღარ სურდა ფედერალური მთავრობის ხელახალი ფორმირების შემდეგ მის შემადგენლობაში დარჩენილიყო. ეს პოზიცია პატივისცემას იმსახურებდა. იურგენ მიოლემანი, რომელმაც განათლების მინისტრის პოსტზე, მრავალთა ვარაუდის საწინააღმდეგოდ, დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, დაინტერესებული იყო იმით, თუ ვინ იქნებოდა ამ თანამდებობაზე მისი მემკვიდრე. დარწმუნებულმა მიოლემანის მუყაითობასა და მის უნარში, თავი გაერთმია მისთვის მანამდე უცნობი სფეროსათვის, იგი გრაფ ლამბსდორფს ახალ ეკონომიკის მინისტრად შევთავაზე იმ დროს, როცა მარტინ ბანგემანი ევროგაერთიანების კომისრად გადავიდა ბრიუსელში. გრაფ ლამბსდორფს კი ამ პოსტზე ოტო ზოლმსი უნდოდა, რომელსაც თავის მხრივ, როგორც ვოლფგანგ მიშნიკის მემკვიდრეს, რომელთანაც იგი დიდხანს და წარმატებით თანამშრომლობდა, ფრაქციის თავმჯდომარეობა სურდა. ზოლმსმა ეს გარკვევით დამიდასტურა, როდესაც ჩვენ კოალიციის მოლაპარაკებათა მიმდინარეობისას ფედერალური კანცლერის სამსახურის დერეფანში ვსაუბრობდით.

რაკი ნათელი იყო, რა შედეგებით დამთავრდებოდა კოალიციის მოლაპარაკებანი — კერძოდ, ახალ ფედერალურ მხარეებში გასატარებელი პოლიტიკის თვალსაზრისით — იანვრის დასაწყისიდან სულ უფრო და უფრო ხშირად ვეკითხებოდი ჩემს თავს, უნდა დავრჩენილიყავი თუ არა მთავრობაში. მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, რომ დაბალგადასახადებიანი რეგიონის შექმნაზე უარის თქმა გაანადგურებდა აღმოსავლეთ გერმანული ეკონომიკის ინდუსტრიულ სფეროებს. ამასთან ფრიად საეჭვოდ მეჩვენებოდა მეურვეობის დატოვება ფინანსთა მინისტრის პასუხისმგებლობაში, რადგან არსებობდა იმის საშიშროება, რომ მეურვეობის პოლიტიკა ფისკალურ მოსაზრებებს განესაზღვრა. და ბოლოს, მაფიქრებდა, ნდობა არ დაგვეკარგა ახალი ფედერალური მხარეების ამომრჩეველთა თვალში, რომლებიც მოვლენათა სხვაგვარ განვითარებას ელოდნენ და იმ დაპირებათა შემდეგ, რაც მათ მისცეს, ჰქონდათ კიდევაც ასეთი მოლოდინის უფლება.

ორი მოსაზრება მეტყველებდა იმის საწინააღმდეგოდ, რომ მე ამ მომენტში ფედერალური მთავრობა დამეტოვებინა. ერთის მხრივ თავისუფალი დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო საარჩევნო კამპანია თითქმის მთლიანად ჩემზე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრზე და როგორც ყოფილ გდრ-ში მცხოვრებ გერმანელთა ინტერესების დამცველზე იყო აგებული. რითი ვიმართლებდი თავს ამომრჩევლების წინაშე, ახლა რომ ფარ-ხმალი დამეყარა და მთავრობა დამეტოვებინა? რას მოუტანდა ეს კოალიციას? გარდა ამისა, ჩემს პარტიას რომ პრეტენზია ჰქონდა საგარეო საქმეთა სამინისტროზე? სულ უფრო და უფრო მეტ სიხარბეს იჩენდა ქრისტიანულ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-სოციალური კავშირების ბლოკი, თუმცა არამც და არამც თვითონ ჰელმუთ კოლი. ალაპარაკდნენ ბლოკის მიერ სტრატეგიული უმრავლესობის მოპოვებაზე, რაც არ იყო მართალი, რადგან უმრავლესობა მას სწორედაც არ ჰყავდა! მაგრამ ბლოკს ჰყავდა სტრატეგიული უმცირესობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნდესტაგში მათ წინააღმდეგ უმრავლესობა ვერ შეიქმნებოდა — ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ დემოკრატიული სოციალიზმის პარტიის თანადგომით, რასაც თავისუფალი დემოკრატიული პარტია არ დაუშვებდა.

მეორე — უფრო მნიშვნელოვანი — მოსაზრება ეხებოდა ჩემს

საერთაშორისო სანდოობას. ჩემი ძირითადი საზრუნავი უცვლელი იყო: მოახდენდა თუ არა საბჭოთა კავშირი „ორი პლუს ოთხი“ ხელშეკრულების რატიფიცირებას? სულ მახსენდებოდა შევარდნაძის სიტყვები, ნათქვამი მოსკოვში „ორი პლუს ოთხის“ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის წინა საღამოს: „დიახ, სანამ თქვენ იქ ხართ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ ამბობთ. მაგრამ რამდენ ხანს დარჩებით თქვენ საგარეო საქმეთა მინისტრად?“ რა გავლენას მოახდენდა ჩემ მიერ ფედერალური მთავრობის დატოვება მოსკოვში გამართულ დისკუსიებზე ასეთ მნიშვნელოვან ფაზაში? ხომ შეიძლებოდა, ეს ფაქტი რატიფიცირების მოწინააღმდეგეებს ბოლო მომენტში რატიფიცირების შესაფერხებლად გამოეყენებინათ? სხვა პარტნიორების მიმართაც დავალებულად ვგრძნობდი თავს, მაგალითად, ჩვენი ფრანგი მეგობრებისა და ევროგაერთიანების წევრი სხვა მეგობარი სახელმწიფოების მიმართ, რომელთათვისაც არაერთხელ დაბეჯითებით მითქვამს, რომ გაერთიანებული გერმანია თანმიმდევრულად გააგრძელებდა ევროგაერთიანებაში ინტეგრირების თავის პოლიტიკას. პრინციპში მოვალე ვიყავი, შემესრულებინა ეს დაპირება მომავალი სახელშეკრულებო მოლაპარაკებების თაობაზე, რომელთა შედეგიც მოგვიანებით ისტორიაში მაასტრიხტის ხელშეკრულების სახელით შევიდა. გარდა ამისა, პოლონეთთან დადებული ხელშეკრულებებიც ჯერ კიდევ ელოდა რატიფიცირებას, და არავინ ისე არ იყო ამისთვის მოწადინებული, როგორც მე თვითონ — გერმანია-პოლონეთის სასაზღვრო ხელშეკრულებას მხოლოდ ჩემი ხელმოწერა უზის.

ძალიან, ძალიან გამიჭირდა გადადგომასთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი მომენტების აწონ-დაწონა. ბოლოს გადავწყვიტე, გამეგრძელებინა მუშაობა, ნიშნად იმისა, რომ გაერთიანებული გერმანიის საგარეო პოლიტიკური კურსის უწყვეტობას ვინარჩუნებდით. ამავდროულად მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდის დასრულებამდე გადავმდგარიყავი; საჭირო იყო მხოლოდ საამისოდ შესაფერისი მომენტის შერჩევა.

ზუსტად თვრამეტი წლის შემდეგ

თვრამეტი წელი იყო, რაც საგარეო საქმეთა მინისტრად ვმუშაობდი და თითქმის ოცდასამი წელი ფედერალური მთავრობის წევრი ვიყავი. ეს მეტად ხანგრძლივი პერიოდია, თუ გავითვალისწინებთ, რომ დემოკრატია პასუხისმგებლობის დროულად გადაბარებას ნიშნავს. ფედერალური პრეზიდენტი მაქსიმუმ ათი წელი შეიძლება დარჩებს პოსტზე. მე არ მომიწია, არჩევნების ან სხვა მოვლენების გამო ჩემი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ გადავმდგარიყავი. მით უფრო დიდი იყო ჩემი პასუხისმგებლობა, თავად განმესაზღვრა გადადგომისთვის შესაფერისი მომენტი. თუმცა თავიდან სამსახურებრივი დატვირთვის გამო დრო არ მრჩებოდა, ამგვარ ფიქრებს ავყოლოდი. მხოლოდ 1991 წლის ზაფხულში, ბერხტესგადენში ჩვენი შვებულების დროს, ჩემი მეუღლე და მე მრავალგზის საუბრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ მომავალი წლის საპარლამენტო არდადეგებამდე უნდა გადავმდგარიყავი. ასე თუ მოვიქცეოდი, ჩემს მემკვიდრეს საკმარისი დრო ექნებოდა, 1994 წლის ბუნდესტაგის არჩევნებამდე შეთვისებოდა თავის მოვალეობებს. მას უნდა მისცემოდა იმის საშუალება, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკაში საკუთარი სტილი, საკუთარი პროფილი, საკუთარი ხელწერა გამოემუშავებინა. კარგად ვიცოდი, ჩემი გადადგომა გამოიწვევდა სპეკულაციებს იმის თაობაზე, ხომ არ მსურდა ამით, ხელსაყრელი საწყისი პოზიცია დამეკავებინა ფედერალური პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობისთვის. რა თქმა უნდა, იმაზეც მქონდა ნაფიქრი, მეყარა თუ არა კენჭი ამ უმაღლესი სახელმწიფო პოსტის დასაკავებლად. მაგრამ მე ყოველთვის პარლამენტის კაცი და აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელი ვიყავი და შემეძლო გერმანულ პოლიტიკაში ამ ასპარეზზე მომეხდინა ჩემი გამოცდილების რეალიზაცია. თანაც არათანმიმდევრული იქნებოდა, რომ მთავრობაში ოცდასამწლიანი მოღვაწეობისთვის მე თვითონ დამესვა წერტილი და მაშინვე ახალი პოსტისკენ დამეწყო სწრაფვა. ამიტომ გადავწყვიტე, როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მომეცემოდა, ჩემი გადადგომის ოფიციალურ გამოცხადებამდე საჯაროდ მეთქვა, რომ პრეზიდენტობას არ ვაპირებდი. როდესაც უკვე 1991 წლის ნოემბერში, ჩემი აზრით, მეტისმეტად

ნაადრევად დაიწყო დისკუსია იმაზე, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მომავალი ფედერალური პრეზიდენტი, 1991 წლის 10 ნოემბერს მე ეს გავაკრიტიკე გაზეთში და დავძინე, რომ „არასოდეს და არანაირ ვითარებაში" არ ვიყრიდი კენჭს ფედერალური პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად.

მეუღლესთან ადრევე მოვილაპარაკე და დავარწმუნე, რომ გადადგომის შემდეგ ჩემს შრომის უნარს უკეთ მოვახმარდი საშინაო საქმეებს. 1991 წლის ზაფხულის შვებულების შემდეგ გადავწყვიტეთ, 1992 წლის დამდეგს ჩვენი სახლის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის მოგვეკიდა ხელი ჩვენს არქიტექტორთან, რიუტგერსთან ერთად, რომელმაც ეს სახლი 1976-77 წლებში აგვიშენა. გარდა ამისა, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაცხოველდა მოლაპარაკებები ზიდლერის გამომცემლობასთან ჩემი მემუარების გამოცემის თაობაზე. ვოლფ იობსტ ზიდლერმა ხელშეკრულება შემომთავაზა, რომლის პირობებს 1990 წლის საშობაო არდადეგების დროს გავეცანი, ხელშეკრულებას კი ერთი წლის შემდეგ მოვაწერე ხელი, რადგან ჯერჯერობით სამსახურში ვრჩებოდი.

გადაწყვეტილებაზე, 1992 წლის საზაფხულო არდადეგებამდე გადავმდგარიყავი, მომდევნო თვეებში აღარ მიფიქრია; ჩემთვის წილი უკვე ნაყარი იყო. მაგრამ როგორც ყოველთვის, როცა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გვქონდა მისაღები, ჩემი მეუღლე და მე ეაპირებდით შობასა და ახალ წელს შორის კიდევ ერთხელ გვესაუბრა ამის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ჩვენ კიდევ უფრო მტკიცედ ვიყავით დარწმუნებულნი ამ ნაბიჯის სისწორეში. გადადგომის შესაძლო თარიღად ჩემი სამოცდამეხუთე დაბადების დღეც ვივარაუდე, მაგრამ ეს აზრი სწრაფადვე უკუვაგდე, რადგან არ მინდოდა, ეს ასაკი ერთგვარ საპენსიო ზღვრად დამედო პოლიტიკური თანამდებობებისთვის, მით უფრო, რომ ეს დაბადების დღე სულაც არ იყო ჩემი გადადგომის მიზეზი. 1992 წლის 18 მაისი უფრო შესაფერის თარიღად მეჩვენა, თვრამეტი წლის წინ ზუსტად ამ დღეს გავხდი საგარეო საქმეთა მინისტრი.

საშობაო არდადეგების დროს, როგორც ყოველთვის, ჰელმუთ კოლს დავურეკე, რათა მიმდინარე პოლიტიკისგან მოცალეობის ჟამს პირადი საუბარი გამება მასთან. ვისარგებლე შემთხვევით და ვუთხარი, რომ მინდოდა, რაც შეიძლება მალე და სრულიად მშვიდ ატმოსფეროში

ჩემი მომავლის შესახებ მესაუბრა მასთან. მან თავის კალენდარს ჩახედა და მკითხა, ვაპირებდით თუ არა ბერლინის პრესის ზეიმზე წასვლას. როცა მე თანხმობა განვუცხადე, მან შემომთავაზა, რომ ჩემს მეუღლეს და მე შეგვეძლო ზეიმის შემდეგ იმ სახლში მივსულიყავით, სადაც იგი ჩერდებოდა ხოლმე, როცა ბერლინში ყოფნა უწევდა.

ასეც მოვიქეცით, და იმ დროს, როცა ჰანელორე კოლი და ჩემი მეუღლე ერთად საუზმობდნენ, მე და ჰელმუთ კოლი მეორე ოთახში ასევე საუზმეს ვუსხედით და ვმსჯელობდით ჩემს გადაწყვეტილებაზე საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგომის შესახებ. ვუთხარი, რომ კარგა ხნის ფიქრის შემდეგ დავრწმუნდი ამ ნაბიჯის სისწორეში და ჩემი არგუმენტები ჩამოვუთვალე. თარიღად ჩემი საგარეო საქმეთა მინისტრად არჩევის მეთვრამეტე წლისთავი, 1992 წლის 18 მაისი მაქვს-მეთქი ჩაფიქრებული. ჰელმუთ კოლი სკამის საზურგეს მიეყრდნო და შემომხედა. ჩვენ მომცრო მაგიდას ვუსხედით სასტუმრო სახლის შუშისკედლებიან ვერანდაზე. თქვენი სატელეფონო ზარის შემდეგ კიდევაც ვიფიქრე რაღაც მსგავსიო, მითხრა მან. რა თქმა უნდა, ჩემთვის გასაგებია თქვენი გადაწყვეტილება, რადგან მეც მომძალებია ამგვარი ფიქრები, თუმცა მე ჯერ იმდენ ხანს არ მიმსახურია ფედერალურ კანცლერად, რამდენ ხანსაც თქვენ იმსახურეთ საგარეო საქმეთა მინისტრადო. ოღონდ მე თქვენგან განსხვავებულ დასკვნამდე მივედიო. შემდეგ მკითხა, რატომ ვაპირებდი წასვლას ზაფხულის დამდეგს, როცა ივნისსა და ივლისში მთელი რიგი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენციებისა გველოდა. მართლაც, 18 მაისის შემდეგ, ოღონდ ზაფხულის არდადეგებამდე უნდა შემდგარიყო ევროგაერთიანების სამიტი, მსოფლიოს ეკონომიკური სამიტი მიუნხენში, ევროთათბირის სამიტი ჰელსინკიში და ნატოს სამიტი. მან შემომთავაზა, ეგებ ჯობდეს, შემოდგომაზე გადამდგარიყავი, თუნდაც იმიტომ, რომ ამ თავყრილობებზე საკადრისი გამომშვიდობება მოგვეწყოო. ამაზეც ვიფიქრე-მეთქი, მივუგე მე. მეორეს მხრივ კი თქვენი რამდენიმე შენიშვნიდან გამომდინარე დავასკვენი, რომ 1992 წლის შემოდგომისთვის კაბინეტის რეორგანიზაციას აპირებთ — რაც სრულებითაც არ არის უჩვეულო რამ, დასაჩქარებელიც კიამეთქი. ოღონდ არ იქნება სასურველი, ჩემი გადადგომა ამ რეორგანიზაციის ნაწილად იქნეს აღქმული. ასე თუ მოხდება, მაშინ ჩვენს

პირად დამოკიდებულებაზეც მცდარი წარმოდგენა შეიქმნება. გადაწყვეტილება, რომელიც მე მივიღე, სრულიად ჩემეულია და მხოლოდ ჩემ მიერ მოყვანილ არგუმენტებს ეყრდნობა-მეთქი. რა თქმა უნდა, კონფერენციები გამომშვიდობებისთვის კარგ საშუალებას იძლევა, მაგრამ ამისათვის სხვა შესაძლებლობებიც არსებობს. გაცილებით უფრო საჭიროდ მიმაჩნია, რომ ჩემმა მემკვიდრემ ამ კონფერენციებზე გაიცნოს ყველა წამყვანი პიროვნება ევროგაერთიანების, ნატოს, ევროთათბირის და მსოფლიოს ეკონომიკურ პარტნიორთა წარმომადგენლებს შორის — ამისი შანსი მას აუცილებლად უნდა მიეცეს-მეთქი.

საუბარმა ერთობ მშვიდ და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, როგორც ეს ჩვენს მრავალწლიან ურთიერთობას შეეფერებოდა. ის, რაც ჩვენ პირადულის გარდა მუდამ დაგვაკავშირებს, არის ერთობლივად გავლილი გზა გერმანიის ერთიანობისკენ და ასევე ერთობლივად გავლილი გზა გაბედული გადაწყვეტილებისკენ, როცა მე 1982 წელს თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას მოვთხოვე ქრისტიანულ-დემოკრატიულ და ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებთან სამთავრობო ბლოკი შეექმნა.

დასასრულს ვუთხარი, რომ არ ვაპირებდი, მთლიანად ჩამოვშორებოდი პოლიტიკას, ჩემი გადადგომა განდგომას არ ნიშნავდა. თუმცა ვაპირებ პარლამენტში კარგა ხანს მოკრძალებულად მეჯიროს თავი, რათა ჩემს მემკვიდრესა და ჩემ შორის კონკურენცია არ წარმოიშვას და მას ხელი არ შევუშალო-მეთქი. ისიც ვთქვი, რომ შემდეგი მოწვევის პარლამენტშიც მინდოდა კენჭი მეყარა. ეს იმიტომ ვახსენე, რომ დამესწრო შეკითხვისთვის, გადადგომის შემდეგ ფედერალური პრეზიდენტის პოსტზე ხომ არ ვაპირებდი ჩემი კანდიდატურის წამოყენებას. ამის შესახებ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, 1991 წლის გაზაფხულზე მკითხა ჰელმუთ კოლმა და მაშინვე ვუპასუხე, რომ ამ პოსტისკენ არ მივისწრაფოდი.

ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ ჩვენს პარტიებში ჯერჯერობით არავისთვის გაგვემხილა ამ საუბრის შინაარსი; მე მას ვუთხარი, რომ ჩემი მეუღლის გარდა მხოლოდ ჩემმა ქალიშვილმა და სიძემ იცოდნენ ეს ამბავი. შემდგომ ჩვენს მეუღლეებთან გავედით, რათა ერთხანს ერთად ვმსხდარიყავით.

მერე და მერე საკმაოდ გამიჭირდა, ჩემი გადაწყვეტილება

საიდუმლოდ შემენახა, პირველ ყოვლისა ვერ შეეძელი ეს არ მეთქვა პარტიის თავმჯდომარისა და ჩემი მეგობრის გრაფ ლამბსდორ-ფისათვის. მაგრამ ვთხოვე, პრეზიდიუმის სხვა წევრებთან ამის შესახებ არაფერი წამოსცდენოდა. მას რომ მათთვის ეს გაემხილა, ჩემი განზრახვა გახმაურდებოდა, რაც საგარეო პოლიტიკაში დაუშვებელი იყო, და თანაც თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში დიდ აურზაურს გამოიწვევდა მემკვიდრესთან დაკავშირებით, როგორც ეს, სამწუხაროდ, მოხდა კიდევაც მოგვიანებით.

იმავე დღეს, რა დღესაც ჰელმუთ კოლს შევხვდი, ფედერალურ პრეზიდენტთანაც მოვითხოვე შეხვედრა და მას ბერლინის სამსახურებრივ რეზიდენციაში ვეწვიე. ვესაუბრე საგარეო პოლიტიკური ვითარების შესახებ, გავუზიარე აგრეთვე ჩემი შეშფოთება ჩვენს ქვეყანაში მოვლენათა განვითარების გამო. შეთანხმებისამებრ სიტყვაც არ დამცდენია ცოტა ხნის წინ ფედერალურ კანცლერთან გამართულ საუბარზე. ამან გული დამიმძიმა, რადგან რიხარდ ფონ ვაიცზეკერსა და ჩემ შორის მთელი ამ წლების განმავლობაში მჭიდრო და ნდობით აღსავსე ურთიერთობა დამყარდა. იგი მხარში ამომდგომია ბევრი რთული სიტუაციის დროს; მისი საერთაშორისო იმიჯი მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო გერმანული საგარეო პოლიტიკისთვის.

ჩვენი საუბრის შემდეგ სასტუმროში დავბრუნდი, სადაც ქალბატონი რაიცერი მელოდებოდა. იგი ბერლინში ჩემი თხოვნით წამოვიდა, რათა საჭიროების შემთხვევაში საჯარო განცხადება გაეკეთებინა. ბონში ადგილზე იყვნენ ჩემი პირადი რეფერენტი, მინისტრის ბიუროს ხელმძღვანელი და პრესმდივანი, ასე რომ, ყოველთვის შეიძლებოდა მათთან დაკავშირება. ყოველგვარი კომენტარის გარეშე ვუკარნახე ქალბატონ რაიცერს ტექსტი ფედერალურ კანცლერთან გამართული საუბრის შესახებ: შინაარსი არაორაზროვანი იყო, და ქალბატონი რაიცერის სახეზე ამოვიკითხე, რარიგ ძლიერ იმოქმედა მასზე ჩემმა გადაწყვეტილებამ. მაგრამ ისიც ვიგრძენი, რომ მას ესმოდა ჩემი, რაც ჩვენი ესოდენ ხანგრძლივი და ნდობით აღსავსე ურთიერთთანამშრომლობის შემდეგ, 1969 წლიდან რომ იღებდა სათავეს, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ფედერალურმა კანცლერმა და მე მოვილაპარაკეთ, რომ საზოგადოებას აპრილის მეორე ნახევარში ჩავაყენებდით საქმის კურსში, რათა საკუთრივ გადადგომის დღემდე საკმარისი დრო მქონოდა

იმისათვის, რომ ყველას გამოვმშვიდობებოდი, ჩემი სამსახურის საქმეები მომეწესრიგებინა და სათანადოდ და დამალობანას გარეშე მოვმზადებულიყავი გადადგომისთვის.

1992 წლის 3 იანვარს სატელევიზიო დისკუსია, რომელიც შუა გერმანიის რადიომ მოაწყო დრეზდენში ელბის ერთ ლამაზ გემზე, გამოვიყენე, რათა აზრი გამომეთქვა იმის თაობაზე, რომ პოლიტიკურ თანამდებობებზე ყოფნის ვადა შეზღუდული ყოფილიყო. ვისაც ყურნი ასხდა სმენად და ვინც მე მიცნობდა, უნდა გაეგო, რასაც ვგულისხმობდი; რადგან, რაც არ უნდა იყოს, ეს თემა მე თვითონ წამოვჭერი. თუმცა, როგორც ჩანს, საზოგადოებრივი აზრი ისე შეეჩვია „მარადიულ საგარეო საქმეთა მინისტრს", რომ არ სჯეროდათ, თუ მართლა ვაპირებდი გადადგომას.

მომდევნო კვირებში და თვეებში ჰელმუთ კოლი და მე ამ თემას აღარ დავბრუნებივართ. მხოლოდ მაშინ, როცა სააღდგომო არდადეგებისას დამირეკა (დღესასწაულებზე ჩვენ ყოველთვის ვეხმიანებოდით ერთმანეთს ტელეფონით), მან — მას შემდეგ რაც ერთმანეთის ოჯახები მოვიკითხეთ — ბერლინში გამართულ საუბარზე ჩამომიგდო სიტყვა. დავუდასტურე, რომ, რასაკვირველია, ჩემი გადაწყვეტილება ძალაში რჩებოდა; ის რომ საბოლოო არ ყოფილიყო, მაშინ ამაზე არც დაგელაპარაკებოდით-მეთქი. ვუთხარი, რომ 27 აპრილი შესაფერისი თარიღი იქნებოდა ჩემი გადადგომის გამოსაცხადებლად; იგი დამეთანხმა და მოვილაპარაკეთ, რომ ხუთშაბათს, 23 აპრილს, საქმის კურსში ჩავაყენებდით პარტიულ კოლეგებს — ჰელმუთ კოლი ვოლფგანგ შოიბლეს და მე ოტო გრაფ ლამბსდორფს და ჰერმან-ოტო ზოლმსს, პარტიისა და ფრაქციის თავმჯდომარეს.

გამოთხოვება

როცა 23 აპრილს, საღამოს გრაფ ლამბსდორფის ბინაში ვიჯექი და ჩემს გადაწყვეტილებას განვუმარტავდი, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ იგი უკვე ინფორმირებული იყო. ჰელმუთ კოლი მანამდე რამდენიმე საათით ადრე ესაუბრა ვოლფგანგ შოიბლეს, შემდეგ შოიბლე დოქტორ ზოლმსს ელაპარაკა, დოქტორი ზოლმსი

კი თავის მხრივ — გრაფ ლამბსდორფს.

იმავე საღამოს, მოგვიანებით დავურეკე დოქტორ ზოლმსს, რომელიც თუმცა საქმის კურსში იყო, მაგრამ, ცხადია, მინდოდა მასთან პირადად მესაუბრა ჩემი გადაწყვეტილების შესახებ. გრაფ ლამბსდორფს შევუთანხმდი, რომ ორშაბათს პრეზიდიუმის სხდომის დასაწყისში გავაკეთებდი განცხადებას ჩემი გადადგომის თაობაზე, რომელიც მაშინვე პრესას უნდა გადასცემოდა. ასე თუ მოვიქცეოდი, ჩემი გადადგომის მიზეზთა შესახებ ჭორები აღარ გაჩნდებოდა. მე იმ აზრზე ვიდექი, რომ ჩემი განცხადების შემდეგ სხდომა შეგვეწყვიტა, რადგან, ეჭვი არ იყო, მაშინათვე წამოიჭრებოდა მემკვიდრის საკითხი. ამიტომ წინადადება წამოვაყენე, საღამოს 20 საათზე ხელახლა გამართულიყო შეხვედრა და იმდენ ხანს გაგრძელებულიყო, სანამ ბოლო საინფორმაციო გადაცემა დამთავრდებოდა; მეორე დღეს კი შესაძლებელი იქნებოდა პრეზიდიუმის, იმედია, ერთსულოვანი თანხმობით კავშირის თავმჯდომარისა და პარლამენტის ფრაქციის ერთობლივ სხდომაზე წასვლა.

კვირას ჩემს ბინაში მოვიწვიე მინისტრის ბიუროს ხელმძღვანელი, პრესცენტრის ხელმძღვანელი და ორივე სახელმწიფო მდივანი — კასტრუპი და ლაუტენშლაგერი, რათა მათთვის ჩემი გადაწყვეტილება მეცნობებინა. ამჯერად განსაკუთრებით გამიჭირდა ამის გაკეთება, რადგან თითოეული მათგანი თავისებურად დაახლოებული და განდობილი იყო ჩემთან. ყველა მათგანს დიდად ვაფასებდი როგორც პიროვნული, ისე პროფესიული თვალსაზრისით და უსაზღვრო ნდობით ვიყავი გამსჭვალული მათ მიმართ. წლების განმავლობაში მჭიდროდ ვთანამშრომლობდით ერთმანეთთან — ახლა კი ჩემი გადადგომის საბაბით ვისხედით ერთმანეთის პირისპირ ჩემს სამუშაო ოთახში.

1992 წლის 27 აპრილს, დილით, როგორც გათვალისწინებული იყო, 9 საათზე ჩემი განცხადება პრესას გადაეცა. უკვე კვირადღის ნაშუადღევს გაეცნო პირველ ინფორმაციას, ოღონდ იგი არც ერთ მხარეს არ დაუდასტურებია. ფედერალურმა კანცლერმა კიდევ ერთხელ დამირეკა კვირა საღამოს, რათა ეთქვა, რომ ჩემი გადადგომა არ იყო ერთადერთი — ფრაუ ჰასელფელდტსაც გადაეწყვიტა ამგვარი ნაბიჯის გადადგმა.

მეორე დღეს, ორშაბათს, შეთანხმებისამებრ 9 საათზე შევიკ-

რიბენით პრეზიდიუმში. მას მერე, რაც განცხადება გავაკეთე, რომელიც მაშინვე გავრცელდა საზოგადოებაში, სხდომა მალევე შეწყდა. მე სამსახურში დავბრუნდი, რათა ჩემს თანამშრომლებს გავსაუბრებოდი. შემდეგ მივიღე რუსეთის პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც სწორედ იმ დროს ბუნდესტაგის პრეზიდენტის მოწვეეით ბონში იმყოფებოდა.

პრეზიდიუმის სხდომაში, ნაშუადღევს რომ გაიმართა და რომელზეც მემკვიდრის გამოც იყო მსჯელობა, მე მონაწილეობა ვერ მივიღე, რადგან საგარეო საქმეთა კომიტეტში შეხვედრები მქონდა დანიშნული; მხოლოდ სხდომის სულ ბოლო ნაწილს მივუსწარი, როცა უკვე სხვა საკითხთა განხილვა მიმდინარეობდა.

მეტისმეტად გამიჭირდა ჩემი მეგობრებისთვის, როლან დიუმასა და კშიშტოფ სკუბიშევსკისთვის, რომლებსაც 1992 წლის 24 აპრილს საფრანგეთში შევხვდი, არაფერი მეთქვა ჩემი გადადგომის განცხადების შესახებ, რომელიც ორშაბათისთვის იყო დაგეგმილი. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით პერიგეში, როლან დიუმას საარჩევნო ოლქში და განვაგრძეთ ვაიმარის სხდომაზე დაწყებული საუბარი ჩვენს სამ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობათა სამომავლო განვითარების შესახებ. ვაიმარის რკალს, რომელიც საფრანგეთს, გერმანიასა და პოლონეთს მოიცავდა, ახალი ევროპული პერსპექტივა უნდა გადაეშალა. მშვენიერ ამინდში ღია ცის ქვეშ გვერდიგვერდ მსხდარნი, სამივენი ვგრძნობდით, რა მეგობრული გამხდარიყო ჩვენი პირადი ურთიერთდამოკიდებულება. ნაშუადღევს პონას სააბატოში წავედით, სადაც სეირნობისას საფრანგეთი სულ სხვა კუთხით დავინახეთ. ორივე მეგობართან საუბრისას სულ ეფიქრობდი, ხომ არ მეთქვა მათთვის ჩემი გადადგომის ამბავი. მაგრამ წარმოვიდგინე, ამით რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენებდი მათ თავიანთ სახელმწიფოთა პრეზიდენტებისა და მთავრობის მეთაურთა წინაშე, ასე რომ, გადავიფიქრე ამის გაკეთება. ერთად გატარებული ამ დროის განმავლობაში სიხარულით შევნიშნე, ამასობაში რა ძლიერ დავკავშირებივარ როლან დიუმას პიროვნულად და რარიგ დაახლოებულა ჩვენთან სკუბიშევსკი. ჩემი სურვილია, რომ ის სულისკვეთება, რომელიც ჩვენ ვაიმარიდან მოყოლებული კშიშტოფ სკუბიშევსკისთანაც გვაკავშირებს, ჩვენს სამ ხალხს შორის მუდამ ცოცხლად დარჩეს. ასე დავტოვე საფრანგეთი მოსაღამოვე-

ბულს, იმის შეგნებით, რომ ეს იყო ბოლო შეხვედრა — ყოველ შემთხვევაში ამგვარი ხასიათისა — ორივე მეგობართან.

მეორე დღეს — როგორც ყოველ წელს — ზაარის ბაზრობის გახსნაზე წავედი. იქ ვილაპარაკე ევროპის გაერთიანების საკითხებზე; ორიოდე წუთს ვესაუბრე ოსკარ ლაფონტენსაც, რომელიც შეერთებულ შტატებში გამგზავრებას აპირებდა. სასხვათაშორისოდ ვუთხარი: „მგზავრობისას ჩემ შესახებ რაღაცას შეიტყობთ — ჩემი ამბავი ამერიკას მიაღწევს.“ მოგვიანებით იგი მომიყვა, რომ იმან, რაც მაშინ შეიტყო, სახტად დატოვა.

ევროპელ მეგობართა წრეში

1992 წლის 27 აპრილს, ორშაბათს, სადილობისას ჩემთან ვილი კლაესი, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი, მოვიდა, ხოლო ნაშუადღევს შევხვდი დეუშ პინეიროს, რომელთანაც ნაცადი მეგობრობა მაკავშირებს.

საღამოს ჩემი მეუღლითურთ კლაუს ბრესერთან და კლაუს-პეტერ ზიგლოხთან ერთად გამოვედი გადაცემაში „რას აპირებთ, ბატონო გენშერ?“, რომელშიც კიდევ ერთხელ წარმოვადგინეთ ჩემი გადაწყვეტილების მიზეზები და ჩვენი სამომავლო გეგმები. შეკითხვაზე, თუ რატომ გადავწყვიტე გადადგომა, მე ვუპასუხე: „მირჩევნია, მკითხოთ, რატომ გადავწყვიტე წასვლა, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს მითხრათ: „ბოლო-ბოლო, როდის აპირებთ წასვლასო?“

სამშაბათს, დილით პროგრამაში გვქონდა კარგა ხნის წინ დაგეგმილი საუბარი ირჟი დინსტბირთან პრაღაში. ჩვენს ჩეხ კოლეგებს გულდამძიმებულნი შევხვდით; გამომშვიდობება მათაც და მეც მეტად გვიმძიმდა — ჩვენ ძალიან ბევრი რამ გადავიტანეთ და ბევრ რამეს მივაღწიეთ ერთად, ჩვენი პირადი ურთიერთობებიც ძალიან მჭიდრო გამხდარიყო. მე მათ დაბეჯითებით ვუთხარი, რომ გერმანიის პოლიტიკაში არაფერი შეიცვლებოდა და მათ მომავალშიც შეეძლოთ, ჩემი იმედი ჰქონოდათ.

საღამოს ფედერალურ პრეზიდენტთან ერთად სახელმწიფო ვიზიტით გავფრინდი ვაშინგტონში. 1992 წლის 30 აპრილის ღამეს გავემართეთ პორტუსკენ ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის

საგარეო მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე. საღამოს დეუშ პინეირომ გიმარაინშში ჩვენთვის ვახშამი გამართა. აქაც ატმოსფერო და საუბრები კოლეგებთან ჩემი მომავალი გადადგომის ნიშნით იყო აღბეჭდილი. მე ყოველთვის ვგრძნობდი, რარიგ მჭიდროდ ვიყავით დაკავშირებულნი ერთმანეთთან. მაგრამ ამ საღამოს, ჩვენი მეუღლეების თანდასწრებით, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა ერთი რამ: აქ ოჯახი შეიქმნა, პარტიულ და ნაციონალურ საზღვრებს მიღმა. აქ ევროპა, წარმოდგენილი თავისი საგარეო საქმეთა მინისტრებით, ისე ცხოვრობდა, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე თამამ ოცნებებშიც კი ვერავინ წარმოიდგენდა. დეუშ პინეირომ ვახშამი მთლიანად ჩემი გადადგომის ნიშნით წარმართა. მან იმღერა ძველი პორტუგალიური სიმღერა, ფადო, რომლის მელოდიასაც ჩემდამი მოძღვნილი საკუთარი ტექსტი შეუწყო. ამ პატარა ენერგიულმა კაცმა, მოციმციმე თვალები რომ ჰქონდა და სწრაფი მოსაზრების უნარით იყო დაჯილდოებული, იმ საღამოს არა მხოლოდ სამხრეთული სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა, არამედ დიდი სითბო და ადამიანურობაც, რაც დაუვიწყარი იქნება ჩემთვის. ჩემმა სხვა კოლეგებმაც იმოდენა გულითადობა მაგრძნობინეს, რომ გიმარაინშში გამართული ეს სხდომა იმ შეგნებით დავტოვე, მეგობრებთან ერთად ევროპაში ერთიანობის ახალი განწყობა შემიქმნია-მეთქი, ადამიანურობის ისეთი ატმოსფერო, რომელმაც ძნელბედობის ჟამსაც გაამართლა, რადგან მეგობრობაზე იყო დაფუძნებული.

5 მაისს სტრასბურგში ევროსაბჭოს სხდომა გაიმართა. მადამ ლალიუმიე, გენერალური მდივანი, ჭკვიანი, სიმპათიური ქალბატონი, რომელიც საერთოდ, ცოტა არ იყოს, ცივი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, გულითადად მომესალმა და თავისი გულწრფელი სინანული გამოხატა იმის გამო, რომ დაკარგა ევროპის საქმისთვის თავდადებული თანამებრძოლი — ყოველ შემთხვევაში დაკარგა იგი როგორც მინისტრი. სხდომაზე ევროსაბჭოში მივიღეთ — ამ ამბავს რომ მოვესწარი, განსაკუთრებით გამიხარდა — ესტონეთი, ლატვია და ლიტვა; ამას მე — რამდენიმე შიდაპოლიტიკური ძალის წინააღმდეგ — დაჟინებით ვუჭერდი მხარს. იმავე დღეს გადაწყდა და გამოცხადდა ბულგარეთის მიღებაც.

მეორე დღეს გერმანიის ბუნდესტაგში უკანასკნელად ვილა-

პარაკე როგორც საგარეო საქმეთა ფედერალურმა მინისტრმა. დღის წესრიგში იდგა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის კეთილმეზობლობისა და მეგობრული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების პირველი წაკითხვა და ხელშეკრულება უნგრეთის რესპუბლიკასთან ევროპაში მეგობრული თანაშშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ. შესაბამისი შეთანხმება პოლონეთთან და ბულგარეთთან უკვე დადებული გვქონდა. გაერთიანებული გერმანია ნაბიჯ-ნაბიჯ აკავშირებდა თავის ურთიერთობებს საერთოევროპულ განვითარებასთან. „ამით ისინი ხდებიან ელემენტები საერთოევროპული არქიტექტურისა, რომელიც ჩვენს კონტინენტს უკეთესი, მშვიდობიანი მომავლის შანსს აძლევს," ვთქვი მე. „ამ არქიტექტურას მხოლოდ მაშინ ექნება გამძლეობა, თუ ის ადამიანის უფლებების, ადამიანის ღირსების პატივისცემაზე და ხალხთა თვითგამორკვევის უფლებაზე იქნება დაფუძნებული. სამართლიანობა აღამაღლებს ხალხს; ეს ხალხთა თანამეგობრობასაც ეხება." შემდეგ ხაზი გავუსვი ორივე ხელშეკრულების ისტორიულ მნიშვნელობას: პრაღაში მაშინ ვაცლავ ჰაველი იყო პრეზიდენტი. მან, დიდმა ევროპელმა, კაცმა, რომელმაც თავის ხალხს სიტყვის ძალითა და სამაგალითო პოლიტიკური დამაჯერებლობით თავისუფლებისკენ მიმავალი გზა უჩვენა, ჩვენ, გერმანელებს შერიგების ხელი გამოგვიწოდა, უწოდა რა უსამართლობა იმას, რაც სუდეტელ გერმანელებს დამართეს. ყველა მონახავდა ძალას თავის თავში, რომ ეს უნიკალური შანსი გამოეყენებინა?

ბუნდესტაგის დებატებში უნგრეთს კიდევ ერთხელ გადავუხადე მადლობა თავისი გაბედული პოზიციისთვის 1989 წელს: ამას გერმანიაში არასოდეს დაივიწყებენ; გერმანული პოლიტიკის იმიჯის, სანდოობისა და დამაჯერებლობისთვის ყოვლად აუცილებელია, რომ ჩვენ ეს მუდამ მადლიერებითა და პატივისცემით გავიხსენოთ-მეთქი.

ჩემი მოხსენების ბოლოს გამოვემშვიდობე ბუნდესტაგს როგორც საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი. ჩემს გადადგომას ვუწოდე წვლილი, შეტანილი ჩვენი დემოკრატიის საიმედოობის განმტკიცების საქმეში, იმ დემოკრატიისა, რომელიც პასუხისმგებლობას სამართლიანად აკისრებს მხოლოდ და მხოლოდ დროს. ხაზგასმით აღვნიშნე, რომ გერმანული საგარეო პოლიტიკის საფუძველი და სახელმძღვანელო პრინციპი ჩვენი კონსტიტუციით გარანტირებული ფასეულობანი და ის კონსტიტუციურსამართლებრივი ნორმაა, რომელიც გვავალებს, გავაერთიანოთ ევროპა და მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას ვემსახუროთ; ევროპული აზროვნება და მოქმედება ახალი ნაციონალიზმის ნებისმიერ ფორმას უნდა დავუპირისპიროთ-მეთქი. ჩემი გამოსვლა ამ სიტყვებით დავამთავრე: „ძმობა და სოლიდარობა, მხოლოდ ასე თუ შეიქმნება ახალი ევროპა, მხოლოდ ასე თუ ვიქნებით სამართლიანნი მესამე სამყაროში მცხოვრებ ადამიანთა მიმართ. ძმობა და სოლიდარობა, ადამიანურობა და ურთიერთგაგება — ყოველივე ეს ჩვენ, გერმანელებს, დაგვჭირდება, თუკი სახელმწიფოებრივი გაერთიანების შემდეგ შინაგანი ერთიანობის მოპოვება გვინდა. დეპუტატი ჰანს-დიტრიხ გენშერი ისურვებდა, მომავალში ამ შინაგანი ერთიანობის მოპოვებაშიც მიეღო მონაწილეობა.“ პარლამენტმა მადლობა ხანგრძლივი ტაშით გამომიცხადა, რომლის დროსაც დეპუტატები ფეხზე წამოდგნენ. ამან მადლიერებითა და, ცოტა არ იყოს, სიამაყითაც აღმავსო.

შემდეგ ფრაქციის თავმჯდომარემ ჰერმან-ოტო ზოლმსმა მადლობისა და აღიარების გამომხატველი გულითადი სიტყვები წარმოთქვა. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის, ქრისტიანულ-სოციალური კავშირის, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის და „ბიუნდნის-90“/მწვანეების სპიკერებმაც, ჰორნჰუესმა, ვარნკემ, გლოცმა და პოპემ ღირსეული შეფასება მისცეს ჩემს მუშაობას. დემოკრატიული სოციალიზმის პარტიის სპიკერმა, ჰანს მოდროვმა, თავისი გამოსვლის დასასრულს თქვა: „მე მინდა, თქვენ პირადად, ბატონო გენშერ, პატივი მოგაგოთ და მადლობა მოგახსენოთ.“ ჩემმა თანამშრომელმა და თანამგზავრმა მრავალი წლის მანძილზე გიუნთერ ფერჰოიგენმა — რომელიც ახლა სოციალ-დემოკრატია — დიდი

გულითადობით ილაპარაკა. ის მიხვდა, რა მქონდა მხედველობაში: „რაც თქვენ თქვენი გამოსვლის ბოლოს ბრძანეთ, შინაგანი პოზიციის გამოხატულება იყო“, თქვა მან.

რაში მდგომარეობდა ეს „შინაგანი პოზიცია“? გაერთიანებული გერმანიის პასუხისმგებლობის პოლიტიკა – ალბათ ამას გულისხმობდა ფერჰოიგენი – მე უკვე 1991 წლის 25 სექტემბერს წარმოვადგინე გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის წინაშე თავისი საფუძვლებითა და პერსპექტივებით: „დღეს მე პირველად ვლაპარაკობ როგორც გაერთიანებული გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი. გერმანია თავის ადგილს იკავებს გაერთიანებული ერების ოჯახში სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჩვენეული ქარტიის საფუძველზე. ჩვენ, როგორც ევროპის სახელმწიფოს, ნაკისრი გვაქვს პარიზის ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებები. ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებული ჩვენი ხალხის მზარდი ძლიერება გვავალებს, მეტი პასუხისმგებლობით ვიღვაწოთ თავისუფლების, დემოკრატიისა და ადამიანის ღირსების დასაცავად ევროპულ გერმანიაში, რომელმაც წარსულის ნაციონალ-სოციალისტური აზროვნება უკან მოიტოვა... ჩვენ, გერმანელებს, გვსურს, რომ ეს ევროპა მჭიდრო ტრანსატლანტიკურ კავშირ-ურთიერთობაში ჩაებას. ამის გამოხატულებაა ჩრდილოატლანტიკური კავშირი და აშშ-ისა და კანადის მონაწილეობა ევროთათბირის პროცესში... გერმანიის პოლიტიკა შემდეგ მიზნებს ისახავს – პირველი: გვინდა, ევროპის თანამეგობრობა, რომელსაც ჩვენ მივეკუთვნებით როგორც მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი, ევროკავშირად და ბოლოს ევროპის შეერთებულ შტატებად გადავაქციოთ... მეორე: ჩვენ გვსურს, რომ ევროპის ყველა დემოკრატიული სახელმწიფო ამ თანამეგობრობას შემოუერთდეს. ევროპის ახალ დემოკრატიებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკაზე გადადიან, ევროგაერთიანებასთან ასოცირების მეშვეობით მის სრულუფლებიან წევრობამდე უნდა გავუკაფოთ გზა. მესამე: ჩვენ გვსურს, მთელი ევროპა პარიზის ქარტიის საფუძველზე სულ უფრო და უფრო შევამჭიდროვოთ. ამ ევროპაში თავიანთი ადგილი უნდა დაიკავონ საბჭოთა კავშირის ხალხებმაც, რომლებიც სუვერენულ რესპუბლიკათა თანაცხოვრების ახალ ფორმას აირჩევენ. ევროპა თავის ახალ წესრიგს პოვებს კონფედერალურ სტრუქ-

ტურებში. ისინი სხვადასხვა ფორმით გამოვლინდებიან. ისინი ანგარიშს გაუწევენ გაფართოებულ სტრუქტურებს და რეგიონებს ახალ შესაძლებლობებს შესთავაზებენ. ევროპა უფრო დიდი ერთიანობის წყალობით უფრო დიდ მრავალფეროვნებას მიაღწევს. მეოთხე: ჩვენ გვსურს, როგორც ევროპის შუაგულში მდებარე ქვეყანამ, მთელი ძალ-ღონით ვიღვაწოთ ჩვენი კონტინენტის ერთიანობისთვის. ამ სურვილს წარმოაჩენს უნიკალური ურთიერთობა გერმანიასა და საგრანგეთს შორის. საამისოდ მნიშვნელოვანია აგრეთვე მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენს აღმოსავლელ მეზობლებთან. ეს მე გამოვხატე 1991 წლის 29 აგვისტოს ჩემს ფრანგ კოლეგა როლან დიუმასა და ჩემს პოლონელ კოლეგა დოქტორ კშიშტოფ სკუბიშევსკისთან ერთად ვაიმარში გაკეთებულ განცხადებაში... ხელმოწერილია აგრეთვე გერმანია-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულება კეთილმეზობლობისა და მეგობრული ურთიერთთანამშრომლობის შესახებ... მეხუთე: ჩვენ გვინდა, დასავლური კავშირი შეცვლილ პირობებშიც მთელი ევროპის სტაბილიზაციისათვის ავამოქმედოთ. უკვე დამყარებული კონტაქტები ვარშავის ხელშეკრულების ყოფილ წევრ სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის ჩათვლით უსაფრთხოების სფეროში ფართო მასშტაბის პარტნიორობად უნდა გადაიქცეს... ჩვენ გვსურს ევროთათბირის პირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩვეულებრივი განიარაღების თანმიმდევრული გაგრძელება; ჩვენ გვინდა, მსოფლიო მასშტაბით აიკრძალოს ქიმიური იარაღის გამოყენება. პირველი რიგის საკითხია მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული რაკეტებისა და ბირთვული საარტილერიო საბრძოლო მასალის ლიკვიდაცია. ეს იარაღები სულ უფრო და უფრო მეტ დესტაბილიზაციას იწვევს, მათი გავრცელების საფრთხე იზრდება. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ბირთვული სახელმწიფოები გააგრძელებენ სტრატეგიული ბირთვული იარაღის შემცირებას. მეექვსე: ჩვენ გვინდა, ევროთათბირი ქმედითუნარიანი გავხადოთ. ევროთათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსა და ევროთათბირის „გადაუდებლობის მექანიზმის" შექმნის შემდეგ მოსკოვში ამა წლის 10 სექტემბერს ჰუმანიტარული საკითხების შესახებ გამართულ ევროთათბირის კონფერენციაზე კონკრეტული წინადადებები წამოვაყენე ადამიანის უფლებათა პატივისცემის, დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების ქმედითი დაცვის მიზნით — ეს

დაცვა შესაძლებელი უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის თანხმობის გარეშეც. თვითგამორკვევის უფლებასა და ამასთან უშუალოდ დაკავშირებულ უმცირესობათა უფლებებს ყველგან უნდა სცენ პატივი. ევროპა ვითარდება. მეტი იდენტურობისა და მეტი პლურალიზმის მიმართულებით. აქედან ახალი ნაციონალიზმი არ უნდა აღმოცენდეს. ევროპულმა სტრუქტურებმა განვითარების ასეთი კურსი უნდა აიღონ, ყველა შეკითხვაზე ევროპული პასუხი უნდა გვქონდეს მზად... მეშვიდე: ჩვენ გვსურს, რომ ახალმა ევროპამ გააცნობიეროს თავისი მსოფლიო მასშტაბის პასუხისმგებლობა. მას არა აქვს უფლება, მხოლოდ საკუთარ თავზე იზრუნოს და არც გააკეთებს ამას. განვითარება, მიმართული იქითკენ, რომ ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე ევრო-ატლანტიკური კოოპერაციული სივრცე შეიქმნას, განვითარების ისტორიულ შანსს აძლევს სამხრეთის განვითარებად ქვეყნებსაც... მერვე: ჩვენ გვინდა, რომ გაერთიანებული ერები ახალი მსოფლიო წესრიგის მოქმედების ცენტრალური ფორუმი გახდეს. საამისოდ აუცილებელი წინაპირობაა ის, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ქაღალდზე არ დარჩეს, შესრულდეს სრულად და უპირობოდ.... მეცხრე: ჩვენ გვინდა, კატასტროფის შემთხვევებში გაერთიანებული ერების დახმარების ღონისძიებათა უკეთესი კოორდინირებისთვის დაინიშნოს მაღალი რანგის, მხოლოდ გენერალური მდივნის წინაშე პასუხისმგებელი რწმუნებული... მეათე: ჩვენ გვინდა, გავაძლიეროთ ის ინსტრუმენტები, რომლებიც მსოფლიოში სამართალსა და კანონს ამკვიდრებენ. ჩვენი ისტორიის გამოცდილება განსაკუთრებულად გვავალდებულებს, შექმნათ თვისუფალი სამართლებრივი სახელმწიფო და. დავიცვათ ადამიანის უფლებები. ჩვენ მოვითხოვთ ისეთი სასამართლოს შექმნას, რომელსაც შეიძლება ნებისმიერმა ადამიანმა მიმართოს, ვისაც მიაჩნია, რომ მისი უფლებები დაირღვა. ჩვენ ვითხოვთ წამებისა და სიკვდილით დასჯის აღკვეთას. ჩვენ გვჭირდება ქმედითი საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალი და საერთაშორისო კონტროლის სისტემის დაარსება. იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომლებიც გარემოს განზრახ აყენებენ ზიანს, შესაძლებელი უნდა იყოს სანქციების დაწესება. აქვე იგულისხმება ქმედითი ბრძოლა გარემოს გამანადგურებელი ომების წარმოების წინააღმდეგ... მეთერთმეტე: ადამიანთა სამოქალაქო უფლებების გარდა, გვინდა დავამკვიდროთ აგრეთვე ადამიანთა

ეკონომიკური და სოციალური უფლებები. გაერთიანებული გერმანია კვლავაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მესამე სამყაროს სახელმწიფოთა განვითარების საქმეში... მეთორმეტე: ჩვენ გვსურს, რომ მესამე სამყაროს სახელმწიფოებმა თანასწორუფლებიანი მონაწილეობა მიიღონ კაცობრიობის მომავლის შესახებ გამართულ დიალოგში, ყველა სფეროში: პოლიტიკურში, ეკონომიკურში, ეკოლოგიურში და კულტურულში...“

1992 წლის 27 აპრილს ჩემი გადადგომის განცხადებაში შეჯამებაც მოვახდინე. „მე ვტოვებ ჩემს სამსახურს იმ დროს,“ ვთქვი მე, „როცა გერმანული საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები გარკვევით არის დასახული. ეს მნიშვნელოვანია ჩვენთვის ევროპასა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენათა დრამატული განვითარების პირობებში, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ყველა ჩვენი მეზობლისა თუ პარტნიორისთვის. გერმანიამ, რომელიც 1990 წლის 3 ოქტომბერს გაერთიანდა, 1991 წლის 15 მარტს სრული სუვერენიტეტი მოიპოვა. 1991 წლის 25 სექტემბერს გაერთიანებული ერების წინაშე განვმარტე გაერთიანებული გერმანიის პოზიცია და საგარეო პოლიტიკა. გერმანიის საგარეოპოლიტიკური გზა მკაფიოდ არის დასახული, ევროპის მიმართ ჩვენი საგარეო პოლიტიკა მყარად არის დადგენილი. ახალ ნაციონალიზმს ჩვენ ევროპულ აზროვნებას ვუპირისპირებთ. ჩვენ ძალაუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ იმედებს ვამყარებთ ჩვენი კონსტიტუციის ფასეულობებსა და პასუხისმგებლობის პოლიტიკაზე. ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთ ევროპის კეთილდღეობა დიდხანს არ გასტანს, თუ აღმოსავლეთ ევროპას დიდი ხნის განმავლობაში ცუდად ექნა საქმე. ჩვენ გვსურს, რომ ჩვენს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შემდეგ გაეროს წევრის ყველა უფლება და მოვალეობა ვიკისროთ. ბუნდესტაგის 1990 წლის არჩევნების შემდეგ მნიშვნელოვანი ევროპული მიმართულებები გერმანული საგარეო პოლიტიკის აქტიური ხელშეწყობით და უმეტეს შემთხვევაში მისი ინიციატივითაც კი იქნა მიღებული. ევროპის საბჭომ მაასტრიხტში, ალიანსის გადაწყვეტილებებმა, მიღებულმა კოპენჰაგენში გამართულ ნატოს წევრ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციასა და რომში გამართულ ნატოს სამიტზე, ევროთათბირის მინისტრთა საბჭოს პირველმა შეხვედრამ ბერლინში, მნიშვნელოვანმა ნაბიჯებმა, გადადგმულმა ევროთათ-

ბირის პროცესის ინსტიტუციონალიზაციის გზაზე და ჩვენი ალიანსისთვის ახალ ამოცანათა დასახვამ, რაც გამოიწვია ჩრდილოატლანტიკური კოოპერაციული საბჭოს დაარსებამ და უსაფრთხოების სივრცის შექმნამ ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე, ევროკავშირის და დასავლეთევროპული კავშირის ახალი როლის სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად შექმნა კარკასი საერთოევროპული არქიტექტურისთვის, რომელ'შიც წინასწარგანჭვრეტადი და წინასწარ განუჭვრეტადი პროცესებიც, პირველ ყოვლისა აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში, საერთოევროპული სტაბილურობის ჩარჩოში მიმდინარეობდა. გერმანია-საფრანგეთის მეგობრობამ 1989 წლიდან მოყოლებული, ევროპისთვის გადამწყვეტ წლებში კვლავ გაამართლა — ჩვენი ერთობლივი თანამშრომლობა პოლონეთთან ანგარიშს უწევს ჩვენს საერთოევროპულ პასუხისმგებლობას. მოხარული ვარ, რომ აშშ, რომელთანაც ჩვენ დღეს ისეთი ხარისხის თანხმობა გვაკავშირებს, როგორიც აქამდე არასდროს გვქონია, თავისი მოღვაწეობით ალიანსში, ჩრდილოატლანტიკურ კოოპერაციულ საბჭოში და ევროთათბირში მომავალშიც არ აარიდებს თავს თავის პასუხისმგებლობას ევროპის წინაშე. შუა და სამხრეთ ევროპის ახალ დემოკრატიებთან ევროგაერთიანების ასოცირების პოლიტიკა, რასაც ჩვენ დაჟინებით ვუჭერდით მხარს, და ახალი კოოპერაციული მოდელები ყოფილი საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფოებთან ურთიერთობათა დასამყარებლად ამ არქიტექტურას სულ უფრო და უფრო მეტად შეავსებენ. გაერთიანებულ გერმანიასა და ჩვენს უშუალო აღმოსავლელ მეზობლებს, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, დიდ რუს ხალხს, ცენტრალურ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებს შორის არსებობს მეგობრობისა და ნდობის მტკიცე კავშირები. პოლონეთთან დადებული ხელშეკრულებების რატიფიცირებამ და ჩეხოსლოვაკიასთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან და ბოლოს, 1992 წლის 21 აპრილს, რუმინეთთან დადებულ ხელშეკრულებათა ხელმოწერამ ჩვენს ურთიერთობებს მოსაზღვრე და არამოსაზღვრე აღმოსავლელ მეზობლებთან სამომავლო პერსპექტივა დაუსახა. ამ საერთოევროპული პოლიტიკის მეშვეობით ხორცს შევასხამთ გაერთიანების წელს გაკეთებულ ჩვენს განცხადებას ევროპული გერმანიის შექმნის შესახებ. ჩვეულებრივი განიარაღებისკენ გადადგმული მტკიცე ნაბიჯები და

მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული რაკეტებისა და ბირთვული საარტილერიო საბრძოლო მასალის ჩვენ მიერ შემოთავაზებული განადგურება, ისევე როგორც მომავალი შეთანხმება ქიმიური იარაღის მსოფლიო მასშტაბით ლიკვიდაციის შესახებ, საერთაშორისო და ევროპულ ურთიერთობათა მზარდ დემილიტარიზაციას მოახდენს და პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სტაბილურობის სულ უფრო და უფრო ძლიერ შეგნებას დაამკვიდრებს. ჩვენ ვკისრულობთ ჩვენს პასუხისმგებლობას გლობალური გამოწვევებისთვის თავის გართმევის და ჩრდილოეთ-სამხრეთის დაპირისპირების დაძლევის საქმეში, ისევე როგორც სიცოცხლის ბუნებრივ საფუძველთა მსოფლიო მასშტაბით დაცვისა და მასობრივი განადგურების იარაღთა პროლიფერაციის შეფერხების საკითხში."

უკვე კარგა ხნის შექმნილი იყო — ნაწილობრივ გერმანიის ინიციატივით, ნაწილობრივ გერმანიის აქტიური თანამშრომლობით — ევროპული, მეტიც, მსოფლიო მასშტაბის მქონე სტრუქტურები, რომლებიც ახლა უნდა გამოგვეყენებინა და დაგვეხვეწა. გერმანიის გაწევრიანება ევროპულ და ტრანსატლანტიკურ ორგანიზაციებში — ევროკავშირში, დასავლეთევროპის კავშირში, ევროსაბჭოში, ნატოში, ჩრდილოატლანტიკურ კოოპერაციულ საბჭოში, ევროთათბირსა და გაეროში — და მისმა მონაწილეობამ დიდი შვიდეულის ღონისძიებებში,' ევროკავშირის მსოფლიო მასშტაბის კოოპერაციულ პოლიტიკაში ჩაბმამ, რაც გამოიხატა ლომეს შეთანხმებაში, ევროკავშირსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხთა ასოციაციას შორის არსებულ თანამშრომლობაში, ევროპა-არაბეთის დიალოგში, აგრეთვე ევროკავშირსა და ცენტრალურ ამერიკას შორის და ევროკავშირსა და კონტადორას შორის არსებულ კონტაქტებში, შექმნეს ჩარჩოპირობები გერმანული პოლიტიკისთვის საფუძვლიანად შეცვლილ ევროპასა და მსოფლიოში — ეს გახლდათ ვითარება, რომელიც აღბეჭდილი იყო როგორც მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის არსებულ იდეოლოგიურად განპირობებულ წინააღმდეგობათა დაძლევით, ასევე ახალი ეკონომიკური, პოლიტიკური და აგრეთვე რელიგიური კავშირების შექმნით. ეს გარდაქმნა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობათა მსოფლიო მასშტაბით სულ უფრო და უფრო ძლიერ გავრცელებასაც გულისხმობს, მარტო გერმანიას კი არ შეეხო, არამედ საერთაშორისო პოლიტიკის ყველა მონაწილეს; სხვა დასავ-

ლურმა დემოკრატიებმაც უნდა მიიღონ ახალი ევროპული და გლობალური გამოწვევანი. ეს მოიცავს ხანგრძლივი და სამართლიანი სამშვიდობო წესრიგის ნაბიჯ-ნაბიჯ დამყარებას, რომელიც მხოლოდ დასავლეთ-აღმოსავლეთის კონფლიქტის დაძლეევით თუ მოხერხდება, თუმცა ამ მოთხოვნას უკვე შეიცავდა ჰარმელის მოხსენება. რა თქმა უნდა, გაერთიანების შემდეგ გერმანიის ავტორიტეტი გაიზარდა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ქვეყანამ მოიცილა სუვერენიტეტისა და ქმედითუნარიანობის შეზღუდვები, რომლებიც გერმანიის გახლეჩას მოჰყვა. თუმცა ჩვენი საგარეო პოლიტიკის პასუხისმგებლობის ახალი მნიშვნელობა განპირობებულია არა იმდენად გერმანიის გაერთიანებით, არამედ უფრო მეტად ევროპასა და მსოფლიოში მომხდარი ცვლილებებით; რადგან გერმანული პოლიტიკის ინტერპრეტაცია როგორც პასუხისმგებლობის და არა ძალისმიერი პოლიტიკისა, გაერთიანების შემდეგაც იგივე დარჩა. მხოლოდ ამ ძირითად პრინციპთა შენარჩუნება აძლევს ევროპულ გერმანიას იმის გარანტიას, რომ მას მომავალშიც ექნება გავლენის მოხდენის შესაძლებლობანი, რაც მან 1989 წლამდე მოიპოვა.

მაგრამ დავუბრუნდეთ მოვლენათა ქრონოლოგიას: სტრასბურგიდან პარიზს მომიწია წასვლამ, სადაც როლან დიუმამ სადილად მიმიწვია. შემდეგ პრეზიდენტმა მიტერანმა მიმიღო და მადლობა გადამიხადა ყოველივე იმისთვის, რაც მე გერმანულ-ფრანგული თანამშრომლობისთვის გავაკეთე. ჩვენ გავიხსენეთ რიგი საუბრებისა, რიგი ერთობლივი ძალისხმევებისა და შევთანხმდით, რომ გერმანია-საფრანგეთის მეგობრობა უნდა გაგრძელებულიყო პიროვნებათაგან დამოუკიდებლად.

იმ საღამოს — ეს იყო 1992 წლის 7 მაისი — საგარეო კომიტეტმა მიმიწვია ვახშამზე ტულპენფელდის პრეზიდიუმის შენობაში; კომიტეტის წევრებთან, პირველ ყოვლისა არაჩვეულებრივ თავმჯდომარე შტერკენთან, ყოველთვის წარმატებით ვთანამშრომლობდი. მეორე დღისთვის გველოდა რიგი შიდაპოლიტიკური საუბრებისა, შუადღისას პორტუგალიის ელჩის სტუმარი ვიყავი, რომელმაც თავის კოლეგათა წრეში მიმიწვია, რადგანაც მისი ქვეყანა იმხანად ევროგაერთიანებას თავმჯდომარეობდა.

11 მაისს გავფრინდი ბრიუსელში, მინისტრთა საბჭოში, სა-

დაც გადადგომის ფორმალური მხარე მოვაგვარე. კომისიის პრეზიდენტის გარდა ისაუბრეს, კიდევ ერთხელ და ახლა უკვე ოფიციალურად, საბჭოს თავმჯდომარემ დეუშ დე პინეირომ და, როგორც ყველაზე ხანდაზმულმა კოლეგამ, ჩემმა კარგმა მეგობარმა უფე ელემან-იენსენმა. რაც მან თქვა და როგორც თქვა, დაუვიწყარი იქნება ჩემთვის.

18 საათისთვის ბრიუსელში გერმანელი ჟურნალისტები მოვიწვიე — მათაც გამოვემშვიდობე. იმავე საღამოს, მოგვიანებით, მცირე ინტიმურ ვახშამზე „ლა ტრიუფ ნუარში", ბრიუსელელ გურმანთა ერთ-ერთ რესტორანში, შევხვდი პრეზიდენტ დელორს. ჩვენ სერიოზული საუბარი გვქონდა ევროპის მომავლის თაობაზე. ჟაკ დელორმა და მე, ყველა გადამწყვეტ საკითხში მხარში რომ ვუდექით ერთმანეთს, ერთად ვიბრძოდით და ვმუშაობდით, ვიცოდით ერთმანეთის ფასი. ამ გამომშვიდობების ჟამს მადლიერებით აღმავსო იმან, რომ, ჩანდა, დელორი, ისეთივე მაღალ შეფასებას აძლევდა ჩემს მუშაობას, როგორც მე მისას.

მეორე დღეს, ნაშუადღევს ჩემს მეუღლესთან ერთად ლონდონში გავფრინდი. დაუნინგ სტრიტის 10 ნომერში პრემიერ-მინისტრმა მეიჯერმა მიმიღო, რომელიც ერთ დროს მცირე ხნით, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, ჩემი კოლეგა იყო. მან მადლობა გადამიხადა და ხაზი გაუსვა გერმანია-ინგლისის მეგობრობის მნიშვნელობას. კარლტონ გარდენსში, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რეზიდენციაში, დუგლას ჰერდმა ბარბარასთვის და ჩემთვის ვახშამი გამართა, რომელზეც ჩემი ყოფილი კოლეგები და მათი მეუღლეები მოეწვია: ფრენსის პიმი, ჯეფრი ჰოუვი, დევიდ ოუენი და ჯიმ ქელეგანი; პიტერ კერინგტონი თავად მასპინძლობდა სხვა შეხვედრას, მე კი წერილი მომწერა; ჯონ მეიჯერს პარლამენტში გადაუდებელი საქმე ჰქონდა. იმ საღამოს მეგობრული, გულწრფელი განწყობა სუფევდა, რაც ცხადყოფდა, რაოდენი ნდობა შეიძლება წარმოშვას ხანგრძლივმა თანამშრომლობამ — ნდობა, რომელსაც გერმანია-ბრიტანეთის არა ყოველთვის მარტივი, მაგრამ აგრერიგად ანგრიშგასაწევი დამოკიდებულებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ვახშმის დასასრულს დუგლას ჰერდმა თემთა პალატის ესტამპი გადმომცა, ხელმოწერილი ყველა კოლეგის მიერ, ვისთან ერთადაც გზის რაღაც მონაკვეთი გამივლია. ამ მშვენიერ სუვენირს მხოლოდ

ერთი ხელმოწერა აკლდა — ტონი კროსლენდისა, რომელმაც პოსტზე ჯიმ ქელეგანი შეცვალა და ამასობაში გარდაცვლილიყო.

რა აღარ დაწერილა გერმანია-ბრიტანეთის ურთიერთობის შესახებ, რა ვარაუდები აღარ გამოთქმულა, და რარიგ ხშირად ყოფილა დამძიმებული ეს ურთიერთობანი ცილისწამებებით, ვითომ-წინააღმდეგობათა გამოქექვითა და გაუგებრობებით. ხოლო სინამდვილეში როგორ იყო საქმე? თვრამეტწლიანი პერიოდის განმავლობაში არა მხოლოდ სოლიდური პოლიტიკური დამოკიდებულება, არამედ ისეთი ადამიანური ურთიერთობები ჩამოყალიბდა, როგორიც ვერ იარსებებდა, ჩვენი ქვეყნების ურთიერთუნდობლობის შესახებ არსებულ ყველა იმ მონაჩმახს რეალური საფუძველი რომ ჰქონოდა. შესაძლოა, საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება ნაკლებ დაძაბული იყო, ვიდრე მაშინდელ მთავრობის მეთაურთა შორის, რაც უბრალოდ ალბათ იმით იყო განპირობებული, რომ ჩვენ უფრო ხშირად ვნახულობდით ერთმანეთს, უფრო ხშირად გვქონდა საშუალება, ერთმანეთთან გვესაუბრა. ყოველ შემთხვევაში ლონდონი იმ შეგნებით დავტოვე, რომ ინგლისი და გერმანია მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან მოყოლებული არაჩვეულებრივად დაახლოვებოდნენ ერთმანეთს.

დუგლას ჰერდი და მე რომ ერთიმეორეს კარგად ეუგებდით როგორც არა მხოლოდ კოლეგები, წლების შემდეგაც გამოჩნდა. ჰერდმა სურვილი გამოთქვა ვაგნერის ფესტივალს დასწრებოდა ბაიროითში; როცა მე იგი 1991 წელს საამისოდ მოვიწვიე, დაკავებული იყო და იძულებული შეიქნა დროებით უარი ეთქვა ჩამოსვლაზე. უშუალოდ ჩემი გადადგომის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ შევატყობინე, რომ არ იქნებოდა ლამაზი, ახლა, ეს-ესაა გადამდგარ საგარეო საქმეთა მინისტრს, მასთან 1992 წლისთვის ბაიროითში მოწვევაზე მელაპარაკა; ვთხოვე, ერთი წელიც მოეცადა. როდესაც დათქმულ დროს კლაუს კინკელს ამ საკითხზე ვესაუბრე, იგი სიამოვნებით დამთანხმდა, რომ მე — ამჯერად როგორც კერძო პირს — ყოფილი კოლეგა და მეგობარი დუგლას ჰერდი 1993 წელს ბაიროითში პრემიერაზე მომეწვია. ამ დღეს, როგორც ყოველთვის, როლან დიუმაც ბაიროითში იყო და, ჩვეულებისამებრ, ბიშოფგრიუნის იმავე სასტუმროში ცხოვრობდა, რომელშიც ჩვენ. ამრიგად, მოსაღამოვებულს, პრემიერის შემდეგ, უკვე კარგად ნაც-

ნობ სასტუმროში მხიარულმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. ნამდვილი შინაურული საღამო გამოვიდა, რაც ალბათ ბევრს, ვისთვისაც პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა ძალთა დაპირისპირება და ინტერესთა შეხლა-შემოხლა, ვერც კი წარმოუდგენია. ყოველ შემთხვევაში ბარბარა და მე მადლიერნი ვართ, რომ საშუალება მოგვეცა ისეთ ადამიანებს შევხვედროდით, როგორიც დუგლას ჰერდი და მისი გულისხმიერი მეუღლე ჯუდი არიან.

მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა აგრეთვე ჯიმ ჰელეგანთან, რომელმაც, როგორც ჩემმა პირველმა ბრიტანელმა კოლეგამ, განსაკუთრებით მეგობრულად მიმიღო; იგი მამობრივად მზრუნველი უფროსი მეგობარივით მექცეოდა. მან თავისი დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარებით კარი გამიხსნა ინგლისის, ლეიბორისტული პარტიის, პარტიასა და პროფკავშირებს შორის დამოკიდებულების, აგრეთვე ჩრდილოირლანდიის პრობლემის შესაცნობად.

პიტერ კერინგტონთანაც ასევე მჭიდრო პირადი ურთიერთობა მქონდა. მან, თანამედროვე, თავისუფლად მოაზროვნე კონსერვატორმა, ერთხელ მიამბო, როგორ განუმარტავდა მას სუფრასთან ფრანც იოზეფ შტრაუსი თავის მსოფლხედვას, როგორც თავდაცვის მინისტრი, და კერინგტონმა მისთვის დამახასიათებელი ირონიული კილოთი შენიშნა, ინგლისელი ლორდი მინიმუმ ისეთი კონსერვატორი მაინც უნდა იყოს, როგორიც ფრანც იოზეფ შტრაუსიაო.

ფრენსის პიმთან ჩემი თანამშრომლობა ხანმოკლე იყო და ამიტომ ვერ იქნებოდა ისეთი ახლობლური, როგორიც ურთიერთობები სხვა კოლეგებთან; იგივე შემიძლია ვთქვა ტონი კროსლენდისა და ჯონ მეიჯერის შესახებ, რომელსაც ერთ წელიწადზე ნაკლებ ხანს ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. თუმცა ის ფორმა, რომლითაც მოგვიანებით მას, როგორც პრემიერ-მინისტრს, აკრიტიკებდნენ, მე უმართებულოდ მიმაჩნდა. იგი არის მოწადინებული ევროპელი და კაცი, რომელმაც შესანიშნავად იცის, რა ადგილი უნდა დაიკავოს ინგლისმა ევროპულ ოჯახში თუ ევროგაერთიანებაში. არ უნდა დაგვავიწყდეს: მას, როგორც საშინაო, ასევე საგარეოპოლიტიკური, პირველ ყოვლისა კი ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით იოლი მემკვიდრეობა არ რგებია წილად.

ჯეფრი ჰოუვთან განსაკუთრებით კარგი დამოკიდებულება

მქონდა. რაკი იგი მარგარეტ ტეტჩერის მიმართ დიდი ლოიალობით გამოირჩეოდა, რა თქმა უნდა, ადვილი არ იყო მისთვის, მოგვიანებით იმათ რიგებში ჩამდგარიყო, ვინც ქალბატონი პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ გამოდიოდა. როცა მე ერთხელ მასთან სტუმრად ვიყავი ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის აგარაკზე, გულახდილი საუბარი გავმართეთ ჩვენ-ჩვენს მთავრობებში ჩვენი მუშაობისა და პოზიციის შესახებ. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ნამდვილად არ ყოფილა ადვილი ტეტჩერის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრობა. მან სასხვათაშორისოდ აღნიშნა, ადრე ვერც კი წარმოვიდგენდი, იმ კოალიციურ მთავრობაში მემსახურა, რომლის მეთაურიც სხვა პარტიის წევრი იქნებოდაო. თუმცა თანდათან იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ შესაძლოა, საგარეო საქმეთა მინისტრისთვის უმჯობესიც იყოს, მთავრობის მეთაურის პარტიას არ ეკუთვნოდესო. მოკლედ ვუპასუხე: „ვიცი, რასაც გულისხმობთ," და ერთმანეთს შევხედეთ. მეტის თქმა საჭირო არ იყო — მეტის თქმა გასცდებოდა ამ გულწრფელი და კორექტული ადამიანის ლოიალობის საზღვრებს.

13 მაისს „ძველ ქვის სახლში" გამოვემშვიდობე ჟურნალისტებს, რომლებთანაც ჩვენ, საგარეო უწყების თანამშრომლებს, განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა. თუმცა ვიცოდით, რომ შემდგომაც მოგვიწევდა ერთმანეთთან შეხვედრა, აქაც გამოსამშვიდობელი განწყობა სუფევდა. წლების განმავლობაში ჩვენ შორის ჩამოყალიბდა ურთიერთობა, რომელსაც გერმანული საგარეო პოლიტიკის საზოგადოებრივი ინტერპრეტაციისთვის, საზოგადოებამდე მისი მიტანისთვის, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ხმებს იმის შესახებ, თითქოს ბონის პრესა ბონის პოლიტიკასთან შეთანხმებულად მოქმედებდა, როგორც არაერთხელ დაუბრალებიათ ჩვენთვის, სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი იმას, რომ პრესასთანაც გახსნილი კარტებით გვეთამაშა. ამრიგად ჩვენ შორის ნდობით აღსავსე ურთიერთობა ჩამოყალიბდა, რომელიც ჟურნალისტებს არ უშლიდა კრიტიკული შეხედულებების გამოთქმას და საგარეო პოლიტიკის მკაფიოდ წარმოჩენისა და განმარტების საშუალებასაც იძლეოდა.

მას შემდეგ, რაც 14 რიცხვში ჯერ სამოციქულო ნუნცია

მივიღე, ბოლონიაში გავფრინდი გეროლდ ფონ ბრაუნმიულის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. ამ ციკლის პირველი ლექცია თავად წავიკითხე; ამჯერად თურქეთის პრემიერ-მინისტრმა დემირელმა ისაუბრა, რომელსაც ლექციის დაწყებამდე აქტუალური საკითხის გამო შევხვდი. თურქეთის დამოკიდებულება თურქეთში მცხოვრები ქურთების მიმართ ხშირად გაუკრიტიკებიათ გერმანიაში, მეც ნათლად და მკაფიოდ გამომითქვამს აზრი ამის შესახებ. ნატო არის გაერთიანება, იმ ძირითად ფასეულობათა აღიარებას რომ ეფუძნება, რომელთა პატივისცემაზე მეგობართა შორისაც ღიად უნდა იქნეს საუბარი. ამის გამოც ხვდა წილად ჩვენს შეხვედრას გაცხოველებული საზოგადოებრივი ინტერესი. საბედნიეროდ ამ საუბარში კიდევ ერთხელ იჩინა თავი გერმანია-თურქეთის ურთიერთობათა სტაბილურობამ. გერმანია-თურქეთის დამოკიდებულებით ჩემი გულწრფელი დაინტერესებისა და გერმანიაში მცხოვრები უამრავი თურქი თანამოქალაქის გამო ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლდათ, სამსახურებრივი მოღვაწეობის დასასრულს დავრწმუნებულიყავი, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები კვლავაც კარგი იყო. პირველ ყოვლისა აღმოჩნდა, რომ ადამიანის უფლებათა სფეროში ობიექტური, თუნდაც საჯარო კრიტიკა კარგ მეგობრებს შორისაც შესაძლებელია — და ვფიქრობ: სწორედ რომ მათ შორის არის შესაძლებელი. ამაში, ეჭვი არაა, წვლილი შეიტანა აგრეთვე დემირელთან ჩემმა მრავალწლიანმა ნაცნობობამ და თანამშრომლობამ. მე მას ვეწვიე, როცა იგი სამხედრო რეჟიმის დროს პოლიტიკური შეზღუდვებით ცხოვრობდა თავის ბინაში, და მან იცოდა, რომ სწორედ მე გამოვიდე თავი, ძნელბედობის ჟამს თურქეთისთვის გერმანიის დახმარების გასაგრძელებლად. საუბარმა დამარწმუნა, რომ გერმანია-თურქეთის ურთიერთობათა ხარისხი არ დაქვეითებულა, თუმცა აზრთა სხვადასხვაობა, განსაკუთრებით პრეზიდენტ ოზალის მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრების გამო, გარდაუვალი იყო. თურქების დამოკიდებულება თურქეთში მცხოვრებ ქურთთა მიმართ აუცილებელს ხდიდა ამის თაობაზე გულწრფელად ნათქვამ გერმანულ სიტყვას, დაფუძნებულს ჩვენი კონსტიტუციის ფასეულობებსა და ნატოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიზნებზე.

15 მაისს პეტერსბერგზე დიპლომატიური კორპუსისთვის გამოსამშვიდობებელი მიღება მოვაწყევ. აქ კიდევ ერთხელ მომეცა

ხელსაყრელი შემთხვევა, პრინციპთა განმარტებისას საბოლოოდ ჩამომეყალიბებინა ჩემი საგარეოპოლიტიკური შეხედულებები. მანამდე დანიის ელჩმა ტიგესენმა გადმომცა ჩვენი საერთო მეგობრის უფე ელემან-იენსენის პირადი საჩუქარი: კანტორულა, რასაც ჩემს სამუშაო ოთახში მივუჩინე ადგილი — ეს არის ახლო, ნაცადი მეგობრობის სამახსოვრო.

კვირას, 1992 წლის 17 მაისს, ჩემი პარტიის პრეზიდიუმს ვეწვიე, რომელიც ბერლინში, ვილა ბორზიგში სხდომას ატარებდა. იქ თავისუფალი დემოკრატიული პარტია მსჯელობდა თავისი პოზიციის შესახებ სოციალურ დაზღვევასთან დაკავშირებით. პრეზიდიუმმა მიიღო ერთ-ერთი თავისი საბედისწერო გადაწყვეტილებათაგანი, როცა იგი ამგვარი დაზღვევის წინააღმდეგ გამოვიდა. მე ისინი გავაფრთხილე, საჯაროდ არ დაეფიქსირებინათ ეს პოზიცია, რადგან ვხვდებოდი, რომ მისი შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა — რაც შემდგომ ასეც მოხდა. მე იმ აზრისა გახლდით, რომ ლიბერალური პრინციპიდან გამომდინარე უფრო მართებული იქნებოდა, სოციალური მზრუნველობის საჭიროების რისკს დაზღვევით შევხვედროდით, ვიდრე ის, რომ მოგვეცადა, სანამ ვინმეს დახმარება დასჭირდებოდა და შემდეგ ხარჯები საზოგადოებრივი ხელისთვის, ანუ ადგილობრივი თვითმმართველობისთვის დაგვეკისრებინა — ეს არ შეესაბამებოდა ლიბერალურ პასუხისმგებლურ სოციალურ მზრუნველობას. ოჯახშივე მოვლა-პატრონობის მატერიალური წახალისება ამასთანავე გააძლიერებდა ოჯახის პასუხისმგებლობის გრძნობას, და დაშავებულთათვის, რომლებსაც შესაძლებლობა ექნებოდათ შეჩვეულ გარემოში დარჩენილიყვნენ, ამით ბევრად უფრო ჰუმანური გამოსავალი მოინახებოდა. ისეთი გზა უნდა გვეპოვა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა სახსრები სოციალური დაზღვევისთვის სამუშაო ადგილების დამატებითი დატვირთვის გარეშე გამოგვენახა.

მეორე დილით ბერლინიდან ისევ ბონში გამოვფრინდი. ვაანში ყოფნისას აეროპორტის მომსახურე პერსონალმა გამოსამშვიდობებლად განუმეორებელი მიღება მომიწყო. რამდენიმე სახანძრო მანქანიდან შადრევნებმა ამოხეთქა; აეროპორტის თითქმის ყველა თანამშრომელი მოვიდა, რათა გამომშვიდობებოდნენ ცნობილ ადამიანს, რომელიც ესოდენ ხშირად მგზავრობდა თვითმფრინავით. ჩემის მხრივ მადლობის მეტი რა მეთქმოდა მუდამ უსაფრთხო და სანდო ტრანს-

პორტისა და მუდამ თავაზიანი და დაუზარელი ეკიპაჟებისთვის.

ვისადილე მინისტრის ბიუროს ხელმძღვანელთან, ჩემს პირად რეფერენტთან, მინისტრის ბიუროს ყველა სხვა თანამშრომელთან, სახელმწიფო მდივნებსა და სახელმწიფო მინისტრებთან ერთად. საღამოსთვის ისინი გამოსამშვიდობებელ ვახშამზე რესტორან მატერნუსში, ანუ როგორც შინაურულად ვეძახდით, „რიასთან" დავპატიჟე.

ნაშუადღევს, 15 საათზე, ვილა ჰამერშმიდტისკენ გავემართე, რათა ფედერალური კანცლერის თანდასწრებით გადადგომის მოწმობა მიმეღო. ამის შემდეგ რიხარდ ფონ ვაიცზეკერი, ჰელმუთ კოლი და მე ერთხანს კიდევ ვისხედით ტერასაზე. ამ დღეს ასეთი ხანგრძლივი სამსახურებრივი პერიოდის შემდეგ გულაჩუყებული კი გახლდით, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება წამითაც არ დამიყენებია კითხვის ნიშნის ქვეშ.

1992 წლის 20 მაისის საღამოსთვის თავდაცვის მინისტრმა ფოლკერ რიუემ განკარგულება გასცა ბუკი დაეკრათ — ეს გახლდათ პატივი, რომელიც ჩემამდე არც ერთ საგარეო საქმეთა მინისტრს არ ღირსებია. ფოლკერ რიუეს ეს ნამდვილად უჩვეულო ჟესტი უაღრესი მადლიერებით მივიღე, მე ხომ ბუნდესვერთან ყოველთვის განსაკუთრებულ კავშირს ვგრძნობდი. რასაც მე დაძაბულობის განმუხტვის რეალისტურ პოლიტიკაში ვგულისხმობდი, კერძოდ, გარანტირებული თავდაცვის უნარზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა, ბუნდესვერის ჯარისკაცთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ჩემთვის ბუნდესვერი, როგორც სავალდებულო სამხედრო სამსახურის არმია, ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოს ბურჯია. სწორედ შინაგანი გამთლიანებისას წარმოაჩინა მან თავი დიდებულად. ჩემს თვალში ბუნდესვერი ყოველდღიურად ეწევა არაჩვეულებრივ მოქალაქეობრივ ღვაწლს — ეს თანაბრად ეხება სამხედრო ვალდებულებს, მოხალისეებს, პროფესიონალ ჯარისკაცებს და რეზერვისტებს. ამ ფონზე ფოლკერ რიუეს საქციელი ჩემთვის უფრო მეტი იყო, ვიდრე კარგი დემოკრატიული სტილი: ეს იყო აღიარების გამოხატულება.

ბუკის დაკვრის დროს იმაზე ვფიქრობდი, რომ ხშირად ხუმრობით მითქვამს, მე როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი ყოველთვის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ვიყავი, თუმცა თვით თავდაცვის

მინისტრობამდე ვერა და ვერ მივაღწიე-მეთქი. და კიდევ ერთი რამ მომაგონდა: ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების შესახებ გამართული პაექრობის პიკზე საბჭოთა პრესამ დაწერა, რომ ნატოში მე საუკეთესო თავდაცვის მინისტრი ვიყავი. მაშინ ამას არ გამოვპასუხებივარ; ჩემთვის ეს კომპლიმენტი იყო, თუმცა, რაღა თქმა უნდა, კომპლიმენტად არ იყო ნაგულისხმევი.

21 მაისს პერსონალის კრებაზე საგარეო უწყების თანამშრომლებს გამოვემშვიდობე. როდესაც ბარბარამ და მე დილით კიდევ ერთხელ გავწიეთ იქითკენ, თავისი მეუღლითურთ შეგვხვდა და მოგვესალმა ჩემი მემკვიდრე კლაუს კინკელი, რომელსაც წინა დღეს გერმანიის ბუნდესტაგში ფიცი დაედო. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით რიტა ზიუსმუთმა ბუნდესტაგის მადლობა გადმომცა.

თერამეტი წლის მანძილზე ამ სამინისტროში შევდიოდი და გამოვდიოდი. თანამშრომელთა მიმართ დიდი მადლიერების გრძნობით აღვივსე. გონების თვალწინ გამირბინეს წარსულის მძიმე და მშვენიერმა წუთებმა, წარმატების წუთებმა, აგრეთვე კრიზისისა და ბრძოლის მოგონებათა სურათებმა. ჩვენ თავი მოვიყარეთ „მსოფლიოს დარბაზში", რომლის წინა კედელზე სიმბოლურად დედამიწის ნაწილებია გამოსახული. აქ სიტყვით გამოვსულვარ თანამშრომელთა უამრავ კრებაზე, სახელმწიფო მინისტრებისა და სახელმწიფო მდივნების დანიშვნისა თუ გადადგომისას, წარმომითქვამს აგრეთვე ალოის მერტესის ხსოვნისადმი მიძღვნილი სიტყვა. მისმა გარდაცვალებამ განსაკუთრებით მატკინა გული, და მოგონება ამ გამოცდილი, დიდად ერუდირებული და გულწრფელი ადამიანის შესახებ, რომელიც ღრმა ფესვებით იყო დაკავშირებული თავის რწმენასთან, თავის ოჯახთან და თავის სამშობლოსთან, ყოველთვის უმაღლესი პატივისცემითა და ადამიანური სიყვარულით იქნება აღბეჭდილი.

რა გუნებაზე არიან ასეთ დღეს? შინაგანად მე უკვე მოვახდინე გამომშვიდობება, ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი თავი დასრულდა. შემეძლო ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე კმაყოფილებით გადამეცემა მზერა წარსულისთვის. წყალობად აღვიქვამდი იმას, რომ ასეთი სამსახური მერგო, და მეტიც, ყველაფერი, რაც კი არა მხოლოდ პოლიტიკურად დამისახავს მიზნად, არამედ გულმხურვალედაც მდომებია, მიღწეულ იქნა. ახლა, როდესაც თვალს ვავ-

ლებდი ფედერალური მთავრობის წევრად ჩემი ოცდასამწლიანი სამსახურის პერიოდს, საიდანაც თვრამეტი წელი საგარეო საქმეთა მინისტრად დავყავი, ამას მსუბუქი გულითა და მშვიდი სინდისით ვაკეთებდი. მე შევძელი, თავად განმესაზღვრა ჩემი სამსახურებრივი პერიოდის დასასრული; ამცდა გადადგომა პოლიტიკური დამარცხების, მთავრობის შეცვლის, ნდობის დაკარგვის ან რაიმე შეცდომის გამო. ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა — ეს საკმარისი საფუძველი იყო მადლიერებისთვის. ამრიგად ჩემს მეუღლესთან ერთად გულისტკივილის გარეშე გამოვეთხოვე საგარეო უწყებას და პირველ ყოვლისა ყოველივე სიკეთე ვუსურვე კლაუს კინკელს. მიხაროდა, რომ იგი — ერთობლივად გავლილი ასეთი გრძელი გზის შემდეგ — ამ ადგილზე მეგულებოდა.

ამასობაში „ტულპენფელდში" სამი პატარა ოთახი დავიკავე, ბიურო, რომელიც ჩემს სამ ახალ თანამშრომელს — დოქტორ ბრაუნს, ვისაც თომას მატუსეკმა, მინისტრის ბიუროს ხელმძღვანელმა, გაუწია რეკომენდაცია, ფრაუ ლულაის, ჩინებულად რომ იმუშავა საგარეო უწყების პრესსამსახურში და ფრაუ მაიერს საგარეო უწყებიდან — უფრო ევიწროებოდათ, ვიდრე მე. მრავალწლიანი სტაჟის მქონე პრესმდივანის, შუმახერის, ვაჟთან ერთად მთელი ეს კოლექტივი გახდა, ასე ვთქვათ, საგარეო საქმეთა უწყება en miniature* და ამ ნაცნობმა გარემოცვამ მეტად გამიადვილა ახალი დასაწყისი.

სამი დღის შემდეგ ფედერალურმა კანცლერმა მთავრობის წევრები და კოალიციური წრის მუდმივი მონაწილეები — მაშასადამე, ფრაქციათა თავმჯდომარეები, გენერალური მდივნები და პარლამენტის სახელმწიფო მდივნები — სადილად აგარაკზე მიიწვია. ამ ინტიმურ წრეში ჰელმუთ კოლმა მეგობრული, გულითადი სიტყვებით გამაცილა. მეტად ბუნებრივი, ხალისიანი ატმოსფერო სუფევდა, ალბათ იმიტომაც, რომ გაცილება განშორებას არ ნიშნავდა. ჩვენ ისევ ერთად ვრჩებოდით — თუმცა ახლებური ურთიერთდამოკიდებულება გვექნებოდა. მე მათ მადლობა გადავუხადე მრავალწლიანი თანამშრომლობისთვის და ცოტა რამ ვუამბე ჩემი ცხოვრე-

* მინიატიურული, მცირე ფორმატის. (ფრანგ.).

ბის ახალი მონაკვეთის შესახებ — დარჩენილთათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც განემარტე; თქვენ ყველას კაბინეტთან გამოთხოვება ჯერ კიდევ წინ გელით-მეთქი. შემიძლია მხოლოდ გისურვოთ, რომ თქვენც — როგორც ეს მე მხვდა წილად — გადადგომის მომენტი და გარემოებანი თავად შეგერჩიოთ. ჩემი მინისტრად დანიშვნისა და გათავისუფლების მოწმობათა რიცხვი ლუწი გახდა — ეს „შეელის მოწმობათა კანონს" ადასტურებს-მეთქი.

რას ვგულისხმობდი ამაში? დიდი ხნის წინანდელ ეპიზოდს, რომელიც დროდადრო მახსენდებოდა ხოლმე. კერძოდ, ვალტერ შეელს, ჰქონდა რა მხედველობაში, რომ ფედერალური პრეზიდენტი მთავრობის წევრებს ყოველი დანიშვნისა და ყოველი გათავისუფლებისას, აგრეთვე კანცლერის არჩევის გამო მთავრობის ხელახალი ფორმირების დროსაც, მოწმობას გადასცემდა ხოლმე, ჩემთვის უთქვამს: მინისტრის მოწმობათა კენტი რაოდენობის ფლობა ნიშნავს, რომ მფლობელი პოსტზე იმყოფება, ლუწი რიცხვი კი ნიშნავს, რომ მფლობელი ფედერალურ მთავრობას აღარ ეკუთვნის. ამ ამბავს — ანეკდოტურად შელამაზებულს — დიდი მხიარულებით შეხვდნენ. როცა შემდეგ ვთქვი, მემუარების დაწერას ვაპირებ-მეთქი, ყველამ ყური ცქვიტა, მაგრამ მე შევძელი ისინი ამერიკის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ ჰაიგთან ერთი ჩემი საუბრის გახსენებით დროებით დამემშვიდებინა: როცა ალექსანდერ ჰაიგმა მითხრა, რომ მემუარებს წერდა და მასში მეც ვყავდი გამოყვანილი, ვუთხარი: „ფრთხილად, ალ, შენს მერე მე ვწერ."

განვლილი გზის შეჯამება და მადლობის გამოცხადება ჰალეში

კარგა ხნის შემდეგ, 1993 წლის დამლევს კიდევ ერთხელ გაჩნდა უკან მოხედვისა და განვლილი გზის შეჯამების საბაბი. 5 დეკემბრის დილას ვესტფალიის ქალაქ მენდენში „მენდენის ფორუმის" ფარგლებში მიხეილ გორბაჩოვთან და ჰენრი კისინჯერთან ერთად ტელეკამერის წინ ვიმსჯელე საერთოევროპული პერსპექტივების შესახებ. ფრიც პლაიტგენი, დასავლეთგერმანული რადიოს

წარმომადგენელი, უძღვებოდა გადაცემას, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ სატელევიზიო სადგურების მესამე პროგრამებით გავიდა ეთერში და დიდი რეზონანსი პოვა. მაგრამ რარიგ მნიშვნელოვანიც არ უნდა ყოფილიყო ამ ორ დიდ ადამიანთან დისკუსია – ჩემთვის მეტი ფასი იმას ჰქონდა, რაც ამის შემდეგ მოხდა: ნასადილევს სამივენი კერძო თვითმფრინავებით ჰალეს გავფრინდით. ჩვენ დავეშვით აეროპორტ შკოიდიცზე, რომელიც ჰალესა და ლაიფციგს შორის ნახევარ გზაზე მდებარეობს. როგორ გადაწყდა იქ გამგზავრება და რა იყო მისი მიზანი?

როცა მიხეილ გორბაჩოვი სკკპ-ს გენერალური მდივანი და საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი იყო, მე კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდით, არაერთხელ მითქვამს მისთვის: „ძალიან მინდა, როდისმე ჰალეში მოგესალმოთ როგორც ჩემს სტუმარს.“ ეს იყო გერმანიის გაერთიანებამდე კარგა ხნით ადრე. მინიშნებას ჩემი ჰალედან წარმომავლობის შესახებ, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ გდრ-ში მდებარეობდა, გამუდმებით ვიყენებდი საბაბად, რათა გერმანიის გახლეჩილობის პრობლემასა და გაერთიანების სურვილზე მელაპარაკა. ჩემს თანამოსაუბრეებს უნდა სცოდნოდათ, რომ გათიშულობას ჩვენ ვერასდროს ვერ შევურიგდებოდით. ეს ნათქვამი მქონდა აგრეთვე ჩემი მეგობრებისთვის – როლან დიუმასთვის, ჯიმ ბეიკერისთვის, დუგლას ჰერდისთვის და ედუარდ შევარდნაძისთვის; ისინი ჩემი მიწვევით მანამდე უკვე ნამყოფნი იყვნენ ჰალეში. როცა 1993 წელს ჟენევაში ერთ ღონისძიებაზე მიხეილ გორბაჩოვთან ერთად გამოვდიოდი, სადილობისას მან მითხრა: „უკვე რამდენი ვინმე წაიყვანეთ ჰალეში, მე კი არ მიგყავართ.“ მე მივუგე: „თქვენ მოწვეული ბრძანდებით. თუ გსურთ, შეგიძლიათ წელსვე ჩამოხვიდეთ.“ მოგვიანებით ხუთი დეკემბერი დავთქვით გამგზავრების თარიღად.

ჰენრი კისინჯერთანაც ხშირად მისაუბრია ჰალეს შესახებ. იგი შუა გერმანიის ლანდშაფტს თავისი დიდი ხნის ახლო თანამშრომლის, ჰელმუთ ზონენფელდტის წყალობითაც იცნობდა, რომელიც წარმოშობით პატარა ქალაქ ალტმარკიდანაა, მაშასადამე ისიც ჩემსავით ზაქსენ-ანჰალტის შვილია. ჰოდა, მასაც ვკითხე, სურდა თუ არა დეკემბრის დამდეგს ჩვენთან ერთად ჰალეში წამოსულიყო. იგი მყისვე დამთანხმდა.

1993 წლის 5 დეკემბერს ჰენრი კისინჯერი და მიხეილ გორბაჩოვი ჰანს-დიტრიხ გენშერის მიწვევით ჰალეში ჩავიდნენ. ეს ტაში, რატუშაში მყოფი სტუმარ-მასპინძლებისა, ქალაქის სიმღერის ანსამბლს ეკუთვნის.

ამრიგად ჩვენი სამი თვითმფრინავი ლაიფციგ-ჰალეს აეროპორტზე დაეშვა. ორი ავტომანქანით ჰალესაკენ გავწიეთ; პირველ მანქანაში გორბაჩოვი, კისინჯერი და მე ვისხედით, მეორეში კი ქალბატონი გორბაჩოვა და ჩემი მეუღლე იყვნენ. ჰალეს აღმოსავლეთ ნაწილში ავტომაგისტრალიდან საგარეუბნო გზაზე გადავედით. გავიარეთ ჰალეს რაიონი რაიდებურგი, რომელიც ჩემი დაბადებისას ჯერ კიდევ სოფელი იყო, სადაც ხუთი ათასი მოსახლე ცხოვრობდა. როცა ვთქვი: „ახლა ჩავუვლით იმ სახლს, სადაც მე დავიბადე“, გორბაჩოვმა და კისინჯერმა დაჟინებით მოითხოვეს მისი დათვალიერება. ჩვენ ცოტათი გადავუხვიეთ გზას და შევჩერდით სახლთან, სადაც მე პირველად ვიხილე დღის სინათლე. შემდეგ ქალაქისკენ განვაგრძეთ გზა.

ჰალეს ობერბიურგერმაისტერს, რაუენს, შევუთანხმდი, რომ პირველი საღამო ჩემი უნდა ყოფილიყო; ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ სწორედ პირველ საღამოს ვყოფილიყავი მასპინძელი, როგორც კერძო პირი, და აგრეთვე როგორც ამ ქალაქის საპატიო მოქალაქე. ამიტომ მორიცბურგის მშვენიერი „სასამართლოს ოთახით“ სარგებლობის ნებართვა მოვითხოვე.

ჩასვლისას თავს უფლება მივეცით, ჰალეს მარიტიმის სასტუმროში ცოტა ხნით დაგვესვენა მორიცბურგისკენ გამგზავრებამდე. ძველი „სასამართლოს ოთახი“ პატარაა, მაგრამ საკმარისია საიმისოდ, რომ ქალაქისა და ფედერალური მხარის წარმომადგენლები დაპატიჟო: ცოტა ხნის წინ არჩეული პრემიერ-მინისტრი ბერგნერი, ობერბიურგერმაისტერი რაუენი, უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ბერგი, ძველთაძველი, ჰალეში დამკვიდრებული საბუნებისმეტყველო საზოგადოების „ლეოპოლდინას“ პრეზიდენტი, პროფესორი პარტიერი, და ზაქსენ-ანჰალტის პარლამენტის პრეზიდენტი კაიტელი — ყველანი ჰალელები. ამათ დაემატა „მიტელდოიჩე ცაიტუნგის“ გამომცემელი ნევან-დიუმონი, ჰალე-ალტშტადტში პირდაპირი არჩევნებით არჩეული ბუნდესტაგის დეპუტატი უვე ლიური და ქალაქის პარლამენტის პრეზიდენტი ქალბატონი ჰაიდემარიე ეკერტი (თავისუფალი დემოკრატიული პარტია).

ასე რომ, ახლა აქ იმყოფებოდა ორივე ის ადამიანი, რომლებთანაც ასე მჭიდროდ ვთანამშრომლობდი, რომლებსაც ამდენ რამეს ვუმადლოდი. ჰენრი კისინჯერი, თავისი ებრაული წარმოშობისა და ნაციონალ-სოციალისტთა მიერ დევნის გამო ამერიკაში ემიგრირებული, ჩვენ, გერმანელებს, ძნელბედობის ჟამსაც თანაგვიგრძნობდა და მე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, საქმიანობის დასაწყისში, მნიშვნელოვანი რჩევებით მიწევდა დახმარებას. მიხეილ გორბაჩოვმა, სკკპ-ს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, საბჭოთა კავშირის ყოფილმა პრეზიდენტმა თავისი გაბედული პოლიტიკით შესაძლებელი გახადა გერმანიის გამთლიანება და ევროპის ერთიანობაც. აქ, ჰალეში, ერთმანეთს შეხვდნენ, თუ გნებავთ, შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი, შეერთებული შტატები, რომლის ჯარებმაც 1945 წელს ჰალე დაიპყრეს და ამით გაათავისუფლეს კიდეც, და საბჭოთა კავშირი, რომლის ჯარებმაც ჰალე მოკავშირეთა შეთანხმებისამებრ 1945 წლის 1 ივლისს დაიკავეს და თავიანთი საოკუპაციო პოლიტიკით ჩვენი იმედები დემოკრატიული განახლების დაწყებისა მრავალი ათწლეულის მანძილზე აუხდენელი დატოვეს. მაგრამ ამ საღამოს ყოფილ საბჭოთა კავშირს აქ ის ადამიანი წარმოადგენდა, რომელმაც თავისი პოლიტიკით ჩემს სამშობლოსაც გაუხსნა კარი ერთიანობისა და დემოკრატიული ურთიერთობებისკენ.

მადლობის მეტი რა მეთქმოდა ამ ორი ადამიანისთვის — მათი

მეტი დრო სეირნობისთვის? ჰანს-დიტრიხ გენშერი თავის მეუღლე ბარბარასთან ერთად პოსტიდან გადადგომის შემდეგ.

კოლეგების მაგივრადაც — იმისათვის, რაც მათ მოიმოქმედეს, რათა ჩვენთვის, გერმანელთათვის ბოლოს და ბოლოს საშუალება მოეცათ, ერთობლივად დაგვეწყო განახლების პროცესი — და ეს მათ გააკეთეს ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჰიტლერული ფაშიზმის გამოისობით მოხდა. ამრიგად ამ შეხვედრით ჩემთვის დასრულდა განვითარების ის პროცესი, რომელიც თავად მე დიდი შინაგანი მოწადინებით განვვლე და გადავიტანე.

ჰალელები, სრულებითაც რომ აღარ იყვნენ ისე ეიფორიულნი, როგორც უშუალოდ 1989 წლის თავისუფლების მშვიდობიანი რევოლუციის შემდეგ და 1990 წელს მიმდინარე გაერთიანების პროცესის განმავლობაში, კვირა დილით მაინც ბევრნი მოგროვდნენ რა-

ტუშასთან, რათა გორბაჩოვსა და კისინჯერს მისალმებოდნენ. მათ სტუმრებს გულითადი მიღება მოუწყვეს, რომლის დროსაც დიდი აღფრთოვანება იგრძნობოდა, და როცა ჩვენ რატუშიდან ჰენდელის სახლისკენ მიმავალ ტროტუარს გავუყევით, კიდევ ერთხელ იქუსა ტაშმა.

ეს სტუმრობა ჰალეში მიეკუთვნება ამ ქალაქში შემდგარ სხვა შეხვედრათა რიგს, რომელთაც ჩემს თვალში უდიდესი სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ. 1990 წელს როლან დიუმასთან ერთად მარკტკირხეში მდგარს საშუალება მომეცა ზეაღმემართა „ორი პლუს ოთხი" ხელშეკრულების მოწმობა და მეთქვა: „ამ საქმეში როლან დიუმასაც მიუძღვის წვლილი. ამ დოკუმენტს უზის მისი, ისევე როგორც ჩემი, ხელმოწერა, რათა ამით ერთხელ და სამუდამოდ დავამოწმოთ ამ ადგილას, რომ საფრანგეთი და გერმანია ისე მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს, როგორც მანამდე არასდროს თავიანთ ისტორიაში." დუგლას ჰერდთან ერთად მე აქ ჰენდელის ფესტივალზე „მესები" მომისმენია და ფრანკეს საქველმოქმედო კომპლექსში „ინგლისური სახლის" წინ ვმდგარვარ. „მე ჰალეში დავბრუნდი," ვთქვი მარკტკირხეში 1989 წლის დეკემბერს. მაგრამ მარტო არ დავბრუნებულვარ: ედუარდ შევარდნაძესთან ერთად ვიჯექი სკოლის მერხზე ჩემს სკოლაში, და ორივენი ისე ვიცინოდით, თითქოს ხელახლა დავბრუნებულიყავით ბავშვობაში. და ჯიმ ბეიკერს, ერთგულ მეგობარსა და გერმანიის გაერთიანების თანმიმდევრულ მხარდამჭერს, როცა იგი 1991 წლის ივნისში ჰალეს ესტუმრა, მოსახლეობა აღფრთოვანებით მიესალმა. ახლა მიხეილ გორბაჩოვი და ჰენრი კისინჯერი იყვნენ აქ. ყოველივე ამან მკაფიოდ დამანახა, რომ გერმანიის გაერთიანება ყველაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო, გარდა ისტორიის ჭირვეულობისა.

წრე იკვრება. ჰალეში დასრულდა ის, რასაც ყველანი დიდი ხანია ვნატრობდით და ვიმედოვნებდით. შესაძლებლობა მქონდა ჰალეში გამომეცხადებინა მადლობა ყველასთვის, ვინც — სრულიად სხვადასხვაგვარი ფორმით და სრულიად სხვადასხვა დროს — ამ საქმეში წვლილი შეიტანა. ამრიგად, 1993 წლის დეკემბრის ეს კვირის ბოლო ჩემთვის გარკვეული თვალსაზრისით ჩემი პოლიტიკური საქმიანობის დაგვირგვინებად იქცა; ამის განხორციელებას რომ მოვესწარი, ეს მე ყოველთვის დიდი მადლიერების გრძნობით აღმავსებს.

ბოლოსიტყვაობა

ამ წიგნის წერისას ხელმეორედ განვვლე ჩემი ცხოვრების გზა. გზა და გზა ვჩერდებოდი სადგურებზე, რომლებიც თავდაპირველად უმნიშვნელონი ჩანდნენ, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან სერიოზული გარდატეხის პუნქტები ანდა სულაც გზაგასაყარნი აღმოჩნდნენ.

ყველაზე დიდი გარდატეხა 1945 წლის 8 მაისი იყო და კვლავაც ასეთად რჩება — ამას მაშინვე ვგრძნობდი. რასაც მე ომის დასასრულს ხელახლა ნაჩუქარ სიცოცხლედ აღვიქვამდი, ჩვენთვის, გერმანელთათვის, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისი აღმოჩნდა, რომელიც უფლებას არ გვაძლევს, ნულ საათამდე არსებული დრო დავივიწყოთ.

მოგონებისას ბევრი რამ უფრო ადვილი, უფრო უპრობლემო გამოჩნდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. საწყენი გაფერმკრთალებულიყო მოგონებაში, გულისტკენანი კარგა ხანია მოშუშებულიყვნენ. გახსენებისას, გადაკითხვისას და ხელახლა განცდისას ყველაფერი, რაც უკვე დავიწყებული მეგონა, კვლავ გაცოცხლდა. ზოგიერთი მწარე გამოცდილება გახსენებისას უფრო ღრმად მომხვდა გულზე, ვიდრე თავის დროზე.

უკან მოხედვისას — ხოლო ამას არც ერთი ეპიზოდის გახსენებისას არასოდეს ბრაზი არ ახლავს — ყველაფერი უფრო მქრქალ შუქში მოჩანს. ეს კარგია, რადგან ცინიკოსობისგან გვიფარავს. ეს ჩვენ როგორც საჩუქარი ისე უნდა აღვიქვათ. თუმცა ამგვარი საფრთხე მე არასოდეს დამმუქრებია. მე გულწრფელად მადლიერი ვარ იმისთვის, რაც ჩემმა ცხოვრებამ მომიტანა — პირადად თუ სამსახურებრივად. უკმაყოფილება ჩემთვის ყოველთვის უცხო სიტყვა გახლდათ, შური და სიძულვილი — სრულიად უცნობი გრძნობები, და ბედის სამდურავი არასოდეს დამცდენია, არც მაშინ, როცა ჩემი ცხოვრების მეოცე და ოცდამეათე წლებს შორის სამნახევარი წელიწადი საავადმყოფოებში და სანატორიუმებში გავატარე და ფრიად სათუო ჩანდა, შეეძლებდი თუ არა იმ მიზნების განხორციელებას, რაც ცხოვრებაში მქონდა დასახული.

ჩემი ცხოვრების გზაზე ბევრ ადამიანს შევხვედრივარ, დიდ, შთამბეჭდავ პიროვნებებს, ადამიანებს, რომლებიც თავიანთი ცხოვ-

რების წესად ქცეული მოკრძალებულობითა და ბუნებრიობით ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდნენ. მე კარგი და სანდო მეგობრები შევიძინე. პოლიტიკა ბინძური საქმეა-მეთქი, ვერ ვიტყვი — სულაც პირიქით. სწორედ აქ ვპოვე მე სანდოობა და ერთგულება, ღირსება და ადამიანურობა. იმის შეგრძნება, რომ უსამართლოდ მოგექცნენ ან გაგაკრიტიკეს, პოლიტიკოსისთვის უჩვეულო გამოცდილება როდია. ოღონდ ეგ არის, რომ ყველაფერი, რაც მათ შეემთხვევათ, ავიც და კარგიც, საზოგადოებრიობის თვალწინ ხდება. მაგრამ ეს ხომ წინასწარ ვიცით, და არ არსებობს ვალდებულება, რომელიც პოლიტიკოსობას გვაიძულებდეს.

მოიძევება ხალხი, ვისაც ჩემგან მკვახე გამოთქმები სმენია, როცა რაიმე ისე არ გამოსულა, როგორც მე ვისურვებდი. ეს შესაძლოა ბრაზისგან განთავისუფლების მცდელობაა. მაგრამ არავინ მოიძებნება ისეთი, ვინც ოდესმე შესწრებია, რომ მე ჩემი სამსახურისა და ჩემი პასუხისმგებლობის ტვირთზე დამეჩივლოს. ეს ჩემი სურვილი იყო და ამიტომაც ყველაფერი გავიღე, რისი გაღებაც შემეძლო იმ დავალებების შესასრულებლად, ხანგრძლივი პოლიტიკური ცხოვრების მანძილზე რომ ვიკისრე — ხშირად ჩემი შესაძლებლობის ზღვრამდე მივსულვარ და ზოგჯერ ეს ზღვარიც გადამილახავს.

უკან მოხედვისას მხოლოდ ის მტკენს გულს, რომ ხანდახან ადამიანები უმართებულოდ განმისჯია და ზოგს უსამართლოდაც კი მოვპყრობივარ. რაკი ეს ვიცოდი, საკადრო გადაწყვეტილებანი ადვილად არასოდეს მიმიღია.

ჩემი თაობის პასუხისმგებლობას ყოველთვის იმაში ვხედავდი, რომ არასოდეს გამეორებულიყო, რაც 1933 წლიდან 1945 წლამდე გერმანიაში მოხდა და გერმანელებმა ჩაიდინეს. ეს მარადიულ ამოცანად დარჩება. ახალი ნაციონალიზმის რეციდივი აღარ უნდა მოხდეს, რადგან მასში ბოროტების ყველა ფორმა თვლემს: მედიდურობა და შეუწყნარებლობა, ადამიანის ღირსების შელახვა, უცხოელთა სიძულვილი და ნაციონალური ეგოიზმი, სხვა ხალხთა საზიანოდ მიმართული.

წარსულისთვის პასუხისმგებლობას მხოლოდ ის გაართმევს თავს, ვინც მომავლისთვის პასუხისმგებლობას იკისრებს. პასუხისმგებლობის ეს განზომილება იმის მაჩვენებელია, გამოგვაქვს თუ

არა წარსულისგან სასარგებლო დასკვნები. ეს ყველა სფეროს ეხება: ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობას, მშვიდობის შენარჩუნებას, სიცოცხლის ბუნებრივი საფუძვლების დაცვას, სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფას; მაშასადამე იმას, რომ მომავალშიც შესაძლებელი იყოს ადამიანური არსებობა, თანაც სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანისთვის; ცხოვრება, რომელიც ანგარიშს გაუწევს ყოველი ცალკეული ადამიანის უნიკალურობასა და განუმეორებლობას, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი კონსტიტუციის პირველი პარაგრაფი.

ერთი წამითაც არ შემპარვია ოდესმე ეჭვი, რომ გამონათქვამი: „ლიბერალიზმი იძულებითობის ყოველგვარი ფორმის ყველაზე მრავლისმომცველი ალტერნატივაა", იყო და რჩება სწორი გზის მაჩვენებლად. ამრიგად, ამ წიგნის დასასრულს მადლობის მეტი არაფერი მეთქმის მათ მიმართ, ვისაც ჩემი ცხოვრების გზაზე შევხვდი და რომლებიც მრავალგვარად — მათ შორის კრიტიკითა და მტრობითაც — დამეხმარნენ, რომ ეს გზა ისე წარმართულიყო, როგორც წარიმართა. ღრმა მადლიერების გრძნობით ვარ გამსჭვალული იმის გამო, რომ საშუალება მომეცა წვლილი შემეტანა გერმანიის გაერთიანების საქმეში და მონაწილეობა მიმეღო ახალი ევროპის აღმშენებლობაში. რატომ იყო ჩემთვის ეს ასე მნიშვნელოვანი, როგორ აღვიქვი ეს დავალება და როგორ მოვეკიდე მას, ამან განსაზღვრა ამ „მოგონებათა" შინაარსი და მოცულობა.

შინაარსი

ნაწილი V
დროთა გასაყარზე ახალ პარტნიორებთან ერთად

თავი 14
ახალი ეპოქის დასაწყისი 6
მთელი ძალისხმევა საგარეო პოლიტიკას • ახალი კაცი და ახალი პოლიტიკა კრემლში • ლაჩრული მკვლელობა • ერთი ინტერვიუს შედეგები • ბრძოლა ახალი რატიფიცირებისათვის: ბუნდესტაგის საარჩევნო კამპანია — 1987 • პროპაგანდისტული მუშაობა — როგორც ალიანსში, ისე — შინ • სტაბილურობის პოლიტიკა სამხრეთ და ცენტრალური ამერიკისათვის • მოულოდნელი ალიარება • შეიარაღებაზე კონტროლი იწყება • მოგზაურობები და ვიზიტები • ორმაგი ნულოვანი ვარიანტის წელიწადი • ორმაგი ნულოვანი ვარიანტი და პერშინგ 1 A-ს პრობლემა

თავი 15
ბრძოლა მოკლე რადიუსის ბირთვული რაკეტების მოდერნიზების წინააღმდეგ 140
ფუჭი დისკუსია: ლანსის ტიპის რაკეტების მოდერნიზირება • უთანხმოებანი ლანსის გარშემო • მცირე ნაბიჯები დაახლოების გზაზე: დიალოგი ვაშინგტონსა და ბონს შორის • ევროპის დეატომიზაცია? მძიმე დღე ვაშინგტონში • ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე • ლანსის რაკეტებზე დებატების პოლიტიკური ფონი • ნატოს ბრიუსელის სამიტის გადაწყვეტილება: ვაშინგტონი და ბონი საერთო ენას პოულობენ

თავი 16
ევროპაში ცვლილებათა ქარი ძლიერდება — თავისუფლების რევოლუციის გამარჯვება 196
ბონი — ორი ზესახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პარტნიორი • ახლებური აზროვნება მოსკოვში • მცირერიცხოვანი ხალხი ხსნის რკინის ფარდას: უნგრელთა სიმამაცე • ნიუ-იორკიდან პრაღისაკენ • კედელი გაიხსნა • აღარაფერი აღარ დარჩება ისე, როგორც იყო, არც აღმოსავლეთში და არც დასავლეთში • ოთხნი და ერთობა I: მოლაპარაკებები ვაშინგტონში • ფედერალური კანცლერის ათი პუნქტი • ოთხნი და ერთობა II: მოლაპარაკებები ლონდონში, პარიზსა და მოსკოვში • კონტროლის საბჭო თუ პარტნიორები? • ისტორიული წელიწადის დამლევს

თავი 17

ორი პლუს ოთხი 310

გაერთიანებული გერმანიის ადგილის განსაზღვრა: ჩვენ ევროგაერთიანებასა და ნატოს ვეკუთვნით • თანხმობა ვაშინგტონში • ღიობი მოსკოვში • ოტავა — „ორი პლუს ოთხის“ დაბადების ადგილი • მანიფესტაცია ხუთი კოშკის ქვეშ • ბოლოს და ბოლოს — კანონი საგარეო უწყების შესახებ • გზად „ორი პლუს ოთხისაკენ“: ბეიკერსა და შევარდნაძესთან ერთად უინდჰუკში • ევროთათბირის კონფერენცია ბონში • ორი გერმანელი საგარეო საქმეთა მინისტრი • პირველი „ორი პლუს ოთხი“ ბონში • საკითხთა საკითხი: ნატოს წევრობა და შევარდნაძესთან შეხვედრა ჟენევაში • აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქტის დაძლევის გზაზე • სიგნალი ტერნბერიდან • გარღვევა ბრესტში • შეხვედრა მიუნსტერში: საქმე წინ მიდის • „ორი პლუს ოთხი“ ბერლინში: წარუმატებლობა თუ შევარდნაძის შიდაპოლიტიკური სიფრთხილე? • შეხვედრა მოსკოვსა და კავკასიაში • „ორი პლუს ოთხი“ პარიზში — თანხმობა პოლონეთთან • ლიბერალთა ერთობა • უკანასკნელი რაუნდი: „ორი პლუს ოთხი“ მოსკოვში • შებრკოლების ლოდი ბოლო წუთზე • აღსრულდა: ხელშეკრულებას ხელს ვაწერთ • გაერთიანებით გამოწვეული სიხარული ჰალეში, ბერლინში, ვუპერტალსა და ბონში • ბერლინის საკითხის გადაწყვეტა • გრძელი გზის ბოლოში: გერმანია-პოლონეთის სასაზღვრო ხელშეკრულება

ნაწილი VI

ახალი კრიზისები და ახალი ცვლილებანი

თავი 18

გერმანია და ომი სპარსეთის ყურეში 559

ქუვეითში შეჭრა: ხალხთა თანამეგობრობა რეავირებას ახდენს • გერმანიის პოზიცია • ბუნდესვერის აქცია ერაყში? საგარეოპოლიტიკური მოსაზრებანი შიდაპოლიტიკური დისკუსიის საგნად • საუბრები ისრაელსა და ახლო აღმოსავლეთში • გერმანიის წელილი ქუვეითის განთავისუფლების საქმეში

თავი 19

ომი იუგოსლავიაში: ევროპული ორიენტაციისათვის 597

საწყისი პოზიცია • კრიზისის სათავეები • ომი სლოვენიისა და ხორვატიის წინააღმდეგ • ხორვატიისა და სლოვენიის წინააღმდეგ გამართული ომის დასასრულის გამო

თავი 20
მოვლენათა ახლებური განვითარება ევროპაში დიდი გარდატეხის შემდეგ 652
ახალი ხელშეკრულებები ჩვენს აღმოსავლელ მეზობლებთან • პუტჩი და მისი შედეგები • ვიზიტი ყაზახეთსა და უკრაინაში • სახელშეკრულებო პოლიტიკის შემდგომი ნაბიჯები • ვიზიტი მეგობართან

თავი 21
გადადგომა 691
პირადი გადაწყვეტილება • ზუსტად თვრამეტი წლის შემდეგ • გამოთხოვება • ევროპელ მეგობართა წრეში • შეჯამება და პერსპექტივა • განვლილი გზის შეჯამება და მადლობის გამოცხადება ჰალეში

ბოლოსიტყვაობა 731

წიგნი II

ტირაჟი 2000 ეგზ.

გამომცემლობა „თობალისი"
ИЗДАТЕЛЬСТВО «ТОБАЛИСИ»
PUBLISHING HOUSE «TOBALISI»